https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი პოტერი

და ცეცხლოვანი თასი

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ჯ. კ. როულინგი

ჰარი ფოტერი

და

ცეცხლოვანი თასი



წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთევან ყანჩაშვილმა

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ვუძღვნი პიტერ როულინგს და
მისტერ რიდლის ხსოვნას;
ასევე სუზან სლედენს,
რომელიც ჰარის საკუჭნაოდან გამოსვლაში დაეხმარა.

ჯ. კ. როულინგი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი პირველი

რიდლების სახლი

სახლს, რომელიც გორაზე იდგა და სოფელ ლიტლ-ჰენგლტონს გადაჰყურებდა, „რიდლების სახლს“ ეძახდნენ. თუმცა, უკვე დიდი ხანი იყო, რაც რიდლების ოჯახი იქ აღარ ცხოვრობდა. სახლის ფანჯრები აქა-იქ ფიცრებით აეჭედათ, სახურავს კრამიტი აკლდა, ხოლო ფასადს მთლიანად მოსდებოდა სურო. ერთ დროს მშვენიერი მამული და რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საუცხოო შენობა ახლა ნესტიანი, მიტოვებული და უკაცრიელი იყო.

ლიტლჰენგლტონელები ირწმუნებოდნენ, რომ ძველი სახლის დანახვაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდათ. ორმოცდაათი წლის წინ აქ უცნაური და საზარელი ამბავი დატრიალებულა, რასაც ხშირად იხსენებდნენ სოფლის ხანდაზმული მკვიდრნი, როცა საჭორაო მასალა შემოელეოდათ ხოლმე. ამ ამბავს იმდენ ხანს ჰყვებოდნენ, იმდენჯერ გადააკეთეს და შეალამაზეს, რომ დანამდვილებით უკვე არავინ იცოდა, რა იყო სიმართლე და რა – არა. თუმცა, დასაწყისი უცვლელი რჩებოდა: ორმოცდაათი წლის წინ, როდესაც რიდლების სახლი ჯერ კიდევ მოვლილი და დიდებული იყო, ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას რიდლების მოახლე სასტუმრო ოთახში შევიდა და სამივე რიდლი მკვდარი იპოვა. მოახლემ კივილით ჩამოირბინა გორაკი და მთელი სოფელი ფეხზე დააყენა.

– თვალღიები წვანან! ყინულივით ცივები! სავახშმოდ გამოწყობილები! – გაჰკიოდა მოახლე.

გამოიძახეს პოლიცია. მთელი სოფელი შიშნარევმა ცნობისმოყვარეობამ და აშკარა მღელვარებამ მოიცვა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდად არავინ დამწუხრებულა: რიდლები არავის უყვარდა. ხანდაზმული ბატონი და ქალბატონი რიდლები მდიდარი, ქედმაღა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი და უკმეხი ადამიანები იყვნენ, ხოლო მათი შვილი ტომი – მათზე უარესი. ერთადერთი, რაც ხალხს აინტერესებდა, მკვლელის ვინაობის დადგენა იყო. ცხადია, სამი, ერთი შეხედვით ჯანმრთელი ადამიანი, ერთ ღამეს ბუნებრივი სიკვდილით არ დაიღუპებოდა.

სოფლის ლუდხანას იმ საღამოს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა, რადგან მთელი სოფელი იქ შეიკრიბა მკვლელის ვინაობის შესახებ საკუთარი აზრის გამოსახატავად. და სანანებლად არც არავის გაუხდა თბილი სახლიდან გარეთ გამოსვლა, რადგან მოულოდნელად რიდლების მზარეული აქოშინებული შევარდა ლუდხანაში და ერთბაშად დადუმებულ ხალხს განუცხადა, ეს-ესაა, ფრენკ ბრაისი დააპატიმრესო.

– ფრენკი?! – იყვირა ზოგიერთმა, – გამორიცხულია!

ფრენკ ბრაისი რიდლების მებაღე იყო და მარტო ცხოვრობდა რიდლების კარმიდამოში მდგარ ძველისძველ კოტეჯში. ფრენკი ომში იყო ნამყოფი და იქიდან გაშეშებული ფეხი და ხმაურისა და ხალხმრავლობისადმი სიძულვილი ჩამოჰყვა. დაბრუნების დღიდან რიდლებთან მუშაობდა.

მთელი ლუდხანა დაფაცურდა, რომ მზარეულს სასმელით გამასპინძლებოდნენ და ყველაფერი დაწვრილებით გამოეკითხათ.

– სულ ვფიქრობდი, უცნაური კაცია-მეთქი, – მეოთხე ჭიქა ხერესის შემდეგ განუცხადა მზარეულმა თანასოფლელებს, რომლებიც გაფაციცებით უგდებდნენ ყურს, – ნამდვილი ბაიყუში! ერთხელ კი არა, ასჯერ მაინც შემითავაზებია ფინჯანი ჩაი, მაგრამ სულ უარს მეუბნებოდა! ვერაფრით დავუახლოვდი, არ უყვარდა ხალხთან ურთიერთობა, მორჩა და გათავდა.

– კარგი, ერთი, – შეეკამათა დახლთან მდგარი ქალი, – ფრენკმა საშინელი ომი გამოიარა და, ბუნებრივია, მშვიდად ცხოვრება უნდა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ...

– აბა, სხვას ვის ჰქონდა უკანა კარის გასაღები? – შეუტია მზარეულმა, – რაც თავი მახსოვს, სათადარიგო გასაღები სულ მებაღის კოტეჯში კიდია. წუხელ კარი არავის შეუმტვრევია, არც ფანჯრებია ჩალეწილი. ფრენკს კი თავისუფლად შეეძლო, შეპარულიყო სახლში, როცა ყველას გვეძინა.

სოფლელებმა პირქუშად გადახედეს ერთმანეთს.

– ჩემი აზრით, საძაგელი გამომეტყველება ჰქონდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, – ჩაიდუდღუნა დახლთან მდგარმა კაცმა.

– მე თუ მკითხავთ, ომის შემდეგ უცნაური გახდა, – თავისი აზრი გამოთქვა ლუდხანის მეპატრონემ.

– დოტ, ხომ გახსოვს, ერთხელ გითხარი, ფრენკთან მტრობას არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისურვებდი-მეთქი! – მოისმა კუთხიდან ქალის აღელვებული ხმა.

– საშინელი ხასიათი ჰქონდა, – ფიცხლად დაუქნია თავი დოტმა, – მახსოვს, პატარა რომ იყო...

მეორე დილით ლიტლ-ჰენგლტონში უკვე თითქმის აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ რიდლები ფრენკ ბრაისმა დახოცა.

ამასობაში მეზობელი ქალაქის პოლიციის ბნელსა და ჭუჭყიან განყოფილებაში ფრენკი ჯიუტად იმეორებდა, რომ უდანაშაულო იყო და ერთადერთი ადამიანი, ვინც რიდლების დაღუპვის დღეს სახლის სიახლოვეს ნახა, უცნობი შავთმიანი და ფერმკრთალი ბიჭი გახლდათ. და, რადგან სოფელში სხვას არავის დაუნახავს ასეთი ბიჭი, პოლიცია დარწმუნდა, რომ ის ფრენკის ფანტაზიის ნაყოფი იყო. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მებაღის საქმე ცუდად უნდა დამთავრებულიყო, რიდლების გვამების სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

პოლიციას არასდროს წაეკითხა ამაზე უცნაური ექსპერტიზის პასუხი. გვამები ექიმების ჯგუფმა შეამოწმა და დაასკვნა, რომ არც ერთი რიდლი არ იყო არც მოწამლული, არც ცივი თუ ცხელი იარაღით მოკლული, არც დამხრჩვალი ან მოგუდული. რაც მთავარია, არც ერთ მათგანს არ ეტყობოდა ძალადობის არავითარი კვალი. „აღმოჩნდა, – აშკარად შეცბუნებული ტონით იუწყებოდა ექსპერტიზა, – რომ რიდლები სრულიად ჯანმრთელები არიან, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ ყველა მათგანი მკვდარია.“ მაგრამ, რადგან ექიმებს რამე უჩვეულო უსათუოდ უნდა აღმოეჩინათ, აღნიშნეს, რომ სამივეს სახეზე შეძრწუნება ეხატა, მაგრამ, იმედგაცრუებული პოლიციელების თქმისა არ იყოს, ვის გაუგია, სამი ადამიანი ისე შეაშინო, რომ სამივე სიცოცხლეს გამოესალმოს?

და რადგან არც იმის დამამტკიცებელი საბუთი არსებობდა, რომ რიდლები მკვლელობის მსხვერპლნი გახდნენ, პოლიცია იძულებული შეიქნა, ფრენკი გაეთავისუფლებინა. რიდლები ლიტლ-ჰენგლტონის სასაფლაოზე დაკრძალეს. მათი საფლავები კარგა ხანს იზიდავდა ცნობისმოყვარეებს. ფრენკ ბრაისი კი, მიუხედავად იმისა, რომ თანასოფლელები ეჭვის თვალით უცქეროდნენ, რიდლების ბაღში მდგარ თავის კოტეჯს დაუბრუნდა, რითაც კიდევ ერთხელ გააოცა ყველანი.

– მე თუ მკითხავთ, მაგან დახოცა რიდლები. არ მაინტერესებს, რას ამბობს პოლიცია, – განაცხადა დოტმა, – და სინდისის ნატამალი თუ აქვს შერჩენილი, აქედან უნდა წავიდეს. ხომ ხვდება, რომ ყველამ ვიცით, რაც ჩაიდინა.

მაგრამ ფრენკ ბრაისი არსადაც არ წასულა, დარჩა და ბაღს უვლი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. ამასობაში რიდლების სახლში ჯერ ერთი ოჯახი ჩასახლდა, შემდეგ – მეორე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დარჩენილა დიდხანს. ალბათ, ნაწილობრივ უჟმური ფრენკის ბრალიც იყო, რომ ყოველი ახალი მფლობელი ამტკიცებდა, ამ სახლში რაღაც საშინელებაა ჩაბუდებულიო. ამიტომ სახლი დაცარიელდა და თანდათან გაპარტახდა.

* * *

რიდლების სახლი ბოლოს ერთმა მდიდარმა კაცმა იყიდა, მაგრამ არც საცხოვრებლად იყენებდა და არც სხვა რაიმე მიზნით. სოფელში ამბობდნენ, სახლს „გადასახადის გამო“ ინახავსო, თუმცა გარკვევით არავის ესმოდა, რას ნიშნავდა ეს. სახლის მდიდარი მფლობელი ფრენკს მებაღეობაში მაინც უხდიდა ფულს. ფრენკმა უკვე სამოცდამეჩვიდმეტე წელს მიუკაკუნა, სმენა სულ დაუქვეითდა, ხოლო მტკივანი ფეხი კიდევ უფრო გაუშეშდა. და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ლამის ხავსი მოჰკიდებოდა, კარგ ამინდში მაინც უწინდებურად დაფუსფუსებდა ყვავილების კვლებში და სარეველებს ებრძოდა.

მაგრამ მხოლოდ სარეველა არ აწუხებდა მებაღეს: სოფლის ბიჭებმა ჩვეულებად გაიხადეს რიდლების სახლის ფანჯრებში ქვების სროლა და მებაღის სათუთად მოვლილ გაზონებზე ველოსიპედებით სიარული. ერთი-ორჯერ, სიმამაცის დასამტკიცებლად, ძველ სახლშიც კი შეიჭრნენ. იცოდნენ, რომ ბებერი ფრენკისთვის სახლიც და ბაღიც ძვირფასი იყო, და მაგრად ერთობოდნენ, როცა ის ღობესთან მიხანხალდებოდა, ხელჯოხს მუქარით უღერებდა მავნებლებს და ბებრული ხმით უყვიროდა. მოხუცს ეგონა, ბავშვები ასე იმიტომ მაწვალებენ, რომ მშობლებისა და ბებია-პაპების მსგავსად, ისინიც მკვლელად მთვლიანო. ამიტომ აგვისტოს ერთ ღამეს, როცა შემთხვევით გაღვიძებულმა ფრენკმა სახლს გახედა და რაღაც უჩვეულო შენიშნა, იფიქრა, ბიჭებმა ჩემს გასაბრაზებლად ახალი ოინი მოიგონესო.

იმ ღამეს ფრენკი ფეხის ტკივილმა გააღვიძა. ტკივილს ასე არასოდეს შეუწუხებია. წამოდგა და კოჭლობით ჩავიდა სამზარეულოში, რომ სათბურა ხელახლა გაევსო თბილი წყლით და მუხლის ტკივილი დაეამებინა. ჩაიდნის ასავსებად ონკანთან მისულმა რიდლების სახლს გახედა და, ზედა ფანჯრებში მოციალე სინათლე რომ დაინახა, იფიქრა, ეტყობა, ბიჭები ისევ შეიპარნენ სახლში, სინათლეც ისე ციმციმებს, ნამდვილად ცეცხლი გააჩაღესო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფრენკს ტელეფონი არ ჰქონდა. რომც ჰქონოდა, იმ დღიდან მოყოლებული, რაც რიდლების მკვლელობაში ეჭვმიტანილად სცნეს და დაკითხეს, პოლიციას მაინც არ ენდობოდა. ჩაიდანი მაშინვე დადგა და რამდენადაც ამის საშუალებას მტკივანი ფეხი აძლევდა, კიბეზე სწრაფად ავიდა. მალე ჩაცმული დაბრუნდა სამზარეულოში, კაუჭზე დაკიდებული ძველი, დაჟანგული გასაღები ჩამოხსნა, კედელზე მიყუდებული ხელჯოხი აიღო და გარეთ, სიბნელეში გავიდა.

რიდლების სახლის წინა კარს და ფანჯრებს ძალადობის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. ფრენკმა კოჭლობით შემოუარა სახლს, სუროთი თითქმის მთლიანად დაფარულ უკანა კარს მიადგა, საკეტს გასაღები მოარგო და უხმაუროდ გააღო.

გააღო და ვეება სამზარეულოში ამოყო თავი. უკვე მრავალი წელი იყო, აქ აღარ შემოედგა ფეხი. ოთახში შმორის სუნი იდგა და საშინლად ბნელოდა, მაგრამ ფრენკს მაინც ახსოვდა, სად იყო დერეფანში გამავალი კარი და ხელის ცეცებით წავიდა წინ. თან დაძაბული აყურადებდა, რომ ზედა სართულიდან ჩქამიც არ გამოჰპარვოდა. დერეფანი შედარებით განათებული დახვდა, რადგან კარის ორივე მხარეს დატანებული დიდი ფანჯრებიდან სუსტი სინათლე აღწევდა. ფრენკი კიბეს აუყვა, თან საფეხურებზე სქლად დადებულ მტვერს ლოცავდა, რომელიც ფეხის ხმასა და ხელჯოხის კაკუნს ახშობდა.

კიბის ბაქანზე მარჯვნივ შებრუნდა და მაშინვე მიხვდა, სად იყვნენ დაუპატიჟებელი სტუმრები: დერეფნის ბოლო კარი ოდნავ შეღებული იყო. ღრიჭოდან ციმციმა შუქი გამოკრთოდა და ბნელ იატაკს ოქროსფერ ზოლად ეცემოდა. მებაღემ ხელჯოხი მაგრად ჩაბღუჯა და კარს მიუახლოვდა. ზღურბლს რამდენიმე ნაბიჯიღა აშორებდა, როცა ღრიჭოდან ოთახის ნაწილი დაინახა.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. გაოგნებული ფრენკი გაინაბა და სმენად იქცა, რადგან ოთახიდან მამაკაცის გაუბედავი, დამფრთხალი ხმა გაიგონა.

– ცოტა კიდევ დარჩა ბოთლში, მილორდ, კიდევ ხომ არ გშიათ?

– არა, მოგვიანებით იყოს, – გაისმა მეორე ხმა. ეს ხმაც კაცისა იყო, მაგრამ უჩვეულოდ მაღალი და გამყივანი, როგორც სუსხიანი ქარის უეცარი შემოქროლვა. რატომღაც ამ ხმამ მოხუც მებაღეს კეფაზე შერჩენილი თმა ყალყზე დაუყენა: – ცეცხლთან ახლოს მიმწიე, გრძელკუდავ.

ფრენკმა სმენა დაძაბა, რომ უკეთ გაეგონა. გაისმა მაგარ ზედაპირზე ბოთლის დადგმის, შემდეგ იატაკზე მძიმე სავარძლის გაჩოჩების ყრუ ხმა. ფრენკმა ღრიჭოში თვალი მოჰკრა ჩია კაცს, რომელიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარისკენ ზურგით იდგა და სავარძელს ბუხრისკენ აწვებოდა. მებაღემ კარგად დაინახა ამ კაცის გამელოტებული კეფა და შავი მანტია. შემდეგ კაცი თვალს მიეფარა.

– სად არის ნაგინი? – ისევ გაისმა გამყივანი ხმა.

– ა-არ ვიცი, მილორდ, – აღელდა პირველი ხმა, – მგონი, სახლს ათვალიერებს...

– სანამ დავწვებით, მოწველე. ღამე საკვები დამჭირდება. მგზავრობამ ძალიან დამღალა.

წარბშეკრულმა ფრენკმა ჯანმრთელი ყური კიდევ უფრო მიუახლოვა კარს, რომ არაფერი გამორჩენოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ იმ კაცმა, „გრძელკუდა“ რომ უწოდეს, ისევ დაილაპარაკა:

– მილორდ, შეიძლება გკითხოთ, რამდენ ხანს ვაპირებთ აქ დარჩენას?

– ერთ კვირას, – უპასუხა გამყივანმა ხმამ, – შეიძლება, უფრო მეტხანსაც. ეს ადგილი ზედგამოჭრილია ჩვენთვის, თანაც გეგმის განხორციელებას ჯერ ვერ შევუდგებით. სისულელე იქნება, მანამდე ვიმოქმედოთ, სანამ ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატი არ დასრულდება.

ფრენკმა დაკოჟრილი თითით ყური მოიქექა: ნამდვილად ყურის გოგირდი დაეცო და კარგად ვერ გაიგონა, თორემ, აბა, „ქვიდიჩი“ რა სიტყვაა.

– ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატი, მილორდ? – გაიმეორა გრძელკუდამ. ფრენკმა თითი კიდევ უფრო ღრმად შეიყო ყურში, – მომიტევეთ, მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა დავუცადოთ ჩემპიონატის დასრულებას?

– იმიტომ, ყეყეჩო, რომ ახლა აქ მთელი მსოფლიოს ჯადოქრები მოიყრიან თავს. მაგიის სამინისტროს აბეზარი თანამშრომლები საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ, ფხიზლად იქნებიან, რომ საეჭვო არაფერი გამოეპაროთ. ყველას და ყველაფერს უამრავჯერ შეამოწმებენ, უსაფრთხოების ზომებს გაამკაცრებენ იმის შიშით, მაგლებმა არაფერი შენიშნონო. ამიტომ უნდა დავიცადოთ.

ფრენკმა ყურის ჩიჩქნას თავი გაანება. უკვე გარკვევით გაიგონა სიტყვები: „მაგიის სამინისტრო“, „ჯადოქრები“ და „მაგლები“. „რასაკვირველია, ამ სიტყვებს საიდუმლო მნიშვნელობა აქვს, ასე მხოლოდ ჯაშუშები და ბოროტმოქმედები ლაპარაკობენ“, გაიფიქრა ფრენკმა, ისევ ჩაბღუჯა ხელჯოხი და სმენა დაძაბა.

– ესე იგი, თქვენს უგანათლებულესობას არ გადაუფიქრებია? – ჩუმად იკითხა გრძელკუდამ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, არა, გრძელკუდავ, – გამყივან ხმაში ახლა მუქარის ტონი იგრძნობოდა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი ისევ გრძელკუდამ დაარღვია. ისე სულმოუთქმელად წამოისროლა სათქმელი, თითქოს ეშინოდა, ცოტაც, და გამბედაობა მიღალატებსო.

– შეგვიძლია, ეს ჰარი პოტერის გარეშეც გავაკეთოთ, მილორდ.

დუმილმა ამჯერად უფრო დიდხანს გასტანა, შემდეგ...

– ჰარი პოტერის გარეშე? – ხმადაბლა გაიმეორა მეორე ხმამ, – გასაგებია...

– მილორდ, ამას ბიჭის სიბრალულის გამო არ ვამბობ, – აწრიპინდა გრძელკუდა, – ბიჭი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, სულ არაფერს! უბრალოდ, სხვა ჯადოქარს თუ გამოვიყენებთ... ნებისმიერს... რა მნიშვნელობა აქვს... ყველაფერს ბევრად უფრო მალე მოვაგვარებთ! თუ ნებას დამრთავთ, ცოტა ხნით დაგტოვოთ, ხომ იცით, რა კარგად შემიძლია გარდასახვა, ორ დღეში დავბრუნდები და შესაფერის ვინმეს მოვიყვან...

– დიახ, შემიძლია, სხვა ჯადოქარი გამოვიყენო, – ხმადაბლა გაიმეორა მეორემ, – მართალია.

– მილორდ, ეს უფრო გონივრულია, – გათამამდა გრძელკუდა, – ჰარი პოტერის ხელში ჩაგდება გაგვიჭირდება. ბიჭს კარგად იცავენ...

– და ამიტომ მთავაზობ, წახვიდე და შემცვლელი მომიყვანო? საოცარია... ეტყობა, ჩემი მოვლით დაიღალე, ხომ ასეა, გრძელკუდავ? იქნებ ამ გეგმაზე ხელის აღებას იმიტომ მირჩევ, რომ ჩემი მიტოვება გინდა?

– მილორდ, მე... მე სულაც არ მინდა, მიგატოვოთ...

– ნუ მატყუებ, – დაისისინა მეორე ხმამ, – მე ყოველთვის ვხვდები სიცრუეს, გრძელკუდავ! ნანობ, რომ ისევ ჩემს მხარეს გადმოხვედი. გეზიზღები. ვხედავ, როგორ კრთები, როცა შემომხედავ ხოლმე და ვგრძნობ, როგორ ძრწი, როცა მეხები...

– არა! ჩემი თქვენდამი ერთგულება, მილორდ...

– შენი ერთგულება სხვა არაფერია, თუ არა სიმხდალე. შენ აქ არ იქნებოდი, სადმე წასასვლელი რომ გქონოდა. როგორ ვიარსებებ უშენოდ, მე ხომ რამდენიმე საათში ერთხელ კვება მჭირდება? ვინ მოწველის ნაგინის?

– მაგრამ, მილორდ, თქვენ ბევრად მოძლიერებული ჩანხართ...

– ტყუი! – შეაწყვეტინა მეორე ხმამ, – არაფერიც არ მოვძლიერებულვარ! საკმარისია, რამდენიმე დღით მარტო დავრჩე, რომ იმ მცირე ძალასაც დავკარგავ, რაც შენი დაუდევარი ზრუნვის წყალობით მოვიკრიბე. ჩუმად!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრძელკუდა, რომელიც უთავბოლოდ ლუღლუღებდა, მაშინვე გაჩუმდა. რამდენიმე წამს ფრენკს მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი ესმოდა. შემდეგ მეორე კაცმა ჩურჩული განაგრძო, ლამის სისინებდა:

– ხომ აგიხსენი, მე ჩემი მიზეზები მაქვს, რომ მაინცდამაინც ის ბიჭი გამოვიყენო და სხვა არავინ. უკვე ცამეტი წელია, ვიცდი. კიდევ რამდენიმე თვესაც მოვიცდი. რაც შეეხება ბიჭის დაცვას, დარწმუნებული ვარ, ჩვენი გეგმა განხორციელდება. საჭიროა მხოლოდ ცოტაოდენი გამბედაობა. გრძელკუდავ, გამბედაობა უნდა მოიკრიბო, თუ არ გინდა, რომ ლორდ ვოლდემორის რისხვა მთელი ძალით დაგატყდეს თავს...

– მილორდ, ნება მომეცით, რაღაც გითხრათ, – დამფრთხალი ხმით დაიწყო გრძელკუდამ, – სანამ ვმგზავრობდით, სულ ჩვენს გეგმაზე ვფიქრობდი. მილორდ, ბერტა ჯორკინსის გაუჩინარებას მალე შეამჩნევენ და თუ დროზე გადავდგამთ შემდეგ ნაბიჯს... მე თუ წყევლას მოვუვლენ...

– თუ? – ჩაიჩურჩულა ცივმა ხმამ, – შენ ამბობ, თუო? თუ გეგმის მიხედვით იმოქმედე, გრძელკუდავ, მაგიის სამინისტრო ვერასდროს გაიგებს, რომ ისევ ვილაც გაუჩინარდა. აუჩქარებლად, მშვიდად გააკეთებ შენს საქმეს. ნეტავ, თვითონ შემეძლოს, მაგრამ, აბა, ასეთ მდგომარეობაში... გრძელკუდავ, ერთი დაბრკოლებაც მოვიშოროთ და, ჰარი პოტერამდე გზა ხსნილია. ხომ არ გთხოვ, რომ ეს მარტომ გააკეთო! მალე ჩემი ერთგული მსახურიც შემოგვიერთდება და...

– თქვენი ერთგული მსახური მე ვარ, – გრძელკუდას ხმაში წყენა შეეპარა.

– გრძელკუდავ, მე მჭირდება ის, ვინც გამჭრიახია და ვის ერთგულებაშიც არასდროს შემპარვია ეჭვი. შენ კი, საუბედუროდ, ვერც ერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებ.

– მე ხომ გიპოვეთ, – გული მოუვიდა გრძელკუდას, – მე გიპოვეთ. ბერტა ჯორკინსიც მე მოგიყვანეთ.

– მართალია, – თითქმის მხიარულად დაუდასტურა მეორემ, – ასეთ სიმარჯვეს შენგან არ ველოდი, არ მეგონა, გამჭრიახობას თუ გამოიჩენდი, გრძელკუდავ. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, როცა მოგყავდა, ხომ ვერც კი წარმოგედგინა, რა კარგ სამსახურს გაგვიწევდა?

– მ-მე ვიფიქრე, იქნებ რამეში გამოგვადგეს-მეთქი, მილორდ.

– მატყუარა! – მეორე ხმა აშკარად მწარედ დასცინოდა თანამოსაუბრეს, – მაგრამ არ უარვყოფ, რომ მისგან ფასდაუდებელი ინფორმაცია მივიღეთ. უიმისოდ ჩემს გეგმას ვერასოდეს შევადგენდი და ამისთვის, თავის დროზე, შენს ჯილდოს მიიღებ, გრძელკუდავ. სწორედ შენ მოგანდობ ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო დავალე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბას, რომლისთვისაც ბევრი ჩემი მომხრე საკუთარ მარჯვენასაც კი გაიმეტებდა.

– მ-მართლა, მილორდ? რას? – თავზარი დაეცა გრძელკუდას.

– ოჰ, გრძელკუდავ, რატომ გინდა, სიურპრიზი გამიფუჭო? შენი დრო სულ ბოლოს მოვა, მაგრამ გპირდები, რომ გექნება პატივი, ბერტა ჯორკინსზე არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშო.

– თქვენ... თქვენ... – გრძელკუდას ხმა ჩაუწყდა, თითქოს უცებ პირი გაუშრაო, – თქვენ ჩემს მოკვლასაც აპირებთ?

– ეჰ, გრძელკუდავ, გრძელკუდავ, – შემპარავად გაისმა ცივი ხმა, – რაში მჭირდება შენი მოკვლა? ბერტა იმიტომ მოვკალი, რომ დაკითხვის შემდეგ აღარაფრად ვარგოდა, ვერაფერში გამოვიყენებდით. სამინისტროში რომ დაბრუნებულიყო და ეთქვა, რომ შენ შეგხვდა, უხერხული კითხვები გაჩნდებოდა. ხომ არ შეიძლება, რომ გარდაცვლილი ჯადოქრები გზისპირა სასტუმროებში სამინისტროს თანამშრომლებს ხვდებოდნენ?!

გრძელკუდამ ისე ხმადაბლა ჩაილულლუღა რაღაც, ფრენკმა ვერაფერი გაიგო. სამაგიეროდ, მისმა თანამოსაუბრემ გაიცინა ნაძალადევად და ისეთივე ცივი ხმით, როგორიც საუბრისას ჰქონდა.

– შეგვეძლო, დავიწყების ჯადო გაგვეკეთებინა?! მაგრამ დავიწყების ჯადოს ახსნა ნებისმიერ ძლიერ ჯადოქარს შეუძლია, მეც ხომ ასევე მოვიქეცი, როცა ბერტა დავკითხე... და ნამდვილად შეურაცხყოფას მივაყენებთ მის ხსოვნას, თუ იმ ინფორმაციას არ გამოვიყენებთ, რაც მას გამოვწურე.

დერეფანში მდგარმა ფრენკმა იგრძნო, რომ ხელჯოხზე ჩაბღუჯული ხელი გაუოფლიანდა. ამ კაცს, ცივი ხმა რომ ჰქონდა, ქალი მოუკლავს და ამაზე სინანულით კი არა, აღტაცებით ლაპარაკობდა. ეს კაცი საშიში იყო, ალბათ, შეშლილიც და ისევ მკვლელობის გეგმას აწყობდა. იმ ბიჭს, ჰარი პოტერია თუ ვიღაცა, საფრთხე ემუქრებოდა...

ფრენკმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა: სასწრაფოდ პოლიციაში უნდა გაქცეულიყო. სახლიდან ჩუმად გაიპარებოდა და პირდაპირ სოფლის სატელეფონო ჯიხურისკენ გაეშურებოდა... მაგრამ ცივი ხმა ისევ ალაპარაკდა და სმენადქცეული ფრენკიც ადგილს მიეყინა.

– ერთი შელოცვაც და... ჩემი ერთგული მსახური ჰოგვორტსშია... ჰარი პოტერი უკვე თითქმის ხელში მყავს... გრძელკუდავ, ეს გადაწყვეტილია და აღარაფრის გაგონება აღარ მინდა... ჩუმად! მგონი, ნაგინის ხმა ისმის...

და კაცმა შეცვლილი ხმით იმისთანა ბგერები ამოუშვა, რომ ფრენკს მსგავსი არაფერი გაეგონა. თითქოს სისინებდა და ფრუტუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნებდა და ერთხელაც არ ამოუსუნთქავს. ფრენკმა იფიქრა, ალბათ, შეტევა დაემართა ან ბნედამ მოუარაო.

შემდეგ ფრენკმა იგრძნო, რომ ბნელ დერეფანში მის ზურგს უკან რაღაც მოძრაობდა. თავი მიაბრუნა და შიშისგან გაქვავდა.

ჩაბნელებული დერეფნის იატაკზე რაღაც მოსრიალებდა. როცა მოუახლოვდა, შეძრწუნებულმა დაინახა, რომ ეს იყო, სულ ცოტა, ოთხი მეტრის სიგრძის გიგანტური გველი. თავზარდაცემული და ადგილს მიჯაჭვული მოხუცი უყურებდა, როგორ ავლებდა გველის დაკლაკნილი სხეული სქელი მტვრით დაფარულ იატაკზე ფართო, მიხვეულ-მოხვეულ კვალს და როგორ უახლოვდებოდა... რა უნდა ექნა? ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: ან ოთახში უნდა შევარდნილიყო, სადაც ორი კაცი იჯდა და ვიღაცის მკვლელობას გეგმავდა, ან ადგილზე დარჩენილიყო და გველის მსხვერპლი გამხდარიყო. მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, გველი გაუსწორდა და, მისდა გასაკვირად, გვერდით ჩაუსრიალა. ეტყობა, იმ სისინა, ფრუტუნის-მაგვარ ბგერებს მიჰყვებოდა, რომელიც ოთახიდან ისმოდა. რამდენიმე წამში ღრიჭოში გველის რომბებით მოხატული კუდიც გაუჩინარდა.

ფრენკს შუბლზე ოფლმა დაასხა. ჯოხზე დაყრდნობილი ხელი აუკანკალდა. ოთახის სიღრმეში ცივი ხმა ისევ სისინებდა. უცებ მოხუცს უცნაურმა, დაუჯერებელმა აზრმა გაუელვა თავში: ის კაცი გველს ელაპარაკებოდა!

ფრენკმა ამ ამბავს ვერც თავი გაუგო, ვერც ბოლო. ახლა მხოლოდ ის უნდოდა, თავის ლოგინსა და ცხელ სათბურას დაჰბრუნებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ფეხები აღარ ემორჩილებოდა. იდგა, კანკალებდა და ცდილობდა, თავს მორეოდა. უცებ ცივი ხმა ისევ ჩვეულებრივად ალაპარაკდა:

– ნაგინიმ საინტერესო ამბავი მოგვიტანა, გრძელკუდავ.

– მ-მართლა, მილორდ?

– მართლა. თუ გველს დავუჯერებთ, კართან ბებერი მაგლი დგას და ჩვენს საუბარს ისმენს.

ფრენკი ვეღარსად დაიმალებოდა. გაისმა ნაბიჯების ხმა და კარი ფართოდ გაიღო. ფრენკის წინ დაბალი, თითქმის მელოტი კაცი იდგა. ალაგ-ალაგ შერჩენილი თმა გასჭაღარავებოდა, პაჭუა ცხვირი და წვრილი, უფერული თვალები ჰქონდა. ფრენკს შიშითა და შეშფოთებით მისჩერებოდა.

– შემოიპატიჟე, გრძელკუდავ, სად დაკარგე ზრდილობა?

ცივი ხმა ბუხართან მდგარი ძველი სავარძლიდან ისმოდა, მაგრამ ფრენკი ხმის პატრონს ვერ ხედავდა. გველს კი ბუხრის წინ დამპალ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოხზე მოეკალათებინა შინაური ძაღლივით. გრძელკუდამ ფრენკს ხელით ანიშნა, ოთახში შესულიყო. დამფრთხალმა მოხუცმა ხელჯოხი ჩაბღუჯა და კოჭლობით გადააბიჯა ზღურბლს.

ოთახს მხოლოდ ცეცხლის შუქი ანათებდა და გრძელ, დაკლაკნილ ჩრდილებს კედლებზე აფენდა. ფრენკი სავარძლის ზურგს მიაშტერდა. მასში მჯდომი კაცი, ალბათ, თავის მსახურზე კიდევ უფრო პატარა იყო, რადგან საზურგიდან კეფა არ მოუჩანდა.

– ყველაფერი გაიგონე, მაგლო? – მიმართა ცივმა ხმამ.

– რაო, რა მიწოდეთ? – გამომწვევად ჰკითხა ფრენკმა. ახლა, როცა უკვე ოთახში იდგა, როცა მოქმედების დრო დადგა, გამბედაობა მოემატა. ომშიც ასე ემართებოდა ხოლმე.

– მე შენ მაგლი გიწოდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯადოქარი არა ხარ.

– არ ვიცი, რას გულისხმობთ მაგ სიტყვაში, – ფრენკის ხმას სიმტკიცე მოემატა, – მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი: საკმარისი გავიგონე, რომ პოლიცია დავაინტერესო. თქვენ მკვლელობა ჩაიდინეთ და ახლა ისევ მკვლელობას გეგმავთ! – უცებ ერთმა აზრმა გაუნათა გონება და დაამატა: – და იცით, რას გეტყვით? ჩემმა ცოლმა იცის, რომ აქ ვარ და თუ არ დავბრუნდი...

– შენ ცოლი არა გყავს, – ხმადაბლა გაისმა ცივი ხმა, – არავინ იცის, რომ აქ ხარ. არავისთვის გითქვამს, რომ აქ მოდიოდი. ნუ ატყუებ ლორდ ვოლდემორს, მაგლო, რადგან ის ყველაფერს ხვდება, ყოველთვის ყველაფერს ხვდება!

– აი, თურმე რა, – უხეშად შეაწყვეტინა ფრენკმა, – მაშ, ლორდი ბრძანდები, არა? თქვენ სადღა დაკარგეთ ზრდილობა, ბატონო ჩემო? შემობრუნდით და თვალი გამისწორეთ, კაცი არა ხართ?

– არა, კაცი არა ვარ, მაგლო, – ცივი ხმა ახლა ძლივსღა ისმოდა ცეცხლის ტკაცუნში, – მე ბევრად, ბევრად მეტი ვარ, ვიდრე კაცი... თუმცა... რატომაც არა? გაგისწორებ თვალს. გრძელკუდავ, სავარძელი შეატრიალე.

მსახურმა ამოიკვნესა.

– ვის ვეუბნები, გრძელკუდავ?!

ჩია კაცი ისეთი გატანჯული სახით მივიდა სავარძელთან, თითქოს ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც ახლა თავის ბატონსა და ბუხრის პირას მოკალათებულ გველს არ მიახლოებოდა, და ბრძანების ასრულებას შეუდგა. გველმა მახინჯი, სამკუთხა თავი ასწია და ძლივსგასაგონად დაისისინა, როცა სავარძლის ფეხები ნოხს გამოედო.

და აი, სავარძელი ფრენკისკენ შემოტრიალდა და მოხუცმა დაინახა, რა იჯდა შიგ. ხელჯოხი ბრახუნით დაეცა იატაკზე. შეძრწუნე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბულ ფრენკს ყვირილი აღმოხდა. ისე ხმამაღლა იყვირა, რომ ვერ გაიგო, რა თქვა სავარძელში მჯდარმა არსებამ, რომელმაც ჯადოსნური ჯოხი შემართა. წამსვე მწვანე შუქმა გაიელვა, რაღაცამ გაიშხუილა და ფრენკ ბრაისი მკვდარი დაენარცხა იატაკზე. იმავე წამს სამასი კილომეტრის დაშორებით მოულოდნელად გაელვიძა ბიჭს, რომელსაც ჰარი პოტერი ერქვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეორე

ნაიარევი

ჰარი გულაღმა იწვა, ხელები სახეზე აეფარებინა და ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს დიდხანს ირბინაო. წუთის წინ ძალიან მკაფიო სიზმარი ნახა და შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ძველი ნაიარევი ისე აეწვა, თითქოს ვიღაცამ გავარვარებული შანთი მიადოო.

ჰარი წამოჯდა, ცალი ხელი ისევ ნაიარევზე ედო, მეორე კი სიბნელეში მოაფათურა და საწოლის გვერდით მდგარი პატარა მაგიდიდან სათვალე აიღო. ახლა უკეთ დაინახა თავისი ოთახი: ფარდებში ლამპიონების შუქი ატანდა და საძინებელს სუსტ, ბუნდოვან ნარინჯისფერში ხვევდა. ჰარიმ თითებით მოისინჯა ნაიარევი – ჯერ კიდევ სტკიოდა. შემდეგ მაგიდის ლამპა აანთო, ადგა, ოთახის მეორე კუთხეში მდგარი გარდერობის კარი გამოაღო და სარკეში ჩაიხედა. სარკიდან თოთხმეტი წლის გამხდარი ბიჭი მისჩერებოდა, რომელსაც გაოცებული ღია მწვანე თვალები და აჩეჩილი შავი თმა ჰქონდა. ნაიარევს კარგად დააკვირდა. ისევ ისეთი იყო, როგორც ყოველთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ეწვოდა.

ჰარი შეეცადა გაეხსენებინა, რა ნახა სიზმარში. ყველაფერი ისე ჰგავდა ცხადს! ნახა ორი კაცი, რომლებსაც იცნობდა, და ერთიც – უცნობი. თავს ძალა დაატანა და შუბლშეკრული შეეცადა, ყველა წვრილმანი აღედგინა. ბუნდოვნად გაახსენდა ჩაბნელებული ოთახი, ბუხართან დაგორგლილი გველი, ტანდაბალი კაცი, სახელად პიტერი, „გრძელკუდას“ რომ ეძახდნენ, მაღალი, ცივი ხმა... ლორდ ვოლდემორის ხმა...

ჰარის მუცელში ისეთმა სიცივემ დაუარა, თითქოს ყინული გადაეყლაპოს. თვალები მაგრად დახუჭა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, როგორი იყო ვოლდემორი. მარტო ის ახსოვდა, რომ გრძელკუდამ ვოლდემორის სავარძელი შემოატრიალა, დაინახა, რა იჯდა შიგ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შიშისგან სუნთქვა შეეკრა და გამოეღვიძა. ან იქნებ, სულაც, ნაიარევის მწვავე ტკივილმა გააღვიძა?

ის მოხუცი კაცი ვინღა იყო? იქ ხომ ნამდვილად ვიღაც მოხუცი კაცი იდგა! ჰარიმ დაინახა, როგორ დაეცა იატაკზე... ახლა თავში ყველაფერი აერია.

ჰარიმ სახე ხელებში ჩარგო, რომ თავისი საძინებელი არ დაენახა. ცდილობდა, ნათლად აღედგინა ნახევრად ჩაბნელებული ოთახი, მაგრამ ეს იგივე იყო, პეშვით წყალი შეეგროვებინა. რაც უფრო ცდილობდა დეტალების გახსენებას, მით უფრო უსხლტებოდნენ ხელიდან... ვოლდემორი და გრძელკუდა ვიღაც მოკლულზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჰარის არ ახსოვდა მისი სახელი... და ისინი კიდევ ვიღაცის მოკვლას გეგმავდნენ... ჰარის მოკვლას...

ჰარიმ სახიდან ხელები მოიშორა, თვალები გაახილა და ოთახი ისე მოათვალიერა, თითქოს რაიმე უჩვეულო უნდა დაენახა. იქ, მართლაც, მრავლად იყო უჩვეულო ნივთი. საწოლთან ხის ვეება გახსნილი ჩემოდანი იდო, საიდანაც ქვაბი, ცოცხი, შავი მანტიები და ნაირ-ნაირი შელოცვის წიგნი მოჩანდა. საწერ მაგიდაზე დიდი ცარიელი გალია იდგა, რომელშიც ჰარის თოვლივით ქათქათა ბუ იჯდა ხოლმე, მაგიდაზე დარჩენილი ადგილი პერგამენტის გრაგნილებს ეკავა. საწოლის გვერდით, იატაკზე, გადაშლილი წიგნი იდო, რომელსაც წუხელ ძილის წინ კითხულობდა. წიგნში სურათები მოძრაობდნენ. ღია ნარინჯისფერმანტიებიანი, ცოცხზე ამხედრებული ჯადოქრები სურათზე ჩაიქროლებდნენ ხოლმე და ერთმანეთს წითელ ბურთს ესროდნენ.

ჰარიმ წიგნი აიღო და სურათს დახედა. ერთ-ერთმა მოთამაშემ ბრწყინვალე გოლი გაიტანა, ბურთი პირდაპირ თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე დაკიდებულ რგოლში ჩააგდო. ჰარიმ წიგნი ხმაურით დახურა. ახლა ქვიდიჩსაც კი ვერ უდებდა გულს, არადა, მსოფლიოში სპორტის საუკეთესო სახეობად მიაჩნდა.

წიგნი საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე დადო, ფანჯარასთან მივიდა და ფარდები გადასწია, რომ ქუჩაში გაეხედა.

პრივიტ დრაივი ისე გამოიყურებოდა, როგორც შაბათს გამთენიისას უნდა გამოიყურებოდეს გარეუბნის ერთი მშვიდი ქუჩა. ყველა ფანჯარაზე ფარდები ჩამოეფარებინათ და, რამდენადაც სიბნელეში შეიძლებოდა გარჩევა, ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა, კატაც კი...

და მაინც... ამ ყველაფრის მიუხედავად...

აწრიალებული ჰარი ისევ საწოლთან მივიდა და დაჯდა. თითით კვლავ ნაიარევი მოისინჯა. არა, ასე ტკივილის გამო კი არ ღელავდა! ჰარისთვის უცხო არ იყო ტკივილი და ტრავმები: ერთხელ მარჯვენა ხელის ყველა ძვალი გაუქრა და იმავე ღამეს საშინელი ტკივილით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოუზარდეს. მალე ისევ მარჯვენა ხელში ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის შხამიანი ეშვი ჩაარჭეს, შარშან კი თხუთმეტი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა მფრინავი ცოცხიდან. უბედურ შემთხვევებსა და ფათერაკებს მიჩვეული იყო. მათ ვერსად გაექცეოდი, თუკი ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაში სწავლობდი, და ჰარიც წარამარა შარში ეხვეოდა.

არა, ბიჭს ახლა სულ სხვა რამე აწუხებდა: ბოლოს, როცა ნაიარევი ასტკივდა, ლორდი ვოლდემორი ახლოს იყო... მაგრამ ვოლდემორს ახლა აქ რა უნდოდა?! სისულელედ ეჩვენებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ვოლდემორი სადღაც პრივიტ დრაივის კუთხეში იყო ჩასაფრებული.

ჰარიმ ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მიაყურადა, კიბის საფეხური ხომ არ ჭრიალებს ან მოსასხამის შრიალი ხომ არ ისმისო, და უცებ შეხტა: მისმა დეიდაშვილმა დადლიმ მეზობელ ოთახში ისე ამოიხვრინა, ჭექა-ქუხილი გეგონებოდა.

ჰარიმ თავს შეუძახა, რა გემართებაო. სახლში არავინ იყო ძია ვერნონის, დეიდა პეტუნიასა და დადლის გარდა. მათ კი აშკარად მშვიდი და უშფოთველი ძილით ეძინათ.

ჰარის დერსლები ყველაზე მეტად მაშინ მოსწონდა, როცა ეძინათ. არადა, ძია ვერნონის, დეიდა პეტუნიას და დადლის გარდა სხვა ნათესავები არ ჰყავდა. ისინი მაგლები იყვნენ, ანუ ჯადოქრობისა არაფერი გაეგებოდათ და სძულდათ ყველაფერი, რაც მაგიას უკავშირდებოდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰარის ისევე არ დაედგომებოდა ამ სახლში, როგორც ქეციან ძაღლს. მთელი სამი წლის განმავლობაში, სანამ ჰარი ჰოგვორტსში სწავლობდა, დერსლები ბიჭის შინ არყოფნას იმით ხსნიდნენ, ვითომ წმ. ბრუტუსის სახელობის გამოუსწორებელ დამნაშავე ბიჭუნათა სასწავლებელში ჰყავდათ მიბარებული. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ჰარის, როგორც არასრულწლოვან ჯადოქარს, ჰოგვორტსის გარეთ ჯადოქრობის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ სახლში რაიმე უცნაურობა თუ ხდებოდა, მაინც მაშინვე მას აბრალებდნენ. ჰარი ვერასდროს ვერ გადაუშლიდა გულს ამ ხალხს და ვერც ვერაფერს მოუყვებოდა თავისი ჯადოქრული ცხოვრებიდან. სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ის აზრიც კი, რომ მათთან მისულიყო და დაეჩივლა, ნაიარევი მტკივაო, ან ვოლდემორის გამო ვნერვიულობო. მაგრამ სწორედ ვოლდემორის ბრალი იყო, რომ ჰარი დერსლებთან ცხოვრობდა. ვოლდემორი რომ არა, შუბლზე არ ექნებოდა ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი; ვოლდემორი რომ არა, ახლა მშობლებიც ცოცხლები ეყოლებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ერთი წლისა იყო, როცა ერთ ღამეს ვოლდემორი, საუკუნის ყველაზე საშინელი ბოროტი ჯადოქარი, რომელიც თერთმეტი წლის მანძილზე იკრებდა ძალებს, მათ სახლში მივიდა და ჰარის დედ-მამა დახოცა. შემდეგ ჰარიზე აღმართა ჯადოსნური ჯოხი და ის მომაკვდინებელი წყევლა წარმოთქვა, რომლითაც ხოცავდა ყველას, ვინც გზაზე გადაეღობებოდა. მაგრამ მოხდა სასწაული – წყევლამ არ გაჭრა. იმის ნაცვლად, რომ ბიჭი მოეკლა, წყევლა უკან დაუბრუნდა. ჰარი გადარჩა და მხოლოდ ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი დააჩნდა შუბლზე, ვოლდემორი კი ცოცხალმკვდარი სადღაც გადაიკარგა და მიყუჩდა. ძალაგამოლეული აღარსად ჩანდა, თითქოს არც კი არსებობდა. ვოლდემორის გაუჩინარებასთან ერთად, ბოლო მოეღო ჯადოქრული საზოგადოების მრავალწლიან ტანჯვა-წამებას. მისი მომხრეები დაიფანტნენ, ჰარი პოტერი კი სახელგანთქმული გახდა.

ჰარი გაოგნდა, როცა მეთერთმეტე დაბადების დღეზე აღმოაჩინა, რომ ჯადოქარი იყო. კიდევ უფრო გაოცდა, როცა გაიგო, რომ ჯადოქრების საიდუმლო სამყაროში ყველამ იცოდა მისი სახელი. ჰოგვორტსში რომ ჩავიდა, სადაც უნდა წასულიყო, ყველგან თვალს აყოლებდნენ და ჩურჩულებდნენ, მაგრამ ახლა უკვე მიეჩვია ამას. ზაფხულის მიწურულს ჰოგვორტსში სწავლა განახლდებოდა და ციხე-კოშკში მეოთხედ დაბრუნებამდე უკვე დარჩენილ დღეებს ითვლიდა, მაგრამ სწავლის დაწყებამდე კიდევ ორი კვირა უნდა მოეთმინა. ჰარიმ ოთახში უიმედოდ მიმოიხედა და მზერა დაბადების დღის მისალოცბარათებზე შეაჩერა, რომლებიც ივლისის ბოლოს ორმა სუკეთესო მეგობარმა გამოუგზავნა. მათთვის რომ მიეწერა, ნაიარევი მტკივაო, ნეტავ რას ეტყოდნენ?

მაშინვე ჰერმიონ გრეინჯერის შეშფოთებული ხმა ჩაესმა:

„ნაიარევი გტკივა? ჰარი, ეს სერიოზული ამბავია! ახლავე მისწერე პროფესორ დამბლდორს! მე კი წავალ და „ჯადოქართა დაავადებებსა და ტრავმებში“ ჩავიხედავ, იქნებ რამე ვნახო წყევლისგან დანატოვარი იარების შესახებ“...

დიახ, სწორედ ამას ურჩევდა ჰერმიონი: სასწრაფოდ ჰოგვორტსის დირექტორისთვის მიემართა, თვითონ კი ამასობაში წიგნში ჩაიხედავდა. ჰარიმ ფანჯრიდან მელნისფერ, მოშავო-მოლურჯო ცას გახედა. ეჭვი ეპარებოდა, რომ ახლა რომელიმე წიგნი უშველიდა. რამდენადაც იცოდა, ის ერთადერთი იყო, ვინც სასიკვდილო წყევლას გადაურჩა და იმის იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ თავის სიმპტომებს „ჯადოქართა დაავადებებსა და ტრავმებში“ ამოიკითხავდა. ვერც დირექტორს მიმართავდა, რადგან წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად ატარებდა დამბლდორი ზაფხულის არდადეგებს. ჰარის გაეცი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნა, როცა წარმოიდგინა, თუ როგორ ისვამდა გასარუჯ ლოსიონს გრძელ, მოკაუჭებულ ცხვირზე რომელიმე პლაჟზე გაშოტილი თეთრწვერა, კოჭებამდე ჯადოქრის მანტიასა და წაწვეტებულ ქუდში გამოწყობილი დამბლდორი. თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ დამბლდორი სადაც უნდა ყოფილიყო, ჰედვიგი მაინც მიაგნებდა. ჰარის ბუს ყოველთვის მიჰქონდა წერილი ადრესატამდე მაშინაც კი, როცა ზუსტი მისამართი არავინ იცოდა.

მაგრამ რა უნდა მისწეროს? „ძვირფასო პროფესორო დამბლდორ, უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ ამ დილით ნაიარევი ამტკივდა. პატივისცემით, ჰარი პოტერი“.

თვითონაც კი უაზროდ მოეჩვენა ეს სიტყვები. შემდეგ წარმოიდგინა, რას ეტყოდა მეორე მეგობარი, რონ უისლი, და იმწამსვე რონის გრძელცხვირა, ჭორფლიანი და შეფიქრიანებული სახე დაუდგა თვალწინ.

„ნაიარევი გტკივა? კი მაგრამ... ჩვენ-რომ-ვიცით, ის ახლა შენთან ახლოს ხომ ვერ იქნება? ხომ მიხვდებოდი? ხომ მაშინვე დააპირებდა შენს მოკვლას? რა ვიცი, ჰარი... იქნებ წყევლის შემდეგ დარჩენილმა ნაიარევმა იცის ხოლმე ტკივილი? აბა, მამას ვკითხავ“...

ბატონი უისლი სავსებით კვალიფიციური ჯადოქარი იყო და მაგიის სამინისტროს მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტში მუშაობდა, მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ რონის მამას შელოცვის სფეროში საკმარისი გამოცდილება არ ჰქონდა. თანაც ჰარის სულაც არ უნდოდა, უისლების მთელ ოჯახს ეფიქრა, ნაიარევის ერთი წამოტკივების გამო გული გაუსკდაო. ქალბატონი უისლი ჰერმიონზე უარესად შეფუცხუნდებოდა, ფრედი და ჯორჯი – რონის თექვსმეტი წლის ტყუპი ძმები – კი იფიქრებდნენ, ჰარის ნერვებმა უმტყუნაო. უისლების ოჯახი ჰარის ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა. მათგან მიპატიჟებას დღე-დღეზე ელოდა (სხვათა შორის, რონმა შარშან ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატიც კი უხსენა) და არ უნდოდა, მათთან სტუმრობა ასეთი უმნიშვნელო ამბის გამო ჩაემწარებინა. ჰარიმ მუშტით დაიზილა ნაიარევი. სინამდვილეში, უნდოდა, ვიღაც ჰყოლოდა – მშობლის მსგავსი ვინმე, – სრულწლოვანი ჯადოქარი, რომელსაც რჩევას ჰკითხავდა და არ შერცხვებოდა, სულელი ვეგონებიო; ის, ვინც იზრუნებდა მასზე და ვისაც ბნელი ძალებისა რამე გაეგებოდა.

უცებ გონება გაუნათდა: ეს ხომ ისედაც ცხადი იყო და არც კი სჯეროდა, რომ ამდენი დრო დასჭირდა ამის მისახვედრად – სირიუსი!

ჰარი საწოლიდან გადმოხტა, საწერ მაგიდას მიუჯდა, პერგამენტი გაშალა, მერე არწივის ფრთა მელანში ჩააწო და წერას შეუდგა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ძვირფასო სირიუს“... – გაჩერდა და ჩაფიქრდა, სიტყვებით როგორ გამოვხატო, რა მაწუხებსო, თან ისევ უკვირდა, სირიუსი მაშინვე როგორ არ გამახსენდაო. მაგრამ ალბათ, ეს არც იყო გასაოცარი. ბოლოს და ბოლოს, ჰარიმ მხოლოდ ორი თვის წინ აღმოაჩინა, რომ სირიუსი მისი ნათლია იყო. სირიუსი მანამდე ერთი მარტივი მიზეზის გამო არ ჩანდა – აზკაბანში, ჯადოქრების საშინელ ციხეში იჯდა, რომელსაც უსინათლო და სულისმწოველი საზარელი არსებები, დემენტორები დარაჯობდნენ. ისინი ჰოგვორტსის გასაჩხრეკადაც მივიდნენ, როცა სირიუს ბლექი ციხიდან გაიქცა, მაგრამ სირიუსი უდანაშაულო იყო – მკვლელობა, რომლისთვისაც დააპატიმრეს, ვოლდემორის მსახურმა, გრძელკუდამ ჩაიდინა, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა სიმართლე გაარკვიეს: გასულ წელს ისინი პირისპირ შეხვდნენ გრძელკუდას, მაგრამ მათ მონაყოლს მხოლოდ პროფესორმა დამბლდორმა დაუჯერა.

მაშინ სირიუსმა ჰარის ისიც კი შესთავაზა, როგორც კი ბრალდებას მომიხსნიან, ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო, და ბიჭს გაუხარდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დერსლებს მოშორდებოდა, მაგრამ იმედი მალევე გაუცრუვდა, რადგან გრძელკუდა ხელიდან მანამ დაუსხლტათ, სანამ მაგიის სამინისტროში მიიყვანდნენ. სირიუსსაც სხვა გზა არ ჰქონდა, გაქცევით უშველა თავს. ჰარი დაეხმარა, ჰიპოგრიფით გაფრენილიყო და მას შემდეგ იმალებოდა. ჰარის მთელ ზაფხულს მოსვენებას არ აძლევდა იმ სახლზე ფიქრი, რომელიც აუცილებლად ექნებოდა, გრძელკუდა რომ არ გაჰქცეოდათ. დერსლებთან დაბრუნებაც ჩვეულებრივზე მეტად უმძიმდა, რადგან იცოდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ შეეძლო, სამუდამოდ დაეღწია მათგან თავი.

მართალია, სირიუსს ჰარისთან ყოფნა არ შეეძლო, მაგრამ შორიდან მაინც ეხმარებოდა. სწორედ სირიუსის დამსახურება იყო, რომ ჰარის ახლა თავისი სკოლის ნივთები საძინებელში ჰქონდა. დერსლები მანამდე ამის უფლებას არ აძლევდნენ. არდადეგებზე ჰარის სკოლის ჩემოდანს კიბის ქვეშ, საკუჭნაოში კეტავდნენ ხოლმე, მაგრამ მათი დამოკიდებულება შეიცვალა, რაც შეიტყვეს, რომ ბიჭს კაცისმკვლელი ნათლია ჰყავდა. სხვათა შორის, ჰარის თავი არ შეუწუხებია, მათთვის ეთქვა, რომ სირიუსი სინამდვილეში უდანაშაულო იყო.

პრივიტ დრაივზე დაბრუნების შემდეგ ჰარიმ სირიუსისგან ორი წერილი მიიღო. ორივე წერილი ბუების ნაცვლად (როგორც ჯადოქრულ სამყაროში იყო მიღებული) ვეება, ჭრელ-ჭრელმა ტროპიკულმა ფრინველებმა მოუტანეს. ჰედვიგს არაფრად ეპიტნავებოდა ეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნაირფერი დაუპატიჟებელი სტუმრები და ძალზე უხალისოდ რთავდა ნებას, გაფრენამდე მისი ჯამიდან წყალი დაელიათ. ჰარის კი პირიქით, ძალიან მოეწონა ეს ჩიტები, მაშინვე პალმები და თეთრი ქვიშა წარმოიდგინა. იმედი ჰქონდა, რომ სირიუსი კარგ დროს ატარებდა, სადაც იყო (სირიუსი არასდროს სწერდა, სად იყო. ვაითუ, წერილი სხვას ჩავარდნოდა ხელში). ჰარი თავს იმშვიდებდა, რომ დემენტორები დიდხანს ვერ გაძლებდნენ მცხუნვარე მზის ქვეშ. ალბათ, ამიტომაც გადაიხვეწა სირიუსი სამხრეთში. წერილებში, რომლებსაც ჰარი მოხერხებულად მალავდა საწოლთან იატაკის ამოვარდნილი ფიცრის ქვეშ, სირიუსი მხიარული ჩანდა და ორივე წერილში აფრთხილებდა ჰარის, თუ გაუჭირდებოდა, მისთვის მიემართა. ჰოდა, ახლა ნამდვილად უჭირდა!

ოთახში თანდათან შემოიპარა განთიადის ცივი, რუხი სინათლე და ლამპის შუქი გააფერმკრთალა. ბოლოს, როცა მზე ამოვიდა და საძინებლის კედლებზე ოქროსფერი ათინათი ათამაშდა, როდესაც ძია ვერნონისა და დეიდა პეტუნიას ოთახიდან ფეხის ხმაც გაისმა, ჰარიმ საწერი მაგიდიდან პერგამენტის დაჭმუჭნილი ფურცლები მოხვეტა, კალათში ჩაყარა და დამთავრებული წერილი გადაიკითხა.

„ძვირფასო სირიუს,

გმადლობ ბოლო წერილისთვის. ჩიტი იმხელა იყო, ფანჯარაში ძლივს შემოეტია.

აქ ყველაფერი ძველებურადაა. დადლის დიეტის საქმე ვერ მისდის კარგად. დეიდაჩემმა გუშინ წაასწრო, რომ თავის ოთახში მალულად შეჰქონდა ღვეზლები. დადლი გააფრთხილეს, რომ თუ კიდევ მოიქცევა ასე, ჭიბის ფულს ველარ მიიღებს. ამაზე საშინლად გაბრაზდა და თავისი ფლეისთეიშენი ფანჯრიდან მოისროლა. ეს ისეთი რამეა, რითიც შეგიძლია, სხვადასხვა თამაში ითამაშო. რა შტერია - ახლა სათამაშო კომპიუტერიც კი აღარ აქვს, რომ გული გადააყოლოს.

მე არა მიშავს, უფრო იმიტომ, რომ დერსლებს გული უსკდებათ, ემანდ არ გთხოვო, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდე და ყველანი ღამურებად გადააქციო.

ისე, ამ დილით უცნაური რაღაც მოხდა. ნაიარევი ისევ ამტკივდა. ბოლოს როცა ამტკივდა, ვოლდემორი ჰოგვორტსში იყო, მაგრამ ახლა არა მგონია, სადმე ახლომახლო იმყოფებოდეს. შენ როგორ ფიქრობ? ხომ არ იცი, შეიძლება, წყევლის შემდეგ დარჩენილი ნაიარევი ამდენი ხნის შემდეგაც მტკიოდეს? ამ წერილს ჰედვიგს გამოვატან, როცა დაბრუნდება. ახლა სანადიროდაა წასული. ბაკბიკი მომიკითხე.

ჰარი."

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წერილს არა უშავსო, გაიფიქრა ჰარიმ. სიზმრის მოყოლას აზრი არ ჰქონდა. არ უნდოდა, სირიუსს შეემჩნია, რომ შეშფოთებული იყო.

პერგამენტი დაახვია და საწერი მაგიდის კუთხეში დადო, რომ ჰედვიგისთვის მზად დაეხვედრებინა. შემდეგ წამოდგა, გაიზმორა და ისევ გამოაღო გარდერობი. სარკეში საკუთარი ანარეკლისთვის აღარ შეუხედავს, ისე ჩაიცვა და სასაუზმოდ ჩავიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მესამე

მიპატიჟება

ჰარი სამზარეულოში რომ შევიდა, დერსლები უკვე სუფრას მისხდომოდნენ. მისთვის არც ერთს არ შეუხედავს. ჰარი დაჯდა. ძია ვერნონს უზარმაზარი ღაჟღაჟა სახე დილის გაზეთში ჩაემალა. დეიდა პეტუნია კი გრეიპფრუტს ოთხად ჭრიდა და ტუჩები ისე მაგრად მოეკუმა, რომ ცხენივით კბილები აღარ უჩანდა. დადლი დაბოღმილი, გულმოსული და თითქოს ჩვეულებრივზე უფრო გასივებული იჯდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო, რადგან ოთხკუთხა მაგიდის ერთ მხარეს ისედაც მთლიანად ის იკავებდა ხოლმე. როდესაც დეიდა პეტუნიამ თეფშზე დაუშაქრავი გრეიპფრუტის მეოთხედი დაუდო გაუბედავი „აჰა, დადლიკუნა, ძვირფასო"-თი, დადლიმ გამძვინვარებული მზერა ესროლა დედას. მისი ცხოვრება ძალიან უსიამოვნოდ წარიმართა მას შემდეგ, რაც ზაფხულის არდადეგებზე შინ წლიური შეფასების ფურცლით დაბრუნდა.

საერთოდ, ძია ვერნონი და დეიდა პეტუნია როგორღაც ახერხებდნენ დადლის ორიანების გამართლებას: დეიდა პეტუნია დაჟინებით იმეორებდა, რომ დადლი ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო, უბრალოდ, მასწავლებლები ვერ უგებდნენ. ძია ვერნონი კი გაიძახოდა, სულაც არ მინდა, ჩემი შვილი ხუთოსანი დედიკოს ბიჭი იყოსო, შეფასების ფურცელზე ნახსენებ ხულიგნობის ბრალდებაზედაც თვალი დახუჭეს – ცელქი ბიჭუნაა, მაგრამ ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო, – ცრემლი მოერია დეიდა პეტუნიას.

თუმცა, შეფასების ფურცლის ბოლოში სკოლის ექთნის თავაზიან შენიშვნას ვერც ძია ვერნონმა და ვერც დეიდა პეტუნიამ ვერ გამოუძებნეს გამართლება. ბევრს კი მოთქვამდა დეიდა პეტუნია, დადლი საყვარლად ბუთხუზა არისო, მისი სიმსუქნე გარდატეხის ასაკის ბრალიაო, მოზარდია და კარგი კვება სჭირდებაო, მაგრამ ფაქტი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფაქტად რჩებოდა – სასკოლო ტანსაცმლის მაღაზიებში დადლის ზომის ბრიჯი აღარ აღმოჩნდა. დეიდა პეტუნიას თვალებს არაფერი გამოეპარებოდა: არც ნათითურები გაკრიალებულ კედლებზე, არც მეზობლების ავ-კარგი, მაგრამ არაფრით არ სურდა, დაენახა ის, რაც სკოლის ექთანმა დაინახა: დადლის სულაც არ სჭირდებოდა გაძლიერებული კვება, რადგან უკვე ისედაც მოზრდილი ვეშაპის ზომისა და წონისა იყო. ასე რომ, ბევრი ჩხუბისა და აყალმაყალის (რაც ჰარის საძინებლის იატაკს აზანზარებდა) და დეიდა პეტუნიას ბევრი ცრემლის ღვრის შემდეგ დაიწყო ახალი რეჟიმი.

სკოლის ექთნის გამოგზავნილი დიეტის ფურცელი მაცივრის კარზე მიამაგრეს, მაცივრიდან კი გააქრეს დადლის საყვარელი სასუსნავები – გაზიანი სასმელები და ნამცხვრები, შოკოლადის ფილები და ჰამბურგერები, მათ ნაცვლად კი ხილი, ბოსტნეული და ისეთი რამეები გააჩინეს, რასაც ძია ვერნონი „კურდღლის საჭმელს“ ეძახდა. დადლის თავი დაჩაგრულად რომ არ ეგრძნო, დეიდა პეტუნიამ მთელი ოჯახი დიეტაზე დასვა...

ამიტომ ჰარისაც გრეიპფრუტის მეოთხედი გადააწოდა. ბიჭს არ გამოჰპარვია, რომ მისი გრეიპფრუტი დადლისაზე ბევრად პატარა იყო. ეტყობა, დეიდა პეტუნიამ იფიქრა, დადლის გაამხნევებდა, თუ დაანახვებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჰარიზე მეტს მაინც ჭამდა. მაგრამ დეიდა პეტუნიამ არ იცოდა, რა იმალებოდა მეორე სართულზე იატაკის ამოვარდნილი ფიცრის ქვეშ! წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ჰარი სულაც არ იჯდა დიეტაზე. ბიჭმა როგორც კი შეატყო, რომ მთელი ზაფხული სტაფილოს ხრამუნი მოუწევდა, მაშინვე ჰედვიგი აფრინა მეგობრებთან და შველა ითხოვა, რასაც მეგობრებმა მშვენივრად გაართვეს თავი: ჰერმიონისგან ჰედვიგი უშაქრო ნუგბარით სავსე დიდი კოლოფით დაბრუნდა (ჰერმიონის მშობლები ხომ კბილის ექიმები იყვნენ!), ჰოგვორტსის ტყის მცველმა ჰაგრიდმა კი საკუთარი ხელით გამომცხვარი ხმელ-ხმელი ნამცხვრებით სავსე ტომარა გამოუგზავნა. ჰარის მათთვის თითი არ დაუკარებია – მწარე გამოცდილებით იცოდა, როგორ ეხერხებოდა ჰაგრიდს ცხობა. სამაგიეროდ, ქალბატონმა უისლიმ გამოუგზავნა უშველებელი ტორტითა და ღვეზლებით დატვირთული ოჯახის ბუ – ეროლი. საბრალო ბებერი ეროლი მგზავრობამ ისე დაღალა, რომ მთელი ხუთი დღე დასჭირდა გონზე მოსასვლელად. და ბოლოს, დაბადების დღეზე (რომელიც დერსლებს საერთოდ დაავიწყდათ) ოთხი უგემრიელესი ტორტი მიიღო რონისგან, ჰერმიონისგან, ჰაგრიდისა და სირიუსისგან. ჰარის ორი კიდევ დარჩენოდა და ერთი სული ჰქონდა, მაღლა ასულიყო და გემრიელად ესაუზმა. ამიტომ ხმის ამოუღებლად შეუდგა ჭამას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძია ვერნონმა გვერდზე გადადო გაზეთი, უკმაყოფილო ფრუტუნით დახედა თავისი გრეიპფრუტის მეოთხედს და გულმოსულმა ჩაიდუდღუნა:

– სულ ესაა?

დეიდა პეტუნიამ მკაცრად შეხედა და მრავალმნიშვნელოვნად ანიშნა დადლიზე, რომელსაც უკვე ბოლო მოეღო თავისი ნაჭრისთვის და ახლა ჰარის თეფშისაკენ აპარებდა დაძმარებულ მზერას.

ძია ვერნონმა ღრმად ამოიოხრა, რის გამოც ხშირი ულვაში აებურძგნა, მერე მორჩილად აიღო კოვზი.

ამ დროს კარზე დარეკეს. ძია ვერნონი ძლივს წამოიზლაზნა სკამიდან და დერეფანში გავიდა. დადლიმ დრო იხელთა და სანამ დედამისი ჩაიდანს დასტრიალებდა, ელვის სისწრაფით აწაპნა მამის გრეიპფრუტი. დერეფნიდან ჯერ ლაპარაკი გაიგონეს, მერე – ვიღაცის სიცილი და ძია ვერნონის უკმეხი პასუხი. ბოლოს შემოსასვლელი კარის მიხურვისა და ქაღალდის ფხრეწის ხმა გაისმა.

დეიდა პეტუნიამ ჩაიდანი მაგიდაზე დადგა და ცნობისმოყვარეობით გახედა დერეფანს. დიდხანს ცდა არ დასჭირვებია, ძია ვერნონი ერთ წუთში დაბრუნდა. მკვდრისფერი ედო.

– ეი, შენ, – შეუღრინა ჰარის, – ახლავე სასტუმრო ოთახში გამობრძანდი! გაინძერი!

გაოგნებული ჰარი ძია ვერნონს გაჰყვა, თან ფიქრობდა, ნეტავ, ასეთი რა ჩავიდინეო.

მეზობელ ოთახში შევიდნენ. ბიძამისმა ზურგს უკან კარი მიაჯახუნა.

– აჰა, – ბუხართან მიიჭრა და ჰარისკენ ისეთი სახით შემობრუნდა, თითქოს მისთვის განაჩენი უნდა გამოეტანა, – აჰა.

ჰარი დიდი სიამოვნებით იკითხავდა, „რა აჰაო“, მაგრამ გადაწყვიტა, რომ არ ღირდა ამ დილაუთენია ძია ვერნონის ნერვებზე თამაში, მით უმეტეს, შიმშილისაგან ისედაც გაღიზიანებული იყო. ამიტომ შეეცადა, თავაზიანი და დაბნეული გამომეტყველება მიეღო.

– ეს ახლა მოიტანეს, – ძია ვერნონმა მუქარით დაუქნია იისფერი ფურცელი, – წერილია, შენზე!

ჰარი უფრო მეტად დაიბნა: ვინ სწერს ძია ვერნონს მასზე? რომელი ნაცნობი უგზავნის ბიძამისს წერილს ჩვეულებრივი ფოსტით?

ძია ვერნონმა თვალები დაუბრიალა, შემდეგ წერილს დახედა და ხმამაღლა კითხვა დაიწყო:

„ძვირფასო ქალბატონო და ბატონო დერსლეები,
ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ,
ჰარისგან ბევრი გსმენიათ ჩემს შვილზე – რონზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალბათ, ჰარი გეწყინდათ, რომ მომავალ ორშაბათს ქვილიჩის მსოფლიო ჩემპიონობის ფინალური მაწყი შედგება. ჩემმა ქმარმა, არწყურმა, ახლახან მაგის სამინისწრის ჯადოქრული თამაშებისა და სპორტის დეპარტამენტში ნაცნობობით იშოვა პირველი ულასის ბილეთები. დიდი იმედი მაქვს, რომ ნებას დაგვრთავთ, ჰარი მაწყზე წავიყვანოთ, რადგან ასეთი შესაძლებლობა ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. ბრიწანეთს იცდაათი წელია, მსოფლიო ჩემპიონობისთვის არ უმასპინძლია და ბილეთები თითქმის არ იშოვება. ასევე ძალიან მიხარულნი ვიქნებით, თუ ჰარი დარჩენილ ზაფხულს ჩვენთან გაატარებს და სკოლის მაწარებელშიც ჩვენ ჩავსვამთ.

ჯობს, თქვენი პასუხი ჰარიმ რაც შეიძლება, მალე გამოგიგზავნოს ნორმალური ფოსტით, რადგან მაგლების ფოსტალიონი ჩვენს სახლში არასდროს ყოფილა და, ალბათ, ვერც მოგვაგნებს.

იმედი გვაქვს, ჰარის მალე ვნახავთ.

პატივისცემით,
მოლი უისლი.

PS. იმედია, ჯინვერწზე საუმარისად დავაჯარით მარჯები."

ძია ვერნონი კითხვას მორჩა. მერე გულის ჯიბიდან რაღაცა ამოიღო.

– ერთი ამას შეხედე! – დაიღმუვლა და კონვერტი მაღლა ასწია. ჰარიმ ძლივს შეიკავა სიცილი: კონვერტი მთლიანად მარკებით იყო დაფარული. მხოლოდ წინა მხარეს დაეტოვებინათ ერთი ბეწო ოთხკუთხა ადგილი, სადაც ქალბატონ უისლის მიკროსკოპული ასოებით გამოეყვანა დერსლების მისამართი.

– რას ერჩით, საკმარისად დაუკრავს მარკები, – ისე გაიოცა ჰარიმ, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარაო.

ძია ვერნონს თვალები ავად აენთო.

– ეგ ფოსტალიონმაც შეამჩნია, – გამოსცრა კბილებში, – და ძალიან დაინტერესდა, საიდან იყო ეს წერილი გამოგზავნილი. ამიტომაც დარეკა კარზე. ეტყობა, იფიქრა, რომ ძალიან უცნაურ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე.

ჰარიმ არ უპასუხა. სხვას შეიძლება, გაჰკვირვებოდა, ამ კაცმა რატომ ატეხა ერთი ამბავი ზედმეტი მარკების გამოო, მაგრამ ჰარიმ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დერსლებთან საკმაოდ დიდხანს იცხოვრა და იცოდა, როგორ ღიზიანდებოდნენ ხოლმე ოდნავ უჩვეულო რამეზეც კი. შიშით კანკალებდნენ, ღმერთმა დაიფაროს, ვინმემ გაიგოს, რომ ქალბატონ უისლისნაირ ხალხთან გვაქვს საქმეო.

ძია ვერნონი ისევ თვალებით ჭამდა ჰარის, ის კი ცდილობდა, უცოდველი გამომეტყველება შეენარჩუნებინა. ახლა თუ რაიმე სისულელეს არ ჩაიდენდა, შეიძლებოდა, განსაცვიფრებელი სანახაობის საყურებლად გამგზავრებულიყო. ასეთი რამ ცხოვრებაში ხშირად არ ხდება. ჰარი დაელოდა, რას იტყოდა ძია ვერნონი, მაგრამ ის თვალებით ბურღავდა და ხმას არ იღებდა. ჰარიმ გადაწყვიტა, სიჩუმე დაერღვია:

– ესე იგი, შემიძლია, წავიდე?

ძია ვერნონს უზარმაზარი ღაჟღაჟა სახე გვერდზე მოექცა, ულვაში ყალყზე დაუდგა. ჰარი მიხვდა, რა ხდებოდა ამ ულვაშს მიღმა: ძია ვერნონის არსებაში გაცხარებული ბრძოლა გაემართა ორ ძირითად ინსტინქტს. ერთი მხრივ, თუ ჰარის გაუშვებდა, ბიჭს ძალიან გაახარებდა. ძია ვერნონი კი, უკვე ცამეტი წელი იყო, ცდილობდა, ეს არ მომხდარიყო. მეორე მხრივ, ჰარის გაშვება უისლებთან დარჩენილი ზაფხულის გასატარებლად იმას ნიშნავდა, რომ ბიჭს სავარაუდოზე ორი კვირით ადრე მოიშორებდა თავიდან, ძია ვერნონს კი ჰარი ყელში ჰყავდა ამოსული.

დროის მოსაგებად ისევ ქალბატონ უისლის წერილს დახედა.

– ეს ქალი ვინაა? – იკითხა და ზიზღით დააცქერდა ქალბატონ უისლის ხელმოწერას.

– ნანახი გყავთ, – უპასუხა ჰარიმ, – ჩემი მეგობრის, რონის დედაა. სასწავლო წლის ბოლოს ჰოგ... სკოლის მატარებელს დახვდა სადგურში.

კინაღამ წამოსცდა, „ჰოგვორტსის ექსპრესსო“, მაგრამ ეს საბოლოოდ გააცოფებდა ბიძამისს – დერსლების ოჯახში ჰარის სკოლის სახელს არასდროს ახსენებდნენ. ძია ვერნონს უზარმაზარი სახე დაემანჭა, თითქოს რაღაც ძალიან უსიამოვნოს იხსენებსო.

– ააა, დონდროხა, არა? – დაიღრინა ბოლოს, – ბლომად რომ ჰყავს წითელთავა ბავშვები?

ჰარიმ შუბლი შეიკრა, მისი აზრით, ძია ვერნონის მხრიდან სულელური საქციელი იყო, ვინმესთვის „დონდროხა“ ეწოდებინა, როცა მისი საკუთარი შვილი სამი წლის ასაკიდან სიგანეში უფრო მიდიოდა, ვიდრე სიმაღლეში. ძია ვერნონმა ისევ ყურადღებით ჩაიკითხა წერილი.

– ქვიდიჩი, – ჩაიბუტბუტა თავისთვის, – ქვიდიჩი... რაღა ჯანდაბაა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ იგრძნო, რომ ისევ მოერია სიბრაზე.

– სპორტის სახეობაა, – მოუჭრა მოკლედ, – თამაშობენ ცოცხებზე...

– კარგი, კარგი! – დაიღრიალა ძია ვერნონმა. ჰარიმ სიამოვნებით შენიშნა, რომ ბიძამისი, ცოტა არ იყოს, დაფრთხა. როგორც ჩანს, მისი ნერვები ვეღარ აიტანდა საკუთარ სასტუმრო ოთახში სიტყვა „ცოცხის“ მოსმენას. ძია ვერნონმა ისევ წერილში ჩარგო თავი. მისი ტუჩების მოძრაობით ჰარი მიხვდა, რასაც კითხულობდა: „თქვენი წერილი ნორმალური ფოსტით გამოგვიგზავნეთ.“ ბიძამ მუქარით გამოხედა. – რას ნიშნავს, „ნორმალური ფოსტით“? – გამოსცრა კბილებში.

– ნორმალური ჩვენთვის, – აუხსნა ჰარიმ და, სანამ ძია შეაჩერებდა, დაამატა: – ბუს ფოსტით. ჯადოქრებისთვის ეს ნორმალური ფოსტაა.

ძია ვერნონი ისე გაანჩხლდა, თითქოს ჰარის საშინლად უწმაწური სიტყვა ეთქვას. სიბრაზისგან აკანკალებულმა ფანჯრებს გახედა, თითქოს მოელოდა, რომ რომელიმე მეზობელს ყური მინაზე ექნებოდა აკრული.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, ამ უმსგავსობას ჩემს ჭერქვეშ ნუ ახსენებ-მეთქი! – დაისისინა და სახე ახლა მწიფე ქლიავისფერი გაუხდა, – დგახარ აქ, შე უმადურო, ტანსაცმელიც კი ის გაცვია, რაც მე და დეიდა პეტუნიამ ჩაგაცვით...

– მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯერ დადლიმ მოუღო ბოლო, – ცივად უპასუხა ჰარიმ. მართლაც, იმოდენა სვიტერი ეცვა, რომ ტომარასავით გაბერილი ჯინსის მუხლებს უფარავდა, სახელოები კი ხუთჯერ მაინც უნდა გადაეკეცა, რომ ხელები გამოსჩენოდა.

– როგორ მელაპარაკები! – დაიგრგვინა გამძვინვარებულმა ძია ვერნონმა.

მაგრამ ჰარი გაჩუმებას აღარ აპირებდა. წავიდა ის დრო, როცა აიძულებდნენ, დერსლების სულელური წესების მიხედვით ეცხოვრა. არც დერსლების დიეტაზე დამჯდარა და ცდილობდა, არც ძია ვერნონისთვის მიეცა უფლება, მისთვის ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლაში ხელი შეეშალა.

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა და წყნარად თქვა:

– გასაგებია, ჩემპიონატს ვერ დავესწრები. ახლა შემიძლია, წავიდე? სირიუსს წერილს ვწერდი და უნდა დავამთავრო. ხომ იცით, ჩემი ნათლია როა...

ესეც ასე! ჯადოსნური სიტყვები ითქვა! ძია ვერნონს წითელი სახე ჯერ შავმა ლაქებმა დაუფარა, შემდეგ ცუდად ათქვეფილი მაყვლის ნაყინისფერი გაუხდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ... შენ წერილს სწერ იმას, ხომ? – მოჩვენებითი სიმშვიდით იკითხა, მაგრამ ჰარიმ დაინახა, შიშისგან როგორ გაუფართოვდა თვალები.

– მმმ... ჰო, – მიუგო უდარდელად, – კარგა ხანია, ჩემგან არაფერი გაუგია და... ხომ იცით, თუ არ მივწერე, შეიძლება, შეშფოთდეს, რამე ხომ არ უჭირსო.

ჰარი გაჩუმდა, რათა თავისი სიტყვების ზემოქმედებით დამტკბარიყო. თითქმის ცხადად ხედავდა, როგორ ამუშავდა მექანიზმი ძია ვერნონის სქელი, მუქი, ფაქიზად გადაყოფილი თმის მიღმა: ჰარის თუ სირიუსთან მიწერ-მოწერას აუკრძალავდა, სირიუსი იფიქრებდა, ნათლულს მიჩაგრავენო. ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე თუ არ გაუშვებდა, ჰარი ყველაფერს სირიუსს მისწერდა და ის უკვე **დარწმუნდებოდა**, რომ ნათლულს უჩაგრავდნენ. ძია ვერნონს ერთი გამოსავალიღა დარჩენოდა. ჰარი ისე აშკარად ხედავდა, როგორ მიიღო გადაწყვეტილება ბიძამისმა, თითქოს მისი ხშირულვაშა სახე გამჭვირვალე ყოფილიყოს.

– კარგი მაშინ, შეგიძლია, წახვიდე ამ იდიოტურ... ამ სულელურ... მსოფლიო ჩემპიონატია თუ რაღაც. ოღონდ მისწერე იმ უისლებს, რომ თვითონ მოუწევთ შენი წაყვანა. მე სადა მაქვს იმდენი დრო, რომ შენ გატარო აქეთ-იქით?! შეგიძლია, დარჩენილი ზაფხულიც იქ გაატარო. და იმასაც უთხარი... იმ შენს ნათლიას, რომ გიშვებ.

– კარგი, – მხიარულად თქვა ჰარიმ და კარისკენ წავიდა. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ აკუნტრუშებულიყო და ყიჟინა არ აეტეხა. უისლებთან მიდიოდა! ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატს დაესწრებოდა!

დერეფანში კინაღამ დადლის შეეჯახა, რომელიც კარს უკან ჩასაფრებულიყო და ეტყობა, უნდოდა, ჰარის გალანძღვისთვის დაეგდო ყური. ბედნიერი და გაბადრული ჰარის დანახვაზე გაშტერდა.

– მაგარი საუზმე იყო, არა? – ნიშნის მოგებით უთხრა ჰარიმ, – მე კარგა მაგრად გამოვძეხი, შენ?

დადლი გამოთაყვანებული შეჰყურებდა. ჰარის სიცილი აუტყდა. კიბე აირბინა და თავის ოთახში შევარდა.

ოთახში ნადირობიდან დაბრუნებული ჰედვიგი დაინახა. თავის გალიაში იჯდა, ბიჭს უზარმაზარი ქარვისფერი თვალებით მისჩერებოდა და ნისკარტს აწკაპუნებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რაღაცით უკმაყოფილო იყო. წამში გაირკვა, რა აწუხებდა:

– ვაი! – შეჰყვირა ჰარიმ.

თავში პატარა, ნაცრისფერი ბუმბულით დაფარული ჩოგბურთის ბურთისებური რაღაცა დაეტაკა. ჰარიმ საფეთქელზე მოისვა ხელი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაღლა აიხედა, რა მომხვდაო, და ერთი ციცქნა ბუ დაინახა. ისეთი პატარა იყო, ხელისგულზე დაეტეოდა და აღტაცებისა და აღელვებისაგან შუშხუნასავით დაქროდა ოთახში.

ჰარი ახლაღა მიხვდა, რომ ბუს მის ფეხებთან წერილი დაეგდო. დაიხარა და რონის ხელი იცნო. მაშინვე გახია კონვერტი. შიგ ნაჩქარევად დაჯღაბნილი ბარათი იდო:

„ჰარი,

მამამ ბილეთები იშოვა! ირლანდია ბულგარეთის წინააღმდეგ! დედა მაგლებს სწერს წერილს, რომ გამოგიშვან. ალბათ, უკვე მიიღეს. არ ვიცი, რამდენად სწრაფად მუშაობს მაგლების ფოსტა, და ვიფიქრე, ყოველი შემთხვევისთვის პიგს მაინც გავაგზავნი-მეთქი. ჩვენ მაინც მოვალთ შენს წასაყვანად, მაგლებს მოეწონებათ ეს თუ არა. მსოფლიო ჩემპიონატი არ უნდა გამოტოვო! მაგრამ დედამ და მამამ მაინც საჭიროდ მიიჩნიეს, რომ ჯერ მაგლებისგან ნებართვა აგვეღო. თუ გამოგიშვეს, პიგს ახლავე გამოატანე პასუხი. კვირას ხუთ საათზე მოვალთ და წამოგიყვანთ. თუ არ გამოგიშვეს, პიგი ახლავე უკან გამოაგზავნე და კვირას ხუთ საათზე მაინც მოვალთ და წამოგიყვანთ.

იცი, დღეს შუადღისით ჰერმიონიც ჩამოდის!

პერსიმ ჯადოქართა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში დაიწყო მუშაობა. აქ ყოფნისას საზღვარგარეთი არ უხსენო, თუ არ გინდა, რომ ლაპარაკით ტვინი წაიღოს.

აბა, დროებით,

რონი.“

– დაწყნარდი, – უთხრა ჰარიმ პაწაწინა ბუს და ისიც კმაყოფილი ღულუნით დაეშვა დაბლა. ეტყობა, ეამაყებოდა, რომ წერილი ადრესატამდე სწორად მოიტანა.

– აქ მოდი. მინდა, პასუხი გაგატანო.

ბუ ჰედვიგის გალიაზე შეფარფატდა. ჰედვიგმა ცივად ახედა.

ჰარიმ არწივის ფრთა მოიმარჯვა, პერგამენტის სუფთა გრაგნილი აიღო და დაწერა:

„რონ, ყველაფერი რიგზეა. მაგლები მიშვებენ. ხვალ ხუთ საათზე შევხვდებით. მოუთმენლად გელით. ჰარი.“

ბარათი ბევრჯერ გადაკეცა და დიდი გაჭირვებით შეაბა ფეხზე ციცქნა ბუს, რომელიც ამასობაში აღტაცებული ცქმუტავდა ერთ ადგილზე. როგორც კი საიმედოდ დაამაგრა წერილი, ბუ მაშინვე ღია ფანჯარაში გაფრინდა და თვალს მიეფარა.

ჰარი ჰედვიგს მიუბრუნდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხანგრძლივ მგზავრობაზე რას იტყვი, ჰედვიგ?

ჰედვიგმა მედიდურად დაიკივლა.

– შეგიძლია, ეს სირიუსს წაუღო? – ჰკითხა ჰარიმ და წერილი აიღო, – მოიცა, ბარემ დავამთავრებ.

პერგამენტი ისევ გაშალა და აჩქარებით მიაწერა:

„თუ ჩემთან დაკავშირება მოგინდა, ჩემს მეგობარ რონ უისლისთან ვიქნები. იქ გავატარებ დარჩენილ ზაფხულს. მამამისმა ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე ბილეთები გვიშოვა."

წერას რომ მორჩა, წერილი ჰედვიგს ფეხზე შეაბა. ჰედვიგს უჩვეულოდ წყნარად ეჭირა თავი, თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ეჩვენებინა, აი, ასე უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ფოსტის ბუო.

– მე რონთან ვიქნები და იქ მოდი, კარგი?

ჰედვიგმა სიყვარულით ჩაუნისკარტა თითში, მსუბუქი შრიალით გაშალა უზარმაზარი ფრთები და ღია ფანჯარაში გაფარფატდა. ჰარიმ უყურა, სანამ თვალს არ მიეფარა, შემდეგ საწოლის ქვეშ შეძვრა, მორყეული ფიცარი ამოაგდო და ტორტის ვეებერთელა ნაჭერი აიღო. იჯდა იატაკზე, ჭამდა და უსაზღვრო ბედნიერებით ტკბებოდა: მას ტორტი ჰქონდა, დადლის კი – მხოლოდ გრეიპფრუტი, ზაფხულის მზიანი დღე იყო, ხვალ პრივიტ დრაივიდან მიემგზავრებოდა, ნაიარევი აღარ სტკიოდა, მალე ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ნახავდა. ახლა ვერაფერი აიძულებდა, ენერვიულა – თვით ლორდი ვოლდემორიც კი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოთხე

ისევ „ბუნაგში“

მეორე დღეს, თორმეტი საათისთვის, ჰარის სკოლის ჩემოდანში უკვე ჩალაგებული ჰქონდა მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთები: უჩინმაჩინის მოსასხამი, რომელიც მამისგან დარჩა მემკვიდრეობით, სირიუსის გამოგზავნილი მფრინავი ცოცხი და ჰოგვორტსის მოჯადოებული რუკა, რომელიც შარშან ფრედ და ჯორჯ უისლებმა აჩუქეს. ჰარიმ დააცარიელა სამალავი. თავისი საძინებლის ყოველი კუთხე-კუნჭული ასჯერ მაინც შეამოწმა, რომ რომელიმე შელოცვის წიგნი ან არწივის ფრთა არ დარჩენოდა. კედლიდან ჩამოხსნა აგვისტოს თვის კალენდარი, რომელზედაც ჰოგვორტსში დაბრუნებამდე დარჩენილ დღეებს გადახაზავდა ხოლმე.

პრივიტ დრაივის ოთხ ნომერში ატმოსფერო უკიდურესად დაძაბული იყო. ჯადოქართა მთელი გუნდის მოახლოებული სტუმრობის გამო დერსლები აღელვებულები და გაღიზიანებულები იყვნენ. ძია ვერნონს სახეზე შეეტყო, როგორ შეშფოთდა, როცა ჰარიმ აცნობა, უისლები ხვალ ხუთ საათზე მოდიანო.

– იმედია, იმ ხალხს უთხარი, რომ წესიერად ჩაიცვან, – მაშინვე შეუღრინა ჰარის, – მინახავს, როგორ დადიან შენისთანები. ურჩევნიათ, პატივი გვცენ და ნორმალური ტანსაცმლით მოვიდნენ.

ჰარის ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა. ქალბატონ და ბატონ უისლებს თითქმის არასოდეს ეცვათ ისეთი ტანსაცმელი, რასაც დერსლები ნორმალურად მიიჩნევდნენ. მართალია, მათი შვილები არდადეგებზე მაგლურ ტანსაცმელს იცვამდნენ, მაგრამ ბატონი და ქალბატონი უისლები, როგორც წესი, გაცვეთილ გრძელ მანტიებს ატარებდნენ.

ჰარის არ ადარდებდა, რას იფიქრებდნენ მეზობლები, მაგრამ იმის კი ეშინოდა, რომ თუ დერსლების ეჭვი გამართლდებოდა და უისლე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი ჯადოქრებივით გამოწყობილები მოაკითხავდნენ, მათ, რბილად რომ ვთქვათ, ცივი დახვედრა ელოდათ.

ძია ვერნონმა საუკეთესო კოსტიუმი ჩაიცვა. სხვას, შეიძლება, ეს სტუმართმოყვარეობის ნიშნად მიეჩნია, მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ ძია ვერნონს მხოლოდ ის უნდოდა, შთამბეჭდავი და გოროზი იერი ჰქონოდა. დადლი, პირიქით, რაღაცნაირად დაპატარავებული ჩანდა, ეს უფრო შიშის ბრალი იყო, ვიდრე დიეტისა: სრულწლოვან ჯადოქართან ბოლო შეხვედრამ დადლის შარვლის უკნიდან ამოჩრილი დაგრეხილი ღორის კუდი დაუტოვა და დეიდა პეტუნიას და ძია ვერნონს მის მოსაჭრელად ფულის გადახდა მოუხდათ ლონდონის კერძო საავადმყოფოში. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, თუ დადლი წარამარა გავაზე ისვამდა ხელს და ოთახებში კედელს აკრული დადიოდა, რომ მტრისთვის იგივე სამიზნე არ მიეშვირა. სადილმა თითქმის უსიტყვოდ ჩაიარა. დადლის საჭმელზე პროტესტიც კი არ გამოუთქვამს. დეიდა პეტუნია პირს არაფერს აკარებდა. ხელები გულზე დაეკრიბა, ტუჩები მაგრად მოეკუმა და ენას ღეჭავდა, თითქოს იმ მწარე გესლს იკავებდა, რომლის გადმონთხევაც დისშვილზე სურდა.

– ხომ მანქანით მოვლენ? – შეჰღრინა ჰარის ძია ვერნონმა.

– ისაააა... – ენა დაება ბიჭს. აქამდე არც კი დაფიქრებულა, რით აპირებდნენ უისლები მის წაყვანას. მანქანა არ ჰყავდათ, მათი ძველი „ფორდ ანგლია“ ახლა ჰოგვორტსის აკრძალულ ტყეში დარბოდა გაველურებული. მაგრამ შარშან ბატონმა უისლიმ ხომ მაგიის სამინისტროს მანქანა ითხოვა, ჰოდა, ალბათ, ახლაც ასე მოიქცეოდა.

– მგონი, კი, – უპასუხა ბოლოს.

ძია ვერნონმა ულვაშებში ჩაიფრუტუნა. სხვა დროს აუცილებლად ჰკითხავდა, რა მანქანა ჰყავთო. ის ხომ ადამიანებს იმის მიხედვით აფასებდა, რამდენად დიდი და ძვირფასი მანქანა ჰყავდათ, მაგრამ ბატონი უისლი „ფერარითაც“ რომ მოსულიყო, საეჭვოა, ძია ვერნონს მასზე გული მოჰბრუნებოდა.

ჰარიმ დარჩენილი დრო თითქმის მთლიანად თავის საძინებელში გაატარა. აღარ შეეძლო იმის ყურება, ყოველ წუთს როგორ იჭყიტებოდა დეიდა პეტუნია თხელი ფარდებიდან, თითქოს, ეს-ესაა, ტელევიზორში გამოაცხადეს, ქუჩაში ცოფიანი მარტორქების ჯოგი დარბისო. ბოლოს, ხუთს რომ თხუთმეტი წუთი უკლდა, ჰარი სასტუმრო ოთახში ჩავიდა. დეიდა პეტუნია მექანიკურად ასწორებდა ბალიშებს, ძია ვერნონს კი თავი ისე ეჭირა, ვითომ გაზეთს კითხულობდა, მაგრამ წვრილი თვალები ერთ ადგილზე ჰქონდა მიშტერებული. ჰარი დარწმუნებული იყო, დაძაბული აყურადებდა, მანქანის ხმა ხომ არ ისმისო. დადლი სავარძელში ჩაკვეხებულიყო, მსუქანი ხელებით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკანალი ჩაებღუჯა და თვალებს დაფეთებული აცეცებდა. ჰარიმ ვერ გაუძლო დაძაბულობას, ოთახიდან გავიდა და დერეფანში კიბეზე ჩამოჯდა. წამდაუწუმ მაჯის საათს დაჰყურებდა და მღელვარებისგან გული უფრთხიალებდა.

ხუთი საათი გახდა, ცოტა გადასცდა კიდეც. კოსტიუმში ოფლად გაღვრილმა ძია ვერნონმა შემოსასვლელი კარი გააღო, ქუჩაში გაიხედ-გამოიხედა და სწრაფად შემობრუნდა.

– იგვიანებენ, – შეუღრინა ჰარის.

– ვიცი, – თქვა ჰარიმ, – ალბათ... ისა... საცობში გაიჭედნენ და ან რამე...

გახდა ექვსის ათი წუთი, შემდეგ – ექვსის თხუთმეტი წუთი... ჰარი უკვე თვითონაც აღელდა. ექვსის ნახევარზე სასტუმრო ოთახში ძია ვერნონისა და დეიდა პეტუნიას ჯუჯღუნი გაისმა:

– რა უპატივცემულობაა...

– ეგება წასასვლელები ვიყავით სადმე...

– ალბათ, ჰგონიათ, გვიან თუ მოვლენ, ვახშმად დავტოვებთ...

– ჰოდა, ძალიანაც ცდებიან! – დაიგრგვინა ძია ვერნონმა. ჰარიმ გაიგონა, როგორ ადგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, – წაიყვანონ ბიჭი და წავიდნენ. აქ მე მაგათ არ გავაჩერებ. ჯერ საკითხავია, საერთოდ მოდიან, თუ არა. ალბათ, დღე შეეშალათ. მე შენ გეტყვი და, დიდი პუნქტუალობით გამოირჩევიან. ან სულაც, შეიძლება, რაიმე დანჯღრეული მანქანით მოდიოდნენ და შუა გზაში ნაწილებად დაააააააააააა...

ჰარი შეხტა. სასტუმრო ოთახიდან ისეთი ხმა მოისმა, რომ დერსლები გულგახეთქილები წამოხტნენ და აქეთ-იქით გაცვივდნენ. იმავე წამს დერეფანში დაფეთებული დადლი გამოვარდა.

– რა იყო, რა მოხდა? – ჰკითხა ჰარიმ.

მაგრამ დადლის მეტყველების უნარი წართმეოდა, ხელები ისევ დუნდულებზე ჩაევლო და რაც შეეძლო, სწრაფად მიბაჯბაჯებდა სამზარეულოსკენ. ჰარი სასტუმრო ოთახში შევარდა.

დერსლების ფიცრებით აჭედილი ბუხრიდან, რომელზეც ხელოვნურნაკვერჩხლებიანი ელექტროღუმელი მიემაგრებინათ, ბრახაბრუხი და ფხაჭაფხუჭი ისმოდა.

– რა ხდება, – აღმოხდა დეიდა პეტუნიას, რომელიც კედელზე აკრულიყო და შეშინებული, თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ბუხარს, – რა ხდება, ვერნონ?

თითქმის მაშინვე გაირკვა, რაც ხდებოდა: აჭედილ ბუხარში ხმები გაისმა:

– ვაი, ფრედ, არა, უკან დაბრუნდი! აქ რაღაც შეცდომაა! უთხარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯორჯს, რომ არ... ვაი, ჯორჯ! არა, აქ ადგილი არაა. საჩქაროდ დაბრუნდი და რონს უთხარი...

– იქნებ ჰარის ესმის ჩვენი ხმა, მამა. იქნებ შეძლოს და გამოგვიშვას?

ელექტროლუმლის შიგნიდან ფიცრებზე მუშტების ბრახუნი გაისმა.

– ჰარი, ჰარი, გესმის ჩვენი?

დერსლები ჰარის განრისხებული მაქციებივით მიუტრიალდნენ.

– ეს რა არის? – დაუღრიალა ძია ვერნონმა, – იქნებ აგვიხსნა, რა ჯანდაბა ხდება?

– ისინი ფლუ ფხვნილით მოვიდნენ, – აუხსნა ჰარიმ, თან ცდილობდა, არ გასცინებოდა, – ბუხრებში მგზავრობა შეუძლიათ, მაგრამ თქვენ ბუხარი ამოქოლილი გაქვთ. მოიცადეთ.

ჰარი ბუხარს მიუახლოვდა და დაიძახა:

– ბატონო უისლი! გესმით ჩემი?

ბრახუნი შეწყდა. ვიღაცამ ბუხარში თქვა:

– ჩუ!

– ბატონო უისლი, ჰარი ვარ. ბუხარი აჭედილია, აქედან ვერ გამოხვალთ!

– ჯანდაბა! – მოისმა ბატონ უისლის ხმა, – რამ მოაფიქრებინათ ბუხრის აჭედვა?

– ელექტრული ღუმელი აქვთ, – განუმარტა ჰარიმ.

– მართლა? – აღფრთოვანდა ბატონი უისლი, – ეკლექტურიო, ამბობ? შტეპსელით? დიდებულია, აუცილებლად უნდა ვნახო. აბა, მოვიფიქროთ... ვაი, რონ!

ახლა რონის ხმაც შეუერთდა დანარჩენებისას.

– აქ რას აკეთებთ? გზა აგვებნა?

– ო, არა, რონ, – გაისმა ფრედის დამცინავი ქირქილი, – ზუსტად იქ მოვხვდით, სადაც გვინდოდა.

– ჰოდა, მაგარ დროსაც ვატარებთ, – დაამატა ჯორჯმა ისეთი მოგუდული ხმით, რომ აშკარად კედელზე იყო მიჭყლეტილი.

– ბიჭებო, ბიჭებო... – დააშოშმინა ბატონმა უისლიმ, – ვცდილობ, მოვიფიქრო, როგორ მოვიქცეთ... ჰო, სხვა გზა არა გვაქვს... უკან დაიწიე, ჰარი!

ჰარიმ დივნისკენ გადაინაცვლა. სამაგიეროდ, ძია ვერნონი წავიდა წინ.

– მოიცა! – დაუღრიალა ბუხარს, – რას აპირებთ?

ბრააახ!

აჭედილი ბუხარი გასკდა და ელექტროლუმელი ოთახის ბოლოში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გატყორცნა, ბუხრიდან კი დაფშხვნილი ნატეხების კორიანტელში გახვეული ბატონი უისლი, ფრედი, ჯორჯი და რონი გამოცვივდნენ.

დეიდა პეტუნიამ ერთი შეჰკივლა და ზურგით ჟურნალების მაგიდაზე გადავარდა. სანამ იატაკზე დაეხეთქებოდა, ძია ვერნონმა შეაშველა ხელი და ენაჩავარდნილი და პირდაღებული მიაჩერდა უისლებს. ყველა უისლის ცეცხლივით წითელი თმა ჰქონდა, ხოლო ტყუპებს ჭორფლიც კი ერთნაირი ეყარათ.

– ასე ჯობია, – ამოისუნთქა ბატონმა უისლიმ, გრძელი მწვანე მანტიიდან მტვერი ჩამოიფერთხა და სათვალე გაისწორა, – აა, თქვენ, ალბათ, ჰარის ძია და დეიდა ხართ, არა?

მაღალი, გამხდარი და თითქმის გამელოტებული ბატონი უისლი ხელგაშვერილი გაემართა ძია ვერნონისკენ, მაგრამ მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, თან დეიდა პეტუნიაც წაათრია. ხმამ საბოლოოდ უღალატა ძია ვერნონს: მისი საუკეთესო კოსტიუმი მტვრით იყო დაფარული, მტვერი დასდებოდა თმასა და ულვაშზეც და ოცდაათი წლით დაბერებულს ჰგავდა.

– ისა... დიახ, ბოდიშს გიხდით ამის გამო, – თქვა ბატონმა უისლიმ, ხელი დაუშვა და აფეთქებულ ბუხარს გახედა, – ჩემი ბრალია. რას წარმოვიდგენდი, რომ გარეთ ვერ გამოვაღწევდით. იცით, თქვენი ბუხარი ფლუს სატრანსპორტო ქსელში ჩავრთე, მხოლოდ ერთი დღით... ხომ გესმით... ჰარის წასაყვანად... სიმართლე რომ გითხრათ, მაგლების ბუხრების ამ ქსელზე მიერთება აკრძალულია, მაგრამ ფლუს რეგულირების განყოფილებაში ერთი კარგი ნაცნობი მყავს და იმან მომიხერხა. არ ინერვიულოთ, ამას წამში მოვუვლი. ოღონდ ჯერ ცეცხლს დავანთებ, რომ ბიჭები უკან გავუშვა და მერე, სანამ დისაპარაციას გამოვიყენებ, თქვენს ბუხარსაც აღვადგენ, მე კი...

ჰარი მზად იყო, დაეფიცა, რომ დერსლებმა ერთი სიტყვაც ვერ გაიგეს. მეხდაცემულებივით მიშტერებოდნენ ბატონ უისლის. დეიდა პეტუნია გაჭირვებით წამოდგა და ძია ვერნონს ამოეფარა.

– გამარჯობა, ჰარი! – მხიარულად მიესალმა ბატონი უისლი, – მზად გაქვს ჩემოდანი?

– მეორე სართულზეა, – ჰარიმაც გაუღიმა.

– ჩვენ ჩამოვიტანთ, – მაშინვე თავი გამოიდო ფრედმა, ჰარის თვალი ჩაუკრა და ჯორჯთან ერთად ოთახიდან გავიდა. მშვენივრად იცოდნენ, სად იყო ჰარის ოთახი, რადგან ერთხელ, შუაღამისას საძინებელში გამოკეტილი ჰარის გათავისუფლება მოუხდათ.

ჰარი მიხვდა, რომ ფრედსა და ჯორჯს ერთი სული ჰქონდათ, დადლისთვის თვალი შეევლოთ. ჰარისგან ბევრი რამ გაეგოთ დადლიზე და ახლა ცნობისმოყვარეობა კლავდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშ, ასე, – თქვა ბატონმა უისლიმ. უხერხულობისგან ხელებს იქნევდა და სიტყვებს ეძებდა, რომ ეს საშინელი სიჩუმე დაერღვია, – ძალიან... მმმ... მშვენიერი სახლი გქონიათ.

რადგან ყოველთვის დაწკრიალებული სასტუმრო ოთახი ახლა ჭვარტლითა და აგურის ნაფშვენებით იყო სავსე, ამ შენიშვნამ დერსლებზე ცუდად იმოქმედა: ძია ვერნონს სახე წამოუჭარხლდა, დეიდა პეტუნიამ კი ისევ ენის ღეჭვა დაიწყო. ამჯერად ძალიან შეშინებულები იყვნენ და ხმა ვერ ამოიღეს.

ბატონი უისლი აქეთ-იქით იყურებოდა და ოთახს ათვალიერებდა. საერთოდ, მაგლებისა ყველაფერი მოსწონდა. ჰარი მიხვდა, რომ ბატონ უისლის ერთი სული ჰქონდა, ახლოს ენახა ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი.

– ესენი ეკლექტრობაზე მუშაობენ, არა? – იკითხა მცოდნე კაცივით, – ააა, ხო, აი, ვხედავ შტეპსელებს. იცით, შტეპსელებს ვაგროვებ, – მიუბრუნდა ძია ვერნონს, – შტეპსელებს და ბატარეებს. ბატარეების უზარმაზარი კოლექცია მაქვს. ჩემი ცოლი ფიქრობს, რომ გავგიჟდი, მაგრამ რას იზამ...

ძია ვერნონს შეეტყო, რომ ისიც ბატონ უისლის ცოლივით ფიქრობდა. თანდათან კარისკენ გაიწია და დეიდა პეტუნიას საიმედოდ აეფარა, ემანდ, ეს კაცი მოულოდნელად თავს არ დაგვესხასო.

უეცრად ოთახში დადლი გამოჩნდა. ჰარიმ კიბეზე თავისი ჩემოდნის რახრახი გაიგო და მიხვდა, რომ დადლი ამ ხმამ შეაშინა და სამზარეულოდან გამოაძევა. დადლი კედელს მიუყვებოდა, თან შეძრწუნებული მისჩერებოდა ბატონ უისლის და ცდილობდა, მშობლებს ამოჰფარებოდა. ძია ვერნონი, მართალია, მთლიანად ფარავდა გაძვალტყავებულ დეიდა პეტუნიას, მაგრამ დადლის დამალვა, სამწუხაროდ, არ შეეძლო.

– აა, ეს შენი დეიდაშვილია, არა, ჰარი? – ბატონმა უისლიმ კიდევ ერთხელ გარისკა საუბრის გაბმა.

– ჰო, – უპასუხა ჰარიმ, – დადლია.

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს შეხედეს და მაშინვე განზე დაიწყეს ყურება, რომ სიცილი არ წასკდომოდათ. დადლის ხელებით ისევ ისე ეჭირა საჯდომი, თითქოს ეშინოდა, არ მომძვრესო. ბატონი უისლი, პირიქით, გულწრფელად შეაწუხა დადლის უცნაურმა ქცევამ. როგორც ჩანს, ბატონ უისლისაც ისეთივე გიჟი ეგონა დადლი, როგორიც თვითონ ის ეგონათ დერსლებს, მაგრამ დერსლებივით კი არ დაფეთდა, პირიქით, თანაგრძნობით განიმსჭვალა და გულთბილად ჰკითხა:

– როგორ ატარებ არდადეგებს, დადლი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დადლიმ დაიწკმუტუნა და ჰარიმ დაინახა, რომ ხელები უფრო მაგრად მოუჭირა გასივებულ უკანალს.

ფრედი და ჯორჯი დაბრუნდნენ, თან ჰარის სკოლის ჩემოდანი მოათრიეს. შემოსვლისთანავე ოთახი მოათვალიერეს და, აი, დადლიც დაინახეს. სახეზე ორივეს ცბიერი ღიმილი გადაეფინა.

– ძალიან კარგი, – თქვა ბატონმა უისლიმ, – აბა, დროა, საქმეს შევუდგეთ.

მანტიის სახელოები აიკაპიწა და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო. დერსლები მაშინვე კედელს აეკრნენ.

– ინცენდიო! – წარმოთქვა ბატონმა უისლიმ და ჯადოსნური ჯოხი ბუხრის ადგილას გაჩენილ ხვრელს მიუშვირა. ბუხარში მაშინვე ცეცხლი აგიზგიზდა და ისე მხიარულად ატკაცუნდა, თითქოს რამდენიმე საათის წინ დაენთოთ. ბატონმა უისლიმ ჯიბიდან ზონრიანი ტომსიკა ამოაძვრინა, გახსნა, შიგნიდან ცოტა ფხვნილი ამოიღო და ცეცხლში შეყარა. ცეცხლი ზურმუხტისფრად აელვარდა და აბობოქრდა.

– ჯერ შენ, ფრედ, – თქვა ბატონმა უისლიმ.

– მივდივარ! ო, არა, მოიცა!

ფრედს შარვლის ჯიბიდან გატენილი პარკი გადმოუვარდა, გაიხსნა და მთელ ოთახში ჭრელაჭრელა ქაღალდში შეფუთული მადის აღმძვრელი კანფეტები მიმოიფანტა. ფრედი აქეთ-იქით დაცოცავდა, კრეფდა და ისევ ჯიბეში იტენიდა. შემდეგ დერსლებს მხიარულად დაუქნია ხელი, ცეცხლში შეაბიჯა და დაიძახა: „ბუნაგი!“ – დეიდა პეტუნიამ ოდნავ შეჰკივლა, რაღაცამ გაიშხუილა და ფრედი გაუჩინარდა.

– ახლა შენ, ჯორჯ, – თქვა ბატონმა უისლიმ, – ჩემოდანიც წაიღე.

ჰარი ჯორჯს დაეხმარა, ჩემოდანი ცეცხლში შეიტანეს და ვერტიკალურად დადგეს, რომ ჯორჯს უფრო მოხერხებულად სჭეროდა, შემდეგ ისევ გაიშხუილა რაღაცამ, ჯორჯმა დაიყვირა: „ბუნაგი!“ – და ისიც გაუჩინარდა.

– რონ, შემდეგი შენ ხარ.

– ნახვამდის, – მხიარულად დაემშვიდობა რონი დერსლებს, ჰარის მხიარულად გაულიმა, შემდეგ ცეცხლში შეაბიჯა, დაიყვირა: „ბუნაგი!“ – და გაუჩინარდა.

მხოლოდ ჰარი და ბატონი უისლი დარჩნენ.

– აბა, კარგად, – დაემშვიდობა ჰარი დერსლებს. მათ ხმა არ გაუციათ. ჰარი ცეცხლისკენ წავიდა, მაგრამ ბუხართან მისული ბატონმა უისლიმ ხელით შეაჩერა და გაოცებული მიაჩერდა დერსლებს.

– ჰარი დაგემშვიდობათ, ვერ გაიგონეთ?

– არა უშავს, – წაილუღლუღა ჰარიმ, – ჩემთვის სულ ერთია, მართლა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონი უისლი ჰარის ხელს არ უშვებდა.

– თქვენ მას მომავალ ზაფხულამდე ველარ ნახავთ, – აღშფოთებულმა მიმართა ძია ვერნონს, – იმედია, დაემშვიდობებით მაინც.

ძია ვერნონს სახე გვერდზე მოექცა. ის აზრი, რომ ზრდილობას ასწავლიდა კაცი, რომელმაც ეს-ესაა სასტუმრო ოთახი აუფეთქა, ეტყობა, აცოფებდა. მაგრამ ბატონ უისლის ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა. ძია ვერნონმა წამით მასზე შეაჩერა მზერა, მერე ღვარძლიანად გამოსცრა: „ნახვამდის!“

– კარგად, – გაიმეორა ჰარიმ და ცალი ფეხი ზურმუხტისფერ ცეცხლში შედგა, რომელიც თბილი ნიავივით სასიამოვნოდ მოელამუნა. იმავე წუთს მის უკან საშინელი ხროტინი გაისმა და დეიდა პეტუნიამ კივილი მორთო.

ჰარი შემობრუნდა. დადლი მშობლების უკან აღარ იდგა, ჟურნალების მაგიდასთან ჩაცუცქულიყო და პირიდან ასე, ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის წითელი ლორწოვანი რაღაც გამოსჩროდა. დადლი ხროტინებდა და დორბლი ჩამოსდიოდა. ჰარი წამით დაიბნა, მერე მიხვდა, რომ ეს ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის რაღაცა დადლის ენა იყო. მის წინ იატაკზე კანფეტის ჭრელი ქაღალდი ეგდო.

დეიდა პეტუნია შვილს მივარდა, ვეებერთელა ენის ბოლოს ხელი ჩაავლო და მოქაჩა. რა თქმა უნდა, დადლი უარესად აყვირდა და შეეცადა, დედა თავიდან მოეშორებინა. ძია ვერნონი ღრიალებდა და ხელებს იქნევდა. ბატონი უისლი იძულებული გახდა, უფრო ხმამაღლა ეყვირა, რომ ხმა მიეწვდინა:

– არ ინერვიულოთ, მე ვუშველი! – და ჯოხაღმართული მიუახლოვდა დადლის, მაგრამ დეიდა პეტუნია უარესად აკივლდა და დადლის გადაეფარა, რომ ბატონი უისლისგან დაეცვა.

– კარგი, რა! – შეეხვეწა სასოწარკვეთილი ბატონი უისლი, – ეს მარტივი პროცედურაა... კანფეტის ბრალია... ჩემი შვილი, ფრედი, საშინელი ხუმარაა. მაგრამ ეს მხოლოდ ღორმუცელების ჯადოა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია... გთხოვთ! მე შემიძლია, დავეხმარო...

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დერსლები დამშვიდებულიყვნენ, პირიქით, უფრო გადაირივნენ. დეიდა პეტუნია ისტერიკულად აქვითინდა, თან ისე დაუნდობლად ქაჩავდა დადლის ენას, თითქოს უნდოდა, ამოეგლიჯა. დადლი უკვე ძლივსღა სუნთქავდა – ცალკე ენა აწუხებდა, ცალკე – დედა, ძია ვერნონი კი საერთოდ გამოვიდა წონასწორობიდან, ბუფეტზე მდგარ ერთ-ერთ ფაიფურის ფიგურას დაავლო ხელი და გამეტებით ესროლა ბატონ უისლის, რომელმაც აიცდინა და ფაიფური ბუხრის ნანგრევებში დაილეწა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან გთხოვთ! – გაბრაზებულმა ბატონმა უისლიმ ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა, – მე ხომ თქვენს დახმარებას ვცდილობ!

ძია ვერნონმა დაჭრილი ბეჰემოთივით დაიღრიალა და ახლა მეორე ფიგურას სტაცა ხელი.

– ჰარი, წადი! წადი! – დაუყვირა ძია ვერნონზე გულმოსულმა ბატონმა უისლიმ, – ამათ მე მივხედავ!

ჰარის არ უნდოდა ამ სანახაობის გამოტოვება, მაგრამ ძია ვერნონის ნასროლმა მეორე ფიგურამ მარცხენა ყურთან რომ გაუწუილა, გადაწყვიტა, ყველაფრის მოგვარება ბატონ უისლისთვის მიენდო, ცეცხლში შეაბიჯა, ოთახს ერთხელაც მოხედა და დაიძახა: „ბუნაგი!“

ბოლოს იმის დანახვაღა მოასწრო, რომ ბატონმა უისლიმ მესამე ფიგურა ძია ვერნონს ჯადოსნური ჯოხით ხელიდან გააგდებინა. დადლიზე გადამხობილი დეიდა პეტუნია ისევ ისე კიოდა, ენა კი უზარმაზარი ლორწოვანი პითონივით სხმარტალებდა... მეორე წამს ჰარი ელვის სისწრაფით დატრიალდა და დერსლების სასტუმრო ოთახი ზურმუხტისფერი ცეცხლის ალში დაინთქა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეხუთე

უისლების ჭადოსნური ოინები

ჰარი სულ უფრო და უფრო სწრაფად ბრუნავდა, იდაყვები მჭიდროდ მიეკრა ტანზე, ბუნდოვნად ხედავდა, როგორ ჩაუქროლა უამრავმა ბუხარმა. შემდეგ გულისრევა იგრძნო და თვალები დახუჭა. ბოლოს და ბოლოს, როცა მიხვდა, რომ ჩერდებოდა, ხელები წინ გაიშვირა, რომ უისლების ბუხრიდან სამზარეულოს იატაკზე სახით არ დაცემულიყო.

– შეჭამა? – ჰკითხა აღტაცებულმა ფრედმა და ხელი გაუწოდა, რომ ფეხზე წამოეყენებინა.

– ჰო, – ჰარი წელში გასწორდა, – რა იყო?

– ენადიდა ნუგა, – მხიარულად უთხრა ფრედმა, – მე და ჯორჯმა გამოვიგონეთ და მთელი ზაფხული ვეძებდით ვინმეს, რომ გამოგვეცადა.

ციცქნა სამზარეულოში სიცილმა იფეთქა. ჰარიმ მიმოიხედა და ახლაღა შეამჩნია, რომ რონი და ჯორჯი გადაფხეკილ ხის მაგიდას მისხდომოდნენ ვიღაც ორ ჟღალთმიანთან ერთად, რომლებიც ჰარის არასოდეს ენახა, თუმცა მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ: ბილი და ჩარლი – რონის უფროსი ძმები.

– როგორა ხარ, ჰარი? – ჰკითხა იმ ორიდან უფრო ახლოს მჯდომმა, გაუღიმა და ვეება ხელი გამოუწოდა. ჰარიმ ჩამოართვა და თითებით კოჟრები და ბებერები იგრძნო. ეს, ალბათ, ჩარლი იყო, რომელიც რუმინეთში დრაკონებთან მუშაობდა. ჩარლი დაბალ და ჩასკვნილ ტყუპებს უფრო ჰგავდა, ვიდრე მაღალ და აწოწილ რონსა და პერსის. ფართო, ქარდაკრული და სასიამოვნო სახე ჰქონდა, თან ისეთი ჭორფლიანი იყო, გარუჯულს ჰგავდა. დაკუნთული მკლავები ჰქონდა, ერთ მკლავზე დიდი პრიალა დამწვრობა მოუჩანდა.

ბილიც წამოდგა, ჰარის გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. ჰარის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სხვაგვარი წარმოედგინა ბილი. იცოდა, რომ ჯადოქრების ბანკში – გრინგოტსში – მუშაობდა, ადრე კი პერსივით ჰედ ბოი იყო ჰოგვორტსში, ამიტომ ეგონა, ისიც პერსივით წესების მორჩილი და მბრძანებლობის მოყვარული იქნებოდა. თუმცა ბილი „კაი ტიპი" (ეს სიტყვა ზუსტად შეეფერებოდა) აღმოჩნდა. მაღალი იყო, გრძელი თმა კუდივით შეეკრა და საყურეც ეკეთა – ეშვივით რაღაცა ჩამოეკონწიალებინა. მისი ტანსაცმელი უფრო როკმომღერალს შეეფერებოდა, ერთი ეგ იყო, ჩექმა ჩვეულებრივი ტყავისა კი არა, დრაკონის ტყავისა ეცვა.

სანამ კიდევ რამის თქმას მოასწრებდნენ, გაისმა ტკაცანი და ჯორჯის გვერდით პირდაპირ ჰაერიდან ბატონი უისლი გაჩნდა. ასეთი გაბრაზებული ჰარის არასდროს ენახა.

– სულაც არ იყო სასაცილო, ფრედ! – დაჭექა ბატონმა უისლიმ, – რა ჯანდაბა მიეცი იმ მაგლ ბიჭს?

– მე არაფერი არ მიმიცია, მე მხოლოდ ძირს დამივარდა. მისი ბრალია, რატომ აიღო და შეჭამა, მე ხომ არ დამიძალებია! – ეშმაკური ღიმილით მიუგო ფრედმა.

– დაგივარდა კი არა, განზრახ დააგდე! – ბობოქრობდა ბატონი უისლი, – იცოდი, რომ შეჭამდა, იცოდი, რომ დიეტაზე იყო!

– რამხელა გაუხდა ენა? – დაინტერესდა ჯორჯი.

– ერთი მეტრის სიგრძისა, სანამ მშობლები დაპატარავების საშუალებას მომცემდნენ.

ჰარი და უისლები ისევ ახარხარდნენ.

– რა არის სასაცილო! – დაუყვირა ბიჭებს ბატონმა უისლიმ, – ასეთი საქციელი სერიოზულად უთხრის ძირს ჯადოქრულ-მაგლურ ურთიერთობებს. ცხოვრების ნახევარი მაგლების დისკრიმინაციის წინააღმდეგ კამპანიას შევალიე და ჩემი საკუთარი შვილები...

– ჩვენ იმიტომ კი არ მივეცით, რომ მაგლია! – აღშფოთდა ფრედი.

– სულაც არა! იმიტომ მივეცით, რომ საძაგელი ტიპია და სუსტების დაჩაგვრა უყვარს! – დაამატა ჯორჯმა, – ხომ ასეა, არა, ჰარი?

– მართალია, ბატონო უისლი, – გულწრფელად დაეთანხმა ჰარი.

– ეგ არ გამართლებთ, – მძვინვარებდა ბატონი უისლი, – მოიცათ, დედათქვენს ვუთხრა...

– რა უნდა მითხრა? – გაისმა მის ზურგს უკან ხმა. ქალბატონი უისლი ის-ის იყო სამზარეულოში შემოსულიყო. დაბალი, ფუმფულა ქალი იყო და ძალიან სანდომიანი სახე ჰქონდა, თუმცა ახლა თვალები ეჭვით მოწკურვოდა.

– გამარჯობა, ჰარი, ძვირფასო, – გაუღიმა ჰარის და ისევ ქმარს მიუბრუნდა, – რა უნდა მითხრა, არტურ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონი უისლი შეყოყმანდა. ჰარიმ შეატყო, რომ თუმცა ძალიან გაბრაზებული იყო ფრედსა და ჯორჯზე, მაგრამ სულაც არ აპირებდა, ქალბატონ უისლისთვის რამე ეთქვა. სიჩუმე ჩამოვარდა. განერვიულებული ბატონი უისლი ცოლს მისჩერებოდა.

უცებ სამზარეულოში ორი გოგონა შემოვარდა. ერთი, ხშირწაბლისფერთმიანი და ნაფოტაკბილებიანი, ჰარისა და რონის მეგობარი ჰერმიონი იყო, მეორე, პატარა და ჟღალთმიანი, რონის და – ჯინი. ორივემ გაუღიმა ჰარის და მანაც ღიმილით უპასუხა. ჯინი აილეწა, რადგან „ბუნაგში“ ჰარის სტუმრობის პირველი დღიდანვე ბიჭი თავდავიწყებით უყვარდა.

– რა უნდა მითხრა, არტურ? – ავის მომასწავებელი ხმით გაიმეორა ქალბატონმა უისლიმ.

– არაფერი, მოლი, – ამოილუღლუღა ბატონმა უისლიმ, – უბრალოდ, ფრედმა და ჯორჯმა... მაგრამ მე უკვე დავტუქსე.

– ამჯერად რა ჩაიდინეს? – იკითხა ქალბატონმა უისლიმ, – ისევ უისლების ჯადოსნური ოინებია?!

– რონ, რატომ არ აჩვენებ ჰარის, სად უნდა დაიძინოს? – ჰკითხა კართან მდგარმა ჰერმიონმა მეგობარს.

– იცის, სადაც, – უპასუხა რონმა, – შარშანაც იქ ეძინა.

– იქნებ მაინც წავიდეთ და ჩვენც გვანახო? – მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ჰერმიონმა.

– ჰოო, კარგი, – უცებ მიუხვდა რონი.

– ჰო, ჩვენც წამოვალთ, – გაუხარდა ჯორჯს.

– თქვენ აქ დარჩებით! – შეუღრინა ქალბატონმა უისლიმ.

ჰარი და რონი სამზარეულოდან გავიდნენ, გოგონებთან ერთად გაიარეს ვიწრო დერეფანი და ზედა სართულებზე ასასვლელად ზიგზაგისებურ, ოკრობოკრო კიბეს აუყვნენ.

– რას ნიშნავს „უისლების ჯადოსნური ოინები“? – იკითხა ჰარიმ, კიბეზე რომ ადიოდნენ.

რონს და ჯინის გაეცინათ, ჰერმიონს – არა.

– ფრედის და ჯორჯის ოთახის დალაგების დროს დედამ შეკვეთის ფურცლები იპოვა, – ჩუმად აუხსნა რონმა, – თავიანთი გამოგონილი ნივთების ფასების კარგა გრძელი სია. ეშმაკური რამეებია... ყალბი ჯოხები, მატყუარა კანფეტები და რავი... უამრავი რაღაცა. ძაან მაგარი რამეებია! არ ვიცოდი, ასეთი ნიჭიერები თუ იყვნენ.

– მაგათი ოთახიდან სულ აფეთქებების ხმა გვესმოდა, მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ რამეს იგონებდნენ, – ჩაურთო ჯინიმ, – ჩვენ გვეგონა, უბრალოდ, ცელქობდნენ.

– ისე, ბევრი რამე... პრინციპში, ყველაფერი, ცოტა საშიშია, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გააგრძელა რონმა, – და იცი, აპირებდნენ, ჰოგვორტსში გაეყიდათ და ცოტა ფული ეშოვათ. დედა გადაირია, შავი დღე აყარა. მსგავსი რაღაცეების კეთება აუკრძალა და ყველა შეკვეთის ფურცელი დაუწვა. ერთი სიტყვით, მაგრად გაბრაზდა. თანაც ტყუპებმა იმდენი ბუა ვერ მიიღეს, რამდენსაც დედა ელოდა.

ბუა ბეჯითობის უმაღლესი აღიარება იყო. ამ გამოცდას ჰოგვორტსის სტუდენტები თხუთმეტი წლის ასაკში აბარებენ.

– ჰოდა, ერთი ამბავი ატყდა, – თქვა ჯინიმ, – იმიტომ, რომ დედას უნდა, მათაც მამასავით, მაგიის სამინისტროში დაიწყონ მუშაობა, ამათ კი დედას უთხრეს, ოინების მაღაზია უნდა გავხსნათო.

უცებ მეორე სართულზე ოთახის კარი გაიღო და იქიდან ვიღაცამ გამოყო თავი. რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და ძალიან გაბრაზებული ჩანდა.

– გამარჯობა, პერსი, – მიესალმა ჰარი.

– ა, გაგიმარჯოს, ჰარი, – ჩაიბუზღუნა პერსიმ, – მეც არა ვთქვი, ვინ ხმაურობს-მეთქი! იცით, რა! მე ვცდილობ, ვიმუშაო, სამსახურისთვის მოხსენება მაქვს დასამთავრებელი და ყურადღება მეფანტება, როცა კიბეზე ამდენი ხალხი დაბრაგუნებს.

– ჩვენ არ დავბრაგუნებთ, – გაბრაზდა რონი, – ჩვენ წყნარად დავდივართ. ბოდიში, თუ მაგიის სამინისტროს ზესაიდუმლო საქმიანობა დავაზარალეთ!

– რაზე მუშაობ? – ჰკითხა ჰარიმ.

– საერთაშორისო ჯადოქრული ურთიერთობების დეპარტამენტში წარსადგენ მოხსენებაზე, – თავმომწონედ მიუგო პერსიმ, – ჩვენ ვცდილობთ, შემოვიღოთ ქვაბის ფსკერის სტანდარტული სისქე. საზღვარგარეთიდან იმპორტირებული ზოგი ქვაბის ძირი ძალიან თხელია, გაჟონვის შემთხვევები ყოველ წელს თითქმის სამი პროცენტით მატულობს.

– ეგ შენი მოხსენება უსათუოდ სამყაროს შეცვლის, – დაგესლა რონმა, – მაგ შენი ქვაბების გაჟონვას „დილის მისნის“ წინა გვერდზე გამოჭიმავენ.

პერსი წამოწითლდა.

– შეგიძლია, დამცინო, რონ, – უთხრა გაცეცხლებულმა, – მაგრამ თუ საერთაშორისო კანონს არ შემოვიღებთ, მალე ბაზარი თხელი, ძირგამომპალი პროდუქციით გაივსება, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის...

– ჰო, ჰო, კარგი... – შეაწყვეტინა რონმა და ისევ კიბეს აუყვა.

პერსიმ საძინებლის კარი მოაჯახუნა.

სანამ ჰარი, ჰერმიონი და ჯინი რონის წინამძღოლობით კიბეზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადიოდნენ, სამზარეულოდან გაცეცხლებული ყვირილი ესმოდათ. როგორც ჩანს, ქალბატონმა უისლიმ ქმარი მაინც გამოტეხა. რონის ოთახი ბოლო სართულზე იყო და თითქმის ისევე გამოიყურებოდა, როგორც გასულ წელს, ჰარის სტუმრობისას. კედლებსა და დაქანებულ ჭერზე რონს საყვარელი ქვიდიჩის გუნდის – „ჩადლი ქენონზის“ – პლაკატები გაეკრა. პლაკატებზე მოთამაშეები აქეთ-იქით დაქროდნენ და ხელებს იქნევდნენ. ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ აკვარიუმში, რომელიც ადრე ბაყაყის ქვირითით იყო სავსე, ახლა ერთი უზარმაზარი გომბეშო იჯდა. აღარსად ჩანდა რონის ბებერი ვირთხა სკაბერზი. მის ნაცვლად აქ იყო ციცქნა რუხი ბუ, რომელმაც ჰარის პრივიტ დრაივზე რონის წერილი მიუტანა. ახლა პატარა გალიაში დახტოდა და გადარეული ჭყიოდა.

– მოკეტე, პიგ, – გაუჯავრდა რონი და ორ საწოლს შორის გვერდულად გაიარა. ოთახში ოთხი საწოლი ძლივს ეტეოდა. – ფრედი და ჯორჯი ჩვენთან არიან, რადგან მათ ოთახში ბილსა და ჩარლის სძინავთ, – აუხსნა ჰარის, – პერსიმ კი მთელი ოთახი დაისაკუთრა, მოიმიზეზა, უნდა ვიმუშაოო...

– ისე, რატომ ეძახი ამ ბუს „პიგს“? – ჰკითხა ჰარიმ რონს.

– იმიტომ, რომ შტერია, – ძმის მაგივრად უპასუხა ჯინიმ, – ამ ბუს სრული სახელი პიგვიჯენია.

– ჰოდა, ეგ სახელი არაა შტერული? – დამცინავად თქვა რონმა, – ჯინიმ დაარქვა ასე, – განუმარტა ჰარის, – ლამაზი სახელიაო. მინდოდა, გადამერქმია, მაგრამ გვიანი იყო: ბუს სხვა სახელზე რეაქცია არ ჰქონდა. ასე რომ, შერჩა „პიგ“. აქ მყავს, იმიტომ, რომ ეროლსა და ჰერმესს ნერვებს უშლის. ისე, სხვათა შორის, მეც მიშლის ნერვებს.

პიგვიჯენი გახარებული ფრთხიალებდა გალიაში და გულის წამღებად კიოდა. ჰარი ძალიან კარგად იცნობდა რონს და არ დაუჯერა. რონი ადრე თავის ვირთხა სკაბერზსაც გაუთავებლად უჩიოდა, მაგრამ, როცა დაეჭვდა, რომ ჰერმიონის კატამ, ბომ შეუჭამა, საშინლად განიცადა.

– ბო სად არის? – ახლა ჰერმიონს ჰკითხა ჰარიმ.

– ბაღში იქნება, გნომები პირველად ნახა და სულ უკან დასდევს, – უპასუხა ჰერმიონმა.

– ესე იგი, პერსი სამსახურით კმაყოფილია? – ჰარი ერთ-ერთ საწოლზე ჩამოჯდა და ჭერზე გაკრულ პლაკატებს დაუწყო თვალიერება, რომლებზედაც „ჩადლი ქენონზის“ მოთამაშეები დაქროდნენ.

– კმაყოფილი კი არა, მამას რომ არ მოჰყავდეს, სახლშიც არ მოვიდოდა, – მოიღუშა რონი, – პერსი დაავადებულია! გეხვეწები, თავის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოსზე არ ჩამოუგდო სიტყვა. „ბატონი კრაუჩი ამბობს“... „ბატონ კრაუჩის აზრით“... „ბატონმა კრაუჩმა მითხრა“... მალე მაგათ ნიშნობას გამოაცხადებენ...

– ჰარი, როგორ გაატარე ზაფხული? – ჰკითხა ჰერმიონმა, – მიიღე ჩვენი ამანათები?

– მივიღე და ისეთი მადლობელი ვარ! იმ ტორტების წყალობით შიმშილით სიკვდილს გადავურჩი.

– ხომ არაფერი გაგიგია... – დაიწყო რონმა, მაგრამ ჰერმიონის მზერა დაიჭირა და მაშინვე გაჩუმდა. ჰარი მიხვდა, რომ რონს უნდოდა, სირიუსზე ეკითხა. რონმა და ჰერმიონმა ისეთი დიდი წვლილი შეიტანეს სირიუსის გაქცევაში, რომ ჰარიზე არანაკლებ დარდობდნენ მის ბედზე. მაგრამ ამაზე ჯინის თანდასწრებით ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მხოლოდ მათ და პროფესორმა დამბლდორმა იცოდნენ, როგორ გაიქცა სირიუსი და მისი უდანაშაულობისაც მხოლოდ მათ სჯეროდათ.

– მგონი, აღარ ჩხუბობენ, – თქვა ჰერმიონმა, რომ უხერხულობა დაეფარა, რადგან ჯინი ცნობისმოყვარედ ხან რონს შეხედავდა, ხან – ჰარის, – მოდი, ჩავიდეთ და დედაშენს სადილის მომზადებაში დავეხმაროთ.

– ჰო, კარგი, – დაეთანხმა რონი.

ოთხივე ისევ სამზარეულოში ჩავიდა. ქალბატონი უისლი საშინლად გაანჩხლებული დახვდათ.

– ბაღში ვსადილობთ, – აცნობა ბავშვებს, – აქ თერთმეტი კაცისთვის ადგილი არ არის. გოგონებო, თეფშებს ხომ ვერ გაიტანთ გარეთ? ბილი და ჩარლი მაგიდებს აწყობენ. დანა-ჩანგლები თქვენ წაიღეთ, გთხოვთ, – მიმართა რონსა და ჰარის და ჯადოსნური ჯოხი ნიჟარაში დახვავებულ კარტოფილს მიუშვირა, მაგრამ მეტისმეტად ენერგიულად მოუვიდა: კარტოფილები კანიდან გამოხტნენ და კედლებსა და ჭერს მიაწყდნენ.

– ესღა მაკლდა! – გაგულისებულმა ახლა აქანდაზს მიუშვირა ჯოხი. აქანდაზი წამოხტა და იატაკზე სრიალი და კარტოფილების მოგროვება დაიწყო, – იმ ორს რა ეშველება, არ ვიცი, – გამწარებული ქაქანებდა ქალბატონი უისლი და ბუფეტიდან ქვაბებსა და ტაფებს იღებდა. ჰარი მიხვდა, რომ „იმ ორში“ ჯორჯი და ფრედი იგულისხმებოდა, – მართლა არ ვიცი... არავითარი მიზანი არა აქვთ ცხოვრებაში, გარდა იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი თავსატეხი გამიჩინონ.

დიდი სპილენძის ქვაბი გაჯავრებით დაახეთქა სამზარეულოს მაგიდაზე და ცარიელ ქვაბში ჯადოსნური ჯოხით მოურია. მორევისას ჯოხის წვერიდან სქელი საწებელი იღვრებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმას კი არ ვამბობ, ნიჭი არა აქვთ-მეთქი, – ქოთქოთებდა ქალბატონი უისლი, ქვაბი ქურაზე შემოდგა, ჯადოსნური ჯოხი ქურას მიუშვირა და აანთო, – მაგრამ ფლანგავენ ამ ნიჭს და მალე თუ არ მოეგებიან გონს, ცუდად იქნება მაგათი საქმე. ამათ გამო ჰოგვორტსიდან უფრო მეტი ბუ მომდის, ვიდრე ყველა დანარჩენზე – ერთად. ასე თუ გააგრძელეს, მალე მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტში ამოაყოფინებენ თავს.

ქალბატონმა უისლიმ ჯადოსნური ჯოხი დანა-ჩანგლის უჯრას ატაკა, უჯრა გაიღო. ჰარი და რონი გვერდზე გახტნენ, რომ მათკენ გამოფრენილი დანები აეცდინათ. დანებმა სამზარეულო გადაკვეთეს და კარტოფილების დაჭრას შეუდგნენ, რომლებიც ის-ის იყო, აქანდაზს ისევ ნიჟარაში ჩაეყარა.

– არ ვიცი, როდის დავაკელით ყურადღება, – ქალბატონმა უისლიმ ჯოხი გადადო და კიდევ გადმოიღო ქვაბები, – წლიდან წლამდე ასეა, ერთი პრობლემა მეორეს მოჰყვება, თან არც კი მოგისმენენ... ოოო, აი, ისევ!

ქალბატონი უისლი მაგიდაზე დადებულ ჯოხს დასწვდა, მაგრამ ჯოხმა დაიწრიპინა და რეზინის ვეებერთელა თაგვად იქცა.

– ისევ ყალბი ჯოხი! – გადაირია ქალი, – რამდენჯერ უნდა ვუთხრა ორივეს, რომ ამ ნაგავს ყველგან ნუ მიყრიან! – თავის ნამდვილ ჯოხს დაავლო ხელი, შემობრუნდა და დაინახა, რომ ქურაზე შემოდგმულ საწებელს ბოლი ასდიოდა.

– წავიდეთ, ბილსა და ჩარლის მივეხმაროთ, – საჩქაროდ გადაულაპარაკა რონმა ჰარის. დანა-ჩანგლებს ხელი დაავლეს, ქალბატონი უისლი სამზარეულოში დატოვეს და უკანა კარიდან ეზოში გავიდნენ.

რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ ბაღიდან ჰერმიონის ფეხებმოღრეცილი ჟღალი კატა ბო გამოვარდა. კუდი ჯაგრისივით აეპრიხა და რაღაცას მისდევდა. ეს რაღაცა ძალიან ჰგავდა ფეხებზე შემდგარ ტალახიან კარტოფილს. ჰარიმ მაშინვე იცნო გნომი. ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეც არ იქნებოდა, დაკოჟრილი პატარა ფეხების გამწარებული ბაკუნით გადაირბინა ეზო და თავით გადაეშვა კართან უწესრიგოდ დაყრილი რეზინის ჩექმებიდან ერთ-ერთში. ბომ ჩექმაში ჩაყო თათი და სცადა, გულიანად ახითხითებულ გნომს მისწვდენოდა.

ამ დროს ბაღიდან ბრახაბრუხი მოესმათ. ბაღში რომ შევიდნენ, ამ აურზაურის მიზეზიც შეიტყვეს: ბილს და ჩარლის ჯადოსნური ჯოხებით ორი დანჯღრეული, ძველი მაგიდა ჰაერში აეფრინათ და ერთმანეთს აჯახებდნენ. ორივე ცდილობდა, მოწინააღმდეგე დაბლა ჩამო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეგდო. ფრედი და ჯორჯი შეძახილებით ამხნევებდნენ, ჯინი იცინოდა, ჰერმიონი კი მესერთან იდგა და ეტყობოდა, ვერ გადაეწყვიტა, სხვებს აჰყოლოდა თუ არა.

ბილის მაგიდა ჩარლისას ჭახანით დაეძგერა და ერთ-ერთი ფეხი მოსტეხა. ზემოთ რაღაცამ გაიჯახუნა, აიხედეს და მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოყოფილი პერსის თავი დაინახეს.

– ცოტა ჩუმად არ შეგიძლიათ? – დაუღრიალა ბაღში მყოფებს.

– ბოდიში, პერსი, – გაიკრიჭა ბილი, – როგორ აქვთ საქმე შენს ქვაბებს?

– ძალიან ცუდად, – შეუღრინა პერსიმ და ფანჯარა მიაჯახუნა.

ახითხითებულმა ბილმა და ჩარლიმ მშვიდობით დასვეს მაგიდები ბალახზე და ერთმანეთს მიადგეს. ბილმა ჯოხის აქნევით მიაბა მაგიდას მოტეხილი ფეხი და საიდანღაც გადასაფარებლებიც გააჩინა.

შვიდი საათისთვის ორივე მაგიდა ქალბატონ უისლის უგემრიელესი კერძების სიმძიმისგან ჭრიალებდა. ცხრავე უისლი, ჰარი და ჰერმიონი მაგიდებს მიუსხდნენ და მოწმენდილი მუქი ლურჯი ცის ქვეშ ვახშამს შეექცნენ. მთელი ზაფხული გამხმარი ნამცხვრები რომ გეჭამა, ახლა თავი სამოთხეში მოგეჩვენებოდა, ამიტომ ჰარიმ არჩია, ნაკლები ელაპარაკა. თან დროს არ კარგავდა: ქათმისა და ლორის ღვეზელს, მოხარშულ კარტოფილსა და სალათს მიირთმევდა.

მაგიდის ბოლოში პერსი მამას ქვაბების თაობაზე დაწერილი თავისი მოხსენების შესახებ უყვებოდა:

– ბატონ კრაუჩს დავპირდი, რომ სამშაბათისთვის მზად მექნება, – ამაყად ამბობდა პერსი, – ასე მალე არ მოელოდა. ვფიქრობ, კიდევ უფრო გაუხარდება, თუ დროზე ადრე მექნება მზად. იმის თქმა მინდა, რომ ახლა დეპარტამენტში მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზების გამო ყველა ყელამდეა ჩაფლული საქმეში, თან საჭირო მხარდაჭერასაც არ ვიღებთ ჯადოქრული თამაშებისა და სპორტის დეპარტამენტისგან. ლუდო ბეგმანი...

– მე მომწონს ლუდო, – წყნარად თქვა ბატონმა უისლიმ, – მაგან გვიშოვა ჩემპიონატზე ასეთი კარგი ბილეთები. სამაგიეროდ, მეც პატარა სამსახური გავუწიე: მისი ძმა, ოტო, უმნიშვნელო შარში გაეხვა. მოკლედ, ერთი საქმე იყო, გაზონის სათიბ მანქანას ჯადოსნური მოწყობილობა დაუყენა... მთელი ეს ამბავი ჩავფარცხე...

– არ უარვყოფ, რომ ბატონი ბეგმანი, მართლაც, სასიამოვნო კაცია, – მოუთმენლად თქვა პერსიმ, – მაგრამ არ მესმის, როგორ მოექცა დეპარტამენტს სათავეში! როცა მას და ბატონ კრაუჩს ერთმანეთს ვადარებ... ბატონ კრაუჩს დეპარტამენტის თანამშრომელი რომ დაჰკარგვოდა, მაშინვე შეეცდებოდა, გაერკვია, რა შეემ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თხვა. იცი, რომ ბერტა ჯორკინსი უკვე ერთი თვეა, არ გამოჩენილა?! იცი, რომ ალბანეთში წავიდა შვებულების გასატარებლად და არც კი დაბრუნებულა?!

– ჰო, მაგაზე ვკითხე ლუდოს, – შუბლი შეიკრა ბატონმა უისლიმ, – ასე მითხრა, ბერტა აქამდეც ბევრჯერ დაკარგულაო. ისე, სიმართლე რომ გითხრა, ის რომ ჩემი დეპარტამენტიდან ყოფილიყო, უკვე ვინერვიულებდი.

– კარგი, ვთქვათ, ბერტა უვარგისი თანამშრომელია, – განაგრძო პერსიმ, – რამდენადაც ვიცი, წლების მანძილზე დეპარტამენტიდან დეპარტამენტში გადაჰყავდათ. პრობლემის მეტი არაფერი მოაქვს და არ ღირს თავის შეწუხებად, მაგრამ ბეგმანს მაინც უნდა დაეწყო მისი ძებნა. ბატონი კრაუჩი პირადად არის დაინტერესებული ამ საქმით – ის ქალი ერთ დროს ჩვენს დეპარტამენტში მუშაობდა, ხომ იცი და ჩემი აზრით, ბატონ კრაუჩს მოსწონდა კიდეც. ბეგმანს კი სასაციოლოდ არ ჰყოფნის და ამბობს, ალბათ, რუკა არასწორად წაიკითხა და, ალბანეთის ნაცვლად, ავსტრალიაში ამოყო თავიო. თუმცა, – პერსიმ ღრმად ამოიოხრა და ანწლის ღვინო მოყლურწა, – საერთაშორისო ჯადოქრული ურთიერთობების დეპარტამენტში ისედაც თავსაყრელად გვაქვს საქმე, სხვა დეპარტამენტების დაკარგული თანამშრომლები რომ არ ვეძებოთ. ხომ იცი, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ერთი დიდი მოვლენის ორგანიზებას ვაპირებთ, – მან მრავლისმეტყველად ჩაახველა და მაგიდის მეორე ბოლოსკენ გაიხედა, სადაც ჰარი, რონი და ჰერმიონი ისხდნენ, – შენ ხომ იცი, რაზედაც ვლაპარაკობ, მამა, – ცოტა აუწია ხმას, – იმაზე, გასაიდუმლოებული რომაა.

რონმა თვალები გადაატრიალა და ჰარის და ჰერმიონს გადაუჩურჩულა:

– რაც მუშაობა დაიწყო, ცდილობს, გვაიძულოს, ვკითხოთ, რა მოვლენაზეა ლაპარაკი. ალბათ, სქელძირა ქვაბების გამოფენაა.

მაგიდის ერთ მხარეს ქალბატონი უისლი ბილს ეკამათებოდა საყურის გამო, რომელიც, ეტყობა, ახალი შენაძენი იყო.

– ეს რა საშინელი ეშვია, ბილ, ბანკში არაფერს გეუბნებიან?

– დე, ბანკში ყველას ფეხებზე ჰკიდია, როგორ მაცვია, სანამ ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ, – დინჯად მიუგო ბილმა.

– თმაც რაღაც სულელურად გაქვს, შვილო, – ქალბატონმა უისლიმ სიყვარულით გადაუსვა ხელი თავის ჯადოსნურ ჯოხს, – იქნებ ცოტა დავამოკლოთ...

– მე მომწონს, – თქვა ბილის გვერდით მჯდარმა ჯინიმ, – რა ძველმოდური ხარ, დედა, იმსიგრძე ხომ მაინც არ არის, რამხელაც პროფესორ დამბლდორის თმაა?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალბატონ უისლის გვერდით ფრედი, ჯორჯი და ჩარლი გაცხოველებულნი კამათობდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე.

– ირლანდია მოიგებს, – ჩახლეჩილი ხმით ამბობდა კარტოფილით პირგამოტენილი ჩარლი, – ნახევარფინალში პერუ გააბრტყელეს.

– სამაგიეროდ, ბულგარეთს ვიქტორ კრამი ჰყავს, – შეედავა ფრედი.

– დიდი ამბავი, მანდ ერთი კრამია რიგიანი მოთამაშე, ირლანდიას კი შვიდი ჰყავს, – მოუჭრა ჩარლიმ, – ნეტავ ინგლისი გასულიყო. ძალიან დამწყდა გული.

– რატომ ვერ გავიდა? – დაინტერესდა ჰარი და ყველაზე მეტად ახლა ინანა, რომ სანამ ჯადოქრების სამყაროში ამდენი მნიშვნელოვანი რამე ხდებოდა, თვითონ პრივიტ დრაივზე იყო გამომწყვდეული.

ჰარი აღმერთებდა ქვიდიჩს. ჰოგვორტსში პირველი კურსიდან თამაშობდა გრიფინდორის კლუბის გუნდში და მსოფლიოში ერთ-ერთ უსწრაფეს მფრინავ ცოცხს – „ელვას“ – ფლობდა.

– ტრანსილვანიასთან წააგო სტუმრად, ათით სამას ოთხმოცდაათი, – მიუგო დაღვრემილმა ჩარლიმ,– სამარცხვინოდ წააგეს. უელსი უგანდასთან დამარცხდა, შოტლანდია კი ლუქსემბურგმა გაანადგურა.

სანამ შინ გამომცხვარ მარწყვისნაყინიან პუდინგს მიირთმევდნენ, ბატონმა უისლიმ ბაღში ჩამოწოლილი ბინდის გასაფანტად ჯადოსნური ჯოხით სანთლები გააჩინა. სადილის დასასრულს სუფრის თავზე უკვე ფარვანები ირეოდნენ და თბილი ჰაერი ბალახისა და ცხრატყავას სუნით გაჟღენთილიყო. ჰარი კარგად დანაყრდა და გარე სამყაროსთან საოცარი ჰარმონია იგრძნო. მშვიდად ადევნებდა თვალს რამდენიმე გნომს, რომლებიც ვარდის ბუჩქებში დარბოდნენ და გიჟებივით ხითხითებდნენ, ფეხდაფეხ კი გამწარებული ბო დასდევდა. რონმა მალულად გადახედა სუფრას და როცა დარწმუნდა, ყველა საუბრით არის გართულიო, ჰარის წასჩურჩულა: „სირიუსისგან ისმის რამე?“ ჰერმიონმაც ყურები ცქვიტა.

– კი, – ჩუმადვე უპასუხა ჰარიმ, – ორჯერ მომწერა, არა მიშავსო. გუშინწინ მეც მივწერე. შეიძლება, სანამ აქ ვარ, პასუხიც მივილო.

უცებ გაახსენდა, რამ აიძულა, სირიუსისთვის მიეწერა, და კინალამ მოუყვა სიზმარი რონსა და ჰერმიონს, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. არა, ოღონდ ახლა არა. რაღა ახლა უნდა შევაშინო ისინი, როცა თვითონაც ასე კარგად და მშვიდად ვგრძნობ თავსო.

– ერთი შეხედეთ, რომელი საათია, – მოულოდნელად გამოაცხადა ქალბატონმა უისლიმ და მაჯის საათზე დაიხედა, – ახლა ყველანი ლოგინებში უნდა იყოთ. ხვალ უთენია უნდა ადგეთ, რომ მატჩზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ დაიგვიანოთ. ჰარი, ხვალ მაინც მრუდე ქუჩაზე მივდივარ ჩემებისთვის რაღაცეების საყიდლად და სასკოლო ნივთების სიას თუ დამიტოვებ, შენც გიყიდი. შეიძლება, ჩემპიონატის შემდეგ საამისო დრო აღარც დაგვრჩეს. როგორც მახსოვს, ბოლო მატჩი ხუთ დღეს გაგრძელდა.

– რა მაგარია! იმედია, ახლაც ასე იქნება, – აღფრთოვანდა ჰარი.

– ღმერთმა დაგვიფაროს, – გაიფხორა პერსი, – იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რამდენი გზავნილი დამხვდება, სამსახურში ხუთ დღეს თუ არ გამოვჩნდი.

– ჰო, შეიძლება, ვინმემ ისევ დრაკონისნეხვიანი ამანათი შემოგაპაროს არა, პერსი? – მოაგონა ფრედმა.

პერსი გაწითლდა:

– ეგ სასუქის ნიმუში იყო ნორვეგიიდან, ამაში პირადული არაფერი ყოფილა.

– ერთი ამას უყურე! სწორედაც პირადული იყო,– გადაუჩურჩულა ფრედმა ჰარის, სუფრიდან რომ წამოდგნენ, – მე და ჯორჯმა გავუგზავნეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეექვსე

პორტპეი

ჰარის მოეჩვენა, რომ ბალიშზე თავი დადო თუ არა, ქალბატონმა უისლიმ მაშინვე გააღვიძა:

– ჰარი, საყვარელო, წასვლის დროა, – უჩურჩულა და ახლა რონთან მივიდა.

ჰარიმ სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა სათვალე, ცხვირზე წამოიცვა და ლოგინში წამოჯდა. გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა. რონი ძილ-ღვიძილში გაურკვევლად დუდღუნებდა რაღაცას. გვერდით საწოლებში, საბნების გროვიდან კიდევ ორმა წამოყო გაბურძგნილი თავი.

– უკვე დროა? – ძლივს წაილულლულა ნამძინარევმა ფრედმა.

ხმაამოუღებლად ჩაიცვეს. ისე ეძინებოდათ, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდათ. შემდეგ ზმორებითა და მთქნარებით ჩავიდნენ სამზარეულოში.

ქალბატონი უისლი ქურაზე შემოდგმულ უზარმაზარ ქვაბს ურევდა. ბატონი უისლი კი მაგიდას მისჯდომოდა და პერგამენტის ბილეთების მოზრდილ დასტას ამოწმებდა. ბიჭები რომ შევიდნენ, ადგა და ორივე ხელი გაშალა, რომ უკეთ დაენახათ მისი ტანსაცმელი – გოლფის ჯემპრი და ძველისძველი დიდი ზომის ჯინსი ჩაეცვა, ზედ კი ტყავის სქელი ქამარი შემოეჭირა.

– აბა, რას იტყვით? – იკითხა აღელვებულმა, – ხომ იცით, ვერავინ ვერ უნდა გვიცნოს. ჰარი, რას იტყვი, მაგლს ვგავარ?

– დიახ, – გაეღიმა ჰარის, – ძალიან.

– სად არიან ბილი, ჩარლი და პე-პე-პერსი? – მთქნარება აუტყდა ჯორჯს.

– მგონი, აპარაციის გამოყენებას აპირებენ, – ქალბატონმა უისლიმ უზარმაზარი ქვაბი მაგიდაზე გადმოდგა და ჯამებში ფაფის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩამოსხმას შეუდგა, – ასე რომ, შეუძლიათ, ლოგინში ცოტა ხანს კიდევ იკოტრიალონ.

ჰარიმ იცოდა, რომ აპარაციის გამოყენება საკმაოდ რთული პროცედურა იყო. ეს ნიშნავდა ჯადოქრის ერთი ადგილიდან გაქრობას და თითქმის იმავე წამს სხვა ადგილზე გაჩენას.

– ვაჰ, ესე იგი, ისევ სძინავთ? – მოიღუშა ფრედი და ფაფით სავსე ჯამი წინ დაიდგა, – არ შეიძლება, აპარაცია ჩვენც გამოვიყენოთ?

– არა, იმიტომ, რომ თქვენ ჯერ საამისო ასაკისა არა ხართ და არც გამოცდა ჩაგიბარებიათ, – მოუჭრა ქალბატონმა უისლიმ და დაამატა: – ეს გოგოები სადღა დაიკარგნენ?

ქალბატონი უისლი სწრაფად გავიდა სამზარეულოდან და კიბეს აუყვა.

– აპარაციისთვის ცალკე გამოცდა უნდა ჩავაბაროთ?– იკითხა ჰარიმ.

– რა თქმა უნდა, – ბატონმა უისლიმ ბილეთები საიმედოდ ჩაიტენა ჯინსის უკანა ჯიბეში, – მაგიური ტრანსპორტის დეპარტამენტმა ამას წინათ აპარაციის ულიცენზიოდ გამოყენებისთვის ორი ჯადოქარი დააჯარიმა. აპარაცია ადვილი საქმე არაა, წესები თუ არ დაიცავი, შეიძლება, საკმაოდ უსიამოვნო გართულებები მოჰყვეს. იმ ორს, წელან რომ გითხარი, იცი, რა მოუვიდა? გადაიყვნენ!

ჰარის გარდა ყველა დაიჯღანა.

– რაო... რა ქნეს?– იკითხა ჰარიმ.

– ნახევარი ტანი ადგილზე დარჩათ, ნახევარი კი გადაადგილდა, – აუხსნა ბატონმა უისლიმ და ფაფაზე ბლომად მოისხა ბადაგი, – გაიჭედნენ, რა. ვერც წინ წავიდნენ, ვერც უკან. და იყვნენ ასე, სანამ ჯადოქრული შეცდომების გამოსწორების სპეცრაზმს არ გამოვუძახეთ. ისე, ამ ამბავს დიდი ბიუროკრატიული ხათაბალა დასჭირდა. თან ყველაფერი მაგლების თვალწინ მოხდა და...

ჰარიმ უცებ წარმოიდგინა, პრივიტ დრაივის ქვაფენილზე დატოვებული ფეხები და თვალის კაკალი, და გააჟრჟოლა.

– ხომ არაფერი დაუშავდათ?

– ისეთი არაფერი, – აუღელვებლად მიუგო ბატონმა უისლიმ, – ერთი ეგაა, დიდი ჯარიმა გადაახდევინეს. ამის შემდეგ უფრო ფრთხილად იქნებიან. აპარაციას ნუ ეხუმრებით, მაგას ბევრი სრულწლოვანი ჯადოქარიც კი არიდებს თავს. ცოცხები ურჩევნიათ, უფრო ნელია, მაგრამ, სამაგიეროდ, უსაფრთხოა.

– კი მაგრამ, ბილს, ჩარლისა და პერსის ხომ გამოსდით?

– ჩარლიმ ორჯერ ჩააბარა გამოცდა, – ჩაიქირქილა ფრედმა, – პირველ ჯერზე ჩაიჭრა. დანიშნულების ადგილიდან ათი კილომეტრის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაშორებით აღმოჩნდა და პირდაპირ ერთ საცოდავ დედაბერს დაახ-ტა თავზე სუპერმარკეტში, გახსოვთ?

ბიჭები გულიანად ახითხითდნენ.

– სამაგიეროდ, მეორე ცდაზე იყოჩაღა, – გამოექომაგა შვილს სამზარეულოში შემობრუნებული ქალბატონი უისლი.

– პერსიმ სულ ორი კვირის წინ ჩააბარა და მას მერე ყოველ დილით სამზარეულოში ჩამოსასვლელად აპარაციას იყენებს, რომ დაგვიმ-ტკიცოს, რა მაგრად გამოსდის, – თქვა ჯორჯმა.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა და სამზარეულოში ჰერმიონი და ჯინი შემოვიდნენ. ორივე ფერმკრთალი და ნამძინარევი ჩანდა.

– ასე ადრე რატომ ავდექით? – ჯინიმ თვალები მოიფშვნიტა და სუფრას მიუჯდა.

– ცოტა ფეხით გავლა მოგვიწევს, – უთხრა ბატონმა უისლიმ.

– ფეხით? – გაუკვირდა ჰარის, – ჩვენ რა, სტადიონამდე ფეხით უნდა ვიაროთ?

– არა, არა, იქამდე ხომ რამდენიმე კილომეტრია, – გაეღიმა ბატონ უისლის, – ფეხით პატარა მანძილს გავივლით. საქმე ისაა, რომ ძალი-ან ძნელია, ჯადოქრებმა ჯგუფ-ჯგუფად იმგზავრონ და მაგლების ყურადღება არ მიიქციონ, ამიტომ მგზავრობისას სიფრთხილე გვმარ-თებს, მაშინაც კი, როცა ამის აუცილებლობა თითქოს არ არის. მით უმეტეს, როცა ისეთ გრანდიოზულ მოვლენაზე მივდივართ, როგო-რიც მსოფლიო ჩემპიონატია...

– ჯორჯ! – ისე შესძახა ქალბატონმა უისლიმ, რომ ყველა შეხტა.

– რა იყო? – უცოდველი ხმით იკითხა ჯორჯმა, მაგრამ ამ ხმით ველარავის გააცურებდა.

– რა გაქვს ჯიბეში?

– არაფერი.

– ნუ მატყუებ!

ქალბატონმა უისლიმ ჯორჯის ჯიბეს ჯადოსნური ჯოხი მიუშვი-რა და წარმოთქვა:

– აკციო!

ჯიბიდან რამდენიმე პატარა, ჭრელ-ჭრელი საგანი ამოფრინდა. ჯორჯმა ხელი წაატანა, მაგრამ დაჭერა ვერ მოასწრო, საგნები პირ-დაპირ დედამისის გამოწვდილი ხელისკენ გაზუზუნდნენ.

– ხომ გითხარით, ესენი გაანადგურეთ-მეთქი! – გაცეცხლდა ქალ-ბატონი უისლი. ეჭვი არ იყო, ხელში ერთ-ერთი „ენადიდა ნუგა“ ეკავა, – გითხარით თუ არა, რომ ესენი აქედან მოგეშორებინათ! აბა, ორი-ვემ გადმოიბრუნეთ ჯიბეები! დროზე!

არცთუ ისე სასიამოვნო სცენა იყო. ეტყობა, ტყუპები ცდილობ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დნენ, შინიდან რაც შეიძლება მეტი ტკბილეული გაეპარებინათ. ქალბატონმა უისლიმ მხოლოდ გამოძახების შელოცვით შეძლო მთელი მარაგის ამოღება:

– აკციო! აკციო! აკციო!

და კანფეტები ერთიმეორის მიყოლებით ყველაზე მოულოდნელი ადგილებიდან დაიძრნენ მისკენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯორჯის ქურთუკის სარჩულიდან და ფრედის ჯინსის შარვლის გადანაკეციდანაც კი.

– ამათ დამზადებას მთელ ექვს თვეს მოვუნდით! – ვეღარ მოითმინა გამწარებულმა ფრედმა, როცა დედამ მთელი ტკბილეული გადაუყარა.

– ასეთ სისულელეზე ექვსი თვე როგორ დახარჯეთ!– დაიკივლა ქალმა, – სულაც არ მიკვირს, გამოცდაზე ასე ცოტა ბუა რომ მიიღეთ.

ერთი სიტყვით, გამგზავრების წინ ატმოსფერო მაინცდამაინც მეგობრული არ იყო. ქალბატონი უისლი ჯერ კიდევ ცეცხლს აფრქვევდა, როცა ბატონ უისლის ლოყაზე აკოცა. არანაკლებ გაბრაზებულმა ტყუპებმა ზურგჩანთები მხრებზე მოიგდეს და სახლიდან ისე გავიდნენ, დედისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ.

– აბა, თქვენ იცით, კარგად გაატარეთ დრო და წესიერად მოიქეცით, – დაადევნა დედამ უკანმოუხედავად მიმავალ ტყუპებს, მაგრამ მათ არაფერი უპასუხეს. – შუადღისით ბილს, ჩარლის და პერსის გამოვუშვებ, – მიაძახა ქალბატონმა უისლიმ ფრედსა და ჯორჯს ადევნებულ ბატონ უისლის, ჰარის, რონს, ჰერმიონსა და ჯინის.

გრილოდა და მთვარე ჯერ ისევ ანათებდა. გარიჟრაჟის მოახლოებას მხოლოდ და მხოლოდ ჰორიზონტზე გაწოლილი ბაცი მომწვანო ზოლი იუწყებოდა.

ჰარის ფიქრი ისევ იმ ათასობით ჯადოქარს უტრიალებდა, რომლებიც ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე მიეშურებოდნენ. ნაბიჯს აუჩქარა, ბატონ უისლის წამოეწია და ჰკითხა:

– როგორ ახერხებს ამდენი ხალხი მაგლების შეუმჩნევლად ჩემპიონატზე მოხვედრას?

– ეჰ, სწორედ მაგის ორგანიზება გაგვიჭირდა, – ამოიოხრა ბატონმა უისლიმ, – უბედურება ისაა, რომ ჩემპიონატს ასი ათასამდე ჯადოქარი ესწრება და, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს იმხელა მოჯადოებული ტერიტორია, რომ ყველა დაიტიოს. რასაკვირველია, არსებობს მაგლებისგან დაცული ადგილები, მაგრამ, აბა, წარმოიდგინე, როგორ უნდა დაეტიოს ასი ათასი ჯადოქარი მრუდე ქუჩაზე ან პლატფორმა ნომერ 9 3/4-ზე. ამიტომ იძულებულნი გავხდით, ერთი კარგი ტრიალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მინდორი გვეპოვა და რაც შეიძლება ბევრი ანტიმაგლური უსაფ-
რთხოების ზომა მიგვეღო. მთელი სამინისტრო თვეების მანძილზე
შრომობდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გრაფიკი შევადგინეთ,
რათა ყველა სტუმარი ერთბაშად არ ჩამოსულიყო. ამიტომ შედარე-
ბით იაფი ბილეთების პატრონებს ორი კვირით ადრე მოუხდათ გამომ-
გზავრება. ჯადოქრების გარკვეული რაოდენობა მაგლების ტრან-
სპორტითაც მგზავრობს, მაგრამ ყველა ავტობუსებსა და მატარებ-
ლებს ხომ არ მიაწყდება – არ დაგავიწყდეს, რომ ჯადოქრები მთელი
მსოფლიოდან ჩამოდიან. ზოგი, რასაკვირველია, აპარაციას იყენებს,
მაგრამ სადმე ხომ უნდა გაჩნდნენ, ამიტომ მაგლებისგან მოშორებით
საიმედო პუნქტები მოვაწყვეთ. თუ არ ვცდები, სტადიონის მახლობ-
ლად ერთი ტყეა და აპარაციის პუნქტად იმას იყენებენ. მათთვის,
ვისაც აპარაცია არ სურს ან არ შეუძლია, პორტაჟებს ვიყენებთ.
პორტაჟი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელიც წინასწარ
დათქმულ დროს ჯადოქრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაყვა-
ნად გამოიყენება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება, ერთბაშად
საკმაოდ დიდი ჯგუფიც გადაადგილდეს. მთელ ბრიტანეთში გაფან-
ტულ სტრატეგიულ პუნქტებზე ორასი პორტაჟია განლაგებული.
ჩვენთან ყველაზე ახლო პუნქტი სტოუტსჰედ ჰილის წვერზეა და
ახლა სწორედ იქ მივდივართ.

ბატონმა უისლიმ სოფელ ოტერი-სენტ-კეჩპოულის გაღმა ამოზ-
რდილ უზარმაზარ შავ მთაზე მიუთითა.

– პორტაჟი რა არის?– ცნობისმოყვარედ იკითხა ჰარიმ.

– პორტაჟი შეიძლება, ყველაფერი იყოს, ყველანაირი ხარახურა,
რასაც მაგლები ხელს არ მოჰკიდებენ. ვთქვათ, ისეთი რამ, რაც ნაგა-
ვი ეგონებათ.

სოფლისკენ მიმავალ ბნელ, ნესტიან შარაგზას მიუყვებოდნენ,
სიჩუმეს მხოლოდ მათი ფეხის ხმა არღვევდა. მოშავო-მომელნისფრო
ცა თანდათან გაიცრიცა და, სოფელს რომ გასცდნენ, უკვე მუქ ლურ-
ჯად გადაიქცა. ჰარის ხელ-ფეხი გაეყინა. ბატონი უისლი წარამარა
საათზე იხედებოდა.

გორაზე ასვლა რომ დაიწყეს, ლაპარაკის თავი აღარავის ჰქონდა;
ხან კურდღლის სოროებში უვარდებოდათ ფეხი, ხან ატალახებულ
ბალახზე უცურდებოდათ. ყოველ ჩასუნთქვაზე ჰარი მკერდში ყრუ
ტკივილს გრძნობდა და ფეხები უკვე ძლივსღა ემორჩილებდა, როცა,
ბოლოს და ბოლოს, ვაკე ადგილას გავიდნენ.

– უუჰ, – შვებით ამოისუნთქა ბატონმა უისლიმ, სათვალე მოიხსნა
და სვიტერზე შეიწმინდა, – კარგად მოვასწარით, კიდევ ათი წუთი
გვაქვს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონი მთის თხემზე ბოლო ავიდა. ფერდი სტკიოდა და ზედ ხელს იჭერდა.

– ახლა მხოლოდ პორტაჟიღა გვჭირდება, – ბატონმა უისლიმ ისევ გაიკეთა სათვალე და იქაურობას თვალი მოავლო, – დიდი არ უნდა იყოს, აბა, მოვძებნოთ.

ყველანი საძებნელად დაიფანტნენ. ორიოდე წუთიც არ გასულა, რომ გარინდული ჰაერი ყვირილმა შეძრა:

– აქეთ, არტურ! აქეთ, შვილო! ვიპოვე!

გორის თხემის საპირისპირო კიდეზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე, ორი მაღალი სილუეტი გამოიკვეთა.

– ამოს! – გასძახა ბატონმა უისლიმ და ღიმილით გაეშურა იქით, საიდანაც ყვირილი ისმოდა. დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ჯადოქარს, რომელიც ბატონ უისლის ხელს ართმევდა, ღაჟღაჟა სახე და ხშირი წაბლისფერი წვერი ჰქონდა. მეორე ხელში კი ძველი, დაობებული ჩექმა ეჭირა.

– გაიცანით, ეს ამოს დიგორია, – წარადგინა ბატონმა უისლიმ, – ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტში მუშაობს. მის ვაჟს, სედრიკს, ალბათ, იცნობთ, არა?

ჩვიდმეტი წლის სიმპათიური ყმაწვილი, სედრიკ დიგორი, ჰოგვორტსში ჰაფლეპაფის კლუბის ქვიდიჩის გუნდის კაპიტანი და სიკერი იყო.

– გამარჯობა, – ყველას გაუღიმა სედრიკმა.

დანარჩენებიც მიესალმნენ, ფრედმა და ჯორჯმა კი მხოლოდ თავი დაუკრეს. მათ ჯერაც ვერ ეპატიებინათ სედრიკისთვის გასული წლის პირველ მატჩში მათი გუნდის, გრიფინდორის, დამარცხება.

– ბევრი იარეთ, არტურ? – ჰკითხა სედრიკის მამამ.

– არც ისე,– მიუგო ბატონმა უისლიმ, – სოფლის გადაღმა ვცხოვრობთ. თქვენ?

– ორ საათზე ავდექით, არა, სედ? იმედია, დავისვენებ, სედი აპარაციის გამოცდას რომ ჩააბარებს. თუმცა საქმე საწუწუნოდ არა მაქვს! ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატია, ბოლოს და ბოლოს, და ერთი ტომარა გალეონის გულისთვისაც კი არ გავაცდენდი. ისე, თითქმის მაგდენი კი დამიჯდა ბილეთები. მაგრამ მე კიდევ იოლად გამოვძვერი...

ამოს დიგორიმ გულთბილად მოავლო თვალი სამივე უისლის, ჰარის, ჰერმიონსა და ჯინის.

– ყველა შენია, არტურ?

– ო, არა, მხოლოდ წითელთმიანები, – ბატონმა უისლიმ თავის შვილებზე ანიშნა, – ეს ჰერმიონია, რონის მეგობარი, ეს კი – ჰარი, ესეც რონის მეგობარია...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მერლინის წვერს ვფიცავ, – თვალები გაუფართოვდა ამოს დიგორის, – ჰარი?! ჰარი პოტერი?!

– მმმმ... დიახ,– შეიშმუშნა ჰარი, მართალია, უკვე მიჩვეული იყო, რომ ახლად გაცნობილები ყოველთვის ცნობისმოყვარედ უცქეროდნენ და თვალი მაშინვე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევისკენ გაურბოდათ ხოლმე, მაგრამ თავს მაინც უხერხულად გრძნობდა.

– სედი, რა თქმა უნდა, მიყვებოდა შენზე, შარშანდელი მატჩის ამბავიც მიამბო. მე კი ვუთხარი: სედ, ამას შვილიშვილებს მოვუყვები, დიახაც, ვიამაყებ, შენ ხომ ჰარი პოტერი დაამარცხე-მეთქი, – თქვა ამოს დიგორიმ.

ჰარიმ ვერაფერი მოიფიქრა პასუხად და გაჩუმება არჩია. ფრედი და ჯორჯი უფრო მოიღუშნენ. სედრიკი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მერე ჩაილუღლუღა:

– ჰარი ცოცხიდან ჩამოვარდა, მამა, ხომ გითხარი, ეს უბედური შემთხვევა იყო-მეთქი!

– ჰო, მაგრამ შენ ხომ არ ჩამოვარდნილხარ?! – მხიარულად დასჭექა ამოს დიგორიმ და შვილს ბეჭებზე ხელი დაუტყაპუნა, – აი, ასეთი მოკრძალებულია ჩემი სედი, ნამდვილი ჯენტლმენი. მაგრამ საუკეთესომ გაიმარჯვა, დარწმუნებული ვარ, ჰარიც დამეთანხმება, არა, ჰარი? ერთი ცოცხიდან ვარდება, მეორე – არა. გენიოსობა არ უნდა იმის მიხვედრას, რომელი უფრო კარგად დაფრინავს.

– მგონი, დროა, – სასწრაფოდ თქვა ბატონმა უისლიმ და ისევ საათზე დაიხედა, – კიდევ ვინმეს ხომ არ ველოდებით?

ბატონი დიგორი დაფიქრდა.

– არა, ლავგუდები უკვე მთელი კვირაა, იქ არიან, ფოსეტებმა კი ბილეთები ვერ იშოვეს. თუ არ ვცდები, ახლომახლო ჩვენებური მეტი არავინ ცხოვრობს.

– მე მეტს არავის ვიცნობ, – დაეთანხმა ბატონი უისლი, – ჰო, ერთი წუთიღა დარჩა. ჯობია, მოვემზადოთ! – თვალით ჰარი და ჰერმიონი მოძებნა.

– უბრალოდ უნდა შეეხოთ პორტაჟს, თითის დადებაც საკმარისია.

გაძეძგილი ზურგჩანთების გამო ცხრავე დიდი გაჭირვებით მოგროვდა ძველი ჩექმის გარშემო, რომელიც ამოს დიგორის ეჭირა ხელში. მჭიდრო წრე შეკრეს. გორის თხემს გრილმა სიომ გადაუარა. ხმას არავინ იღებდა. ჰარის უცებ თავში გაუელვა, ამ ადგილას მაგლი რომ ამოვიდეს, რა უცნაურად მოეჩვენება ეს სცენაო: ცხრა ადამიანს, მათ შორის ორ ზრდასრულ კაცს, ძველი ბინძური ჩექმისთვის ჩაუვლია ხელი და განთიადის ბინდში რაღაცას უცდის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამი, – ჩაიბუტბუტა საათს მიჩერებულმა ბატონმა უისლიმ, – ორი, ერთი.

ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ჰარის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს წელზე კაუჭი გამოსდეს და ზამბარასავით წინ გატყორცნეს. ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. გრძნობდა, როგორ ეჯახებოდა მხრებით ჰერმიონსა და რონს. ყველანი ქარის ზუზუნსა და ფერების მორევში მიქროდნენ. საჩვენებელ თითს ჩექმა მაგნიტივით იზიდავდა და ზედ იკრობდა, და ბოლოს...

ჰარი მიწას დაეხეთქა, ზედ რონი დაეცა. პორტაჟი ყრუ ბრაგვანით დავარდა მიწაზე.

ჰარიმ მაღლა აიხედა. ბატონი უისლი, ბატონი დიგორი და სედრიკი ფეხზე კი იდგნენ, მაგრამ ქარიშხალგამოვლილებს ჰგავდნენ, დანარჩენები მიწაზე ეყარნენ.

– ექვსის შვიდი წუთი, სტოუტსჰედ ჰილი! – გამოაცხადა ვიღაცამ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეშვიდე

ბეგმანი და კრაუჩი

ჰარიმ რონი მოიშორა და ფეხზე წამოდგა. ნისლში გახვეულ მანანით დაფარულ ტრიალ მინდორზე დაშვებულიყვნენ. მათ წინ ორი დაქანცული და მოღუშული ჯადოქარი იდგა. ერთ-ერთს ხელში დიდი ოქროს საათი ეჭირა, მეორეს – პერგამენტის სქელი გრაგნილი და ფრთა. ორივე მაგლებივით გამოწყობილიყო, თუმცა ძალიან უგერგილოდ. საათიან ჯადოქარს ტვიდის კოსტუმი და ბოტები ეცვა, მის კოლეგას კი – შოტლანდიური კილტი და პონჩო.

– დილა მშვიდობისა, ბეზილ, – ქვედაკაბიან ჯადოქარს მიესალმა ბატონი უისლი, მიწიდან ჩექმა აიღო და გადასცა, მან კი გამოყენებული პორტაჟებით სავსე უშველებელ ყუთში გადაუძახა. უამრავ ხარახურას შორის ჰარიმ თვალი მოჰკრა ძველ გაზეთს, თუნუქის ცარიელ ქილებსა და ჩაჩუტულ ფეხბურთის ბურთს.

– გამარჯობა, არტურ, – მისავათებული ხმით ამოილუღლუღა ბეზილმა, – მორიგე არა ხარ, ხომ? შენ რა გიჭირს... ჩვენ მთელი ღამეა, აქა ვართ... მაგ ადგილს, ჯობია, მოშორდეთ, ექვსის თხუთმეტ წუთზე შავი ტყიდან სტუმრების დიდ ჯგუფს ველოდებით. მოიცა, შენს ბანაკს ვიპოვი... უისლი... უისლი... – მან პერგამენტში ჩაყო ცხვირი, – აქედან ოთხასიოდე მეტრის მანძილზეა, პირველივე მდელო. თქვენი ბანაკის მენეჯერს მისტერ რობერტსი ჰქვია. დიგორი... მეორე მდელო... იკითხეთ მისტერ პეინი.

– გმადლობ, ბეზილ, – ბატონმა უისლიმ დანარჩენებს ხელით ანიშნა, მომყევითო.

უკაცრიელ მინდორზე ისეთი ნისლი იდგა, რომ შეუძლებელი იყო რამის გარჩევა. დაახლოებით, ოც წუთში, ჭიშკრის გვერდით პატარა ქვის კოტეჯი გამოჩნდა. კოტეჯს მიღმა ბუნდოვნად იკვეთებოდა ნისლში გახვეული ათასობით კარვის სილუეტი. კარვების ჯარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოდნავ დაქანებულ ფერდობს ასდევდა ზედ ჰორიზონტზე გადაჭიმული ჩამუქებული ტყისკენ. უისლები, ჰარი და ჰერმიონი მამა-შვილ დიგორის დაემშვიდობნენ და კოტეჯის კარს მიუახლოვდნენ.

კოტეჯის ზღურბლზე კაცი იდგა და კარვებს გასცქეროდა. ჰარიმ ერთი შეხედვით შეატყო, რომ ეს კაცი რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე ერთადერთი ნამდვილი მაგლი იყო. მაგლმა ნაბიჯების ხმაზე თავი მოატრიალა.

– დილა მშვიდობისა, – მხიარულად მიესალმა ბატონი უისლი.

– დილა მშვიდობისა, – უპასუხა მაგლმა.

– თქვენ ბატონი რობერტსი ხომ არ ხართ?

– გახლავართ, – მიუგო ბატონმა რობერტსმა, – თქვენ ვინ ბრძანდებით?

– უისლი. ორი კარავი ორი დღის წინ დავჯავშნე.

– დიახ, – ბატონმა რობერტსმა კარზე მიმაგრებულ სიას შეხედა, – თქვენი ადგილი ზედ ტყის პირზეა. ერთი ღამით რჩებით?

– კი, ამაღამ.

– მაშინ ახლავე გადაიხდით, ხომ?

– ა, დიახ, რა თქმა უნდა, – ბატონი უისლი კოტეჯს ცოტათი მოშორდა და ჰარი ხელით თავისკენ მიიხმო, – დამეხმარე, ჰარი, – ჩაიბუტბუტა, ჯიბიდან მაგლური ფულის დახვეული დასტა დააძრო და სათითაოდ გაშლას შეუდგა, – ეს... ეს ათიანია? ა, ჰო, ვხედავ, აი, პატარა რიცხვი აწერია, აჰა, ეს ხუთიანია?

– ოციანი, – ჩურჩულით შეუსწორა ჰარიმ, რადგან იგრძნო, რომ მისტერ რობერტსი გაფაციცებით უგდებდა ყურს.

– ა, ჰო, მართალია... რავი, ვერ ვერკვევი, ეს ქაღალდები ისე პატარაა...

– უცხოელი ხართ? – ჰკითხა მისტერ რობერტსმა ბატონ უისლის, როცა ის სწორად შერჩეული ბანკნოტებით დაბრუნდა უკან.

– უცხოელი? – შეცბა ბატონი უისლი.

– თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ფულს ვერ ცნობს, – ბატონმა რობერტსმა კარგად შეათვალიერა ბატონი უისლი, – ათი წუთის წინ ორმა ლამის მანქანის საბურავისოდენა ოქროს მონეტები შემომაძლია.

– რას ამბობთ? – შეიცხადა განერვიულებულმა ბატონმა უისლიმ.

ბატონმა რობერტსმა ხურდის მოსაძებნად კონსერვის ქილა მოჩხრიკა.

– ამდენი ხალხი აქ არასდროს ყოფილა, – თქვა უცებ და ისევ ნისლში გახვეულ მინდორს გახედა, – ასობით წინასწარი დაჯავშნა გვაქვს. საერთოდ, პირდაპირ მოდიან ხოლმე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სწორად გადაგიხადეთ, ხომ? – ბატონმა უისლიმ ხელი გაუწოდა, მაგრამ მისტერ რობერტსი ხურდის დაბრუნებას აყოვნებდა.

– დიახ, – გააგრძელა ჩაფიქრებულმა, – ყველა ქვეყნიდან მოდიან. იმდენი უცხოელია... და, იცით, მარტო უცხოელები კი არა, ახირებულებიც! იქ ერთი ტიპი კილტითა და პონჩოთი დადის.

– მერე რა, – თქვა აღელვებულმა ბატონმა უისლიმ.

– რა ვიცი, აბა, ეს ყველაფერი მაინც მასობრივ შეკრებას ჰგავს, – დაასკვნა ბატონმა რობერტსმა, – თან, ყველა ერთმანეთს იცნობს. თითქოს ერთი ჯურის ხალხია.

იმავე წუთს კოტეჯის კართან უეცრად გოლფისშარვლიანი ჯადოქარი გაჩნდა.

– ობლივიატე! – თქვა მკაცრად და ჯადოსნური ჯოხი ბატონ რობერტსს მიუშვირა.

მაგლს მაშინვე თვალები დაებლიტა, წარბები აქეთ-იქით გაექცა და მისმა სახემ უშფოთველი და მთვლემარე გამომეტყველება მიიღო. ჰარიმ მაშინვე იცნო დავიწყების შელოცვის სიმპტომები.

– აი, თქვენი ბანაკის რუკა, – თვინიერად უთხრა მისტერ რობერტსმა ბატონ უისლის, – და თქვენი ხურდა.

– დიდი მადლობა, – მიუგო ბატონმა უისლიმ.

გოლფისშარვლიანმა ჯადოქარმა ისინი ბანაკის ჭიშკრამდე მიაცილა. გადაღლილი სახე ჰქონდა, გასაპარს ნიკაპზე ლურჯი ფერი გადაჰკრავდა და თვალის უპეები ჩასწითლებოდა. მისტერ რობერტსს საკმაო მანძილზე რომ გასცდნენ, აბუზღუნდა:

– ამ კაცმა დამტანჯა. დღეში ათჯერ სჭირდება დავიწყების შელოცვა, რომ არ გარეკოს. ეს ლუდო ბეგმანი კი სულ არ მეხმარება. მთელ ბანაკში დაეხეტება და ბლაჯერებსა და ქუაფლებზე ლაქლაქებს, თანაც მთელი ხმით ღრიალებს, სულ ფეხებზე ჰკიდია ანტიმაგლური უსაფრთხოების ზომები. ჯანდაბა! ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი. აბა, დროებით, არტურ.

და გოლფისშარვლიანი გაქრა.

– ბატონი ბეგმანი ჯადოქრული თამაშებისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი არ არის?– გაუკვირდა ჯინის, – განა თვითონ უკეთ არ იცის, რომ მაგლების სიახლოვეს ბლაჯერებზე ლაპარაკი არ შეიძლება?

– როგორ არ იცის, – გაეღიმა ბატონ უისლის, – მაგრამ ლუდო ყოველთვის... როგორ გითხრა... არასერიოზულად ეკიდებოდა უსაფრთხოების საკითხს. სამაგიეროდ, უფრო ენთუზიასტ სპორტული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ვერსად ნახავ. ხომ იცი, ახალგაზ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რდობაში თვითონაც ინგლისის ნაკრებში თამაშობდა და მასზე ძლიერი ბიტერი „ვიმბურნის კრაზანებს“ არ ჰყოლიათ.

ნისლში ჩაძირულ ფერდობზე კარვების გრძელ მწკრივებს შორის მიიკვლევდნენ გზას. კარვების უმრავლესობა თითქმის ჩვეულებრივი ჩანდა, ეტყობა, მათი პატრონები შეეცადნენ, მათთვის, რაც შეიძლება, მაგლური იერი მიეცათ, მაგრამ შეცდომები მაინც გაჰპარვოდათ: ზოგან საკვამური გამოჩრილიყო, ზოგან ზარის ჩამოსაკვრელი თოკი კონწიალობდა და ზოგანაც ფლუგერი დაემატებინათ. თუმცა ზოგი კარავი ისე აშკარად ჯადოსნური იყო, ჰარის აღარ უკვირდა, რომ ბატონი რობერტსი რაღაცას ეჭვობდა. შუა მინდორში მდიდრული, ზოლიანი აბრეშუმის მინიატურული სასახლის მსგავსი ნაგებობა იდგა, რომლის შესასვლელთან ცოცხალი ფარშევანგები დასეირნობდნენ. ცოტა მოშორებით სამსართულიან კარავზე რამდენიმე კოშკურა აღემართათ, ხოლო იქვე, ერთ-ერთი კარვის წინ, მთელი ბაღი გაეშენებინათ ფრინველების საბანაო გუბურათი, მზის საათითა და შადრევნით.

– ყოველთვის ასეა, – გაეღიმა ბატონ უისლის, – გვიყვარს თავშეყრის ადგილებში ერთმანეთთან თავის მოწონება. აი, მოვედით! ნახეთ, ესეც ჩვენი ადგილი!

მიწის ნაკვეთი ზედ ტყის პირას იყო. მიწაში ჩარჭობილ ჭოკზე აბრა მიემაგრებინათ. ზედ ეწერა „უისლი“.

– ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდით! – გაუხარდა ბატონ უისლის, – სტადიონი ტყის მეორე მხარესაა, ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ. მაშ, ასე, – განაგრძო აღტაცებულმა და ზურგჩანთა მოიხსნა, – გახსოვდეთ, ჯადოქრობა აკრძალულია, მით უმეტეს, ახლა, როცა მაგლების მიწაზე ამდენმა ერთად მოვიყარეთ თავი. ასე რომ, ამ კარავს შიშველი ხელებით დავდგამთ! ძნელი არ უნდა იყოს, მაგლებს ხომ გამოსდით. აბა, ჰარი, რით დავიწყოთ?

ჰარი ლაშქრობაში არასოდეს ყოფილა, დერსლები არდადეგებზე თუ სადმე გაემგზავრებოდნენ, ბიჭს ერთ გადაყრუებულ მეზობელთან, მისის ფიგთან ტოვებდნენ ხოლმე. მაგრამ ახლა ჰერმიონი დაიხმარა და ერთად როგორღაც მოიფიქრეს, სად უნდა ჩაესოთ ბოძები და პალოები.

ბატონი უისლი უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე ეხმარებოდა, რადგან ხის ჩაქუჩმა მეტისმეტად აღაფრთოვანა. ბოლოს, ასე თუ ისე, მაინც მოახერხეს ორი გაქუცული ორადგილიანი კარვის გაშლა.

ყველამ უკან დაიხია, რომ თავიანთი ნახელავით დამტკბარიყვნენ. ამ კარვების შემხედვარე არავინ იტყოდა, რომ ჯადოქრობისა რამე ეცხო. ერთადერთი, რაც ჰარის აფიქრებდა, ის იყო, რომ მალე ბილი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩარლი და პერსი შეუერთდებოდნენ და უკვე ათნი გახდებოდნენ. ეტყობა, ჰერმიონიც დააფიქრა ამ პრობლემამ და როცა ბატონი უისლი ოთხზე დადგა და ერთ-ერთ კარავში შეცოცდა, შეფიქრიანებული თვალებით შეხედა ჰარის.

– ცოტა ვიწროდ ვიქნებით, – გაისმა კარვიდან, – მაგრამ როგორმე ყველანი მოვთავსდებით. შემოდით, ნახეთ.

ჰარი კარავში შეძვრა და გაოცებისგან პირი დააღო. ძველმოდურ სამოთახიან ბინაში აღმოჩნდა, რომელსაც აბაზანა და სამზარეულოც კი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ბინაში ზუსტად ისეთივე ავეჯი იდგა, როგორიც მისის ფიგთან, სადაც ორი სკამიც არ იყო ერთნაირი. სკამებს ნაქსოვი გადასაფარებლები ეფარა და იქაურობა კატების სუნით ყარდა.

– არა უშავს, როგორმე ცოტა ხანს გავძლებთ, – ბატონმა უისლიმ მელოტი თავი ცხვირსახოცით შეიმშრალა და საძინებელში მდგარ ოთხ ორსართულიან საწოლს გახედა, – ესენი თანამშრომლისგან ვითხოვე, საბრალო პერკინსი, ლაშქრობა აღარ შეუძლია, წელის ტკივილი აწუხებს.

ბატონმა უისლიმ დამტვერილი ჩაიდანი აიღო და შიგ ჩაიჭყიტა, – წყალი დაგვჭირდება...

– მამა, იმ რუკაზე, მაგლმა რომ მოგვცა, ონკანია აღნიშნული, – თქვა რონმა, რომელიც ჰარის შემდეგ შემოძვრა კარავში და სულაც არ გაჰკვირვებია მისი უჩვეულო შიდა სივრცე, – მინდვრის მეორე ბოლოშია.

– მაშინ, იქნებ, შენ, ჰარიმ და ჰერმიონმა ცოტა წყალი მოიტანოთ, – ბატონმა უისლიმ ბავშვებს ჩაიდანი და ორი ვედრო მიაწოდა, – ჩვენ კი მანამდე კოცონისთვის შეშას მოვაგროვებთ.

– კი მაგრამ, ღუმელი ხომ გვაქვს! – შეედავა რონი, – არ შეიძლება, პირდაპირ...

– ანტიმაგლური უსაფრთხოება, რონ! – ბატონ უისლის სახე ენთუზიაზმით უბრწყინავდა, – როდესაც ნამდვილი მაგლები ლაშქრობენ, საჭმელს ღია ცის ქვეშ, კოცონზე ამზადებენ. მე მინახავს, როგორ აკეთებენ ამას.

გოგონების კარვის მონახულების შემდეგ, რომელიც ბიჭებისაზე ოდნავ უფრო პატარა იყო და არც კატის სუნად ყარდა, ჰარი, რონი და ჰერმიონი ჩაიდნითა და ვედროებით გაუყვნენ ბანაკად ქცეულ მინდორს.

მზე უკვე ამოსულიყო, ნისლი იფანტებოდა და მეგობრებს თვალწინ კარვების მთელი ქალაქი გადაეშალათ. რიგებს შორის ნელა მიდიოდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ კარვებსა და მათ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მფლობელებს. ჰარიმ ახლაღა გააცნობიერა, რა ბევრი ჯადოქარი იყო დედამიწის ზურგზე. ადრე სერიოზულად არც დაფიქრებულა იმაზე, რომ ისინი სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობდნენ.

ბანაკი თანდათან იღვიძებდა. პირველები ბავშვებიანი ოჯახები დგებოდნენ. ჰარის არასდროს ენახა ასეთი მცირეწლოვანი ჯადოქრები. დიდ, პირამიდის ფორმის კარავთან ორიოდე წლის ბიჭი ჩაცუცქულიყო, ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა და გატაცებით ჩხვლეტდა ბალახებში გაწოლილ ლოქორას. ყოველ ჩხვლეტაზე ლოქორა იბერებოდა და თანდათან სარდელს ემსგავსებოდა. გვერდით რომ ჩაუარეს, კარვიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა ბიჭის დედა.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, კევინ. ნუ იღებ მამიკოს ჯადოსნურ ჯოხს!

ქალმა ფეხი გაბერილ ლოქორას დაადგა. ლოქორა გასკდა. ჰარის, რონსა და ჰერმიონს კიდევ კარგა ხანს ესმოდათ დედის ჩხუბი და შვილის ღრიალი: „ლოქორა გამიხეთქე, ლოქორა გამიხეთქე!“

შორიახლოს კევინზე ცოტა უფროსი ორი გოგონა სათამაშო ცოცხებზე გადამჯდარიყო. ცოცხები ისე დაბლა დაფრინავდნენ, რომ ბავშვები ფეხის წვერებით ნამიან ბალახს ეხებოდნენ. სამინისტროს თანამშრომელმა უკვე შენიშნა დარღვევა და გაცოფებულმა ბუზღუნით ჩაურბინა ჰარის, რონსა და ჰერმიონს: „დღისით-მზისით! მშობლები კი, რა თქმა უნდა, ჯერ ისევ ლოგინში კოტრიალობენ.“

აქა-იქ კარვებიდან ჯადოქრები გამოდიოდნენ და საუზმის მომზადებას იწყებდნენ. ზოგი ქურდულად მიმოიხედავდა და ჯადოსნური ჯოხით ცეცხლს ანთებდა, ზოგი კი ასანთს დაეჭვებული გამომეტყველებით გაჰკრავდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ აინთებოდა. გრძელ თეთრ მანტიებში გამოწყობილი აფრიკელი ჯადოქრები კაშკაშა კოცონს შემოსხდომოდნენ და, სერიოზულ საუბარში გართულები, კურდღლისმაგვარ რაღაცას წვავდნენ. შორიახლოს შუახნის ამერიკელი ჯადოქარი ქალები მხიარულად ლაქლაქებდნენ, მათ თავზემოთ, ორ კარავს შორის გაჭიმულ ბრჭყვიალა პლაკატზე ეწერა: „სალემელი კუდიანები“. დანარჩენი კარვებიდან უცხო ენაზე საუბარი ისმოდა. მართალია, ჰარი სიტყვების მნიშვნელობას ვერ იგებდა, მაგრამ ყველას ისეთი აღტკინებული ტონი ჰქონდა, რომ აშკარად მომავალ მატჩზე ლაპარაკობდნენ.

– ე, თვალი მატყუებს, თუ ირგვლივ ყველაფერი მართლა გამწვანდა? – იკითხა რონმა.

არა, რონს თვალი არ ატყუებდა. მინდვრის ამ მონაკვეთზე კარვებს სუროსავით მოსდებოდა სამყურა, თითქოს მიწიდან უცნაური ფორმის მწვანე ბორცვები ამოზრდილანო. ღია კარვებიდან მოღი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მარი სახეები მოჩანდა. უცებ, ზურგს უკან თავიანთი სახელები მოესმათ:

– ჰარი, რონ, ჰერმიონ!

გრიფინდორელი მეოთხეკურსელი სიმუს ფინიგანი სამყურათი დაფარული ერთ-ერთი კარვის წინ თავის საუკეთესო მეგობარ, ასევე გრიფინდორელ დინ ტომასთან და ღიაწაბლისფერთმიან ქალთან ერთად იჯდა. ქალი, ალბათ, დედამისი იყო.

– მოგწონთ ჩვენი მორთულობა? – გაიკრიჭა სიმუსი, როცა ჰარი, რონი და ჰერმიონი მივიდნენ და მიესალმნენ, – სამინისტროს თანამშრომლები სულ გადაგვერივნენ.

– არ მესმის, რატომ გვიკრძალავენ ჩვენი ფერების დემონსტრირებას, – უკმაყოფილოდ თქვა სიმუსის დედამ, – ერთი განახათ, ბულგარელებს რეები გამოუკიდიათ კარვებზე. თქვენ, რა თქმა უნდა, ირლანდიას გულშემატკივრობთ, არა? – დაამატა და ეჭვით შეათვალიერა შვილის მეგობრები.

მათაც დაარწმუნეს, რომ ნამდვილად ირლანდიას გულშემატკივრობდნენ, და გზას გაუდგნენ, თუმცა, როგორც რონმა მოგვიანებით აღნიშნა, იმათთან სხვა რამის თქმას ვერც კი გაბედავდნენ.

– ნეტავ რეები გამოკიდეს კარვებზე ბულგარელებმა? – დაინტერესდა ჰერმიონი.

– წავიდეთ და ვნახოთ, – შესთავაზა ჰარიმ და მინდვრის ბოლოში კარვების დიდ ჯგუფზე მიუთითა, სადაც ბულგარეთის წითელმწვანეთეთრფერებიანი დროშა ფრიალებდა.

აქ კარვები მცენარეული საფარით არ შეემკოთ. სამაგიეროდ, ყველა მათგანზე ერთი და იგივე პლაკატი მიემაგრებინათ, რომლიდანაც ხშირშავწარბებიანი მოღუშული სახე იყურებოდა. სურათი, რასაკვირველია, მოძრაობდა, მაგრამ მხოლოდ თვალებს ახამხამებდა და შუბლს იკრავდა.

– კრამი, – ჩუმად თქვა რონმა.

– რა თქვი? – ჩაეკითხა ჰერმიონი.

– კრამი, – გაიმეორა რონმა, – ვიქტორ კრამი, ბულგარელების სიკერი.

– ისე, კაი უჟმური ვინმე კი ჩანს, – დაასკვნა ჰერმიონმა და მათ ირგვლივ უამრავი თვალებახამხამებული და შუბლშეკრული კრამი მოათვალიერა.

– უჟმური? – რონს თვალები ლამის შუბლზე აუცვივდა, – ვის რაში აინტერესებს, უჟმურია თუ არა. ის არაჩვეულებრივია. თანაც ძალიან ახალგაზრდაა. მგონი, თვრამეტისა თუ რაღაც... გენიოსია, აი, დაიცადე და ამაღამ ნახავ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მინდვრის განაპირას, ონკანთან, უკვე პატარა რიგი გაჭიმულიყო. ჰარი, რონი და ჰერმიონი ორი კაცის უკან დადგნენ, რომლებსაც გაცხარებული კამათი გაემართათ. ერთ-ერთს, ძალიან მოხუცს, გრძელი, ყვავილებით მოჩითული ღამის პერანგი ეცვა, მეორეს, რომელიც აშკარად სამინისტროს თანამშრომელი იყო, ხელში ზოლიანი შარვალი ეჭირა და სასოწარკვეთილი ყვიროდა:

– ეს ჩაიცვი, არჩი, ნუ სულელობ! ასე ხომ არ ივლი, ჭიშკართან მაგლი უკვე რაღაცას ეჭვობს...

– მე ესეც მაგლების მაღაზიაში ვიყიდე, – გაჯიუტდა მოხუცი ჯადოქარი, – ამას მაგლები ატარებენ.

– მაგლი ქალები ატარებენ, არჩი, კაცები კი არა! კაცები, აი, ამას იცვამენ, – და სამინისტროს ჯადოქარმა ზოლიანი შარვალი დაიქნია.

– მე მაგას არ ჩავიცვამ, – თქვა აღშფოთებულმა ბებერმა არჩიმ, – დიდი მადლობა, მაგრამ მე მიყვარს, როცა ერთ ადგილს ქარი მინიავებს.

ჰერმიონი ამაზე ისე ახითხითდა, რომ რიგიდან გავარდა და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა არჩიმ ჭურჭელი წყლით აავსო და იქაურობას მოშორდა.

წყლით დამძიმებულებმა უკან დაბრუნებას უფრო მეტი დრო მოანდომეს. გზადაგზა სულ უფრო და უფრო მეტი ნაცნობი ხვდებოდათ: ჰოგვორტსის უამრავი სტუდენტი ჩამოსულიყო ოჯახებთან ერთად. გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდის კაპიტანმა, ოლივერ ვუდმა, რომელსაც ჰოგვორტსი ახალი დამთავრებული ჰქონდა, ჰარი თავის კარავთან ძალით მიიყვანა, მშობლებს გააცნო და მერე აღტაცებულმა შეატყობინა, რომ ცოტა ხნის წინ „პადლმერ იუნაიტედის“ რეზერვში ჩაირიცხა. მერე მათ ერნი მაკმილანმა, ჰაფლეპაფელმა მეოთხეკურსელმა დაუძახა, ცოტა მოშორებით რეივენქლოს გუნდის სიკერი, ძალიან ლამაზი გოგონა, ჩო ჩენგიც დაინახეს. ჩომ ჰარის ხელი დაუქნია და გაუღიმა, ჰარიმაც დაუქნია ხელი და ბლომად წყალი გადაისხა. რონმა ერთი კი ჩაიცინა, მაგრამ ჰარიმ მაშინვე მოზარდების ერთი ჯგუფისკენ გაიშვირა ხელი, რომ რონის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა.

– როგორ ფიქრობ, ვინ უნდა იყვნენ? – იკითხა სასწრაფოდ, – ესენი ხომ ჰოგვორტსის სტუდენტები არ არიან?

– ალბათ, რომელიმე საზღვარგარეთულ სკოლაში დადიან, – ივარაუდა რონმა, – ვიცი, რომ სხვაგანაც არის სკოლები, მაგრამ იქაურს არავის შევხვედრივარ. ასე, ასი წლის წინ ბილს ერთ ბრაზილიელთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. გაცვლით პროგრამაშიც უნდოდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ დედას და მამას საამისო ფული არ ჰქონდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა მისწერა, ვერ მოვდივარო, ის ბრაზილიელი ისე გაბრაზდა, რომ მოჯადოებული ქუდი გამოუგზავნა. ბილმა დაიხურა და ყურები შეეკუმშა.

ჰარის გაეცინა და გაუკვირდა, სხვა ჯადოქართა სკოლების არსებობის ამბავი რომ გაიგო, მაგრამ გაოცება არ შეიმჩნია. ახლა, როცა ბანაკში ამდენი ეროვნების წარმომადგენელი ნახა, ფიქრობდა, რა სულელი ვიყავი, ადრეც უნდა მივმხვდარიყავი, რომ ჰოგვორტსი ამქვეყანაზე ერთადერთი სკოლა ვერ იქნებოდაო. ჰარიმ ჰერმიონს გახედა, ჰერმიონი სულაც არ ჩანდა გაოცებული. ალბათ, რომელიმე წიგნში ექნებოდა ამოკითხული სხვა სკოლების არსებობის ამბავი.

– სად დაიკარგეთ? – იკითხა ფრედმა, როცა, ბოლოს და ბოლოს, კარავში დაბრუნდნენ.

– ვიღაც-ვიღაცეები შეგვხვდნენ, – რონმა წყლის ჭურჭელი ძირს დადგა, – თქვენ რა, ცეცხლი ჯერ არ დაგინთიათ?

– მამა ასანთით ერთობა, – თვალები გადაატრიალა ფრედმა.

ბატონ უისლის ვერაფრით ვერ დაენთო ცეცხლი, თუმცა ცდა არ დაეკლო. მის ირგვლივ მიწაზე უამრავი ასანთის ღერი ეყარა, მაგრამ თვითონ ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ ეტყობოდა, დროს მშვენივრად ატარებდა.

– უი, – თქვა მან, როცა როგორღაც აანთო ღერი და გაოცებულმა მაშინვე დააგდო.

– მოდით, დაგეხმარებით, ბატონო უისლი, – გულთბილად შესთავაზა ჰერმიონმა, ასანთი გამოართვა და უჩვენა, როგორ უნდა ესარგებლა.

როგორც იქნა, ცეცხლი დაანთეს, მაგრამ ერთ საათს მაინც იცადეს, სანამ იმდენად აგიზგიზდებოდა, რომ ზედ რამის მომზადება მოეხერხებინათ. ეს ერთი საათი გამვლელ-გამომვლელის თვალიერებაში გაიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მათი კარვები სტადიონისკენ მიმავალი გზის პირას იდგა. გზაზე სამინისტროს თანამშრომლები გარბი-გამორბოდნენ და ბატონ უისლის მეგობრულად ესალმებოდნენ. ბატონი უისლი კი ყოველ გამვლელზე კომენტარს აკეთებდა, უფრო ჰარისა და ჰერმიონის გასაგონად, თორემ მის შვილებს უკვე ყელში ჰქონდათ ამოსული სამინისტროს ამბები.

– ეს კათბერტ მოკრიჯი იყო, გობლინებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი... აი, გილბერტ უიმპლიც მოდის, ეს ექსპერიმენტული შელოცვების კომისიის წევრია, ეგ რქები ამ ბოლო დროს ამოუვიდა... გამარჯობა, არნი... არნოლდ პისგუდი, ობლივიატორი და ჯადოქრული შეცდომების გამოსწორების რაზმის წევრია... აი, ისინი კი, ბოუდი და კროუკერი, უთქმელები არიან...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა არიან?

– უთქმელები. საიდუმლო დეპარტამენტიდან არიან. წარმოდგენა არა მაქვს, რას საქმიანობენ, მაგათთან ყველაფერი გასაიდუმლოებულია.

ბოლოს და ბოლოს, ელირსათ და ცეცხლი აბრიალდა. ის-ის იყო, კვერცხისა და სოსისის შენწვა დაიწყეს, რომ ბილი, ჩარლი და პერსი მოვიდნენ.

– ეს-ესაა, აპარაცია გამოვიყენეთ, მამა, – ხმამაღლა გამოაცხადა პერსიმ, – აუ, რა კარგია საუზმე!

შუა ჭამაში რომ იყვნენ, მოულოდნელად ბატონი უისლი წამოხტა და ხელის ქნევით მიესალმა ვიღაცა კაცს, რომელიც მათკენ მოალაჯებდა.

– აჰა! – სიხარულით გამოაცხადა ბატონმა უისლიმ, – დღევანდელი დღის მთავარი გმირი! ლუდო!

ლუდო ბეგმანი ყველაზე თვალშისაცემი პიროვნება იყო მათ შორის, ვინც ჰარიმ დღეს ნახა. თვით ყვავილებით მოჩითულპერანგიანი ბებერი არჩიც კი ვერ მოვიდოდა მასთან. ბეგმანს ქვიდიჩის გრძელი ფორმა ეცვა, რომელსაც მსხვილი, კაშკაშა ყვითელი და შავი ჰორიზონტალური ზოლები დაუყვებოდა და მკერდზე უზარმაზარი კრაზანა ეხატა. ათლეტური აღნაგობისა იყო, მაგრამ ასაკს უკვე თავისი კვალი დაესვა: ქვიდიჩის ფორმა ვეება ღიპზე ასკდებოდა. ეს ღიპი ადრე, ინგლისის ნაკრებში თამაშის დროს, ნამდვილად არ ექნებოდა. ცხვირი ჩაჭყლეტილი ჰქონდა (ალბათ, რომელიმე გზააბნეულმა ბლაჯერმა გაუტეხაო, გაიფიქრა ჰარიმ), მაგრამ მრგვალი, ცისფერი თვალები, მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმა და ვარდისფერი სახე სკოლის მოსწავლის იერს აძლევდა.

– არტურს გაუმარჯოს! – მხიარულად დაუძახა ბეგმანმა და მათკენ ისე ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა, გეგონებოდა, ფეხისგულებზე ზამბარები ჰქონდა მიმაგრებული. ეტყობოდა, გადასარევ გუნებაზე იყო.

– არტურ, შე ძველო, – ამოიქოშინა, როცა მათ კარავს მიაღწია, – რა დღეა, არა? რა მშვენიერი დღეა! ამაზე უკეთეს ამინდს ვერც ვინატრებდით. უღრუბლო ღამე იქნება. წინასწარი სამუშაოებიც, შეიძლება, ითქვას, შეუფერხებლად მიმდინარეობს. მეც ბევრი აღარაფერი მაქვს გასაკეთებელი!

მის ზურგს უკან დაღლილობისგან სახეწაშლილმა სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაიქროლეს, რადგან სადღაც შორს, ვიღაცას ჯადოსნური ცეცხლი დაენთო და ცაში ექვსი მეტრის სიმაღლეზე ისროდა იისფერ ნაპერწკლებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პერსი საჩქაროდ წინ გამოვიდა გამოწვდილი ხელით. მართალია, ლუდო ბეგმანს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას უწუნებდა, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება მაინც ხომ უნდა მოეხდინა.

– ა, ჰო, – ჩაეღიმა ბატონ უისლის, – ჩემი ვაჟია, პერსი, ახლახან დაიწყო სამინისტროში მუშაობა. ეს ფრედია... არა, უკაცრავად, ამერია, ჯორჯი ყოფილა... ფრედი აი, ისაა. ბილი, ჩარლი, რონი, ჩემი გოგონა – ჯინი, და რონის მეგობრები: ჰერმიონ გრეინჯერი და ჰარი პოტერი.

ჰარის სახელის გაგონებაზე ბეგმანს წამით სუნთქვა შეეკრა და მასაც ბიჭის ნაიარევისკენ გაექცა თვალი.

– გაიცანით, – გააგრძელა ბატონმა უისლიმ, – ეს ლუდო ბეგმანია, თქვენ იცით, ვინც არის. მისი დამსახურებაა, რომ ასეთი კარგი ბილეთები გვაქვს...

ბეგმანი გაიბადრა და ხელი ჩაიქნია, ეგ რა სალაპარაკოაო.

– არტურ, შენ არ ჩამოდიხარ ფსონს? – დაინტერესდა ბეგმანი და შავ-ყვითელი მანტიის ჯიბეებში ოქროს მონეტები ააჩხრიალა, – როდი პონტნერი დამენაძლევა, რომ ბულგარეთი პირველი გახსნის ანგარიშს. კაი ფსონია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირლანდიელი სამეული უძლიერესია ბოლო წლების მანძილზე. საბრალო აგათა ტიმსი კი თავისი გველთევზის ფერმის ნახევარს ჩამოვიდა, რომ თამაში ერთ კვირას გასტანს.

– ოოო, აბა, მაშინ, ვნახოთ, – თქვა ბატონმა უისლიმ, – ერთ გალეონს ვდებ ირლანდიაზე.

– ერთ გალეონს? – იმედგაცრუებულმა გაიმეორა ლუდო ბეგმანმა, მაგრამ მაშინვე თავს მოერია, – ძალიან კარგი, იყოს გალეონი, კიდევ ვინმე ჩამოვა რამეს?

– არა, ესენი აზარტული თამაშებისთვის ჯერ პატარები არიან... თანაც მოლის არ მოეწონება...

– ჩვენ ჩამოვდივართ ოცდაჩვიდმეტ გალეონს, თხუთმეტ სიკლს და სამ კნატს, რომ ირლანდია მოიგებს, მაგრამ სნიჩს ვიკტორ კრამი დაიჭერს, – ფრედმა და ჯორჯმა სასწრაფოდ მოაქუჩეს მთელი თავიანთი ავლადიდება, – ჰო, და, ამ სატყუარა ჯოხსაც დავუმატებთ.

– არ გაბედოთ და ბატონ ბეგმანს ეგ ნაგავი არ უჩვენოთ, – დაისისინა პერსიმ, მაგრამ ბეგმანი, პირიქით, სატყუარა ჯოხმა ძალიან დააინტერესა და სახეგაბრწყინებულმა გამოართვა ფრედს. ხოლო, როცა ჯოხმა ყურისწამღებად დაიწრიპინა და რეზინის წიწილად იქცა, ბეგმანი გულიანად ახარხარდა.

– გადასარევია, ასეთი სასაცილო რამე კაი ხანია, არ მინახავს! ამაში ხუთ გალეონსაც მივცემდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პერსი ელდანაცემივით იდგა.

– ბიჭებო, – გადაუჩურჩულა ტყუპებს ბატონმა უისლიმ, – არ მინდა, რომ ფულზე ითამაშოთ... ეს ხომ მთელი თქვენი დანაზოგია... დედათქვენი...

– აცალე, ცოტა გაერთონ, არტურ! – დაიგუგუნა ლუდო ბეგმანმა და ჯიბეები აზარტულად ააჩხარუნა, – უკვე დიდები არიან და იციან, რა უნდათ. მაშ, თქვენ ამბობთ, ირლანდია მოიგებს, მაგრამ სნიჩს კრამი დაიჭერსო, არა? პატარა შანსი გაქვთ, ბიჭებო, პატარა შანსი... მაგრამ, სამაგიეროდ, მეტს მოიგებთ... მაგ სასაცილო ჯოხში ხუთ გალეონსაც დავუმატებ და გამოვა...

ბატონი უისლი საწყლად უყურებდა, როგორ ამოაძვრინა ჯიბიდან ლუდო ბეგმანმა ბლოკნოტი და კალამი და ენერგიულად ჩაჯღაბნა ტყუპების სახელები.

– გმადლობთ, – თქვა ჯორჯმა, ბეგმანს პერგამენტის ნაგლეჯი გამოართვა და გულის ჯიბეში შეინახა.

მეტისმეტად გამხიარულებული ბეგმანი ბატონ უისლის მიუბრუნდა:

– ჩაის ხომ ვერ დამალევინებდით? თვალი მიჭირავს, ბარტი კრაუჩი არ გამომეპაროს. ჩემს ბულგარელ კოლეგას, მგონი, რაღაც უჭირს, მე კი იმისი ერთი სიტყვაც არ მესმის. ამ ამბავს მხოლოდ ბარტი უშველის. თუ არ ვცდები, ას ორმოცდაათ ენაზე ლაპარაკობს.

– ბატონი კრაუჩი? – პერსის სულ დაავიწყდა თავისი ამრეზილი პოზა და აღფრთოვანებულმა გამოაცხადა: – ბატონმა კრაუჩმა ორასზე მეტი ენა იცის! სირინოზების, გობლინების, ტროლების...

– ტროლური ყველამ იცის, – დამცინავად თქვა ფრედმა, – რა უნდა, გაიშვირე თითი და იღრუტუნე.

პერსიმ ფრედს გამძვინვარებული მზერა ესროლა და ცეცხლს ენერგიულად შეუკეთა ფიჩხი, რომ ჩაიდანი ხელახლა წამოედუღებინა.

– ბერტასგან რამე ხომ არ ისმის, ლუდო? – ჰკითხა ბატონმა უისლიმ, როცა ბეგმანი მათ გვერდით ბალახზე მოკალათდა.

– ერთი გაჩხინკული ბუც არ მოგვსვლია, – უდარდელად მიუგო ბეგმანმა, – ნუ გეშინიათ, გამოჩნდება. საბრალო ბებერი ბერტა, რაღა გახვრეტილი კარდალა და რაღა მაგის ტვინი, ორიენტაციის უნარი კი სულ არა აქვს. გზა აებნა, აი, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, სადღაც, ოქტომბერში მოაგნებს თავის ოფისს და ეგონება, რომ ჯერ კიდევ ივლისია.

პერსიმ ბეგმანს ჩაი მიართვა.

– ხომ არ ჯობია, რომ ვინმე გაუშვათ მის საძებნელად? – ფრთხილად შეაპარა ბატონმა უისლიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბარტი კრაუჩიც სულ მაგას მეუბნება, – მიამიტად ააფახულა მრგვალი ცისფერი თვალები ბეგმანმა, – მაგრამ ახლა მაგისთვის ვერავის მოვაცდენ, ყველა დასაქმებულია. ვა, ძაღლი ახსენეო... ბარტი!

კოცონთან გაჩნდა ჯადოქარი, რომელიც ბალახზე გაშხლართული და კრაზანის ფორმაში გამოწყობილი ლუდო ბეგმანისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა – დედამიწისგან. ბარტი კრაუჩი გახლდათ თავდაჭერილი, წელში გამართული, ახალთახალ კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ხანში შესული მამაკაცი. მოკლე, ჭაღარა თმა წარმოუდგენლად სწორად გადაეყო, კბილის ჯაგრისივით ვიწრო ულვაში სახაზავის სიზუსტით გაეკრიჭა და საგულდაგულოდ გაწმენდილი ფეხსაცმელი უბზინავდა. ჰარი მიხვდა, რატომ აღმერთებდა პერსი ამ კაცს. პერსი ხომ წესების მკაცრი დამცველი იყო, და ბატონ კრაუჩსაც ისე ზედმიწევნით დაეცვა მაგლური ჩაცმის წესი, რომ ბანკის მენეჯერი გეგონებოდათ. ჰარის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მასში ჯადოქარს ძია ვერნონიც კი ვერ ამოიცნობდა.

– მოდი, დაჯექი ბალახზე, ბარტი, – მხიარულად დაუტყაპუნა ლუდომ ხელი მიწას.

– არა, გმადლობ, ლუდო, – ცოტა არ იყოს, მოუთმენლად უპასუხა კრაუჩმა, – ყველგან გეძებდი. ბულგარელები მოითხოვენ, რომ ზედა იარუსის ლოჟაში კიდევ თორმეტი ადგილი დავუმატოთ.

– ააა, აი, თურმე რა უნდოდათ, – თქვა ბეგმანმა, – ვერაფერი ვერ გავიგე, რას მეუბნებოდნენ. ძაან მძიმე აქცენტი აქვთ.

– ბატონო კრაუჩ, – სუნთქვაშეკრული პერსი სანახევროდ მოიკაკვა და კუზიანს დაემსგავსა, – ჩაის ხომ არ ინებებთ?

ბატონმა კრაუჩმა ოდნავ გაოცებულმა შეხედა პერსის:

– გმადლობთ, უიზერბი.

ფრედმა და ჯორჯმა თავ-თავიანთ ფინჯნებში ჩაყვეს ცხვირი. ყურებამდე გაწითლებული პერსი კი ისევ ჩაიდანს მიუბრუნდა.

– ჰო, შენთვისაც მინდოდა რაღაც მეთქვა, არტურ, – ბატონმა კრაუჩმა მახვილი მზერა ახლა ბატონ უისლის მიაპყრო, – ალი ბაშირი საბრძოლველად არის განწყობილი. შენთან მოლაპარაკების დაწყება უნდა მფრინავი ხალიჩების იმპორტზე ემბარგოს გაუქმების თაობაზე.

ბატონმა უისლიმ ღრმად ამოიოხრა.

– ჯერ კიდევ გასულ კვირას გავუგზავნე ბუ. ათასჯერ მაინც მყავს გაფრთხილებული, რომ მფრინავი ხალიჩა მაგლებისთვის ზღაპრულ ნივთად ითვლება და მოსაჯადოებლად აკრძალული საგნების სიაში შედის. მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეჭვიც არ მეპარება, – ბატონმა კრაუჩმა პერსის ჩაი გამოართვა, – ძალიან მონდომებულია, რომ ბრიტანეთში ხალიჩის ექსპორტი დაიწყოს.

– მაგრამ ჩვენთან ხალიჩა ხომ ვერასოდეს შეცვლის ცოცხს? – იკითხა ლუდო ბეგმანმა.

– ალის მიაჩნია, რომ ჩვენთან მოთხოვნაა საოჯახო ტრანსპორტზე, – განაგრძო ბატონმა კრაუჩმა, – მახსოვს, პაპაჩემს ექსმინსტერის ხალიჩა ჰქონდა, რომელიც თორმეტ კაცს იტევდა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს მანამდე იყო, სანამ ხალიჩებს აკრძალავდნენ.

ბოლო სიტყვები ისე ხაზგასმით წარმოთქვა, თითქოს სურდა, არავის შეჰპარვოდა ეჭვი, რომ მისი წინაპრები კანონის მკაცრი დამცველები იყვნენ.

– ესე იგი, ბევრი საქმე გქონდა, არა, ბარტი? – უზრუნველად ჰკითხა ბეგმანმა.

– საკმაოდ, – მშრალად მიუგო ბატონმა კრაუჩმა,– პორტაჟების ხუთ კონტინენტზე ორგანიზება პატარა საქმე არ არის, ლუდო.

– ალბათ, ორივენი ამოისუნთქავთ, როცა ეს ყველაფერი დამთავრდება, – შენიშნა ბატონმა უისლიმ.

ლუდო ბეგმანმა გაოცება ვერ დაფარა.

– ამოვისუნთქავთ? რას ამბობ, ასეთი კარგი დრო არასოდეს გამიტარებია! მაგრამ მთლად მასეც არაა, წინ კიდევ ერთი საქმე გვაქვს, არა, ბარტი? კიდევ რამდენი მუშაობა მოგვიწევს!

ბატონმა კრაუჩმა ბეგმანს შეხედა და წარბები მრავალმნიშვნელოვნად ასწია.

– ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ არაფერს ვიტყოდით, სანამ ყველა დეტალს...

– ოოო, ეს დეტალები! – ბეგმანმა ისე აიქნია ხელი, თითქოს ქინქლების გუნდს აფრთხობსო, – ხელი ხომ მოაწერეს? შეთანხმებას ხომ მიაღწიეს? რაზედაც გინდა, დავნაძლევდეთ, ეს ბავშვები დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაიგებენ... მოკლედ, ბავშვებო, ეს ყველაფერი ჰოგვორტსში ჩატარდება...

– ლუდო, ხომ იცი, რომ ბულგარელები გველოდებიან, – მკაცრად შეაწყვეტინა ბატონმა კრაუჩმა ბეგმანს და ხელუხლებელი ჩაი პერსის დაუბრუნა, – გმადლობთ ჩაისთვის, უიზერბი.

ბეგმანი ხვნეშითა და ოქროს მონეტების ჩხრიალით წამოდგა, ფინჯანში დარჩენილი ჩაი გადაყლურწა, მერე ყველას დაემშვიდობა:

– აბა, დროებით, ზედა იარუსის ლოჟაში შევხვდებით ერთმანეთს. მე კომენტატორი ვარ.

ბარტი კრაუჩმა ცივად დაუკრა თავი იქ მყოფებს და ორივე გაქრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ჩატარდება ჰოგვორტსში, მამა? – მაშინვე იკითხა ფრედმა, – რაზე ლაპარაკობდნენ?

– მალე გაიგებ, – გაეღიმა ბატონ უისლის.

– ეს დახურული ინფორმაციაა, სანამ თავად სამინისტრო არ გადაწყვეტს, გაახმაუროს თუ არა, – მედიდურად განაცხადა პერსიმ, – ბატონი კრაუჩი სწორად მოიქცა, რომ არ გაამხილა.

– ოოო, მოკეტე რა, უიზერბი, – მოუჭრა ფრედმა.

შუადღე გადავიდა. დაძაბულობა საავდრო ღრუბელივით გროვდებოდა ბანაკის თავზე. თითქოს, ჰაერიც კი ცახცახებდა უდიდესი ამბის მოლოდინით, ხოლო როცა წყვდიადი ფარდასავით გადაეფარა ათასობით აცმუკებულ ჯადოქარს, უსაფრთხოების ზომები ყველას გადაავიწყდა. სამინისტრომაც, ჩანს, ფარ-ხმალი დაყარა და შეურიგდა იმ ფაქტს, რომ ჯადოქრობის შენიღბვა უკვე შეუძლებელი იყო.

გამყიდველები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყენებდნენ აპარაციას და გასაოცარი საქონლით დატვირთულ ლანგრებსა და ურიკებს დაატარებდნენ. რას არ ნახავდით აქ: მანათობელი, მწვანე და წითელი გულსაბნევი ემბლემები მოთამაშეთა სახელებს წიოდნენ, მწვანე – ირლანდიის ფერი იყო, წითელი – ბულგარეთისა; წაწვეტებულ მწვანე ქუდებზე სამყურები ცეკვავდნენ, ბულგარულ შარფებზე ამოქარგული ლომები ნამდვილი ლომებივით ღრიალებდნენ; ორივე ქვეყნის დროშები, თუ შეარხევდი, თავ-თავიანთი ქვეყნის ჰიმნს ასრულებდნენ, დაფრინავდნენ მფრინავი ცოცხის – „ელვის“ – მინიატურული მოდელები. ცნობილი მოთამაშეების საკოლექციო ფიგურები ამაყად დასეირნობდნენ ბავშვების ხელისგულებზე.

– მთელი ზაფხული ვაგროვებდი ჯიბის ფულს ამ დღისთვის, – უთხრა რონმა ჰარის და ჰერმიონს, როცა სუვენირებს ყიდულობდნენ. რონმა თავისთვის მოცეკვავე სამყურიანი ქუდი და ირლანდიის დიდი მწვანე ემბლემა იყიდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ვიქტორ კრამის პატარა ფიგურაც მიაყოლა. მინიატურული კრამი რონის ხელზე წინ და უკან დადიოდა და ბიჭის მკერდზე მიბნეულ მწვანე ემბლემას უბღვერდა.

– ერთი ამათ შეხედეთ! – დაიძახა ჰარიმ და ერთ-ერთ ურიკას მიუახლოვდა, რომელზეც თითბრის ბინოკლის მსგავსი რაღაცეები დაეხვავებინათ. ეს რაღაცეები მთლიანად უცნაური მარეგულირებლებითა და ღილაკებით იყო დაფარული.

– ესენი ომნიოკლებია, – ხალისით აუხსნა გამყიდველმა, – შეუძლიათ ჩანაწერის გამეორება და მოქმედების შენელება. თან სინქრონული რეპორტაჟის მორბენალი სტრიქონიც აქვთ. თითო ათი გალეონი ღირს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნეტავ, ეს არ მეყიდა, – გულდაწყვეტილმა რონმა თავის მწვანე ქუდს დახედა და ომნიოკლები თვალებით შეჭამა.

– სამი მოგვეცით, – მტკიცე ხმით უთხრა ჰარიმ გამყიდველს.

– არა, ნუ წუხდები, – რონი გაწითლდა. ყოველთვის ეუხერხულებოდა, რომ ბევრად ნაკლები ფული ჰქონდა, ვიდრე ჰარის, რომელმაც მშობლებისგან მემკვიდრეობა მიიღო.

– სამაგიეროდ, მომდევნო ათ წელიწადს აღარაფერს გაჩუქებ, – უთხრა ჰარიმ და მას და ჰერმიონს ხელში ომნიოკლები ჩაუდო.

– თუ ასეა, კარგი, – ჩაეღიმა რონს.

– აუჰ, გმადლობ, ჰარი, – გაუხარდა ჰერმიონს, – მე კი ჩვენთვის პროგრამებს ვიყიდი.

კარავში საგრძნობლად შემსუბუქებული ქისებით დაბრუნდნენ. ბილის, ჩარლისა და ჯინის მწვანე გულსაბნევები მიებნიათ მკერდზე, ბატონი უისლი ირლანდიის დროშას აფრიალებდა, ფრედი და ჯორჯი კი სუვენირების გარეშე დარჩნენ, რადგან მთელი ფული ბეგმანს მისცეს.

შემდეგ სადღაც, ტყის გაღმიდან, გონგის დაბალი, გუგუნა ხმა გაისმა. ხეებში მაშინვე მწვანე და წითელი ფარნები აელვარდა და სტადიონისკენ მიმავალი გზა გაანათა.

– დროა! – თქვა ბავშვებზე არანაკლებ აღფრთოვანებულმა ბატონმა უისლიმ, – აბა, წავედით!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მერვე

ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატი

უისლებმა, ჰარიმ და ჰერმიონმა თავ-თავიანთ ნავაჭრს ხელი სტაცეს და ბატონ უისლის წინამძღოლობით ფარნებით განათებულ ტყის ბილიკს გაუყვნენ. ირგვლივ ათასობით ადამიანი ხმაურობდა, ისმოდა გადაძახილი, სიცილი და სიმღერები. საყოველთაო სიხარული ისეთი გადამდები იყო, რომ ჰარი მთელი გზა იღიმებოდა. ტყის გავლას ოც წუთს მოუნდნენ, გზაში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ოხუნჯობდნენ. ბოლოს ტყის გაღმა გავიდნენ და გრანდიოზული სტადიონის ჩრდილქვეშ აღმოჩნდნენ. ჰარი მოედნის ირგვლივ აღმართული უზარმაზარი ოქროს კედლების მხოლოდ ნაწილს ხედავდა, მაგრამ დანამდვილებით შეეძლო ეთქვა, რომ სტადიონი იმხელა იყო, ათ საკათედრო ტაძარს თავისუფლად დაიტევდა.

– ასი ათას მაყურებელს იტევს, – უთხრა ბატონმა უისლიმ, ჰარის გაოგნებული სახე რომ დაინახა, – სამინისტროს ხუთასკაციანი ოპერატიული ჯგუფი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა. ყოველ გოჯზე მაგლების უკუგდების შელოცვა მოქმედებს. მთელი წლის მანძილზე თუკი მაგლი ამ მიდამოში მოხვდებოდა, მაშინვე რაიმე გადაუდებელი საქმე ახსენდებოდა და გიჟივით გარბოდა აქედან... ღმერთმა უშველათ... – დაამატა გულთბილად, თან ცდილობდა, უახლოესი შესასვლელისკენ გაეკვლია გზა. იქ უკვე ბლომად მოეყარათ თავი ახმაურებულ ჯადოქრებს.

– პირველი კლასის ადგილები! – თქვა შესასვლელში ჩამდგარმა სამინისტროს თანამშრომელმა ჯადოქარმა ქალმა, როცა მათი ბილეთები შეამოწმა, – ზედა იარუსის ლოჟა! პირდაპირ კიბეზე და, რაც შეიძლება, მაღლა.

ტრიბუნებზე ასასვლელ კიბეებზე კაშკაშა წითელი ხალიჩები დაეგოთ. ხალხის ნაკადი ნელა მიიწევდა ზევით. გზადაგზა კიბიდან მარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯვენა ან მარცხენა ტრიბუნებისკენ უხვევდნენ და სკამებზე სხდებოდნენ, ბატონ უისლის ამალა კი ისევ ზევით ადიოდა. ბოლოს და ბოლოს, კიბე დამთავრდა და სტადიონის ყველაზე მაღალ წერტილში აღმოჩნდნენ, ზუსტად ოქროსფერ გოლპოსტების გასწვრივ მდებარე პატარა ლოჟაში. აქ ორ მწკრივად ჩაერიგებინათ ოცამდე მეწამულ-ოქროსფერი სკამი. როცა წინა რიგში ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს ადგილები, ჰარიმ ძირს ჩაიხედა და თვალწინ ისეთი სურათი გადაეშალა, რომლის მსგავსი არასოდეს არაფერი ენახა.

მოგრძო, ოვალური მოედნის გასწვრივ იარუსებად ამაღლებულ სკამებზე ასი ათასი მაყურებელი იკავებდა ადგილებს. ირგვლივ ყველაფერი ეხვეოდა ბაც ოქროსფერ შუქში, რომელსაც თითქოს თავად სტადიონი ასხივებდა. ამ სიმაღლიდან სათამაშო მოედნის ზედაპირი სწორი და ხავერდოვანი ჩანდა. მოედნის ორივე ბოლოში თხუთმეტი მეტრის სიმაღლის სამ-სამი სვეტი აღემართათ, რომლებსაც ზედ რგოლები ჰქონდა მიმაგრებული. ჰარის ცხვირწინ, თითქმის ლოჟის გასწვრივ, გიგანტურ დაფაზე ოქროსფერი წარწერები თვალის დახამხამებაში იცვლებოდა, თითქოს უხილავი გოლიათის ხელი წერს და მაშინვე შლისო. ჰარიმ შეხედა და მიხვდა, რომ ეს იყო სარეკლამო აბრა, რომელიც მთელი სტადიონის დასანახად ანთებდა სარეკლამო განცხადებებს:

„ბლუბოტლი“, ცოცხი მთელი ოჯახისათვის – უსაფრთხო და სანდო, შიგ ჩამონტაჟებული გატაცების საწინააღმდეგო სიგნალიზაციით; „მისის სკოვერის ლაქების ამომყვანი ჯადოსნური საშუალება“. „გლედრეგსის ჯადოქრული მოდის სახლი – ლონდონი, პარიზი, ჰოგსმიდი“...

ჰარიმ აბრას თვალი მოსწყვიტა და უკან გაიხედა, აინტერესებდა, კიდევ ვინ იჯდა ლოჟაში. უკანა რიგი ჯერჯერობით ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით ერთ მოცუცქნულ არსებას, რომელიც რიგში ბოლოდან მეორე ადგილზე იჯდა. არსებას ისეთი მოკლე ფეხები ჰქონდა, რომ იატაკს ვერ სწვდებოდა, ჩაის ტილო ტოგასავით შემოეხვია და სახეზე ხელები აეფარებინა. ეს ღამურასავით დიდი ყურები ჰარის ძალიან ეცნობოდა...

– დობი? – ჰარი თვალებს არ უჯერებდა.

პატარა არსებამ თავი ასწია და თითები ისე დააშორიშორა, რომ გადმოკარკლული ყავისფერი თვალები და ვეება პამიდვრის ზომისა და ფორმის ცხვირი გამოუჩნდა. არა, ჰარის მეგობარი დობი არ იყო, მაგრამ დობივით, ესეც, უდავოდ, შინაური ელფი ბრძანდებოდა. დობი ჰარიმ გაათავისუფლა თავისი ყოფილი ბატონის, მალფოის, ოჯახისგან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბატონმა დობი დამიძახა? – ცნობისმოყვარედ დაიწრიპინა ელფმა და თითებს შუა გამოიჭყიტა. დობიზე წვრილი ხმა ჰქონდა, აკანკალებული და წრიპინა. მართალია, შინაური ელფის სქესის გარკვევა, საერთოდ, ცოტა რთული საქმე იყო, მაგრამ ჰარიმ ივარაუდა, გოგო უნდა იყოსო. რონი და ჰერმიონი შემოტრიალდნენ, რომ ელფისთვის შეეხედათ. მართალია, დობიზე ბევრი სმენოდათ, მაგრამ პირადად არასოდეს შეხვედროდნენ. ბატონი უისლიც კი დაინტერესდა და ცნობისმოყვარეობით მოიხედა.

– უკაცრავად, – მოუბოდიშა ჰარიმ შინაურ ელფს, – ერთ ნაცნობში შემეშალეთ.

– მაგრამ მეც იცნობს დობის, სერ! – დაიჭყივლა ელფმა. ლოჟა მკვეთრად არ იყო განათებული, მაგრამ სახეს ისე იჩრდილავდა, თითქოს სინათლე აბრმავებდა, – მე ვინკი მქვია, სერ, და თქვენ, სერ... – ჰარის ნაიარევს მიაჩერდა და მუქი ყავისფერი თვალები ლამბაქისოდენა გაუხდა, – თქვენ ნამდვილად ჰარი პოტერი არის.

– ჰო, მე ვარ, – დაუდასტურა ჰარიმ.

– დობი სულ თქვენზე ილაპარაკოს, სერ! – ელფმა ოდნავ ჩამოსწია ხელები და გაოგნებული მიაჩერდა.

– როგორ არის? – ჰკითხა ჰარიმ, – როგორ შეეგუა თავისუფლებას?

– ეჰ, სერ, – ვინკიმ თავი გააქნია, – ეჰ, სერ, უპატივცემულობაში არ ჩამომართვათ, სერ, მაგრამ მე არ არის დარწმუნებული, რომ თქვენ დობის კარგი საქმე გააკეთეთ, სერ, როცა გაათავისუფლეთ.

– რატომ? – ჰარი გაშრა, – რა დაემართა?

– თავისუფლება თავში აუვარდა, სერ, – თქვა დაღვრემილმა ვინკიმ, – მისი მდგომარეობის შეუფერებელი აზრები მოსდის, სერ. სხვა სამსახურს ვერ შოულობს, სერ.

– რატომ? – ჰკითხა ჰარიმ.

ვინკიმ ხმას ნახევარი ოქტავით დაუწია და დაიჩურჩულა:

– სამუშაოსთვის ანაზღაურებას ითხოვს, სერ.

– ანაზღაურებას? – ჰარი ვერ მიხვდა, – მერე რა, რატომ არ უნდა მოითხოვოს?

ვინკის ამ კითხვამ თავზარი დასცა, თითები ისევ შეატყუპა და სახე სანახევროდ დამალა.

– შინაური ელფები ფულს არ ითხოვს, სერ! – მოგუდული ხმით დაიწრიპინა, – არა, არა და არა. მე ეუბნება დობის, მე ეუბნება, წადი, იპოვე ერთი კარგი ოჯახი და იყავი იქ, დობი. ის კი დროსტარებას გადაჰყვა, ეს კი შინაურ ელფს არ შეგეფერება. მე ეუბნება, დობი, შენ თუ ასე გააგრძელა, აქეთ-იქით ყიალს თუ არ მოეშვა, ეს კარგს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არაფერს მოუტანა და მალე ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტში ამოყო თავი, როგორც ვიღაც ვიგინდარა გობლინი.

– მე კი მგონია, დროა, ცოტა გაერთოს, – გამოექომაგა დობის ჰარი.

– შინაური ელფები არ უნდა ერთობოდეს, ჰარი პოტერ, – მკაცრად თქვა სახეზე ხელებაფარებულმა ვინკიმ, – შინაური ელფები იმას აკეთოს, რასაც უბრძანებენ. მე, საერთოდ, ვერ იტანს სიმაღლეს, ჰარი პოტერ, – თვალი ლოჟის მოაჯირისკენ გააპარა და მუშტისოდენა ნერწყვი გადაყლაპა, – მაგრამ ჩემი ბატონი გამოგაგზავნა ბოლო იარუსზე და მეც მოვიდა, სერ.

– რატომ გამოგგზავნათ, თუ იცის, რომ სიმაღლისა გეშინიათ? – შუბლი შეიკრა ჰარიმ.

– ბატონს... ბატონს უნდა, რომ ადგილი დავუკავო, ჰარი პოტერ, ის ძალიან ბევრი საქმეა, – ვინკიმ თავით ცარიელ ადგილზე ანიშნა, – ვინკის უნდა, ბატონის კარავში დაბრუნდეს, ჰარი პოტერ, მაგრამ ვინკი იმას აკეთებს, რაც უბრძანეს, ვინკი კარგი შინაური ელფი, – ლოჟის მოაჯირს ისევ დამფრთხალმა შეხედა და ახლა მთლად აიფარა თვალებზე ხელები. ჰარი ისევ უისლებისკენ მობრუნდა.

– აი, თურმე როგორია შინაური ელფი, – ჩაიბუტბუტა რონმა, – რა უცნაური არსებები არიან, არა?

– ამას რა უჭირს, შენ დობი უნდა გენახა, – უთხრა ჰარიმ.

რონმა თავისი ომნიოკლი მოიმარჯვა, აბა, როგორ მუშაობსო, და მოპირდაპირე ტრიბუნებზე ხალხის თვალიერება დაიწყო.

– მაგარია! – ჩანაწერის გამეორების მარეგულირებელი დაატრიალა, – შემიძლია, იმ ბებრუხანას ისევ გამოვაჩიჩქნინო ცხვირი... აი, კიდევ... კიდევ...

ამასობაში, ჰერმიონმა ყურადღებით გადაათვალიერა თავისი ხავერდისყდიანი და ფოჩებიანი პროგრამა.

– მატჩის დაწყებამდე გუნდების თილისმები გამართავენ წარმოდგენას, – წაიკითხა ხმამაღლა.

– ჰო, ამის ნახვა ყოველთვის ღირს, – თქვა ბატონმა უისლიმ, – ეროვნულ ნაკრებებს სამშობლოდან უცნაური არსებები ჩამოჰყავთ, რომ პატარა წარმოდგენა გამართონ ხოლმე.

ნახევარ საათში მათი ლოჟა თანდათან შეივსო. ბატონი უისლი ვიღაცეებს ხელს ართმევდა, აშკარად ჩანდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ჯადოქრები იყვნენ. პერსი ისე ხშირად წამოვარდებოდა ხოლმე ფეხზე, თითქოს ზღარბზე დაჯდომას ცდილობსო. ხოლო, როდესაც თავად მაგიის მინისტრი, კორნელიუს ფაჯი მობრძანდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პერსიმ ისე მდაბლად დაუკრა თავი, რომ სათვალე მოსძვრა და დაემ-სხვრა. საშინლად შემცბარმა პერსიმ სათვალე ჯადოსნური ჯოხით გაამთელა და ამის შემდეგ ადგილიდან აღარ ამდგარა, მაგრამ ჰარის კი ეჭვით გახედავდა ხოლმე, რადგან კორნელიუს ფაჯი ბიჭს ძველი მეგობარივით მიესალმა. ისინი ადრევე იცნობდნენ ერთმანეთს, ამი-ტომ მამობრივი მზრუნველობით ჩამოართვა ხელი, მოიკითხა და თავისი თანმხლები ჯადოქრები გააცნო.

– ჰარი პოტერი, ხომ იცით, – ხმამაღლა უთხრა ბულგარელ მინისტრს, რომელსაც შავი ხავერდის ოქროს კანტშემოვლებული ჩინებული მანტია ემოსა და ინგლისურისა ინჩიბინჩი არ ესმოდა, – ჰარი პოტერი... ოოო, კარგით ახლა, როგორ არ იცით... ეს ის ბიჭია, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას რომ გადაურჩა... ნამდვილად იცით, ვინცაა...

ბულგარელმა მინისტრმა უცებ ჰარის ნაიარევი შეამჩნია და აღტა-ცებული აქაქანდა, თან ჰარის შუბლზე ანიშნებდა.

– ვიცოდი, რომ ბოლოს საქმე აქამდე მივიდოდა, – გატანჯული ხმით შესჩივლა ფაჯმა ჰარის, – ენების დიდი მცოდნე არა ვარ, ასეთ რამეში ბარტი კრაუჩი მჭირდება. ააა, აგერ, მისი შინაური ელფი ადგილს უკავებს... ჭკვიანურია, თორემ ეს ბულგარელები ყველანა-ირად ცდილობენ, საუკეთესო ადგილები წაგვართვან. აი, ლუციუსიც მოვიდა!

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა იმწამსვე უკან მიიხედეს. მეორე რიგ-ში, ზუსტად ბატონ უისლის უკან დარჩენილი სამი ცარიელი სკამის-კენ, არც მეტი, არც ნაკლები, დობის ყოფილი პატრონები მიემარ-თებოდნენ – ლუციუს მალფოი, მისი ვაჟი, დრაკო და ქალი, რომელიც, ჰარის ვარაუდით, დრაკოს დედა უნდა ყოფილიყო.

ჰარი და დრაკო მალფოი ჰოგვორტსში გამგზავრების პირველივე დღიდან ერთმანეთს ემტერებოდნენ. დრაკო მამას ჰგავდა, მასავით ფერმკრთალი, წაწვეტებული სახე და მოთეთრო ქერა თმა ჰქონდა. დედამისიც ქერა იყო, მაღალი, ტანადი და ლამაზი ქალი იქნებოდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება რომ არ ჰქონოდა, თითქოს აყრო-ლებული სუნი სცემსო.

– ა, ფაჯ, – ბატონი მალფოი მაგიის მინისტრთან მივიდა და ხელი გაუწოდა, – როგორ ბრძანდებით? თუ არ ვცდები, ჩემს მეუღლეს, ნარცისას, და ჩემს ვაჟს, დრაკოს, არ იცნობთ.

– სასიამოვნოა, სასიამოვნოა, – ფაჯმა გაიღიმა და ქალბატონ მალფოის თავი დაუკრა, – ნება მომეცით, გაგაცნოთ, ბატონი ობლან-სკი... ობალონსკი... ბატონი... მოკლედ, ბულგარეთის მაგიის მინის-ტრია. არა უშავს, მაინც ჩემი არც ერთი სიტყვა არ ესმის. აბა, ვნახოთ, კიდევ ვინ... არტურ უისლის იცნობთ, ხომ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დადგა დაძაბული წამი. ბატონმა უისლიმ და ბატონმა მალფოიმ ერთმანეთს შეხედეს და ჰარის ცხადად გაახსენდა მათი ბოლო შეხვედრა. ეს „ფლორიშ ენდ ბლოტსის“ წიგნების მაღაზიაში მოხდა და მაშინ ყველაფერი ჩხუბით დამთავრდა. ბატონმა მალფოიმ ცივი, ნაცრისფერი თვალები ჯერ ბატონ უისლის შეავლო და შემდეგ – პირველ რიგში მსხდომთ.

– ღმერთო ჩემო, არტურ, რა გაყიდე ამისთანა, რომ ეს ადგილები იშოვე? დარწმუნებული ვარ, მთელი სახლი რომ გაგეყიდა, ფული მაინც არ გეყოფოდა, – თქვა ხმადაბლა.

ფაჯმა ეს სიტყვები ვერ გაიგონა და განაცხადა:

– ლუციუსმა ახლახან დიდძალი შემოწირულობა გადასცა მაგიური სნეულებებისა და ტრავმების წმ. მუნგოს სახელობის საავადმყოფოს, არტურ, და აქ ჩემი მოწვევითაა.

– ძალიან... ძალიან სასიამოვნოა, – ნაძალადევი ღიმილით გამოსცრა ბატონმა უისლიმ.

ბატონ მალფოის მზერა ახლა ჰერმიონს მიებჯინა. ჰერმიონს ოდნავ გადაჰკრა ვარდისფერმა, მაგრამ მაინც თამამად გაუსწორა თვალი. ჰარიმ მშვენივრად იცოდა, რატომ აიბზუა ცხვირი მალფოიმ. მათი ოჯახი თავიანთი წმინდა სისხლით ამაყობდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ნებისმიერს, ვინც ჰერმიონის მსგავსად მაგლური წარმოშობისა იყო, მდაბიოდ თვლიდნენ. მაგრამ მაგიის მინისტრის თანდასწრებით მალფოიმ მეტი ვერაფრის თქმა ვერ გაბედა. მან დამცინავად დაუკრა თავი ბატონ უისლის და თავისი სკამისკენ გასწია. დრაკომ ერთი კი გამოხედა სიძულვილით სავსე თვალებით ჰარის, რონსა და ჰერმიონს და მშობლებს შორის დაიკავა ადგილი.

– გაბერილი ჭიაყელები, – ჩაიბურტყუნა რონმა, როცა ის, ჰარი და ჰერმიონი ისევ მოედნისკენ მიბრუნდნენ. იმავე წამს ლოჟაში ლუდო ბეგმანი შემოიჭრა.

– ყველანი მზად ხართ? – დიდი მრგვალი სახე შვეიცარიული ყველივით ულაპლაპებდა, – ბატონო მინისტრო, დავიწყოთ?

– როგორც შენ იტყვი, ლუდო, – მხიარულად მიუგო ფაჯმა.

ლუდომ ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი დააძრო, ყელისკენ მიიშვირა და წარმოთქვა: „სონორუს!“ ამის შემდეგ ისე დაიღრიალა, მისმა ხმამ გადაჭედილი სტადიონის ტრიბუნებს ექოსავით გადაუარა და ყოველი კუთხე-კუნჭული შეაზანზარა:

– ქალბატონებო და ბატონებო... მოგესალმებით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქვიდიჩის ოთხას ოცდამეორე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე!

მაყურებლები აწივლდნენ, აყვირდნენ და ტაში დასცხეს. ტრიბუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნებზე ათასობით მუსიკალური დროშა აფრიალდა და ისედაც ყურის-წამლებ ღრიანცელს სხვადასხვა ხმაზე აჟღერებული ეროვნული ჰიმნები დაემატა. ჰარის ლოჟის პირდაპირ უზარმაზარ დაფაზე მაშინვე გაქრა ბოლო რეკლამა „ბერტი ბოტის ყველანაირი გემოს კანფეტები – ყოველი შემდეგი კანფეტი რისკია!“ და მის ნაცვლად აინთო წარწერა: ბულგარეთი – ნული, ირლანდია – ნული.

– ახლა კი, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ბულგარეთის ნაკრების თილისმები!

მარჯვნივ ალისფერი ტრიბუნა მოწონებით აღრიალდა.

– საინტერესოა, რა ჩამოიყვანეს, – ბატონი უისლი სკამზე წინ გადაიხარა, – ააა! – უცებ სასწრაფოდ მოიხსნა სათვალე და აჩქარებით გაწმინდა მანტიით, – ვიილა.

– რა არის ვიილ..?

მაგრამ ამ დროს მოედანზე ასი ვიილა გამონარნარდა და ჰარის კითხვასაც პასუხი გაეცა. ვიილები იყვნენ ქალები, ყველაზე ლამაზი ქალები, რაც კი ჰარის ოდესმე ენახა... ისეთი არამიწიერი სილამაზისა, რომ შეუძლებელი იყო, ადამიანები ყოფილიყვნენ. ჰარი წამით საგონებელში ჩავარდა, თავს იმტვრევდა, ნეტავ რა არსებები არიანო. ვერ მიხვდა, რატომ გამოსცემდა მათი კანი მთვარის ნათელს ან ვერცხლისფერი თმა ასე რატომ უფრიალებდათ, როცა ნიავიც კი არ იძვროდა... მაგრამ როცა მუსიკა დაუკრეს, ჰარის აღარ ედარდებოდა, იყვნენ თუ არა ვიილები ადამიანები, და, საერთოდ, აღარაფერი აღარ აინტერესებდა.

ვიილებმა ცეკვა დაიწყეს და ჰარის გონება ერთიანად ნეტარებამ მოიცვა. ახლა მხოლოდ ის უნდოდა, რომ ვიილებისთვის თვალმოუშორებლად ეცქირა, რადგან ეგონა, თუ ცეკვას შეწყვეტდნენ, საშინელება დატრიალდებოდა. ვიილები სულ უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებდნენ და ჰარის არეულ გონებაში გიჟურმა, ბუნდოვანმა აზრებმა გაიელვეს. უცებ მოუნდა, რაიმე გმირობა ჩაედინა, თანაც – ახლავე! ლოჟიდან სტადიონზე ხომ არ გადამხტარიყო? ან იქნებ უფრო მაგარი რამე მოეფიქრებინა?

– ჰარი, რას შვრები? – სადღაც შორიდან ჩაესმა ჰერმიონის ხმა.

მუსიკა შეწყდა. ჰარიმ თვალები დაახამხამა. იდგა და ცალი ფეხი ლოჟის მოაჯირზე გადაეყო. მის გვერდით რონი ისეთ პოზაში გახევებულიყო, თითქოს ტრამპლინიდან გადახტომას აპირებდა.

სტადიონზე უკმაყოფილო შეძახილები გაისმა. მაყურებლებს ვიილების გაშვება არ სურდათ. მათ განწყობას ჰარიც იზიარებდა. ახლა, რა თქმა უნდა, ბულგარეთს უჭერდა მხარს და გულის სიღრმეში უკვირდა კიდეც, ირლანდიის ემბლემა მკერდზე რატომ მაქვს მიმაგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რებულიო. რონი კი, ამასობაში, დაბნეული აწიწკნიდა თავის ქუდს სამყურებს. ოდნავ მოღიმარი ბატონი უისლი რონისკენ გადაიხარა და ქუდი ხელიდან გამოსტაცა.

– კიდევ დაგჭირდება, ჯერ დაიცა, ირლანდიამაც თქვას თავისი სიტყვა.

– ჰა, – პირდაღებული რონი ვიილებს მისჩერებოდა, რომლებიც ახლა მოედნის ცალ მხარეს გამწკრივდნენ.

ჰერმიონმა უკმაყოფილოდ ჩაიფრუტუნა, წამოიწია, ჰარის მოქაჩა და ისევ დასვა:

– რა დაგემართათ?

– ახლა კი, – დაიღრიალა ლუდო ბეგმანის ხმამ, – გთხოვთ, ჯადოსნური ჯოხები ჰაერში შევმართოთ და მივესალმოთ ირლანდიის ეროვნული ნაკრების თილისმებს!

თვალის დახამხამებაში სტადიონზე ზუზუნით დაეშვა რაღაც, რაც ძალიან ჰგავდა გიგანტურ მწვანე და ოქროსფერ კომეტას. მოედანს წრე დაარტყა და შემდეგ ორ პატარა კომეტად დაიშალა. თითოეული კომეტა მოედნის ორივე ბოლოში გოლპოსტებისკენ გაქროლდა. უცებ მთელ მინდორზე ცისარტყელა გადაიჭიმა და ეს ორი მოკაშკაშე სფერო ერთმანეთთან შეაერთა. „უუუუჰ“, „ააააჰ“ აღმოხდა ამ ფეიერვერკის შემყურე ტრიბუნებს. შემდეგ ცისარტყელა გაფერმკრთალდა. ორი მოკაშკაშე სფერო ისევ შეერთდა და უზარმაზარი მოციმციმე სამყურას ფორმა მიიღო. სამყურა მაღლა, ცისკენ აიჭრა და ტრიბუნების თავზე დაეკიდა. მისგან ოქროსფერმა წვიმამ გადმოხეთქა...

– აუ, რა მაგარია! – იყვირა რონმა, როცა გიგანტურმა სამყურამ თავზე ლივლივით გადაუარა და ოქროს მონეტები გადმოყარა. მონეტები სკამებზე ცვიოდა და სხლტებოდა. ჰარიმ თვალმოჭუტულმა ახედა სამყურას და გაარჩია, რომ სინამდვილეში ის ათასობით წითელჟილეტიანი პაწაწინა წვეროსანი კაცუნასგან შედგებოდა, ყოველ მათგანს ხელში ოქროსფერი ან მწვანე პატარა ფარანი ეჭირა.

– ლეპრეკონები! – ბატონმა უისლიმ სცადა, მაყურებლების ოვაცია გადაეფარა. ბევრი მათგანი ერთმანეთს ეძიძგილავებოდა და ოქროს მონეტების შესაგროვებლად სკამებქვეშ მიძვრებოდა.

– აჰა, ეს შენ! – მხიარულად შესძახა რონმა და ჰარის მთელი მუჭა მონეტები შეაჩეჩა, – ომნიოკლის ფული! ახლა ხომ მოგიწევს ჩემთვის საშობაო საჩუქრის ყიდვა!

გიგანტური სამყურა ისევ დაიშალა, ლეპრეკონები ტაატით დაეშვნენ მოედანზე ვიილების საპირისპირო მხარეს და მატჩის საყურებლად მოირთხეს ფეხი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, მოდით, მივესალმოთ ბულგარეთის ქვიდიჩის ეროვნულ ნაკრებს! თქვენ წინაშეა დიმიტროვი!

სულ ქვემოთ, მოედნის შესასვლელიდან, ცოცხზე ამხედრებული ალისფერსამოსიანი ფიგურა ისე სწრაფად შემოიჭრა სტადიონზე, რომ თვალს ვერ მიადევნებდი. ბულგარეთის გულშემატკივრები ტაშის გრიალით შეხვდნენ.

– ივანოვა!

მეორე ალისფერსამოსიანი ფიგურა წუილით გამოფრინდა მოედანზე.

– ზოგრაფი! ლევსკი! ვოლჩანოვი! ვოლკოვი! დაااااااა – კრამი!

– აი, ისიც! აი, ისიც! – აყვირდა რონი და ომნიოკლი კრამს მიადევნა, ჰარიმაც სასწრაფოდ მომართა თავისი ომნიოკლი.

გამხდარ, შავტუხა ვიქტორ კრამს ავადმყოფური, მოყვითალო ფერის კანი, დიდი მოკაუჭებული ცხვირი, ხშირი შავი წარბები ჰქონდა და მტაცებელ ფრინველს წააგავდა. ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ მხოლოდ თვრამეტი წლისა იყო.

– ახლა გთხოვთ, მივესალმოთ ირლანდიის ქვიდიჩის ეროვნულ ნაკრებს! – დასჭექა ბეგმანმა, – წარმოგიდგენთ კონოლს! რაიანს! ტროის! მალეტს! მორანს! ქუიგლის! დაااااა – ლინჩს!

მოედანზე შვიდი მწვანე გრიგალი შემოიჭრა. ჰარიმ თავისი ომნიოკლის გვერდზე მარეგულირებელი დაატრიალა და მოთამაშეების სიჩქარე ისე შეანელა, რომ ყოველი მათგანის ცოცხზე სიტყვა „ელვას“ ამოკითხვა შეძლო და მათ ზურგებზე ვერცხლისფრად ამოქარგული სახელები გაარჩია.

– და ჩვენი მსაჯი, რომელიც შორეული ეგვიპტიდან გვეწვია, ქვიდიჩის საერთაშორისო ასოციაციის საპატიო თავჯადოქარი ჰასან მუსტაფა!

მოედანზე ჩია, გაძვალტყავებული ჯადოქარი შემოვიდა, სულმთლად მელოტი იყო, სამაგიეროდ, ულვაში ჰქონდა იმხელა, რომ ძია ვერნონსაც კი შეშურდებოდა. ტანზე სტადიონის ფერთან შეხამებული ბაჯაღლო ოქროსფერი მანტია ემოსა. ულვაშს ქვემოდან ვერცხლის სასტვენი გამოსჩროდა, ცალ იღლიაში ხის დიდი ყუთი ამოეჩარა, მეორეში – მფრინავი ცოცხი. ჰარიმ თავის ომნიოკლზე სიჩქარის მარეგულირებელი ისევ ნორმაზე დააყენა და ყურადღებით ადევნებდა თვალს, როგორ ამხედრდა თავის ცოცხზე მუსტაფა, როგორ ახადა სახურავი ყუთს და როგორ აიჭრა იქიდან ცისკენ ოთხი ბურთი: წითელი ქუაფლი, ორი შავი ბლაჯერი და ციცქნა, ფრთებიანი ოქროს სნიჩი. ჰარიმ ძლივს მოასწრო თვალის შევლება, სანამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სნიჩი ელვის სისწრაფით გაუჩინარდებოდა. მსაჯმა ძლიერად ჩაჰბერა სასტვენში და თვითონაც ბურთებს აჰყვა ჰაერში.

– წავიდაااااა! – დასჭყივლა ბეგმანმა, – ბურთი მალეტის ხელშია! ტროი! მორანი! დიმიტროვი! ისევ მალეტი! ტროი! ლევსკი! მორანი!

ასეთი ქვიდიჩი ჰარის არასოდეს ენახა. ომნიოკლი ისე მიეჭირა თვალებზე, რომ სათვალე უკვე ცხვირს უსერავდა. მოთამაშეები წარმოუდგენლად სწრაფები იყვნენ, ჩეიზერები ისე მალიმალ აწვდიდნენ ერთმანეთს ქუაფლს, რომ ბეგმანი მხოლოდ მათი გვარების წარმოთქმასღა ასწრებდა. ჰარიმ ომნიოკლზე სიჩქარე შეანელა და სინქრონული რეპორტაჟის ღილაკს დააჭირა თითი. ამ წუთიდან თამაში შენელდა, ლინზებზე ბრჭყვიალა იისფერი წარწერები ჩნდებოდა, ყურებში კი ტრიბუნებიდან მოვარდნილი ხმაური უგუგუნებდა.

„თავდასხმითი მანევრი – ქორის თვალი“, – დაიწერა ლინზებზე, როცა სამივე ირლანდიელი ჩეიზერი – შუაში ოდნავ უფრო დაწინაურებული ტროი და აქეთ-იქით – მალეტი და მორანი, – მიჯრით დაეშვნენ დაბლა და ბულგარელებს დააცხრნენ თავს. „პორსკოფის მანევრი,“ – იუწყებოდა შემდეგი წარწერა, როდესაც ტროიმ ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ქუაფლიანად მაღლა უნდა აჭრილიყო, ბულგარელ ჩეიზერ ივანოვას დაუსხლტა და ქუაფლი მორანს გადაანოდა. ერთ-ერთმა ბულგარელმა ბიტერმა, ვოლკოვმა, ჩავლილ ბლაჯერს თავისი პატარა ჩოგანი მთელი ძალით მოარტყა და მორანს გზა ჩაუჭრა. მორანმა თავი დახარა, რომ ბლაჯერი აერიდებინა და ქუაფლი გაუვარდა, რომელსაც მის ქვემოთ ჰაერში გამოკიდებული ლევსკი დაეუფლა...

– ტროი ანგარიშს ხსნის! – დაიღრიალა ბეგმანმა და სტადიონი მქუხარე ოვაციებმა და აღფრთოვანებულმა ყიჟინამ შეაზანზარა, – ათით ნული ირლანდიის სასარგებლოდ!

– რაო? – იკივლა ჰარიმ და თვალებზე ომნიოკლაფარებულმა დაიწყო აქეთ-იქით ყურება, – ქუაფლი ხომ ლევსკის აქვს!

– ჰარი, ნორმალური სიჩქარით თუ არ უყურე, იცოდე, ბევრ რამეს გამოტოვებ! – დაუყვირა ჰერმიონმა, რომელიც ადგილზე ხტოდა და ხელებს ჰაერში იქნევდა, ამასობაში კი ტროიმ მოედანს საპატიო წრე დაარტყა. ჰარიმ სასწრაფოდ მოიშორა ომნიოკლი, მოედანს გახედა და დაინახა, რომ ლეპრეკონები, რომლებიც თამაშს მოედნის ნაპირიდან ადევნებდნენ თვალს, კვლავ ჰაერში აფრინდნენ და უზარმაზარი კაშკაშა სამყურას ფორმა მიიღეს. მოედნის მეორე მხრიდან მათ მოღუშული ვიილები გამოსცქეროდნენ.

ჰარი თავის თავზე გაბრაზდა და თამაში რომ განახლდა, სიჩქარის მარეგულირებელი ისევ ნორმაზე დააყენა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი საკმარისად ერკვეოდა ქვიდიჩში, რომ მიმხვდარიყო, რა ბრწყინვალე მოთამაშეები იყვნენ ირლანდიელი ჩეიზერები. ერთიან გუნდად თამაშობდნენ და ჰაერში ისე მოძრაობდნენ, თითქოს ერთმანეთის აზრებს კითხულობენო. ჰარის მკერდზე მიმაგრებული ემბლემა კი მათ სახელებს წრიპინებდა: ტროი, მალეტი, მორანი! ათ წუთში ირლანდიამ კიდევ ორჯერ გაიტანა გოლი და ანგარიში გახდა ოცდაათით ნული. მწვანე ტრიბუნებზე ტაშისა და გამაყრუებელი ღრიანცელის ახალი ტალღა აგორდა.

თამაში უფრო აჩქარდა და უფრო გაუხეშდა. ბულგარელი ბიტერები – ვოლკოვი და ვოლჩანოვი – გამეტებით ურტყამდნენ ბლაჯერებს, ირლანდიელი ჩეიზერების მიმართულებით გზავნიდნენ და რამდენიმე მშვენიერი ილეთი ჩაუშალეს. ირლანდიელები ორჯერ იძულებულნი გახდნენ, გაფანტულიყვნენ. ბოლოს ივანოვამ მოახერხა მათი რიგების გარღვევა, ოსტატურად მოატყუა მეკარე რაიანი და პირველი გოლი გაიტანა.

– ყურებზე ხელები აიფარეთ! – იყვირა ბატონმა უისლიმ, როგორც კი ვიილებმა სიხარულით ცეკვა დაიწყეს. ჰარიმ თვალებიც კი დახუჭა, უნდოდა, მატჩისთვის საღი გონება შემოენახა. ორიოდე წამში თვალი მოედნისკენ გააპარა. ვიილებს ცეკვა შეეწყვიტათ და ქუაფლს ისევ ბულგარეთი ფლობდა.

– დიმიტროვი! ლევსკი! დიმიტროვი! ივანოვა! აუ, ეს რა ხდება! – ყვიროდა ბეგმანი.

ასი ათასმა ჯადოქარმა სუნთქვა შეიკრა, რადგან ორივე სიკერი, კრამი და ლინჩი ჩეიზერების შუაში ისე სწრაფად დაეშვნენ, თითქოს თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ გადმოხტნენო. ჰარი ომნიოკლით ადევნებდა თვალს მათ პიკირებას და თვალმოჭუტული ეძებდა სნიჩს...

– მიწაზე დაენარცხებიან, – შეჰკივლა ჰერმიონმა.

ჰერმიონის ვარაუდი სანახევროდ გამართლდა. კრამმა სულ ბოლო წამს შეწყვიტა ვარდნა და განზე გაუხვია, სამაგიეროდ, ლინჩი იმისთანა ყრუ ბრაგვანით დაენარცხა მიწას, რომ ექომ მთელ სტადიონს გადაუარა. ირლანდიელების ტრიბუნას გმინვა აღმოხდა.

– სულელი, – ამოიკვნესა ბატონმა უისლიმ, – კრამმა ფინტი ჩაუტარა.

– ტაიმაუტი! – გაჰკიოდა ბეგმანი, – დავიცადოთ, სანამ მედჯადოქრები მოედანზე გამოვლენ და ეიდან ლინჩს დახმარებას აღმოუჩენენ.

– არაფერი მოსვლია, უბრალოდ, ცოტა დაიჟეჟა, – ამშვიდებდა ჩარლი ჯინის, რომელიც შეძრწუნებული გადაყუდებულიყო ლოჟის მოაჯირზე, – კრამსაც ეს უნდოდა, რა თქმა უნდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ სასწრაფოდ „განმეორების“ და „სინქრონული რეპორტაჟის“ ღილაკებს დააჭირა თითი, სიჩქარე შეანელა და ომნიოკლი ისევ თვალებთან მიიტანა. კრამი და ლინჩი ახლა ნელა დაეშვნენ ძირს. „ვრონსკის ფინტი – სიკერის ყურადღების გაფანტვის სახიფათო ხერხი,“ იუწყებოდა იისფერი წარწერა ლინზებზე. ჰარი ხედავდა, როგორ დაემანჭა კრამს სახე დაძაბულობისგან, როცა ზუსტად დროულად გაუხვია განზე და როგორ დაასკდა ლინჩი მიწას; და მიხვდა, რომ კრამს სნიჩი არ დაუნახავს, სულ ტყუილად აიყოლია ლინჩი. ჰარის ჯერ არ ენახა, ვინმეს ასე ეფრინა, კრამს თითქოს ცოცხიც არ სჭირდებოდა, ჰაერში ისე მოქნილად მოძრაობდა, გეგონებოდა, უწონო იყო. ჰარიმ ომნიოკლი სტანდარტულ რეჟიმზე გადაიყვანა და ისევ კრამისკენ მიმართა, რომელიც ლინჩის ზემოთ წრეებს ურტყამდა. ომნიოკლში კარგად ჩანდა კრამის სახე, ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან მისი შავი თვალები მთელ მოედანზე გაფაციცებით დასრიალებდა. ჰარი მიხვდა, რომ დრო მოიგო და სნიჩს ეძებდა, სანამ მედჯადოქრები ლინჩს სპეციალური სასმელით ასულიერებდნენ.

როგორც იქნა, ლინჩი ფეხზე წამოდგა, მწვანე ფერის სამოსში გამოწყობილი მაყურებლების ხმამაღალი შეძახილების თანხლებით თავის „ელვაზე“ ამხედრდა და მიწაზე ფეხის დაკვრით ჰაერში ავარდა. მისმა გამოცოცხლებამ ირლანდიის ნაკრებს ახალი სული შთაბერა. როდესაც მუსტაფამ სასტვენში კვლავ ჩაჰბერა, ჩეიზერები ისეთი ოსტატობით ჩაებნენ თამაშში, რომ ჰარის მსგავსი არაფერი ენახა.

მომდევნო თხუთმეტწუთიანი გაცხარებული თამაშის შემდეგ ირლანდია კიდევ ათი გოლით გავარდა წინ. ახლა ისინი ას ოცდაათით ათს იგებდნენ და ბრძოლა კიდევ უფრო დაუნდობელი გახდა.

როდესაც მალეტი ჩაბღუჯული ქუაფლით ისევ გოლპოსტებისკენ გაიჭრა, მის შესახვედრად ბულგარელი მეკარე, ზოგრაფი გამოექანა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ჰარიმ ვერაფრის დანახვა ვერ მოასწრო, მაგრამ ირლანდიელი გულშემატკივრების განრისხებულ ყვირილსა და მუსტაფას სასტვენის გაბმულ, ყურთასმენის წამლებ ხმაზე მიხვდა, რომ თამაშის წესი დაირღვა.

– მსაჯი ბულგარელ მეკარეს აფრთხილებს განზრახ უხეში თამაშისთვის, მან იდაყვი ჩაარტყა მეტოქეს, – ამცნო აღრიალებულ მაყურებელს ბეგმანმა, – დიახ, ირლანდიას პენალტი ეძლევა.

ლეპრეკონები, რომლებიც განრისხებული მანათობელი კრაზანებივით აიჭრნენ ცაში, როცა მალეტს წესების დარღვევით ეთამაშნენ, ერთმანეთს ისე გადაებნენ, რომ ჰაერში „ჰა-ჰა-ჰა!“ დაწერეს. მოედნის მეორე მხარეს ვიილები ფეხზე წამოხტნენ, გაალმასებულებმა თმა აიბუეს და ისევ აცეკვდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უისლებმა და ჰარიმ ერთდროულად გაირჭვეს ყურებში თითი, მაგრამ მალე ჰარის სახელოზე ჰერმიონმა დაქაჩა (მასზე ვიილები არანაირად არ მოქმედებდნენ). ჰარი მისკენ შებრუნდა და ჰერმიონმა მოუთმენლად მოაცილებინა ყურებიდან თითები.

– ერთი მსაჯს შეხედე! – თქვა ხითხითით.

ჰარიმ მოედანს ჩახედა. ჰასან მუსტაფა პირდაპირ ვიილას წინ დაშვებულიყო მიწაზე და მართლაც, ძალიან უცნაურად იქცეოდა. კუნთებს ათამაშებდა და აღელვებით ისვამდა ხელს ულვაშზე.

– ეს უკვე მეტისმეტია! – გააპროტესტა ლუდო ბეგმანმა, თუმცა ხმაზე ეტყობოდა, რომ თვითონაც ძლივს იკავებდა სიცილს, – გონზე მოიყვანეთ მსაჯი!

მოედანზე გიჟივით გამოვარდა ყურებში თითებგარჭობილი მედჯადოქარი და მუსტაფას წვივში ჩასცხო ფეხი. მუსტაფა, ეტყობა, გონს მოეგო. ჰარიმ ომნიოკლით დაინახა, რომ საშინლად დარცხვენილი უყვიროდა ვიილებს. ვიილებმა ცეკვა შეეწყვიტეს და მსაჯს აღშფოთებულები მიაჩერდნენ.

– თუ არ ვცდები, მუსტაფა ბულგარეთის ნაკრების თილისმას მოედნიდან გაძევებას უპირებს! – გამოაცხადა ბეგმანმა, – გაუგონარი ამბავია... ოოო, ეს შეიძლება, ცუდად დამთავრდეს...

ასეც მოხდა: ბულგარელი ბიტერები, ვოლკოვი და ვოლჩანოვი, მუსტაფას გვერდით დაეშვნენ და გაცხარებული კამათი გაუმართეს, თან ხელით ლეპრეკონებზე ანიშნებდნენ, რომლებმაც ახლა „ჰი, ჰი, ჰი!“ მოხაზეს ჰაერში. მაგრამ ბულგარელების არგუმენტებს მუსტაფაზე არ უმოქმედია, თითი ცისკენ აიშვირა. ალბათ, უბრძანა, ისევ მაღლა აფრენილიყვნენ, და როდესაც უარი მიიღო, ორჯერ მოკლედ ჩაჰბერა სასტვენს.

– ორი პენალტი ირლანდიის სასარგებლოდ! – დასჭექა ბეგმანმა და ბულგარელი გულშემატკივრები სიმწრით აყმუვლდნენ, – ვოლკოვს და ვოლჩანოვს კი ურჩევნიათ, თავიანთ ცოცხებს დაუბრუნდნენ... ჰო... აგერ, წავიდნენ... ქუაფლს ტროი ეუფლება...

თამაშმა არნახულ სისასტიკეს მიაღწია. ორივე ნაკრების ბიტერები დაუნდობლად იბრძოდნენ: ვოლკოვი და ვოლჩანოვი ჩოგანს ისე გამეტებით იქნევდნენ, რომ აღარ დაგიდევდნენ, ბლაჯერს ხვდებოდა თუ ადამიანს. დიმიტროვი პირდაპირ მორანისკენ გაექანა, რომელიც ქუაფლს ფლობდა, და კინაღამ ცოცხიდან ჩამოაგდო.

– დარღვევა! – ერთხმად დაიღრიალეს ირლანდიელთა გულშემატკივრებმა, ფეხზე წამოხტნენ და ტრიბუნა უზარმაზარი მწვანე ტალღასავით აგორდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დარღვევა! – ექოსავით გაიმეორა ლუდო ბეგმანის სასწაულებრივად გაძლიერებულმა ხმამ, – ჩეიზერზე განზრახ თავდასხმა! დიმიტროვი დაეჯახა მორანს. წესით, კიდევ ერთი პენალტი უნდა დაინიშნოს... დიახ, აი, სასტვენის ხმა!

ლეპრეკონები ისევ მაღლა აფრენილიყვნენ და ამჯერად გიგანტური ხელის ფორმა მიეღოთ, რომელიც პირდაპირ ვიილების მისამართით ძალიან უხამს ჟესტს გამოხატავდა. ამაზე ვიილებმა საბოლოოდ დაკარგეს წონასწორობა, მოედანზე გამოცვივდნენ და ლეპრეკონებს ცეცხლის გუნდები დაუშინეს. ჰარიმ ომნიოკლით შეამჩნია, რომ ახლა სულაც არ იყვნენ ლამაზები, პირიქით, სახეები დაგრძელებოდათ და ბასრნისკარტა მტაცებელ ფრინველებს დამსგავსებოდნენ, მხრებიდან კი გრძელი, ქერცლით დაფარული ფრთები გამოზრდოდათ.

– ხედავთ, ბიჭებო, – მთელი ხმით იყვირა ბატონმა უისლიმ, რომ ტრიბუნების ღრიალი დაეფარა, – მარტო გარეგნობას არ უნდა ენდოთ!

სამინისტროს თანამშრომლები მოედანს მიაწყდნენ, რომ ვიილები და ლეპრეკონები გაეშველებინათ, მაგრამ ამაოდ. ამასობაში, ზემოთ, ჰაერში, არანაკლებ გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ჰარი ხან საით მიატრიალებდა ომნიოკლს და ხან საით, რადგან ქუაფლი ტყვიის სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში.

– ლევსკი... დიმიტროვი... მორანი... ტროი... ივანოვა... ისევ მორანი... მორანი... მორანს გოლი გააქვს!!!

მაგრამ ირლანდიელთა გულშემატკივრების ყიჟინა ვიილების კივილმა, სამინისტროს ჯადოქრების ჯოხებიდან გახსნილმა ცეცხლმა და ბულგარელების გაცოფებულმა ღრიალმა გადაფარა. თამაში მალევე განახლდა, ქუაფლს ამჯერად ლევსკი ფლობდა, გადასცა დიმიტროვს...

ირლანდიელი ბიტერი ქუიგლი ჩავლილ ბლაჯერს მოუტრიალდა, მთელი ძალით მოარტყა ჩოგანი და პირდაპირ კრამის მიმართულებით გაგზავნა. კრამმა დროულად ვერ დახარა თავი და ბლაჯერი სახეში მოხვდა.

ტრიბუნებს გამაყრუებელი გმინვა აღმოხდა, კრამს ეტყობოდა, რომ ცხვირი გაუტყდა, სისხლი თქრიალით მოსდიოდა, მაგრამ ჰასან მუსტაფამ საყვირს არ ჩაჰბერა. და ჰარი ვერც უსაყვედურებდა, იმას თავისი გასაჭირი დასდგომოდა: ერთ-ერთი ვიილასგან ნასროლი ცეცხლის გუნდა ცოცხს მოხვედროდა და მის ჩაქრობას ლამობდა.

ჰარი განერვიულდა: ნეტავ ვინმე მაინც მიხვდეს, რომ კრამმა ტრავმა მიიღოო. მართალია, ჰარი ირლანდიას გულშემატკივრობდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ კრამი უდავოდ საუკეთესო იყო მოედანზე. რონიც იმავეს ფიქრობდა.

– ტაიმაუტი აიღონ! ასე როგორ შეიძლება, ასე ხომ ვერ ითამაშებს, ერთი შეხედე...

– შენ ერთი ლინჩს შეხედე! – იკივლა ჰარიმ.

მართლაც, ირლანდიელი სიკერი ელვის სისწრაფით მიქროდა ძირს. და ჰარი დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად ეს ნამდვილად არ იყო ვრონსკის ფინტი, ამჯერად სნიჩი მართლა გამოჩნდა.

– სნიჩი დაინახა! – გაჰყვიროდა ჰარი, – დაინახა! ნახე, როგორ მიქრის!

როგორც ჩანს, მაყურებლების ნახევარი მიხვდა, რა ხდებოდა. მწვანე ტრიბუნა ზღვასავით აღელდა. ირლანდიელთა გულშემატკივრები ფეხზე წამოიჭრნენ და თავიანთ სიკერს გამგმირავი წივილ-კივილით ამხნევებდნენ. მაგრამ უკვე კუდში მიჰყვებოდა ლინჩს. ჰარის ვერ წარმოედგინა, რანაირად ხედავდა კრამი, საით უნდა გაფრენილიყო. მის უკან ჰაერში სისხლის წვეთების კვალი რჩებოდა, მაგრამ, აი, უკვე ლინჩს გაუსწორდა და ორივე ისევ ერთად დაეშვა დაბლა...

– მიწას დაეხეთქებიან! – იწივლა ჰერმიონმა.

– არ დაეხეთქებიან! – დაიბღავლა რონმა.

– ლინჩი დაეხეთქა! – იყვირა ჰარიმ.

ასეც იყო, ლინჩი უკვე მეორედ საშინელი ძალით დაენარცხა მიწაზე და მაშინვე გააფთრებული ვიილების ურდო დააცხრა თავს.

– სნიჩი? სად არის სნიჩი? – დაიღრიალა ჩარლიმ.

– დაიჭირა! კრამმა დაიჭირა! მორჩა, ყველაფერი დამთავრდა! – ყვიროდა ჰარი.

კრამი, რომელსაც მანტია ცხვირიდან წამსკდარი სისხლით მოთხვროდა, ჰაერში ნელა ასრიალდა, მუშტი შემართა და მის ხელში ოქროს სნიჩმა გაიბრჭყვინა.

მაყურებლების ნახევარს გაცნობიერებულიც არ ჰქონდა, რა მოხდა, როცა მათ თავს ზემოთ, ტაბლოზე, ანგარიში აინთო: ბულგარეთი – **ას სამოცი, ირლანდია – ას სამოცდაათი.** შემდეგ ნელა, თითქოს რეაქტიული თვითმფრინავი სტარტს იღებსო, ირლანდიელების ტრიბუნებიდან მოვარდნილი მოგუდული გუგუნი თანდათან გაძლიერდა და ბოლოს სიხარულის ყიჟინამ იფეთქა.

– ირლანდიამ მოიგო! – გამოაცხადა თამაშის ასეთი მოულოდნელი დასრულებით მაყურებლების მსგავსად გაოცებულმა ბეგმანმა, – კრამმა სნიჩი დაიჭირა, მაგრამ ირლანდიამ მოიგო. ღმერთო ჩემო, ვინ იფიქრებდა ამას!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაში დასჭირდა სნიჩის დაჭერა? – რონი ადგილზე ხტოდა და თავს ზემოთ აწეული ხელებით უკრავდა ტაშს, – თამაში მაშინ დაამთავრა, როცა ირლანდია ას სამოცი ქულით უსწრებდა, იდიოტი!

– იცოდა, რომ ვერასოდეს მოიგებდნენ, – ჰარიმ ძლივს გადაფარა ხმაური, თვითონაც თავგამეტებით უკრავდა ტაშს, – ირლანდიელი ჩეიზერები ძალიან ძლიერები იყვნენ. უბრალოდ, უნდოდა, ბოლო სიტყვა მისი ყოფილიყო, მორჩა და გათავდა.

– რა მამაცია, არა? – ჰერმიონი წინ გადაიხარა და კრამს დააკვირდა. კრამი მიწაზე დაეშვა. ბრძოლაში ჩაბმულ ლეპრეკონებსა და ვიილებს შორის ჯოხებიდან გახსნილი ცეცხლით ძლივს გაიკვალა გზა მისკენ მიმავალმა მედჯადოქრების გუნდმა, – რა საშინელ დღეშია...

ჰარიმ ისევ ომნიოკლი მოიმარჯვა. კარგად არ ჩანდა, რა ხდებოდა ქვემოთ, რადგან გახარებული ლეპრეკონები მთელი მოედნის თავზე დაზუზუნებდნენ, მაგრამ მაინც გაარჩია მედჯადოქრებით გარშემორტყმული კრამი. ახლა უფრო მოღუშული ჩანდა და ექიმებს იმის ნებაც კი არ მისცა, რომ სისხლი მოეწმინდათ. მისი თანაგუნდელებიც მის ირგვლივ მოგროვილიყვნენ და ცხვირჩამოშვებულები აქნევდნენ თავს. იქვე, შორიახლოს, ირლანდიელი მოთამაშეები სიხარულით ცეკვავდნენ მათივე თილისმებისგან წამოსულ ოქროს წვიმაში. მთელ სტადიონზე დროშები ფრიალებდა, ყოველი მხრიდან ირლანდიის ეროვნული ჰიმნი ქუხდა. ვიილებმაც თანდათან დაიბრუნეს ჩვეული სილამაზე, თუმცა ფრიად ნირწამხდარნი და დამწუხრებულები ჩანდნენ.

– რას ვიზამტ, შვენს მამასურად ვიბრზოლეტ, – გაისმა ჰარის უკან ბოლმიანი ხმა. ჰარიმ მიიხედა და ბულგარეთის მაგიის მინისტრი დაინახა.

ფაჯი სულ გადაირია.

– თქვენ რა, ინგლისური იცით? და მთელ დღეს ტყუილად ვიქნევდი ხელებს?

– ჰო, ზალიან სასაცილო იკო, – მხრები აიჩეჩა ბულგარელმა მინისტრმა.

– და ვიდრე ირლანდიის ნაკრები, თავისი თილისმების თანხლებით, მოედანს საპატიო წრეს ურტყამს, ზედა იარუსის ლოჟაში თავად მსოფლიო ჩემპიონატის თასი მობრძანდება! – დაიქუხა ბეგმანმა.

ლოჟა ჯადოსნური შუქით ისე გაკაშკაშდა, რომ ჰარის უცებ თვალი მოსჭრა. ტრიბუნებზე მსხდომნი კარგად ხედავდნენ, რა ხდებოდა შიგნით. ჰარიმ თვალმოჭუტულმა გაიხედა შემოსასვლელისკენ და დაინახა, რომ ორმა აქოშინებულმა ჯადოქარმა ლოჟაში ვეება ოქროს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თასი შემოიტანა და კორნელიუს ფაჯს გადასცა, რომელსაც, ეტყობოდა, ჯერაც ვერ მოენელებინა, რომ ჟესტების ენას მთელ დღეს ტყუილად იყენებდა.

– მოდით, მქუხარე ტაშით გავაცილოთ ჩვენი ღირსეული მეტოქე, დამარცხებული ბულგარეთი! – დასჭექა ბეგმანმა.

შვიდმა დამარცხებულმა ბულგარელმა მოთამაშემ კიბე აიარა და ლოჟაში შემოვიდა. ქვემოდან მაყურებლები მოწონებით უკრავდნენ ტაშს. ჰარიმ დაინახა, როგორ მოტრიალდა მათკენ ათასობით ომნიოკლის ციმციმა ობიექტივი.

ბულგარელები სკამების რიგებშუა სათითაოდ გადიოდნენ, ბეგმანი მათ სახელებს აცხადებდა, ისინი კი ბულგარეთის მინისტრსა და ფაჯს რიგრიგობით ართმევდნენ ხელს. სულ ბოლოს მომავალი კრამი, მართლაც, საშინლად გამოიყურებოდა. სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, თვალის უპეები ჩაშავებოდა. სნიჩი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. ჰარიმ შეამჩნია, რომ მიწაზე ისე თავდაჯერებული არ ჩანდა, როგორც ჰაერში. არც ის გამოეპარა, რომ სულ ოდნავ ბრტყელტერფიანი და მხრებში შესამჩნევად მოხრილი იყო, მაგრამ, როდესაც კრამის სახელი გამოაცხადეს, მთელმა სტადიონმა ყურთასმენის წამღები ღრიალი მორთო.

შემდეგ ირლანდიის ნაკრების ჯერი დადგა. ეიდან ლინჩს მხარში მორანი და კონოლი ამოსდგომოდნენ, როგორც ჩანს, მეორე დაცემამ უკვალოდ არ ჩაიარა და თვალები უცნაურად დაელმებოდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იღიმებოდა, როცა ტროიმ და ქუიგლიმ თასი მაღლა ასწიეს და ტრიბუნებმა აღტაცებით იქუხეს. ჰარი იმდენ ხანს უკრავდა ტაშს, რომ ხელები დაუბუჟდა.

ბოლოს, როცა ირლანდიის ნაკრები ლოჟიდან გავიდა, რათა კიდევ ერთი საპატიო წრე დაერტყა მოედნისთვის (ეიდან ლინჩი კონოლის შემოსჯდომოდა ცოცხზე, მისთვის წელზე შემოეჭდო ხელები და სახიდან დაბნეული ღიმილი არ შორდებოდა). ბეგმანმა ყელისკენ ჯადოსნური ჯოხი მიიშვირა და ჩაიბუტუტა:

– კვიეტუს. ამ მატჩზე წლობით ილაპარაკებენ, – განაგრძო ჩახლეჩილი ხმით, – მართლაც, რა უეცრად შემობრუნდა თამაში... რა სამწუხაროა, რომ ასე მალე დასრულდა... ა, ჰო... დიახ, მე თქვენი მმართებს... რამდენი?

სიხარულისგან გაბრწყინებული ფრედი და ჯორჯი თავიანთი სკამების საზურგეებზე გადმოძვრნენ და გაღიმებულები და ხელგაშვერილები დადგნენ ლუდო ბეგმანის წინ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრე

შავი ნიშანი

– დედათქვენს ნუ ეტყვით, რომ ფულზე ითამაშეთ, – შეეხვეწა ბატონი უისლი ფრედს და ჯორჯს, როცა ნელა ჩაუყვნენ წითელხალიჩადაფენილ კიბეს.

– ნუ გეშინია, მამა, – მხიარულად უპასუხა ფრედმა, – ამ ფულით ბევრ რამეს ვგეგმავთ და სულაც არ გვინდა, რომ დედამ ჩამოგვართვას.

ბატონ უისლის წამით შეეტყო, რომ დააპირა, ეკითხა, ამისთანა რა გეგმები გაქვთო, მაგრამ დაფიქრდა და გადაწყვიტა, რომ ჯობდა, არ სცოდნოდა.

სტადიონის გამოსასვლელთან ხალხის ნაკადს შეუერთდნენ. ყველანი თავ-თავიანთი კარვებისკენ მიეშურებოდნენ. გზას ფარნები ანათებდა. ღამეულ ჰაერში ხმაშეწყობილი სიმღერები ისმოდა. დროდადრო თავზე ხითხითით და ფარნების ქნევით ლეპრეკონი გადაუფრენდათ ხოლმე. როგორც იქნა, თავიანთ კარვებსაც მიაღწიეს, მაგრამ არავის ეძინებოდა და რადგან იქაურობას მხიარული ჟივილ-ხივილი აყრუებდა, ბატონი უისლი დაითანხმეს, დაძინებამდე ერთი ფინჯანი კაკაოც დაელიათ. მერე დასხდნენ, თან კაკაოს მიირთმევდნენ, თან აზარტში შესულები მატჩის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ბატონი უისლი და ჩარლი თამაშის წესების დარღვევაზე კამათობდნენ. იმდენ ხანს გაგრძელდა მათი კამათი, რომ ჯინის პირდაპირ პატარა მაგიდაზე ჩამოეძინა და კაკაო იატაკზე დაეღვარა. ბატონმა უისლიმ მაშინვე ბრძანა, შეეწყვიტათ სიტყვიერი სპორტული ბატალიები და დაწოლილიყვნენ. ჰერმიონი და ჯინი გოგონების კარავში წავიდნენ, ბიჭებმა კი პიჟამები ჩაიცვეს და თავ-თავიანთ საწოლებზე აძვრნენ. ბანაკის მეორე ბოლოდან ჯერ კიდევ აღწევდა სიმღერის ხმა და უცნაური მოგუდული ბრახუნი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უჰ, რა კარგია, რომ ამაღამ მორიგე არა ვარ, – ჩაიბურტყუნა თვლემამორეულმა ბატონმა უისლიმ, – არ გინდა, ახლა ირლანდიელებთან მიხვიდე და ზეიმის შეწყვეტა მოსთხოვო?!

ჰარი რონის ზემოთა საწოლზე იწვა და ბრეზენტის ჭერს მისჩერებოდა, რომელშიც დროდადრო შემთხვევით ჩაფრენილი ლეპრეკონის ფარნის შუქი ატანდა, და კრამის ზოგიერთ დაუვიწყარ ილეთს იხსენებდა. ერთი სული ჰქონდა, თავის „ელვაზე“ შემომჯდარიყო და ვრონსკის ფინტი გაემეორებინა... ოლივერ ვუდს ეს ილეთი, რატომღაც, არც ერთ თავის ჩახუჭუჭებულ სქემაში არ გამოუხატავს. ჰარიმ წარმოიდგინა თავისი თავი ქვიდიჩის ფორმაში, რომელსაც ზურგზე მისი სახელი ეწერა, და ცხადად გაიგონა, როგორ იღრიალა აღტაცებულმა ბრბომ, როცა ლუდო ბეგმანის ხმამ მთელ სტადიონს ამცნო: „თქვენ წინაშეა პოო-ო-ტერი!“

ჰარიმ ვერ გაიგო, როდის ჩაეძინა ან, საერთოდ, ჩაეძინა თუ არა. შესაძლოა, კრამივით ფრენაზე ოცნება სიზმრად ექცა. სამაგიეროდ, მშვენივრად გაიგო, როგორ ყვიროდა ბატონი უისლი:

– ადექით! რონ, ჰარი! დროზე, ადექით, რაღაც მოხდა!

ჰარი სასწრაფოდ წამოჯდა და თავი გაჭიმულ ბრეზენტს აარტყა.

– რა მოხდა?

გუმანით იგრძნო, რომ ცუდად იყო საქმე. ბანაკის ხმები შეცვლილიყო. სიმღერის ნაცვლად ახლა წივილ-კივილი და გაქცეული ხალხის ფეხის ხმა ისმოდა.

ჰარი საწოლიდან ჩამოხტა და ტანსაცმელს წაეტანა, მაგრამ ბატონმა უისლიმ, რომელსაც ჯინსი პიჟამაზე ამოეცვა, დაუყვირა:

– მაგის დრო არ არის, ჰარი, ქურთუკს დაავლე ხელი და გარეთ გადი, ჩქარა!

ჰარი ისე მოიქცა, როგორც უთხრეს, და კარვიდან გარეთ გავარდა, რონიც ფეხდაფეხ მიჰყვა.

აქა-იქ შემორჩენილი კოცონის შუქზე ჩანდა, როგორ გაურბოდა ხალხი რაღაცას ტყისკენ. ეს რაღაცა ნელა მოძრაობდა მინდორზე, უცნაური სინათლის ნაკადსა და სროლისმაგვარ ხმას გამოსცემდა. ბიჭების ყურამდე ხმამაღალი გინება, ხარხარი და მთვრალების ყვირილი აღწევდა, შემდეგ ძლიერმა მწვანე შუქმა გაიელვა და იქაურობა გაანათა.

მინდორზე ნელა მოდიოდნენ ჯადოსნურ ჯოხებამართული მჭიდროდ შეჯგუფული ჯადოქრები. ჰარის თავდაპირველად მოეჩვენა, რომ სახეები არ ჰქონდათ, მაგრამ მერე დაინახა, რომ კაპიუშონები ეხურათ და სახეებს ნიღბები უფარავდათ. მათ თავზემოთ, მაღლა, ჰაერში, ოთხი გაძალიანებული ფიგურა იგრიხებოდა და უცნაურ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფორმებს იღებდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მარიონეტები იყვნენ და ნიღბიანი ჯადოქრები ჯადოსნური ჯოხებიდან გამომავალი უხილავი ძაფებით მართავდნენ. ჰაერში მოფარფატე ფიგურებიდან ორი ძალიან პატარა იყო.

ნიღბოსნების ჯგუფს სულ უფრო და უფრო მეტი ჯადოქარი უერთდებოდა სიცილ-ხარხარით. ჯადოსნურ ჯოხებს ისინიც მაღლა, ჰაერში მოლივლივე სხეულებისკენ იშვერდნენ. მსვლელობა თანდათან სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. მათ ფეხქვეშ კარვები ინგრეოდა. ჰარიმ დაინახა, როგორ ჩამოიცილა გზიდან ერთ-ერთმა ნიღბოსანმა ჯოხიდან გახსნილი ცეცხლით რამდენიმე კარავი. ზოგი კარავი ალში გაეხვია. წივილ-კივილმა იმატა.

როცა ერთ-ერთ ალმოდებულ კარავს ჰაერში მოლივლივე ფიგურებმა გადაუარეს, ცეცხლის შუქზე ჰარიმ იცნო ერთი მათგანი – ბანაკის მენეჯერი ბატონი რობერტსი. დანარჩენები, ალბათ, მისი ცოლი და შვილები იყვნენ. ერთ-ერთმა ჯადოქარმა ჯადოსნური ჯოხით ქალბატონი რობერტსი ჰაერში თავდაყირა ამოატრიალა, ქალს ღამის პერანგი თავზე ჩამოემხო და გრძელი საცვალი გამოუჩნდა. ამაოდ ცდილობდა კაბის გასწორებას. მის ქვემოთ კი ბრბო უსტვენდა და აღფრთოვანებით ყიჟინებდა.

– რა საზიზღრობაა, – რონი თვალს არ აშორებდა პატარა მაგლ ბავშვს, რომელიც მიწიდან თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე ბზრიალასავით დაატრიალეს და თავი უსიცოცხლოდ ხან ერთ მხარეს გადაუვარდა, ხან მეორე მხარეს, – მართლა რა საზიზღრობაა.

გოგონების კარვიდან ჰერმიონი და ჯინი გამოძვრნენ და მათკენ გამოიქცნენ, გზადაგზა ღამის პერანგებზე ქურთუკებს იცვამდნენ, ფეხდაფეხ ბატონი უისლი მოჰყვებოდათ. იმავე წუთს ბიჭების კარვიდან ჩაცმულ-დახურული, მკლავებდაკაპიწებული და ჯადოსნური ჯოხებით შეიარაღებული ბილი, ჩარლი და პერსი გამოჩნდნენ.

– ჩვენ სამინისტროს მორიგეებს უნდა დავეხმაროთ, – ძლივს გადაფარა ხმაური ბატონმა უისლიმ და თვითონაც დაიკაპიწა მკლავები, – თქვენ კი ყველანი ტყეში გაიქეცით და არ დაიფანტოთ. როცა ყველაფერს მოვაგვარებთ, მოვალ და წამოგიყვანთ.

ბილი, ჩარლი და პერსი უკვე ნიღბებიანი ჯადოქრების ჯგროსაკენ გარბოდნენ. ბატონი უისლიც მათ გაედევნა. სამინისტროს თანამშრომლები ყველა მხრიდან მოეშურებოდნენ ცხელი წერტილისკენ. ნიღბიანი ჯადოქრები და ჰაერში გამოკიდებული ბატონ რობერტსის ოჯახი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ.

– წავედით, – ფრედმა ჯინის ხელი ჩასჭიდა და ორივენი ტყისკენ გაიქცნენ. ჰარი, რონი, ჰერმიონი და ჯორჯი უკან გაჰყვნენ. ხეებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მიუახლოვდნენ, ბანაკს მოხედეს. ბრბოს ხალხი შემატებოდა, სამინისტროს თანამშრომლები ცდილობდნენ, როგორმე ეს ხროვა გაერღვიათ და ცენტრში, ნიღბოსნების ჯგუფისკენ შეეღწიათ, მაგრამ ძალიან უჭირდათ. როგორც ჩანს, შელოცვების გამოყენებისგან თავს იკავებდნენ, რადგან ეშინოდათ, რობერტსები ძირს არ ჩამოცვენილიყვნენ.

ნაირფერი ფარნები, რომლებიც სტადიონისკენ მიმავალ გზას ანათებდა, ჩამქრალიყო. ხეებში უთავბოლოდ დაბოდიალობდნენ მუქი ფიგურები, ბავშვები ტიროდნენ, ღამის ცივ ჰაერში ექოსავით ისმოდა განგაშის ხმები და შეშფოთებული ყვირილი. ჰარის აქეთ-იქიდან ვიღაცეები ეჯახებოდნენ, მაგრამ სიბნელეში მათ სახეებს ვერ არჩევდა. უცებ რონმა ტკივილისგან შეჰყვირა.

– რა მოხდა? – იკითხა შეშფოთებულმა ჰერმიონმა და ისე უცებ შეჩერდა, რომ ჰარი ზედ შეასკდა, – რონ, სადა ხარ? ოო, რა სულელი ვარ, ლუმოს!

ჰერმიონმა ჯადოსნური ჯოხის წვერი გაანათა და სინათლის ვიწრო ზოლი ბილიკს მიუშვირა. რონი მიწაზე გაშხლართულიყო.

– ხის ფესვს წამოვკარი ფეხი, – ჩაიბურტყუნა გაბრაზებულმა და წამოდგა.

– ჰოო, მაგ ზომის ფეხი ძნელია, რამეს არ წამოჰკრა, – გატყლარჭულად თქვა ვიღაცამ მათ ზურგს უკან.

ჰარი, რონი და ჰერმიონი ელდანაკრავებივით მიტრიალდნენ. მათგან ორიოდე ნაბიჯზე დრაკო მალფოი იდგა, ძალიან მშვიდად მიჰყრდნობოდა ხეს, გულხელი დაეკრიბა და აქედან ადევნებდა თვალს ბანაკში დატრიალებულ ამბავს.

რონმა ისეთი რამ აკადრა მალფოის, რის თქმასაც ქალბატონ უისლის თანდასწრებით ვერაფრით ვერ გაბედავდა.

– ენას მოუარე, უისლი, – მალფოიმ უფერული თვალები დააკვესა, – გირჩევნიათ, ნაბიჯს აუჩქაროთ. ხომ არ გინდათ, ეს შეამჩნიონ?

და თავით ჰერმიონზე ანიშნა. იმავე წამს ბანაკის მხრიდან აფეთქების ხმა გაისმა და მათ ირგვლივ ხეები წამით მწვანე შუქმა გაანათა.

– ვითომ ეგ რას ნიშნავს? – გამომწვევად ჰკითხა ჰერმიონმა.

– გრეინჯერ, ისინი მაგლებზე ნადირობენ, – აუხსნა მალფოიმ, – ან იქნებ გინდა, შენი ფოხანი დროშასავით ჰაერში აფრიალდეს? თუ გინდა, აქ დაიცადე. მაინც აქეთ მოდიან და ცოტას გავერთობოდით.

– ჰერმიონი ჯადოქარია, – შეუღრინა ჰარიმ.

– რაც გინდა, ის თქვი, პოტერ, – ბოროტად ჩაიღიმა მალფოიმ, – მაგრამ თუ გგონია, რომ მუქსისხლიანს ვერ იცნობენ, აქ დარჩით და მაგასაც ვნახავთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ენა დაიმოკლე! – იფეთქა რონმა და მალფოისკენ გაიწია. ოთხივემ იცოდა, რომ „მუქსისხლიანს“ მაგლური წარმოშობის ჯადოქრებს ეძახდნენ და ძალიან შეურაცხმყოფელი სიტყვა იყო.

– თავი დაანებე, რონ, – საჩქაროდ თქვა ჰერმიონმა და რონს მკლავში ჩაავლო ხელი.

უცებ ტყის მეორე მხარეს ისეთი გრუხუნი გაისმა, ასეთი ხმა ჯერ არ გაეგონათ.

მალფოიმ ჩუმად ჩაიცინა.

– კურდღლებივით დაფრთხნენ, არა? – წარმოთქვა ზანტად, – ალბათ, შენმა მამიკომ გითხრა, რომ დაიმალოთ, არა? თვითონ სად არის? მაგლების საშველად ხომ არ გაიქცა?

– შენი მშობლები სადღა არიან? – ჰარის უკვე მოთმინება ელეოდა, – ქვემოთ ნიღბებით დაძრწიან, არა?

მალფოი ახლა მას მიუბრუნდა გაღიმებული სახით:

– ასეც რომ იყოს, როგორ გგონია, შენ გეტყოდი, პოტერ?

– წამოდით, – ჰერმიონმა ზიზღით შეხედა მალფოის, – დანარჩენები მოვძებნოთ.

– ეგ გაბურძგნილი თავი დაბლა გეჭიროს, გრეინჯერ, – დაცინვით დაადევნა მალფოიმ.

– წამოდით, – გაიმეორა ჰერმიონმა და რონი და ჰარი ძალით გაათრია ბილიკზე.

– რაზეც გინდა, დავნაძლევდეთ, რომ ერთ-ერთი ნიღბიანი მამამისია, – ცხარობდა რონი.

– ჰოდა, იმედია, სამინისტრო დაიჭერს და პასუხს აგებინებს! – აშოშმინებდა ჰერმიონი, – რა უბედურებაა, სად დაიკარგნენ დანარჩენები?

ფრედი, ჯორჯი და ჯინი არსად ჩანდნენ, თუმცა ბილიკზე უამრავი ხალხი ირეოდა და შეშფოთებული იხედებოდა უკან, აწიოკებული ბანაკისკენ.

შუაგზაზე პიჟამებიანი მოზარდების ჯგუფი იდგა და ხმამაღლა კამათობდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი რომ დაინახეს, ერთ-ერთი გოგონა, რომელსაც ხშირი, ხვეული თმა ჰქონდა, მოტრიალდა და სწრაფად იკითხა: Ou est Madame Maxime? Nous l'avons perdue...*

– ეეე... რა�ა? – დაიბნა რონი.

– ოჰ, – გოგონამ ზურგი შეაქცია. მცირე მანძილი რომ გამოიარეს, გარკვევით გაიგონეს, როგორ თქვა იმ გოგონამ: „ოგვარტელები“.

– ბობატონელები, – წაიბუტბუტა ჰერმიონმა.

---

* (ფრანგ.) სად არის მადამ მაქსიმი? დავკარგეთ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქვი? – ჩაეკითხა ჰარი.

– ბობატონის სტუდენტები არიან, – განუმარტა ჰერმიონმა, – არ გაგიგიათ ჯადოქრობის აკადემია „ბობატონი“? მე „ევროპაში ჯადოქრული განათლების მიმოხილვაში“ წავიკითხე.

– ააა, ჰო... გასაგებია.

– ფრედი და ჯორჯი ასე შორს ვერ წავიდოდნენ, – რონმა ჯოხი ამოიღო, იქაურობა გაანათა და თვალმოჭუტულმა გახედა ბილიკს. ჰარიმ ქურთუკის ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ რა ჯოხი, რის ჯოხი! მხოლოდ ომნიოკლი იპოვა – ეგ იყო და ეგ.

– ვაიმე! მგონი, ჯოხი დავკარგე!

– შენ რა, ხუმრობ?

რონმა და ჰერმიონმა ჯოხები მაღლა ასწიეს, რომ უფრო კარგად გაენათებინთ იქაურობა, მაგრამ ჰარის ჯოხი არსად ჩანდა.

– იქნებ კარავში დაგრჩა? – ივარაუდა რონმა.

– იქნებ ჯიბიდან ამოგივარდა, როცა მოვრბოდით? – წუხდა ჰერმიონი.

– ჰო, – დაეთანხმა ჰარი, – ალბათ.

ჯადოქრულ სამყაროში ჰარი ჯოხს გვერდიდან არ იშორებდა და ახლა მის გარეშე, თან ასეთ ვითარებაში რომ აღმოჩნდა, ძალიან უმწეოდ იგრძნო თავი.

იქვე ახლოს ლაწალუწი გაისმა და სამივე შეხტა. ბუჩქებში შინაური ელფი, ვინკი მოძვრებოდა. ძალიან უცნაურად მოძრაობდა, თითქოს რაღაც უჩინარი ძალა უკან ეწეოდა.

– იქ ბოროტი ჯადოქრებია! – დაიწრიპინა დაფეთებულმა და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ სირბილი გაეგრძელებინა, – ხალხი მაღლა, მაღლა, ჰაერშია! ვინკიმ თავს უნდა უშველოს!

და აქოშინებული და აწრიპინებული გზის მეორე მხარეს, ხეებს მიღმა გაუჩინარდა.

– რა სჭირს? – რონმა ცნობისმოყვარედ გააყოლა თვალი, – წესიერად რატომ ვერ დარბის?

– ალბათ, დამალვის ნებართვა არ აიღო, – ჰარის დობი გაახსენდა. ყოველთვის, როცა ისეთ რამეს ჩაიდენდა, რაც მალფოებს არ მოეწონებოდათ, იძულებული იყო, საკუთარი თავი დაესაჯა.

– იცით რა, ჩემი აზრით, შინაურ ელფებს ძალიან უსამართლოდ ექცევიან! – დაიწყო აღშფოთებულმა ჰერმიონმა, – მონათმფლობელობაა, აი, რა არის ეს! ბატონმა კრაუჩმა ჯერ აიძულა, სტადიონის ბოლო იარუსზე ასულიყო და კინაღამ შიშით მოკვდა! მერე კი ისე მოაჯადოვა, რომ წესიერად გაქცევაც კი არ შეუძლია! არ შეიძლება, ვინმემ რამე მოუხერხოს ამას?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი მაგრამ, მგონი, შინაური ელფები ბედნიერები არიან, არა? – მხრები აიჩეჩა რონმა, – ხომ გაიგეთ, რას ამბობდა ვინკი სტადიონზე, – რონმა ვინკის გამოაჯავრა: – „შინაური ელფები არ უნდა ერთოობოდეს, ჰარი პოტერ," ესე იგი, მოსწონს, რომ ვიღაცა თავის ნებაზე ატრიალებს.

ჰერმიონი გაწიწმატდა.

– რონ, სწორედ შენნაირი ხალხი ქმნის გახრწნილ და უსამართლო სისტემებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეზარებათ...

ტყის ნაპირიდან ისევ მოისმა აფეთქების ხმა.

– მოდი, ვიაროთ, კარგი? – თქვა რონმა და ჰარიმ შენიშნა, როგორ გააპარა ჰერმიონისკენ თვალი. იქნებ მალფოიმ სიმართლე თქვა, იქნებ ჰერმიონის სიცოცხლეს მართლაც ემუქრებოდა საფრთხე? ისევ გზას გაუდგნენ. ჰარი ჯიბეებში იქექებოდა, თუმცა იცოდა, რომ მაინც ვერაფერს იპოვიდა.

ჩაბნელებულ ბილიკს გაუყვნენ და ტყეში უფრო ღრმად შევიდნენ. თან ყურადღებით იყვნენ, იქნებ ფრედს, ჯორჯსა და ჯინის მოვკრათ თვალიო. ერთგან გობლინები ოქროს ფულით სავსე ტომარაზე დახრილიყვნენ და ხმამაღლა ყაყანებდნენ, აშკარად ტოტალიზატორში მოგებულ ფულს იყოფდნენ და ოდნავადაც არ აწუხებდათ ბანაკში ატეხილი განგაში. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა გზა განაგრძეს და ცოტა ხანში ვერცხლისფერ შუქში შეაბიჯეს. ხეებს შორის პატარა მდელოზე ხმამაღლა აყაყანებული ახალგაზრდა ჯადოქრების ჯგუფით გარშემორტყმული სამი უმშვენიერესი ვიილა იდგა.

– მე წელიწადში ას ტომარა გალეონს ვშოულობ, – გაჰყვიროდა ერთი, – დრაკონების გამანადგურებელი ვარ სახიფათო ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტში!

– არაფერიც! – წამოიკივლა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა, – ჭურჭლის მრეცხავად მუშაობ „გახვრეტილ კარდალაში"! აი, მე კი ვამპირებზე მონადირე ვარ, უკვე ოთხმოცდაათი მყავს მოკლული...

ლაპარაკში ახლა მესამე ახალგაზრდა ჯადოქარი ჩაერია, რომელსაც მუწუკები ვიილების მქრქალ, ვერცხლისფერ შუქზეც კი მოუჩანდა:

– მე, სადაცაა, მაგიის ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი გავხდები!

ჰარიმ ჩაიფრუტუნა. იცნო მუწუკებიანი ჯადოქარი, სტენ შანპაიკი, რომელიც, სინამდვილეში, სამსართულიანი ავტობუსის – „ღამის რაინდის" – კონდუქტორი იყო.

ჰარი რონს მიუბრუნდა, რომ ეს ეთქვა, მაგრამ უცებ რონმა უცნაურად გამოლენჩებული სახით იყვირა:

– მე ჯერ არ მითქვამს, რომ ისეთი მფრინავი ცოცხი გამოვიგონე, იუპიტერამდე რომ მიფრინავს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა დაგემართა? – ისევ აღშფოთდა ჰერმიონი. რონს მკლავებში ხელი ჩაავლეს, შემოატრიალეს და ძალით მოაშორეს იქაურობას. როგორც იქნა, ვიილები და მათი თაყვანისმცემლები თვალს მიეფარნენ, მაგრამ ამასობაში უკვე შუაგულ ტყეში შეაღწიეს. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა და სამარისებური სიჩუმე იდგა.

ჰარიმ მიმოიხედა.

– ხომ არ ჯობია, აქ მოვიცადოთ? აქედან ნაბიჯების ხმას ერთი მილის მანძილზე გავიგონებთ.

ძლივს მოასწრო ამ სიტყვების თქმა, რომ მათ წინ მდგარი ხეებიდან ლუდო ბეგმანი გამოვიდა.

ორი ჯადოსნური ჯოხის სუსტად მოლიცლიცე შუქზეც კი შეამჩნია ჰარიმ, რომ ბეგმანი ძალიან შეცვლილიყო. სადღა იყო მისი ჩვეული უდარდელობა! აღარც ლოყები უღვიოდა ვარდისფრად, აღარც სიმხნევე და სიხალისე ეტყობოდა. ძალიან გაფითრებული და გადაღლილი ჩანდა.

– მანდ ვინ არის? – ლუდომ თვალებმოჭუტულმა გახედა ბავშვებს და სცადა, გაერჩია მათი სახეები, – რას აკეთებთ აქ სულ მარტონი?

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

– იქ, მგონი, რაღაც აჯანყებაა... – თქვა რონმა.

– რაოო? – მიაშტერდა ბეგმანი.

– იქ, ბანაკში... ვიღაცეებმა მაგლების ოჯახი დაიჭირეს და...

ბეგმანმა ხმამაღლა შეიკურთხა. მეტი აღარაფერი უთქვამს, დისაპარაცია გამოიყენა და ხმადაბალი ტკაცანით გაქრა.

– მისტერ ბეგმანი რაღაც ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე, – შუბლი შეიკრა ჰერმიონმა.

– სამაგიეროდ, რა მაგარი ბიტერი იყო! – რონმა გზიდან გადაუხვია, პატარა მდელოზე გავიდა და ხის ძირში მშრალ ბალახზე დაჯდა, – „ვიმბურნის კრაზანებში“ რომ თამაშობდა, სამჯერ ზედიზედ გახდნენ ლიგის ჩემპიონები.

რონმა ჯიბიდან კრამის პატარა ფიგურა ამოიღო, ბალახზე დასვა და ცოტა ხანს უცქირა, როგორ დადიოდა აქეთ-იქით. კრამის მინიატურული მოდელი ცოცხალი ორიგინალივით ოდნავ ბრტყელტერფიანი იყო, მხრებში მოხრილს განდაგან დაჰქონდა ფეხები და გაცილებით ნაკლებშთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ვიდრე ცოცხზე ამხედრებული კრამი. ჰარი ბანაკის ხმებს იყო მიყურადებული, მაგრამ არაფერი ისმოდა. იქნებ რბევა დასრულდაო, გაიფიქრა.

– იმედია, დანარჩენებს არაფერი უჭირთ, – დაარღვია სიჩუმე ჰერმიონმა.

– ნუ გეშინია, არაფერი მოუვათ, – დაამშვიდა რონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– წარმოიდგინე, რა იქნება, მამაშენმა ლუციუს მალფოი რომ დაიჭიროს! – ჰარი რონს მიუჯდა და ისიც ჩამოცვენილ ფოთლებში მოსიარულე მინიატურულ კრამს მიაჩერდა, – ყოველთვის ამბობდა, ფაქტზე სიამოვნებით დავიჭერდიო.

– აი, ეგ კი ნამდვილად ჩამოურეცხავდა დრაკოს სიფათიდან დამცინავ ღიმილს, – ინატრა რონმა.

– საწყალი მაგლები, – წუხდა ჰერმიონი, – ვაითუ დაბლა ვერ ჩამოსხეს?

– ჩამოსხამენ, – დააიმედა რონმა, – რამეს მოახერხებენ.

– რა სიგიჟეა ასეთი რამის გაკეთება, როცა ამ ღამეს მთელი მაგიის სამინისტრო ფეხზე დგას, – ვერ ისვენებდა ჰერმიონი, – რისი იმედი ჰქონდათ? როგორ აპირებდნენ მაგიის სამინისტროსგან დასხლტომას? როგორ ფიქრობთ, მთვრალები იყვნენ თუ, უბრალოდ...

ჰერმიონმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და უკან მიიხედა. ბიჭებმაც სასწრაფოდ მიმოიხედეს. ისეთი ხმა მოისმოდა, თითქოს მათკენ გაუბედავად მოდიოდა ვიღაც. ჩაბნელებულ ხეებს მიღმა არეული ნაბიჯების ხმა გაისმა და მალევე შეწყდა.

– ჰეი! – გასძახა ჰარიმ.

ხმა არავინ გასცა. ჰარი წამოხტა, ხესთან მივიდა და სიბნელეს გახედა. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, მაგრამ ჰარი გრძნობდა, რომ იქ, სადღაც, კუნაპეტ სიბნელეში, ვიღაც იდგა.

– არის მანდ ვინმე? – იკითხა ისევ.

და უეცრად, სად იყო და სად არა, ირგვლივ გამეფებული სიჩუმე დაარღვია ხმამ, რომელიც ტყეში გაგონილ არც ერთ ხმას არ ჰგავდა.

– მორსმორდრე!

ეს შეშფოთებულ ყვირილს კი არა, უფრო შელოცვას წააგავდა.

იმ ადგილს, რომელსაც ჰარი მისჩერებოდა, რაღაც უზარმაზარი, მწვანე და კაშკაშა მოსწყდა, ხის კენწეროებს ასცდა და ცაში აიჭრა.

– ეს რა... – აღმოხდა რონს, ფეხზე წამოიჭრა და გაოგნებული მიაჩერდა ცაზე გამოსახულ ფიგურას.

ჰარიმ იფიქრა, ისევ რომელიმე ლეპრეკონის ოინი იქნებაო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, გაარჩია, რომ ეს იყო უშველებელი თავის ქალა, რომელიც თითქოს უამრავი ზურმუხტის ვარსკვლავისგან შედგებოდა და პირიდან ენასავით გამოსჩროდა გველი. გამოსახულება კაშკაშა მომწვანო კვამლივით სულ უფრო და უფრო მაღლა აიჭრა და შავ ცაზე ახალი თანავარსკვლავედივით გამოჩნდა.

უცებ მთელ ტყეში წივილ-კივილი ატყდა. ჰარი ვერ მიხვდა, რატომ, მაგრამ პანიკის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ თავის ქალა უნდა ყოფილიყო. ის ახლა იმდენად მაღლა ასულიყო, რომ შეეძლო, მთელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტყე საზარელი ნეონის აბრასავით გაენათებინა. ჰარიმ სიბნელეში სასწრაფოდ მოავლო თვალი იმ ადგილს, საიდანაც თავის ქალა გაჩნდა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

– მანდ ვინ არის? – გასძახა ისევ.

– ჰარი, წამოდი, წამო, – ჰერმიონმა ჰარის ქურთუკში ჩაავლო ხელი და სცადა, ძალით მოეშორებინა იქაურობისთვის.

– რა მოხდა? – გაოცდა ჰარი, ჰერმიონის გაფითრებული და შეძრწუნებული სახე რომ დაინახა.

– ეს შავი ნიშანია, ჰარი, – ამოიკვნესა ჰერმიონმა და მთელი ძალით მოქაჩა ქურთუკს, – ჩვენ-რომ-ვიცით, იმის ნიშანი!

– ვოლდემორის?

– ჰარი, წამოდი!

ჰარი მიტრიალდა. რონმა საჩქაროდ დაავლო ხელი თავის მინიატურულ კრამს და სანამ სამივენი მდელოს გადაირბენდნენ, მათ ირგვლივ ერთიმეორის მიყოლებით, პირდაპირ ჰაერიდან ტკაცანით გაჩნდა ოციოდე ჯადოქარი. ჰარიმ მიმოიხედა და წამში დაადგინა, რომ ყოველ მათგანს ხელში ჯოხი ეჭირა და ყველა ჯოხი მათკენ იყო მომართული.

– დაწექით! – იყვირა დაუფიქრებლად, რონს და ჰერმიონს ხელი ჰკრა და მიწაზე გაწვნენ.

– გაქვავდი! – იღრიალა ოცამდე ხმამ, რასაც თვალისმომჭრელი შუქის კასკადი მოჰყვა. ჰარიმ იგრძნო, როგორ აეშალა ქოჩორი, თითქოს მდელოს ძლიერმა ქარმა გადაუარაო. თავი სულ ოდნავ ასწია და დაინახა, რომ ჯადოქრები ჯოხებიდან ცეცხლოვან წითელ ელვას უშენდნენ. სინათლის უამრავი ნაკადი მიწაზე გაწოლილებს თავს ზემოთ უვლიდა, ერთმანეთს კვეთდა, ხეებზე სხლტებოდა და სიბნელეში იკარგებოდა.

– შეჩერდით! – იღრიალა ძალიან ნაცნობმა ხმამ, – შეწყვიტეთ! ეს ჩემი შვილია!

ცეცხლოვანი ნაკადი შეწყდა. ჰარიმ გაბედა და თავი ცოტა კიდევ ასწია. მის წინ მდგარ ჯადოქარს ჯოხი დაეშვა. ჰარი ზურგზე გადმობრუნდა და დაინახა, რომ მათკენ გულგახეთქილი ბატონი უისლი მოეშურებოდა.

– რონ, ჰარი, ჰერმიონ, ხომ არაფერი დაგიშავდათ? – იკითხა აკანკალებული ხმით.

– განზე გადექი, არტურ! – გაისმა ბატონ კრაუჩის ცივი, უკმეხი ხმა. ის და სამინისტროს სხვა თანამშრომლები მათთან მივიდნენ. ჰარი ფეხზე წამოდგა. ბატონ კრაუჩს მრისხანებისგან სახე გაჰქვავებოდა.

– რომელმა ჩაიდინეთ ეს? – უყვირა ბავშვებს და ბასრი თვალი შეავლო სამივეს, – რომელმა გამოუშვით შავი ნიშანი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვენ არ გვიქნია, – სწრაფად უპასუხა ჰარიმ.

– ჩვენ არაფერი არ გვიქნია, – რონი იდაყვს იზელდა და აღშფოთებული უყურებდა მამას, – თქვენ რატომ დაგვესხით თავს?

– ნუ მატყუებთ, ახალგაზრდავ! – შეჰყვირა ბატონმა კრაუჩმა. ჯოხს ისევ რონს უმიზნებდა და თვალები შეშლილივით გადმოჰკარკლოდა, – დანაშაულის ადგილზე წაგასწარით!

– ბარტი, ბავშვები არიან, ბარტი, ამათ რა შეუძლიათ... – ჩურჩულით უთხრა შალისხალათიანმა ქალმა.

– საიდან გაჩნდა ნიშანი, მიპასუხეთ, – სწრაფად იკითხა ბატონმა უისლიმ.

– აი, იქიდან, – ჰერმიონმა აკანკალებული თითი იქით გაიშვირა, საიდანაც ხმა გაიგონეს, – იქ, ხეებს უკან, ვიღაც იყო და რაღაც მაგიური ფორმულა დაიძახა...

– აჰა, ესე იგი, იქ იდგა, არა? – ბატონმა კრაუჩმა გადმოკარკლული თვალები ახლა ჰერმიონს მიანათა და სახეზე ეჭვმა გადაურბინა, – და მაგიური ფორმულა დაიძახა, არა? რაღაც, მეტისმეტად კარგად იცი, როგორ ხდება შავი ნიშნის შელოცვა, პატარა ქალბატონო.

მაგრამ ბატონ კრაუჩისგან განსხვავებით, სამინისტროს სხვა თანამშრომლებს ოდნავადაც არ შეჰპარვიათ ეჭვი, რომ ჰარი, რონი და ჰერმიონი უდანაშაულონი იყვნენ. პირიქით, ჯოხები ისევ აღმართეს და იმ ადგილს დაუმიზნეს, საითაც გოგონამ ხელი გაიშვირა, თან თვალმოჭუტულნი ცდილობდნენ, ხეებს მიღმა, სიბნელეში რამე გაერჩიათ.

– დავაგვიანეთ, – თავი გააქნია შალისხალათიანმა ქალმა, – ალბათ, დისაპარაცია გამოიყენეს.

– მე ასე არ ვფიქრობ, – შეედავა ხშირწაბლისფერწვერიანი ჯადოქარი. ეს ამოს დიგორი იყო, სედრიკის მამა, – ჩვენმა გამთიშველმა შელოცვებმა იმ ხეებშიც გაიარეს და რა იცი, იქნებ მოვახვედრეთ.

დიგორი წელში გაიმართა, ჯოხი მოიმარჯვა და ხეებს უკან, სიბნელეში გაუჩინარდა.

– ამოს, ფრთხილად იყავი! – მიაძახა რამდენიმე ჯადოქარმა, ჰერმიონი კი პირზე ხელებაფარებული ადევნებდა თვალს.

რამდენიმე წამში დიგორის ყვირილი მოესმათ:

– არის! დავიჭირეთ! აქ ვიღაცაა უგონოდ. ეს... კი მაგრამ... ჯანდაბა!

– ვინმე დაიჭირე? – დაეჭვებით გასძახა ბატონმა კრაუჩმა, – ვინ? ვინაა?

გაისმა ხმელი ტოტების ლაწალუწი, ფოთლების შრიალი, ნაბიჯე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბის ხმა და ბოლოს დიგორიც გამოჩნდა. ხელში პაწაწინა მომჩვარული სხეული ეჭირა. ჰარის მაშინვე ეცნო ვინკის ჩაის ტილო.

ბატონი კრაუჩი არც განძრეულა და არც ხმა ამოუღია, როცა დიგორიმ ელფი მიწაზე, ფეხებთან დაუდო. სამინისტროს თანამშრომლები გაოცებულნი შესცქეროდნენ ბატონ კრაუჩს. რამდენიმე წამს კრაუჩს თითქოს დამბლა დაეცაო, გაქვავებული იდგა, გადაფითრებულ სახეზე თვალები უელავდა და ვინკის დასცქეროდა. შემდეგ როგორღაც თავს მოერია...

– შეუძლებელია... – ძლივს ამოღერღა, – არა...

ამოს დიგორის გვერდი აუარა და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა იმ ადგილისკენ, სადაც ვინკი იპოვეს.

– რა აზრი აქვს, ბატონო კრაუჩ, – მიაძახა დიგორიმ, – იქ მეტი არავინაა.

მაგრამ ბატონ კრაუჩს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მდელოზე შეშლილივით დაწრიალებდა და ბუჩქებს ჩხრეკდა.

– ჰოო, ცოტა საჩოთირო სიტუაცია კი არის, – პირქუშად შენიშნა ბატონმა დიგორიმ, – ბარტი კრაუჩის შინაური ელფი! უფრო სწორად, იმის თქმა მინდა, რომ...

– კარგი ერთი, ამოს, – ჩუმად უთხრა ბატონმა უისლიმ, – ნუთუ მართლა გგონია, რომ ეს ელფმა ჩაიდინა? შავი ნიშანი ჯადოქრების ნიშანია და ამისთვის ჯადოსნური ჯოხია საჭირო...

– ჰოდა, ჰქონდა კიდეც ჯოხი.

– რაოო?

– აი, შეხედე, – ბატონმა დიგორიმ ჯოხი ასწია და ბატონ უისლის უჩვენა, – ხელში ეჭირა. ასე რომ, დასაწყისისთვის, უკვე გვაქვს „ჯადოსნური ჯოხის გამოყენების კოდექსის“ მესამე მუხლის დარღვევა: ადამიანის გარდა, არც ერთ არსებას არა აქვს ჯოხის ტარების ან გამოყენების უფლება.

უეცრად ტკაცანი გაისმა და ბატონ უისლის გვერდით აქოშინებული და დაბნეული ლუდო ბეგმანი გაჩნდა, ქუსლებზე შემოტრიალდა და ცაზე გაწოლილ ზურმუხტისფერ თავის ქალას თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა.

– შავი ნიშანი?! – ხრინწიანი ხმით აღმოხდა, გაოცებული მიუბრუნდა კოლეგებს და კინაღამ ფეხი დაადგა ვინკის.

– ვინ ქნა ეს? დაიჭირეთ? ბარტი, რა ხდება?

ბატონი კრაუჩი ხელცარიელი დაბრუნდა. სახე ისევ მიცვალებულივით გაჰფითრებოდა, ხელები და კბილის ჯაგრისისებური ულვაში უთრთოდა.

– სად იყავი, ბარტი? – ჰკითხა ბეგმანმა, – მატჩს რატომ არ დაეს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წარი? შენმა ელფმა ადგილი დაგიკავა... ქვის ურჩხული გადამეყლაპოს! – ბეგმანმა ახლაღა შეამჩნია მის ფეხებთან გაშოტილი ვინკი, – ამას რაღა მოუვიდა?

– მე არ მეცალა, ლუდო, – ბატონი კრაუჩი ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებდა, ისე სცრიდა კბილებში ყოველ სიტყვას, – ჩემი ელფი კი გათიშულია.

– გათიშული? თქვენ გათიშეთ? კი მაგრამ, რატომ?

უცებ ბეგმანს მრგვალ, მოლაპლაპე სახეზე შეეტყო, რომ რაღაც იაზრა: ჯერ თავის ქალას ახედა, მერე ვინკის დახედა და ბოლოს ბატონ კრაუჩზე შეაჩერა მზერა.

– არა! ვინკიმ? შავი ნიშანი? ეს როგორ შეძლებდა? ჯერ ერთი, ჯოხი დასჭირდებოდა...

– ჯოხი ჰქონდა, – გაიმეორა ბატონმა დიგორიმ, – ხელში ეჭირა, როცა ვიპოვე, ლუდო. ბატონო კრაუჩ, თუ წინააღმდეგი არ ხართ, იქნებ თვითონ მას მოვუსმინოთ. ვნახოთ, რით გაიმართლებს თავს.

კრაუჩს წარბიც არ შეუხრია, ვითომ ვერ გაიგო, მაგრამ ბატონმა დიგორიმ მისი დუმილი თანხმობის ნიშნად ჩათვალა, ჯოხი ვინკის მიუშვირა და ბრძანა:

– რენერვატე!

ვინკი სულ ოდნავ შეტოკდა, უზარმაზარი ყავისფერი თვალები გაახილა და რამდენჯერმე დაბნეულად ააფახურა. ჯადოქრები უსიტყვოდ ადევნებდნენ თვალს. აკანკალებული ვინკი ძლივს წამოჯდა, ბატონ დიგორის ფეხსაცმელს მიაჩერდა, ნელა, გაუბედავად ასწია თავი და ჯერ სახეში შეხედა, შემდეგ ცას ახედა და მის გადმოკარკლულ, მინისებრ თვალებში წყვილად აირეკლა ჰაერში მოლივლივე თავის ქალის გამოსახულება. ვინკიმ მძიმედ ამოიოხრა და უცებ გულამოსკვნით აქვითინდა.

– ელფო, – მკაცრად მიმართა ბატონმა დიგორიმ, – იცი, მე ვინ ვარ? ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტის წევრი!

ვინკი წინ და უკან ირწეოდა და გულამომჯდარი სლუკუნებდა. ჰარის წამსვე გაახსენდა დობი, ისიც ასე იქცეოდა ხოლმე, როცა ბატონის უნებართვოდ რამეს ჩაიდენდა და თავს დამნაშავედ გრძნობდა.

– როგორც მოგეხსენება, ელფო, ცოტა ხნის წინ ვიღაცამ შავი ნიშანი გააჩინა, – განაგრძო ბატონმა დიგორიმ, – და რამდენიმე წუთში სწორედ იმ ადგილას შენ გიპოვეს. კეთილინებე და აგვიხსენი, იქ რა გინდოდა!

– მე... მე... მე ეს არ გააკეთა, სერ! – აღმოხდა ვინკის, – მე არ იცის, ეს როგორ უნდა გააკეთოს, სერ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯოხით ხელში გიპოვეთ, – დაჰყვირა ბატონმა დიგორიმ და ცხვირწინ გაუქნია ნაპოვნი სამხილი, რომელსაც ამ დროს თავის ქალის მომწვანო შუქი დაეცა და ჰარიმ იცნო თავისი ჯოხი:

– ე, ეს ჩემი ჯოხია!

ყველამ მას შეხედა.

– ბატონო? – ჰკითხა გაოგნებულმა დიგორიმ.

– ეს ჩემი ჯოხია. მე დამივარდა.

– შენ დაგივარდა? – დაეჭვებით გაიმეორა ბატონმა დიგორიმ, – ეს რა, ალიარებაა? შავი ნიშანი რომ გაუშვი, მერე მოისროლე?

– ამოს, დაფიქრდი, ვის ელაპარაკები! – გაბრაზდა ბატონი უისლი, – ჰარი პოტერი შავ ნიშანს გაუშვებდა?!

– ეეე... რა თქმა უნდა, არა, – ჩაილულლულა ბატონმა დიგორიმ, – უკაცრავად... უცებ დავიბენი.

– იქ მაინც არ დამვარდნია, – ჰარიმ ცერა თითი იმ ხეებისკენ გაიშვირა, რომლის ზემოთაც თავის ქალა ეკიდა, – ტყეში რომ შემოვედით, მაშინვე დავკარგე.

– გამოდის, რომ, – ბატონი დიგორი ისევ ვინკის მიუბრუნდა და მზერა გაუმკაცრდა. ვინკი მის ფეხებთან მოიკუნტა, – შენ იპოვე ეს ჯოხი, არა, ელფო? აიღე და იფიქრე, ცოტას გავერთობიო, არა?!

– მე ამით ჯადოქრობა არ გააკეთა, სერ, – დაიწრიპინა ვინკიმ და დაბუშტულ ცხვირზე ცრემლების ნიაღვარი ჩამოუვიდა, – მე... მე ის მხოლოდ აიღო, სერ! მე არ გააკეთა შავი ნიშანი, სერ! მე არ იცის, როგორ უნდა!

– ეს ვინკი არ ყოფილა, – განაცხადა ჰერმიონმა. ძალიან ღელავდა, რომ სამინისტროს ამდენი თანამშრომლის წინაშე უხდებოდა ლაპარაკი, მაგრამ მაინც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ვინკის გამოჰქომაგებოდა, – ვინკის წვრილი და სუსტი ხმა აქვს, ის ხმა კი, ჩვენ რომ გავიგონეთ, ბევრად უფრო ბოხი იყო, – ჰერმიონმა ჰარის და რონს გადახედა, მხარი ამიბითო, – ის ხმა ვინკისას ხომ სულ არ ჰგავდა?

– არა, – ჰარიმ თავი გააქნია, – ნამდვილად არ ჰგავდა ელფის ხმას.

– ჰო, ადამიანის ხმა იყო, – დაუდასტურა რონმა.

მაგრამ ბატონ დიგორიზე მათ სიტყვებს შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

– აბა, მაგასაც ვნახავთ, – დაიღრინა მან, – არსებობს მარტივი გზა იმის გასარკვევად, თუ რა შელოცვა შეასრულა ბოლოს ჯადოსნურმა ჯოხმა. იცოდი ეს, ელფო?

ვინკი აცახცახდა და გამწარებულმა ყურების ფართხუნით გააქნია თავი. ბატონმა დიგორიმ თავისი ჯადოსნური ჯოხი ჰარის ჯოხის წვერს მიადო და დაიღრიალა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პრიორ ინკანტატო!

ჰერმიონს სუნთქვა შეეკრა: იქიდან, სადაც ორი ჯოხი ერთმანეთს შეეხო, გველისენიანი უზარმაზარი თავის ქალა წარმოიქმნა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩრდილი იყო იმ გამოსახულებისა, რომელიც ცაში ლივლივებდა. თითქოს სქელი, რუხი კვამლისგან შედგებოდა და წინა შელოცვის აჩრდილს ჰგავდა.

– დელეტრიუს! – ბრძანა ბატონმა დიგორიმ და გამოსახულება ჰაერში გაიფანტა, – ესეც ასე! – გამარჯვებულის იერით წარმოთქვა მან და მიწაზე მოკრუნჩხულ ელფს დახედა.

– მე ეს არ გააკეთა! – დაიწრიპინა ვინკიმ და თვალები უმწეოდ გადაატრიალა, – მე არა, მე არა, მე არ იცის, როგორ! მე კარგი ელფი არის... მე არ იყენებს ჯოხებს... მე არ იცის, როგორ!

– ფაქტზე წაგასწარით, ელფო! – დაუღრიალა დიგორიმ, – ხელში სამხილი გეჭირა!

– ამოს, დაფიქრდი! ეს შელოცვა თითზე ჩამოსათვლელმა ჯადოქრებმა თუ იციან! აბა, ვინკი სად ისწავლიდა? – ხმამაღლა უთხრა ბატონმა უისლიმ.

– იქნებ ამოსს იმის თქმა სურს, რომ მე ჩემს ყველა მსახურს შავი ნიშნის შელოცვის გაკვეთილებს ვუტარებ? – ცივად გამოსცრა ბატონმა კრაუჩმა.

ძალიან უსიამოვნო სიჩუმე ჩამოწვა. დიგორი დაფრთხა.

– ბატონო, კრაუჩ... არა... როგორ გეკადრებათ...

– შენ უკვე დაადანაშაულე აქ მყოფთაგან ორი ისეთი ადამიანი, რომლებიც ყველაზე ნაკლებად შეიძლება, დაადანაშაულო, – განაგრძობდა გაცოფებული ბატონი კრაუჩი, – ჰარი პოტერი და მე! მე მგონი, იცი ამ ბიჭის ამბავი, არა, ამოს?

– რა თქმა უნდა... ვინ არ იცის... – წაიბუტბუტა უაღრესად შეცბუნებულმა დიგორიმ.

– და იმედია, გახსოვს, რომ ჩემი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არაერთხელ დამიმტკიცებია, როგორ მეზიზღება და მძულს ბნელი ძალები და ყველა, ვინც მასთანაა დაკავშირებული, – ბატონ კრაუჩს თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა.

– ბატონო კრაუჩ, მე... მე თქვენი დადანაშაულება აზრადაც არ მომსვლია.

– ის, ვინც ჩემს ელფს ადანაშაულებს, მე მადანაშაულებს! – შეჰყვირა ბატონმა კრაუჩმა, – სხვაგან სად ისწავლიდა შავი ნიშნის შელოცვას?

– იქნებ სადღაც გადააწყდა...

– სწორედაც, ამოს, „იქნებ სადღაც გადააწყდა“, – გაიმეორა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონმა უისლიმ, – ვინკი, – ტკბილად მიმართა ელფს, მაგრამ ის ისე შეკრთა, თითქოს ისევ უყვიროდნენ, – ზუსტად რა ადგილას იპოვე ჰარის ჯოხი?

ვინკი ისე გამწარებით გრეხდა ჩაის ტილოს, რომ კიდე გამოძენძა.

– მე ის იპოვა, იპოვა იქ, სერ, – დაიჩურჩულა, – იქ, ხეებთან, სერ...

– აი, ხომ ხედავ, ამოს? – მიმართა დიგორის ბატონმა უისლიმ, – ვინც უნდა ყოფილიყო, ნიშნის გაჩენისთანავე დისაპარაცია გამოიყენა და ჰარის ჯოხი დანაშაულის ადგილზე დააგდო. ჭკვიანია! საკუთარი ჯოხი იოლად გასცემდა და ამიტომ არ გამოიყენა. ვინკი კი, თავისდა საუბედუროდ, ორიოდე წამში წააწყდა ჯოხს და ხელში აიღო.

– თუ ასეა, გამოდის, რომ ნამდვილი დამნაშავისგან ნახევარი მეტრი თუ აშორებდა, – არ დათმო ბატონმა დიგორიმ, – ელფო, დაინახე ვინმე?

ვინკი უარესად აცახცახდა, ვეება თვალები ჯერ დიგორის მიაპყრო, შემდეგ – ბეგმანს, მერე – კრაუჩს, ცრემლი გადაყლაპა და ამოღერღა:

– მე არავინ დაინახა, სერ... არავინ...

– ამოს, – ცივად მიმართა ბატონმა კრაუჩმა, – ძალიან კარგად ვიცი, რომ შენი პირდაპირი მოვალეობაა, ვინკი ახლავე დასაკითხად წაიყვანო, მაგრამ გთხოვ, ახლა მასთან საქმის გარკვევა მე მომანდო...

ბატონ დიგორის შეეტყო, რომ ეს აზრი დიდად არ მოეწონა, მაგრამ ეტყობა, ბატონი კრაუჩი სამინისტროში ისეთ მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენდა, უარის თქმა ვერ გაუბედა.

– დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ ვინკი დაისჯება, – ცივად დასძინა ბატონმა კრაუჩმა.

– ბ-ბატონო, – ამოიბლუკუნა ვინკიმ და ცრემლებით სავსე თვალებით ახედა ბატონ კრაუჩს, – ბ-ბატონო, გ-გ-გ-გეხვეწებით...

ბატონ კრაუჩის მკაცრ სახეს სიბრალულის ნიშანწყალიც არ დასტყობია.

– ვინკიმ ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც მისგან ნამდვილად არ ველოდი, – წარმოთქვა ნელა, – ვუბრძანე, რომ კარავში დარჩენილიყო, სანამ პრობლემის მოსაგვარებლად ვიქნებოდი წასული, და უცებ ვხედავ, რომ მას ჩემი ბრძანება არაფრად ჩაუგდია. ეს ნიშნავს, რომ მან **ტანსაცმელი** დაიმსახურა!

– არა! – დაიწივლა ვინკიმ და ბატონ კრაუჩის ფეხებთან პირქვე დაემხო, – არა, ბატონო! ოღონდ ტანსაცმელი არა!

ჰარიმ იცოდა, რომ შინაური ელფი მხოლოდ მაშინ გათავისუფ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლდებოდა, თუ ბატონი ნორმალურ ტანსაცმელს აჩუქებდა. საცოდავი სანახავი იყო, როგორ ჩაბღუჯა თავისი ჩაის ტილო პატრონის ფეხთით განრთხმულმა აქვითინებულმა ვინკიმ.

– კი მაგრამ, მას ხომ ეშინოდა! – ვერ მოითმინა ჰერმიონმა და ბატონ კრაუჩს მრისხანედ შეხედა, – თქვენს ელფს სიმაღლისა ეშინია, ის ნიღბიანი ჯადოქრები კი ხალხს ჰაერში აფრენდნენ! იმის გამო ხომ ვერ დასჯით, რომ მათ გაექცა?!

ბატონი კრაუჩი ელფს მოშორდა, თითქოს ეშინოდა, მეტისმეტად გაპრიალებული ფეხსაცმელი არ გასჭუჭყიანებოდა.

– მე არ მჭირდება ისეთი ელფი, რომელიც ჩემს ბრძანებებს არ ასრულებს, – თქვა ცივად, – მე არად მარგია მსახური, რომელიც ივიწყებს თავის მოვალეობას და არ უფრთხილდება ბატონის რეპუტაციას.

ვინკი ისეთი გულამომჯდარი ტიროდა, რომ მისი ქვითინის ხმა მთელ მდელოზე ექოს გამოსცემდა.

ხანგრძლივი უხერხული დუმილი ბატონმა უისლიმ დაარღვია:

– მაშინ, თუ წინააღმდეგი არავინაა, ჩემებს კარავში წავიყვან. ამოს, ამ ჯოხმა ყველაფერი გვითხრა, რაც შეეძლო და ჰარის ხომ ვერ დაუბრუნებდი?

ჰარიმ ბატონ დიგორის ჯოხი გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

– წამოდით, – ჩუმად გადაულაპარაკა სამივეს ბატონმა უისლიმ, მაგრამ ჰერმიონი აქვითინებულ ელფს თვალს არ აშორებდა და ადგილიდან არ იძვროდა.

– ჰერმიონ! – დაჟინებით გაიმეორა ბატონმა უისლიმ. გოგონა მიბრუნდა და ჰარის და რონს გაჰყვა.

– ვინკის რა მოუვა? – იკითხა მაშინვე, როგორც კი გზაზე გავიდნენ.

– არ ვიცი, – უპასუხა ბატონმა უისლიმ.

– როგორ შეიძლება ასე მოქცევა! – დაიწყო გაცხარებულმა ჰერმიონმა, – ბატონი დიგორი სულ „ელფო-ელფოს“ ეძახდა... ბატონმა კრაუჩმა კი მშვენივრად იცის, რომ არაფერი დაუშავებია, და მაინც გაგდებას უპირებს. სულ არ ედარდება, რომ ვინკი ასეთი აღელვებული და შეშინებული იყო. ეს არაადამიანურობაა!

– ჰოდა, ის არც არის ადამიანი, – შენიშნა რონმა.

ჰერმიონი ახლა რონს მისდგა:

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ გრძნობები არა აქვს, რონ. რა საზიზღრობაა, როგორ...

– ჰერმიონ, მე შენ გეთანხმები, – სწრაფად თქვა ბატონმა უისლიმ და ხელით ანიშნა, არ გაჩერდეო, – მაგრამ ახლა ელფების უფლე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბებზე კამათის დრო არ არის. მინდა, კარავში მალე დავბრუნდეთ. დანარჩენები სად არიან?

– სიბნელეში დავკარგეთ, – უპასუხა რონმა, – მამა, იმ თავის ქალამ ყველა ასე რატომ გადარია?

– ყველაფერს მაშინ აგიხსნი, როცა კარავში დავბრუნდებით, – უთხრა მეტისმეტად შეშფოთებულმა ბატონმა უისლიმ.

მაგრამ ტყის პირას რომ გავიდნენ, ცოტა ხანს შეჩერდნენ, რადგან იქ თავშეყრილი შეშფოთებული ჯადოქრების დიდი ჯგუფი ბატონ უისლის მივარდა და კითხვები დააყარეს:

– რა ხდება, არტურ? ვინ გაუშვა? არტურ, ის ხომ არ იყო?

– რა თქმა უნდა, არა, – მოუთმენლად უპასუხა ბატონმა უისლიმ, – ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო. როგორც ჩანს, დისაპარაცია გამოიყენა. ახლა, თუ შეიძლება, მაპატიეთ, დასაძინებლად მივდივარ.

მან ბრბო გაარღვია, ჰარი, რონი და ჰერმიონი ხალხში გაატარა და ბანაკისკენ წაიყვანა. ბანაკში სიჩუმეს დაესადგურებინა, ნიღბიანი ჯადოქრები აღარსად ჩანდნენ, მაგრამ აქა-იქ ჯერაც ბოლავდა გადამწვარი კარვები.

ბიჭების კარვიდან ჩარლის გამოეყო თავი.

– მამა, რა ხდება? – გამოსძახა სიბნელეში, – ფრედი, ჯორჯი და ჯინი მშვიდობით დაბრუნდნენ, მაგრამ დანარჩენები...

– ჩემთან არიან, – ბატონი უისლი დაიხარა და კარავში შევიდა. ჰარი, რონი და ჰერმიონიც შეჰყვნენ.

ბილი სამზარეულოს დაბალ მაგიდასთან იჯდა. მკლავზე შემოხვეული ზეწარი ერთიანად სისხლით გაჟღენთოდა. ჩარლის ნაფლეთებად ქცეული პერანგი ეცვა, პერსი კი დასისხლიანებული ცხვირით იწონებდა თავს. ფრედი, ჯორჯი და ჯინი უვნებელნი, მაგრამ გვარიანად დამფრთხალები ჩანდნენ.

– მამა, დაიჭირეთ? – მკვახედ ჰკითხა ბილმა, – დაიჭირეთ, ვინც შავი ნიშანი აუშვა?

– ვერა, – ამოიოხრა ბატონმა უისლიმ, – ჩვენ ბარტი კრაუჩის შინაური ელფი ვიპოვეთ, მას ჰარის ჯოხი ეჭირა, მაგრამ დამნაშავის ვინაობა მაინც ვერ დავადგინეთ.

– რაო? – ერთხმად შესძახეს ბილმა, ჩარლიმ და პერსიმ.

– ჰარის ჯოხი? – განცვიფრდა ფრედი.

– ბატონი კრაუჩის ელფი? – იკითხა გაოგნებულმა პერსიმ.

ბატონმა უისლიმ ჰარის, რონის და ჰერმიონის დახმარებით როგორც იქნა, აუხსნა, რა მოხდა ტყეში. მოყოლა რომ დაამთავრეს, პერსი აღშფოთებისგან გაიბერა.

– ბატონი კრაუჩი სავსებით მართალი იქნება, ასეთი ელფი რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გააგდოს. რას გარბოდა, თუ გასაგებად უბრძანეს, ფეხი არ მოეცვალა? თან მთელი სამინისტროს წინაშე შეარცხვინა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტში რომ მოხვედრილიყო?!

– არაფერი დაუშავებია. რა მაგისი ბრალია, რომ ცუდ დროს ცუდ ადგილას აღმოჩნდა, – გაცხარებით შეეპასუხა ჰერმიონი. პერსის გაოცებისგან ენა ჩაუვარდა: ის და ჰერმიონი ყოველთვის ყველაზე უკეთ უგებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

– ჰერმიონ, ბატონ კრაუჩის რანგის ჯადოქარი ვერ დაუშვებს, რომ მისმა ელფმა ჯოხით ხელში გადარეულივით აქეთ-იქით ირბინოს, – მედიდური ტონით შენიშნა პერსიმ, როცა გაოცებამ გადაუარა.

– სულაც არ დარბოდა გადარეულივით! – იყვირა ჰერმიონმა, – უბრალოდ, ძირს დაგდებული ჯოხი აიღო!

– იქნებ ვინმემ ამიხსნათ, რას ნიშნავს ის თავის ქალა? – მოთმინება დაელია რონს, – ხომ არავისთვის არაფერი დაუშავებია... რატომ ატყდა ასეთი ამბავი?

– ხომ გითხარი, ეს ჩვენ-რომ-ვიცით, იმის ნიშანია-მეთქი, რონ, – უპასუხა ჰერმიონმა, სანამ ვინმე პირს გააღებდა, – ამაზე „ბნელი ძალების აღზევება და დაცემაში“ წავიკითხე.

– და უკვე ცამეტი წელია, არ გამოჩენილა, – ჩუმად თქვა ბატონმა უისლიმ, – რა გასაკვირია, რომ ხალხი პანიკაში ჩავარდა. ეს იგივე იყო, თვითონ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაენახათ.

– მაინც ვერ გავიგე, – რონმა შუბლი შეჭმუხნა, – ეს ხომ, უბრალოდ, ცაში აშვებული გამოსახულებაა და მეტი არაფერი.

– რონ, ჩვენ-რომ-ვიცით, ის და მისი მომხრეები მხოლოდ მაშინ უშვებდნენ ამ ნიშანს, როცა ვინმეს კლავდნენ, – აუხსნა ბატონმა უისლიმ, – ამით შიშს უნერგავდნენ ხალხს... შენ ვერ გაიგებ, იმ დროს არ მოსწრებიხარ. აბა, წარმოიდგინე, მოდიხარ შინ და ხედავ, რომ შენი სახლის ზემოთ შავი ნიშანი ლივლივებს და უკვე იცი, რა დაგხვდება შიგნით, – ბატონი უისლი მოიქუფრა, – ის, რისიც ყველაზე მეტად გეშინია ამქვეყნად, ყველაზე მეტად...

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ბილმა მკლავიდან ზეწარი მოიშორა და თქვა:

– ამან გაუშვა თუ იმან, ჩვენ კი ძალიან შეგვიშალა ხელი... „სიკვდილის მხვრელებმა“ როგორც კი დაინახეს, მაშინვე გულგახეთქილები დაიფანტნენ. ვერც კი მოვასწარით, რომელიმესთვის ნიღაბი მაინც ჩამოგვეხსნა, სასწრაფოდ დისაპარაცია გამოიყენეს... რობერტსები კი მანამ დავიჭირეთ, სანამ მიწაზე დაეცემოდნენ. ახლა დავიწყების შელოცვას უკეთებენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– „სიკვდილის მხვრელები“? – გაუკვირდა ჰარის, – ვინ არიან „სიკვდილის მხვრელები“?

– ასე, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მომხრეები უწოდებდნენ თავიანთ თავს, – აუხსნა ბილმა, – ამ ღამეს, მგონი, ისინი ვნახეთ, ვინც მათგან შემორჩა, უფრო სწორად, ისინი, ვინც აზკაბანს გადაურჩნენ.

– ვერ დავამტკიცებთ, რომ ისინი იყვნენ, ბილ, – თავი გააქნია ბატონმა უისლიმ, – თუმცა, ალბათ, მართლაც ისინი იყვნენ, – დაამატა იმედგადაწურულმა.

– ისინი იყვნენ, აბა, რა! – გამოცოცხლდა რონი, – მამა, ტყეში დრაკო მალფოის შევხვდით და თითქმის მიგვანიშნა, რომ მამამისი იმ ნიღბიან შერეკილებში ერია. თან ყველამ ვიცით, რომ მალფოები, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მხარეს იყვნენ.

– კი მაგრამ, რაში დასჭირდათ ვოლდემორის მომხრეებს... – დაიწყო ჰარიმ. ყველა შეკრთა. ისევე, როგორც მთელი ჯადოქრული სამყარო, უისლებიც ერიდებოდნენ ამ სახელის წარმოთქმას.

– უკაცრავად, – სწრაფად მოიბოდიშა ჰარიმ, – რაში დასჭირდათ ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მომხრეებს მაგლების ჰაერში აფრენა? რა მიზნით გააკეთეს ეს?

– მიზანი? – ბატონმა უისლიმ ნაძალადევად ჩაიცინა, – ჰარი, მიზანი გართობაა. როცა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ძალაუფლება ჰქონდა, მაგლებს ისე ხოცავდნენ, გასართობად. ალბათ, წუხელაც ცოტა გადაჰკრეს და თავი ვეღარ მოთოკეს, ძალიან მოუნდათ, ჩვენთვის შეეხსენებინათ, რომ მათი უმრავლესობა ჯერაც თავისუფლად დაიარება. შეიძლება ითქვას, დღეს ძველი მეგობრების პატარა, მხიარული თავშეყრა ვიხილეთ, – დაამატა ზიზღით.

– კი მაგრამ, თუ ის ნიღბიანები, მართლაც, „სიკვდილის მხვრელები“ იყვნენ, რატომ დაიფანტნენ, შავი ნიშანი რომ დაინახეს? – გაუკვირდა რონს, – პირიქით, არ უნდა გახარებოდათ?

– ტვინი გაანძრიე, რონ, – უთხრა ბილმა, – როცა ჩვენ-რომ-ვიცით, ის გადაიხვეწა, „სიკვდილის მხვრელებმა“ ათასი ტყუილი მოჩმახეს, ვითომ ის აიძულებდა მათ, ხალხი ეწამებინათ და დაეხოცათ. დარწმუნებული ვარ, იმათ ჩვენზე მეტად გაუსკდებათ გული, ჩვენ-რომ-ვიცით, ის რომ დაბრუნდეს. როგორც კი მან ძალაუფლება დაკარგა, „სიკვდილის მხვრელებმა“ ზურგი შეაქციეს და ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. არა მგონია, თუ დაბრუნდა, მათი ძალიან მადლიერი იყოს!

ჰერმიონმა დაფიქრებით თქვა:

– აბა, ვინც შავი ნიშანი გაუშვა, ეს „სიკვდილის მხვრელების“ მხარდასაჭერად გააკეთა, თუ მათ დასაფრთხობად?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვენც სწორედ მაგაზე ვიმტვრევთ თავს, ჰერმიონ, – თავი დაუქნია ბატონმა უისლიმ, – მაგრამ ერთი რამ უდავოა, შავი ნიშნის შელოცვა მხოლოდ და მხოლოდ „სიკვდილის მხვრელებს“ შეეძლოთ და ძალიან გამიკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ ის, ვინც შავი ნიშანი გაუშვა, ახლა თუ არა, წინათ მაინც „სიკვდილის მხვრელი“ არ იყო. იცით რა, უკვე ძალიან გვიანია და დედათქვენმა თუ გაიგო, რა მოხდა, ნერვიულობისგან მოკვდება. რამდენიმე საათი წავუძინოთ და ხვალ დილის პორტაჟს მივუსწროთ.

ჰარი ლოგინში ჩაწვა. თავი უბრუოდა. უკვე დილის სამი საათი იყო, თანაც იმდენი რამ გადახდათ თავს, წესით, მისავათებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რული არ ეკარებოდა. იწვა ასე, ძილგამფრთხალი და აღელვებული.

სამი დღის წინ (თითქოს მას შემდეგ მთელმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ მხოლოდ სამი დღე გასულიყო) ნაიარევის ტკივილმა გამოაღვიძა. ამ ღამეს კი, ბოლო ცამეტი წლის მანძილზე პირველად, ლორდ ვოლდემორის ნიშანი გამოჩნდა ცაზე. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ჰარის გაახსენდა წერილი, რომელიც პრივიტ დრაივიდან გამომგზავრებამდე მისწერა სირიუსს. ნეტავ, უკვე მიიღებდა მის წერილს? ან პასუხს როდის მოსწერდა? ჰარი იწვა და ბრეზენტის ჭერს მისჩერებოდა, მაგრამ ამჯერად იმის თავიც არ ჰქონდა, რამეზე ეოცნება, რომ ბურანში წასულიყო და ჩასძინებოდა. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩარლის ხვრინვამ აავსო კარავი. როგორც იქნა, ჰარისაც ჩასთვლიმა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეათე

ბურზაური სამინისტროში

ბატონმა უისლიმ, მართლაც, რამდენიმე საათში გააღვიძა ყველა. ამჯერად კარვების აკეცვისას შეუნიღბავი ჯადოქრობა გამოიყენა და სასწრაფოდ გამოვიდნენ ბანაკიდან. ბატონი რობერტსი კოტეჯის ზღურბლზე იდგა უცნაურად გამოთაყვანებული. გვერდით რომ ჩაუარეს, ხელი დაუქნია და უაზროდ მიაძახა:

– შობას გილოცავთ!

– არა უშავს, გამოკეთდება, – ჩუმად თქვა ბატონმა უისლიმ, – ზოგჯერ დავიწყების შელოცვა დროებით გონებას ურევს. მას კი ბევრი რამის დავიწყება დასჭირდა!

ველზე გავიდნენ და იმ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, სადაც პორტაჟები ინახებოდა, აღელვებული ხმები შემოესმათ. პორტაჟების დარაჯის, ბეზილის გარშემო უამრავ ჯადოქარს მოეყარა თავი, იდგა ერთი გნიასი და ზედახორა. ყველა ყვირილით მოითხოვდა, დროზე გაგვიშვით აქედანო. ბატონმა უისლიმ ბეზილს ერთი-ორი სიტყვა გადაულაპარაკა, რიგში ჩადგნენ და მზის ამოსვლამდე მაინც მოახერხეს სტოუტსჰედ ჰილსში ძველი მანქანის საბურავით დაბრუნება. სოფელი გაიარეს და განთიადის ბინდში დაადგნენ „ბუნაგამდე“ მიმავალ გზას. ისეთი დაქანცულები იყვნენ, სახლამდე ხმა არავის არ ამოუღია, მთელი გზა გემრიელ საუზმეზე ოცნებობდნენ. მალე მოსახვევში „ბუნაგიც“ გამოჩნდა და მათ ყურამდე ყვირილმა მოაღწია.

– მადლობა ღმერთს, როგორც იქნა!

ქალბატონი უისლი, ეტყობა, მათ სახლის წინ, ბაღში ელოდა. ჩუსტები ეცვა, დაძაბული და ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ხელში „დილის მისნის“ მოკეცილი ნომერი ჩაებღუჯა და ისე გამორბოდა მათკენ.

– არტურ, ისე ვინერვიულე, ისე ვინერვიულე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონ უისლის მივარდა, გადაეხვია და მოდუნებული ხელიდან გაზეთი გაუვარდა. ჰარიმ დახედა და სათაურს მოჰკრა თვალი: „ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე დატრიალებული საშინელი სცენა“, სტატიას ხეების კენწეროებს ზევით, ცაზე გამოკიდული მოლიცლიცე შავი ნიშნის შავ-თეთრი ფოტო ამშვენებდა.

– ხომ არაფერი დაგიშავდათ? – ამოისლუკუნა ქალბატონმა უისლიმ, ქმარს ჩამოეხსნა და ჩაწითლებული თვალები ახლა დანარჩენებს მოავლო, – ცოცხლები ხართ... ვაი, ბიჭებო...

და, ყველას გასაოცრად, ფრედი და ჯორჯი ისეთი ძალით ჩაიკრა გულში, რომ ტყუპები თავებით შეასკდნენ ერთმანეთს.

– კაი, რა, დედა... ნუ დაგვახრჩე!

– მე კი როგორ გიყვირეთ წასვლის წინ! – ქალბატონ უისლის ქვითინი წასკდა, – ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია! ჩვენ-რომ-ვიცით, იმას თქვენთვის რომ რამე დაეშავებინა, ჩემი ბოლო სიტყვები ის იქნებოდა, რომ საკმარისი ბუა არ მიიღეთ! ო, ფრედ... ჯორჯ...

– კარგი ერთი, მოლი, ყველანი ცოცხლები და უვნებლები ვართ, – დაუყვავა ბატონმა უისლიმ, ტყუპებს ფრთხილად მოაშორა და სახლისკენ წაიყვანა, – ბილ, – გადაუჩურჩულა ბილს, – ერთი, გაზეთი აიღე. მაინტერესებს, რას წერენ...

როდესაც ერთი ბენო სამზარეულოში როგორღაც ყველა მოთავსდა, ჰერმიონმა ქალბატონ უისლის მაგარი ჩაი მოუმზადა და ბატონმა უისლიმ ძალით ჩაუსხა ერთი ყლუპი „ოლდ ოგდენის ცეცხლოვანი ვისკი“, ბილმა მამას გაზეთი გადასცა. ბატონმა უისლიმ თვალი გადაავლო პირველ გვერდს, პერსი მის მხარს ზემოდან იჭყიტებოდა გაზეთში.

– ასეც ვიცოდი, – მწარედ ამოიოხრა ბატონმა უისლიმ, – „სამინისტროს შეცდომები... დამნაშავეები ვერ შეიპყრეს... უსაფრთხოების სუსტი ზომები... ბოროტმა ჯადოქრებმა გაქცევით უშველეს თავს... ერის სირცხვილი...“ ვინ დაწერა ეს? ააა, რა თქმა უნდა... რიტა სკიტერმა.

– ამ ქალმა სისხლი გაუშრო მაგიის სამინისტროს! – თქვა გაცოფებულმა პერსიმ, – გასულ კვირას ამბობდა, იმის მაგივრად, ვამპირებს ანადგურებდეთ, ქვაბების სისქეზე უაზრო დებატებში გაგყავთო დრო. თითქოს „საზოგადოების არაჯადოქრული ნაწილის მიმართ მოპყრობის დირექტივის“ მეთორმეტე მუხლში საგანგებოდ არ იყოს მითითებული, რომ...

– პერსი, ქენი სიკეთე და მოკეტე, – დაამთქნარა ბილმა.

– მეც ვარ მოხსენიებული, – ბატონ უისლის თვალები გაუფართოვდა, როცა სტატია ბოლომდე ჩაიკითხა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სად? – ქალბატონ უისლის ვისკიანი ჩაი გადასცდა და ხველა აუტ-ყდა, – ეგ რომ მენახა, მეცოდინებოდა მაინც, რომ ცოცხლები იყავით.

– არა, სახელი არ წერია, მაგრამ აბა, ამას მოუსმინეთ: „ტყის პირას შეკრებილი ათასობით შეშინებული ჯადოქარი სუნთქვაშეკრული ელოდა მომხდართან დაკავშირებით სამინისტროს დამაიმედებელ განცხადებას, მაგრამ მათ ეს იმედი მწარედ გაუცრუვდათ. შავი ნიშ-ნის გამოჩენიდან მცირე ხანში სამინისტროს ოფიციალურმა წარმო-მადგენელმა განაცხადა, რომ არავინ დაშავებულა, მაგრამ დაწვრი-ლებითი კომენტარისგან თავი შეიკავა. ვნახოთ, იქნება თუ არა ეს განცხადება საკმარისი, რომ ბოლო მოულოს დარხეულ ხმებს, თით-ქოს ერთი საათის შემდეგ ტყიდან რამდენიმე ცხედარი გაიტანეს...“ ერთი ამას უყურე, – აღშფოთდა ბატონი უისლი და გაზეთი პერსის გადასცა, – „არავინ დაშავებულა“, მეტი რა უნდა მეთქვა? „ხმები დადის, რომ რამდენიმე ცხედარი გაიტანეს ტყიდან“... ამას რომ წაი-კითხავს ხალხი, დაირხევა ხმები, აბა, რა!

ბატონმა უისლიმ ღრმად ამოიოხრა:

– მოლი, როგორც ვატყობ, სამსახურში წასვლა მომიწევს. ეს ამბა-ვი უნდა ჩაიფარცხოს.

– მეც წამოვალ, მამა, – საქმიანად განაცხადა პერსიმ, – ბატონ კრაუჩს ახლა თითოეული თანამშრომლის მხრიდან თანადგომა ესა-ჭიროება. თანაც, ბარემ პირადად გადავცემ ჩემს მოხსენებას.

და პერსი კისრისტეხით გავარდა სამზარეულოდან.

ქალბატონი უისლი ძალიან გაბრაზდა.

– არტურ, შენ ხომ შვებულება გაქვს! ამ ამბავს შენს დეპარტამენ-ტთან ხომ არანაირი კავშირი არა აქვს, როგორმე უშენოდაც მოაგ-ვარებენ.

– არა, მოლი, უნდა წავიდე. ეტყობა, მე ცეცხლზე ნავთი დავასხი. ტანსაცმელს გამოვიცვლი და წავალ.

ჰარიმ მეტი ვეღარ მოითმინა და იკითხა:

– ქალბატონო უისლი, ჰედვიგი ხომ არ დაბრუნებულა?

– ჰედვიგი, ჩემო კარგო? – უგულისყუროდ გაიმეორა ქალბატონ-მა უისლიმ, – არაა... არა, დღეს ფოსტა საერთოდ არ მოსულა.

რონმა და ჰერმიონმა ცნობისმოყვარედ შეხედეს ჰარის. ჰარიმაც მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მათ და თქვა:

– რონ, შეიძლება, ჩემი ნივთები შენს ოთახში ავიტანო?

– ჰო... მოდი, მეც წამოვიღებ ჩემებს, – მიუხვდა რონი, – ჰერმიონ, შენც წამოხვალ?

– აბა, რა! – სწრაფად დაეთანხმა ჰერმიონი. სამზარეულოდან გამოვიდნენ და კიბეს აუყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ხდება, ჰარი? – ჰკითხა რონმა, როგორც კი ზურგს უკან კარი მიხურა.

– თქვენთვის ყველაფერი არ მითქვამს, – დაიწყო ჰარიმ, – კვირა დილით ნაიარევის ტკივილმა გამაღვიძა...

რონსა და ჰერმიონს ზუსტად ისეთი რეაქცია ჰქონდათ, როგორიც ჰარიმ პრივიტ დრაივზე თავის ოთახში წარმოიდგინა. ჰერმიონმა შეიცხადა და მაშინვე რჩევებით აავსო, უამრავ ცნობარს ასახელებდა და სთხოვდა, ალბუს დამბლდორით დაწყებული, სკოლის ექთნით, მადამ პომფრით დამთავრებული, ყველასთვის მიემართა.

რონს თავიდან თითქოს მეტყველების უნარი წაერთვა.

– კი მაგრამ, ის ხომ არ იყო იქ? ჩვენ-რომ-იცით, ის? ამას იმიტომ გეუბნები, რომ... ბოლოს რომ აგტკივდა, ის ხომ ჰოგვორტსში იყო?

– დარწმუნებული ვარ, პრივიტ დრაივზე არ იქნებოდა, – თავი გააქნია ჰარიმ, – მაგრამ სიზმარში ვნახე ეგ და პიტერი... ხომ იცით, იგივე გრძელკუდა. კარგად არ მახსოვს, მგონი... ვიღაცის მოკვლას გეგმავდნენ.

ჰარი წამით შეყოყმანდა, სანამ იტყოდა, „ჩემს მოკვლასო“. მაგრამ ჰერმიონის დაფეთებული სახის დანახვაზე გადაიფიქრა, აღარ უნდოდა, უფრო მეტად შეეშინებინა.

– ეს ხომ მხოლოდ სიზმარი იყო, – სცადა მისი გამხნევება რონმა, – ღამის კოშმარი და მეტი არაფერი.

– იყო, რო, კოშმარი?! – ჰარიმ ფანჯარაში გაიხედა, ცას თანდათან ეპარებოდა ნათელი, – უცნაური არ არის, რომ ჯერ ნაიარევი მტკივდება და მერე, სამ დღეში, „სიკვდილის მხვრელები“ დემონსტრაციას აწყობენ და ცაზე ვოლდემორის ნიშანი ჩნდება?

– ნუ-ამბობ-მაგ-სახელს! – კბილებში გამოსცრა რონმა...

ჰარიმ რონს ყურადღება არ მიაქცია.

– და გახსოვთ, პროფესორმა ტრელოუნიმ გასული წლის ბოლოს რა თქვა?

პროფესორი ტრელოუნი ჰოგვორტსში მისნობას ასწავლიდა.

ჰერმიონს მაშინვე გაუქრა სახიდან შიში და ზიზღით ჩაიფრუტუნა:

– ოოო, ჰარი, ნუთუ სერიოზულად გჯერა, რასაც ეგ ცრუპენტელა დედაბერი ამბობს?

– შენ იქ არ ყოფილხარ, – შეედავა ჰარი, – შენი ყურით არ მოგისმენია, რა თქვა. გეუბნებით, მაშინ ნამდვილ ტრანსში ჩავარდა და თქვა, რომ ბნელი ბატონი მსახურის შეწევნით კვლავ აღდგება... კიდევ უფრო ძლევამოსილი და საზარელი გახდება... მსახური გათავისუფლდება და მბრძანებლისკენ გაეშურება... გრძელკუდაც ხომ იმ ღამეს გაგვექცა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიჩუმე ჩამოვარდა. რონს თავის ლოგინის გადასაფარებელში ნახვრეტი ეპოვა და ჩაფიქრებული ატრიალებდა შიგ თითს.

– რატომ იკითხე, ჰედვიგი დაბრუნდა თუ არა? – დაინტერესდა ჰერმიონი, – წერილს ელოდები?

– სირიუსს მივწერე ნაიარევზე, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ, – და პასუხს ველი.

– ყოჩაღ, კარგად მოგიფიქრებია, – შეაქო რონმა და შვებით ამოისუნთქა, – აი, სირიუსს ნამდვილად ეცოდინება, როგორ უნდა მოვიქცეთ.

– ნეტავ, ჰედვიგი მალე დაბრუნდებოდეს, – ინატრა ჰარიმ.

– მაგრამ ხომ არ ვიცით, სადაა სირიუსი, შეიძლება, სულაც, აფრიკაში იყოს, – ცივი წყალი გადაასხა ჰერმიონმა, – ჰედვიგი რამდენიმე დღეში ხომ ვერ გაივლის ამხელა მანძილს?!

– ჰო, ვიცი, – თქვა ჰარიმ, ცას გახედა და მუცელში მარწუხივით მოუჭირა რაღაცამ.

– ჰარი, წამო, ხილნარში ქვიდიჩი ვითამაშოთ, – შესთავაზა რონმა, – წამოდი, სამი – სამზე! ბილი, ჩარლი, ფრედი და ჯორჯიც ითამაშებენ... და ვრონსკის ფინტსაც მოსინჯავ...

– რონ, – მკაცრად გადახედა ჰერმიონმა, აქაოდა, „რამ გადაგრია, რა სისულელეს როშავო“, – ჰარის ახლა ქვიდიჩისთვის არ სცხელა... ნანერვიულები და დაღლილია... ახლა ყველა დასაძინებლად უნდა დავწვეთ...

– არა, მინდა ქვიდიჩის თამაში! – მოულოდნელად დათანხმდა ჰარი, – დამიცადე, „ელვას“ წამოვიღებ.

ჰერმიონი ოთახიდან გავიდა და გარკვევით გაიგონეს, როგორ ჩაიბურტყუნა: „ოჰ, ეს ბიჭები“.

* * *

მთელი კვირის განმავლობაში არც პერსი და არც ბატონი უისლი შინ თითქმის არ გამოჩენილან. სახლიდან დილაუთენია გადიოდნენ, როცა დანარჩენებს ჯერ კიდევ ეძინათ, და ნავახშმევს, გვიან საღამოს ბრუნდებოდნენ.

– ნამდვილი საგიჟეთი იყო, – შეატყობინა მათ გაბღენძილმა პერსიმ ჰოგვორტსში გამგზავრების წინადღეს. მთელ კვირას ცეცხლს ვაქრობდი. ხალხი ღრიალებს გვიგზავნიდა და ხომ იცით, დროზე თუ არ გახსენი, ფეთქდება. ჩემი საწერი მაგიდა სულ ამომწვარია, ჩემს საუკეთესო ბატის ფრთას კი ბუმბული შემოეტრუსა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ღრიალებს რატომ გზავნიან? – ჰკითხა ჯინიმ, რომელიც სასტუმრო ოთახის ბუხრის წინ ნოხზე იჯდა და თავის „ათას სასწაულმოქმედ მცენარესა და სოკოს“ ჯადოსკოჩით აწებებდა.

– მსოფლიო ჩემპიონატზე გატარებულ უსაფრთხოების ზომებს უჩივიან, – მიუგო პერსიმ, – და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. მანდანგუს ფლეტჩერმა სარჩელი შემოიტანა, თორმეტსაძინებლიანი, ჯაკუზით აღჭურვილი კარავი დამეწვაო, მაგრამ მე მომატყუებს?! ზუსტად ვიცი, რომ, სინამდვილეში, ჯოხებზე გაჭიმული მოსასხამის ქვეშ ეძინა.

ქალბატონმა უისლიმ კუთხეში მდგარ ძველებურ ქანქარიან საათს გახედა. ჰარის ძალიან მოსწონდა ეს საათი. დროის გასაგებად საერთოდ არ ვარგოდა, მაგრამ, სხვა მხრივ, ძალიან სასარგებლო იყო. ცხრა ოქროს ისარზე უისლების ოჯახის წევრების სახელები იყო ამოტვიფრული. ციფერბლატზე, რიცხვების ნაცვლად, იმ ადგილების სახელები ეწერა, სადაც ოჯახის წევრები დადიოდნენ. „სახლი“, „სკოლა“ და „სამსახური“, მაგრამ იყო ასევე „დაკარგული“, „საავადმყოფო“, „ციხე“. იმ ადგილას კი, სადაც ჩვეულებრივ საათზე რიცხვი თორმეტია, ეწერა: „სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“.

საათის რვა ისარი ამჟამად „სახლს“ უჩვენებდა, მაგრამ ბატონ უისლის ისარი, რომელიც ყველაზე გრძელი იყო, ისევ ჯიუტად იდგა „სამსახურთან“. ქალბატონმა უისლიმ ამოიოხრა:

– ჩვენ-რომ-ვიცით, იმის დროიდან, მამათქვენი სამსახურში შაბათკვირას აღარ გასულა, ახლა კი ვირივით ამუშავებენ. თუ კიდევ დაიგვიანა, ვახშამი სულ გაუცივდება.

– მამას საჭიროდ მიაჩნია, რომ ჩემპიონატზე დაშვებული შეცდომა გამოასწოროს, – განაცხადა პერსიმ, – ისე, სიმართლე რომ ითქვას, დაუფიქრებლად მოიქცა, როცა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად გააკეთა საჯარო განცხადება...

– არ გაბედო მამაშენის დადანაშაულება იმის გულისთვის, რაც იმ იდიოტმა ქალმა, სკიტერმა დაწერა! – წამოენთო ქალბატონი უისლი.

– მამას რომც არაფერი ეთქვა, ჩვენი ბებერი რიტა ადგებოდა და დაწერდა, რა სამარცხვინოა, სამინისტროს წარმომადგენელმა ისიც კი არ იკადრა, მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გაეკეთებინაო, – ჩაურთო ბილმა, რომელიც რონს ეთამაშებოდა ჭადრაკს, – ჯერ არ მახსოვს, ვინმესთვის კეთილი სიტყვა გაემეტებინოს. ერთხელ გრინგოტსის ბანკის ყველა ჯადოს ამხსნელს ჩამოართვა ინტერვიუ და მე „გრძელთმიანი იდიოტი“ მიწოდა.

– რა ვიცი, შვილო, ცოტა კი მართლა წაიგრძელებს შენი თმა! –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რბილად შეაპარა ქალბატონმა უისლიმ, – ნებას რომ მომცემდე...

– არა, დედა.

ფანჯრის მინას წვიმის თქეში ეხლებოდა. ჰერმიონი შელოცვების ქრესტომათიის მეოთხე ნაწილში ჩაფლულიყო. ქრესტომათიის თითო-თითო ეგზემპლარი მას, ჰარისა და რონს მრუდე ქუჩაზე უყიდა ქალბატონმა უისლიმ. ჩარლი ცეცხლგამძლე ქსოვილის მუზარადს კემსავდა, ჰარის კი ჰერმიონის მიერ მეცამეტე დაბადების დღეზე ნაჩუქარი „მფრინავი ცოცხის აქსესუარების კომპლექტი“ გაეხსნა და „ელვას“ აპრიალებდა. ფრედი და ჯორჯი ოთახის ერთ კუთხეში მიყუჟულიყვნენ, თავი პერგამენტზე დაეხარათ და კალმებმომარჯვებულები ჩურჩულებდნენ.

– მანდ რას აკეთებთ? – ეჭვით გახედა ტყუპებს ქალბატონმა უისლიმ.

– საშინაო დავალებას, – სასწრაფოდ მიუგო ფრედმა.

– ნუ მაცინებთ, არდადეგები ჯერ არ დამთავრებულა.

– თავის დროზე ვერ მოვასწარით და ცოტა ბოლოსთვის მოვიტოვეთ, – უთხრა ჯორჯმა.

– შემთხვევით, ახალ შეკვეთის ფურცელს ხომ არ წერთ? – ეჭვით ჰკითხა ქალბატონმა უისლიმ, – „უისლების ჯადოსნური ოინების“ ხელახლა წამოწყებას ხომ არ აპირებთ?

– არა, დე, – ფრედმა დედას ნაღვლიანი თვალებით ახედა, – ჰოგვორტსის ექსპრესი ხვალ რელსებიდან რომ გადავარდეს და მე და ჯორჯი დავიღუპოთ, ხომ ვერასდროს აპატიებ თავს, რომ უკანასკნელი, რაც შენგან გავიგეთ, უსაფუძვლო ბრალდება იყო?

ყველას გაეცინა, ქალბატონ უისლისაც კი.

– ოი, მამათქვენი მოდის, – წამოიძახა უცებ და ისევ საათს ახედა.

ბატონ უისლის ისარი ნელა დაიძრა „სამსახურიდან“, „მგზავრობისკენ“ გადაიხარა და მალევე ცახცახით გაჩერდა „სახლზე“, სადაც ყველა დანარჩენ ისარს მოეყარა თავი. იმავე წამს სამზარეულოდან მისი ხმაც მოისმა.

– მოვდივარ, არტურ! – გასძახა ქალბატონმა უისლიმ და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ორიოდე წამში თბილ სასტუმრო ოთახში ბატონი უისლი შემოვიდა. გადაღლილი ჩანდა. ლანგრით თავისი საჭმელი შემოიტანა.

– უჰ, სამინისტროში ისეთი ამბავია, ძაღლი პატრონს ვერა ცნობს! – შესჩივლა ცოლს, ბუხართან სავარძელში ჩაჯდა და გაცივებულ ყვავილოვან კომბოსტოს უგულოდ ჩაარჭო ჩანგალი, – რიტა სკიტერი მთელ კვირას დასუნსულებდა და საგაზეთო მასალისთვის სამინისტროს ცოდვების ამოქექვას ცდილობდა. ახლა საბრალო ბერტა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯორკინსის გაუჩინარების ამბავი შეიტყო და აი, ნახეთ, „დილის მისნის“ ხვალინდელი ნომრის პირველივე გვერდზე ეს თუ არ გამოაჭენოს! ხომ ვეუბნებოდი ბეგმანს! რამდენი ხნის წინ ვუთხარი, რომ ვინმე გაეშვა მის მოსაძებნად?!

– ბატონი კრაუჩი ამას რამდენიმე კვირის მანძილზე უმეორებდა, – ჩაურთო პერსიმ.

– კრაუჩს კიდევ ბედმა გაულიმა, რომ რიტამ ვინკის ამბავი ვერ გაიგო, – ჩაიბურტყუნა გაგულისებულმა ბატონმა უისლიმ, – ეს იქნებოდა კვირის სენსაცია: დაიჭირეს კრაუჩის შინაური ელფი, მას კი ხელში სწორედ ის ჯოხი ეჭირა, რომლითაც შავი ნიშანი გაუშვეს.

– მე მეგონა, ყველანი შევთანხმდით, რომ შინაურ ელფს შავი ნიშანი არ გაუშვია, მიუხედავად იმისა, რომ თავის ქმედებაზე ისედაც არ აგებს პასუხს, – გაცხარდა პერსი.

– მე თუ მკითხავ, ბატონ კრაუჩს მართლა ბედმა გაულიმა, რომ „დილის მისანში“ არ იციან, რა საშინლად ექცევა შინაურ ელფებს, – წიგნიდან თავი ამოყო გაბრაზებულმა ჰერმიონმა.

– აბა, მომისმინე, ჰერმიონ, სამინისტროს ისეთი მაღალი რანგის თანამშრომელი, როგორიც ბატონი კრაუჩია, თავისი მსახურებისგან უსიტყვო მორჩილებას იმსახურებს... – არ დაუთმო პერსიმ.

– ბარემ თქვი, „მონებისგან-თქო“! – ხმას აუწია ჰერმიონმა, – ვინკის ხომ ხელფასსაც არ უხდის!

– მე მგონი, აჯობებს, ყველანი მაღლა ახვიდეთ და შეამოწმოთ, ყველაფერი ჩაალაგეთ, თუ არა, – კამათში ჩაერია ბატონი უისლი და დავას წერტილი დაუსვა, – აბა, ცოცხლად!..

ჰარიმ მფრინავი ცოცხის აქსესუარების კომპლექტი ისევ ყუთში ჩაალაგა, „ელვა“ მხარზე გაიდო და რონს გაჰყვა. წვიმა სახლის სახურავზე უარესად ხმაურობდა, ქარი ყურისწამღებად უსტვენდა და კვნესოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვენის ჭინკაზე, რომელიც დროდადრო ღმუოდა და მილებზე აბრახუნებდა. რონის ოთახში რომ შევიდნენ, პიგვიჯენი აფრთხიალდა და გალიის გისოსებს მოაწყდა. ეტყობა, ნახევრად ჩალაგებული ჩემოდნების დანახვამ მთლად გადარია.

– ერთი ამ ბუს საჭმელი ჩაახეთქე, რა, – რონმა ჰარის პარკი გადაუგდო, – იქნება, ხმა ჩაიწყვიტოს!

ჰარიმ ბუს საჭმელი შეაწოდა გალიის გისოსებს შორის და თავის ჩემოდანს მიუბრუნდა. ჰედვიგის ცარიელი გალია ჩემოდნის გვერდით იდგა.

– მთელი კვირა გავიდა, – ამოიოხრა ჰარიმ, – რონ, როგორ ფიქრობ, სირიუსი ხომ არ დაიჭირეს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაა, მაშინვე „დილის მისანში“ დაბეჭდავდნენ. სამინისტრომ ხომ უნდა უჩვენოს ხალხს, რომ მთლად უსაქმოდ არ არის!

– ჰოო, ალბათ, მართალი ხარ...

– ნახე, დედამ რეები გიყიდა მრუდე ქუჩაზე. შენი აკლდამიდან ცოტა ფულიც გამოგიტანა და წინდებიც გაგირეცხა.

რონმა ჰარის გასაშლელ საწოლზე უამრავი ფუთა, ფულით სავსე ქისა და წინდების გროვა დაუხვავა. ჰარი ფუთების გახსნას შეუდგა: მირანდა გოშოკის „შელოცვების ქრესტომათია, ნაწილი მეოთხის“ გარდა, ქალბატონ უისლის მისთვის ახალი კალმების შეკვრა, ეტრატის გრაგნილები და შხამ-წამლების ახალი ინგრედიენტები ეყიდა. კიდევ კარგი, თორემ ზღვის ლომის ხერხემალი და ბელადონას ესენცია უკვე უთავდებოდა. ის იყო, ქვაბში თეთრეულის ჩალაგებას შეუდგა, რომ უკნიდან რონის ფრუტუნი მოესმა.

– ეს რაღაა?

რონს ხელში რაღაცა ეჭირა. ის რაღაცა გრძელ, მუქ წაბლისფერ მაქმანისსაყელოიან და მაქმანისმანჟეტებიან ხავერდის კაბას ჰგავდა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ოთახში ქალბატონი უისლი შემოვიდა და ჰოგვორტსის ახლად გარეცხილი მანტიები შემოიტანა.

– ეს თქვენ, – თქვა და მანტიების ორად დახარისხებას შეუდგა, – ეცადეთ, ისე ჩაალაგოთ, რომ გზაში არ დაგეჭმუჭნოთ.

– დე, ჩემთვის ჯინის ახალი კაბა მოგიცია, – რონმა კაბა უჩვენა დედას.

– რა ჯინის კაბა! ეს შენი გამოსასვლელი მანტიაა.

– რაო?! – შეშფოთდა რონი.

– შენი გამოსასვლელი მანტია, – გაიმეორა ქალბატონმა უისლიმ, – სასკოლო ნივთების სიაში ეწერა, რომ წელს გამოსასვლელი მანტია უნდა იქონიოთ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის.

– მეხუმრები, არა? – არ დაიჯერა რონმა, – მე ამას არ ჩავიცვამ, გამორიცხულია!

– ყველა იცვამს, რონ, – გაწყრა ქალბატონი უისლი, – და ყველა გამოსასვლელი მანტია ასეთია! მამაშენსაც აქვს ოფიციალური მიღებებისთვის.

– მირჩევნია, შიშველმა ვიარო, ვიდრე ეგ ჩავიცვა, – გაჯიუტდა რონი.

– სისულელეს ნუ ლაპარაკობ! სხვა გზა მაინც არ გაქვს. გეუბნები, სიაში წერია-მეთქი! ჰარისაც ვუყიდე. ერთი, აჩვენე, რა, ჰარი!

ჰარიმ შიშით გახსნა ბოლო ფუთა. არც ისე ცუდი იყო, როგორსაც მოელოდა. მადლობა ღმერთს, მის გამოსასვლელ მანტიებს მაქმა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიანი საყელო და მანჟეტები არ ჰქონდა. ფაქტიურად, მეტ-ნაკლებად ისევე გამოიყურებოდა, როგორც სკოლის მანტია, ოღონდ შავი კი არა, ჭაობისფერი მწვანე იყო.

– ვიფიქრე, რომ შენი თვალების ფერს მოუხდებოდა, საყვარელო, – ალერსით უთხრა ქალბატონმა უისლიმ.

– ჰო, ამას არა უშავს! – გაბრაზებულმა რონმა ჰარის მანტიებს შეხედა, – არ შეიძლება, მეც ასეთი მქონდეს?

– არა, იმიტომ, რომ... შენი მეორადი მანტიების მაღაზიაში ვიყიდე და იქ დიდი არჩევანი არ იყო, – ქალბატონ უისლის სიწითლემ გადაჰკრა.

ჰარიმ დედა-შვილს თვალი აარიდა. სიამოვნებით გაუყოფდა უისლებს გრინგოტსის აკლდამაში დაცულ მთელ თავის ავლადიდებას, მაგრამ იცოდა, რომ არაფრის დიდებით არ აიღებდნენ.

– მე ამას არ ჩავიცვამ! – ჯიუტად იმეორებდა რონი,– არავითარ შემთხვევაში.

– ჰოდა, ძალიან კარგი, – მკვახედ მოუჭრა ქალბატონმა უისლიმ, – იარე შიშველმა. ჰარი, აუცილებლად გადაუღე სურათი და გამომიგზანე. რას ვიცინებ!

ქალბატონი უისლი ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა. ზურგს უკან უცნაური ფართხალი მოესმათ: პიგვიჯენს საჭმელი გადასცდენოდა და იხრჩობოდა.

– ყველაფერი უვარგისი მე რატომ უნდა მხვდებოდეს?! – ამოიგმინა გაცოფებულმა რონმა და პიგვიჯენთან მიირბინა საშველად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთერთმეტე

ჰოგვორტსის ექსპრესი

მეორე დილით, ჰარიმ რომ გაიღვიძა, აშკარად იგრძნო, რომ იქაურობა სევდა-ნაღველით ისე იყო გაჯერებული, როგორც არდადეგების დასრულებისას იცის ხოლმე. სანამ ჰარი ჯინსსა და სპორტულ მაისურს იცვამდა, კოკისპირული წვიმა გამეტებით ეხლებოდა ფანჯარას.

ის იყო, ჰარი, რონი, ფრედი და ჯორჯი პირველ სართულზე ჩავიდნენ სასაუზმოდ, რომ შეშფოთებული ქალბატონი უისლი კიბესთან მოვარდა ყვირილით:

– არტურ, არტურ! სასწრაფო შეტყობინებაა სამინისტროდან!

ჰარი კედელს აეკრა და ბატონი უისლი გაატარა. ბატონ უისლის მანტია უკულმა მოესხა, ბრახაბრუხით ჩაურბინა და თვალს მიეფარა. სამზარეულოში რომ შევიდნენ, ქალბატონი უისლი გამწარებული იქექებოდა კამოდის უჯრებში და, აქ სადღაც კალამი მქონდაო, – ბუტბუტებდა. ბატონი უისლი კი ბუხართან დახრილიყო და ვიღაცას ესაუბრებოდა...

ჰარიმ თვალები დახუჭა და ისევ გაახილა, ხომ არ მეჩვენებაო. ბუხარში გაჩაღებულ შუაცეცხლში ვეება წვერიანი კვერცხივით ეკიდა ამოს დიგორის თავი და სხაპასხუპით ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, სულ არ აწუხებდა, რომ ირგვლივ ნაპერწკლები დაფრინავდნენ და ყურებს ცეცხლის ენები ულოკავდა.

– მაგლმა მეზობლებმა გაიგეს გრუხუნისა და სროლის ხმა, ჰოდა, ადგნენ და იმათ გამოუძახეს, რა ჰქვია... პოლუსელებს... არტურ, ახლავე იქ უნდა გავარდე!

– აი, გამომართვი, – სუნთქვაშეკრულმა ქალბატონმა უისლიმ ქმარს ხელში ეტრატის ნაგლეჯი, სამელნე და მოჭეჭყილი ბატის ფრთა შეაჩეჩა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბედმა გაგვიღიმა, რომ დროზე შევიტყვე, – განაგრძობდა ბატონ დიგორის თავი, – დღეს სამსახურში ადრე მოვედი, რომ ერთი-ორი ბუ გამეგზავნა და რას ვხედავ: მაგიის არამიზნობრივი გამოყენების მთელი დეპარტამენტი შეფუცხუნებული სადღაც გარბის. არტურ, ეს ამბავი რიტა სკიტერმა თუ იყნოსა...

– რა თქვა მრისხანეთვალამ, რა მოხდაო? – ჰკითხა ბატონმა უისლიმ, სამელნეს თავი მოხსნა, შიგ ფრთა ჩააწო და ჩასაწერად მოემზადა.

თავმა თვალები გადაატრიალა.

– ამბობს, გავიგონე, როგორ შემოიპარა ჩემს ეზოში ვიღაცაო! მე მგონი, სახლში შემოსვლას აპირებდნენ, მაგრამ ნაგვის ურნები დაესხნენ თავსო.

– მერე, რა ქნეს ნაგვის ურნებმაო? – ბატონი უისლი გაშმაგებით ჯღაბნიდა პერგამენტზე.

– რამდენადაც ვიცი, ერთი ალიაქოთი ატეხეს და ირგვლივ ნაგავი მიმოფანტეს, – მიუგო ბატონმა დიგორიმ, – როგორც ჩანს, პოლუსელები რომ მივიდნენ, ერთ-ერთი ურნა ისევ აქეთ-იქით აწყდებოდა.

ბატონმა უისლიმ ამოიგმინა.

– თავდამსხმელებზე რა იცი?

– არტურ, ხომ იცნობ მრისხანეთვალას, – ისევ გადაატრიალა თვალები ბატონ დიგორის თავმა, – ვის რაში სჭირდება კუნაპეტ ღამეში მაგის ეზოში შეპარვა?! ალბათ, მაწანწალა კატა დაეხეტებოდა ახლომახლო და კარტოფილის ნაფცქვენებში იქექებოდა. მაგრამ მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტის ხალხის ხელში თუ ჩავარდა მუდი, თავისი წარსულის გადამკიდეს, შავი დღე დაადგება. რაიმე წვრილმანი ბრალდებით უნდა გამოვაძვრინოთ, ისეთით, შენს დეპარტამენტს რომ ეხებოდეს. ფეთქებად სანაგვე ურნებს რა ბრალდება შეეფარდება?

– შეიძლება, გაფრთხილებით შემოვიფარგლოთ, – უპასუხა შუბლშეკრულმა ბატონმა უისლიმ, რომელიც ისევ გამალებით წერდა, – მრისხანეთვალამ ჯადოსნური ჯოხი ხომ არ გამოიყენა! ფაქტიურად არავის დასხმია თავს, ხომ ასეა?

– ნაძლევს ჩამოვალ, ლოგინიდან წამოხტა და ფანჯრიდან რასაც მისწვდა, ყველაფერს შეულოცა, – ჩაიცინა ბატონმა დიგორიმ, – მაგრამ ვერ დაუმტკიცებენ, დაზარალებული არავინაა.

– გასაგებია, უკვე მივდივარ, – ბატონმა უისლიმ ჩანაწერებით აჭრელებული პერგამენტი ჯიბეში ჩაიჩურთა და სამზარეულოდან გავარდა. დიგორის თავი ახლა ქალბატონ უისლის მიუბრუნდა:

– ბოდიშს გიხდი, მოლი, ამ დილაუთენია რომ შეგაწუხე, – თქვა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფრო მშვიდად, – მაგრამ ამ საქმიდან მრისხანეთვალას მხოლოდ არტური თუ დაიხსნის. იმანაც რაღა წუხანდელი ღამე აირჩია! დღეს ახალ სამსახურს იწყებდა...

– არა უშავს, ამოს, – დაამშვიდა ქალბატონმა უისლიმ, – ისე, წასვლამდე გახუხულ პურს ხომ არ მიირთმევდი?

– სიამოვნებით, – მიუგო ბატონმა დიგორიმ.

ქალბატონმა უისლიმ ცეცხლის საჩხრეკით კარაქიანი პურის ერთი ნაჭერი აიღო და ბატონ დიგორის პირში ჩაუდო.

– გმალობ, – ამოიბლუკუნა თავმა და მსუბუქი ტკაცანით გაქრა.

ჰარიმ გაიგონა, როგორ დაემშვიდობა ბატონი უისლი ბილს, ჩარლის, პერსისა და გოგონებს. ხუთ წუთში ისევ სამზარეულოში შემობრუნდა. მანტია ამჯერად სწორად მოეცვა და სწრაფად ივარცხნიდა თმას.

– უნდა ვიჩქარო. აბა, ბიჭებო, წარმატებულ სემესტრს გისურვებთ, – მიმართა რონს, ჰარის და ტყუპებს და დისაპარაციისთვის მოემზადა, – მოლი, ხომ არ გაგიჭირდება ბავშვების მიყვანა კინგს ქროსამდე?

– რა თქმა უნდა, არა! – დააიმედა ქალბატონმა უისლიმ, – შენ შენს მრისხანეთვალას მიხედე და ჩვენ როგორმე ჩვენს თავს მოვუვლით.

როგორც კი ბატონი უისლი გაქრა, სამზარეულოში ბილი და ჩარლი შემოვიდნენ.

– ვინმემ მრისხანეთვალა ახსენა? – იკითხა ბილმა, – ახლა რაღა დაემართა?

– ამბობს, რომ წუხელ ვიღაც მის სახლში შეჭრას ცდილობდა, – აცნობა ქალბატონმა უისლიმ.

– მრისხანეთვალა მუდი? – ჩაფიქრდა ჯორჯი და პურზე ჯემი გადაისვა, – ეს ის შერეკილი არაა...

– მამაშენი ძალიან დიდ პატივს სცემს მრისხანეთვალა მუდის, – მკაცრად მოუჭრა ქალბატონმა უისლიმ.

– ჰოო, ეგრეა, მამა შტეპსელებსაც აგროვებს, – ჩაიქირქილა ფრედმა, როცა ქალბატონი უისლი ოთახიდან გავიდა, – ხარი ხართან დააბიო!

– თავის დროზე მუდი დიდი ჯადოქარი იყო, – შენიშნა ბილმა.

– თუ არ ვცდები, დამბლდორის ძველი მეგობარია, არა? – ჰკითხა ჩარლიმ.

– ისე, დამბლდორზეც ვერ იტყვი, მთლად ნორმალურიაო, – თქვა ფრედმა, – არა, რა თქმა უნდა, გენიოსია და რამე, მაგრამ...

– ვინ არის მრისხანეთვალა? – იკითხა ჰარიმ.

– ადრე სამინისტროში მუშაობდა, ახლა პენსიაზეა, – უპასუხა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩარლიმ, – მე ერთადერთხელ ვნახე, როცა მამამ თავის სამსახურში წამიყვანა. აურორი იყო... – რომ დაინახა, ჰარი დაბნეული უყურებდა, დაამატა – ერთ-ერთი საუკეთესო... ბოროტ ჯადოქრებზე მონადირე. აზკაბანის საკნების ნახევარზე მეტი მისი წყალობითაა სავსე. სამაგიეროდ, ბევრი მტერიც გაიჩინა: ძირითადად – მათი ოჯახები, ვისაც ციხეში უკრა თავი. გავიგე, ამ სიბერეში ნამდვილი პარანოიკი გახდა, აღარავის აღარ ენდობა და ყველგან ბოროტი ჯადოქრები ელანდებაო.

ბილმა და ჩარლიმ გადაწყვიტეს, კინგს ქროსზე წასულიყვნენ და დანარჩენები გაეცილებინათ, პერსიმ კი უთვალავჯერ მოიბოდიშა, სამსახურში ვარ წასასვლელიო.

– იცით, ახლა, როცა ბატონი კრაუჩი დღითიდღე სულ უფრო მეტ ნდობას იჩენს ჩემდამი, ჩემი მხრივ, უბრალოდ, გაუმართლებელი იქნება სამსახურის გაცდენა.

– აბა, რა, პერსი, – სერიოზულად უთხრა ჯორჯმა, – მე მგონი, ბატონი კრაუჩი მალე შენს სახელსაც კი დაიმახსოვრებს.

ქალბატონმა უისლიმ გამბედაობა მოიკრიბა, სოფლის ფოსტიდან დარეკა და ლონდონამდე სამი ჩვეულებრივი მაგლური ტაქსი შეუკვეთა.

– არტურმა სცადა, სამინისტროს მანქანები ეთხოვა, მაგრამ ზედმეტი მანქანა არ აღმოაჩნდათ, – გადაუჩურჩულა ჰარის, როცა წვიმისგან გადარეცხილ ეზოში იდგნენ და თვალს ადევნებდნენ, როგორ ტენიდნენ ტაქსის მძღოლები ექვს მძიმე ჩემოდანს მანქანებში, – უი, ისე, როგორი მოჟამული სახეები აქვთ, არა?

ჰარის არ აუხსნია ქალბატონ უისლისთვის, რომ მაგლი ტაქსის მძღოლები იშვიათად თუ დაატარებენ აფორიაქებულ ბუებს. პიგვიჯენი კი ყურისწამღებად გაჰკიოდა. საქმე იმან უფრო გაართულა, რომ ფრედის ჩემოდანი გაიხსნა, როცა ერთ-ერთ მძღოლს მანქანისკენ მიჰქონდა, და იქიდან დოქტორ ფლიბუსტიერის ზღაპრულად წყალგამძლე უცეცხლო შუშხუნებმა აიშვეს თავი. ხმაურმა ბო ისე დააფრთხო, რომ მძღოლს კლანჭებით შარვალზე ააცოცდა და კაცმა შიშისა და ტკივილისგან ხმამაღალი ყვირილი მორთო.

დიდი ტანჯვითა და ვაებით იმგზავრეს, რადგან უკანა სავარძლებზე ჩემოდნებიანად იყვნენ ჩატენილები. ბო კიდევ კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს და სანამ ლონდონამდე მიაღწევდნენ, ჰარი, რონი და ჰერმიონი დაუნდობლად დაკაწრა. როგორც იქნა, კინგს ქროსის სადგურზე გადმოვიდნენ და მიუხედავად იმისა, რომ წვიმამ უფრო დასცხო და სულ ერთიანად გაილუმპნენ, მაინც შვებით ამოისუნთქეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი უკვე მიეჩვია პლატფორმა 9 და 3/4 -ზე გასვლას. სულ ადვილი იყო: მეცხრე და მეათე პლატფორმებს შორის აღმართულ, ერთი შეხედვით, მყარ ბარიერში უნდა გაევლო. ოღონდ ისე, რომ მაგლების ყურადღება არ მიეპყრო. იმ დღეს ბარიერისკენ ჯგუფ-ჯგუფად გაემართნენ. პირველები ჰარი, რონი და ჰერმიონი წავიდნენ, რადგან პიგვიჯენისა და ბოს წყალობით, ყველაზე საეჭვოდ გამოიყურებოდნენ. უდარდელი ლაქლაქით მიაწვნენ კედელს და გვერდულად გასხლტნენ. მათ წინ პლატფორმა ცხრა და სამი მეოთხედი აღიმართა.

ალისფერი ორთქლმავალი, ჰოგვორტსის ექსპრესი, უკვე ჩამომდგარიყო, ქშენით აფრქვევდა კვამლს და მშობლებსა და ბავშვებს ისეთ ნისლში ხვევდა, რომ ყველანი შავ აჩრდილებს ჰგავდნენ. ნისლში უამრავი ბუ კიოდა, პიგვიჯენიც მათ აჰყვა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა თავისუფალი კუპე მოძებნეს, ჩემოდნები მატარებლის შუა ვაგონში დააბინავეს და ისევ ბაქანზე ჩამოხტნენ, რომ ქალბატონ უისლის, ბილსა და ჩარლის გამომშვიდობებოდნენ.

– შეიძლება, იმაზე ადრე გნახოთ, ვიდრე გგონიათ, – ჩაიღიმა ჩარლიმ და ჯინის გამოსამშვიდობებლად გადაეხვია.

– რატომ? – ყურები ცქვიტა ფრედმა.

– ნახავთ, რატომაც, – ხელი აიქნია ჩარლიმ, – ოღონდ პერსისთან არ წამოგცდეთ, რომ რამე გითხარით. ხომ იცით, ეს „დახურული ინფორმაციაა, სანამ თავად სამინისტრო არ ჩათვლის საჭიროდ, გაახმაუროს“.

– ეჰ, ნეტავ, წელს მეც მოვდიოდე ჰოგვორტსში, – ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ბილმა ნაღვლიანად გახედა მატარებელს.

– რატომ? – ჩაეძია ჯორჯი.

– წინ საინტერესო წელი გელით, – ბილს თვალები აუციმციმდა, – იქნებ როგორმე მოვახერხო შვებულების აღება და ჩამოვიდე, რომ ნაწილს მაინც მოვუსწრო.

– რის ნაწილს? – ჰკითხა რონმა, მაგრამ ამ დროს სასტვენის ხმა გაისმა და ქალბატონმა უისლიმ ყველანი მატარებელზე არეკა.

– გმადლობთ მასპინძლობისთვის, ქალბატონო უისლი, – თქვა ჰერმიონმა, როცა მატარებელში ავიდნენ, კარი დახურეს და მასთან სალაპარაკოდ ფანჯარაში გადაეყუდნენ.

– დიახ, ყველაფრისთვის გმადლობთ, ქალბატონი უისლი, – მხარი აუბა ჰერმიონს ჰარიმ.

– რას ამბობთ, ჩემო კარგებო, თქვენი სტუმრობა ჩემთვის ერთი სიამოვნებაა. შობაზეც დაგპატიჟებდით, მაგრამ, ალბათ, ჰოგვორტსში დარჩენას მოისურვებთ გასაგები მიზეზების გამო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დედა, – მოთმინება დაელია რონს, – ისეთი რა იცით თქვენ სამმა, რაც ჩვენ არ ვიცით?

– ამ საღამოს გაიგებთ, – გაიღიმა ქალბატონმა უისლიმ, – და, მერწმუნეთ, აღფრთოვანდებით. როგორ მიხარია, რომ წესები შეცვალეს!

– რა წესები? – ერთხმად შესძახეს ჰარიმ, რონმა, ფრედმა და ჯორჯმა.

– დარწმუნებული ვარ, პროფესორი დამბლდორი გეტყვით... აბა, წესიერად მოიქეცით, კარგი, ფრედ? გაიგე, ჯორჯ?

ორთქლმავალმა ხმამაღლა დაუსტვინა და მატარებელი დაიძრა.

– გვითხარით, რა ხდება ჰოგვორტსში! – მთელი ხმით დაუღრიალა ფანჯარაში გადაყუდებულმა ფრედმა ბაქანზე დარჩენილებს, რომლებიც თანდათან უკან რჩებოდნენ, – რა წესებს ცვლიან?

მაგრამ ქალბატონი უისლი მხოლოდ იღიმებოდა და ხელს უქნევდა. სანამ მატარებელი მოუხვევდა, სამივე გაქრა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი კუპეში შებრუნდნენ. წვიმის თქეში ფანჯრებს ისეთი ძალით ეხეთქებოდა, რომ შეუძლებელი იყო გარეთ რამის გარჩევა.

რონმა ჩემოდანი გახსნა, თავისი წაბლისფერი მანტია ამოათრია და პიგვიჯენის გალიას გადააფარა, რომ ბუს კივილი როგორმე ჩაეხშო.

– გახსოვთ, მსოფლიო ჩემპიონატზე ბეგმანმა სცადა, ეთქვა ჩვენთვის, რა ხდება ჰოგვორტსში, – ჩაიბუზღუნა გაჯავრებულმა და ჰარის გვერდით დაჯდა, – ჩემი საკუთარი დედა კი არაფრით არ მეუბნება! საინტერესოა, არა?..

– ჩჩშშ, – ჰერმიონმა ტუჩებზე თითი მიიდო და მეზობელ კუპეზე ანიშნა ბიჭებს. ჰარიმ და რონმა ყურები ცქვიტეს. ღია კარში ძალიან ნაცნობი მედიდური ხმა აღწევდა.

– მამა სერიოზულად აპირებდა, ჰოგვორტსის მაგივრად, დურმსტრანგში გავეშვი. დირექტორს კარგად იცნობს და... თან ხომ იცით, დამბლდორზე რა წარმოდგენაც აქვს: ეს კაცი მაგლებზე ჭკუას კარგავს. აი, დურმსტრანგი კი ეგეთ ნაყარნუყარ ხალხს ახლოსაც არ იკარებს. მაგრამ დედამ არ მოისურვა, რომ ასე შორს მესწავლა. მამა ამბობს, დურმსტრანგს ბნელი ძალების სწავლებაში უფრო გონივრული კურსი აქვს აღებული, ვიდრე ჰოგვორტსსო. დურმსტრანგის მოსწავლეები ბნელ ძალებს უშუალოდ შეისწავლიან, ჩვენსავით იმ სულელური თავდაცვის სწავლაში კი არ კარგავენ დროს.

ჰერმიონი ადგა, ფეხაკრეფით მივიდა კართან და მიხურა, რომ მალფოის ხმა დაეხშო. მერე გულმოსულმა თქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესე იგი, ჰგონია, რომ დურმსტრანგი უფრო შეეფერება, არა? ნეტავ, მართლა წათრეულიყო. ხომ აღარ მოგვიწევდა აქ მაგისი ატანა.

– დურმსტრანგიც ჯადოქრობის სკოლაა? – ჰკითხა ჰარიმ.

– კი, – აიმრიზა ჰერმიონი, – და საშინელი რეპუტაცია აქვს. „ევროპაში ჯადოქრული განათლების მიმოხილვაში“ წავიკითხე, რომ ბნელი ძალების სწავლებას დიდ ყურადღებას უთმობს.

– მგონი, გამიგია, – ჩაფიქრდა რონი, – სად არის, რომელ ქვეყანაში?

– ეგ არავინ იცის, – წარბები ასწია ჰერმიონმა.

– რატომ? – გაუკვირდა ჰარის.

– ტრადიციულად, ყველა ჯადოქრულ სკოლას შორის მეტოქეობაა. დურმსტრანგი და ბობატონი თავიანთ ადგილმდებარეობას მალავენ, რომ მათი საიდუმლოებანი არ გამჟღავნდეს, – საქმიანი კილოთი განმარტა ჰერმიონმა.

– კარგი, ერთი, – გაეცინა რონს, – დურმსტრანგი, ალბათ, ჰოგვორტსისოდენა მაინც იქნება და როგორ მალავენ იმ ოხერ უზარმაზარ ციხესიმაგრეს?

– კი მაგრამ, ჰოგვორტსიც ხომ დამალულია, – გაიოცა ჰერმიონმა, – ეს ყველამ იცის, ყოველ შემთხვევაში, ყველამ, ვისაც „ჰოგვორტსის ისტორია“ წაუკითხავს.

– ესე იგი, მარტო შენ იცი! ჰე, მიდი, მოგვიყევი, როგორ მალავენ ჰოგვორტსს.

– ჰოგვორტსი მოჯადოებულია, – დაიწყო ჰერმიონმა, – თუ მაგლმა შეხედა, მხოლოდ და მხოლოდ ხავსმოდებულ ნანგრევებს დაინახავს, რომლის შესასვლელში აბრაა და ზედ აწერია: „ფრთხილად. არ შეხვიდეთ. სახიფათო ზონაა!“

– აჰა, გამოდის, რომ უცხო თვალს დურმსტრანგიც ნანგრევებად მოეჩვენება, არა?

– შეიძლება, – მხრები აიჩეჩა ჰერმიონმა, – ან შეიძლება, სულაც, მსოფლიო ჩემპიონატის სტადიონივით, მაგლების უკუგდების შელოცვა აქვს გაკეთებული, და უცხოელმა ჯადოქრებმა რომ ვერ შეაღწიონ შიგნით, ალბათ, აღუნიშნავიც გახადეს.

– რა გახადესო?

– მოკლედ, ხომ შეიძლება, ისე მოაჯადოო შენობა, რომ რუკაზე მისი აღნიშვნა შეუძლებელი გახდეს?

– ალბათ, შეიძლება, რაკი შენ ამბობ, – დაეთანხმა ჰარი.

– მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ დურმსტრანგი სადღაც შორეულ ჩრდილოეთში უნდა იყოს, – ჩაფიქრდა ჰერმიონი, – იქ, სადაც ძალი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ან ცივა, რადგან მათი სკოლის ფორმებში ბეწვის ლაბადაც შედის.

– ეჰ, აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი შესაძლებლობაა, – ოცნებაში წავიდა რონი, – რა ადვილი იქნებოდა, მალფოისთვის მყინვარიდან ხელი გეკრა და მერე ყველაფერი ისე მოგეწყო, ვითომ უბედური შემთხვევა მოხდა. დედამისია ცოდო, თორემ...

წვიმამ უარესად დაუშვა. მატარებელი ჩრდილოეთისკენ მიქროდა. ცა ისე მოქუფრულიყო და ფანჯრები ისე დაიორთქლა, რომ ნაშუადღევს ფარნების ანთება დასჭირდათ. ტკბილეულით მოვაჭრე ქალმა ურიკა რახრახით ჩამოატარა დერეფანში და ჰარიმაც სამივესთვის ქვაბურა ნამცხვრების უზარმაზარი შეკვრა იყიდა.

მოგვიანებით ჰარი, რონი და ჰერმიონი რამდენიმე მეგობარმა მოინახულა, მათ შორის – სიმუს ფინიგანმა, დინ ტომასმა და პირმრგვალმა, საშინლად გულმავიწყმა ნევილ ლონგბოტომმა, რომელსაც მკაცრი ბებია ზრდიდა. სიმუსს ირლანდიის ემბლემა ჯერ კიდევ გულზე ებნია, რომლის ჯადოსნურ ძალას ვადა გასდიოდა და ახლა ძლივსგასაგონი, მიკნავლებული ხმითღა წრიპინებდა: „ტროი, მალეტი, მორანი“. ნახევარ საათში ჰერმიონს მობეზრდა ქვიდიჩზე გაუთავებელი ლაქლაქის მოსმენა, „შელოცვების ქრესტომათიის მეოთხე ნაწილში“ ჩარგო ცხვირი და გამოძახების შელოცვის დაზუთხვას შეუდგა.

ნევილი შურით ისმენდა, როგორ იხსენებდნენ ჩემპიონატის ფინალური მატჩის ეპიზოდებს.

– ბებიას არ უნდოდა წასვლა, – თქვა საწყლად, – და ბილეთებიც არ იყიდა. ეტყობა, მართლა მაგარი იყო.

– ვაჰ, იცი, რა მაგარი იყო?! – შეახარბა რონმა, – აბა, ამას შეხედე, ნევილ!

რონმა საბარგო თაროზე შემოდგმული თავისი ჩემოდანი მოჩხრიკა და ვიქტორ კრამის მინიატურული ფიგურა ჩამოიღო.

– ვა�ა! – შურით აღმოხდა ნევილს, როცა რონმა ფუნჩულა ხელზე კრამი დაუსვა.

– იცი, რა ახლოდან ვნახეთ კრამი?! სულ ზედა ლოჟაში ვისხედით და...

– შენს სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად, უისლი!

ზღურბლზე დრაკო მალფოი იდგა, უკან ჩხუბისთავი ზორბა ძმაკაცები, კრაბი და გოილი ამოსდგომოდნენ. იმ ზაფხულს სულ ცოტა, კიდევ ოცი სანტიმეტრით გაზრდილიყვნენ. როგორც ჩანს, დინსა და სიმუსს კარი ნახევრად ღია დარჩენოდათ და მალფოიმ ყური მოჰკრა მათ საუბარს.

– რაღაც არ მახსოვს, შემომეპატიჟებინე, მალფოი, – ცივად შენიშნა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უისლი, ეს რა არის? – მალფოიმ პიგვიჯენის გალიაზე მიუთითა. რონის გამოსასვლელი მანტიის მკლავი ჰაერში კონწიალობდა, მატარებლის მოძრაობას აყოლილი ირწეოდა და ობმოდებულ მანჟეტს ყველას დასანახად აქნევდა.

რონმა მაშინვე სცადა, მანტია სადმე გადაემალა, მაგრამ მალფოიმ დაასწრო, მკლავს მისწვდა და მოქაჩა.

– ერთი ამას შეხედეთ, – შესძახა ნეტარებით, რონის მანტია ჰაერში ასწია და კრაბსა და გოილს დაანახვა, – უისლი, შენ რა, სერიოზულად აპირებ ამის ჩაცმას? ასეთები ხომ მოდაში ათას რვაას ოთხმოცდაათ წელს იყო.

– ნეხვში ჩაიხრჩვე, გასკდი, მალფოი! – რონს თავისი მანტიის ფერი დაედო და ანტიკვარული საკუთრება მალფოის ხელიდან გამოჰგლიჯა. მალფოიმ გადაიხარხარა, კრაბი და გოილიც აჰყვნენ და სულელურად არეხროხდნენ.

– აჰა, ესე იგი, მონაწილეობის მიღებას აპირებ, უისლი? გინდა, სცადო და ოჯახის გვარს ცოტა დიდება შესძინო, არა? თან, ხომ იცი, შეიძლება, დიდ ფულსაც გამოჰკრა ხელი... რომ მოგეგო, შენთვის ერთ-ორ ნორმალურ მანტიას მაინც იყიდდი.

– რას მიედ-მოედები? – შეუბღვირა რონმა.

– აპირებ თუ არა მონაწილეობის მიღებას? – გაიმეორა მალფოიმ, – შენ, რა თქმა უნდა, აპირებ, არა, პოტერ? აბა, თავის გამოჩენის შანსს ხელიდან როგორ გაუშვებ?

– მალფოი, ან აგვიხსენი, რაზე ლაპარაკობ, ან აქედან მოუსვი, – წიგნს ზემოდან გამოხედა გაღიზიანებულმა ჰერმიონმა.

მალფოის ფერმკრთალი სახე სიხარულის ღიმილმა გაუნათა.

– ახლა არ მითხრათ, რომ არ იცით! – შესძახა გახარებულმა, – მამაშენი და შენი ძმა სამინისტროში მუშაობენ და არაფერი გითხრეს? ღმერთო ჩემო! მამაჩემმა ასი წლის წინ მითხრა. კორნელიუს ფაჯისგან გაიგო. მამაჩემს ხომ სამინისტროს მაღალ წრეებში ჰყავს ნაცნობები. მამაშენი კი, ეტყობა, მეტისმეტად დაბალი რანგის მოხელეა, რომ ასეთ ინფორმაციას ფლობდეს. ალბათ, მისი თანდასწრებით მნიშვნელოვან საკითხებზე არც კი ლაპარაკობენ...

მალფოიმ ისევ ჩაიცინა, კრაბსა და გოილს ანიშნა და სამივე გაუჩინარდა. რონი წამოდგა და კარი ისეთი ძალით მიაჯახუნა, რომ მინა ჩაიმსხვრა.

– რონ! – უსაყვედურა ჰერმიონმა, ჯოხი ამოიღო და წაიბუტბუტა: „რეპარო.“ შუშის ნამსხვრევები შეერთდა და აღდგენილი მინა თავისით ჩაჯდა კარში.

– ტკბება იმით, რომ თვითონ საქმის კურსშია და ჩვენ არა, – წაილ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რინა რონმა, – „მამაჩემს სამინისტროს მაღალ წრეებში ჰყავს ნაცნობები“... მამაჩემმა რომ მოინდომოს, ნებისმიერ დროს შეუძლია, დაწინაურდეს, მაგრამ არ უნდა. იქ მოსწონს, სადაც არის.

– რა თქმა უნდა, შეუძლია, – წყნარად თქვა ჰერმიონმა, – რონ, ნუ აძლევ მალფოის უფლებას, შენს ნერვებზე ითამაშოს.

– იმან? ჩემს ნერვებზე ითამაშოს? მაგასაც ვნახავთ! – რონი შეჭმას გადარჩენილ ერთ-ერთ ქვაბურა ნამცხვარს დასწვდა, ხელი მოუჭირა და ცომის გუნდად აქცია.

რონი მთელი გზა უგუნებოდ იყო. მოღუშულს ხმა არც მაშინ ამოულია, როცა სკოლის მანტიები გადაიცვეს, არც მაშინ, როცა ჰოგვორტსის ექსპრესმა, ბოლოს და ბოლოს, სვლა შეანელა და წყვდიადში ჩაძირულ ჰოგსმიდის სადგურზე ჩამოდგა. მატარებლის კარები გაიღო თუ არა, ცაში ჭექა-ქუხილმა დაიგრგვინა. ბაქანზე გადმოსვლისას ჰერმიონმა ბო მანტიის ქვეშ შეიფარა, რონმა კი თავისი გამოსასვლელი მანტია პიგვიჯენის გალიას შეატოვა, და თვალმოჭუტულები და თავდახრილები გავიდნენ თავსხმაში. წვიმა ისე თქეშად მოდიოდა, თითქოს ციდან ვედროებით ყინულივით ცივ წყალს ასხამენო.

– გამარჯობა, ჰაგრიდ! – იყვირა ჰარიმ, ჰაგრიდის გოლიათ ფიგურას რომ მოჰკრა თვალი.

– როგორა ხარ, ჰარი? – გამოსძახა ჰაგრიდმა და ხელი დაუქნია, – ბანკეტზე შევხვდებით, თუ არ დავიხრჩეთ.

პირველკურსელებს ჰოგვორტსის ციხე-კოშკში მისასვლელად, ტრადიციულად, ჰაგრიდთან ერთად ტბა უნდა გადაეცურათ.

– უჰ, ნამდვილად არ ვისურვებდი ასეთ ამინდში ტბის გადაცურვას, – გააჟრჟოლა შემცივნებულ ჰერმიონს.

ჩაბნელებულ ბაქანზე ხალხის ნაკადს მიჰყვებოდნენ და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ. სადგურის გარეთ ასობით უცხენო ეტლი ელოდათ. ჰარი, რონი, ჰერმიონი და ნევილი გახარებულები აძვრნენ ერთ-ერთში. კარი ხმაურით დაიხურა. რამდენიმე წამში ეტლების პროცესია ჯაყჯაყით დაიძრა და ჰოგვორტსისკენ მიმავალ ატალახებულ გზაზე გარახრახდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთორმეტე

სამი ჯადოქრის ტურნირი

ქარიშხლისგან სახიფათოდ აყანყალებული ეტლები ფრთიანი ტახის ქანდაკებებით დამშვენებულ კარიბჭეში შეგრიალდნენ და ციხე-კოშკისკენ მიმავალ აღმართს აუყვნენ. ჰარი ფანჯრიდან ხედავდა, თანდათან როგორ ახლოვდებოდა ჰოგვორტსი. წვიმის სქელი ფარდის მიღმა ბუნდოვნად ციმციმებდა უამრავი ფანჯარა. ცაზე ელვა გაიკლაკნა, მათი ეტლი მოწყვეტით შეჩერდა ქვისსაფეხურებიანი კიბის წინ, რომლის თავშიც მუხის უზარმაზარი კარი მოჩანდა.

წინა ეტლებიდან ბავშვები უკვე გადმოსულიყვნენ და ქვის კიბეზე აჩქარებით ადიოდნენ, რომ დროზე შეესწროთ ციხე-კოშკში. ჰარი, რონი, ჰერმიონი და ნევილი ეტლიდან ჩამოხტნენ, ქვის საფეხურები აირბინეს და მაშინღა მოითქვეს სული, როცა ვრცელ, ჩირაღდნებით აბრდღვიალებულ ჰოლს შეაფარეს თავი. აქედან ზედა სართულებისკენ მარმარილოს დიდებული კიბე ადიოდა.

– ჯანდაბა, – ჩაიბუზღუნა რონმა, თავი გაიქნია და ირგვლივ ყველაფერი გაწუწა, – ასე თუ გაგრძელდა, ტბა ნაპირებს გადმოლახავს. აუ, რა სველი ვარ. ვაი!

ჭერიდან წყლით სავსე დიდი წითელი ბუშტი ჩამოვარდა, პირდაპირ რონს დაეცა თავზე და ხმაურით გასკდა. ერთიანად გალუმპულ რონს სუნთქვა შეეკრა, დაბარბაცდა და ჰარის დაეჯახა. ამ დროს მეორე წყლის ბომბი ჩამოვარდა, ჰერმიონს ბეწვზე ასცდა და ჰარის ფეხებთან აფეთქდა. ყინულივით ცივი წყლის ტალღამ წინდებიც კი დაუსველა. ირგვლივ წივილ-კივილი ატყდა. ყველა ერთმანეთს ხელს ჰკრავდა, რომ დაბომბვის არეალიდან გაეღწიათ. ჰარიმ მაღლა აიხედა. ჰაერში, ექვსი მეტრის სიმაღლეზე, პოლტერგეისტი პივსი ლივლივებდა. პატარა კაცუნას ზანზალაკიანი ქუდი ეხურა, ფორთოხლისფერი პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა და ბოროტი სახე დაძაბულო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბისგან მოღრეცოდა, რადგან ახლა მორიგ მსხვერპლს იღებდა მიზანში.

– პივს, – გაისმა გაბრაზებული კივილი, – პივს, ახლავე ჩამოდი ძირს!

დიდი დარბაზიდან დირექტორის მოადგილე და გრიფინდორის კლუბის ხელმძღვანელი პროფესორი მაკგონაგელი გამოვარდა, სველ იატაკზე ფეხი მოუცურდა და, რომ არ დაცემულიყო, ჰერმიონს სტაცა ხელი.

– უი, მაპატიეთ, მის გრეინჯერ...

– არა უშავს, პროფესორო, – ძლივს ამოღერღა ჰერმიონმა და კისერი დაიზილა.

– პივს, ახლავე ჩამოდი ძირს, – დაუცაცხანა პოლტერგეისტს პროფესორმა, წვეტიანი ქუდი შეისწორა და ოთხკუთხა სათვალიდან დაუბრიალა თვალები.

– არაფერს არ ვაშავებ, – აკრიახდა პივსი და მეხუთეკურსელი გოგონების ჯგუფს გაუქანა წყლის ბომბი. გოგონები აწივლდნენ და დიდ დარბაზში შეცვივდნენ, – ხო ისედაც სველები არიან! პატარა შხაპი არ აწყენთ! იიიიიი... – და ახლად შემოსული მეორეკურსელები ამოიღო მიზანში.

– იცოდე, დირექტორს დავუძახებ! – დაემუქრა პროფესორი მაკგონაგელი, – გაფრთხილებ, პივს...

პივსმა ენა გამოუყო, წყლით გაბერილი ბოლო ბუშტი მაღლა ისროლა და, გიჟივით აკრიახებული, მარმარილოს კიბეზე აფრინდა.

– შემოდით, რაღას უდგახართ, – მკაცრად მიმართა პროფესორმა მაკგონაგელმა გალუმპულ ბავშვებს, – დიდ დარბაზში შევიდეთ.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა სხლტომა-სრიალით გაიარეს ჰოლი და მარჯვნივ, ორფრთიან კარში შევიდნენ. გაცოფებულმა რონმა ბუზღუნით გადაიყარა სახიდან სველი თმა.

დიდი დარბაზი, როგორც ყოველთვის, ახალი სასწავლო წლის აღსანიშნავი ბანკეტისთვის სადღესასწაულოდ მოერთოთ და საოცარი სანახავი იყო. ოქროს თეფშები და თასები მაგიდების თავზე ჰაერში მოლივლივე ასობით სანთლის შუქზე ბზინავდა. კლუბების ოთხ გრძელ მაგიდას აჟრიამულებული მოსწავლეები შემოსხდომოდნენ. დარბაზის თავში, მეხუთე მაგიდის ერთ მხარეს, მასწავლებლები ისხდნენ და დარბაზს გამოჰყურებდნენ. აქ ბევრად უფრო თბილოდა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა სლიზერინის, რეივენქლოსა და ჰაფლეპაფის მაგიდებს ჩაუარეს და გრიფინდორის სულ განაპირა მაგიდასთან თითქმის უთავო ნიკის გვერდით დაიკავეს ადგილები. მარგალიტივით თეთრ და გამჭვირვალე მოჩვენებას იმ საღამო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საც განუყრელი კამზოლი ეცვა, სამაგიეროდ, ძალიან განიერი ფუშ-ფუშა საყელო გაეკეთებინა, რომელიც ორმაგ ფუნქციას ასრულებ-და: ჩაცმულობას საზეიმო იერს აძლევდა და ნახევრად მოკვეთილ თავს ამაგრებდა.

– საღამო მშვიდობისა, – სამივეს გაუღიმა ნიკმა.

– გააჩნია, ვისთვის, – ჰარიმ სველი კედები გაიძრო და გაწურა, – ნეტავ, დროზე მორჩნენ განაწილებას. შიმშილით ვკვდები.

კლუბებში ახალი მოსწავლეების განაწილების ცერემონია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები ისე უცნაურად განვითარდა, რომ ჰარი საკუთარი განა-წილების გარდა, ვერც ერთს ვერ დაესწრო, და ახლა მოუთმენლად ელოდა წლევანდელ ცერემონიას.

უცებ მღელვარებისგან აკანკალებულმა ხმამ გამოსძახა მაგიდის ბოლოდან:

– გამარჯობა, ჰარი!

კოლინ ქრივი ეძახდა, მესამეკურსელი, რომლის თვალშიც ჰარი ნამდვილი გმირი იყო.

– გაგიმარჯოს, კოლინ, – გულგრილად მიესალმა ჰარი აბეზარ თაყვანისმცემელს.

– ჰარი, იცი, რა მოხდა! აბა, გამოიცანი! წელს ჩემი ძმა მიიღეს ჰოგვორტსში. ჩემი ძმა, დენისი!

– ااا... ძალიან კარგი, – თქვა ჰარიმ.

– ისე ნერვიულობს, – კოლინი სკამზე ცმუკავდა, – იმედი მაქვს, გრიფინდორში მოხვდება. თითები გადააჯვარედინე, კარგი, ჰარი?

– ჰო, კარგი, კარგი.

– დები და ძმები ყოველთვის ერთ კლუბში ხვდებიან, არა? – მიუბ-რუნდა ჰარი ჰერმიონს, რონს და თითქმის უთავო ნიკს. ასე მან უის-ლების ოჯახის მაგალითზე დაასკვნა, რადგან მათი შვიდივე შვილი გრიფინდორში სწავლობდა.

– სულაც არა, – უპასუხა ჰერმიონმა, – პარვატი პეტილის ტყუ-პისცალი რეივენქლოშია, არადა, ზუსტად ერთნაირები არიან და თითქოს ერთ კლუბში უნდა მოხვედრილიყვნენ, არა?

ჰარიმ მასწავლებლების მაგიდას გახედა. მოეჩვენა, რომ ჩვეუ-ლებრივზე მეტი სკამი იყო ცარიელი. ჰაგრიდი, რა თქმა უნდა, ჯერაც პირველკურსელებთან ერთად ებრძოდა ქარიშხალს აბობოქრებულ ტბაზე. პროფესორი მაკგონაგელი, ალბათ, ჰოლში იატაკის გამშრა-ლებას ხელმძღვანელობდა. მაგრამ იქაურობას კიდევ ვიღაც აკლდა და ვერაფრით ვერ გაიხსენა – ვინ.

– სადაა ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იკითხა ჰერმიონმა, რომელიც, ჰარისა არ იყოს, მასწავლებლების მაგიდას ათვალიერებდა.

ბნელი ძალებისგან თავდაცვის რამდენიმე მასწავლებელი გამოიცვალეს და ვერც ერთმა ვერ გაძლო ერთ წელზე მეტხანს. ჰარის საყვარელი მასწავლებელი, ჯერჯერობით, ლუპინი იყო, რომელმაც წინა წელს თავისი ნებით გაანება თავი მასწავლებლობას. ჰარიმ მასწავლებლების მაგიდა ისევ აათვალიერ-ჩაათვალიერა. აშკარად არც ერთი ახალი სახე არ ჩანდა.

– იქნებ ვერავინ იშოვეს? – აღელდა ჰერმიონი.

ჰარიმ ახლა უფრო ყურადღებით გადაავლო თვალი მაგიდას. შელოცვების მასწავლებელი, ციცქნა პროფესორი ფლიტვიკი ბალიშების გროვაზე იჯდა ჰერბოლოგიის მასწავლებლის, პროფესორ სპრაუტის გვერდით, რომელსაც ფუმფულა ჭაღარა თმაზე გვერდულად დაეკოსებინა ქუდი. სპრაუტი ასტრონომიის მასწავლებელს, პროფესორ სინისტრას ესაუბრებოდა. სინისტრას მეზობლად იჯდა შხამ-წამლების მასწავლებელი – ავადმყოფურად ფერმკრთალი, კაუჭაცხვირიანი და გაქონილთმიანი სნეიპი. ჰარის ეს კაცი მთელ ჰოგვორტსში ყველაზე მეტად ეჯავრებოდა. სნეიპსაც ისევე სძულდა ჰარი, როგორც ჰარის – სნეიპი. და ეს სიძულვილი გასული წლიდან კიდევ უფრო გაუმძაფრდათ (თუკი ამაზე მეტი სიძულვილი შესაძლებელი იყო), რადგან ჰარიმ სწორედ მის ვეება ცხვირწინ გააპარა სირიუსი. სნეიპი და სირიუსი კი სკოლიდანვე ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ.

სნეიპის გვერდით თავისუფალი სკამი იდგა. ჰარის ვარაუდით, ეს სკამი პროფესორ მაკგონაგელს ეკუთვნოდა. მის გვერდით, ცენტრში, სკოლის დირექტორი, პროფესორი დამბლდორი იჯდა. გრძელი, ვერცხლისფერი თმა-წვერი სანთლების შუქზე უბრწყინავდა და უამრავი ვარსკვლავითა და მთვარით მოქარგული დიდებული მუქი ზურმუხტისფერი მანტია ემოსა. დამბლდორს გრძელი, თხელი თითები ერთმანეთზე მიეტყუპებინა, ზედ ნიკაპი ჩამოეყრდნო და, თითქოს ღრმა ფიქრში წასულაო, ნახევარმთვარისებრი სათვალიდან ასცქეროდა ჭერს. ჰარიმ თვითონაც მაღლა აიხედა. ჭერი ისე იყო მოჯადოებული, რომ ნამდვილ ცას ჰგავდა, მაგრამ ასე საავდროდ მოქუშული ჯერ არ ენახა. შავი და იისფერი ღრუბლები ერთმანეთში ირეოდნენ და გარეთ რომ დაიქუხებდა, ჭერზედაც გაიელვებდა ხოლმე.

– აუ, დაუჩქარეთ, რა, – ამოიკვნესა ჰარის გვერდით მჯდარმა რონმა, – ისე მშია, ჰიპოგრიფსაც შევჭამდი!

ამის თქმა იყო და, დიდი დარბაზის კარი გაიღო. სიჩუმე ჩამოვარდა. პროფესორი მაკგონაგელი პირველკურსელების გრძელ მწკრივს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიუძღვებოდა დარბაზის თავისკენ. ჰარი, რონი და ჰერმიონი, მათთან შედარებით, მშრალები მოგეჩვენებოდათ: გეგონებოდათ, ტბა ნავებით კი არ გადმოუვლიათ, ეგრეევე გადმოუცურავთო. სიცივისა და მღელვარებისგან აძაგძაგებულები მასწავლებლების მაგიდის წინ, პირით დარბაზისკენ გამწკრივდნენ. მათში ყველაზე მოცუცქნული, თაგვისფერთმიანი ბიჭი ჰაგრიდის თხუნელას ბეწვის ქურქში გახვეულიყო. ქურქი ისეთი დიდი ჰქონდა, თითქოს შავი ბეწვის კარავი მოუხურავსო. საყელოდან პატარა, საშინლად აღელვებული სახე გამოუჩნდა. არანაკლებ დამფრთხალ თანატოლებში რომ ჩადგა, კოლინ ქრივის მზერა დაიჭირა, ორივე ცერა თითი ასწია და ჩურჩულით გამოსძახა: „ტბაში ჩავვარდი!“ როგორც ჩანს, ეს ამბავი ძალიან ეამაყებოდა.

პროფესორმა მაკგონაგელმა პირველკურსელების წინ, იატაკზე, დაბალი სამფეხა სკამი დადგა და ზედ ძველისძველი, ჭუჭყიანი, დაკემსილი ჯადოქრის ქუდი დადო. ყველანი ქუდს მიაჩერდნენ. ქუდი ჯერ დუმდა, შემდეგ კიდესთან ფარფლი გაიხსნა, პირს დაემსგავსა და ქუდი ამღერდა:

ათასი წლის წინ ან უფრო ადრე,
როცა ვიყავი ქუდი ახალი,
აქ ჯადოქარი ცხოვრობდა ოთხი,
დღეს ყველამ ვიცით მათი სახელი.
გრიფინდორს იცნობთ ტრამალებიდან
და რეივენქლოს ღარტაფებიდან,
სათნო ჰაფლეპაფს — ვრცელ მინდვრებიდან,
და ცრუ სლიზერინს ჭანჭრობებიდან.
ოთხივეს ჰქონდა ერთი ოცნება:
ახალბედების აღზრდა და მოვლა.
უხმეს პატარა ჯადოქრებს მყისვე
და აი, ასე დაარსდა სკოლა.
ოთხივემ შექმნა თავისი კლუბი
და განიზრახა ბავშვების აღზრდა,
მიზანი ჰქონდათ საერთო, მაგრამ
მიღების წესი ჰქონდათ სხვადასხვა:
გრიფინდორისთვის იყვნენ, უდავოდ,
მამაცნი სხვებზე აღმატებულნი;
რეივენქლოსთვის ფასობდნენ მხოლოდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭკუაგახსნილნი და ნიჭიერნი;
ჰაფლეპაფი კი ბეჯითებს თვლიდა
საკუთარ კლუბში მიღების ღირსად;
სლიზერინი კი მხოლოდ ცბიერებს
და გაიძვერებს თვლიდა თავისად.
ინაწილებდნენ რჩეულებს ასე
და თავსატეხიც გაჩნდა ახალი:
ვინ აირჩევდა ღირსეულთ, როცა
არ დარჩებოდა მათგან არავინ.
და გრიფინდორმაც მყისვე მომიძრო,
დანარჩენებსაც მანვე ურჩია:
ოთხივემ თავის ჭკუა გადმომცა
რათა მათ ნაცვლად მე ამერჩია.
ახლა კი კარგად მომირგეთ თავზე,
რომ არ შემცდარა – ვარ მე ის ქუდი.
მაშ, ჩამახედეთ თქვენს გონებაში,
გეტყვით, რომელი გეკუთვნით კლუბი.

გამანაწილებელმა ქუდმა სიმღერა დაამთავრა და დიდ დარბაზში ტაშმა იქუხა.

– ეს ის სიმღერა არაა, ჩვენი განაწილების დროს რომ იმღერა, – გაუკვირდა ჰარის და სხვებთან ერთად დაუკრა ტაში.

– ყოველ წელს ახალს მღერის, – უპასუხა რონმა, – ისე, რა მოსაწყენი უნდა იყოს ქუდობა, არა? ალბათ, მთელ წელიწადს ზის და ახალ სიმღერას იგონებს.

პროფესორმა მაკგონაგელმა ეტრატის უზარმაზარი გრაგნილი გაშალა.

– ვის სახელსაც ამოვიკითხავ, ქუდს დაიხურავთ და სკამზე დაჯდებით, – მიმართა პირველკურსელებს, – ქუდი თქვენს კლუბს რომ გამოაცხადებს, წახვალთ და შესაბამის მაგიდას მიუჯდებით.

– სტიუარტ აკერლი!

თავით ფეხამდე შესამჩნევად აცახცახებული ბიჭი წინ გამოვიდა, გამანაწილებელი ქუდი აიღო, დაიხურა და სკამზე დაჯდა.

– რეივენქლო! – იყვირა ქუდმა.

სტიუარტ აკერლიმ ქუდი მოიხადა და რეივენქლოს მაგიდისკენ გაეშურა, სადაც ტაშით შეხვდნენ. ჰარიმ დაინახა, რომ რეივენქლოს სიკერი, ჩო, სიხარულის ყიჟინით შეეგება სტიუარტ აკერლის და,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამით, საოცრად მოუნდა, თვითონაც რეივენქლოს მაგიდასთან გადამჯდარიყო.

– მალკოლმ ბედოკი!

– სლიზერინი!

დარბაზის მოპირდაპირე მხარეს მაგიდასთან ყიჟინი ატყდა. ჰარიმ თვალი მოჰკრა, როგორ უკრავდა ტაშს მალფოი, როცა ბედოკი მათ მაგიდას მიუჯდა, და გაიფიქრა, ნეტავ ბედოკმა თუ იცის, რომ სლიზერინიდან უფრო მეტი ბოროტი ჯადოქარი გამოსულა, ვიდრე სხვა ნებისმიერი კლუბიდანო. ფრედმა და ჯორჯმა სტვენით მიაცილეს მალკოლმი სლიზერინელების მაგიდასთან.

– ელეანორ ბრენსტონი!

– ჰაფლეპაფი!

– ოუენ კოლდუელი!

– ჰაფლეპაფი!

– დენის ქრივი!

ციცქნა დენის ქრივი ჰაგრიდის ქურქში გაიხლართა და წინ გამობარბაცდა. სწორედ ამ დროს მასწავლებლების მაგიდის უკან დატანებული კარიდან დარბაზში ფრთხილად შემოვიდა ჰაგრიდი. ჩვეულებრივ ადამიანზე ორჯერ უფრო მაღალი და სამჯერ უფრო განიერი ჰაგრიდი, გრძელი, გაბურძგნილი შავი თმა-წვერით ველურს ჰგავდა და ერთი შეხედვით, კაცს შეაშინებდა. მაგრამ ჰარის, რონსა და ჰერმიონს მშვენივრად მოეხსენებოდათ, სინამდვილეში რა კეთილი გული ჰქონდა. ჰაგრიდმა მათ თვალი ჩაუკრა, მასწავლებლების მაგიდის ბოლოში დაჯდა და დენის ქრივის გახედა. ბიჭი ამ დროს გამანაწილებელ ქუდს იხურავდა. კიდესთან ფარფლი გაიხსნა და...

– გრიფინდორი! – დასჭექა ქუდმა.

ჰაგრიდმა გრიფინდორელებთან ერთად დასცხო ტაში. სახეგაბრწყინებულმა დენისმა ქუდი მოიხადა, ისევ სკამზე დადო და ძმისკენ გამოიქცა.

– კოლინ, იცი, ტბაში ჩავვარდი! – წვრილი ხმით ახარა ძმას და თავისუფალ ადგილზე დაებერტყა, – იცი, რა მაგარი იყო?! მერე რაღაცამ ამიტაცა და ისევ ნავზე მისროლა.

– მაგარია! – აღფრთოვანდა კოლინიც, – ალბათ, გიგანტური კალმარი იქნებოდა, დენის!

– ვაააა! – ისე თქვა დენისმა, თითქოს ყველაზე თამამ ოცნებაშიც კი იმაზე უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი, რომ ქარიშხლით აბობოქრებულ ტბაში ჩავარდნილიყო და გიგანტურ ზღვის ურჩხულს უკან ამოეგდო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დენის, დენის, ხედავ იმ ბიჭს? აი, იმას, შავთმიანსა და სათვალიანს? დაინახე? იცი, ვინ არის, დენის?

ჰარიმ განზე გაიხედა და სცადა, მთელი ყურადღება გამანაწილებელ ქუდზე გადაეტანა, რომელიც ახლა ემა დობსის ბედს წყვეტდა.

განაწილება გრძელდებოდა. დამფრთხალი ბიჭუნები და გოგონები სათითაოდ მიდიოდნენ სამფეხა სკამთან. გასანაწილებელთა მწკრივი ძალიან ნელა მოკლდებოდა. პროფესორმა მაკგონაგელმა ჯერ ის-ის იყო ასო „ლ“ ჩაამთავრა.

– აუ, დაუჩქარეთ, – ამოიკვნესა რონმა და მუცელი დაიზილა.

– არ გრცხვენია, რონ, განაწილება უფრო მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე საჭმელი? – ნამუსზე შეაგდო თითქმის უთავო ნიკმა, როცა ლაურა მედლი ჰაფლეპაფელი გახდა.

– თუ მკვდარი ხარ, კი! – მოუჭრა რონმა.

– იმედია, ახალი გრიფინდორელები იმედს არ გაგვიცრუებენ, – შენიშნა თითქმის უთავო ნიკმა და ნატალი მაკდონალდის გრიფინდორში განწესებას ტაშით შეეგება, – გვინდა ჩვენ ახლა, რომ ჩვენი გამარჯვებების სერია შეწყდეს?!

ბოლო სამ წელიწადს გრიფინდორი ზედიზედ იმარჯვებდა საკლუბო ჩემპიონატში.

– გრემ პრიტჩარდი!

– სლიზერინი!

– ორლა ქუირკი!

– რეივენქლო!

ბოლოს ქუდმა კევინ უიტბი ჰაფლეპაფში გაუშვა და განაწილება დასრულდა. პროფესორმა მაკგონაგელმა ქუდი და სკამი აიღო და დარბაზიდან გაიტანა.

– უჰ, სულზე მომისწრეს, – რონმა დანა-ჩანგალი მოიმარჯვა და მოლოდინით მიაჩერდა ოქროს თეფშს.

პროფესორი დამბლდორი ფეხზე წამოდგა, ღიმილით მოავლო თვალი მოსწავლეებს და ხელები მისალმების ნიშნად ფართოდ გაშალა.

– მე თქვენთვის ერთადერთი სიტყვა მაქვს სათქმელი, – განაცხადა მან და მისმა დაბალმა, ხავერდოვანმა ხმამ მთელ დარბაზში დაიგუგუნა, – მიირთვით!

– სიამოვნებით, სიამოვნებით, – ხმამაღლა დაიძახეს ჰარიმ და რონმა. ცარიელი თეფშები თვალის დახამხამებაში ხორაგით გაივსო.

თითქმის უთავო ნიკი შურით უყურებდა, როგორ დაიხვავეს მეგობრებმა თეფშებზე საჭმელი.

– აი, ეშ უკვე შხვა შაქმეა, – ძლივს ამოთქვა მოხარშული კარტოფილით პირგამოტენილმა რონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისე, ბედმა გაგიღიმათ, რომ ბანკეტი მაინც გამართეს, – აღნიშნა თითქმის უთავო ნიკმა, – ცოტა ხნის წინ სამზარეულოში პრობლემები შეექმნათ.

– რატო? რა მოჰდა? – ჰკითხა ჰარიმ, რომელიც ხორცის დიდ ლუკმას ღეჭავდა.

– პივსი, რა თქმა უნდა, – თავი გააქნია თითქმის უთავო ნიკმა. თავი სახიფათოდ შეყანყალდა და ნიკის ფუშფუშა საყელო ცოტათი მაღლა აიწია. – ხომ იცით, მუდმივად რაზეა კამათი. პივსს უნდოდა, ბანკეტს დასწრებოდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხომ იცით, როგორია – ნამდვილი ველური! საჭმლიან თეფშს რომ ხედავს, თავს ვერ იკავებს, რომ სადმე არ მოისროლოს. ჩვენ, მოჩვენებებმა, თათბირი გავმართეთ. მსუქანი ბერი მოითხოვდა, პივსისთვის კიდევ ერთი შანსი მიგვეცა, მაგრამ სისხლისმსმელი ბარონი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო და, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანადაც.

სისხლისმსმელი ბარონი, – სლიზერინის გაძვალტყავებული, სიტყვაძუნწი და ვერცხლისფერი სისხლის ლაქებით დაფარული მოჩვენება, – ჰოგვორტსში ერთადერთი იყო, ვისაც პივსის გაკონტროლება შეეძლო.

– ჰო, ჩვენც შევატყვეთ პივსს, რომ რაღაც ვერ იყო გუნებაზე, – შუბლი შეიკრა რონმა, – ამისთანა რა ჩაიდინა სამზარეულოში?

თითქმის უთავო ნიკმა მხრები აიჩეჩა:

– როგორც ყოველთვის, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ყველგან ქვაბები და ტაფები ეყარა და მთელი სამზარეულო სუპში ცურავდა. შინაური ელფები ისე დაფრთხნენ, კინაღამ ჭკუიდან შეიშალნენ.

ბრახ! ჰერმიონს ოქროს თასი გადაუყირავდა. გოგრის წვენი სუფრაზე დაიღვარა და თეთრი გადასაფარებელი ნარინჯისფრად შეღება, მაგრამ გოგონას ყურადღება არ მიუქცევია.

– აქ შინაური ელფები არიან? – გაოგნებული მიაშტერდა თითქმის უთავო ნიკს, – აქ, ჰოგვორტსში?

– რასაკვირველია, – მიუგო ჰერმიონის რეაქციით გაოცებულმა თითქმის უთავო ნიკმა, – თუ არ ვცდები, მთელ ბრიტანეთში ყველაზე დიდი თემი – ასზე მეტი.

– მე რომ არც ერთი არ მინახავს?!

– იმიტომ, რომ დღისით სულ სამზარეულოში არიან, – განუმარტა ნიკმა, – მხოლოდ ღამე გამოდიან, რომ აქაურობა ცოტა მიალაგონ... ცეცხლს მიხედონ და ასე შემდეგ... მოკლედ, თქვენ ვერც უნდა ხედავდეთ მათ, კარგი შინაური ელფის ღირსებაც ხომ სწორედ ეს არის – თვალში არავის შეეჩხიროს.

ჰერმიონი მოჩვენებას თვალებგაფართოებული მისჩერებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხელფასს თუ უხდიან? გამოსასვლელი დღეები ხომ აქვთ? ან შვებულება, ავად თუ გახდნენ, ან პენსია და რავი, მსგავსი რამეები?

თითქმის უთავო ნიკმა ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ საყელო ჩამოუცურდა, თავი გვერდზე გადაუვარდა და მოჭრას გადარჩენილ გამჭვირვალე კანსა და ერთი სანტიმეტრის სისქის კუნთზე დაეკიდა.

– შვებულება და პენსია? – თავი ისევ თავის ადგილას დააბრუნა და ფუშფუშა საყელო ხელახლა საიმედოდ მოირგო, – შინაურ ელფებს რაში სჭირდებათ შვებულება და პენსია!

ჰერმიონმა თავის თითქმის ხელუხლებელ თეფშს დახედა, ზედ დანა-ჩანგალი დააწყო და გვერდზე გასწია.

– ოო, კაი რა, ერმიონ, – გააპროტესტა პირგამოტენილმა რონმა და შემთხვევით პირიდან იორკშირის პუდინგის ნამცეცები შეაფრქვია ჰარის, – უი, ბოდიში, არი, – როგორც იქნა, ლუკმა გადაყლაპა, – შიმშილით თუ მოიკალი თავი, იმათ რა, შვებულება დაუწესდებათ?!

– მონური შრომა, – სუნთქვა ეკვროდა ჰერმიონს, – აი, რამ შექმნა ეს ვახშამი – მონურმა შრომამ.

და საჭმელს პირი აღარ დააკარა.

მაღალ, ჩაბნელებულ ფანჯრებს წვიმა ისევ მთელი ძალით ეხეთქებოდა. ჭექა-ქუხილმა მინები შეაზანზარა, საავდროდ მოღრუბლულ ჭერზეც გაიელვა და ოქროს თეფშები მაშინ გაანათა, როცა მათზე ვახშმის ნარჩენები გაქრა და, მათ ნაცვლად, ნაირ-ნაირი პუდინგი გაჩნდა.

– ნახე, ჰერმიონ, ბადაგმოსხმული ღვეზელი, – რონი შეეცადა, გუნებაზე მოეყვანა მეგობარი, თეფშების ზემოთ ისე აიქნია ხელი, რომ ჰერმიონს სუნი მისვლოდა, – ქიშმიშიანი პუდინგი! ნახე, შოკოლადმოსხმული ეკლერი!

მაგრამ ჰერმიონმა ისე შეხედა, რონს მაშინვე პროფესორი მაკგონაგელი გაახსენდა და განზრახვაზე ხელი აიღო.

როდესაც ნამცხვრებსაც გაავლეს მუსრი და თეფშებიდან თვით ნამცეცებიც კი გაქრა, ალბუს დამბლდორი ისევ წამოდგა. დარბაზის ხმადაბალი ზუზუნი მაშინვე მიწყდა. სიჩუმეს მხოლოდ ქარის ღმუილი და წვიმის რაკუნი არღვევდა.

– ესეც, ასე, – თქვა დამბლდორმა და ყველას გაუღიმა, – ახლა, რაკიღა მშიერ-მწყურვალი აღარავინ დარჩა (ჰმ, – აღშფოთებით ჩაიფხუკუნა ჰერმიონმა), კიდევ ერთხელ მოვითხოვ თქვენს ყურადღებას, რადგან ერთი-ორი განცხადება უნდა გავაკეთო. ჩვენმა დარაჯმა, არგუს ფილჩმა, მთხოვა შეგახსენოთ, რომ ციხე-კოშკში აკრძალული ნივთების სია წელს კიდევ უფრო გაიზარდა და მასში შევიდა მწივანა ბზრიალები, ეშვებიანი მფრინავი თეფშები და თვით-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მტყორცნი ბუმერანგები. მთლიანი სია, თუ არ ვცდები, ოთხას ოცდაჩვიდმეტ პუნქტს მოიცავს და მისი ნახვა ბატონ ფილჩის კაბინეტში შეგიძლიათ, თუკი, რა თქმა უნდა, ვინმეს ამის სურვილი გაუჩნდება.

დამბლდორმა ისევ ჩაიღიმა და განაგრძო:

– როგორც ყოველთვის, მინდა, ახლაც შეგახსენოთ: სკოლის ბაღს რომ ტყე ემიჯნება, იმ ტყეში შესვლა სტუდენტებისთვის აკრძალულია, პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს ასევე ეკრძალებათ სოფელ ჰოგსმიდის მონახულება. ამასთანავე, უნდა გაცნობოთ ერთი სამწუხარო ამბავი: წელს ქვიდიჩის საკლუბო ჩემპიონატი არ შედგება.

– რაა?! – აღმოხდა ჰარის და თავის თანაგუნდელებს, ფრედსა და ჯორჯს გადახედა. ისინი დამბლდორს მისჩერებოდნენ და პირს აღებდნენ, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდათ, ალბათ, ელდისგან მეტყველების უნარი წაერთვათ.

– ეს გამოწვეულია იმ ღონისძიებით, – გააგრძელა დამბლდორმა, – რომელიც ოქტომბერში დაიწყება, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გასტანს და მასწავლებლებს დიდ დროსა და ენერგიას წაართმევს, მაგრამ მერწმუნეთ, თქვენ უდიდეს სიხარულს მოგანიჭებთ. დიდი სიამოვნებით მინდა, გაუწყოთ, რომ წელს ჰოგვორტსში...

მაგრამ ზუსტად ამ დროს ჭექა-ქუხილმა გამაყრუებლად დაიგრგვინა და დიდი დარბაზის კარი ვიღაცამ შემოგლიჯა.

ზღურბლზე გრძელ კვერთხს დაყრდნობილი და შავ სამგზავრო მოსასხამში გახვეული კაცი იდგა. ყველა უცნობისკენ მიტრიალდა, რომელიც უცებ მკვეთრად გაანათა ჭერზე გაკლაკნილმა ელვამ. უცნობმა კაპიუშონი გადაიწია, გრძელი, ჭაღარაშერეული მუქი თმა შეიბერტყა და მასწავლებლების მაგიდისკენ წავიდა.

მის ყოველ ნაბიჯზე ქვის იატაკი ყრუ კაკუნს გამოსცემდა. კაცი მაგიდის ბოლოსთან მივიდა, მარჯვნივ მიბრუნდა და მძიმე კოჭლობით მიუახლოვდა დამბლდორს. ჭერზე ისევ გაიელვა და ჰერმიონს გმინვა აღმოხდა.

წამით სინათლე მოეფინა ახალმოსულის სახეს, რომლის მსგავსი ჰარის თავის დღეში არ ენახა. გეგონებოდა, ეს სახე ქარისგან დახეთქილ ხეზე ამოტვიფრაო ვიღაცამ, ვისაც ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანის სახე და არც საჭრეთლის ხმარებაში იყო დიდად დახელოვნებული. მთელი სახე ნაიარევებით ჰქონდა დასერილი. პირი დამრეც ჭრილობას მიუგავდა, ცხვირის დიდი ნაწილი კი ჩამოთლილი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე შემზარავი მაინც უცნობის თვალები იყო: ერთი თვალი ღილივით პატარა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუქი და ელვარე ჰქონდა, მეორე კი – დიდი, მონეტასავით მრგვალი და კაშკაშა ცისფერი. ცისფერი თვალი მეორე, ჩვეულებრივი თვალისგან სრულიად დამოუკიდებლად მოძრაობდა, დაუხამხამებლად, ხან მაღლა ტრიალდებოდა, ხან დაბლა, ხან – მარჯვნივ და ხანაც – მარცხნივ. ეს კიდევ არაფერი, ზოგჯერ მთლიანად ამოტრიალდებოდა ხოლმე ბუდეში და ეტყობა, შიგნით, კეფისკენ იყურებოდა, რადგან გარედან მხოლოდ სითეთრე ჩანდა.

უცნობი დამბლდორთან მივიდა და სახესავით დაღარული ხელი გაუწოდა. დამბლდორმა ხელი ჩამოართვა და რამდენიმე სიტყვა ჩუმად უთხრა. ეტყობა, უცნობს რაღაცას ეკითხებოდა. უცნობს არ გაუღიმია, ისე გააქნია უარის ნიშნად თავი და ხმადაბლა გასცა პასუხი. დამბლდორმა თავი დაუქნია და მარჯვნივ, ცარიელ სკამზე ანიშნა.

უცნობი დაჯდა, სახიდან ჭაღარა თმა გადაიყარა, სოსისიანი თეფში ცხვირის დარჩენილ ნაწილთან მიიტანა და დასუნა. შემდეგ ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო, სოსისს ბოლოში ჩაარჭო და ჭამას შეუდგა. მისი ჩვეულებრივი თვალი სოსისს მისჩერებოდა, ამავდროულად, ცისფერი თვალი ბუდეში მოუსვენრად ტრიალებდა და დარბაზსა და სტუდენტებს ათვალიერებდა.

– ნება მომეცით, გაგაცნოთ ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი, – მხიარულად განუცხადა დამბლდორმა გასუსულ დარბაზს, – პროფესორი მუდი.

ჩვეულებრივ, ახალ მასწავლებელს დარბაზი ტაშით ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ, ამჯერად, დამბლდორისა და ჰაგრიდის გარდა, არც ერთ მოსწავლეს და არც ერთ მასწავლებელს ტაში არ დაუკრავს. დამბლდორისა და ჰაგრიდის ტაშიც საცოდავად გაისმა სრულ სიწყნარეში და მალევე შეწყდა. მუდის უჩვეულო გარეგნობამ დანარჩენებზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ისხდნენ და პირდაღებულები მიშტერებოდნენ.

– მუდი? – გადაუჩურჩულა ჰარიმ რონს, – მრისხანეთვალა მუდი? ის მუდი, მამაშენი რომ დაეხმარა ამ დილით?

– ეტყობა, ისაა, – ჩაიბურტყუნა შეძრწუნებულმა რონმა.

– რა მოუვიდა? სახეზე რა სჭირს? – ჩურჩულით იკითხა ჰერმიონმა.

– მე რა ვიცი, – წაილუღლუღა რონმა, რომელიც მონუსხულივით უყურებდა მუდის.

მაგრამ მუდი თითქოს ვერც ამჩნევდა გულგრილ დახვედრას. ცხვირწინ მდგარ გოგრის წვენით სავსე დოქს ყურადღება არ მიაქცია, სამგზავრო მოსასხამის ჯიბეში ხელი ჩაიყო, მათარა ამოიღო და დიდი ყლუპი მოსვა. ხელი მაღლა რომ ასწია, მისი მოსასხამი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იატაკს ოდნავ ასცდა და ჰარიმ მაგიდის ქვეშ ხის ფეხს მოჰკრა თვალი. ფეხი ბრჭყალებიანი ტერფით ბოლოვდებოდა.

დამბლდორმა ჩაახველა.

– როგორც უკვე გეუბნებოდით, – გაუღიმა მუდიზე თვალმიშტერებულ სტუდენტებს, – მომდევნო თვეების განმავლობაში ჩვენ გვექნება პატივი, ვუმასპინძლოთ არაჩვეულებრივ ღონისძიებას, რომელიც უკვე საუკუნეზე მეტია, არ ჩატარებულა. დიდი სიამოვნებით მინდა, გაუწყოთ, რომ ჰოგვორტსში წელს სამი ჯადოქრის ტურნირი გაიმართება.

– ხუმრობთ? – მეტისმეტად ხმამაღლა გამოუვიდა ფრედ უისლის.

მუდის შემოსვლის შემდეგ გამეფებული დაძაბულობა უცებ გაქრა: ყველას გაეცინა, დამბლდორმა გულკეთილად ჩაიხითხითა.

– არა, სულაც არ ვხუმრობ, მისტერ უისლი. ისე, სიტყვამ მოიტანა და, ერთი კარგი ანეკდოტი მოვისმინე ამ ზაფხულს: ტროლი, ხარირემი და ლეპრეკონი ბარში შედიან და ...

პროფესორმა მაკგონაგელმა ხმამაღლა ჩაახველა.

– მმმ... ჰო, ახლა მაგის დრო არ არის, დიახ, – დამბლდორი ჩაფიქრდა, – რას ვამბობდი? ა, დიახ, სამი ჯადოქრის ტურნირი... მაშ ასე, იმათ გასაგონად, ვინც არ იცის, რას წარმოადგენს ეს ტურნირი, მცირე ახსნა-განმარტებას გავაკეთებ, ხოლო ვინც იცის, იმედია, არ მიწყენს და სხვა რამით შეიქცევს თავს. სამი ჯადოქრის ტურნირი დაარსდა შვიდასი წლის წინ, როგორც ამხანაგური შეჯიბრება ევროპის სამ უდიდეს ჯადოქრობის სკოლას შორის. ეს სკოლებია ბობატონის, დურმსტრანგისა და ჰოგვორტსისა. თითოეულ სკოლას წარმოადგენდა არჩეული ჩემპიონი და სამივე ჩემპიონი სამ ჯადოსნურ დავალებაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ტურნირი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და სკოლები რიგრიგობით მასპინძლობდნენ მას. მიაჩნდათ, რომ ეს იყო სხვადასხვა ეროვნების ჯადოქრების დაახლოების საუკეთესო საშუალება. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მსხვერპლთა დიდი რაოდენობის გამო საჭირო არ გახდა ტურნირის შეწყვეტა.

– მსხვერპლთა? – შეშფოთდა ჰერმიონი. მაგრამ დარბაზში შეკრებილ მოსწავლეთა უმეტესობა მის შეშფოთებას არ იზიარებდა. ისინი აღტაცებით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ჰარისაც კი ტურნირის ყველანაირი წვრილმანი უფრო აინტერესებდა, ვიდრე ასობით წლის წინ მომხდარი უბედური შემთხვევები.

– საუკუნეების განმავლობაში ტურნირის აღდგენის რამდენიმე მცდელობა იყო, – განაგრძო დამბლდორმა, – თუმცა ყველა წარუმატებელად დამთავრდა. მიუხედავად ამისა, წელს საერთაშორისო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადოქრული ურთიერთობისა და ჯადოქრული სპორტის დეპარტამენტებმა გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო, კიდევ ერთხელ სცადონ ტურნირის აღდგენა. ჩვენ მთელი ზაფხულის განმავლობაში თავდაუზოგავად ვიშრომეთ, რათა ამჯერად არც ერთი ჩემპიონის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს.

ბობატონისა და დურმსტრანგის ხელმძღვანელები კანდიდატთა მცირე ჯგუფების თანხლებით ოქტომბერში ჩამოვლენ, სამივე ჩემპიონის შერჩევა კი ჰელოუინის დღესასწაულზე მოხდება. მიუკერძოებელი მსაჯული გადაწყვეტს, რომელი მოსწავლე იმსახურებს სამი ჯადოქრის ტურნირის თასის, თავისი სკოლის სახელისა და ტურნირის პერსონალური პრიზის – ათასი გალეონისთვის – იბრძოლოს.

– გადაწყდა, მე ვიღებ მონაწილეობას, – დაისისინა ასეთი დიდებისა და ამდენი ფულის მოხვეჭის იმედით სახეგაბრწყინებულმა ფრედმა. ის ერთადერთი არ იყო, ვინც უკვე ჰოგვორტსის ჩემპიონად წარმოიდგინა თავი. ოთხივე კლუბის მოსწავლეები ან გაფაციცებით შესცქეროდნენ დამბლდორს, ან გაცხოველებული ჩურჩული გაეჩაღებინათ ერთმანეთთან. მაგრამ, აი, დამბლდორმა კვლავ დაილაპარაკა და დიდი დარბაზი ისევ გაისუსა.

– მე ვიცი, რომ არც ერთი თქვენგანი უკან არაფერზე დაიხევს, რომ ჰოგვორტსს სამი ჯადოქრის ტურნირის თასი მოუპოვოს, მაგრამ მონაწილე სკოლების დირექტორები და მაგიის სამინისტრო შეთანხმდნენ, წლევანდელ ტურნირზე მონაწილეთა ასაკობრივი შეზღუდვა დაეწესებინათ. მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელნიც აკმაყოფილებენ ასაკობრივ მოთხოვნას, ანუ არიან ჩვიდმეტი წლისა ან უფრო უფროსნი, ექნებათ უფლება, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურა განსახილველად. ეს არის, – დამბლდორმა ოდნავ აუწია ხმას, რადგან ამ სიტყვებზე მსმენელები ახმაურდნენ, ტყუპი უისლები კი გაცოფებულები ჩანდნენ, – ეს არის, ჩვენი აზრით, აუცილებელი რამ, რადგან ტურნირის დავალებები, ჩვენ მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, მეტად რთული და სახიფათო იქნება, და ნაკლებ სავარაუდოა, რომ დაბალი კურსის სტუდენტებმა მათ თავი გაართვან. მე პირადად ვიზრუნებ იმაზე, რომ არც ერთმა მცირეწლოვანმა მოსწავლემ არ შეაპაროს თავისი კანდიდატურა ჩვენს მიუკერძოებელ მსაჯულს, – დამბლდორს ღია ცისფერი თვალები აუციმციმდა და ტყუპების აღშფოთებულ სახეებს შეანათა, – ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, ტყუილუბრალოდ არ გაისარჯოთ და თუ ჩვიდმეტი წელი არ შეგსრულებიათ, თქვენი კანდიდატურა არ წარადგინოთ. ბობატონისა და დურმსტრანგის დელეგაციები ოქტომბერში ჩამოვლენ და, თითქმის, მთელ სასწავლო წელს ჩვენ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თან გაატარებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ უცხოელი სტუმრების მიმართ სტუმართმოყვარეობას გამოიჩენთ და თავდაუზოგავად დაუჭერთ მხარს ჰოგვორტსის არჩეულ ჩემპიონს. ახლა კი გვიანია, ხვალ დილით გამოძინებულები და დასვენებულები უნდა შეხვიდეთ გაკვეთილებზე. ძილის დროა. აბა, გაიქეცით.

დამბლდორი დაჯდა და მრისხანეთვალა მუდის მიუბრუნდა სალაპარაკოდ. მოსწავლეები სკამების რახარუხით წამოიშალნენ და ჰოლში გამავალ ორფრთიან კარს მიაწყდნენ.

– ასე მოქცევა არ შეიძლება! – განაცხადა აღშფოთებულმა ჯორჯ უისლიმ, რომელიც იმის მაგივრად, რომ კარისკენ მიმავალი სტუდენტების ნაკადს შეერთებოდა, იდგა და განრისხებული შესცქეროდა დამბლდორს. – აპრილში ჩვიდმეტი წელი გვისრულდება, რატომ არ შეიძლება, ჩვენც მოგვცენ შანსი?

– მე ვერ შემაჩერებენ, მაინც მივიღებ მონაწილეობას, – გაჯიუტდა ფრედი და მთავარ მაგიდას მოლუშულმა გახედა, – ჩემპიონებს ისეთი რამეების უფლება ექნებათ, რაზედაც სხვები ვერც კი იოცნებებენ. თან ათასი გალეონი ფულადი ჯილდო!

– ჰო, – დაეთანხმა ოცნებაში წასული რონი, – ჰო... ათასი გალეონი...

– წამოდით, თუ არ გაინძერით, დარბაზში მარტო ჩვენ დავრჩებით, – დააჩქარა ჰერმიონმა.

ჰარი, რონი, ჰერმიონი, ფრედი და ჯორჯი ჰოლისკენ გაემართნენ. გზადაგზა ფრედი და ჯორჯი იმაზე მსჯელობდნენ, რა ზომებით ეცდებოდა დამბლდორი, ტურნირზე არ დაეშვა ჩვიდმეტ წლამდე ასაკის სტუდენტები.

– ვინ არის ეს მიუკერძოებელი მსაჯული, ვინც ჩემპიონები უნდა აირჩიოს? – იკითხა ჰარიმ.

– რა ვიცი, – თქვა ფრედმა, – მაგრამ, აი, სწორედ მისი მოტყუება კი მოგვიწევს. მე მგონი, ერთი-ორი წვეთი დამაბერებელი სასმელი არ გვაწყენდა, არა, ჯორჯ?

– დამბლდორმა იცის, რომ ჩვიდმეტი წლისები არა ხართ, – შეახსენა რონმა.

– იცის, მაგრამ დამბლდორი ხომ არ წყვეტს, ვინ გახდება ჩემპიონი? – საქმეში ჩახედული კაცივით მიუგო ფრედმა, – მე მგონია, რომ ეს მსაჯული, როგორც კი კანდიდატთა სიას შეადგენს, ყველა სკოლიდან საუკეთესოს ამოარჩევს და მათ ასაკს ყურადღებას არ მიაქცევს.

– ვერ გაიგეთ, რა თქვა? ხალხი დაღუპულა! – შეშფოთებით შეახსენა ჰერმიონმა, როცა გობელენის უკან დამალულ კარში გავიდნენ და სხვა, უფრო ვიწრო კიბეს აუყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, – უდარდელად დაეთანხმა ფრედი, – მაგრამ ეგ საუკუნის წინ მოხდა. რაც უნდა იყოს, სად გაგონილა სიამოვნება რისკის გარეშე. ჰეი, რონ, ჩვენ თუ მოვახერხეთ და გავარკვიეთ, როგორ ავუხვიოთ თვალი დამბლდორს, რას იზამ, მიიღებ მონაწილეობას?

– შენ როგორ ფიქრობ? – დაეკითხა რონი ჰარის, – იქნებ გვეცადა ბედი? მაგრამ, ალბათ, ვინმე უფროსი ენდომებათ... არ ვიცი, ჩვენ საკმარისი ცოდნა გვაქვს თუ არა...

– მე ნამდვილად არა მაქვს, – გაისმა ფრედის და ჯორჯის უკან ნევილის სევდიანი ხმა, – მაგრამ, ალბათ, ბებიას ენდომება, ვცადო. სულ იმას მიჩიჩინებს, ოჯახის ღირსებას არ უნდა არცხვენდეო. ჰოდა, მომიწევს... ვაიმე...

ნევილს ფეხი პირდაპირ კიბის საფეხურში ჩაუვარდა. ჰოგვორტსში მრავლად იყო ასეთი გამოცანა კიბე და უფროსკურსელებს უკვე ჩვევად ექცათ ამ საფეხურზე გადახტომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნევილი საშინლად გულმავიწყი იყო. ჰარი და რონი ნევილს მხრებში სწვდნენ და ამოათრიეს. სანამ ბიჭები წვალობდნენ, კიბის თავთან მდგარი რკინის აბჯარი აჟღარუნდა და ჩახლეჩილი ხმით ახითხითდა.

– მოკეტე, გაიგე?! – დაუყვირა რონმა და, გვერდით რომ ჩაუარა, ჩაფხუტი მოაძრო.

ამასობაში გრიფინდორის კოშკის შესასვლელთან მივიდნენ. შესასვლელს ვარდისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტი ფარავდა.

– პაროლი? – იკითხა ფუშფუშა ქალბატონმა.

– აბდაუბდა, – თქვა ჯორჯმა, – პრეფექტმა მითხრა ქვემოთ.

პორტრეტი გაიწია და კედელში ხვრელი გამოაჩინა. ყველანი ხვრელში გაძვრნენ. გრიფინდორის ოვალურ საერთო დარბაზში ცეცხლი მხიარულად ტკაცუნობდა და თბილოდა. ოთახში მაგიდა და უამრავი რბილი სავარძელი იდგა. ჰერმიონმა კუშტად შეავლო თვალი მხიარულად მოცეკვავე ცეცხლის ალს და ჰარიმ ყური მოჰკრა, როგორ წაიბუტბუტა: „მონური შრომა“. შემდეგ დანარჩენებს „ღამე მშვიდობისა“ უსურვა და გოგონების ოთახებში გამავალ კარში გაუჩინარდა.

ჰარი, რონი და ნევილი ბოლო, ხვეულ კიბეზეც ავიდნენ და თავიანთ საძინებელ ოთახში შევიდნენ, რომელიც კოშკში სულ მაღლა იყო მოთავსებული. კედლებთან ხუთი სვეტებიანი საწოლი იდგა და ხუთივესთვის მუქი წითელი ფარდები ჩამოეფარებინათ. ყოველი საწოლის ფეხებთან თითო ჩემოდანი იდგა. დინი და სიმუსი უკვე წვებოდნენ. სიმუსს თავისი ირლანდიის ემბლემა საწოლის თავთან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიემაგრებინა, დინს კი ტუმბოს თავთან ვესტჰემის საფეხბურთო გუნდის პლაკატის გვერდით ვიქტორ კრამის პლაკატი გაეკრა.

– რა სიგიჟეა, – ჩვეულებისამებრ ამოიოხრა რონმა, სრულიად უმოძრაო ფეხბურთელებს რომ შეხედა და თავი გააქნია.

ბიჭებმა პიჟამები ჩაიცვეს და საწოლებში ჩაწვნენ. ვიღაცის მზრუნველ ხელს, ალბათ, შინაურ ელფს, ლოგინებში სათბურები ჩაედო. საოცრად სასიამოვნო იყო ლოგინში წოლა და გამძვინვარებული ქარიშხლის ღრიალისთვის ყურისგდება.

– იცი, იქნებ, მეც მივიღო მონაწილეობა, – გაისმა სიბნელეში ძილმორეული რონის ბუტბუტი, – ფრედი და ჯორჯი თუ გაიგებენ, როგორ... ტურნირი... რა იცი, რა ხდება, არა?

– ჰო, ალბათ, – ჰარიმ გვერდი იცვალა. თვალწინ ერთიმეორის მიყოლებით გაუელვა უამრავმა ბუნდოვანმა სურათმა. აი, ჰარიმ დააჯერა მიუკერძოებელი მსაჯული, რომ ჩვიდმეტი წლისაა... უკვე ჰოგვორტსის ჩემპიონია... აი, დგას სკოლის ეზოში, გამარჯვების ნიშნად ორივე ხელი მაღლა აუწევია, მთელი სკოლა ტაშს უკრავს... ეს-ესაა, სამი ჯადოქრის ტურნირი მოიგო... აჟრიამულებულ ბრბოში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჩოს აღტაცებული და გაბრწყინებული სახე...

ბალიშში თავჩარგულმა ჰარიმ კმაყოფილმა ჩაიღიმა, რომ ამ ყველაფერს რონი ვერ ხედავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცამეტე

მრისხანეთვალა მუდი

მეორე დილისთვის ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ საუზმობისას, როცა ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა გაკვეთილების ახალ ცხრილს გადახედეს, დიდი დარბაზის მოქუფრულ ჭერზე ჯერაც ტყვიისფერი საავდრო ღრუბლები ირეოდნენ. შორიახლოს ფრედი, ჯორჯი და ლი ჯორდანი გაცხარებულნი მსჯელობდნენ, როგორ მოემატებინათ ასაკი, რომ სამი ჯადოქრის ტურნირზე მოხვედრილიყვნენ.

– დღევანდელ ცხრილს არა უშავს, მთელ დილას გარეთ გვიწევს ყოფნა, – რონმა ორშაბათის გაკვეთილების ცხრილს ჩააყოლა თითი, – ჰერბოლოგია ჰაფლეპაფელებთან და ჯადოსნური არსებების მოვლა, უხ, შენი... ისევ სლიზერინელებთან ერთად გვიტარდება.

– მისნობის ორი გაკვეთილი ზედიზედ, – ამოიგმინა ჰარიმ. შხამწამლების შემდეგ ეს საგანი ყველაზე მეტად ეჯავრებოდა. პროფესორი ტრელოუნი გამუდმებით ჰარის სიკვდილს წინასწარმეტყველებდა, რაც ბიჭს უკვე ყელში ჰქონდა ამოსული.

– არ გერჩივნა, შენც ჩემსავით თავი დაგენებებინა მაგ საგნისთვის და უფრო გონივრული რამისთვის, მაგალითად, არითმანტიისთვის მოგეკიდა ხელი? – ხალისით ჰკითხა ჰერმიონმა და პურზე კარაქი გადაისვა.

– როგორც ვხედავ, ისევ დაგიწყია ჭამა, – შენიშნა რონმა, როცა ჰერმიონმა კარაქიან პურზე ჯემი ბარაქიანად გადაისვა.

– დავასკვენი, რომ ელფების უფლებების დასაცავად უკეთესი საშუალებებიც არსებობს, – მედიდურად განუცხადა ჰერმიონმა.

– კი, როგორ არა... და თანაც მოგშივდა, – ჩაილიმა რონმა.

უცებ მათ თავ ზემოთ ფრთების შრიალი გაისმა. ღია ფანჯრებში ასობით ბუ შემოფრინდა და დილის ფოსტა მოიტანა. ჰარიმ ინსტინქტურად მაღლა აიხედა, მაგრამ რუხ-ყავისფერ მასაში თეთრ ლაქას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერსად მოჰკრა თვალი. ბუებმა წრე დაარტყეს მაგიდებს, თან წერილებისა და ამანათების ადრესატებს ეძებდნენ.

უზარმაზარი ბუხრიწინა ნევილ ლონგბოტომთან დაეშვა და მუხლებზე ფუთა დაუგდო. ნევილს ყოველთვის ავიწყდებოდა შინ რაღაცა. დარბაზის მეორე მხარეს დრაკო მალფოის ზარნაშო დააჯდა მხარზე და, ალბათ, როგორც ყოველთვის, ახლაც შინიდან გამოგზავნილი ტკბილეული და ნამცხვრები მოუტანა. ჰარის გული დასწყდა, მაგრამ შეეცადა, იმედგაცრუება არ შეემჩნია და ფაფას მიუბრუნდა – იქნებ, ჰედვიგს გზაში რამე შეემთხვა და სირიუსმა მისი წერილი ვერც კი მიიღო?

აფორიაქებული ჰარი სხვებთან ერთად გაუყვა ბოსტნისკენ მიმავალ წვიმით დამბალ ბილიკს, მაგრამ მესამე სათბურამდე რომ მივიდნენ, შავბნელი ფიქრები პროფესორმა სპრაუტმა შეაწყვეტინა. პროფესორმა კლასს იმისთანა მახინჯი მცენარე უჩვენა, რომ ჰარის მსგავსი რამ თავის დღეში არ ენახა.

მართლაც და, მცენარეებს კი არა, უფრო მიწიდან ვერტიკალურად ამოზრდილ სქელ, შავ, გიგანტურ ლოქორებს ჰგავდნენ. მცენარეები ოდნავ იკლაკნებოდნენ და ყოველ მათგანს წყლულივით აჯდა დიდი მბზინავი ბუშტუკები, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, სითხით იყო სავსე.

– ბუბოტუბერი! – ცოცხლად განუცხადა მათ პროფესორმა სპრაუტმა, – უნდა ამორწყათ. მოაგროვებთ ჩირქს და...

– რას?! – შესძახა აღშფოთებულმა სიმუს ფინიგანმა.

– ჩირქს, ფინიგან, ჩირქს, – მტკიცედ გაიმეორა პროფესორმა სპრაუტმა, – იცოდეთ, ძალიან ძვირფასი ნივთიერებაა და ფრთხილად იყავით, არ დაგექცეთ. ჩირქს ამ ბოთლებში მოაგროვებთ. დრაკონის ტყავის ხელთათმანები ჩაიცვით, რადგან ბუბოტუბერის გაუზავებელ ჩირქს შეუძლია, დაუცველ კანს უცნაური რამეები დამართოს.

ბუბოტუბერის ბუშტუკების გამორწყვა ზიზღსაც იწვევდა და საოცარ კმაყოფილებასაც. გასკდომისას ბუშტუკები მოყვითალო-მომწვანო სითხეს ასხამდა, რომელსაც ბენზინის მძაფრი სუნი ასდიოდა. სითხეს ბოთლებში აგროვებდნენ, როგორც პროფესორმა სპრაუტმა დაავალა და გაკვეთილის ბოლოსთვის რამდენიმე ლიტრი შეაგროვეს.

– მადამ პომფრის ძალიან გაუხარდება, – აღნიშნა პროფესორმა სპრაუტმა, როცა ბოლო ბოთლსაც დაუცო საცობი, – ბუბოტუბერის ჩირქი მშვენიერი საშუალებაა გამონაყარის ყველაზე რთული ფორმების სამკურნალოდ. ბოლოს და ბოლოს, სტუდენტები თავს დაანე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბებენ მუწუკების მოშორების ათასგვარ უშედეგო მცდელობას.

– როგორც საბრალო ერლოიზ მიჯენს დაემართა, როცა სცადა, თავისი მუწუკები შელოცვით მოეშორებინა, – წაიჩურჩულა ჰაფლეპაფელმა ჰანა ებოტმა.

– სულელი გოგონა, – თავი გააქნია პროფესორმა სპრაუტმა, – მაგრამ, ბოლოს, მადამ პომფრიმ მაინც მოახერხა ცხვირის ადგილზე მიმაგრება.

ციხე-კოშკიდან გაკვეთილის დასრულების მაუწყებელი ზარი გაისმა. კლასი შუაზე გაიყო. ჰაფლეპაფელებს ტრანსფიგურაციის გაკვეთილი ჰქონდათ და ციხე-კოშკის ქვის საფეხურებს აუყვნენ, გრიფინდორელები კი საპირისპირო მიმართულებით, დაღმართზე დაეშვნენ და ტყის პირას მდგარი ჰაგრიდის ქოხისკენ გაემართნენ.

ჰაგრიდი ქოხთან იდგა და ცალი ხელი თავისი ტახზე მონადირე, ვეება შავი ნაგაზის, ფენგის საყელურისთვის ჩაევლო. მის ფეხებთან რამდენიმე თავახდილი ხის ყუთი იდო. ფენგი წკმუტუნებდა და საყელურს ექაჩებოდა, ეტყობოდა, ცნობისმოყვარეობა კლავდა, ისე უნდოდა, ყუთის შიგთავსს უფრო ახლოს გასცნობოდა. ახლოს მისულებმა ყური მოჰკრეს უცნაურ ჩხრიალა ხმებს, რასაც პატარ-პატარა აფეთქებების ხმა მოსდევდა.

– გაუმარჯოს! – გაულიმა ჰაგრიდმა ჰარის, რონსა და ჰერმიონს, – ჯობია, სლიზერინელებს დავუცადოთ, ამას ხო არ გამოტოვებენ, ცეცხლაკუდებს?

– რა თქვი? – ჰკითხა რონმა.

ჰაგრიდმა ყუთებზე ანიშნა.

– ფუ-უ! – იწივლა ლევენდერ ბრაუნმა და უკან გადახტა. „ფუ“, ჰარის აზრით, ზუსტად ახასიათებდა ცეცხლაკუდას. უფორმო, უჯავშნო კიბორჩხალების მსგავს, ამაზრზენად უფერულ და ლორწოვან არსებებს თავი არ უჩანდათ, სამაგიეროდ, ყველაზე უადგილო ადგილებიდან გამოსჩროდათ ფეხები. თითო ყუთში, დაახლოებით, ასი ცალი იქნებოდა, თითო თხუთმეტი სანტიმეტრის სიგრძისა იყო. ერთმანეთზე გადადიოდნენ, ყუთის კედლებს ბრმად ეჯახებოდნენ და დამპალი თევზის მძაფრ სუნად ყარდნენ. დროდადრო რომელიმეს კუდიდან ნაპერწკლები იფრქვეოდა: პუჰ! – და ცეცხლაკუდა წინ გავარდებოდა რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე.

– ეხლა გამოიჩეკნენ, – ამაყად განაცხადა ჰაგრიდმა, – ჰოდა, თქვენ თითონ გაზრდით! ვიფიქრე, ერთი კაი სამუშაო გეგმა გამოგვივა-მეთქი!

– კი მაგრამ, რატომ უნდა მოგვინდეს ამათი გაზრდა? – გაისმა ცივი ხმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სლიზერინელები მოსულიყვნენ. ეს კი, რა თქმა უნდა, დრაკო მალ-ფოიმ იკითხა. კრაბმა და გოილმა მოწონებით ჩაიფხუკუნეს.

ჰაგრიდს შეეტყო, რომ ამ კითხვამ საგონებელში ჩააგდო.

– უბრალოდ, მაინტერესებს, რა შეუძლიათ, – იკითხა მალფოიმ, – რა დანიშნულება აქვთ.

ჰაგრიდმა დაძაბული ფიქრისგან პირიც კი გააღო. რამდენიმეწა-მიანი პაუზის შემდეგ როყიოდ ისროლა:

– ეგ შემდეგი გაკვეთილის თემაა, მალფოი. დღეს მარტო აჭმევთ. ცეცხლაკუდები ჯერ არ მყოლია და არ ვიცი, რას ჭამენ. ამიტომ სამი ვარიანტი ვცადოთ. აგერ მაქვს ჭიანჭველას კვერცხები, ბაყაყის ღვიძლი და ცოტაც – ანკარები. ცოტ-ცოტა ყველაფერი გაასინჯეთ.

– ჯერ ჩირქი, ახლა ეს, – ჩაიბუზღუნა სიმუსმა.

ჰარის, რონსა და ჰერმიონს მხოლოდ ჰაგრიდის ხათრი თუ აიძუ-ლებდა, ლორწოვანი ბაყაყის ღვიძლი მუჭებით აეღოთ და ცეცხლა-კუდების საცდუნებლად ხის ყუთებში ჩაეყარათ. ცოტა ხანში ჰარი-მაც კი იფიქრა, რომ ეს ყველაფერი დროის ფუჭად ხარჯვა იყო, რადგან ცეცხლაკუდებს პირის მსგავსი არსად არაფერი ეტყობოდათ.

– ვაი, – იბღავლა დინ ტომასმა ათიოდე წუთის შემდეგ, – მომახ-ვედრა!

შეშფოთებული ჰაგრიდი ბიჭს მივარდა.

– კუდიდან ისროლა, – გაჯავრებულმა დინმა ჰაგრიდს ხელზე დამწვრობა უჩვენა.

– ა, ჰო, ხდება ხოლმე, როცა ნაპერწკლებს ისვრიან, – თავი დაუქ-ნია ჰაგრიდმა.

– ფუ-უ! – ისევ დაიჭყანა ლევენდერ ბრაუნი, – ფუ, ჰაგრიდ, ეს რა აქვს გამოშვერილი?

– ზოგს ნესტარი აქვს, – ენთუზიაზმით აუხსნა ჰაგრიდმა. ლევენ-დერმა სასწრაფოდ ამოყო ხელი ყუთიდან. – ჩემი აზრით, ეგენი მამ-რებია. მდედრებს მუცელზე დამატებით დინგივით რაღაც აქვთ, ალბათ, სისხლის გამოსაწოვად.

– აჰა, ახლა გასაგებია, რატომ უნდა შევუნარჩუნოთ სიცოცხლე, – ღვარძლიანად თქვა მალფოიმ, – ვის არ ენდომება შინაური ცხო-ველი, რომელიც ერთდროულად წვავს, ნესტრავს და იკბინება?

– რახან ლამაზები არ არიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასარგებლო თვისებები არა აქვთ, – გაცხარებით შეედავა ჰერმიონი, – დრაკონის სისხლს გასაოცარი მაგიური თვისებები აქვს, მაგრამ დრაკონს შინ ხომ არავინ გააჩერებს?

ჰარიმ და რონმა ჰაგრიდს ღიმილით გადახედეს, ჰაგრიდმაც მალუ-ლად ჩაიღიმა გაბურძგნილ წვერში. ბიჭებმა მშვენივრად იცოდნენ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ჰაგრიდს ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა შინაური დრაკონის ყოლა. პირველ კურსზე რომ იყვნენ, ჰაგრიდს ცოტა ხნით დრაკონი ჰყავდა, ერთი ავი ნორვეგიული კუზიანი, სახელად ნორბერტი. ჰაგრიდს ძალიან უყვარდა სახიფათო არსებები და რაც უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ სიცოცხლისთვის, მით უკეთესი.

– უჰ, ბოლო-ბოლო, ეს ცეცხლაკუდები პატარები მაინც არიან, – თავი დაიმშვიდა რონმა, ერთი საათის შემდეგ სასადილოდ ციხეკოშკისკენ რომ მიდიოდნენ.

– ახლა კი პატარები არიან, მაგრამ, ჰაგრიდი რომ დაადგენს, რას ჭამენ, აი, ნახე, ორი მეტრის სიგრძისანი მაინც გაიზრდებიან! – პირქუშად უპასუხა ჰერმიონმა.

– მერე რა, ხომ შეიძლება, ზღვის ავადმყოფობის განკურნების ან სხვა რაიმე სამკურნალო თვისება აღმოაჩნდეთ? – ეშმაკურად ჩაიღიმა რონმა.

– მშვენივრად იცი, რომ ეს მხოლოდ იმიტომ ვთქვი, მალფოის ენა ჩაეგდო. მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, მალფოი მართალია. ყველაფერს ის აჯობებს, ახლავე ფეხით შევდგეთ და გავსრისოთ, სანამ იმდენად არ გაზრდილან, რომ აქეთ შემოგვიტიონ.

გრიფინდორელთა სუფრას მიუსხდნენ და ცხვრის ხორცის კატლეტი და კარტოფილი გადმოიღეს. ჰერმიონმა ისე გამოიტენა პირი საჭმლით, რომ რონი და ჰარი გაოცებულები მიაშტერდნენ.

– ეეე... ეს რა, ელფების უფლებების დაცვის ახალი მეთოდია? – ჰკითხა რონმა, – იმდენი უნდა ჭამო, სანამ გული არ აგერევა?

– არა, – რამდენადაც ამის საშუალებას გამოტენილი პირი მისცემდა, ღირსეულად მიუგო ჰერმიონმა, – უბრალოდ, მინდა, დროზე წავიდე ბიბლიოთეკაში.

– რაა? – ყურებს არ დაუჯერა რონმა, – ჰერმიონ, დღეს ხომ პირველი დღეა, ჯერ საშინაო დავალებაც არ მოუციათ!

ჰერმიონმა მხრები აიჩეჩა და ჭამა განაგრძო. გეგონებოდა, რამდენიმე დღის უჭმელიაო. შემდეგ წამოხტა, ბიჭებს მიაძახა: სადილზე გნახავთო, და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

შუადღის გაკვეთილების დაწყების ზარი რომ დაირეკა, ჰარი და რონი ჩრდილოეთის კოშკისკენ გაემართნენ, ვიწრო, ხვეული კიბე აიარეს და ჭერში დატანებული კარიდან ჩამოშვებული ვერცხლის კიბით პროფესორ ტრელოუნის კაბინეტში ავიდნენ. კიბის თავში ნაცნობი მოტკბო სურნელი შეეგებათ, რომელიც ბუხარში დანთებული ცეცხლიდან იფრქვეოდა. როგორც ყოველთვის, ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ. უამრავი ლამპა მეწამული შუქით სუსტად ანათებდა მრგვალ ოთახს. ლამპებზე შალები და შარფები შემო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეხვიათ. ჰარიმ და რონმა ოთახში მიმოფანტულ უამრავ სკამსა და პუფზე ჩამომსხდარ მოსწავლეებს ჩაუარეს და პატარა მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ.

– შუადღე მშვიდობისა.

ჰარი შეხტა, რადგან სწორედ მის ზურგს უკან გაისმა პროფესორ ტრელოუნის შემპარავი ხმა.

პროფესორი ძალიან გამხდარი ქალი იყო. უზარმაზარი სათვალე ეკეთა, რის გამოც თვალები, სახესთან შედარებით, შეუფერებლად დიდი უჩანდა. ახლა ამ სათვალიდან ჰარის ისეთი ტრაგიკული გამომეტყველებით დასცქეროდა, როგორითაც მხოლოდ მას უყურებდა ხოლმე. როგორც ყოველთვის, ახლაც უამრავი სამკაული ჰქონდა ასხმული: მძივები, ძეწკვები, სამაჯურები, და ეს ყველაფერი ცეცხლის შუქზე ბრწყინავდა.

– კაეშანს შეუპყრიხარ, ძვირფასო, – მგლოვიარე ხმით აუწყა ჰარის, – ჩემი შინაგანი თვალი შენი მამაცი სახის მიღმა აფორიაქებულ სულს ჭვრეტს. სამწუხაროდ, უნდა განვაცხადო, რომ შენი წუხილი არ არის უსაფუძვლო. წინ მძიმე დრო მოგელის, ვაი რომ, ძალზე მძიმე! ვხედავ, რომ ის, რისიც ყველაზე მეტად გეშინია, მართლაც მოხდება, და შესაძლოა, უფრო მალეც, ვიდრე გგონია...

პროფესორმა ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულზე გადავიდა. რონმა ჰარის შეხედა და თვალები გადაატრიალა. ჰარიმაც ყინულივით ცივი მზერით უპასუხა. პროფესორმა ტრელოუნიმ ბიჭებს სწრაფად ჩაუარა და ბუხართან მდგარ უზარმაზარფრთებიან სავარძელში ჩაეშვა. ლევენდერ ბრაუნი და პარვატი პეტილი, რომლებიც პროფესორ ტრელოუნის აღმერთებდნენ, მასთან ყველაზე ახლოს მდგარ პუფებზე ისხდნენ.

– ჩემო ძვირფასებო, დადგა დრო, ვარსკვლავებზე მკითხაობა შეგასწავლოთ. პლანეტების მოძრაობა, მათი საიდუმლო ნიშნების ამოცნობა მხოლოდ მათთვის იქნება შესაძლებელი, ვინც ჩასწვდება ზეციური ცეკვის ილეთებს. ადამიანის ბედისწერა შესაძლოა, ამოვიკითხოთ პლანეტათა ურთიერთგადამკვეთი სხივებით...

ჰარი ფიქრებში წავიდა. ოთახში დატრიალებული სიცხე და მძაფრი სუნი ყოველთვის თენთავდა და გონებას უბინდავდა, ბედისწერის მკითხაობაზე პროფესორ ტრელოუნის აბდაუბდა ლაპარაკიც მაინცდამაინც ვერ უღვივებდა ცნობისმოყვარეობას. მაგრამ ამჯერად მისი სიტყვები გონებაში ჩაებეჭდა: „ვშიშობ, რომ ის, რისიც ყველაზე მეტად გეშინია, მართლაც მოხდება...“

„არა, ჰერმიონი მართალია, – გაიფიქრა გაღიზიანებულმა ჰარიმ, – პროფესორი ტრელოუნი ცრუპენტელა ბებრუხანაა.“ მართლაც,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა არაფრისა არ ეშინოდა... ერთადერთი ის ადარდებდა, სირიუსი არ დაეჭირათ... მაგრამ პროფესორ ტრელოუნის რა უნდა სცოდნოდა სირიუსზე? ჰარიმ უკვე დიდი ხანია დაასკვნა, რომ მისი წინასწარმეტყველური ნიჭი სხვა არაფერი იყო, თუ არა ალალბედზე გამოცნობა, რასაც შიშის მომგვრელი მანერებით აძლიერებდა. ალბათ, გამონაკლისად ჩაითვლება ის, რომ გასული წლის ბოლოს პროფესორმა ლორდ ვოლდემორის აღზევება იწინასწარმეტყველა... ჰარიმ დამბლდორს რომ აღუწერა, როგორც მოხდა, მანაც კი დაუდასტურა, რომ მაშინ პროფესორი ტრელოუნი მართლაც ტრანსის მდგომარეობაში იმყოფებოდა...

– ჰარი, – წასჩურჩულა რონმა.

– რა?

ჰარიმ მიმოიხედა. მთელი კლასი მას უყურებდა. მაშინვე სკამზე გასწორდა. ეტყობა, სიცხემ და ფიქრებმა ისე მოთენთა, რომ ჩასთვლიმა.

– იმას ვამბობდი, ძვირფასო, რომ შენ ნამდვილად სატურნის დამღუპველი გავლენის ქვეშ დაიბადე, – უთხრა ჰარის მისი უყურადღებობით განაწყენებულმა პროფესორმა ტრელოუნიმ.

– უკაცრავად, რის ქვეშ? – ჰკითხა ჰარიმ.

– სატურნის, ძვირფასო, პლანეტა სატურნის, – გაიმეორა ქალმა. აშკარად ეტყობოდა, გულმოსული იყო, მისმა სიტყვებმა ჰარის შიშით გული რომ ვერ გაუხეთქა. – იმას გეუბნებოდი, რომ შენი დაბადების მომენტში პლანეტა სატურნი უდავოდ აქტიურობის ზენიტში იმყოფებოდა. შენი შავი თმა, სუსტი აღნაგობა, მცირე ასაკში ასეთი ტრაგიკული დანაკარგი... ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ შუა ზამთარში დაიბადე.

– არა, – თქვა ჰარიმ, – ივლისში დავიბადე.

რონმა საჩქაროდ ხველა აიტეხა, რომ სიცილი დაეფარა.

ნახევარ საათში ყველას დაურიგდა ცის ჩახლართული დიაგრამა და თავ-თავიანთი დაბადების მომენტში პლანეტების განლაგების შევსებას შეუდგნენ. საშინლად მოსაწყენი დავალება იყო, რადგან წარამარა ცხრილებში უნდა ჩაეხედათ და კუთხეების რადიუსები გამოეთვალათ.

– ორი ნეპტუნი მომიგროვდა, – თქვა ცოტა ხანში ჰარიმ და წარბშეკრულმა დახედა თავის პერგამენტს, – სწორი ვერ იქნება, არა?

– ااااه, – რონი დაიმანჭა და პროფესორ ტრელოუნის იდუმალ ჩურჩულს მიჰბაძა: – როდესაც ცაში ორი ნეპტუნი ჩნდება, ეს იმის უტყუარი ნიშანია, ჩემო ძვირფასო, რომ სათვალიანი ცეროდენა იბადება, ჰარი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიმუსმა და დინმა, რომლებიც შორიახლოს მუშაობდნენ, ხმამაღლა ჩაიხითხითეს, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ისე ხმამაღლა, რომ ლევენდერ ბრაუნის აღტაცებული ჭყივილი გადაეფარათ:

– ოოო, პროფესორო, შეხედეთ! მგონი, ჩემთან ერთ-ერთი პლანეტა ორბიტას მოშორდა! უუუჰ, ეს რომელი პლანეტაა, პროფესორო?

– ურანია, ძვირფასო, – პროფესორმა ტრელოუნიმ დიაგრამას ჩახედა.

– შეიძლება, მეც შევხედო ურანს, ლევენდერ? – დაცინვით იკითხა რონმა.

საუბედუროდ, პროფესორმა ტრელოუნიმ რონის ნათქვამი გაიგონა და, ალბათ, გაკვეთილის ბოლოს სწორედ ამიტომ მისცა ყველას ამდენი საშინაო დავალება.

– დამიწერთ დეტალურ ანალიზს იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას იქონიებს თქვენზე მომდევნო ერთი თვის განმავლობაში პლანეტების მოძრაობა, და თქვენი პირადი ჰოროსკოპის დამოწმებით მომავალ ორშაბათს ჩამაბარებთ. არავითარი მიზეზი არ გამაგონოთ! – მიახალა კლასს. უფრო პროფესორ მაკგონაგელის მსგავსი ხმით, ვიდრე იმ ჰაეროვანი, ნარნარა ფერიისა, როგორადაც ყოველთვის მოჰქონდა თავი.

– საზიზღარი ბებერი ღამურა! – გაცოფებული ილანძღებოდა რონი, როცა ბიჭები კიბეზე დიდი დარბაზისკენ სასადილოდ ჩამავალ მოსწავლეებს შეუერთდნენ, – აი, ნახე, მთელ შაბათ-კვირას მაგას მოვუნდებით.

– რა იყო, ბევრი დავალება მოგცეს? – წამოეწია ბიჭებს გამხიარულებული ჰერმიონი, – პროფესორ ვექტორს კი არაფერი მოუცია!

– მაშ, გაუმარჯოს პროფესორ ვექტორს! – წაიბურტყუნა დაბოღმილმა რონმა.

ჰოლში ტევა აღარ იყო, რადგან დიდი დარბაზის კართან რიგი იდგა. ის იყო, რიგში ჩადგნენ, რომ მათ ზურგს უკან ვილაცის ხმა გაისმა:

– უისლი! ეი, უისლი!

ჰარი, რონი და ჰერმიონი მიტრიალდნენ და გაბადრულ-გაბრწყინებული მალფოი, კრაბი და გოილი შერჩათ ხელში.

– რა გინდა? – ცივად ჰკითხა რონმა.

– უისლი, ნახე, მამაშენი გაზეთში მოხვდა! – მალფოიმ რონს ცხვირწინ „დილის მისნის“ ნომერი აუფრიალა. განგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ხალხმრავალ ჰოლში ყველას გაეგონა, – აბა, ამას მოუსმინე:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

> როგორც ჩანს, მაგიის სამინისტროს პრობლემები არ ელევა, – წერს სპეციალური კორესპონდენტი რიტა სკიტერი, – თითქოს ის არ კმაროდა, რომ ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე სიტუაციის სუსტი კონტროლის გამო, ხალხის კრიტიკა დაატყდა თავს და ერთ-ერთი უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული თანამშრომელი ქალის ადგილ-სამყოფელის დადგენაც ვერა და ვერ მოუხერხებია, ახლა მორიგ სკანდალში გაეხვია მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტის თანამშრომლის, არნოლდ უისლის, დაუფიქრებელი საქციელის გამო.“

მალფოიმ თავი ასწია.

– აზრზე ხარ, უისლი, მამაშენის სახელიც კი არ წერია სწორად. ეტყობა, სრული არარაობაა, არა?

დიდ დარბაზში უკვე ყველა სმენად ქცეულიყო. მალფოიმ ხელის აქნევით გაასწორა გაზეთი და კითხვა განაგრძო:

> – „არნოლდ უისლიმ, რომელიც ორი წლის წინ მაგლური მანქანის მოჯადოებისთვის დააჯარიმეს, გუშინ ჩხუბი გაუმართა რამდენიმე მაგლ სამართალდამცველს („პოლიციელს“) ძალზე აგრესიული ნაგვის ურნების გამო. ბატონი უისლი, როგორც გამოირკვა, იქ ყოფილი აურორის, მრისხანეთვალა მუდის დასახმარებლად მიიჭრა. მოხუცებული მუდი გასულ წელს სამინისტრომ პენსიაზე გაუშვა, რადგან უკვე ერთმანეთისგან ვეღარ არჩევდა ხელის ჩამორთმევასა და მკვლელის თავდასხმას. ამიტომ რა გასაკვირია, თუ ბატონ მუდის სახლში მისულმა ბატონმა უისლიმ აღმოაჩინა, რომ ყოფილ აურორს მორიგი ცრუ განგაში აეტეხა. ბატონი უისლი იძულებული გახდა, რამდენჯერმე მიემართა დავიწყების შელოცვისთვის, სანამ პოლიციელებს გაექცეოდა. „დილის მისნის“ კითხვაზე, თუ რატომ გარია მაგიის სამინისტრო ასეთ სამარცხვინო სკანდალში, მან კომენტარისგან თავი შეიკავა.“

– აქ სურათიცაა, უისლი, – მალფოიმ გაზეთი შემოატრიალა და ყველას დასანახად მაღლა ასწია, – შენი მშობლები თავიანთი სახლის წინ, თუ შეიძლება ამას, საერთოდ, სახლი ეწოდოს! ისე, დედაშენს ცოტა წონაში დაკლება არ აწყენდა, ჰა, რას იტყვი?

რონი სიბრაზისგან ერთიანად კანკალებდა. ყველა მას მისჩერებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თავიდან მოგვწყდი, მალფოი, – შეუტია ჰარიმ, – წამოდი, რონ...

– ა, ჰო, ამ ზაფხულს ამათ სტუმრობდი არა, პოტერ? – არ ცხრებოდა მალფოი, – ჰოდა, ერთი მითხარი, დედამისი მართლა ეგეთი გაბერილია, თუ სურათზე ჩანს ასე?

– დედაშენზე რაღას იტყვი, მალფოი, – არ ჩამორჩა ჰარი. მან და ჰერმიონმა რონს მანტიაში ხელი ჩაავლეს, რომ მალფოის არ დასძგერებოდა, – ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ცხვირწინ ნეხვის გროვა უდევსო. ყოველთვის ასეთი სახე აქვს თუ მხოლოდ მაშინ, როცა გვერდით შენ ჰყავხარ?

მალფოის ფერმკრთალ სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა.

– როგორ ბედავ დედაჩემის შეურაცხყოფას, პოტერ!

– მაშინ გააჩერე ეგ გრძელი ენა, – შეუბღვირა ჰარიმ და მალფოის ზურგი შეაქცია.

ბრახ!

ვიღაცეებმა შეჰკივლეს, ჰარიმ იგრძნო, რომ გავარვარებულმა რაღაცამ ლოყა გაუკაწრა. ხელი მაშინვე მანტიაში ჩაიყო ჯადოსნური ჯოხის ამოსაღებად, მაგრამ ვერც კი მოასწრო ჯოხს შეხებოდა, რომ ბრახანი მეორედ გაისმა და მთელი ჰოლი ღრიალმა შეაზანზარა:

– არა, ამას არ იზამ, ყმაწვილო!

ჰარი შეტრიალდა. მარმარილოს კიბეზე პროფესორი მუდი ჩამოდიოდა კოჭლობით. ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა და პირდაპირ ქათქათა თეთრ ქრცვინს უმიზნებდა. ქრცვინი ქვის იატაკზე ზუსტად იმ ადგილას ცახცახებდა, სადაც წამის წინ მალფოი იდგა.

ჰოლში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მუდის გარდა, განძრევას ვერავინ ბედავდა. მუდი მოტრიალდა და ჰარის შეხედა, ყოველ შემთხვევაში, მისი ჩვეულებრივი თვალი ჰარის უყურებდა, მეორე თვალი კი ამოტრიალებულიყო და კეფისკენ, სადღაც შიგნით იცქირებოდა.

– მოგახვედრა? – დაიღმუვლა მუდიმ. ხმა ბოხი და ხრინწიანი ჰქონდა.

– არა, – თქვა ჰარიმ, – ამაცდინა.

– თავი დაანებე, – იღრიალა უცებ მუდიმ.

– რას დავანებო თავი? – დაიბნა ჰარი.

– შენ არა, იმას ვეუბნები, – წაიღრინა მუდიმ და ცერა თითით მხარს ზემოდან კრაბზე ანიშნა.

თურმე კრაბი თეთრი ქრცვინის აყვანას აპირებდა და მუდის სიტყვებზე გაშეშდა. ეტყობა, მუდის ბზრიალა თვალი, მართლაც, ჯადოსნური იყო და კეფიდან ყველაფერს ხედავდა.

მუდი ახლა კრაბის, გოილისა და ქრცვინისკენ წავიდა კოჭლობით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქრცვინმა დამფრთხალი ხმით დაიწრიპინა და სარდაფებისკენ მოკურცხლა.

– სად მიგეჩქარება! – დაიგრგვინა მუდიმ, ისევ მიუშვირა ჯოხი და... ქრცვინი ჯერ სამი მეტრის სიმაღლეზე აფრინდა ჰაერში, მერე ისევ იატაკზე მოადინა ტყაპანი და შემდეგ ისევ საჰაერო ბურთივით ახტა მაღლა.

– არ მიყვარს, როცა მოწინააღმდეგეს ზურგში ესვრიან, – ბრდღვინავდა მუდი და შეუჩერებლად ახტუნავებდა ტკივილისაგან აწრიპინებულ ქრცვინს, – სულმდაბალი, ლაჩრული, მუხანათური საქციელია...

ქრცვინი აღმა-დაღმა დაფრინავდა და ფეხებსა და კუდს უმწეოდ ასავსავებდა.

– ასე... აღარასოდეს... აღარ... მოიქცე... – დამარცვლა მუდიმ და ყოველ სიტყვაზე იატაკს აბერტყებდა ქრცვინს.

– პროფესორო მუდი! – გაისმა შეშფოთებული ხმა.

მარმარილოს კიბეზე წიგნებით დატვირთული პროფესორი მაკგონაგელი ჩამოდიოდა.

– გამარჯობა, პროფესორო მაკგონაგელ, – მშვიდად მიესალმა მუდი და ქრცვინი უფრო მაღლა აახტუნა.

– რას... რას აკეთებთ? – პროფესორმა მაკგონაგელმა ქრცვინს თვალი ააყოლა.

– ვასწავლი, – უპასუხა მუდიმ.

– ასწ... მუდი, ეს სტუდენტია?! – იკივლა ქალმა და ხელიდან წიგნები გაუცვივდა.

– ჰო, – თქვა მუდიმ.

– არა! – იყვირა მაკგონაგელმა, კიბეზე ჩამოირბინა და სასწრაფოდ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო. გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და ქრცვინის ადგილზე დრაკო მალფოი გაჩნდა. იატაკზე ეგდო და სლიპინა ქერა თმა ერთიანად აჭარხლებულ სახეზე ჩამოჰყროდა. მალფოი სახედამანჭული წამოდგა.

– მუდი, ჩვენ არასდროს ვიყენებთ ტრანსფიგურაციას, როგორც სასჯელს, – უმწეო ხმით მიმართა პროფესორმა მაკგონაგელმა, – ნუთუ პროფესორმა დამბლდორმა ეს არ გითხრათ?

– ჰო, შეიძლება, ახსენა კიდეც, – ჩაფიქრებულმა მუდიმ ნიკაპი მოიფხანა, – მაგრამ ვიფიქრე, რომ ერთი კარგი შენჯღრევა...

– ჩვენ დამატებით სამუშაოს ვაძლევთ, მუდი, ან დამნაშავის კლუბის ხელმძღვანელს დაველაპარაკებით ხოლმე.

– კარგი, ეგრე ვიზამ, – და დაუფარავი ზიზღით გადახედა მალფოის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალფოიმ ტკივილისა და სირცხვილისგან აცრემლებული უფერული თვალებით ღვარძლიანად ახედა მუდის და რაღაც ჩაიბურტყუნა, გარკვევით მხოლოდ სიტყვა „მამაჩემი“ გაისმა.

– ჰოო? – მუდიმ მალფოისკენ რამდენიმე ნაბიჯი კოჭლობით გადადგა. ხის ფეხი ქვის იატაკზე ყრუდ კაკუნობდა და ჰოლში ექოდ ხმიანობდა, – მამაშენს კაი ხანია, ვიცნობ, ბიჭო... და გადაეცი, რომ მუდის თვალი უჭირავს მის ვაჟზე! ჰო, გადაეცი ეს ჩემგან! შენი კლუბის ხელმძღვანელი სნეიპია, არა?

– დიახ, – გამოსცრა მალფოიმ.

– კიდევ ერთი ძველი მეგობარი, – ჩახლეჩილი ხმით გამოაცხადა მუდიმ, – რამდენი ხანია, ბებერ სნეიპთან წამუსაიფება მინდა. წამოდი, ერთი... – მუდიმ მალფოის მკლავში ხელი ჩაავლო და სარდაფისკენ წაათრია.

პროფესორმა მაკგონაგელმა აღელვებულმა გაყოლა თვალი, შემდეგ იატაკზე დაყრილ წიგნებს ჯოხი გაუქნია. წიგნები ჰაერში აფარფატდნენ და ხელში მოუგროვდნენ.

– არ დამელაპარაკოთ, – გააფრთხილა რონმა ჰარი და ჰერმიონი, რამდენიმე წუთის შემდეგ დიდ დარბაზში გრიფინდორის მაგიდას რომ მიუსხდნენ. ირგვლივ ყველა აღელვებული ქაქანებდა ცოტა ხნის წინ მომხდარ ამბავზე.

– რატომ? – გაუკვირდა ჰერმიონს.

– იმიტომ, რომ მინდა, ეს სცენა სამუდამოდ ჩავიბეჭდო მეხსიერებაში, – რონს თვალები დაეხუჭა და სახე გაცისკროვნებოდა, – დრაკო მალფოი, მშვენიერი მოხტუნავე ქრცვინი...

ჰარის და ჰერმიონს გაეცინათ. ჰერმიონმა სამივეს თეფშებზე ჩაშუშული ძროხის ხორცი გადმოიღო.

– სხვათა შორის, შეიძლებოდა, მართლა რამე დაეშავებინა მალფოისთვის, – შენიშნა მან, – კიდევ კარგი, პროფესორმა მაკგონაგელმა დროზე მიუსწრო...

– ჰერმიონ! – თვალები ჭყიტა განრისხებულმა რონმა, – იცოდე, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთს მიფუჭებ.

ჰერმიონმა ჩაიფხუკუნა და ისევ ელვის სისწრაფით შეუდგა ჭამას.

– ახლა არ მითხრა, ამ საღამოსაც ბიბლიოთეკაში მივდივარო, – შეიცხადა რონმა.

– ჰო, უნდა წავიდე, ბევრი საქმე მაქვს, – ამოილუღლუღა ჰერმიონმა.

– კი მაგრამ, შენ არა თქვი, პროფესორმა ვექტორმა...

– არა, საშინაო დავალებისთვის არ მივდივარ.

ჰერმიონმა ხუთ წუთში მოასუფთავა თეფში და წავიდა. როგორც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი თვალს მიეფარა, მის ადგილზე ფრედ უისლი დაეხეთქა, აღტაცებისაგან თვალები უციმციმებდა:

– მუდი! იცით, რა მაგარია!

– ძაან მაგარი, – ჯორჯი ფრედის მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა.

– უმაგრესი, – დააზუსტა ტყუპების მეგობარმა ლი ჯორდანმა და ჯორჯის გვერდით დასკუპდა, – დღეს გვქონდა მისი გაკვეთილი, – უთხრა ჰარის და რონს.

– როგორი იყო? – დაინტერესდა ჰარი.

ფრედმა, ჯორჯმა და ლიმ მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

– ასეთი გაკვეთილი ჯერ არ ჩაგვტარებია, – დაასკვნა ფრედმა.

– იცის კაცმა, – თქვა ლიმ.

– რა იცის? – ჰკითხა რონმა და წინ გადაიხარა.

– იცის, რას ნიშნავს იქ, გარეთ ყოფნა და საქმის კეთება, – გულმხურვალედ თქვა ჯორჯმა.

– რა საქმის კეთება?

– ბნელ ძალებთან ბრძოლა, – უპასუხა ფრედმა.

– და ყველა თავისი თვალით უნახავს, – თქვა ჯორჯმა.

– გაგიჟდება კაცი! – დაამატა ლიმ.

რონი ჩანთაში ჩაძვრა და ცხრილი მოძებნა.

– ეჰ, ხუთშაბათამდე არა გვაქვს, – ამოიოხრა გულდაწყვეტილმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთოთხმეტე

სამი მიუტევებელი წყევლა

მომდევნო ორი დღის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნევილმა შხამ-წამლების გაკვეთილზე მეექვსე ქვაბი გაადნო. პროფესორმა სნეიპმა, რომელიც, როგორც ჩანს, ზაფხულის განმავლობაში შურისძიების ახალი ძალით აღივსო, ნევილს დამატებითი სამუშაო მიუსაჯა. საბრალო ნევილი სამუშაოდან სრულიად დათრგუნული დაბრუნდა, რადგან სნეიპმა მთელი კასრი გომბეშოსებრი ხვლიკის გამოშიგვნა აიძულა.

– ხომ არ იცი, რატომ არის სნეიპი ასეთ საზიზღარ გუნებაზე? – ჰკითხა ერთხელ რონმა ჰარის, როცა ჰერმიონი ნევილს ფრჩხილებში ჩარჩენილი ბაყაყის ნაწლავების მოსაშორებელ შელოცვას ასწავლიდა.

– ვიცი, – თავი დაუქნია ჰარიმ, – მუდი.

არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოს, რომ სნეიპს საშინლად უნდოდა, ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის ადგილი დაეკავებინა, მაგრამ უკვე ზედიზედ მეოთხედ მიიღო უარი. სნეიპი ბნელი ძალებისგან თავდაცვის ძველ მასწავლებლებსაც ვერ იტანდა და არც მალავდა ამას, მაგრამ მრისხანეთვალა მუდის მიმართ სიძულვილის აშკარად გამოხატვას, როგორც ჩანს, ერიდებოდა. მართლაც, როცა ჰარი დიდ დარბაზში სადილობისას თუ დერეფანში ორივეს ერთად ხედავდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ სნეიპი მუდის ჯადოსნურ და ჩვეულებრივ თვალს ერთნაირად არიდებდა მზერას.

– იცი, მგონი, სნეიპს ცოტათი ეშინია მისი, – ივარუდა ჩაფიქრებულმა ჰარიმ.

– რა იქნება, მუდიმ გომბეშოსებრ ხვლიკად გადააქციოს და მთელი სარდაფები ხტუნვა-ხტუნვით შემოატაროს... – თვალები დაენისლა რონს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრიფინდორელი მეოთხეკურსელები ისეთი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ მუდის პირველ გაკვეთილს, რომ ხუთშაბათს, ლანჩის შემდეგ, ზარის დარეკვამდე ბევრად ადრე გაიჭიმა საკლასო ოთახთან რიგი.

ერთადერთი, ვინც აკლდათ, ჰერმიონი იყო, რომელიც ზუსტად დროულად გამოცხადდა გაკვეთილზე.

– იცით, სად ვიყავი...

– ბიბლიოთეკაში, – მაშინვე გამოიცნო ჰარიმ, – წამო, თორემ კარგ ადგილებს ვერ ვიშოვით.

ზუსტად მასწავლებლის მაგიდის წინ დასხდნენ, ამოიღეს წიგნები – „ბნელი ძალები: თავდაცვის სახელმძღვანელო“ – და უჩვეულოდ გასუსულებმა დაიწყეს ლოდინი. მალე დერეფნიდან ხის ფეხის კაკუნი გაისმა და საკლასო ოთახში მუდი შემოვიდა. როგორც ყოველთვის, ახლაც უცნაური და შიშის მომგვრელი იერი ჰქონდა, მანტიის ქვემოდან კი ბრჭყალებიანი ხის ფეხი მოუჩანდა.

– შეგიძლიათ, წიგნები შეინახოთ, – ჩახრინწული ხმით დაიღრინა, მაგიდას მძიმედ დაეყრდნო და დაჯდა, – არ დაგჭირდებათ.

ბავშვებმა სახელმძღვანელოები ჩანთებში ჩააბრუნეს. რონს აღელვება დაეტყო.

მუდიმ საკლასო ჟურნალი აიღო, გრძელი, შეჭაღარავებული თმა ნაიარევებით დაღარული, დამახინჯებული სახიდან გადაიყარა და მოსწავლეების გვარების სათითაოდ ამოკითხვას შეუდგა. ნორმალური თვალით სიას ჩასცქეროდა, ჯადოსნური თვალი კი მოუსვენრად ბზრიალებდა და იმ მოსწავლისკენ ტრიალდებოდა, რომელიც პასუხობდა.

– ესეც ასე, – თქვა, როცა ბოლო მოსწავლის გვარიც ამოიკითხა, – პროფესორ ლუპინისგან წერილი მივიღე თქვენი კლასის შესახებ. როგორც ჩანს, საკმაოდ საფუძვლიანად დაუფლებიხართ სახიფათო ჯადოსნური არსებების – ბოგარტების, წითელქუდიანების, კვამლის კაცების, გრინდილოუების, წყლის ქაჯებისა და მაქციების – წინააღმდეგ ქმედებებს. ასე არაა?

კლასი თანხმობის ნიშნად ახმაურდა.

– მაგრამ ჩამორჩენილები ხართ, ძალიან ჩამორჩით შელოცვებში, – თავი გააქნია მუდიმ, – მაშ, ასე, აქ იმისთვის ვარ, რომ გასწავლოთ, რა შეუძლიათ ერთმანეთს დამართონ თვითონ ჯადოქრებმა. სულ ერთი წელი მაქვს, რომ შეგასწავლოთ, როგორ გაუმკლავდეთ ბნელ...

– რაა? არ რჩებით? – წამოაყრანტალა რონმა.

მუდის ჯადოსნური თვალი შემოტრიალდა და რონს მიაჩერდა. რონი გვარიანად დაფრთხა, მაგრამ, მოულოდნელად, მუდიმ გაიღი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა და მათ პირველად დაინახეს მისი ღიმილი. ნაიარევებით უხვად დასერილი სახე უარესად დაემანჭა და დაუმახინჯდა, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო იმის ნახვა, რომ მას ისეთი ადამიანური რამეებიც ეხერხებოდა, როგორიც ღიმილია. ასეა თუ ისე, რონმა დიდი შვება იგრძნო.

– შენ არტურ უისლის შვილი ხარ, არა? – იკითხა მუდიმ, – მამა-შენმა რამდენიმე დღის წინ მაგარი ხაფანგისგან მიხსნა... ჰო, მხოლოდ ერთ წელს დავრჩები. ესეც დამბლდორის ხათრით... და მერე ისევ ჩემს წყნარ ცხოვრებას დავუბრუნდები.

მწარედ გაიცინა და დაკოჟრილი ხელები ერთმანეთს შემოჰკრა.

– ახლა საქმეზე გადავიდეთ. მაშ ასე, წყევლა. წყევლა სხვადასხვა ძალისა და ტიპის არსებობს. მაგიის სამინისტროს რეკომენდაციის თანახმად, მხოლოდ თავდაცვითი წყევლა უნდა გასწავლოთ და ამაზე შევჩერდეთ; მეექვსე კურსამდე არ უნდა ისწავლოთ აკრძალული ბოროტი წყევლა. საამისოდ ჯერ ძალიან პატარებად მიაჩნიხართ. მაგრამ დამბლდორს ბევრად უკეთესი წარმოდგენა აქვს თქვენზე. მას მიაჩნია, რომ საკმაოდ გამძლეები და ამტანები ხართ და მეც ვეთანხმები. რაც უფრო მალე შეიცნობთ მტერს, მით უკეთესი. როგორ უნდა დაიცვათ თავი იმისგან, რაც არ გინახავთ? ის, ვინც თქვენ წინააღმდეგ აკრძალული წყევლის გამოყენებას დააპირებს, მოულოდნელად იმოქმედებს, ნებართვას კი არ გთხოვთ! თქვენს ცხვირწინ ლამაზად და ზრდილობიანად კი არ იზამს ამას! ამიტომ, უნდა მოემზადოთ. ფხიზლად და ყურადღებით უნდა იყოთ... და ეგ უნდა შეინახოთ, მის ბრაუნ, როცა მე ვლაპარაკობ.

ლევენდერი შეხტა და გაწითლდა. თურმე მერხის ქვეშ პარვატის თავის დასრულებულ ჰოროსკოპს უჩვენებდა. მუდის ჯადოსნური თვალი, როგორც ჩანს, მხოლოდ კეფაში კი არა, მყარი ხის მიღმაც ყველაფერს ხედავდა.

– აბა, რომელიმე თქვენგანმა თუ იცის, რომელი წყევლა ისჯება ყველაზე მკაცრად ჯადოქართა კანონით?

რამდენიმე ხელი, მათ შორის – რონისა და ჰერმიონისა, – გაუბედავად აღიმართა. მუდიმ ისე გაიშვირა რონისკენ თითი, რომ ჯადოსნური თვალი ლევენდერისთვის არ მოუცილებია.

– ისა... – გაუბედავად დაიწყო რონმა, – მამაჩემმა მითხრა ერთზე... მგონი, იმპერიუსის წყევლა, თუ რაღაც ამგვარი ჰქვია.

– მართალია, – მოუწონა მუდიმ, – მამაშენს ეცოდინება. ერთ დროს, მაგ იმპერიუსის წყევლამ ბევრი ოფლი აღვრევინა მაგიის სამინისტროს.

მუდი მძიმედ დაეყრდნო თავის ხისა და ცოცხალ ფეხს, წამოდგა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მაგიდის უჯრიდან მინის ქილა ამოიღო. ქილის ფსკერზე სამი დიდი შავი ობობა აწყდებოდა აქეთ-იქით. ჰარიმ იგრძნო, რომ მის გვერდით მჯდომმა რონმა უკან დაიწია: რონი ობობებს ვერ იტანდა.

მუდიმ ქილაში ხელი ჩაყო, ერთ-ერთი ობობა დაიჭირა და ყველას დასანახად ხელისგულზე დაისვა. შემდეგ ჯადოსნური ჯოხი მიუშვირა და წაიბუტბუტა:

– იმპერიო!

ობობა მუდის ხელიდან გადმოხტა, წმინდა აბრეშუმის ძაფზე დაეკიდა და წინ და უკან ისე მოჰყვა ქანაობას, თითქოს ბაგირზე ირწევაო. შემდეგ ფეხები რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჭიმა, სალტო გააკეთა, ძაფი გაწყვიტა, მაგიდაზე დაეშვა და დაიწყო ყირაზე გადასვლა. მუდი ოდნავ ამოძრავებდა ჯადოსნურ ჯოხს. ობობა უკანა ორ ფეხზე დადგა და, არც მეტი, არც ნაკლები, ცეკვა წამოიწყო.

ყველა იცინოდა, გარდა მუდისა.

– გგონიათ, სასაცილოა, არა? – დაიბუხუნა მან, – მოგეწონებოდათ, თქვენთვისაც იგივე რომ გამეკეთებინა?

სიცილი მაშინვე შეწყდა.

– სრული კონტროლი, – ხმადაბლა შენიშნა მუდიმ, როცა ობობა დაგორგოლავდა და მაგიდაზე ბურთივით გაგორდა, – მე შემიძლია, ვაიძულო, ფანჯრიდან გადახტეს, თავი დაიხრჩოს ან რომელიმეს პირში ჩაგიხტეთ...

რონს უნებლიეთ გააჟრჟოლა.

– იყო დრო, როცა იმპერიუსის წყევლით უამრავ ჯადოქარს აკონტროლებდნენ, – თქვა მუდიმ და ჰარი მიხვდა, რომ იმ დროზე ლაპარაკობდა, როცა ვოლდემორი ძლევამოსილი იყო, – სამინისტროს დიდი ჯაფა დაადგა: უნდა გამოერკვია, ვინ მოქმედებდა წყევლის გავლენით და ვინ – საკუთარი ნებით. იმპერიუსის წყევლას შეიძლება, წინააღმდეგობა გაუწიო, და მე გასწავლით, როგორ. მაგრამ საამისოდ ძალიან ძლიერი ნებისყოფაა საჭირო, რითაც ყველა ვერ დაიკვეხნის. ჯობია, ეცადოთ, თავიდანვე აიცილოთ დარტყმა. მუდმივი სიფხიზლე! – დასჭექა მან და ყველა შეხტა.

მუდიმ აიღო ობობა, რომელიც მალაყებს გადადიოდა, და ისევ ქილაში ჩააგდო.

– ვინმემ იცის, კიდევ რომელი წყევლაა აკრძალული?

ჰერმიონის ხელი ჰაერში აიჭრა და, ჰარის გასაოცრად, ნევილისაც. ერთადერთი გაკვეთილი, რომელზეც ნევილი აქტიურობდა, ჰერბოლოგია იყო. ჰერბოლოგია ნამდვილად სხვა საგნებზე უკეთ გამოსდიოდა. ნევილი თავისი გამბედაობით თვითონაც გაოცებული ჩანდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გისმენ, – მუდის ჯადოსნური თვალი მიტრიალდა და ნევილს მიაშტერდა.

– კიდევ ერთია, კრუციატუსის წყევლა, – ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა ნევილმა.

მუდი ორივე თვალით ყურადღებით დააკვირდა ნევილს.

– შენი გვარი ლონგბოტომია, არა? – იკითხა და ჯადოსნური თვალით სიას ჩახედა.

ნევილმა აღელვებით დაუქნია თავი, მაგრამ მუდის მეტი აღარაფერი უკითხავს. ისევ კლასს მიუბრუნდა, ქილაში ხელი ჩაყო, მეორე ობობა ამოიყვანა და მაგიდაზე დასვა. ობობა, ეტყობა, ისე იყო შეშინებული, რომ გაუნძრევლად იჯდა.

– კრუციატუსის წყევლა! მსხვერპლი უფრო დიდი უნდა იყოს, რომ კარგად დაინახოთ, – მუდიმ ჯადოსნური ჯოხი მწერს მიუშვირა და იყვირა: – ენგორჯიო!

ობობა გასივდა, გაიზარდა და ტარანტულზე დიდი გახდა. რონმა თავი ველარ შეიკავა და სკამი უკან, მუდის მაგიდიდან რაც შეიძლებოდა, შორს გააჩოჩა. მუდიმ ისევ შემართა ჯადოსნური ჯოხი, ობობას დაუმიზნა და დაიჩურჩულა:

– კრუციო!

იმავე წამს ობობამ ფეხები შიგნით შეიკეცა, ამოტრიალდა და საზარლად დაიკრუნჩხა. ხმას არ გამოსცემდა, მაგრამ ჰარი დარწმუნებული იყო, მწერს ხმა რომ ჰქონოდა, უთუოდ ყურისწამღებად აკივლდებოდა. მუდიმ ჯადოსნური ჯოხი არ მოაშორა და ობობა უარესად მოჰყვა ცახცახსა და ბორგვას...

– შეწყვიტეთ! – იწივლა ჰერმიონმა.

ჰარიმ ჰერმიონისკენ მიიხედა. გოგონა ობობას კი არა, ნევილს უყურებდა. ჰარიმ მის მზერას გააყოლა თვალი და დაინახა, რომ ნევილი ორივე ხელით ისე ჩაჰფრენოდა მერხს, თითის სახსრები გასთეთრებოდა და თვალები შიშით გაფართოებოდა.

მუდიმ ჯადოსნური ჯოხი დაუშვა. ობობას ფეხები მოუდუნდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ტოკვას.

– რედუციო, – უბრძანა მუდიმ. ობობა შეიკუმშა და თავის ნორმალურ ზომას დაუბრუნდა. მუდიმ ის ქილაში ჩააბრუნა და თქვა:

– ტკივილი. კრუციატუსის წყევლა თუ გეხერხება, სხვა აღარაფერი აღარ გინდა ვინმეს საწამებლად... ესეც ძალზე პოპულარული იყო ერთ დროს. კარგი, აბა, კიდევ თუ იცის ვინმემ რამე?

ჰარიმ მიმოიხედა. ყველას ისეთი სახე ჰქონდა, აშკარად აინტერესებდათ, რა ბედი ეწეოდა მესამე ობობას. ჰერმიონმა ოდნავ აკანკალებული ხელი მესამედ ასწია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ? – შეხედა მუდიმ.

– ავადა კედავრა, – ჩუმად წარმოთქვა ჰერმიონმა.

ზოგი, მათ შორის – რონიც, შიშით მიაჩერდა ჰერმიონს.

– ააა, – ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა კიდევ ერთხელ მოუგრიხა პირის მრუდე ჭრილი მუდის, – დიახ, ბოლო და ყველაზე შემზარავი, „ავადა კედავრა“ – მომაკვდინებელი წყევლა!

ხელი ისევ მინის ქილაში ჩაყო. მესამე ობობა თითქოს მიხვდა, რა ელოდა, გამწარებული მიაწყდა აქეთ-იქით, მაგრამ მაინც დაიჭირეს და მაგიდაზე დასვეს. ობობა გაშმაგებით მოჰყვა სირბილს.

როგორც კი მუდიმ ჯადოსნური ჯოხი აღმართა, ჰარის, რატომღაც, ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა.

– ავადა კედავრა! – ამოიჩხავლა პროფესორმა.

ჯადოსნური ჯოხიდან თვალისმომჭრელმა მწვანე შუქმა იფეთქა. გაისმა შხუილი, თითქოს ჰაერში რაღაც უზარმაზარმა და უჩინარმა გაიქროლაო. ობობა იმავე წამს ზურგზე გადაგორდა. გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, მაგრამ უდავოდ მკვდარი იყო. რამდენიმე გოგონამ სუსტად წამოიკივლა, რონი საზურგეს მიაწყდა და კინაღამ სკამიდან გადავარდა, როცა ობობა მისკენ გადაგორდა.

მუდიმ მკვდარი მწერი ხელის ერთი მოსმით მაგიდიდან იატაკზე ჩამოაგდო.

– რა თქმა უნდა, კარგი არ არის, – აუღელვებლად გამოაცხადა მან, – არც სასიამოვნოა. თანაც მისი საპასუხო წყევლა არ არსებობს. ბლოკირება შეუძლებელია. მას მხოლოდ ერთადერთი ადამიანი გადაურჩა ცოცხალი და ის ახლა ჩემ წინ ზის.

ჰარიმ იგრძნო, რომ სახე წამოუწითლდა, როცა მუდიმ ორივე თვალით თვალებში ჩახედა. იცოდა, რომ მთელი კლასიც მისკენ იყურებოდა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ ძალიან დააინტერესა ცარიელმა დაფამ და მას მონუსხულივით მიაჩერდა, მაგრამ, სინამდვილეში, ვერაფერსაც ვერ ხედავდა...

აი, თურმე როგორ დაიღუპნენ მისი მშობლები... ზუსტად ისევე, როგორც ეს ობობა... ნეტავ, ისინიც ასე იარებისა და დაზიანებების გარეშე დაიხოცნენ? ნუთუ, მხოლოდ მწვანე შუქის გაელვება დაინახეს და მათკენ მქროლავი სიკვდილის შხუილი მოესმათ, სანამ სიცოცხლე მათ სხეულებს სამუდამოდ დატოვებდა?!

ჰარი ბოლო სამი წლის განმავლობაში ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე თავისი მშობლების სიკვდილს, მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ ისინი ავტოკატასტროფაში არ დაღუპულან; მას შემდეგ, რაც შეიტყო, რა მოხდა იმ ღამეს სინამდვილეში: როგორ უღალატა გრძელკუდამ მის მშობლებს და მათი ადგილსამყოფელი ვოლდემორს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეატყობინა; როგორ მოვიდა ვოლდემორი მათ სახლში და პირველად ჰარის მამა მოკლა. როგორ შეეცადა ჯეიმს პოტერი მის შეჩერებას და ცოლს დაუყვირა, ჰარი წაეყვანა და გაქცეულიყო... შემდეგ ვოლ-დემორმა ლილი პოტერი მიიმწყვდია და უბრძანა, გვერდზე გამდგა-რიყო, რომ ჰარი მოეკლა... ლილი პოტერი ევედრებოდა, ჰარის ნაც-ვლად ის მოეკლა და არაფრით არ დაანება შვილი. ვოლდემორმა ისიც მოკლა და შემდეგ ჯადოსნური ჯოხი ჰარიზე აღმართა...

ჰარიმ ყველაფერი ასე დაწვრილებით იმიტომ იცოდა, რომ შარშან, როცა დემენტორებს ებრძოდა, თავისი მშობლების ხმები ჩაესმოდა. დემენტორების საზარელი ძალაც სწორედ ეს იყო: ისინი მსხვერპლს თავისი ცხოვრების უსაშინელეს მოგონებებს უღვიძებდნენ, თანდა-თან ძალას აცლიდნენ და სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ...

მუდი რაღაცას ამბობდა, მაგრამ მისი ხმა ახლა თითქოს შორიდან ესმოდა. ჰარიმ თავს ძალა დაატანა, რომ რეალობას დაბრუნებოდა და მუდისთვის დაეგდო ყური.

– ავადა კედავრას წყევლისათვის უდიდესი ჯადოქრული ძალაა საჭირო. შეიძლება, ახლა ყველამ ამოიღოთ ჯადოსნური ჯოხი, დამი-მიზნოთ და სიტყვები წარმოთქვათ, მაგრამ, დიდი-დიდი, ცხვირიდან სისხლი მადინოთ. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ეს წყევლა გასწავლოთ. ჩნდება კითხვა: თუ მისი საპასუხო შელოცვა არ არსებობს, რატომ გიჩვენებთ ამას? იმიტომ, რომ უნდა იცოდეთ, წარმოდგენა უნდა გქონდეთ, რა არის ყველაზე უარესი. დაუშვებელია, მოულოდნელად ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, სადაც ამას პირისპირ შეეჩეხებით. მუდმივი სიფხიზლე! – დაიღრიალა ისევ და კლასი ისევ შეხტა.

– ეს სამი წყევლა – ავადა კედავრა, იმპერიუსი და კრუციატუსი, – მიუტევებელი წყევლის სახელითაა ცნობილი. სხვა ჯადოქარზე მათი ერთადერთხელ გამოყენებაც საკმარისია, რომ აზკაბანში ამოგ-ხდეთ სული. აი, რა საფრთხის წინაშე დგახართ. აი, რის წინააღმდეგ უნდა გასწავლოთ ბრძოლა. უნდა მოემზადოთ! უნდა შეიარაღდეთ! მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიმუშაოთ მუდმივი, მოუ-დუნებელი სიფხიზლე. ამოიღეთ ფრთები... ჩაიწერეთ...

დარჩენილი დრო თითოეულ მიუტევებელ წყევლაზე შენიშვნების ჩაწერაში გაატარეს. ზარის დარეკვამდე არავის ამოუღია ხმა, მაგ-რამ, როგორც კი გაკვეთილი დამთავრდა და საკლასო ოთახიდან გამოვიდნენ, ყველა ერთხმად აყაყანდა. უმრავლესობა შეძრწუნე-ბული მსჯელობდა გაკვეთილის შესახებ: „დაინახე, როგორ იკლაკ-ნებოდა? და მერე როგორ მოკლა, აი, ასე, ვითომც აქ არაფერიაო!“

ჰარიმ გაიფიქრა, ისე ლაპარაკობენ, თითქოს კარგი სანახაობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იხილესო. მაგრამ თვითონ მაინცდამაინც ვერ გაერთო, ეტყობა, ვერც ჰერმიონი.

– დაუჩქარეთ, – შეეხვეწა რაღაცით შეშფოთებული გოგონა ჰარის და რონს.

– რა იყო, ისევ ის ოხერი ბიბლიოთეკა? – ჰკითხა რონმა.

– არა, ნევილი, – გვერდითა დერეფანზე მიუთითა ჰერმიონმა.

ნევილი შუა დერეფანში მარტოდმარტო იდგა კედლისკენ მიბრუნებული და ფართოდ თვალებგახელილი ქვის კედელს მიშტერებოდა. სახეზე ისევ ისეთი შეძრწუნებული გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა მუდიმ კრუციატუსის წყევლა უჩვენა კლასს.

– ნევილ, – რბილად მიმართა ჰერმიონმა.

ნევილმა მოიხედა.

– ა, გამარჯობა, – თქვა ჩვეულებრივზე უფრო წვრილი ხმით, – საინტერესო გაკვეთილი იყო, არა? ნეტავი, რა გვაქვს სადილად? მე... მე შიმშილით ვკვდები, თქვენ?

– ნევილ, ცუდად ხომ არ ხარ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– არა, მშვენივრად ვარ, – წაილუღლუღა ნევილმა ისევ ისეთი არაბუნებრივად წვრილი ხმით, – ძალიან საინტერესო სადილი, უფრო სწორად, გაკვეთილი იყო... რა გვაქვს საჭმელად?

რონმა შეშფოთებით გადახედა ჰარის.

– ნევილ, რა...

ამ დროს ზურგს უკან უცნაური კაკუნი მოესმათ. მიტრიალდნენ და მათკენ კოჭლობით მომავალი პროფესორი მუდი დაინახეს. ოთხივემ ხმა გაკმინდა და შეშინებული მიაჩერდა პროფესორს. მუდიმ საოცრად რბილად და ნაზად მიმართა ნევილს:

– არა უშავს, შვილო, წამოდი, ჩემს კაბინეტში წავიდეთ. წამო... ჩაი დავლიოთ...

ჩაიზე დაპატიჟებამ ნევილი უარესად დააფრთხო. გაუნძრევლად იდგა და ხმას არ იღებდა.

მუდის ჯადოსნური თვალი ჰარის მოუტრიალდა.

– შენ როგორ ხარ, პოტერ?

– მშვენივრად, – თითქმის გამომწვევად მიუგო ჰარიმ.

მუდიმ ჰარი გამომცდელად შეათვალიერა და ცისფერი თვალი ოდნავ აუთრთოლდა.

– ეს უნდა იცოდეთ. შეიძლება, ახლა გგონიათ, რომ სასტიკად გექცევით, მაგრამ ეს უნდა იცოდეთ. რა აზრი აქვს თავის მოკატუნებას... აბა... წავედით, ლონგბოტომ, რამდენიმე ისეთი წიგნი მაქვს, შეიძლება, დაგაინტერესოს.

ნევილმა მუდარით შეხედა ჰარის, რონსა და ჰერმიონს, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათ არაფერი უთქვამთ. ასე რომ, ნევილს სხვა გზა აღარ დარჩენოდა. მუდიმ დაკოჟრილი ხელი მხარზე დაადო და ცხვარივით გაიყოლა.

– რას ნიშნავს ეს ყველაფერი? – რონი მუდის და ნევილს უყურებდა, ვიდრე მოსახვევში არ გაუჩინარდნენ.

– რა ვიცი, – ჩაფიქრდა ჰერმიონი.

– ისე, გაკვეთილს არა უშავდა, არა? – ჰკითხა რონმა ჰარის, როცა დიდი დარბაზისკენ წავიდნენ, – ფრედი და ჯორჯი მართლები იყვნენ. ეტყობა, მუდიმ მართლა იცის თავისი საქმე, არა? ავადა კედავრას წყევლა რა მაგრად გამოუვიდა! როგორ მოკვდა ობობა, ნახე? ბახ, და...

მაგრამ რონმა უცებ ჰარის შეხედა და მაშინვე გაჩუმდა. დიდ დარბაზამდე ისე აიარეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია. დიდ დარბაზში რონმა შესთავაზა, ჯობია, ამაღამვე დავიწყოთ ასტროლოგიურ პროგნოზზე მუშაობა, თორემ რამდენიმე საათის საქმე მაინც იქნებაო.

ჰერმიონს სადილზე ბიჭებისთვის ხმა არ გაუცია, სასწრაფოდ გადაყლაპა საჭმელი და ისევ ბიბლიოთეკაში გაქანდა. ჰარი და რონი კი გრიფინდორის კოშკში ავიდნენ. ჰარი მთელი ეს დრო მიუტევებელ წყევლებზე ფიქრობდა და ამჯერად თვითონ წამოიწყო ამ თემაზე საუბარი.

– როგორ გგონია, მუდის და დამბლდორს სამინისტროსთან პრობლემები არ შეექმნებათ, თუ გაირკვა, რომ ჩვენ მიუტევებელი წყევლა ვნახეთ? – ჰკითხა რონს, როცა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტს მიუახლოვდნენ.

– რა ვიცი, შეიძლება, – მხრები აიჩეჩა რონმა, – მაგრამ დამბლდორი ხომ ყოველთვის ყველაფერს თავისებურად აკეთებს, მუდი კი, ჩემი აზრით, უკვე რამდენიმე წელია, უსიამოვნებებშია გახვეული. ჯერ თავს ესხმის და კითხვებს მერე სვამს, იმ ნაგვის ურნებისა არ იყოს. აბდაუბდა.

ფუშფუშა ქალბატონი გაიწია და შესასვლელი გამოაჩინა. გრიფინდორის საერთო ოთახი სტუდენტებით სავსე და ახმაურებული დახვდათ.

– რა ვქნათ, ჩამოვიტანოთ ჩვენი მისნობის დავალება? – ჰკითხა ჰარიმ.

– ეჰ, სხვა რა გზაა, – ამოიკვნესა რონმა.

წიგნებისა და დიაგრამების ჩამოსატანად საწოლ ოთახში ასულებს იქ მარტო ნევილი დახვდათ, ლოგინზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ახლა ბევრად უფრო დამშვიდებული ჩანდა, ვიდრე მუდის გაკვეთილის ბოლოს. თუმცა, ეტყობოდა, მთლად კარგად მაინც ვერ იყო, თვალებიც ჩასწითლებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორა ხარ, ნევილ? – ჰკითხა ჰარიმ.

– კარგად, გმადლობ. პროფესორმა მუდიმ წიგნი მათხოვა და ვკითხულობ... – ნევილმა წიგნი დაანახა: „ხმელთაშუა ზღვის ჯადოსნური წყალმცენარეები და მათი თვისებები“.

– ეტყობა, პროფესორმა სპრაუტმა უთხრა, რომ ჰერბოლოგიაში ძლიერი ვარ, – ნევილს ხმაში ოდნავი სიამაყე შეეპარა, რაც ჰარის წინათ არასდროს შეუმჩნევია, – ჰოდა, იფიქრა, რომ ეს წიგნი დამაინტერესებდა.

ჰარიმ გაიფიქრა: მუდის მხრიდან ძალიან ტაქტიანი ნაბიჯია იმის თქმა, რომ პროფესორმა სპრაუტმა ნევილი აქოო. მას ხომ ქება თითქმის არასდროს ღირსებია. პროფესორი ლუპინიც ასე მოიქცეოდა.

ჰარიმ და რონმა აიღეს თავ-თავიანთი „განჭვრიტე მომავალი“, საერთო ოთახში დაბრუნდნენ, თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ და მომდევნო თვის ასტროლოგიურ პროგნოზზე მუშაობას შეუდგნენ. ერთი საათის შემდეგ გამოირკვა, რომ ძალიან ცოტათი წაიწიეს წინ, მათი მაგიდა კი რიცხვებითა და სიმბოლოებით სავსე ეტრატებით იყო დახუნძლული. ჰარის გონება ისე ჰქონდა დანისლული, თითქოს პროფესორ ტრელოუნის ბუხარში დანთებული ცეცხლის მოტკბო სურნელმა დაუბინდაო.

– აზრზე ვერ მოვდივარ, ესენი რას უნდა ნიშნავდეს, – ჰარიმ გამოთვლების გრძელზე გრძელ ცხრილს დახედა.

– იცი, რა, – სევდიანად დაიკვნესა რონმა, თმა ყალყზე ედგა, რადგან დაძაბული ფიქრისგან თავისდა უნებურად თითებს წარამარა თმაში იტარებდა, – იმ დასკვნამდე მივედი, რომ წინასწარმეტყველების ძველ, ნაცად ხერხს უნდა მივმართოთ.

– რა? გამოვიგონოთ?

– აბა, რა, – რონმა დაჯღაბნილი ეტრატების უწესრიგო გროვა ერთი ხელის მოსმით გადაყარა მაგიდიდან, ფრთა მელანში ჩააწო და წერას შეუდგა. თან ხმამაღლა ამბობდა იმას, რასაც წერდა:

– შემდეგ ორშაბათს მოსალოდნელია, ხველება დამეწყოს მარსისა და იუპიტერის ნეგატიური ურთიერთქმედების გამო, – რონმა ჰარის ახედა, – ხომ იცი, როგორია... რაც მეტ უბედურებას ჩაწერ, მით უფრო კმაყოფილი დარჩება.

– კარგი, – ჰარიმ თავისი პირველი წარუმატებელი მცდელობა დაჭმუჭნა და ბუხრის წინ მსხდომი ალაქლაქებული პირველკურსელების თავზემოდან ცეცხლში გადაუძახა, – აჰა, ესე იგი... ორშაბათს მე დამემუქრება... ისა... დამწვრობა.

– ეჭვი არ შეგეპაროს, – მოიღუშა რონი, – ორშაბათს ისევ ვიხილავთ ცეცხლაკუდებს. კარგი. სამშაბათს, მე... ეეეე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დაკარგავ ძვირფას ნივთს, – წაეშველა ჰარი, რომელიც „განჭვრიტე მომავალს“ ფურცლავდა იდეების სასესხებლად.

– მშვენიერია, – მოუწონა რონმა და ჩაიწერა, – ისა... იმის, რა ჰქვია... მერკურის გამო. მოდი, შენ ზურგში ლახვარი ჩაგცეს იმან, ვისაც მეგობრად თვლიდი.

– ვა, მაგარია, – გაუხარდა ჰარის და სასწრაფოდ ჩაჯღაბნა, – იმიტომ რომ... ვენერა მეთორმეტე სახლში იქნება.

– და ოთხშაბათს, ალბათ, ჩხუბში მარცხი უნდა ვიწვნიო.

– ააა, ჩხუბს მე ვაპირებდი. კარგი, მაშინ მე სანაძლეოს წავაგებ.

– ჰო, იმიტომ რომ, შენ სანაძლეოს დადებ, რომ ჩხუბს მე მოვიგებ...

მთელი საათის განმავლობაში ასე თხზავდნენ პროგნოზს, რომელიც სულ უფრო და უფრო ტრაგიკულ ხასიათს იძენდა. ამასობაში თანდათან ყველანი დასაძინებლად გაიკრიფნენ და საერთო ოთახი დაცარიელდა. ბიჭებთან ბო მიცუნცულდა, მსუბუქად ახტა ცარიელ სავარძელზე და უცნაურად შეხედა ჰარის, ზუსტად ისე, როგორც ჰერმიონი შეხედავდა, თუ გაიგებდა, რომ საშინაო დავალებას წესიერად არ ასრულებდნენ.

ჰარიმ ოთახში მიმოიხედა იმის იმედით, იქნებ რაიმე ახალი უბედურება მოვიფიქროო. მოპირდაპირე კედელთან ფრედი და ჯორჯი ისხდნენ, თავები მიეტყუპებინათ, ბატის ფრთები ამოეღოთ და პერგამენტს ჩაჰკირკიტებდნენ. ტყუპებს ასე განმარტოება და ჩუმად მუშაობა არ სჩვეოდათ. საერთოდ, ყურადღების ცენტრში ყოფნა და ხმაური უყვარდათ. ჰარის საეჭვოდ მოეჩვენა, რომ ასე შეთქმულებივით დახრილიყვნენ პერგამენტზე და გაახსენდა, რომ „ბუნაგშიც“ სწორედ ასე ისხდნენ და რაღაცას საქმიანობდნენ. მაშინ იფიქრა, ალბათ, უისლების ჯადოსნური ოინებისთვის შეკვეთის ახალ ფურცელს ავსებენო, მაგრამ ამჯერად თავის ვარაუდში ეჭვი შეეპარა. მაშინ ლი ჯორდანსაც უთუოდ ჩართავდნენ საქმეში. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ სამი ჯადოქრის ტურნირში მოხვედრის გეგმას ხომ არ ადგენენო.

ამ დროს ჯორჯმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ბატის ფრთით რაღაცა გადახაზა და ფრედს ხმადაბლა კი გადაულაპარაკა, მაგრამ დაცარიელებული ოთახის სიჩუმეში ჰარიმ მაინც გაიგონა: „არა, ეს ისე ჟღერს, თითქოს ბრალს ვდებთ. ცოტა თავაზიანები უნდა ვიყოთ...“

მერე ჯორჯმა თავი ასწია და დაინახა, რომ ჰარი უყურებდა. ჰარიმ გაულიმა და სასწრაფოდ თავის ჰოროსკოპს მიუბრუნდა. არ უნდოდა, ჯორჯს ეფიქრა, რომ ყურს უგდებდა. ცოტა ხანში ტყუპებმა პერგამენტი დაახვიეს, ჰარის და რონს დაემშვიდობნენ და დასაძინებლად წავიდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაახლოებით, ათ წუთში პორტრეტის ხვრელი გაიხსნა და საერთო ოთახში ჰერმიონი გადმოძვრა. ცალ ხელში პერგამენტის გრაგნილი ეჭირა, მეორეში კი – ყუთი, რომელშიც სიარულისას რაღაცა ჩხრიალებდა. ბომ ზურგი ამოზნიქა და აკრუტუნდა.

– გამარჯობა, – მიესალმა მეგობრებს ჰერმიონი, – ეს-ესაა მოვრჩი.

– მეც! – საზეიმოდ გამოაცხადა რონმა და ბატის ფრთა მოისროლა.

ჰერმიონი დაჯდა, თავისი ნივთები ცარიელ სავარძელზე დააწყო და რონის ჰოროსკოპს ჩახედა.

– ჰოო, არცთუ ისე სასიამოვნო თვე გელის, – შენიშნა დაცინვით. ბო ჰერმიონის მუხლებზე მოკალათდა და ცხვირზე კუდი დაიფარა.

– ყოველ შემთხვევაში, წინასწარ გაფრთხილებული მაინც ვარ, – დაამთქნარა რონმა.

– ამას თუ დავუჯერებთ, ორჯერ დაიხრჩობი, – უთხრა ჰერმიონმა.

– მართლა? – შეშფოთდა რონი და ჰოროსკოპს ჩახედა, – მაშინ, ჯობია, ერთ-ერთი შევცვალო და დავწერო, რომ გაცოფებული ჰიპოგრიფი გადამთელავს.

– შენი აზრით, ამას არ ეტყობა, რომ გამოგონილია? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– როგორ მიბედავ! – ვითომ აღშფოთდა რონი, – ჩვენ აქ შინაური ელფებივით ვმუშაობდით.

ჰერმიონმა წარბები აზიდა.

– ეს, უბრალოდ, გამოთქმაა ასეთი, – სასწრაფოდ დაამატა რონმა.

ამასობაში ჰარიმ იწინასწარმეტყველა, რომ თავის მოკვეთით სიკვდილი ელოდა და მანაც დადო ფრთა. მერე ჰერმიონს ჰკითხა:

– ყუთში რა არის?

– მიკვირს, რომ დაინტერესდი, – ჰერმიონმა რონს მრისხანედ შეავლო თვალი და ყუთს თავსახური ახადა.

ყუთში სულ სხვადასხვა ფერის ორმოცდაათი გულსაბნევი ემბლემა იდო. ყველაზე ერთი და იგივე ასოები – ᲔᲓᲐᲛ-ი – ეწერა.

– ელამი? – გაუკვირდა ჰარის, გულსაბნევი აიღო და დააკვირდა, – ეს რას ნიშნავს?

– ელამი კი არა, ᲔᲓᲐᲛ-ი. **ელფთა დამოუკიდებლობის აღდგენის მოძრაობა**, – მოუთმენლად შეუსწორა ჰერმიონმა.

– არ გამიგია, – თქვა რონმა.

– რა თქმა უნდა, არ გაგიგია, – მკვირცხლად უპასუხა ჰერმიონმა, – ეს-ესაა მე თვითონ დავაარსე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰოოო? – რონს თითქმის არ გაჰკვირვებია, – და რამდენი წევრი გყავს?

– თუ ორივე გაწევრიანდებით, სამი.

– შენი აზრით, ჩვენ ერთი სული გვაქვს, როდის ვივლით აქეთ-იქით გულზე მიბნეული „ელამით“? – ჰკითხა რონმა.

– ᲔᲓᲐᲛ-ი! – შეუსწორა გაცხარებულმა ჰერმიონმა, – თავიდან დავაპირე, დამერქმია „შეწყვიტეთ ჩვენი მოძმე ჯადოსნური არსებების გაუგონარი დისკრიმინაცია და მხარი დაუჭირეთ მათი იურიდიული სტატუსის შეცვლას“, მაგრამ გულსაბნევზე ვერ დავტევდი, ამიტომ ჩვენი მანიფესტის სახელწოდება ახლა ეს არის, – ჰერმიონმა ბიჭებს ცხვირწინ ეტრატი აუფრიალა, – ბიბლიოთეკაში საფუძვლიანი კვლევა ჩავატარე. ელფების მონობა საუკუნეების წინ იღებს სათავეს. ვერ დამიჯერებია, რომ დღემდე არავინ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი.

– ჰერმიონ, ყურები გამოიფხიკე, – ხმას აუწია რონმა, – მათ! ეს! მოსწონთ! მათ მოსწონთ მონობა!

– ჩვენი უახლოესი მიზანია, – უფრო მეტად აუწია ხმას ჰერმიონმა და თავი ისე დაიჭირა, ვითომ რონის ნათქვამი ვერ გაიგო, – შინაური ელფები უზრუნველვყოთ ნორმალური ხელფასითა და შრომის პირობებით. ჩვენს შორეულ მიზნებში კი შედის ჯადოსნური ჯოხის გამოყენების აკრძალვის შესახებ კანონის შეცვლა და ელფის ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტში შეყვანა, რადგან ისინი იქ არ არიან წარმოდგენილნი.

– როგორ უნდა გავაკეთოთ ეს ყველაფერი? – იკითხა ჰარიმ.

– როგორ და, ჯერ წევრებს მოვიზიდავთ, – გამოცოცხლდა ჰერმიონი, – საწევრო გადასახადი ორი სიკლი იქნება, ამით ემბლემებს იყიდიან. შემოსული თანხით კი დავაფინანსებთ ბუკლეტების კამპანიას. რონ, შენ ხაზინადარი ხარ. შენთვის მაღლა თუნუქის ყულაბა მაქვს ფულის შესაგროვებლად. შენ კი, ჰარი, მდივანი ხარ და ახლა რასაც ვამბობ, ყველაფერს უნდა იწერდე, რომ ჩვენი პირველი კრების ოქმი შეადგინო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰერმიონი სახეგაბრწყინებული შესცქეროდა მეგობრებს. ჰარი იჯდა და არ იცოდა, ჰერმიონზე მოსვლოდა გული, თუ რონის სახის გამომეტყველებაზე გასცინებოდა. სიჩუმე დაარღვია არა რონმა, რომელსაც, როგორც ჩანდა, მეტყველების უნარი წართმეოდა, არამედ ფანჯრის მინაზე სუსტმა კაკუნმა. ჰარიმ გაიხედა და მთვარის შუქზე გაარჩია, რომ ფანჯრის რაფაზე თოვლისფერი ბუ იყო შემოსკუპებული.

– ჰედვიგ! – შესძახა გახარებულმა, სკამიდან წამოხტა, ფანჯარას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მივარდა და ფართოდ გამოაღო. ჰედვიგი შემოფარფატდა, ოთახი გადაიფრინა და მაგიდაზე, ზედ ჰარის პირად ჰოროსკოპზე დაეშვა.

– სად დაიკარგე! – უთხრა ჰარიმ და მისკენ გაეშურა.

– პასუხი მოიტანა! – აღელდა რონი და ჰედვიგის ფეხზე შებმულ ჭუჭყიანი პერგამენტის ნაგლეჯზე ანიშნა. ჰარიმ აჩქარებით შეხსნა ბუს წერილი, დაჯდა და კითხვას შეუდგა. ჰედვიგი მის მუხლზე მოკალათდა და ფრთების ფართქუნით ხმადაბალი კივილი მორთო.

– რას გწერს? – ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა ჰერმიონმა.

წერილი ძალიან მოკლე იყო და ეტყობოდა, ნაჩქარევად დაეწერათ. ჰარიმ ხმამაღლა წაიკითხა:

„ჰარი,

სასწრაფოდ ჩრდილოეთისკენ მივფრინავ. ბოლო დროს ჩემს ყურამდე უამრავმა უცნაურმა ჭორმა მოაღწია. ამ ყველაფერს შენი ნაირევის ამბავიც დაემატა, რომელიც ეს-ესაა შევიტყვე. თუ ყოველ აგვტყავდა, ჰარდ-ჰარ დამბლდორთან მიდი. ამბობენ, რომ დამბლდორმა ჰენსიაზე გასული მუდი მიიწვია ჰოგვორტსში მასწავლებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ დამბლდორი სხვებისთვის შეუმჩნეველ ნიშნებს ყოთხულობს. მალე დაგიკავშირდები. რონსა და ჰერმიონს ჩემგან მოკითხვა გადაეცი. ფხიზლად იყავი, ჰარი.

სირიუსი.“

ჰარიმ რონს და ჰერმიონს ახედა. ისინი გაოცებულები უყურებდნენ.

– ჩრდილოეთისკენ მოფრინავს? – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – ბრუნდება?

– რა ნიშნებს კითხულობს დამბლდორი? – იკითხა დაბნეულმა რონმა, – ჰარი, რა დაგემართა?

უცებ ჰარიმ ისე ჩაირტყა შუბლში მუშტი, რომ ჰედვიგი მისი მუხლიდან გადავარდა.

– არ უნდა მიმეწერა! – იყვირა გაცოფებულმა.

– რაზე ამბობ? – გაუკვირდა რონს.

– ვაიძულე, ეფიქრა, რომ მისი ჩამოსვლა აუცილებელია, – ჰარი ახლა მაგიდას უბრახუნებდა მუშტს. ჰედვიგი რონის სკამის საზურგეზე დაჯდა და აღშფოთებულმა წამოიკივლა. – ბრუნდება, იმიტომ, რომ ჰგონია, საფრთხეში ვარ, არადა, არაფერი მჭირს! და შენთვისაც არაფერი მაქვს, – დაუცაცხანა ჰედვიგს, რომელიც მოლოდინით უკორტნიდა თითს, – თუ გშია, საბუეში უნდა გაფრინდე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰედვიგმა საშინლად განაწყენებულმა შეხედა და სანამ ღია ფანჯარაში გაფრინდებოდა, თავზე ფრთა გაჰკრა.

– ჰარი, – დაიწყო ჰერმიონმა მშვიდად.

– მე დასაძინებლად მივდივარ, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – დილით გნახავთ.

საძინებელში რომ ავიდა, პიჟამა ჩაიცვა და თავის ჩარდახიან საწოლში ჩაწვა, მაგრამ დაღლილობას საერთოდ ვეღარ გრძნობდა.

სირიუსი თუ ჩამოვიდა და დაიჭირეს, მისი ბრალი იქნება. რატომ არ გააჩერა ენა? ნაიარევის ერთი წამოტკივება იყო და, უკვე ყბედობას მოჰყვა. იმდენი ჭკუა მაინც ეხმარა, რომ სირიუსისთვის არაფერი მიეწერა!

ცოტა ხანში გაიგონა, რომ საძინებელში რონი შემოვიდა, მაგრამ ხმა არ გასცა. დიდხანს იწვა და საწოლის ჩამუქებულ ჩარდახს შესცქეროდა. ოთახში სრული სიჩუმე გამეფებულიყო. ჰარის თავისი სადარდებელი რომ არ ჰქონოდა, შეამჩნევდა, რომ ნევილის ჩვეული ხვრინვა არ ისმოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჰარი ერთადერთი არ იყო, ვისაც იმ ღამეს არ ეძინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთხუთმეტე

ბობატონი და დურმსტრანგი

ჰარის უთენია გაეღვიძა. გონებაში უკვე მზად ჰქონდა გეგმა, თითქოს ტვინმა მთელი ღამის განმავლობაში თავისით იმუშავაო. ჩაიცვა, საძინებლიდან ისე გავიდა, რონი არ გაუღვიძებია, და ჯერ კიდევ ცარიელ საერთო დარბაზში ჩავიდა. მაგიდაზე დატოვებული მისნობის დავალების ქვემოდან ეტრატი გამოაძრო და დაწერა:

„ძვირფასო სირიუს,
მე მგონი, მომეჩვენა, რომ ნაიარევი მტკიოდა. იმ წერილს რომ ვწერდი, ნახევრად მეძინა. შენი აქ ჩამოსვლა სულაც არ არის აუცილებელი. აქ ყველაფერი მშვენივრადაა. ჩემზე ნუ ინაღვლებ, თავი საერთოდ აღარ მტკივა.
ჰარი."

ჰარი პორტრეტის ხვრელში გაძვრა და საბუისკენ გაემართა. ციხესიმაგრეში სრული სიჩუმე სუფევდა. მეოთხე სართულის დერეფანში ცოტა ხნით პივსმა დააბრკოლა: სცადა, უზარმაზარი ვაზა ჰარისთვის ზედ თავზე დაემხო. ბოლოს, როგორც იქნა, დასავლეთის კოშკში სულ მაღლა მდებარე საბუეში ავიდა.

საბუე წარმოადგენდა მრგვალ, საკმაოდ ცივ ქვის ოთახს. ყველა მხრიდან ქარი უბერავდა, რადგან მინა არც ერთ ფანჯარას არა ჰქონდა. იატაკი ჩალას, ბუს სკორეს და თაგვებისა და მემინდვრიების ჩონჩხებს დაეფარა. დედამიწის ზურგზე არსებული ყველა ჯიშის ასობით ბუ კოშკის ჭერამდე განლაგებულ ქანდარებზე ჩამოსკუპებულიყო. თითქმის ყველა ბუს ეძინა, თუმცა აქა-იქ მრგვალი, ქარვისფერი თვალი გაბრაზებული გამოხედავდა ხოლმე ჰარის. ჰედვიგი ჭოტსა და ბუხრინწას შორის მოკალათებული თვლემდა. ჰარი მისკენ გაეშურა, თან სკორეთი მოსვრილ იატაკზე ფეხი უცურდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის კარგა ხანი დასჭირდა, სანამ ჰედვიგს დაიყოლიებდა, მოწყალება გაეღო და შეხედვის ღირსი გაეხადა. ქანდარაზე ტრიალებდა და ჰარის ზურგს აქცევდა. ეტყობოდა, მისი წუხანდელი უმადურობა ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა. მაგრამ ბოლოს, როცა ჰარიმ შესთავაზა, თუ ძალიან დაღლილი ხარ, მაშინ რონს პიგვიჯენს ვთხოვო, ჰედვიგმა უმალ გაუწოდა ფეხი წერილის მისაბმელად.

– ოღონდაც იპოვე, რა? – სთხოვა ჰარიმ, ზურგზე ხელი გადაუსვა და მკლავზე შემოსკუპებული წაიყვანა კედლის ერთ-ერთი ხვრელისკენ, – სანამ ჩვენზე ადრე დემენტორებს უპოვიათ.

ჰედვიგმა თითში ჩვეულებრივზე უფრო მწარედ ჩაუნისკარტა, მაგრამ, ამასთანავე, ხმადაბლა, ალერსით დაიკივლა, ფრთები გაშალა და ამომავალი მზის შუქში გაფრთხიალდა. ჰარიმ უყურა, სანამ თვალს მიეფარებოდა. გული საშინლად ჰქონდა დამძიმებული. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ სირიუსის პასუხი უარესად მოუმატებდა სადარდებელს.

* * *

საუზმობისას ჰარი მეგობრებს მოუყვა, რაც გააკეთა.

– რატომ მოატყუე, – გაუწყრა ჰერმიონი, – სულაც არ მოგჩვენებია ნაიარევის ტკივილი და ეს შენც მშვენივრად იცი.

– მერე რა, არ დავუშვებ, რომ ჩემ გამო ისევ აზკაბანში გამოამწყვდიონ.

ჰერმიონი ისევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ რონი ჩურჩულით გაუჯავრდა:

– თავი დაანებე!

ამჯერად ჰერმიონმა გაუგონა და გაჩუმდა.

მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ჰარი შეძლებისდაგვარად ცდილობდა, სირიუსზე არ ედარდა. მართალია, ყოველ დილით, ფოსტა რომ მოდიოდა, თავისდა უნებურად შეშფოთებით აცეცებდა თვალებს, გვიან ღამით, ძილის წინ კი, ლონდონის რომელიმე ბნელი ქუჩის კუთხეში დემენტორების მიერ მიმწყვდეული სირიუსი ელანდებოდა, მაგრამ დღისით ცდილობდა, ნათლიაზე არ ეფიქრა. ჰარი ნატრობდა, ნეტავ ისევ გვქონოდა ქვიდიჩში ვარჯიში, ყურადღებას მასზე გადავიტანდიო. მეორე მხრივ, მათი გაკვეთილები სულ უფრო რთულდებოდა და მასწავლებლებიც უფრო მომთხოვნნი გახდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ბნელი ძალებისგან თავდაცვაში ჰქონდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათდა გასაკვირად, პროფესორმა მუდიმ გამოაცხადა, რომ ყოველ მათგანზე იმპერიუსის წყევლას გამოსცდიდა, რათა უკეთ ეჩვენებინა მისი ძალა და შეემოწმებინა, რამდენად გაუწევდნენ წინააღმდეგობას.

– კი მაგრამ, პროფესორო, თქვენ ხომ თქვით, აკრძალულიაო, – გაუბედავად წამოიწყო ჰერმიონმა, როცა მუდიმ ჯოხის აქნევით მერხები კუთხეში მიაწყო და ოთახის შუაგული გაათავისუფლა, – თქვენ თქვით, რომ მისი ერთხელ გამოყენებაც საკმარისია...

– დამბლდორს სურს, საკუთარ ტყავზე გამოსცადოთ ამ წყევლის ძალა, – მუდიმ ჯადოსნური თვალი შემოატრიალა და ჰერმიონს შემზარავი, დაუხამხამებელი მზერა ჩაასო, – თუ მაინცდამაინც მძიმე გზა გირჩევნია, ანუ მონის გზა, კი ბატონო. თავისუფალი ხარ. შეგიძლია, მიბრძანდე.

მუდიმ დაკოჟრილ-დაბრეცილი თითი კარისკენ გაიშვირა. ჰერმიონი საშინლად აილეწა და გაურკვევლად წაიბუტბუტა, რომ წასვლა სულაც არ უნდოდა. ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გაულიმეს. იცოდნენ, რომ ჰერმიონი უმალ ბუბოტუბერის ჩირქს ალოკავდა, ვიდრე ასეთ მნიშვნელოვან გაკვეთილს გამოტოვებდა.

მუდის რიგრიგობით გამოჰყავდა მოსწავლეები და სათითაოდ უტარებდა იმპერიუსის წყევლას. მოჯადოებულები უჩვეულო რაღაცეებს აკეთებდნენ. დინ ტომასმა სამჯერ ხტუნვა-ხტუნვით შემოიარა ოთახი და თან ეროვნულ ჰიმნს მღეროდა. ლევენდერ ბრაუნმა ციყვს მიჰბაძა, ნევილმა ისეთი გამაოგნებელი ტანვარჯიში ჩაატარა, რასაც ბუნებრივ მდგომარეობაში ნამდვილად ვერ მოახერხებდა. როგორც ჩანდა, ვერც ერთმა ვერ გაუწია ამ ჯადოს წინააღმდეგობა. და ყველა მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა პროფესორმა მათ ჯადო მოუხსნა.

– პოტერ, – ამოიხავლა მუდიმ, – შენი ჯერია.

ჰარი საკლასო ოთახის შუაგულში გამოვიდა. მუდიმ ჯადოსნური ჯოხი აღმართა, ბიჭს დაუმიზნა და წარმოთქვა:

– იმპერიო.

ჰარი საოცარმა გრძნობამ მოიცვა. ნეტარებამ ტალღასავით დაუარა. ანაზდად, ყოველგვარი მძიმე ფიქრისა და დარდისგან გათავისუფლდა და რატომღაც ბედნიერება შეიგრძნო. ჰარი ბურანში წასული იდგა და ბუნდოვნად აღიქვამდა, რომ ყველა მას უყურებდა. შემდეგ დაცარიელებული ტვინის რომელიღაც შორეულ კუნჭულში ჩაესმა მრისხანეთვალა მუდის ბრძანება:

„ახტი მერხზე... ახტი მერხზე...“

ჰარიმ მორჩილად მოხარა მუხლები და ასახტომად მოემზადა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ახტი მერხზე...“

„კი მაგრამ, რატომ? – გამოიღვიძა გონების სიღრმეში მეორე ხმამ, – რა სულელური საქციელია!“

„ახტი მერხზე...“

„არა, გმადლობთ, მე ამას არ ვიზამ, – ამჯერად უფრო მტკიცედ იუარა მეორე ხმამ, – არავითარი სურვილი არ მაქვს.“

„ახტი! რაღას უცდი! “

უცებ ჰარიმ ძლიერი ტკივილი იგრძნო. ახტა და თან სცადა, არ ამხტარიყო, რის გამოც თავით მერხს დაეჯახა, გადააყირავა და მუხლებშიც ისეთი ტკივილი იგრძნო, როგორც ჩანს, ორივე გადაიყ-ვლიფა.

– აი, ეს უკვე სხვა საქმეა! – გაისმა მუდის ბუხუნი. ჰარის თავში სიცარიელე გაუქრა. უკვე მკაფიოდ აღიქვამდა, რაც ხდებოდა, და მუხლების ტკივილიც გაუძლიერდა.

– შეხედეთ... პოტერი შეებრძოლა! შეებრძოლა და, ეშმაკმა დალახ-ვროს, თითქმის გაუმკლავდა, კინაღამ გაიმარჯვა! კიდევ ერთხელ ვცადოთ, პოტერ, დანარჩენებმა კი უყურეთ, თვალებზე დააკვირდით, თვალები ყველაფერზე მეტყველებენ... ყოჩაღ, პოტერ, ყოჩაღ! აი, შენ კი ეგრე იოლად ვერ დაგიმორჩილებენ!

– არა... ისე ლაპარაკობს, თითქოს ნებისმიერ წუთს შეიძლება, თავს დაგვესხნენ, – წაიბურტყუნა ჰარიმ მოგვიანებით, როცა თავ-დაცვის გაკვეთილიდან კოჭლობით გამოლასლასდა (მუდი არ მოეშ-ვა და ოთხჯერ ზედიზედ გამოსცადა, სანამ ბიჭი ადვილად არ მოერია წყევლას).

– ჰო, ვიცი, – რონი ხტუნვა-ხტუნვით ჩადიოდა კიბეზე. მას ბევრად უფრო გაუჭირდა წყევლის გამკლავება, ვიდრე ჰარის, მაგრამ მუდიმ დააიმედა, ლანჩისთვის მისი ზემოქმედება თავისით გაივლისო. – აბა, ამ პარანოიკისგან სხვას რას უნდა ველოდოთ... რა გასაკვირია, რომ სამინისტრომ თავიდან მოიშორა. – რონმა შეშფოთებით მიიხედა უკან, მუდის ხომ არ ესმისო, – გაიგონე, სიმუსს რომ უთხრა, რა დამართა ერთ ჯადოქარ ქალს, როცა პირველ აპრილს მის ზურგს უკან „ბუუუ“ დაიძახა? საინტერესოა, როდისღა უნდა მოვახერხოთ იმპერიუსის წყევლისათვის წინააღმდეგობის გაწევის სწავლა, როცა ამდენი საშინაო დავალება გვაქვს აკიდებული.

ყველა მეოთხეკურსელმა შეამჩნია, რომ სემესტრის განმავლო-ბაში საშინაო დავალების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ერთხელაც, როდესაც კლასმა განსაკუთრებით ხმამაღალი პროტეს-ტი გამოთქვა ტრანსფიგურაციის დავალების მოცულობის გამო, პროფესორმა მაკგონაგელმა განუმარტა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენ ახლა ჯადოქრული განათლების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე გადადიხართ! თქვენი ბეჯითობის უმაღლესი აღიარების გამოცდები ახლოვდება...

– ეგ ხომ მეხუთე კურსზე გვიტარდება! – აღშფოთებით შეეპასუხა დინ ტომასი.

– შეიძლება, ასეცაა, ტომას, მაგრამ, დამიჯერეთ, თქვენ საფუძვლიანი წინასწარი მომზადება გჭირდებათ. მის გრეინჯერი ჯერჯერობით ერთადერთია კლასში, ვინც წარმატებით მოახერხა ზღარბის ქცევა ნემსების ბალიშად. უნდა შეგახსენოთ, ტომას, რომ თქვენი ბალიში ქინძისთავის მიახლოებაზე ისევ შიშით მრგვალდება.

ჰერმიონი შესამჩნევად გაწითლდა და შეეცადა, თავი მოკრძალებულად დაეჭირა.

ჰარი და რონი ძალიან გამხიარულდნენ, როცა მისნობის გაკვეთილზე პროფესორმა ტრელოუნიმ გამოაცხადა, საშინაო დავალებაში უმაღლესი შეფასება მიიღეთო. მან ხმამაღლა წაიკითხა მათი ჰოროსკოპებიდან ნაწყვეტები და ბიჭებს ურჩია, მოსალოდნელ უბედურებებს ვაჟკაცურად დახვედროდნენ. სამაგიეროდ, სულაც აღარ ემხიარულებოდათ, როცა პროფესორმა მომდევნო თვის ჰოროსკოპის შედგენაც დაავალა. კატასტროფების მარაგი უკვე ორივეს ეწურებოდა.

ამასობაში, პროფესორი ბინსი, ერთადერთი მოჩვენება, რომელიც მაგიის ისტორიას ასწავლიდა, ყოველ კვირას მეთვრამეტე საუკუნის გობლინების აჯანყებებზე თემის დაწერას ავალებდა. პროფესორი სნეიპი ყველას შხამსაწინააღმდეგო წამლების შესწავლას აიძულებდა. ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, რადგან პროფესორმა გადაკვრით აღნიშნა, რომ შეიძლებოდა, შობამდე რომელიმე მათგანი მოეწამლა, რათა მათი წამლების მოქმედება შეემოწმებინა. პროფესორმა ფლიტვიკმა კი გამოძახების შელოცვის გაკვეთილისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურიდან სამი წიგნის წაკითხვა დაავალა.

ჰაგრიდისგანაც კი არ ჰქონდათ მოსვენება. პირდაპირ გასაოცარი იყო, რა სწრაფად იზრდებოდნენ ცეცხლაკუდები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩებოდა, რას ჭამდნენ. ჰაგრიდი აღფრთოვანებული იყო და „სამუშაო გეგმის“ ფარგლებში, ბავშვებს ყოველ მეორე საღამოს მის ქოხთან მისვლა, ცეცხლაკუდებზე დაკვირვების წარმოება და მათი უჩვეულო ქცევების შესწავლა შესთავაზა.

– მე უარს ვამბობ, – კატეგორიულად განაცხადა მალფოიმ, როდესაც ჰაგრიდმა ისეთი სახით წამოაყენა ეს წინადადება, თითქოს თოვ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის პაპა იყო და ტომრიდან განსაკუთრებით დიდ საჩუქარს იღებდა, – გმადლობთ, ისიც მეყოფა, ამ საზიზღარ არსებებს გაკვეთილებზე რომ ვუყურებ.

ჰაგრიდს სახიდან ღიმილი გაუქრა.

– იმას გააკეთებ, რასაც გეუბნებიან, – დაიგრგვინა მან, – თორე მეც მუდის მაგალითს მივბაძავ. გავიგე, შენგან მშვენიერი ქრცვინი გამოდის, მალფოი.

გრიფინდორელები სიცილით დაიხოცნენ. მალფოი სიბრაზისგან გაწითლდა, მაგრამ ეტყობა, მუდის გაკვეთილი ჯერ არ დავიწყებოდა, და ჰაგრიდს სიტყვა აღარ შეუბრუნა. გაკვეთილის ბოლოს ჰარი, რონი და ჰერმიონი ციხე-კოშკში მხიარულ გუნებაზე დაბრუნდნენ. განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ ჰაგრიდმა, ბოლოს და ბოლოს, მალფოი ადგილზე მოსვა, მით უმეტეს, გასულ წელს მალფოი ტყავიდან ძვრებოდა, რომ ტყის მცველი სკოლიდან გაეგდოთ.

ჰოლში იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ზღურბლზე გაიჭედნენ და წინ ნაბიჯიც ველარ გადადგეს. მოსწავლეები მარმარილოს კიბესთან უზარმაზარი განცხადებების წინ ირეოდნენ. რონი, ამ სამში ყველაზე მაღალი, თითის წვერებზე დადგა და წინ მდგომთა თავებს ზემოდან ხმამაღლა წაუკითხა განცხადება ჰარის და ჰერმიონს:

სამი ჯადოქრის ტურნირი

ბობატონისა და დურმსტრანგის დელეგაციები
30 ოქტომბერს, პარასკევს, 6 საათზე ჩამოვლენ.
გაკვეთილები ნახევარი საათით ადრე დასრულდება...

– მშვენიერია, – გაუხარდა ჰარის, – პარასკევს ბოლო გაკვეთილი შხამ-წამლები გვაქვს! სნეიპი ყველას მოწამვლას ვერ მოასწრებს!

მოსწავლეებმა ჩანთები და წიგნები თავ-თავიანთ
საძინებლებში უნდა დატოვონ და ციხესიმაგრის
წინ მოიყარონ თავი სტუმრების დასახვედრად.
შემდეგ კი გაიმართება საზეიმო ნადიმი.

– სულ ერთი კვირა დარჩა! – შეჯგუფებულ ბავშვებს თვალებგაბრწყინებული ჰაფლეპაფელი ერნი მაკმილანი გამოეყო, – ნეტავ, სედრიკმა თუ იცის? წავალ და ვეტყვი...

– სედრიკი? – გაოცდა რონი, ერნიმ გვერდით რომ ჩაურბინა.

– დიგორი, – გაახსენა ჰარიმ, – ალბათ, ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

– ის იდიოტი იქნება ჰოგვორტსის ჩემპიონი? – შეიცხადა რონმა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა სამივემ აჟრიამულებულ ბრბოში კიბისკენ გზა გაიკვლია.

– იდიოტი სულაც არ არის, შენ მხოლოდ იმიტომ არ მოგწონს, რომ ქვიდიჩში გრიფინდორი დაამარცხა, – შეეპასუხა ჰერმიონი, – ამბობენ, რომ მართლა ძალიან კარგი მოსწავლეა და, თანაც, პრეფექტია.

– შენ კი მხოლოდ იმიტომ მოგწონს, რომ სიმპათიურია, – არ ჩამორჩა რონი.

– როგორ გეკადრება, მე სულაც არ მომწონს ხალხი მხოლოდ კარგი გარეგნობის გამო! – აღშფოთდა ჰერმიონი.

რონმა ამის გაგონებაზე განგებ ხმამაღლა ისე ჩაახველა, „ლოკ-ჰარტი" გამოუვიდა.

განცხადებამ აშკარა ზეგავლენა იქონია ციხე-კოშკის ბინადრებზე. მომდევნო კვირას ყველა „სამი ჯადოქრის ტურნირზე" ლაპარაკობდა, ყველას აინტერესებდა, ვინ გახდებოდა ჰოგვორტსის ჩემპიონი, რის გაკეთება მოუწევდათ ტურნირის მონაწილეებს; რით განსხვავდებოდნენ მათგან ბობატონელი და დურმსტრანგელი სტუდენტები.

ჰარიმ ისიც შეამჩნია, რომ ციხესიმაგრეს საგულდაგულოდ ასუფთავებდნენ და ალაგებდნენ. რამდენიმე გაჭვარტლული პორტრეტი, ამ სურათების ბინადართა საშინელი პროტესტის მიუხედავად, მაინც გახეხეს. დაზარალებულნი ჩარჩოებში მოკუნტულები ისხდნენ, ღვარძლიანად ბუტბუტებდნენ და დაჯღანულები ისინჯავდნენ ნესტიან, აწითლებულ სახეებს. რკინის აბჯრებმა უცებ ბზინვა დაიწყო და აღარ ჭრიალებდა. სკოლის დარაჯი, არგუს ფილჩი, იმ დღეებში განსაკუთრებით დაუნდობელი იყო იმ მოსწავლეების მიმართ, ვისაც ფეხსაცმლის გახდა დაავიწყდებოდა, ორი პირველკურსელი გოგონა ისე შეაშინა, ისტერიკა დამართა.

დაძაბულობა მასწავლებლებსაც ეტყობოდათ.

– ლონგბოტომ, თუ ღმერთი გწამთ, დურმსტრანგელებთან ნუ გამოამჟღავნებთ, რომ ერთი უმარტივესი შელოცვაც არ გამოგდით! – დაუცაცხანა ნევილს პროფესორმა მაკგონაგელმა ერთ-ერთი განსაკუთრებით რთული გაკვეთილის ბოლოს, როცა მან საკუთარი ყურები შეცდომით კაქტუსად აქცია.

ოცდაათი ოქტომბრის დილას სასაუზმოდ ჩასულებს დიდი დარბაზი მორთულ-მოკაზმული დახვდათ. კედლებზე ჰოგვორტსის კლუბების უზარმაზარი აბრეშუმის დროშები ეკიდა: გრიფინდორისა – წითელი, ოქროს ლომის გამოსახულებით, რეივენქლოსი – ლურჯი, ბრინჯაოსფერარწივიანი, ჰაფლეპაფისა – ყვითელი, შავმაჩვიანი და სლიზერინისა – მწვანე, ვერცხლისფერგველიანი. მასწავლებლების მაგიდის უკან ყველაზე დიდ დროშაზე ჰოგვორტსის გერბი გამოე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახათ: ლომი, არწივი, მაჩვი და გველი, რომლებიც ასო „ჰ“-ს შემოხ-ვეოდნენ.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა გრიფინდორის მაგიდასთან ფრედი და ჯორჯი დაინახეს. ისევ უჩვეულოდ მოეჩვენათ, რომ ყველასგან განმარტოებულები ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. რონი ჯიქურ წავიდა მათკენ.

– არა, არ ვარგა, – ეუბნებოდა მოლუშული ჯორჯი ტყუპისცალს, – მაგრამ, თუ პირადად არ დაგველაპარაკა, ბოლობოლო, მისთვის წერილის გაგზავნა მოგვიწევს. ან პირადად შევაჩეჩებთ ხელში როგორმე. სულ ხომ ვერ აგვარიდებს თავს.

– ვინ გარიდებთ თავს? – გვერდით მიუჯდა რონი.

– მოუსვი აქედან, – ფრედი გაბრაზდა, თავზე რომ წამოადგნენ.

– რა არ ვარგა? – ახლა ჯორჯს ჰკითხა რონმა.

– შენნაირი მეტიჩარა ძმის ყოლა, – მოუჭრა ჯორჯმა.

– რამე ხომ არ გადაწყვიტეთ სამი ჯადოქრის ტურნირზე? – ჰკითხა ორივეს ჰარიმ, – არ გადაგიფიქრებიათ კანდიდატურის შეპარება?

– პროფესორ მაკგონაგელს ვკითხე, ჩემპიონებს როგორ ირჩევენ-მეთქი, მაგრამ მითხრა, ენა დაიმოკლე და შენი ენოტის ტრანსფიგურირებას მიხედეო, – სიმწრით ჩაილაპარაკა ფრედმა.

– საინტერესოა, რა დავალებები იქნება, – ჩაფიქრდა რონი, – ჰარი, იცი, სანაძლეოს ჩამოვალ, ჩვენ არ გაგვიჭირდება, ადრეც ხომ გაგ-ვიკეთებია სახიფათო რამეები...

– ჰო, მაგრამ ჟიურის წევრების წინაშე ხომ არ გაგიკეთებიათ, – უთხრა ფრედმა, – მაკგონაგელი ამბობს, ჩემპიონები იმის მიხედვით მიიღებენ ქულებს, თუ როგორ გაართმევენ თავს დავალებებსო.

– ვინ არიან ჟიურის წევრები? – ჰკითხა ჰარიმ.

– ვფიქრობ, მონაწილე სკოლების დირექტორები ყოველთვის შედი-ან ჟიურიში, – თქვა ჰერმიონმა და ყველამ გაოცებით შეხედა მას, – იმიტომ, რომ სამივე დაშავდა 1792 წლის ტურნირზე, როცა ბასი-ლისკომ, რომელიც ჩემპიონებს უნდა დაეჭირათ, აიწყვიტა.

ჰერმიონმა შეამჩნია, რომ ყველანი მას მისჩერებოდნენ და, როგორც ყოველთვის, ახლაც ბრაზი მოერია, რატომ წიგნებს არ კითხულობენო:

– ეს ყველაფერი „ჰოგვორტსის ისტორიაში“ წერია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს წიგნი მთლად სანდო არ არის. „ჰოგვორტსის ცენ-ზურაგავლილი ისტორია“ უფრო შესაფერისი სათაური იქნებოდა, ანდა ასეთი: „ჰოგვორტსის ძალზე არაობიექტური და დისკრიმინა-ციული ისტორია, რომელიც თვალს ხუჭავს სკოლის ყველაზე სამარ-ცხვინო მხარეებზე“.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაზე ლაპარაკობ? – ჰკითხა რონმა, მაგრამ ჰარიმ უკვე იცოდა პასუხი.

– რაზე და, შინაურ ელფებზე, – ხმას აუწია ჰერმიონმა და ჰარის ვარაუდიც გამართლდა, – ათასგვერდიანი „ჰოგვორტსის ისტორია“ არც ერთგან გაკვრითაც არ ახსენებს, რომ ჩვენ ყველანი ასობით მონის ჩაგვრის მონაწილენი ვართ.

ჰარიმ თავი გააქნია და თავის ერბოკვერცხს მიუბრუნდა. მისი და რონის გულგრილმა დამოკიდებულებამ ჰერმიონს ოდნავადაც ვერ გაუნელა შინაური ელფების უფლებების დაცვის ენთუზიაზმი. მართალია, ორივემ გადაიხადა ორი სიკლი ᲔᲓᲐᲛ-ის ემბლემაში, მაგრამ უფრო იმისათვის გადაიხადეს, რომ ჰერმიონს მათთვის თავი დაენებებინა. მაგრამ, როგორც ჩანდა, ის სიკლები ტყუილად გადაყარეს, რადგან ამით ჰერმიონი უფრო გაათამამეს. იმ დღიდან მოყოლებული, რონსა და ჰარის გულს უწყალებდა, მოითხოვდა, რომ ემბლემები ეტარებინათ, და სხვებიც აეყოლიებინათ. ამასთან, ყოველ საღამოს გრიფინდორის საერთო ოთახში სიტყვით გამოდიოდა, ხან ერთ მსხვერპლს მიიმწყვდევდა კუთხეში, ხან მეორეს და ცხვირწინ ყულაბას უჩხარუნებდა.

– ოდესმე დაფიქრებულხართ იმაზე, რომ თეთრეულს გიცვლიან, ცეცხლს გინთებენ, საკლასო ოთახებს გილაგებენ და საჭმელს გიმზადებენ ჯადოსნური არსებები, რომელთაც ხელფასს არ უხდიან და, ფაქტიურად, დამონებულები არიან? – მგზნებარედ ქადაგებდა ჰერმიონი.

ზოგმა, მათ შორის ნევილმაც, მხოლოდ იმისთვის გაიღო შესაწირი, რომ ჰერმიონის რისხვას გადარჩენოდა. ზოგი დაინტერესდა მისი ლაპარაკით, მაგრამ კამპანიაში უფრო აქტიური მონაწილეობისგან თავი შეიკავა. უმრავლესობა კი ამ ყველაფერს არასერიოზულად აღიქვამდა.

რონმა თვალები ამჯერადაც ჭერისკენ აატრიალა, საიდანაც შემოდგომის მზის შუქი იფრქვეოდა. ფრედი ძალიან დაინტერესდა თავისი ბეკონით (ტყუპებმა უარი თქვეს ᲔᲓᲐᲛ-ის ემბლემის შეძენაზე), ჯორჯმა კი ჰერმიონს უთხრა:

– მისმინე, ჰერმიონ, ოდესმე ქვემოთ, სამზარეულოში ყოფილხარ?

– არა, რა თქმა უნდა, არა, – ცივად მიუგო ჰერმიონმა, – ჩემი აზრით, მოსწავლეები არ უნდა...

– ჩვენ კი ვყოფილვართ, – ჯორჯმა ფრედზე ანიშნა, – ათასჯერ მაინც, საჭმლის ასაწაპნად და მათაც შევხვედრივართ. დამიჯერე, მართლა ბედნიერები არიან. ჰგონიათ, რომ მსოფლიოში საუკეთესო სამუშაო აქვთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს იმიტომ, რომ გაუნათლებლები და იდეოლოგიურად დამუშავებულები არიან! – გაცხარებით დაიწყო ჰერმიონმა, მაგრამ მისი სიტყვები უეცრად მათ თავს ზემოთ დილის ფოსტის მაუწყებელმა ფრთების შრიალმა გადაფარა. ჰარიმ აიხედა და დაინახა, რომ მისკენ ჰედვიგი მოფარფატებდა. ჰერმიონმა მაშინვე ხმა გაკმინდა და სამივენი აღელვებით მიაჩერდნენ ჰედვიგს. ბუ ჰარის მხარზე დაეშვა, ფრთები შეიკეცა და დაქანცულმა ფეხი გაუწოდა.

ჰარიმ სირიუსის პასუხი შეხსნა და ჰედვიგს თავისი ბეკონის ნარჩენები შესთავაზა, ჰედვიგმა სიამოვნებით მიირთვა. შემდეგ, როცა ჰარი დარწმუნდა, რომ ფრედი და ჯორჯი ტურნირზე ლაპარაკით იყვნენ გართულები და მათთვის არ ეცალათ, რონს და ჰერმიონს ჩურჩულით წაუკითხა წერილი:

"ძალიან გაიხარეთ, ჰარი.

ოჯახ ჩამოვედი და ხარიმოდან ვიძალები. ჰოგვარტსის ამბები დაწვრილებით ამიხსენი. ჰედვიგი ამ გამოიყენო, ბუები გამოცვალე ხოლმე. ჩემზე ნუ ინაღვლებ და შენს თავს მიხედე. ამ დავავიწყდეს, ნარცისზე ასეც გიახარი. ხარიოლი."

– ბუები რატომ უნდა ცვალო? – ხმადაბლა ჰკითხა რონმა.

– ჰედვიგი ყურადღებას იქცევს და იმიტომ, – არ დააყოვნა განმარტება ჰერმიონმა, – თოვლივით თეთრი ბუ თვალში საცემია. ჰედვიგი ყველას ყურადღებას მიიქცევს, თუ ხშირად დაბრუნდება მისი სამალავიდან... თეთრი ბუ ხომ ამ მხარეში იშვიათია!

ჰარიმ წერილი დაახვია და მანტიაში შეიცურა. ვერ გარკვეულიყო, წერილმა შეუმსუბუქა დარდი, თუ პირიქით, გაუძლიერა. სირიუსის მშვიდობით დაბრუნება კარგი საქმეაო, გაიფიქრა. იმასაც ვერ უარყოფდა, რომ ნათლიის სიახლოვე მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. სხვა თუ არაფერი, როცა მისწერდა, მისი პასუხის ლოდინი ასე დიდხანს აღარ მოუწევდა.

– გმადლობ, ჰედვიგ, – ჰარიმ ბუს ზურგზე ხელი გადაუსვა. მანაც თვლემამორეულმა წამოიკივლა, ფორთოხლის წვენით სავსე ფიალაში ნისკარტი ჩაყო და მერე საბუეში გაფრინდა, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, გემრიელად გამოეძინა.

იმ დღეს ციხე-კოშკში საზეიმო განწყობა სუფევდა. ისეთი დაძაბულები ელოდნენ ბობატონისა და დურმსტრანგის დელეგაციებს, რომ გაკვეთილებზე ყურადღებას ვერავინ იკრებდა. შხამ-წამლების გაკვეთილიც ჩვეულებრივზე უფრო ადვილად ასატანი გახდა, რად-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გან ნახევარი საათით ადრე დასრულდა. როგორც კი ზარი დაირეკა, ჰარი, რონი და ჰერმიონი გრიფინდორის კოშკში აცვივდნენ, ჩანთები და წიგნები დატოვეს, მოსასხამები მოიცვეს და ისევ ჰოლში გამოიქცნენ.

კლუბების ხელმძღვანელები თავ-თავიანთ მოსწავლეებს მწკრივში აყენებდნენ.

– უისლი, ქუდი გაისწორეთ, – მკაცრად მისცა შენიშვნა პროფესორმა მაკგონაგელმა რონს, – მის პეტილ, ეს სასაცილო ნივთი მოიშორეთ თმიდან.

პარვატი მოიღუშა და ნაწნავის ბოლოდან უზარმაზარი დეკორატიული პეპელა მოიხსნა.

– თუ შეიძლება, მომყევით, – ბრძანა პროფესორმა მაკგონაგელმა, – პირველკურსელები წინ... ერთმანეთს ხელი არ ჰკრათ...

მოსწავლეები ქვის კიბეებს ჩაუყვნენ და ციხე-კოშკის წინ გამწკრივდნენ. ცივი, ულრუბლო საღამო იდგა, ბინდი წვებოდა, ფერმკრთალი, გამჭვირვალე მთვარე უკვე დაჰნათოდა აკრძალულ ტყეს. ჰარი მეოთხე რიგში, რონსა და ჰერმიონს შორის იდგა. პირველკურსელებში ჩამდგარი დენის ქრივი მოუთმენლად ცქმუტავდა.

– ექვსი საათი ხდება, – რონმა საათზე დაიხედა და მთავარი კარიბჭისკენ მომავალ დაღმართს გახედა, – როგორ ფიქრობ, რით მოვლენ? მატარებლით?

– რაღაც მეეჭვება, – თქვა ჰერმიონმა.

– აბა, მაშ როგორ? ცოცხებით? – ივარაუდა ჰარიმ და ვარსკვლავეებით მოჭედილ ცას ახედა.

– არა მგონია, ასე შორიდან, არა...

– პორტაჟით? – არ ისვენებდა რონი, – ან იქნებ აპარაცია ეხერხებათ, იქნებ იქ, საიდანაც ეგენი მოდიან, ნებადართულია ჩვიდმეტ წლამდე აპარაციის გამოყენება.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, ჰოგვორტსის მიწებზე აპარაციას ვერ გამოიყენებ, – მოუთმენლად შეახსენა ჰერმიონმა.

ჩაბნელებულ მიდამოს გაფაციცებით ათვალიერებდნენ, მაგრამ არსად არაფერი იძვროდა. ირგვლივ ყველაფერი გარინდულიყო, დადუმებულიყო და უჩვეულო არაფერი ეტყობოდა. ჰარის შესცივდა და ინატრა, ნეტავ, მალე ჩამოვიდნენო... იქნებ უცხოელ სტუმრებს მათზე შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდათ და ეფექტურ ჩამოსვლას გეგმავდნენ... ჰარის ბატონ უისლის სიტყვები გაახსენდა: „გვიყვარს თავშეყრის ადგილებში ერთმანეთთან თავის მოწონება“...

ამ დროს უკანა რიგიდან, სადაც მასწავლებლები იდგნენ, დამბლდორის ხმა გაისმა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აჰა, თუ არ ვცდები, ბობატონის დელეგაცია გვიახლოვდება!

– აბა? – ცნობისმოყვარედ დაიძახეს მოსწავლეებმა და სულ სხვადასხვა მხარეს დაიწყეს ყურება.

– აი! – დაიკივლა ერთმა მეექვსეკურსელმა და ხელი ტყისკენ გაიშვირა.

მუქ ლურჯ ცაზე რაღაც დიდი, ცოცხზე ბევრად უფრო დიდი, უფრო სწორად, ას ცოცხზე უფრო დიდი რაღაც მოქროდა ციხე-კოშკისკენ და რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო იზრდებოდა.

ერთ პირველკურსელს ნერვებმა უმტყუნა და მთელი ხმით აწივლდა:

– დრაკონია!

– არა, სულელო... დრაკონი კი არა, მფრინავი სახლია! – დაასკვნა დენის ქრივიმ.

დენისის ვარაუდი სიმართლესთან უფრო ახლოს იყო... როცა გიგანტურმა შავმა სილუეტმა აკრძალული ტყის ხეების კენწეროებს გადაუქროლა და სასახლის ფანჯრებიდან გადმოღვრილი შუქი დაეცა, ეზოში გამოფენილებმა დაინახეს, რომ მათკენ უზარმაზარი, მომწვანო-მოცისფრო, დიდი სახლისოდენა ეტლი მოფრინავდა. შიგ თორმეტი ოქროსფერი, თეთრფაფრიანი სპილოსოდენა ფრთიანი ცხენი იყო შებმული.

მოსწავლეების პირველმა სამმა რიგმა უკან დაიხია. ეტლი ელვის სისწრაფით დაეშვა ძირს და ცხენების უზარმაზარი ფლოქვები ისეთი გამაყრუებელი გრუხუნით დაეხეთქა მიწას, რომ ნევილი შეხტა და მის უკან მდგარ სლიზერინელ მეხუთეკურსელს დააბიჯა ფეხზე. მეორე წამს ეტლი ვეება თვლებით რბილად დახტა მიწაზე. ოქროსფერი ცხენები თავს იქნევდნენ და ცეცხლივით წითელ უზარმაზარ თვალებს აბრიალებდნენ.

სანამ ეტლის კარი გაიღებოდა, ჰარიმ ძლივს მოასწრო მასზე გამოსახული გერბის დანახვა: ორი გადაჯვარედინებული ოქროს ჯადოსნური ჯოხი და თითოეულის წვერიდან მომწყდარი სამი ვარსკვლავი.

ეტლიდან ცისფერ მანტიაში გამოწყობილი ბიჭი გადმოხტა, დაიხარა, წამით კარის ძირთან ხელი აფათურა, ოქროს საფეხურები ჩამოუშვა და მოწიწებით გადახტა უკან. ეტლიდან პრიალა, მაღალქუსლიანი შავი ფეხსაცმელი გამოჩნდა. ფეხსაცმელი საბავშვო ციგისოდენა იქნებოდა, და მას მაშინვე მოჰყვა ყველაზე დიდი ქალი, რომელიც კი ჰარის ოდესმე ენახა. ახლა ცხადი გახდა, რატომ იყო ეტლიცა და ცხენებიც ასეთი დიდი. ქალის დანახვაზე მასპინძლებს სუნთქვა შეეკრათ.

ჰარი ამ ზომის ერთადერთ ადამიანს იცნობდა, ჰაგრიდს. მათ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიმაღლეში ერთი სანტიმეტრიც არ იქნებოდა განსხვავება. მაგრამ, ეტყობა, ჰაგრიდზე თვალი შეჩვეული რომ ჰქონდა, ეს ქალი (რომელიც ამასობაში კიბის საფეხურებზე ჩამოვიდა და მომლოდინე, თვალებდაჭყეტილი ბრბო მოათვალიერა) ბუმბერაზი იმიტომ ეჩვენებოდა. ქალი ჰოლიდან დაფრქვეულ შუქზე რომ გამოვიდა, ლამაზი, ხორბლისფერი სახე, დიდი, შავი, წყლიანი თვალები და არწივისებური ცხვირი გამოუჩნდა. მბზინავი თმა კეფაზე შეეკრა. თავით ფეხამდე შავი სატინის ტანისამოსში გამოწყობილიყო, ყელზე და კოტიტა თითებზე დიდებული ოპალის ქვები უბრწყინავდა.

დამბლდორმა ტაში დაუკრა, მოსწავლეებიც აჰყვნენ. ბევრი მათგანი ცერებზე დგებოდა, რომ უკეთ შეეთვალიერებინა სტუმარი.

ქალს სახეზე თავაზიანი ღიმილი გადაეფინა, დამბლდორისკენ გაემართა და ძვირფასი ქვებით აბრჭყვიალებული ხელი გაუწოდა. დამბლდორი მაღალი იყო, მაგრამ მის ხელზე საამბოროდ დახრა არ დასჭირვებია.

– ძვირფასო მადამ მაქსიმ, – მიმართა მან, – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჰოგვორტსში.

– დამბლიდოღ, – ბოხი ხმით წარმოთქვა მადამ მაქსიმმა, – იმედია კაღგატ, ბზანდებიტ.

– გმადლობთ, შესაშურ ფორმაში ვარ, – უპასუხა დამბლდორმა.

– ჩემი მოსცავლეები, – მადამ მაქსიმმა უზარმაზარი ხელი ზურგს უკან სასხვათაშორისოდ გაიქნია.

ჰარიმ, რომლის ყურადღება მთლიანად მადამ მაქსიმს მიეპყრო, ახლაღა შეამჩნია, რომ ეტლიდან თორმეტიოდე ბიჭი და გოგო გადმოსულიყვნენ და ქალის უკან იდგნენ. ისინი ჰარიზე ცოტათი უფროსები იქნებოდნენ. თხელი აბრეშუმის მანტიები ემოსათ და სიცივისგან კანკალებდნენ. ზოგს გასათბობად შარფი ან შალი შემოეხვია თავზე. მათ მადამ მაქსიმის ვეება ჩრდილი ფარავდა, მაგრამ ჰარიმ მაინც მოახერხა იმის შემჩნევა, რომ ჰოგვორტსს შიშით ასცქეროდნენ.

– კაღკაღოვი უკვე ჩამოვიდა? – იკითხა მადამ მაქსიმმა.

– წუთიწუთზე აქ იქნება, – მიუგო დამბლდორმა, – როგორ გირჩევნიათ, აქ დაელოდოთ და დახვდეთ, თუ შიგნით შეხვიდეთ და ცოტათი გათბეთ?

– ალბატ, გატბობა, – გადაწყვიტა მადამ მაქსიმმა, – მაგღამ ცხენები...

– ჩვენი ჯადოსნურ არსებათა მოვლის მასწავლებელი სიამოვნებით მიხედავს მათ, – დააიმედა დამბლდორმა, – როგორც კი მოაგვარებს ერთ უმნიშვნელო პრობლემას, რომელიც მისი სხვა მმმ... მოვალეობის შესრულებისას წამოიჭრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ცეცხლაკუდები, – ღიმილით გადაუჩურჩულა რონმა ჰარის.

– ჩემს ღაშებს ზლიეღი ხელი სჩიღდებათ, – მადამ მაქსიმი ეტყობა, ეჭვობდა, რომ მის ცხენებს ჰოგვორტსის ვიღაც ჯადოსნურ არსებათა მოვლის მასწავლებელი მოერეოდა, – ისინი ზალიან ზლიეღები არიან...

– გარწმუნებთ, რომ ჰაგრიდი ამ საქმეს მშვენივრად გაართმევს თავს, – გაუღიმა დამბლდორმა.

– ზალიან კაღგი, – მადამ მაქსიმმა ოდნავ დაუკრა თავი, – ტუ შეილება, გადაეციტ, ღომ ცხენები მხოლოდ ქეღის ვისკის სვამენ.

– აუცილებლად გადავცემ, – დამბლდორმაც დაუკრა თავი.

– ცამოდით, – უბრძანა თავის მოსწავლეებს მადამ მაქსიმმა. ჰოგვორტსელები შუაზე გაიყვნენ და სტუმრები ქვის კიბეებზე აატარეს.

– როგორ ფიქრობ, დურმსტრანგის ცხენები რამხელები იქნებიან? – ჰკითხა ჰარისა და რონს ლევენდერისა და პარვატის თავებს ზემოთ გადმოხრილმა სიმუს ფინიგანმა.

– ამათზე დიდები თუ არიან, ჰაგრიდიც კი ველარ მოერევა, – უპასუხა ჰარიმ, – ჯერ კიდევ საკითხავია, თავის ცეცხლაკუდებს გადაურჩა ცოცხალი თუ არა. ნეტავ იმ ცეცხლაკუდებს რაღა დაეტაკათ?

– იქნებ გაიქცნენ, – იმედი მიეცა რონს.

– რას ამბობ, – გააჟრჟოლა ჰერმიონს, – წარმოგიდგენია, მაგ არსებებმა ჰოგვორტსის არემარეზე თავისუფლად რომ ითარეშონ...

დურმსტრანგის დელეგაციის მოლოდინში უკვე ყველა კანკალმა აიტანა. უმრავლესობა იმედით იყურებოდა ცაში. რამდენიმე წუთის განმავლობაში სიჩუმეს მხოლოდ მადამ მაქსიმის უზარმაზარი ცხენების ფრუტუნი და ფლოქვების ცემა არღვევდა. და უცებ...

– გესმით რაღაც ხმა? – მოულოდნელად იკითხა რონმა.

ჰარიმ ყურები ცქვიტა. სიბნელიდან მათკენ ძალიან უცნაურმა ხმაურმა მოატანა: ყრუ გრუხუნს თან ერთვოდა შესრუტვის ხმა, თითქოს მდინარის ფსკერზე ვეება მტვერსასრუტი მოძრაობსო...

– ტბა! – დაიღრიალა ლი ჯორდანმა და ტბისკენ გაიშვირა ხელი, – ტბას შეხედეთ!

ამ ადგილიდან ჰოგვორტსის სამფლობელო ხელისგულივით ჩანდა და ტბის გლუვ, შავ ზედაპირსაც კარგად ხედავდნენ, მაგრამ უცებ ეს გლუვი ზედაპირი აღელდა, დიდი ბუშტუკებით დაიფარა და ატალახებული ნაპირები ტალღებმა გადმოლახა. შემდეგ ტბის შუაგულში მორევი გაჩნდა, თითქოს ფსკერიდან ვიღაცამ უზარმაზარი საცობი ამოაძროო.

მორევის შუაგულიდან შავი ბოძის მსგავსი რაღაც ამოიზარდა... და ჰარიმ გემსართავი დაინახა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ანძაა, – უთხრა რონს და ჰერმიონს.

წყლიდან ნელა, დინჯად ამოიზარდა მთვარის შუქით გაბრწყინებული გემი. რატომღაც გემის ჩონჩხს უფრო ჰგავდა, თითქოს დაღუპული ხომალდის ნამსხვრევებისგან აღადგინესო. ბუნდოვანი შუქით განათებული ილუმინატორები კი მოჩვენების თვალებს მიუგავდა. ბოლოს, ხმამაღალი შხაპუნით, გემი მთლიანად ამოიწია და ათუხთუხებულ წყალზე რწევა-რწევით ნაპირისკენ გამოცურა. რამდენიმე წამში გაისმა მეჩხერ წყალში ღუზის ჩაშვების ხმა და ნაპირზე ბრახუნით გადეს ფიცარი.

გემიდან ხალხმა დაიწყო გადმოსვლა. ილუმინატორების შუქზე მათი მოძრავი მუქი ფიგურები გამოჩნდა. აღნაგობით კრაბსა და გოილს არც ერთი არ ჩამოუვარდებოდა...

მაგრამ, როდესაც ციხე-კოშკს მოუახლოვდნენ და გაბრდღვიალებული ჰოლის შუქით განათებულ ეზოში შემოვიდნენ, ჰარიმ დაინახა, რომ გაბურძგნილი ბეწვის მოსასხამების გამო მოეჩვენა დიდებად. იმ კაცს კი, რომელიც მათ მოუძღოდა, სულ სხვანაირი ბეწვის ქურქი ემოსა: პრიალა და თავის თმასავით ვერცხლისფერი.

– დამბლდორ! – გულთბილად დაიძახა მან და ფერდობი ამოიარა, – როგორ ბრძანდებით, ჩემო ძვირფასო მეგობარო?

– გმადლობთ, ბრწყინვალედ, პროფესორო კარკაროვ, – უპასუხა დამბლდორმა.

კარკაროვს მელოდიური, დათაფლული ხმა ჰქონდა. შუქზე გამოჩნდა, რომ ისიც დამბლდორივით მაღალი და გამხდარი იყო, მაგრამ ჭაღარა თმა მოკლედ შეეკრიჭა. თხის წვერის მსგავსი აპრეხილი წვერი უნებისყოფობის მანიშნებელ ნიკაპს ძლივს უფარავდა. კარკაროვი დამბლდორთან მივიდა, მისი ხელები ორივე ხელში მოიქცია და მაგრად ჩამოართვა.

– ძვირფასი ბებერი ჰოგვორტსი, – ღიმილით ახედა ციხესიმაგრეს. კბილები საკმაოდ ჩაჰყვითლებოდა და ჰარის არ გამოეპარა, რომ ღიმილის დროსაც კი მზერა ცივი და გამჭოლი ჰქონდა, – რა კარგია აქ ყოფნა, რა კარგია... ვიქტორ, წამოდი, სითბოში შევიდეთ... წინააღმდეგი ხომ არ ხართ, დამბლდორ? ვიქტორს სურდო აქვს...

კარკაროვმა ხელით მიიხმო თავისი ერთ-ერთი მოსწავლე. ბიჭის დიდი, კეხიანი ცხვირისა და ხშირი შავი წარბების დანახვაზე რონმა ჰარის მუჯლუგუნი წაჰკრა და ყურში ჩასჩურჩულა:

– ჰარი, კრამი!

ჰარის შეხსენება არ სჭირდებოდა. მაშინვე იცნო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთექვსმეტე

ცეცხლოვანი თასი

– თვალებს ვერ ვუჯერებ! – დაიჩურჩულა გაოგნებულმა რონმა, როცა ჰოგვორტსის სტუდენტები კიბეზე დურმსტრანგელებს მიჰყვნენ, – კრამი, ჰარი! ვიქტორ კრამი!

– კარგი ერთი, რონ, ის ხომ მხოლოდ ქვიდიჩის მოთამაშეა და მეტი არაფერი? – მხრები აიჩეჩა ჰერმიონმა.

– მხოლოდ ქვიდიჩის მოთამაშე? – გადაირია რონი, – ჰერმიონ, ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სიკერია. რას წარმოვიდგენდი, რომ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა!

ჰოლში რომ შევიდნენ, ჰარიმ დაინახა, როგორ დგებოდა ფეხის წვერებზე ლი ჯორდანი, რომ როგორმე კრამის კეფისთვის მოეკრა თვალი. რამდენიმე მეექვსეკურსელი გოგონა გზადაგზა გაშმაგებით იჩხრეკდა ჯიბეებს:

– ვაიმე, ერთი ფრთაც კი არ წამომიღია... როგორ ფიქრობ, პომადით მომიწერს ქუდზე ხელს?

– მეტი საქმე არა აქვთ! – ცხვირი აიბზუა ჰერმიონმა, როცა გოგონებს ჩაუარეს; ისინი ახლა უკვე პომადისთვის ძიძგილაობდნენ.

– როგორმე ავტოგრაფი უნდა გამოვართვა, – გადაწყვიტა რონმა, – ჰარი, ბატის ფრთა ხომ არა გაქვს?

– არა, მაღლა მაქვს, ჩანთაში, – თქვა ჰარიმ.

გრიფინდორის მაგიდასთან მივიდნენ და დასხდნენ. რონი განგებ ისე დაჯდა, რომ კარისკენ ეცქირა, რადგან კრამი და მისი თანასკოლელები კართან მოგროვილიყვნენ და ეტყობოდათ, ვერ გადაეწყვიტათ, სად დამსხდარიყვნენ. ბობატონელებმა რეივენქლოს მაგიდასთან დაჯდომა ირჩიეს. აქეთ-იქით იყურებოდნენ და დიდ დარბაზს პირქუში გამომეტყველებით ათვალიერებდნენ. სამ მათგანს ჯერაც არ მოეხსნა შარფი თავიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არც ასე ცივა, – გაღიზიანდა მათი შემყურე ჰერმიონი, – რა, მოსასხამების წამოღება გაუჭირდათ?!

– აქეთ წამოდით, აქეთ! აქ დასხედით! – ხელს უქნევდა რონი, – აქეთ! ჰერმიონ, ცოტა ჩაიწიე, ადგილი გაათავისუფლე...

– რაოო?

– ეჰ, დავაგვიანეთ, – ამოიოხრა იმედგაცრუებულმა რონმა.

ვიქტორ კრამი და სხვა დურმსტრანგელი მოსწავლეები სლიზერინის მაგიდასთან დასხდნენ. მალფოი, კრაბი და გოილი მეცხრე ცაზე იყვნენ. მალფოიმ არ დააყოვნა, მაშინვე კრამისკენ გადაიხარა და საუბარი გაუბა.

– ჰოო, მიდი, შეეტენე, მალფოი, – გესლიანად გამოსცრა კბილებში რონმა, – ნაძლევს ჩამოვალ, კრამი კოჭებში ატყობს, რა ჩიტიცაა... დარწმუნებული ვარ, ხალხის მლიქვნელობას მიჩვეულია... როგორ ფიქრობ, სად აპირებენ ძილს? იქნებ, ჩვენს საძინებელში ადგილი შეგვეთავაზებინა, ჰარი... მე სიამოვნებით დავუთმობდი ჩემს საწოლს და გასაშლელ საწოლზე დავიძინებდი.

ჰერმიონმა ჩაიფრუტუნა.

– ისე, ისინი უფრო მხიარულები ჩანან, ვიდრე ბობატონელები, – შენიშნა ჰარიმ.

დურმსტრანგელი მოსწავლეები გაბურძგნილ ქურქებს იხდიდნენ და ცნობისმოყვარედ იხედებოდნენ მაღლა, ვარსკვლავებით მოჭედილ ჩაბნელებულ ჭერში. ზოგი ოქროს თეფშებს და ფიალებს იღებდა და დაუფარავი აღტაცებით ატრიალებდა ხელში.

დარბაზის თავში სკოლის დარაჯი, ფილჩი მასწავლებლების მაგიდას სკამებს უმატებდა. ამ დღისთვის საზეიმოდ გამოწყობილიყო და ძველი, გაცვეთილი ფრაკი ჩაეცვა. ჰარი გაოცდა, როცა დარაჯმა მაგიდას ოთხი სკამი დაუმატა, ორ-ორი – დამბლდორის აქეთ-იქით.

– სულ ხომ ორით მეტი კაცი იქნება, ფილჩი ოთხ სკამს რატომ დგამს? კიდევ ვინ მოდის?

– ა? – უგულისყუროდ გაეპასუხა რონი. ის ჯერაც კრამს ჭამდა თვალებით.

როდესაც დარბაზი მოსწავლეებით გაივსო, მასწავლებლებიც შემოვიდნენ და მთავარ მაგიდასთან სათითაოდ დაიკავეს ადგილები. სულ ბოლოს პროფესორი დამბლდორი, პროფესორი კარკაროვი და მადამ მაქსიმი დასხდნენ. ბობატონელი მოსწავლეები თავიანთი დირექტორის შემოსვლაზე სკამებიდან წამოხტნენ. რამდენიმე ჰოგვორტსელ მოსწავლეს გაეცინა. მაგრამ ბობატონელებს ეს სრულიად არ ეხამუშათ და სანამ მადამ მაქსიმი დამბლდორის მარცხნივ არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაბრძანდა, არც ისინი დასხდნენ. დამბლდორი კი ფეხზე დარჩა და დიდ დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა.

– მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო, მოჩვენებებო და... განსაკუთრებით, ჩვენო სტუმრებო, – განაცხადა მან და უცხოელ მოსწავლეებს გაუღიმა, – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჰოგვორტსში. იმედი მაქვს და მჯერა, რომ აქ მყუდროდ მოეწყობით და სასიამოვნოდ გაატარებთ დროს.

ერთ-ერთმა ბობატონელმა გოგონამ, რომელსაც ჯერაც არ მოეხსნა შარფი თავიდან, აშკარად დამცინავად გადაიკისკისა.

– დარჩენას არავინ გაიძულებს! – ყალყზე შედგა ჰერმიონი.

– ტურნირის ოფიციალური გახსნა ამ საღამოს, ნადიმის დასასრულს შედგება, – გამოაცხადა დამბლდორმა, – ახლა კი გთხოვთ, მიირთვათ და თავი ისე იგრძნოთ, როგორც შინ!

დამბლდორი დაჯდა. კარკაროვმაც მაშინვე მუსაიფი გაუბა.

თეფშები, როგორც ყოველთვის, საჭმლით გაივსო. როგორც ჩანს, შინაურ ელფებს მეტისმეტი მონდომება გამოეჩინათ. ამდენნაირი საჭმელი ჰარის ჯერ არ ენახა, ზოგიერთი კერძის სახელი არც კი იცოდა.

– ეს რა არის? – რონმა უზარმაზარი, ხორცისა და თირკმლის პუდინგის გვერდით მდგარ კერძზე მიუთითა, რომელიც ჩაშუშულ ხამანწკებს წააგავდა.

– ბუიაბესი, – უთხრა ჰერმიონმა.

– შენ საიდან იცი? – გაუკვირდა რონს.

– ფრანგული საჭმელია, – აუხსნა ჰერმიონმა, – ორი წლის წინ ზაფხულის არდადეგებზე გავსინჯე, ძალიან გემრიელია.

– მჯერა, გენდობი, – თქვა რონმა და ბლომად გადაიღო ნაცნობი შავი პუდინგი.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ოციოდე კაცი იყო შემომატებული, დიდი დარბაზი ჩვეულებრივზე ბევრად ხალხმრავალი ჩანდა. ამ შთაბეჭდილებას, ალბათ, ის ქმნიდა, რომ ჰოგვორტსულ შავ მანტიებს ნაირფერი ფორმები შეერია. დურმსტრანგის მოსწავლეებმა ბეწვის ქურქები რომ გაიხადეს, აღმოჩნდა, რომ მუქი, სისხლივით წითელი ფორმები ეცვათ.

ბანკეტის დაწყებიდან ოც წუთში უკანა კარიდან დიდ დარბაზში ჰაგრიდი შემოვიდა, თავის ადგილას, მთავარი მაგიდის სულ განაპირა სკამზე დაჯდა და ჰარის, რონსა და ჰერმიონს სქლად შებინტული ხელი დაუქნია.

– ცეცხლაკუდები როგორ გყავს, ჰაგრიდ? – გასძახა ჰარიმ.

– გადასარევად, – მხიარულად უპასუხა ჰაგრიდმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გადასარევად იქნებიან, აბა, რა, – ჩუმად თქვა რონმა, – ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეს, რა საჭმელი უყვართ – ჰაგრიდის თითები.

– ბოდიში, ბუიაბესი გინდათ? – მოესმათ ვიღაცის ხმა.

ეს ის ბობატონელი გოგონა იყო, რომელმაც დამბლდორის მისასალმებელი სიტყვის დროს გაიცინა. როგორც იქნა, შარფი მოეხსნა. გრძელი, მოვერცხლისფრო ქერა თმა წელამდე სწვდებოდა. დიდი მუქი ლურჯი თვალები და ქათქათა, ჩაწიკწიკებული კბილები ჰქონდა.

რონი კიბორჩხალასავით გაწითლდა, გოგონას მიაჩერდა და პირი გააღო, რომ ეპასუხა, მაგრამ მხოლოდ ხიხინი აღმოხდა.

– არა, წაიღეთ, – ჰარიმ თეფში გოგონას მიუწია.

– თქვენ უკვე ჩამეთ?

– კი, – ამოიბლუკუნა სუნთქვაშეკრულმა რონმა, – ძალიან გემრიელი იყო.

გოგონამ კერძი აიღო და ფრთხილად წაიღო რეივენქლოს მაგიდისკენ. რონმა ისე გააყოლა მზერა, თითქოს გოგო ცხოვრებაში პირველად ნახა. ჰარის სიცილი აუვარდა. მისმა სიცილმა რონი გონზე მოიყვანა.

– ეს გოგო ნაღდად ვიილაა, – ჩახლეჩილი ხმით უთხრა ჰარის.

– სულაც არა! – მკვახედ მოუჭრა ჰერმიონმა, – რაღაც ვერ ვხედავ, შენ გარდა, ვინმე იდიოტივით პირდაღებული მისჩერებოდეს.

მაგრამ ჰერმიონი ცდებოდა – როდესაც გოგონამ დარბაზი გაიარა, ბევრმა ბიჭმა გააყოლა თვალი და ზოგს ეტყობოდა, რომ რონივით ჩაუვარდა ენა.

– გეუბნები, ეს ჩვეულებრივი გოგო არ არის! – რონი გვერდზე გადაიხარა, რომ კარგად დაენახა რეივენქლოს მაგიდა, – ჰოგვორტსში ასეთი გოგოები არ არიან.

– ჰოგვორტსში მშვენიერი გოგოები არიან, – წამოსცდა ჰარის. ვერცხლისფერთმიანი გოგონასგან რამდენიმე სკამის მოშორებით ჩო ჩენგი იჯდა.

– როცა მოიცლით და იქით გაიხედავთ, დაინახავთ, ვინ მოვიდა, – მკვირცხლად თქვა ჰერმიონმა და ბიჭები მასწავლებლების მაგიდისკენ გაახედა. ორი დარჩენილი ცარიელი სკამი უკვე დაეკავებინათ. პროფესორ კარკაროვის გვერდით ლუდო ბეგმანი იჯდა, მადამ მაქსიმის გვერდით კი – პერსის უფროსი, ბატონი კრაუჩი.

– აქ რას აკეთებენ? – გაუკვირდა ჰარის.

– მათ არ მოამზადეს სამი ჯადოქრის ტურნირი? – იკითხა ჰერმიონმა, – ჰოდა, ალბათ, მოვიდნენ, რომ გახსნას დაესწრონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დესერტი რომ მოართვეს, ბავშვებმა რამდენიმე უცნობი პუდინგი შეამჩნიეს. რონმა ღია ფერის ბლომანჟეს გემო გაუსინჯა და ოდნავ განზე გასწია, რომ რეივენქლოს მაგიდასთან მსხდომთ კარგად დაენახათ. მაგრამ, როგორც ჩანდა, ვიილას მსგავსმა გოგონამ საკმარისად მიირთვა, რადგან მის წასაღებად აღარ მოსულა.

როგორც კი ოქროს თეფშები დაცარიელდა, დამბლდორი ისევ წამოდგა. დარბაზი სასიამოვნო დაძაბულობით აივსო. ჰარის გული მოლოდინით შეუფრთხიალდა. ფრედი და ჯორჯი წინ გადახრილიყვნენ და დირექტორს თვალებანთებულნი ყურადღებით მისჩერებოდნენ.

– დადგა გადამწყვეტი წუთი, – გამოაცხადა დამბლდორმა და მისკენ მიპყრობილ უამრავ სახეს გაუღიმა, – სადაცაა, გაიხსნება სამი ჯადოქრის ტურნირი. სანამ ზარდახშას შემოვიტანთ...

– რას შემოვიტანთო? – ვერ გაიგო ჰარიმ.

რონმა მხრები აიჩეჩა.

– რამდენიმე სიტყვით განგიმარტავთ იმ წესებს, რომელთა მიხედვითაც ჩატარდება წლევანდელი ტურნირი. მაგრამ, ნება მომეცით, ჯერ წარმოგიდგინოთ საერთაშორისო ჯადოქრული ურთიერთობების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი ბარტემიუს კრაუჩი... – კანტიკუნტად გაისმა თავაზიანი ტაში, – და მაგიური თამაშებისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ლუდო ბეგმანი. ბეგმანს უფრო გულთბილი ოვაცია ხვდა წილად, ვიდრე კრაუჩს, შესაძლოა, წარსულში მისი კარგი ბიტერობის გამო, ან, უბრალოდ, იმიტომ, რომ მას უფრო ალერსიანი იერი ჰქონდა. ბეგმანმა ხელის მეგობრული დაქნევით დააფასა ტაში. ბარტემიუს კრაუჩს კი არც გაუღიმია და არც ხელის ქნევით შეუწუხებია თავი, როცა მისი სახელი გამოაცხადეს. ჰარის გაახსენდა, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე როგორი წუნდაუდებელი კოსტიუმი ეცვა და გაიფიქრა, რა უცნაურად გამოიყურება ჯადოქრულ ტანსაცმელშიო. მისი კბილისჯაგრისისებური ულვაში და მკაცრი სიზუსტით გადაყოფილი თმა დამბლდორის თეთრი თმა-წვერის გვერდით უცნაურ კონტრასტს ქმნიდა.

– ბატონმა ბეგმანმა და ბატონმა კრაუჩმა სამი ჯადოქრის ტურნირის მოსამზადებლად ბოლო თვეების განმავლობაში დიდი შრომა გასწიეს, – განაგრძო დამბლდორმა, – ისინი ჩემთან, პროფესორ კარკაროვთან და მადამ მაქსიმთან ერთად წარმოადგენენ ჟიურის, რომელიც შეაფასებს ჩემპიონებს.

სიტყვა „ჩემპიონის“ გაგონებაზე მსმენელებმა ყურები ცქვიტეს.

ეტყობა, დამბლდორს არ გამოეპარა უეცრად ჩამოწოლილი სამარისებული სიჩუმე, რადგან ჩაიღიმა და თქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ზარდახშა, თუ შეიძლება, ბატონო ფილჩ.

აქამდე დარბაზის შორეულ კუთხეში მიყუჟული ფილჩი მაშინვე დამბლდორს მიეახლა, ხელში პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ხის დიდი ზარდახშა ეჭირა. ზარდახშა ძველისძველი ჩანდა. ცნობისმოყვარეობით ანთებული სტუდენტები აღელვებულები აჩურჩულდნენ. დენის ქრივი სკამზეც კი შედგა, რომ წესიერად დაენახა, მაგრამ ისეთი მოცუცქნული იყო, რომ სხვების თავებს მაინც ვერ ასცდა.

– ტურნირის ინსტრუქცია საფუძვლიანად შეამოწმეს ბატონმა კრაუჩმა და ბატონმა ბეგმანმა, – თქვა დამბლდორმა, როცა ფილჩმა ზარდახშა ფრთხილად დაუდო მაგიდაზე, – მათ, ასევე, ყველა აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარეს თითოეული დავალებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში ჩემპიონები სამად-სამ დავალებაში გამოიცდებიან. მათ უნდა გამოავლინონ ჯადოქრული ვაჟკაცობა, გამბედაობა, ლოგიკური აზროვნება და, რასაკვირველია, საფრთხესთან გამკლავების უნარი.

სიტყვა „საფრთხეზე“ დარბაზი ისე გაისუსა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი.

– როგორც უკვე იცით, ტურნირში სამი ჩემპიონი მონაწილეობს, – აუღელვებლად განაგრძო დამბლდორმა, – ყოველი მონაწილე სკოლიდან – ერთი. მათ იმის მიხედვით შეაფასებენ, თუ როგორ გაართმევენ თავს ტურნირის თითოეულ დავალებას. ჩემპიონი, რომელიც სამივე ტურის შემდეგ ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს, მოიპოვებს სამი ჯადოქრის ტურნირის თასს. ჩემპიონებს აირჩევს მიუკერძოებელი მსაჯული – ცეცხლოვანი თასი.

დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ზარდახშის სახურავს სამჯერ დაუკაკუნა. სახურავი ნელა, ჭრიალით აიხადა. დამბლდორმა შიგ ხელი ჩაყო და ამოიღო ხისგან უხეშად გამოჩორკნილი თასი. თასი არავის ყურადღებას არ მიიპყრობდა, მოცეკვავე, მოლურჯო-მოთეთრო ცეცხლის ენებით სავსე რომ არ ყოფილიყო. დამბლდორმა ზარდახშა დახურა და მასზე ფრთხილად დადგა თასი, რათა ყველას კარგად დაენახა.

– ჩემპიონობაზე კანდიდატურის წამოყენების მსურველებმა პერგამენტის ნაჭერზე გარკვევით უნდა დაწერონ თავისი სახელი და სკოლის დასახელება და თასში ჩააგდონ, – გამოაცხადა დამბლდორმა, – მოსაფიქრებლად ოცდაოთხი საათი ეძლევათ. ხვალ საღამოს ჰელოუინზე თასი დაგვიბრუნებს მხოლოდ მათ სახელებს, რომლებსაც საკუთარი სკოლის წარმოდგენის ღირსად მიიჩნევს. ამ საღამოს თასს ჰოლში დავდგამთ, სადაც ის სრულიად ხელმისაწვდომი იქნება ტურნირის ნებისმიერი მსურველისთვის. რათა თავი დავიზღვიოთ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმისგან, რომ არც ერთი მცირეწლოვანი მოსწავლე არ აჰყვეს ცდუ-ნებას, მე თასის ირგვლივ ასაკობრივ ზღვარს გავავლებ. მას ვერც ერთი ჩვიდმეტ წლამდე ასაკის მოსწავლე ვერ გადააბიჯებს. და ბოლოს, მინდა, მსურველები გავაფრთხილო, რომ ამ ტურნირში მონაწილეობა ნაჩქარევად არ გადაწყვიტოთ. ის ჩემპიონი, ვისაც ცეცხლოვანი თასი აირჩევს, ვალდებულია, ტურნირი ბოლომდე მიიყვანოს. თქვენი სახელის თასში მოთავსებით თქვენ ერთგვარ მაგიურ კონტრაქტს დებთ. მას შემდეგ, რაც ჩემპიონი გახდებით, გადაფიქრება არ შეიძლება. ამიტომ, გთხოვთ, სანამ სახელს თასში ჩააგდებდეთ, გაიაზრეთ, ნამდვილად მზად ხართ თუ არა საასპარე-ზოდ. ახლა უკვე ძილის დროა. ძილი ნებისა ყველას!

– ასაკობრივი ზღვარი! – თვალები წამოენთო ფრედ უისლის, როდესაც გზას იკვლევდნენ ჰოლში გამავალი კარებისკენ. – ამას, მგონი, შეიძლება, დამაბერებელი სასმელით ეშველოს, არა? თუ მოახერხე და შენი სახელი ჩააგდე, თავი ქუდში გაქვს, თასი ხომ ვერ მიხვდება, ჩვიდმეტისა ხარ თუ არა!

– მაგრამ, არა მგონია, ჩვიდმეტ წლამდე ასაკის ვინცაა, გამოცდას გაუძლოს, – ივარაუდა ჰერმიონმა, – ჩვენ ხომ ჯერ საკმარისი ცოდნა არა გვაქვს.

– შენი არ ვიცი, და ჩვენ კი გვაქვს! – მოუჭრა ჯორჯმა, – ჰარი, შენ ხომ ეცდები, ტურნირზე მოხვდე?

ჰარის მაშინვე გაახსენდა დამბლდორის მკაცრი განცხადება: ჩვიდ-მეტ წლამდე ასაკის მოსწავლეებმა თავიანთი თავი არ უნდა წარად-გინონო, მაგრამ იმავე წამს თავისი თავი გონებაში ისევ ტურნირის გამარჯვებულად წარმოიდგინა... გაიფიქრა, ნეტავ ძალიან გაბრაზ-დება დამბლდორი, ვინმე მცირეწლოვანმა რომ ასაკობრივი ხაზის გადაბიჯების გზა გამონახოსო...

– სად არის? – რონს მათი საუბრიდან სიტყვაც არ გაუგია, თვა-ლებს აცეცებდა და ბრბოში კრამს ეძებდა, – დამბლდორს ხომ არ უთქვამს, სად უნდა დაიძინონ დურმსტრანგელებმა?

პასუხმაც არ დააყოვნა. სლიზერინელების მაგიდას რომ გაუს-წორდნენ, თავის მოსწავლეებთან პროფესორი კარკაროვი მიიჭრა და უბრძანა:

– აბა, წავედით გემზე! ვიქტორ, თავს როგორ გრძნობ? ხომ კარ-გად ჭამე? გინდა, სამზარეულოდან შემთბარი ღვინო ამოვატანინო?

კრამმა უარის ნიშნად თავი გააქნია და ბეწვის ქურქი მოისხა.

– პროფესორო, მე მინდა ცოტა ღვინო, – იმედი მიეცა ერთ-ერთ დურმსტრანგელ ბიჭს.

– შენთვის არაფერი შემომითავაზებია, პოლიაკოვ! – შეუღრინა კარკაროვმა და მისი მზრუნველი მამობრივი ტონი მაშინვე უკვალოდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაქრა. – როგორც ვხედავ, ისევ ჩამოგითხვრია ტანსაცმელი, შე ფეთხუმო, შენა!

კარკაროვი მიბრუნდა და თავის მოსწავლეებს კარისკენ გაუძღვა. კარს ზუსტად იმ დროს მიუახლოვდა, როდესაც ჰარი, რონი და ჰერმიონი გადიოდნენ. ჰარი გაჩერდა, რომ კარკაროვი წინ გაეტარებინა.

– გმადლობთ, – ცალყბად მიუგდო კარკაროვმა და ცერად გახედა.

გახედა და გაშრა. გაშეშებული იდგა და განცვიფრებული მიშტერებოდა ჰარის, ჰარის კი არა, მის ნაიარევს! დირექტორის უკან მოსწავლეებიც გაჩერდნენ და ისინიც ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ ჰარის. ზოგს, ცოტა არ იყოს, შიშიც კი დაეტყო. საჭმლით მოთხვრილმა ბიჭმა გვერდით მდგარ გოგონას იდაყვი წაჰკრა და მოურიდებლად მიუთითა ჰარის შუბლზე.

– ჰო, ეს ჰარი პოტერია, – გაისმა მათ ზურგს უკან ჩახლეჩილი ხმა.

პროფესორი კარკაროვი სწრაფად შეტრიალდა. შორიახლოს ხელჯოხზე დაყრდნობილი მრისხანეთვალა მუდი იდგა და ჯადოსნური თვალით დაუხამხამებლად ბურღავდა დურმსტრანგის დირექტორს.

კარკაროვს ფერი დაეკარგა, სახე მრისხანებისგან დაელმიჭა.

– შენ ხარ? – მხოლოდ ეს გამოსცრა კბილებში.

– დიახ, მე ვარ, – პირქუშად დაუდასტურა მუდიმ, – და თუ პოტერისთვის არაფერი გაქვს სათქმელი, კარკაროვ, იქნებ, გაიარო, გზას კეტავ.

ასეც იყო, მათ უკან უკვე ნახევარი დარბაზი იცდიდა. ბავშვები ფეხის წვერებზე დგებოდნენ, რომ დაენახათ, რა ხდებოდა წინ.

პროფესორმა კარკაროვმა სიტყვის უთქმელად წაასხა თავისი მოსწავლეები. მუდის თვალი არ მოუშორებია დურმსტრანგის დირექტორისთვის, მისი ჯადოსნური მზერა კარკაროვის ზურგს მისჯაჭვოდა და დასახიჩრებულ სახეზე საშინელი სიძულვილი აღბეჭდოდა.

* * *

შაბათობით მოსწავლეთა უმეტესობა სასაუზმოდ, ჩვეულებრივ, გვიან მიდიოდა ხოლმე. მაგრამ ეს შაბათი მხოლოდ ჰარის, რონისა და ჰერმიონისთვის არ ყოფილა გამონაკლისი. ჰოლში რომ ჩავიდნენ, ცეცხლოვანი თასის ირგვლივ უკვე ოცამდე მოსწავლე ირეოდა, ზოგს გახუხული პური ჩაებღუჯა, ილუკმებოდა და თასს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ცეცხლოვანი თასი ზუსტად ჰოლის შუაგულში დაედგათ იმ დაბალ, სამფეხა სკამზე, რომელზეც გამანაწი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლებელ ქუდს დებდნენ ხოლმე. იატაკზე გავლებული წვრილი ოქროსფერი ხაზი სკამს სამი მეტრის რადიუსით წრედ ევლებოდა.

– ვინმემ ჩააგდო სახელი? – მოუთმენლად ჰკითხა რონმა ერთ მესამეკურსელ გოგოს.

– ყველა დურმსტრანგელმა, მაგრამ ჯერ არც ერთი ჰოგვორტსელი არ დამინახავს, – უპასუხა გოგონამ.

– სანაძლეოს დავდებ, ზოგმა ღამით ჩააგდო, ჩვენ რომ დასაძინებლად წავედით, მერე, – თქვა ჰარიმ, – მე, მაგალითად, ასე მოვიქცეოდი... სულაც არ არის სასიამოვნო, როცა ასეთ დროს ვინმე გიყურებს. ხომ შეიძლება, თასმა ისევ უკან ამოაგდოს შენი პერგამენტი?

ჰარის ზურგს უკან სიცილი გაისმა. ჰარი შებრუნდა და დაინახა, რომ ფრედი, ჯორჯი და ლი ჯორდანი კიბეზე კისრისტეხით ჩამორბოდნენ. სამივე საოცრად აღფრთოვანებული ჩანდა.

– მორჩა, – ზარ-ზეიმით უჩურჩულა ფრედმა ჰარის, რონსა და ჰერმიონს, – ეს-ესაა მივიღე.

– რა? – ვერ მიხვდა რონი.

– დამაბერებელი სასმელი, შე ცალტვინავ, – აუხსნა ფრედმა.

– სამივემ – თითო-თითო წვეთი, – ხელები მოიფშვნიტა სახეგაბრწყინებულმა ჯორჯმა, – ჩვენ ხომ მხოლოდ რამდენიმე თვის მომატება გვჭირდება.

– თუ რომელიმე ჩვენგანმა გაიმარჯვა, ათას გალეონს სამივე გავიყოფთ, უკვე მოვილაპარაკეთ, – ბედნიერად იღიმებოდა ლი.

– იცით, რაღაც მეეჭვება, ამან გაჭრას, – გააფრთხილა ჰერმიონმა, – დარწმუნებული ვარ, დამბლდორი ამას გაითვალისწინებდა.

ფრედმა, ჯორჯმა და ლიმ ჰერმიონს წაუყრუეს.

– აბა, მზად ხართ? – მიმართა მღელვარებისგან აკანკალებულმა ფრედმა დანარჩენ ორს, – მომყევით, ჯერ მე წავალ.

ჰარი მონუსხულივით უცქეროდა, როგორ ამოიღო ფრედმა ჯიბიდან პერგამენტის ნაგლეჯი, რომელზეც ეწერა: „ფრედ უისლი, ჰოგვორტსი“. მერე ზედ ხაზთან მივიდა და ცერებზე ისე აიწია, თითქოს თერთმეტი მეტრის სიმაღლის ტრამპლინიდან წყალში გადახტომისთვის ემზადებაო. მერე ყველას თვალწინ ფრედმა ღრმად ჩაისუნთქა და ხაზს გადააბიჯა.

წამით ჰარიმ იფიქრა, ოინმა გაჭრაო, და, ეტყობა, ჯორჯსაც ასე ეგონა, რადგან სიხარულის ყიჟინა დასცა და ფრედის კვალდაკვალ გადახტა, მაგრამ მეორე წამს გაისმა ხმამაღალი შიშხინი და ტყუპები ისე გამოტყორცნა ოქროსფერმა წრემ, თითქოს უხილავმა სასხლეტმა ისროლაო. ტყუპებმა სამი მეტრი იფრინეს და მძიმედ დაეხეთქნენ ქვის ცივ იატაკზე. თითქოს ტკივილი საკმარისი არ იყო,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სირცხვილიც დაემატა: გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და ორივეს წამში გაეზარდა ერთნაირი გრძელი თეთრი წვერი.

ჰოლი ხარხარმა შეაზანზარა. ფრედი და ჯორჯი ფეხზე წამოდგნენ, ერთმანეთის წვერი კარგად შეათვალიერეს და თვითონაც ახარხარდნენ.

– მე ხომ გაგაფრთხილეთ! – გაისმა დაბალი, ღიმილნარევი ხმა. დიდი დარბაზიდან პროფესორი დამბლდორი გამოვიდა, ფრედი და ჯორჯი შეათვალიერა და თვალები მხიარულად აუციმციმდა, – გირჩევთ, ორივემ ახლავე მადამ პომფრის მიაკითხოთ. ის უკვე მკურნალობს რეივენქლოელ მის ფოსეტს და ჰაფლეპაფელ მისტერ სამერსს, რომლებმაც თქვენსავით გადაწყვიტეს, ცოტათი ასაკი მოემატებინათ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ვერც ერთის წვერი თქვენსას ვერ შეედრება.

ფრედი და ჯორჯი საავადმყოფოს ფლიგელისკენ გაემართნენ, მათ სიცილისგან ჩაბჟირებული ლი გაჰყვა. ჰარი, რონი და ჰერმიონიც ფხუკუნ-ფხუკუნით წავიდნენ სასაუზმოდ.

იმ დილით დიდი დარბაზის მორთულობა შეეცვალათ. ჰელოუინის აღსანიშნავად მოჯადოებულ ჭერზე ღამურების გუნდი დაფარფატებდა. ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ასობით გულამოჭრილი გოგრის ქერქი იკრიჭებოდა. ჰარი დინისა და სიმუსისკენ გაეშურა. ბიჭები იმაზე მსჯელობდნენ, თუ რომელი ჩვიდმეტი წლის ჰოგვორტსელი მოსწავლეები წამოაყენებდნენ თავიანთ კანდიდატურას.

– ჭორი დადის, რომ უორინგტონი გამთენიისას ადგა და თასში თავისი სახელი ჩააგდო, – აცნობა დინმა ჰარის, – ის მოხეული სლიზერინელი ტიპი, ზარმაცას რომ ჰგავს.

ჰარიმ ზიზღით გაიქნია თავი, რადგან უორინგტონს იცნობდა, მის წინააღმდეგ ქვიდიჩი ჰქონდა ნათამაშევი.

– არა, არ შეიძლება, რომ სლიზერინელი ჩემპიონი გვყავდეს!

– მთელ ჰაფლეპაფს კი დიგორი აკერია პირზე, – ბოღმით წაილაპარაკა სიმუსმა, – მაგრამ, ჩემი აზრით, დიგორი არ მოინდომებს, საფრთხეში ჩააგდოს თავისი გარეგნობა.

– ჩუმად! – თქვა უცებ ჰერმიონმა.

ჰოლიდან ყიჟინი ისმოდა. ყველანი შეტრიალდნენ და დაინახეს დარბაზში შემოსული ანჯელინა ჯონსონი, რომელიც მორცხვად იღიმებოდა. გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდის ჩეიზერი, მაღალი, შავტუხა ანჯელინა მათთან მივიდა, დაჯდა და თქვა:

– ესეც ასე! ჩემი სახელი ჩავაგდე!

– ხუმრობ? – განცვიფრდა რონი.

– უკვე ჩვიდმეტისა ხარ? – ჰკითხა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვიდმეტისაა, აბა, რა! ვერ ხედავ, წვერი არა აქვს! – თვალი აუხილა რონმა.

– გასულ კვირას მქონდა დაბადების დღე, – თავი დაუქნია ანჯელინამ.

– მიხარია, გრიფინდორიდან ვილაც მაინც რომ ჩაეწერა, – უთხრა ჰერმიონმა, – ანჯელინა, იმედია, შენ გახვალ.

– გმადლობ, ჰერმიონ, – გაუღიმა ანჯელინამ.

– ჰო, იმ პრანჭია დიგორის ნამდვილად შენ გვირჩევნიხარ, – მხარი აუბა ჰერმიონს სიმუსმა, რის გამოც, სწორედ ამ დროს მათ მაგიდასთან ჩავლილი რამდენიმე ჰაფლეპაფელის თვალების ბრიალი დაიმსახურა.

– აბა, დღეს რას ვაპირებთ? – ჰკითხა რონმა ჰარისა და ჰერმიონს, როცა საუზმე დაასრულეს და დიდი დარბაზიდან გავიდნენ.

– ჰაგრიდი ხომ ჯერ არ მოგვინახულებია, – შეახსენა ჰარიმ.

– კარგი, წავიდეთ, – დაეთანხმა რონი, – ოღონდ ფრთხილად იყავით, ემანდ არ მოეპრიანოს, რომ ცეცხლაკუდებს რამდენიმე თითი შევწიროთ.

უცებ ჰერმიონს სახე აღტაცებით გაუბრწყინდა.

– სულ დამავიწყდა, ჰაგრიდისთვის ხომ ჯერ არ მითხოვია ედამში გაწევრიანება! დამიცადეთ, რა! მაღლა ავირბენ და ემბლემებს ჩამოვიტან!

– სულ გააფრინა! – ჩაიბურტყუნა მოთმინებიდან გამოსულმა რონმა, როცა ჰერმიონი მარმარილოს კიბეზე ავარდა.

– ეი, რონ, – მხარი გაჰკრა ჰარიმ, – ნახე, შენი მეგობარი...

მთავარ კარში ბობატონის მოსწავლეები შემოდიოდნენ, მათ შორის იყო ის გოგონაც, ვიილას რომ ჰგავდა. ცეცხლოვან თასთან მოგროვილებმა უკან დაიხიეს და თავაზიანად დაუთმეს გზა, თან ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს. მოსწავლეებს მადამ მაქსიმი შემოჰყვა და მწკრივში ჩააყენა. ბობატონელებმა სათითაოდ გადაბიჯეს ოქროსფერ ხაზს და მოლურჯო-მოთეთრო ცეცხლის ენებში ეტრატის ნაგლეჯები ჩაყარეს. როგორც კი ეტრატის ნაგლეჯი ცეცხლში ჩავარდებოდა, ცეცხლის ენები წითლდებოდა და ნაპერწკლებს აფრქვევდა.

– როგორ ფიქრობ, რას იზამენ ისინი, ვისი სახელიც არ ამოვა? – წაუჩურჩულა რონმა ჰარის, როცა ვიილას მსგავსმა გოგონამ ჩააგდო თავისი ეტრატი ცეცხლოვან თასში, – უკან დაბრუნდებიან თუ ტურნირს დაესწრებიან?

– რა ვიცი, ალბათ, დარჩებიან... მადამ მაქსიმი ხომ ჟიურის წევრია, – მიუგო ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც კი ყველა მოსწავლემ წარადგინა თავისი სახელი, მადამ მაქსიმმა ისინი ჰოლიდან გარეთ გაიყვანა.

– ნეტავ, სად სძინავთ? – რონი მთავარ კართან მივიდა და თვალი გააყოლა მიმავლებს.

ხმამაღალმა ჩხრიალმა აუწყათ, რომ ჰერმიონი დაბრუნებულიყო ედამ-ის ემბლემებით სავსე ყუთით.

– როგორც იქნა! ცოტა დაუჩქარე, – რონმა ქვის კიბეები ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა, თან თვალს არ აშორებდა ვიილას მსგავს გოგონას, რომელსაც მადამ მაქსიმთან ერთად უკვე ნახევარი ეზო გაევლო.

აკრძალული ტყის პირას მდგარ ჰაგრიდის ქოხს რომ მიუახლოვდნენ, ბობატონელების საძინებლის საიდუმლოს ფარდა აეხადა. გიგანტური მომწვანო-მოცისფრო ეტლი ჰაგრიდის წინკარიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით გაეჩერებინათ. ბობატონელი მოსწავლეები უკვე ოქროს კიბით ეტლში ადიოდნენ. სპილოსოდენა მფრინავი ცხენები ახლა დროებით მათთვის გამოყოფილ პატარა მდელოზე ბალახობდნენ.

ჰარიმ ქოხის კარზე დააკაკუნა და შიგნიდან მაშინვე ფენგის მქუხარე ყეფა გაისმა.

– სად დამეკარგეთ! – გაიბადრა ჰაგრიდი, როცა კარი ყურთამდე გააღო, – მეგონა, უკვე დაგავიწყდათ, სად ვცხოვრობ!

– არ გვეცალა, ჰაგ... – დაიწყო ჰერმიონმა, მაგრამ უცებ თვალებად იქცა და ენა ჩაუვარდა.

ჰაგრიდს ეცვა თავისი საუკეთესო (და, სხვათა შორის, საშინელი) ყავისფერი კოსტიუმი და ზედ კუბოკრული ყვითელ-ნარინჯისფერი ჰალსტუხი გაეკეთებინა. ამას კიდევ რა უშავდა, ჰაგრიდი აშკარად ცდილა თავისი ველური თმის დამორჩილებას და ამ მიზნით ძალიან დიდი რაოდენობით გამოეყენებინა (როგორც შემდეგ გაირკვა) ტაოტი. გაზიპული თმა შუაზე გაეყო და ორ კიკინად შეეკრა, ალბათ, ბილივით ერთი კიკინა უნდოდა გაეკეთებინა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ საამისოდ მეტისმეტად ხშირი ფაფარი ჰქონდა. ჰაგრიდი საშინელი სანახავი იყო. ჰერმიონი ჯერ თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა, შემდეგ აშკარად გადაწყვიტა, კომენტარისგან თავი შეეკავებინა და ჰკითხა:

– ისა... სად არიან ცეცხლაკუდები?

– გარეთ, გოგრების ბოსტანში, – მხიარულად უპასუხა ჰაგრიდმა, – ძალიან გაიზარდნენ, ალბათ, ერთ მეტრის სიგრძე მაინც იქნებიან. ერთი ეგაა, ერთმანეთის ხოცვა დაიწყეს იმ ოხრებმა.

– უი, რას ამბობ? – თანაუგრძნო ჰერმიონმა და რონს თვალები დაუბრიალა, რადგან ისიც გაოცებული მისჩერებოდა ჰაგრიდის უცნაურ ვარცხნილობას და რაღაცის თქმას აპირებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, აბა, – თავი გააქნია შეწუხებულმა ჰაგრიდმა, – მაგრამ ახლა არა უშავთ, ცალ-ცალკე ყუთში ჩავსხი. ოცი კიდე დამრჩა.

– რა ბედნიერებაა! – გაიხარა რონმა. ჰაგრიდი ვერ მიუხვდა სარკაზმს.

ჰაგრიდის ქოხი წარმოადგენდა ერთადერთ ოთახს, რომლის ერთ კუთხეში ვეებერთელა საწოლი იდგა. ზედ ნაკუწებისგან შეკერილი დალიანდაგებული საბანი ეფარა, ბუხრის წინ იდგა ასეთივე ვეება სკამებშემოწყობილი უზარმაზარი მაგიდა, მის ზემოთ, ჭერში, მოკლული ფრინველებისა და შებოლილი ღორის ბარკლები ეკიდა. მეგობრები მაგიდას მიუსხდნენ და ჰაგრიდი ჩაის მომზადებას შეუდგა. მალე გამალებული სჯა-ბაასი გაჩაღდა მოახლოებული სამი ჯადოქრის ტურნირის შესახებ. ჰაგრიდი ტურნირის დაწყებას არანაკლებ მოუთმენლად ელოდა.

– ცოტა მოიცადეთ, – ჩაიღიმა მან, – და ისეთ რამეს ნახავთ, რაც არც კი დაგსიზმრებიათ. პირველი დავალება... ააჰ, არ უნდა გითხრათ.

– თქვი, რა, ჰაგრიდ! – წააქეზეს მეგობრებმა, მაგრამ ის მხოლოდ ღიმილით აქნევდა თავს.

– არ მინდა, სიურპრიზი გაგიფუჭოთ, მაგრამ ერთს გეტყვით, დაუვიწყარი სანახაობა იქნება. ჩემპიონებს ტყავს გააძრობენ. არ მეგონა, სამი ჯადოქრის ტურნირს თუ კიდევ მოვესწრებოდი!

ჰაგრიდმა მეგობრებს სადილიც შესთავაზა, ჩაშუშული ძროხის ხორცი მოემზადებინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰერმიონმა თავის თეფშში გრძელი კლანჭი აღმოაჩინა, სამივეს მადა დაეკარგა. მაინც კარგი დრო გაატარეს, ჯერ იყო და, ბევრს ეცადნენ, ჰაგრიდისთვის დაეცინცლათ, რა დავალებები იქნებოდა ტურნირზე, მერე დიდხანს იმსჯელეს, რომელ კანდიდატს აირჩევდა თასი; ბოლოს დაინტერესდნენ, ნეტავ ფრედმა და ჯორჯმა უკვე მოიშორეს წვერი თუ არაო.

შუადღისთვის ჟუჟუნა წვიმამ დაუშვა. საოცარი სიმშვიდის მომგვრელი იყო ცეცხლთან ჯდომა, ფანჯარაზე წვიმის წვეთების მსუბუქი რაკუნისთვის ყურისგდება და ჰაგრიდის ცქერა, რომელიც თან წინდებს კემსავდა და თან ჰერმიონს შინაური ელფების უფლებებზე ეკამათებოდა. ჰაგრიდმა კატეგორიული უარი განაცხადა ედამ-ში გაწევრიანებაზე, როცა ჰერმიონმა თავისი ემბლემები უჩვენა.

– არა მგონია, ამით ელფები ძალიან გაახარო, ჰერმიონ, – სერიოზულად უთხრა ჰაგრიდმა და ძვლის სქელ მახათში ყვითელი ძაფი გაუყარა, – ადამიანებზე ზრუნვა მათ ბუნებაშია. ასეთები არიან და მორჩა! სამუშაოს თუ მოწყვეტ, გააუბედურებ, ხელფასის გადახდით კი დიდ შეურაცხყოფას მიაყენებ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ ჰარიმ ხომ გაათავისუფლა დობი და ისიც სიხარულით მეცხრე ცაზე იყო! – გაიბრძოლა ჰერმიონმა, – თანაც გავიგეთ, რომ ის ახლა ხელფასსაც იღებს!

– ჰო, ერთი მახინჯი ყველგან გამოერევა ხოლმე. არ უარვყოფ, რომ შეიძლება, აღმოჩნდეს თავისუფლების მსურველი ერთი არანორმალური შინაური ელფი, მაგრამ მათ უმრავლესობას ვერაფრით ვერ აიძულებ ამის გაკეთებას. არა, ამ საქმეს არაფერი ეშველება, ჰერმიონ.

გაჯავრებულმა ჰერმიონმა ემბლემებიანი ყუთი მოსასხამის ჯიბეში ჩაიჩურთა.

ექვსის ნახევრისთვის უკვე ბინდი ჩამოწვა და სამივემ გადაწყვიტა, დროა, ციხესიმაგრეში დავბრუნდეთ, რომ ჰელოუინის ნადიმსა და, რაც მთავარია, ტურნირის გახსნას მივუსწროთო.

– მეც თქვენთან ერთად წამოვალ, – ჰაგრიდმა გვერდზე გადადო საკემსი, – ერთი წუთით დამაცათ.

ჰაგრიდი წამოდგა, საწოლის გვერდით მდგარ კამოდთან მივიდა და უჯრები გადაქექა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, სანამ მართლაც რომ საშინელი, საზიზღარი სუნი არ ეცათ ცხვირში.

– ჰაგრიდ, ეგ რა არის?– ხველებით იკითხა რონმა.

– ჰა? – ჰაგრიდს დიდი ბოთლი ეკავა ხელში, – არ მოგწონთ?

– ეს რა, გასაპარსი ლოსიონია? – მოგუდული ხმით იკითხა ჰერმიონმა.

– ისა... ო-დე-კოლონი, – დამარცვლა ჰაგრიდმა და გაწითლდა. – ალბათ, ზედმეტი მომივიდა. წავალ ჩამოვიბან, თქვენ აქ დამიცადეთ...

ჰაგრიდმა ქოხიდან გააბოტა. ბავშვებმა ფანჯრიდან დაინახეს, რა ენერგიულად იბანდა ხელ-პირს გარეთ, წყლიან კასრში.

– ოდეკოლონი და ჰაგრიდი? – წარმოთქვა განცვიფრებულმა ჰერმიონმა.

– თმაზე და კოსტიუმზე რა სჭირს? – წაიჩურჩულა ჰარიმ.

– გაიხედეთ, – ფანჯარაზე მიუთითა რონმა ორივეს.

ჰაგრიდი წელში გასწორდა და შემობრუნდა. წეღანდელი სიწითლე სათქმელადაც არ ღირდა, ისე იყო აჭარხლებული. ჰარი, რონი და ჰერმიონი უჩუმრად წამოდგნენ და ფანჯრიდან გაიჭყიტეს. ეტლიდან მადამ მაქსიმი და ბობატონელი მოსწავლეები გადმოსულიყვნენ. როგორც ჩანს, ისინიც ბანკეტზე წასვლას აპრებდნენ. ქოხში მყოფებს არ ესმოდათ, რას ამბობდა ჰაგრიდი, მაგრამ მადამ მაქსიმს მოხიბლული, დანისლული თვალებით შესცქეროდა. ჰაგრიდის ასეთი მზერა ჰარიმ მხოლოდ ერთხელ ნახა, მაშინ, როცა გოლიათი ახალშობილ დრაკონს, ნორბერტს ეფერებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მასთან ერთად მიდის ციხესიმაგრეში! – აღშფოთდა ჰერმიონი, – მე მეგონა, ჩვენ დაგველოდებოდა.

ჰაგრიდს ქოხისკენ ერთხელაც არ მოუხედავს, ისე აედევნა მადამ მაქსიმს. ბობატონელი მოსწავლეები ორივეს სირბილით მიჰყვებოდნენ.

– ჰაგრიდს ეს ქალი შეუყვარდა! – რონს თავისი ნათქვამისა თითქოს თვითონაც არ სჯეროდა, – შვილები თუ ეყოლათ, ნამდვილად მსოფლიო რეკორდს დაამყარებენ. სანაძლეოს ჩამოვალ, მაგათი თითო ბავშვი თითო ტონა მაინც იქნება.

ქოხიდან გამოვიდნენ და კარი გაიხურეს. გარეთ საკმაოდ ბნელოდა. მოსასხამებში კარგად გაეხვივნენ და აღმართს შეუდგნენ.

– უუუჰ, ისინი არიან, შეხედეთ! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

ტბიდან ციხე-კოშკისკენ დურმსტრანგის დელეგაცია მიემართებოდა. ვიქტორ კრამი კარკაროვის გვერდით მიდიოდა, დანარჩენი მოსწავლეები კი მათ უკან მიჩანჩალებდნენ. აღტაცებული რონი თვალს არ აშორებდა კრამს, მაგრამ კრამმა სამივეს მიასწრო კართან მისვლა და ჰოლში ისე შევიდა, მათკენ არც კი გამოუხედავს.

სანთლებით განათებული ჰოლი თითქმის სავსე დახვდათ. ცეცხლოვანი თასი აეღოთ და ის ახლა მასწავლებლების მაგიდაზე, დამბლდორის ცარიელი სკამის წინ იდგა. ფრედი და ჯორჯი ისევ პირტიტველები იყვნენ. როგორც ჩანდა, მარცხი იოლად გადაიტანეს.

– იმედია, ანჯელინა გაიმარჯვებს, – თქვა ფრედმა, როცა ჰარი, რონი და ჰერმიონი მაგიდას მიუსხდნენ.

– მეც მაგის იმედი მაქვს, – გულწრფელად დაეთანხმა ჰერმიონი, – არა უშავს, მალე შევიტყობთ!

ჰელოუინის ნადიმი თითქოს ჩვეულებრივზე მეტად გაიწელა. ჰარი ნაირ-ნაირი უცხო საჭმელით უწინდებურად აღარ აღფრთოვანებულა, ალბათ, იმიტომ, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში ეს უკვე მეორე ბანკეტი იყო. დარბაზში მსხდომთ მოუთმენლობა ეტყობოდა. ყველა ცმუკავდა, ყველა ღელავდა, წარამარა წამოხტებოდნენ და დამბლდორისკენ იყურებოდნენ, ჭამა დაამთავრა თუ არაო. ჰარისაც უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაცარიელებულიყო თეფშები და გაეგო, ვინ აირჩიეს ჩემპიონებად.

როგორც იქნა, თეფშები გაუჩინარდა და დიდი დარბაზი მაშინვე აჩოჩქოლდა. მაგრამ, აი, დამბლდორი ფეხზე წამოდგა და ხმაური წამში მიწყდა. მის მარჯვნივ და მარცხნივ მსხდომ კარკაროვსა და მადამ მაქსიმს სხვებზე არანაკლები დაძაბულობა და მოუთმენლობა დაეტყოთ. ლუდო ბეგმანი გაბადრული იჯდა და მოსწავლეებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალს უკრავდა. კრაუჩს კი, პირიქით, ინტერესის ნატამალიც არ ეტყობოდა, თითქოს ეს ყველაფერი საშინლად მობეზრდაო.

– მაშ ასე, თასი უკვე თითქმის მზადაა, მიიღოს გადაწყვეტილება, – გამოაცხადა დამბლდორმა, – ჩემი გათვლით, რამდენიმე წუთი კიდევ დასჭირდება. გთხოვთ, როგორც კი ჩემპიონის სახელს გამოვაცხადებ, მასწავლებლების მაგიდასთან მობრძანდეთ და, აი, იმ მეზობელ ოთახში გახვიდეთ, – მასწავლებლების მაგიდის უკან, კარზე მიანიშნა, – სადაც პირველი ტურისთვის ინსტრუქციას მიიღებთ.

დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხი აღმართა და ენერგიულად გაიქნია. ყველა სანთელი მაშინვე ჩაქრა, გოგრებში დანთებული სანთლების გარდა, და დარბაზი სანახევროდ ჩაბნელდა. დიდ დარბაზში ახლა ცეცხლოვანი თასი ყველაზე მეტად ბრწყინავდა და კაშკაშა, მოლურჯო-მოთეთრო ცეცხლის ალი თვალს სჭრიდა. მაგრამ მაინც ყველა უყურებდა და იცდიდა... ზოგი წამდაუწუმ საათს დახედავდა ხოლმე.

– ერთი წამი დარჩა, – დაიჩურჩულა ჰარისთან ახლოს მჯდარმა ლი ჯორდანმა.

უცებ თასში ცეცხლის ენები გაწითლდა და ნაპერწკლები ამოაფრქვია. მეორე წუთს ჰაერში ალი აიჭრა და თასიდან კიდეებშემომწვარი ეტრატის ნაგლეჯი ამოაგდო. დარბაზმა სუნთქვა შეიკრა.

დამბლდორმა ცეცხლის მოლურჯო-მოთეთრო ალით განათებული ეტრატის ნაჭერი დაიჭირა და ხმამაღლა, მკაფიოდ წაიკითხა:

– დურმსტრანგის ჩემპიონია ვიქტორ კრამი.

– ეს ისედაც მოსალოდნელი იყო! – იყვირა რონმა, როცა დარბაზი მქუხარე ტაშმა შეაზანზარა. ჰარიმ დაინახა, როგორ ადგა სლიზერინელების მაგიდიდან ვიქტორ კრამი, მხრებში მოიხარა და ფეხათრევით გაემართა დამბლდორისკენ, შემდეგ მარჯვნივ მიტრიალდა და მეორე ოთახში გამავალ კარში გაუჩინარდა.

– ბრავო, ვიქტორ! – დასჭექა კარკაროვმა ისე ხმამაღლა, რომ ტაშის გრიალშიც კი ყველამ გაიგონა, – ვიცოდი, რომ ეს შენ იქნებოდი!

ტაშისცემა და ლაპარაკი შეწყდა. ახლა ყველას ყურადღება ისევ ცეცხლოვანი თასისკენ იყო მიპყრობილი. თასი რამდენიმე წამში ისევ გაწითლდა და ცეცხლის ენებმა მეორე ეტრატის ნაჭერი ამოაგდო.

– ბობატონის ჩემპიონი არის ფლერ დელაკური! – გამოაცხადა დამბლდორმა.

– შეხედე, რონ, ის გოგოა! – შესძახა ჰარიმ, როდესაც ვიილას მსგავსმა გოგონამ ხელის მოხდენილი მოძრაობით უკან გადაიყარა გრძელი მოვერცხლისფრო თმა და ნარნარად ჩაიარა რეივენქლოსა და ჰაფლეპაფის მაგიდებს შორის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უი, ნახეთ, ყველას გული დასწყდა, – ჰერმიონმა დანარჩენი ბობატონელი მოსწავლეებისკენ გაიქნია თავი. „გული დასწყდა“ რბილად ნათქვამიაო, გაიფიქრა ჰარიმ. ორი გოგონა ხელებში თავ-ჩარგული გულამოსკვნით ქვითინებდა.

როგორც კი ფლერ დელაკურიც გაუჩინარდა მეზობელ ოთახში, დარბაზი ისევ გაყუჩდა. მაგრამ ამჯერად დაძაბულობისგან სიჩუმე ისე შედედდა, თითქოს ხელითაც კი შეეხებოდი. დადგა ჰოგვორტსის ჩემპიონის ჯერი...

და ცეცხლოვანი თასიც კიდევ ერთხელ გაწითლდა, ნაპერწკლები გამოაფრქვია, ცეცხლის ალი ჰაერში აიჭრა და დამბლდორმა მესამე ჩემპიონის ვინაობა გამოაცხადა.

– ჰოგვორტსის ჩემპიონი არის სედრიკ დიგორი!

– არა! – დაიგმინა რონმა, მაგრამ ისეთი ღრიანცელი ატყდა გვერ-დითა მაგიდაზე, მისი ნათქვამი ჰარის გარდა, არავის გაუგია. ჰაფ-ლეპაფელები ფეხზე წამოხტნენ და ფეხების ბაკუნი და წივილ-კივი-ლი ატეხეს. გაღიმებულმა სედრიკმა მათ შორის გზა გაიკვლია და მასწავლებლების მაგიდის უკან მდებარე ოთახისკენ გაემართა. ოვა-ციებმა იმდენ ხანს გასტანა, რომ დამბლდორმა კარგა ხანს ვერ მოა-ხერხა, აუდიტორიისთვის ხმა მიეწვდინა.

– შესანიშნავია! – მხიარულად დაიძახა მან, როცა, ბოლოს და ბოლოს, აურზაური მიწყდა, – მაშ ასე, ჩვენ უკვე გვყავს სამივე ჩემ-პიონი. დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველანი, მათ შორის – ბობატო-ნისა და დურმსტრანგის დანარჩენი მოსწავლეებიც თავდაუზოგავად უგულშემატკივრებთ თქვენ-თქვენს ფავორიტს. თქვენი ჩემპიონის გამხნევებით უდიდეს წვლილს შეიტანთ...

მაგრამ დამბლდორმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი. ყველა მიხვდა, რამაც მიიპყრო მისი ყურადღება.

ცეცხლოვანი თასი ისევ გაწითლდა და ნაპერკლები გადმოყარა. ჰაერში მოულოდნელად ცეცხლის ალი აიჭრა და კიდევ ერთი ეტრა-ტი ამოაგდო.

დამბლდორმა მექანიკურად გაიწვდინა გრძელი ხელი, ეტრატს სწვდა, ცეცხლთან მიიტანა და მასზე დაწერილ სახელს დააშტერდა. ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა, რომლის განმავლობაშიც დამბლდორი ეტრატს, დარბაზში მსხდომნი კი – დამბლდორს მისჩერებოდნენ. შემდეგ დამბლდორმა ჩაახველა და ხმამაღლა წაიკითხა:

– ჰარი პოტერი.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეჩვიდმეტე

ოთხი ჩემპიონი

ჰარი მეხდაცემულივით იჯდა, გაოგნებული ფიქრობდა, ნეტავ ხომ არ მომეყურა, ნეტავ სიზმარს ხომ არ ვხედავო. მაგრამ არა, ყველაფერი ცხადში ხდებოდა. დარბაზში ყველა მას უყურებდა.

ტაში არავის დაუკრავს. დიდი დარბაზი თანდათან გაბრაზებული ფუტკრების სკასავით აზუზუნდა. ზოგი ფეხზე დგებოდა, რომ ადგილზე მიყინული ჰარისთვის უკეთ შეეხედა.

პროფესორი მაკგონაგელი სწრაფად ადგა, ლუდო ბეგმანსა და კარკაროვს ჩაუქროლა და დამბლდორს ცხარედ ჩასჩურჩულა რაღაც. დამბლდორმა შუბლი შეიკრა.

ჰარი რონსა და ჰერმიონს მიუბრუნდა. მათ უკან მსხდომი გრიფინდორელები პირდაღებულნი მისჩერებოდნენ.

– მე არ ჩამიგდია ჩემი სახელი, – წაილაპარაკა დაბნეულმა ჰარიმ, – თქვენ ხომ იცით, რომ არ ჩამიგდია.

რონი და ჰერმიონი არანაკლებ იყვნენ დაბნეულები.

ამასობაში დამბლდორი წელში გაიმართა, პროფესორ მაკგონაგელს თავი დაუქნია და დაიძახა:

– ჰარი პოტერ! ჰარი! თუ შეიძლება, აქეთ მობრძანდით!

– წადი, – წასჩურჩულა ჰერმიონმა ჰარის და თან ოდნავ უბიძგა.

ჰარი წამოდგა, მანტიის კალთაზე ფეხი დაებიჯა და წაბორძიკდა. გრიფინდორისა და ჰაფლეპაფის მაგიდებს შორის გავლას ლამის მთელი საათი მოანდომა. მასწავლებლების მაგიდა არა და არ ახლოვდებოდა. გრძნობდა, რომ ასობით თვალი პროჟექტორებივით მიაცილებდა. ზუზუნი თანდათან გაძლიერდა. დრო უსაშველოდ გაიწელა. ბოლოს, როგორც იქნა, დირექტორისა და თვალებადქცეული მასწავლებლების წინაშე წარდგა.

– კარში გადი, ჰარი, – დამბლდორმა არ გაუღიმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ მასწავლებლების მაგიდას ჩაუარა. ჰაგრიდი სულ განაპირას იჯდა. ჰარისთვის თვალი არ ჩაუკრავს, არც ხელი დაუქნევია, არც სხვა რაიმე გამამხნევებელი ნიშანი მიუცია. მთლად გაოგნებული ჩანდა და ბიჭს სხვებივით ენაჩავარდნილი მისჩერებოდა. ჰარიმ კარი გააღო და მომცრო ოთახში აღმოჩნდა, რომლის კედლებზეც ჯადოქრების პორტრეტები ჩაემწკრივებინათ. მოპირდაპირე მხარეს ბუხარში აგიზგიზებული ცეცხლი მხიარულად ტკრციალებდა. ოთახში შევიდა თუ არა, პორტრეტებმა მისკენ მიიხედეს. ერთი ჩამომჭკნარი ალქაჯი თავისი სურათის ჩარჩოდან მაშინვე მეზობელ სურათში გადასკუპდა ზღვის ლომივით ულვაშიან ჯადოქართან და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

ვიქტორ კრამი, სედრიკ დიგორი და ფლერ დელაკური ბუხართან შეკრებილიყვნენ. ცეცხლის ფონზე მათი სილუეტები საოცრად შთამბეჭდავად იკვეთებოდა. მხრებში მოხრილი და ჩაფიქრებული კრამი დანარჩენი ორისგან მოშორებით დაყრდნობოდა ბუხარს. სედრიკი იდგა, ხელები ზურგზე შემოეწყო და ცეცხლს მიშტერებოდა. ფლერ დელაკურმა ჰარისკენ მოიხედა და გრძელი, მოვერცხლისფრო თმა უკან გადაიყარა.

– ღა აღის? – იკითხა მან, – ისევ დაღბაზში გვეზახიან?

ეგონა, რომ ჰარი დანაბარების გადმოსაცემად გამოგზავნეს. ჰარიმ არ იცოდა, როგორ აეხსნა, რა მოხდა. იდგა და ჩემპიონებს შესცქეროდა. ახლაღა გაიაზრა, მასზე რამდენად მაღლები იყვნენ სამივენი.

სულ მალე კარს უკან აჩქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა და ოთახში ლუდო ბეგმანი შემოვარდა. ჰარის მკლავში ხელი წაავლო და წინ გამოათრია.

– დაუჯერებელია! გაუგონარი შემთხვევაა! – შემდეგ ცეცხლს მიუახლოვდა და ჩემპიონებს მიმართა: – ბატონებო... ქალბატონო, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ... რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს არის ტურნირის მეოთხე ჩემპიონი!

ვიქტორ კრამი წელში გასწორდა, ჰარი შეათვალიერა და ისედაც პირქუში სახე უარესად მოეღუშა. სედრიკი საგონებელში ჩავარდა. ხან ჰარის უყურებდა, ხან ბეგმანს, თითქოს საკუთარ ყურებს არ უჯერებსო. ფლერ დელაკურმა კი ხელის სხარტი მოძრაობით თმა უკან გადაიყარა და ღიმილით თქვა:

– ო, ზალიან სასაცილო ხუმღობაა, ბატონო ბეგმან.

– ხუმრობა? – გაიმეორა განცვიფრებულმა ბეგმანმა, – არა, არა, როგორ გეკადრებათ! ჰარის სახელი ეს-ესაა ცეცხლოვანმა თასმა ამოაგდო!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრამმა წარბი შეიკრა. სედრიკმა თავშეკავებით გაიოცა. ფლერი მოიღუშა.

– აქ რაღაც შეცდომაა, – აგდებით უთხრა ბეგმანს, – ამან აღ შეილება, მონაცილეობა მიიღოს. ზალიან პატაღაა.

– დიახ, მართლაც... საოცარია, – ბეგმანმა სუფთად გაპარსული ნიკაპი მოიფხანა და ჰარის ღიმილით დახედა, – მაგრამ, როგორც იცით, ასაკობრივი ზღვარი მხოლოდ წელს დააწესეს, როგორც გამკაცრებული უსაფრთხოების ზომა. და რადგანაც ჰარის სახელი თასიდან ამოვიდა, რას ვიზამთ... მოკლედ, მგონი, ამ ეტაპზე უკვე აღარ შეიძლება თამაშიდან გასვლა... წესდებაში წერია, რომ თქვენ ვალდებულნი ხართ... ჰარის კი, სხვა რა გზაა, მოუწევს, თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს...

კარი ისევ გაიღო და, ამჯერად, პროფესორი დამბლდორი, ბატონი კრაუჩი, პროფესორი კარკაროვი, მადამ მაქსიმი, პროფესორი მაკგონაგელი და პროფესორი სნეიპი შემოვიდნენ. ღია კარში დიდი დარბაზიდან წამით სტუდენტების აღშფოთებული ზუზუნი შემოიჭრა.

– მადამ მაქსიმ, – მაშინვე თავის დირექტორს მივარდა ფლერი, – ამბობენ, ღომ ეს პატაღა ბიჩიც იგებს მონაცილეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჰარი მოულოდნელობისგან გაბრუებული იყო, ამ სიტყვების გაგონებაზე მაშინვე გამოფხიზლდა და სიბრაზე მოაწვა: „პატარა ბიჭიო?!“

მადამ მაქსიმი გაიფხორა და თითქოს კიდევ უფრო გამაღლდა. მომხიბვლელი თავით ჭაღს შეეხო და სატინით დაფარული ვეება მკერდი აუბობოქრდა.

– ეს ღას ნიშნავს, დამბლიდოღ? – იკითხა მბრძანებლური ტონით.

– ეგ მეც მაინტერესებს, – ჩაურთო პროფესორმა კარკაროვმა. სახეზე ნაძალადევი ღიმილი ეკერა, ცისფერი თვალები კი ყინულის ორ ნატეხს მიუგავდა, – ორი ჰოგვორტსის ჩემპიონი? ჩემთვის არავის უთქვამს, რომ მასპინძელ სკოლას ორი ჩემპიონის ყოლის უფლება აქვს. თუ, მე ვერ გავეცანი წესებს სათანადოდ? – და საძაგლად გაიცინა.

– იმპოსიბლ, – აღშფოთებულმა მადამ მაქსიმმა საუცხოო ოპალებით დამშვენებული უზარმაზარი ხელი ფლერს მხარზე დაადო, – ოგვოღტსს აღ შეუზლია ოღი ჩემპიონის კოლა, ეს ზალიან უსამაღტლობაა.

– ჩვენ გვეგონა, რომ თქვენი ასაკობრივი ზღვარი მცირეწლოვანი მონაწილეებისგან დაგვაზღვევდა, დამბლდორ, თორემ ჩვენ, რასაკვირველია, ბევრად მეტ კანდიდატს ჩამოვიყვანდით, – წარმოთქვა კარკაროვმა სახეზე შეყინული ღიმილით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყველაფერი მხოლოდ პოტერის ბრალია, კარკაროვ, – შემპარავად ჩაურთო სნეიპმა და შავი თვალები ბოროტად წამოენთო, – დამბლდორისა რა ბრალია, თუ პოტერს წესების დარღვევისადმი მიდრეკილება აქვს. ეს ბიჭი რაც აქ ჩამოვიდა, სულ ზღვარს გადადის...

– გმადლობთ, სევერუს, – მკაცრად მოუჭრა დამბლდორმა. სნეიპი გაჩუმდა, თუმცა თვალები ისევ სიძულვილით უელავდა.

პროფესორი დამბლდორი ჰარის დააცქერდა. ჰარიმ თამამად გაუსწორა თვალი და შეეცადა, ნახევარმთვარისებური სათვალის მიღმა მისი თვალების გამომეტყველება ამოეცნო.

– ჰარი, შენ ჩააგდე თასში შენი სახელი? – წყნარად ჰკითხა დამბლდორმა.

– არა, – უპასუხა ჰარიმ. გრძნობდა, რომ ყველა დაკვირვებით უცქეროდა. ჩრდილში მდგარმა სნეიპმა მოუთმენელი ფხუკუნით გამოხატა ეჭვი. დამბლდორმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

– ვინმე უფროსი მოსწავლისთვის ხომ არ გითხოვია, შენ მაგივრად ჩაეგდო?

– არა, – მტკიცედ გაიმეორა ჰარიმ.

– აჰ, ღა თქმა უნდა, იტკუება! – შესძახა მადამ მაქსიმმა.

სნეიპს ტუჩი აეპრიხა და თავს აქნევდა.

– ბიჭი თვითონ ვერ გადალახავდა ასაკობრივ ზღვარს, – მტკიცედ განაცხადა პროფესორმა მაკგონაგელმა, – მე მგონი, ამაზე უკვე შევთანხმდით...

– იქნებ დამბლიდოღს შეცდომა გაეპაღა იმ ზღვაღში, – მხრები აიჩეჩა მადამ მაქსიმმა.

– ეს შესაძლებელია, რა თქმა უნდა, – თავაზიანად უპასუხა დამბლდორმა.

– დამბლდორ, მშვენივრად იცით, რომ შეცდომა არ დაგიშვიათ, – აპილპილდა პროფესორი მაკგონაგელი, – რა სისულელეა! ჰარი ვერაფრით ვერ გადაკვეთდა ზღვარს და, რადგან პროფესორ დამბლდორს სჯერა, რომ ჰარის ნაცვლად ეს არც უფროს მოსწავლეს გაუკეთებია, მგონი, ამაში აღარც ჩვენ უნდა შეგვეპაროს ეჭვი!

მან ძალზე მწყრალად შეხედა პროფესორ სნეიპს.

– ბატონო კრაუჩ... ბატონო ბეგმან, – ისევ დაიტკბო ხმა კარკაროვმა, – თქვენ ჩვენი... მმმ... ობიექტური ჟიური ბრძანდებით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს შემთხვევა ტურნირის წესებს ეწინააღმდეგება.

ბეგმანმა მრგვალი, ბავშვური სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა და ბატონ კრაუჩს გადახედა, რომელიც ცეცხლისგან მოშორებით,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩრდილში იდგა. ამ ბინდბუნდში ბევრად უფრო ასაკოვანი ჩანდა. რაღაცით აჩრდილს წააგავდა. მაგრამ როცა დაილაპარაკა, მისი ხმა ძველებურად უკმეხად და კატეგორიულად აჟღერდა:

– უნდა დავემორჩილოთ წესებს, ხოლო წესდებაში გარკვევით წერია, რომ ის, ვისი სახელიც თასიდან ამოვა, ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ტურნირში.

– ბარტიმ ხუთი თითივით იცის წესდება, – გაიბადრა ბეგმანი და ისე მიუბრუნდა კარკაროვსა და მადამ მაქსიმს, თითქოს საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო.

– მე დაჟინებით მოვითხოვ ჩემი დანარჩენი სტუდენტების ხელახლა წარდგენას, – კარკაროვმა ხმის დათაფლვას თავი მიანება, ღვარძლისა და ბოღმისაგან სახეზე ღიმილის კვალიც აღარ ეტყობოდა, – ისევ აანთებთ ცეცხლოვან თასს და მანამ განვაგრძობთ სახელების ჩამატებას, სანამ თითო სკოლას ორ-ორი ჩემპიონი არ ეყოლება. აი, რა არის სამართლიანი, დამბლდორ!

– ჰო, მაგრამ, კარკაროვ, მასე არ გამოვა, – შეედავა ბეგმანი, – ცეცხლოვანი თასი უკვე ჩაქრა და შემდეგი ტურნირის დაწყებამდე არ აინთება...

– რომელშიც დურმსტრანგი ნამდვილად არ მიიღებს მონაწილეობას! – იფეთქა კარკაროვმა, – ამდენი შეხვედრის, მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ, ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი! ლამისაა, ახლავე მივატოვო ყველაფერი და აქედან გავემგზავრო!

– ცარიელი მუქარაა, კარკაროვ, – გაისმა კარის მხრიდან ხრინწიანი ხმა, – ახლა უკან ვეღარ გაიხმობ შენს ჩემპიონს. მან უნდა იასპარეზოს. ყველამ უნდა იასპარეზოს. ამას მაგიური კონტრაქტი ავალდებულებთ, როგორც უკვე მოგახსენა დამბლდორმა. რაო, არ მეთანხმები?

ოთახში მუდი შემოსულიყო და ცეცხლისკენ კოჭლობით მიდიოდა. მარჯვენა ფეხის ყოველ გადადგმაზე ხმამაღალი კაკუნი ექოს გამოსცემდა.

– გეთანხმები? – გაიმეორა კარკაროვმა, – ვშიშობ, რომ ვერ მიგიხვდი, მუდი.

კარკაროვი ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, ვითომ რასაც მუდი ამბობს, სათვალავში ჩაგდების ღირსიც არ არისო, მაგრამ ხელებმა გასცა, რომლებიც, უნებურად, მუშტებად შეეკრა.

– ვერ მიმიხვდი? – ხმადაბლა ჩაეკითხა მუდი, – ყველაფერი ძალიან მარტივადაა, კარკაროვ. პოტერის სახელი ვიღაცამ ჩააგდო ცეცხლოვან თასში, რადგან იცოდა, რომ თუ მისი სახელი ამოვიდოდა, ბიჭს ტურნირში მონაწილეობა მოუწევდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აშკალად იმან ჩააგდო, ვისაც სულს, ოგვოლტსს ოღი კულდღელი დააჩეღინოს! – აზრი გამოთქვა მადამ მაქსიმმა.

– სავსებით გეთანხმებით, მადამ მაქსიმ, – თავი დაუკრა კარკაროვმა, – მე მაგიის სამინისტროსა და ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციაში საჩივარს შევიტანი...

– აქ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩივილის მიზეზი აქვს, ჰარი პოტერია, – დაიბუხუნა მუდიმ, – მაგრამ... უცნაურია... მისგან ერთი სიტყვაც არ გამიგია...

– ღატომ უნდა დაიჩივლოს? – გაცხარდა ფლერ დელაკური და იატაკზე ფეხი დააბაკუნა, – მონაცილეობის შანსი მიეცა! ჩვენ კველა ღამდენ ხანს ვოცნებობდით, ღომ ავეღჩიეთ! ჩვენი სკოლის სახელი! ათასი გალეონი ფულადი ჯილდო... ეს ისეთი შანსია, ღისთვისაც ღილს, მოკვდე!

– იქნებ, ვინმეს იმედი აქვს, რომ პოტერი მართლაც მოკვდება, – რამდენადაც შეეძლო, რბილად თქვა მუდიმ.

ამ განცხადებას სამარისებული სიჩუმე მოჰყვა.

ლუდო ბეგმანი ძალიან შეშფოთდა, აღელვებული ინაცვლებდა ფეხს და ბოლოს წაიბუტბუტა:

– მუდი, შე ძველო... აბა, რას ამბობ?

– საყოველთაოდ ცნობილია, რომ პროფესორ მუდის ის დღე დღედ არ მიაჩნია, თუ სადილამდე ექვსი შეთქმულება მაინც არ გახსნა, – ხმამაღლა განაცხადა კარკაროვმა, – როგორც ჩანს, ახლა თავის მოსწავლეებსაც უნერგავს თავდასხმის შიშს. ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლისთვის ეს ერთობ უცნაური თვისებაა, დამბლდორ, მაგრამ ეჭვი არაა, თქვენ თქვენი მიზეზები გქონდათ.

– მე ვიგონებ რაღაცეებს? – დაიღმუვლა ჩახლეჩილი ხმით მუდიმ, – მაშ, მეჩვენება რაღაცეები, არა? იმ თასში ბიჭის სახელი გამოცდილმა ჯადოქარმა ჩააგდო...

– ღა დამამტკიცებელი საბუტი გაკვტ? – უზარმაზარი ხელები გაშალა მადამ მაქსიმმა.

– ის, რომ ვიღაცამ მოახერხა, თვალი აეხვია უდიდესი ჯადოსნური ძალის მქონე ნივთისთვის! მხოლოდ განსაკუთრებით ძლიერი კონფუნდუსის შელოცვით შეიძლება, დაავიწყო ცეცხლოვან თასს, რომ ტურნირში მხოლოდ სამი სკოლა მონაწილეობს... ჩემი ვარაუდით, პოტერი მეოთხე სკოლის ერთადერთ კანდიდატად წარადგინეს, და ბუნებრივია, თასმა მეოთხე ჩემპიონად სწორედ ის ამოირჩია.

– ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამაზე ძალიან ბევრი გიფიქრიათ, მუდი, – ცივად შენიშნა კარკაროვმა, – თანაც ეს ჰიპოთეზა ძალზე არადამაჯერებლად ჟღერს. თუმცა, რა გასაკვირია: როგორც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გავიგე, ამას წინათ აგიკვიატებიათ, რომ თქვენი დაბადების დღის ერთ-ერთი საჩუქარი ოსტატურად შენიღბულ ბასილისკოს კვერცხს წარმოადგენდა და ნამსხვრევებად აქციეთ. მაგრამ ის, მხოლოდ და მხოლოდ, ჯიბის საათი აღმოჩნდა. ამიტომ, ალბათ, გაგვიგებთ, თუ თქვენს ნათქვამს სერიოზულად არ მოვეკიდებით...

– ისეთებიც არიან, რომლებიც სრულიად უწყინარ შემთხვევებს თავიანთ სასარგებლოდ შემოატრიალებენ ხოლმე, – მუქარის ტონით შეეპასუხა მუდი, – წესით, უნდა გახსოვდეს, კარკაროვ, რომ ჩემი საქმეა, გამოვიცნო ბოროტი ჯადოქრების ჩანაფიქრი...

– ალასტორ! – ისეთი ტონით შესძახა დამბლდორმა, რომ მუდი გონს მოსულიყო. ჰარი წამით ვერ მიხვდა, ვის მიმართავდა დამბლდორი, მაგრამ მერე მოიაზრა, რომ „მრისხანეთვალა" მუდის ნამდვილი სახელი ვერ იქნებოდა. მუდი გაჩუმდა, მაგრამ კმაყოფილმა შეამჩნია, რომ კარკაროვი ჭარხალივით გაწითლდა.

– ჩვენ არ ვიცით, რამ გამოიწვია ეს გაუგებრობა, – მიმართა დამბლდორმა ოთახში შეკრებილებს, – მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა გზა არა გვაქვს. ორივე, სედრიკიც და ჰარიც, არჩეულნი არიან ტურნირის მონაწილეებად და ამიტომ იასპარეზებენ კიდეც...

– აჰ, კი მაგღამ, დამბლიდოღ!

– ჩემო ძვირფასო მადამ მაქსიმ, თუ ალტერნატივას შემოგვთავაზებთ, სიამოვნებით მოგისმენთ.

დამბლდორმა შეიცადა, მაგრამ მადამ მაქსიმს ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ მრისხანედ აბრიალებდა თვალებს. სხვათა შორის, არა მარტო ის: სნეიპი გაცოფებული ჩანდა, კარკაროვი – დაბოღმილი. ბეგმანი, კი პირიქით, ენთუზიაზმით აღივსო.

– თუ ასეა, საქმეს ხომ არ შევუდგეთ? – ხელები მოიფშვნიტა და ოთახში მყოფთ გაუღიმა, – ჩემპიონებს ინსტრუქციები ხომ უნდა მივცეთ? ბარტი, ამ საპატიო საქმეს შენ ხომ არ იკისრებდი?

ბატონი კრაუჩი თითქოს ღრმა ფიქრიდან გამოერკვა:

– დიახ, ინსტრუქციები. დიახ... პირველი დავალება...

იგი ცეცხლის შუქზე გამოვიდა. ახლოდან რომ შეხედა, ჰარიმ გაიფიქრა, ავად ხომ არ არისო. თვალის უპეები ჩაშავებოდა, გაცრეცილი სახის კანი დანაოჭებოდა. ქვიდიჩის ჩემპიონატის შემდეგ ისე შეცვლილიყო, ველარ იცნობდით.

– პირველ ტურში თქვენი გამბედაობა გამოიცდება, – მიმართა ჰარის, სედრიკს, ფლერსა და კრამს, – ასე რომ, არ გეტყვით, ზუსტად რა დავალების შესრულება მოგიწევთ. შეუცნობელი საფრთხის წინაშე გაბედული მოქმედება ჯადოქრისთვის ერთობ მნიშვნელოვანი თვისებაა... პირველი დავალება ოცდაოთხ ნოემბერს, სტუდენტები-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სა და ჟიურის წევრების თანდასწრებით მოგეცემათ. ჩემპიონებს ეკრძალებათ, ითხოვონ ან მიიღონ ნებისმიერი სახის დახმარება მასწავლებლებისგან. პირველ დავალებაში ჩემპიონის ერთადერთი იარაღი ჯადოსნური ჯოხია. მეორე დავალების შესახებ ინფორმაციას პირველის დასრულებისთანავე მიიღებთ. იმის გათვალისწინებით, რომ ტურნირი დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს, ჩემპიონები გათავისუფლდებიან წლიური გამოცდებისგან.

ბატონი კრაუჩი დამბლდორს მიუბრუნდა:

– მგონი, სულ ეს არის, არა, ალბუს?

– დიახ, – დამბლდორი ოდნავ შეწუხებული უცქეროდა ბატონ კრაუჩს, – ნამდვილად არ დარჩებით ჰოგვორტსში ამაღამ, ბარტი?

– არა, დამბლდორ, სამინისტროში უნდა დავბრუნდე, – იუარა ბატონმა კრაუჩმა, – ახლა რთული, დაძაბული პერიოდი დაგვიდგა... საქმეები ახალგაზრდა უიზერბის გადავაბარე... დიდი ენთუზიასტია... სიმართლე რომ გითხრათ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ენთუზიასტი...

– იქნებ, წასვლის წინ რამე მაინც დაგელიათ? – შესთავაზა დამბლდორმა.

– დარჩი, რა, ბარტი! აი, მე ვრჩები, – მხიარულად შესძახა ბეგმანმა, – შეხედე, რა ამბავია ჰოგვორტსში! ახლა აქ უფრო საინტერესო არაა ყოფნა, ვიდრე ოფისში?!

– არა, ლუდო, არ შემიძლია, – კრაუჩს ხმაში ჩვეული მოუთმენლობა გაერია.

– პროფესორო კარკაროვ, მადამ მაქსიმ, ძილის წინ რამეს ხომ არ დალევთ? – იკითხა დამბლდორმა.

მაგრამ მადამ მაქსიმს უკვე ფლერისთვის მხარზე ხელი მოეხვია და დიდ დარბაზში სწრაფი ნაბიჯით გაჰყავდა. ორივენი გამწარებით ექაქანებოდნენ ერთმანეთს ფრანგულად. კარკაროვმა კრამს ხელით ანიშნა და ისინი ხმის ამოუღებლად გავიდნენ ოთახიდან.

– ჰარი, სედრიკ, გირჩევთ, დასაძინებლად წახვიდეთ, – გაუღიმა დამბლდორმა თავის ჩემპიონებს, – დარწმუნებული ვარ, გრიფინდორი და ჰაფლეპაფი მოუთმენლად გელიან, რომ იზეიმონ და სამწუხარო იქნება, მათ ხმაურისა და აურზაურის ეს შესანიშნავი საბაბი მოვაკლოთ.

ჰარიმ სედრიკს გადახედა. სედრიკმა დამბლდორს თავი დაუქნია და ორივენი ერთად გავიდნენ ოთახიდან.

დიდი დარბაზი დაცარიელებულიყო, ჩამწვარი სანთლები ოდნავღა ბჟუტავდა და გოგრების მოცახცახე, დაკბილულ ღიმილს არაამქვეყნიურ იერს აძლევდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, ისევ ერთმანეთის მეტოქეები ვართ! – ოდნავი ღიმილით თქვა სედრიკმა.

– ჰო, ეგრეა, – ამის თქმაღა მოახერხა ჰარიმ. თავში ისეთი ქაოსი ჰქონდა, თითქოს ტვინის ყველა კუთხე-კუნჭული საგულდაგულოდ ამოუტრიალესო.

– მითხარი... – დაიწყო სედრიკმა, როცა ჰოლში შევიდნენ. ცეცხლოვანი თასი აღარ იდგა, იქაურობა მხოლოდ ჩირაღდნებით იყო განათებული, – როგორ მოახერხე შენი სახელის ჩაგდება?

– არ ჩამიგდია, – ჰარიმ ჯიქურ შეხედა, – მე არ ჩამიგდია. წელან სიმართლე ვთქვი.

– აა... კარგი, გასაგებია, – წაილაპარაკა სედრიკმა. ჰარი მიხვდა, რომ სედრიკმა არ დაუჯერა, – აბა, კარგად.

მარმარილოს კიბეზე ასვლის ნაცვლად, სედრიკი კიბის მარჯვენა კარისკენ გაემართა. ჰარი იდგა და კარს მიღმა ქვის საფეხურებზე ჩამავალი სედრიკის ნაბიჯების ხმას უსმენდა. შემდეგ ზანტად აუყვა მარმარილოს კიბეს.

ნეტავ, რონისა და ჰერმიონის გარდა, კიდევ ვინმე დაუჯერებს, თუ ყველა ფიქრობს, რომ კანდიდატურა თვითონ წარადგინა? არა, მაინც როგორ შეუძლიათ, ასე იფიქრონ! ჰარის ხომ ისეთ მოწინააღმდეგეებთან მოუწევს მეტოქეობა, რომელთაც მასზე სამი წლით მეტი ჯადოქრული განათლება აქვთ მიღებული? წინ ელის დავალებები, რომლებიც, როგორც ამბობენ, მხოლოდ ძალიან სახიფათო კი არ იქნება, არამედ, ამასთანავე, უამრავი ხალხის თვალწინ უნდა შეასრულოს. მართალია, ამას ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე... ოცნებობდა... მაგრამ ეს მხოლოდ ოცნება იყო და მეტი არაფერი... სინამდვილეში, თავის ჩემპიონობაზე სერიოზულად არც კი უფიქრია...

სამაგიეროდ, მის მაგივრად სხვამ იფიქრა... ვიღაცას უნდოდა, ჰარის ტურნირში მიეღო მონაწილეობა და ამაზე სათანადოდ იზრუნა. რატომ? ჰარისთვის რომ ესიამოვნებინა? არა, ამაში რატომღაც ეჭვი ეპარებოდა... რომ ენახა, როგორ შეირცხვენდა თავს ყველას თვალწინ? თუ ასეა, სურვილი ნამდვილად შეუსრულდებოდა... ან იქნებ სურდა, ჰარი მოეკლა? იქნება მუდი მართალია? გამორიცხულია, რომ თასში მისი სახელი მხოლოდ სამასხარაოდ ჩაეგდოთ. ნუთუ, ვინმეს მისი მოკვლა უნდა?

ბოლო კითხვაზე ჰარიმ მაშინვე იპოვა პასუხი. დიახ, როგორ არ უნდა ვიღაცას მისი მოკვლა! ამას მას შემდეგ ცდილობს, რაც ჰარი ერთი წლისა შესრულდა. და ეს ვიღაცა ლორდი ვოლდემორი იყო! მაგრამ, როგორ მოახერხებდა ვოლდემორი იმას, რომ ჰარის სახელი თასში მოხვედრილიყო? ის ხომ სადღაც შორს, შორეულ ქვეყანაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმალება, მარტო, დასუსტებული და ძალაგამოლეული... მაგრამ იმ ღამეს, ჰარი ნაიარევის ტკივილმა რომ გამოაღვიძა, დაესიზმრა, რომ ვოლდემორი მარტო არ იყო... გრძელკუდას ესაუბრებოდა... და ჰარის მოკვლას გეგმავდა...

ჰარი გაოცდა, როცა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტის წინ აღმოჩნდა. არც შეუმჩნევია, ფეხებს სად მიჰყავდა. იმანაც გააოცა, რომ ქალბატონი მარტო არ იყო ჩარჩოში. ჩამომჭკნარი ალქაჯი, რომელიც პირველ სართულზე მეზობელ სურათში შეხტა, ახლა თავ-მომწონედ იჯდა ფუშფუშა ქალბატონის გვერდით. ალბათ, შვიდი სართულის გაყოლებაზე რაც კი სურათი ეკიდა, ყველაში რიგრიგობით გადახტა, რომ ჰარისთვის აქ ამოსვლა დაესწრო. ორივე, სურათის მასპინძელიცა და სტუმარიც, უდიდესი ცნობისმოყვარეობით დასცქეროდა ჰარის.

– აბა, აბა, აბა, – ეშმაკურად წარმოთქვა ფუშფუშა ქალბატონმა, – ვიოლეტამ ახლახან ყველაფერი მითხრა. რაო, ვინ აირჩიეს სკოლის ჩემპიონადო?!

– აბდაუბდა, – ჩაიბურტყუნა გაღიზიანებულმა ჰარიმ.

– სულაც არაა აბდაუბდა, – აღშფოთდა ფერმკრთალი ალქაჯი.

– არა, არა, ვი, ეს პაროლია, – დაამშვიდა ფუშფუშა ქალბატონმა, გვერდზე გაიწია და ჰარი საერთო ოთახში შეუშვა.

პორტრეტის გადაწევისთანავე ოთახიდან ისეთმა ხმაურმა იფეთქა, ჰარი კინაღამ წაიქცა. შემდეგ იგრძნო, რომ თორმეტიოდე ხელი ერთდროულად სწვდა და საერთო დარბაზის შუაგულში შეათრია. მთელი გრიფინდორის კლუბი აქ იყო. ყველანი წიოდნენ, ტაშს უკრავდნენ და გამაყრუებლად უსტვენდნენ.

– რატომ არ გვითხარი, რომ კანდიდატურა წარადგინე! – ყურში ჩაჰყვირა ცოტათი ნაწყენმა ფრედმა. თუმცა, ჰარის ოსტატობით მაინც ძალიან აღფრთოვანებული ჩანდა.

– როგორ მოახერხე, რომ წვერი არ გაგიჩნდა? ბრწყინვალეა! – ღრიალებდა ჯორჯი.

– არ ჩამიგდია, – თქვა ჰარიმ, – მე არ ვიცი, როგორ...

მაგრამ ამ დროს ანჯელინა მივარდა და გადაეხვია:

– მე თუ არა, მადლობა ღმერთს, გრიფინდორელი მაინცაა...

– ჰარი, შანსი გეძლევა, დიგორის შარშანდელი მატჩისთვის სამაგიერო გადაუხადო! – დაიკივლა ქეითი ბელმა, მეორე გრიფინდორელმა ჩეიზერმა.

– ჩვენ საჭმელი გვაქვს, ჰარი, მიდი, ჭამე რამე...

– არ მშია, ბანკეტზე საკმარისად...

მაგრამ იმის გაგონებაც არ უნდოდათ, რომ ჰარის არ შიოდა; რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახელი თვითონ არ ჩაუგდია თასში; ვერავინ ამჩნევდა, რომ ჰარის სულ არ ეზეიმებოდა. ლი ჯორდანმა საიდანღაც გრიფინდორის დროშა დაითრია და სანამ ჩემპიონს მანტიასავით არ შემოახვია, არ მოისვენა. ჰარიმ ვერაფრით დაიძვრინა თავი; როგორც კი საძინებელში ამავალი კიბისკენ გაპარვას დააპირებდა, გრიფინდორელები გზას ულობავდნენ და ჭიქა ბურბურახს, ხრაშუნა კარტოფილს ან მიწის თხილს აჩეჩებდნენ... ყველას აინტერესებდა, როგორ მოახერხა დამბლდორის ასაკობრივი ზღვარის გაცურება და თასში სახელის ჩაგდება.

– ეს მე არ გამიკეთებია, – გაუთავებლად იმეორებდა ჰარი, – არ ვიცი, როგორ მოხდა.

მაგრამ გინდ უთქვამს და გინდ არა, მაინც არავინ უჯერებდა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და იღრიალა:

– დავიღალე! არა, მართლა, ჯორჯ... დასაძინებლად მივდივარ...

ერთი სული ჰქონდა, ამ გადარეულებისთვის თავი დაეღწია და რონი და ჰერმიონი მოეძებნა, საერთო დარბაზში არც ერთი არ იყო. ჰარიმ მოიმიზეზა, მეძინებაო, კინაღამ გადათელა ძმები ქრივები, რომლებმაც კიბესთან მისულს გზა გადაუჭრეს, როგორც იქნა, ყველას დაუსხლტა და კისრისტეხით აირბინა კიბეზე.

გულზე მოეშვა, ცარიელ საძინებელში რონი რომ დახვდა, თავის საწოლზე ჩაცმული იწვა. ჰარიმ ზურგს უკან კარი მიაჯახუნა და რონმა მოიხედა.

– სად იყავი? – ჰკითხა ჰარიმ.

– ა, გამარჯობა.

რონი იღიმებოდა, მაგრამ ძალზე უცნაური და დაძაბული ჩანდა. ჰარიმ უცებ მოისაზრა, რომ ჯერაც ზედ ჰქონდა შემოხვეული გრიფინდორის დროშა. ჰარი დაფაცურდა, რომ მოეხსნა, მაგრამ შესაკრავი ძალიან მჭიდროდ იყო განასკვული. რონი გაუნძრევლად იწვა ლოგინზე და ჰარის წვალებას თვალს ადევნებდა.

– აბა, – თქვა მან, როცა ჰარიმ, ბოლოს და ბოლოს, დროშა მოიხსნა და კუთხეში მიაგდო, – მომილოცავს.

– რას მილოცავ? – ჰარი გაოცებული მიაჩერდა. რონის თავს აშკარად რაღაც ხდებოდა, მისი ღიმილი სახის მანჭვას უფრო ჰგავდა.

– ასაკობრივი ზღვარი სხვამ ვერავინ გადალახა, – უთხრა რონმა, – ფრედმა და ჯორჯმაც კი ვერაფერი გააწყვეს. რა გამოიყენე, უჩინმაჩინის მოსასხამი?

– უჩინმაჩინის მოსასხამით ხაზს ვერ გადავკვეთდი, – წყნარად მიუგო ჰარიმ.

– კი, მესმის, – დაეთანხმა რონი, – მეც ასე ვიფიქრე, მოსასხამი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ყოფილიყო, მეც აუცილებლად წამიყვანდი... ის ხომ ორივეს დაგვფარავდა, ასე არაა? მაგრამ შენ სხვა რაღაც მოიფიქრე, არა?

– მომისმინე, მე არ ჩამიგდია სახელი იმ ოხერ თასში. ვიღაც სხვამ ჩააგდო ჩემ მაგივრად, – სცადა მისი დარწმუნება ჰარიმ.

რონმა წარბები აზიდა.

– ვითომ რატომ?!

– არ ვიცი, – ჰარიმ იგრძნო, ახლა რომ ეთქვა, „ჩემს მოსაკლავადო," მეტისმეტად სენტიმენტალურად გამოუვიდოდა.

რონმა წარბები ისე მაღლა ასწია, ლამის ჟღალ თმას შეუერთა.

– კარგი რა, ხომ იცი, რომ ჩემთან შეგიძლია, გულახდილად ილაპარაკო! თუ არ გინდა, რომ ვინმემ გაიგოს, კი ბატონო, მაგრამ არ მესმის, თავს რატომ იწუხებ ტყუილის თქმით. დასჯას ხომ ისედაც გადაურჩი. ფუშფუშა ქალბატონის მეგობარმა, იმ ვიოლეტამ უკვე ჩაგვიკაკლა, რომ დამბლდორი მონაწილეობის ნებას გრთავს. ათასი გალეონის ფულადი ჯილდო ცუდია? და წლის ბოლოს გამოცდებზეც არ გახვალ...

– მე არ ჩამიგდია ჩემი სახელი თასში! – გაიმეორა ჰარიმ და იგრძნო, რომ უკვე ბრაზდებოდა.

– ჰო, კარგი, – მიუგო რონმა სედრიკისნაირი სკეპტიკური ტონით, – ერთი ეგაა, ამ დილით თვითონ არა თქვი, თასში სახელს ღამით ჩავაგდებდი, რომ ვერავის დავენახეო?! იცი რა, სულელი კი არა ვარ!

– სულელივით კი იქცევი, – მოუჭრა ჰარიმ.

– ჰოო? – რონს სახეზე ახლა ღიმილის ნასახიც აღარ ემჩნეოდა, – დაწექი, ჰარი. ალბათ, ხვალ დილით ადრე ადგომა მოგიწევს ფოტოგადაღების ან რაღაც მაგდაგვარისთვის.

რონმა საწოლს ფარდები ჩამოაფარა. ჰარი კართან იდგა და მუქ მეწამულ ხავერდის ფარდებს მისჩერებოდა. ეს ფარდები ახლა იმ თითებზე ჩამოსათვლელ ადამიანთაგან ერთ-ერთს ფარავდნენ, რომლებიც, როგორც ჰარის ეგონა, მის უდანაშაულობაში ეჭვს არასოდეს შეიტანდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთვრამეტე

ჭოხების ანონა

კვირა დილით ჰარიმ რომ გაიღვიძა, უცბად ვერც კი გააცნობიერა, რა მოხდა წინადღეს. შემდეგ მეხსიერებაში ყველაფერი ამოუტივტივდა. ლოგინზე წამოჯდა და საწოლის ფარდა გადასწია, რომ რონს დალაპარაკებოდა, იქნებ როგორმე დამიჯეროსო, მაგრამ რონის საწოლი ცარიელი დახვდა, როგორც ჩანს, სასაუზმოდ იყო ჩასული.

ჰარიმ ჩაიცვა და ხვეული კიბით საერთო დარბაზში ჩავიდა. მის გამოჩენას საუზმობიდან დაბრუნებული თანაკლუბელები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ჰარის სულ არ ეხალისებოდა დიდ დარბაზში დანარჩენ გრიფინდორელებთან ჩასვლა: ისინი ისე ექცეოდნენ, როგორც ნამდვილ გმირს. მაგრამ აქ დარჩენას და ძმები ქრივების მიერ კუთხეში მიმწყვდევას, რომლებიც უკვე გამწარებით უქნევდნენ ხელს, ჩვენთან დაჯექიო, მაინც დაბლა ჩასვლა ერჩივნა... ჰარი მტკიცე ნაბიჯით გაემართა პორტრეტის ხვრელისკენ, ხელის კვრით გააღო, ხვრელში გაძვრა და ჰერმიონს შეეჩეხა.

– გამარჯობა, – ჰერმიონს ხელში ქაღალდის ხელსახოცში გახვეული ბუტერბროდები ეჭირა, – შენთვის წამოვიღე... ხომ არ გაგვესეირნა?

ჰარი მადლიერების გრძნობით აივსო.

– სიამოვნებით.

დაბლა ჩავიდნენ, ჰოლი ჩქარი ნაბიჯით ისე გადაჭრეს, დიდი დარბაზისკენ არც გაუხედავთ, და მალე უკვე ტბისკენ მიუყვებოდნენ მდელოს. ნავმისადგომთან მიბმული დურმსტრანგის გემი შავად ირეკლებოდა წყლის ზედაპირზე. გრილი დილა იყო და ნაბიჯი არ შეუნელებიათ, თან გზადაგზა მადიანად ილუკმებოდნენ. ჰარი დაწვრილებით მოუყვა ჰერმიონს, რა მოხდა მას შემდეგ, რაც გრიფინ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დორის მაგიდიდან ადგა. ჰარის გასახარად, ჰერმიონმა მთელი მონათხრობი ისე მოისმინა, არაფერში დაეჭვებულა.

– ჰო, რა თქმა უნდა, შენ არაფერ შუაში ხარ, – თქვა ჰერმიონმა, როცა ჰარიმ პორტრეტებიან ოთახში მომხდარი სცენის აღწერა დაასრულა, – ნეტავ დაგენახა შენი სახე, როცა დამბლდორმა შენი სახელი ამოიკითხა! მაგრამ საკითხავი ისაა, ვინ ჩააგდო შენი სახელი თასში? მუდი მართალია, ჰარი... არა მგონია, რომელიმე მოსწავლეს ეს მოეხერხებინა... ვერაფრით ვერ შეძლებდნენ დამბლდორის ასაკობრივი ზღვარის გადალახვას...

– რონი ხომ არ გინახავს? – შეაწყვეტინა ჰარიმ.

ჰერმიონი შეჭოჭმანდა.

– ისა... კი... საუზმეზე ვნახე.

– ისევ ჰგონია, რომ ვატყუებ?

– იცი... არა, არა მგონია... არც ისე, – ენა დაება ჰერმიონს.

– რას ნიშნავს „არც ისე“?

– ოო, ჰარი, ნუთუ, ვერ ხვდები? – სასოწარკვეთით აღმოხდა ჰერმიონს, – რონს შურს შენი!

– შურს? – ყურებს არ დაუჯერა ჰარიმ, – რა შურს? ის, რომ მთელი სკოლის წინაშე უნდა შევრცხვე?

– მომისმინე, – მოთმინებით დაუწყო ახსნა ჰერმიონმა, – თვითონაც იცი, რომ ყოველთვის ყურადღების ცენტრში ხარ. ვიცი, ეს შენი ბრალი არაა, – დაუმატა საჩქაროდ, რადგან გაცოფებულმა ჰარიმ პირი გააღო, რომ შეპასუხებოდა, – ვიცი, რომ შენ ეს სულაც არ გსიამოვნებს... მაგრამ... რონს შინ უფროსი ძმები ჩრდილავენ, აქ კი – შენ, მისი საუკეთესო მეგობარი. იმიტომ, რომ ძალიან ცნობილი ხარ. ჰოდა, ერთად რომ გხედავენ, მთელ ყურადღებას შენ იქცევ, ის კი შეუმჩნეველი რჩება. ამ ყველაფერს დღემდე ისე ეგუებოდა, კრინტიც არ დაუძრავს, მაგრამ ეტყობა, ამჯერად, ეს უკვე მეტისმეტი იყო...

– პირდაპირ გადასარევია, გაგიჟდება კაცი! ჩემგან გადაეცი, რომ როცა მოისურვებს, მაშინ გავუცვლი ადგილს. გადაეცი, რომ დიდი სიამოვნებით გავუცვლი... ნახოს, როგორია, ყველანი პირდაღებულები შუბლზე რომ გაშტერდებიან...

– არაფერსაც არ გადავცემ, – მოუჭრა ჰერმიონმა, – შენ თვითონ უთხარი, ამ გაუგებრობას მხოლოდ ასე მოეღება ბოლო.

– მე არ ვაპირებ, მაგას კუდში ვდიო და ჭკუაზე მოვიყვანო! – ისე ხმამაღლა შესძახა ჰარიმ, რომ შორიახლოს ხიდან დამფრთხალი ბუები აიშალნენ, – იქნებ მაშინ მაინც დაიჯეროს, რომ სულაც არ ვტკბები ჩემი მდგომარეობით, როცა კისერს მოვიტეხ ან...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეგ სახუმარო საქმე არ არის, – შეშფოთდა ჰერმიონი, – სულაც არ არის სახუმარო საქმე. ჰარი, ამაზე ბევრი ვიფიქრე... ხომ იცი, რა უნდა გააკეთო, როგორც კი ციხე-კოშკში დავბრუნდებით?

– ჰო, ერთი კარგად წავუთაქო რონს...

– მისწერო სირიუსს! აუცილებლად უნდა გააგებინო, რაც მოხდა. ხომ გთხოვა, ჰოგვორტსში რაც უნდა მოხდეს, შემატყობინეო. თითქოს ასეთ რაღაცას ელოდა კიდეც. პერგამენტი და ბატის ფრთა თან წამოვიღე.

– რას ამბობ, – ჰარიმ მიმოიხედა, ახლომახლო ვინმე ხომ არ არისო, მაგრამ ბაღში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, – უცხოეთიდან მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ ნაიარევი ოდნავ წამომტკივდა, ახლა კი, თუ გაიგო, რომ ვილაცამ სამი ჯადოქრის ტურნირში ჩამრთო, პირდაპირ ჰოგვორტსში მოვარდება!

– სირიუსს უნდა, რომ ყველაფერი მისწერო, – არ დათმო ჰერმიონმა, – მაინც გაიგებს და...

– როგორ?

– ჰარი, ეს ტურნირი უხმაუროდ არ ჩაივლის, – სერიოზულად აუხსნა ჰერმიონმა, – ძალიან ცნობილი ტურნირია, შენც ცნობილი ხარ. ძალიან გამიკვირდება, „დილის მისანს“ თუ უკვე არ გამოუქვეყნებია სტატია – „ჰარი პოტერი – ჰოგვორტსის ჩემპიონი!“ ხომ იცი, ისედაც ჩვენ-რომ-ვიცით, იმის შესახებ დაწერილი წიგნების ნახევარში ხარ მოხსენიებული. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, ჯობია, სირიუსმა ეს ამბავი შენგან გაიგოს.

– კარგი, კარგი, მივწერ, – ჰარიმ ბუტერბროდის ბოლო ლუკმა ტბაში მოისროლა. ცოტა ხანს იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ტივტივებდა პურის ნაჭერი ტბის ზედაპირზე, სანამ წყლიდან გიგანტური საცეცი არ ამოიზარდა და ნადავლი ტბის სიღრმეში არ ჩაითრია. შემდეგ ციხე-კოშკში დაბრუნდნენ.

– ვისი ბუ გავაგზავნო? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონს კიბეზე ასვლისას, – ხომ მომწერა, ჰედვიგი არ გამოიყენოო.

– რონს სთხოვე...

– რონს არაფერსაც არ ვთხოვ! – გადაჭრით იუარა ჰარიმ.

– მაშინ სკოლის ბუ ითხოვე. ყველას შეუძლია მათი გამოყენება, – ურჩია ჰერმიონმა.

საბუეში ავიდნენ. ჰერმიონმა ჰარის ეტრატის ფურცელი, ბატის ფრთა და სამელნე მისცა. შემდეგ ქანდარების გრძელ რიგს გაუყვა და ბუების თვალიერებით შეიქცია თავი, სანამ ჰარი წერილს წერდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ძვირფასო სირიუს,

შენ მითხარი, რომ ჰოგვორტსის ამბები მომეწერა, ჰოდა, აი, ახალი ამბავიც, არ ვიცი, უკვე გაიგე, თუ არა, რომ წელს სამი ჯადოქრის ტურნირი ტარდება და შაბათ საღამოს მე მეოთხე ჩემპიონად ამირჩიეს. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ ჩააგდო თასში ჩემი სახელი. მე არ ჩამიგდია. ჰოგვორტსის მეორე ჩემპიონი ჰაფლეპაფელი სედრიკ დიგორია."

ჰარიმ წერტილი დასვა და დაფიქრდა. უნდოდა, ერთი-ორი სიტყვა იმაზეც მიეწერა, რაც წინა საღამოდან მოყოლებული, გულზე ლოდივით აწვა, მაგრამ შესაფერისი სიტყვები ვერ იპოვა, ამიტომ ისევ ჩააწო ფრთა სამელნეში და ესღა მიაწერა:

„იმედია, შენც და ბაკბიკიც კარგად ხართ. ჰარი"

– მორჩა, – უთხრა ჰერმიონს, წამოდგა და მანტიიდან ჩალა ჩამოიფერთხა. ჰედვიგი მყისვე მხარზე დააფრინდა და ფეხი გაუწოდა.

– არა, ჰედვიგ, შენ ვერ გაგიშვებ, – უთხრა ჰარიმ და სკოლის ბუები მოათვალიერა, – ამათგან ერთ-ერთით უნდა ვისარგებლო.

ჰედვიგმა ყურისწამღებად დაიკივლა და აფრენისას კლანჭები მხარში მწარედ ჩაასო. სანამ ჰარი ერთ-ერთ მსუქან ჭოტს ფეხზე წერილს აბამდა, ჰედვიგი კუდშექცევით იჯდა. როგორც კი ჭოტი გაფრინდა, ჰარიმ მოინდომა, ჰედვიგს მოჰფერებოდა, მაგრამ მან ნისკარტი მრისხანედ ააკაპუნა და მაღალ ქანდარაზე გადაფრინდა, რომ ჰარი ვერ მისწვდენოდა.

– ჯერ – რონი, ახლა – შენ! – გაბრაზდა ჰარი, – რა ჩემი ბრალია?

* * *

ჰარის იმედი ჰქონდა, ცოტა ხანში ჩემს ჩემპიონობას ყველა შეეგუება და სიტუაცია გამოსწორდებაო, მაგრამ მომდევნო დღემ დაარწმუნა, რომ ცდებოდა. თანასკოლელებს უკვე ველარ დაემალებოდა, რადგან ორშაბათიდან გაკვეთილები განახლდა. ცხადი იყო, სხვა კლუბებშიც გრიფინდორელების მსგავსად ფიქრობდნენ, ჰარიმ თვითონ წამოაყენა თავისი კანდიდატურაო, მაგრამ, გრიფინდორელებისგან განსხვავებით, ისინი ამით სულაც არ აღფრთოვანებულან.

ჰაფლეპაფელები, რომლებსაც ყოველთვის მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ გრიფინდორელებთან, საგრძნობლად შეიცვალნენ. ეს ჰერბოლოგიის ერთმა გაკვეთილმაც თვალნათლივ დაადასტურა. აშკარა იყო, ჰაფლეპაფელებს სჯეროდათ, რომ ჰარი მათ ჩემპიონს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდებაში შეეცილა. მით უმეტეს, რომ ჰაფლეპაფის კლუბს დიდება იშვიათად ღირსებია, და სედრიკ დიგორიც, რომელმაც გასულ წელს ქვიდიჩში გრიფინდორი დაამარცხა, ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ერნი მაკმილანს და ჯასტინ ფინჩ-ფლეჩს, რომლებიც ჰარისთან ყოველთვის მეგობრობდნენ, მისთვის ხმაც არ გაუციათ, მიუხედავად იმისა, რომ ერთ ქოთანში მოუწიათ მხტუნავი ბოლქვების გადარგვა, და ნიშნის მოგებით გაიცინეს, როცა ჰარის ერთ-ერთი მხტუნავი ბოლქვი ხელიდან დაუსხლტა და სახეში მწარედ დაეტაკა.

არც რონი სცემდა ხმას ჰარის. ჰერმიონი მათ შორის იჯდა და საუბრის აწყობას ცდილობდა. ბიჭები ჰერმიონს კი ნორმალურად პასუხობდნენ, მაგრამ ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ჰარიმ იგრძნო, რომ პროფესორი სპრაუტიც კი ცივად ექცეოდა, მაგრამ ეს არც გაჰკვირვებია, ის ხომ ჰაფლეპაფის კლუბის ხელმძღვანელი იყო.

ჰარი ყოველთვის სიხარულით ელოდა ჰაგრიდის გაკვეთილს, მაგრამ ახლა არც ეს ახარებდა, რადგან ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილი სლიზერინელებთან შეხვედრასაც ნიშნავდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მალფოი ჰაგრიდის ქოხთან ჩვეული დამცინავი ღიმილით გამოცხადდა.

– აჰ, შეხედეთ, ბიჭებო, ჩემპიონი მოდის! – ხმამაღლა უთხრა კრაბსა და გოილს, როგორც კი ჰარი ახლოს დაიგულა, – ბლოკნოტები თან გაქვთ? ჯობია, ვიჩქაროთ, ახლავე დავითრიოთ მაგისი ავტოგრაფი, თორემ არა მგონია, დიდხანს დარჩეს ცოცხალი. სამი ჯადოქრის შეჯიბრების მონაწილეების ნახევარზე მეტი დაიღუპა. როგორ ფიქრობ, პოტერ, შენ რამდენ ხანს გაქაჩავ? სანაძლეოს ჩამოვალ – პირველი ტურის პირველ ათ წუთს.

კრაბი და გოილი პირფერულად არეხრეხდნენ, მაგრამ მალფოი იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო, რადგან ქოხის უკნიდან ჰაგრიდი გამოვიდა. ორივე ხელში ერთმანეთზე შემოწყობილი, სახიფათოდ მოყანყალე ხის ყუთები ეჭირა. თითო ყუთში გვარიანად მოზრდილი ცეცხლაკუდა იჯდა. კლასის გულის გასახეთქად ჰაგრიდმა განაცხადა, რომ ცეცხლაკუდები მოზღვავებული ენერგიის გამო ხოცავდნენ ერთმანეთს. ამ ენერგიისგან რომ დაცლილიყვნენ, მოსწავლეებს ცეცხლაკუდებისთვის საყელურები უნდა შეებათ და გაესეირნებინათ. ამ დავალების ერთადერთი დადებითი მხარე ის იყო, რომ მალფოიმ მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა და ჰარი სულ აღარ ახსოვდა.

– ეს რაღაცა უნდა გავასეირნოთ? – გაიმეორა ზიზღით და ერთ-ერთ ყუთს ჩახედა, – არ გვეტყვით, კონკრეტულად, სად უნდა მივა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბათ საყელური, ნესტარზე, ცეცხლისმსროლელ კუდზე თუ დინგზე?

– შუაში, – უჩვენა ჰაგრიდმა, – ჰო, კიდე... კარგი იქნება, თუ დრაკონის ტყავის ხელთათმანებს ჩაიცვამთ... ისე, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ჰარი, თუ შეიძლება, მოდი და დამეხმარე ამ დიდთან...

ჰაგრიდს, სინამდვილეში, ჰარისთან განმარტოებით საუბარი უნდოდა. დაიცადა, სანამ ყველა დავალების შესრულებას შეუდგებოდა, ჰარის მიუბრუნდა და სერიოზულად ჰკითხა:

– მაშ, ჩემპიონი ხარ, ჰარი?

– ერთ-ერთი ჩემპიონი, – შეუსწორა ჰარიმ.

ჰაგრიდის ხოჭოსავით შავი მბზინავი თვალები დაფანჩული წარბების ქვემოდან შეშფოთებით უმზერდა.

– ჰარი, ეჭვი ხო არავისზე გაქვს, ვინ ჩააგდებდა შენ მაგივრად?

– ესე იგი, გჯერა, რომ ეს მე არ გამიკეთებია? – ჰარიმ ძლივს დაფარა მადლიერების გრძნობა.

– აბა, რა! – ჩაიბურტყუნა ჰაგრიდმა, – რახან შენ ამბობ, არაო, ესე იგი – არა. თან დამბლდორსაც ჯერავს შენი და რამე...

– ნეტავ ვიცოდე, ვინ ჩააგდო, – მწარედ ამოიოხრა ჰარიმ.

ორივემ მდელოს გახედა. მოსწავლეები აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ და ყველას შავი დღე ადგა. რბილტანიანი და უფერული არსებებისგან სქელი, რუხი, მბზინავი ჯავშნით დაფარულ ურჩხულებად ქცეული ცეცხლაკუდები სიგრძეში თითქმის ერთ მეტრს აღწევდნენ და ძალიან ღონივრები იყვნენ. გიგანტური მორიელისა და წაგრძელებული კიბორჩხალის ნაჯვარს წააგავდნენ, მაგრამ მათი თვალებისა და თავის გარჩევა მაინც შეუძლებელი იყო. უსაზღვრო ძალის გამო მათი დაოკება უკიდურესად ჭირდა.

– მგონი, კარგად ერთობიან, არა? – მხიარულად თქვა ჰაგრიდმა.

ჰარიმ გაიფიქრა, უეჭველად ცეცხლაკუდებს გულისხმობსო, რადგან თანაკურსელებს გართობისა არაფერი ეტყობოდათ. დროდადრო რომელიმე ცეცხლაკუდას კუდი შემაშფოთებელი ზათქით აფეთქდებოდა, ბიძგი ცეცხლაკუდას რამდენიმე მეტრით წინ გაისროდა და თან მის მხლებლებს თრევა-თრევით გაიყოლებდა ხოლმე. საწყლები გაჭირვებით ახერხებდნენ ფეხზე წამოდგომას.

– ჰო, პირდაპირ არ ვიცი, რა ვთქვა, ჰარი, – ჰაგრიდი აღელვებული უყურებდა ბიჭს, – სკოლის ჩემპიონიო?... ყველაფერი შენ როგორ უნდა შეგემთხვას?!

ჰარიმ არაფერი უპასუხა. ტბის ირგვლივ სეირნობისას ჰერმიონმაც ხომ დაახლოებით იგივე უთხრა, და სწორედ ამის გამო იყო, რომ რონი არ ელაპარაკებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მომდევნო რამდენიმე დღე ჰარის ჰოგვორტსულ ცხოვრებაში ყველაზე უარესი იყო. ასე ცუდად მხოლოდ მეორე კურსზე გრძნობდა თავს, როცა სკოლის დიდი ნაწილი ეჭვობდა, რომ ჰარი თანაკურსელებს ესხმოდა თავს. მაგრამ მაშინ რონი მის მხარეზე იყო. ჰარი სხვების ქცევას უფრო იოლად აიტანდა, თუ რონს შემოირიგებდა, მაგრამ თუკი რონს ამის სურვილი არ ჰქონდა, ჰარი კისერზე არ ჩამოეკიდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი არაკეთილმოსურნის წინაშე უმეგობროდ დარჩენილი თავს მარტოსულად გრძნობდა.

ჰაფლეპაფელებს კიდევ გაუგებდა კაცი! ჰარის მოსწონდა თუ არა, ჰაფლეპაფელებს საკუთარი ჩემპიონი ჰყავდათ მხარდასაჭერი. სლიზერინელებისგან ღვარძლის მეტს არც არაფერს ელოდა. ისინი ჰარის დასანახად ვერ იტანდნენ, რადგან სწორედ ჰარის დამსახურება იყო, რომ გრიფინდორის კლუბი ქვიდიჩშიც და საკლუბო ჩემპიონატშიც ზედიზედ ამარცხებდა სლიზერინს. მაგრამ თავს იმით იიმედებდა, იქნებ რეივენქლომ მაინც მეც და სედრიკსაც თანაბრად დაგვიჭიროს მხარიო. მაგრამ ცდებოდა. რეივენქლოელთა უმეტესობა ფიქრობდა, რომ ჰარის განდიდების მანია სჭირდა და თასს თავისი კანდიდატურა მოტყუებით შეაპარა. გარდა ამისა, სედრიკ დიგორი ძალიან ლამაზი იყო: სწორი ცხვირი, მუქი თმა, ნაცრისფერი თვალები... ერთი სიტყვით, ჩემპიონის როლი სედრიკ დიგორის უფრო შეშვენოდა. ძნელი სათქმელი იყო, თაყვანისმცემლებისგან ვინ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებდა, სედრიკი თუ ვიქტორ კრამი. ერთხელ, ლანჩის დროს ჰარიმ თავისი თვალით ნახა, როგორ ეხვეწებოდნენ სედრიკს მეექვსეკურსელი გოგონები, ჩანთებზე ხელი მოგვიწერეო, არადა, ცოტა ხნის წინ კრამის ავტოგრაფზე ნადირობდნენ.

სირიუსისგან კი პასუხი იგვიანებდა. ჰედვიგი ჰარის ახლოს არ იკარებდა, პროფესორი ტრელოუნი უკვე გადაჭრით წინასწარმეტყველებდა მის სიკვდილს, პროფესორ ფლიტვიკის გაკვეთილზეც ისე ჩაფლავდა გამოძახების შელოცვაში, რომ ნევილის გარდა, მთელ კლასში მხოლოდ მან მიიღო დამატებითი საშინაო დავალება.

– ჰარი, არც ისეთი რთულია, უბრალოდ, ყურადღებას არ იკრებდი... – ანუგეშა ჰერმიონმა ფლიტვიკის გაკვეთილიდან გამოსვლისას. თვითონ ჰერმიონი მთელი გაკვეთილის განმავლობაში ჯადოსნური მაგნიტივით იზიდავდა საგნებს. დაფის საწმენდები, საქაღალდე კალათები და მთვაროსკოპები ოთახის ყველა კუთხიდან ზუზუნით მიქროდნენ მისკენ.

– ნეტავ რატომ, ჰა? – ჩაიბურტყუნა მოღუშულმა ჰარიმ. ამ დროს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სედრიკ დიგორიმ ჩაიარა აცუნცრუკებული თაყვანისმცემლების თანხლებით და ყველამ ისე შეხედა ჰარის, თითქოს დიდზე დიდი ცეცხლაკუდა იყო, – ჯერ სადა ხარ! დაიცადე, ბედად, შუადღისით ზედიზედ ორი შხამ-წამლების გაკვეთილი გვაქვს.

შხამ-წამლების გაკვეთილი ჰარის არასოდეს ეხატებოდა გულზე, მაგრამ ახლა ნამდვილ ტანჯვა-წამებად ექცა. ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა აეტანა საათნახევრის განმავლობაში ბნელ სარდაფში სნეიპთან და სლიზერინელებთან ერთად ყოფნა. მათ თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდათ ჰარის დასჯა იმისთვის, რომ გაბედა და სკოლის ჩემპიონი გახდა.

წინა პარასკევი ისედაც ძლივს გადაიტანა. გვერდით ჰერმიონი ეჯდა და ჩურჩულით უმეორებდა: „ყურადღებას ნუ აქცევ, ყურადღებას ნუ აქცევ, ყურადღებას ნუ აქცევ“. ახლაც გაიფიქრა, ამაზე უარესი თუ არა, უკეთესი დღე არ მელისო.

სნეიპის საკლასო ოთახის გარეთ სლიზერინელები იცდიდნენ. ყოველ მათგანს მკერდზე დიდი ემბლემა ებნია. „ნუთუ ᲔᲓᲐᲛ-ის ემბლემებია?“ – გაუელვა ჰარის თავში გიჟურმა აზრმა, მაგრამ სულ ერთი წამით: შემდეგ გაარჩია, რომ ყველა ნიშანზე კაშკაშა წითელი ასოებით გამოყვანილი ერთი და იგივე სიტყვები ეწერა, რომლებიც ბუნდოვნად განათებულ ფონზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა:

„მხარს ვუჭერთ სედრიკ დიგორის, ჰოგვპორტსის ნამდვილ ჩემპიონს.“

– მოგწონს, პოტერ? – ხმამაღლა ჰკითხა მალფოიმ, – ეს კიდევ რაა. ნახე, რა შეუძლიათ!

ემბლემას თითი დააჭირა, წითელი წარწერა გაქრა და მის ნაცვლად მწვანე აინთო:

„პოტერი ჩაფლავდება.“

სლიზერინელები ახარხარდნენ. ყველამ მიაჭირა თითი თავის ნიშანს და ჰარის ყველა მხრიდან „პოტერი ჩაფლავდებამ“ შეანათა. ჰარიმ იგრძნო, რომ სახეში სისხლი მოაწვა.

– ჰო, ძალიან სასაცილოა, – სარკასტულად უთხრა ჰერმიონმა პენსი პარკინსონსა და სხვა სლიზერინელ გოგონებს, რომლებიც სიცილით იხოცებოდნენ, – ყოჩაღ! ჭკვიანურად მოგიფიქრებიათ.

რონი სიმუსთან და დინთან ერთად მიყრდნობოდა კედელს. არ იცინოდა, მაგრამ არც ჰარის მხარეს იჭერდა.

– გინდა, ერთი მოგცე, გრეინჯერ? – მალფოიმ ჰერმიონს ემბლემა გაუწოდა, – თავსაყრელად მაქვს. ოღონდ ხელზე არ შემეხო. ახლახან დავიბანე და არ მინდა, მუქსისხლიანმა წამიბილწოს.

ბოლო დღეების მანძილზე დაგროვილმა ბრაზმა ერთიანად იფეთ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქა. ჰარიმ თავი ველარ შეიკავა, სანამ გააცნობიერებდა, რას აკეთებდა, უკვე ჯადოსნური ჯოხი ეჭირა ხელში. სლიზერინელები გზიდან ჩამოეცალნენ და დერეფნისკენ დაიხიეს.

– ჰარი, – შესძახა ჰერმიონმა.

– მიდი, აბა, პოტერ, – ხმადაბლა უთხრა მალფოიმ და თვითონაც ამოიღო ჯადოსნური ჯოხი, – მუდი აქ არა გყავს, რომ გამოგექომაგოს. ერთი, გვიჩვენე, რისი თავი გაქვს...

წამით ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და შემდეგ ზუსტად ერთდროულად დაიძახეს:

– ფურნუნკულუს!

– დანსოჯეო!

ორივე ჯადოსნური ჯოხიდან ელვამ იფეთქა, ჰაერში ერთმანეთს დაეჯახა და განზე გასხლტა. ჰარის შელოცვა გოილს მოხვდა სახეში, მალფოისა კი – ჰერმიონს.

გოილმა დაიბღავლა და ხელები ცხვირზე იტაცა, სადაც ამაზრზენი ძირმაგარები უჩნდებოდა. ჰერმიონს კი პირზე ხელი აეფარებინა და კრუსუნებდა.

– ჰერმიონ! – რონი წინ გამოვარდა, რომ ენახა, რა სჭირდა მეგობარს.

ჰარი შემობრუნდა და დაინახა, რომ რონმა გოგონას ძალით მოაშორებინა პირიდან ხელი. საშინელი სანახავი იყო. ჰერმიონს ისედაც უჩვეულოდ დიდი წინა ორი კბილი შემაშფოთებელი სისწრაფით ეზრდებოდა და გოგონა თანდათან თახვს ემსგავსებოდა. კბილები ჯერ ქვედა ტუჩს ჩასცდა, შემდეგ – ნიკაპს. თავზარდაცემულმა ჰერმიონმა იგრძნო, რაც სჭირდა და, სასოწარკვეთილს, ყვირილი აღმოხდა.

– რა ხდება, რა ხმაურია? – გაისმა დაბალი, შემპარავი ხმა. სნეიპი მოსულიყო.

სლიზერინელებმა ახსნა-განმარტება არ დააყოვნეს და ერთხმად აყაყანდნენ. სნეიპმა გრძელი, ყვითელი თითი მალფოის მიუშვირა და ბრძანა:

– შენ ამიხსენი.

– პოტერი თავს დამესხა, სერ!

– ორივენი ერთდროულად დავესხით ერთმანეთს, – დაიყვირა ჰარიმ.

– და გოილს მოახვედრა, ნახეთ...

სნეიპმა გოილი გასინჯა. მას სახე შხამიანი სოკოების სახელმძღვანელოს ილუსტრაციას მიუგავდა.

– საავადმყოფო ფლიგელში, გოილ, – აუღელვებად გასცა განკარგულება სნეიპმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მალფოიმ კი ჰერმიონს მოარტყა, შეხედეთ, – უთხრა რონმა და ჰერმიონი აიძულა, სნეიპისთვის ეჩვენებინა კბილები. ჰერმიონი ამაოდ ცდილობდა, საყელომდე ჩამოზრდილი კბილები ხელებით დაეფარა. სნეიპის ზურგს უკან პენსი პარკინსონი და დანარჩენი სლიზერინელი გოგოები ჩაბჟირებისაგან წელში მოკაკვულიყვნენ და ჰერმიონისკენ იშვერდნენ თითს.

სნეიპმა ცივად შეხედა ჰერმიონს:

– ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ.

ჰერმიონმა ამოიქვითინა, შეტრიალდა და სირბილით მიეფარა კარს.

კიდევ კარგი, ჰარიმ და რონმა ზუსტად ერთდროულად დაუწყეს ყვირილი სნეიპს, რადგან მათი ხმები ქვის დერეფანში ისეთ ექოს გამოსცემდა, რომ გაურკვეველ გუგუნში შეუძლებელი იყო სიტყვების გარჩევა, მაგრამ სნეიპი ძირითად აზრს მაინც ჩასწვდა.

– დაწყნარდით? – თქვა მან შემპარავი ხმით, – ორმოცდაათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს და დამატებითი სამუშაო უისლისა და პოტერს. ახლა შიგნით შედით, თორემ ეს თავხედობა ერთკვირიან დამატებით სამუშაოდ დაგიჯდებათ.

ჰარის ყურები უგუგუნებდა. ასეთი უსამართლობით აღშფოთებული მზად იყო, სნეიპი იმდენ ხანს ეწყევლა, სანამ ათას ნაწილად არ დაშლიდა. ჰარიმ და რონმა სნეიპს ჩაუარეს და საკლასო ოთახის ბოლოში გავიდნენ. ჰარიმ ჩანთა მერხზე დაახეთქა. რონი სიბრაზისგან კანკალებდა. წამით მათ შორის ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, მაგრამ შემდეგ რონი მიტრიალდა და სიმუსთან და დინთან დაჯდა. ჰარი მარტო დარჩა. საკლასო ოთახის მეორე ბოლოში მალფოიმ სნეიპს ზურგი შეაქცია, იქედნური ღიმილით დააჭირა თითი გულზე მიბნეულ ემბლემას და კიდევ ერთხელ გამოანათა წარწერამ – „პოტერი ჩაფლავდება“.

გაკვეთილი დაიწყო. ჰარი იჯდა, სნეიპს უყურებდა და გონებაში ათას საშინელებას უგზავნიდა. კრუციატუსის წყევლა რომ სცოდნოდა, იმ ობობასავით ზურგზე დაახეთქებდა და კრუნჩხვასა და ბორგვაში ამოხდიდა სულს.

– შხამსაწინააღმდეგო საშუალებები, – სნეიპმა კლასი მოათვალიერა და ცივ შავ თვალებში ბოროტმა ნაპერწკალმა გაურბინა, – რეცეპტი მზად უნდა გქონდეთ. ახლა ფრთხილად აადუღებთ და გაკვეთილის ბოლოს ერთ-ერთ თქვენგანზე გამოვცდით...

სნეიპმა თვალი თვალში გაუყარა ჰარის და ჰარი მიხვდა, რა ელოდა. სნეიპი მის მოწამვლას აპირებდა! ჰარიმ წარმოიდგინა, რომ ქვაბს ილებს, სნეიპთან მირბის და პირდაპირ გაქონილ თავში დასცხებს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს ტკბილი ოცნება მოულოდნელად კარზე კაკუნმა შეაწყვეტინა.

სარდაფში კოლინ ქრივი შემოვიდა, ჰარის გულღიად გაუღიმა და სნეიპთან მივიდა.

– გისმენთ, – მშრალად მიმართა სნეიპმა.

– უკაცრავად, სერ, ჰარი პოტერი მაღლა უნდა ავიყვანო.

სნეიპი დაიხარა და მოკაუჭებული ცხვირი ლამის კოლინს მიაბჯინა. ბიჭს გაბრწყინებული სახიდან მაშინვე გაუქრა ღიმილი.

– პოტერს კიდევ ერთი შხამ-წამლების გაკვეთილი აქვს, – ცივად უთხრა სნეიპმა, – მაღლა მაშინ ამოვა, როცა გაკვეთილი დასრულდება.

კოლინი საშინლად გაწითლდა.

– ისა... სერ, ბატონი ბეგმანი ეძახის, – წაილუღლუღა დამფრთხალმა, – ყველა ჩემპიონს იძახებენ. მგონი, ფოტოები უნდა გადაუღონ...

ჰარი ყველაფერს მისცემდა, ოღონდაც კოლინს ბოლო სიტყვები არ წარმოეთქვა. ცალი თვალი რონისკენ გააპარა, მაგრამ რონი დიდი მონდომებით უყურებდა ჭერს.

– კარგი, კარგი, – უღრიალა სნეიპმა, – პოტერ, შენი ჩანთა აქ დატოვე. მოგვიანებით ჩამოხვალ და შენს შხამსაწინააღმდეგო საშუალებას გამოვცდით.

– სერ, უკაცრავად, მაგრამ ჰარიმ ჩანთაც თან უნდა წამოიღოს, – დაიწრიპინა კოლინმა, – ყველა ჩემპიონს...

– გასაგებია! – შეაწყვეტინა სნეიპმა, – პოტერ, აიღე შენი ჩანთა და აქედან დამეკარგე!

ჰარიმ ჩანთა მხარზე მოიგდო, წამოდგა და კარისკენ გაემართა. სლიზერინის მერხებს რომ ჩაუარა, ყველა მხრიდან შეანათეს „პოტერი ჩაფლავდება“.

– რა საოცარია, არა, ჰარი? – აქაქანდა კოლინი, როგორც კი ჰარიმ ზურგს უკან სარდაფის კარი მიხურა, – რა საოცარია, შენ ჩემპიონი ხარ!

– ჰო, მართლა საოცარია, – მწარედ ამოიოხრა ჰარიმ.

ჰოლში გავიდნენ და კიბისკენ გაემართნენ.

– კოლინ, ხომ არ იცი, ფოტოები რისთვის უნდათ?

– ალბათ, „დილის მისნისთვის“.

– დიდებულია, – ჩაიბუზღუნა ჰარიმ, – ესღა მაკლდა. მეტი პოპულარობა!

– წარმატებას გისურვებ, – კართან დაემშვიდობა კოლინი. ჰარიმ კარზე დააკაკუნა და შევიდა.

საკმაოდ მომცრო საკლასო ოთახში მერხები ოთახის ბოლოში მიეწიათ და შუაგულში დიდი ცარიელი ადგილი დაეტოვებინათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაფის წინ სამი მერხი ერთმანეთთან მიედგათ და ზედ გრძელი ხავერდის გადასაფარებელი გადაეფარებინათ. ხავერდგადაფარებულ მაგიდასთან ხუთი სკამი იდგა. ერთ-ერთ სკამზე ლუდო ბეგმანი იჯდა და ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა, რომელსაც ჰარი პირველად ხედავდა. ქალს ალისფერი მანტია ემოსა. ვიქტორ კრამი, როგორც ყოველთვის, მოქუფრული, განმარტოებით იდგა ოთახის კუთხეში და ხმას არ იღებდა. სედრიკი და ფლერი გატაცებით საუბრობდნენ. ფლერი წინანდელზე ბევრად უფრო მხიარული ჩანდა. თავს წარამარა უკან გადაიქნევდა ხოლმე და გრძელ ვერცხლისფერ თმაზე შუქი ლამაზად ეცემოდა. ღიპიანი კაცი, რომლის დიდი შავი ფოტოაპარატი ოდნავ ბოლავდა, ფლერისკენ აპარებდა თვალს.

ბეგმანმა უცებ ჰარი შეამჩნია, ფეხზე წამოიჭრა და მისკენ გამოვარდა.

– აჰაა! აი, მეოთხე ჩემპიონიც! შემოდი, ჰარი, შემოდი! სანერვიულო არაფერია, ჯადოსნური ჯოხების აწონის ცერემონიაა და მეტი არაფერი. ჟიურის წევრებიც, სადაცაა, მოვლენ.

– ჯადოსნური ჯოხების აწონის ცერემონია? – გაიმეორა აღელვებულმა ჰარიმ.

– უნდა შევამოწმოთ, თქვენი ჯოხები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია თუ არა. რადგან დავალებებში ჯადოსნური ჯოხი თქვენი მთავარი იარაღია, პრობლემებისგან თავი წინასწარ უნდა დავიზღვიოთ. ჯადოსნური ჯოხების სპეციალისტი ახლა მაღლაა, დამბლდორთან. მერე, ალბათ, რამდენიმე ფოტოსაც გადავიღებთ. ეს რიტა სკიტერია, – დასძინა ბეგმანმა და ალისფერმანტიიან ჯადოქარზე ანიშნა, – „დილის მისნისთვის“ ტურნირზე პატარა რეპორტაჟს ამზადებს...

– შესაძლოა, არც ისე პატარას, ლუდო, – ჰარისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე შეუსწორა რიტა სკიტერმა. თმა საგულდაგულოდ დაეხვია და მსხვილი, მყარი კულულები უცნაურ კონტრასტს ქმნიდა მის დიდყბიან სახესთან. ძვირფასი ქვებით შემკული სათვალე ეკეთა. კოტიტა თითებით ნიანგის ტყავის ხელჩანთა ჩაებღუჯა და ხუთსანტიმეტრიანი ფრჩხილები მუქწითლად შეეღება.

– შეიძლება, სანამ დავიწყებთ, ჰარის გავესაუბრო? – მიმართა ბეგმანს, მაგრამ ჰარისთვის ისევ არ მოუშორებია თვალი, – ხომ იცით, ყველაზე უმცროსი ჩემპიონია და... მკითხველი უფრო რომ დავაინტერესო!

– რა თქმა უნდა! – იყვირა ბეგმანმა, – უფრო სწორად, ისა... თუ, რასაკვირველია, ჰარის საწინააღმდეგო არაფერი აქვს!

– ისაა... – დაიბნა ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მშვენიერია, – რიტა სკიტერმა ალისფერკლანჭებიანი თითებით თვალის დახამხამებაში წარმოუდგენელი ძალით ჩაბღუჯა ჰარის მკლავი, ოთახიდან ძალით გამოიყვანა და პირველივე კარი გააღო.

– იქ რა გვინდა, ხმაური შეგვიშლის ხელს. აბა, ვნახოთ. აი, მშვენიერი და მყუდრო ადგილი!

ცოცხების საკუჭნაო აღმოჩნდა. ჰარიმ გაოცებით შეხედა.

– შემოდი, ძვირფასო, აი, ასე, მშვენიერია, – რიტა სკიტერი ფრთხილად ჩამოსკუპდა ამობრუნებულ ვედროზე, ჰარი მუყაოს ყუთზე დასვა და კარი დახურა. საკუჭნაოში სიბნელე ჩამოწვა.

– აბა, ვნახოთ...

მან ტკაცანით გახსნა ნიანგის ტყავისგან დამზადებული ხელჩანთის საკეტი, მთელი მუჭა სანთლები ამოიღო, ჯადოსნური ჯოხის აქნევით აანთო და ჰაერში გააჩერა.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ჰარი, ჩემს ფრთიანი-ფრაზებისფრთას თუ გამოვიყენებ? ეს საშუალებას მომცემს, ნორმალურად გაგესაუბრო.

– რას გამოიყენებთ? – ჰკითხა ჰარიმ.

რიტა სკიტერმა ფართოდ გაიღიმა. ჰარიმ სამი ოქროს კბილი დაუთვალა. რიტამ ისევ თავის ნიანგის ტყავის ჩანთაში ჩაყო ხელი და გრძელი მჭახე ზურმუხტისფერი ბატის ფრთა და პერგამენტის გრაგნილი ამოიღო, გრაგნილი მათ შორის მდებარე „მისის სკოვერის ჯადოსნური ლაქების ამომყვანი საშუალების“ ყუთზე გაშალა, ზურმუხტისფერი ფრთის წვერი პირში ჩაიდო, აშკარა ნეტარებით მოწუწნა და პერგამენტზე ვერტიკალურად დააყენა. ფრთა წვერზე იდგა და ოდნავ ირწეოდა.

– საცდელი ჩაწერა: მე ვარ რიტა სკიტერი, „დილის მისნის“ კორესპონდენტი...

ჰარიმ სწრაფად დახედა ფრთას. რა წამსაც რიტა სკიტერმა ხმა ამოიღო, ზურმუხტისფერი ფრთა პერგამენტზე გასრიალდა და ელვის სისწრაფით შეუდგა წერას:

„მომხიბვლელი ქერათმიანი ქალბატონი, ორმოცდასამი წლის რიტა სკიტერი, რომლის ბასრმა კალამმა მრავალი გაბერილი რეპუტაცია დაჩუტა...“

– მშვენიერია, – რიტა სკიტერმა პერგამენტს ზედა ნაწილი მოახია, დაკუჭა და ჩანთაში ჩატენა. მერე ჰარისკენ გადაიხარა:

– აბა, ჰარი... რამ გადაგაწყვეტინა სამი ჯადოქრის ტურნირში მონაწილეობა?

– ისა... – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ ყურადღება ეფანტებოდა და თვა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი ფრთისკენ გაურბოდა. ჯერ არაფერი უთქვამს, ბატის ფრთა კი უკვე პერგამენტზე დაქროდა და წერდა:

„ტრაგიკული წარსულის დანატოვარი, შემზარავი ნაიარევი დაღი-ვით ატყვია ჰარი პოტერის სხვა მხრივ ყოვლად უნაკლო სახეს. მისი თვალები...

– ჰარი, ფრთას ყურადღებას ნუ აქცევ, – მკაცრად ბრძანა რიტა სკიტერმა. ჰარიმ უხალისოდ აიხედა მაღლა, – ახლა მითხარი, რატომ გადაწყვიტე ტურნირში მონაწილეობის მიღება?

– არაფერიც არ გადამიწყვეტია. არ ვიცი, ჩემი სახელი როგორ მოხვდა ცეცხლოვან თასში. მე ახლოსაც არ გავკარებივარ.

რიტა სკიტერმა ფანქრით გასქელებული წარბი ასწია.

– კარგი, ერთი, ჰარი. დასჯის ნუ გეშინია. მართალია, განაწესი დაარღვიე, მაგრამ ამაზე ნუ იღელვებ. ჩვენს მკითხველებს უყვართ მეამბოხეები.

– ეს მე არ გამიკეთებია, არ ვიცი, ვინ...

– რას გრძნობ მოახლოებული ტურნირის წინ? – ჩაეძია რიტა სკიტერი, – ღელავ? ნერვიულობ?

– რა ვიცი... ამაზე არ მიფიქრია... ჰო, ალბათ, ვნერვიულობ, – თქვა ჰარიმ და მუცელი უსიამოვნოდ აუწრიალდა.

– წარსულში ჩემპიონები დაღუპულან. ამაზე თუ გიფიქრია? – მკვირცხლად ჩაეკითხა რიტა სკიტერი.

– რა ვიცი, ამბობენ წელს ყველაფერი გაცილებით უსაფრთხო იქნებაო, – თქვა ჰარიმ.

ბატის ფრთა წინ და უკან დაქროდა პერგამენტზე.

– რა თქმა უნდა, შენ ადრეც ჩაგიხედავს სიკვდილისთვის თვალებში, არა? – რიტა სკიტერი დაჟინებით დააცქერდა, – რას იტყვი. როგორ იმოქმედა შენზე ამან?

– ისა... – ისევ დაება ენა ჰარის.

– ხომ არ ფიქრობ, რომ წარსულის ტრავმამ გიბიძგა, ყველასთვის დაგემტკიცებინა შენი შესაძლებლობები? როგორ ფიქრობ, იქნებ იმიტომ წაგძლია სულმა, კანდიდატურა წარმოგეყენებინა, რომ...

– მე არ წამომიყენებია კანდიდატურა! – შეაწყვეტინა ჰარიმ. ეს ქალი უკვე ნერვებს უშლიდა.

– სულ არ გახსოვს შენი მშობლები? – სასწრაფოდ შეცვალა თემა რიტამ.

– არა.

– როგორ ფიქრობ, რას იგრძნობდნენ, სამი ჯადოქრის ტურნირში მათი ვაჟის მონაწილეობის ამბავი რომ გაეგოთ? იამაყებდნენ, ინერვიულებდნენ, თუ გაბრაზდებოდნენ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ახლა კი მართლა გაბრაზდა. საიდან უნდა სცოდნოდა, რას იგრძნობდნენ მისი მშობლები, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ? რიტა სკიტერი თვალებით ბურღავდა. ჰარიმ შუბლი შეიკრა, მის მზერას თვალი აარიდა და პერგამენტს დახედა. ბატის ფრთა წერდა:

„ცრემლებით ევსება გამაოგნებლად მწვანე თვალები, როდესაც ჩვენი საუბარი მშობლებს ეხება, რომლებიც მას თითქმის არ ახსოვს."

– სულაც არ მევსება თვალები ცრემლებით! – იყვირა ჰარიმ.

სანამ რიტა სკიტერი რამეს უპასუხებდა, ცოცხების საკუჭნაოს კარი ყურთამდე გაიღო. ჰარიმ მიიხედა და მკვეთრი შუქისგან თვალები მოეჭუტა. კარში ალბუს დამბლდორი იდგა და საკუჭნაოში შეჭყუნულ კორესპონდენტსა და მის მსხვერპლს დასცქეროდა.

– დამბლდორ! – შესძახა სიხარულით გაბრწყინებულმა რიტა სკიტერმა, მაგრამ ჰარის არ გამოჰპარვია, რომ ფრთა და პერგამენტი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა, რიტას გრძელფრჩხილება თითებმა კი საჩქაროდ ტკაცანით ჩაკეტა ნიანგის ტყავის ხელჩანთა, – როგორ ბრძანდებით? – დიდი ამბით მოიკითხა დამბლდორი, წამოდგა და ტლანქი, მამაკაცური ხელი გაუწოდა, – იმედია, წაიკითხეთ ჩემი სტატია ზაფხულში ჩატარებულ ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის ყრილობაზე.

– სრულყოფილი საძაგლობა იყო, – თვალები აუციმციმდა დამბლდორს, – განსაკუთრებით ის ადგილი მომეწონა, სადაც მე „ბებერი ბრიყვი" მიწოდეთ.

რიტა სკიტერს წარბი არ შეუხრია.

– უბრალოდ, იმას ვგულისხმობდი, რომ თქვენი იდეები, ცოტა არ იყოს, ძველმოდურია, დამბლდორ, და ქუჩაში გამოკითხულ ჯადოქართა უმრავლესობა...

– მე სიამოვნებით მოვისმენდი გონივრულ არგუმენტს, რიტა, – თქვა დამბლდორმა თავაზიანი თავის დაკვრით და ღიმილით, – მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხს მოგვიანებით უნდა მივუბრუნდეთ. ჯადოსნური ჯოხების აწონის ცერემონია სადაცაა დაიწყება, ერთ-ერთი ჩემპიონი კი ცოცხების საკუჭნაოშია გამომწყვდეული.

ჰარიმ გაიხარა, ამ აბეზარ ქალს თავი რომ დააღწია, და სასწრაფოდ ისევ ოთახში დაბრუნდა. დანარჩენი ჩემპიონები კართან ახლოს სკამებზე ისხდნენ. ჰარიმ სწრაფად დაიკავა ადგილი სედრიკის გვერდით და ხავერდისგადასაფარებლიანი მაგიდისკენ გაიხედა, რომელსაც ჟიურის ხუთი წევრიდან ოთხი მისხდომოდა: პროფესორი კარკაროვი, მადამ მაქსიმი, ბატონი კრაუჩი და ლუდო ბეგმანი. რიტა სკიტერი კუთხეში მოკალათდა. ჰარიმ დაინახა, როგორ ამოაცურა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩანთიდან პერგამენტი, მუხლზე გაშალა, ფრთიანი-ფრაზების-ფრთის წვერი პირში ჩაიდო, მოწუწნა და ისევ პეგამენტზე დააყენა.

– ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ მისტერ ოლივანდერი, – მიმართა დამბლდორმა ჩემპიონებს და ჟიურის წევრების გვერდით თავისი ადგილი დაიკავა, – მისტერ ოლივანდერი შეამოწმებს თქვენს ჯადოსნურ ჯოხებს, რათა ტურნირის დაწყებამდე დავრწმუნდეთ, რომ ისინი კარგ მდგომარეობაშია.

ჰარიმ გაოცებულმა მიმოიხედა და დაინახა ფანჯარასთან მდგარი მოხუცი ჯადოქარი დიდი უფერული თვალებით. ჰარი ადრეც შეხვედროდა მისტერ ოლივანდერს: ეს სწორედ ის ჯადოსნური ჯოხების მწარმოებელი იყო, რომლისგანაც სამი წლის წინ მრუდე ქუჩაზე თავისი ჯოხი იყიდა.

– მადმუაზელ დელაკურ, წინააღმდეგი თუ არ ხართ, თქვენით დავიწყოთ, – თქვა ბატონმა ოლივანდერმა და ოთახის შუაგულში გამოვიდა.

ფლერ დელაკური ბატონ ოლივანდერს მარდად მიუახლოვდა და ჯოხი გადასცა.

– ჰმმმ... – ოლივანდერმა ჯოხი გრძელ თითებში მოიქცია და დირიჟორივით დაატრიალა. ჯოხის წვერიდან რამდენიმე წითელ-ოქროსფერი ნაპერწკალი გადმოვარდა. შემდეგ თვალებთან მიიტანა და გულდასმით შეამოწმა, – დიახ, ოცდასამნახევარი სანტიმეტრი... მტკიცე... პალისანდრის ხე... და მასში მოთავსებულია... ღმერთო ჩემო...

– ვიილას ტმის ღელი, – დაასრულა ფლერმა, – ელტ-ელტი ჩემი ბებია ვიილა იკო.

„ესე იგი, ფლერს ვიილას სისხლი აქვს“, გაიფიქრა ჰარიმ და გულში გაივლო, რონს უნდა ვუთხრაო, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ რონი არ ელაპარაკებოდა.

– დიახ, – თქვა გაოცებულმა მისტერ ოლივანდერმა, – მე თვითონ, რასაკვირველია, არასდროს გამომიყენებია ვიილას თმა. ჩემი აზრით, მისგან მეტისმეტად ტემპერამენტიანი ჯოხები გამოდის, მაგრამ ყველას თავისი ერგება, და თუკი თქვენთვის ეს შესაფერისია...

მისტერ ოლივანდერმა ჯოხს სიგრძეზე გადაუსვა გრძელი თითები, როგორც ჩანს, ამოწმებდა, სადმე ბორცვები ან ჩაღრმავებები ხომ არ ჰქონდა. შემდეგ წაიბუტბუტა: – ორქიდეუს! – და ჯოხის წვერიდან ყვავილების თაიგულმა იფეთქა.

– შესანიშნავია, ჯოხი ჩინებულ მდგომარეობაშია, – გამოაცხადა ოსტატმა, ყვავილები წამოკრიფა და ფლერს ჯოხთან ერთად გადასცა, – მისტერ დიგორი, თქვენი ჯერია...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფლერი თავის სკამთან მინარნარდა და სედრიკს რომ ჩაუარა, ღიმილით დააჯილდოვა.

– აჰა, ეს ჩემი ნახელავია, არა? – შესამჩნევად გამოცოცხლდა მისტერ ოლივანდერი და სედრიკს ჯოხი გამოართვა, – დიახ, კარგად მახსოვს. მასში მოთავსებულია უმშვენიერესი ცალრქიანი ცხენის კუდის ძუა... ალბათ, ორი მეტრის სიმაღლის მაინც იქნებოდა. კინაღამ რქაზე წამომაგო, კუდიდან ძუა რომ გამოვაძრე. ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძისა... იფანი... საამოდ მოქნილი ჯოხი. მშვენიერ მდგომარეობაშია... რეგულარულად წმენდთ?

– წუხელ გავაპრიალე, – გაიღიმა სედრიკმა.

ჰარიმ თავის ჯოხს დახედა. ყველგან ნათითურები ემჩნეოდა. შეეცადა, მანტიის კალთით მალულად გაეპრიალებინა. ჯოხიდან მაშინვე ოქროსფერი ნაპერწკალები გადმოცვივდა. ფლერ დელაკურმა ჰარის ამრეზით გახედა. ჰარი მაშინვე გაჩერდა.

მისტერ ოლივანდერმა სედრიკის ჯოხის წვერიდან ოთახში ვერცხლისფერი კვამლის რგოლები გაუშვა, კმაყოფილი დარჩა და კრამი გამოიძახა:

– მისტერ კრამ, გთხოვთ...

ვიქტორ კრამი წამოდგა, მხრები შეარხია, მოიხარა, ფეხათრევით მივიდა მისტერ ოლივანდერთან, ჯადოსნური ჯოხი გადასცა, ხელები მანტიის ჯიბეებში ჩაიწყო და მოღუშული დადგა.

– ჰმმმ... – დაიწყო მისტერ ოლივანდერმა, – თუ არ ვცდები, გრეგოროვიჩის ნახელავია, არა? ჯადოსნური ჯოხების მშვენიერი ოსტატია, თუმცა სტილი მთლად ისეთი არა აქვს, როგორიც...

ჯოხი თვალებთან მიიტანა, კარგა ხანს ატრიალა და ათვალიერა.

– დიახ... რცხილა და დრაკონის გულის ძარღვი, არა? – მიმართა კრამს. კრამმა თავი დაუქნია, – ჩვეულებრივზე საკმაოდ სქელია... ძალზე ძლიერი ჯოხია, ოცდახუთი სანტიმეტრი... ავის!

რცხილის ჯოხმა თოფივით გაისროლა, მისი წვერიდან რამდენიმე ჩიტუნია გამოფრინდა და ღია ფანჯრიდან ჭიკჭიკით გარეთ გაფრთხიალდა.

– შესანიშნავია, – დაასკვნა მისტერ ოლივანდერმა და ჯოხი კრამს დაუბრუნა, – და დარჩა მისტერ პოტერი.

ჰარი წამოდგა, კრამს გვერდი აუქცია, მისტერ ოლივანდერთან მივიდა და ჯოხი გადასცა.

– ააა, დიახ, – მისტერ ოლივანდერს უფერული თვალები მოულოდნელად გაუბრწყინდა, – დიახ, დიახ, დიახ. რა კარგად მახსოვს...

ჰარისაც კარგად ახსოვდა. გუშინდელ დღესავით ახსოვდა...

ოთხი წლის წინ, თავის მეთერთმეტე დაბადების დღეზე, ჰარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაგრიდთან ერთად ჯადოსნური ჯოხის საყიდლად მისტერ ოლივანდერის მაღაზიაში შევიდა. მისტერ ოლივანდერმა ჰარი საგულდაგულოდ გაზომა და შემდეგ გასასინჯად ერთმანეთის მიყოლებით მიაწოდა ჯადოსნური ჯოხები. ჰარიმ თითქმის ყველა ჯადოსნური ჯოხი გაიქნია, რაც კი მაღაზიაში იყო, სანამ შესაფერისი ჯოხი არ იპოვა – აი, ეს, ბაძგისაგან დამზადებული ოცდაშვიდი სანტიმეტრის სიგრძის ჯოხი, რომელშიც მოთავსებული იყო ფენიქსის კუდის ბუმბული. მისტერ ოლივანდერს მაშინ ძალიან გაუკვირდა, რომ ჰარი და ეს ჯოხი ასე შეეწყვნენ ერთმანეთს. „საოცარია, – თქვა მაშინ, – საოცარია...“ ჰარის კითხვაზე, თუ, რა იყო ასეთი საოცარი, მისტერ ოლივანდერმა აუხსნა, რომ ჰარისა და ლორდ ვოლდემორის ჯოხებში ბუმბული ერთი ფენიქსის კუდიდან იყო.

ჰარის ეს ამბავი არავისთვის გაუმხელია. თავისი ჯოხი ძალიან უყვარდა. მის ვოლდემორთან კავშირს რაც შეეხება, ეს ისეთი საკითხი იყო, რასაც ვერაფერს მოუხერხებდა, ისევე როგორც ვერაფერს გააწყობდა იმ ფაქტთან, რომ დეიდა პეტუნიას ენათესავებოდა. მიუხედავად ამისა, ახლა იმედი ჰქონდა, რომ მისტერ ოლივანდერი ოთახში შეკრებილებს ამას არ განუცხადებდა. ალღოთი გრძნობდა, რომ ამის გაგონებაზე რიტა სკიტერის ფრთიანი-ფრაზების-ფრთა აღელვებისგან გასკდებოდა.

მისტერ ოლივანდერმა ჰარის ჯოხი ყველაზე დიდხანს სინჯა. ბოლოს მისი წვერიდან ღვინის შადრევანი გადმოაფრქვია, ჰარის დაუბრუნა და განაცხადა, რომ ჯოხი იდეალურ მდგომარეობაში იყო.

– ყველას მადლობას მოგახსენებთ, – წამოდგა დამბლდორი, – ახლა შეგიძლიათ, გაკვეთილებს დაუბრუნდეთ ან ალბათ, ჯობს, პირდაპირ სასაუზმოდ ჩახვიდეთ, რადგან გაკვეთილი წუთი წუთზე დამთავრდება.

ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, რომ იმ დღეს რაღაცამ მაინც ნორმალურად ჩაიარა, და წასასვლელად ადგა, მაგრამ ამ დროს შავფოტოაპარატიანი კაცი წამოხტა და ჩაახველა.

– ფოტოები, დამბლდორ, ფოტოები! – წამოიძახა აღტაცებულმა ბეგმანმა, – ჟიურის წევრები და ჩემპიონები ერთად! შენ რას იტყვი, რიტა?

– მმმ... კარგი, ჯერ ყველა ერთად, – უხალისოდ დაეთანხმა რიტა სკიტერი, რომელიც ისევ ჰარის უყურებდა, – და შემდეგ იქნებ ყველას ცალ-ცალკე გადავუღოთ.

ფოტოგადაღებამ დიდი დრო წაიღო. მადამ მაქსიმი სადაც უნდა დამდგარიყო, ყველას ფარავდა, ფოტოგრაფი კი იმდენად შორს ვერ დგებოდა, რომ იგი კადრში მოექცია. კარკაროვი თითზე იხვევდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წვერის ბოლოს, რომ კარგად აპრეხოდა. კრამი, რომელიც, ჰარის აზრით, შეჩვეული უნდა ყოფილიყო ასეთ რამეებს, ჯგუფის ბოლოში მიყუჟული სანახევროდ ჩანდა. ფოტოგრაფს უნდოდა, ფლერი წინა პლანზე დაეყენებინა, მაგრამ რიტა სკიტერი მაშინვე წინ გამოვარდებოდა და ჰარის უფრო გამოსაჩენ ადგილზე გამოათრევდა ხოლმე. შემდეგ დაიჟინა, ყველა ჩემპიონს ცალკე უნდა გადავუღოო. ბოლოს, როგორც იქნა, ყველანი გაათავისუფლეს და წასვლის ნება დართეს.

ჰარი სასადილოდ ჩავიდა. ჰერმიონი იქ არ დახვდა, ალბათ, ჯერ კიდევ საავადმყოფო ფლიგელში იყო და კბილებს იპატარავებდა. მარტომ ისაუზმა, შემდეგ გრიფინდორის კოშკში დაბრუნდა, გზადაგზა შელოცვებში თავის დამატებით საშინაო დავალებაზე ფიქრობდა. საძინებელში რონი დახვდა.

– ბუ მოგივიდა, – ცივად აუწყა რონმა, როგორც კი ჰარი ოთახში შევიდა, და ბალიშზე მიუთითა. იქ სკოლის ჭოტი იცდიდა.

– ჰო, კარგი, – უთხრა ჰარიმ.

– ხვალ საღამოს დამატებითი სამუშაო უნდა შევასრულოთ სნეიპის სარდაფში, – გადასცა რონმა და ოთახიდან ისე გავიდა, ჰარისთვის არ შეუხედავს. ჰარიმ წამით იფიქრა, ხომ არ გავყვეო. ზუსტად არ იცოდა, რა უნდოდა, რონს დალაპარაკებოდა, თუ ერთი კარგად წაეთაქებინა, ორივე აზრი ერთნაირად მიმზიდველად ეჩვენებოდა, მაგრამ სირიუსის წერილის წაკითხვის სურვილმა სძლია. ჰარი ჭოტთან მივიდა, ფეხზე მიბმული წერილი შეხსნა და გაშალა.

„ჰარი,

ამ წერილში ყველაფერს ვერ გეწყვი. ძალიან სარისკოა, შეიძლება, სხვას ჩაუვარდეს ხელში. ჰირსჰარ უნდა დაგელაპარაკო. შეგიძლია, ისე მოახერხო, რომ იცდაორ ნიემბერს ღამის ჰირველ საათზე გრიფინდორის საერთო დარბაზში ბუხართან მარწო დარჩე?

მე სხვებზე უკეთ ვიცი, რომ შენ შეგიძლია, საკუთარ თავს მიხედო, და სანამ დამბლდორისა და მუდის მახლობლად ფრიალებ, ვერავინ გაბედავს, რამე დაგიშავოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ვილაცა ამას თავგამოდებით ცდილობს – მან ხომ უკვე მოახერხა შენი ფურნარში ჩართვა, თანაც დამბლდორის ცხვირწინ.

ფრთხილად იყავი, ჰარი. მომწერე, თუ რამე უჩვეულო მიხდა. იცდაორ ნიემბერთან დაკავშირებით, რაც შეიძლება, მალე გამაგებინე ჰასუხი.

სირიუსი."

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრამეტე

უნგრული რქაკუდა

მომდევნო ორი კვირა ჰარის მხოლოდ და მხოლოდ სირიუსთან პირისპირ დალაპარაკების იმედმა გადაატანინა. მისთვის ეს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო. სკოლის ჩემპიონად არჩევის პირველმა ელდამ ოდნავ გადაუარა და ახლა თანდათან ეპარებოდა მოსალოდნელი საფრთხის შიში. პირველი ტური ახლოვდებოდა და ჰარის ეჩვენებოდა, რომ საზარელი ურჩხულივით ჩასაფრებული რაღაცა უღობავდა გზას. ქვიდიჩის არც ერთი მატჩის წინ არ ჰქონია ნერვები ასე დაჭიმული, როგორც ახლა. არც სლიზერინის წინააღმდეგ ბოლო მატჩის წინ, რომელმაც ქვიდიჩის თასის ბედი გადაწყვიტა. საერთოდ, მომავალზე ფიქრიც კი უჭირდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იმისთვის იცხოვრა, რომ პირველ ტურზე დაღუპულიყო.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, ვერც კი წარმოედგინა, სირიუსი როგორ უნდა დახმარებოდა ათასობით მაყურებლის წინაშე უცნობი, რთული და სახიფათო ჯადოქრული დავალების შესრულებაში. მაგრამ ახლა ერთი მეგობრული სახის დანახვაც კი ძვირად უღირდა. სირიუსს მისწერა, დათქმულ დროს საერთო ოთახში ბუხართან დაგელოდებიო. მან და ჰერმიონმა დიდხანს იმსჯელეს, როგორ გაეყარათ იმ ღამეს საერთო ოთახიდან გვიანობამდე შემორჩენილი შემთხვევითი მოწმეები. ბოლოს და ბოლოს, თუ სხვა გზა აღარ დარჩებოდათ, მთელ ტომარა ნეხვის ბომბებს ააფეთქებდნენ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, ეს არ დასჭირდებოდათ, რადგან თუ ფილჩი გაიგებდა, ორივეს ცოცხლად გააძრობდა ტყავს.

ამასობაში, ციხე-კოშკში ცხოვრება ჰარისთვის კიდევ უფრო აუტანელი გახდა. რიტა სკიტერმა სამი ჯადოქრის ტურნირის შესახებ სტატია გამოაქვეყნა და, როგორც აღმოჩნდა, სტატია ტურნირს კი არ ეხებოდა, არამედ ჰარის ცხოვრების მხატვრულ აღწერას წარმო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადგენდა. პირველ გვერდზე ჰარის სურათი გამოეჭიმათ, სტატია (რომელიც გრძელდებოდა მეორე, მეექვსე და მეშვიდე გვერდებზე) მთლიანად ჰარის ეძღვნებოდა, ბობატონისა და დურმსტრანგის ჩემპიონთა შეცდომით დაწერილი სახელები ბოლო სტრიქონში ჩაეკ-ვეხებინათ. ხოლო სედრიკი საერთოდ არ იყო ნახსენები.

სტატია ათი დღის წინ დაიბეჭდა, მაგრამ მის გახსნებაზე ჰარი ახლაც სირცხვილით იწვოდა. რიტა სკიტერმა ისეთი საშინელებების თქმა დასწამა, რაც ჰარის ცოცხების საკუჭნაოში კი არა, ცხოვრე-ბაშიც არ ეთქვა.

„ალბათ, ჩემი მშობლები ძალას მმატებენ. ვიცი, ახლა რომ ვენახე, ჩემით ძალიან იამაყებდნენ... დიახ, ზოგჯერ ღამღამობით ახლაც დავტირი მათ და არ მრცხვენია ამის აღიარებისა... ვიცი, რომ არა-ფერი დამიშავდება ტურნირზე, რადგან ისინი ზეციდან დამცქერი-ან“...

რიტა სკიტერი კიდევ უფრო შორს წავიდა: ის არ იკმარა, რომ, ჰარის „ისაა“ გრძელ, სენტიმენტალურ წინადადებებად აქცია, და ჩემპიონის შესახებ სხვებსაც ჩამოართვა ინტერვიუ:

„როგორც იქნა, ჰარის ჰოგვორტსში სიყვარული ეწვია. მისი უახ-ლოესი მეგობარი, კოლინ ქრივი, ამბობს, რომ ჰარის ხშირად ხედავენ საოცრად მშვენიერ, მაგლური წარმოშობის გოგონასთან, ვინმე ჰერ-მიონ გრეინჯერთან ერთად, რომელიც, ჰარის მსგავსად, სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა.“

ამ სტატიის გამოქვეყნების დღიდან, ჰარის ყოველი მხრიდან (ძირითადად, რა თქმა უნდა, სლიზერინელებისგან) მწარე დაცინვის ატანა უწევდა. სლიზერინელები, რამდენჯერაც ჰარის გვერდზე ჩაუვლიდნენ, სტატიიდან ცინიკური კომენტარებით შეზავებულ ციტატებს მისძახოდნენ.

– პოტერ, ცხვირსახოცი არ გინდა? ვაითუ, ტრანსფიგურაციაზე უცებ ტირილი აგივარდეს?

– როდის აქეთ გახდი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე, პოტერ? თუ ეს ის სკოლაა, რომელიც შენ და ლონგბოტომმა ერთად დააარსეთ?

– ეი, ჰარი!

– ჰოო, ზუსტად! – მოთმინების ფიალა აევსო ერთხელ დერეფან-ში მიმავალ ჰარის და აყვირდა: – ეს-ესაა, დედაჩემზე ტირილით დავითხარე თვალები და ახლა ვაპირებ, ცოტა კიდევ...

– არა, უბრალოდ, ბატის ფრთა დაგივარდა.

თურმე ჩო ეძახდა. ჰარი წამოწითლდა.

– უი, ბოდიში... – წაილუღლუღა აჭარხლებულმა და ფრთა აიღჩო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისა... წარმატებას გისურვებ სამშაბათს, – გაულიმა ჩომ, – იმედია, ყველაფერი კარგად გამოგივა.

ჩო წავიდა და ჰარი საშინლად დარცხვენილი დატოვა.

ამ სტატიამ ჰერმიონსაც საკმაო უსიამოვნება მოუტანა, მაგრამ ყვირილი არ დაუწყია. პირიქით, ყველაფერს ისე კარგად უმკლავდებოდა, რომ ჰარი აღფრთოვანებული იყო.

– საოცრად მშვენიერი? ეს? – იწივლა პენსი პარკინსონმა, როცა რიტას სტატიის გამოსვლის შემდეგ პირველად გადაეყარა ჰერმიონს, – რასთან შედარებით გამოიტანა ეს დასკვნა, თახვთან?

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ღირსების გრძნობით თქვა ჰერმიონმა, თავი მაღლა ასწია და, ვითომც აქ არაფერიაო, ამაყად ჩაუარა აქირქილებულ სლიზერინელ გოგონებს, – უბრალოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჰარი.

მაგრამ, აბა, როგორ გინდა, ყურადღება არ მიაქციო? რონი, მას შემდეგ, რაც სნეიპის დამატებითი სამუშაოს შესახებ შეატყობინა, აღარ დალაპარაკებია. იმ ორი საათის განმავლობაში, სანამ სნეიპის სარდაფში ვირთხის ტვინები ამწნილეს, ჰარის იმედი უბჟუტავდა, იქნებ, შევრიგდეთო, მაგრამ იმ დღეს რიტას სტატიის გამოსვლა დაემთხვა და ამან, როგორც ჩანს, რონს ეჭვები განუმტკიცა, რომ ჰარის ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსწონდა.

ჰერმიონი ორივეზე საშინლად ბრაზობდა, ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან და ცდილობდა, როგორმე შეერიგებინა. მაგრამ ჰარი მტკიცედ იდგა თავის აზრზე: მხოლოდ იმ პირობით დაელაპარაკებოდა რონს, თუ რონი აღიარებდა, რომ ჰარიმ თვითონ არ ჩააგდო ცეცხლოვან თასში სახელი, და ბოდიშს მოუხდიდა, რომ მატყუარა უწოდა.

– თვითონ დაიწყო, – ჯიუტად იმეორებდა ჰარი, – ჰოდა, პირველი თვითონ მოვიდეს.

– გენატრება, – მოუთმენლად თქვა ჰერმიონმა, – და იმასაც ენატრები...

– მე მენატრება? – იუკადრისა ჰარიმ, – მე სულაც არ მენატრება...

მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ ეს მტკნარი სიცრუე იყო. ჰერმიონი ძალიან მოსწონდა, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო, რონი შეეცვალა. ჰერმიონთან მეგობრობა ბევრად ნაკლებ მხიარულებასა და ბიბლიოთეკაში უფრო დიდხანს ჯდომას ნიშნავდა. ჰარი ვერაფრით ვერ ეუფლებოდა გამოძახების შელოცვას, თითქოს მის წინააღმდეგ იმუნიტეტი გამოიმუშავაო, და ჰერმიონმა დაიჟინა, თეორიის შესწავლა დაგეხმარებაო. ამიტომ შესვენებებზე მთელ დროს წიგნებში ცხვირჩარგულები ატარებდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიქტორ კრამიც არ იცვლიდა ფეხს ბიბლიოთეკიდან და ჰარის უკვირდა, ნეტავ აქ რა უნდა, სწავლობს თუ წიგნებში ისეთ რამეს ეძებს, რაც პირველი დავალების შესრულებაში დაეხმარებაო. ჰერმიონი ხშირად წუწუნებდა, სულ აქ არისო. არა, მათ არ აწუხებდა, მაგრამ მისი გამოჩენისთანავე მოხითხითე გოგონების ჯგუფიც მაშინვე იქვე გაჩნდებოდა ხოლმე, რომ წიგნების თაროებიდან თავიანთი კერპისთვის ეთვალთვალათ. ჰერმიონს ეს ხმაური ხელს უშლიდა.

– სიმპათიური მაინც იყოს! – ბუზღუნებდა და კრამის დიდცხვირიან პროფილს გაბრაზებული შესცქეროდა, – მათ მხოლოდ იმიტომ მოსწონთ, რომ ასეთი ცნობილია! ზედაც არ შეხედავდნენ, ის რაღაც ვონკი ფინტი რომ არ გამოსდიოდეს...

– ვრონსკის ფინტი, – შეუსწორა ჰარიმ. ჯერ ერთი, ვერ იტანდა, ქვიდიჩის ტერმინებს რომ ამახინჯებდნენ, მეორეც, წარმოიდგინა, რა გამომეტყველება ექნებოდა რონს ჰერმიონის „ვონკი ფინტის“ გაგონებაზე. რონის გახსენებაზე გული მოეწურა.

* * *

საოცარი რამაა, რაც უფრო გეშინია რაღაცის მოახლოებისა და არაფერს დაიშურებდი, ოღონდაც დრო შეანელო, დრო, პირიქით, თითქოს შენ ჯიბრზე, თავქუდმოგლეჯილი გარბის. პირველი დავალების წინა დღეებიც ისე მიფრინავდნენ, თითქოს ვიღაცამ საათის ისრებს შეულოცა, რომ გაორმაგებული სიჩქარით ემუშავათ. სადაც უნდა წასულიყო, ჰარის ყრუ შიში ისევე სდევდა თან, როგორც „დილის მისნის“ სტატიით გამოწვეული მწარ-მწარე კომენტარები.

პირველი ტურის წინა შაბათს ყველა მესამეკურსელს სოფელ ჰოგსმიდში სტუმრობის ნება დართეს. ჰერმიონმა ჰარის ურჩია, გულის გადასაყოლებლად ცოტა ხნით ციხე-კოშკს მოშორდიო და ჰარისაც დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია, მაგრამ მაინც ჰკითხა:

– მერე, რონი? იქნებ მასთან ერთად გინდა წასვლა?

ჰერმიონი წამოწითლდა:

– იცი, ვიფიქრე, იქნებ რონს „სამ ცოცხში“ შევხვედროდით...

– არავითარ შემთხვევაში! – კატეგორიულად იუარა ჰარიმ.

– ოოო, კარგი რა, ჰარი, რა სულელურად იქცევი...

– წამოვალ, მაგრამ ორი პირობით: რონს არ შევხვდები და უჩინ-მაჩინის მოსასხამს მოვისხამ.

– ჰო, კარგი, კარგი, – ფარ-ხმალი დაყარა ჰერმიონმა, – მაგრამ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერ ვიტან, მოსასხამში გახვეულს რომ გელაპარაკები ხოლმე, ვერ ვიგებ, შენკენ ვიყურები, თუ სხვა მხარეს.

ასე რომ, ჰარიმ საძინებელში უჩინმაჩინის მოსასხამი მოიცვა, დაბლა ჩავიდა და ჰერმიონთან ერთად ჰოგსმიდისკენ გაემართა.

მოსასხამის წყალობით ჰარი თავს საოცრად თავისუფლად გრძნობდა. სოფელში რომ შევიდნენ, ხედავდა, როგორ უვლიდნენ გვერდს სხვა სტუდენტები. უმრავლესობას ისევ „მხარს ვუჭერთ სედრიკ დიგორის“ ნიშანი ეკეთა, მაგრამ ის საშინელი შენიშვნები აღარ ესმოდა.

– სამაგიეროდ, ახლა მე მიყურებენ, – დაიწუწუნა ჰერმიონმა, ცოტა ხანში ტკბილეულის მაღაზია „თაფლუჭიდან“ რომ გამოვიდნენ ნაღებისგულიანი შოკოლადის ჭამით. – ჰგონიათ, რომ საკუთარ თავს ველაპარაკები.

– შენც ეცადე, ტუჩები ნაკლებად ამოძრაო.

– კარგი, რა! გეხვეწები, ცოტა ხნით მაინც გაიხადე ეგ მოსასხამი. აქ არავინ შეგაწუხებს.

– ჰოოო? აბა, უკან მიიხედე!

ლუდხანა „სამი ცოცხიდან“ რიტა სკიტერი და მისი ფოტოგრაფი გამოვიდნენ. ჰერმიონს ხმადაბალი ლაპარაკით ისე ჩაუარეს, ზედაც არ შეხედეს. ჰარი „თაფლუჭის“ კედელს აეკრა, რომ რიტა სკიტერის ნიანგის ტყავის ხელჩანთა არ შეხებოდა. ბოლოს ჟურნალისტი და ფოტოგრაფი თვალს მიეფარნენ.

„სოფელში დარჩა. სანაძლეოს დავდებ, უნდა პირველ დავალებას დაესწროს,“ – ივარაუდა ჰარიმ და ამის გაფიქრებაზე მუცელში გამდნარ ტყვიასავით ჩაეღვარა შიში. ხმამაღლა კი აღარაფერი უთქვამს. მას და ჰერმიონს თითქმის არასოდეს ულაპარაკიათ პირველ დავალებაზე. ჰარის ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ჰერმიონს ამაზე ფიქრიც კი არ უნდოდა.

– წავიდა, – ჰერმიონმა უჩინარი ჰარის მიღმა გახედა მთავარ ქუჩას, – მოდი, „სამ ცოცხში“ შევიდეთ და ბურბურახი დავლიოთ. ცოტა შემცივდა, – შემდეგ ჰარის დუმილი სწორად გაიგო და გაღიზიანებულმა დაუმატა: – თუ არ გინდა, რონს საერთოდ ნუ დაელაპარაკები!

„სამი ცოცხი“ ხალხით იყო სავსე. ძირითადად, ჰოგსმიდში დროის გასატარებლად წამოსული ჰოგვორტსის სტუდენტები სჭარბობდნენ. მაგრამ მათ გარდა, ჯადოსნური სამყაროს ისეთი წარმომადგენლებიც იყვნენ, რომლებსაც სხვაგან ვერსად შეხვდებოდი. ჰოგსმიდი მთელ ბრიტანეთში ჯადოქრებით დასახლებული ერთადერთი სოფელი იყო და, ეტყობა, ისეთი არსებებისთვის, როგორებიც, მაგალითად,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კუდიანი დედაბრები არიან, თავშეყრის მშვენიერ ადგილს წარმოადგენდა. ისინი ხომ ჯადოქრებივით არ იყვნენ დაოსტატებულნი თავიანთი ვინაობის შენიღბვასა და მაგლებთან თანაცხოვრებაში.

უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეულ ჰარის ძალიან გაუჭირდა ხალხისთვის გვერდის აქცევა. ვინმესთვის ფეხი რომ დაედგა, უხერხულ კითხვებს გამოიწვევდა. სანამ ჰერმიონი სასმელს უკვეთავდა, ჰარი კუთხეში მდგარი თავისუფალი მაგიდისკენ კედელ-კედელ ფრთხილად მიდიოდა. ერთ-ერთ მაგიდასთან რონი შეამჩნია: ტყუპებთან და ლი ჯორდანთან ერთად იჯდა. ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ რონისთვის ერთი გემრიელად არ წაეთაქებინა კეფაში. როგორც იქნა, მაგიდას მიაღწია და დაჯდა.

ერთ წამში ჰერმიონიც მივიდა და მოსასხამის ქვეშ ბურბურახი შეუცურა.

– რას იფიქრებს ხალხი, ეგონებათ, რომ ნამდვილი იდიოტივით მარტოდმარტო ვზივარ! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – კიდევ კარგი, სამუშაო მაინც წამოვიღე თან!

ჰერმიონმა ბლოკნოტი ამოიღო, რომელშიც ᲔᲓᲐᲛ-ის წევრების სია ჰქონდა ჩამოწერილი. ჰარიმ ძალიან მოკლე სიის თავში თავისი და რონის სახელები დაინახა. თითქოს ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ის და რონი ერთად ისხდნენ და ჰოროსკოპს თხზავდნენ, მერე ჰერმიონი გამოჩნდა და ერთი მდივნად დანიშნა, მეორე კი – ხაზინადრად.

– რას იტყვი, იქნებ ვცადო, ზოგიერთი სოფლელის ᲔᲓᲐᲛ-ში ჩართვა, – თქვა ჩაფიქრებულმა ჰერმიონმა და ლუდხანას თვალი მოავლო.

– ჰო, რა ვიცი, სცადე, – ჰარიმ მოსასხამის ქვეშ ბურბურახი მოსვა, – ჰერმიონ, ამ ᲔᲓᲐᲛ-ისთვის თავის დანებებას როდის აპირებ?

– როდესაც შინაურ ელფებს ნორმალური ხელფასი და სამუშაო პირობები ექნებათ! – დაუსისინა ჰერმიონმა, – იცი, რა, მგონი, უკვე დროა, უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადავიდე. ხომ არ იცი, სკოლის სამზარეულოში როგორ უნდა მოხვდე?

– აზრზე არა ვარ, ფრედსა და ჯორჯს ჰკითხე.

ჰერმიონი ფიქრებში ჩაიძირა. ჰარი ბურბურახს სვამდა და ლუდხანაში თავმოყრილ ხალხს ათვალიერებდა. ყველა მხიარულობდა და ისვენებდა. მეზობელ მაგიდასთან ერნი მაკმილანი და ჰანა ებოტი შოკოლადის ბაყაყების ბარათებს უცვლიდნენ ერთმანეთს. მოსასხამზე ორივეს „მხარი დაუჭირეთ სედრიკ დიგორის“ ნიშანი ეკეთა. ხელმარჯვნივ, კართან ახლოს, ჩო და მისი რეივენქლოელი მეგობრების დიდი ჯგუფი იჯდა. ჩოს სედრიკ დიგორის მხარდასაჭერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიშანი არ ეკეთა... ამან ჰარის, ცოტა არ იყოს, გუნება გამოუკეთა.

რას არ მისცემდა ახლა, ოღონდ ერთ-ერთი ამათგანი ყოფილიყო. მათსავით მჯდარიყო აქ, ეცინა, ელაქლაქა და საშინაო დავალების მეტი სადარდებელი არაფერი ჰქონოდა. ჰარიმ წარმოიდგინა, რა მოხდებოდა, ცეცხლოვან თასს მისი სახელი რომ არ ამოეგდო. ჯერ ერთი, უჩინმაჩინის მოსასხამში არ იქნებოდა დამალული, მეორეც, რონი მის გვერდით იჯდებოდა. სამივენი, ალბათ, მხიარულად იმსჯელებდნენ, რა სახიფათო დავალებების შესრულება მოუწევდათ ჩემპიონებს სამშაბათს. ჰარი მოუთმენლად დაელოდებოდა სამშაბათს და სხვებთან ერთად უკანა ტრიბუნაზე არხეინად მჯდარი ჰოგვორტსის ჩემპიონს უგულშემატკივრებდა...

ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ სხვა ჩემპიონები თავს როგორ გრძნობენო. სედრიკ დიგორის, ყველგან თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულს, აღელვებულსა და აღტაცებულს ხედავდა. ზოგჯერ დერეფნებში ფლერ დელაკურსაც მოჰკრავდა ხოლმე თვალს. როგორც ყოველთვის, თავი ქედმაღლურად და მშვიდად ეჭირა. კრამი კი ბიბლიოთეკაში იჯდა და წიგნებს ჩაჰკირკიტებდა.

უცებ ჰარის სირიუსი გაახსენდა და თითქოს გულიდან ლოდი მოშორდა. სულ რაღაც თორმეტ საათში სირიუსს ნახავდა. სწორედ იმ საღამოს იყო დათქმული მათი შეხვედრა საერთო დარბაზის ბუხართან. თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად აეწყობოდა, რაც ბოლო დროს იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

– ნახე, ჰაგრიდი! – თქვა ჰერმიონმა.

ბრბოს თავზემოთ ჰაგრიდის ვეება გაბურძგნილი კეფა მოჩანდა (საბედნიეროდ, კიკინებზე ხელი ჩაექნია). ჰაგრიდი ისეთი უზარმაზარი იყო, ჰარის გაუკვირდა, აქამდე რატომ ვერ შევამჩნიეო. ჰარი სკამიდან წამოიწია და დაინახა, რომ ჰაგრიდს თავი დაეხარა და პროფესორ მუდის ებაასებოდა. ჰაგრიდს განუყრელი ვეება ტოლჩა ედო წინ, მუდი კი თავისი მათარიდან სვამდა. მადამ როზმერტას, ლუდხანის მშვენიერ მეპატრონეს, ეტყობოდა, რომ ამით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ბრძანდებოდა და, მაგიდებიდან ჭიქებს რომ აგროვებდა, მუდის უკმაყოფილოდ გახედავდა ხოლმე. ალბათ, მიაჩნდა, რომ ასეთი საქციელი შეურაცხყოფას აყენებდა მის შემთბარ თაფლუჭს. მაგრამ ჰარიმ იცოდა მუდის ასეთი საქციელის მიზეზი: ბნელი ძალებისგან თავდაცვის ბოლო გაკვეთილზე მუდიმ სტუდენტებს განუცხადა, რომ ყოველთვის თვითონ იმზადებდა საჭმელ-სასმელს, რადგან ბოროტ ჯადოქარს არ გაუჭირდებოდა უყურადღებოდ დატოვებული ჭიქის მოწამვლა.

ჰაგრიდი და მუდი წასასვლელად წამოდგნენ. ჰარიმ ჰაგრიდს ხელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუქნია, შემდეგ გაახსენდა, რომ უჩინარი იყო. მაგრამ მოულოდნელად მუდი შეჩერდა და ჯადოსნური თვალი იმ კუთხისკენ მოატრიალა, სადაც ჰარი იჯდა. მერე ჰაგრიდს წელზე ხელი დაჰკრა (რადგან ბეჭებამდე ვერ სწვდებოდა) და რაღაცა უჩურჩულა. ორივე უკან შემობრუნდა, ლუდხანა გადმოჭრა და ჰარისა და ჰერმიონის მაგიდას მიუახლოვდა.

– როგორა ხარ, ჰერმიონ? – დაიბუხუნა ჰაგრიდმა.

– კარგად, – გაუღიმა ჰერმიონმა.

მუდიმ მაგიდას კოჭლობით შემოუარა და დაიხარა. ჰარიმ ის იყო, გაიფიქრა, ალბათ, აინტერესებს, ჰერმიონის ბლოკნოტში რა წერია, რომ პროფესორმა დაიჩურჩულა:

– მშვენიერი მოსასხამია, პოტერ.

ჰარი გაოგნებული მიაჩერდა. მუდის სახისგან რამდენიმე სანტიმეტრი აშორებდა და ძალიან ახლოს ხედავდა მის გვერდჩამოთლილ ცხვირს. მუდიმ ჩაიღიმა.

– თქვენი თვალი... უფრო სწორად, თქვენ...

– დიახ, მე ვხედავ უჩინმაჩინის მოსასხამში, – ჩუმად უთხრა მუდიმ, – და, სხვათა შორის, ეს უნარი ბევრჯერ გამომადგა.

ჰაგრიდიც გაბადრული დასცქეროდა. ჰარიმ იცოდა, რომ ჰაგრიდი ვერ ხედავდა, მაგრამ, ეჭვი არ იყო, მუდიმ უთხრა, ჰარი აქ ზისო.

ჰაგრიდი დაიხარა, თითქოს მასაც ჰერმიონის ბლოკნოტში ედამის წევრების სიის წაკითხვა უნდოდა, და ხმადაბლა, ძლივსგასაგონი ხმით უჩურჩულა:

– ჰარი, შუაღამისას ჩემს ქოხთან მოდი. ოღონდ უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხი, – მერე წელში გასწოდა და ხმამაღლა თქვა: – გამიხარდა შენი ნახვა, ჰერმიონ, – ჰარის თვალი ჩაუკრა და წავიდა. მუდი უკან გაჰყვა.

– რატომ უნდა ამაღამ ჩემი ნახვა? – იკითხა უსაზღვროდ გაოცებულმა ჰარიმ.

– მართლა ეგრე გითხრა? – შეშფოთდა ჰერმიონი, – ნეტავ რა ჩაიფიქრა? არ ვიცი, ღირს თუ არა წასვლა, ჰარი... – აღელვებულმა მიმოიხედა და უჩურჩულა: – ამის გამო, შეიძლება, სირიუსთან დაგაგვიანდეს.

მართალი იყო. შუაღამისას ჰაგრიდთან თუ წავიდოდა, სირიუსთან შეხვედრაზე უთუოდ დააგვიანდებოდა. ჰერმიონმა შესთავაზა, ჰაგრიდს ჰედვიგი გაუგზავნე და მისწერე, რომ ვერ წახვალო, მაგრამ ჰარიმ იფიქრა, ჰაგრიდთან მივალ და სწრაფად გამოვბრუნდებიო. თანაც ცნობისმოყვარეობა კლავდა, ნეტავ რა უნდაო. ჰაგრიდს წინათ ხომ არასოდეს უთხოვია მისთვის, ასე გვიან ღამით სწვეოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

იმ საღამოს თორმეტის ნახევარზე ჰარიმ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ეძინებოდა, და საწოლ ოთახში ადრე ავიდა. იქ უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხა და ისევ საერთო დარბაზში ჩამოიპარა, სადაც რამდენიმე კაცი კიდევ შემორჩენილიყო. ძმებმა ქრივებმა „მხარს ვუჭერთ სედრიკ დიგორის" ნიშნები მოიხელთეს და ჯადოს გამოყენებით ცდილობდნენ, ზედ „მხარი დაუჭირეთ ჰარი პოტერს" დაეწერათ. ჯერჯერობით მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ნიშანი „პოტერი ჩაფლავდებაზე" გაიჭედა. ჰარი პორტრეტის ხვრელთან მიიპარა, მაჯის საათზე მიჩერებულმა ერთ-ორ წუთს შეიცადა. როგორც შეთანხმდნენ, ჰერმიონმა გარედან გაუხსნა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტი. ჰარიმ უჩუმრად ჩაუარა გვერდით, „გმადლობო", უჩურჩულა და დაბლა ჩავიდა.

ბაღში უკუნი სიბნელე იდგა. ჰარი ფერდობზე დაეშვა და ჰაგრიდის ქოხის განათებული ფანჯრებისკენ გაემართა. ბობატონის ვეება ეტლიდანაც შუქი იღვრებოდა და მადამ მაქსიმის ლაპარაკი ისმოდა. ჰარიმ ჰაგრიდის ქოხის კარზე დააკაკუნა.

– შენა ხარ, ჰარი? – დაიჩურჩულა ჰაგრიდმა, კარი გააღო და მიმოიხედა.

– ჰო, – ჰარი ქოხში შეძვრა და მოსასხამი თავიდან გადაიწია, – ჰაგრიდ, რა ხდება?

– რაღაცა უნდა გაჩვენო.

ჰაგრიდი მღელვარებისგან ადგილს ვერ პოულობდა. ღილკილოში უზარმაზარი არტიშოკი ეკეთა. საბედნიეროდ, ტაოტის ხმარებისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ეტყობოდა, თმის დავარცხნა მაინც ეცადა: თმაში ალაგ-ალაგ სავარცხლის მოტეხილი კბილები გახლართოდა.

– რა უნდა მაჩვენო? – დაეჭვებით იკითხა ჰარიმ და გაიფიქრა, ალბათ, ცეცხლაკუდებმა კვერცხები დადეს ან ლუდხანაში უცნობისგან ისევ გიგანტური სამთავიანი ძაღლი იყიდაო.

– მომყევი, ხმა არ ამოიღო და მოსასხამი არ მოიხსნა, – დაარიგა ჰაგრიდმა, – ფენგს თან არ წავიყვანთ, არ მოეწონება...

– ჰაგრიდ, მომისმინე, დიდხანს ვერ გავჩერდები... პირველი საათისთვის ციხე-კოშკში უნდა დავბრუნდე...

მაგრამ ჰაგრიდი არ უსმენდა, ქოხის კარი გააღო და სიბნელეში გაალაჯა. ჰარი აჩქარებით გაჰყვა უკან და გაოცებულმა დაინახა, რომ მეტყევემ ბობატონელთა ეტლისკენ აიღო გეზი.

– ჰაგრიდ, რა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩშშშ! – ჰაგრიდმა სამჯერ დააკაკუნა ეტლის კარზე, რომელზეც გადაჯვარედინებული ოქროსფერი ჯოხები გამოესახათ.

კარი მადამ მაქსიმმა გააღო. მასიურ მხრებზე აბრეშუმის შალი შემოეხვია. ჰაგრიდის დანახვაზე გაიღიმა:

– აჰ, აგღიდ... უკვე დღოა?

– ბონგ სუერ, – გაიბადრა ჰაგრიდი, ხელი გაუწოდა და ოქროს საფეხურებზე ჩამოსვლაში დაეხმარა.

მადამ მაქსიმმა ზურგს უკან კარი მიხურა, ჰაგრიდმა მკლავი შესთავაზა და საძოვრის ღობეს გაუყვნენ, რომელშიც მადამ მაქსიმის გიგანტური ფრთოსანი ცხენები ძოვდნენ. განცვიფრებული ჰარი მათ სირბილით მიჰყვებოდა, რომ არ ჩამორჩენოდა. ნუთუ ჰაგრიდს მისთვის მადამ მაქსიმის ჩვენება უნდოდა? მისი ნახვა ხომ ნებისმიერ დროს შეეძლო... გაუჭირდებოდა მისი დანახვა, თუ რა!

მაგრამ, როგორც ჩანდა, მადამ მაქსიმიც, ჰარისა არ იყოს, შეპირებულ სიურპრიზს ელოდა, რადგან ცოტა ხანში კეკლუცად იკითხა:

– სად მიგკავაღთ, აგღიდ?

– მოგეწონებათ, – ჩახლეჩილი ხმით მიუგო ჰაგრიდმა, – ნახვად ღირს, დამიჯერეთ. ოღონდ არავის უთხრათ, რომ გაჩვენეთ, ხო? წესით, არ უნდა იცოდეთ.

– ღა თქმა უნდა, აღა, – გრძელი შავი წამწამები ააფახურა მადამ მაქსიმმა.

გზა განაგრძეს. ჰარი მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, თანდათან სულ უფრო იპყრობდა მოუთმენლობა და წამდაუწუმ მაჯის საათზე იხედებოდა. ჰაგრიდმა, ალბათ, რამე ფუქსავატური ოინი მოიფიქრა და ამის გამო სირიუსს ვერ მიუსწრებდა. ამიტომ გადაწყვიტა, ხუთ წუთში თუ არ მივალთ დანიშნულების ადგილამდე, მოვტრიალდები და ციხე-კოშკისკენ გავიქცევიო. დაე, ჰაგრიდი მადამ მაქსიმთან ერთად მთვარის შუქზე სეირნობით დატკბესო.

ტყის ნაპირ-ნაპირ იარეს, ციხე-კოშკი და ტბა თვალს მიეფარა და უცებ ჰარის რაღაც ხმა შემოესმა. სადღაც წინ ადამიანები ყვიროდნენ... შემდეგ გაისმა გამაყრუებელი, ყურთასმენის წამღები ღრიალი...

ჰაგრიდმა მადამ მაქსიმი განცალკევებით მდგარი ხეების ჯგუფს შემოატარა და შეჩერდა. ჰარიმ მათ წინ გაუსწრო. ჯერ ეგონა, რამდენიმე კოცონს და მათ ირგვლივ მოწრიალე ადამიანებს ვხედავო. შემდეგ, ყბა ჩამოუვარდა...

დრაკონები!

მაგარი ძელებით შემოღობილ ბაკში ოთხი ზრდასრული, უშველებელი, გაავებული, უკანა ფეხებზე ჩამჯდარი დრაკონი ღრიალებდა, ქშინავდა და ფართოდ დაღებული ეშვებიანი ხახიდან ღამეულ ცაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცეცხლს აფრქვევდა. თითო, სულ ცოტა, თხუთმეტი მეტრის სიმაღლის იქნებოდა. მოვერცხლისფრო-მოცისფრო დრაკონი გრძელი, წვეტიანი რქებით ჯადოქრებს ეტანებოდა და ულრენდა. გლუვქერცლიანი მწვანე დრაკონი იკლაკნებოდა და მთელი ძალით სცემდა მიწას უკანა ფეხებს. წითელი დრაკონი, რომლის თავს ჩარჩოს მსგავსად ევლებოდა უცნაური ბაჯაღლო ოქროსფერი წვეტები, სოკოს ფორმის ცეცხლის ბოლქვებს აფრქვევდა ჰაერში. ჰარისთან ყველაზე ახლოს მყოფი გიგანტური შავი დრაკონი კი ამ ოთხში ყველაზე მეტად ჰგავდა ხვლიკს.

თითო დრაკონის დაოკებას შვიდი-რვა ჯადოქარი ცდილობდა: ისინი დრაკონების კისერსა და ფეხებზე შემოხვეულ სქელ ტყავის ღვედებზე გადაბმულ ჯაჭვებს ჩაჰფრენოდნენ. ამ სანახაობით დატყვევებულმა ჰარიმ თავი ასწია და შავი დრაკონის კატასავით ვიწრო ვერტიკალური თვალის გუგები დაინახა, ძნელი სათქმელი იყო, შიშით გადმოკარკლოდა თუ – მრისხანებით. ისეთ საზარელ ხმას უშვებდა, ყმუილისა თუ ავბედითი კივილის მსგავს ღრიალს, თმა ყალყზე დაგიდგებოდა.

– ახლოს არ მოხვიდე, ჰაგრიდ! – დაიყვირა ღობესთან ახლოს მდგარმა ჯადოქარმა, რომელიც ჯაჭვს ექაჩებოდა, – ექვსი მეტრის მანძილზე აფრქვევენ ცეცხლს! ამ რქაკუდას კი, ჩემი თვალით მინახავს, ორმოცზეც შეუძლია!

– რა მშვენიერია, არა? – ალერსით წარმოთქვა ჰაგრიდმა.

– ასე ვერაფერს გავხდებით! – დაიყვირა მეორე ჯადოქარმა, – გამთიშველი შელოცვა, სამ თვლაზე!

ჰარიმ დაინახა, როგორ ამოიღეს დრაკონების მომთვინიერებლებმა ჯადოსნური ჯოხები.

– გაშეშდი! – დასჭექეს ერთხმად. გამთიშველმა შელოცვებმა ცეცხლოვანი შუშხუნებივით გაიელვა სიბნელეში და დრაკონების ქერცლით დაფარულ ფერდებს ვარსკვლავებივით დააცვივდა.

ჰარისთან ყველაზე ახლოს მყოფი დრაკონი სახიფათოდ შეტორტმანდა, ხახა ფართოდ დააღო და დახშული ღმუილი აღმოხდა, ნესტოებში ცეცხლი ჩაუქრა, თუმცა კვამლი ჯერაც გამოსდიოდა, შემდეგ ნელა, ძალიან ნელა გადაიხარა და რამდენიმე ტონა შავი, ქერცლოვანი სხეული ისე დაენარცხა მიწაზე, ჰარი მზად იყო, დაეფიცა, რომ შორიახლოს მდგარი ხეები შეაზანზარა. მომთვინიერებლებმა ჯადოსნური ჯოხები დაუშვეს და უგრძნობი მონსტრებისკენ გაემართნენ. საჩქაროდ დაჭიმეს ჯაჭვები და საიმედოდ მიაბეს რკინის პალოებს, პალოები კი ჯადოსნური ჯოხების დახმარებით ღრმად ჩაასვეს მიწაში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გინდათ, ახლოდან ნახოთ? – აღტაცებით ჰკითხა ჰაგრიდმა მადამ მაქსიმს.

მესერს მიუახლოვდნენ და ჰარიც მათ მიჰყვა. ჯადოქარი, რომელმაც ჰაგრიდი გააფრთხილა, ახლოს არ მოხვიდეო, მოტრიალდა და ჰარიმ ჩარლი უისლი იცნო.

– როგორა ხარ, ჰაგრიდ? – დაღლილობისგან აქოშინებული ჩარლი ჰაგრიდისკენ წამოვიდა, – ახლა, მგონი, არა უშავთ, გზაში ძილის წამლით გავთიშეთ, ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, თუ სიბნელესა და სიწყნარეში გაიღვიძებდნენ, მაგრამ ხომ ხედავ, რაც მოხდა. ძალიან უკმაყოფილონი არიან.

– რა ჯიშები გყავს ჩამოყვანილი, ჩარლი? – ჰაგრიდი უახლოეს დრაკონს, სწორედ იმ შავს, თითქმის მოწიწებით დააცქერდა. დრაკონს თვალები ნახევრად ღია დარჩენოდა. დანაოჭებული შავი ქუთუთოს ქვემოდან კაშკაშა ყვითელი ზოლი მოუჩანდა.

– ეს უნგრული რქაკუდაა, – აუხსნა ჩარლიმ, – აი, ის ჩვეულებრივი მწვანე უელსურია, შედარებით მომცრო, მოცისფრო-მონაცრისფრო – შვედური მოკლედინგა, წითელ დრაკონს კი ჩინურ მეტეორს ეძახიან.

ჩარლიმ მიმოიხედა. მადამ მაქსიმი მესერს მიუყვებოდა და გათიშულ დრაკონებს ათვალიერებდა.

– არ მეგონა, მის მოყვანასაც თუ აპირებდი, ჰაგრიდ, – შუბლი შეიკრა ჩარლიმ, – ჩემპიონებმა არ უნდა იცოდნენ, რა ელით. ის კი თავის სტუდენტს აუცილებლად ეტყვის.

– ვიფიქრე, მოეწონება ამათი ნახვა-მეთქი, – მხრები აიჩეჩა ჰაგრიდმა ისე, რომ მოხიბლული მზერა დრაკონებისთვის არ მოუშორებია.

– ვერაფერს იტყვი, მაგარი რომანტიკული პაემანია, – თავი გააქნია ჩარლიმ.

– ოთხი, – თქვა ჰაგრიდმა, – ესე იგი, თითო ჩემპიონს თითო შეხვდება, არა? რა უნდა უყონ, უნდა შეებრძოლონ?

– მგონი, გვერდზე უნდა ჩაუარონ, ჩვენ იქვე ვიტრიალებთ და თუ საქმე ცუდად წავიდა, გამანადგურებელ შელოცვას მივმართავთ. რატომღაც ახლად კვერცხებდადებული დედა დრაკონები მოითხოვეს, არ ვიცი, რატომ... მაგრამ ერთს გეტყვი, ნამდვილად არ მშურს იმისი, ვისაც რქაკუდა შეხვდება. საშინლად ავი ვინმეა. ნახე, კუდიც ისეთივე სახიფათო აქვს, როგორც პირი.

ჩარლიმ რქაკუდასკენ გაიშვირა ხელი და ჰარიმ მთელი კუდის გაყოლებაზე ეკლებივით ამოჩრილი გრძელი, ბრინჯაოსფერი წვეტები დაინახა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ დროს ჩარლის მეგობრებმა გაჭიმულ საბანზე დადებული უზარმაზარი, გრანიტისფერი რუხი კვერცხები ბარბაცით მიიტანეს რქაკუდასთან და ფრთხილად დაუდეს გვერდით. ჰაგრიდს გმინვა აღმოხდა.

– ჰაგრიდ, გაფრთხილებ, დათვლილი მაქვს, – მკაცრად გააფრთხილა ჩარლიმ და დასძინა: – ჰარი როგორ არის?

– კარგად, – ჰაგრიდი ისევ კვერცხებს ჭამდა თვალებით.

– იმედია, ამის მერეც კარგად იქნება, – პირქუშად გახედა დრაკონებს ჩარლიმ, – ვერ გავბედე, დედასთვის მეთქვა, რისი გაკეთება უწევს პირველ დავალებაში. ისედაც უკვე აუშვა ოფოფები, – ჩარლიმ დედამისის აღელვებულ ხმას გამოაჯავრა: – „ეს როგორ ჩაიდინეს, როგორ შეიძლება, ბავშვის ჩართვა ტურნირში, ჯერ ხომ ასეთი პატარაა! მე მეგონა, ამათ ეს არ შეეხებოდათ. მე მეგონა, ასაკობრივ ზღვარს დააწესებდნენ“. „დილის მისნის“ სტატია რომ წაიკითხა, სულ ცრემლები აღვარღვარა: „ახლაც დასტირის თავის მშობლებს! მაგას ვენაცვალე, მე არც კი ვიცოდი!“

ჰარიმ საკმარისად ჩათვალა, რაც ნახა და მოისმინა. იმ იმედით, რომ ოთხი დრაკონისა და მადამ მაქსიმის საზოგადოებაში დარჩენილი ჰაგრიდი არ მოისაკლისებდა, უჩუმრად მოტრიალდა და ნელა გაეცალა იქაურობას.

ვერ გაერკვია, უხაროდა თუ არა, წინასწარ რომ ნახა, რაც ელოდა. ალბათ, ასე სჯობდა. პირველმა ელდამ უკვე გაიარა. შეიძლება, სამშაბათს პირველად რომ ენახა დრაკონები, მთელი სკოლის თვალწინ შიშისგან გული წასვლოდა. მაგრამ გულის წასვლა არც ახლაა გამორიცხული. ჯადოსნური ჯოხით კი იქნება შეიარაღებული, მაგრამ წკირივით წვრილი ჯოხით რას დააკლებს თხუთმეტი მეტრის სიმაღლის ქერცლიან, ეკლიან, ცეცხლისმფრქვეველ დრაკონს? და თანაც ყველას თვალწინ დრაკონს გვერდით უნდა ჩაუაროს! კი მაგრამ, როგორ?

ჰარიმ ნაბიჯს აუჩქარა. სულ რაღაც თხუთმეტ წუთში ბუხართან უნდა ყოფილიყო და სირიუსს დალაპარაკებოდა. ახლა ჰაერივით სჭირდებოდა მასთან საუბარი. მოულოდნელად რაღაც მაგარს შეეჯახა.

ჰარი წაიქცა, სათვალე გვერდზე მოექცა, ორივე ხელი მოსასხამს სტაცა, რომ არ გადასძრომოდა. მის ცხვირწინ ვიღაცის ხმა გაისმა:

– ვაიმე! ვინ არის აქ?

ჰარიმ სასწრაფოდ შეამოწმა, მოსასხამი ხომ მთლიანად მფარავსო, გაისუსა და მის წინ მდგარი ჯადოქრის მუქ სილუეტს მიაჩერდა. ჰარიმ იცნო თხასავით წვერი... ეს იყო კარკაროვი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვინ არის აქ? – გაიმეორა კარკაროვმა და ძალიან დაეჭვებულმა მოათვალიერა სიბნელეში ჩაძირული გარემო. ჰარი გაუნძრევლად იწვა და ხმას არ იღებდა. ეტყობა, კარკაროვმა დაასკვნა, ალბათ, რაიმე ცხოველს დავეჯახეო, რადგან ძირს, მიწაზე იხედებოდა, თითქოს თვალით ძაღლს ეძებდა. შემდეგ ხეების ჩრდილქვეშ შეიპარა და უჩუმრად გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც დრაკონები იყვნენ.

ჰარი ფრთხილად წამოდგა და სიბნელეში კისრისტეხით გავარდა ჰოგვორტსისკენ.

რა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებოდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული კარკაროვს. როგორც ჩანს, გემიდან იმ იმედით გამოიპარა, რომ როგორმე გამოერკვია, რა იქნებოდა პირველი დავალება. შეიძლება, სულაც, ტყის პირას მიმავალი ჰაგრიდი და მადამ მაქსიმი შეამჩნია. მათ შემჩნევას რა უნდოდა! ამის შემდეგ კი კარკაროვს ისღა დარჩენოდა, ხმებს მიჰყოლოდა და პირველი დავალების საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა. გამოდიოდა, რომ სედრიკი ერთადერთი ჩემპიონი იყო, რომელიც სამშაბათს დრაკონებთან მოუმზადებელი გავიდოდა.

ჰარიმ ციხე-კოშკს მიაღწია, მთავარ კარში გასხლტა და მარმარილოს კიბეზე ავარდა. სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია. ხუთ წუთზე ნაკლები დარჩა ბუხართან მისასვლელად. ფუშ-ფუშა ქალბატონი ჩარჩოში თვლემდა.

– აბდაუბდა! – იყვირა აქოშინებულმა ჰარიმ.

– სწორია, – თვალი არ გაუხელია, ისე წაიბუტბუტა ფუშფუშამ ძილ-ღვიძილში და ხვრელში შეუშვა. ჰარი სწრაფად გადაძვრა. საერთო ოთახი ცარიელი დახვდა. ნეხვის სუნი არ იდგა, როგორც ჩანდა, ჰერმიონს არ დასჭირდა ნეხვის ბომბების აფეთქება შემთხვევითი მოწმეების დასაფრთხობად.

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო და ბუხრის წინ სავარძელში ჩაესვენა. საერთო დარბაზს მხოლოდ ბუხრის ცეცხლი ანათებდა, ოთახი ნახევრად სიბნელეში ჩაძირულიყო. შორიახლოს მაგიდაზე „მხარს ვუჭერთ სედრიკ დიგორის“ ემბლემები ბზინავდა, რომელთა გადაკეთებაზეც ძმები ქრივები ცოდვილობდნენ. ახლა ზედ „პოტერი მაგრად ჩაფლავდება“ ეწერა. ჰარიმ ისევ ცეცხლისკენ გამოიხედა და შეხტა.

ცეცხლში სირიუსის თავი იჯდა. ჰარის უისლების სამზარეულოში ბატონ დიგორის თავი რომ არ ჰქონოდა ნანახი, შიშით გული გაუსკდებოდა. ამის ნაცვლად, ახლა სახეზე ბოლო დღეების მანძილზე პირველად გადაეფინა ღიმილი, სავარძლიდან გადმოძვრა და ბუხართან იატაკზე ჩაცუცქდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სირიუს, როგორა ხარ?

სირიუსი ძალიან შეცვლილიყო. ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ, მაშინ გაძვალტყავებულ და ლოყებჩაცვივნულ სახეზე გრძელი, შავი აბურდული თმა ჩამოჰყროდა. ახლა კი მოფერიანებულიყო, თმა მოკლედ შეკრეჭილი და სუფთა ჰქონდა. ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ახლა უფრო ჰგავდა პოტერების ქორწილში გადაღებულ იმ ფოტოსურათზე გამოსახულს, ჰარის რომ ჰქონდა.

– ჩემზე ნუ ნაღვლობ, შენ როგორ ხარ? – სერიოზულად ჰკითხა სირიუსმა.

– მე... – ჰარიმ დააპირა, ეთქვა, „კარგადო“, მაგრამ ვერ შეძლო. თავი ვერ შეიკავა და იმდენი ილაპარაკა, რამდენიც მრავალი დღის განმავლობაში არ ულაპარაკია. მოუყვა, რომ არავინ უჯერებდა, რომ თვითონ არ წამოაყენა კანდიდატურა; რომ რიტა სკიტერმა „დილის მისანში“ მასზე მთელი გუდა ტყუილები დაწერა; რომ დერეფანში ისე ვერ გაევლო, ვინმეს არ დაეცინა; რომ რონი, რონიც კი არ უჯერებდა; რომ რონს ჰარისა შურდა...

– ახლახან ჰაგრიდმა მაჩვენა, რა იქნება პირველი დავალება. დრაკონები ყოფილა, სირიუს, და ჩემი საქმე წასულია, – დაამთავრა სასოწარკვეთით.

სირიუსი შეშფოთებული უყურებდა. მის თვალებს ჯერაც არ დაეკარგა აზკაბანში შეძენილი უსიცოცხლო, განაწამები გამომეტყველება. უსიტყვოდ მოისმინა ჰარის აღსარება და ბოლოს თქვა:

– დრაკონებს როგორმე მოვუვლით, ჰარი, მაგრამ ამას მოგვიანებით მივუბრუნდეთ, აქ დიდხანს ვერ გავჩერდები... ჯადოქრების ბინაში შევიპარე, რომ ბუხრით მესარგებლა, მაგრამ წუთი წუთზე შეიძლება დაბრუნდნენ. ერთი რამის შესახებ მინდა გაგაფრთხილო.

– გამაფრთხილო? – ჰარის გული შეეკუმშა... დრაკონებზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო?

– ჰარი, კარკაროვი „სიკვდილის მხვრელი“ იყო. ხომ იცი, რას ნიშნავს „სიკვდილის მხვრელი“?

– კი. მოიცა, ის... რა-ა-ა?

– დაიჭირეს, ჩემთან ერთად იჯდა აზკაბანში, მაგრამ გაათავისუფლეს. სანაძლეოს ჩამოვალ, დამბლდორმა აურორი სკოლაში სწორედ იმიტომ მოიყვანა, რომ კარკაროვზე თვალი სჭეროდა. თავის დროზე სწორედ მუდიმ დაიჭირა კარკაროვი და აზკაბანში უკრა თავი.

– კარკაროვი გამოუშვეს? – გაიმეორა ჰარიმ ნელა, მის ტვინს უჭირდა კიდევ ერთი თავზარდამცემი ინფორმაციის გადახარშვა, – რატომ გამოუშვეს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგიის სამინისტროსთან გარიგება დადო, – პირქუშად უპასუხა სირიუსმა, – თქვა, რომ ინანიებდა თავის შეცდომებს და თანაც, ვილაცეები დაასახელა... მისი წყალობით უამრავი ხალხი ჩასვეს აზკაბანში... სხვათა შორის, ვიცი, რომ აზკაბანში ძალიან სძულთ. მას შემდეგ, რაც გამოვიდა, დურმსტრანგში სტუდენტებს ბნელ ძალთა ხელოვნებას ასწავლის. ამიტომ დურმსტრანგის ჩემპიონზეც თვალი გეჭიროს.

– კარგი, იმის თქმა გინდა, რომ ცეცხლოვან თასში კარკაროვმა ჩააგდო ჩემი სახელი? თუ მართლაც ასეა, მაგარი მსახიობი ყოფილა! გაცოფდა, როცა გაიგო, რომ ოთხი მონაწილე იქნებოდა. არ უნდოდა, ჩემთვის მონაწილეობის უფლება დაერთოთ.

– მისი მსახიობური ტალანტი საყოველთაოდაა ცნობილი, – აღნიშნა სირიუსმა, – მაგიის სამინისტრო ხომ დაარწმუნა თავის გულწრფელობაში? ჰო, კიდევ, ჰარი, ბოლო დროს თვალს ვადევნებდი „დილის მისანს“...

– არა მარტო შენ, მთელი ჯადოქრული სამყარო, – მწარედ ამოიოხრა ჰარიმ.

– და იმ ქალის, სკიტერის სტატიაში სტრიქონებს შორის ამოვიკითხე, რომ ჰოგვორტსში გამგზავრების წინაღამეს მუდის თავს დაესხნენ. სტატიაში კი წერენ, რომ ეს ცრუ განგაში იყო, – დასძინა სასწრაფოდ, როცა ჰარიმ პირი გააღო, რომ შედავებოდა, – მაგრამ, რატომღაც, მეეჭვება. მე მგონი, ვილაცამ სცადა, მუდი ჰოგვორტსში არ მოეშვა. თითქოს, ვილაცას არ აწყობს აურორის მანდ ყოფნა. თანაც ამ თავდასხმას სათანადო ყურადღებას არავინ აქცევს, მრისხანეთვალას ხომ წამდაუწუმ თავდამსხმელები ელანდებაო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილი საფრთხის შემჩნევის უნარი საერთოდ დაკარგა. მუდი საუკეთესო აურორი იყო, რაც კი სამინისტროს ოდესმე ჰყოლია.

– მოიცა, ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ კარკაროვი ჩემს მოკვლას ცდილობს? კი მაგრამ, რატომ?

სირიუსი შეყოყმანდა.

– ჩემამდე ძალიან უცნაურმა ხმებმა მოაღწია. „სიკვდილის მხვრელები“ ბოლო დროს მეტად გააქტიურდნენ. მსოფლიო ჩემპიონატზე ხომ ერთხელ უკვე წამოყვეს თავი. ვილაცამ შავი ნიშანი გაუშვა... და კიდევ, სამინისტროს თანამშრომელი ქალის გაუჩინარების შესახებ არაფერი გაგიგია?

– ბერტა ჯორკინსის? – გაახსენდა ჰარის.

– დიახ, დიახ. ალბანეთში გაუჩინარდა და ხმები დადის, რომ ვოლდემორიც იქ აფარებს თავს. ბერტა ჯორკინსს კი აუცილებლად ეცოდინებოდა, რომ სამი ჯადოქრის ტურნირი მზადდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, მაგრამ, პირდაპირ ვოლდემორს ხომ ვერ გადაეყრებოდა? – ჰკითხა ჰარიმ.

– მომისმინე, ჰარი, მე ვიცნობდი ბერტა ჯორკინსს, – მოიღუშა სირიუსი, – ჰოგვორტსში ჩემ დროს სწავლობდა, მამაშენზე და ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. ცნობისმოყვარე, მაგრამ უტვინო. ეს არ არის კარგი კომბინაცია, ჰარი. მისი ხაფანგში შეტყუება ძალიან ადვილი იქნებოდა.

– ესე იგი... გამოდის, რომ ვოლდემორი შეიტყობდა ტურნირის ამბავს? – თქვა ჰარიმ, – ამის თქმა გინდა? შენი აზრით, კარკაროვი აქ შეიძლება მის ბრძანებებს ასრულებდეს?

– არ ვიცი, – ისევ შეყოყმანდა სირიუსი, – მართლა არ ვიცი... კარკაროვი ის კაცი არაა, ვინც ვოლდემორს დაუბრუნდება, თუ დარწმუნებული არ იქნა, რომ ვოლდემორს მისი დაცვის უნარი შესწევს. მაგრამ ვისაც უნდა ჩაეგდო თასში შენი სახელი, ეს მან გარკვეული მიზნით გააკეთა. იმის მეშინია, რომ ტურნირზე ძალიან ადვილი იქნება შენზე თავდასხმა და მერე ამის უბედურ შემთხვევად გასაღება.

– მშვენიერი გეგმაა, – გააჟრჟოლა ჰარის, – საკმარისია, გულხელი დაიკრიბონ და დრაკონებს თავიანთი საქმის გაკეთება აცალონ.

– ჰო, რაც შეეხება დრაკონებს, – აჩქარდა სირიუსი, – ერთი ხერხი არსებობს, ჰარი. არ შეცდე და არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენო გამთიშველი შელოცვა: დრაკონი ძალიან ძლიერი და დიდი ჯადოსნური ძალის მფლობელია, ერთი გამთიშველი შელოცვა მას ვერაფერს დააკლებს. ამისთვის სულ ცოტა, ექვსი ჯადოქარი მაინცაა საჭირო...

– ჰო, ვიცი, ახლახან ჩემი თვალით ვნახე, – დაეთანხმა ჰარი.

– მაგრამ შეიძლება, მარტოც გაუმკლავდე, თუ ერთ მარტივ შელოცვას გამოიყენებ...

მაგრამ ამ დროს ჰარიმ ხელის აწევით გააჩუმა, გული ისე გამალებით აუძგერდა, თითოს სადაცაა ბუდიდან ამოუხტებაო. ხვეულ კიბეზე ვიღაც ჩამოდიოდა.

– წადი! – უჩურჩულა სირიუსს, – წადი! ვიღაც მოდის!

ჰარი ფეხზე წამოვარდა და ბუხარს აეფარა. ვინმეს რომ სირიუსი დაენახა, მთელი ციხე-კოშკი ფეხზე დადგებოდა, მაშინვე სამინისტროს გამოუძახებდნენ და ჰარის სირიუსის ადგილსამყოფელის შესახებ დაკითხავდნენ...

ჰარიმ ზურგს უკან, ცეცხლში, სუსტი ტკაცანი გაიგონა და მიხვდა, რომ სირიუსი გაქრა. ხვეულ კიბეს თვალს არ აშორებდა. რომელ სულელს მოეგუნება ღამის პირველ საათზე გასეირნება და სირიუსს ასეთი მნიშვნელოვანი სათქმელი არ დაასრულებინა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს სულელი რონი აღმოჩნდა. კუბოკრულპიჟამიანი რონი ოთახში ჰარის დანახვაზე ელდანაკრავივით გაჩერდა და მიმოიხედა.

– ვის ელაპარაკებოდი?

– რა შენი საქმეა? – შეუღრინა ჰარიმ, – რას დაეხეტები ამ შუაღამისას?

– უბრალოდ, მაინტერესებდა, შენ სად... – დაიწყო რონმა, მაგრამ გაჩუმდა და მხრები აიჩეჩა, – არაფერი, ისევ დასაძინებლად მივდივარ.

– სათვალთვალოდ მობრძანდი, არა? – უყვირა ჰარიმ. იცოდა, რომ რონს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა დახვდებოდა ოთახში. იცოდა, რომ ასე განზრახ არ მოქცეულა, მაგრამ ახლა ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ამ წუთში რონისა ყველაფერი სძულდა, დაწყებული ჟღალი თავით, დამთავრებული იმ შიშველი კოჭებით, პიჟამის ქვემოდან რომ მოუჩანდა.

– დიდი ბოდიში, – რონს სახე სიბრაზისგან წამოუწითლდა, – უნდა მივმხვდარიყავი, რომ არ გინდა, ვინმემ შეგაწუხოს. შეგიძლია, გულდამშვიდებით გააგრძელო მომავალი ინტერვიუსთვის მზადება.

ჰარიმ ხელი სტაცა ერთ სამკერდე ნიშანს, რომელზეც „პოტერი მაგრად ჩაფლავდება“ ეწერა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რონს ესროლა. ნიშანი რონს შუბლზე მოხვდა და იატაკზე დავარდა.

– სახსოვრად გქონდეს, – შესძახა ჰარიმ, – სამშაბათს გულზე მიიბნიე. იქნებ ბედმა გაგიღიმოს და ნაიარევი დაგაჩნდეს... შენც ხომ სწორედ ამაზე ოცნებობ!

ჰარიმ ოთახი გადაჭრა და კიბისკენ გაემართა. ელოდა, რომ რონი შეაჩერებდა. ერჩივნა კიდეც, რონს მისთვის ერთი ლაზათიანი მუშტი ეთავაზა, მაგრამ რონი არ განძრეულა, იდგა ასე, თავის დამოკლებულ პიჟამაში... ჰარი კიბეზე ავარდა. საწოლში კარგა ხანს ისე იწვა, თვალზე რული არ მიჰკარებია. იწვა და სიბრაზისგან კანკალებდა. რონის ამოსვლა არ გაუგია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოცე

პირველი დავალება

კვირა დილით ჰარი ადგა და ისე უყურადღებოდ დაიწყო ჩაცმა, კარგა ხანი დასჭირდა, სანამ მიხვდებოდა, რომ წინდის მაგივრად ფეხზე ქუდის წამოცმას ცდილობდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ტანსაცმელი სწორად მოირგო და მაშინვე ჰერმიონის საძებნელად გასწია. ჰერმიონი დიდ დარბაზში ჯინისთან ერთად საუზმობდა. ჰარის გული ისე ერეოდა, რომ ჭამა არ შეეძლო, ამიტომ დაელოდა, სანამ ჰერმიონმა ბოლო კოვზი ფაფაც არ გადაყლაპა, და უმალვე სასეირნოდ წაათრია. ტბის ირგვლივ ხანგრძლივი სეირნობისას დრაკონებზე ყველაფერს მოუყვა და სირიუსის ნათქვამიც გადასცა.

ჰერმიონს თავზარი დასცა კარკაროვის ამბის გაგებამ, მაგრამ, მისი აზრით, დრაკონების პრობლემის მოგვარება მაინც უფრო სასწრაფო იყო.

– მოდი, ჯერ იმაზე ვიფიქროთ, როგორ დარჩე სამშაბათ საღამომდე ცოცხალი, – თქვა უიმედოდ, – კარკაროვზე სადარდებლად მერეც მოვიცლით.

ტბას სამჯერ შემოუარეს, გზადაგზა ტვინს იჭყლეტდნენ, რომ ისეთი მარტივი შელოცვა გაეხსენებინათ, რაც დრაკონს მოერეოდა. მაგრამ თავში მაინც არაფერი მოსდიოდათ. ამიტომ სეირნობას თავი დაანებეს და ბიბლიოთეკაში განმარტოვდნენ. აქ ჰარიმ თაროებიდან ჩამოიღო ყველა წიგნი, რაც კი დრაკონებს შეეხებოდა, და ორივენი წიგნების უზარმაზარი გროვის ქექვას შეუდგნენ.

– ჯადოს საშუალებით ბრჭყალების მოჭრა... ქერცლის ლპობის მკურნალობა... ეს არაფერში არ გამოგვადგება, ეს ჰაგრიდისთანა შერეკილებისთვისაა, რომლებიც დრაკონების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– „დრაკონის მოკვლა თითქმის შეუძლებელია, რადგან მათი სქელი ტყავი უძველესი ჯადოთია გაჟღენთილი, რომელშიც შეღწევა მხოლოდ უძლიერეს შელოცვას ძალუძს...“ მაგრამ სირიუსმა ხომ თქვა, ერთი მარტივი შელოცვაც საკმარისიაო...

– მოდი, მაშინ მარტივი შელოცვების წიგნები ვნახოთ, – ჰარიმ წიგნი „კაცი, რომელსაც დრაკონები ძალიან უყვარდა“ – გვერდზე მოისროლა, სხვა წიგნები მოიტანა, მაგიდაზე დაყარა და სათითაოდ ფურცვლას შეუდგა. ჰერმიონი თავზე ადგა და გაუჩერებლად ჩურჩულებდა:

– ჰოო, აქ გადაქცევის შელოცვებია მოცემული, მაგრამ რა უნდა გადააქციო? ეშვებს შაქარყინულის ჩხირებად ან რაიმე მაგდაგვარად ხომ არ გადაუქცევ, რომ დრაკონი გააუვნებელო? მაგრამ იმ წიგნში ხომ ეწერა, ბევრი შელოცვა დრაკონის ტყავში ვერ აღწევსო... ტრანსფიგურაციას კი გირჩევდი, მაგრამ დრაკონი ისეთი დიდია, არ გამოგივა. ალბათ, პროფესორი მაკგონაგელიც კი ვერ მოახერხებდა... იქნებ ეგ რაღაც მარტივი შელოცვა საკუთარ თავზე უნდა გამოიყენო, რომ მეტი ძალა მოგანიჭოს? მაგრამ ამგვარი რამ მარტივი შელოცვებით არ კეთდება. ესენი ჯერ არც კი გაგვივლია. მე იმიტომ ვიცი, რომ ბუა-ს საგამოცდო ნიმუშები მაქვს გაკეთებული...

– ჰერმიონ, ცოტა ხნით გაჩუმდი, რა! ვცდილობ, ყურადღება მოვიკრიბო, – შეეხვეწა ჰარი.

მაგრამ ჰერმიონის გაჩუმებამ ოდნავადაც ვერ უშველა, თავი გაბმულად უზუზუნებდა და ყურადღებას ვერაფრით ვერ იკრებდა. ჰარი უიმედოდ მიაჩერდა წიგნის საძიებელს: „ძირითადი შურისმაძიებელი შელოცვები მოუცლელი ადამიანებისთვის: სკალპის აძრობა ერთ წამში“... დრაკონებს თმა არ ჰქონდათ... „ცხარე სუნთქვა“... ეს, ალბათ, დრაკონს ცეცხლის ფრქვევის უნარს გაუძლიერებდა... „რქიანი ენა“... ეგღა აკლდა, მათთვის დამატებითი იარაღი მიეცა...

– ვაიმე, ისევ მოვიდა, რატომ არ შეუძლია თავის გემზე იკითხოს? – წაიჩურჩულა გაბრაზებულმა ჰერმიონმა. ბიბლიოთეკაში წიგნებით დახუნძლული ვიქტორ კრამი შემოფრატუნდა, ორივეს კუშტი მზერა ესროლა და მათგან მოშორებით, კუთხეში დაჯდა. წამო, ჰარი, საერთო ოთახში წავიდეთ... მისი ფანკლუბი მალე აქ გაჩნდება და ტვინს წაიღებენ...

მართლაც, ბიბლიოთეკიდან გამოსვლისას გოგონების ჯგუფს შეეფეთნენ. თითის წვერებზე მოიპარებოდნენ, ერთ-ერთ მათგანს წელზე ბულგარეთის დროშისფერი შარფი ჰქონდა შემოხვეული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ის ღამე ჰარიმ თეთრად გაათენა. ორშაბათ დილით, ცხოვრებაში პირველად, სერიოზულად გადაწყვიტა ჰოგვორტსიდან გაქცევა. მაგრამ საუზმობისას დიდი დარბაზი რომ მოათვალიერა და გაიაზრა, ციხე-კოშკიდან წასვლა რას მოუტანდა, მიხვდა, რომ ამას ვერ შეძლებდა. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თავს ბედნიერად გრძნობდა... შეიძლება, მშობლებთანაც ბედნიერი იყო, მაგრამ, აბა, ეს საიდან უნდა ხსომებოდა.

ხოლო იმ აზრმა, რომ აქ ყოფნა და დრაკონთან დაპირისპირება ერჩივნა პრივიტ დრაივზე დადლისთან ერთად ცხოვრებას, გუნება საბოლოოდ გამოუკეთა და ცოტათი დაამშვიდა. ბეკონს ძლივს მოუღო ბოლო (ყელში ლუკმა არ გადასდიოდა) და ჰერმიონთან ერთად სუფრიდან რომ ადგა, დიდი დარბაზიდან გამავალი სედრიკ დიგორი დაინახა.

სედრიკმა დრაკონების შესახებ არაფერი იცოდა. თუ ჰარის ვარაუდი გამართლდა და მადამ მაქსიმმა და კარკაროვმა მართლაც ყველაფერი გაანდეს ფლერსა და კრამს, მაშინ სედრიკი ერთადერთი ჩემპიონი იყო, რომელიც დავალებაზე მოუმზადებელი უნდა გასულიყო.

ჰარიმ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება:

– ჰერმიონ, სათბურში გნახავ, წადი და მეც მალე დაგეწევი.

– ჰარი, დაგაგვიანდება, უკვე საცაა ზარი დაირეკება...

– არა უშავს, დაგეწევი, კარგი?

სანამ ჰარი მარმარილოს კიბემდე მიირბენდა, სედრიკი უკვე კიბის თავში იდგა. თან უამრავი მეექვსეკურსელი მეგობარი ახლდა. ჰარის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, სედრიკთან მათი თანდასწრებით ესაუბრა. ისინი ხომ წარამარა რიტას სტატიიდან ციტატებს მისძახოდნენ. ამიტომ შორიახლოს აედევნა. სედრიკი შელოცვების კაბინეტის დერეფნისკენ მიდიოდა. ჰარის გონება გაუნათდა. მათგან ცოტა მოშორებით გაჩერდა, ჯოხი ამოიღო და გულდასმით დაუმიზნა.

– დიფინდო!

სედრიკის ჩანთა გადასკდა, ეტრატი, ბატის ფრთები და წიგნები იატაკზე გადმოცვივდა, ორი სამელნე ნამსხვრევებად იქცა.

– არა უშავს, – უთხრა შეწუხებულმა სედრიკმა მისახმარებლად დახრილ მეგობრებს, – ფლიტვიკს უთხარით, რომ ცოტა დამაგვიანდება, წადით...

ჰარისაც სწორედ ამის იმედი ჰქონდა. ჯოხი მანტიაში შეიცურა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და დაელოდა, როდის შევიდოდნენ სედრიკის მეგობრები საკლასო ოთახში. შემდეგ სწრაფად გაუყვა დაცარიელებულ დერეფანს.

– გამარჯობა, – მიესალმა სედრიკი და იატაკიდან მელნით მოთხვრილი უმაღლესი ტრანსფიგურაციის დამხმარე სახელმძღვანელო აიღო, – ჩანთა გამეხა, არადა, ახალთახალია...

– სედრიკ, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – პირველი დავალება დრაკონებია.

– რაა? – თავი ასწია სედრიკმა.

– დრაკონები, – ჰარი სწრაფად ლაპარაკობდა, ვაითუ, პროფესორი ფლიტვიკი საკლასო ოთახიდან გამოვიდეს სედრიკის ამბის გასაგებადო, – ოთხი ჰყავთ, თითოს თითო შეგვხვდება და გვერდზე უნდა ჩავუაროთ.

სედრიკი გაოცებული მიაჩერდა. ჰარიმ დაინახა, როგორ აირეკლა მის ნაცრისფერ თვალებში ის პანიკური შიში, რომელიც თვითონ მას შაბათ საღამოდან მოყოლებული ტანჯავდა.

– დარწმუნებული ხარ? – ხმადაბლა ჰკითხა სედრიკმა.

– წყალი არ გაუვა, მე თვითონ ვნახე, – თქვა ჰარიმ.

– კი მაგრამ, საიდან გაიგე, ჩვენ ხომ არ უნდა ვიცოდეთ...

– მაგას არა აქვს მნიშვნელობა, – სწრაფად უთხრა ჰარიმ. იცოდა, სიმართლე რომ გაემხილა, ჰაგრიდს პრობლემები შეექმნებოდა, – მაგრამ მარტო მე კი არა, მაქსიმმა და კარკაროვმაც ნახეს დრაკონები.

სედრიკი წელში გაიმართა. ხელში მელნით მოთხვრილი ბატის ფრთები, ეტრატები და წიგნები ეჭირა, გახეული ჩანთა ცალ მხარზე ჩამოკონწიალებოდა. ჰარის დაბნეულ, ოდნავ დაეჭვებულ მზერას არ აშორებდა.

– რატომ მეუბნები ამას?

ჰარიმ ყურებს არ დაუჯერა. არა, სედრიკი ამას ნამდვილად არ ჰკითხავდა, დრაკონები საკუთარი თვალით რომ ენახა. ჰარი მოსისხლე მტერსაც კი ვერ გაიმეტებდა საიმისოდ, რომ იმ ურჩხულებს მოუმზადებელი შეხვედროდა... ჰო... შეიძლება, ეს მალფოი ან სნეიპი რომ ყოფილიყო...

– განა ეს... სამართლიანი არ არის? – უთხრა სედრიკს, – ახლა უკვე ყველამ ვიცით... ახლა ყველას თანაბარი შანსი გვაქვს.

სედრიკი ისევ ოდნავ დაეჭვებით უცქეროდა. უცებ ჰარიმ ზურგს უკან ნაცნობი კაკუნი გაიგონა და შეტრიალდა. უახლოესი საკლასო ოთახიდან მრისხანეთვალა მუდი გამოვიდა.

– ჩემთან შემოდი, პოტერ, – დაუბუხუნა ჰარის, – დიგორი, შენ წადი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი დამფრთხალი მიაჩერდა მუდის. ნუთუ ყველაფერი გაიგონა?

– ისა... პროფესორო, ახლა ჰერბოლოგიის გაკვეთილი მაქვს...

– არა უშავს, პოტერ. ჩემს კაბინეტში შემოდი, თუ შეიძლება.

ჰარი დაემორჩილა, თან ფიქრობდა, ნეტავ რა სასჯელი მელისო. ვაითუ მუდი დაინტერესდა, საიდან გაიგო დრაკონების ამბავი! ნეტავ, მუდი დამბლდორთან წავა და ჰაგრიდს დააბეზღებს თუ იმით დაკმაყოფილდება, რომ ჰარის ქრცვინად აქცევს?

„ისე, ქრცვინად ქცეული დრაკონს უფრო ადვილად ჩავუვლი, – უხალისოდ გაიფიქრა ჰარიმ, – უფრო პატარა ვიქნები და თხუთმეტი მეტრის სიმაღლიდან კარგად ვერ შემამჩნევს...“

ჰარი კაბინეტში შეჰყვა მუდის. მუდიმ კარი მიხურა, შემობრუნდა და ორივე თვალით დააკვირდა, ჯადოსნურითაც და ნორმალური თვალითაც. მერე ჩუმად უთხრა:

– რაც ახლა გააკეთე, ძალიან კეთილშობილური საქციელია, პოტერ.

ჰარი დაიბნა. ამას ნამდვილად არ ელოდა.

– დაჯექი, – უთხრა მუდიმ. ჰარი დაჯდა და მიმოიხედა.

ამ ოთახში ადრეც იყო ნამყოფი, მისი წინა ორი ბინადრის დროს. პროფესორ ლოკჰარტის დროს თავად პროფესორ ლოკჰარტის სურათები იყო კედლებზე გაკრული. ის სურათები ყველას უღიმოდნენ და თვალს უკრავდნენ. მაგრამ როცა აქ ლუპინი ცხოვრობდა, უფრო მოსალოდნელი იყო, გაკვეთილებისთვის გამოწერილ რომელიმე ჯადოსნურ არსებას გადაჰყროდი. ამჯერად კი ოთახი სავსე იყო უამრავი ძალზე უცნაური ნივთით, რომლებსაც მრისხანეთვალა, ალბათ, წარსულში, აურორად ყოფნის დროს იყენებდა.

საწერ მაგიდაზე დიდი, გაბზარული მინის ბზრიალასმაგვარი რაღაც იდგა. ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ ეს მავნოსკოპი იყო, რადგან ამაზე ბევრად მომცრო თვითონაც ჰქონდა. პატარა მაგიდის კუთხეში იდგა ნივთი, რომელიც ოდნავ წააგავდა ტელევიზორის დაგრეხილ ოქროსფერ ანტენას. ანტენას სუსტი გუგუნი გაჰქონდა. მოპირდაპირე მხარეს კედელზე კი სარკის მსგავსი რაღაც ეკიდა, მაგრამ ოთახს არ ირეკლავდა. მასზე ბუნდოვანი, მუქი ჩრდილები მოძრაობდნენ.

– მოგწონს ჩემი ბნელი ძალების დეტექტორები? – ჰკითხა მუდიმ, რომელიც ჰარის ყურადღებით აკვირდებოდა.

– ის რა არის? – ჰარიმ დაგრეხილი ოქროსფერი ანტენისკენ გაიშვირა თითი.

– სიცრუის სენსორი. როცა ირგვლივ სადმე საიდუმლოს ან სიცრუეს აფიქსირებს, ვიბრირებს. აქ, რა თქმა უნდა, არ გამოდგება,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სადაც გაიხედავ, ყველგან მოსწავლეები იტყუებიან, ათასგვარ მიზეზს იგონებენ, თუ რატომ არ შეასრულეს საშინაო დავალება. აქ მოსვლის დღიდან გუგუნი არ შეუწყვეტია. იძულებული გავხდი, ჩემი მავნოსკოპიც გამეთიშა, რადგან არ ჩერდებოდა, უსტვენდა და უსტვენდა. ზემგრძნობიარეა და ერთი მილის რადიუსზე გრძნობს ყველაფერს. რასაკვირველია, ბავშვების სიცელქეზე უფრო სერიოზულ რამეებსაც შიფრავს, – დასძინა ჩახრინწული ხმით.

– სარკე რიღასთვისაა საჭირო?

– აჰ, ეგ ჩემი მტრის ამომცნობი სარკეა. ხედავ, როგორ დაძრწიან? არა უშავს, სანამ მათი თვალების თეთრ გარსს ვხედავ, საფრთხე არ მემუქრება. როგორც კი საფრთხე დამემუქრება, სკივრს გავხსნი ხოლმე!

მუდიმ გადაიხარხარა და ფანჯრის ქვეშ მდგარ ვეება სკივრზე მიუთითა. მასზე შვიდი საკეტი იყო დამაგრებული. ჰარიმ, ის იყო, გაიფიქრა, ნეტავ შიგნით რას ინახავსო, რომ მუდის შემდეგმა კითხვამ მაშინვე მიწაზე დაანარცხა:

– მაშ, ესე იგი, დრაკონების ამბავი შეიტყვე, არა?

ჰარი შეყოყმანდა. სწორედ ამ კითხვისა ეშინოდა, მაგრამ სედრიკს ხომ არაფერი უთხრა და არც ახლა აპირებდა ჰაგრიდის გაცემას.

– არა უშავს, – მუდი დაჯდა და ხის ფეხი ხვნეშით გაჭიმა, – ჩაწყობა ყოველთვის იყო და არის სამი ჯადოქრის ტურნირის ტრადიციული ნაწილი.

– მე არაფერიც არ ჩამიწყვია, – გაცხარებით შეეპასუხა ჰარი, – მე... მე სრულიად შემთხვევით შევიტყვე.

მუდიმ ჩაიღიმა.

– შენ არც გადანაშაულებ, ყმაწვილო. თავიდანვე ვაფრთხილებდი დამბლდორს, შენ როგორი კეთილსინდისიერიც უნდა იყო, ეჭვი არ შეგეპაროს, კარკაროვი და მაქსიმი ყველაფერზე წავლენ-მეთქი. თუ რამე შეიტყვეს, მაშინვე გაუმხელენ თავიანთ ჩემპიონებს. მათ გამარჯვება და დამბლდორის დამარცხება სწყურიათ. სიამოვნებით დაამტკიცებდნენ, რომ ის უბრალო მოკვდავია.

მუდიმ ხრინწიანი ხმით გადაიხარხარა და ჯადოსნური თვალი ისეთი სისწრაფით დაუბზრიალდა ბუდეში, რომ ჰარის კინაღამ თავბრუ დაეხვა.

– აბა... რა ქენი, მოიფიქრე, როგორ უნდა ჩაუარო დრაკონს?

– ჯერ არა.

– მე არაფერს გეტყვი, – უხეშად უთხრა მუდიმ, – ფავორიტიზმი არ მიყვარს. მაგრამ ორ ზოგად, სასარგებლო რჩევას მაინც მოგცემ. პირველი რჩევაა: გამოიყენე შენი ძლიერი მხარე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ მე ძლიერი მხარე არა მაქვს, – წამოსცდა ჰარის.

– რაოო, ეს რა მესმის?! – ამოიხრიალა მუდიმ, – რახან ვამბობ, რომ გაქვს, ესე იგი, გაქვს. ახლა დაფიქრდი. ყველაზე კარგად რა გამოგდის?

– ქვიდიჩი, – უხალისოდ უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ ეგ რას მიშველის...

– სწორია, – მუდი დაჟინებით მიაჩერდა, მისი ჯადოსნური თვალი ბუდეში თითქმის გაჩერებულიყო და ჰარის ბურღავდა. – როგორც გავიგე, ბრწყინვალედ დაფრინავ.

– კი მაგრამ, – თვალები ჭყიტა ჰარიმ, – ცოცხის გამოყენების უფლება არ მაქვს, მხოლოდ ჯადოსნური ჯოხი უნდა...

– მეორე სასარგებლო რჩევა, – შეაწყვეტინა მუდიმ, – გამოიყენე ერთი კარგი, მარტივი შელოცვა, რაც საშუალებას მოგცემს, მიიღო ის, რაც გჭირდება.

ჰარიმ დაბნეული მიაჩერდა. რა სჭირდებოდა?

– ჰა, მიდი, – დაიჩურჩულა მუდიმ, – დაუკავშირე ერთმანეთს ეს ორი რამე. არც ისე ძნელია...

და უცებ ჰარის გონება გაუნათდა. ყველაზე კარგად ფრენა ეხერხებოდა. ჰოდა, დრაკონისთვის ჰაერში უნდა შემოეფრინა. ამისთვის თავისი „ელვა“ სჭირდებოდა. „ელვისთვის“ კი სჭირდებოდა...

– ჰერმიონ, – ჩურჩულით თქვა ჰარიმ, როცა ათი წუთის დაგვიანებით შევარდა სათბურში და აჩქარებით მოუბოდიშა პროფესორ სპრაუტს, – ჰერმიონ, შენი დახმარება მჭირდება.

ჰერმიონი ფარფატა ბუჩქს სხლავდა.

– ჰარი, შენი აზრით, აქამდე რას ვცდილობდი? – ჩურჩულით უპასუხა გოგონამ და ბუჩქის ზემოდან აღელვებისგან გაფართოებული თვალები მიაპყრო.

– ჰერმიონ, ხვალ შუადღემდე კარგად უნდა ავითვისო გამოძახების შელოცვა!

* * *

შეუდგნენ ვარჯიშს. ლანჩი გამოტოვეს და თავისუფალი აუდიტორია იპოვეს, სადაც ჰარი თავდაუზოგავად ცდილობდა, სხვადასხვა საგანი თავისკენ მიეზიდა. ჯერჯერობით კარგად არ გამოსდიოდა. წიგნები და ბატის ფრთები შუა გზაში დუნდებოდნენ და იატაკს ქვებივით ენარცხებოდნენ.

– ყურადღება დაძაბე, ჰარი, ყურადღება დაძაბე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვცდილობ, ვცდილობ! – გაბრაზდა ჰარი, – მაგრამ, რატომღაც, წარამარა ეს ოხერი დრაკონი მიდგება თვალწინ... კარგი, ისევ ვცადოთ...

ჰარის უნდოდა, მისნობის გაკვეთილიდან გაპარულიყო და ვარჯიში გაეგრძელებინა, მაგრამ ჰერმიონმა კატეგორიული უარი განაცხადა არითმანტიის გაცდენაზე. ამიტომ ვარჯიში ჩაიშალა და ჰარი იძულებული გახდა, საათზე მეტხანს აეტანა პროფესორი ტრელოუნი, რომელიც ნახევარი გაკვეთილის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ სატურნთან მიმართებაში მარსის იმჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით, ივლისში დაბადებულებს საშინელი, მოულოდნელი სიკვდილი ემუქრებოდათ.

ჰარის მოთმინების ფიალა აევსო და ხმამაღლა თქვა:

– რა კარგია, რომ დიდხანს არ გაჭიანურდება, არ მინდა, ვიწვალო.

რონმა წამით ისეთი სახე მიიღო, თითქოს სიცილი უნდა წასკდესო, და ჰარის პირველად გაუსწორა მზერა. მაგრამ ჰარი ჯერაც ისეთი ნაწყენი იყო, რომ მისკენ არც კი გაუხედავს. დარჩენილი გაკვეთილი ჰარიმ მაგიდის ქვეშ ჯადოსნური ჯოხით პატარა საგნების მიზიდვას მოანდომა. იმდენი მოახერხა, რომ ერთი ბუზი პირდაპირ ხელში შეუფრინდა, თუმცა ეს, ალბათ, მისი გამოძახების შელოცვის დამსახურება კი არა, ბუზის დაუდევრობის ბრალი იყო.

მისნობის შემდეგ სადილი ძალით გადაყლაპა. ჰარიმ და ჰერმიონმა უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხეს, რათა მასწავლებლების თვალს მორიდებოდნენ, და ცარიელ საკლასო ოთახში დაბრუნდნენ. იქ შუაღამემდე ივარჯიშეს. უფრო დიდხანსაც დარჩებოდნენ, მაგრამ საიდანღაც პივსი გამოჩნდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეგონა, ჰარის უნდა, ნივთები ესროლონო, და ოთახის მეორე ბოლოდან სკამების ტყორცნა დაუწყო. ჰარი და ჰერმიონი სასწრაფოდ მოშორდნენ იქაურობას, სანამ ხმაური ფილჩის ყურადღებას მიიქცევდა. გრიფინდორის საერთო ოთახში დაბრუნდნენ, რომელიც, საბედნიეროდ, ცარიელი დახვდათ.

ღამის ორ საათზე ჰარი ბუხართან იდგა. იქვე უამრავი ნივთი იყო დახვავებული: წიგნები, ბატის ფრთები, ამობრუნებული სკამები, ოქროს კენჭების ნაკრები და ნევილის გომბეშო ტრევორი. სულ ერთი საათის წინ აუღო ალღო გამოძახების შელოცვას.

– უკეთესია, ჰარი, ბევრად უკეთესია, – შეაქო არაქათგამოცლილმა, მაგრამ უსაზღვროდ კმაყოფილმა ჰერმიონმა.

– ჰო, ახლა იცი, როგორ უნდა მოიქცე. თუ რომელიმე შელოცვას ვერ ავითვისებ, მაშინვე დრაკონით უნდა დამემუქრო, – ჰარიმ რუნების ლექსიკონი ჰერმიონს უკან გადაუგდო და ისევ აღმართა ჯოხი, – აკციო, ლექსიკონი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მძიმე წიგნი ჰერმიონის ხელიდან გამოფრინდა, ლივლივით გადმოჭრა ოთახი და ჰარის ხელებში ჩაუვარდა.

– ჰარი, უკვე მართლა კარგად გამოგდის, – გაუხარდა ჰერმიონს.

– მთავარია, ხვალაც გამომივიდეს, – ამოიოხრა ჰარიმ, – „ელვა“ ამათზე ბევრად უფრო შორს, ციხე-კოშკში იქნება, მე კი ეზოდან უნდა მოვიხმო.

– ამას არა აქვს მნიშვნელობა, – მტკიცედ თქვა ჰერმიონმა, – თუ ყურადღებას ძალიან, ძალიან დაძაბავ, აუცილებლად მოვა. ჰარი, მოდი, დავიძინოთ. ხვალ ადრე უნდა ადგე.

* * *

იმ საღამოს ჰარი ისე გულმოდგინედ ვარჯიშობდა გამოძახების შელოცვაში, რომ პანიკური შიში თითქმის გაუქრა. სამაგიეროდ, მეორე დილას გაორკეცებული ძალით დაუბრუნდა. მთელი სკოლა ღელავდა და ქოთქოთებდა. გაკვეთილები შუადღისთვის შეწყდა, რომ მაყურებლებისთვის დრაკონების ბაკთან მისვლის დრო მიეცათ. მათ, რა თქმა უნდა, ჯერ არ იცოდნენ, იქ რა დახვდებოდათ.

ჰარი საოცრად გარიყულად გრძნობდა თავს. ყურადღებას აღარავის აქცევდა, არც იმათ, ვინც თბილად ხვდებოდა და წარმატებებს უსურვებდა, არც იმათ, ვინც დასცინოდა: „პოტერ, ცხვირსახოცების მთელი კომპლექტი მოგვაქვსო“. ისე იყო დაძაბული, რომ ისიც კი გაიფიქრა, ვაითუ, დრაკონთან მისვლისას ნერვებმა მიმტყუნოს და შიშისგან გონებაარეულმა ირგვლივ ყველას შევულოცოო.

დრო კი ზღაპრული სისწრაფით მიქროდა. ჰარის ეჩვენებოდა, ეს-ესაა, პირველ გაკვეთილზე, მაგიის ისტორიაზე ვიჯექი და უკვე ლანჩის დრო მოვიდაო... დილამ თვალსა და ხელს შუა გაირბინა. ჰარიმ უკან მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ ბოლო უდრაკონო საათებიც სადღაც გაქრა. ახლა დიდ დარბაზში იჯდა და პროფესორი მაკგონაგელი სწრაფი ნაბიჯით უახლოვდებოდა. ყველა მათ მისჩერებოდა.

– პოტერ, ჩემპიონები სასწრაფოდ ეზოში უნდა ჩახვიდეთ, პირველი დავალებისთვის უნდა მოემზადოთ...

– კეთილი, – ჰარი წამოდგა და ჩანგალი წკარუნით დაუვარდა თეფშზე.

– აბა, შენ იცი, ჰარი, – წასჩურჩულა ჰერმიონმა, – ყველაფერი კარგად იქნება.

– ჰო, – საკუთარი ხმა ვერ იცნო ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდი დარბაზიდან მაკგონაგელთან ერთად გავიდა. პროფესორიც ღელავდა. უფრო ზუსტად, ღელავდა კი არა, ცხვირ-პირი ჰერმიონივით ჩამოსტიროდა. ქვის საფეხურები ჩაიარეს და გარეთ გავიდნენ. ნოემბრის ცივი დღე იდგა. პროფესორმა მაკგონაგელმა ჰარის მხარზე ხელი დაადო.

– ნუ გეშინია, ყოჩაღად იყავი... სიტუაცია თუ კონტროლს არ დაექვემდებარა, ჯადოქრების ჯგუფი მზად გვყავს... გააკეთე, რაც შეგიძლია, და ცუდს შენზე არავინ იფიქრებს... თავს როგორ გრძნობ?

– კარგად, – შორიდან მოესმა საკუთარი ხმა ჰარის, – კარგად ვარ.

მაკგონაგელს ტყის ნაპირ-ნაპირ დრაკონებისკენ მიჰყავდა. იმ ხეების ჯგუფს რომ მიუახლოვდნენ, რომელთა მიღმაც, წესით, ბაკი უნდა გამოჩენილიყო, ჰარიმ დაინახა, რომ იქ ახლა კარავი წამოეჭიმათ და ამიტომ დრაკონები აღარ ჩანდნენ.

– სხვა ჩემპიონებთან ერთად კარავში უნდა შეხვიდე, – პროფესორ მაკგონაგელს შესამჩნევად უკანკალებდა ხმა, – და შენს ჯერს უნდა დაელოდო, პოტერ. ბატონი ბეგმანი იქ გელოდებათ... წესებს ის აგიხსნით... წარმატებას გისურვებ.

– გმადლობთ, – ძლივს ამოღერღა ჰარიმ. მაკგონაგელმა კარვის შესასვლელთან მარტო დატოვა. ჰარი შიგნით შევიდა.

ფლერ დელაკური კუთხეში ხის დაბალ სკამზე იჯდა. მისი ჩვეული თავდაჯერებულობა სადღაც გამქრალიყო, მკვდრისფერი ედო და ცივი ოფლი ასხამდა. კრამი ჩვეულებრივზე უფრო მოქუფრულიყო, ალბათ, ასე გამოხატავდა ნერვიულობას. სედრიკი კარავში ბოლთას სცემდა. ჰარი რომ შევიდა, ოდნავ გაუღიმა. ჰარიმ ძლივს მოახერხა, ღიმილით ეპასუხა.

– ვაااااა, ჰარი! რა კარგია! – მხიარულად შესძახა ბეგმანმა, – შემოდი, შემოდი, ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთრ სახლში!

ფერმიხდილი ჩემპიონების ფონზე სქელი, მხიარული ბეგმანი კარიკატურას ჰგავდა. ისევ თავისი ძველი, ჭრელაჭრელა ფორმა ეცვა.

– რაკიღა ყველანი აქ ხართ, დროა, აგიხსნათ, რა გევალებათ, – რიხიანად გამოაცხადა ბეგმანმა, – როცა ტრიბუნები შეივსება, თითოეულ თქვენგანს ამ ჩანთას შემოგთავაზებთ, – მან იისფერი აბრეშუმის პატარა ტომარა მაღლა ასწია და ჩემპიონებს ცხვირწინ გაუქნია, – აქედან თითოეული აირჩევთ იმის მინიატურულ მოდელს, რასთან შეხვედრაც მოგიწევთ. იცით, სხვადასხვა მმმ... სახეობაა. კიდევ რა უნდა მეთქვა? ა, ჰო... თქვენ გევალებათ ოქროს კვერცხის ხელში ჩაგდება!

ჰარიმ მიმოიხედა. სედრიკმა თავი დაუქნია ბეგმანს, გასაგებიაო, და ოდნავ ფერშეცვლილი ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა. ფლერ დელა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კური და კრამი არ განძრეულან. ალბათ, იფიქრეს, რომ პირს თუ გააღებდნენ, გული აერეოდათ. ყოველ შემთხვევაში, ჰარი ნამდვილად ასე გრძნობდა თავს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჰარისგან განსხვავებით, მათ საკუთარი ნებით მაინც გაყვეს თავი ამ ხათაბალაში...

სულ მალე მათ საყურებლად მიმავალთა ფეხის ხმა შემოესმათ. ყველანი აღტაცებით ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ხუმრობდნენ... ჰარის ისინი სულ სხვა პლანეტიდან ჩამოსულებად ეჩვენებოდნენ. ამასობაში ბეგმანმა იასამნისფერ აბრეშუმის ტომარას პირი მოხსნა.

– ჯერ – ქალბატონი! გთხოვთ, – თქვა თავაზიანად და ტოპრაკი ფლერ დელაკურს გაუწოდა.

ფლერმა აკანკალებული ხელი ტომარაში ჩაყო და დრაკონის ციცქნა, ზედმიწევნით ზუსტი მოდელი ამოიღო – ეს იყო უელსური მწვანე. კისერზე ციფრი „ორი“ ჰქონდა მიმაგრებული. იქიდან გამომდინარე, რომ ფლერს ოდნავი გაოცებაც არ დასტყობია, პირიქით, უსიტყვო მორჩილება აღებეჭდა სახეზე, ჰარიმ საბოლოოდ დაასკვნა, რომ სწორად ივარაუდა: მადამ მაქსიმმა თავის ჩემპიონს ყველაფერი უამბო და გააფრთხილა, რა მოელოდა.

იგივე ითქმოდა კრამზეც. მან ალისფერი ჩინური მეტეორი ამოიღო, რომელსაც კისერზე ციფრი „სამი“ ეკეთა. თვალიც არ დაუხამხამებია, უბრალოდ, მიწას ჩააშტერდა.

სედრიკმა ტომარაში ჩაყო ხელი და მოცისფრო-მონაცრისფრო შვედური მოკლედინგა ამოიღო, კისერზე მიბმული ჰქონდა ციფრი „ერთი“. ჰარი მიხვდა, რაც დარჩა. ხელი აბრეშუმის ტომარაში ჩაყო და მეოთხე ნომერი – უნგრული რქაკუდა ამოიღო. რქაკუდამ ფრთები გაშალა და ციცქნა ეშვები გამოაჩინა.

– ესეც ასე! – შესძახა ბეგმანმა, – სწორედ ამ დრაკონებთან მოგიწევთ შეხვედრა. დრაკონის ყელზე ნომერი ნიშნავს იმ რიგს, რა თანმიმდევრობითაც შეუდგებით დავალების შესრულებას, გასაგებია? ახლა, სამწუხაროდ, უნდა დაგტოვოთ, რადგან დღეს მე კომენტატორიც ვარ. მისტერ დიგორი, პირველი თქვენ ხართ. როგორც კი სასტვენის ხმას გაიგებთ, ბაკში გადით, კარგი? ჰარი, შეიძლება, ერთი-ორი სიტყვა გითხრა გარეთ?

– მმმ... დიახ, – ჰარი უხალისოდ წამოდგა და კარვიდან გასულ ბეგმანს გაჰყვა. ბეგმანმა შორიახლოს, ხეებთან გაიყვანა და მამობრივი მზრუნველობით აღსავსე გამომეტყველებით მოუბრუნდა:

– როგორა ხარ, ჰარი? შემიძლია, რითიმე დაგეხმარო?

– რა? – დაიბნა ჰარი, – არა... არაფრით.

– უკვე მოიფიქრე, რა უნდა გააკეთო? – შეთქმულივით დაუწია

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმას ბეგმანმა. – არა? იცი, თუ გინდა, შემიძლია, ერთი-ორი რჩევა გაგიზიარო. იმიტომ, რომ, – კიდევ უფრო დაუწია ხმას, – შენ აქ ყველაზე პატარა მონაწილე ხარ, ჰარი. თუკი რითიმე შემიძლია, დაგეხმარო...

– არა, – ისე სწრაფად უპასუხა ჰარიმ, თავადაც იგრძნო, რომ უხეშად გამოუვიდა, – არა, უკვე გადავწყვიტე, რა უნდა გავაკეთო. გმადლობთ.

– ვერავინ გაიგებს, ჰარი, – თვალი ჩაუკრა ბეგმანმა.

– არა, მე მშვენივრად ვარ, – მიუგო ჰარიმ და გაიფიქრა, ნეტავ, ყველას ამას რატომ ვეუბნები, საინტერესოა, ბოლოს ამაზე უარეს დღეში როდის ვიყავიო, – უკვე მოფიქრებული მაქვს, რა უნდა ვქნა, მე...

სადღაც სასტვენს ჩაჰბერეს.

– ვაიმე, უნდა გავიქცე! – შეშფოთდა ბეგმანი და აჩქარებით გაეცალა იქაურობას.

ჰარი კარვისკენ გაემართა. შესასვლელში კიდევ უფრო ფერდაკარგულ სედრიკს შეეფეთა. უნდოდა, წარმატება ესურვებინა, მაგრამ მხოლოდ ხავილი აღმოხდა.

ჰარი ფლერთან და კრამთან შევიდა. რამდენიმე წამში ბრბოს ღრიანცელი მოესმათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ სედრიკმა ბაკში შეაბიჯა და თავისი მოდელის ცოცხალი ორიგინალის პირისპირ იდგა.

აქ ჯდომა და ყურისგდება უფრო აუტანელი აღმოჩნდა, ვიდრე ჰარი მოელოდა. სანამ სედრიკი თავის დავალებას ასრულებდა, ერთ მთლიან ორგანიზმად ქცეული ბრბო ყვიროდა... კიოდა... ოხრავდა. კრამი ისევ მიწას ჩასცქეროდა. ფლერი ახლა სედრიკივით სცემდა ბოლთას. ხოლო ბეგმანის კომენტარები ყველაფერს ბევრად უფრო აუტანელს ხდიდა. ჰარის გონებაში საშინელი სურათები ენაცვლებოდა ერთმანეთს:

– ოოოოო! ბეწვზე ასცდა, ბეწვზე... ახლა რისკზე მიდის! გონივრული ნაბიჯია, სამწუხაროა, რომ არ გაჭრა...

ბოლოს, დაახლოებით, თხუთმეტი წუთის შემდეგ, ყურისწამღები ღრიალი ატყდა, რაც უეჭველად იმას ნიშნავდა, რომ სედრიკმა ჩაუარა დრაკონს და ხელთ იგდო ოქროს კვერცხი.

– ყოჩაღ! – ყვიროდა ბეგმანი, – ახლა ჟიურის შეფასება ვნახოთ!

მას ქულები ხმამაღლა არ გამოუცხადებია. ჰარიმ ივარაუდა, ალბათ, ჟიურის წევრები ქულებს ტრიბუნებს უჩვენებენო.

– ერთი წავიდა, სამი დარჩა! – გამოაცხადა ბეგმანმა და ისევ ჩაჰბერეს სასტვენს. – მის დელაკურ, თქვენი ჯერია.

ფლერი თავით ფეხამდე ისე ცახცახებდა, ჰარის თითქმის შეეცო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. მაგრამ გოგონამ თავი ამაყად ასწია, ჯადოსნური ჯოხი ჩაბღუჯა და კარვიდან გავიდა. ჰარი და კრამი მარტონი დარჩნენ, კარვის ორ საპირისპირო მხარეს იდგნენ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

ყველაფერი თავიდან დაიწყო...

– ოოო, მგონი, ეს არც ისე ჭკვიანური ნაბიჯი იყო!– მხიარულად ყვიროდა ბეგმანი, – ოოოჰ, ცოტაღა დააკლდა! ახლა ფრთხილად! ღმერთო ჩემო, მეგონა, უკვე წაავლო ხელი...

ათი წუთის შემდეგ ჰარიმ გაიგონა, როგორ იფეთქა ხელმეორედ ტაშმა. ალბათ, ფლერმაც წარმატებით გაართვა თავი დავალებას. სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ ფლერის ქულებს უჩვენებდნენ... ისევ მხურვალე ოვაცია... და შემდეგ, უკვე მესამედ, სასტვენის ხმა...

– მისტერ კრამ, თქვენი გამოსვლაა! – დაიძახა ბეგმანმა. კრამი კარვიდან გაფრატუნდა და ჰარი სულ მარტო დარჩა.

ჰარი ასეთ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა. შიშისაგან გული უკანკალებდა, თითები უცახცახებდა... ამავე დროს, თითქოს სხეულიც აღარ ემორჩილებოდა, კარვის კედლებს უაზროდ მისჩერებოდა და ბრბოს ხმაურიც თითქოს შორიდან ჩაესმოდა...

– გაბედული ნაბიჯია! – ბეგმანის ხმა ჩინური მეტეორის საზარელმა, გამაყრუებელმა ღრიალმა გადაფარა, ტრიბუნებმა სუნთქვა შეიკრა. – ნერვებიც ამას ჰქვია! და... დიახ, მან მოიპოვა კვერცხი!

ოვაციებმა ზამთრის ჰაერი ისე შეაზანზარა, თითქოს უზარმაზარი მინა დაიმსხვრაო. კრამმა დავალება შეასრულა. უკვე ჰარის ჯერი დადგა.

ჰარი წამოდგა, ფეხებს საერთოდ ვერ გრძნობდა, ბუნდოვნად აცნობიერებდა, რა ხდებოდა. შეიცადა და ცოტა ხანში სასტვენის ხმაც გაიგონა. კარვიდან რომ გადიოდა, გულში დაბუდებულმა შიშმა პიკს მიაღწია. მაინც გავიდა, ხეებს ჩაუარა და ბაკის ღობეში დატანებულ შესასვლელში გავიდა.

ყველაფერს ისე ხედავდა, თითქოს ფერად სიზმარში ყოფილიყოს. ბოლო დღეებში ჯადოქრობით აღმართული ტრიბუნებიდან ათასობით მაყურებელი შემოსცქეროდა. ბაკის მეორე ბოლოში რქაკუდა თავის კვერცხებთან დაყუნცული ელოდა, ფრთები ნახევრად დაეკეცა და ბოროტ, ყვითელ თვალებს არ აშორებდა ჰარის. საზარელი, შავი, ქერცლიანი ხვლიკი დაკბილულ კუდს მიწას სცემდა და გაყინულ ნიადაგზე ერთი მეტრის სიგრძის ნაჭდევს ტოვებდა. მაყურებლები ყურისწამღებად ხმაურობდნენ, მაგრამ მხარდაჭერას გამოხატავდნენ თუ არა, ჰარიმ არ იცოდა და არც აინტერესებდა. დადგა მოქმედების დრო... დადგა დრო, გონება მოეკრიბა და გამოეყენებინა თავისი ერთადერთი შანსი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ჯოხი აღმართა და დაიყვირა:

– აკციო „ელვა“!

და დაელოდა, მთელი არსებით ელოდა, სულით და გულით ელოდა... თან შიშობდა, ვაითუ არ გამოვიდესო... ირგვლივ ყველაფერს თითქოს სიცხის ბულის მსგავს, გამჭვირვალე მოციმციმე ბარიერის მიღმა ხედავდა, რის გამოც მის ირგვლივ ბაკი და ასობით სახე უცნაურად ლივლივებდა.

და, აი, უკნიდან მოესმა, რომ რაღაცა შხულით მოაპობდა ჰაერს. მიტრიალდა და დაინახა, რომ ტყეს მისმა „ელვამ“ შემოუარა, შემოღობილში შემოცურდა, მოწყვეტით გაჩერდა ჰაერში ჰარის გვერდით და პატრონის ამხედრებას დაელოდა. ტრიბუნები უარესად ახმაურდა... ბეგმანი რაღაცას გაჰყვიროდა, მაგრამ ჰარის უკვე აღარაფერი ესმოდა... ყურისგდებისთვის ახლა არ ეცალა...

ჰარი ცოცხზე ამხედრდა და მიწას ფეხი დაჰკრა. და მოხდა საოცრება...

რა წამსაც მიწას მოსწყდა, ქარმა თმა გაუწეწა და დაბლა დარჩენილი სახეები წერტილებად იქცნენ, რქაკუდა კი ძაღლის ზომისა გახდა, ჰარიმ იგრძნო, რომ უკან მხოლოდ მიწა კი არა, შიშიც მოიტოვა... ახლა უკვე თავის სტიქიაში იყო...

„ეს მორიგი ქვიდიჩის მატჩია, მორჩა და გათავდა... მორიგი ქვიდიჩის მატჩი, ის რქაკუდა კი – მოწინააღმდეგე გუნდი...“

ჰარიმ ძირს ჩაიხედა და კვერცხების გროვაში გრანიტისფერ თანამოძმეებს შორის მბრწყინავი ოქროს კვერცხი დაინახა. კვერცხები დრაკონს საიმედოდ მოექცია წინა თათებს შორის.

– აბა, – უთხრა ჰარიმ თავის თავს, – ყურადღების გადამტანი ტაქტიკა. წავედით...

ჰარი ტყვიასავით დაეშვა დაბლა. რქაკუდამ თავი მიაყოლა. ჰარი მიხვდა, რას აპირებდა დრაკონი და დროულად შეწყვიტა ვარდნა. ცეცხლის ნაკადი ზუსტად იმ ადგილს შეეფრქვია, სადაც წამის წინ ჰარი იყო, მაგრამ ჰარის ეს უკვე აღარ ადარდებდა. ეს იგივე იყო, რაც ბლაჯერის აცდენა.

– აი, ეს მესმის! ფრენაც ამას ჰქვია! – აღფრთოვანებით დაჰკივლა ბეგმანმა. მაგრამ ჰარის ეს არ გაუგონია, – უყურებთ ამას, მისტერ კრამ?!

ჰარი უფრო მაღლა აფრინდა და ჰაერში წრე დაარტყა. რქაკუდამ გრძელკისერა თავის ტრიალით მის მოძრაობას თვალი მიადევნა. ჰარი ხვდებოდა, ასე თუ გააგრძელებდა, დრაკონს თავბრუს დაახვევდა, მაგრამ ძალიან დიდხანსაც არ უნდა გაეჯანჯლებინა, თორემ შესაძლებელია, ისევ ცეცხლი გადმოეფრქვია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რქაკუდამ ხახა დააღო და ჰარიც იმწამსვე ტყვიასავით დაეშვა ქვემოთ, თუმცა ამჯერად უვნებლად მაინც ვერ გადარჩა. ცეცხლს კი აარიდა თავი, მაგრამ მარცხნივ რომ გაუხვია, ჰაერში მათრახივით მოქნეული კუდის წვეტმა მანტია ააფხრიწა და მხარი გადაუყვლიფა.

მხარი საშინლად აეწვა, ქვემოდან მაყურებლების გმინვა შემოესმა, მაგრამ ჭრილობა ღრმა არ უნდა ყოფილიყო... ახლა ზურგიდან მოუარა რქაკუდას და ერთი აზრი მოუვიდა თავში.

რქაკუდა, როგორც ეტყობოდა, სულ არ აპირებდა აფრენას, გაფაციცებით იცავდა კვერცხებს. გამწარებული იკლაკნებოდა, იგრიხებოდა, ფრთებს ხან გაშლიდა, ხანაც დაკეცავდა და ამაზრზენ ყვითელ თვალებს ჰარის ადევნებდა, მაგრამ კვერცხებს ოდნავადაც არ შორდებოდა. არადა, როგორმე უნდა მოეშორებინა ჰარის, თორემ სხვანაირად კვერცხებს ვერაფრით ვერ მიუახლოვდებოდა... ახლა მთავარი იყო, გონივრულად და ფრთხილად ემოქმედა. ჰარი აქეთ-იქით ფრენას მოჰყვა, მანძილს კი მაინც იცავდა, რომ ცეცხლი არ მისწვდენოდა. დრაკონს ყურადღება არ მოუდუნებია, თავს არწევდა, ვიწრო ვერტიკალური გუგებით აკვირდებოდა და ეშვები გაეშიშვლებინა...

ჰარი კიდევ უფრო მაღლა აფრინდა. რქაკუდამ თავი ააყოლა, კისერი ბოლომდე დაიგრძელა და ისე ირწეოდა, როგორც კობრა – გველების შემლოცველის წინაშე.

ჰარი კიდევ რამდენიმე მეტრით მაღლა აფრინდა. დრაკონს გაბრაზებული ღრიალი აღმოხდა. ბიჭი მისთვის აბეზარი ბუზი იყო, რომელსაც სიამოვნებით გასრესდა. კუდმა ისევ გაიწუილა ჰაერში, მაგრამ ჰარის ვერ მისწვდა. მაშინვე ცეცხლიც ამოაფრქვია. ჰარიმ აიცილა... დრაკონმა ხახა ფართოდ დააღო...

– მიდი, რაღას უცდი, – აღიზიანებდა ჰარი და ხან მიუახლოვდებოდა, ხან – დაშორდებოდა, – მიდი, მიდი, დამიჭირე... ადექი...

და, აი, დრაკონმა, როგორც იქნა, უზარმაზარი შავი, აპკიანი ფრთები გაშალა (თითო ფრთა პატარა თვითმფრინავის ზომისა იქნებოდა) და... სანამ დრაკონი მოისაზრებდა, სად გაქრა ბიჭი, ჰარი უკვე მთელი სისწრაფით მიქროდა მიწისკენ, კვერცხებისკენ, რომელთაც ახლა დრაკონის კლანჭებიანი წინა თათები ველარ იცავდა. ჰარიმ ხელი გაუშვა ელვას, ოქროს კვერცხს დასწვდა და უდიდესი სისწრაფით ისევ ჰაერში აიჭრა.

ჰარიმ ტრიბუნებს გადაუფრინა, მძიმე კვერცხი საიმედოდ ეჭირა ჯანმრთელ ხელში. უცებ, თითქოს ვიღაცამ ხმა ჩაურთოო, მთელი ამ დროის მანძილზე პირველად გაიგონა ბრბოს ყურისწამღები ღრიანცელი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ირლანდიელი გულშემატკივრების ხმაურს ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ერთი ამას შეხედეთ! – ჭყიოდა ბეგმანი, – არა, თქვენ ერთი ამას შეხედეთ! ჩვენი ყველაზე პატარა ჩემპიონი კვერცხს ყველაზე სწრაფად ეუფლება! ეს ნამდვილად უპირატესობას ანიჭებს მისტერ პოტერს!

ჰარიმ დაინახა, რომ რქაკუდას დასაოკებლად არენაზე დრაკონის მომთვინიერებლები გამოცვივდნენ. მოშორებით, ბაკის შესასვლელთან, მის შესახვედრად პროფესორი მაკგონაგელი, პროფესორი მუდი და ჰაგრიდი გამორბოდნენ. სამივე ხელს უქნევდა და თავისკენ იხმობდა. შორიდანაც ჩანდა, რომ იღიმებოდნენ. ჰარიმ ტრიბუნებს გადმოუფრინა და რბილად დაეშვა მიწაზე. ყურებში ბრბოს ხმაური უგუგუნებდა, უკვე რამდენი კვირა იყო, თავი ასე კარგად არ უგრძნია... მორჩა, პირველი ტური გაიარა... გადარჩა...

– ბრწყინვალეა, პოტერ! – შესძახა პროფესორმა მაკგონაგელმა, როგორც კი ჰარი ცოცხიდან გადმოვიდა. მისგან მეტად უჩვეულო რამ იყო ამის თქმა, რადგან ქებას იშვიათად იმეტებდა ხოლმე. მაკგონაგელმა მხარზე მიუთითა და ჰარიმ შეამჩნია, რომ პროფესორს ხელი უკანკალებდა, – მადამ პომფრისთან უნდა მიხვიდე, სანამ ჟიურის წევრები შენს ქულებს გამოაცხადებენ... აი, იქით, დიგორის უკვე გაუწია დახმარება...

– ხო გამოგივიდა, ჰარი! – ჩახლეჩილი ხმით გაიძახოდა ჰაგრიდი, – ხო გამოგივიდა! თან რქაკუდასთან შებმა მოგიწია და ჩარლიმაც ხო თქვა, ეს ყველაზე უფრო საში...

– გმადლობ, ჰაგრიდ, – ხმამაღლა შეაწყვეტინა ჰარიმ, ემანდ არ წამოსცდეს, რომ დრაკონები წინასწარ მაჩვენაო.

პროფესორი მუდიც უსაზღვროდ კმაყოფილი ჩანდა. მისი ჯადოსნური თვალი ფოსოში ცეკვავდა.

– ხერხი სჯობია ღონესაო, პოტერ, – დაიქუხა მან.

– აბა, ჩქარა, პოტერ, პირველი დახმარების კარავში... – ბრძანა პროფესორმა მაკგონაგელმა.

აქოშინებული ჰარი შემოღობილიდან გავიდა და მეორე კარვის შესასვლელში მდგარი აღელვებული მადამ პომფრი დაინახა.

– დრაკონები! – წარმოთქვა ზიზღით და ჰარი შიგნით შეათრია. კარავი მომცრო პალატებად იყო დაყოფილი. ბრეზენტის მეორე მხარეს სედრიკის ჩრდილი ჩანდა. სედრიკი იჯდა, მაშასადამე, მძიმედ დაშავებული არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ლოგინში წამომჯდარიყო. მადამ პომფრი ჰარის მხარს უსინჯავდა და აღშფოთებული ენას არ აჩერებდა:

– შარშან – დემენტორები, წელს – დრაკონები, საინტერესოა, გაისად რაღას მოიყვანენ სკოლაში?! ბედი გქონია... ჭრილობა ღრმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ არის... მაგრამ სანამ ვუმკურნალებ, მაინც უნდა გავწმინდო...

მან ჭრილობას მუქი წითელი ხსნარი წაუსვა, რომელიც ბოლავდა და წვავდა, მაგრამ შემდეგ ჯადოსნური ჯოხი შეახო და ჭრილობაც მაშინვე შეხორცდა.

– ახლა ცოტა ხნით წყნარად იჯექი... იჯექი! ქულების გაგებას მერეც მოასწრებ!

მადამ პომფრი კარვიდან გავარდა. ჰარიმ მისი ხმა გვერდითა პალატიდან გაიგონა:

– ახლა როგორ გრძნობ თავს, დიგორი?

ჰარის ახლა წყნარად ჯდომა არ შეეძლო. აუცილებლად უნდა ენახა, რა ხდებოდა გარეთ! წამოდგა, მაგრამ კართან მისვლაც ვერ მოასწრო, რომ კარავში ორნი შემოცვივდნენ – ჰერმიონი და რონი.

– ჰარი, საოცარი იყავი! – დაიწივლა ჰერმიონმა. სახეზე ფრჩხილების ნაკვალევი ეტყობოდა, როგორც ჩანს, მღელვარებისგან სახე ფრჩხილებით ჩამოიკაწრა, – შენ საოცარი იყავი! მართლა!

მაგრამ ჰარი რონს უყურებდა. რონი ძალიან ფერმკრთალი იყო და ჰარის ისე მისჩერებოდა, თითქოს მოჩვენებას ხედავსო.

– ჰარი, – დაიწყო ძალიან სერიოზულად, – ჩემი აზრით, ვინც შენი სახელი თასში ჩააგდო, ეს შენს დასაღუპავად გააკეთა!

თითქოს ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე არც არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ჰარი რონს პირველად ხედავდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონი გახდა.

– როგორც იქნა, შეიგნე, არა? – ცივად უთხრა ჰარიმ, – კაი ხანი კი დაგჭირდა.

ჰერმიონი აღელვებული იდგა და ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს. რონმა გაუბედავად გააღო პირი. უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ჰარი მიხვდა, რონი მობოდიშებას აპირებსო და უეცრად იგრძნო, რომ ამის გაგონება აღარ სჭირდებოდა.

– არა უშავს, – დაასწრო რონს, – დაივიწყე.

– არა, – თქვა რონმა, – მე არ უნდა...

– დაივიწყე.

რონმა უხერხულად გაუღიმა და ჰარიმაც ღიმილით უპასუხა. ჰერმიონს ცრემლები წასკდა.

– რა გატირებს? – დაიბნა ჰარი.

– რა შტერები ხართ ორივენი! – ჰერმიონმა ფეხი მიწაზე დააბაკუნა, მანტიაზე ცრემლები აწვიმდა. შემდეგ ორივეს გადაეხვია და სიხარულით აზლუქუნებული გაიქცა.

– სულ გაგიჟდა, – თავი გააქნია რონმა, – ჰარი, წამოდი, ქულები უნდა დაგიწერონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ოქროს კვერცხი და „ელვა“ აიღო და კარვიდან გავიდნენ. ერთი საათის წინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მალე ასეთ ხალისიან განწყობაზე იქნებოდა. გვერდით რონი მიჰყვებოდა და ლაქლაქებდა:

– იცი, შენ საუკეთესო იყავი, ისინი შენთან ვერც კი მოვლენ. სედრიკმა უცნაური რაღაც გააკეთა, მიწაზე ქვის ტრანსფიგურაცია მოახდინა და ძაღლად გადააქცია, რომ დრაკონს ძაღლზე გადაეტანა ყურადღება. ისე, ტრანსფიგურაცია მართლა მაგრად გამოუვიდა და თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო. კვერცხი კი დაითრია, მაგრამ დამწვრობა მიიღო – დრაკონმა შუა გზაზე გადაიფიქრა და ლაბრადორს ისევ ადამიანი არჩია. სედრიკი ბეწვზე გადარჩა. ფლერმა რაღაცნაირი ჯადო გამოიყენა, მგონი, დრაკონი ტრანსში ჩააგდო, ჰო, ესეც თითქოს თავიდან გამოვიდა, დრაკონს ჩაეძინა, მაგრამ ხვრინვა ამოუშვა და ფლერს კაბაზე ცეცხლი წაეკიდა. ფლერმა ჯადოსნური ჯოხიდან წყალი გამოუშვა და ცეცხლი ჩააქრო. კრამს კი, წარმოგიდგენია, ფრენა არც კი მოსვლია აზრად! მაგრამ შენ შემდეგ ყველაზე კარგი ის იყო. პირდაპირ თვალში მოარტყა რაღაც შელოცვა. ერთი ეგაა, დრაკონი ტკივილისგან მიწაზე ასხმარტალდა და ნამდვილი კვერცხების ნახევარი დალეწა. ამისთვის კრამს ქულები ჩამოაკლეს, კვერცხები არ უნდა დაზიანებულიყო.

რონმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა არენას მიადგნენ. რქაკუდა გაეყვანათ და ჰარიმ ახლაღა დაინახა, სად იჯდა ჟიურის ხუთი წევრი: ზუსტად მოპირდაპირე მხარეს, ოქროთი მოვარაყებულ შემაღლებულ სკამებზე.

– მაქსიმალური შეფასება ათი ქულაა, – აუხსნა რონმა. ჰარიმ თვალმოჭუტულმა გახედა მინდორს. ჟიურის პირველმა წევრმა, მადამ მაქსიმმა, ჯადოსნური ჯოხი ჰაერში ასწია. ჯოხიდან გრძელი ვერცხლისფერი ლენტის მსგავსი რაღაც ამოვარდა და დიდი რვიანი მოხაზა. ხალხმა ტაში დაუკრა.

– არა უშავს, – თქვა რონმა, – ეტყობა, შენი მხრის ტრავმის გამო ჩამოგაკლო ქულები...

შემდეგი იყო ბატონი კრაუჩი. მან ცხრიანი ისროლა ჰაერში.

– კარგია! – იყვირა რონმა და ჰარის ბეჭებზე ხელი დაუტყაპუნა.

შემდეგ – დამბლდორი. მანაც ცხრიანი აისროლა. მაყურებლები ახლა უფრო მეტად ახმაურდნენ.

ლუდო ბეგმანმა – ათიანი.

– ათი? – გაოგნდა ჰარი, – მაგრამ მე ხომ დავშავდი, რამ გადარია?

– ჰარი, ნუ წუწუნებ! – დაუყვირა აღატაცებულმა რონმა.

ბოლო კარკაროვი იყო. იგი წამით შეყოვნდა და ჯადოსნური ჯოხიდან ოთხიანი აისროლა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაოოო? – დაიღრიალა აღშფოთებულმა რონმა, – ოთხი? შე, დამპალო, უსამართლო ნაძირალავ, კრამს ხომ კარგად დაუწერე ათიანი!

მაგრამ ჰარისთვის სულ ერთი იყო. რონის აღშფოთება ასი ქულის ტოლფასი იყო. ეს, რა თქმა უნდა, რონისთვის არ უთქვამს, მაგრამ გული სიხარულით შეუფრთხიალდა. ასე თავს მხოლოდ რონის გამო არ გრძნობდა: ტრიბუნებზე გრიფინდორელების გარდა სხვებიც ყიჟინებდნენ. როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა საკუთარი თვალით დაინახეს, რასთან გამკლავება უხდებოდა ჰარის, მთელი სკოლა ისევე გულშემატკივრობდა მას, როგორც სედრიკს. ჰარის აღარ ენაღვლებოდა სლიზერინელები, მათ შემოტევას ახლა უკვე იოლად გაუმკლავდებოდა.

ის იყო, სკოლისკენ გაემართნენ, რომ მათ ჩარლი უისლი დაეწია.

– შენ პირველ ადგილზე ხარ, ჰარი! შენ და კრამი! მისმინე, უნდა გავიქცე და დედას ბუ გავუგზავნო. დავპირდი, რომ შევატყობინებდი, რაც მოხდებოდა... ჰარი, ეს წარმოუდგენელი იყო! ჰო, და კიდევ, მთხოვეს, გადმომეცა, რამდენიმე წუთს დაიცადო... ბეგმანმა რაღაც უნდა გითხრათ ჩემპიონების კარავში.

რონმა უთხრა, დაგელოდებიო, და ჰარი კარავში დაბრუნდა. იქაურობა ახლა სულ სხვანაირი მოეჩვენა – კეთილგანწყობილი და სტუმართმოყვარე. ჰარიმ გაიხსენა, რას გრძნობდა, როცა რქაკუდას კუდს იგერიებდა, და ეს გრძნობა შეადარა იმ ხანგრძლივ ლოდინს, სანამ დრაკონთან შესახვედრად გავიდოდა... შედარებაც არ შეიძლებოდა! ლოდინი ბევრად უარესი იყო!

ფლერი, სედრიკი და კრამი ერთად შემოვიდნენ კარავში.

სედრიკს ნახევარი სახე სქელი, ნარინჯისფერი მალამოთი ჰქონდა დაფარული, ალბათ დამწვრობის მოსაშუშებლად. ჰარი რომ დაინახა, გაუღიმა.

– ყოჩაღ, ჰარი!

– შენც, ყოჩაღ! – ჰარიმაც გაუღიმა.

– ყველანი ძალიან ყოჩაღები ხართ! – კარავში შემოგორდა ლუდო ბეგმანი. ისეთი კმაყოფილი ჩანდა, თითქოს თვითონ შებრძოლებოდა დრაკონს, – ორიოდე წუთს წაგართმევთ. მეორე დავალება გაიმართება ოცდაოთხ თებერვალს, დილის ათის ნახევარზე. ასე რომ, როგორც ხედავთ, საკმარისი დრო გაქვთ დასასვენებლად, მაგრამ ამასობაში რაღაცაზე ფიქრი მოგიწევთ! თუ ყურადღებით დააკვირდებით ოქროს კვერცხს, რომელიც ხელში გიჭირავთ, შეამჩნევთ, რომ ისინი იხსნება... ხედავთ ნაწიბურებს? თქვენ უნდა გამოიცნოთ გამოცანა, რომელიც კვერცხშია დამალული, ის გეტყვით, რისი გაკე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თება მოგიწევთ მეორე დავალებაზე, და საშუალებას მოგცემთ, მოემზადოთ. გასაგებია? კარგი, მაშინ თავისუფლები ხართ!

ჰარი კარვიდან გამოვიდა და რონთან ერთად გაუყვა ტყის ნაპირს. გზაში ენა არ გაუჩერებიათ. ჰარის უნდოდა, სხვა ჩემპიონების გამოსვლის შესახებ უფრო დაწვრილებით გაეგო ყველაფერი. როცა იმ ხეების ჯგუფს შემოუარეს, რომლებთანაც ჰარიმ პირველად გაიგონა დრაკონების ღრიალი, ხეების უკნიდან ჯადოქარი ქალი გადმოხტა.

ეს რიტა სკიტერი იყო. იმ დღეს მჭახე ზურმუხტისფერი მანტია ჩაეცვა და მის ფონზე ძლივს მოჩანდა ფრთიანი-ფრაზების-ფრთა.

– მომილოცავს, ჰარი! – მხიარულად გაუღიმა ბიჭს, – ერთ სიტყვას ხომ ვერ მეტყოდი? რა იგრძენი, იმ დრაკონის პირისპირ რომ აღმოჩნდი? როგორ ფიქრობ, ქულები სამართლიანად დაიწერა?

– ერთ სიტყვას გეტყვით, – მკვახედ მიუგო ჰარიმ, – მშვიდობით!

და რონთან ერთად ციხე-კოშკისკენ გაემართა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მცდამეერთე

შინაური ელფების გამათავისუფლებელი ფრონტი

ჰარი, რონი და ჰერმიონი იმ საღამოსვე ავიდნენ საბუეში პიგვიჯენის მოსაძებნად. სირიუსისთვის უსათუოდ უნდა გაეგზავნათ წერილი და ეხარებინათ, რომ ჰარი დრაკონს უვნებლად გადაურჩა. გზადაგზა ჰარიმ რონს ყველაფერი გაანდო, რაც სირიუსმა კარკაროვის შესახებ უამბო. იმის გაგონებაზე, რომ კარკაროვი ყოფილი „სიკვდილის მხვრელი“ იყო, რონს ჯერ თავზარი დაეცა, მაგრამ საბუეში შესვლისას უკვე გონს მოეგო და თქვა:

– ამას კარგა ხნის წინ უნდა მივმხვდარიყავით, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა! გახსოვთ, მალფოიმ მატარებელში თავისი მამისა და კარკაროვის მეგობრობა რომ ახსენა?! ახლა გასაგებია, საიდანაც იცნობენ ერთმანეთს. ალბათ, მსოფლიო ჩემპიონატზეც ერთად დარბოდნენ ნიღაბაფარებულები... მაგრამ ერთს გეტყვი, ჰარი, თუ მართლა კარკაროვმა ჩააგდო შენი სახელი თასში, ახლა ნამდვილად ცოფებს ყრის, რომ გეგმა ჩაეშალა: იმ ბრძოლიდან მხოლოდ ერთი ნაკაწრი გამოგყვა! მოიცა, მე თვითონ...

ბუკნაჭო წერილის წაღების პატივმა ისე აღაფრთოვანა, რომ ჰარის თავზემოთ წრეებს ურტყამდა და შეუჩერებლად გაჰკიოდა. რონი ბუკნაჭოს ჰაერში სწვდა და ხელი არ გაუშვია, სანამ ჰარიმ ბუს ფეხზე წერილი არ შეაბა.

– არ არსებობს! ტურნირის შემდეგი დავალებები ასე სახიფათო აღარ იქნება, ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს! – განაგრძო რონმა და ბუკნაჭო ფანჯრისკენ წაიყვანა, – იცი, რა! ჩემი აზრით, ტურნირის მოგების რეალური შანსი გაქვს, ჰარი, სერიოზულად გეუბნები!

ჰარი მიხვდა, რონი ამას მხოლოდ იმიტომ ამბობდა, რომ თავისი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოლოდროინდელი საქციელი გამოესყიდა, მაგრამ მაინც ესიამოვნა. ჰერმიონი კი საბუის კედელს მიეყრდნო, გულხელი დაიკრიბა და რონს შუბლშეკრულმა უთხრა:

– ტურნირის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა. პირველი დავალება თუ ასეთი რთული იყო, იმის გაფიქრებაც კი მზარავს, შემდეგი რა იქნება.

– ნამდვილი იმედის ნაპერწკალი ხარ, ჰერმიონ, – დაგესლა რონმა, – ზოგჯერ პროფესორ ტრელოუნისგან არაფრით არ განსხვავდები.

რონმა პიგი ფანჯრიდან გაისროლა. ბუ ტყვიასავით დაეშვა ძირს, სანამ ძალას მოიკრებდა და ისევ მაღლა აფრენას მოახერხებდა. ფეხზე ჩვეულებრივზე უფრო მძიმე და გრძელი ბარათი ჰქონდა შებმული, რადგან ჰარიმ ცდუნებას ვერ გაუძლო და სირიუსს დაწვრილებით აღუწერა, როგორ ებრძოდა რქაკუდას. ბუკნაჭო სიბნელეში გაუჩინარდა თუ არა, რონმა თქვა:

– ქვემოთ ჩავიდეთ! ჰარი, შენ პატივსაცემად ქეიფს აწყობენ. ფრედი და ჯორჯი უკვე მოასწრებდნენ სამზარეულოდან საჭმლის აწაპვნას.

როგორც კი გრიფინდორის საერთო დარბაზში შევიდნენ, ისეთი ყიჟინა და ჟივილ-ხივილი ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. მთელი დარბაზი ნამცხვრების ზვინებით, ბურბურახის ბოთლებითა და გოგრის წვენით გალიცლიცებული დოქებით იყო სავსე. ლი ჯორდანს დოქტორ ფლიბუსტიერის ზღაპრული წყალგამძლე უცეცხლო შუშხუნები გაეშვა და ჰაერში ვარსკვლავები და ნაპერწკლები ციმციმებდა. დინ ტომასს კი, რომელსაც ხატვა კარგად ეხერხებოდა, რამდენიმე მშვენიერი პლაკატი დაეხატა. მათზე ჰარი რქაკუდას თავზემოთ წრეს არტყამდა თავისი „ელვით“. ერთ-ორ პლაკატზე კი თავზე ცეცხლწაკიდებული სედრიკი იყო გამოხატული.

სამივენი ერთად დასხდნენ. ჰარიმ ბლომად გადაიღო საჭმელი. ახლაღა იგრძნო, როგორ მოშიებოდა. თავისი ბედნიერებისა თვითონაც არ სჯეროდა: რონს შეურიგდა, პირველი დავალება უკან მოიტოვა, მეორემდე კი მთელი სამი თვე იყო დარჩენილი.

– ეს ოხერი, რა მძიმეა, – ლი ჯორდანმა მაგიდიდან ჰარის დატოვებული ოქროს კვერცხი აიღო და ხელით აწონა, – მიდი, გახსენი, ჰარი! აბა, ვნახოთ, შიგ რა დევს!

– გამოცანა ჰარიმ თვითონ უნდა გამოიცნოს, – მკვირცხლად ჩაურთო ჰერმიონმა, – ტურნირის წესით...

– წესით, იმასაც თვითონ უნდა მივმხვდარიყავი, დრაკონისთვის როგორ ჩამევლო, – გადაუჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს და მანაც დამნაშავესავით გაიღიმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, მიდი, ჰარი, გახსენი! – აჰყვნენ ლის სხვებიც.

ლიმ კვერცხი გადააწოდა ჰარის. კვერცხს გარშემო წვრილი ღარივით რაღაცა დაუყვებოდა. ჰარიმ ფრჩხილები ჩაასო და გახსნა.

კვერცხი შიგნიდან ფუტურო და სრულიად ცარიელი აღმოჩნდა, მაგრამ, რა წამსაც გაიხსნა, საზარელმა ხმამ, ყურთასმენის წამღებმა და განწირულმა კივილმა აავსო ოთახი. ჰარის მსგავსი რამ თუ ოდესმე გაეგონა, ეს ალბათ თითქმის უთავო ნიკის გარდაცვალების დღეზე მოჩვენებების ორკესტრის მიერ მუსიკალურ ხერხებზე შესრულებული სულისშემძვრელი მელოდია იყო.

– დაკეტე! – დაიღრიალა ყურებზე ხელებაფარებულმა ფრედმა.

ჰარიმ სწრაფად დახურა კვერცხი.

– ეს რა იყო? – სიმუს ფინიგანი გაოგნებული მიაჩერდა კვერცხს, – წყლის ალის ხმას ჰგავდა... ჰარი, იქნებ შემდეგში წყლის ალს უნდა შეებრძოლო?

– თითქოს ვიღაცას აწამებდნენ! – ამოილუღლუღა გაფითრებულმა ნევილმა და შიშისაგან სოსისები ძირს დაუცვივდა, – ალბათ, კრუციატუსის წყევლის გამკლავება მოგიწევს.

– რამ გამოგაშტერა, ნევილ, ეგ კანონით აკრძალულია, – გადაჭრით განაცხადა ჯორჯმა, – კრუციატუსის წყევლას ჩემპიონებზე როგორ გამოიყენებენ! ჩემი აზრით, ეს ხმა ცოტა პერსის სიმღერას წააგავდა... ჰარი, ალბათ, პერსის უნდა დაესხათ თავს შხაპის მიღებისას.

– ჰერმიონ, მურაბიანი ღვეზელი გინდა? – იკითხა ფრედმა.

ჰერმიონმა ეჭვით დახედა თეფშს. ფრედმა ჩაიღიმა.

– ნუ გეშინია, ამათთვის ხელი არ დამიკარებია, აი, კრემიან ფუნთუშებს კი, გირჩევ, უფრთხილდე...

ნევილმა კი სწორედ ამ დროს კრემიანი ფუნთუშა ჩაკბიჩა, კინაღამ დაიხრჩო და გადმოაფურთხა.

– გეხუმრე, ნევილ, – გაიცინა ფრედმა.

ჰერმიონმა მურაბიანი ღვეზელი აიღო და იკითხა:

– ფრედ, ეს ყველაფერი სამზარეულოდან წამოიღეთ?

– მა-ა-შ, – გაუღიმა ფრედმა, მერე ხმა დაიწვრილა და შინაური ელფივით აწრიპინდა: „რასაც ინებებთ, ყველაფერს მოგართმევთ, სერ, ყველაფერს!“ ოღონდაც რაღაცით გასიამოვნონ! რომ მეთქვა, ცოტა მოშიებული ვარ-მეთქი, შემწვარ ხარს მომართმევდნენ.

– იქ როგორ ჩადიხართ? – გულუბრყვილოდ, ვითომ სხვათაშორის იკითხა ჰერმიონმა.

– სულ ადვილად, ხილით სავსე თასის ნახატის უკან შენიღბული კარით. მსხალს თუ შეუღიტინე, ხითხითს იწყებს და... – ფრედი უცებ გაჩუმდა და ეჭვით შეხედა, – რატომ მეკითხები?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ისე, – სწრაფად მიუგო ჰერმიონმა.

– მოიცა, შინაური ელფების გაფიცვის ორგანიზებას ხომ არ აპირებ? – ჩაიცინა ჯორჯმა, – ბროშურები მოგბეზრდა და ახლა გადაწყვიტე, ელფებს აჯანყებისკენ მოუწოდო, არა?

ვიღაცეებმა ჩაიფრუტუნეს. ჰერმიონმა არ უპასუხა.

– გთხოვ, ახლა არ აურიო მაგათ ტვინი და არ დაუწყო იმის ქადაგება, რომ ტანსაცმელი და ხელფასი უნდა მოითხოვონ! – გააფრთხილა ფრედმა, – საჭმლის მომზადება აცალე!

სწორედ ამ დროს მათი ყურადღება უზარმაზარ იადონად ქცეულმა ნევილმა მიიპყრო.

– უი, ბოდიში, ნევილ! – საერთო სიცილ-ხარხარში დაიყვირა ფრედმა, – სულ დამავიწყდა, რომ კრემიანი ფუნთუშები მოვაჯადოვეთ.

მაგრამ სულ რაღაც ერთ წუთში ნევილს ბუმბული მთლიანად გასცვივდა და, ძველი იერი რომ დაუბრუნდა, სხვებს სიცილშიც კი აჰყვა.

– იადონის ფუნთუშები! – გამოუცხადა ფრედმა აღფრთოვანებულ საზოგადოებას, – მე და ჯორჯმა გამოვიგონეთ. საწყისი ფასი – შვიდი სიკლი!

უკვე ღამის პირველი საათი იყო, როცა ჰარი, რონი, ნევილი, სიმუსი და დინი დასაძინებლად საერთო საცხოვრებელში ავიდნენ. სანამ საწოლს ოთხივე მხარეს ფარდებს ჩამოაფარებდა, ჰარიმ უნგრული რქაკუდას ციცქნა მოდელი თავისი საწოლის გვერდით, მაგიდაზე დადგა. რქაკუდამ დაამთქნარა, ძაღლივით მოიკუნტა და თვალები დახუჭა.

„ისე, ჰაგრიდი, მგონი, არ ტყუოდა... დრაკონებს, მართლაც, არა უშავთ რა," – დაასკვნა ჰარიმ და საწოლს ფარდები ჩამოაფარა.

* * *

დეკემბერმა ჰოგვორტსს ქარი და ყინვა მოუტანა. მართალია, ზამთარში ციხე-კოშკში ყველა მხრიდან გამჭოლი ქარი უბერავდა, მაგრამ რამდენჯერაც ჰარი დურმსტრანგის გემს ჩაუვლიდა, სკოლის სქელ კედლებსა და ბუხრებში დანთებულ ცეცხლს მაინც ემადლიერებოდა. გემი ძლიერი ქარის დროს ირყეოდა და შავი აფრები მრუმე ცის ფონზე ებერებოდა. ალბათ, ბობატონის ეტლშიც გვარიანად ციოდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ საჯინიბოში სულ ვისკის ოხშივარი ტრიალებდა. ეტყობოდა, ჰაგრიდი მადამ მაქსიმის ცხენებს მათ საყვარელ ქერის ვისკის არ აკლებდა. ამის გამო ჯადოსნური არსებების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოვლის გაკვეთილზე მთელი კლასი ბრუვდებოდა. ეს კი ძალიან ცუდი იყო, რადგან ისევ იმ საშინელ ცეცხლაკუდებს სწავლობდნენ და ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ.

შემდეგ გაკვეთილზე ჰაგრიდმა კლასი გოგრების ბოსტანში გაიყვანა. სუსხიანი ქარი ქროდა და ყველანი სიცივისგან ძაგძაგებდნენ.

– ზუსტად არ ვიცი, ზამთარში სძინავთ თუ არა. ჰოდა, აბა, ვნახოთ... აი, ამ ყუთებში ჩავსხამთ და დავაკვირდებით...

ათი ცეცხლაკუდაღა დარჩენილიყო, როგორც ჩანდა, ერთმანეთის ხოცვის სურვილი სეირნობამ ოდნავადაც ვერ გაუნელა. თითოეული სიგრძეში ორ მეტრს აღწევდა. სქელი, რუხი ჯავშანი, მძლავრი, გაფარჩხული ფეხები, ცეცხლისმსროლელი კუდი, ნესტარი და დინგი – ასეთი საზიზღარი არსებები ჰარის თავის დღეში არ ენახა. ბავშვებმა სასოწარკვეთით შეხედეს ჰაგრიდის მოტანილ ვეება ყუთებს. ყოველ მათგანში თითო ბალიში და ფუმფულა საბანი იდო.

– შიგ ჩავსხამთ და სახურავს დავახურავთ, – განმარტა ჰაგრიდმა, – ვნახოთ, რა მოხდება.

მაგრამ, როგორც მალევე გაირკვა, ცეცხლაკუდებს ზამთარში სულაც არ ეძინათ, და არაფრად ეჭაშნიკათ, რომ ბალიშებიან ყუთებში ჩატენეს და სახურავები დაალურსმეს. გამძვინვარებულებმა ყუთები დალეწეს. ცეცხლმოკიდებული ნამტვრევები აქეთ-იქით ცვიოდა, თვითონ ცეცხლაკუდები კი გოგრების ბოსტანში დაქროდნენ. „ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ!“ – ყვიროდა ჰაგრიდი. მოსწავლეთა უმრავლესობა, მალფოის, კრაბისა და გოილის თაოსნობით, ჰაგრიდის ქოხში უკანა კარიდან შეცვივდნენ და კარი ჩარაზეს. ჰარი, რონი, ჰერმიონი და კიდევ რამდენიმე მოსწავლე კი ჰაგრიდის მისაშველებლად გარეთ, ბოსტანში დარჩნენ. ერთობლივი ძალებით, ურიცხვი დამწვრობისა და დანაკაწრის საფასურად, როგორც იქნა, დაიჭირეს და გაკოჭეს ცხრა ცეცხლაკუდა. ბოლოს ერთიღა დარჩა.

– არ შეაშინოთ! – დაიღრიალა ჰაგრიდმა, როცა რონმა და ჰარიმ ჯადოსნური ჯოხებით ცეცხლის ნაპერწკლები დაუშინეს ცეცხლაკუდას, რომელიც მათკენ მუქარით იწევდა და ზურგის ზემოთ აპრეხილი, მორკალული ნესტარი უცახცახებდა, – როგორმე სცადეთ, ნესტარზე თოკი წამოაცვათ, რო დანარჩენებს არაფერი დაუშაოს!

– ამას რა შეაშინებს! – გაცხარებით შესძახა რონმა. ის და ჰარი უკან-უკან იხევდნენ ჰაგრიდის ქოხის კედლისკენ და ცეცხლაკუდას ნაპერწკლებით იგერიებდნენ.

– უყურე ერთი! გეტყობათ, დროს მაინცდამაინც მხიარულად ვერ ატარებთ!

ჰაგრიდის ბაღის ღობეს რიტა სკიტერი ჩამოყრდნობოდა და ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავიდარაბას თვალს ადევნებდა. იისფერ ბეწვისსაყელოიან თბილ ალისფერ მოსასხამში გამოწყობილიყო, მხარზე კი განუყრელი ნიანგის ტყავის ხელჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

ჰაგრიდი ზემოდან დაახტა ჰარისა და რონისაკენ მიმავალ ცეცხლაკუდას და მიწაზე გააბრტყელა. ცხოველის კუდიდან ცეცხლმა იფეთქა და უახლოესი გოგრები ფერფლად აქცია.

– თქვენ ვინა ხართ? – ჰკითხა ჰაგრიდმა რიტა სკიტერს, ცეცხლაკუდას ნესტარზე თოკის მარყუჟი ჩამოაცვა და მოუჭირა.

– რიტა სკიტერი, „დილის მისნის“ კორესპონდენტი, – გაუღიმა რიტა სკიტერმა და ოქროს კბილი აუელვარდა.

– მე მეგონა, დამბლდორმა აგიკრძალათ სკოლის არემარეზე შემოსვლა, – კოპები შეყარა ჰაგრიდმა, თითქმის გაჭყლეტილი ცეცხლაკუდადან გადმოძვრა და თანამოძმეებისკენ წაათრია.

რიტამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ჰაგრიდის სიტყვები ვერ გაიგონა.

– ამ მომხიბვლელ არსებებს რა ჰქვიათ? – გაუღიმა უფრო ტკბილად.

– ცეცხლაკუდები, – ჩაიბურდღუნა ჰაგრიდმა.

– მართლა? – ცნობისმოყვარეობით აინთო რიტა, – არასოდეს მსმენია მათ შესახებ... საიდან არიან?

გაბურძგნილი წვერის მიუხედავად, ჰაგრიდს მაინც შეეტყო, რომ საშინლად აჭარხლდა და ჰარის გული შეეკუმშა: მართლაც, სად იშოვა ჰაგრიდმა ცეცხლაკუდები?

ეტყობა, ჰერმიონმაც იგივე გაიფიქრა, რადგან სასწრაფოდ ჩაურთო:

– საინტერესო ცხოველებია, არა, ჰარი? – და ჰარის ფეხზე დააბიჯა.

– რაა? ა, კი... ვაი... ძალიან საინტერესო, – კვერი დაუკრა ჰარიმ.

– უი, ჰარი, შენც აქ ყოფილხარ! – ახლაღა მიაქცია ყურადღება რიტა სკიტერმა, – ესე იგი, მოგწონს ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილები? შენი საყვარელი საგანია, არა?

– დიახ, – რიხიანად მოახსენა ჰარიმ. ჰაგრიდი გაიბადრა.

– მშვენიერია, მართლაც რომ მშვენიერი. დიდი ხანია, რაც ასწავლით? – მიმართა ჰაგრიდს.

ჰარის არ გამოეპარა, რომ რიტამ მზერა მოავლო ლოყადაკაწრულ დინს, მანტიაშეტრუსულ ლევენდერს, სიმუსსს, რომელიც დამწვარ თითებზე სულს იბერავდა, და შემდეგ ქოხის ფანჯრებს, რომლის მინაზეც მოსწავლეთა უმრავლესობას ცხვირი მიეჭყლიტა და ბრძოლის ველს იქიდან ადევნებდა თვალს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეორე წელია, – უპასუხა ჰაგრიდმა.

– მშვენიერია... იმედია, ინტერვიუზე უარს არ მეტყვით და ჯადოსნური არსებების მოვლაში თქვენს გამოცდილებას გაგვიზიარებთ? უეჭველად გეცოდინებათ, რომ „მისანს“ ყოველ ოთხშაბათს ზოოლოგიური რუბრიკა აქვს. იქნებ, ამ ალიკუდებზეც დაგვეწერა რამე?

– ცეცხლაკუდები, – მოუთმენლად შეუსწორა ჰაგრიდმა, – ეეე... ჰო, რატომაც არა?

ჰარის გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ჰაგრიდს რიტას შეუმჩნევლად ვერაფერს ანიშნებდა, ამიტომ იძულებული იყო, გულხელდაკრეფილი მდგარიყო და უსიტყვოდ ეცქირა, როგორ შეთანხმდნენ ჰაგრიდი და რიტა კვირის ბოლოს „სამ ცოცხში“ კარგა გრძელ ინტერვიუზე. ამ დროს ციხე-კოშკიდან გაკვეთილის დამთავრების მანიშნებელი ზარის ხმა გაისმა.

– აბა, ნახვამდის, ჰარი! – მხიარულად გასძახა რიტამ ბავშვებთან ერთად სკოლისაკენ მიმავალ ჰარის, – პარასკევს საღამოს შევხვდებით, ჰაგრიდ.

– ჰაგრიდის ნათქვამს სულ უკუღმა შეატრიალებს, – ამოიოხრა ჰარიმ.

– ვაითუ ჰაგრიდმა მართლაც უკანონოდ შემოიყვანა ცეცხლაკუდები, – სასოწარკვეთით თქვა ჰერმიონმა. სამივემ ერთმანეთს გადახედა. ასეთი რამე ჰაგრიდისგან ნამდვილად მოსალოდნელი იყო.

– ჰაგრიდი ადრეც გახვეულა შარში, მაგრამ დამბლდორს ხომ არც ერთხელ არ დაუთხოვია, – დაამშვიდა რონმა მეგობრები, – ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ ჰაგრიდს ცეცხლაკუდების თავიდან მოშორება მოუხდეს. უი, ეს რა ვთქვი! უარესი კი არა, უკეთესი!

ჰარის და ჰერმიონს გაეცინათ და შედარებით გამხიარულებულებმა გასწიეს სასადილოდ.

შუადღისას, მისნობის გაკვეთილზე, ჰარიმ გულიანად მოილხინა. ისევ ცის ვარსკვლავურ რუკასა და ჰოროსკოპებს ადგენდნენ, მაგრამ ახლა ის და რონი კვლავ მეგობრობდნენ და ყველაფერი ისევ სასაცილოდ ეჩვენებოდა. პროფესორი ტრელოუნი ჰყვებოდა, თუ როგორ შეუძლია პლუტონს, თავდაყირა დააყენოს ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება. ბიჭები ფხუკუნ-ფხუკუნით უსმენდნენ. რამდენადაც ტრელოუნი ორივეთი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო მაშინ, როცა თავიანთ თავს ათასნაირი ტრაგიკული სიკვდილი უწინასწარმეტყველეს, ახლა იმდენად გააღიზიანა მათმა გაუთავებელმა ფრუტუნმა.

– ჩემი ღრმა რწმენით, – დაიწყო იდუმალი ხმით, – ზოგიერთი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩვენგანი, – მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ჰარის, – ასე გულარხეინად ვერ იქნებოდა, ის რომ დაენახა, რაც მე გუშინ საღამოს ვიხილე ჯადოსნურ კრისტალზე მკითხაობისას. ვიჯექი ჩემთვის, ხელსაქმით გართული, და უცებ მინის სფეროში ჩახედვის დაუოკებელი სურვილი დამეუფლა. ავდექი, მის წინ ჩავიმუხლე და კრისტალის უძირო, ნისლიან სიღრმეებს ჩავაკვირდი... და, როგორ ფიქრობთ, იქიდან რა შემომყურებდა?

– უზარმაზარსათვალიანი ბებერი მახინჯი ღამურა, – დაიჩურჩულა რონმა.

ჰარიმ თავს ძალა დაატანა, რომ არ გასცინებოდა.

– სიკვდილი, ჩემო ძვირფასებო, სიკვდილი!

თავზარდაცემულმა პარვატიმ და ლევენდერმა პირზე ხელი აიფარეს.

– დიახ, – შთამბეჭდავად დააქნია თავი პროფესორმა ტრელოუნიმ, – ის ახლოს მოიწევს, სვავივით სულ უფრო დაბლა დასტრიალებს ციხე-კოშკს...

მან ჯიქურ მიაპყრო მზერა ჰარის, მან კი გემრიელად და უტიფრად დაამთქნარა...

– უკვე მეასედ იხილა ჩემი აღსასრული, მეასედ! – აღნიშნა ჰარიმ, როცა, ბოლოს და ბოლოს, პროფესორ ტრელოუნის კაბინეტიდან კიბეზე ჩავიდნენ და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქეს. – მის ყოველ წინასწარმეტყველებაზე ფეხებს რომ ვფშეკდე, ნამდვილი მედიცინის სასწაული ვიქნებოდი.

– არა, შენ ერთგვარი, სუპერ-შედედებული მოჩვენება იქნებოდი, – სიცილით დაამატა რონმა. ბიჭებს საპირისპირო მხარეს მიმავალმა სისხლისმსმელმა ბარონმა ჩაუარა, რომელსაც თვალები ავბედითად უელავდა, – კიდევ კარგი, საშინაო დავალება მაინც არ მოგვცა. იმედია, ჰერმიონს პროფესორი ვექტორი დავალებას თავსაყრელად მისცემს. მიყვარს, როცა ის მუშაობს, მე კი უსაქმოდ ვზივარ.

მაგრამ ჰერმიონი ვახშამზე არ გამოჩენილა. ბიბლიოთეკაში შეიხედეს – არც იქ დახვდათ. იქ მხოლოდ ვიქტორ კრამი იჯდა. რონმა ცოტა ხანს წიგნის თაროებთან იტრიალა, კრამს უთვალთვალებდა და ჰარისთან ჩურჩულით მსჯელობდა, ავტოგრაფი ეთხოვა, თუ არა. მაგრამ შემდეგ რონმა მოისაზრა, რომ მეზობელ თაროსთან ჩასაფრებული ექვსი-შვიდი გოგონაც ზუსტად იმავეზე ბჭობდა, და მაშინვე დაეკარგა ავტოგრაფის ჩამორთმევის სურვილი.

ბიბლიოთეკიდან ისევ გრიფინდორის კოშკში დაბრუნდნენ.

– ნეტავ, ჰერმიონი სად გადაიკარგა? – უკვირდა რონს.

– რა ვიცი... აბდაუბდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის იყო, ფუშფუშა ქალბატონი გვერდზე გაიწია, რომ დერეფნიდან აჩქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა.

– ჰარი, – ქოშინით მივარდა ჰერმიონი. ფუშფუშა ქალბატონმა დახედა და წარბები უკმაყოფილოდ აზიდა, – ჰარი, ახლავე უნდა წამომყვე, უნდა წამოხვიდე, ისეთი საოცარი რაღაც მოხდა... გეხვეწები!

მკლავში ჩაავლო ხელი და დერეფნის ბოლოსკენ გაქაჩა.

– რა მოხდა? – ჰკითხა ჰარიმ.

– იქ რომ მივალთ, გაჩვენებ. ოოო, წამოდი ჩქარა!

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გადახედეს.

– კარგი, – გაჰყვა ჰარი. რონიც საჩქაროდ უკან დაედევნა.

– ოჰ, მე სულ გადაგავიწყდით, არა? – გული მოუვიდა ფუშფუშა ქალბატონს, – არც მომიბოდიშეთ შეწუხებისთვის! რა ვქნა, ასე ფართოდ გაღებული ვეკიდო, სანამ არ დაბრუნდებით?

– გმადლობთ, – გასძახა რონმა.

– ჰერმიონ, სად მივდივართ? – ჰკითხა ჰარიმ, როცა შვიდი სართული ჩაიარეს და მარმარილოს კიბით ჰოლში ჩავიდნენ.

– ნახავ, ამწუთას ნახავ! – უპასუხა აღელვებულმა ჰერმიონმა.

კიბის ბოლოში მარცხნივ გაუხვია და იმ კარისკენ გაეშურა, რომელშიც სედრიკ დიგორი გაუჩინარდა იმ საბედისწერო ღამეს, როცა ცეცხლოვანმა თასმა მისი და ჰარის სახელები ამოაგდო. ჰარი ამ კარში წინათ არასდროს გასულა. ბიჭები ჰერმიონს ქვის კიბეზე ჩაჰყვნენ, მაგრამ, პირქუში მიწისქვეშა დერეფნის ნაცვლად ფართო, ჩირაღდნებით აბრდღვიალებულ და საჭმლის ნახატებით მორთულ ქვის დერეფანში ამოყვეს თავი.

– მოიცა, მოიცა, – ჰარი შუა დერეფანში შეჩერდა, – ერთი წუთით დაიცა, ჰერმიონ...

– რა? – მოუთმენლად მოუტრიალდა სახეგაბრწყინებული ჰერმიონი.

– მე მგონი, ვხვდები, რაც ხდება, – ჰარიმ რონს იდაყვი წაჰკრა და ერთ-ერთ სურათზე მიუთითა. ამ სურათზე ხილით სავსე ვეებერთელა ვერცხლის თასი იყო გამოხატული.

– ჰერმიონ! – მიხვდა რონიც, – ისევ არ იშლი შენსას და ცდილობ, ᲔᲓᲐᲛ-ში ჩაგვითრიო, არა?

– არა, არაფერსაც არ ვცდილობ, – აჩქარებით მიუგო ჰერმიონმა, – ეს ᲔᲓᲐᲛ-ი არ არის, რონ...

– სახელი შეუცვალე, არა? – შუბლი შეიკრა რონმა, – ახლა რა ვართ, შინაური ელფების გამათავისუფლებელი ფრონტი? მე არ ვაპირებ, სამზარეულოში შევიჭრა და ვაიძულო, მუშაობა შეწყვიტონ! ამას არაფრის დიდებით არ ვიზამ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგას არცა გთხოვ! – მოუთმენლად შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – სულ ახლახან ჩამოვედი სამზარეულოში, რომ ყველას დავლაპარაკებოდი, და იცით, ვინ ვიპოვე?.. ო, წამოდი, ჰარი, უნდა გაჩვენო!

ისევ ჩაავლო ჰარის მკლავში ხელი, ხილით სავსე დიდი თასის სურათთან მიათრია და სალოკი თითით ვეება მწვანე მსხალს მოუღიტინა. მსხალი დაიკლაკნა, ახითხითდა და უცებ კარის დიდ სახელურად იქცა. ჰერმიონმა სახელურს ხელი წაავლო, კარი გააღო, ჰარის ზურგში უბიძგა და შიგნით შეაგდო.

ეს იყო უზარმაზარი, მაღალჭერიანი, ისეთივე ზომის ოთახი, როგორიც – მის მაღლა მდებარე დიდი დარბაზი. ქვის კედლებთან მბზინავი თითბრის ქვაბები და ტაფები დაეხვავებინათ, მეორე ბოლოში აგურის დიდი ბუხარი მოჩანდა. უცებ ოთახის შუაგულიდან ჰარისკენ წივილით ერთი ბეწო რაღაცა გამოექანა:

– ჰარი პოტერ, სერ! ჰარი პოტერ!

ჰარის სუნთქვა შეეკრა, რადგან აწივლებული ელფი დაეტაკა და ისე მაგრად ჩაეხუტა, კინაღამ ნეკნები დაუმტვრია.

– დ... დობი? – ძლივს მოვიდა გონზე ჰარი.

– კი, დობი, დობი, სერ! – გაისმა წივილი მის ჭიპთან, – დობის ისეთი იმედი ჰქონდა, რომ ჰარი პოტერს შეხვდებოდა, სერ, და აი, ჰარი პოტერი მის სანახავად მოვიდა, სერ!

დობი ჩამოეხსნა და გაბადრულმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია. უზარმაზარი, მწვანე ჩოგბურთის ბურთისოდენა თვალები სიხარულის ცრემლებით დანამვოდა. სულ არ შეცვლილიყო: ფანქარივით წაწვეტებული ცხვირი, ღამურასავით ფართხუნა ყურები, გრძელი თითები და ფეხები. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად სულ სხვანაირად იყო შემოსილი.

როდესაც დობი მალფოებთან მუშაობდა, მუდამ ერთი ბინძური ძველი ბალიშისპირით დადიოდა. სამაგიეროდ, ახლა იმისთანა უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილიყო, რომ ჰარის მსგავსი არაფერი ენახა. ქუდის მაგივრად ჩაიდანზე ჩამოსაცმელი შალითა ეხურა და მასზე რამდენიმე ჭყეტელა ემბლემა ჰქონდა მიმაგრებული; შიშველ მკერდზე ცხენის ნალებგამოხატული ჰალსტუხი ეკეთა, ბავშვის ზომის ფეხბურთის ტრუსი ეცვა და – ცალ-ცალი წინდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ ერთ-ერთი სწორედ ის შავი წინდა იყო, რომელიც თვითონ გაიძრო ფეხიდან და ისე მოახერხა, რომ ბატონ მალფოის ასროლინა დობისთვის, რის შედეგადაც დობი გათავისუფლდა. მეორე წინდა ვარდისფერი იყო, ნარინჯისფერზოლებიანი.

– დობი, აქ რას აკეთებ? – ჰკითხა განცვიფრებულმა ჰარიმ.

– დობი ჰოგვორტსში სამუშაოდ მოვიდა, სერ! – აღტაცებით იწივ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლა ელფმა, – პროფესორმა დამბლდორმა დობის და ვინკის სამუშაო მისცა, სერ!

– ვინკი? ვინკიც აქ არის?

– დიახ, სერ, დიახ! – დობი ჰარის ხელზე მოებღაუჭა და ხის მაგიდებს შორის სამზარეულოს სიღრმისკენ წაიყვანა. ჰარიმ შეამჩნია, რომ ოთხი გრძელი მაგიდა ზუსტად ზედა სართულზე მდებარე დიდი დარბაზის სასადილო მაგიდების ქვეშ მოეთავსებინათ. იმ დროისთვის ვახშამი უკვე დასრულებულიყო და მაგიდებიც ცარიელი იყო, მაგრამ, ჰარის ვარაუდით, ერთი საათის წინ დახუნძლული იქნებოდა კერძებით, რომლებსაც ჭერის გავლით ზედა სართულზე აგზავნიდნენ.

სამზარეულოში, კედლის გასწვრივ, სულ ცოტა, ასი პაწაწინა ელფი ჩამწკრივებულიყო. დობი და ჰარი რომ ჩაუვლიდნენ, ღიმილით, ხელის ქნევითა და რევერანსით ესალმებოდნენ სტუმარს. ყველას ერთნაირი ფორმა ეცვა: ჰოგვორტსის გერბებმიბნეული ჩაის ტილო, ვინკის მსგავსად, ტოგასავით შემოეხვიათ. დობი აგურის ბუხართან შეჩერდა და თითი გაიშვირა:

– ვინკი, სერ!

ვინკი ბუხართან ტაბურეტზე იჯდა. დობისგან განსხვავებით, უბრალოდ ემოსა; ტანსაცმლის შერჩევით თავი ნამდვილად არ შეეწუხებინა: პატარა, კოპწია ქვედაბოლო და ცისფერი კოფთა ეცვა, ეხურა ცისფერივე ქუდი, რომელსაც ორი დიდი ნახვრეტი ჰქონდა ყურების გამოსაყოფად. მაგრამ, თუ დობის ჭრელაჭრელა ტანსაცმელი სუფთა და ისე კარგად მოვლილი იყო, რომ ახალთახალს ჰგავდა, ვინკი, როგორც ჩანდა, სრულებით არ ზრუნავდა თავის ტანისამოსზე. კოფთაზე საჭმლის ლაქები აჩნდა, ქვედაბოლო კი ერთგან ამომწვარიც ჰქონდა.

– გამარჯობა, ვინკი, – მიესალმა ჰარი.

ვინკის ტუჩები აუცახცახდა. შემდეგ დიდი, ყავისფერი თვალებიდან ცრემლები წასკდა და კოფთაზე ჩამოეღვარა, ზუსტად ისევე, როგორც ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე.

ამასობაში ჰერმიონი და რონიც მოვიდნენ.

– არა, ჩემო კარგო, – მოეფერა ჰერმიონი, – ვინკი, ნუ ტირი, გთხოვ, არ გინდა...

მაგრამ ვინკი უარესად აქვითინდა. დობიმ კი გაბრწყინებულმა შეხედა ჰარის.

– ჰარი პოტერი ფინჯან ჩაის ხომ არ ინებებს? – დაიწრიპინა ხმამაღლა, რომ ვინკის ქვითინი გადაეფარა.

– ჰო, კარგი იქნებოდა, – დათანხმდა ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

• თვალის დახამხამებაში უკნიდან ექვსი შინაური ელფი მოცუხცუხდა და უზარმაზარი ვერცხლის ლანგრით ჩაიდანი, სამი ფინჯანი, რძიანი დოქი და ორცხობილებით სავსე უზარმაზარი თეფში მოარბენინა.

– ყოჩაღ, კარგი მომსახურებაა, – აღფრთოვანდა რონი. ჰერმიონმა თვალები დაუბრიალა, მაგრამ ელფებს გაუხარდათ შექება, რონს თავი მდაბლად დაუკრეს და უკან დაიხიეს.

– რამდენი ხანია, რაც აქ ხარ, დობი? – იკითხა ჰარიმ, როცა დობიმ ჩაი ჩამოარიგა.

– სულ ერთი კვირაა, ჰარი პოტერ, სერ! – მხიარულად დაიჭყივლა ელფმა, – დობი პროფესორ დამბლდორთან მოვიდა, სერ. იცით, სერ, დათხოვნილი შინაური ელფისთვის ახალი სამუშაოს შოვნა ძალიან ძნელია, სერ, ძალიან, ძალიან ძნელი...

ამის გაგონებაზე ვინკი უარესად აზლუქუნდა, მიჭყლეტილი პამიდვრის მსგავსი ცხვირიდან ცინგლი ჩამოუვიდა, მაგრამ არც კი ცდილა ცხვირის მოწმენდას.

– დობიმ სამუშაოს ძებნაში მთელი ორი წელი იხეტიალა ქვეყანაზე, სერ! – დაიწრიპინა დობიმ, – მაგრამ დობიმ სამუშაო ვერ იპოვა, სერ, იმიტომ რომ დობი ახლა ხელფასს ითხოვს.

შინაურმა ელფებმა, რომლებიც სამზარეულოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ და უყურებდნენ სტუმრებს, ამ სიტყვებზე განზე გაიხედეს, თითქოს დობიმ უხამსი და სამარცხვინო რაღაც თქვა.

სამაგიეროდ, ჰერმიონმა შეაქო:

– ყოჩაღ, დობი.

– გმადლობთ, მის! – ფართოდ გაუღიმა ელფმა, – მაგრამ ჯადოქრების უმეტესობას არ უნდა შინაური ელფი, რომელიც ხელფასს ითხოვს, მის. „სად გაგონილა, შინაური ელფი ანაზღაურებას ითხოვდესო," – ამბობდნენ და დობის ცხვირწინ უჯახუნებდნენ კარს. დობის მოსწონს მუშაობა, მაგრამ უნდა, ტანსაცმელი ეცვას და უნდა, რომ ხელფასი მისცენ, ჰარი პოტერ... დობის მოსწონს თავისუფლება!

ჰოგვორტსის შინაური ელფები ახლა ისე ჩამოეცალნენ დობის, თითქოს რაღაც გადამდები სენი სჭირდა. ვინკი არ განძრეულა, მაგრამ ტირილს უმატა.

– და შემდეგ, ჰარი პოტერ, დობი მიდის ვინკის სანახავად და იგებს, რომ ვინკიც გაათავისუფლეს, სერ! – სიხარულით დაიჭყივლა ელფმა.

ახლა კი ვინკი ტაბურეტიდან გადმოვარდა, იატაკზე სახით დაემხო და საშინელი მოთქმა-გოდებით ქვის ფილაქანს პაწაწინა მუშტე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი დაუშინა. ჰერმიონი მაშინვე მის გვერდით მუხლებზე დაეცა და სცადა, ენუგეშებინა, მაგრამ მისმა სიტყვებმა არ გაჭრა.

დობიმ თავისი ამბის მოყოლა განაგრძო, გამყივანი ხმით ჭყიოდა, რომ ვინკის მოთქმა გადაეფარა:

– მერე დობის ერთი აზრი მოუვიდა თავში, ჰარი პოტერ, სერ! „მოდი, დობიმ და ვინკიმ ერთად იპოვონ სამუშაო“. „სად არის საკმარისი სამუშაო ორი შინაური ელფისთვის?“ – იკითხა ვინკიმ. დობიმ იფიქრა, იფიქრა და უცბად მიხვდა, სერ, – ჰოგვორტსში! ჰოდა, დობი და ვინკი პროფესორ დამბლდორის სანახავად მოვიდნენ, სერ, და პროფესორმა დამბლდორმა ორივე მიიღო!

დობის სახე გაუბრწყინდა და თვალებზე ისევ სიხარულის ცრემლები მოადგა.

– პროფესორი დამბლდორი ამბობს, რომ რაკი დობის ხელფასი უნდა, ის გადაუხდის დობის, სერ! და, აი, დობი თავისუფალი ელფია, სერ, და დობი კვირაში ერთ გალეონს იღებს და თვეში ერთი დასვენების დღე აქვს.

– ეს ძალიან ცოტაა! – აღშფოთდა ვინკის გვერდით დაჩოქილი ჰერმიონი. ვინკი ისევ მოთქვამდა და იატაკს მუშტებს ურტყამდა.

– პროფესორმა დამბლდორმა დობის კვირაში ათი გალეონი და შაბათ-კვირას დასვენება შესთავაზა, – დობის ისე გააჟრჟოლა, თითქოს ასეთ ფუფუნებასა და სიმდიდრეზე ფიქრიც კი ზარავსო, – მაგრამ დობიმ ბოლოს მაინც დააკლებინა, მის... დობის მოსწონს თავისუფლება, მის, მაგრამ ასე ბევრი კი არ უნდა, მის, მას მუშაობა უფრო მოსწონს.

– ვინკი, შენ რამდენს გიხდის პროფესორი დამბლდორი? – ალერსიანად ჰკითხა ჰერმიონმა, მაგრამ ძალინ შეცდა, როცა იფიქრა, რომ ამით ვინკის გაამხნევებდა. ვინკიმ ტირილი შეწყვიტა, იატაკზე წამოჯდა, დიდრონი, ყავისფერი თვალები ჰერმიონს დაუბრიალა, სველი სახე მრისხანებით აენთო და დაიწრიპინა:

– ვინკი სახელგატეხილი ელფია, მაგრამ ვინკი ჯერ ისე არ დაცემულა, რომ ხელფასი აიღოს! ვინკის ძალიან რცხვენია, რომ თავისუფალია.

– გრცხვენია? – გაიმეორა გაოგნებულმა ჰერმიონმა, – კი მაგრამ... ვინკი, რას ამბობ! ეს ბატონ კრაუჩს უნდა რცხვენოდეს და არა შენ! შენ არაფერი ცუდი არ გაგიკეთებია, ის კი მართლა საშინლად მოგექცა!..

მაგრამ ამ სიტყვებზე ვინკიმ ხელები ქუდში გაკეთებულ ნახვრეტებზე მიიჭირა, რომ ერთი სიტყვაც არ გაეგონა, და აკივლდა:

– თქვენ ჩემი ბატონი არ შეურაცხყოფა, მის! თქვენ ჩემი ბატონი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ შეურაცხყოფა! ბატონი კრაუჩი კარგი ჯადოქარი, მის! ბატონი კრაუჩი სწორად მოიქცა, რომ ცუდი ვინკი გააგდო!

– ვინკის თავისუფლებასთან შეგუება უჭირს, ჰარი პოტერ, – საიდუმლოდ ჩასჩურჩულა ყურში დობიმ ჰარის, – ვინკის ავიწყდება, რომ ბატონ კრაუჩის მსახური აღარაა და შეუძლია, ხმამაღლა თქვას, რასაც ფიქრობს. მაგრამ, არა, ამას ცოცხალი თავით არ აკეთებს.

– ესე იგი, შინაურ ელფებს თავიანთ ბატონებზე ხმამაღლა აზრის გამოთქმის უფლება არა აქვთ? – ჰკითხა ჰარიმ.

– უი, არა, სერ, რას ამბობთ, – დასერიოზულდა დობი, – შინაური ელფი მონაა, სერ, და უფლება არა აქვს. ჩვენ ბატონის საიდუმლოებებს ვინახავთ, სერ. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი ოჯახის ღირსებაზე და ცუდს არასოდეს ვამბობთ. თუმცა პროფესორმა დამბლდორმა მითხრა, რომ ჩვენგან ამას არ მოითხოვს. პროფესორმა დამბლდორმა თქვა, რომ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია...

დობი ანერვიულდა და ჰარის ხელით ანიშნა, ახლოს მოიწიეო. ჰარი დაიხარა. დობიმ უჩურჩულა:

– მან თქვა, თუ გინდათ, „გამოშტერებული ბებრუხუნა“ დამიძახეთო, სერ! – დობიმ შიშით ჩაიხითხითა, – მაგრამ დობის არ უნდა, ჰარი პოტერ, – განაგრძო წრიპინით და ყურების ფართხუნით გააქნია თავი, – დობის პროფესორი დამბლდორი ძალიან მოსწონს, სერ, და ამაყობს იმით, რომ მის საიდუმლოებებს ინახავს.

– მაგრამ ახლა ხომ შეგიძლია, რაც გინდა, ის თქვა მალფოებზე? – ღიმილით ჰკითხა ჰარიმ.

დობის ვეება თვალებში შიშმა გაურბინა.

– დობის... დობის შეუძლია, როგორ არა, – თქვა ყოყმანით და მკერდი გამობერა, – დობის შეუძლია, ჰარი პოტერს უთხრას, რომ მისი ძველი ბატონები იყვნენ... იყვნენ ცუდი, ბოროტი ჯადოქრები!

თავისივე თავხედობით შეძრული და აკანკალებული დობი ერთხანს გაშეშებული იდგა, შემდეგ მაგიდას მივარდა და თავი გამეტებით დასცხო, თან წიოდა:

– ცუდი დობი! ცუდი დობი!

ჰარი ჰალსტუხში სწვდა და მაგიდას ძალით მოაშორა.

– გმადლობთ, ჰარი პოტერ, გმადლობთ, – წაილუღლუღა სუნთქვაშეკრულმა ელფმა და თავი დაიზილა.

– არა უშავს, ჯერ შენც ვერ შესჩვევიხარ თავისუფლებას, – უთხრა ჰარიმ.

– ვერ შესჩვევიაო?! – იწივლა გაკაპასებულმა ვინკიმ, – უნდა რცხვენოდეს, დობი, შენს ბატონებზე ასე ლაპარაკი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისინი ჩემი ბატონები აღარ არის, ვინკი! – გამომწვევად უპასუხა დობიმ, – დობის აღარ ადარდებს, ისინი რას იფიქრებენ!

– შენ ცუდი ელფი არის, დობი! – ამოიკვნესა ვინკიმ და ისევ ცრემლები ჩამოსცვივდა, – ჩემი საბრალო ბატონი კრაუჩი, რა ეშველება ახლა, ვინკის გარეშე? იმას მე ჭირდება, ჩემი დახმარება ჭირდება! მე მთელი ცხოვრება კრაუჩების ოჯახს უვლიდა, ჩემი დედაც ამას აკეთებდა ჩემზე წინ და ჩემი ბებიაც ამას აკეთებდა დედაჩემზე წინ... ოი, რას იტყოდნენ, რომ გაეგოთ, ვინკი თავისუფალია? ვაი, სირცხვილო, ვაი, სირცხვილო! – სახე ქვედაბოლოში ჩარგო და ისევ აზლუქუნდა.

– ვინკი, – მტკიცედ მიმართა ჰერმიონმა, – გარწმუნებ, ბატონი კრაუჩი უშენოდაც მშვენივრად ახერხებს ცხოვრებას. ამასწინათ ვნახეთ და...

– თქვენ ჩემი ბატონი ნახეთ? – სუნთქვა შეეკრა ვინკის, ცრემლებით გალუმპული სახე ასწია და ჰერმიონს თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა, – აქ, ჰოგვორტსში ნახეთ?

– დიახ, – დაუდასტურა ჰერმიონმა, – ის და ბატონი ბეგმანი სამი ჯადოქრის ტურნირის ჟიურის წევრები არიან.

– ბატონი ბეგმანიც მოდის აქ? – დაიწრიპინა ვინკიმ და, ჰარის გასაოცრად (როგორც სახეზე შეეტყოთ, ჰერმიონის და რონის გასაოცრადაც), უცებ ისევ გაჯავრდა: – ბატონი ბეგმანი ცუდი ჯადოქარი! ძალიან ცუდი ჯადოქარი! ჩემს ბატონს არ მოსწონს, არა, სულაც არ მოსწონს!

– ბეგმანი ცუდია? – განცვიფრდა ჰარი.

– დიახ, დიახ, – გამალებით დაუქნია თავი ვინკიმ, – ჩემი ბატონი ვინკის რაღაცეებს ეუბნება, მაგრამ ვინკი არ ამბობს... ვინკი ბატონის საიდუმლოებებს ინახავს...

და ისევ ცრემლებად დაიღვარა. ესმოდათ, როგორ ქვითინებდა ქვედაბოლოს კალთაში თავჩარგული:

– საბრალო ბატონი! საწყალი ბატონი, აღარა ჰყავს ვინკი, რომ დაეხმაროს!

ამის შემდეგ ვერც ერთი გონივრული სიტყვა ვეღარ დააცდენინეს ვინკის. რაღას იზამდნენ, დაანებეს თავი ატირებულს და ჩაი დალიეს, ამასობაში დობი მხიარულად ლაქლაქებდა თავისუფალი შინაური ელფის ცხოვრებასა და თავის სამომავლო გეგმებზე.

– დობიმ შემდეგში ჯემპრი უნდა იყიდოს, ჰარი პოტერ! – დობიმ თავის შიშველ მკერდზე მიუთითა.

– იცი, რას გეტყვი, დობი, – რონს შეეტყო, რომ შინაური ელფი ძალიან მოეწონა, – მე შენ დედაჩემის მოქსოვილ სვიტერს მოგცემ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საშობაოდ გამომიგზავნა. ყოველ წელს მიგზავნის ხოლმე. წაბლისფერის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

დობი სიხარულით ცას ეწია.

– ოღონდ, ცოტა უნდა დავაპატარაოთ შენთვის. შენს თავსაბურავს ძალიან მოუხდება, – უთხრა რონმა.

წასვლა რომ დააპირეს, შინაური ელფები სტუმრებს დაეხვივნენ, თავის დაკვრითა და რევერანსებით ათასნაირ სანოვაგეს ატანდნენ. ამის მნახველი ჰერმიონი შეწუხდა და უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ჰარიმ და რონმა საგულდაგულოდ გამოიტენეს ჯიბეები ნამცხვრებითა და ღვეზლებით.

– დიდი მადლობა! – გამოუცხადა ჰარიმ ელფებს, რომლებმაც სტუმრები კარამდე მიაცილეს, – კარგად იყავი, დობი!

– ჰარი პოტერ, შეიძლება, დობი ხანდახან მოვიდეს და გინახულოთ, სერ? – გაუბედავად იკითხა ელფმა.

– რა თქმა უნდა, შეგიძლია, – ნება დართო ჰარიმ. დობი გაიბადრა.

– იცი, რა! – თქვა რონმა, როცა სამზარეულოდან გამოვიდნენ და მარმარილოს კიბეს აუყვნენ, – მთელი ეს წლები ისე მიკვირდა, როგორ ახერხებდნენ ფრედი და ჯორჯი სამზარეულოდან საჭმლის აწაპნას, და თურმე რა ადვილი ყოფილა. ამათ ოღონდ ვინმეს საჭმელი მისცენ და...

– ამ ელფებს ბედმა გაულიმა, რომ დობი აქ მოვიდა სამუშაოდ, – ჰერმიონი პირველი ადიოდა კიბეზე, – დობის შეხედავენ და თანდათან მათაც მოუნდებათ თავისუფლება!

– იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ვინკის არ მიჰბაძავენ, – შენიშნა ჰარიმ.

– არა უშავს, მალე შეწყვეტს ტირილს, – თქვა ჰერმიონმა, თუმცა ეტყობოდა, რომ ამაში მთლად დარწმუნებული თვითონაც არ იყო, – როცა პირველი ელდა გაუვლის და ჰოგვორტსს მიეჩვევა, მიხვდება, რამდენად უკეთესად იქნება იმ თავისი კრაუჩის გარეშე.

– ეტყობა, მაგრად უყვარს, – თქვა კრემიანი ნამცხვრით პირგამოტენილმა რონმა.

– ნეტავ რატომ ეჯავრება ბეგმანი? – იკითხა ჰარიმ, – საინტერესოა, კრაუჩი რას ლაპარაკობს მასზე სახლში?

– ალბათ, ამბობს, რომ დეპარტამენტის უვარგისი თავმჯდომარეა, – ივარაუდა ჰერმიონმა, – და მოდით, გულახდილად ვთქვათ – განა, მართალი არ არის?

– შეიძლება, მაგრამ კრაუჩთან მუშაობას მე მაინც ბეგმანთან მუშაობას ვარჩევდი, – გადაწყვიტა რონმა, – სხვა თუ არაფერი, ბეგმანს იუმორის გრძნობა მაინც აქვს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეგ პერსისთან არ წამოგცდეს, – ღიმილით გააფრთხილა ჰერმიონმა.

– ჰო, პერსი არაფრით არ იმუშავებს ისეთ ადამიანთან, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს, – რონმა შოკოლადის ეკლერი ჩაკბიჩა, – პერსი მაშინაც კი არ გაიცინებს, თავზე დობის შალითა რომ დაიხურო და მის წინ შიშველი აცეკვდე.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეორე

მოულოდნელი დავალება

– პოტერ! უისლი! ბოლოს და ბოლოს, მომაქცევთ თუ არა ყურადღებას?!

პროფესორ მაკგონაგელის აღშფოთებულმა ხმამ შოლტივით გაკვეთა ჰაერი ხუთშაბათს ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე. ჰარი და რონი შეხტნენ და მაღლა აიხედეს.

გაკვეთილი იწურებოდა. მეგობრებმა უკვე ყველა დავალება შეასრულეს: ციცრები ზღვის გოჭებად გადააქციეს, პროფესორ მაკგონაგელის მაგიდაზე დიდ გალიაში ჩააბრუნეს (ნევილის ზღვის გოჭს ბუმბულები შერჩენოდა) და შემდეგი დავალებაც გადაწერეს დაფიდან (აღწერეთ, ტრანსფორმირების რა მეთოდებს მიმართავენ ერთი სახეობის მეორედ გადაქცევის დროს). ზარი წუთი წუთზე დაირეკებოდა, ამიტომ საკლასო ოთახის ბოლოში ფრედისა და ჯორჯის სატყუარა ჯოხებით გახურებული ფარიკაობა გაემართათ. პროფესორის ხმაზე ორივემ აიხედა, რონს ხელში კალის თუთიყუში შერჩა, ჰარის კი – რეზინის ვირთევზა.

– პოტერ და უისლი, დაგვდეთ პატივი და ბავშვებივით ნუ იქცევით! – პროფესორი მაკგონაგელი გაბრაზებული დააცქერდა ბიჭებს. ჰარის ვირთევზას თავი მოსძვრა და უხმაუროდ დაეცა იატაკზე, ცოტა ხნით ადრე რონის თუთიყუშს ნისკარტი მოსძვრა, – რაღაც უნდა გამოგიცხადოთ. ეს ყველას გეხებათ. ახლოვდება საშობაო მეჯლისი – სამი ჯადოქრის ტურნირის ტრადიციული ნაწილი და უცხოელი სტუმრების უკეთ გაცნობის შესანიშნავი საშუალება. მეჯლისზე დაიშვებიან მხოლოდ უფროსკურსელები: მეოთხე კურსიდან ზევით, თუმცა, შეგიძლიათ, პარტნიორებად უმცროსი სტუდენტებიც დაპატიჟოთ.

ლევენდერ ბრაუნმა ხმადაბლა გადაიკისკისა. პარვატი პეტილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იდაყვი გაჰკრა, თან თვითონაც ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გასცინებოდა. ორივემ ჰარისკენ გამოიხედა. პროფესორმა მაკგონაგელმა გოგონებს ყურადღება არ მიაქცია, რაც, ჰარის აზრით, საშინელი უსამართლობა იყო, ახლახან ის და რონი ხომ კარგად გამოლანძღა!

– სადღესასწაულო მანტიები უნდა გეცვათ, – განაგრძო პროფესორმა მაკგონაგელმა, – მეჯლისი გაიმართება დიდ დარბაზში შობის დღეს რვა საათზე და დასრულდება შუაღამისას. ახლა კი მომისმინეთ...

პროფესორმა მაკგონაგელმა დაჟინებული მზერა მოავლო კლასს.

– საშობაო მეჯლისი ყველას გაძლევთ საშუალებას, ვარცხნილობა შეიცვალოთ და გაერთოთ, – თქვა მან უკმაყოფილო ტონით.

ლევენდერმა პირზე ხელი აიფარა და თავშეუკავებლად ახითხითდა. ამჯერად ჰარიც მიხვდა, რა იყო სასაცილო: პროფესორი მაკგონაგელი უკან მჭიდროდ შეკრული თმით ისე გამოიყურებოდა, თითქოს თმა ცხოვრებაში არ გაეშალა.

– მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეჯლისზე არ უნდა დაიცვათ ქცევის ის წესები, რაც ზოგადად მოეთხოვებათ ჰოგვორტსის სტუდენტებს. მე ძალზე იმედგაცრუებული დავრჩები, თუ რომელიმე გრიფინდორელი სტუდენტი მეჯლისზე შეუფერებელი საქციელით შეარცხვენს სკოლის სახელს.

ზარი დაირეკა, კლასი აფუსფუსდა, მოსწავლეები ჩანთებში ნივთებს ილაგებდნენ და მხარზე იკიდებდნენ.

ხმაური პროფესორ მაკგონაგელის ხმამ გადაფარა:

– პოტერ, ერთი წუთით, თუ შეიძლება.

ჰარი გულდამძიმებული გაემართა მასწავლებლისკენ, რადგან დარწმუნებული იყო, ისევ უთავო რეზინის ვირთევზას გამო უსაყვედურებდა.

პროფესორმა მაკგონაგელმა კლასს ოთახიდან გაკრეფა აცალა და დაიწყო:

– პოტერ, ჩემპიონებმა და მათმა პარტნიორებმა...

– რა პარტნიორებმა? – გაუკვირდა ჰარის.

პროფესორმა მაკგონაგელმა ეჭვით შეხედა, თითქოს ეგონა, ჰარი თავს ისულელებსო.

– პარტნიორები საშობაო მეჯლისისთვის, პოტერ, – აუხსნა ცივად, – ცეკვისთვის.

ჰარის გული გადაუბრუნდა. „ცეკვისთვის?“ იგრძნო, რომ გაწითლდა და სწრაფად მიუგო:

– მე არ ვცეკვავ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რას ჰქვია, არ ცეკვავ! – გაღიზიანდა პროფესორი მაკგონაგელი, – სწორედ ამის თქმას ვაპირებდი: ტრადიციულად, მეჯლისი ჩემპიონებმა და მათმა პარტნიორებმა უნდა გახსნან.

ჰარიმ უცებ წარმოიდგინა, როგორ გამოეწყობა ცილინდრსა და ფრაკში, გვერდს კი ისეთ ფურჩალებიან კაბაში გამოწყობილი გოგონა დაუმშვენებს, როგორსაც დეიდა პეტუნია იცვამდა ხოლმე ძია ვერნონის ფირმის მიერ გამართულ წვეულებებზე.

– მე არ ვცეკვავ, – გაიმეორა დაბეჯითებით.

– ასეთია ტრადიცია, – შეუბრალებლად მოუჭრა პროფესორმა მაკგონაგელმა. – თქვენ ჰოგვორტსის ჩემპიონი ხართ და გააკეთებთ იმას, რაც სკოლის წარმომადგენელს მოეთხოვება. ასე რომ, ახლავე იზრუნეთ პარტნიორის მოძებნაზე, პოტერ.

– მაგრამ... მე არ...

– მე ჩემი სათქმელი გითხარით, პოტერ, – ისეთი ხმით განუცხადა პროფესორმა მაკგონაგელმა, რომ გასაგები გახდა, შეკამათებას აზრი აღარ ჰქონდა.

* * *

ერთი კვირის წინ ჰარი იტყოდა, მეჯლისისთვის პარტნიორის მოძებნა დრაკონთან შერკინებაზე იოლიაო, მაგრამ ახლა, როცა დრაკონთან ბრძოლა უკან მოიტოვა და მეჯლისზე გოგონას მიპატიჟების ჯერი დადგა, ისევ რქაკუდასთან არენაზე გასვლა ერჩივნა.

საშობაო არდადეგებზე ჰოგვორტსში დარჩენის მსურველთა სიებში ამდენი ადამიანი არასოდეს ჩაწერილა. ჰარი ყოველთვის რჩებოდა, აბა, პრივიტ დრაივზე ხომ არ დაბრუნდებოდა. მაგრამ უწინ თუ ჰოგვორტსში დარჩენილებს თითებზე დაითვლიდი, წელს არც ერთი უფროსკურსელი არ წასულა შინ. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ მეჯლისს და სხვა აღარაფერზე ფიქრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, გოგონებს მეტი სალაპარაკო ნამდვილად არ ჰქონდათ. პირდაპირ საკვირველი იყო, რამდენი გოგო სწავლობდა ჰოგვორტსში, ჰარის ეს აქამდე არც შეუმჩნევია. საითაც გაიხედავდა, ყველგან გოგონები ხითხითებდნენ და ჩურჩულებდნენ, ხმამაღლა კისკისებდნენ, როცა ბიჭები გვერდით ჩაუვლიდნენ ხოლმე, და ერთმანეთს აღტაცებით უზიარებდნენ, რის ჩაცმას აპირებდნენ შობის ღამეს...

– ხომ არ იცი, ასე ჯგუფ-ჯგუფად რატომ დადიან? – ჰკითხა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთხელ ჰარიმ რონს, როდესაც ათიოდე გოგომ ჩაიარა ხითხითით და თან ჰარის უყურებდნენ. – როგორ უნდა მოიხელთო ვინმე მარტო, რომ მეჯლისზე მიიწვიო?

– იქნებ ქამანდი ვესროლოთ რომელიმეს და განზე გავათრიოთ? – შესთავაზა რონმა, – გადაწყვიტე, ვინ უნდა დაპატიჟო?

ჰარიმ არ უპასუხა. მშვენივრად იცოდა, ვისი დაპატიჟებაც უნდოდა, მაგრამ გამბედაობას ვერაფრით ვერ იკრებდა: ჩო მასზე ერთი წლით უფროსი და ლამაზი იყო, თან ქვიდიჩსაც კარგად თამაშობდა და სკოლაშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

რონი თითქოს მიხვდა, რა ტრიალებდა მეგობრის გულში.

– მისმინე, სანერვიულო არაფერი გაქვს. ჩემპიონი ხარ, ბოლოს და ბოლოს! ეს-ესაა, უნგრული რქაკუდა დაამარცხე. ნაძლევს ჩამოვალ, გოგოები რიგში დაგიდგებიან.

რონს კარგად ახსოვდა ამასწინანდელი ჩხუბი და ცდილობდა, ხმაში სიმწარე არ გარეოდა. ჰარის გასაოცრად, მისი სიტყვები გამართლდა.

ერთმა ხუჭუჭთმიანმა ჰაფლეპაფელმა გოგონამ, რომელსაც ჰარი ცხოვრებაში არ დალაპარაკებოდა, მეორე დღესვე სთხოვა, მეჯლისზე მასთან ერთად წასულიყო. ჰარი ისე დაიბნა, დაუფიქრებლად წამოსცდა: „არაო“. გოგონა გაბუსხული გაეცალა, დინს, სიმუსსა და რონს კი ოხუნჯობის საბაბი მიეცათ. მომდევნო დღეს კიდევ ორმა გოგონამ სთხოვა მეჯლისზე წაყვანა: ერთი მეორეკურსელი იყო, მეორე (ჰარის გულის გასახეთქად) – მეხუთეკურსელი და თანაც ისეთი მზერა ჰქონდა, თითქოს ჰარის იქვე სულს გააცხებინებდა, უარი რომ ეთქვა.

– საკმაოდ ლამაზი იყო, – აღიარა რონმა, სიცილით გული რომ იჯერა.

– ჩემზე მთელი თავით მაღალია, – გონზე ვერ მოსულიყო ჰარი, – წარმოიდგინე, რა სანახავი ვიქნებოდი მასთან ცეკვისას.

თანაც თავში სულ ჰერმიონის სიტყვები უტრიალებდა: „კრამი მხოლოდ იმიტომ მოსწონთ მის თაყვანისმცემლებს, რომ ასეთი ცნობილია!“ ჰარის ეჭვი ეპარებოდა, რომ იმ გოგონებს, რომლებმაც პარტნიორობა შესთავაზეს, მასთან ერთად მეჯლისზე წასვლის სურვილი მაშინაც ჰქონოდათ, სკოლის ჩემპიონი რომ არ ყოფილიყო. მერე ისიც გაიფიქრა, ნეტავ მათ ადგილას ჩო რომ ყოფილიყო, მაშინ თუ გამახსენდებოდა ჰერმიონის სიტყვებიო.

ისე კი, გულში მაინც აღიარებდა, რომ მომავალი საშინელი მეჯლისის მიუხედავად, პირველი ტურის შემდეგ მისი ცხოვრება ბევრად გაუმჯობესდა. დერეფნებშიც უფრო თავისუფლად დადიოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქმის აღარავის გამოუხატავს მის მიმართ მტრული განწყობილება. ჰარის ეჭვი ჰქონდა, რომ ამაში სედრიკის ხელი ერია. როგორც ჩანს, სედრიკმა, დრაკონებზე სიტყვის გადაკვრისთვის მადლიერების ნიშნად, ჰაფლეპაფელები გააფრთხილა, ჰარისთვის თავი დაენებებინათ. „მხარს ვუჭერთ სედრიკ დიგორის“ რაოდენობაც შემცირდა. დრაკო მალფოი, რასაკვირველია, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, მაშინვე გაიძახოდა რიტას სტატიიდან ნაწყვეტებს, მაგრამ ეს სულ უფრო ნაკლებ ხალხს აცინებდა, და ბოლოს, ჰარის კეთილდღეობას ის აგვირგვინებდა, რომ „დილის მისანი“ ჰაგრიდის შესახებ ჯერჯერობით არაფერს იწერებოდა.

– სიმართლე გითხრათ, ჯადოსნური არსებებით დაინტერესებული სულაც არ ჩანდა, – თქვა ჰაგრიდმა, როდესაც ჯადოსნური არსებების მოვლის ბოლო გაკვეთილზე ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ჰკითხეს, რიტასთან ინტერვიუმ როგორ ჩაიარაო. მათ სასიხარულოდ, ჰაგრიდი კლასს ცეცხლაკუდებთან ურთიერთობას აღარ აიძულებდა. იმ დღეს მისი ქოხის უკან შეფარებულები დაზგასთან ისხდნენ და ცეცხლაკუდების საცდუნებლად ახალ საკვებს ამზადებდნენ.

– მარტო შენზე ლაპარაკი უნდოდა, – ხმადაბლა განაგრძო ჰაგრიდმა, – ჰოდა, მეც ვუთხარი, რო მე და შენ მას მერე ვმეგობრობთ, რაც დერსლებისგან წამოგიყვანე. ამ ოთხ წელიწადში არასოდეს დაგიტუქსავსო? – ეგრე მკითხა. გაკვეთილებზე არ ცელქობდაო? მე ვუთხარი, არა-მეთქი, და უმაყოფილო დარჩა. მგონი, უნდოდა, მეთქვა, რო საშინელი ვინმე ხარ, ჰარი.

– აბა, რა! – ჰარიმ დაკეპილი დრაკონის ღვიძლი ჩააგდო ლითონის დიდ ვარცლში და დანა აიღო, რომ კიდევ დაეჭრა. – სულ იმაზე ხომ არ დაწერს, რა წამებული გმირი ვარ, ხალხს მოსწყინდება.

– რიტას საკითხისადმი ახლებური მიდგომა სჭირდება, ჰაგრიდ, – ბრძნული აზრი გამოთქვა რონმა და სალამანდრას კვერცხს ნაჭუჭი შემოაცალა, – ალბათ, უნდა გეთქვა, რომ ჰარი შეშლილი ბოროტმოქმედია.

– მაგრამ, ხო არ არის! – თავზარი დაეცა გულუბრყვილო ჰაგრიდს.

– სნეიპისთვის უნდა ჩამოერთმია ინტერვიუ, – პირქუშად შენიშნა ჰარიმ, – ერთ-ორ ტკბილ სიტყვას სიამოვნებით ეტყოდა ჩემზე. „პოტერი რაც ამ სკოლაში ჩამოვიდა, სულ ზღვარს გადადის...“

– ეგრე თქვა, არა? – ჩაიდუდღუნა ჰაგრიდმა, სანამ რონი და ჰერმიონი იცინოდნენ, – ჰო, შეილება, რამდენიმე წესიდან გადაუხვიე, მარა ისე ხო არა გიშავს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობ, ჰაგრიდ, – გაუღიმა ჰარიმ.

– ჰაგრიდ, საშობაო მეჯლისზე მოდიხარ? – ჰკითხა რონმა.

– ჰო, შეილება, შემოვირბინო, – ჩახლეჩილი ხმით მიუგო ჰაგრიდმა, – ალბათ, კარგი რამე იქნება. შენ მეჯლისს ხსნი, არა, ჰარი? ვის ეპატიჟები?

– ჯერჯერობით არავის, – გაწითლდა ჰარი. ჰაგრიდი აღარ ჩაეძია.

სემესტრის ბოლო კვირამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა. როგორი ხმები აღარ დადიოდა საშობაო მეჯლისის შესახებ, მაგრამ ჰარის ამის ნახევრისაც არ სჯეროდა. მაგალითად, ამბობდნენ, დამბლდორმა მადამ როზმერტასგან რვაასი კასრი შემთბარი თაფლუჭი იყიდაო. მაგრამ ის, რომ მან „ალქაჯი დები“ მოიწვია, სიმართლეს უფრო ჰგავდა. ზუსტად ვინ იყვნენ „ალქაჯი დები“, ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, რადგან არასდროს მოესმინა ჯადოქრების რადიოსთვის, მათი აღფრთოვანების მიხედვით კი, ვინც ჯადოქრების რადიოს მელოდიებზე გაიზარდა, დაასკვნა, ალბათ, ძალიან პოპულარული მუსიკალური ჯგუფი უნდა იყოსო.

ზოგიერთმა მასწავლებელმა, მაგალითად, ციცქნა პროფესორმა ფლიტვიკმა, ფარ-ხმალი დაყარა და ბავშვებს მეცადინეობა შეუწყვიტა, რადგან სწავლას გულს ვეღარავინ უდებდა. მან ოთხშაბათის გაკვეთილზე ბავშვებს გართობის ნება დართო, თვითონ კი, ამასობაში, სამი ჯადოქრის ტურნირის პირველ ტურში გამოყენებულ გამოძახების ბრწყინვალე შელოცვაზე ესაუბრა ჰარის. სხვა მასწავლებლები ასეთ ლმობიერებას არ იჩენდნენ: პროფესორ ბინსს გობლინების აჯანყებებზე თავისი ჩანაწერებიდან ვერაფრით მოსწყვეტდი. პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ ახერხებდა პროფესორი, გობლინთა სისხლისმღვრელი და სასტიკი აჯანყებები მოსასმენად ისეთივე მოსაწყენი გაეხადა, როგორიც პერსის მიერ ქვაბების თაობაზე დაწერილი მოხსენება იყო. პროფესორი მაკგონაგელი და პროფესორი მუდი სტუდენტებს გაკვეთილის ბოლო წუთამდე ამუშავებდნენ. სნეიპიც, რა თქმა უნდა, უმალ ჰარის იშვილებდა, ვიდრე მათ სარდაფში თამაშის ნებას დართავდა. მართლაც, კლასს ისეთი თვალით გადახედა, რომელიც კარგს არაფერს უქადდათ, და გამოაცხადა, რომ ბოლო გაკვეთილზე საკონტროლოს დაწერდნენ შხამსაწინააღმდეგო საშუალებების შესახებ.

– წარმოგიდგენიათ, რა ბოროტია! – აღშფოთებული ბობოქრობდა რონი იმ საღამოს გრიფინდორის საერთო ოთახში, – სულ ბოლო დღეს გვაჯახა საკონტროლო! შობისწინა დღეები ერთი ტონა გასამეორებელი მასალით უნდა ჩაგვამწაროს.

– ჰმ, მაინცდამაინც თავს არ იკლავ მეცადინეობით, – შხამ-წამ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლების კონსპექტის ზემოდან გადმოხედა ჰერმიონმა. რონი „ფეთქებადი კარტით“ კოშკს აშენებდა. ეს ბევრად უფრო საინტერესო გასართობი იყო, ვიდრე მაგლების კარტი, რადგან მთელი კოშკი ნებისმიერ წამს შეიძლებოდა აფეთქებულიყო.

– ახლა ხომ შობაა, ჰერმიონ, – ზანტად შეახსენა ჰარიმ, რომელიც ბუხრის პირას სავარძელში იჯდა და მეათედ კითხულობდა წიგნს სახელწოდებით – „ფრენა ქენონზთან ერთად“.

ჰერმიონმა მასაც მკაცრად გადახედა.

– ჰარი, შხამ-წამლების სწავლა თუ არ გინდა, შენი ნებაა, მაგრამ მე მეგონა, უფრო სასარგებლო საქმეს მოჰკიდებდი ხელს!

– მაგალითად, რას? – ჰკითხა ჰარიმ და „ქენონზელი“ ჯოი ჯერკინსის მიერ „ბელიკასლ ბეტსის“ ჩეიზერის მიმართულებით დარტყმულ ბლაჯერს თვალი გააყოლა.

– კვერცხს!

– კარგი, ერთი, ჰერმიონ, ოცდაოთხ თებერვლამდე დრო მაქვს!

ოქროს კვერცხი პირველი ტურის აღსანიშნავად გრიფინდორის ოთახში გამართული ზეიმის მერე ჩემოდანში ჩაკეტა და მას შემდეგ აღარც ამოუღია. ბოლოს და ბოლოს, ორთვე-ნახევარი ხომ კიდევ ჰქონდა იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავდა ის ყურისწამღები ჭყივილი.

– კი მაგრამ, ხომ შეიძლება, გამოცანის ამოხსნას რამდენიმე კვირა დასჭირდეს! – შეედავა ჰერმიონი, – წარმოგიდგენია, როგორ შერცხვები, თუ ყველამ გამოიცნო, რა იქნება შემდეგი დავალება, შენ კი – ვერა!

– თავი დაანებე, ჰერმიონ, ცოტა დასვენება დაიმსახურა, – გამოექომაგა რონი ჰარის და ბოლო ორი კარტი დაადგა თავზე კოშკს. მთელი კოშკი აფეთქდა და რონს წამწამები შეეტრუსა.

– რა მშვენივრად გამოიყურები, რონ... შენს გამოსასვლელ მანტიას ძალიან მოუხდება.

სანამ რონი ხელით ისინჯავდა, რა ზიანი მიაყენა თავს, მაგიდას ფრედი და ჯორჯი მიუსხდნენ.

– რონ, ბუკნაჭოს გვათხოვებ? – ჰკითხა ჯორჯმა.

– არა, აქ არაა. წერილი გავატანეთ. რად გინდათ?

– ჯორჯს უნდა, მეჯლისზე დაპატიჟოს, – დაცინვით თქვა ფრედმა.

– წერილის გაგზავნა გვინდა, შე შტერო, – აუხსნა ჯორჯმა.

– ვის სწერთ ამდენს? – დაინტერესდა რონი.

– აბა-აბა, ცხვირს ნუ ყოფ სხვის საქმეში, რონ, თორემ მაგასაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაგიწვავ, – მუქარით დაუქნია ჯადოსნური ჯოხი ფრედმა, – რა ქენით... მეჯლისისთვის პარტნიორები უკვე იშოვეთ?

– არა, – თავი გააქნია რონმა.

– ჰოდა, უნდა აჩქარდე, მეგობარო, თორემ ლამაზებს დაიტაცებენ და, კარგად მეყოლე, – დამოძღვრა ფრედმა.

– შენ თვითონ ვისთან ერთად მიდიხარ? – ჰკითხა რონმა.

– ანჯელინასთან ერთად, – ოდნავადაც არ დაბნეულა, ისე მიუგო ფრედმა.

– რაო? – გაოცდა რონი, – უკვე დაპატიჟე?

– კარგია, რომ შემახსენე, – ფრედმა თავი მიაბრუნა და საერთო ოთახის ბოლოს გასძახა: – ეი, ანჯელინა!

ანჯელინა ალისია სპინეტთან ჭორაობდა ბუხრის პირას. ფრედის ძახილზე მოიხედა.

– რა გინდა? – გამოსძახა.

– ჩემთან ერთად მეჯლისზე წამოხვალ?

ანჯელინამ ფრედი შეათვალიერა.

– ჰო, კარგი, – ისევ ალისიას მიუბრუნდა და ოდნავშესამჩნევი ღიმილით განაგრძო ჭორაობა.

– ესეც ასე! – უთხრა ფრედმა ჰარის და რონს, – ხედავთ, რა ადვილია? – მერე ფეხზე წამოდგა და დაამთქნარა:

– ჯორჯ, წამო, სკოლის ბუ გავუშვათ...

ტყუპები წავიდნენ. რონმა წარბებს თავი დაანება და კარტის კოშკის შემომწვარი ნანგრევების ზემოდან ჰარის გახედა.

– იცი, ფრედი მართალია. დროა, გავინძრეთ და ვინმე დავპატიჟოთ, თორემ ბოლოს ორი ტროლი შეგვრჩება ხელში.

ჰერმიონმა აღშფოთებით ჩაიფრუტუნა:

– უკაცრავად, ორი... რა?

– ჰო, იცი რა, მირჩევნია, მარტო წავიდე, ვიდრე, ვთქვათ, ელოის მიჯენთან ერთად, – მხრები აიჩეჩა რონმა.

– მუწუკებმა ამ ბოლო დროს თითქმის გაუარა. თანაც ძალიან კარგი გოგოა!

– ცხვირი ცოტა გვერდზე აქვს.

– აჰა, გასაგებია, – აიფოფრა ჰერმიონი, – ესე იგი, ოღონდაც ყველაზე ლამაზი გოგო წამოგყვეს და სულ არ გედარდება, თუ სულელი იქნება, არა?

– ჰო, დაახლოებით, ეგრე გამოდის, – დაუდასტურა რონმა.

– მე დასაძინებლად მივდივარ, – მოკლედ მოჭრა ჰერმიონმა და მეტი აღარაფერი უთქვამს, გოგონების საძინებლისკენ გაქანდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ჰოგვორტსის ადმინისტრაციამ, როგორც ჩანდა, მტკიცედ განიზრახა ბობატონიდან და დურმსტრანგიდან ჩამოსულ სტუმრებზე განუმეორებელი შთაბეჭდილება მოეხდინა. ციხე-კოშკი ასეთი განსაცვიფრებელი სანახავი არასოდეს ყოფილა. მარმარილოს კიბის მოაჯირზე უდნობი ყინულის ლოლუები მიამაგრეს, დიდ დარბაზში, ჩვეულებისამებრ, თორმეტი საშობაო ნაძვის ხე დადგეს და რით აღარ შეამკეს: მბრწყინავი ბაძგისა და ფითრის გირლანდებით დაწყებული, ნამდვილი, აკივლებული ოქროს ბუებით დამთავრებული. რაინდის საჭურვლები ისე მოაჯადოვეს, რომ თუ გვერდით ვინმე ჩაუვლიდა, საშობაო სიმღერებს მღეროდნენ. ნამდვილად ღირდა იმის მოსმენა, როგორ დუდღუნებდა ცარიელი მუზარადი სიმღერას, რომლის ტექსტის მხოლოდ ნახევარი ახსოვდა. სკოლის დარაჯს, ფილჩს, რამდენჯერმე მოუხდა ამ ჯავშან-საჭურვლიდან პივსის გამოძევება, რადგან პოლტერგეისტი ხან ერთში ძვრებოდა, ხან მეორეში და ტექსტის გამოტოვებულ ადგილებს მის მიერვე შეთხზული, ერთობ უწმაწური სიტყვებით ავსებდა.

ჰარის ჯერაც ვერ დაეპატიჟებინა ჩო მეჯლისზე. ის და რონი უკვე ძალიან ნერვიულობდნენ, თუმცა ჰარი მეგობარს ამშვიდებდა, შენ ხომ არ ხსნი მეჯლისს და პარტნიორის გარეშე თუ დარჩი, ჩემსავით არ შერცხვებიო.

– არა უშავს, ბოლოს და ბოლოს, მტირალა მირტლს წავიყვან და ეგ იქნება, – ჩაიბუზღუნა ჰარიმ.

მტირალა მირტლი მოჩვენება იყო, რომელიც პირველ სართულზე გოგონების ტუალეტში ბინადრობდა.

– ჰარი, სხვა გზა არ არის! თავზე ხელი უნდა ავიღოთ და საქმეს შევუდგეთ, – ისეთი ტონით თქვა რონმა პარასკევს დილით, თითქოს აუღებელ ციხესიმაგრეზე გალაშქრებას აპირებდნენ. – მოდი, დავთქვათ, ამ საღამოს ორივეს პარტნიორი გვეყოლება, თანახმა ხარ?

– ჰო... კარგი, – დათანხმდა ჰარი.

მაგრამ იმ დღეს ჰარიმ ვერც ერთხელ ვერ მოიხელთა ჩო მარტო. რამდენჯერაც თვალი მოჰკრა, ჯერ შესვენებაზე, მერე – სადილის დროს და ერთხელაც – დერეფანში მაგიის ისტორიის გაკვეთილზე მიმავალს, მეგობრებით იყო გარშემორტყმული. ნუთუ მარტო არსად დადიოდა? იქნებ ტუალეტთან ჩაუსაფრდეს? მაგრამ არა, იქაც ოთხიხუთი გოგოსგან შემდგარი ამალა აცილებდა. არადა, სწრაფად უნდა ემოქმედა, თორემ ჩოს დაპატიჟებას სხვა დაასწრებდა. სნეიპის შხამსაწინააღმდეგო საშუალების გამოცდაზე ყურადღება ისე ეფანტე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა, რომ მთავარი ინგრედიენტის – ბეზოარის – ჩამატება დაავიწ-ყდა და ყველაზე დაბალი ქულა მიიღო. მაგრამ ამაზე სანაღვლოდ არ ეცალა: გადამწყვეტი მოქმედებისთვის გამბედაობას იკრებდა.

როგორც კი ზარი დაირეკა, ჩანთას ხელი დაავლო, სარდაფის კარისკენ გაეშურა, რონსა და ჰერმიონს მიაძახა: „სადილზე გნახავ-თო," და კიბეზე ავარდა.

ახლა, მთავარი იყო, ჩოსთვის პირისპირ დალაპარაკება ეთხოვა... მის ძებნაში ჰარიმ ხალხით გადაჭედილი დერეფნები მოიარა და (ბევრად ადრე, ვიდრე მოელოდა) ბნელი ძალებისგან თავდაცვის კაბინეტიდან გამომავალი დაინახა.

– ისა, ჩო... შეიძლება, ცალკე დაგელაპარაკო?

ხითხითი კანონით უნდა აიკრძალოსო, გაიფიქრა გაცოფებულმა ჰარიმ, როცა ჩოს ირგვლივ ყველა გოგო ახითხითდა. მაგრამ ჩო მათ არ აჰყოლია, „კარგიო," თქვა და მეგობრებს გამოეყო.

ჰარიმ შეხედა და ენა მუცელში ჩაუვარდა.

– მმმ...

ვერა, ახლა ვერ დაპატიჟებდა, არ შეეძლო, მორჩა და გათავდა. მაგრამ სხვა გზაც რომ არ ჰქონდა! ჩო გაოცებული იდგა და უყუ-რებდა. ჰარის სიტყვები მანამდე დასცდა, სანამ პირში ენის მოტრი-ალებას მოახერხებდა.

– გინდამეჯლისზეჩემთანერთადწამოსვლა?

– რა თქვი? – ჩაეკითხა ჩო.

– მეჯლისზე... ჩემთან ერთად წამოხვალ? – გაიმეორა ჰარიმ. რაღა მაინცდამაინც ახლა წითლდება?!

– ააა! ო, ჰარი, მართლა ძალიან ვწუხვარ, – ჩოც წამოწითლდა და დაეტყო, რომ მართლა წუხდა, – მაგრამ უკვე სხვას დავპირდი.

– ჰო-ო-ო, – ამოღერღა ჰარიმ.

უცნაურია, წამის წინ მუცელში თითქოს გველები უფუთფუთებდა, ახლა კი საერთოდ ვეღარ გრძნობდა შიგნეულს.

– კარგი, – ამოღერღა ისევ, – არა უშავს.

– ძალიან ვწუხვარ, – გაიმეორა ჩომ.

– არა უშავს.

იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ, ბოლოს ჩომ თქვა:

– აბა...

– ჰო.

– აბა, კარგად.

საშინლად ალეწილი ჩო ჰარის გაეცალა.

ჰარიმ თავი ვერ შეიკავა და მიაძახა:

– ვისთან ერთად მიდიხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სედრიკთან... სედრიკ დიგორისთან ერთად.

– აჰა, გასაგებია.

შიგნეული ისევ დაუბრუნდა. მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მკერდში გამდნარი ტყვია ჩაეღვარა.

ვახშამი ვიღას ახსოვდა! ჰარი გრიფინდორის კოშკისკენ წაჩანჩალდა. ყოველ ნაბიჯზე ჩოს ხმა ჩაესმოდა ყურში: „სედრიკთან, სედრიკ დიგორისთან ერთად". არადა, უკვე თითქმის მოსწონდა სედრიკი, მზად იყო, დაევიწყებინა, რომ სედრიკმა ერთხელ ქვიდიჩში დაამარცხა; რომ სედრიკი სიმპათიური, პოპულარული და ყველასათვის საყვარელი ჩემპიონი იყო. ახლა უცებ მიხვდა, რომ სედრიკი, სინამდვილეში, ერთი უტვინო და ყეყეჩი ლამაზი ბიჭია.

– ჩინური ფანრები, – ჩაიბურტყუნა მოღუშულმა ჰარიმ. პაროლი წინადღეს შეიცვალა.

– სწორია, ძვირფასო! – დაიჟღურტულა ფუშფუშა ქალბატონმა, თმაზე ახალი პრიალა ოქროსფერი ლენტი შეისწორა, გვერდზე გაიწია და ჰარი გაატარა.

საერთო დარბაზში ჰარიმ მიმოიხედა და, მისდა გასაოცრად, შორეულ კუთხეში მიმჯდარი, მკვდარივით გაფითრებული რონი დაინახა. რონს გვერდით ჯინი მისჯდომოდა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა, თითქოს ანუგეშებსო. ჰარიმ სწრაფად მიირბინა მათთან.

– რა გჭირს, რონ? – რონმა შეძრწუნებული სახით ახედა. მერე გაბზარული ხმით შესჩივლა:

– ეს რა ვქენი! არ მესმის, ეს რამ გამაკეთებინა!

– რა გააკეთე ? – ჰკითხა ჰარიმ.

– რონმა... მმმ... ეს-ესაა, ფლერ დელაკური დაპატიჟა მეჯლისზე, – ძმის მაგივრად უპასუხა ჯინიმ, თან რონს ხელზე ეფერებოდა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სიცილს ძლივს იკავებსო.

– რაა? – გაოცდა ჰარი.

– არ ვიცი, რამ გადამრია! – ამოიხავლა რონმა, – ჭკუა სად მქონდა! ირგვლივ იმდენი ხალხი იყო... ალბათ, გავგიჟდი... ყველა მე მიყურებდა... ჰოლში იდგა და დიგორის ელაპარაკებოდა, გვერდით ჩავუარე და უცებ... არ ვიცი, რა დამემართა... ავდექი და დავპატიჟე.

რონმა დაიგმინა, თავი ხელებში ჩარგოდა და ძლივს განაგრძო:

– ისე შემომხედა, თითქოს ზღვის ლოქორა თუ იმაზე უარესი რაღაცა ვიყავი. პასუხის ღირსიც კი არ გამხადა. და მერე... არ ვიცი... უცებ გონს მოვეგე და გამოვიქეცი.

– ფლერს ვიილას სისხლი აქვს, – უთხრა ჰარიმ, – შენ მართალი იყავი. ბებია ვიილა ჰყავს. შენი ბრალი არაა. სანაძლეოს ჩამოვალ, დიგორის აჯადოებდა და გვერდით რომ ჩაუარე, ჯადომ შენზეც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმოქმედა. მაგრამ დროს ტყუილად კარგავს, დიგორი ჩო ჩენგთან ერთად მიდის.

რონმა თავი ასწია.

– ახლახან დავპატიჟე და ჩომ თვითონ მითხრა, – უხალისოდ აუხსნა ჰარიმ. ჯინი მაშინვე დასერიოზულდა.

– რა სიგიჟეა! – დაასკვნა რონმა, – გამოდის, მარტო მე და შენ დავრჩით პარტნიორის გარეშე, ჰო, კიდევ – ნევილი. აბა, გამოიცანი, ნევილმა ვინ დაპატიჟა? ჰერმიონი!

– რაო? – ჰარის ყველაფერი დაავიწყა ამ მოულოდნელმა ამბავმა.

– ჰო, – რონს სახეზე ფერი დაუბრუნდა და სიცილი დაიწყო, – ნევილმა შხამების გაკვეთილის ბოლოს მითხრა. ასე თქვა, ჰერმიონი ყოველთვის კეთილი იყო ჩემ მიმართ, მეცადინეობასა და სხვა ბევრ რამეში მეხმარებოდაო. მაგრამ ჰერმიონმა უარი უთხრა, სხვასთან ერთად მივდივარო. ჰმ! უბრალოდ, ნევილთან ერთად წასვლა არ უნდოდა. ვის ენდომება!

– გაჩუმდი! – გაუბრაზდა ჯინი, – ნუ დასცინი!

სწორედ ამ დროს პორტრეტის ხვრელში ჰერმიონი გადმოძვრა.

– ვახშამზე რატომ არ იყავით? – ჰკითხა ბიჭებს.

– იმიტომ, რომ... ოო, მოკეტეთ, ნუ იცინით... იმიტომ, რომ ორივემ გოგო დაპატიჟა მეჯლისზე და ორივე უარით გამოისტუმრეს, – აუხსნა ჯინიმ.

ჰარიმ და რონმა მაშინვე ხმა გაკმინდეს.

– უღრმესი მადლობა, ჯინი, – მწარედ თქვა რონმა.

– ლამაზები დაიტაცეს, რონ? – გამხიარულდა ჰერმიონი, – ელოიზ მიჯენი უკვე უშნოდ აღარ გეჩვენება, არა? გისურვებ, სადმე მიაგნო ვინმეს, ვინც უარს არ გეტყვის.

მაგრამ რონმა უცებ სულ სხვა თვალით შეხედა ჰერმიონს, თითქოს პირველად ხედავსო.

– ჰერმიონ, ნევილი მართალია, შენც ხომ გოგო ხარ!

– კარგია, რომ შეამჩნიე! – დაცინვით მიუგო ჰერმიონმა.

– ჰოდა, ხომ შეგიძლია, ჰარისთან ან ჩემთან ერთად წამოხვიდე?

– არა, არ შემიძლია!

– ოო! კარგი, ერთი! – მოთმინება დაეკარგა რონს, – ჩვენ პარტნიორები გვჭირდება. წარმოგიდგენია, რა სასაცილოები ვიქნებით, თუ ყველამ იშოვა, ჩვენ კი – ვერა.

– თქვენთან ერთად ვერ წამოვალ, – წამოწითლდა ჰერმიონი, – იმიტომ, რომ სხვას მივყვები.

– არაფერიც! – არ დაუჯერა რონმა, – ეგ იმიტომ თქვი, რომ ნევილი მოგეშორებინა თავიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა? – იფეთქა ჰერმიონმა და თვალებში სახიფათო ნაპერწკალმა გაურბინა, – შენ თუ სამი წელი დაგჭირდა იმის შესამჩნევად, რომ გოგო ვარ, რონ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვამაც ვერ შეამჩნია!

რონი თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა. მერე ჩაიღიმა.

– კარგი, კარგი, ვიცით, რომ გოგო ხარ. საკმარისია? ახლა წამოხვალ?

– მე უკვე გითხარი, სხვასთან ერთად მივდივარ-მეთქი! – უარესად გაბრაზდა ჰერმიონი და ისევ გოგონების ოთახისკენ გაქანდა.

– გვატყუებს, – დაასკვნა რონმა და ჰერმიონს თვალი გააყოლა.

– არ გატყუებთ, – ჩუმად თქვა ჯინიმ.

– მაშინ, ვისთან ერთად მიდის?

– ვერ გეტყვით, ეს მისი საქმეა, – უპასუხა ჯინიმ.

– გასაგებია, – რონი საშინლად გაჯავრებული ჩანდა, – არა, ეს უკვე სასაცილოა! ჯინი, მოდი, შენ ჰარისთან ერთად წადი, მე კი...

– არ შემიძლია, – ჯინი ყურებამდე გაწითლდა, – მე... მე ნევილთან ერთად მივდივარ. ნევილმა მე დამპატიჟა, ჰერმიონმა უარი რომ უთხრა. სხვანაირად მეჯლისზე ვერ წავიდოდი. მე ხომ ჯერ მეოთხე კურსზე არა ვარ, – ჯინი საცოდავი სანახავი იყო, – მე სავახშმოდ წავალ, – წამოდგა და პორტრეტის ხვრელისკენ თავჩაქინდრული წაჩანჩალდა...

რონი თვალებად ქცეული მიაჩერდა ჰარის:

– რა ჯანდაბა დაემართათ?

მაგრამ ამ დროს ჰარიმ ოთახში შემოსული პარვატი და ლევენდერი დაინახა. დადგა გადამწყვეტი მოქმედების დრო.

– აქ დამიცადე, – დაუბარა რონს და ჯიქურ გაემართა გოგონებისკენ.

– პარვატი, ჩემთან ერთად წამოხვალ მეჯლისზე?

პარვატის თავისებურად წამოუარა ხითხითმა. ჰარიმ მანტიის ჯიბეებში თითები გადააჯვარედინა და მოთმინებით დაელოდა, როდის დაწყნარდებოდა.

– კარგი, წამოვალ, – დათანხმდა პარვატი და საშინლად აილეწა.

– გმადლობ, – შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, – ლევენდერ, რონთან ერთად წახვალ?

– ლევენდერი სიმუსთან ერთად მიდის, – უპასუხა პარვატიმ და ორივე ისევ აუტანლად ახითხითდა.

ჰარიმ ამოიოხრა.

– რონისთვის არავინ გეგულებათ? – ხმას დაუწია, რომ რონს ვერ გაეგო.

– ჰერმიონ გრეინჯერი? – შესთავაზა პარვატიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სხვას მიჰყვება.

პარვატი გაოგნდა.

– ვა�ა! ვის? – იკითხა ცნობისმოყვარედ.

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– აზრზე არა ვარ. რონს რა ვუყოთ?

– რა ვიცი, – შეყოყმანდა პარვატი, – იქნებ ჩემმა დამ შეძლოს... პადმას ხომ იცნობ... რეივენქლოშია. თუ გინდა, ვკითხავ.

– ჰო, ძალიან კარგი იქნება, – გაუხარდა ჰარის, – პასუხი შემატყობინე, კარგი?

„არა, ეს მეჯლისი ამდენ ხათაბალად არ ღირსო“, გაიფიქრა რონისკენ მიმავალმა ჰარიმ. ახლა იმის იმედადღა იყო, რომ პადმა პეტილს ცხვირი ზუსტად თავის ადგილზე ჰქონდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრამეტე

საშობაო მეჭლისი

მეოთხეკურსელებს საშობაო არდადეგებზე უამრავი საშინაო დავალება მისცეს, მაგრამ ჰარი საერთოდ არ იყო მეცადინეობის გუნებაზე, შობის წინაკვირას სხვების მსგავსად გულიანად შეიქცია თავი. გრიფინდორის კოშკი ახლა ისეთივე ხალხმრავალი იყო, როგორც სწავლის პერიოდში, თითქოს ზომაშიც დაპატარავდა, რადგან კოშკის ბინადარნი ჩვეულებრივზე მეტად იკლებდნენ იქაურობას. ფრედისა და ჯორჯის „იადონის ფუნთუშებს“ არნახული წარმატება ხვდა წილად, არდადეგების პირველ დღეებში ხან ვინ იფარებოდა ბუმბულით და ხანაც – ვინ! გრიფინდორელებმა მალე ისწავლეს, რომ სხვის შემოთავაზებულ საჭმელს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდნენ, რადგან შეიძლებოდა, სილრმეში „იადონის ფუნთუშა“ ყოფილიყო დამალული. ჯორჯმა ჰარის გაუმხილა, რომ ის და ფრედი ახალ რაღაცას იგონებდნენ, და ჰარიმ მტკიცედ გადაწყვიტა, მომავალში ტყუპებისთვის ხრაშუნა კარტოფილიც კი არ გამოერთმია. დადლი და „ენადიდა ნუგა“ ჯერ არ დავიწყებოდა.

ციხესიმაგრეს და მის შემოგარენს უხვად ათოვდა. ბობატონის ღია ცისფერი ეტლი დიდ გაყინულ გოგრას ჰგავდა, მის გვერდით ჰაგრიდის ქოხი კი – ყინულით დაფარულ თაფლაკვერს, დურმსტრანგის გემის ილუმინატორები ყინვას მოეხატა, გემსართავზე კი ლოლუები ეკიდა. ქვემოთ, სამზარეულოში, შინაური ელფები მუშაობით თავს იკლავდნენ და ციხე-კოშკის მკვიდრთ ნოყიერი, ცხელი ჩაშუშული ხორცითა და მადისაღმძვრელი პუდინგებით ამარაგებდნენ. მხოლოდ და მხოლოდ ფლერ დელაკური პოულობდა წუწუნის მიზეზს.

ერთ საღამოს, დიდი დარბაზიდან გასვლისას, გაიგონეს, როგორ ჩიოდა მათ წინ მიმავალი ფლერი (რონი ჰარის ამოეფარა, რომ ფლერს არ დაენახა):

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს ოგვოლტსის საჩმელი ზალიან მზიმეა. ჩემ გამოსასვლელ მანტიაში ველაღ ჩავეტევი.

– ოო, ამისგანაც ტრაგედია შექმნა! – ტუჩი აიბზუა ჰერმიონმა, როცა ფლერი ჰოლში გავიდა, – რა დიდი წარმოდგენა აქვს ამ გოგოს თავის თავზე!

– ჰერმიონ, ვისთან ერთად მიდიხარ მეჯლისზე? – ჰკითხა რონმა.

რონი წამდაუწუმ უმეორებდა ამ კითხვას, ეტყობა, იმედი ჰქონდა, მოულოდნელად თუ ჰკითხავდა, პასუხს წამოაცდენინებდა. მაგრამ ჰერმიონი მხოლოდ მოიღუშა და ისე უპასუხა:

– არ გეტყვი, იმიტომ, რომ მასხრად ამიგდებ.

– ხუმრობ, უისლი? – გაისმა მათ უკან მალფოის ხმა, – ახლა არ მითხრა, რომ ვინმემ ეს დაპატიჟა! ეგ ნაფოტაკბილება მუქსისხლიანი?!

ჰარი და რონი მაშინვე მიუტრიალდნენ, მაგრამ ჰერმიონმა მალფოის უკან ვილაცას ხელი დაუქნია და ხმამაღლა დაიძახა:

– დილა მშვიდობისა, პროფესორო მუდი!

მალფოის ფერი წაუვიდა, უკან გადახტა და თვალები დააცეცა, მაგრამ მუდი ჯერაც მასწავლებლების მაგიდასთან იჯდა და მოშუშულ ხორცს მიირთმევდა.

– ერთი პატარა მშიშარა ქრცვინი ხარ, მალფოი, და მეტი არაფერი! – გესლიანად უთხრა ჰერმიონმა და სამივენი გულიანი ხარხარით აუყვნენ მარმარილოს კიბეს.

– ჰერმიონ, – რონმა უცებ შუბლი შეიკრა და ცერად გახედა გოგონას, – შენი კბილები...

– რა სჭირს ჩემს კბილებს?

– სხვანაირი გახდა... ახლაღა შევამჩნიე...

– რა თქმა უნდა, სხვანაირია, აბა, იმ ეშვებს ხომ არ დავიტოვებდი, მალფოიმ რომ გამიჩინა?

– არა, იმის თქმა მინდა, რომ ვიდრე მალფოი შელოცვას გესროდა, მანამდეც სხვანაირი კბილები გქონდა... ახლა კი სწორი და ჩვეულებრივი ზომისაა.

ჰერმიონმა ეშმაკურად გაიღიმა და ჰარიმაც შეამჩნია, რომ ეს ღიმილი უწინდელისგან ბევრად განსხვავდებოდა.

– მადამ პომფრისთან კბილების დასაპატარავებლად რომ ავედი, სარკე მომცა და გამაფრთხილა, როგორც კი უწინდელ ზომას დაიბრუნებენ, მანიშნეო, – აუხსნა ბიჭებს ჰერმიონმა, – და მე... ცოტა გვიან ვანიშნე, – ჰერმიონმა უფრო ფართოდ გაიღიმა, – დედა და მამა უკმაყოფილონი დარჩებიან. რამდენი ხანია, ვთხოვ, რომ ნება მომცენ, ცოტა დავიპატარაო, მაგრამ მათ უნდოდათ, კიდევ მეტა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რებინა კბილების გასასწორებელი ფირფიტა. ხომ იცით, ისინი სტომატოლოგები არიან და ჰგონიათ, რომ ჯადოქრობა და კბილები ვერ... შეხედეთ, ბუკნაჭო დაბრუნებულა.

ლოლუებით დახუნძლულ კიბის მოაჯირზე შემოსკუპებული რონის პაწაწინა ბუ გადარეული ჟივჟივებდა. ფეხზე პერგამენტის დახვეული ნაგლეჯი ჰქონდა შებმული. კიბეზე ამვლელ-ჩამვლელნი მისკენ თითს იშვერდნენ და იცინოდნენ. რამდენიმე მესამეკურსელი გოგონა შეჩერდა:

– ვაი, შეხედეთ ამ პაწაწკინტელა ბუს! რა საყვარელია, არა?

– ოჰ, შე ბუმბულის გროვა! – გაუწყრა რონი, კიბეზე სწრაფად ავიდა და ბუკნაჭოს ხელი სტაცა, – წერილი ზუსტად ადრესატამდე მოიტანე ხოლმე! თავის გამოსაჩენად კი ნუ დაბრძანდები აქეთ-იქით!

რონის მუშტიდან თავგამოყოფილი ბუკნაჭო მხიარულად აჭყვიტინდა. მესამეკურსელი გოგონები გაოგნებულები მიაჩერდნენ.

– აბა, მოუსვით აქედან! – დაუცაცხანა მათ რონმა და ბუკნაჭოიანი მუშტი მოუქნია, ბუკნაჭო კიდევ უფრო მხიარულად აკივლდა. საშინლად შეურაცხყოფილმა მესამეკურსელებმა იკადრეს და ფაცხაფუცხით გაცვივდნენ.

– აი, ჰარი, აიღე, – ჩურჩულით უთხრა რონმა და ბუკნაჭოს ფეხიდან სირიუსის წერილი შეხსნა. ჰარიმ ჯიბეში ჩაიდო და წასაკითხად სამივენი გრიფინდორის კოშკისკენ გაიქცნენ.

საერთო ოთახში ერთი აურზაური იდგა. ყველა თავისთვის ერთობოდა და არავის ეცალა სხვის სათვალთვალოდ. ჰარი, რონი და ჰერმიონი თოვლისგან ჩაბნელებულ ფანჯარასთან განაპირდნენ და ჰარიმ ხმამაღლა წაიკითხა:

„ძვირფასო ჰარი,

გილოცავ პირველი წლის წარმატებით გავლას. დარწმუნებული ვარ, იმედი მწარედ გაუცრუვდა იმას, ვინც შენი სახელი ცეცხლოვან თასში ჩააგდო! მე ვაჭირებდი ჯინიუნქლივლის შელოცვა მერჩია, რადგან დრაჯინის ყველაზე სუსტი ადგილი თვალებია...“

– კრამმაც სწორედ ეს გამოიყენა, – დაიჩურჩულა ჰერმიონმა.

„შენ ჯი უკეთესი რაღაც მიგიფიქრია. ყოჩაღ!

მაგრამ, იცოდე, გულს ნუ დაიარხეინებ. ჯერ მხოლოდ ერთი დავალება შეასრულე. მას, ვინც შენ წერილში ჩაგრთო, ალბათ უამრავი შესაძლებლობა ექნება შენთვის ბიანის მოსა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყენებლად. ფხიზლად იყავი, განსაკუთრებით მაშინ, რაცა ის ჰიროვნება, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, ახლომახლო იქნება, და ეცადე, რამე შარში არ გაეხვიო.

ხშირად მიმწერე. შემაცყობინე, თუ ჰოგვორტსში რამე უჩვეულო მოხდა.

სირიუსი."

– ისიც ზუსტად მუდივით ლაპარაკობს, – ჩურჩულით თქვა ჰარიმ და წერილი მანტიაში ჩამალა, – „მუდმივი სიფხიზლე!" გეგონება, თვალდახუჭული დავდივარ და კედლებს ვეჯახები...

– მაგრამ ის მართალია, ჰარი, – შეეპასუხა ჰერმიონი, – წინ კიდევ ორი დავალება გელის. დროა, იმ კვერცხს მიხედო და გამოცანაზე ფიქრი დაიწყო...

– ჰერმიონ, კიდევ უამრავი დროა დარჩენილი! ჰარი, გინდა, ერთი ხელი ჭადრაკი ვითამაშოთ? – შესთავაზა რონმა.

– ვითამაშოთ, – დათანხმდა ჰარი, შემდეგ ჰერმიონის გამომეტყველება დაინახა და თავი გაიმართლა: – კარგი, რა. როგორ უნდა ვიფიქრო ამ ხმაურში? კვერცხის ხმასაც კი ვერ გავიგონებ, ისეთი ღრიანცელი დგას.

– ალბათ, მართალი ხარ, – ამოიოხრა ჰერმიონმა და ჭადრაკის თამაშის საყურებლად დაჯდა. თამაში რამდენიმე სვლაზე, ორი თავზეხელაღებული პაიკისა და ძალზე ბობოქარი კუს წყალობით, რონის ბრწყინვალე შამათით დასრულდა.

* * *

შობა დილას ჰარის უცაბედად გაეღვიძა. გაოცებულმა, ნეტავ ასე ანაზდად რამ გამომაფხიზლაო, თვალები გაახილა და კინაღამ საწოლიდან გადმოვარდა: სიბნელიდან ვეება, მრგვალი, მწვანე თვალები მისჩერებოდა და ცხვირი ლამის მის ცხვირზე მიედო.

– დობი! – შეჰყვირა ჰარიმ, – რას შვრები!

– დობი ბოდიშს იხდის, სერ! – დაიწრიპინა აღელვებულმა ელფმა, უკან გადახტა და გრძელი თითები პირზე აიფარა. – დობის მარტო ის უნდა, ჰარი პოტერს უთხრას „შობას გილოცავ", და საჩუქარი მიართვას, სერ! ჰარი პოტერმა ხომ თქვა, დობის ხანდახან შეუძლია, მოვიდეს და მინახულოსო.

– კარგი, კარგი, – ჰარი მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ გული თანდათან საგულეში ჩაუდგა, – უბრალოდ... უბრალოდ, მომავალში შემან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯლრიე, თუ მძინარე მნახო, ოლონდ ასე ახლოს აღარ მოხვიდე, კარგი?

ჰარიმ ფარდები გადასწია, ტუმბადან სათვალე აიღო და ცხვირზე მოირგო. მისმა ყვირილმა რონი, სიმუსი, დინი და ნევილი გააღვიძა. თვალებდასიებულები და თმაგაჩეჩილები იჭყიტებოდნენ გადაწეული ფარდებიდან.

– ჰარი ცოცხალი ხარ? რა მოხდა? – ნამძინარევი ხმით ჰკითხა სიმუსმა.

– არაფერი. დობია, – წყნარად უთხრა ჰარიმ, – დაიძინე.

– ვააჰ, საჩუქრები! – სიმუსმა საწოლის ფეხებთან საჩუქრების დიდი გროვა დაინახა. რონმა, დინმა და ნევილმაც გადაწყვიტეს, რაკიღა გავიღვიძეთ, ბარემ საჩუქრები გავხსნათო. ჰარი ისევ დობის მიუბრუნდა, რომელიც ახლა დამნაშავესავით ყურებჩამოყრილი იდგა საწოლთან, განიცდიდა, რომ ჰარი გააღვიძა. შალითის წვერზე ნაძვის ხის სათამაშო ეკიდა. ერთხანს ასე იდგა, ბოლოს გაუბედავად დაიწრიპინა:

– შეიძლება, დობიმ ჰარი პოტერს საჩუქარი მისცეს?

– რა თქმა უნდა, შეგიძლია, – ნება მისცა ჰარიმ, – ჰო... მეც მაქვს შენთვის რაღაც.

ეს ტყუილი იყო, დობისთვის არაფერიც არ ჰქონდა ნაყიდი, მაგრამ ჰარიმ საჩქაროდ გახსნა ჩემოდანი და ძია ვერნონის ნაქონი ძველი, მდოგვისფერი წყვილი წინდა ამოაძვრინა. ცალი წინდა გაგანიერებული იყო, რადგან მასში ჰარი ბოლო ერთი წლის განმავლობაში მავნოსკოპს ინახავდა. მავნოსკოპი ამოაძრო და წინდები დობის გადასცა:

– ბოდიში, დამავიწყდა, შემეფუთა.

მაგრამ დობი სიხარულით ცას ეწია.

– წინდა დობის უსაყვარლესი, უსაყვარლესი ტანსაცმელია, სერ! – თავისი ცალ-ცალი წინდა გაიძრო და ძია ვერნონის ნაქონი ამოიცვა. – უკვე შვიდი მაქვს, სერ... მაგრამ, სერ... – ორივე წინდა შორტებამდე აქაჩა და თვალები გაუფართოვდა, – მაღაზიაში შეცდომა მოსვლიათ, ჰარი პოტერ, ორი ერთნაირი მოუციათ!

– აბა, ჰარი, ეგ როგორ გამოგეპარა! – გაეცინა საწოლზე წამომჯდარ, შესაფუთ ქაღალდებში ჩაფლულ რონს, – იცი, რას გეტყვი, დობი? მოდი აქ, აი, ეს ორი წინდაც აიღე და ფერებს კარგად აურევ ერთმანეთში. ესეც შენი სვიტერი.

და დობის ახალთახალი იისფერი წინდა და ქალბატონ უისლის ხელით მოქსოვილი ჯემპრი გადასცა.

დობის გული აუჩუყდა.

– ბატონი ძალიან კეთილია! – დაიწრიპინა და თვალცრემლიანმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონს თავი იატაკამდე დაუკრა,– დობიმ იცოდა, რომ ბატონი დიდი ჯადოქარი უნდა ყოფილიყო, რადგან ის ჰარი პოტერის უახლოესი მეგობარია, მაგრამ დობიმ არ იცოდა, რომ ისიც ასეთი კეთილშობილი, გულუხვი, უანგარო...

– კარგი, ერთი, დობი, ეს ხომ წინდებია და მეტი არაფერი, – შეაწყვეტინა ყურებამდე გაწითლებულმა რონმა, თუმცა საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა, – ვაააა, ჰარი, მაგარია!– მან ჰარის საჩუქარი – ჩადლი ქენონზის ქუდი – თავზე ჩამოიფხატა. წითურ თმაზე ნარინჯისფერი ქუდი ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა.

დობიმ ჰარის პატარა შეკვრა გადასცა, მასში არც მეტი, არც ნაკლები, წყვილი წინდა აღმოჩნდა.

– დობიმ ისინი თვითონ მოქსოვა, სერ! – სიამაყით აცნობა ელფმა, – დობიმ მატყლი საკუთარი ხელფასით იყიდა.

დობის მარცხენა ჭყეტელა წითელ წინდაზე ცოცხები ამოექარგა, მარჯვენა მწვანე წინდაზე კი – სნიჩები.

– ისინი ძალიან... ძალიან... გმადლობ, დობი, – ჰარიმ წინდები ჩაიცვა, რის გამოც დობის თვალებზე ისევ სიხარულის ცრემლები მოადგა.

– დობი ახლა უნდა წავიდეს, სერ, სამზარეულოში უკვე საშობაო სუფრას ვამზადებთ! – დობიმ ხელი დაუქნია რონსა და დანარჩენებს და აჩქარებით გავიდა საძინებლიდან.

ჰარის სხვა საჩუქრები ბევრად უფრო მოეწონა, ვიდრე დობის ცალ-ცალი წინდა, რასაკვირველია, დერსლების გამოგზავნილი იაფფასიანი ქაღალდის ხელსახოცის გარდა. როგორც ჩანს, „ენადიდა ნუგა“ არც მათ დავიწყებოდათ. ჰერმიონისაგან წიგნი მიიღო – „დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქვიდიჩის გუნდები“, რონისგან – ნეხვის ბომბებით გატენილი ტომარა. სირიუსმა ჯიბის დანა აჩუქა, რომელსაც ნებისმიერი ურდულისა და კვანძის გასახსნელი მოწყობილობა ჰქონდა, ჰაგრიდმა ტკბილეულით სავსე ვეება ყუთი გამოუგზავნა: ბერტი ბოტის ყველანაირი გემოს კანფეტები, შოკოლადის ბაყაყები, დრუბლზის საუკეთესო გასაბერი საღეჭი რეზინები და შუშხუნა-ზუზუნა კანფეტები. აქვე იყო, რა თქმა უნდა, ქალბატონ უისლის ტრადიციული საჩუქარი, ამჯერად – მწვანე ჯემპრი, რომლის მკერდზეც დრაკონი ამოექარგა (ალბათ, ჩარლი ყველაფერს მოუყვა რქაკუდაზე), და შინაური ტკბილეული.

ჰარი და რონი ჰერმიონს საერთო დარბაზში შეხვდნენ და სასაუზმოდ ერთად ჩავიდნენ. თითქმის მთელი დილა გრიფინდორის კოშკში გაატარეს, სადაც თავიანთი საჩუქრებით ერთობოდნენ, შემდეგ დიდ დარბაზში დაბრუნდნენ დიდებული ლანჩის მისართმე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვად. სუფრაზე ასობით შემწვარი ინდაური და საშობაო პუდინგი იდო, ჯადოსნური სატკაცუნოები კი გროვებად იდგა.

ნაშუადღევს ეზოში ჩავიდნენ. თოვლი ხელუხლებელი დახვდათ, მხოლოდ გემისა და ეტლისკენ მიდიოდა ბობატონისა და დურმსტრანგის სტუდენტების ღრმა ნაკვალევი. ჰერმიონმა ჰარისა და უისლებთან გუნდაობას მათი ცქერა არჩია, ხუთ საათზე კი განაცხადა, ციხე-კოშკში უნდა ავიდე მეჯლისისთვის მოსამზადებლადო.

– რაა? მოსამზადებლად სამი საათი გჭირდება? – განცვიფრებულმა რონმა გოგონას ახედა. ყურადღების მოდუნება ძვირად დაუჯდა: ჯორჯის მიერ ნასროლი დიდი გუნდა პირდაპირ სახეში დაეძგერა, – ვისთან ერთად მიდიხარ? – დაუყვირა ჰერმიონს, მაგრამ მან მხოლოდ ხელი დაუქნია, ქვის კიბეებზე აირბინა და ციხე-კოშკში გაუჩინარდა.

სამხარზე კოშკში არ ასულან, რადგან მეჯლისზე ნადიმიც გაიმართებოდა, ამიტომ საღამოს შვიდი საათისთვის, როდესაც მიზანში მოხვედრება თითქმის შეუძლებელი გახდა, სხვებმაც მიატოვეს გუნდაობა და საერთო ოთახში დაბრუნდნენ. ფუშფუშა ქალბატონი ჩარჩოში თავის ქვედასართულელ მეგობართან, ვიოლეტასთან ერთად იჯდა, ორივენი გვარიანად შემთვრალიყვნენ, სურათის ძირში ლიქიორიანი შოკოლადის დაცარიელებული ყუთები ეყარა.

– ჩინური ფანრები! – პაროლი უთხრეს ბიჭებმა.

– ფინური ჩანრები, სწორია! – ჩაიხითხითა ფუშფუშამ და ბიჭები გაატარა.

საძინებელში ჰარიმ, რონმა, სიმუსმა, დინმა და ნევილმა სადღესასწაულო მანტიები ჩაიცვეს. ყველა ძალიან ღელავდა, ყველაზე მეტად კი – რონი, რომელმაც საკუთარი თავი კუთხეში მდგარ გრძელ სარკეში შეძრწუნებულმა შეათვალიერა. თვალს ვერ დახუჭავდა იმაზე, რომ მისი მანტია კაბას უფრო ჰგავდა, ვიდრე სხვა რამეს. უფრო მამაკაცური იერი რომ მიეცა, სასოწარკვეთილმა რონმა საყელოსა და მანჟეტებზე გამჭრელი ჯადო გამოიყენა. ჯადომ საკმაოდ კარგად გაჭრა, ყოველ შემთხვევაში, რონმა ის საძულველი მაქმანები მოიშორა, თუმცა ოპერაციამ გარკვეული კვალი მაინც დატოვა: მანტიის გაცვეთილ კიდეებზე ფოჩი დარჩა. ბოლოს რონმა ხელი ჩაიქნია და ქვევით ჩავიდა.

– მაინც არ მესმის, ამ კურსზე ყველაზე ლამაზი გოგონები როგორ იშოვეთ პარტნიორებად, – წაიბუტბუტა დინმა.

– ბუნებრივი მიმზიდველობა, – ჩაიბუზღუნა რონმა და მანჟეტიდან გამოჩრილი ძაფი გამოაძრო.

საერთო ოთახი უცნაურად გამოიყურებოდა, რადგან, ჩვეული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შავი ფორმების ნაცვლად, ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხით იყო სავსე. პარვატი კიბის ბოლოში ელოდა ჰარის. გოგონას ძალიან უხდებოდა ალუბლისფერი მანტია. გრძელ, შავ ნაწნავში ოქროსფერი ლენტი ჩაეწნა და მაჯებზედაც ოქროს სამაჯურები უბრწყინავდა. ჰარის გულზე მოეშვა, როცა დაინახა, რომ პარვატი არ ხითხითებდა.

– ძალიან... ისა... ლამაზად გამოიყურები, – თქვა უხერხულად.

– გმადლობ, – მიუგო პარვატიმ და რონს მიუბრუნდა: – პადმა ჰოლში შეგხვდება.

– კეთილი, – რონმა მიმოიხედა, – ჰერმიონი სად არის?

პარვატიმ მხრები აიჩეჩა.

– დაბლა ჩავიდეთ, ჰარი?

– ჩავიდეთ, – დათანხმდა ჰარი, გულში კი ინატრა, ნეტავ საერთო ოთახში დარჩენა შემეძლოსო. პორტრეტის ხვრელიდან ფრედი გამოვიდა და ჰარის რომ ჩაუარა, თვალი ჩაუკრა.

ჰოლშიც უამრავი სტუდენტი ირეოდა. ყველა დიდი დარბაზის კარის გაღებას ელოდა. ისინი, ვინც პარტნიორს სხვა კლუბიდან ხვდებოდნენ, ბრბოში გვერდულად იკვლევდნენ გზას და ერთმანეთს ეძებდნენ. პარვატიმ თავისი და, პადმა მონახა და ჰარისთან და რონთან მიიყვანა.

– გამარჯობა, – ღია ზურმუხტისფერ მანტიაში გამოწყობილი პადმა დას სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ თავისი კავალრით მაინცდამაინც არ მოხიბლულა. რონი უკმაყოფილოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა და შავი თვალები წამით მისი მანტიის გაცვეთილ საყელოსა და სახელოებზე შეაჩერა.

– გამარჯობა, – მიესალმა რონიც, მაგრამ მისთვის ზედაც არ შეუხედავს, თვალით ბრბოში ვიღაცას ეძებდა, – ო, არა...

რონი დაიკუზა და ჰარის ამოეფარა, რადგან მოვერცხლისფრომორუხო სატინის მანტიაში გამოწყობილმა საოცრად მშვენიერმა ფლერმა ჩაიარა რეივენქლოს ქვიდიჩის გუნდის კაპიტნის, როჯერ დევისის თანხლებით. როგორც კი თვალს მიეფარნენ, რონი წელში გაიმართა და კისერწაგრძელებულმა კვლავ ხალხს გადახედა ზემოდან.

– სად არის ჰერმიონი? – იკითხა ისევ.

მიწისქვეშა საერთო დარბაზიდან სლიზერინელები ამოვიდნენ. მათ მალფოი მოუძღოდა. შავი ხავერდის მაღალსაყელოიან მანტიაში, ჰარის აზრით, ქორეპისკოპოსს ჰგავდა. ფურჩალებიან ღია ვარდისფერ მანტიაში გამოპრანჭულ პენსი პარკინსონს მალფოისთვის ხელკავი გამოედო. კრაბსა და გოილს მწვანე მანტიები ეცვათ და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხავსით დაფარულ ლოდებს ჰგავდნენ. ჰარიმ სიამოვნებით შეამჩნია, რომ ვერც ერთ მათგანს მეწყვილის პოვნა ვერ მოეხერხებინა.

მუხის მთავარი კარი გაიღო და ჰოლში პროფესორ კარკაროვთან ერთად დურმსტრანგელი სტუდენტები შემოვიდნენ. ყველა მათკენ მიტრიალდა. კრამი წინ მოდიოდა, მას ცისფერმანტიიანი ლამაზი უცნობი გოგონა ახლდა. ჰარიმ მოასწრო გაღებულ კარში დაენახა, რომ ციხე-კოშკის ეზო ჩინური ფარნებით მოერთოთ, ხელოვნური მღვიმე ვარდის ბუჩქებით გაევსოთ, შიგადაშიგ კი თოვლის პაპისა და ირმების ქანდაკებები დაედგათ. ვარდის ბუჩქებსა და ქანდაკებებს ზემოდან ნაირფერი ციცინათელები დაჰფარფატებდნენ. ესენი ნამდვილი ცოცხალი ფერიები იყვნენ, ოღონდ – პაწიები.

ამ დროს პროფესორ მაკგონაგელის ხმა გაისმა:

– ჩემპიონებს გთხოვთ, აქეთ წამობრძანდეთ!

სახეგაბრწყინებულმა პარვატიმ ლენტი შეისწორა, ის და ჰარი რონსა და პადმას დროებით დაემშვიდობნენ და წინ გავიდნენ. აყაყანებული ბრბო შუაზე გაიყო და წყვილი გაატარა. პროფესორმა მაკგონაგელმა, რომელსაც წითელი, კუბოკრული სადღესასწაულო მანტია ემოსა და ქუდის ფარფლზე ნარშავისგან დაწნული საკმაოდ უშნო გვირგვინი დაემაგრებინა, ჩემპიონები და მათი პარტნიორები გააფრთხილა, დიდი დარბაზის კარის ერთ მხარეს დაიცადეთ, სანამ სხვები შიგნით არ შევლენო. ისინი წყვილ-წყვილად, საზეიმოდ უნდა შესულიყვნენ დარბაზში, როცა დანარჩენი მოსწავლეები მაგიდებს მიუსხდებოდნენ. ფლერ დელაკური და როჯერ დევისი კართან პირველები დადგნენ. დევისს, ეტყობა, თვითონაც არ სჯეროდა, რომ ასე გაუღიმა ბედმა, და მეწყვილეს თვალს ვერ აშორებდა. სედრიკი და ჩოც ახლოს იდგნენ ჰარისთან. ჰარიმ მზერა მოარიდა, რადგან სულაც არ უნდოდა მათთან დალაპარაკება, მეორე მხარეს გაიხედა და თვალი შემთხვევით კრამის თანმხლებ გოგონას შეავლო. ჰარის ყბა ჩამოუვარდა:

ჰერმიონი!

მაგრამ ჰერმიონი სულაც არ ჰგავდა ჰერმიონს: ხშირი თმა, როგორღაც, სწორი და პრიალა გაეხადა და ელეგანტურად შეეკრა კეფაზე. კესანესფერი ჰაეროვანი მანტია ეცვა და თავიც თითქოს სხვანაირად ეჭირა. შეიძლება, ეს იმის ბრალი იყო, რომ ზურგს ჩვეულებისამებრ აღარ უმძიმებდა ოციოდე წიგნით სავსე ჩანთა. თანაც იღიმებოდა, თუმცა, ოდნავ უხერხულად. წინა კბილები აშკარად დაპატარავებოდა. ჰარი გაოცებული იყო, ეს აქამდე რატომ ვერ შევამჩნიეო.

– გამარჯობა, ჰარი! – მიესალმა ჰერმიონი, – გამარჯობა, პარვატი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაოცებისგან პირდაღებული პარვატი მოურიდებლად მიაჩერდა, მაგრამ პარვატი არ ყოფილა გამონაკლისი: როცა დიდი დარბაზის კარი გაიღო და ხალხის ნაკადმა შიგნით დაიწყო დინება, ბიბლიოთეკაში მოწრიალე კრამის ფანკლუბმაც ჩაიარა და ჰერმიონს სიძულვილით აღსავსე მზერა ესროლა. მალფოის გვერდით მომავალ პენსი პარკინსონს თვალები გაუფართოვდა, თვით მალფოისაც კი ყველა სალანძღავი სიტყვა გადაავიწყდა. სამაგიეროდ, რონმა ისე ჩაიარა, ჰერმიონისთვის ზედაც არ შეუხედავს.

როგორც კი ყველამ დაიკავა ადგილი დიდ დარბაზში, პროფესორმა ჩემპიონებს განუცხადა, თქვენ-თქვენს პარტნიორთან დაწყვილდით და მომყევითო. ასეც მოიქცნენ. დიდ დარბაზში შესულებს ყველა ტაშით შეხვდა. მაკგონაგელმა ისინი დარბაზის თავში, დიდი მრგვალი მაგიდისკენ წაიყვანა. მაგიდასთან ჟიურის წევრები ისხდნენ.

დარბაზის ვერცხლისფრად შეჭირხლული კედლები ციმციმებდა, ვარსკვლავებით მოჭედილი ჭერიდან ფითრისა და ბაძგის ასობით გირლანდი ეშვებოდა. კლუბების მაგიდები აეღოთ და, მათ ნაცვლად, მომცრო ფარნებით განათებული ასიოდე, თორმეტ კაცზე გათვლილი მაგიდა დაედგათ.

ჰარი შეეცადა, ფეხი არაფრისთვის წამოეკრა. პარვატი საყოველთაო ყურადღებით ტკბებოდა, ყველას უღიმოდა და ჰარის ისეთი ძალით ექაჩებოდა წინ, ბიჭს ეგონა, კონკურსში მონაწილე ძაღლი ვარ და ჩაბმული საყელურით მივყავარო. მთავარ მაგიდას რომ მიუახლოვდა, რონსა და პადმას მოჰკრა თვალი. თვალებმოწკურულმა რონმა ჰერმიონს გააყოლა მზერა. პადმა მოღუშული ჩანდა.

მთავარ მაგიდასთან მჯდარმა დამბლდორმა ჩემპიონებს მხიარულად გაუღიმა, მაგრამ კარკაროვმა კრამისა და ჰერმიონის დანახვაზე ზუსტად რონისნაირი გამომეტყველება მიიღო. ლუდო ბეგმანს ყვითელი, ოქროსვარსკვლავებამოქარგული ჭყეტელა წითელი მანტია ემოსა და სტუდენტებზე არანაკლები ენთუზიაზმით უკრავდა ტაშს. მადამ მაქსიმს თავის ჩვეულ შავი სატინის სამოსზე უარი ეთქვა და იასამნისფერი აბრეშუმის კაბა ჩაეცვა. იგი თავაზიანი ტაშით ესალმებოდა ჩემპიონებს. ჰარიმ შეამჩნია, რომ ბარტი კრაუჩი იქ არ იყო. მის ნაცვლად მეხუთე სკამზე პერსი უისლი წამოსკუპებულიყო.

როცა ჩემპიონებმა და მათმა პარტნიორებმა მაგიდას მიაღწიეს, პერსიმ გვერდით ცარიელი სკამი გამოსწია და ჰარის მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. ჰარი მიუხვდა და გვერდით მიუჯდა. პერსის ახალთახალი მუქი ლურჯი საზეიმო მანტია ეცვა და დიდად თავმომწონე იერი ჰქონდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დამაწინაურეს, – სანამ ჰარი რამეს ჰკითხავდა, ისეთი ტონით ახარა, თითქოს ეუბნებოდა, სამყაროს უზენაეს მმართველად ამირჩიესო, – ახლა უკვე ბატონ კრაუჩის პირადი თანაშემწე ვარ და აქ მას წარმოვადგენ.

– თვითონ რატომ არ მოვიდა? – ჰკითხა ჰარიმ. სულაც არ იყო იმის გუნებაზე, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ქვაბების თაობაზე მორიგი ლექცია მოესმინა.

– სამწუხაროდ, ბატონი კრაუჩი ავად არის. ძალიან ავად. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სულ შეუძლოდ გრძნობს თავს. არცაა გასაკვირი: მუშაობით გადაიღალა, წლებიც თავისას შვრება. თუმცა, რა თქმა უნდა, ჭკუა ისევე უჭრის – ასაკი დიად გონებას ვერაფერს დააკლებს. მაგრამ, ჯერ იყო და, მსოფლიო ჩემპიონატზე სამინისტრომ სრული ფიასკო განიცადა, მერე, ბატონ კრაუჩზე მძიმედ იმოქმედა იმ თავისი შინაური ელფის, ბლინკი, თუ რა ვიცი, რა ჰქვია, იმისმა უგვანმა საქციელმა. ბუნებრივია, ელფი მაშინვე დაითხოვა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ასაკი ემატება, ზრუნვა ესაჭიროება და ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც ელფი გააგდო, იგრძნო, რომ მსახურის ხელი დააკლდა. თანაც, ეს ტურნირი გვქონდა მოსამზადებელი, ჩემპიონატის მძიმე შედეგებზეც უნდა გვეგო პასუხი! ის საზიზღარი ქალი, სკიტერიც არ ისვენებდა: დასუნსულებდა და ყველაფერში ცხვირს ყოფდა... არა, საბრალო კაცი! ნამდვილად დაიმსახურა შობის მშვიდ გარემოში გატარება. კიდევ კარგი, იცის, რომ ჰყავს სანდო პირი, რომელსაც შეუძლია, მოვალეობები გადააბაროს.

ჰარის ერთი სული ჰქონდა, პერსისთვის ეკითხა, ბატონი კრაუჩი ისევ „უიზერბის“ გეძახის, თუ არაო, მაგრამ ცდუნებას გაუძლო.

ოქროსფრად მბრწყინავ თეფშებზე საჭმელი ჯერჯერობით არ ჩანდა, მაგრამ ყოველი თეფშის წინ პატარა მენიუ იდო. ჰარიმ გაუბედავად აიღო მენიუ და მიმოიხედა, ოფიციანტები არსად ჩანდნენ. დამბლდორმა კი ყურადღებით ჩაათვალიერა მენიუ და მკაფიო ხმით უთხრა თეფშს: „ღორის ხორცის კატლეტი“!

თეფშზე მაშინვე ღორის ხორცის კატლეტი გაჩნდა. ყველანი მიხვდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, და თეფშებს ბრძანებები მისცეს. ჰარიმ ჰერმიონს გახედა, ნეტავ, ვახშმობის ამ ახალ და უფრო გართულებულ მეთოდზე რა აზრისაა. ეს ხომ შინაური ელფებისთვის უამრავ დამატებით სამუშაოს ნიშნავდა! მაგრამ ჰერმიონს, როგორც ჩანდა, ᲔᲓᲐᲛ-ისთვის ამჯერად არ სცხელოდა. ვიქტორ კრამთან გატაცებით მასლაათობდა და ჭამისთვის ვერ იცლიდა. ჰარიმ ახლაღა გაიაზრა, რომ არასოდეს არ გაეგონა კრამის ხმა, ახლა კი დიდი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვენც ციჰესიმაგრე გვაქვს, ასეთი დიდი არა, და, შეიზლება, არც ასეთი კომფორტული, – ეუბნებოდა ჰერმიონს, – ჩვენ მჰოლოდ ოთჰი სართული გვაქვს და ცეცჰლსაც მჰოლოდ ჯადოქრობისთვის ვანთებთ. მაგრამ მიწები ამაზე დიდი გვაქვს, ზამთარში ადრე ღამდება და ამიტომ ვერ ვიკენებთ, მაგრამ ზაფჰულში მთელი დღე დავფრინავთ, ტბებს და მთებს გადავუფრენთ ჰოლმე...

– აბა, აბა, ვიქტორ, – ღიმილით ჩაერია კარკაროვი, თუმცა გამოხედვა ღიმილის დროსაც კი ცივი ჰქონდა. – ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, თორემ შენი მომხიბვლელი მეგობარი მიხვდება, ზუსტად სად უნდა გვიპოვოს!

დამბლდორმა გაიღიმა და თვალები აუციმციმდა:

– იგორ, რა საჭიროა ასეთი იდუმალება... შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ სტუმრებს თავს არიდებთ.

– დამბლდორ, – კარკაროვმა ბოლომდე გამოაჩინა ჩაყვითლებული კბილები, – განა არ უნდა ვიზრუნოთ ჩვენ-ჩვენი სამფლობელოს დაცვაზე? განა ფხიზლად არ უნდა ვუდარაჯოთ ცოდნის კერას, რომელიც ჩვენ მოგვანდეს? განა არ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვიცით ჩვენი სკოლის საიდუმლოებანი და გვაქვს უფლება, დავიცვათ ეს საიდუმლოებანი?!

– ო, მე ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ჰოგვორტსის ყველა საიდუმლო ვიცი, იგორ, – გულღიად მიუგო დამბლდორმა, – მაგალითად, სწორედ ამ დილით საპირფარეშოსკენ მიმავალმა სადღაც სხვაგან შევუხვიე და თავი ამოვყავი მშვენიერ ვრცელ ოთახში, რომელიც წინათ არასდროს მენახა, და რომელიც ღამის ქოთნების უალრესად ღირშესანიშნავ კოლექციას შეიცავდა. როდესაც ისევ ვცადე ოთახის პოვნა მისი უკეთ დათვალიერების მიზნით, აღმოვაჩინე, რომ იგი გამქრალიყო. მაგრამ თვალი უნდა მეჭიროს. შესაძლოა, მისი პოვნა მხოლოდ დილის ექვსის ნახევარზეა შესაძლებელი, ან მხოლოდ მთვარის მეოთხედ ფაზაში ჩნდება, ან მაშინ, როდესაც მძებნელს განსაკუთრებით სავსე აქვს შარდის ბუშტი.

ჰარიმ გულიაშის თეფშში ჩაიფრუტუნა. პერსიმ შუბლი შეიკრა, მაგრამ ჰარი მზად იყო, დაეფიცა, რომ დამბლდორმა სხვებისგან შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა.

ამასობაში ფლერ დელაკური ჰოგვორტსის დეკორაციებს აკრიტიკებდა.

– ეს ღა აღის! – უთხრა როჯერ დეევისს და დიდი დარბაზის მოციმციმე კედლები ცხვირაბზუებულმა მოათვალიერა, – შობის დღეს ბობატონის სასახლეში სასადილო დაღბაზი კინულის სკულპტურებითაა მოღთული, მაგღამ აღ დნებიან. ალმასის უზაღმაზაღ ქანდა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კებებს გვანან და მთელ დაღბაზში ბცკინავენ. საჩმელი კი პიღდაპიღ გადასაღევია. ტკის ნიმფების გუნდი გვიმღელის, სანამ ვჩამთ. დეღეფნებში ასეთი უშნო ჯავშნები აღ გვიდგას და ოდესმე ბობატონში პოლტეღგეისტი ღომ შემოვიდეს, აი, ასე გააგდებენ იქიდან, – მან მოუთმენლად დასცხო მუშტი მაგიდას.

როჯერ დეევისი მის ლაპარაკს გამოშტერებული უსმენდა და ჩანგალი პირთან ვერ მიჰქონდა. ჰარის მოეჩვენა, რომ როჯერი ისე ტკბებოდა ფლერის სილამაზით, მისი ლაპარაკი არც ესმოდა.

– აბსოლუტურად გეთანხმები, – სასწრაფოდ დაუკრა კვერი და ფლერის მიბაძვით მანაც მაგიდას დაჰკრა მუშტი, – ჰო. აი, ასე.

ჰარიმ დარბაზს თვალი მოავლო. ჰაგრიდი სხვა მაგიდას უჯდა მასწავლებლებთან ერთად, ისევ ის უგემოვნო ყავისფერი კოსტუმი ეცვა და მთავარ მაგიდას გამოსცქეროდა. ჰაგრიდმა ვიღაცას ხელი დაუქნია, ჰარიმ მიიხედა და დაინახა, რომ პასუხად მადამ მაქსიმმაც დაუქნია სანთლის შუქზე მბრწყინავი ოპალებით შემკული ხელი.

ჰერმიონი თავისი სახელის სწორად წარმოთქმას ასწავლიდა კრამს. კრამი „ჰერმოუნის“ ეძახდა.

– ჰერ-მი-ო-ნი, – დამარცვლა გოგონამ.

– ჰერ-მოუ-ნი-ნი.

– ჰო, დაახლოებით, – ჰერმიონმა ჰარის მზერა დაიჭირა და ჩაიღიმა.

როდესაც საჭმელი მთლიანად გაჩანაგდა, დამბლდორი წამოდგა და სტუდენტებსაც სთხოვა, ფეხზე ამდგარიყვნენ. შემდეგ ჯადოსნური ჯოხის აქნევით მაგიდები კედლებთან მიაწყო და მარჯვენა კედელთან შემაღლებული სცენა გააჩინა. სცენაზე დასარტყამი ინსტურმენტები, რამდენიმე გიტარა, ბარბითი, ჩელო და სტვირები იყო მოთავსებული.

მქუხარე აპლოდისმენტებისა და ოვაციების თანხლებით, სცენაზე „ალქაჯი დები“ ავიდნენ. ყველას გრძელი, გაჩეჩილი თმა ჰქონდა, ტანთ ოსტატურად გახეულ-გაფხრეწილი შავი ტანსაცმელი ეცვათ. ჰარი ისე გაერთო მათი ყურებით, რომ სულ დაავიწყდა, ამას რა უნდა მოჰყოლოდა. „ალქაჯმა დებმა“ ინსტრუმენტები რომ აიღეს, მაშინღა შეამჩნია, რომ მაგიდებზე ფარნები ჩაექროთ და ჩემპიონები და მათი პარტნიორები ფეხზე დგებოდნენ.

– წამოდი, – უჩურჩულა პარვატიმ, – უნდა ვიცეკვოთ.

ადგომისას ჰარიმ ფეხი მანტიის კალთაზე დაიბიჯა და წაბორძიკდა. „ალქაჯმა დებმა“ ნელი, სევდიანი მელოდია დაუკრეს. ჰარი დარბაზის შუაგულში მოწყობილ გაჩახჩახებულ საცეკვაო მოედანზე გავიდა. განგებ არიდებდა ყველას თვალს (ცალი თვალით მაინც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხედავდა, რომ სიმუსი და დინი ხელს უქნევდნენ და ქირქილებდნენ). პარვატიმ ჰარის ერთი ხელი წელზე შემოიხვია, მეორე კი საკუთარ ხელში მტკიცედ დაიჭირა.

„არც ისეთი საშინელება ყოფილა, როგორც მოველოდიო," გაიფიქრა ჰარიმ, როცა ნელა დაიწყეს ტრიალი (პარვატის მოძრაობას აჰყვა), თან მაყურებელთა თავზემოთ იცქირებოდა. მალე სხვებიც გამოვიდნენ საცეკვაო მოედანზე და ჩემპიონები ყურადღების ცენტრში აღარ იყვნენ. იქვე ახლოს ნევილი და ჯინი ცეკვავდნენ. ჯინი წამდაუწუმ იჭმუხნებოდა, რადგან ნევილი ხშირად აბიჯებდა ფეხზე. დამბლდორი მადამ მაქსიმს ეცეკვებოდა. პარტნიორის გვერდით დამბლდორი ისეთი პატარა იყო, რომ მისი წაწვეტებული ქუდი ძლივს ეხებოდა ქალის ნიკაპს. თუმცა მაქსიმი, ასეთი დიდი ქალის კვალობაზე, მოხდენილად მოძრაობდა. მუდი მეტად მოუხეშავად ცეკვავდა პროფესორ სინისტრასთან. ქალი შეშფოთებით ერიდებოდა მუდის ხის ფეხს.

– ლამაზი წინდებია, პოტერ, – ჩახლეჩილი ხმით უთხრა მუდიმ, ჰარის რომ ჩაუარა და ჯადოსნური თვალით ბიჭის ტანსაცმელი გაბურღა.

– ა, დიახ, შინაურმა ელფმა, დობიმ მაჩუქა, – გაიღიმა ჰარიმ.

– რა საზარელი ვინმეა! – დაიჩურჩულა პარვატიმ, როცა მუდის ხის ფეხის კაკუნი უკვე შორს ისმოდა, – ჩემი აზრით, ის თვალი უნდა აკრძალონ.

ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა სტვირმა უკანასკნელი ათრთოლებული ბგერა ამოუშვა. „ალქაჯმა დებმა" დაკვრა შეწყვიტეს და დიდი დარბაზი ისევ ტაშმა გააყრუა. ჰარიმ მაშინვე გაუშვა ხელი პარვატის.

– მოდი, დავსხდეთ, კარგი?

– აუ, არა, რა... ეს სიმღერა ძალიან მიყვარს! – შეედავა უკმაყოფილო პარვატი. „ალქაჯმა დებმა" ახალი, უფრო მხიარული მელოდია დაუკრეს.

– მე არ მომწონს, – იცრუა ჰარიმ და პარვატი საცეკვაო მოედნიდან გაიყვანა. ჩაუარეს ანჯელინას და ფრედს, რომლებიც ისე ენერგიულად ცეკვავდნენ, რომ ირგვლივ ყველა უკან იხევდა, ემანდ არ გადაგვთელონო, და იმ მაგიდისკენ გაემართნენ, რომელსაც რონი და პადმა უსხდნენ.

– აბა, როგორაა საქმე? – ჰკითხა ჰარიმ რონს, დაჯდა და ბურბურახის ბოთლი გახსნა.

რონმა არ უპასუხა. ის ჰერმიონსა და კრამს ჭამდა თვალებით. ისინი იქვე, შორიახლოს ცეკვავდნენ. პადმას გულხელი დაეკრიფა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფეხი ფეხზე გადაედო და მუსიკის რიტმს აყოლებდა. დროდადრო გულმოსული გადახედავდა ხოლმე რონს, რომელსაც მისი არსებობა საერთოდ აღარ ახსოვდა. პარვატი ჰარის მეორე მხარეს დაჯდა, მანაც დაიკრიფა გულხელი, ფეხი ფეხზე გადაიდო და რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ ბობატონელმა ბიჭმა გაიწვია საცეკვაოდ.

– წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ჰარი? – ჰკითხა პარვატიმ.

– რა თქვი? – ჰარი ჩოს და სედრიკს ადევნებდა თვალს.

– არაფერი, – მოუჭრა გაბრაზებულმა პარვატიმ და ბობატონელ ბიჭს გაჰყვა. როდესაც სიმღერა დამთავრდა, უკან აღარ დაბრუნებულა.

სამაგიეროდ, დაბრუნდა ჰერმიონი და პარვატის ცარიელ სკამზე დაჯდა. სახე ოდნავ ასწითლებოდა ცეკვისგან.

– გამარჯობა, – მიესალმა ჰარი. რონს არაფერი უთქვამს.

– ცხელა, არა? – ჰერმიონმა ხელით დაინიავა, – ვიქტორი სასმელის მოსატანად წავიდა.

რონმა გამანადგურებელი მზერა მიაპყრო.

– ვიქტორი? ჯერ არ უთხოვია, ვიკი დამიძახეო?

ჰერმიონმა გაოცებით შეხედა.

– რა გჭირს?

– თვითონ თუ ვერ ხვდები, მე არაფერსაც არ გეტყვი, – აგდებით უთხრა რონმა.

ჰერმიონი ჯერ მას მიაშტერდა, შემდეგ – ჰარის, მაგრამ ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– რონ, რა...?

– ის ხომ დურმსტრანგიდანაა! – მიახალა რონმა, – ის ჰარის მეტოქეა. ჰოგვორტსის მეტოქე! შენ კი... შენ კი... – რონი, ეტყობოდა, საკმარისად მკაცრ სიტყვას ეძებდა ჰერმიონის მძიმე დანაშაულის შესაფასებლად, – მტერთან იჭერ საქმეს, აი, რას აკეთებ!

ჰერმიონმა პირი დააღო.

– რა სისულელეა! – ძლივს თქვა ბოლოს, – მტერთან?! რას ამბობ! ვინ ხტოდა სიხარულით, როცა ის სკოლაში მოვიდა? ვის უნდოდა მისი ავტოგრაფი? ვის აქვს მისი პატარა მოდელი საძინებელში?

რონმა არჩია, ამ სიტყვებისთვის ყური არ ეთხოვებინა.

– ალბათ, მაშინ დაგპატიჟა, როცა ორივენი ბიბლიოთეკაში ისხედით, არა?

– დიახ, – ჰერმიონს ვარდისფერი ლოყები უფრო აელეწა, – მერე რა?

– რა ქენი, უკვე გააწევრიანე „ელამში“?

– სულაც არა! სიმართლე თუ გინდა, მან... მან მითხრა, ბიბლიო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თეკაში ყოველდღე იმიტომ დავდიოდი, რომ შენ დაგლაპარაკებოდი, მაგრამ ვერაფრით ვერ ვბედავდიო!

ჰერმიონმა ეს ყველაფერი სხაპასხუპით თქვა და ისე გაწითლდა, რომ პარვატის მანტიისფერი გახდა.

– ეს შენ გითხრა ესე, – ირონიულად ჩაიცინა რონმა.

– რას გულისხმობ?

– განა დღესავით ნათელი არ არის? ის კარკაროვის სტუდენტია. ჰარისთან ერთად ხშირად გხედავს და იცის, რომ მეგობრობთ... მაგას მხოლოდ ის უნდა, როგორმე ჰარის დაუახლოვდეს... მასზე პირადი ინფორმაცია მოიპოვოს. ან სადმე გაიტყუოს და მოაჯადოოს...

ჰერმიონს ისეთი სახე გაუხდა, თითქოს რონმა სილა გააწნა.

– ცნობისათვის, ჰარის შესახებ ერთი კითხვაც არ დაუსვამს, არც ერთი... – თქვა აკანკალებული ხმით.

რონმა თვალის დახამხამებაში ახლა სხვა მხრიდან შეუტია.

– მაშინ, ალბათ, იმედი აქვს, რომ კვერცხის გამოცანის ამოხსნაში დაეხმარები! ალბათ, რა კარგად ჭუკჭუკებდით მყუდრო ატმოსფეროში ბიბლიოთეკაში ჯდომის დროს...

– მე მას არასოდეს არ დავეხმარები კვერცხის ამოხსნაში! – იფეთქა ჰერმიონმა, – არასოდეს! ამას როგორ ამბობ?! მე მინდა, რომ ჰარიმ მოიგოს ტურნირი! ჰარიმ ეს იცის! ხომ იცი, ჰარი?

– შენი საქციელის მიხედვით ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, – დაგესლა რონმა.

– მთელი ეს ტურნირი იმისთვის იმართება, რომ უცხოელი ჯადოქრები გაიცნო და დაუმეგობრდე, – ხმას აუწია ჰერმიონმა.

– არაფერიც! – იყვირა რონმა, – აქ მთავარი მოგებაა!

რონი და ჰერმიონი უკვე გარშემომყოფების ყურადღებას იქცევდნენ.

– რონ, – ხმადაბლა უთხრა ჰარიმ, – მე ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჰერმიონი კრამთან ერთად მოვიდა...

მაგრამ რონმა არც ჰარის ათხოვა ყური.

– წადი და ვიკი მოძებნე, ალბათ, აინტერესებს, სადა ხარ!

– ნუ ეძახი ვიკის! – ჰერმიონი სკამიდან წამოხტა, საცეკვაო მოედანი გადაირბინა და მალე ხალხში ჩაიკარგა.

რონმა თვალი გააყოლა, სახეზე ერთდროულად კმაყოფილება და სიბრაზე ეწერა.

– ბოლო-ბოლო, აპირებ თუ არა, ჩემს საცეკვაოდ გაწვევას? – ჰკითხა პადმამ.

რონი ისევ იქით იყურებოდა, სადაც ჰერმიონი გაუჩინარდა. პადმასთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე მოუჭრა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა!

– ძალიან კარგი, – მიახალა პადმამ. ადგა და პარვატისა და ბობატონელი ბიჭისკენ გაეშურა. ბობატონელმა მისთვის ისე სწრაფად გააჩინა მეგობარი, რომ ჰარი მზად იყო, დაეფიცა, გამოძახების შელოცვით მიიხმოო.

– სად არის ჰერმოუნინი? – გაისმა ხმა.

მაგიდასთან კრამი მისულიყო. ორივე ხელში ბურბურახი ეჭირა.

– აზრზე არა ვარ, – კუშტად მიუგო რონმა, – დაკარგე?

კრამს სახე ისევ მოექუფრა.

– თუ ნაჰეთ, უთჰარით, რო მე სასმელი მაქვს, – თქვა და მხრებში მოხრილი გაეცალა მაგიდას.

– რონ, ვიქტორ კრამთან დამეგობრდი? – ხელების ფშვნეტით მოფუსფუსდა მეტისმეტად გაბღენძილი პერსი, – შესანიშნავია! ხომ იცი, საერთაშორისო ჯადოქრული ურთიერთობების უმთავრესი მიზანიც ეგაა...

ჰარის სამწუხაროდ, პერსიმ მკვირცხლად დაიკავა პადმას დაცარიელებული სკამი. მთავარ მაგიდასთან აღარავინ იჯდა. პროფესორი დამბლდორი პროფესორ სპრაუტს ეცეკვებოდა, ლუდო ბეგმანი – პროფესორ მაკგონაგელს, მადამ მაქსიმი და ჰაგრიდი ვალსს ცეკვავდნენ და სტუდენტებით სავსე საცეკვაო დარბაში დაქროდნენ, კარკაროვი კი არსად ჩანდა. შემდეგი ცეკვაც რომ დასრულდა, ყველამ ისევ ტაში დაუკრა. ლუდო ბეგმანი პროფესორ მაკგონაგელს ხელზე ეამბორა და მაგიდისკენ წავიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს იგი ფრედმა და ჯორჯმა გამოიჭირეს.

– რას აკეთებენ, როგორ შეიძლება, რომ სამინისტროს მაღალჩინოსანს თავს აბეზრებენ! – გადაირია პერსი, რომელიც ფრედსა და ჯორჯს ეჭვით ადევნებდა თვალს, – რა უპატივცემულობაა!

მაგრამ ლუდო ბეგმანმა საკმაოდ მალე მოიშორა თავიდან ტყუპები, ჰარი შეამჩნია, ხელი დაუქნია და მისი მაგიდისკენ წამოვიდა.

– იმედია, ჩემმა ძმებმა ძალიან არ შეგაწუხეს, ბატონო ბეგმან, – დაუყოვნებლივ ჰკითხა პერსიმ.

– რაა? ო, არა, სულაც არა! უბრალოდ, იმ თავიანთ სატყუარა ჯოხებზე მიყვებოდნენ. რჩევა მთხოვეს ვაჭრობის თაობაზე. მე ადრე დავპირდი, „ზონკოს ოინების მაღაზიაში“ ნაცნობები მყავს და მათთან დაგაკავშირებთ-მეთქი... – მიუგო ბეგმანმა.

პერსი ამ ამბავს სრულებითაც არ გაუხარებია. ჰარი დაწმუნებული იყო, როგორც კი შინ მივიდოდა, მაშინვე ქალბატონ უისლის მიუტანდა ამბავს. აშკარა იყო, ფრედსა და ჯორჯს უფრო ამბიციური გეგმები ჰქონდათ, რაკი ვაჭრობის გაჩაღება განეზრახათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბეგმანს უნდოდა, ჰარისთვის რაღაც ეკითხა, მაგრამ პერსიმ გასაქანი არ მისცა.

– რას იტყვით, როგორ მიმდინარეობს ტურნირი, ბატონო ბეგმან? ჩვენი დეპარტამენტი საკმაოდ კმაყოფილია. მართალია, ცეცხლოვან თასთან დაკავშირებით მცირე შეცდომა... – პერსიმ ცალი თვალით ჰარის გადახედა, – მოგვივიდა, მაგრამ მას შემდეგ შეუფერხებლად მიმდინარეობს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

– დიახ, დიახ, – მხიარულად მიუგო ბეგმანმა, – დროს გადასარევად ვატარებ. ბარტი როგორაა? რა ცუდია, რომ მოსვლა ვერ მოახერხა!

– ო, დარწმუნებული ვარ, ბატონი კრაუჩი უახლოეს მომავალში გამოჯანმრთელდება, – მედიდურად განაცხადა პერსიმ, – მაგრამ მანამდე დიდი სიამოვნებით ვიტვირთავ მის მძიმე საქმეს. რა თქმა უნდა, ამაში მხოლოდ მეჯლისებზე დასწრება არ იგულისხმება... – პერსიმ უდარდელად გაიცინა, – მის არყოფნაში უამრავი პრობლემა წამოიჭრა და მათი მოგვარება მე მომიხდა! ალბათ, გაიგებდით, რომ ალი ბაშირი ქვეყანაში კონტრაბანდით მფრინავი ხალიჩების შემოტანის დროს დააკავეს. თანაც, რა ხანია, ვცდილობთ, ტრანსილვანია დავიყოლიოთ, ხელი მოაწეროს დუელის შესახებ საერთაშორისო აკრძალვას. წლის დასაწყისში მათი ჯადოქრული ურთიერთობის თავმჯდომარესთან შეხვედრა მაქვს...

– წამო, სასეირნოდ წავიდეთ, – გადაუჩურჩულა რონმა ჰარის, – პერსის თავი დავაღწიოთ...

ჰარიმ და რონმა მოიმიზეზეს, სასმელს მოვიტანთო, საცეკვაო მოედანს გვერდი აუარეს და ჰოლში გავიდნენ. მთავარი კარი ღია იყო. ვარდის ბაღში ფერიების მოციმციმე შუქი კიაფობდა. ბიჭებმა ქვის საფეხურები ჩაიარეს და თავი ამოყვეს აყვავებული ვარდის ბუჩქების მღვიმეში, ბუჩქებს შორის ბილიკი მიიკლაკნებოდა, შიგადაშიგ ქვის დიდი ქანდაკებები აღემართათ. ჰარის წყლის დგაფუნი ესმოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სადღაც ახლოს შადრევანი იყო. აქა-იქ ბაღის გრძელ მოჩუქურთმებულ სკამებზე ვიღაცეები ისხდნენ. ჰარი და რონი ვარდის ბუჩქებს შორის ერთ-ერთ დაკლაკნილ ბილიკს გაუყვნენ. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრეს, რომ ნაცნობი საძულველი ხმა შემოესმათ.

– იგორ, ვერ ვხვდები, რა არის ამაში ასეთი საგანგაშო.

– სევერუს, თავს ნუ იკატუნებ, თითქოს არაფერი არ ხდება, – კარკაროვმა ხმას დაუწია, თითქოს ეშინოდა, მისთვის ყური არავის მოეკრა, და შეშფოთებული ალაპარაკდა: – ბოლო რამდენიმე თვეა, სულ უფრო და უფრო მკაფიო ხდება. არ უარვყოფ, რომ მე უკვე სერიოზულად ვარ შეფიქრიანებული...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშინ გაიქეცი, – ცივად მოუჭრა სნეიპმა, – შენ მაგივრად ახსნა-განმარტებას მე ვკისრულობ. რაც შემეხება მე, ჰოგვორტსიდან ფეხს არ მოვიცვლი.

ხმა თანდათან მოახლოვდა და მოსახვევში სნეიპი და კარკაროვი გამოჩნდნენ. სნეიპს ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა, საშინლად გაბოროტებული სახე ჰქონდა, გზადაგზა ვარდის ბუჩქებს განზე სწევდა, იქიდან კი წამოკივლების ხმა ისმოდა და სტუდენტები გამორბოდნენ.

– ათი საჯარიმო ქულა ჰაფლეპაფს, ფოსეტ! – წაიღრინა სნეიპმა, როდესაც გოგონამ გვერდზე ჩაურბინა, – და ათი საჯარიმო ქულა რეივენქლოს, სტებინს! – მიაძახა ბიჭს, რომელიც გოგონას მისდევდა. შემდეგ ბილიკზე მდგარი ჰარი და რონი დაინახა: – თქვენ რაღას აკეთებთ აქ?

ჰარის არ გამოეპარა, რომ კარკაროვი ბიჭების დანახვაზე, ცოტა არ იყოს, შეცბა. ხელი მოუსვენრად წაიღო თხასავით წვერისკენ და თითზე დახვევა დაუწყო.

– ვსეირნობთ, – მკვახედ უპასუხა სნეიპს რონმა, – აკრძალული ხომ არ არის?

– მაშინ, ისეირნეთ! – შეუღრინა სნეიპმა და გრძელი, შავი მანტიის ფრიალით ჩაიარა. კარკაროვი აჩქარებით გაჰყვა. ჰარიმ და რონმა გზა განაგრძეს.

– ნეტავ, კარკაროვი ასე რამ ააღელვა? – დაინტერესდა რონი.

– და როდის აქეთია, ის და სნეიპი სახელებით მიმართავენ ერთმანეთს? – იკითხა ჰარიმ.

ქვის უზარმაზარ ჩრდილოეთის ირემს მიაღწიეს. ქანდაკების თავზემოთ მაღალი შადრევნის ჭავლი მოჩანდა. ქვის სკამზე ორი გოლიათი ადამიანის სილუეტი გამოიკვეთა, რომლებიც მთვარის შუქზე ალიცლიცებულ წყალს უყურებდნენ. უცებ ჰარიმ ჰაგრიდის ხმა გაიგონა:

– რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, – ამბობდა უჩვეულოდ გაბზარული ხმით.

ჰარი და რონი ადგილზე გაქვავდნენ. რატომღაც იგრძნეს, რომ ამ სცენას არ უნდა შესწრებოდნენ... ჰარიმ უკან მიიხედა. შორიახლოს, ვარდის ბუჩქში, ფლერ დელაკური და როჯერ დევისი იდგნენ. რონს მხარზე ხელი დაჰკრა და ანიშნა, შეგვიძლია სრულიად შეუმჩნევლად უკან გაპარვაო (ფლერსა და დევისს მათთვის არ ეცალათ), მაგრამ რონს ფლერის დანახვაზე თვალები შიშით გაუფართოვდა, გამწარებით გააქნია თავი და ჰარი ქვის ირმის ჩრდილში უფრო ღრმად შეათრია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ღას მიხვდიტ, აგღიდ? – დაბალი ხმით დაიჟღურტულა მადამ მაქსიმმა.

ჰარის არაფრით არ სურდა, მოესმინა, რას მიხვდა ჰაგრიდი. იცოდა, რომ ჰაგრიდი საშინლად განაწყენდებოდა, ვინმეს მისთვის ყური რომ დაეგდო (ყოველ შემთხვევაში, ჰაგრიდის ადგილზე თვითონაც იმავეს იგრძნობდა). შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყურებში თითებს გაირჭობდა და ხმამაღლა ღიღინს მოჰყვებოდა, მაგრამ ახლა ამას ვერ იზამდა. სანაცვლოდ, შეეცადა, მთელი ყურადღება ქვის ირმის ზურგზე მცოცავ ხოჭოზე გადაეტანა, მაგრამ ხოჭო არც ისეთი საინტერესო იყო, რომ ჰაგრიდის სიტყვები დაეჩრდილა.

– მე... მივხვდი, რომ თქვენც ჩემნაირი ხართ... ეს დედათქვენი იყო თუ მამათქვენი?

– ვეღ ვხვდები, ღისი ტკმა გსუღტ, აგღიდ...

– ასეთი დედაჩემი იყო, – ხმადაბლა განაგრძო ჰაგრიდმა, – ერთ-ერთი უკანასკნელი, ვინც ბრიტანეთში შემორჩა. რა თქმა უნდა, მე კარგად არ მახსოვს. სამი წლისა რომ ვიყავი, მაშინ მიგვატოვა. მისგან დედა არ დადგებოდა. ჰო... ეს იმათ ბუნებაში არ ზის. რა ვიცი, რა მოუვიდა... ალბათ, უკვე მკვდარია...

მადამ მაქსიმი ხმას არ იღებდა. სმენადქცეულმა ჰარიმ უნებურად, ხოჭოს თვალი მოსწყვიტა და ირმის რქებიდან გაიჭყიტა... ჰაგრიდი პირველად ლაპარაკობდა თავის ბავშვობაზე.

– მამა კინაღამ დარდს გადაჰყვა, როცა დედა წავიდა. მამაჩემი ერთი პატარა კაცი იყო. ექვსი წლისა რომ ვიყავი, შემეძლო, ამეწია და კამოდზე შემესვა, თუ თავს მომაბეზრებდა. ხშირად ვაცინებდი ხოლმე... – ჰაგრიდს ბოხი ხმა გაებზარა. მადამ მაქსიმი უსმენდა, გაუნძრევლად იჯდა და მოვერცხლისფრო შადრევანს უმზერდა, – მამამ გამზარდა... მაგრამ, სკოლაში რომ შევედი, მალევე მოკვდა, რა თქმა უნდა... იმის მერე თავი როგორღაც თვითონ გამქონდა. იცი, დამბლდორი ძალიან დამეხმარა. ბევრი სიკეთე გამიკეთა... – ჰაგრიდმა ვეება, დალაქავებული ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი ხმაურით მოიხოცა, – აი, ასე იყო... მეყო ახლა ჩემზე ლაპარაკი. თქვენზე რას მეტყვით? თქვენი რომელი მხარეა – დედისა, თუ მამის?

მაგრამ მოულოდნელად მადამ მაქსიმი ფეხზე წამოდგა.

– გღილა, – თქვა მან. მაგრამ როგორი სიცივეც უნდა ყოფილიყო, მის სუსხიან ხმას მაინც ვერ შეედრებოდა, – შიგნიტ უნდა შევიდე.

– ა? – უგულისყუროდ გაეპასუხა ჰაგრიდი, – არა, არ წახვიდეთ! მე სხვას ასეთს ჯერ არ შევხვედრივარ!

– ღოგოლს „ასეტს“, კონკღეტულად? – ყინულივით ცივი ხმით ჰკითხა მადამ მაქსიმმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი გუმანით ხვდებოდა, რომ ჯობდა, ჰაგრიდს არ ეპასუხა. იდგა ჩრდილში კრიჭაშეკრული და ლოცულობდა, ჰაგრიდს არაფერი ეთქვა, მაგრამ ამაოდ.

– სხვა ნახევრად გოლიათს, რა თქმა უნდა! – თქვა ჰაგრიდმა.

– ღოგოლ მიბედავ! – დაიკივლა მადამ მაქსიმმა. მისმა ხმამ საყვირივით გააპო ღამის მშვიდი ჰაერი. უკნიდან ჰარიმ გაიგონა, როგორ გამოცვივდნენ ბუჩქიდან ფლერი და როჯერი, – ასეტი შეუღაცკოფა ჩემტვის ჯეღ აღავის მოუკენებია! ნახევღად გოლიათი?! მუა?! მე... მე ზვალმსხვილი ვაღ!

განრისხებული მადამ მაქსიმი გაიქცა. გარბოდა და ბუჩქებს ლაწალუწი გაჰქონდა. ბუჩქებიდან შეშინებული ფერიები გუნდ-გუნდად იშლებოდნენ. ჰაგრიდი ისევ ისე იდგა და მიმავალ მადამ მაქსიმს გაჰყურებდა. ძალიან ბნელოდა და მისი სახის გამომეტყველების გარჩევა შეუძლებელი იყო. შემდეგ, დაახლოებით, ერთ წუთში, წამოდგა და მძიმე ნაბიჯებით გაემართა არა ციხე-კოშკისკენ, არამედ სიბნელეში ჩაძირული ტყის პირისკენ, თავისი ქოხის მიმართულებით.

– წამოდი, – ძალიან ხმადაბლა უთხრა ჰარიმ რონს, – წავიდეთ...

რონი არ განძრეულა.

– რა იყო? – ჰკითხა ჰარიმ.

რონმა ძალიან სერიოზული გამომეტყველებით შეხედა.

– იცოდი? – დაიჩურჩულა მან, – იცოდი, რომ ჰაგრიდი ნახევრად გოლიათია?

– არა, მერე რა? – მხრები აიჩეჩა ჰარიმ.

რონის სახის გამომეტყველებაზე ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა სრული უვიცობა! კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ კარგად არ იცნობდა ჯადოქართა სამყაროს! ჰარი დერსლებთან გაიზარდა და ძალზე ბევრი რამ, რაც ჯადოქრებს ბავშვობიდანვე ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ, მისთვის სრულიად უცხო და უცნაური რამ იყო. მაგრამ, რაც უფრო ემატებოდა წლები და გამოცდილება, ასეთი უცნაური რამ სულ უფრო იშვიათად ხვდებოდა. აი, ახლაც ცხადია, ბევრი ჯადოქარი არ იტყოდა, „მერე რაო," თუ აღმოაჩენდა, რომ მისი ერთ-ერთი მეგობარი დედით გოლიათი იყო.

– შიგნით რომ შევალთ, მერე აგიხსნი, – დაჰპირდა რონი, – წამო...

ფლერი და როჯერ დევისი გაუჩინარებულიყვნენ, ალბათ, უფრო გაბარდული ვარდის ბუჩქი იპოვეს. ჰარი და რონი დიდ დარბაზში დაბრუნდნენ. პარვატი და პადმა ბობატონელი ბიჭების ჯგუფთან ერთად შორეულ მაგიდასთან ისხდნენ, ჰერმიონი ისევ კრამთან ცეკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვავდა. ჰარი და რონი საცეკვაო მოედნისგან კარგა მოშორებით მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

– აბა, – შეახსენა ჰარიმ რონს, – ასეთს რას აშავებენ გოლიათები?

– ისინი... ისინი... როგორ გითხრა, – რონი შესაფერის სიტყვებს ეძებდა, – მაინცდამაინც კეთილები არ არიან, – დაამთავრა ორჭოფულად.

– მერე რა? ჰაგრიდი ხომ კეთილია!

– ვიცი, მაგრამ... ჯანდაბა! რა გასაკვირია, რომ ამას მალავს, – რონმა თავი გააქნია, – მე კი სულ მეგონა, ბავშვობაში შემთხვევით უხეირო გამადიდებელი შელოცვა მოხვდა ან მსგავსი რამე შეემთხვა-მეთქი. ვის ესიამოვნება ამაზე ლაპარაკი...

– კი მაგრამ, მერე რა მოხდა, თუ ჰაგრიდის დედა გოლიათი იყო? – ჰკითხა ჰარიმ.

– ვინც ჰაგრიდს იცნობს, მისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იციან, რომ ის საშიში არ არის, – ყოყმანით დაიწყო რონმა, – მაგრამ... ჰარი, რომ იცოდე, ეს გოლიათები რა სისხლისმსმელები არიან! როგორც ჰაგრიდმა თქვა, ეს მათ ბუნებაში ზის. ტროლებივით მოსწონთ ხოცვა-ჟლეტა. ეს ყველამ იცის. თუმცა დღესდღეობით ბრიტანეთში აღარც არიან დარჩენილები.

– რა მოუვიდათ?

– ისედაც გადაშენების პირას იყვნენ. თან ბევრი მათგანი აურორებმა დახოცეს. მაგრამ საზღვარგარეთ აუცილებლად იქნებიან. ძირითადად მთის გამოქვაბულებში იმალებიან.

– არ მესმის, ვის გასულელებას ცდილობს მადამ მაქსიმი, – ჰარიმ ჟიურის წევრების მაგიდასთან მჯდარ ძალიან დაღვრემილ მადამ მაქსიმს გახედა, – ჰაგრიდი თუ ნახევრად გოლიათია, მაშინ ისიც უეჭველად გოლიათია. ჰმ, ძვალმსხვილი! მასზე მსხვილი ძვლები დინოზავრს თუ ექნება.

ჰარიმ და რონმა მთელი საღამო თავიანთ მყუდრო კუთხეში გოლიათებზე ლაპარაკში ისე გაატარეს, რომ ცეკვის სურვილი არც ერთს არ გასჩენია. ჰარი ცდილობდა, სედრიკისა და ჩოს წყვილისაკენ არ გაეხედა, რადგან მათ დანახვაზე, თავს ძლივს იკავებდა, რაიმესთვის წიხლი არ ამოერტყა.

შუაღამისას „ალქაჯმა დებმა“ დაკვრა დაასრულეს. ყველამ ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მუსიკოსები და ჰოლისკენ გაეშურნენ. ბევრი ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას, მეჯლისი უფრო დიდხანს უნდა გაგრძელებულიყოო, მაგრამ ჰარი ძალიანაც კმაყოფილი იყო: როგორც იქნა, თბილ ლოგინში ჩაწოლა ეღირსებოდა. მეჯლისმა, მისი აზრით, საშინლად მოსაწყენად ჩაიარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰოლში კრამი ჰერმიონს ემშვიდობებოდა. გოგონამ რონს ცივად შეხედა, უსიტყვოდ ჩაუარა და მარმარილოს კიბეს აუყვა. ჰარი და რონიც მას გაჰყვნენ, მაგრამ შუა გზაში ვიღაცის ძახილი მოესმათ.

– ეი, ჰარი!

სედრიკ დიგორი ეძახდა. ჰარიმ დაინახა, რომ ჰოლში მას ჩო ელოდა.

– რა გინდა, – ცივად უთხრა ჰარიმ სედრიკს, რომელმაც კიბეზე ამოირბინა.

სედრიკს შეეტყო, რომ არ უნდოდა, თავისი სათქმელი რონის თანდასწრებით ეთქვა. გაგულისებულმა რონმა მხრები აიჩეჩა და კიბეზე ასვლა განაგრძო.

– მომისმინე... – დაუწია ხმას სედრიკმა, როცა რონი თვალს მიეფარა, – შენთან ვალში ვარ, დრაკონებზე რომ მითხარი, იმის გამო. ოქროს კვერცხი გახსენი? შენიც კივის?

– კი.

– მაშინ... აბაზანა მიიღე, კარგი?

– რაა?

– აბაზანა მიიღე და ისა... კვერცხიც თან წაიღე, უბრალოდ, ცხელ წყალში გახსენი და ყური დაუგდე. დამიჯერე, გამოცნობაში დაგეხმარება.

ჰარი გაოცებული უყურებდა.

– იცი, რას გეტყვი, – განაგრძო სედრიკმა, – პრეფექტების აბაზანა გამოიყენე. მეხუთე სართულზეა ბორის ბედოვლათის ქანდაკების მარცხნივ. მეოთხე კარი, პაროლი „ნედლი ფიჭვია“. აბა, გავიქეცი... უნდა დავემშვიდობო...

ჰარის კიდევ ერთხელ გაულიმა, კიბეზე ჩაირბინა და ჩოსთან მივიდა.

ჰარი მარტო გაემართა გრიფინდორის კოშკისკენ. ეს რა უცნაური რჩევა მისცეს! აბაზანის მიღება როგორ დაეხმარებოდა იმის გამოცნობაში, თუ რას ნიშნავდა კვერცხის კივილი? ნუთუ სედრიკი ამასხარავებს? იქნებ ცდილობს, ჰარი სულელად გამოიყვანოს, რომ თვითონ ჩოს თვალში უფრო ამაღლდეს?

ფუშფუშა ქალბატონი და მისი მეგობარი ვიოლეტა მშვიდად ფშვინავდნენ. ჰარიმ ხმამაღლა დაიყვირა „ჩინური ფანრებიო“ და ორივე გააღვიძა, რის გამოც ძალიან გაუბრაზდნენ, მაგრამ მაინც გაატარეს. ჰარი საერთო ოთახში გადაძვრა და აღმოაჩინა, რომ რონი და ჰერმიონი გაცხარებულები ჩხუბობდნენ. ერთმანეთისგან სამი მეტრის დაშორებით იდგნენ და სახეაჭარხლებულები ერთმანეთს მთელი ხმით უყვიროდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ არ მოგწონს, იცი, როგორც უნდა მოიქცე! – კიოდა ჰერმიონი, ელეგანტურად აკეცილი თმა უკვე ჩამოშლოდა და სახე სიბრაზით დამანჭოდა.

– მართლა? – დაუღრიალა რონმა, – როგორ?

– შემდეგში, როცა მეჯლისი გაიმართება, მანამ დამპატიჟე, სანამ სხვა დაგასწრებს, და არა ბოლო წუთს, როცა სხვა არჩევანი აღარ გაქვს!

რონმა წყლიდან ამოვარდნილი ოქროს თევზივით უხმოდ დააღო პირი. ჰერმიონი შეტრიალდა და გოგონების საძინებლისკენ გაქანდა. რონი ჰარის მიუბრუნდა და გაოგნებულმა ამოილუღლუღა:

– ხედავ? საერთოდ ვერ გამიგო...

ჰარის არაფერი უთქვამს. რონთან შერიგებით იმდენად კმაყოფილი იყო, რომ ახლა ჭკუის დარიგებას მოერიდა. გულის სიღრმეში კი ფიქრობდა, რომ ჰერმიონმა ბევრად უკეთ გაუგო რონს, ვიდრე რონმა – საკუთარ თავს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მცდამეოთხე

რიტა სკიტერის სენსაცია

შობის მეორე დილას ყველა გვიან ადგა. გრიფინდორის საერთო ოთახი ასეთი წყნარი არასოდეს ყოფილა, გრიფინდორელები ზანტად საუბრობდნენ და წამდაუწუმ ამთქნარებდნენ. ჰერმიონს თმა ისევ აჰფუებოდა. გოგონამ ჰარის გაანდო, რომ მეჯლისისთვის დიდი რაოდენობით იხმარა თმის „მუს-ლაკი“, „მაგრამ დიდი დავიდარაბა უნდა და ყოველდღე ამის თავი არა მაქვსო,“ – დასძინა და აკრუტუნებულ ბოს ყურები მოჰფხანა.

რონი და ჰერმიონი თითქოს უსიტყვოდ შეთანხმდნენ, ჩხუბი არ ეხსენებინათ. ერთმანეთს საკმაოდ თავაზიანად, მაგრამ ცივად ექცეოდნენ. ბიჭებმა არ დააყოვნეს და ჰერმიონს დილითვე გადასცეს მადამ მაქსიმისა და ჰაგრიდის საუბრის შინაარსი, მაგრამ მან ჰაგრიდის ნახევრად გოლიათობის ამბავი, რონისგან განსხვავებით, ძალზე მშვიდად მიიღო.

– ჰო, ასეც ვფიქრობდი, – აიჩეჩა მხრები, – ვხვდებოდი, რომ წმინდა სისხლის გოლიათი ვერ იქნებოდა, ისინი ხომ ექვსი მეტრის სიმაღლისები მაინც არიან. მაგრამ კარგი, რა! რატომ უნდა გვეშინოდეს? როგორ შეიძლება, რომ ყველა ავაზაკი იყოს? ეს ისეთივე მცდარი წარმოდგენაა, როგორიც მაქციების მიმართ არსებობს... ცრურწმენაა და მეტი არაფერი!

რონს ისეთი სახე ჰქონდა, მზად იყო, გესლიანი შენიშვნა გამოეთქვა, მაგრამ, როგორც ჩანს, მორიგ უთანხმოებას მოერიდა და იმით დაკმაყოფილდა, რომ ჰერმიონისგან შეუმჩნევლად, თავი ეჭვით გადააქნია.

დადგა დრო, საშინაო დავალების შესრულებაზეც ეფიქრათ, რაც არდადეგების პირველ კვირას საერთოდ დაივიწყეს. ახლა, როცა შობამ ჩაიარა, ყველამ მოიწყინა, ჰარის კი ისევ შეეპარა ნერვიულობა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საქმე ის იყო, რომ ოცდაოთხი თებერვალი შობის შემდეგ უფრო კარსმომდგარი ეჩვენებოდა, ვიდრე შობამდე. ოქროს კვერცხის გამოცანაზე კი ჯერ არ ეფიქრა. შობის შემდეგ, საწოლ ოთახში ყოველ ასვლაზე, ჰარი ჩემოდნიდან კვერცხს იღებდა და ყურადღებით უსმენდა იმ იმედით, რომ ამ წივილ-კივილიდან რაიმე აზრს გამოიტანდა. დაძაბული ცდილობდა, გაეხსენებინა, ოცდაათი მუსიკალური ხერხის გარდა, კიდევ რას აგონებდა ეს ხმა, მაგრამ არა, მსგავსი რამ არსად გაეგონა. რა აღარ სცადა: კვერცხს ხურავდა და ენერგიულად ანჯღრევდა, შემდეგ ისევ ხსნიდა, ხმა ხომ არ შეიცვალაო. მაგრამ არაფერიც არ იცვლებოდა. ჰარიმ კვერცხისთვის კითხვების დასმაც კი სცადა, მთელი ხმით ღრიალებდა, რომ მისი გამაყრუებელი კივილი გადაეფარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ერთხელ ოთახის მეორე ბოლოშიც კი მოისროლა, თუმცა იცოდა, ესეც ამაო იყო.

ჰარის არ დავიწყებია სედრიკის რჩევა, მაგრამ სედრიკისადმი ამჟამინდელი არაკეთილგანწყობილების გამო, ყველანაირად ცდილობდა, მისი დახმარების გარეშეც იოლად გასულიყო. თანაც, ჰარისთვის რომ გეკითხათ, სედრიკს მართლა რომ ნდომოდა მისი დახმარება, გამოცანებით ლაპარაკს თავს დაანებებდა და უფრო დაზუსტებით ეტყოდა რამეს. თვითონ ხომ გასაგებად უთხრა, რა იქნებოდა პირველ დავალებაში! სედრიკმა კი აბაზანის მიღება ურჩია. ეს იყო რჩევა? ასეთი უაზრო დახმარება სულ არ სჭირდებოდა, მით უმეტეს მისგან, ვინც დერეფნებში ჩოსთან ერთად ხელიხელჩაკიდებული დადიოდა. ასე დასრულდა არდადეგები. წიგნებით, პერგამენტებითა და ბატის ფრთებით დატვირთულმა ჰარიმ გაკვეთილებზე დაიწყო სიარული, მაგრამ ოქროს კვერცხის გამოცანა გულზე ლოდივით აწვა.

გარეთ კვლავაც თოვლის სქელი ფენა იდო. სათბურის ფანჯრები კი ისე იყო მოყინული, ჰერბოლოგიაზე გარეთ რომ გაგეხედა, ვერაფერს დაინახავდი. ასეთ ამინდში ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილზე არავის მიუწევდა გული, თუმცა, როგორც რონმა აღნიშნა, ცეცხლაკუდები გვარიანად შეახურებდნენ: ან კარგად არბენინებდნენ, ან სულაც, კუდიდან ისეთ ცეცხლს გამოსტყორცნიდნენ, რომ ჰაგრიდის ქოხს ალში გახვევდნენ.

მაგრამ ჰაგრიდის ქოხთან მისულებს პარმაღზე შუახნის ჯადოქარი ქალი დახვდათ, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა და წინ გამოწეული ნიკაპი ჰქონდა.

– დაუჩქარეთ, ზარი ხუთი წუთის წინ დაირეკა, – შორიდანვე შეუყვირა მოსწავლეებს, რომლებიც თოვლში გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას.

– თქვენ ვინა ხართ? – გაუკვირდა რონს, – ჰაგრიდი სად არის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე მქვია პროფესორი გრაბლი-პლენკი, – უპასუხა მან მარდად, – დროებით მე ჩაგიტარებთ ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილებს.

– ჰაგრიდი სად არის? – ხმამაღლა გაუმეორა ჰარიმ კითხვა.

– შეუძლოდაა, – მოკლედ მოუჭრა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა.

ჰარის ზურგს უკან ჩუმი და უსიამოვნო სიცილი გაისმა. მიტრიალდა. კლასს დრაკო მალფოი და სლიზერინელები უერთდებოდნენ. ყველანი რაღაცით გამხიარულებულები ჩანდნენ და არც ერთს არ გაჰკვირვებია ახალი მასწავლებლის დანახვა.

– აქეთ წამობრძანდით, – განაცხადა პროფესორმა და ფართო ნაბიჯებით გაემართა შემოღობილი საძოვრისკენ, სადაც ბობატონის ვეება ცხენები სიცივისგან კანკალებდნენ. ჰარი, რონი და ჰერმიონი მას გაჰყვნენ, თან უკან, ჰაგრიდის ქოხისკენ იხედებოდნენ. ქოხის ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ. ნეტავ ჰაგრიდი შინ იყო? იქნებ, მარტო იყო და ავადმყოფი იწვა?

– ჰაგრიდს რა დაემართა? – ჰარი პროფესორ გრაბლი-პლენკს წამოეწია.

– შენი საქმე არაა, – ისე მოუჭრა მან, თითქოს ბიჭი სხვის საქმეში ყოფდა ცხვირს.

– სწორედაც რომ ჩემი საქმეა, – გაცხარდა ჰარი, – რა სჭირს?

პროფესორმა გრაბლი-პლენკმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ჰარის ნათქვამი ვერ გაიგო. სტუდენტები თოვლით დაფარულ საძოვართან ჩაატარა, სადაც გასათბობად ერთმანეთს მიჰკვროდნენ ბობატონის ცხენები, და ყველანი ტყის პირას მდგარი ხისკენ წაიყვანა. ხეზე დიდი და ულამაზესი ცალრქიანი ცხენი იყო მიბმული.

გოგონები ცხენის დანახვაზე გადაირივნენ.

– რა ლამაზია! – დაიჩურჩულა ლევენდერ ბრაუნმა. – როგორ დაიჭირა? მათი დაჭერა ხომ ძალიან ძნელია!

ცალრქიანი ცხენი ისე თეთრად ქათქათებდა, რომ მის ირგვლივ თოვლი ნაცრისფერი ჩანდა. ოქროსფერ ფლოქვებს მოუსვენრად სცემდა მიწას და რქიან თავს იქნევდა.

– ბიჭები აქ დარჩით! – მჭახედ დაიძახა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა, ჰარის მკერდზე ხელი მიადო და შეაჩერა. – ცალრქიან ცხენებს ქალის შეხება ურჩევნიათ. გოგონები წინ გამოდით და ფრთხილად მიუახლოვდით. მოდით, ნუ გეშინიათ!

პროფესორი და გოგონები ნელა გაემართნენ ცალრქიანი ცხენისკენ. ბიჭები საძოვრის მესერთან იდგნენ და უყურებდნენ.

როგორც კი პროფესორი საკმაოდ მოშორდა, ჰარი რონს მიუბრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ ფიქრობ, რა უნდა მოსვლოდა? ვაითუ ცეცხლაკუდამ...

– არა, პოტერ, ნუ ღელავ, არაფერი არ მოსვლია, – შემპარავად თქვა მალფოიმ, – უბრალოდ, თავისი დიდი, მახინჯი სიფათის გამოჩენისა რცხვენია.

– რას გულისხმობ? – მკვახედ ჰკითხა ჰარიმ.

მალფოიმ ხელი მანტიის ჯიბეში ჩაიყო და გაზეთის დახვეული ფურცელი ამოიღო.

– აი, ინებე, – ჩაიცინა და ისეთი სახე მიიღო, ვითომ ჰარი ძალიან ეცოდებოდა, – არ მინდოდა, ეს ჩემგან გაგეგო, პოტერ, მაგრამ...

ჰარიმ გაზეთის ფურცელი ხელიდან გამოსტაცა, გაშალა და კითხვას შეუდგა. რონი, სიმუსი, დინი და ნევილი ახლოს მივიდნენ და მათაც ჩარგეს ცხვირი გაზეთში. სტატიის თავში ჰაგრიდის სურათი მოეთავსებინათ. ამ სურათზე ჰაგრიდი თავზეხელაღებულ მოჩხუბარს ჰგავდა.

დამბლდორის გოლიათური შეცდომა

ალბუს დამბლდორი, ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის ექსცენტრული დირექტორი, არასდროს ერიდებოდა პედაგოგის პოსტზე მეტად საეჭვო პიროვნებების დანიშვნას, – წერს რიტა სკიტერი, სპეციალური კორესპონდენტი, – ამა წლის სექტემბერში მან ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის ადგილზე მიიღო ავად სახსენებელი, წყევლის მოყვარული ექს-აურორი – ალასტორ მუდი, მეტსახელად „მრისხანეთვალა". ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გააოცა მაგიის სამინისტროში, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მუდის ჩვევა: ნებისმიერს დაესხას თავს, ვინც მისი თანდასწრებით მკვეთრ მოძრაობას გააკეთებს. მაგრამ მრისხანეთვალა მუდი კეთილსინდისიერებისა და სათნოების განსახიერებაა, ჯადოსნური არსებების მოვლის საგნის ნახევარადამიან მასწავლებელთან შედარებით.

რუბეუს ჰაგრიდი თავად აღიარებს, რომ მესამე კურსზე ჰოგვორტსიდან გარიცხეს და მას შემდეგ სკოლის მეტყევის თანამდებობაზე იმყოფება, რომელზეც დამბლდორმა დანიშნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ აღმოჩნდა ჰაგრიდისთვის საკმარისი. გასულ წელს მან დირექტორზე თავისი ფარული გავლენა გამოიყენა, რათა ჯადოსნური არსებების მოვლის საგნის მასწავლებლის პოსტი მიეღო.

შესახედავად საშინელი, უზარმაზარი და სასტიკი იერის მქონე ჰაგრიდი მას შემდეგ ბოროტად იყენებს თავის ახალ მდგომარეობას და მასზე მინდობილ სტუდენტებს ერთიმეორეზე საზარელი არსებებით შიშის ზარს სცემს. სანამ დამბლდორი ამაზე თვალს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხუჭავს, ჰაგრიდმა უკვე მოასწრო რამდენიმე მოსწავლის დასახიჩრება თავის გაკვეთილებზე, რომლებიც, როგორც ბევრი აღიარებს, „ძალიან საშიშია“.

— მე ჰიპოგრიფი დამესხა თავს, ჩემს მეგობარს, ვინსენტ კრაბს კი, ფლობერჭიამ უკბინა, — ამბობს დრაკო მალფოი, მეოთხეკურსელი სტუდენტი, — ჩვენ ყველას გვძულს ჰაგრიდი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვბედავთ.

თუმცა ჰაგრიდი, როგორც ჩანს, არ აპირებს დაშინების კამპანიის შეწყვეტას. გასულ თვეს „დილის მისნის“ კორესპონდენტთან საუბარში მან აღიარა, რომ მანტიკორასა და ცეცხლოვანი კიბორჩხალების შეჯვარების შედეგად მიღებულ, სიცოცხლისთვის მეტად სახიფათო არსებებს, როგორც თვითონ უწოდებს, „ცეცხლაკუდებს“, ამრავლებს. ჯადოსნური არსებების ექსპერიმენტული ჯიშების გამოყვანა, რასაკვირველია, ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტის მკაცრი მეთვალყურეობით უნდა ხდებოდეს. როგორც ჩანს, ჰაგრიდს მიაჩნია, რომ ასეთი წვრილმანი შეზღუდვები მას არ ეხება.

— მე ცოტას ვერთობოდი, სულ ესაა, — ამბობს იგი და სასწრაფოდ ცვლის საუბრის თემას.

და თითქოს ეს საკმარისი არ იყო, „დილის მისანს“ ახლახან ხელთ ჩაუვარდა უტყუარი საბუთი იმისა, რომ ჰაგრიდი არ არის წმინდა სისხლის ჯადოქარი, როგორადაც თავი მოჰქონდა. მეტიც: იგი, მთლად ადამიანიც კი არ გახლავთ. ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციით, მისი დედა არის, არც მეტი, არც ნაკლები, გოლიათი ფრიდვულფა, ვისი ადგილსამყოფელიც ამჟამად უცნობია.

სისხლისმსმელმა და სასტიკმა გოლიათებმა გასული საუკუნის განმავლობაში ერთმანეთთან გამუდმებული ომით საკუთარი მოდგმა გადაშენების პირას მიიყვანეს. ერთი მუჭა გოლიათები, რომლებიც ამ ომებს გადაურჩნენ, იმის მომხრეთა რიგებს შეუერთდნენ, „ვისი სახელიც არ ითქმის“. და სწორედ მათ მიუძღვით ბრალი მისი ბატონობის განმავლობაში გამეფებული განუკითხაობის ჟამს მაგლების მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში.

„ვისი სახელიც არ ითქმის“, იმის სამსახურში ჩამდგარი ბევრი გოლიათი ბნელი ძალების წინააღმდეგ მებრძოლმა აურორებმა დახოცეს, მაგრამ ფრიდვულფა მათ გადაურჩა. სავარაუდოდ, მან თავი შეაფარა საზღვარგარეთ, მთებში შემორჩენილ გოლიათთა ერთ-ერთ დასახლებას. ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ფრიდვულფას ვაჟს სასტიკი ბუნება დედისგან დაჰყვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბედის ირონიით, როგორც ამბობენ, ჰაგრიდმა ახლო მეგობრობა დაამყარა ბიჭთან, რომელმაც ჩვენ-რომ-ვიცით, იმის ძალაუფლება დაამხო და, შესაბამისად, აიძულა ჰაგრიდის დედა, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის სხვა მხარდამჭერების მსგავსად გადახვეწილიყო. შეიძლება, ჰარიმ სულაც არ იცის მწარე სიმართლე თავისი ვეება მეგობრის შესახებ, მაგრამ ალბუს დამბლდორი, რასაკვირველია, მოვალეა, ჰარი პოტერი და მისი თანასკოლელები გააფრთხილოს, რამდენად სახიფათოა ნახევრად გოლიათებთან ურთიერთობა."

ჰარიმ კითხვა დაასრულა და რონს შეხედა. რონი პირღია და თვალებდაჭყეტილი იდგა.

– საიდან გაიგო? – დაიჩურჩულა მან.

– რას ნიშნავს, „ჩვენ ყველას გვძულს ჰაგრიდი?" – მიუბრუნდა ჰარი მალფოის, – ეს რა სისულელე მოიგონეთ, რომ ვითომ იმას, – ჰარიმ კრაბზე ანიშნა, – ფლობერჭიამ უკბინა? ფლობერჭიას ხომ კბილები არა აქვს.

კრაბი ქირქილებდა, როგორც ჩანდა, თავისი თავით ძალიან კმაყოფილი იყო.

– იმედია, ეს წერტილს დაუსვამს იმ ბანჯგვლიანი დებილის პედაგოგიურ კარიერას, – თვალები დააკვესა მალფოიმ, – ნახევრად გოლიათი... მე კი ვფიქრობდი, ბავშვობაში „ძვლისსაზრდელას" ბოთლი გამოცალა-მეთქი. დედიკოებსა და მამიკოებს ეს სულ არ მოეწონებათ... გულები დაუსკდებათ, შვილიკოები არ შეგვიჭამოსო, ჰა, ჰა...

– შე...

– ეი, თქვენ მანდ, მისმენთ თუ არა?!

ბიჭებამდე პროფესორ გრაბლი-პლენკის ხმამ მოაღწია. გოგონები ცალრქიან ცხენს გარს შემორტყმოდნენ და ეფერებოდნენ. ჰარი სიბრაზისგან ისე ცახცახებდა, რომ „დილის მისნის" სტატია ხელში უკანკალებდა. ცალრქიანი ცხენისკენ კი შეტრიალდა, მაგრამ თვალთ დაუბნელდა და ვერაფერს ხედავდა. პროფესორი გრაბლი-პლენკი ხმამაღლა შეუდგა ცალრქიანი ცხენის ჯადოსნური თვისებების ჩამოთვლას, რომ მისი ხმა ბიჭებსაც გაეგონათ.

– ნეტავ, ეს ქალი დარჩეს! – ინატრა პარვატი პეტილმა, როცა გაკვეთილი დასრულდა და ლანჩისთვის ციხე-კოშკისკენ გაემართნენ. – აი, ასეთი წარმომიდგენია მე ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილი... ცალრქიანი ცხენებივით ნორმალური არსებები, და არა მონსტრები...

– მერე, ჰაგრიდი? – ჰკითხა გაბრაზებულმა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა – ჰაგრიდი? – ცივად შეუბრუნა კითხვა პარვატიმ. – განა არ შეუძლია, ისევ მეტყევე იყოს?

მეჯლისის შემდეგ პარვატი სულ ცდილობდა, ჰარი გაეკენწლა. ჰარი ვარაუდობდა, ალბათ, მეჯლისზე მის მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამომეჩინაო, მაგრამ პარვატიმ მაინც მშვენივრად გაატარა დრო. ყველას ეუბნებოდა, რომ ჰოგსმიდში მომავალ ექსკურსიაზე ბობატონელ ბიჭთან პაემანი ჰქონდა დანიშნული.

– რა კარგი გაკვეთილი იყო, – კმაყოფილება გამოთქვა ჰერმიონმა, როცა დიდ დარბაზში შევიდნენ, – იმის ნახევარიც არ ვიცოდი, რაც პროფესორმა გრაბლი-პლენკმა ცალრქიან ცხენებზე გვი...

– ეს ნახე! – შეუღრინა ჰარიმ და „დილის მისნის" სტატია ცხვირზე ააფარა.

ჰერმიონმა კითხვისას რონივით დააღო პირი და მასავით იკითხა:

– ამ საშინელმა ქალმა ეს როგორ გაიგო? ნუთუ ჰაგრიდმა თვითონ უამბო?

– არა, – ჰარი გრიფინდორის მაგიდასთან მივიდა და გაცოფებული დაეხეთქა სკამზე. – ჰაგრიდს ჩვენთვისაც კი არ უთქვამს არაფერი. ალბათ, რიტა ისე დაიბოღმა, ჰაგრიდმა ჩემზე საშინელებები რომ არ უთხრა, წავიდა, ჩხრიკა, ჩხრიკა და ჰაგრიდს ანგარიში ამით გაუსწორა.

– იქნებ ყური მოჰკრა მეჯლისზე ჰაგრიდისა და მადამ მაქსიმის საუბარს? – ეჭვი გამოთქვა ჰერმიონმა.

– მაშინ ბაღში აუცილებლად დავინახავდით, – დაბეჯითებით თქვა რონმა, – თანაც, სკოლის არემარეზე შემოსვლის უფლება არა აქვს. ჰაგრიდმა თქვა, რომ დამბლდორს აუკრძალავს...

– იქნებ, უჩინმაჩინის მოსასხამი აქვს? – გაბრაზებულმა ჰარიმ თეფშზე ქათმის ნაჭერი ისე დაახეთქა, რომ იქაურობა შხეფებით მოწუწა, – ის ყველაფერს იკადრებს! არ მოერიდება ბუჩქებში ჩამალვასა და ხალხისათვის ყურისგდებას!

– როგორც შენ და რონი მოიქეცით, არა? – შეახსენა ჰერმიონმა.

– ჩვენ განზრახ კი არ მოგვისმენია! – აღშფოთდა რონი, – სხვა გზა არა გვქონდა! იმ შტერსაც რაღა იქ მოუნდა თავის გოლიათ დედაზე ლაპარაკი, სადაც ყველა გაიგებდა!

– უნდა წავიდეთ და ვინახულოთ, – გადაწყვიტა ჰარიმ, – ამ საღამოსვე, მისნობის შემდეგ. უნდა ვთხოვოთ, რომ დაბრუნდეს! შენ არ გინდა, რომ დაბრუნდეს? – თვალები დაუბრიალა ჰერმიონს.

– მეე? ჰო, მე არ უარვყოფ, რომ მრავალფეროვნებისთვის კარგი იყო, ერთხელ მაინც ჯადოსნური არსებების მოვლის ნორმალური გაკვეთილი ჩაგვტარებოდა, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, ჰაგრიდის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაბრუნება მინდა, რა თქმა უნდა, მინდა! – საჩქაროდ დაამატა ჰარის მრისხანე მზერით შემკრთალმა ჰერმიონმა.

ასე რომ, იმ საღამოს, ნასადილევს, სამივენი ციხე-კოშკიდან გამოვიდნენ, თოვლით დაფარული ეზო გაიარეს და ჰაგრიდის ქოხისკენ გაემართნენ. კარზე ბრახუნს ფენგის მქუხარე ყეფა გამოეპასუხა.

– ჰაგრიდ, ჩვენ ვართ! – დაიყვირა ჰარიმ და კარს ბრახაბრუხი აუყენა, – გააღე!

ქოხიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ესმოდათ, როგორ ფხოჭნიდა კარს აწკმუტუნებული ფენგი, მაგრამ კარი არა და არ იღებოდა. მთელ ათ წუთს აბრახუნეს. რონმა ფანჯარაზეც კი აკაკუნა, მაგრამ ამაოდ.

– ჩვენ რატომ გვარიდებს თავს? – ჰკითხა ბიჭებს ჰერმიონმა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ფარ-ხმალი დაყარეს და სკოლისკენ წავიდნენ, – ჩვენთვის ხომ მის ნახევარგოლიათობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს!

მაგრამ, როგორც ჩანდა, ამას ჰაგრიდისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. იგი მთელი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა. საუზმობისას, სადილობისას და ვახშმობისას მისი სკამი ცარიელი იყო, არც ტყესა და ციხე-კოშკის მიდამოებში მოუკრავთ თვალი. ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილებს ისევ პროფესორი გრაბლი-პლენკი ატარებდა. მალფოი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

– შენი უჯიშო მეგობარი გენატრება? – გადაუჩურჩულებდა ხოლმე ჰარის, როცა მასწავლებელი ახლომახლო იყო, რათა ჰარის სამაგიეროს გადახდის საშუალება არ ჰქონოდა, – გენატრება არა, ის სპილო?

შუა იანვარში ბავშვებს ჰოგსმიდში გასეირნების უფლება დართეს. ჰერმიონს ძალიან გაუკვირდა, რომ ჰარიც აპირებდა წასვლას.

– მე მეგონა, საერთო დარბაზის დაცარიელებით ისარგებლებდი და კვერცხის გამოცანაზე დაფიქრებოდი!

– მმმ... მე მგონი, უკვე თითქმის გამოვიცანი, – იცრუა ჰარიმ.

– მართლა? – ჰერმიონი აღფრთოვანებული დარჩა, – ყოჩაღ!

ჰარიმ სინდისის ქენჯნა იგრძნო, მაგრამ გადაწყვიტა, ყურადღება არ მიექცია. ბოლოს და ბოლოს, მეორე ტურამდე მთელი ხუთი კვირა ჰქონდა, ეს კი დიდი დრო იყო... თანაც, ჰოგსმიდში იქნებ ჰაგრიდიც ენახა და როგორმე დაბრუნებაზე დაეყოლიებინა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი შაბათს ციხე-კოშკიდან ერთად გამოვიდნენ. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ეზო გადაჭრეს და ჭიშკრისკენ გაემართნენ. ტბის სანაპიროსთან ღუზაჩაშვებულ გემს რომ ჩაუარეს, გემბანზე საცურაო ტრუსის ამარა გამოსული ვიქტორ კრამი დაინახეს. გამხდარ-გაკნაჭული კრამი, ეტყობა, უფრო ამტა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა, რადგან გემბანის მოაჯირზე აძვრა, ხელები გაშალა და პირდაპირ ტბაში გადაეშვა.

– გაგიჟდა?! – განცვიფრებული უყურებდა ჰარი. კრამმა შუა ტბაში ამოყვინთა, – წყალი, ალბათ, ყინულივით ცივია, იანვარია, ბოლოს და ბოლოს!

– მის მშობლიურ მხარეში ბევრად უფრო ცივა, – აუხსნა ჰერმიონმა, – ალბათ, ეს წყალი მისთვის თბილიცაა.

– ჰო, მაგრამ ტბაში გიგანტური კალმარია, – რონის ხმაში შეშფოთება კი არა, უფრო იმედი იგრძნობოდა. ჰერმიონს ეს არ გამოჰპარვია და შუბლი შეიკრა.

– იცით, რა სასიამოვნო ადამიანია?! მერე რა, რომ დურმსტრანგიდანაა. ისეთი არაა, თქვენ რომ გგონიათ. აქაურობა ბევრად უფრო მოსწონს, თვითონ მითხრა.

რონმა ხმა არ ამოიღო. მეჯლისის შემდეგ ვიქტორ კრამი არ უხსენებია, მაგრამ ჰარიმ შობის მეორე დღეს რონის საწოლის ქვეშ მინიატურული მკლავი იპოვა და ტანსაცმლის ფერის მიხედვით ივარაუდა, რომ ეს ხელი ქვიდიჩის ბულგარეთის ნაკრების ლიდერის პატარა ფიგურისთვის უნდა მოეტეხათ.

თოვლჭყაპიან მთავარ ქუჩაზე ჰარის თვალები დააწყდა ჰაგრიდის ძებნაში და როცა დარწმუნდა, რომ არც ერთ მაღაზიაში არ იყო, მეგობრებს ლუდხანა „სამ ცოცხში“ შესვლა შესთავაზა.

ლუდხანა, როგორც ყოველთვის, ახლაც ხალხით იყო სავსე. ჰარიმ თვალის ერთი შევლებითაც დაასკვნა, რომ ჰაგრიდი არც იქ იყო. გულდამძიმებული გაჰყვა რონსა და ჰერმიონს დახლისკენ, მადამ როზმერტას სამი ბოთლი ბურბურახი შეუკვეთა და დაბოღმილმა გაიფიქრა, რას მოვდიოდი, არ ჯობდა, სკოლაში დავრჩენილიყავი და კვერცხის წივილ-კივილისთვის დამეგდო ყურიო?!

– ნუთუ ეს კაცი სამსახურში საერთოდ არ დადის? – გაიგონა უცებ ჰერმიონის ჩურჩული, – შეხედეთ!

მან დახლს უკან სარკეზე მიუთითა ბიჭებს. სარკეში ლუდო ბეგმანი ჩანდა გობლინების ჯგუფთან ერთად. ლუდხანის ბნელ კუთხეში ისხდნენ. ბეგმანი ხმადაბლა გამალებით ესაუბრებოდა გობლინებს, მათ კი გულხელი დაეკრიბათ და მუქარით უყურებდნენ.

„მართლაც უცნაურია, – გაიფიქრა ჰარიმ, – რა უნდა აქ, „სამ ცოცხში,“ ბეგმანს შაბათ დღეს, როცა მესამე ტური ჯერ შორსაა და მასაც ჟიურის წევრის მოვალეობის შესრულება არ სჭირდება?“ სარკეში ჰარიმ ნათლად დაინახა, რომ ბეგმანი ისევე იყო შეშფოთებული, როგორც მაშინ, ტყეში „შავი ნიშნის“ გამოჩენის ღამეს. უეცრად ბეგმანმა დახლისკენ გაიხედა, ჰარი დაინახა და წამოდგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახლავე მოვალ! – უხეშად უთხრა გობლინებს, ლუდხანა გადმოჭრა და ჰარისკენ წამოვიდა, სახეზე ძველებურად ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა.

– ჰარი! როგორა ხარ? იმედი მქონდა, რომ შეგხვდებოდი! ყველაფერი კარგად არის? – ხალისით ჰკითხა ჰარის.

– დიახ, გმადლობთ, – უპასუხა ჰარიმ.

– შეიძლება, ერთი წუთით ცალკე დაგელაპარაკო? – სთხოვა ბეგმანმა, – თქვენ წინააღმდეგი ხომ არ ხართ? – მიუბრუნდა რონსა და ჰერმიონს.

– მმმ... არა, – თქვა რონმა და ის და ჰერმიონი თავისუფალი მაგიდის მოსაძებნად წავიდნენ.

ბეგმანმა ჰარი დახლის ბოლოში, მადამ როზმერტასგან მოშორებით გაიყვანა.

– უბრალოდ, მინდოდა, კიდევ ერთხელ მომელოცა შენი ბრწყინვალე გამოსვლა რქაკუდას წინააღმდეგ, ჰარი, მართლაც საუცხოოდ გამოვიდა!

– გმადლობთ, – მიუგო ჰარიმ, მაგრამ ხვდებოდა, რომ ბეგმანს მხოლოდ ამის თქმა არ სურდა, რადგან მილოცვა რონისა და ჰერმიონის თანდასწრებითაც შეეძლო. თუმცა ბეგმანი მიზნის გამხელას არ ჩქარობდა. ბიჭს არ გამოეპარა, როგორ შეავლო თვალი დახლს მიღმა სარკეში არეკლილ გობლინებს, რომლებიც მას და ჰარის შავ, ელამ თვალებს არ აშორებდნენ.

– ნამდვილი კოშმარია, – ჩურჩულით შესჩივლა ჰარის, როცა შეამჩნია, რომ ისიც გობლინებს უყურებდა, – ინგლისური კარგად არ იციან... რაღა ეგენი და რაღა ბულგარელები ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე! მაგრამ ისინი ჟესტების ენას მაინც იყენებდნენ და კაცი რაღაცას მიხვდებოდა... ესენი კი გობლინურად ბლუკუნებენ რაღაცას... გობლინურად ერთადერთი სიტყვა ვიცი: ბლადვაკი. წერაქვს ნიშნავს. მაგრამ მაგას ვერ ვეტყვი, არ ეგონოთ, რომ ვემუქრები, – ბეგმანი აროხროხდა.

– თქვენგან რა უნდათ? – ჰკითხა ჰარიმ, რადგან შეამჩნია, რომ ისინი ისევ გაფაციცებით უთვალთვალებდნენ ბეგმანს.

ბეგმანი რატომღაც ანერვიულდა:

– რა ვიცი... როგორ გითხრა... ბარტი კრაუჩს ეძებენ.

– აქ რატომ ეძებენ? – ჰკითხა ჰარიმ, – ის ხომ ლონდონშია, სამინისტროში?

– მმმ... სიმართლე რომ გითხრა, წარმოდგენა არა მაქვს, სად არის, – გამოტყდა ბეგმანი, – ის... როგორ გითხრა... სამსახურში აღარ დადის. უკვე ორი კვირაა, არ გამოჩენილა. მისი თანაშემწე პერსი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამბობს, ავადააო. როგორც ჩანს, მითითებებს ბუს ფოსტით უგზავნის. ოღონდ, ჰარი, ეს არავისთან წამოგცდეს, იმიტომ რომ, რიტა სკიტერი, სადაც მოუხერხდება, ყველგან ცხვირსა ყოფს და თუ გინდა, სანაძლეოს ჩამოვალ, ბარტის ავადმყოფობაზეც რამე სისაძაგლეს შეთხზავს. ალბათ, იტყვის, რომ ისიც ბერტა ჯორკინსის მსგავსად დაიკარგა.

– ბერტა ჯორკინსზე არაფერი გაგიგიათ? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, – ბეგმანი ისევ დაიძაბა, – არა, მაგრამ, რასაკვირველია, ძებნა გამოვაცხადე („კარგ დროს კი გაგახსენდა", გაიფიქრა ჰარიმ). კაცმა არ იცის, სად დაიკარგა. დანამდვილებით ვიცი, რომ ალბანეთში ჩავიდა, იმიტომ რომ, იქ თავის გარე ბიძაშვილს შეხვდა. შემდეგ ბიძაშვილის სახლიდან სამხრეთით, დეიდის სანახავად გაემგზავრა... და შუაგზაზე უკვალოდ გაუჩინარდა. მომკალი და ვერ ვხვდები, სად ჯანდაბაში უნდა გადაკარგულიყო... ისეთი ქალი არა ჩანს, რომ სატრფოსთან ერთად გაპარულიყო... მაგრამ მაინც... მოიცა, რა გვალაპარაკებს ამდენს გობლინებსა და ბერტა ჯორკინსზე? შენთვის მინდოდა მეკითხა, – ხმა დაიდაბლა, – ოქროს კვერცხის საქმე როგორ არის?

– მმმ... არა უშავს, – იცრუა ჰარიმ.

ბეგმანი თითქოს მიხვდა, რომ ჰარი ატყუებდა.

– მომისმინე, ჰარი, – განაგრძო ისევ ხმადაბლა, – შენი ამბავი ძალიან მაწუხებს... ძალით ჩაგრთეს ამ ტურნირში, შენი სურვილით არ მიგიღია მონაწილეობა. და თუ, – ხმას ახლა ისე დაუწია, რომ ჰარი მისკენ გადაიხარა, – მე თუ რითიმე შემიძლია, დაგეხმარო... სწორი მიმართულება მოგცე, არ მოგერიდოს... მე შენდამი კეთილად ვარ განწყობილი... აღფრთოვანებული ვარ, რა ყოჩაღად გაუმკლავდი დრაკონს! შენ ოღონდ მთხოვე და...

ჰარიმ პირდაპირ შეხედა ვარდისფერლოყება ბეგმანს თოთო ბავშვივით უმანკო, ცისფერ თვალებში.

– ჩვენ ხომ დამოუკიდებლად უნდა გამოვიცნოთ გამოცანა? – ფრთხილად მიუგო ჰარიმ, არ ეგონოს, რომ ჯადოქრული თამაშებისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს წესების დარღვევაში ვადანაშაულებო.

– კი, კი, რა თქმა უნდა, – მოუთმენლად უპასუხა ბეგმანმა, – მაგრამ, მოიცა, რა, ჰარი! ჩვენ ხომ ყველას ჰოგვორტსის გამარჯვება გვინდა, ასე არ არის?

– სედრიკს შესთავაზეთ დახმარება? – ჰკითხა ჰარიმ.

ბეგმანს ფუნჩულა სახე მოეღრუბლა.

– არა, არ შემითავაზებია, მაგრამ... როგორც გითხარი, შენდამი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კეთილად ვარ განწყობილი. უბრალოდ, ვიფიქრე, დახმარებას...

– ამისთვის ძალიან მადლიერი ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, უკვე თითქმის ამოვხსენი გამოცანა... ერთი-ორი დღეც მინდა და მორჩა.

ჰარიმ დანამდვილებით თვითონაც არ იცოდა, რა მიზეზით ეუბნებოდა უარს. ბეგმანი მისთვის სრულიად უცხო იყო და მისგან დახმარების მიღება უფრო ეუხერხულებოდა, ვიდრე, მაგალითად, რონის, ჰერმიონის ან სირიუსისთვის მეგობრული რჩევის კითხვა.

ბეგმანი შეურაცხყოფილი ჩანდა, მაგრამ მეტი ვერაფრის თქმა ველარ მოასწრო, რადგან სწორედ ამ დროს მათთან ფრედი და ჯორჯი მივიდნენ.

– გამარჯობა, მისტერ ბეგმან, – მხიარულად მიესალმა ფრედი, – შეიძლება, სასმელით გაგიმასპინძლდეთ?

– არა, – გულგატეხილმა ბეგმანმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ჰარის, – არა, ბიჭებო, გმადლობთ...

ფრედი და ჯორჯიც მასზე არანაკლებ გულდაწყვეტილები დარჩნენ, ბეგმანი ისე იყო მოღუშული, თითქოს ჰარიმ საშინელი შეურაცხოფა მიაყენაო.

– კაი, ახლა უნდა გავვარდე, – თქვა ბოლოს, – სასიამოვნო იყო თქვენი ნახვა. წარმატებას გისურვებ, ჰარი.

და აჩქარებით გავიდა ლუდხანიდან. გობლინები სკამებიდან წამოცვივდნენ და ბეგმანს გამოედევნენ. ჰარი რონთან და ჰერმიონთან დაბრუნდა.

– რა უნდოდა? – ჰკითხა რონმა.

– კვერცხის გამოცანაში დახმარება შემომთავაზა.

– ეს როგორ შეიძლება! – ჰერმიონს, პირდაპირ, თავზარი დაეცა, – ის ხომ ჟიურის წევრია! და თანაც, შენ ხომ მითხარი, უკვე გამოვიცანიო, არა?

– ჰო... თითქმის... – მიუგო ჰარიმ.

– არა მგონია, დამბლდორს მოეწონოს, თუ გაიგო, რომ ბეგმანი დახმარებას გთავაზობდა! – განაგრძო აღშფოთებულმა ჰერმიონმა, – იმედია, სედრიკსაც შესთავაზა დახმარება!

– არა, მე ვკითხე და, არაო.

– რაში გადარდებს, დიგორი დახმარებას მიიღებს თუ არა? – გაბრაზდა რონი. ჰარი გულში დაეთანხმა.

– ის გობლინები მაინცდამაინც კეთილგანწყობილები არ ჩანდნენ, – შენიშნა ჰერმიონმა და ბურბურახი მოსვა, – აქ რას აკეთებენ?

– ბეგმანს თუ დავუჯერებთ, კრაუჩს ეძებენ, – თქვა ჰარიმ, – ისევ ავადაა. სამსახურს კარგა ხანია, აცდენს.

– იქნებ პერსიმ მოწამლა? – ეჭვი გამოთქვა რონმა, – შეიძლება,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმედი აქვს, რომ თუ კრაუჩი ფეხებს გაფშეკს, თვითონ გახდება საერთაშორისო ჯადოქრული ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

ჰერმიონმა რონს ისე გადახედა, რომ იგულისხმებოდა, ასეთ რამეებზე ხუმრობა როგორ შეიძლებაო, და თქვა:

– რა უცნაურია, რომ გობლინები ბატონ კრაუჩს ეძებენ... სამინისტროსთან თუ რამე საქმე აქვთ, ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტს უნდა მიმართონ...

– იქნებ თარჯიმანი სჭირდებათ, კრაუჩმა ხომ უამრავი ენა იცის, – ივარაუდა ჰარიმ.

– ახლა საწყალ პატარა გობლინუკებზე დარდობ? – ჰკითხა რონმა ჰერმიონს, – რა ხდება, მგუდა-ს, **მახინჯ გობლინთა უფლებების დამცველი ასოციაციის** მსგავსი რამის დაარსებას ხომ არ აპირებ?

– ჰა, ჰა, ჰა, – ირონიულად გაიცინა ჰერმიონმა, – გობლინებს დაცვა არ სჭირდებათ. ნუთუ არასდროს არ უსმენთ, რას გვიყვება ხოლმე პროფესორი ბინსი გობლინების აჯანყებების შესახებ?

– არა, – ერთდროულად თქვეს ჰარიმ და რონმა.

– ჯადოქრებს თავს არ აჩაგვრინებენ, – ჰერმიონმა ისევ მოსვა ბურბურახი, – ძალიან გონიერები არიან. უმწეო და მშიშარა შინაურ ელფებს კი არ ჰგვანან!

– ვა, ნახეთ, – რონმა კარისკენ გაიხედა.

ლუდხანაში რიტა სკიტერი შემოვიდა. ბანანისფერი მანტია ეცვა, გრძელი ფრჩხილები კი ჭყეტელა ვარდისფრად შეეღება. ღიპიანი ფოტოგრაფი ახლდა. რიტამ სასმელი იყიდა და შორიახლოს მდებარე მაგიდისკენ გაიკვლია გზა. ჰარი, რონი და ჰერმიონი მრისხანე მზერას არ აცილებდნენ ჟურნალისტს. რიტა ხალისით ლაპარაკობდა და რაღაცით უსაზღვროდ კმაყოფილი ჩანდა.

– ...ხედავ, როგორ აგვარიდა თავი? როგორ ფიქრობ, რატომ? არა, მაინც რა უნდა ამ გობლინებისგან? ჰმ, სოფლის ღირშესანიშნაობებს ათვალიერებინებს... რა სისულელეა... ტყუილი არასოდეს ეხერხებოდა. შენი აზრით, რაღაცა ხდება? ხომ არ გამოვქექოთ ეს საქმე? „ჯადოქრული სპორტის დეპარტამენტის შერცხვენილი ექს-თავმჯდომარე, ლუდო ბეგმანი“, სტატიისთვის სხარტი და მოსწრებული სათაურია, ისღა დაგვრჩენია, სათაურის შესაფერისი ამბავიც მოვიძიოთ და...

– ეძებთ, ახლა ვის დაუნგრიოთ ცხოვრება, არა? – ხმამაღლა თქვა ჰარიმ.

ხალხმა მოიხედა. რიტა სკიტერს თვალები გაუფართოვდა, როცა დაინახა, ვინ უთხრა ეს სიტყვები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი! – შესძახა სახეგაბრწყინებულმა, – რა კარგია, რომ შეგხვდი! აქ მოდი, ჩვენთან დაჯექი...

– მე თქვენ სათოფეზე არ გაგეკარებით, – კბილებში გამოსცრა გაცოფებულმა ჰარიმ, – ამისთანა სიბინძურე როგორ დაწერეთ ჰაგრიდზე?!

რიტა სკიტერმა ფანქრით გასქელებული წარბები ასწია.

– ჩვენს მკითხველებს აქვთ უფლება, სიმართლე იცოდნენ, ჰარი, მე მხოლოდ ჩემს საქმეს...

– მერე რა, რომ ჰაგრიდი ნახევრად გოლიათია? – დაიყვირა ჰარიმ, – მას ხომ არაფერი დაუშავებია!

მთელი ლუდხანა გაისუსა. მადამ როზმერტას, რომელიც დახლთან გრაფინში თაფლუჭს ასხამდა, გაოცებისგან თვალები დაეჭყიტა და საერთოდ ვერ ამჩნევდა, რომ გრაფინიდან თაფლუჭი გადმოდიოდა.

რიტა სკიტერს წამით სახიდან ღიმილი გაუქრა, მაგრამ თავს მალე მოერია და ფართოდ გაიღიმა, მერე ნიანგის ტყავის ხელჩანთა ტკაცანით გახსნა და ფრთიანი-ფრაზების-ფრთა ამოაძვრინა:

– ჰარი, ინტერვიუს ხომ არ მომცემ? მომიყევი, შენ როგორ ჰაგრიდს იცნობ! რა იმალება კუნთების გროვის მიღმა? როგორ მოხდა, რომ თქვენ დამეგობრდით? მან მამის მაგივრობა გაგიწია?

ჰერმიონი გველნაკბენივით წამოიჭრა, ხელში ბურბურახის კათხა ყუმბარასავით ჩაებღუჯა.

– თქვენ საზიზღარი ქალი ხართ! – გამოსცრა კბილებში, – ფეხებზე გკიდია, არა? ოღონდაც სტატიისთვის გამოგადგეს და ყველას გადასწვდები! ლუდო ბეგმანსაც კი...

– დაჯექი, შე სულელო პატარა გოგო, და ნუ ლაპარაკობ იმაზე, რაზეც წარმოდგენა არა გაქვს, – ცივად მოუჭრა რიტა სკიტერმა და ჰერმიონს ცივად შეხედა, – ლუდო ბეგმანზე მე ისეთი რაღაცეები ვიცი, რომ თმა ყალყზე დაგიდგება... თუმცა, შენი თმა ისედაც ყალყზე დგას, – დასძინა და ჰერმიონის გაფუებული თმა შეათვალიერა.

– ჰარი, რონ, წავიდეთ, – უთხრა ჰერმიონმა მეგობრებს.

სამივენი გავიდნენ ლუდხანიდან, ყველამ თვალი გააყოლა. კართან მისულმა ჰარიმ წამით უკან გაიხედა. რიტა სკიტერის ფრთიანი-ფრაზების-ფრთა მაგიდაზე დადებულ პერგამენტზე წინ და უკან დაქროდა.

– მისი მორიგი მსხვერპლი შენ იქნები, ჰერმიონ, – შეშფოთებით გადაულაპარაკა რონმა, როცა ქუჩას აჩქარებული ნაბიჯებით მიუყვებოდნენ.

– აბა, გაბედოს! – სიბრაზისგან კანკალებდა ჰერმიონი, – მე მაგას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვუჩვენებ! მაშ, პატარა სულელი გოგო ვარ, არა? ო, ნახეთ, რა დღეს დავაყრი ამის გულისთვის, ჯერ ჰარი, ახლა ჰაგრიდი!

– გირჩევ, რიტა სკიტერი არ გადაიკიდო, – ურჩია რონმა, – სერიოზულად გეუბნები, ჰერმიონ, შენზეც რაღაცას გამოქექავს...

– მე ვერ შემაშინებს! ჩემი მშობლები „დილის მისანს“ არ კითხულობენ, დასამალი არაფერი მაქვს! – ჰერმიონი ისე სწრაფად მიაბიჯებდა, ბიჭები ძლივს ეწეოდნენ. ასეთი გაბრაზებული ჰარის მას შემდეგ არ ენახა, რაც მალფოის სილა გააწნა, – ჰაგრიდიც აღარ უნდა დაიმალოს! არ უნდა მიეცა უფლება იმ არაადამიანისთვის, ასე გაემწარებინა! წამოდით!

ჰერმიონი ადგილს მოსწყდა და ციხე-კოშკის ჭიშკრამდე არბენინა ბიჭები. მერე ეზო გადაჭრეს და ჰაგრიდის ქოხს მიადგნენ.

ფარდები ისევ ჩამოფარებული დახვდათ. ფენგის ყეფაც გაიგონეს.

– ჰაგრიდ! – დაუძახა ჰერმიონმა და წინა კარზე დააბრახუნა. – ჰაგრიდ, გეყოფა! ვიცით, რომ მანდ ხარ! არავის არ ადარდებს, დედაშენი გოლიათი იყო თუ არა! როგორ აძლევ იმ დამპალ ქალს იმის უფლებას, ასეთ დღეში ჩაგაგდოს! ჰაგრიდ, გამოდი, ნუ იქცევი...

კარი გაიღო. ჰერმიონმა დაიწყო:

– აი, ასე, შენ ხომ... – მაგრამ სიტყვა გაუწყდა, რადგან მის წინ ჰაგრიდი კი არა, ალბუს დამბლდორი იდგა.

– შუადღე მშვიდობისა, – ალერსით გაუღიმა ბავშვებს.

– ჩვენ... ისაა... ჰაგრიდის ნახვა გვინდოდა, – გაუბედავად ამოიკნავლა ჰერმიონმა.

– დიახ, ასეც ვიფიქრე, – თვალები აუციმციმდა დამბლდორს, – შემობრძანდებით?

– ო, მმმ... შემოვალთ.

მეგობრები ქოხში შევიდნენ. ჰარის მაშინვე გიჟივით აყეფებული ფენგი მივარდა და ყურები აულოკა. ჰარიმ ძაღლი მოიშორა და მიმოიხედა.

ჰაგრიდი მაგიდასთან იჯდა. წინ ორი ვეება ტოლჩით ჩაი ედგა. საშინელი შესახედავი იყო. სახე შეშუპებოდა, თვალები დასივებოდა, თმა კი დახლართული მავთულის გორგალს მიუგავდა.

– გამარჯობა, ჰაგრიდ, – მიესალმა ჰარი.

ჰაგრიდმა თავი ასწია.

– გაგიმარჯოს, – ამოიხავლა ჩახლეჩილი ხმით.

– კიდევ ცოტა ჩაი არ გვაწყენდა, – დამბლდორმა კარი მიხურა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და თითებში დაატრიალა. ჰაერში ჩაიდნით, ფინჯნებითა და ნამცხვრით სავსე თეფშით გაწყობილი ლანგარი დაბზრიალდა. დამბლდორმა ლანგარი მაგიდასთან მიაცურა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზედ დადო, შემდეგ ყველანი დასხდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. წუთიერი დუმილი ისევ დამბლდორმა დაარღვია:

– ჰაგრიდ, შემთხვევით, ხომ არ გაგიგია, რას ყვიროდა მის გრეინჯერი?

ჰერმიონი ოდნავ აილეწა, მაგრამ დამბლდორმა გოგონას გაუღიმა და განაგრძო:

– იქიდან გამომდინარე, რომ ჰერმიონმა, ჰარიმ და რონმა კინაღამ კარი შემოამტვრიეს, ჩანს, ისევ აქვთ შენთან მეგობრობის სურვილი.

– რა თქმა უნდა, ისევ გვინდა შენთან მეგობრობა, ჰაგრიდ! ნუთუ იმ წუნკალა სკიტერის... უი, უკაცრავად, ბატონო პროფესორო, – ჰარიმ დამბლდორს დამნაშავესავით შეხედა.

– მე დროებით დავყრუვდი და არაფერი გამიგონია, – დამბლდორმა ცერა თითები ერთმანეთის გარშემო დაატრიალა და ჭერს მიაჩერდა.

– მმმ... ჰო, – განაგრძო შეცბუნებულმა ჰარიმ, – ჰაგრიდ, იმის თქმა მინდოდა... რამ გაფიქრებინა, რომ რასაც ის... ის ქალი დაწერდა, ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა?

ჰაგრიდის ხოჭოსავით შავ თვალებს ორი მსუქანი ცრემლი მოსწყდა და გაბურძგნილ წვერში ჩაუცვივდა.

– ხომ გეუბნებოდი, ჰაგრიდ? – უთხრა ჭერის თვალიერებით გართულმა დამბლდორმა, – მე შენ უკვე გაჩვენე უამრავი მშობლისგან მოწერილი წერილი. შენ ამ მშობლებს მათი აქ სწავლის დროიდან ახსოვხარ. ისინი გარკვევით მწერენ, რომ თუ დაგითხოვე, ამას ასე არ დატოვებენ...

– ყველა ხო არა... – წაიდუდღუნა ჰაგრიდმა, – ზოგს ხო არ უნდა, რო აქ დავრჩე.

– რას ამბობ, ჰაგრიდ! შენ თუ საყოველთაო სიყვარულს მოითხოვ, მე მგონი, ამ ქოხში კიდევ დიდხანს მოგიწევს ჯდომა, – დამბლდორმა ამჯერად მკაცრად გადახედა ნახევარმთვარისებური სათვალის ზემოდან, – რაც ამ სკოლის დირექტორი გავხდი, კვირა არ გავა, ჩემ მიერ სკოლის მართვით უკმაყოფილო რომელიმე პირისგან ბუმ საჩივარი არ მომიტანოს. მაგრამ, რა ვქნა, კაბინეტში გამოვიკეტო და ხმა არავის გავცე?

– ჰო... მაგრამ თქვენ ხო ნახევრად გოლიათი არა ხართ! – ცრემლნარევი ხმით დაიბუხუნა ჰაგრიდმა.

– ჰაგრიდ, დაგავიწყდა, მე როგორი ნათესავები მყავს?! – გაბრაზდა ჰარი, – ხომ იცი, დერსლები როგორები არიან!

– სამართლიანი შენიშვნაა, – ჩაურთო დამბლდორმა, – ჩემი ღვიძლი ძმა, აბერფორტი, ერთხელ თხაზე შეუფერებელი ჯადოს გამო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყენებაში დაადანაშაულეს გაზეთში, მაგრამ აბერფორტი განა დაიმალა! არა! ძველებურად თავაწეული დადიოდა! მართალია, ზუსტად არ ვიცი, კითხვა იცის თუ არა, ამიტომ, შეიძლება, ეს დიდ სიმამაცეში ვერც ჩავუთვალოთ...

– ჰაგრიდ, გამოდი ამ შენი ქოხიდან და სკოლაში დაბრუნდი, – ალერსიანად სთხოვა ჰერმიონმა, – გეხვეწები, დაბრუნდი, მართლა ძალიან გვენატრები.

ჰაგრიდმა ნერწყვი გადაყლაპა და ლოყებსა და აბურდულ წვერზე ღაპაღუპით ჩამოსცვივდა ცრემლები. დამბლდორი წამოდგა.

– ჰაგრიდ, შენს განცხადებას ხელს არ მოვაწერ. ორშაბათიდან შენს სამუშაოს დაუბრუნდები, – ცხრის ნახევარზე დიდ დარბაზში ჩემთან ერთად ისაუზმებ. არაფერი არ გამაგონო. ყველას მშვიდობიან დღეს გისურვებთ.

და დამბლდორი ქოხიდან გავიდა, მხოლოდ ერთი წამით შეყოვნდა, რომ ფენგისთვის ყურები მოეფხანა. კარი გაიხურა თუ არა, სანაგვე ყუთის სარქველებისოდენა ხელებში თავჩარგულმა ჰაგრიდმა ქვითინი ამოუშვა. ჰერმიონი მხარზე ეფერებოდა. ბოლოს თვალებჩაწითლებულმა ჰაგრიდმა თავი ასწია და თქვა:

– დიდებული კაცია დამბლდორი... დიდებული...

– ნამდვილად, – დაეთანხმა რონი, – ჰაგრიდ, შეიძლება, ერთი ნამცხვარი ავიღო?

– ჰო, მიირთვი, – ჰაგრიდმა ხელის ზურგით თვალები შეიმშრალა, – მართალია, აბა, რა... სუ ყველანი მართლები ხართ... რა სულელი ვარ. ისე ვიქცევი, მამაჩემი სირცხვილისგან დაიწვებოდა, – ისევ წამოუვიდა ცრემლები, მაგრამ ახლა უფრო ენერგიულად მოიწმინდა: – მამაჩემის სურათი თქვენთვის არ მიჩვენებია, არა? მოიცათ...

ჰაგრიდი წამოდგა, კამოდის უჯრა გამოაღო და ერთი გახუნებული სურათი ამოაძვრინა. ამ სურათზე შვილის მხარზე სახეგაბრწყინებული იჯდა ჩია ჯადოქარი. მას ჰაგრიდისნაირი თვალები და ღიმილისგან დანაოჭებული თვალის კუთხეები ჰქონდა. უკანა პლანზე ჩანდა ვაშლის ხე. მისი სიმაღლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ჰაგრიდი უკვე ორი მეტრის სიმაღლისა იქნებოდა, მაგრამ სახე ბავშვური ჰქონდა, სულ რაღაც თერთმეტიოდე წლის თუ იქნებოდა.

– ეგ სურათი, ჰოგვორტსში რო შევედი, ცოტა ხნის მერე გადავიღეთ, – ნამტირალევი ხმით აუხსნა ჰაგრიდმა ბავშვებს, – მამა ძაან გახარებული იყო. ეგონა, ჩემგან ჯადოქარი არ გამოვიდოდა, იმიტო რო, დედაჩემი... მოკლედ, ხო იცით. თან, სიმართლე გითხრათ, ჯადოქრობა კარგად არ მეხერხებოდა. კიდევ კარგი, ჩემ გარიცხვას ვერ მოესწრო. მეორე კურსზე ვიყავი, რო მოკვდა... მამის სიკვდილის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ დამბლდორმა მიპატრონა. მეტყეველ მომაწყო... ჰო, დამ-ბლდორი ხალხს ენდობა... შანსს აძლევს... აი, რით განსხვავდება სხვა დირექტორებისგან. ის ჰოგვორტსში ყველას იღებს, ყველას, ვისაც ნიჭი აქვს. იცის, რო, მერე რა, თუ მშობლებში არ გაგიმართლა და არ არიან ასეთი... ასეთი პატივსაცემები... შეილება შენგან მაინც რამე გამოვიდეს. მაგრამ ზოგს ეს არ ესმის. ყოველთვის აღმოჩნდე-ბა ისეთი ვინმე, ვინც ამას შენ წინააღმდეგ გამოიყენებს... ისეთებიც არიან, ვისაც თავი ისე უჭირავს, თითქოს ძვალმსხვილი იყოს, იმის მაგივრად, რო ადგეს და თქვას: მე ის ვარ, რაც ვარ, და ამის სულ არ მრცხვენიაო. არასოდეს არ შეგრცხვესო, მეტყოდა ხოლმე მამა, ვილაცეები ამას შენ წინააღმდეგ გამოიყენებენ, მარა იმათ თავი არ უნდა გაუყადროო. მართალი იყო. რა იდიოტივით ვიქცევი. იმასაც აღარ გავუყადრებ თავს, გპირდებით. ჰმ, ძვალმსხვილი, ჯანდაბაში წასულა თავის მსხვილ ძვლებიანად!

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. ჰარი უმალ ორმოცდაათ ცეცხლაკუდას წაიყვანდა სასეირნოდ, ვიდ-რე ჰაგრიდთან აღიარებდა, რომ მადამ მაქსიმთან მისი საუბარი მოისმინა. მაგრამ ჰაგრიდი ლაპარაკს განაგრძობდა, როგორც ჩანდა, სულაც არ შეუმჩნევია, რომ რაღაც უცნაური თქვა.

– იცი, რა, ჰარი, – ჰაგრიდმა მამის ფოტოსურათს თვალი მოაშო-რა და გაბრწყინებულმა შეხედა ჰარის, – პირველად რო გნახე, ჩემი თავი მომაგონე. ჩემსავით ობოლი იყავი და შენც გეშინოდა, რო ჯადოქრების სამყაროში შენი ადგილი არ აღმოჩნდებოდა, გახსოვს? ეჭვი გეპარებოდა, ვაითუ არაფერი გამომივიდესო... ახლა კი შეხედე შენ თავს, ჰარი! სკოლის ჩემპიონი ხარ!

ჰარის ცოტა ხანს უყურა და შემდეგ ძალიან სერიოზულად განაგ-რძო:

– იცი, რა მინდა, ჰარი? მინდა, რო გაიმარჯვო, მართლა მინდა. დაუმტკიცებდი, რო რამის მისაღწევად აუცილებელი არაა, წმინდა-სისხლიანი იყო; რო არ უნდა გრცხვენოდეს იმისი, რაც ხარ. დაუმ-ტკიცებდი, რო დამბლდორი მართალია, სკოლაში ყველას რო უშვებს, ვისაც ჯადოქრობა შეუძლია. როგორ მიდის კვერცხის საქმე, ჰარი?

– კარგად, – მიუგო ჰარიმ, – ძალიან კარგად.

ჰაგრიდს საცოდავი ნამტირალევი სახე ფართო ღიმილმა გაუბად-რა.

– ყოჩაღ, ჩემო ბიჭო... უჩვენე მაგათ სეირი, ჰარი, უჩვენე! ყველას აჯობე!

ჰაგრიდის მოტყუება არაფრით არ ჰგავდა სხვების მოტყუებას. მოგვიანებით, როცა ჰარი რონთან და ჰერმიონთან ერთად ციხე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კოშკში ბრუნდებოდა, თვალწინ სულ ჰაგრიდის გაბურძგნილი, ბედნიერი სახე ედგა, როცა ოცნებობდა, რომ ტურნირი ჰარის მოეგო. კვერცხის საიდუმლოება იმ საღამოს კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა ჰარის სინდისს და მტკიცედ გადაწყვიტა: დროა, გვერდზე გადავდო სიამაყე და ვნახო, სედრიკის რჩევა რამედ ღირს თუ არაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეხუთე

კვერცხი და თვალი

ჰარიმ არ იცოდა, რა დროს მოანდომებდა აბაზანაში ოქროს კვერცხის გამოცანის ამოხსნას, ამიტომ გადაწყვიტა, იქ ღამით შესულიყო, რადგან ღამით დრო თავსაყრელად ექნებოდა. სულაც არ უნდოდა, სედრიკისგან დავალებული ყოფილიყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა პრეფექტების აბაზანის გამოყენება. იქ შესვლის უფლება ცოტას ჰქონდა, ამიტომ ხელსაც ვერავინ შეუშლიდა.

ყველაფერი გულდასმით დაგეგმა, რადგან სკოლის დარაჯს, ფილჩს, ადრეც რამდენჯერმე ჰყავდა დაჭერილი აკრძალულ ადგილას შუაღამით, და არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ისევ ჩავარდნოდა ხელში. უჩინმაჩინის მოსასხამს, რა თქმა უნდა, აუცილებლად წაიღებდა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, ონავართა რუკაც უნდა გაეყოლებინა. ეს რუკა მოსასხამზე არანაკლებ სამსახურს უწევდა სკოლის განაწესის დარღვევაში. რუკაზე გამოსახული იყო მთელი ჰოგვორტსი თავისი უმოკლესი გზებითა და საიდუმლო გასასვლელებით. რაც მთავარია, რუკა ციხე-კოშკის დერეფნებში მოსიარულე ადამიანებს პაწაწინა მელნის ლაქებად უჩვენებდა, რომლებსაც ზედ უმცირესი ასოებით მათივე სახელები ეწერა, ასე რომ, ჰარი წინასწარ შეამჩნევდა, თუ სააბაზანოს ვინმე მიუახლოვდებოდა.

ხუთშაბათ საღამოს ჰარი საწოლ ოთახში აიპარა, უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხა, ისევ დაბლა ჩამოვიდა და სწორედ ისე, როგორც იმ საღამოს, როცა ჰაგრიდმა დრაკონები უჩვენა, პორტრეტის ხვრელის გახსნას დაელოდა. ამჯერად გარეთ რონი ელოდა. დათქმულ დროს ფუშფუშა ქალბატონს პაროლი უთხრა, წარმატებას გისურვებო, უჩურჩულა გვერდით ჩავლილ ჰარის და თვითონ საერთო ოთახში შევიდა.

იმ ღამეს ჰარის უჩინმაჩინის მოსასხამით სიარული ძალიან გაუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭირდა, რადგან ცალ იღლიაში ოქროს კვერცხი ამოეჩარა, მეორე ხელით კი თვალებთან მიტანილი რუკა ეჭირა. საბედნიეროდ, მთვარის შუქით განათებული დერეფნები უკაცრიელი და მდუმარე იყო. ჰარი დროდადრო რუკის შემოწმებამაც დაარწმუნა, რომ არასასურველს არავის გადაეყრებოდა. ბორის ბედოვლათის ქანდაკება დაბნეული გამომეტყველების ჯადოქარი აღმოჩნდა, რომელსაც ხელთათმანები ხელებზე არასწორად ეცვა. ჰარიმ საჭირო კარი იპოვა და, როგორც სედრიკმა ურჩია, პაროლი, „ნედლი ფიჭვი“ წასჩურჩულა.

კარი ჭრიალით გაიღო. ჰარი სააბაზანოში შესხლტა, კარი ურდულით ჩარაზა, შემდეგ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო და მიმოიხედა.

იქაურობა ისეთი იყო, რომ პრეფექტად გახდომა თუნდაც მხოლოდ ამ აბაზანის გულისთვის ღირდა. დიდებული კანდელაბრიდან ნაზი შუქი იფრქვეოდა, ყველაფერი თეთრი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, ოთახის შუაგულში გაკეთებული მართკუთხა საცურაო აუზის ჩათვლით. აუზის კიდეებზე ასამდე ონკანი მიემაგრებინათ. ყოველ მათგანს, სახელურის ნაცვლად, ძვირფასი თვალი ჰქონდა. აუზზე ტრამპლინიც კი იყო. ფანჯრებზე თეთრი ტილოს ფარდები ეკიდა, კუთხეში ფუმფულა ქათქათა პირსახოცების გროვა ეწყო, კედელს კი ერთადერთი ოქროსჩარჩოიანი სურათი ამშვენებდა. სურათზე გამოესახათ ქერათმიანი სირინოზი, რომელსაც წყლიდან ამოჩრილ კლდეზე ღრმად ეძინა და ფშვინვისას სახეზე ჩამოყრილი გრძელი თმა ერხეოდა.

ჰარიმ მოსასხამი, კვერცხი და რუკა ძირს დადო და აუზისკენ წავიდა. ნაბიჯების ხმა ყრუ ექოს გამოსცემდა. ასეთი ლამაზი აბაზანა ჯერ არ ენახა. ერთი სული ჰქონდა, ონკანები მოეშვა, მაგრამ, მოსვლის წუთიდან ეჭვი შეუჩნდა, ვაითუ, სედრიკი მამასხარავებსო! აბაზანის მიღებით როგორ ამოხსნიდა კვერცხის გამოცანას? მიუხედავად ამისა, ერთი ფუმფულა პირსახოცი, უჩინმაჩინის მოსასხამი, რუკა და კვერცხი საცურაო აუზის კუთხეში, იატაკზე დააწყო, მუხლებზე დადგა და რამდენიმე ონკანი მოუშვა.

თითოეული ონკანიდან, წყალთან ერთად, სულ სხვადასხვაგვარი სურნელოვანი ქაფი იღვრებოდა. ასეთი აბაზანის ქაფი ჰარის თავის დღეში არ ენახა. ერთი ონკანიდან ვარდისფერი და ცისფერი ფეხბურთის ბურთისოდენა საპნის ბუშტუკები იფრქვეოდა, მეორიდან მოთქრიალებდა თოვლივით თეთრი, ისეთი სქელი ქაფი, რომ ჰარიმ გაიფიქრა, ამაზე რომ დავწვე, არ ჩავიძირებიო, მაგრამ ახლა ამის შემოწმების დრო არ ჰქონდა. მესამე ონკანი უშვებდა იისფერ ორთქლს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც წყლის ზედაპირზე იშლებოდა და ნისლივით ტრიალებდა. ჰარი მცირე ხნით გაერთო ონკანების მოშვება-დაკეტვით. განსაკუთრებით ის ნაკადი მოეწონა, რომელიც წყლის ზედაპირზე ასხლტა და უზარმაზარ ცისარტყელად გადაიჭიმა. ბოლოს, როცა ღრმა აუზი ცხელი წყლით, ქაფითა და ბუშტუკებით აივსო (რასაც ძალიან ცოტა დრო დასჭირდა, მის ზომას თუ გავითვალისწინებთ), ჰარიმ ყველა ონკანი დაკეტა, ტანთ გაიხადა და წყალში ჩაეშვა.

აუზი ისეთი ღრმა იყო, ფსკერს ფეხის თითებით ძლივს მისწვდა. მერე ერთი ბოლოდან მეორისკენ გაცურა და გამოცურა, შემდეგ ნაპირთან გაჩერდა და კვერცხს დააკვირდა. ნაირფერ ორთქლში გახვეულ ცხელ, სურნელოვან აბაზანაში ცურვა ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ არც რაიმე ბრწყინვალე აზრი მოსვლია თავში და არც გონება განათებია.

ჰარი სველი ხელებით კვერცხს მისწვდა და გახსნა. სააბაზანო ყურის წამღებმა, სისხლის გამყინავმა კივილმა აავსო და მარმარილოს კედლებიდან ექოდ აირეკლა. ჰარისთვის ეს ხმა უწინდელივით გაუგებარი დარჩა, უფრო მეტად თუ არა, რადგან ახლა ექოც უშლიდა. შეშინებულმა ჰარიმ კვერცხი ტკაცანით დახურა, ხმაურმა ფილჩის ყურამდე არ მიაღწიოსო. ის იყო, გაიფიქრა, იქნებ, სედრიკსაც ეს უნდოდაო, რომ, მოულოდნელად, იქვე ახლოს ვიღაცამ დაილაპარაკა. ჰარი ისე შეხტა, ფეხი აუცურდა, კვერცხი ხელიდან გაუვარდა და სააბაზანოს იატაკზე ხტუნვა-ხტუნვით გაგორდა.

– შენს ადგილზე, წყალში ჩავდებდი.

ჰარიმ ელდისგან კარგა ბლომად ყლაპა ქაფიანი წყალი. სული რომ მოითქვა, ხველებით წამოდგა და ერთ-ერთ ონკანზე ფეხმორთხმით მჯდარი პირქუში გოგონას მოჩვენება დაინახა. ეს იყო მტირალა მირტლი, რომლის ქვითინიც ხშირად ისმოდა სამი სართულით ქვემოთ მდებარე ტუალეტიდან.

– მირტლ! – შესძახა აღშფოთებულმა ჰარიმ, – მე... მე ხომ შიშველი ვარ!

ჰარი ისეთი სქელი ქაფით იყო დაფარული, რომ თითქმის არ ჩანდა, მაგრამ ბიჭს გული უგრძნობდა, რომ მირტლი ერთ-ერთი ონკანიდან მას შემდეგ უთვალთვალებდა, რაც სააბაზანოში შემოაბიჯა.

– თვალები დავხუჭე, როცა შენ იხდიდი, – თავი იმართლა მირტლმა და სქელმინებიანი სათვალის მიღმა თვალები ააფახურა, – რამდენი ხანია, ჩემ სანახავად აღარ მოსულხარ!

– ჰო... იცი, რა... – ჰარიმ ყოველი შემთხვევისთვის მუხლები ოდნავ მოხარა, რათა წყლიდან მხოლოდ თავი გამოსჩენოდა, – ჩემი შემოსვლა შენს ტუალეტში ხომ არ შეიძლება. გოგონებისაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ადრე ეგ არ გედარდებოდა, – საცოდავად თქვა მირტლმა, – ადრე სულ იქ ტრიალებდი.

მართლაც ასე იყო. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა მრავალწვნიანი სასმელის მალულად მოსახარშად მირტლის გაუქმებულ ტუალეტზე უფრო ხელსაყრელი ადგილი სხვაგან ვერ იპოვეს. ამ აკრძალული სასმელის წყალობით, ჰარიმ და რონმა ერთი საათით კრაბისა და გოილის სახე მიიღეს და სლიზერინელთა საერთო ოთახში შეაღწიეს.

– იქ შესვლისთვის მაგრად დამტუქსეს და ვიფიქრე, მაგ ადგილს აღარ გავეკარები-მეთქი, – მოიმიზეზა ჰარიმ, თუმცა ნაწილობრივ ეს სიმართლე იყო: ერთხელ პერსიმ მართლაც დაიჭირა მირტლის ტუალეტიდან გამოსვლისას.

– აჰა... გასაგებია, – მირტლი უგუნებოდ იწვალებდა ნიკაპზე მუწუკს, – კაი, მოკლედ... მე კვერცხს წყალში გავხსნიდი. სედრიკიც ასე მოიქცა.

– იმასაც უთვალთვალებდი? – აღშფოთდა ჰარი, – რაო, საღამოობით აქ ამოიპარები ხოლმე და უყურებ, როგორ იღებენ აბაზანას პრეფექტები?

– ხანდახან, – ეშმაკურად მიუგო მირტლმა, – მაგრამ ჯერ არავისთან სალაპარაკოდ არ გამოვსულვარ.

– მე განსაკუთრებული პატივი მხვდა წილად? – მოიღუშა ჰარი, – აბა, დახუჭე თვალები!

ჰარი ჯერ დარწმუნდა, რომ მირტლმა სათვალეზე კარგად მიიფარა ხელები, შემდეგ აბაზანიდან ამოხტა, პირსახოცი მჭიდროდ შემოიხვია ტანზე და კვერცხის ასაღებად წავიდა.

როგორც კი ისევ წყალში ჩახტა, მირტლმა თითებს შორის გამოიჭყიტა:

– რაღას უცდი... გახსენი წყალქვეშ!

ჰარიმ კვერცხი ქაფიან წყალში ჩაუშვა და გახსნა... ამჯერად კვერცხს კივილი არ აუტეხია. მისგან ბუყბუყით ამოდიოდა რაღაც სიმღერა, მაგრამ სიტყვები გარკვევით არ ისმოდა.

– თავიც უნდა ჩაყო წყალში, – ურჩია მირტლმა, როგორც ჩანს, საშინლად მოსწონდა ჰარისთვის ჭკუის სწავლება, – მიდი.

ჰარიმ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ჩაყვინთა. აბაზანის მარმარილოს ფსკერზე დაჯდა და კვერცხიდან ამჯერად მართლაც გაიგონა არამიწიერი, ჟრუანტელის მომგვრელი სიმღერა. გუნდი მღეროდა:

„მოდი, მოგვძებნე იქ, სად ჩვენი ნაზი ხმებია,
რადგან ხმელეთზე ჩვენ სიმღერა არ შეგვძლებია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანამ მოგვძებნი, დაფიქრდი და განსაჯე ჭკუით,
ჩვენ შენ მოგტაცეთ ის, რაც ძლიერ გიყვარდა გულით.
ერთ საათს გაძლევთ, გვიპოვე და უხმე გონებას,
დათქმულ ვადაში დაიბრუნე შენი ქონება,
მაგრამ თუ შედრკი, თუ გიმტყუნა დრომ და წუთებმა,
შავი დღე გელის, ის არასდროს დაგიბრუნდება."

ჰარიმ ქაფიანი წყლიდან ამოყვინთა და თავის გაქნევით გადაიყარა თვალებიდან სველი თმა.

– გაიგონე? – ჰკითხა მირტლმა.

– ჰო... „მოდი, მოგვძებნე იქ, სად ჩვენი ნაზი ხმებია..." და, თუ არ ვცდები... მოიცა, ისევ უნდა მოვუსმინო... – ჰარიმ ისევ ჩაყვინთა წყალში.

კვერცხის სიმღერის დასამახსოვრებლად კიდევ სამჯერ დასჭირდა ჩაყვინთვა. შემდეგ ცოტა ხანს წყალში ტივტივებდა და ტვინს იჭყლეტდა, მირტლი კი იჯდა და ჩუმად უყურებდა.

– უნდა წავიდე და ვიპოვო ხალხი, რომლებსაც არ შეუძლიათ ლაპარაკი ხმელეთზე... – მსჯელობდა ჰარი, – ვა... ნეტავ ვინ უნდა იყვნენ?

– რა დიდხანს ფიქრობ!

ჰარის მტირალა მირტლი ასეთი გამხიარულებული მხოლოდ ერთხელ ენახა, ისიც მაშინ, როცა ჰერმიონს მრავალწვნიანმა სასმელმა სახეზე ბეწვი ამოუყვანა და კატის კუდი გამოაბა.

ჩაფიქრებულმა ჰარიმ სააბაზანოს თვალი მოავლო... თუ ამ ხმების გაგონება მხოლოდ წყლის ქვეშ შეიძლებოდა, მაშინ, გამოდიოდა, რომ ამ ხმების პატრონები წყალქვეშ ცხოვრობდნენ. ჰარიმ თავისი მოსაზრება მირტლს გაუზიარა. მირტლმა კმაყოფილებით ჩაიღიმა.

– დიგორიმაც სწორედ მასე იფიქრა. მთელი საუკუნე იწვა და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მთელი საუკუნე... სანამ თითქმის ყველა საპნის ბუშტი არ გაქრა.

– წყლის ქვეშ... – ნელა გაიმეორა ჰარიმ, – მირტლ, კიდევ რა ცხოვრობს ტბაში, გიგანტური კალმარის გარდა?

– რავი, რა აღარ ცხოვრობს, – უპასუხა მოჩვენებამ, – ზოგჯერ ჩავდივარ ხოლმე იქ... სხვა გზა არა მაქვს, თუ ვინმე ჩემს ტუალეტს მოულოდნელად ჩარეცხავს...

ჰარიმ წარმოიდგინა, როგორ მიქროდა მტირალა მირტლი ტბისკენ საკანალიზაციო მილში ფეკალურ მასებთან ერთად, გააკანკალა და თქვა:

– იქ, ტბაში, რამე ლაპარაკობს? მოიცა, მოიცა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ შემთხვევით შეავლო თვალი კედელზე დაკიდებულ ერთადერთ სურათს.

– მირტლ, ტბაში სირინოზები ხომ არ არიან?

– უუუჰ, ყოჩაღ! – მირტლს თვალები აუციმციმდა, – დიგორის ბევრად მეტი დრო დასჭირდა მაგის მისახვედრად! თანაც მაშინ იმას ელვიძა, – მირტლმა უკმაყოფილო გამომეტყველებით გადააქნია თავი სირინოზისკენ, – კისკისებდა, იპრანჭებოდა და კუდს იქნევდა.

– ესე იგი, გამოვიცანი, არა? – აღფრთოვანდა ჰარი, – გამოდის, რომ ამჯერად ტბაში ტრიტონები და სირინოზები უნდა მოვძებნო და მერე...

მაგრამ ჰარიმ უეცრად გააცნობიერა, ეს რას ნიშნავდა და ისე მომჩვარდა, თითქოს ვიღაცამ საცობი გამოაძრო და აღფრთოვანებისა და სიხარულისგან ერთბაშად დაიცალაო. ცურვა კარგად არ იცოდა. თითქმის არასდროს უვარჯიშია. დადლი ბავშვობაში ცურვაზე დაჰყავდათ, ჰარი – არა, დეიდა პეტუნია და ძია ვერნონი უეჭველად იმედოვნებდნენ, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ჰარი დაიხრჩოსო. აბაზანაში გაცურვა-გამოცურვას არა უშავდა, მაგრამ ტბა ხომ ძალიან დიდი და ღრმაა... არადა, სირინოზები, ალბათ, ტბის ფსკერზე ბინადრობენ.

– მირტლ, კი მაგრამ, როგორ უნდა ვისუნთქო? – იკითხა დაბნეულმა ჰარიმ.

ამაზე მირტლს თვალები უცებ ცრემლებით აევსო.

– რა უტაქტობაა! – დაიჩურჩულა და მანტიაში ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა.

– რატომ ვარ უტაქტო? – განცვიფრდა ჰარი.

– იმიტომ, რომ ჩემი თანდასწრებით სუნთქვას ახსენებ! – დაიკივლა მირტლმა და მისმა ხმამ სააბაზანოში ხმამაღალი ექო გამოსცა. – ხომ იცი, რომ მე არ შემიძლია... მე ხომ ამდენი ხანია არ... – სახე ცხვირსახოცში ჩარგო და ხმამაღლა აქსუტუნდა.

ჰარის გაახსენდა, როგორ სწყინდა მირტლს, როცა საუბარში მის სიკვდილს ახსენებდნენ. სხვა არც ერთი მოჩვენება ასეთ ამბავს არ ატეხდა ხოლმე თავისი გარდაცვალების გამო.

– ბოდიში, არ მინდოდა... დამავიწყდა...

– კიი, კი, ძალიან ადვილია, დაივიწყო, რომ მირტლი მკვდარია, – მირტლმა ცრემლები გადაყლაპა და დასივებული თვალებით შეხედა, – როცა ცოცხალი ვიყავი, მაშინაც კი ვავიწყდებოდი ყველას. რამდენიმე საათის მერე იპოვეს ჩემი ცხედარი... ვიცი, მე თვითონ ვიჯექი და ველოდი. მერე ოლივია ჰორნბი შემოვიდა ტუალეტში: „მირტლ, ისევ აქ ზიხარ და იბუტებიო“, დაიძახა, „პროფესორმა დიპეტმა შენი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოძებნა დამავალაო". და მერე ჩემი სხეული დაინახა... უუუუუჰ, სიკვდილამდე არ დავიწყებია ეს, ამაზე მე ვიზრუნე, დიახ... ყველგან კუდში დავდევდი და ვახსენებდი. მახსოვს, ერთხელ, მისი ძმის ქორწილში...

მაგრამ ჰარი აღარ უსმენდა და ისევ სირინოზების სიმღერაზე ფიქრობდა. „ჩვენ შენ მოგტაცეთ ის, რაც ძლიერ გიყვარდა გულით". ესე იგი, მათ ჰარის კუთვნილი რაღაცა მოიპარეს და მას ეს რაღაცა უნდა დაებრუნებინა. ნეტავ რა მოიპარეს?

– ... და მერე, რა თქმა უნდა, მაგიის სამინისტროში წავიდა და იჩივლა, რომ მისი თვალთვალი შემეწყვიტა, ამიტომ იძულებული გავხდი, აქ დავბრუნებულიყავი და ჩემს ტუალეტში დამედო ბინა.

– კარგი, – უგულისყუროდ უპასუხა ჰარიმ, – ჰო, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი გავიგე, ვიდრე ვიცოდი. თვალები დახუჭე, კარგი? ამოვდივარ.

ჰარიმ აბაზანის ფსკერიდან კვერცხი ამოიღო, წყლიდან ამოძვრა, ტანი გაიმშრალა და პიჟამა და ხალათი ჩაიცვა.

– ოდესმე ისევ მესტუმრები ჩემს ტუალეტში? – ნაღვლიანად იკითხა მტირალა მირტლმა, როცა ჰარი უჩინმაჩინის მოსასხამს იღებდა.

– მმმ... შევეცდები, – დააიმედა ჰარიმ, თუმცა გულში გაიფიქრა, მირტლის ტუალეტში მხოლოდ იმ შემთხვევაში შევალ, თუ ციხეკოშკში ყველა სხვა ტუალეტი გაფუჭდებაო, – კარგად, მირტლ... დახმარებისთვის გმადლობ.

– ნახვამდის, – სევდიანად დაემშვიდობა მირტლი. ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი რომ მოისხა, დაინახა, როგორ შეფრინდა მოჩვენება ონკანში.

ჩაბნელებულ დერეფანში გასულმა ჰარიმ ონავრების რუკა შეამოწმა, საფრთხე ხომ არსაიდან ახლოვდებაო. ფილჩისა და მისის ნორისის ლაქები ფილჩის ოფისში საიმედოდ მოთავსებულიყვნენ... რუკაზე სხვა არაფერი მოძრაობდა პივსის გარდა, რომელიც ზედა სართულზე ჯილდოებისა და პრიზების ოთახში ყირაზე გადადიოდა... ჰარიმ ის იყო, გრიფინდორის კოშკისკენ ნაბიჯი გადადგა, რომ რუკაზე კიდევ რაღაცამ მიიქცია მისი ყურადღება... და მეტად უცნაურმა რამემ...

რუკაზე, პივსის გარდა, კიდევ რაღაც მოძრაობდა. ქვედა მარცხენა კუთხეში – სნეიპის კაბინეტში – ერთი ლაქა მიმოდიოდა, მაგრამ მასზე „სევერუს სნეიპი" არ ეწერა... ეს იყო ბარტემიუს კრაუჩი.

გაოგნებული ჰარი ლაქას დააკვირდა. ბატონი კრაუჩი ხომ ავად იყო, სამსახურში ვერ დადიოდა და საშობაო მეჯლისსაც ვერ დაესწრო. აბა, მაშინ, ღამის პირველ საათზე ჰოგვორტსში რას აკეთებდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ყურადღებით დასცქეროდა ლაქას, რომელიც მთელ ოთახში დაწრიალებდა და აქა-იქ ჩერდებოდა...

ჩაფიქრებული ჰარი შეყოყმანდა... შემდეგ ცნობისმოყვარეობამ სძლია. შემობრუნდა და საპირისპირო მიმართულებით, უახლოესი კიბისკენ გაემართა. უნდა გაერკვია, რა ჰქონდა განზრახული კრაუჩს.

ჰარი, რამდენადაც შეიძლებოდა, უხმაუროდ ჩადიოდა კიბეზე, თუმცა იატაკის ჭრიალსა და პიჟამის შრიალზე ზოგიერთმა პორტრეტმა მაინც ცნობისმოყვარეობით მოატრიალა თავი. ქვედა სართულზე ჰარიმ ფეხაკრეფით გაიარა ნახევარი დერეფანი, გობელენი გადასწია და ვიწრო კიბეზე ჩავიდა. ეს იყო უმოკლესი გზა, რომელიც პირდაპირ ორი სართულით ქვემოთ ჩაიყვანდა. საგონებელში ჩავარდნილი ჰარი წამდაუწუმ რუკას დასცქეროდა... როგორ მოხდა, რომ წესიერი, კანონმორჩილი ბატონი კრაუჩი შუაღამისას ვიღაცის ოფისში შეიპარა?

ჰარი ისე დააფიქრა ბატონ კრაუჩის უჩვეულო საქციელმა, რომ სხვა აღარაფერი ახსოვდა. მოულოდნელად, შუა კიბეზე ფეხი სწორედ იმ ცრუ საფეხურში ჩაუვარდა, რომელზე გადახტომაც ნევილს გამუდმებით ავიწყებოდა. ჰარიმ წონასწორობა დაკარგა, შეტორტმანდა და ჯერ კიდევ სველი ოქროს კვერცხი იღლიიდან გაუსხლტა. დაჭერა სცადა, მაგრამ ვეღარ მოასწრო: კვერცხი გრძელ კიბეზე დაგორდა და საფეხურებზე ისეთი რახრახი ატეხა, თითქოს ვიღაცა დოლს უბრაგუნებსო. უჩინმაჩინის მოსასხამიც ჩამოუცურდა ტანზე. ჰარიმ მაშინვე გაისწორა, მაგრამ ამასობაში ონავართა რუკა გაუვარდა ხელიდან და ექვსი საფეხურით ქვემოთ დაეცა, იქ კი ხაფანგში მუხლამდე ჩაჭედილი ჰარი ვერ მისწვდებოდა.

ოქროს კვერცხი კიბის ბოლოში, გობელენის უკან გადავარდა, გაიხსნა და ქვედა დერეფანი ყურისწამღები კივილით შეძრა. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი დააძრო და შეეცადა, ონავართა რუკაზე წარწერები წაეშალა, მაგრამ ის ძალიან შორს იყო...

მოსასხამი კარგად შემოიხურა, წელში გასწორდა და ერთ ადგილზე გაქვავდა... ჭექა-ქუხილმაც არ დააყოვნა...

– პიიივს!

სკოლის დარაჯი ფილჩი სანადიროდ გამოვიდა. თანდათან ახლოვდებოდა მისი ფრატუნა ნაბიჯების ხმა, უკვე გარკვევით ისმოდა მისი ჯაჯღანი:

– ეს რა აურზაური ატეხე? მთელი ციხე-კოშკი ფეხზე უნდა დააყენო? ერთი დაგიჭირო, პივს, ერთი ხელში ჩამივარდე და... ეს რაღაა?

ფილჩის ნაბიჯების ხმა მიწყდა. გაისმა ლითონის ჭახანი და წივილ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კივილი შეწყდა. ესე იგი, ფილჩმა კვერცხი იპოვა და დახურა. მოჯადოებულ საფეხურში გამომწყვდეული ჰარი გატრუნული იდგა. წუთი წუთზე ფილჩი გობელენს გადასწევდა პივსის დანახვის იმედით... და ვერაფერსაც ვერ დაინახავდა... მაგრამ კიბეზე თუ ამოვიდოდა, ონავართა რუკას შეამჩნევდა და, უჩინმაჩინის მოსასხამი გინდ გქონია, გინდ არა, რუკაზე „ჰარი პოტერი" გამოჩნდებოდა სწორედ იქ, სადაც იყო.

– ფისუნია, ხედავ კვერცხს? – ჩუმად თქვა ფილჩმა კიბის ბოლოში, – ჩემო კარგო! (მისის ნორისი, რასაკვირველია, თან ახლდა). ეს სამი ჯადოქრის ტურნირის გამოცანაა! ეს ხომ სკოლის ჩემპიონს ეკუთვნის!

ჰარის თვალთ დაუბნელდა და გული აუჩქარდა...

– პივს! – სიხარულით დასჭყივლა ფილჩმა, – შენ მოიპარე, არა?!

ქვემოთ გობელენი გადაინია და ჰარიმ დაინახა მისი საშინელი, მომჩვარული სახე, გადმოკარკლული უფერული თვალები. ფილჩმა ჩაბნელებულ კიბეს ახედ-დახედა და ვერაფერიც ვერ დაინახა.

– იმალები, არა? არა უშავს, როგორმე ჩაგიგდებ ხელში, პივს! იმდენს ბედავ, რომ ტურნირის გამოცანა მოიპარე, პივს... დამბლდორი ამისათვის აქედან გაგაგდებს, შე ქურდბაცაცა პოლტერგეისტო...

ფილჩი კიბეს აუყვა. მისი გაძვალტყავებული, ჭუჭყისფერი კატა ფეხდაფეხ მოსდევდა. მისის ნორისს ფარანისებური თვალები პირდაპირ ჰარისთვის მიენათებინა. ჰარი წინათაც დაეჭვებულა, ნეტავ უჩინმაჩინის მოსასხამი კატებისთვისაც უხილავი თუ არისო... შიშისგან თავბრუდახვეული უყურებდა, როგორ უახლოვდებოდა ფლანელისხალათიანი ფილჩი. სასოწარკვეთილი ჰარი ხაფანგში გამომწყვდეულ ფეხს დაეჯაჯგურა, მაგრამ რამდენიმე სანტიმეტრით კიდევ უფრო ღრმად ჩაუვარდა. სადაც იყო, ფილჩი ან რუკას შეამჩნევდა, ან ჰარის დაეჯახებოდა...

– ფილჩ, რა ხდება?

ფილჩი ჰარისგან რამდენიმე საფეხურით დაბლა გაჩერდა და მიტრიალდა. კიბის ბოლოში იდგა ის ერთადერთი ადამიანი, რომლისაც ჰარის ფილჩზე უფრო მეტად ეშინოდა – სნეიპი. მას გრძელი, რუხი საღამური პერანგი ეცვა და საშინლად გაავებული ჩანდა.

– პივსის ბრალია, პროფესორო, – უთხრა გაბრაზებულმა ფილჩმა, – აი, ეს კვერცხი კიბეზე ისროლა.

სნეიპი სწრაფად ამოვიდა კიბეზე და ფილჩის გვერდით გაჩერდა. ჰარიმ კბილი კბილს დააჭირა, გული გაშმაგებით უცემდა.

– პივსმა? – პროფესორი კვერცხს დააკვირდა, – მაგრამ ჩემს კაბინეტში პივსი ვერ შევიდოდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კვერცხი თქვენს კაბინეტში იყო, პროფესორო?

– რა თქმა უნდა, არა, – მოკლედ მოუჭრა პროფესორმა, – ბრახაბ-რუხი და კივილი გავიგონე და...

– დიახ, პროფესორო, ეს კვერცხი იყო...

– და წამოვედი, რომ გამერკვია, რა ხდებოდა...

– პივსმა ისროლა, პროფესორო...

– და ჩემს კაბინეტს რომ ჩავუარე, დავინახე, რომ შიგნით ჩირაღ-დნები ენთო და განჯინის კარი ღია იყო! ვიღაცამ გაჩხრიკა.

– მაგრამ პივსი ვერ...

– ვიცი, რომ პივსი ამას ვერ იზამდა, ფილჩ, – მოუჭრა სნეიპმა, – ჩემს კაბინეტს ისეთი ჯადოთი ვლუქავ, რომლის ახსნა მხოლოდ ჯადოქარს შეუძლია! – სნეიპმა კიბეს ახედა, უჩინარი ჰარის მილმა, შემდეგ დაბლა, დერეფანში ჩაიხედა, – ფილჩ, მინდა, რომ წამომყვე და ქურდი მომაძებნინო...

– მე... კი, მაგრამ, პროფესორო...

ფილჩმა სინანულით ახედა კიბეს. ცხადი იყო, არაფრით არ უნდო-და, ფაქტზე პივსის დაჭერის შანსი გაეშვა ხელიდან. „წადი – გულში ეეედრებოდა ჰარი, – წაჰყევი სნეიპს... წადი...“ მისის ნორისი ფილჩის ფეხებს შორის იჭყიტებოდა... ჰარი გრძნობდა, რომ კატას მისი სუნი სცემდა... რატომ აავსო ის აბაზანა ამდენი სურნელოვანი ქაფით?!

– პროფესორო, საქმე ისაა, რომ, – აწუწუნდა ფილჩი, – ამჯერად დირექტორი ალბათ დამიჯერებს. პივსმა ეს კვერცხი სტუდენტს მოჰპარა. შეიძლება, ეს მისი ციხე-კოშკიდან ერთხელ და სამუდამოდ გაძევების შანსი იყოს...

– ფილჩ, ფეხებზე მკიდია ის არამზადა პოლტერგეისტი, ჩემი კაბი-ნეტი უფრო...

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

სნეიპმა ხმა გაკმინდა. მან და ფილჩმა ქვემოთ ჩაიხედეს. მათ თავებს შორის, ვიწრო გასახედში, ჰარიმ მრისხანეთვალა მუდი დაი-ნახა. მუდის საღამური პერანგის ზემოდან თავისი ძველი სამგზავრო მოსასხამი მოესხა და, ჩვეულებისამებრ, კვერთხს ეყრდნობოდა.

– პიჟამების ჩვენებაა? – ჩაიცინა მუდიმ.

– პროფესორმა სნეიპმა და მე ხმები გავიგონეთ, პროფესორო, – დაუყოვნებლივ აუხსნა ფილჩმა, – პოლტერგეისტი პივსი, როგორც სჩვევია, ხულიგნობს... პროფესორმა სნეიპმა კი აღმოაჩინა, რომ მისი კაბინეტი ვიღაცამ გა...

– მოკეტე! – დაუსისინა სნეიპმა ფილჩს.

მუდიმ კიბისკენ ნაბიჯი გადადგა. ჯადოსნური თვალით ჯერ სნე-იპს შეხედა, შემდეგ – ჰარის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის გული ლამის ბუდიდან ამოუხტა. მუდის ჯადოსნური თვალისთვის ხომ უჩინმაჩინის მოსასხამი არაფერიც არ იყო! და ახლა ის ხედავდა ამ უცნაურ სცენას: საღამურპერანგიანი სნეიპი, კვერცხჩაბლუჯული ფილჩი და მათ უკან – კიბეში ჩაჭედილი ჰარი. მუდიმ ირიბი პირი გაოცებისგან დააღო. რამდენიმე წამით მან და ჰარიმ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. შემდეგ მუდიმ პირი დამუწა და ცისფერი თვალი ისევ სნეიპს მიაბჯინა.

– სწორად გავიგე, სნეიპ? ვილაცამ შენი კაბინეტი გატეხა?

– ეს არ არის მნიშვნელოვანი! – ცივად უპასუხა სნეიპმა.

– პირიქით, ეს ძალიანაც მნიშვნელოვანია. ვის უნდა გაეტეხა შენი კაბინეტი?

– ალბათ, რომელიმე სტუდენტს, – თქვა სნეიპმა. ჰარი ხედავდა, როგორ უფეთქავდა ძარღვი გაქონილ საფეთქელზე სნეიპს, – ეს წინათაც მომხდარა. შხამ-წამლების ინგრედიენტები ჩემი პირადი მარაგიდან უწინაც გამქრალა. ეჭვი არაა, სტუდენტები აკრძალული მიქსტურების დამზადებას ცდილობენ...

– ესე იგი, შენი აზრით, შხამ-წამლების ინგრედიენტებს ეძებდნენ, არა? – ჩაეკითხა მუდი, – სხვას ხომ არაფერს მალავ შენს კაბინეტში?

ჰარიმ დაინახა, რომ სნეიპს მოყვითალო სახე აგურისფერი გაუხდა, საფეთქელზე კი ძარღვი უარესად აუთამაშდა.

– მშვენივრად იცით, რომ არაფერს ვმალავ, მუდი, – თქვა მან შემპარავი, ოდნავ მუქარაგარეული ხმით, – რადგან ჩემი კაბინეტი თავად გაჩხრიკეთ საგულდაგულოდ.

მუდის სახე ღიმილმა დაუმანჭა.

– რას იზამ, აურორის პრივილეგიაა, სნეიპ. დამბლდორმა მთხოვა, რომ თვალი მჭეროდა...

– სხვათა შორის, დამბლდორი მენდობა, – კბილებში გამოსცრა სნეიპმა, – მე ვერ დავიჯერებ იმას, რომ მან გიბრძანათ ჩემი კაბინეტის გაჩხრეკა!

– რა თქმა უნდა, გენდობათ, – დაიღმუვლა მუდიმ, – დამბლდორი მიმნდობი კაცია! მეორე შანსის სჯერა. მაგრამ მე – არა... ჩემი აზრით, ზოგიერთი ლაქა არ ამოდის, სნეიპ. ლაქები, რომლებიც არასოდეს ამოდის, ხვდები, რას ვგულისხმობ?

მოულოდნელად სნეიპმა უცნაური რაღაც გააკეთა: მარჯვენა ხელი უნებურად მარცხენა ხელის მაჯაზე იტაცა, თითქოს უეცარმა ტკივილმა წამოუარა.

მუდის გაეცინა.

– წადი, დაიძინე, სნეიპ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენ არა გაქვთ უფლება, რამე მიბრძანოთ! – შეუტია სნეიპმა, და თითქოს თავის თავზე გაბრაზებულმა მაჯას ხელი გაუშვა, – ღამ-ღამობით სკოლაში სიარულის უფლება მეც ისევე მაქვს, როგორც თქვენ!

– ჰოდა, იარე, რამდენიც გინდა, – მუდის ხმაში მუქარის ტონი გაერია, – ერთხელაც სადმე ბნელ დერეფანში შევხვდებით და მერე მე ვიცი... სხვათა შორის, რაღაც დაგივარდა...

მუდიმ ონავართა რუკაზე მიუთითა, რომელიც ჰარისგან ექვსი საფეხურით დაბლა ეგდო. ჰარის შიშით მუხლები მოეკვეთა. სნეიპ-მა და ფილჩმა რუკისკენ გაიხედეს, ჰარიმ კი, სიფრთხილე წყალსაც წაულიაო, მანტიის ქვეშ ორივე ხელი ასწია და გამწარებულმა დაუქ-ნია მუდის, რომ მისი ყურადღება მიექცია, თან ტუჩების მოძრაობით ანიშნა:

– ჩემია! ჩემი!

სნეიპი რაღაცას მიხვდა და სასწრაფოდ გაიწია რუკისკენ, საში-ნელი გამომეტყველება დასთამაშებდა სახეზე...

– აკციო პერგამენტი! – დაასწრო მუდიმ.

რუკა ჰაერში აფრინდა, სნეიპის გაწვდილ თითებს გაუსხლტა, კიბეს ფრენა-ფრენით ჩაუყვა და მუდის ხელში ჩაუვარდა.

– უკაცრავად, შემეშალა, – მშვიდად განმარტა მუდიმ, – ჩემია. ეტყობა, შემთხვევით დამივარდა.

მაგრამ სნეიპმა ჯერ მუდის ხელში მოქცეულ რუკას შეხედა, მერე – ფილჩის ხელებში მომწყვდეული კვერცხს, და ჰარიმ იეჭვა, რომ სნეიპი ყველაფერს მიხვდა.

– პოტერი, – გამოსცრა კბილებში.

– რა თქვი? – აუღელვებლად ჰკითხა მუდიმ, რუკა დაახვია და ჯიბეში ჩაიდო.

– პოტერი, – წაიღრინა სნეიპმა, თავი მიაბრუნა და პირდაპირ იმ ადგილს შეხედა, სადაც ჰარი იდგა, – კვერცხი პოტერისაა. პერგა-მენტის გრაგნილიც მას ეკუთვნის. ვიცანი, ადრეც მინახავს! პოტე-რი აქაა! პოტერი, თავისი უჩინმაჩინის მოსასხამით!

სნეიპმა ბრმასავით გაიშვირა ხელები და კიბეს აუყვა. ჰარი მზად იყო, დაეფიცა, რომ სნეიპს განიერი ნესტოები უფრო გაუფართოვ-და: ცდილობდა, ყნოსვით მიეგნო მსხვერპლისთვის. ხაფანგში მოქ-ცეული ჰარი უკან გადაიხარა და შეეცადა, სნეიპის თითის წვერებს მორიდებოდა, სულ ცოტაც და...

– იქ არაფერია, სნეიპ! – შეუძახა მუდიმ, – მაგრამ სიამოვნებით ვაცნობებ დირექტორს, მაშინვე ჰარი პოტერზე რომ მიიტანე ეჭვი.

– მაგით რისი თქმა გსურთ? – წაიღრინა სნეიპმა, ისევ მუდისკენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეტრიალდა, მაგრამ ხელი არ დაუშვია. მის თითებს ჰარის მკერდიდან რამდენიმე სანტიმეტრიღა აშორებდა.

– იმის თქმა მინდა, რომ დამბლდორს ძალიან აინტერესებს, ვინ არის გადაკიდებული მაგ ბიჭზე! – მუდი კიბესთან კოჭლობით მივიდა, – და მეც მაინტერესებს, სნეიპ... ძალიან მაინტერესებს... – მუდის სახიჩარ სახეზე ჩირაღდნის მოციმციმე შუქი დასთამაშებდა და ნაიარევები და მოჭრილი ცხვირი ჩვეულებრივზე უფრო ღრმა და მუქი უჩანდა.

სნეიპი მუდის დასცქეროდა. ჰარი მისი სახის გამომეტყველებას ვერ ხედავდა. წამით არავინ იძვროდა და ხმასაც არავინ იღებდა. შემდეგ სნეიპმა ნელა დაუშვა ხელები.

– მე მხოლოდ ის ვიფიქრე, რომ თუ პოტერი ისევ დაეხეტება შუაღამისას... რაც მას, სამწუხაროდ, ხშირად სჩვევია... უნდა დავუშალოთ. მისი... მისივე უსაფრთხოებისთვის, – თქვა ნაძალადევი სიმშვიდით.

– ჰო, რა თქმა უნდა, – ხმადაბლა თქვა მუდიმ, – პოტერზე წუხხარ, მაშ, როგორ!..

დუმილი ჩამოვარდა. სნეიპი და მუდი ისევ ერთმანეთს უყურებდნენ. მისის ნორისმა ხმამაღლა დაიკნავლა, ის ისევ ფილჩის ფეხებშორის იჭყიტებოდა და აბაზანის ქაფის სუნს იყნოსავდა.

– მე წავალ, დავწვები, – უგუნებოდ თქვა სნეიპმა.

– ამაზე ჭკვიანური აზრი მთელი ღამის განმავლობაში არ მოგსვლია, – შეაქო მუდიმ, – აბა, ფილჩ, თუ შეიძლება, კვერცხი გადმომეცი...

– არა! – ფილჩმა ისე ჩაბღუჯა კვერცხი, თითქოს საყვარელ პირმშოს ართმევდნენ, – პროფესორო მუდი, ეს სამხილია პივსის წინააღმდეგ.

– ეს იმ ჩემპიონის საკუთრებაა, ვისაც მან მოჰპარა, – არ დაიშალა მუდიმ, – ახლავე მომეცი!

სნეიპი კიბეზე სწრაფად ჩავიდა და მუდის უსიტყვოდ ჩაუარა. ფილჩმა მისის ნორისი სტვენით მიიხმო, კატა კიდევ რამდენიმე წამს იდგა გაშეშებული და ჰარის მიშტერებოდა, ბოლოს შეტრიალდა და პატრონს გაჰყვა. ჰარი გულამოვარდნილი უსმენდა, როგორ გაიარა სნეიპმა ქვედა სართულის დერეფანი. ფილჩმა მუდის კვერცხი გადასცა და სანამ თვალს მოეფარებოდა, მისის ნორისს ჩაუბურტყუნა:

– არა უშავს, ჩემო კარგო... დილით დამბლდორს ვნახავთ... და ყველაფერს ვეტყვით, რაც ჩაიდინა პივსმა...

კარი გაჯახუნდა. ჰარი მუდისთან მარტო დარჩა. მუდიმ კვერთხი ქვემოთ დატოვა და გაჭირვებით აუყვა კიბეს. ყოველ მეორე საფეხურზე ყრუ კაკუნი გაისმოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბეწვზე გადარჩი, პოტერ! – წაიჩურჩულა პროფესორმა.

– დიახ... გმადლობთ, – სუსტი ხმით მიუგო ჰარიმ.

– ეს ნივთი რა არის? – მუდიმ ჯიბიდან ონავართა რუკა ამოაძვრინა და გაშალა.

– ჰოგვორტსის რუკა, – ჰარის ერთი სული ჰქონდა, როდის ამოაძრობინებდა მუდი კიბის საფეხურიდან ფეხს, თორემ უკვე ძალიან სტკიოდა.

– მერლინის წვერს ვფიცავ, – დაიჩურჩულა მუდიმ და რუკას გაოცებული დააცქერდა, მისი ჯადოსნური თვალი შეშლილივით დატრიალდა, – ეს... ეს მაგარი რუკაა, პოტერ!

– დიახ, ძალიან სასარგებლო რამეა, – ჰარის ტკივილისგან თვალებზე ცრემლები მოადგა, – პროფესორო მუდი, ხომ ვერ დამეხმარებით?

– რა? უი! დიახ... რასაკვირველია...

მუდიმ ჰარის მკლავში ხელი წაავლო და მოქაჩა. ფეხი ცრუ კიბიდან გათავისუფლდა და ჰარიმ ზედა საფეხურზე გადაინაცვლა.

მუდი რუკას თვალს ვერ სწყვეტდა.

– პოტერ, შემთხვევით, ხომ არ დაგინახავს, ვინ შეიპარა სნეიპის კაბინეტში? ესე იგი, ამ რუკაზე ხომ არ დაგინახავს?

– დიახ, დავინახე... – აღიარა ჰარიმ, – ბატონი კრაუჩი.

ჯადოსნურმა თვალმა რუკის მთელ ზედაპირს გადაურბინა. მუდი აშკარად შეშფოთდა.

– კრაუჩი? დარწმუნებული ხარ, პოტერ?

– დიახ.

– ყოველ შემთხვევაში, აქ უკვე აღარ არის, – მუდის თვალი ისევ რუკაზე დაქროდა, – კრაუჩი... ძალიან, ძალიან საინტერესოა...

თითქმის ერთი წუთის განმავლობაში ხმა აღარ ამოუღია. ჰარი ხვდებოდა, რომ ეს ახალი ამბავი მუდისთვის რაღაცას ნიშნავდა, და ცნობისმოყვარეობისგან სული ელეოდა. არადა, კითხვის დასმასაც ვერ ბედავდა. მუდისა ცოტათი ეშინოდა... მაგრამ ახლახან განა მუდიმ არ გადაარჩინა საშინელ ხათაბალას?

– ისა... პროფესორო მუდი... თქვენი აზრით, რას ეძებდა ბატონი კრაუჩი სნეიპის კაბინეტში?

მუდიმ ჯადოსნური თვალი რუკას მოსწყვიტა და ოდნავ ათრთოლებული, მაგრამ გამჭოლი მზერა ჰარის მიაპყრო. ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მუდი თვალით ზომავდა, ფიქრობდა, რა პასუხი გაეცა, ან, საერთოდ, ეპასუხა თუ არა.

– მე, ასე ვიტყოდი, პოტერ, – დაიწყო ბოლოს მუდიმ, – ამბობენ, ბებერი მრისხანეთვალა ბოროტი ჯადოქრების დაჭერის მანიითაა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეპყრობილიო... მაგრამ მრისხანეთვალა არაფერია... არაფერია ბარტი კრაუჩთან შედარებით.

მუდი ისევ რუკას ჩააცქერდა. მაგრამ ჰარი ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა.

– პროფესორო მუდი, როგორ ფიქრობთ... ამას რამე საერთო ხომ არა აქვს... იქნებ ბატონი კრაუჩი რაღაცას ეჭვობს...

– მაგალითად, რას? – მკვირცხლად იკითხა მუდიმ.

ჰარის ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა. არ უნდოდა, მუდი მიმხვდარიყო, რომ ჰოგვორტსის გარედან ვიღაცა ინფორმაციას აწვდიდა. ამას შეიძლებოდა, სირიუსის შესახებ გამომცდელი კითხვები მოჰყოლოდა.

– რა ვიცი, – წაიბუტბუტა ჰარიმ, – ამ ბოლო დროს უცნაური რამეები ხდება. „დილის მისანი“ წერდა... ეს „შავი ნიშანიო“ მსოფლიო ჩემპიონატზე, ეს – „სიკვდილის მხვრელებიო“ და რამე...

მუდის ორივე თვალი გაუფართოვდა.

– საზრიანი ბიჭი ყოფილხარ, პოტერ, – ჯადოსნური თვალი ისევ ონავართა რუკას მიუბრუნდა, – შეიძლება, კრაუჩიც მასე ფიქრობს, რას გაიგებ... ბოლო დროს უცნაური ჭორები დადის. მათ გავრცელებას რიტა სკიტერიც, რასაკვირველია, ხელს უწყობს. ეს ხალხს მოსვენებას უკარგავს, – ღიმილმა მუდის მობრეცილი პირი უფრო მეტად მოუგრიხა, – ამქვეყნად თუ რამე მეჯავრება, – წაიბუტბუტა უფრო თავისთვის, ვიდრე ჰარის გასაგონად, და ჯადოსნური თვალი რუკის მარცხენა ქვედა კუთხეს დააშტერა, – ესაა თავისუფლად მოპარპაშე „სიკვდილის მხვრელი“...

ჰარი გაოცებული მიაჩერდა. ნუთუ მართალია? ნუთუ მართლა ასეა?

– ახლა მეც მინდა, რაღაც გკითხო, პოტერ, – საქმიან კილოზე გადავიდა მუდი.

ჰარის გული მოეწურა. იცოდა, რომ ეს არ ასცდებოდა. მუდი ახლა ჰკითხავდა, საიდან ჩაუვარდა ხელში ეს რუკა, ასეთი საეჭვო ჯადოსნური ნივთი, სიმართლის თქმით კი გასცემდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ მშობელ მამას, ფრედ და ჯორჯ უისლებს და ბნელი ძალებისგან თავდაცვის წინა მასწავლებელს, პროფესორ ლუპინს. მუდიმ რუკა ცხვირწინ გაუქნია და ჰარიმ მხნეობა მოიკრიბა...

– შეგიძლია, ეს მათხოვო?

– ო! – გაოცდა ჰარი. თავის რუკასთან განშორება ეძნელებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, გულზე მოეშვა, მუდიმ რომ არ ჰკითხა, სად იშოვეო, თანაც, რაც უნდა იყოს, მუდისთან ვალში იყო, – დიახ, კარგი. რა თქმა უნდა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი ბიჭი ხარ, – ამოიბუხუნა მუდიმ, – ეს მე ძალიან გამომადგება... შეიძლება, ეს სწორედ ისაა, რასაც ვეძებდი... კარგი, ახლა ძილის დროა. პოტერ, წავედით...

კიბე ერთად აიარეს. მუდი ისევ რუკას დაჰყურებდა, თითქოს ეს ისეთი განძი იყო, რისი მსგავსიც ცხოვრებაში არ ენახა. მუდის კაბინეტამდე ჩუმად იარეს. პროფესორი კართან გაჩერდა და ჰარის ჰკითხა:

– პოტერ, აურორის კარიერაზე არასდროს გიფიქრია?

– არა, – უპასუხა სახტად დარჩენილმა ჰარიმ.

– ჰოდა, იფიქრე, – მუდიმ თავი დაუქნია და ჰარის ყურადღებით შეხედა, – კარგად იფიქრე... ჰო, მართლა, ამ შუაღამისას ეს კვერცხი მხოლოდ გასასეირნებლად არ წამოგიღია, ხომ ასეა?

– დიახ, – გაეღიმა ჰარის, – გამოცანაზე ვმუშაობდი.

მუდიმ თვალი ჩაუკრა, ჯადოსნური თვალი ისევ გადარეულივით უბზრიალებდა.

– ღამით სეირნობას არაფერი სჯობია გონების გასახსნელად, პოტერ. ძილი ნებისა...

ონავართა რუკაზე თავდახრილი მუდი კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

ჰარი ნელა წავიდა გრიფინდორის კოშკისკენ. გზადაგზა ყველაფერზე ფიქრობდა: სნეიპზე, კრაუჩზე, იმაზე, რაც მოხდა. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი... რატომ იავადმყოფებდა თავს კრაუჩი, თუკი ჰოგვორტსში მოსვლა ნებისმიერ დროს შეეძლო? რას მალავდა სნეიპი თავის კაბინეტში და რას ეძებდა კრაუჩი?

მუდი ფიქრობს, რომ ჰარი აურორი უნდა გახდეს! საინტერესო აზრია... მაგრამ ათი წუთის შემდეგ, როდესაც ჰარი თავის საძინებელში შეძვრა უჩუმრად, კვერცხი და უჩინმაჩინის მოსასხამი უსაფრთხოდ ჩააბრუნა ჩემოდანში, დაასკვნა, სანამ აურორობას პროფესიად ავირჩევ, ურიგო არ იქნება, ჯერ შევამოწმო, დანარჩენებიც ასევე დასახიჩრებულები არიან თუ არაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მცდამეექვსე

მეორე დავალება

– ხომ თქვი, გამოცანა უკვე ამოვხსენიო! – აღშფოთდა ჰერმიონი.

– ხმას დაუწიე! – გაბრაზდა ჰარი, – მე მხოლოდ... კიდევ ერთხელ უნდა შემემოწმებინა, გასაგებია?

ჰარი, რონი და ჰერმიონი შელოცვების გაკვეთილზე ბოლო მერხზე ისხდნენ. იმ დღეს გამოძახების შელოცვის საპირისპიროს, განდევნის შელოცვას გადიოდნენ. ოთახში მფრინავ ნივთებს თავი რომ არავისთვის გაეტეხათ, პროფესორმა ფლიტვიკმა თითოეულ სტუდენტს ბალიშების გროვა მისცა სავარჯიშოდ, იმ იმედით, რომ მიზანს აცდენილი ბალიში არავის დააშავებდა. თეორიულად კარგი აზრი იყო, მაგრამ პრაქტიკაში მთლად კარგი არ გამოდგა. ნევილს იმდენად არ უვარგოდა მიზანი, რომ ოთახის მეორე ბოლოსკენ ბევრად უფრო მძიმე ნივთებს გზავნიდა, მაგალითად, თავად პროფესორ ფლიტვიკს.

– ერთი წუთით დაივიწყე ეგ კვერცხი, რა! – ჩაიბუზღუნა ჰარიმ, როცა პროფესორმა ფლიტვიკმა მორჩილად ჩაუქროლა მათ და კარადის თავზე დაეშვა, – სნეიპსა და მუდიზე რაღაცის მოყოლა მინდა.

შელოცვების გაკვეთილზე შეეძლოთ მშვიდად ესაუბრათ, რადგან ყველანი ისე ერთობოდნენ ბალიშების გაფრენა-გამოფრენით, რომ მათთვის არავის ეცალა. ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში ჰარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩურჩულით უყვებოდა მეგობრებს იმ ღამით მომხდარ ამბებს.

– სნეიპმა თქვა, რომ მუდიმ მისი კაბინეტი გაჩხრიკა? – ცნობისმოყვარეობისგან თვალები აენთო რონს და ჯადოსნური ჯოხის გაქნევით ბალიში ოთახის მორე ბოლოში გაისროლა. ბალიში ჰაერში აიჭრა და პარვატის ქუდი გადააძრო თავიდან, – გამოდის, რომ მუდი აქ იმისთვისაა, სნეიპსა და კარკაროვს ადევნოს თვალი.

– შეიძლება, დამბლდორს არც უთხოვია, მაგრამ მუდი სწორედ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე იქცევა, – ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი დაუდევრად მოიქნია, მისმა ბალიშმა მერხიდან ისკუპა და იატაკს დაეტყეპა, – როგორც მუდიმ თქვა, დამბლდორი სნეიპს აქ მხოლოდ იმიტომ აჩერებს, რომ გამოსწორების საშუალებას აძლევს, თუ რაღაც ამდაგვარს...

– რაა? – რონს თვალები გაუფართოვდა, მისი შემდეგი ბალიში ტრიალით აიჭრა ჰაერში, ჭაღს დაეჯახა და ფლიტვიკის მაგიდაზე მძიმედ დაებერტყა, – ჰარი... იქნებ მუდის ჰგონია, რომ სნეიპმა ჩააგდო თასში შენი სახელი?

– არა, რონ, – ჰერმიონმა ეჭვით გააქნია თავი, – გახსოვს, ჩვენ ადრეც გვეგონა, რომ სნეიპს ჰარის მოკვლა უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირიქით, მის გადარჩენას ცდილობდა.

ჰერმიონმა ბალიში გაისროლა, ბალიშმა ოთახი გადაიფრინა და ზუსტად იმ ყუთში ჩაეშვა, სადაც წესით, უნდა მოეთავსებინათ. ჩაფიქრებულმა ჰარიმ ჰერმიონს შეხედა... მართალია, სნეიპმა ერთხელ სიკვდილისგან იხსნა, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ სნეიპს აშკარად ისევე სძულდა ჰარი, როგორც ჰარის მამა, როდესაც ისინი სკოლაში ერთად სწავლობდნენ. სნეიპს სიამოვნებდა ჰარისთვის ქულების ჩამორთმევა, მისი დასჯის შესაძლებლობას ხელიდან არასდროს უშვებდა და რამდენჯერმე მისი სკოლიდან გარიცხვაც კი მოითხოვა.

– არ მაინტერესებს, რას ამბობს მუდი, – განაგრძო ჰერმიონმა, – დამბლდორი სულელი არ არის. ხომ სწორად მოიქცა, ჰაგრიდსა და პროფესორ ლუპინს რომ ენდო, თუმცა სხვები მათ სამუშაოს არ აღირსებდნენ. სნეიპის შემთხვევაშიც არ უნდა ცდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ სნეიპი ცოტათი...

– ბოროტია, – დაასრულა რონმა, – კარგი, რა, ჰერმიონ! მაშინ, რატომ ჩხრეკენ მის კაბინეტს ბოროტ ჯადოქრებზე მონადირენი?

– რატომ იავადმყოფებს თავს ბატონი კრაუჩი? – კითხვაზე კითხვით უპასუხა ჰერმიონმა, – უცნაური არ არის? საშობაო მეჯლისზე ვერ ახერხებს მოსვლას, სამაგიეროდ, მშვენივრად ახერხებს შუაღამისას სკოლაში შემოპარვას.

– შენ კრაუჩი იმ ელფის, ვინკის გამო არ მოგწონს, – უთხრა რონმა და ბალიში ფანჯარაში გააფრინა.

– შენ კი, მაინცდამაინც, სნეიპზე გინდა ეჭვი მიიტანო, – არ ჩამორჩა ჰერმიონი და ბალიში მარჯვედ ჩააფრინა ყუთში.

– მე მხოლოდ იმის გაგება მინდა, რა ჩაიდინა სნეიპმა ისეთი, რომ გამოსწორების საშუალება მისცეს, – ჩაიბურტყუნა მოლუშულმა ჰარიმ. ამ დროს, მისდა გასაკვირად, მისმა ბალიშმა ოთახი გადაჭრა და მოხდენილად დასკუპდა ჰერმიონის ბალიშზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

რადგან სირიუსმა სთხოვა, ჰოგვორტსში მომხდარი ნებისმიერი ამბავი მომწერეო, ჰარიმ იმ საღამოსვე გაუგზავნა ყავისფერი ბუ და კრაუჩის მიერ სნეიპის კაბინეტის გატეხისა და მუდისა და სნეიპის საუბრის ამბავი შეატყობინა. ამის შემდეგ ჰარიმ მთელი ყურადღება იმაზე გადაიტანა, რაც იმჟამად მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი რამ იყო: როგორ გაეძლო წყალქვეშ უჰაეროდ ერთი საათის განმავლობაში ოცდაოთხ თებერვალს.

რონი ისევ გამოძახების შელოცვის გამოყენების მომხრე იყო. ერთხელ ჰარიმ მას აკვალანგის შესახებ უამბო და რონი ვერ ხვდებოდა, ახლა რატომ არ უნდა გამოეძახებინა ჰარის აკვალანგი უახლოესი მაგლური ქალაქიდან. ჰერმიონმა ამ გეგმას ცივი წყალი გადაასხა: იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰარი მოახერხებდა დადგენილ ერთსაათიან ვადამდე აკვალანგის გამოყენების შესწავლას, ჯადოქრობის გასაიდუმლოების საერთაშორისო კოდექსის დარღვევისთვის დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა, რადგან მაგლები აუცილებლად შეამჩნევდნენ ცაში მფრინავ აკვალანგს.

– რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი იქნებოდა, რამედ გადაქცეულიყავი, მაგალითად, წყალქვეშა ნავად, – დასძინა ჰერმიონმა, – მაგრამ ჯერ ადამიანის ტრანსფიგურაცია არ გაგვივლია! მგონი, მეექვსე კურსამდე არც გავივლით, და ჯობია, ახლა ეგ არც სცადო, თორემ შეიძლება, ყველაფერი ცუდად დამთავრდეს...

– ჰო, თავიდან ამოჩრილი პერისკოპიღა მაკლია, – შენიშნა ჰარიმ, – ხომ არ ჯობია ვინმეს შევულოცო მუდის თანდასწრებით და ისიც უმალ რაღაცად გადამაქცევს...

– მაგრამ, არა მგონია, იმის საშუალება მოგცეს, აირჩიო, რად გინდა, რომ გადაიქცე, – სერიოზულად თქვა ჰერმიონმა, – არა, ჩემი აზრით, საუკეთესო გამოსავალი ისევ რაიმე შელოცვის მოძებნაა.

ასე რომ, ჰარიმ მწარედ გაიფიქრა, იმდენის წაკითხვა მომიწევს, მთელი ცხოვრება მეყოფაო, და კვლავ დამტვერილ სახელმძღვანელოებში ჩაეფლო. ის, რონი და ჰერმიონი ლანჩის დროს, საღამოობით და შაბათ-კვირასაც წიგნებში იქექებოდნენ; ჰარიმ პროფესორ მაკგონაგელს ნებართვის ფურცელიც სთხოვა, რათა აკრძალული სექციით ესარგებლა, და ნერვიულ ბიბლიოთეკარს, მადამ პინსსაც კი მიმართა დახმარებისთვის, მაგრამ ისეთს ვერაფერს მიაგნეს, რაც ჰარის საშუალებას მისცემდა, წყალში მთელი საათი გაეტარებინა და ჯანმრთელი და უვნებელი დარჩენილიყო.

ჰარის თანდათან ისევ შეეპარა ნაცნობი შიში და ისევ გაუჭირდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაკვეთილებზე ყურადღების მოკრება. ტბა თუ უწინ მისთვის მხოლოდ ჰოგვორტსის შემოგარენის განუყოფელი ნაწილი იყო, ახლა, რამდენჯერაც ფანჯარასთან აღმოჩნდებოდა, თვალი მისკენ გაურბოდა. უზარმაზარი, ფოლადისფერი, ცივი წყლის მასით დაფარული, წყვდიადით მოცული ფსკერი კი მთვარესავით შორეული ეჩვენებოდა.

ისევე, როგორც რქაკუდასთან დაპირისპირების წინ, დრო ახლაც სწრაფად მიქროდა. თითქოს ვიღაცამ საათები მოაჯადოვაო, კისრისტეხით გარბოდნენ. ოცდაოთხ თებერვლამდე ერთი კვირა დარჩა („კიდევ მაქვს დრო")... ხუთი დღე... („არა უშავს, მალე რაიმეს ვიპოვი")... სამი დღე... („ოღონდაც რამე ვიპოვო... ოღონდაც"...)

მეორე ტურამდე ორი დღით ადრე ჰარის ისევ დაეკარგა მადა. ორშაბათს, საუზმობისას ერთადერთი სასიამოვნო სიახლე ის იყო, რომ სირიუსისგან ყავისფერი ბუ დაბრუნდა. ჰარიმ გრაგნილი შეხსნა და გაშალა.

„ჰოგსმიდში მოგდევნო გასეირნების თარიღი მაცნობე."

ასეთი მოკლე წერილი სირიუსისგან პირველად მიიღო.

ბარათი გადმოაბრუნა და უკანა მხარეს დახედა, იქნებ რამე წერიაო, მაგრამ ვერაფერი ნახა.

– ორი კვირის შემდეგაა, – წასჩურჩულა ჰერმიონმა, რომელმაც ბარათი ჰარის მხარზემოდან წაიკითხა. – აი, აიღე ჩემი ბატის ფრთა და ახლავე გააგზავნე ბუ უკან.

ჰარიმ თარიღი სასწრაფოდ წააწერა წერილის უკანა მხარეს, ბუს ფეხზე შეაბა და აფრენილ ფრინველს თვალი გააყოლა. აბა, რას ელოდა? წყალქვეშ სუნთქვის შესახებ რჩევას? ისე ეჩქარებოდა, სირიუსისთვის სნეიპსა და მუდიზე ყველაფერი მოეყოლა, რომ კვერცხის გამოცანა წერილში არც უხსენებია.

– რაში სჭირდება ჰოგსმიდში გასეირნების თარიღის ცოდნა? – იკითხა რონმა.

– რა ვიცი, – უხალისოდ უპასუხა ჰარიმ. ბუს დანახვაზე წამიერად მოგვრილი სიხარული ჩაუქრა და ისევ ცხვირი ჩამოუშვა, – წამოდით, ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილი გვაქვს...

რაც სამუშაოს დაუბრუნდა, ჰაგრიდი სულ ცალრქიან ცხენებზე ატარებდა გაკვეთილებს; ეტყობა, ან ბავშვების წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, ან – იმის გამო, რომ ორი ცეცხლაკუდაღა დარჩა, ან სულაც იმიტომ, რომ უნდოდა დაემტკიცებინა, პროფესორ გრაბლი-პლენკს არაფრით არ ჩამოვუვარდებიო. მართლაც, აღმოჩნდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მან იმდენივე იცოდა ცალრქიანი ცხენების შესახებ, რამდენიც მონსტრებზე, თუმცა ისიც აშკარა იყო, ცხენებს შხამიანი ეშვები რომ ჰქონოდათ, მათზე ბევრად მეტი ხალისით ისაუბრებდა.

იმ დღეს ორი ცალრქიანი კვიცის დაჭერა მოახერხა. ზრდასრული ცხენებისგან განსხვავებით, ისინი ბაჯაღლო ოქროსფერები იყვნენ. პარვატი და ლევენდერი მათ დანახვაზე აღტაცებისგან გადაირივნენ, პენსი პარკინსონმაც დიდი გაჭირვებით დაფარა აღფრთოვანება.

– ამათი შემჩნევა უფრო ადვილია, ვიდრე დიდებისა, – აუხსნა ჰაგრიდმა კლასს, – ორი წლისანი ვერცხლისფერები ხდებიან, ოთხი წლის ასაკში რქები ეზრდებათ. შვიდ წელს რო მიატანენ, ესე იგი, ზრდასრულ ასაკს, მაშინღა ხდებიან ქათქათა თეთრები. პატარები უფრო მიმნდობები არიან... ბიჭებისაც არ ეშინიათ. მოდით, ცოტა ახლოს მოიწით, შეგიძლიათ, ხელი მოუთათუნოთ. აი, ეს შაქრის ნატეხები აჭამეთ...

– როგორა ხარ, ჰარი? – ჩუმად ჰკითხა ჰაგრიდმა, როცა თითქმის მთელი კლასი ცალრქიან კვიცებს დაეხვია, და თვითონ ოდნავ განზე გაიწია.

– რავი, კარგად, – უპასუხა ჰარიმ.

– ნერვიულობ, ხო?

– ცოტათი.

– ჰარი, – ჰაგრიდმა უზარმაზარი ხელი მხარზე დაჰკრა და ბიჭი მუხლებში ჩაიღუნა, – სანამ რქაკუდას გაუსწორდებოდი, მანამდე მეც ვღელავდი, მაგრამ ახლა ვიცი, რო ყველაფერი გამოგივა, რასაც მიზნად დაისახავ. სულ არ ვნერვიულობ. ყველაფერი კარგად იქნება. გამოცანა ხო უკვე გამოიცანი?

ჰარიმ თავი დაუქნია და იმ წუთს გიჟური სურვილი დაეუფლა, ელიარებინა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა გაეძლო ტბის ფსკერზე ერთ საათს. ჰაგრიდს ახედა. იქნებ ჰაგრიდი ტბაში ყვინთავს ხოლმე, იქ ხომ ბევრი ცხოველი ბინადრობს? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ სკოლის მეტყევე იყო და ჰოგვორტსის სხვა ცხოველებზეც ზრუნავდა...

– შენ გაიმარჯვებ, – დაიბუხუნა ჰაგრიდმა და ჰარის ისევ დაჰკრა ხელი მხარზე. ჰარიმ იგრძნო, რომ რამდენიმე სანტიმეტრით მიწაში ჩაესო, – ვიცი. ვგრძნობ! აი, ნახე, თუ არ გაიმარჯვებ!

ჰარის ძალა არ ეყო, იმედითა და სიხარულით გაბრწყინებული ჰაგრიდისთვის გუნება მოეშხამა. ჰაგრიდს ნაძალადევად გაუღიმა და ვითომ ცალრქიანი კვიცები აინტერესებდა, ცხოველების მოსაფერებლად დანარჩენ სტუდენტებს შეუერთდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მეორე ტურის წინასაღამოს ჰარის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეძინა, კოშმარს ხედავდა და გაღვიძება ვერ მოეხერხებინა. კარგად ესმოდა, რომ იმ შემთხვევშიც კი, თუ რაღაც სასწაულით მოახერხებდა შესაფერისი შელოცვის პოვნას, ერთ ღამეში მას მაინც ვერ დაისწავლიდა. როგორ მიიყვანა აქამდე საქმე?! რატომ დროულად არ იფიქრა კვერცხის გამოცანის ამოხსნაზე? რატომ ადუნებდა ყურადღებას გაკვეთილებზე, ხომ შეიძლება, რომელიმე მასწავლებელს გაკვრით ეხსენებინა, როგორ უნდა ისუნთქო წყალში?!

ჰარი, რონი და ჰერმიონი ბიბლიოთეკაში ისხდნენ. ფანჯრებს მიღმა მზე ჩადიოდა. მაგიდაზე იმდენი სქელტანიანი წიგნი დაეხვავებინათ, რომ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, და გაშმაგებით ფურცლავდნენ შელოცვის სახელმძღვანელოებს. რამდენჯერაც წიგნში სიტყვა „წყალი“ შეხვდებოდა, ჰარის გული სიხარულით შეუტოკდებოდა, მაგრამ, ძირითადად, ამდაგვარი რეცეპტი აღმოჩნდებოდა ხოლმე: „აიღეთ ერთი ლიტრი წყალი, ოთხასი გრამი დაქუცმაცებული მანდრაგორას ფოთლები და ტრიტონის“...

– არა, არაფერი გამოგვივა, – გაისმა მაგიდის მეორე მხრიდან რონის მისავათებული ხმა, – აქ არაფერია. არაფერი! მე მხოლოდ გვალვის შელოცვით ტბორებისა და გუბურების ამოშრობა შემხვდა, მაგრამ ეს შელოცვა ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ ტბა დაწრიტოს.

– რაღაც აუცილებლად უნდა იყოს, – წაიბუტბუტა ჰერმიონმა და სანთელი ახლოს მიიწია. თვალები ისე გადაღლოდა, რომ ცხვირით ლამის „ძველი და მივიწყებული ჯადო-შელოცვების“ წვრილ შრიფტს ეხებოდა, – ისინი ისეთ რამეს არ დაავალებდნენ, რისი შესრულებაც შეუძლებელია.

– დაუვალებიათ და ეგაა! – არ დაეთანხმა რონი, – ჰარი, ხვალ დილით ჩადი ტბასთან, ჩაყავი თავი და დაუყვირე სირინოზებს, დამიბრუნეთ, რაც ამწაპნეთ-თქო, და დაელოდე, იქნებ უკან ამოგიგდონ. ამაზე უკეთესს ვერაფერს იზამ, მეგობარო.

– გამოსავალი არის, – თქვა გაჯავრებულმა ჰერმიონმა, – უნდა იყოს!

როგორც ჩანდა, ჰერმიონი პირად შეურაცხყოფად თვლიდა იმას, რომ ბიბლიოთეკას საჭირო თემაზე სასარგებლო ინფორმაცია არ აღმოაჩნდა. წიგნებს ხომ უწინ მისი იმედი არასდროს გაუცრუებიათ.

– იცით, რა უნდა მექნა? – ჰარის ერთ-ერთ გადაშლილ წიგნზე თავი ჩამოედო და ისვენებდა, – სირიუსივით ანიმაგუსი უნდა გავმხდარიყავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, როცა მოისურვებდი, მაშინვე ოქროს თევზად გადაიქცეოდი, – აიტაცა იდეა რონმა.

– ან ბაყაყად, – დაამთქნარა გადაღლილმა ჰარიმ.

– ანიმაგუსად გადაქცევის სწავლას წლები სჭირდება, თანაც რეგისტრაცია უნდა გაიარო და კიდევ ათასი რამეა საჭირო, – განმარტა ჰერმიონმა და თვალებმოჭუტულმა ჩაათვალიერა „რთული ჯადოქრული დილემები და მათი გადაჭრის ხერხების“ საძიებელი, – არ გახსოვთ, პროფესორმა მაკგონაგელმა რა გვითხრა... მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტში რეგისტრაცია უნდა გაიარო და აცნობო, რა ცხოველად იქცევი; აცნობო შენი დამახასიათებელი ნიშნები, რომ შენს უფლებებს არ გადააჭარბო...

– ჰერმიონ, ვიხუმრე, – გატანჯული ხმით დაამშვიდა ჰარიმ, – ვიცი, რომ ხვალ დილისთვის ბაყაყად ქცევის არანაირი შანსი არა მაქვს.

– ოჰ, არა, ეს არ გამოგვადგება, – ჰერმიონმა „რთული ჯადოქრული დილემები“ ხმაურით დახურა. – რომელ იდიოტს ენდომება, ცხვირში თმა გრძელ კულულებად იქციოს?

– მე არ ვიტყოდი უარს! – გაისმა ფრედ უისლის ხმა, – სალაპარაკო თემად მაინც იქცეოდა!

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთდროულად აიხედეს. წიგნების თაროების უკნიდან ფრედი და ჯორჯი გამოვიდნენ.

– აქ რას აკეთებთ? – ჰკითხა რონმა ძმებს.

– შენ გეძებთ, – მიუგო ჯორჯმა, – მაკგონაგელი გეძახის. შენც, ჰერმიონ.

– რატომ! – გაოცდა ჰერმიონი.

– მე რა ვიცი... ისე, შეწუხებული კი ჩანდა, – მხრები აიჩეჩა ფრედმა.

– ორივე მის კაბინეტში უნდა მიგიყვანოთ, – დასძინა ჯორჯმა.

რონმა და ჰერმიონმა ჰარის გადახედეს. ჰარის გულ-მუცელი აუწრიალდა. ნუთუ პროფესორი მაკგონაგელი რონისა და ჰერმიონისთვის საყვედურის თქმას აპირებს? იქნებ შეამჩნია, როგორ ეხმარებოდნენ ჩემპიონს! ის ხომ, წესით, თვითონ უნდა მიმხვდარიყო, როგორ შეესრულებინა დავალება?!

– საერთო ოთახში შევხვდეთ, – უთხრა ჰერმიონმა ჰარის. ის და რონი აღელვებულები წამოდგნენ, – რაც შეიძლება, მეტი წიგნი წამოიღე, კარგი?

– კარგი, – უპასუხა შეცბუნებულმა ჰარიმ.

რვა საათისთვის მადამ პინსმა ყველა ფარანი ჩააქრო და ჰარის წაადგა თავზე, რომ ბიბლიოთეკიდან გაეძევებინა. ჰარიმ რამდენის ტარებაც შეძლო, იმდენი წიგნი წამოიღო და გრიფინდორის საერთო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთახში დაბრუნდა. ერთ-ერთი მაგიდა კუთხეში მიაჩოჩა და ისევ წიგნებში ჩარგო თავი. ვერაფერი ნახა წიგნში, რომელსაც ერქვა „თავაშვებული ჯადოქრობა თავზეხელაღებული ჯადოქრებისთვის," არც „შუა საუკუნეების მაგიის მეგზურში" აღმოჩნდა რამე. წყალქვეშა თავგადასავლებზე ერთი სიტყვაც არ იყო ნახსენები „მეთვრამეტე საუკუნის შელოცვების ანთოლოგიაში", არც „ბნელ სიღრმეთა საზარელ ბინადრებში", არც იმ წიგნში, რომელშიც მოთხრობილი იყო „როგორ აღმოვაჩინოთ მიძინებული ძალები საკუთარ თავში და როგორ გამოვიყენოთ ისინი."

ჰარის მუხლებზე ბო ააცოცდა, მოხერხებულად მოკალათდა და აკრუტუნდა. საერთო ოთახი თანდათან დაცარიელდა. ძილის წინ ყველა, ჰაგრიდისა არ იყოს, მხიარული, რწმენით აღსავსე ემშვიდობებოდა და წარმატებას უსურვებდა. უთუოდ დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჰარი მეორე დავალებასაც ბრწყინვალედ გაართმევდა თავს. ჰარი მხოლოდ თავს უქნევდა ყველას და ხმას არ იღებდა, რადგან ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყელში გოლფის ბურთი ჰქონდა გაჩრილი. შუაღამეს ათი წუთი რომ უკლდა, ოთახში მარტო დარჩა ბოსთან ერთად, უკვე ყველა წიგნი გადაათვალიერა, რონი და ჰერმიონი კი ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ.

– მორჩა, – უთხრა თავის თავს, – ამ დავალებას ვერ შეასრულებ. ისღა დაგრჩენია, ხვალ დილით ტბასთან ჩახვიდე და ჟიურის წევრებს უთხრა...

ჰარიმ წარმოიდგინა, როგორ იმართლებს თავს ჟიურის წევრების წინაშე. თვალწინ დაუდგა ბეგმანის გაოცებული, დაჭყეტილი მრგვალი თვალები, კარკაროვის კმაყოფილი, ყვითელკბილება ღიმილი, ყურებში ჩაესმა ფლერ დელაკურის ხმა: „აკი ვამბობდი, ჯელ ზალიან პატაღაა. ჯელ სულ პატაღა ბიჩია." წარმოიდგინა, როგორ ანთებს ხალხის წინა რიგში მდგარი მალფოი მკერდზე მიმაგრებულ ემბლემას: „პოტერი ჩაფლავდება", დაინახა ჰაგრიდის იმედგაცრუებული, გაოგნებული სახე...

სწრაფად წამოდგა, სულ დაავიწყდა, რომ მუხლებზე ბო ეჯდა. კატამ იატაკზე მოადინა ტყაპანი, ბრაზით დაისისინა, ჰარის ზიზღით ახედა, ბოთლის საწმენდი ჯაგრისივით გაჩაჩხული კუდი აპრიხა და ცხვირაბზუებული გაეცალა იქაურობას. ამასობაში ჰარი უკვე საძინებლის კიბეზე არბოდა და ფიქრობდა, რომ სასწრაფოდ უჩინმაჩინის მოსასხამს დაავლებდა ხელს, ბიბლიოთეკაში დაბრუნდებოდა და თუ საჭირო გახდებოდა, იქ მთელ ღამეს დარჩებოდა...

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჰარიმ ბიბლიოთეკის კარი გააღო.

– ლუმოს, – ჩურჩულით თქვა და ანთებული ჯადოსნური ჯოხით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფეხაკრეფით ჩამოუარა თაროებს. თან გზადაზა იღებდა, რაც კი რამე წიგნი ნახა ჯადოზე, შელოცვებზე, სირინოზებსა და წყალქვეშა მონსტრებზე, სახელგანთქმულ ჯადოქრებზე, ჯადოქრულ გამოგონებებზე; მოკლედ, ყველაფერზე, სადაც გაკვრით მაინც იქნებოდა ნახსენები, როგორ უნდა გაძლო წყალქვეშ უჰაეროდ. ყველა წიგნი მაგიდასთან მოზიდა და საქმეს შეუდგა. ჯადოსნური ჯოხის სუსტ შუქზე წიგნებში იქექებოდა და დროდადრო მაჯის საათზე იხედებოდა.

გახდა ღამის პირველი საათი... ორი... თავის თავს უმეორებდა: „შემდეგ წიგნში იქნება... შემდეგ წიგნში... შემდეგ წიგნში...“

* * *

პრეფექტების სააბაზანოს სურათზე სირინოზს ჰარის „ელვა“ ბიჭის თავზემოთ ეჭირა. ჰარი სირინოზის კლდის ძირას აქაფებულ წყალში საცობივით ტივტივებდა.

– მიდი, აბა, მისწვდი! – ნიშნისმოგებით ქირქილებდა სირინოზი, – მიდი, ახტი!

– არ შემიძლია, – სული ეხუთებოდა ჰარის და ცდილობდა, „ელვას“ მისწვდენოდა, თან ყვიროდა: – მომეცი ჩემი ცოცხი! მომეცი! – და წყალში ფართხალებდა, რომ არ ჩაძირულიყო.

მაგრამ სირინოზმა ცოცხის ტარი ფერდში მწარედ წაჰკრა და გულიანად ახარხარდა.

– მტკივა... თავი დამანებე, ვაიმე!

– ჰარი პოტერმა უნდა გაიღვიძოს, სერ!

– ნუ მჩხვლეტ!

– დობიმ უნდა შეანჯღრიოს ჰარი პოტერი, სერ, ჰარი პოტერმა უნდა გაიღვიძოს!

ჰარიმ თვალი გაახილა. ისევ ბიბლიოთეკაში იყო, უჩინმაჩინის მოსასხამი გადასძრობოდა და ერთ-ერთ წიგნზე თავჩამოდებულს სახის ნაწილი უჩანდა. ჰარი წამოჯდა და სათვალე შეისწორა. დღის შუქმა თვალი მოსჭრა.

– ჰარი პოტერმა უნდა იჩქაროს! – დაიწრიპინა დობიმ, – მეორე დავალება ათ წუთში დაიწყება და ჰარი პოტერმა...

– ათ წუთში? – ძილისაგან ჩახრინწული ხმით იკითხა ჰარიმ, – ათ... ათ წუთში?

საათს დახედა. დობი მართალს ამბობდა: ათის ოცი წუთი იყო. შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩქარა, ჰარი პოტერ! – დასჭყივლა დობიმ და ჰარის სახელოზე მოებღაუჭა, – თქვენ ახლა ტბასთან უნდა იყოთ სხვა ჩემპიონებთან ერთად, სერ!

– გვიანია, დობი, – უიმედოდ თქვა ჰარიმ, – ამ დავალებას ვერ შევასრულებ. არ ვიცი, როგორ...

– ჰარი პოტერი შეასრულებს დავალებას! – დაიწრიპინა ელფმა, – დობიმ იცოდა, რომ ჰარი პოტერმა საჭირო წიგნს ვერ მიაგნო, და დობიმ თვითონ იპოვა!

– რაა? – გაოცდა ჰარი, – შენ რა იცი, მეორე დავალება რა არის?

– დობიმ იცის, სერ! ჰარი პოტერი ტბაში უნდა ჩავიდეს და იპოვოს თავისი უისი...

– ჩემი რა?

– და წაართვას თავისი უისი სირინოზებს.

– უისი რა არის?

– თქვენი უისი, სერ, თქვენი უისი... უისი, რომელმაც დობის სვიტერი აჩუქა! – დობიმ შორტებზე ჩამოფართხუნებულ წაბლისფერ სვიტერზე წაივლო ხელი.

– რააო? – სუნთქვა შეეკრა ჰარის, – მათ... რონი ჰყავთ?

– ის, რაც ჰარი პოტერს ყველაზე ძალიან უყვარს, სერ! – დაიჭყივლა დობიმ, – და ერთი საათის შემდეგ...

– „შავი დღე გელის, ის არასდროს დაგიბრუნდება...“– გაახსენდა ლექსის ნაწყვეტი თავზარდაცემულ ჰარის და ელფს შიშისგან გაფართოებული თვალებით მიაჩერდა, – დობი, რა უნდა გავაკეთო?

– ეს უნდა შეჭამოთ, სერ! – დაიწრიპინა ელფმა, ხელი შორტის ჯიბეში ჩაიყო და დაგუნდავებული სლიკინა, მორუხო-მომწვანო ვირთხის კუდების გროვის მსგავსი რაღაცა ამოძვრინა. – ზუსტად ტბაში ჩასვლის წინ, სერ, ლაყუჩა-ბალახი!

– ეს რისთვისაა? – ჰარი ლაყუჩა-ბალახს ეჭვით დააცქერდა.

– ეს ჰარი პოტერს დაეხმარება, წყალში ისუნთქოს, სერ!

– დობი, – სასოწარკვეთით მიმართა ჰარიმ, – მომისმინე... ნამდვილად არაფერი გეშლება?

ჰარის არ დავიწყებოდა, რომ უკანასკნელად, როცა დობი მის „გადარჩენას“ შეეცადა, მარჯვენა ხელზე ყველა ძვალი გაუქრა.

– დობი სავსებით დარწმუნებულია, სერ! – გულწრფელად მიუგო ელფმა, – დობის რაღაცეები ესმის, სერ. ის შინაური ელფია, მთელ ციხე-კოშკში დადის, რომ ბუხრები აანთოს და იატაკები მორეცხოს. დობიმ სამასწავლებლოში ყური მოჰკრა პროფესორ მაკგონაგელისა და პროფესორ მუდის ლაპარაკს მეორე დავალებაზე... დობი არ დაუშვებს, რომ ჰარი პოტერმა თავისი უისი დაკარგოს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის ეჭვები გაეფანტა. წამოდგა, უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო, ჩანთაში ჩატენა, ლაყუჩა-ბალახს ხელი სტაცა და ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ ბიბლიოთეკიდან კისრისტეხით გავარდა. დობი ფეხდაფეხ გაჰყვა.

– დობი სამზარეულოში უნდა დაბრუნდეს, სერ! – დაიჭყივლა ელფმა, დერეფანში რომ გამოცვივდნენ, – დობის ძებნას დაუწყებენ... წარმატებას გისურვებთ, ჰარი პოტერ, სერ, წარმატებას გისურვებთ!

– კარგად, დობი! – მიაძახა ჰარიმ, დერეფანი თავპირისმტვრევით გაირბინა, კიბეს ეცა, სამ-სამი საფეხურის გამოტოვებით ჩაგრიალდა და ჰოლში შევარდა.

ჰოლში რამდენიმე დაგვიანებული მაყურებელი შემორჩენილიყო. ახლად ნასაუზმევნი დიდი დარბაზიდან გამოდიოდნენ და მუხის მთავარი კარისკენ მიემართებოდნენ მეორე დავალების საყურებლად. ყველამ გაოცებით გააყოლა თვალი ჰარის, რომელმაც ტყვიასავით ჩაიქროლა, ქვის საფეხურებზე კოლინ და დენის ქრივები მიყარ-მოყარა და ნათელ, სუსხიან ეზოში გავარდა.

ტბის მოპირდაპირე ნაპირზე იგივე ტრიბუნები აღემართათ, რომლებიც ნოემბერში დრაკონების ბაკს ევლებოდა წრედ. ხალხით გადაჭედილი ტრიბუნები ტბის ზედაპირზე ირეკლებოდა. ბრბოს აღტკინებული ჟრიამული უცნაურ ექოსავით ატანდა ნაპირამდე. ჰარი ჟიურის წევრების მიმართულებით გაქანდა. ჟიურის წევრები სანაპიროზე ოქროსფერგადასაფარებლიან მაგიდასთან ისხდნენ. მაგიდის გვერდით სედრიკი, ფლერი და კრამი იდგნენ და ჰარის უყურებდნენ.

– მე... აქ ვარ... – ამოიქშინა სუნთქვაშეკრულმა ჰარიმ, ტალახში მოსრიალდა, მოწყვეტით გაჩერდა და ფლერის მანტია ტალახის შხეფებით მოსვარა.

– აქამდე სად იყავი? – გაისმა მბრძანებლური, საყვედურით აღსავსე ხმა.

ჰარიმ მიიხედა. ჟიურის მაგიდას პერსი უისლი მისჯდომოდა. ბატონი კრაუჩი ისევ ვერ მობრძანებულიყო ტურნირზე.

– აბა, აბა, პერსი! – შესძახა ლუდო ბეგმანმა, რომელმაც ჰარის დანახვაზე აშკარად შვებით ამოისუნთქა, – სულის მოთქმა მაინც აცალე!

დამბლდორმა ჰარის გაულიმა, მაგრამ კარკაროვი და მადამ მაქსიმი სულაც არ ჩანდნენ კმაყოფილები. მათი სახის გამომეტყველების მიხედვით აშკარა იყო, რომ ჰარის უკვე აღარ ელოდნენ.

ჰარი სულის მოსათქმელად წელში მოიხარა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო. ფერდი ისე ჩხვლეტდა, თითქოს ნეკნებში დანა გაუყა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რესო, მაგრამ დასასვენებელი დრო აღარ იყო, ლუდო ბეგმანი უკვე ჩემპიონებს შორის მიდი-მოდიოდა და ტბის პირას ერთმანეთისგან სამ-სამი მეტრის დაშორებით აყენებდა. ჰარი მწკრივის ბოლოში აღმოჩნდა კრამის გვერდით, რომელსაც საცურაო ტრუსი ეცვა და ხელში ჯადოსნური ჯოხი მოემარჯვებინა.

– ყველაფერი რიგზეა, ჰარი? – წასჩურჩულა ბეგმანმა და ბიჭი კრამს კიდევ რამდენიმე ფუტით დააშორა, – იცი, რა უნდა გააკეთო?

– დიახ, – მიუგო ჰარიმ და ფერდი დაიზილა.

ბეგმანმა წამით მხარზე ხელი მოუჭირა და ჟიურის მაგიდას დაუბრუნდა, ჯადოსნური ჯოხი ყელზე მიიშვირა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, მსოფლიო ჩემპიონატზე, და წარმოთქვა: „სონოროუს!“ მისი ხმა ქუხილით გადაევლო ჩაშავებულ ტბის ზედაპირს და ტრიბუნებისკენ აიჭრა.

– მაშ ასე, ყველა ჩემპიონი მზად არის მეორე დავალების შესასრულებლად, რომელიც ჩემი სასტვენის ჩაბერვისთანავე დაიწყება. მათ ზუსტად ერთი საათი აქვთ, რათა დაიბრუნონ ის, რაც წაართვეს. აბა, სამ თვლაზე. ერთი... ორი... სამი!

ზამთრის ცივ, უძრავ ჰაერში სასტვენის ხმა ყურისწამღებად გაისმა. ტრიბუნებზე ყვირილმა და ტაშმა იფეთქა. ჰარის სხვა ჩემპიონებისკენ არც გაუხედავს, ისე გაიძრო ფეხსაცმელი და წინდები, ჯიბიდან მთელი მუჭა ლაყუჩა-ბალახი ამოიღო, პირში ჩაიტენა და ტბაში შეტოპა.

ყინულივით ცივმა წყალმა ფეხებზე კანი ისე აუწვა, თითქოს წყალში კი არა, ცეცხლში შეაბიჯაო. ტანსაცმელი გაეჟღინთა და, რაც უფრო ღრმად შედიოდა, მით უფრო უმძიმდებოდა. წყალი უკვე მუხლებამდე მისწვდა, სიცივისგან გაფიჩხებული ფეხები ლამსა და ბრტყელ, შლამიან ქვებზე უცურდებოდა. რაც შეიძლებოდა, სწრაფად და მაგრად ღეჭავდა უსიამოვნოდ სლიპინა და რვაფეხას საცეცივით მაგარ ლაყუჩა-ბალახს. გაყინული წყალი წელამდე რომ მისწვდა, გაჩერდა, დაღეჭილი გადაყლაპა და დაელოდა, რა მოხდებოდა.

ამ დროს მაყურებლების სიცილი გაიგონა. მიხვდა, რომ სულელურად გამოიყურებოდა: ტბაში შედიოდა და ჯადოქრობის არავითარ ნიშანწყალს არ ავლენდა. ჰარი ყინულივით ცივ წყალში წელამდე იდგა. წელზემოთ დაბურძგლა, სუსხიანი ქარი თმას უწეწავდა, მთელი ტანით აკანკალდა. ტრიბუნებს თვალს არიდებდა, სიცილმა იმატა, სლიზერინელების ტრიბუნიდან კი სტვენა და ხარხარი გაისმა...

და უეცრად ჰარის ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ცხვირპირზე უხილავი ბალიში მიაფარესო. ჰაერის ჩასუნთქვა სცადა, მაგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამ თავბრუ დაეხვა. ფილტვები დაუცარიელდა. უცებ კისრის ორივე მხარეს მწვავე ტკივილმა დაუარა...

ჰარიმ ხელები კისერზე იტაცა და ყურებს ქვემოთ ორი ხვრელი აღმოაჩინა, რომლებიც იხსნებოდნენ და იხურებოდნენ... ნუთუ ლაყუჩები გამოება! ბევრი აღარ უფიქრია და გააკეთა ის, რაც ალღომ უკარნახა – წყალში ჩაყვინთა.

გაყინული წყლის პირველივე ყლუპი შვებით ამოსუნთქვის ტოლფასი იყო. თავბრუსხვევამ გაუარა. ჰარიმ ისევ გადაყლაპა წყალი, იგრძნო, როგორ შეთქრიალდა ლაყუჩებში და ჟანგბადი ისევ მიაწოდა ტვინს. ჰარიმ ხელებზე დაიხედა. მომწვანო წყალში ხელები გამჭვირვალე უჩანდა, თითებს შორის აპკი გადასჭიმოდა. ჰარი წყალში მოიხარა და თავის შიშველ ფეხებს დახედა – ფეხები დაჰგრძელებოდა, ფეხის თითებს შორისაც აპკი გასჩენოდა, გეგონებოდა, ფარფლები გამოებაო.

ყინულივით ცივი წყალი სასიამოვნოდ გრილი და საოცრად მსუბუქი გახდა. ჰარიმ ფარფლიანი ფეხები მოიქნია და თვითონვე გაოცდა თავისი სისხარტითა და მოქნილობით. ისიც შეამჩნია, რომ უკვე შორ მანძილზედაც გარკვევით ხედავდა, აღარც თვალებს ახამხამებდა. მალე ისე ღრმად შეცურა ტბაში, რომ წყლის ზედაპირი აღარ ჩანდა. ჰარი ამოტრიალდა და ფსკერისკენ ჩაყვინთა.

ირგვლივ გამეფებული მდუმარება ყურებს უხშობდა. უცნაურ, ბნელ, მღვრიე წყალში მიცურავდა. მხოლოდ სამი მეტრის მანძილზე ხედავდა. წინ მიიწევდა და მის თვალწინ მოულოდნელად ჩნდებოდა ახალ-ახალი პეიზაჟები: ერთმანეთში გადახლართული, მობიბინე შავი წყალმცენარეების ტყეები, უფერული, მბზინავი ქვებით დაფარული ტალახის ვრცელი უდაბნოები. ჰარი სულ უფრო და უფრო ღრმად ჩადიოდა, თვალები ფართოდ გაეხილა და ბლანტ, მორუხო საბურველს მილმა მოძრავი ჩრდილების გარჩევას ცდილობდა.

ციცქნა თევზები ვერცხლისფერი ისრებივით ჩაუქროლებდნენ ხოლმე. ერთი-ორჯერ მოეჩვენა, რომ წინ რაღაც ურჩხული მოძრაობდა, მაგრამ ახლოს რომ მიცურდებოდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ვეება ჩაშავებული მორი ან წყალმცენარეების მჭიდრო ჯგუფი აღმოჩნდებოდა ხოლმე. არც სხვა ჩემპიონები ჩანდნენ სადმე, არც სირინოზები, არც რონი და, საბედნიეროდ, არც გიგანტური კალმარი.

სადამდეც თვალი სწვდებოდა, ყველგან ნახევარი მეტრის სიმაღლის ღია მწვანე წყალმცენარეები ლივლივებდა. ჰარი თვალის დაუხამხამებლად იყურებოდა წინ, ცდილობდა, ბინდბუნდში ლანდები გაერჩია... და უეცრად, სად იყო და სად არა, რაღაცამ წვივზე სტაცა ხელი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი მთელი ტანით შემოტრიალდა. გრინდილოუს, რქიან წყლის ეშმაკს, წყალმცენარეებიდან თავი ამოეყო, გრძელი თითები ჰარის წვივისთვის შემოეჭდო და წაწვეტებული ეშვები დაეკრიჭა. ჰარიმ სასწრაფოდ ჩაიყო აპკიანი ხელი მანტიაში და ფათურით დაუწყო ძებნა ჯადოსნურ ჯოხს. სანამ ჯოხს მიაგნებდა, კიდევ ორმა გრინდილოუმ ამოყო თავი წყალმცენარეებიდან, ჰარის მანტიაში ჩაავლეს ხელები და მის დაბლა ჩათრევას შეეცადნენ.

– რელაშიო! – დაიყვირა ჰარიმ, მაგრამ პირიდან ხმა კი არა, ჰაერის დიდი ბუშტი ამოუვიდა, ჯადოსნურმა ჯოხმა გრინდილოუებს, ნაპერწკლების ნაცვლად, როგორც ჩანს, ადუღებული წყლის ნაკადი მიუშვა, რადგან სადაც მოხვდათ, მწვანე კანზე წითელი, შეშუპებული ლაქები დააჩნდათ. ჰარიმ გრინდილოუს გაძვალტყავებული ხელიდან გამოჰგლიჯა ფეხი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაცურა. დროდადრო მხარს ზემოდან ცხელი წყლის ნაკადს ალალბედზე უშვებდა, ხანდახან ფეხზე გრინდილოუ ეჭიდებოდა და წიხლისკვრით იშორებდა. ბოლოს იგრძნო, რომ ფეხი ერთ-ერთის რქიან თავს მოახვედრა და უკან მიიხედა. დაბორიალებული, დაელმებული გრინდილოუ წყალქვეშა ნაკადს მიჰქონდა. მისმა დამქაშებმა ჰარის მუშტები მოულერეს და ისევ წყალმცენარეებში ჩაიმალნენ.

ჰარიმ სიჩქარეს უკლო. ჯადოსნური ჯოხი ისევ მანტიაში ჩამალა და სმენადქცეულმა მიმოიხედა. მერე წყალში წრე დაარტყა. მდუმარება თანდათან უფრო მძიმედ აწვებოდა ყურის აპკებზე. უკვე კარგა ღრმად იყო ჩასული ტბაში, მაგრამ მოლივლივე წყალმცენარეების მეტს ვერაფერს მიაგნო.

– აბა, როგორ მიდის საქმე?

ჰარის კინაღამ გული შეუღონდა. მოწყვეტით ამოტრიალდა. მის წინ მტირალა მირტლი ტივტივებდა და ბიჭს სქელმინებიანი, სადაფისჩარჩოიანი სათვალით მისჩერებოდა.

– მირტლ! – დაყვირება სცადა ჰარიმ, მაგრამ პირიდან ისევ მხოლოდ ჰაერის უზარმაზარი ბუშტი ამოუვიდა. მტირალა მირტლმა ხითხითი ატეხა. მერე თითით მიანიშნა:

– აი, იქით მოძებნე! შენთან ერთად არ წამოვალ... არ მომწონს ეგენი, როგორც კი დამინახავენ, მაშინვე დასაჭერად დამდევენ...

ჰარიმ მადლობის ნიშნად ცერა თითი ასწია და გზა განაგრძო. ცდილობდა, მაღლა ეცურა, წყალმცენარეებს არ მიახლოებოდა, ვაითუ, იქაც გრინდილოუები არიან ჩასაფრებულებიო.

ჰარის მოეჩვენა, რომ სულ მცირე, ოც წუთს იცურა. ამჯერად მის ქვემოთ შავი ტალახის ფართო ველები გადაჭიმულიყო. მისი ცურვისას დალექილი ლამი წამოიშლებოდა ხოლმე და გრიგალივით ტრი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალებდა. ბოლოს, როგორც იყო, ყური მოჰკრა კვერცხის სირინოზებ-ის დამატყვევებელი სიმღერის ნაწყვეტს:

„ერთ საათს გაძლევთ, გვიპოვე და უხმე გონებას,
დათქმულ ვადაში დაიბრუნე შენი ქონება...“

ჰარიმ უფრო სწრაფად გაცურა და სულ მალე წინ, ამღვრეულ წყალში, ვეება კლდე გამოიკვეთა. ზედ სურათი დაეხატათ. ნახატზე ტრიტონებს შუბები ეპყრათ და რაღაცას, როგორც ჩანს, გიგანტურ კალმარს, მისდევდნენ. ჰარიმ კლდეს ცურვით ჩაუარა და სირინოზ-თა სიმღერას მიჰყვა.

„ნუ დააყოვნებ, იმოქმედე, დრო აღარ რჩება,
თორემ ძებნილი დასალპობად ჩვენთან დარჩება...“

უცებ ბინდიდან ზღვის წყალმცენარეებით დაფარული, რიყის ქვით ნაგები, მიჯრით მდგარი სახლები გამოჩნდა. აქა-იქ, ჩაბნელებულ ფანჯრებში, ჰარი სახეებს ხედავდა... სახეებს, რომლებიც არაფრით ჰგავდნენ პრეფექტების სააბაზანოში დაკიდებული სურათის სირი-ნოზს...

სირინოზებს ნაცრისფერი კანი და გრძელი, გაჩეჩილი, მუქი მწვა-ნე თმა, ყვითელი თვალები და ყვითელი უსწორმასწორო კბილები ჰქონდათ, კისერზე კენჭების მძივები ეკიდათ. ჰარი შორიახლოს მიცურავდა, ისინი კი ავად ადევნებდნენ თვალს. ერთი-ორი გამოქ-ვაბულიდანაც კი გამოძვრა, რომ ბიჭი უკეთ შეეთვალიერებინა. მძლავრ, ვერცხლისფერ კუდებს ადგაფუნებდნენ, ხელთ კი სამკაპა შუბები ეპყრათ.

ჰარი წინ მიიჩქაროდა და აქეთ-იქით იყურებოდა. მალე სახლების რიცხვმა იმატა, ზოგიერთის ირგვლივ წყალმცენარეების ბაღი გაე-შენებინათ, ჰარიმ კართან ბოძზე მიბმული მოშინაურებული გრინ-დილოუც კი დაინახა. სირინოზები ახლა ყველა მხრიდან გამოდიოდ-ნენ და ჰარის ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, მისი აპკიანი ხელე-ბისა და ფარფლებისკენ თითს იშვერდნენ და პირზე ხელაფარებუ-ლები ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. ჰარიმ კუთხეში შეუხვია და თვალწინ საოცარი სცენა გადაეშალა.

სახლებით გარშემორტყმულ წყალქვეშა მოედანზე სირინოზებსა და ტრიტონებს მოეყარათ თავი. მოედნის შუაგულში ლოდისგან უხეშად გამოთლილი ტრიტონის გიგანტური ქანდაკება აღემართათ. ქანდაკების წინ სირინოზების გუნდი სიმღერით უხმობდა ჩემპიო-ნებს, ქანდაკების კუდზე კი ოთხი ადამიანი იყო მიბმული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი ჰერმიონსა და ჩოს შორის მიებათ. ჰარიმ კიდევ ერთი გოგონა დაინახა, რვა წლისა თუ იქნებოდა. მისმა ვერცხლისფერმა თმამ ბიჭი დაარწმუნა, რომ ის ფლერ დელაკურის და უნდა ყოფილიყო. ოთხივე ტყვე თითქოს ძილქუშს მისცემოდა. თავი მკერდზე ჩამოვარდნოდათ და პირიდან ჰაერის წვრილი ბუშტუკების ნაკადს უშვებდნენ.

ჰარი მძევლებისკენ გაეშურა, თან ელოდებოდა, რომ ტრიტონები შუბებით შეუტევდნენ, მაგრამ მათ არაფერი მოუმოქმედებიათ. მსხვილი, გალიპული თოკი, რითაც მძევლები ქანდაკებაზე იყვნენ მიბმულნი, წყალმცენარეებისგან იყო დამზადებული და ძალიან მაგარი ჩანდა. ჰარის გაახსენდა სირიუსის საშობაოდ ნაჩუქარი დანა, მაგრამ ის რვაასი მეტრის დაშორებით ციხე-კოშკში, ჩემოდანში იყო საიმედოდ ჩაკეტილი და ახლა არაფერში გამოადგებოდა.

ჰარიმ მიმოიხედა. ტრიტონები შუბებით გარს შემოჯარვოდნენ. ჰარი მარდად მიიჭრა ერთ-ერთთან. ორ მეტრზე მაღალი იქნებოდა, გრძელი მწვანე წვერი და ზვიგენის კბილებისგან გაკეთებული ყელსაბამი ეკეთა. ჰარიმ ანიშნა, შუბი მათხოვეო. ტრიტონმა გაიცინა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ჩვენ არ დაგეხმარებით, – წარმოთქვა მან უსიამოვნო, ყიყინა ხმით.

– მომეცით, რა! – შეუტია ჰარიმ, მაგრამ პირიდან მხოლოდ ბუშტუკები ამოუფრინდა. სცადა, შუბი წაერთმია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ტრიტონი მხოლოდ თავს აქნევდა და იცინოდა.

ჰარიმ ისევ მიიხედ-მოიხედა, იქნება ბასრი რამე ვნახოო...

ამ ადგილას ტბის ფსკერი ქვის ნატეხებს დაეფარა. ჰარი ძირს დაეშვა, ყველაზე წვეტიან ქვას სტაცა ხელი, ქანდაკებასთან დაბრუნდა და რონის ირგვლივ შემოხვეულ თოკს დასცხო. რამდენიმე წუთის დამქანცველი მუშაობის შემდეგ თოკი გადაიჭრა. გრძნობადაკარგული რონი ტბის ფსკერიდან რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლეზე წყალქვეშა დინებამ წაატივტივა.

ჰარიმ კვლავ მიმოიხედა. დანარჩენი ჩემპიონები არსად ჩანდნენ. ვერ გაეგო, სად დაიკარგნენ ან რატომ აგვიანებდნენ. მერე ჰერმიონის თოკს მიუბრუნდა, წვეტიანი ქვა აღმართა და მისი გადაჭრაც სცადა.

თვალის დახამხამებაში რამდენიმე წყვილი რუხი, ღონიერი ხელი ეცა. ექვსმა ტრიტონმა ჰერმიონს ძალით მოაშორა მწვანეთმიანი თავების ქნევითა და სიცილით.

– შენ შენი მძევალი წაიყვანე, – უთხრა ერთ-ერთმა, – სხვებს თავი დაანებე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არავითარ შემთხვევაში! – შესძახა გაცოფებულმა ჰარიმ, მაგრამ მხოლოდ ორი ვეება ჰაერის ბუშტი ამოუვიდა პირიდან.

– შენ შენი მეგობრის დაბრუნება გევალება... სხვები დატოვე...

– ისიც ჩემი მეგობარია! და არც მისი სიკვდილი მინდა! – დაიყვირა ჰარიმ და თავით ჰერმიონისკენ ანიშნა. უშველებელი, ვერცხლისფერი ჰაერის ბუშტი უხმოდ მოსწყდა მის ტუჩებს.

ჩოს ჰერმიონის მხარზე ჩამოედო თავი, პატარა, ვერცხლისფერთმიანი გოგონა მწვანე მოჩვენებას დამსგავსებოდა. ჰარი შეეცადა, ტრიტონებს დასხლტომოდა, მაგრამ ისინი უფრო მეტად ახარხარნენ და ახლოს არ მიუშვეს. სასოწარკვეთილმა ჰარიმ თვალებით დაუწყო ძებნა სხვა ჩემპიონებს. სად დაიკარგნენ? ნეტავ, თუ ეყოფოდა დრო საიმისოდ, რომ ჯერ რონი აეყვანა წყლის ზედაპირზე და შემდეგ ჰერმიონისა და სხვების წასაყვანად დაბრუნებულიყო? შეძლებდა მათ პოვნას ხელმეორედ? ჰარიმ მაჯის საათზე დაიხედა. საათი გაჩერებულიყო.

სწორედ ამ დროს ტრიტონებმა და სირინოზებმა მაღლა რაღაცა დაინახეს და აღელვებულებმა იქით გაიშვირეს ხელი. ჰარიმ აიხედა და მათკენ ცურვით მომავალი სედრიკი დაინახა. სედრიკს თავი უზარმაზარ ჰაერის ბუშტში ჰქონდა შეყოფილი და ამის გამო სახე უცნაურად განიერი და გამრუდებული უჩანდა.

– გზა ამებნა! – ტუჩების მოძრაობით ანიშნა ჰარის დაფეთებულმა სედრიკმა, – ფლერი და კრამიც მოდიან!

ჰარის გულზე მოეშვა. სედრიკმა ჯიბიდან დანა ამოიღო და ჩოს თოკი შეხსნა. შემდეგ ხელი დაავლო და მასთან ერთად თვალს მიეფარა.

ჰარი დარჩა, ფლერსა და კრამს დაუცადა. დრო იწურებოდა, სიმღერის მიხედვით, ერთი საათის შემდეგ მძევლებს დაკარგავდნენ.

სირინოზები აღტაცებით აკივლდნენ. ტრიტონებმა ჰარის თავი გაანებეს და უკან მიიხედეს. ჰარიც მიბრუნდა და დაინახა, რომ მათკენ რაღაც ურჩხული მოცურავდა: საცურაოკოსტიუმიანი და ზვიგენისთავიანი ადამიანი ახლოვდებოდა... ეს იყო კრამი. როგორც ჩანდა, ზვიგენად გადაქცევა არცთუ ისე წარმატებით გამოუვიდა.

კაც-ზვიგენა პირდაპირ ჰერმიონს მიეჭრა და კბილებით თოკის გადაღრღნა სცადა, მაგრამ ასეთი კბილების პატრონი დელფინის გაგლეჯას უფრო მოახერხებდა, ვიდრე ჰერმიონის ირგვლივ შემოხვეული თოკის გაკვნეტას. ჰარი შიშობდა, ემანდ, ჰერმიონი შუაზე არ გადაჭრასო. წამსვე წინ გაექანა, კრამს მხარზე ხელი დაარტყა და თავისი წვეტიანი ქვა უჩვენა. კრამმა ქვას ხელი დაავლო და ჰერმიონის თოკის გადაჭრას შეუდგა. რამდენიმე წამში მორჩა საქმეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გოგონას წელზე ხელი შემოხვია და ნადავლთან ერთად სწრაფად აიჭრა წყლის ზედაპირისკენ.

ახლა რა ქნას? დარწმუნებული რომ ყოფილიყო, ფლერი ნამდვილად მოვიდოდა... მაგრამ ფლერი ისევ არ ჩანდა. არავინაც არ მოდიოდა...

ჰარიმ კრამის დაგდებულ ქვას სტაცა ხელი, მაგრამ ტრიტონები გარს შემოერტყნენ რონსა და პატარა გოგონას და თავს ისევ უარის ნიშნად აქნევდნენ.

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო:

– გზიდან ჩამომეცალეთ!

პირიდან მხოლოდ ბუშტუკები ამოუვიდა, მაგრამ იგრძნო, რომ ტრიტონები მიუხვდნენ განზრახვას, რადგან სიცილი უცებ შეწყვიტეს, ყვითელი თვალები ჰარის ჯადოსნურ ჯოხს მიაპყრეს და აშკარად დაფრთხნენ. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ჰარი მიხვდა, რომ მათ ჯადოქრობისა ისევე გაეგებოდათ რამე, როგორც გიგანტურ კალმარს.

– იცოდეთ, სამამდე ვითვლი! – დაიყვირა ჰარიმ, პირიდან ბუშტუკების დიდი ნაკადი გამოუშვა, მაგრამ სამი თითი ასწია, რომ უკეთ მიეხვედრებინა, – ერთი... (ჰარიმ ერთი თითი ჩამოსწია), ორი... (მეორე თითი ჩამოსწია)...

ტრიტონები დაიფანტნენ. ჰარი ქანდაკებასთან მიიჭრა და პატარა გოგონას თოკის გადაჭრას შეუდგა. როგორც იქნა, გოგონაც გათავისუფლდა. ჰარიმ ცალი ხელი შემოხვია წელზე, მეორე ხელი რონის მანტიის საყელოს ჩასჭიდა და ტბის ფსკერს ფეხი დაჰკრა.

ნელა ადიოდა ზევით. აპკიან ხელებს ველარ იშველიებდა, ფარფლიან ფეხებს გამწარებით კი იქნევდა, მაგრამ რონი და გოგონა კარტოფილის ტომრებივით ეწეოდნენ ფსკერისკენ... ჰარიმ ზემოთ აიხედა, მაგრამ წყალი ისე ჩაშავებული ჩანდა, რომ, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო ზედაპირისგან.

სირინოზები და ტრიტონები უკან მისდევნენ. ჰარი ხედავდა, რა მსუბუქად დასრიალებდნენ ირგვლივ და მის წვალებას თვალს ადევნებდნენ. ნეტავ დრო რომ ამოიწურებოდა, ისევ ფსკერზე ჩაათრევდნენ თუ არა? ნეტავ, კაციჭამიები ხომ არ იყვნენ? ჰარის გამალებული ცურვისგან ფეხები გაუხევდა, რონისა და გოგონას სიმძიმისგან ხელები დააწყდა...

სუნთქვითაც ძლივსღა სუნთქავდა. კისრის ორივე მხარეს კვლავ ტკივილს გრძნობდა. პირი წყლით ევსებოდა. მაგრამ წყვდიადიც უკვე იფანტებოდა... მაღლიდან დღის სინათლემ ჩამოატანა...

ჰარიმ მთელი ძალით მოიქნია ფარფლები, მაგრამ აღმოაჩინა, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისინი ფეხებად ქცეულიყვნენ... წყალი პირიდან ფილტვებში ჩასდიოდა... თავბრუ ესხმოდა, მაგრამ იცოდა, რომ სინათლეს და ჰაერს მხოლოდ სამი მეტრილა აშორებდა... უნდა მიეღწია იქამდე... უნდა მიეღწია....

ისე შეუბრალებლად ატანდა ძალას ფეხებს, რომ ფეხები ტკივილისგან თითქოს აკივლდნენ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ტვინიც კი წყლით გაეჟღინთა. ვეღარ სუნთქავდა, ჰაერი სჭირდებოდა, მაგრამ გზა უნდა გაეგრძელებინა... ახლა გაჩერება არ შეიძლებოდა...

და, აი, თავით გაარღვია ტბის ზედაპირი. მშვენიერმა, ცივმა, სუფთა ჰაერმა სველი სახე დაუსუსხა, ჰარიმ ისეთი ნეტარებით ჩაყლაპა ჰაერი, თითქოს აქამდე წესიერად არასდროს ჩაუსუნთქავსო, და ქოშინით ამოათრია რონი და პატარა გოგონაც. მის ირგვლივ წყლიდან ტრიტონებსა და სირინოზებს ამოეყოთ გაბურძგნილი, მწვანეთმიანი თავები და იღიმებოდნენ.

ტრიბუნებზე სიხარულის ყიჟინა დასცეს, ყველანი ფეხზე წამოცვივდნენ, ყვიროდნენ და კიოდნენ. ჰარიმ დაასკვნა, როგორც ჩანს, რონი და გოგონა უკვე მკვდრები ეგონათო, მაგრამ ისინი ცდებოდნენ... ორივე მძევალმა თვალი გაახილა. გოგონა შეშინდა და დაიბნა, რონმა კი პირიდან წყლის დიდი შადრევანი გადმოაფრქვია, დღის სინათლეზე თვალები აახამხამა და ჰარის უთხრა:

– რა სისველეა, არა? – შემდეგ ფლერის და შეამჩნია, – ეს რატომ წამოიყვანე?

– ფლერი არ გამოჩნდა და ვერ დავტოვებდი, – ამოიქოშინა ჰარიმ.

– ჰარი, შე შტერო. შენ რა, ის სიმღერა სერიოზულად მიიღე? როგორ გგონია, დამბლდორი რომელიმეს დასახრჩობად გაგვიმეტებდა?

– მაგრამ სიმღერაში ნათქვამი იყო...

– ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დროულად დაბრუნებულიყავით! შენ რა, გმირობა მოინდომე?

ჰარის თან შერცხვა, თან გაბრაზდა. მისი აზრით, რონისთვის ადვილი იყო ამის თქმა. მას ხომ ეძინა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა შიში ჭამა ჰარიმ ტბის ფსკერზე, შუბოსანი ტრიტონების პირისპირ, როცა ყოველ წუთს ელოდა, რომ შუბებს დააძგერებდნენ და ლუკმა-ლუკმად აქცევდნენ.

– მოდი, დამეხმარე, მგონი, ცურვა კარგად არ იცის, – მოჭრა ჰარიმ მოკლედ.

ფლერის და ნაპირისკენ გაათრიეს, სადაც ჟიურის წევრები იდგნენ და ელოდნენ. ოცი ტრიტონი საპატიო ყარაულივით მიჰყვებოდა მათ და მყივანა ხმით საშინელ სიმღერას მღეროდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნაპირზე ჰერმიონს, კრამს, სედრიკსა და ჩოს მადამ პომფრი დასტრიალებდა თავს. ყველანი სქელ შალის საბნებში იყვნენ გახვეულები. დამბლდორი და ბეგმანი ღიმილით ელოდნენ ჰარის და რონს, გაფითრებული პერსი კი მათ შესახვედრად წყალში შევარდა. ამასობაში მადამ მაქსიმი ცდილობდა, ისტერიკაში ჩავარდნილი ფლერი შეეკავებინა, რომ ისიც წყალში არ შევარდნილიყო.

– გაბლიელ! გაბლიელ! ცოცხალია? ხომ აღაფეღი დაუშავდა?

ჰარის უნდოდა, დაეყვირა მისთვის „კარგადაარ“, მაგრამ ისეთი მისავათებული იყო, ყვირილის კი არა, ხმის ამოღების თავიც არა ჰქონდა.

პერსიმ რონს ხელი სტაცა და ნაპირზე გაათრია.

– თავი დამანებე, პერსი, კარგად ვარ! – გაიბრძოლა რონმა.

დამბლდორმა და ბეგმანმა ჰარის ხელი შეაშველეს. ფლერი მადამ მაქსიმს გაუსხლტა და თავის დას მოეხვია.

– გლინდილოუები... ტავს დამესხნენ... ო, გაბლიელ, მე მეგონა... მე მეგონა...

– მოდი შენ აქ! – უბრძანა მადამ პომფრიმ. ჰარი ჰერმიონთან და დანარჩენებთან მიათრია, შალის საბანში ისე მაგრად შეახვია, რომ ბიჭს ეგონა, გიჟის ხალათში გამომამწყვდიესო, და ისეთი ქაფქაფა წამალი გადააყლაპა, ჰარის ყურებიდან ორთქლი გამოუვიდა.

– ყოჩაღ, ჰარი! – შესძახა ჰერმიონმა, – ხომ გამოგივიდა! ხომ მიხვდი, რა უნდა გაგეკეთებინა, თანაც სულ მარტო!

– ჰო, იცი... – ჰარიმ დააპირა, დობიზე მოეყოლა ჰერმიონისთვის, მაგრამ კარკაროვის დაჟინებული მზერა იგრძნო. ის ჟიურის ერთადერთი წევრი იყო, რომელიც მაგიდიდან არ ამდგარა; ერთადერთი წევრი, რომელიც კმაყოფილებისა და შვების არანაირ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა, რომ ჰარი, რონი და ფლერის და უვნებლად დაბრუნდნენ, – ჰო, მე თვითონ მივხვდი, – კარკაროვის გასაგონად ხმას აუწია ჰარიმ.

– თმაში ცხლის ხოჩო გაქვს ჰერმოუნინი, – თქვა კრამმა.

ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ კრამი ჰერმიონის ყურადღების მიქცევას ცდილობდა. თითქოს, აგრძნობინებდა, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ეს წუთია, მე გადაგარჩინეო. მაგრამ ჰერმიონმა მოუთმენლად მოიშორა ხოჭო და განაგრძო:

– ჰარი, დროს ძალიან გადააჭარბე... დიდი ხანი დაგჭირდა ჩვენს მოსაძებნად?

– არა... მალე გიპოვეთ...

ჰარის თანდათან უფრო მეტად შერცხვა თავისი მიამიტობის გამო. აქ, ხმელეთზე, უკვე სავსებით ცხადი გახდა მისთვის, რომ დამბლდო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რი არც ერთი მძევლის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩააგდებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ჩემპიონი არ გამოჩნდა. რატომ არ დაავლო რონს ხელი და მაშინვე არ დაბრუნდა? მაშინ ხომ პირველი იქნებოდა! სედრიკსა და კრამს სხვა მძევლებზე დრო არ დაუკარგავთ! მათ სერიოზულად არ მიიღეს სირინოზების სიმღერა.

დამბლდორი წყლის პირას დახრილიყო და საქმიანი საუბარი გაემართა ყველაზე ველურ და მძვინვარე სირინოზთან, როგორც ჩანს, სირინოზების ბელადთან. დამბლდორი ისეთივე მყივანა ხმებს გამოსცემდა, როგორსაც ჰარის თანმხლები სირინოზები, აშკარა იყო, მან სირინოზების ენა იცოდა. ბოლოს იგი წელში გასწორდა, ჟიურის დანარჩენ წევრებს მიუბრუნდა და განაცხადა:

– მგონი, სჯობს, სანამ ქულებს დავწერთ, მოვითათბიროთ.

ჟიურის წევრებმა თავი ერთად მოიყარეს. მადამ პომფრიმ პერსის კლანჭებისგან დაიხსნა რონი, ისიც დანარჩენებთან მიიყვანა, საბანი მისცა და პილპილო ელექსირი დაალევინა. შემდეგ ფლერისა და მისი დის მოსაყვანად წავიდა. ფლერს სახე და მკლავები ერთიანად დაჰკაწროდა, მანტია დახეოდა, მაგრამ ამას თითქოს ვერც კი ამჩნევდა, არც მადამ პომფრის მისცა ჭრილობების დამუშავების უფლება.

– გაბღიელს მიხედეთ, – უთხრა ექთანს და ჰარის მიუბრუნდა: – შენ გადააღჩინე... მიუხედავად იმისა, ღომ შენი მზევალი აღ იკო.

– ჰო, – მიუგო ჰარიმ, თან გულში ნანობდა, რატომ არ მივატოვე სამივე გოგო ქანდაკებაზე მიბმულიო.

ფლერი დაიხარა, ჰარის ორივე ლოყაზე აკოცა. ჰარიმ იგრძნო, რომ სახე კიბორჩხალასავით წამოუწითლდა, და არ გაუკვირდებოდა, თუ ყურებიდან ისევ ორთქლს გამოუშვებდა; შემდეგ რონს მიმართა:

– შენც დაეხმაღე?

– დიახ, – იმედი მიეცა რონს, – დიახ, ცოტათი.

ფლერი მასაც ეცა და გადაკოცნა. ჰერმიონი ისე გაცოფდა რონის თავხედობით, რომ სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. სწორედ ამ დროს მათ უკან ლუდო ბეგმანის ჯადოქრობის წყალობით გაძლიერებულმა ხმამ დაიქუხა და ყველა შეახტუნა. ტრიბუნები წამში მიწყნარდა.

– ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ გადაწყვეტილება მივიღეთ. სირინოზებისა და ტრიტონების ბელადმა მურკუსმა შეგვატყობინა, რა მოხდა ტბის ფსკერზე, და ჩვენც შესაბამისად გადავწყვიტეთ, ჩემპიონები ორმოცდაათბალიანი სისტემით შევაფასოთ. მაშ, ასე: მის ფლერ დელაკურმა საუცხოოდ გამოიყენა თავბუშტუკის შელოცვა, მაგრამ მიზანთან ახლოს გრინდილოუები დაესხნენ თავს და საკუთარი მძევლის დაბრუნება ვერ შეძლო. ჩვენ მას ოცდახუთ ქულას ვუწერთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტრიბუნებზე ტაში გაისმა.

– მე ნულს ვიმსახურებ, – ნამტირალევი ხმით თქვა ფლერმა და ლამაზი თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

– მისტერ სედრიკ დიგორიმ ასევე თავბუშტუკის შელოცვას მიმართა, პირველი დაბრუნდა მძევალთან ერთად, თუმცა მან ერთი წუთი გადააცილა დადგენილ დროს.

ჰაფლეპაფის ტრიბუნაზე ერთი ამბავი ატყდა. ჰარიმ დაინახა, რომ ჩომ სედრიკს გაბრწყინებული თვალებით შეხედა.

– ამიტომ ჩვენ მას ვუწერთ ორმოცდაშვიდ ქულას.

ჰარის გული მოეწურა. სედრიკმა თუ დადგენილ დროს გადააჭარბა, მაშინ მასზე რაღა ითქმოდა.

– მისტერ ვიქტორ კრამმა გამოიყენა არასრული ტრანსფიგურაცია, რომელიც მაინც ეფექტური აღმოჩნდა და იგი მეორე დაბრუნდა თავის მძევალთან ერთად. ჩვენ მას ვუწერთ ორმოც ქულას.

კარკაროვი სიამაყით გაიბერა და ყველაზე ხმამაღლა დასცხო ტაში.

– მისტერ ჰარი პოტერმა ძალზე ეფექტურად გამოიყენა ლაყუჩაბალახი, – განაგრძო ბეგმანმა, – იგი ბოლოს დაბრუნდა და ერთსაათიან ვადასაც დიდად გადააცილა. თუმცა ტრიტონებისა და სირინოზების ბელადმა შეგვატყობინა, რომ მისტერ პოტერმა პირველმა იპოვა მძევლები. დაგვიანებით კი იმიტომ დააგვიანა, რომ უნდოდა, უვნებლად დაებრუნებინა არა მარტო თავისი, არამედ ყველა მძევალი.

რონმა და ჰერმიონმა ჰარის აღშფოთებით და, იმავდროულად, სიბრალულით შეხედეს.

– ჟიურის წევრთა უმრავლესობის აზრით, ეს ფაქტი მეტყველებს მონაწილის მაღალ ზნეობაზე და უმაღლეს შეფასებას იმსახურებს... მიუხედავად ამისა, – ამ სიტყვებზე ბეგმანმა ზიზღით გადახედა კარკაროვს, – მისტერ პოტერს – ორმოცდახუთი ქულა!

ჰარის გული შეუფართხალდა. უკვე პირველ ადგილს იყოფდა სედრიკთან! გაოგნებული რონი და ჰერმიონი ჯერ პირდაღებულები მიაჩერდნენ ჰარის, შემდეგ სიხარულით გაიცინეს და გულშემატკივრებს მხურვალე ტაში ააყოლეს.

– ესეც ასე, ჰარი! – იყვირა რონმა, – ბოლოს და ბოლოს, სულელურად კი არა, მაღალზნეობრივად მოქცეულხარ.

ფლერიც მხურვალედ უკრავდა ტაშს. მაგრამ კრამი სულაც არ ჩანდა ბედნიერი. მან კიდევ ერთხელ სცადა ჰერმიონთან საუბრის გაბმა, მაგრამ გოგონა ისეთი აღფრთოვანებული იყო ჰარის წარმატებით, რომ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მესამე და უკანაკნელი ტური შედგება ოცდაოთხ ივნისს, შებინდებისას, – განაგრძო ბეგმანმა, – ჩემპიონებს ზუსტად ერთი თვით ადრე შეატყობინებენ, რა დავალება უნდა შეასრულონ. ყველას მადლობას მოგახსენებთ ჩემპიონთა მხარდაჭერისთვის.

„მორჩა, – შვებით გაიფიქრა ჰარიმ, როცა მადამ პომფრიმ ცხვრის ფარასავით გარეკა ჩემპიონები და მძევლები ციხე-კოშკისკენ სველი ტანსაცმლის გამოსაცვლელად, – მორჩა, ეს ტურიც გადავლახე... ახლა ოცდაოთხ ივნისამდე სადარდებელი აღარაფერი მექნება... "

შემდეგში, როცა ჰოგსმიდში მოვხვდები, დობის მთელი წლის სამყოფ წინდებს ვუყიდიო, – გადაწყვიტა ჰარიმ ციხე-კოშკის ქვის კიბეებზე ასვლისას.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეშვიდე

მაწანწალას დაბრუნება

მეორე ტურის შემდეგ ყველას მაშინვე გაუჩნდა სურვილი, დაწვრილებით შეეტყო, რა მოხდა ტბის ფსკერზე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, როგორც იქნა, რონსაც ერგო ჰარის დიდების მცირე ნაწილი. ჰარის არ გამოეპარა, რომ წყალქვეშა მოვლენების რონისეული ვერსია ყოველ მოყოლაზე ოდნავ იცვლებოდა. თავდაპირველი ვერსია თითქოს სიმართლეს წააგავდა, ყოველ შემთხვევაში, ჰერმიონის მონათხრობსაც ემთხვეოდა: დამბლდორმა პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტში შეკრებილი მძევლები დაარწმუნა, რომ მათ საფრთხე არ დაემუქრებოდათ, და რომ წყლიდან ამოყვანისთანავე გაიღვიძებდნენ, და ჯადოს საშუალებით ყველას ძილი მოჰგვარა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ რონი უკვე თავისი მოტაცების ამაღელვებელ ამბავს ჰყვებოდა, რომლის მიხედვითაც, მას თავს დაესხნენ, მოიტაცეს და ისიც იძულებული გახდა, მარტოდმარტო შეჰბრძოლებოდა ორმოცდაათ კბილებამდე შეიარაღებულ ტრიტონსა და სირინოზს, თუმცა ბოლოს მაინც ისინი მოერივნენ, ძალით გაკოჭეს და ფსკერისკენ გააქანეს.

– მაგრამ სახელოში ჯადოსნური ჯოხი მქონდა დამალული და, რომ მომესურვებინა, იმ წყალქვეშა იდიოტებს ნებისმიერ დროს გავაფრთხობინებდი სულს, – არწმუნებდა პადმა პეტილს, რომელიც დიდების შარავანდედში გახვეულ რონს უკვე წყალობის თვალით უყურებდა და რამდენჯერაც დერეფანში შეხვდებოდა, იმდენჯერ ცდილობდა გამოლაპარაკებას.

– რა საინტერესოა, როგორ! ხვრინვით შეაშინებდი? – გესლიანად შეაწყვეტინა ჰერმიონმა. ბოლო დროს ჰერმიონი იოლად ღიზიანდებოდა, რადგან ყელში ამოუვიდა ყოველი მხრიდან დაცინვა და წამოძახება იმისა, რომ კრამის „გულის ვარდი“ იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი ყურებამდე გაწითლდა და ამის შემდეგ მოჯადოებული ძილის თავდაპირველ ვერსიას მიუბრუნდა.

მარტში მშრალი და ქარიანი ამინდები დაიჭირა. ფოსტა ხშირად იგვიანებდა, რადგან ბუები ქარს მიჰქონდა. ყავისფერი ბუ, რომელსაც ჰარიმ სირიუსთან ჰოგსმიდში წერილი გაატანა, პარასკევს დილით, საუზმეზე გამოცხადდა. ბუმბული ერთიანად აშლოდა და ასწეწოდა. ჰარიმ სირიუსის წერილი შეხსნა თუ არა, ბუ იმწამსვე აფრინდა, ემანდ, ისევ სადმე არ გამგზავნონო. ეს წერილიც თითქმის წინა წერილივით მოკლე იყო.

„შაბათს, შუადღის ორ საათზე, ჰოგსმიდის ბოლოს, "დერვიშ ენდ ბენგს" რომ გასცდები, ლობესთან დამელოდე. რაც შეიძლება, მეცი საჭმელი წამოიღე."

– ნუთუ ჰოგსმიდში ჩამოვიდა? – თვალებს არ დაუჯერა რონმა.

– რადგან წერს, შემხვდიო, ესე იგი, ჩამოვიდა, – უპასუხა ჰერმიონმა.

– შეუძლებელია, – აღელდა ჰარი, – დაიჭერენ და მერე...

– კარგი ერთი! აქამდე ხომ ვერ დაიჭირეს?! – გაამხნევა რონმა, – ჰოგსმიდიც მაშინდელივით დემენტორებით ხომ არ არის სავსე?

ჰარიმ წერილი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და ღრმად ჩაფიქრდა. გულის სიღრმეში ძალიანაც უხაროდა სირიუსის ნახვა. სწორედ ამის გამო, ჰარი ადრინდელივით გულის კანკალით კი არა, გახალისებული ჩაუყვა სარდაფის კიბეს შხამ-წამლების კაბინეტისკენ.

მალფოი, კრაბი და გოილი, პენსი პარკინსონის სლიზერინელი დაქალების ბანდასთან ერთად, საკლასო ოთახთან შეჯგუფულიყვნენ, რაღაცას დაჰყურებდნენ და გულიანად ხარხარებდნენ. ჰარის, რონისა და ჰერმიონის მიახლოებისთანავე გოილის ფართო ბეჭების უკნიდან დრუნჩა ძაღლის მსგავსმა პენსიმ გამოიჭყიტა.

– აი, მოვიდნენ, მოვიდნენ! – ჩაიხითხითა და სლიზერინელების მჭიდრო ჯგუფი გაიშალა. პენსის ხელში ჟურნალი „კვირის ალქაჯი" ეჭირა. ჟურნალის გარეკანზე გამოსახული იყო კბილებდაკრეჭილი თმახუჭუჭა ჯადოქარი ქალის მოძრავი სურათი, რომელსაც ჯადოსნური ჯოხი უზარმაზარი ბისკვიტისთვის დაემიზნებინა.

– იქნებ შენთვის საინტერესო რაღაც იპოვო, გრეინჯერ! – გამოსძახა პენსიმ და ჟურნალი ჰერმიონს გადაუგდო. შეცბუნებულმა ჰერმიონმა ჟურნალი დაიჭირა. სწორედ ამ დროს სარდაფის კარი გაიღო და სნეიპმა ყველა შიგნით შეიხმო.

ჰერმიონმა, ჰარიმ და რონმა, ჩვეულებისამებრ, ბოლო მერხისკენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გასწიეს. როგორც კი სნეიპი ახალი წამლის ინგრედიენტების ჩამოსაწერად დაფისკენ შებრუნდა, ჰერმიონმა მერხის ქვეშ აჩქარებით გადაათვალიერა ჟურნალი. შუა ფურცლებზე მიაგნო, რასაც ეძებდა. ჰარი და რონი მისკენ გადაიხარნენ. ჰარის ფერადი ფოტოსურათის ქვეშ პატარა სტატია იყო მოთავსებული.

„ჰარი პოტერის ფარული გულისტკივილი

ჰარი პოტერი არაჩვეულებრივი ბიჭია, თუმცა, ჩვეულებრივი ბიჭების მსგავსად, მასაც აწუხებს გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი პრობლემები, — წერდა რიტა სკიტერი. — თოთხმეტი წლის ჰარი პოტერს, რომელიც მშობლების ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ სითბოსა და სიყვარულსაა მოკლებული, ეგონა, რომ საბოლოოდ ჰპოვა ნუგეში თავისი ჰოგვორტსელი შეყვარებულის, მაგლური წარმოშობის ჰერმიონ გრეინჯერის სახით. მაგრამ რას იფიქრებდა, რომ ისედაც ოჯახური ტრაგედიით გამწარებული ცხოვრება მორიგ დარტყმას უმზადებდა.

არაფრით გამორჩეული, მაგრამ ამბიციური და სახელგანთქმულ ადამიანებზე მონადირე გოგონას, მის გრეინჯერის, მადას, როგორც ჩანს, მხოლოდ ჰარი ვეღარ აკმაყოფილებს. ჰოგვორტსში ბულგარელი სიკერისა და ქვიდიჩის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის გმირის, ვიქტორ კრამის ჩამოსვლის დღიდან მის გრეინჯერი ორივე ბიჭის გრძნობებზე უსირცხვილოდ თამაშობს. კრამმა, რომელიც არ მალავს, რომ შეყვარებულია მაცდურ მის გრეინჯერზე, უკვე დაპატიჟა იგი სტუმრად ბულგარეთში ზაფხულის არდადეგებზე.

— ასეთი გრძნობა არც ერთი სხვა გოგოს მიმართ არ მქონია, — აღიარა მან. და მაინც, ძნელი დასაჯერებელია, რომ მის გრეინჯერის გარეგნულმა მომხიბვლელობამ დაატყვევა ეს ორი საბრალო ბიჭი.

— ის ნამდვილი გონჯია, — ამბობს მეოთხეკურსელი ლამაზი, ცოცხალი გოგონა, პენსი პარკინსონი, — მაგრამ ძალიან ჭკვიანია და არ გაუჭირდებოდა სიყვარულის ელექსირის მომზადება. ჩემი აზრით, სწორედ ამაშია მისი წარმატების საიდუმლო.

სიყვარულის ელექსირის დამზადება, რასაკვირველია, ჰოგვორტსში აკრძალულია და ეჭვს გარეშეა, დამბლდორი მოისურვებს ამ შემთხვევის გამოძიებას. ჰარი პოტერის კეთილისმსურველებმა კი იმედი უნდა იქონიონ, რომ მომავალში იგი უფრო ღირსეულ კანდიდატს უბოძებს გულს.“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ გითხარი! – უჩურჩულა რონმა ჰერმიონს, სანამ ის გაოცებით დასჩერებოდა სტატიას, – ხომ გითხარი, რიტა სკიტერი არ გადაიკიდო-მეთქი! ხედავ, რად გამოგიყვანა – ნამუსგარეცხილ ქალად!

ჰერმიონს სახიდან გაოცებული გამომეტყველება გაუქრა და ჩაიფრუტუნა.

– ნამუსგარეცხილ ქალად? – გაიმეორა შეკავებული სიცილისგან ათახთახებულმა და რონს შეხედა.

– დედაჩემი ასე ეძახის მაგათ, – ჩაიბუტბუტა რონმა და ისევ ყურებამდე გაწითლდა.

– თუ სულ ეს არის, რაც რიტას შეუძლია, ჟურნალისტური ალღო ნამდვილად ღალატობს, – დაასკვნა ახითხითებულმა ჰერმიონმა და „კვირის ალქაჯი" ცარიელ სკამზე მოისროლა, – სრული უაზრობაა!

ოთახის მეორე ბოლოდან მას და ჰარის სლიზერინელები გაფაციცებით უთვალთვალებდნენ. აინტერესებდათ, რა ეფექტს მოახდენდა სტატია. ჰერმიონმა ჩაიცინა და ხელი დაუქნია მოთვალთვალეებს და სამივენი ჭკუის მოსამატებელი წამლისთვის საჭირო ინგრედიენტების ამოლაგებას შეუდგნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ გამხმარი ნეხვის ხოჭოებით სავსე ფილითა და ქვასანაყით შეიარაღებულმა ჰერმიონმა მეგობრებს ეჭვი გაუზიარა:

– იცით, ერთი რამე მაინც უცნაურად მეჩვენება: საიდან გაიგო რიტა სკიტერმა...

– რა გაიგო? – სწრაფად ჰკითხა რონმა, – რა, მართლა სიყვარულის ელექსირს ხომ არ ამზადებდი?

– სისულელეს ნუ ლაპარაკობ, – ჰერმიონმა ხოჭოების ნაყვა განაგრძო, – არა, უბრალოდ... რა იცოდა, რომ ვიქტორმა ზაფხულში თავისთან დამპატიჟა?

ჰერმიონს სახეზე ალმური მოედო და განგებ მოარიდა რონს თვალი.

– რაო? – რონს ხმაურით გაუვარდა ხელიდან ქვასანაყი.

– ტბიდან რომ ამომათრია, მაშინ დამპატიჟა, – წაიბუტბუტა ჰერმიონმა, – როდესაც ზვიგენის თავი მოიშორა და მადამ პომფრიმ ორივეს საბნები მოგვცა, ჟიურის წევრებისგან მოშორებით გამიყვანა და მითხრა, რომ თუ ზაფხულში მცალია, იქნებ...

– შენ რა უპასუხე? – ჰკითხა რონმა, რომელსაც ქვასანაყი აელო და ჯამის ნაცვლად, მერხს უბრაგუნებდა, რადგან ჰერმიონისთვის თვალი არ მოუცილებია.

– და ისიც თქვა, რომ ასეთი გრძნობა არც ერთი სხვა გოგოს მიმართ არ ჰქონია, – გააგრძელა ჰერმიონმა და ისე ავარვარდა, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის მოეჩვენა, მისი სიმხურვალე ჩემამდე აღწევსო, – მაგრამ რიტა სკიტერმა როგორ გაიგო მისი ლაპარაკი? იქ არ იყო... ან იქნებ იყო კიდეც? იქნებ მართლა აქვს უჩინმაჩინის მოსასხამი და სკოლის არე-მარეზე შემოიპარა მეორე ტურის საყურებლად?..

– შენ რა უპასუხე? – გაუმეორა რონმა და ისე დასცხო ქვასანაყი მერხს, რომ ზედაპირი ალაგ-ალაგ ჩაჩეჩქვა.

– მაშინ მისთვის არ მეცალა, შენ და ჰარის გელოდით...

– როგორი საინტერესოც უნდა იყოს თქვენი პირადი ცხოვრება, მის გრეინჯერ, გთხოვთ, ამას ჩემს გაკვეთილზე ნუ განიხილავთ, – გაისმა ყინულივით ცივი ხმა, – ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს.

ლაპარაკში გართულებს სნეიპი შეუმჩნევლად წამოსდგომოდათ თავს. კლასს კისერი მოეგრიხა და მათკენ იყურებოდა. მალფოიმ შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და სარდაფის მეორე ბოლოდან ჰარის „პოტერი ჩაფლავდება“ მიანათა.

– აჰ... მერხის ქვეშ ჟურნალებსაც კითხულობთ? – დასძინა სნეიპმა და „კვირის ალქაჯის“ ნომერი აიტაცა, – კიდევ ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს... ააა, რა თქმა უნდა, – სნეიპს რიტა სკიტერის სტატიის დანახვაზე შავი თვალები წამოენთო, – პოტერს ხომ არ უნდა გამორჩეს, რას წერენ მის შესახებ...

სარდაფი სლიზერინელების ხარხარმა შეაზანზარა, სნეიპს წვრილი ტუჩები უსიამოვნო ღიმილმა მოუგრიხა. ჰარის გულის გასახეთქად, იგი სტატიის ხმამაღლა კითხვას შეუდგა.

– „ჰარი პოტერის ფარული გულისტკივილი“... უი, უი, პოტერ, ახლა რაღა გტკივათ? „ჰარი პოტერი არაჩვეულებრივი ბიჭია...“

ჰარიმ იგრძნო, რომ ახლა თვითონ წაეკიდა სახეზე ცეცხლი. სნეიპი ყოველი წინადადების შემდეგ ჩერდებოდა, რათა სლიზერინელებისთვის სიცილით გულის მოჯერების საშუალება მიეცა. სტატია ათჯერ უფრო აუტანელი მოსასმენი იყო ჰარისთვის, რადგან მას სნეიპი კითხულობდა.

– „...ჰარი პოტერის კეთილისმსურველებმა კი იმედი უნდა იქონიონ, რომ მომავალში იგი უფრო ღირსეულ კანდიდატს უბოძებს გულს.“ რა გულისამაჩუყებელია, – გესლიანად ჩაიცინა სნეიპმა და სლიზერინელების სიცილ-ხორხოცში ჟურნალი დაახვია, – ჰოო, მგონი ჯობია, თქვენ სამნი ერთმანეთს დაგაშოროთ, თორემ წამალზე კი არა, თქვენს ჩახლართულ სასიყვარულო თავგადასავლებზე ფიქრობთ. უისლი, თქვენ აქ დარჩებით. მის გრეინჯერ, თქვენ იქით, მის პარკინსონის გვერდით. პოტერ, ჩემი მაგიდის წინ – პირველ მერხზე. გაინძერით. ცოცხლად.

გაცოფებულმა ჰარიმ თავისი ინგრედიენტები და ჩანთა ქვაბში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაუძახა და სარდაფის თავში, ცარიელი მერხისკენ წაათრია. სნეიპი უკან გაჰყვა, თავის მაგიდას მიუჯდა და თვალს ადევნებდა, როგორ დააცარიელა ბიჭმა ქვაბი. ჰარიმ მტკიცედ გადაწყვიტა, სნეიპისთვის არ შეეხედა, და ხელახლა შეუდგა ნეხვის ხოჭოების ნაყვას, თან წარმოიდგინა, რომ ყოველ მათგანს სნეიპის თავი ჰქონდა.

– პოტერ, პრესის ყურადღება, როგორც ჩანს, სულ აგივარდათ თავში, – ჩუმად უთხრა სნეიპმა, როცა მთელი კლასი ისევ დავალებას მიუბრუნდა.

ჰარიმ არ უპასუხა. იცოდა, რომ სნეიპი მის გამოწვევას ცდილობდა, სხვა დროსაც მოქცეულა ასე. ეჭვი არ იყო, საბაბს ეძებდა, რომ გაკვეთილის ბოლომდე გრიფინდორისთვის ორმოცდაათიოდე ქულა მაინც ჩამოეწერა.

– ალბათ, დარწმუნებული ხართ, რომ მთელი ჯადოქრული სამყარო აღფრთოვანებულია თქვენით, არა? – სნეიპმა ისე დაუწია ხმას, რომ ვერავის გაეგონა; ხოჭოები უკვე ფქვილად იქცა, მაგრამ ჰარი მაინც განაგრძობდა მათ ნაყვას, – მაგრამ მე არ მაინტერესებს, რამდენჯერ გამოჩნდება თქვენი სურათი გაზეთში. ჩემთვის, პოტერ, თქვენ ერთი პატარა თავგასული ბიჭი ხართ, რომელსაც ჰგონია, რომ სკოლის წესები მას არ ეხება.

ჰარიმ დაფქული ხოჭოები ქვაბში ჩაყარა და კოჭას ფესვების დაჭრას შეუდგა. სიბრაზისგან ხელები ოდნავ უკანკალებდა, მაგრამ თვალები დაეხარა და თავი ისე ეჭირა, თითქოს სნეიპის ლაპარაკი არ ესმოდა.

– ამიტომ, გაფრთხილებთ, პოტერ, – განაგრძო პროფესორმა უფრო შემპარავი და მუქარაგარეული ხმით, – თქვენი ციცქნა პოპულარობა ფეხებზე მკიდია... კიდევ თუ გაბედავთ ჩემს კაბინეტში შეპარვას...

ჰარის სულ დაავიწყდა მოჩვენებითი სიყრუე და გაბრაზებული შეეპასუხა:

– მე თქვენს კაბინეტს ახლოსაც არ გავკარებივარ!

– ნუ მატყუებთ, – დაისისინა სნეიპმა და უძირო შავი თვალებით გაბურღა ჰარი, – გუდაფშუტას გახეხილი კანი, ლაყუჩა-ბალახი – ორივე ჩემი პირადი საცავიდანაა მოპარული და ისიც ვიცი, ვინ მოიპარა.

ჰარიმ თამამად გაუსწორა სნეიპს მზერა. შეეცადა, თვალები არ დაეხამხამებინა და დამნაშავის გამომეტყველება არ ჰქონოდა. სინამდვილეში ჰარი მართალი იყო: თვითონ არც ერთი არ მოუპარავს. გუდაფშუტას გახეხილი კანი ჰერმიონმა მოიპარა მეორე კურსზე მრავალწვნიანი სასმელისთვის. სნეიპმა მაშინაც ჰარიზე მიიტანა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეჭვი, მაგრამ დანაშაული ვერაფრით დაუმტკიცა. ლაყუჩა-ბალახი კი, ცხადია, დობიმ მოიპარა.

– ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობთ, – იცრუა ჰარიმ.

– იმ ღამეს, როცა ჩემი კაბინეტი გატეხეს, თქვენ საწოლ ოთახში არ იყავით! – კბილებში გამოსცრა სნეიპმა, – ვიცი, პოტერ! შესაძლოა, მრისხანეთვალა თქვენს ფანკლუბს შეუერთდა, მაგრამ მე არ მოვითმენ ამ საქციელს! აბა, ერთი კიდევ გაბედეთ ჩემს კაბინეტში შეპარვა, და მწარედ განანებთ, პოტერ!

– გასაგებია, – გულგრილად მიუგო ჰარიმ და კოჭას ფესვებს მიუბრუნდა, – მხედველობაში ვიქონიებ, თუ ოდესმე იქ შესვლა მომესურვება.

სნეიპმა თვალები დააკვესა და შავ მანტიაში ჩაიყო ხელი. ჰარის წამით შიშმა დაუარა, ჯადოსნური ჯოხის ამოღებასა და შელოცვას ხომ არ მიპირებსო, მაგრამ პროფესორმა სრულიად გამჭვირვალე სითხით სავსე პატარა მინის ბოთლი ამოაძვრინა.

– პოტერ, იცით, ეს რა არის? – ჰკითხა სნეიპმა და თვალები ისევ ავად აენთო.

– არა, – ამჯერად სრულიად გულწრფელად მიუგო ჰარიმ.

– ვერიტაზერუმი – სიმართლის ელექსირი. ისეთი ძლიერია, რომ მისი სამი წვეთიც საკმარისია, თქვენი ყველაზე დაფარული საიდუმლოებები თქვენივე პირით დაგაფქვევინოთ მთელი კლასის წინაშე, – ბოროტი კმაყოფილებით აუხსნა სნეიპმა, – ამ ელექსირის გამოყენება შეზღუდულია სამინისტროს ძალზე მკაცრი დირექტივით, მაგრამ, ყურადღებით თუ არ იქნებით, შეიძლება, ერთხელაც აღმოაჩინოთ, რომ ვახშამზე შემთხვევით ხელი წამიცდა, – სნეიპმა ოდნავ შეანჯღრია მინის ბოთლი, – ზუსტად თქვენი გოგრის წვენის ჭიქაზე. და შემდეგ, პოტერ... შემდეგ გავარკვევთ, ჩემს კაბინეტში მართლა იყავით, თუ არა.

ჰარის არაფერი უთქვამს. ისევ დანა აიღო და კოჭას ფესვების წვრილად დაჭრას შეუდგა. ეს სიმართლის ელექსირი სულაც არ მოეწონა, თან სნეიპისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ჰარის კინაღამ გააჟრჟოლა იმის გაფიქრებაზე, რას დაფქვავდა, სნეიპს რომ მართლა... ჯერ ერთი, უამრავ ადამიანს გასცემდა: მაგალითად, ჰერმიონსა და დობის, მაგრამ კიდევ რამდენ რამეს ინახავდა საიდუმლოდ... თუნდაც იმას, რომ სირიუსთან მიწერ-მოწერა ჰქონდა, და – ჰარის გულ-მუცელი ამოუტრიალდა ამის გაფიქრებაზე, – რას გრძნობდა ჩოს მიმართ... ჰარიმ კოჭას ფესვებიც ქვაბში ჩაყარა და გაიფიქრა, მუდის მაგალითს ხომ არ მივბაძო და მეც პირადი მათარიდან სმა ხომ არ დავიწყოო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სარდაფის კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით, – მშვიდად გასძახა სნეიპმა.

კლასმა კარისკენ მიიხედა. შემოვიდა პროფესორი კარკაროვი და სნეიპის მაგიდისკენ გაემართა. სტუდენტები ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ. კარკაროვი აფორიაქებული ჩანდა, თავის თხის წვერს თითზე იხვევდა.

– უნდა დაგელაპარაკო, – სასწრაფოდ უთხრა კარკაროვმა, მაგრამ ისე უთხრა, ცდილობდა, მისი ნათქვამი არავის გაეგონა, ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებდა, ამიტომ უნიჭო მუცლით მეზღაპრეს დაემსგავსა. ჰარი კოჭას ფესვებს კი დაჰყურებდა, მაგრამ ყურები დაცქვეტილი ჰქონდა.

– გაკვეთილის შემდეგ დაგელაპარაკები, კარკაროვ, – ჩუმადვე უპასუხა სნეიპმაც, მაგრამ კარკაროვმა შეაწყვეტინა.

– სევერუს, მე მინდა, ახლავე დავილაპარაკოთ, სანამ ხელიდან დამისხლტები. შენ მე თავს მარიდებ.

– გაკვეთილის შემდეგ, – მკვახედ მოუჭრა სნეიპმა.

ჰარიმ საწყავი ჭურჭელი ასწია, ვითომ უნდა შეემოწმებინა, საკმარისი არმადილის ნაღველი ჩამოასხა თუ არა, და ორივეს ცალი თვალით გახედა. კარკაროვი შეშფოთებული ჩანდა, სნეიპი კი – გაცეცხლებული.

კარკაროვმა გაკვეთილის დასრულებამდე სნეიპის მაგიდის უკან იტრიალა. ეტყობა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სნეიპისთვის ხელიდან გასხლტომის საშუალება აღარ მიეცა. ჰარის ისე აინტერესებდა, ამისთანა რა სათქმელი ჰქონდა კარკაროვს, რომ ზარის დარეკვამდე ორი წუთით ადრე განზრახ გადააყირავა არმადილის ნაღველით სავსე ბოთლი. ამასობაში მთელი კლასი წამოიშალა და კარისკენ გაეშურა, ჰარი კი ჩაცუცქდა, ქვაბს ამოეფარა და დაღვრილი სითხის აწმენდა დაიწყო, თან ყური გაიმახვილა.

– ასეთი საჩქარო რა არის? – გაიგონა ჰარიმ სნეიპის სისინი.

– აი, ეს, – თქვა კარკაროვმა. ჰარიმ ქვაბის უკნიდან გამოიჭყიტა და დაინახა, რომ კარკაროვმა მარცხენა სახელო აიკაპიწა და მაჯაზე სნეიპს რაღაც უჩვენა.

– აბა, რას იტყვი, – კარკაროვი თითქმის არ ამოძრავებდა ტუჩებს, – ხედავ? ასე მკაფიო მას შემდეგ აღარ ყოფილა, რაც...

– დამალე! – შეუღრინა სნეიპმა და სწრაფად მოავლო თვალი საკლასო ოთახს.

– მაგრამ, შენც უნდა შეგემჩნია... – დაიწყო კარკაროვმა აკანკალებული ხმით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოგვიანებით ვისაუბროთ, კარკაროვ, – შეაწყვეტინა სნეიპმა, – პოტერ, რას აკეთებთ?

– არმადილის ნაღველს ვწმენდ, პროფესორო, – უცოდველი თვალებით შეხედა ჰარიმ, წელში გასწორდა და სველი ჩვარი აჩვენა.

აღელვებული და გაბრაზებული კარკაროვი უცებ შეტრიალდა და სარდაფიდან გარეთ გავარდა. ჰარის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, უჩვეულოდ განრისხებულ სნეიპთან დარჩენილიყო, წიგნები და ინგრედიენტები სასწრაფოდ ჩაყარა ჩანთაში და ფაცხაფუცხით გაეშურა თავისი მეგობრებისკენ, რათა ყველაფერი მოეთხრო, რაც მოისმინა.

* * *

მეორე დღეს ციხე-კოშკიდან ნასადილევს გავიდნენ. მოწმენდილ ცაზე მზე კაშკაშებდა. ასეთი თბილი დარი იმ წელს პირველად დადგა. სანამ ჰოგსმიდს მიუახლოვდებოდნენ, სამივემ მოსასხამი გაიხადა და მხარზე გადაიკიდა. ჰარის ჩანთით მოსაკითხი მიჰქონდა სირიუსისთვის – ლანჩზე სუფრიდან აწაპნეს ათიოდე ქათმის ბარკალი და პური, მათარა კი გოგრის წვენით აავსეს.

თავდაპირველად „გლედრექსის ჯადოქრული მოდის სახლში“ შევიდნენ დობისთვის საჩუქრის საყიდლად და კარგადაც იმხიარულეს ათასნაირი ჭრელაჭრულა წინდის შერჩევით. მათ შორის ნახეს მანათობელი ოქროსფერი და ვერცხლისფერი ვარსკვლავებით მორთული წინდები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთიც კი, რომელიც ხმამაღლა კიოდა, თუ დიდხანს არ გარეცხავდნენ. ორის ნახევარზე მთავარ ქუჩას გაუყვნენ, „დერვიშ ენდ ბენგსს“ გასცდნენ და სოფლის გარეუბნისკენ წავიდნენ.

ასე შორს არასოდეს წასულან. ბილიკი სოფლის გარშემო აუთვისებელი ადგილებისკენ მიიკლაკნებოდა. სახლებიც სულ უფრო იშვიათად ხვდებოდათ. მალე სოფელს გასცდნენ და იმ მთისკენ გაემართნენ, რომლის ძირშიც ჰოგსმიდი იყო გაშენებული. აი, შესახვევიც გამოჩნდა და გზის ბოლოს ღობეც დაინახეს. ღობეზე წინა თათები უზარმაზარ, ბომბორა ძაღლს შემოეწყო, პირით გაზეთები ეჭირა და მათ ელოდა. ძაღლს ძალიან ნაცნობი იერი ჰქონდა...

– გამარჯობა, სირიუს, – მიესალმა ჰარი, როცა მიუახლოვდნენ.

შავმა ძაღლმა ჰარის ზურგჩანთა მადიანად დასუნა, კუდი კმაყოფილებით გააქიცინა, მიტრიალდა, ჩირგვნარში შეძვრა და მთის კლდოვანი ძირისკენ გაძუნძულდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ღობეზე გადაძვრნენ და ძაღლს გაჰყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სირიუსმა ისინი მთის ძირამდე მიიყვანა. იქაურობა ლოდებითა და ქვა-ღორღით იყო დაფარული. თვითონ რა უჭირდა – ოთხი თათი ჰქონდა, ბავშვებს კი მალე აუვარდათ ქოშინი. სირიუსი სულ უფრო ზემოთ მიიწევდა. დაახლოებით, ნახევარ საათს მიცოცავდნენ ციცაბო, ქვიან ფერდობზე. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, ოფლში გაიწურნენ. ჰარის ზურგჩანთის ღვედები მხრებს უსერავდა.

შემდეგ სირიუსი უეცრად თვალს მიეფარა. ახლოს რომ მივიდნენ, კლდეში ვიწრო ნაპრალი შეამჩნიეს. შიგნით შეძვრნენ და გრილ, ბუნდოვნად განათებულ გამოქვაბულში ამოყვეს თავი. გამოქვაბულის ბოლოში ცალი ფეხით ვეებერთელა ლოდზე მიბმული იყო ჰიპოგრიფი ბაკბიკი: ნახევრად რუხი ცხენი და ნახევრად გიგანტური არწივი. ბაკბიკმა სტუმრების დანახვაზე ხასხასა ნარინჯისფერი თვალები დააკვესა. სამივემ მდაბლად დაუკრა თავი. წამით გოროზად ათვალიერა ისინი ბაკბიკმა, მაგრამ შემდეგ მაინც დაიჩოქა ქერცლით დაფარულ წინა ფეხებზე და ამით ჰერმიონს ნება დართო, კისერზე მოჰფერებოდა. ჰარის კი თვალი არ მოუშორებია შავი ძაღლისთვის, რომელიც, ამასობაში, მის ნათლიად გადაიქცა.

სირიუსს იგივე ჩამოძონძილი რუხი ტანსაცმელი ეცვა, რაც აზკაბანიდან გამოქცევისას. შავი თმა ბუხარში გამოჩენის შემდეგ გაზრდოდა და ისევ ჭუჭყიანი და აბურდული ჰქონდა. თანაც გვარიანად გამხდარიყო.

– ქათამი, – თქვა მან ჩახლეჩილი ხმით, როგორც კი პირიდან „დილის მისნის“ ნომერი გამოიღო და გამოქვაბულის იატაკზე დააგდო.

ჰარიმ ჩანთა გახსნა და სირიუსს ქაღალდში გახვეული ქათმის ბარკლები და პური გადასცა.

– გმადლობ, – სირიუსმა მოხარშულ ბარკალს ხელი დაავლო, მიწაზე დაჯდა და კბილებით დიდი ნაჭერი აახლიჩა, – ბოლო დროს, ძირითადად, ვირთხებით გავდივარ იოლად. ჰოგსმიდიდან ბევრ საჭმელს ვერ ვიპარავ, შეიძლება, ეჭვი აიღონ.

სირიუსმა ჰარის გაულიმა. ჰარიმ ნაძალადევი ღიმილით უპასუხა.

– სირიუს, აქ რას აკეთებ?

– ნათლიის მოვალეობას ვასრულებ, – სირიუსმა ძაღლივით დაღრღნა ქათმის ძვალი, – ჩემზე ნუ ინაღვლებ, ძალიან საყვარელი მაწანწალა ძაღლი ვარ!

სირიუსი კვლავ იღიმებოდა, მაგრამ ჰარის შეშფოთებული სახის დანახვაზე უფრო სერიოზულად დასძინა:

– მინდა, ახლოს ვიყო. შენი ბოლო წერილი... მოდი, ასე ვთქვათ: ჰაერში საეჭვო სუნი ტრიალებს. მთელი ეს დრო ძველ გაზეთებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიპარავდი. იმის მიხედვით, რასაც იქ წერენ, მივხვდი, რომ მე ერთადერთი არა ვარ, ვისაც შეშფოთება იპყრობს.

სირიუსმა თავით ანიშნა გამოქვაბულის იატაკზე დაყრილი „დილის მისნის“ გაყვითლებული ნომრებისკენ. რონმა გაზეთები აიღო და გაშალა.

მაგრამ ჰარის ნათლიისთვის თვალი არ მოუშორებია.

– რომ დაგიჭირონ? ვაითუ დაგინახა ვინმემ?!

– მხოლოდ თქვენ სამმა და დამბლდორმა იცით, რომ ანიმაგუსი ვარ, – მხრები აიჩეჩა სირიუსმა და ქათმის ბარკლის ხვრა განაგრძო.

რონმა ჰარის იდაყვი გაჰკრა და „დილის მისნის“ ორი ნომერი გადასცა. პირველში იყო სტატია, რომელსაც ერქვა „ბარტემიუს კრაუჩის საიდუმლოებით მოცული ავადმყოფობა“, მეორეში კი – „სამინისტროს თანამშრომელი ქალი ჯერ არ უპოვიათ, მაგიის მინისტრმა ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანა.“

ჰარიმ პირველ სტატიას გადაავლო თვალი. აქა-იქ ცალკეული ფრაზები ხვდებოდა თვალში: „ნოემბრის შემდეგ საზოგადოებაში აღარ გამოჩენილა... ვფიქრობთ, მისი სახლი ცარიელია... მაგიური სნეულებებისა და ტრავმების წმინდა მუნგოს სახელობის საავადმყოფო კომენტარისგან თავს იკავებს... სამინისტრო არ ადასტურებს ჭორებს მძიმე ავადმყოფობის შესახებ“...

– ისე გამოჰყავთ, თითქოს კვდება, – თქვა ჩაფიქრებულმა ჰარიმ, – მაგრამ ასე ავად არ იქნება, თუ იმ ღამეს სკოლაში მოსვლა მოახერხა...

– ჩემი ძმა კრაუჩის პირადი თანაშემწეა, – აუწყა რონმა სირიუსს, – ამბობს, კრაუჩი ზედმეტი მუშაობისგან არის გადაღლილიო.

– არადა, მართლა ავადმყოფს ჰგავდა, ბოლოს ახლოს რომ ვნახე, – ჩაურთო გაზეთში თავჩარგულმა ჰარიმ, – იმ ღამეს, როცა ჩემი სახელი თასმა ამოაგდო...

– ხომ გაუხდა სანანებლად ვინკის დათხოვნა! – ცივად თქვა ჰერმიონმა. ის ისევ ბაკბიკს ეფერებოდა, ის კი სირიუსის დანატოვარ ქათმის ძვლებს ანადგურებდა, – სანაძლეოს დავდებ, თავის საქციელს ნანობს. ახლა, როცა მომვლელი აღარა ჰყავს, ხვდება, რამდენად წააგო ვინკის გაგდებით.

– ჰერმიონმა ამ ბოლო დროს უშნოდ აიკვიატა შინაური ელფები, – წასჩურჩულა რონმა სირიუსს და ჰერმიონს კუშტად შეხედა.

მაგრამ სირიუსი დაინტერესდა:

– კრაუჩმა შინაური ელფი დაითხოვა?

– ჰო, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე, – უპასუხა ჰარიმ და უამბო, როგორ გაჩნდა შავი ნიშანი; როგორ დაიჭირეს ვინკი დანა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შაულის ადგილზე ჰარის ჯადოსნური ჯოხით ხელში და როგორ განრისხდა ბატონი კრაუჩი.

როგორც კი ჰარიმ მოყოლა დაასრულა, სირიუსი ადგა და გამოქვაბულში ბოლთის ცემას მოჰყვა.

ცოტა ხნის შემდეგ ქათმის მორიგი ბარკლის ქნევით დაიწყო მსჯელობა:

– მოიცა, კარგად გავიაზრო: თავდაპირველად ელფი ლოჟაში ნახეთ. კრაუჩს ადგილს უკავებდა, ხომ ასეა?

– ასეა, – ერთხმად უპასუხეს ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა.

– მაგრამ კრაუჩი მატჩის საყურებლად არ ამოსულა, ხომ ასეა?

– არა, – მიუგო ჰარიმ, – მგონი, თქვა, ბევრი საქმე მქონდაო.

სირიუსი რამდენიმე წუთს მდუმარედ მიმოდიოდა გამოქვაბულში.

– ჰარი, ლოჟიდან რომ ჩამოხვედი, ჯიბეები ხომ არ შეგიმოწმებია? ჯოხი გქონდა?

– ისა... – ჰარიმ მეხსიერება დაძაბა, – არა, – დაასკვნა ბოლოს, – ჯადოსნური ჯოხი არ დამჭირვებია, სანამ ტყეში არ შევედით. მერე ხელი ჯიბეში ჩავიყავი და იქ მხოლოდ ომნიოკლი დამხვდა, – ჰარი გაოცებული მიაჩერდა სირიუსს, – შენი აზრით, შავი ნიშნის გამშვებმა ჯადოსნური ჯოხი ლოჟაშივე ამომაცალა?

– შეიძლება, – თავი დაუქნია სირიუსმა.

– ვინკის ჯადოსნური ჯოხი არ მოუპარავს! – შესძახა ჰერმიონმა.

– ლოჟაში მხოლოდ ელფი ხომ არ იყო, – წარბშეკრული სირიუსი ისევ ბოლთას სცემდა, – თქვენ უკან კიდევ ვინ იჯდა?

– ვინ აღარ იჯდა, – დაიწყო ჰარიმ, – ბულგარელი მინისტრი... კორნელიუს ფაჯი... მალფოები...

– მალფოები! – მოულოდნელად ისე ხმამაღლა შესძახა რონმა, რომ გამოქვაბულში ექო დაირხა და ბაკბიკმა მოუსვენრად გააქნია თავი. – სანაძლეოს ჩამოვალ, ეს ლუციუს მალფოის გაკეთებული იქნება!

– კიდევ ვინ იჯდა? – იკითხა სირიუსმა.

– არავინ, – მიუგო ჰარიმ.

– როგორ არა, იქ ლუდო ბეგმანიც იჯდა, – შეახსენა ჰერმიონმა.

– ა, ჰო!

– ბეგმანზე არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ადრე „ვიმბურნის კრაზანების“ ბიტერი იყო, – სირიუსი ისევ ბოლთას სცემდა, – რა კაცია?

– არა უშავს, – თქვა ჰარიმ, – სამი ჯადოქრის ტურნირში წამდაუწუმ დახმარებას მთავაზობს.

– მართლა? – სირიუსი უფრო მოიქუფრა, – ვითომ, რატომ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორც ამბობს, ჩემდამი კეთილადაა განწყობილი.

– ჰმ, – შეფიქრიანდა სირიუსი.

– ბეგმანი ტყეში ზუსტად შავი ნიშნის გამოჩენის წინ ვნახეთ, – უთხრა ჰერმიონმა სირიუსს, – გახსოვთ? – მიუბრუნდა ჰარისა და რონს.

– კი მაგრამ, ტყეში ხომ არ დარჩენილა? – შენიშნა რონმა, – როგორც კი აჯანყების ამბავი გავაგებინეთ, მაშინვე ბანაკისკენ გაეშურა.

– შენ რა იცი? – მოუჭრა ჰერმიონმა, – რა იცი, საით გამოიყენა დისაპარაცია?

– კარგი ერთი, – ვერ იჯერებდა რონი, – იმის თქმა გინდა, რომ „შავი ნიშანი" ლუდო ბეგმანმა გაუშვა?

– ეგ უფრო გაუშვებდა, ვიდრე ვინკი, – გაჯიუტდა ჰერმიონი.

– ხომ გითხარი, – მრავალმნიშვნელოვნად გადახედა რონმა სირიუსს, – ხომ გითხარი, შინაური ელფები აიკვიატა-მეთქი...

მაგრამ სირიუსმა ხელის აწევით გააჩუმა რონი.

– როდესაც შავი ნიშანი გამოჩნდა და ელფი ჰარის ჯადოსნური ჯოხით ხელში იპოვეს, კრაუჩი როგორ მოიქცა?

– წავიდა და ბუჩქების ჩხრეკა დაიწყო, – მიუგო ჰარიმ, – მაგრამ იქ სხვა ვერავინ იპოვა.

– რა თქმა უნდა, – ჩაიბუტბუტა სირიუსმა, თან წინ და უკან დადიოდა, – რა თქმა უნდა, თავისი შინაური ელფის გარდა, ყველას გადაამბრალებდა... და მერე ელფი გააგდო?

– კი, – გაცხარებით უპასუხა ჰერმიონმა, – გააგდო, მხოლოდ იმიტომ, რომ კარავში არ დარჩა და იმ შერეკილებს თავი არ გადაათელვინა...

– ჰერმიონ, მოასვენებ თუ არა როდესმე იმ ელფებს! – ვეღარ მოითმინა რონმა.

სირიუსმა თავი გააქნია:

– რონ, ჰერმიონმა ბევრად უკეთ შეაფასა კრაუჩი, ვიდრე შენ. თუ გინდა, გაიგო, როგორია ადამიანი, დააკვირდი, როგორ ექცევა თავის ქვეშევრდომებს და არა – თანასწორებს.

ღრმად ჩაფიქრებულმა სირიუსმა გაუპარსავ სახეზე ხელი ჩამოისვა.

– ბარტი კრაუჩის გაუჩინარება ძალიან საეჭვოდ მეჩვენება... ჯერ შინაურ ელფს ავალებს, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე ადგილი დაუკავოს, შემდეგ არც კი ამოდის მატჩის საყურებლად. მერე თავდაუზოგავად შრომობს სამი ჯადოქრის ტურნირის აღსადგენად და იქაც აღარ მოდის... ეს კრაუჩის საქციელს საერთოდ არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰგავს. ჰიპოგრიფს შევჭამ, თუ ოდესმე სამსახური ავადმყოფობის გამო გაეცდინოს!

– შენ რა, კრაუჩს იცნობ? – გაუკვირდა ჰარის.

სირიუსი მოიღუშა. უცებ სახეზე ისეთივე საშინელი გამომეტყველება აღებეჭდა, როგორც იმ ღამეს, როდესაც ჰარი მას პირველად შეხვდა და ეგონა, რომ სირიუსი მკვლელი იყო.

– ო, კრაუჩს როგორ არ ვიცნობ, – ჩუმად თქვა სირიუსმა, – სწორედ მან გასცა აზკაბანში ჩემი ჩასმის ბრძანება ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე.

– რაა? – ერთხმად შესძახეს რონმა და ჰერმიონმა.

– ხუმრობ?! – სახტად დარჩა ჰარი.

– არა, რა მეხუმრება, – სირიუმა მადიანად ჩაკბიჩა ქათმის ხორცი, – კრაუჩი ადრე ჯადოქართა იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო. რა, არ იცოდით?

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

– მაგიის მინისტრობას უწინასწარმეტყველებდნენ. დიდი ჯადოქარია ბარტი კრაუჩი, ბევრი ვერ შეედრება ვერც ჯადოსნურ ძალასა და ვერც ძალაუფლების წყურვილში. ო, არა, ვოლდემორის მომხრე არასდროს ყოფილა, – დასძინა სირიუსმა ჰარის გამომეტყველების პასუხად, – არა, ბარტი კრაუჩი ყოველთვის ღიად უპირისპირდებოდა ბნელ ძალებს. მაგრამ მაშინ ბევრნი, ვინც ბნელი ძალების წინააღმდეგნი იყვნენ... არა, თქვენ ვერ გაიგებთ... ჯერ ძალიან პატარები ხართ...

– მამამაც იგივე გვითხრა მსოფლიო ჩემპიონატზე, – გაღიზიანდა რონი, – შენ მოგვიყევი და, იქნებ გავიგოთ!

სირიუსს გამხდარ სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

– კარგი, მოგიყვებით...

კიდევ ერთხელ გაიარ-გამოიარა გამოქვაბულში და დაიწყო:

– წარმოიდგინეთ, რომ ვოლდემორი ძველებურად ძლევამოსილია. არ იცით, ვინაა მისი მომხრე; არ იცით, ვინ მოქმედებს მისი ბრძანებით, და ვინ – არა. მხოლოდ ის იცით, რომ თავის მსახურებზე განუსაზღვრელი ზეგავლენა აქვს. ხალხს ხოცავენ, აწამებენ და ვერაფრით თავი ვერ დაუღწევიათ ამ ზეგავლენისგან. თქვენ შიშობთ თქვენი თავის, ოჯახის, მეგობრების გამო. ყოველ კვირას ახალი მკვლელობის, გაუჩინარების, წამების ამბავი მოგდით... მაგიის სამინისტრო დაბნეულია. არ იციან, როგორ მოიქცნენ. ცდილობენ, მაგლებისთვის ეს შეუმჩნეველი დარჩეს. მაგრამ, ამასობაში, მაგლებიც იღუპებიან. ყველგან შიში... პანიკა... არეულობა... აი, ასეთი დრო იყო.

ასეთ მძიმე დროს ხდება ნათელი, ვინ რის გამკეთებელია, ვინ კარგია და ვინ ცუდი. ვინ იცის, შეიძლება, კრაუჩის მეთოდი თავდაპირ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ველად მართლაც კარგი იყო... იგი მალე დაწინაურდა სამინისტროში და ვოლდემორის მომხრეთა წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების მიღება დაიწყო. მაგალითად, აურორებს მიენიჭათ მოკვლის უფლება და ისინიც ბევრს ხოცავდნენ და ცოტას იჭერდნენ. მე ერთადერთი არ ვიყავი, ვინც გასამართლების გარეშე პირდაპირ დემენტორებს გადასცეს. კრაუჩი ძალადობას ძალადობით ებრძოდა. მან ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ სამი მიუტევებელი წყევლის გამოყენების ნებართვა გასცა. შეიძლება ითქვას, სისასტიკით ბნელი ძალების წარმომადგენლებს აღარაფრით ჩამოუვარდებოდა. მას თავისი მხარდამჭერები ჰყავდა. სხვათა შორის, საკმაოდ ბევრს მიაჩნდა, რომ კრაუჩი სწორად მოქმედებდა და ჯადოქრების უმრავლესობა ხმამაღლა მოითხოვდა მის გამინისტრებას. როდესაც ვოლდემორი გაუჩინარდა, კრაუჩის უმაღლეს თანამდებობაზე დანიშვნას წინ აღარაფერი ედგა. მაგრამ მოხდა ერთი მეტად გაუთვალისწინებელი და სამწუხარო ფაქტი, – სირიუსმა ნაღვლიანად გაიღიმა, – კრაუჩის ღვიძლი შვილი დაიჭირეს „სიკვდილის მხვრელების“ ჯგუფთან ერთად. მათ, რაღაც მანქანებით, აზკაბანისგან თავი დაიძვრინეს. როგორც ჩანდა, ისინი ვოლდემორის პოვნასა და აღზევებას აპირებდნენ.

– კრაუჩის შვილი დაიჭირეს? – ჰერმიონი ყურებს არ უჯერებდა.

– აბაა! – დაუდასტურა სირიუსმა, ქათმის ძვალი ბაკბიკს გადაუგდო, ძირს დაჯდა, პური აიღო და შუაზე გატეხა, – წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდა ბებერი ბარტი! ასეთ რამეს ნამდვილად არ ელოდა! ცოტა მეტი დრო უნდა გაეტარებინა შინ, ოჯახურ გარემოში... ათასში ერთხელ მაინც ადრე უნდა წასულიყო სამსახურიდან შინ, რომ ასე თუ ისე, სცოდნოდა, რა შვილი ეზრდებოდა...

სირიუსი პურს დიდ-დიდ ლუკმებად კბეჩდა და თითქმის დაუღეჭავად ყლაპავდა.

– მისი შვილიც „სიკვდილის მხვრელი“ იყო? – ჰკითხა ჰარიმ.

– აზრზე არა ვარ, მე უკვე აზკაბანში ვიყავი, როცა ჩასვეს. ეს ყველაფერი კი ციხიდან გამოსვლის შემდეგ შევიტყვე. ბიჭი იმ საეჭვო ხალხთან ერთად დაიჭირეს, რომლებიც, თავს დავდებ, რომ „სიკვდილის მხვრელები“ იყვნენ, მაგრამ, შეიძლება, ისიც უბრალოდ, კრაუჩის შინაური ელფისა არ იყოს, ცუდ დროს ცუდ ადგილას აღმოჩნდა... – მიუგო პურით პირგამოტენილმა სირიუსმა.

– კრაუჩმა არ სცადა თავისი შვილის ციხიდან დახსნა? – ჩურჩულით იკითხა ჰერმიონმა.

სირიუსმა გაიცინა, სიცილი ძაღლის ყეფას მიუგავდა.

– შვილის დახსნა?! მე კი მეგონა, რომ კარგად ამოიცანი, ვინც ბრძანდება კრაუჩი, ჰერმიონ. მას შეუძლია, ყველაფერი გაწიროს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაც მის რეპუტაციას ჩრდილს აყენებს. მთელი ცხოვრება მაგიის მინისტრის პოსტისთვის ბრძოლას შეალია. ხომ ნახეთ, რა იოლად დაითხოვა უერთგულესი შინაური ელფი მხოლოდ იმის გამო, რომ ის რაღაცით შავ ნიშანს დაუკავშირდა. ამის შემდეგ ნუთუ ნათელი არ არის, რას წარმოადგენს კრაუჩი? მამობრივი სიყვარული მხოლოდ იქამდე გასწვდა, რომ შვილისთვის სასამართლო მოეწყო, და იმის მიხედვით, რაც მე მოვისმინე, აშკარაა, რომ ეს სასამართლოც მხოლოდ იმისთვის მოაწყო, რომ ყველასათვის დაემტკიცებინა, როგორ სძულდა თავისი ვაჟი... შემდეგ კი პირდაპირ აზკაბანში უკრა თავი...

– საკუთარი შვილი დემენტორებს გადასცა? – შეძრწუნდა ჰარი.

– დიახ, გადასცა, – სირიუსს ეს ნიშნის მოგებით არ უთქვამს, – ჩემი თვალით ვნახე, როგორ შემოიყვანეს დემენტორებმა, საკნის გისოსებიდან ვუყურებდი. ცხრამეტი წლისა იქნებოდა, მეტისა არა. მეზობელ საკანში მოათავსეს. ღამე რომ ჩამოწვა, აყვირდა, დედას ეძახდა. მაგრამ რამდენიმე დღეში მიყუჩდა, ბოლოს ყველანი ასე მიყუჩდებიან ხოლმე... მხოლოდ ძილშიღა ყვირიან, – სირიუსი რამდენიმე წუთს გაშტერებული იყურებოდა ერთ წერტილში. თითქოს, იმწუთას ზურგს უკან ურდული გადაურაზესო.

– ესე იგი, ისევ აზკაბანშია? – დაინტერესდა ჰარი.

– არა, – უგუნებოდ უპასუხა სირიუსმა, – იქ აღარ არის. ციხეში ჩასმის დღიდან დაახლოებით ერთ წელიწადში გარდაიცვალა.

– გარდაიცვალა?

– იქ ბევრი იხოცება, – ნაღვლიანად თქვა სირიუსმა, – ციხეში უმრავლესობა ჭკუიდან იშლება. ზოგი ჭამაზე უარს ამბობს, სიცოცხლის სურვილს კარგავს. ყოველთვის მიხვდებოდი, სიკვდილი როდის ახლოვდებოდა, რადგან დემენტორები ამას გრძნობდნენ და გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე. ის ბიჭი კი მოსვლის დღიდანვე ავადმყოფი ჩანდა. იმის გამო, რომ კრაუჩი სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი იყო, მასა და მის ცოლს სიკვდილის სარეცელზე მყოფი შვილის მონახულების ნება დართეს. ბოლოს მაშინ ვნახე ბარტი კრაუჩი. ცოლი თითქმის ხელში აყვანილი ჩაატარა ჩემს საკანთან. ქალმა იმ დღის მერე დიდხანს ვეღარ იცოცხლა, რასაკვირველია. მწუხარებამ მოუღო ბოლო, თავისი პირმშოსავით ჩამოჭკნა. კრაუჩი კი არც მოსულა შვილის ცხედრის წასაღებად. ბიჭი დემენტორებმა დამარხეს ციხის ეზოში, ჩემი თვალით ვნახე.

სირიუსმა პირთან მიტანილი პური გვერდზე მოისროლა, გოგრის წვენით სავსე მათარას დასწვდა და მოიყუდა.

– ასე რომ, ბებერ კრაუჩს ყველაფერი სწორედ მაშინ გამოეცალა ხელიდან, როცა ეგონა, საწადელს ვეწიეო, – განაგრძო სირიუსმა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელის ზურგით პირი შეიმშრალა, – სულ ცოტა ხნის წინ თავი გმირად მიაჩნდა, ლამის მაგიის მინისტრი გახდა... და უცებ ხელთ მკვდარი შვილი, მკვდარი ცოლი და ოჯახის შერცხვენილი სახელი შერჩა, და როგორც ციხიდან გაქცევის შემდეგ შევიტყვე, საზოგადოებამაც ზურგი აქცია. ბიჭისადმი კი ხალხი სიბრალულით განიმსჭვალა, ბევრი კითხულობდა, როგორ მოხდა, რომ ასეთი ღირსეული ოჯახიშვილი, ასეთი სანდომიანი ყმაწვილი გზას ასცდაო. საბოლოოდ დაასკვნეს, ალბათ, მამა სათანადო ყურადღებას არ იჩენდაო. ასე რომ, უმაღლესი თანამდებობა კორნელიუს ფაჯს ერგო, კრაუჩი კი საერთაშორისო ჯადოქრული ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარეობას დასჯერდა.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ჰარის გაახსენდა, როგორ გადმოეკარკლა კრაუჩს თვალები, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე ტყეში თავის ურჩ შინაურ ელფს რომ დახედა. აი, თურმე რატომ გააცოფა ასე შავი ნიშნის ქვეშ ვინკის პოვნამ. ამ ამბავმა, ალბათ, თავისი ვაჟი, ძველი სკანდალი და სამინისტროში სახელის გატეხა მოაგონა.

– მუდი ამბობს, კრაუჩს ბოროტი ჯადოქრების შეპყრობის მანია სჭირსო, – აცნობა ჰარიმ სირიუსს.

– ჰო, მეც მოვკარი ყური, – თავი დაუქნია სირიუსმა, – მე თუ მკითხავ, ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ძველ პოპულარობას დაიბრუნებს, ერთი „სიკვდილის მხვრელი“ მაინც თუ დაიჭირა.

– ამიტომაც შეიპარა სნეიპის კაბინეტის გასაჩხრეკად, – მოზეიმე სახით დაასრულა რონმა და ჰერმიონს გადახედა.

– ჰო, და ამ ამბისა ვერაფერი გამიგია, – თქვა სირიუსმა.

– რატომ? – გაფაციცებით შეედავა რონი.

სირიუსმა თავი გააქნია.

– კრაუჩს თუ სნეიპზე ეჭვი აქვს, ტურნირს რატომ არ ესწრება, როგორც ჟიურის წევრი? ეს ხომ იდეალური საბაბი იქნებოდა ჰოგვორტსში ხშირი სტუმრობისა და სნეიპზე თვალთვალისთვის.

– ესე იგი, შენი აზრით, სნეიპს, შეიძლება, ცუდი რამე ჰქონდეს განზრახული? – ჰკითხა ჰარიმ, მაგრამ ამ დროს ჰერმიონი ჩაერია:

– იცით რა, მე ამას ვერ დავიჯერებ! დამბლდორი სნეიპს ენდობა...

– კარგი ერთი, ჰერმიონ, – შეაწყვეტინა რონმა, – ვიცი, რომ დამბლდორი ჭკვიანია და რამე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძალიან მოხერხებული ბოროტი ჯადოქარი თვალს ვერ აუხვევს...

– აბა, მაშინ, რატომ ცდილობდა სნეიპი ჰარის გადარჩენას?

– რა ვიცი, ალბათ, ეშინოდა, რომ დამბლდორი სკოლიდან გააგდებდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სირიუს, შენ რას ფიქრობ? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ. რონმა და ჰერმიონმა კინკლაობა შეწყვიტეს და სმენად იქცნენ.

– ჩემი აზრით, ნაწილობრივ ორივე მართალია, – უპასუხა სირიუსმა და ჩაფიქრებულმა შეხედა რონსა და ჰერმიონს, – მას შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ სნეიპი სკოლაში ასწავლის, სულ მიკვირს, რატომ მისცა სამუშაო დამბლდორმა. სნეიპი ყოველთვის გატაცებული იყო შავი მაგიით, სკოლაში ამით იყო ცნობილი. გამხდარი, ჭუჭყიანი, გაქონილთმიანი ბავშვი იყო, – ჰარიმ და რონმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს, – სნეიპმა სკოლაში მოსვლის დღეს უფრო მეტი შელოცვა იცოდა, ვიდრე მეშვიდეკურსელების ნახევარმა. სლიზერინელების ბანდის წევრი იყო. მოგვიანებით თითქმის ყველა მათგანი „სიკვდილის მხვრელი“ გახდა, – სირიუსი თითებზე სახელების ჩამოთვლას შეუდგა: – როზიერი და ვილკისი ვოლდემორის დამხობამდე ერთი წლით ადრე აურორებმა დახოცეს; ცოლ-ქმარი ლესტრეინჯები აზკაბანში არიან; ეივერიმ, როგორც გავიგე, თავი იმით დაიძვრინა, რომ განაცხადა, იმპერიუსის წყევლის გავლენით ვმოქმედებდიო. ის ისევ თავისუფალია. მაგრამ რამდენადაც ვიცი, სნეიპისთვის ერთხელაც არ წაუყენებიათ „სიკვდილის მხვრელობის“ ბრალდება. თუმცა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. „სიკვდილის მხვრელთა“ უმეტესობა ხომ არც არასდროს დაუჭერიათ. და სნეიპიც საკმაოდ ჭკვიანი და მოხერხებულია, რომ თავი ხათაბალაში არ ჩაიგდოს.

– სნეიპი კარკაროვს კარგად იცნობს, მაგრამ ამას მალავს, – აღნიშნა რონმა.

– ჰო, ერთი გენახა სნეიპის სახე, გუშინ შხამ-წამლების გაკვეთილზე კარკაროვი რომ გამოჩნდა! – სწრაფად დასძინა ჰარიმ, – კარკაროვს სნეიპთან ლაპარაკი უნდოდა, უსაყვედურა, თავს მარიდებო. აღელვებისგან ძლივს იკავებდა თავს. სნეიპს რაღაცა უჩვენა მაჯაზე, ოღონდ ვერ დავინახე – რა!

– სნეიპს რაღაცა უჩვენა მაჯაზე? – გულწრფელად განცვიფრდა სირიუსი, საგონებელში ჩავარდნილმა თითები ჭუჭყიან თმაზე გადაიტარა და მხრები აიჩეჩა, – ვერ ვხვდები, ეს რას უნდა ნიშნავდეს... მაგრამ თუ კარკაროვი მართლა შეშფოთებულია და პასუხისთვის სნეიპს აკითხავს...

სირიუსი გამოქვაბულის კედელზე ერთ წერტილს მიაშტერდა, შემდეგ უნუგეშოდ გადააქნია თავი.

– ისიც რაღაცაზე მეტყველებს, რომ დამბლდორი სნეიპს ენდობა. ვიცი, რომ დამბლდორი მათაც ენდობა, ვისაც სხვები არ ენდობიან, მაგრამ ვოლდემორის მსახურს სამუშაოზე არაფრით არ აიყვანდა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, მაშინ მუდი და კრაუჩი ასე ძალიან რატომ ცდილობენ სნეიპის კაბინეტში შელწევას?– არ ცხრებოდა რონი.

– რა ვიცი, – ყოყმანით თქვა სირიუსმა, – მრისხანეთვალასგან არც მიკვირს ჰოგვორტსში მოსვლისთანავე ყველა მასწავლებლის კაბინეტის გაჩხრეკა რომ მოინდომა. მუდი ძალიან სერიოზულად ეკიდება თავის სამუშაოს. დამბლდორისგან განსხვავებით, არავის ენდობა. მას ისეთი რამეები უნახავს ცხოვრებაში, ეს არცაა გასაკვირი. თუმცა, მუდის სასარგებლოდ ერთის თქმა შემიძლია: მხოლოდ მაშინ კლავდა, თუ სხვა გზა არა ჰქონდა. თუ შესაძლებელი იყო, ხალხს ცოცხლად იჭერდა. მკაცრი იყო, მაგრამ „სიკვდილის მხვრელების“ დონემდე მაინც არ დასულა. აი, კრაუჩი კი სულ სხვა საქმეა. ვითომ, მართლა ავად არის? თუ ავადაა, მაშინ რატომ შეიპარა სნეიპის კაბინეტში? და თუ არ არის ავად... რა ჩაიფიქრა? ისეთი რა გადაუდებელი საქმე ჰქონდა, რომ ლოჟაში არ ავიდა? რას აკეთებდა მაშინ, როცა ტურნირს ჟიურის წევრის სტატუსით უნდა დასწრებოდა?

სირიუსი დადუმდა და ისევ გამოქვაბულის კედელს მიაშტერდა.

ბაკბიკი მიწაზე ძვლებს ეძებდა. სირიუსი რონს მიუბრუნდა.

– შენ თქვი, რომ შენი ძმა კრაუჩის პირადი თანაშემწეა, არა? შეგიძლია, ჰკითხო, ამ ბოლო დროს ხომ არ უნახავს?

– შევეცდები, – შეყოყმანდა რონი, – მაგრამ, ჯობია, არ ვაგრძნობინო, რომ კრაუჩზე რაიმე ეჭვი მაქვს. პერსი ჭკუას კარგავს თავის უფროსზე.

– ბარემ იქნებ ისიც გაარკვიო, ბერტა ჯორკინსზე სამინისტროში რამე ახალი ხომ არ გაუგიათ, – სირიუსმა „დილის მისნის“ ერთ-ერთ ნომერზე ანიშნა ხელით.

– ბეგმანმა მითხრა, არაფერი გაგვიგიაო, – თქვა ჰარიმ.

– ჰო, მაგას სტატიაშიც ამბობს, – თავით ანიშნა გაზეთზე სირიუსმა, – რალაცას ჩმახავს ბერტა ჯორკინსის ცუდი მეხსიერების შესახებ. რა ვიცი, შეიძლება, ბერტა შეიცვალა მას შემდეგ, რაც აღარ მინახავს, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, სულაც არ იყო გულმავიწყი. პირიქით: ჭკუა მაინცდამაინც არ უჭრიდა, მაგრამ მეხსიერება არასდროს ღალატობდა, განსაკუთრებით – საჭორაოდ. ამის გამო შარში ხშირად ეხვეოდა. არასოდეს იცოდა, როდის უნდა დაეჭირა ენაზე კბილი. როგორც ჩანს, მაგიის სამინისტროსთვისაც ზედმეტი ტვირთი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ არ შეიწუხა ბეგმანმა ამდენ ხანს მისი ძებნით თავი.

სირიუსმა ოხვრას თითქოს გული ამოაყოლა და ამოღამებული თვალები მოიფშვნიტა.

– რომელი საათია?

ჰარიმ მაჯის საათზე დაიხედა და გაახსენდა, რომ ტბაში ცურვის შემდეგ აღარ მუშაობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოთხის ნახევარია, – თქვა ჰერმიონმა.

– დროა, სკოლაში დაბრუნდეთ, – სირიუსი წამოდგა, – ახლა, მომისმინეთ, – თქვა და შუბლშეკრულმა შეხედა ჰარის: – გიკრძალავთ სკოლიდან ჩემს მოსანახულებლად გამოპარვას, გასაგებია? წერილები მომწერეთ და ეს საკმარისი იქნება! მომწერეთ, თუ რამე უჩვეულო შეამჩნიეთ, მაგრამ უნებართვოდ ჰოგვორტსიდან ფეხი არ მოიცვალოთ, რომ ვიღაცას იდეალური შესაძლებლობა არ მისცეთ თქვენზე თავდასასხმელად.

– ჯერჯერობით არავის უცდია ჩემზე თავდასხმა დრაკონისა და ორიოდე გრინდილოუს გარდა, – იხუმრა ჰარიმ.

სირიუსმა შეუბღვირა.

– არ მაინტერესებს... თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქავ, როცა ეს ტურნირი დამთავრდება. ეს კი ოცდაოთხ ივნისამდე არ მოხდება. და კიდევ, ერთმანეთში ჩემზე თუ ილაპარაკებთ, „ბომბორათი“ მომიხსენიეთ, კარგი? – ჰარის ცარიელი ხელსახოცი და მათარა გადასცა და ბაკბიკთან გამოსამშვიდობებლად მივიდა, – სოფლამდე გაგაცილებთ. იქნებ, ახალი გაზეთიც ვიშოვო.

გამოქვაბულიდან გასვლამდე სირიუსი უზარმაზარ ძაღლად გადაიქცა და ბავშვებს მთის ფერდობზე ჩაუძღვა. ქვაღორღიანი მონაკვეთი გაიარეს და ღობეს მიადგნენ. აქ სირიუსმა სამივეს ნება დართო, მისთვის თავზე ხელი გადაესვათ, მერე შეტრიალდა და სოფლის შემოგარენისკენ მოუსვა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი ციხე-კოშკისკენ წავიდნენ. გზაში რონმა იკითხა:

– ნეტავ პერსიმ თუ იცის კრაუჩის ამბავი? მაგრამ, შეიძლება, მისთვის სულ ერთია. ან შეიძლება, ეს რომ გაიგოს, უფრო მეტად გააღმერთოს კრაუჩი. ჰო, პერსის წესები უყვარს! თუ გაიგებს, უსათუოდ იტყვის, რომ კრაუჩი დიდებული ვინმეა, რაკი საკუთარი შვილის გამოც კი არ დაარღვია კანონი.

– პერსი არასდროს არ დაანებებს თავისი ოჯახის წევრს დემენტორებს, – გადაჭრით უპასუხა ჰერმიონმა.

– შენ რა იცი... – ჩაიცინა რონმა, – თუ ეგონება, რომ ჩვენ კარიერის გაკეთებაში ხელს ვუშლით... პერსი მაგარი ამბიციურია, ხომ იცით... მცირე მიღწევებით არ დაკმაყოფილდება...

ქვის საფეხურები აიარეს და ჰოლში შევიდნენ. დიდი დარბაზიდან სადილის მადისაღმძვრელი სუნი იფრქვეოდა.

– საწყალი ბომბორა, – რონმა ღრმად შეისუნთქა სურნელი, – ეტყობა, მაგრად უყვარხარ, ჰარი... წარმოგიდგენია, მარტო ვირთხების ჭამა რა უნდა იყოს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მცდამერვე

ბატონ კრაუჩის გაგიჟება

კვირას, ნასაუზმევს, ჰარი, რონი და ჰერმიონი საბუეში ავიდნენ, რომ პერსისთვის წერილი გაეგზავნათ. წერილში რონი, სირიუსის თხოვნის თანახმად, ძმას ეკითხებოდა, ბოლოს როდის ნახა ბატონი კრაუჩი. ამჯერად წერილი ჰედვიგს გაატანეს, რადგან დიდხანს იყო უსაქმოდ და მოიწყინა. ცოტა ხნით საბუის ფანჯარასთან იდგნენ და ჰედვიგს თვალით აცილებდნენ, შემდეგ სამზარეულოში ჩავიდნენ დობისთვის ჰოგსმიდში ნაყიდი ახალი წინდების გადასაცემად.

შინაურმა ელფებმა მათი სტუმრობით ძალიან გაიხარეს, თავის დაკვრითა და რევერანსებით მიესალმნენ და ჩაის მისართმევად დაფაცურდნენ. დობიმ საჩუქარი აღტაცებით მიიღო.

– ჰარი პოტერი ძალიან კეთილია დობის მიმართ! – დაიწრიპინა და უზარმაზარი თვალებიდან ჩამოგორებული მსხვილი ცრემლები მოიწმინდა.

– დობი, შენ რომ ის ლაყუჩა-ბალახი არ მოგეტანა, დავიღუპებოდი. მართლა, მართლა! – უთხრა ჰარიმ.

– ისეთი ეკლერები კიდევ ხომ არა გაქვთ? – მიმართა რონმა სახეგაბრწყინებულ და მოწიწებით თავდახრილ ელფებს.

– ახლა არ ისაუზმე? – გაიზიანდა ჰერმიონი, მაგრამ ოთხი ელფი უკვე მოაქროლებდა მათკენ ეკლერებით სავსე დიდ ვერცხლისფერ ლანგარს.

– რაღაცეები ბომბორასაც ხომ უნდა გავუგზავნოთ, – წაიჩურჩულა ჰარიმ.

– კარგი აზრია, – დაეთანხმა რონი, – პიგს საქმე გამოუჩნდება. ცოტა სასუსნავს თან ხომ ვერ გაგვატანდით? – ჰკითხა გარსშემოხვეულ ელფებს. მათ მხიარულად დაუკრეს თავი და საჭმლის მოსატანად გაიქცნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დობი, ვინკი სად არის? – მიიხედ-მოიხედა ჰერმიონმა.

– ვინკი, აი, იქ, ბუხართან ზის, მის, – ჩუმად თქვა დობიმ და რატომ-ღაც ყურები ჩამოყარა.

– ღმერთო ჩემო, – აღმოხდა ვინკის დანახვაზე ჰერმიონს.

ჰარიმაც გაიხედა ბუხრისკენ. ვინკი უწინდელივით ტაბურეტზე იჯდა, მაგრამ ისეთი ჭუჭყიანი იყო, რომ გაჭვარტლული აგურის კედლის ფონზე ძნელად თუ გამოარჩევდით. დაკონკილი და ბინძური სამოსი ეცვა, ხელში ბურბურახის ბოთლი ჩაებღუჯა და ცეცხლს მიშტერებული ოდნავ ირწეოდა. ვინკიმ სწორედ მაშინ დაასლოკინა, როდესაც სტუმრებმა მისკენ გაიხედეს.

– ვინკი დღეში უკვე ექვს ბოთლ ბურბურახს ცლის, – გადაუჩურჩულა დობიმ ჰარის.

– არა უშავს, ეგ სასმელი ხომ მაგარი არ არის, – დაამშვიდა ჰარიმ.

დობიმ თავი გააქნია:

– შინაური ელფისთვის მაგარია, სერ.

ვინკიმ ისევ ამოასლოკინა. ელფებმა, რომლებმაც ეკლერი მოიტანეს, ცერად გახედეს, საყვედურით გადააქნიეს თავი და სამუშაოს მიუბრუნდნენ.

– ვინკი დარდობს, ჰარი პოტერ, – სევდიანად წასჩურჩულა ჰარის დობიმ, – ვინკის შინ წასვლა უნდა. ვინკის ისევ ჰგონია, რომ მისი ბატონი მისტერ კრაუჩია, სერ, და დობიმ ვერაფრით შეაგნებინა, რომ მისი ბატონი ახლა პროფესორი დამბლდორია.

ჰარიმ მოულოდნელად რაღაცა მოიფიქრა, ვინკისთან მივიდა და დაიხარა.

– ვინკი, ხომ არ იცი, მისტერ კრაუჩს რა დაემართა? სამი ჯადოქრის ტურნირზე აღარ გამოჩენილა.

ვინკიმ თვალები ააფახურა და ყურადღებით მიაშტერდა ჰარის, ცოტა კიდევ დაირწა და ამოღერღა:

– ბ... ბატონი აღარ... ჰიყ... გამოჩენილა?

– ჰო, – დაუდასტურა ჰარიმ, – პირველი დავალების შემდეგ აღარ გვინახავს. „დილის მისანი“ წერს, რომ ავადაა.

ვინკიმ ცოტა ხანს იქანავა სკამზე, თან დაბინდული მზერით ასცქეროდა ჰარის.

– ბ... ბატონი... ჰიყ... ავად?

ქვედა ტუჩი აუცახცახდა.

– შეიძლება, ავად არის, შეიძლება, არც არის ავად, – სასწრაფოდ ჩაურთო ჰერმიონმა.

– ბატონს სჭირდება თავისი... ჰიყ... ვინკი! – დაიკვნესა ელფმა, – ბატონი მარტო... ჰიყ... მარტო თავს ვერ მიხედავს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვინკი, სხვათა შორის, ბევრი ადამიანი მოსამსახურეების გარეშეც იოლად გადის, – მკაცრად განუცხადა ჰერმიონმა.

– ვინკი... ჰიყ... მარტო საშინაო საქმეებს... ჰიყ... არ აკეთებს მისტერ კრაუჩისთვის! – აღშფოთებით დაიწრიპინა ვინკიმ, უფრო ენერგიულად დაირწა და ისედაც დალაქავებულ კოფთაზე ბურბურახი გადაისხა, – ბატონი... ჰიყ... ვინკის ყველაზე... ჰიყ... მნიშვნელოვან საიდუმლოებებს ანდობს...

– მაგალითად, რას? – ჰკითხა ჰარიმ.

ვინკიმ თავი გააქნია და ბურბურახი ისევ გადაისხა კოფთაზე.

– ვინკი... ინახავს... ჰიყ... ბატონის საიდუმლოებებს, – თქვა ჯიუტად, უფრო მეტად გადაქანდ-გადმოქანდა და კოპებშეკრულმა, დაელმებული თვალებით ახედა ჰარის, – შენ... ჰიყ... ცხვირს ნუ ყოფ, ნუ...

– ვინკი ასე არ უნდა ელაპარაკოს ჰარი პოტერს! – გაუჯავრდა დობი, – ჰარი პოტერი მამაცი და კეთილშობილია და ჰარი პოტერი სხვის საქმეში ცხვირს არა ყოფს.

– დიახაც, ცხვირს ყოფს... ჰიყ... ჩემი ბატონის... ჰიყ... პირად საქმეში... ჰიყ... ვინკი კარგი შინაური ელფია. ჰიყ... ვინკი საიდუმლოს ინახავს... ჰიყ... ხალხი კი ეჩრება და იჩხრიკება... ჰიყ... – უეცრად ვინკიმ თვალები დახუჭა, ტაბურეტიდან ბუხრის წინ დაგებულ ნოხზე ჩამოცურდა და ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა. ბურბურახის დაცლილი ბოთლი ფილაქანდაგებულ იატაკზე გაგორდა.

იმწამსვე ექვსმა შინაურმა ელფმა მიირბინა. ერთმა ბოთლი აიღო, დანარჩენებმა კი ვინკის განიერი კუბოკრული სუფრა ზიზღით გადააფარეს და კუთხეები საგულდაგულოდ ისე შეუკეცეს, რომ მთლიანად დაფარულიყო.

– ჩვენ ძალიან წუხან, რომ ამის ნახვა მოგიწიათ, ბატონებო და ქალბატონო! – დაიწრიპინა შორიახლოს მდგარმა ელფმა, რომელიც ძალიან დარცხვენილი აქნევდა თავს, – იმედია, არ იფიქრებთ, რომ ყველანი ასეთები ვართ, ბატონებო და ქალბატონო!

– ის უბედურია! – თქვა ნანახით შეძრულმა ჰერმიონმა, – თქვენ კი, იმის მაგივრად, რომ ანუგეშოთ, ზედ სუფრას აფარებთ!

– უკაცრავად, მის, – მდაბლად დაუკრა თავი იმავე შინაურმა ელფმა, – მაგრამ შინაურ ელფს უფლება არა აქვს, უბედური იყოს, თუკი სამუშაო გასაკეთებელია და ბატონები მოსამსახურებელია.

– ღმერთო, ეს რა მესმის! – ვეღარ მოითმინა ჰერმიონმა, – ყველამ მომისმინეთ! თქვენ ისეთივე უფლება გაქვთ, უბედურები იყოთ, როგორც ჯადოქრებს! თქვენ ხელფასი, შვებულება და წესიერი ტანსაცმელი გეკუთვნით. ყველაფერი კი არ უნდა აკეთოთ, რასაც გიბრძანებენ... აი, შეხედეთ დობის!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან გთხოვთ, მის, დობის ამ საქმეში ნუ გარევთ, – ჩაიბუტ-ბუტა დამფრთხალმა დობიმ. სამზარეულოში მყოფ შინაურ ელფებს სახიდან მხიარული ღიმილი გაუქრათ. ჰერმიონს ისე დაუწყეს ცქერა, თითქოს საშიში გიჟი იყო.

– აი, თქვენი სასუსნავი! – დაიწრიპინა ჰარის იდაყვთან ერთმა ელფმა და ბიჭს ხელებში ლორი, ათიოდე ნამცხვარი და ხილი შეაჩეჩა, – ნახვამდის!

შინაური ელფები ჰარის, რონსა და ჰერმიონს შემოეხვივნენ, წელზე პატარა ხელებით მიაწვნენ და ძალით წაიყვანეს გასასვლელისკენ.

– წინდებისთვის დიდი მადლობა, ჰარი პოტერ! – საცოდავად დაუძახა სუფრაგადაფარებული ვინკის გვერდით მდგარმა დობიმ.

– ჰერმიონ, რატომ არ გააჩერე ენა? – გაწყრა რონი, როდესაც მათ ზურგს უკან სამზარეულოს კარი მიჯახუნდა, – ამიერიდან ჩვენი სტუმრობა აღარ ენდომებათ! იქნება, ვინკისთვის მეტი რამე წამოგვეცდევინებინა კრაუჩზე!

– თითქოს მართლა ეგ გადარდებდეს! – გესლიანად შეუტია ჰერმიონმა, – შენ აქ მხოლოდ გასაძღომად მოგწონს ჩამოსვლა!

ამის შემდეგ დღემ უსიამოვნოდ ჩაიარა. ჰარი ისე დაღალა საერთო ოთახში დავალების კეთებისას რონისა და ჰერმიონის გაუთავებელმა კინკლაობამ, რომ სირიუსის მოსაკითხი საღამოს საბუეში მარტომ აიტანა.

ციცქნა ბუკნაჭო ამდენ ლორს მარტო ვერ მოერეოდა, ამიტომ ჰარიმ სკოლის ორი დიდყურა ბუ მიახმარა. უზარმაზარ ფუთააკიდებული ბუები შორიდან ძალიან უცნაური სანახავები იყვნენ. ჰარი ფანჯრის რაფას დაეყრდნო და ჰოგვორტსის შემოგარენს გადახედა. ბინდი წვებოდა. აკრძალული ტყის ხეების კენწეროებს ქარი აშრიალებდა. დურმსტრანგის გემის აფრები ტყლაშუნობდა. ჰაგრიდის ქოხის საკვამურიდან ამოსულ დაკლაკნილ კვამლში ზარნაშომ გაიფრინა, ლივლივით გამოემართა ციხე-კოშკისკენ, საბუეს შემოუფრინა და თვალს მიეფარა. დაბლა, ქოხის წინ, ჰაგრიდი ენერგიულად თხრიდა მიწას. ჰარი დაინტერესდა, ნეტავ, რას საქმიანობს, ახალ ბოსტანს ხომ არ აშენებსო. ბობატონის ეტლიდან მადამ მაქსიმი გამოვიდა და ჰაგრიდისკენ გასწია. რამდენადაც ზემოდან ჩანდა, ჰაგრიდთან საუბრის გაბმას შეეცადა. ჰაგრიდი ნიჩაბს დაეყრდნო, მაგრამ, ეტყობა, საუბრის გაგრძელების სურვილი არ ჰქონდა, რადგან მადამ მაქსიმი მალევე შებრუნდა ეტლში.

ჰარის არ უნდოდა გრიფინდორის კოშკში დაბრუნება და რონისა და ჰერმიონის კინკლაობის მოსმენა, ამიტომ დიდხანს უყურა ჰაგრიდს, სანამ მეტყეევე ნიჩბიანად სიბნელემ არ შთანთქა. საბუეში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთიმეორის მიყოლებით იღვიძებდნენ ბუები და კუნაპეტ ღამეში ფრთების შრიალით უჩინარდებოდნენ.

* * *

მეორე დღეს, საუზმისთვის, რონსა და ჰერმიონს სიბრაზემ გადაუარათ. საბედნიეროდ, რონის შავბნელი წინასწარმეტყველება, – ჰერმიონის შეურაცხყოფის საპასუხოდ, შინაური ელფები გრიფინდორის მაგიდას უგემურ საუზმეს ამოუგზავნიანო, – არ გამართლდა: ბეკონი, ერბოკვერცხი და შაშხი ისეთივე გემრიელი იყო, როგორც ყოველთვის.

ამასობაში ბუებიც მოფრინდნენ და ფოსტა მოიტანეს. ჰერმიონი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ჰაერში მოფარფატე ბუებს.

– პერსი ასე მალე ვერ გვიპასუხებდა, – უთხრა რონმა, – ჰედვიგი ხომ მხოლოდ გუშინ გავგზავნეთ.

– არა, მაგას არც ველი, – უპასუხა ჰერმიონმა, – „დილის მისანი“ გამოვიწერე, ყელში ამომივიდა ყველაფრის სლიზერინელებისგან გაგება.

– ყოჩაღ, კარგად მოგიფიქრებია, – შეაქო ჰარიმ და მანაც ახედა ბუებს, – ბედი გქონია, ჰერმიონ, მგონი, შენთან მოფრინავს...

ჰერმიონისკენ რუხი ბუ მოფარფატებდა.

– გაზეთი არ უჭირავს, – გული დასწყდა ჰერმიონს, – ეს...

მაგრამ, მისდა გასაოცრად, რუხი ბუ სწორედ მისი თეფშის წინ დაეშვა, მას მაშინვე მოჰყვა ოთხი ჭოტი, ერთი ყავისფერი ბუ და ერთიც – ბუხრინწა.

– კი მაგრამ, რამდენი გაზეთი გამოიწერე? – გაუკვირდა ჰარის და ჰერმიონის ფიალას ხელი სტაცა, რომ ბუების გუნდს არ გადაეყირავებინა. ბუებმა მაგიდაზე ზედახორა გამართეს, ყველანი გოგონასკენ მიიწევდნენ, ყველა ცდილობდა, პირველს გადაეცა ადრესატისთვის წერილი.

– ეს რა არის... – ჰერმიონმა რუხ ბუს შეხსნა წერილი და წაიკითხა, – გადავირევი! – წაილუღლუღა გაწითლებულმა.

– რა არის? – დაინტერესდა რონი.

– ეს... პირდაპირ, სასაცილოა... – ჰერმიონმა წერილი ჰარის შეაჩეჩა. წერილი ხელით არ იყო ნაწერი, შედგებოდა გაზეთიდან (სავარაუდოდ, „დილის მისნიდან“) ამოჭრილი და ფურცელზე დაწებებული ასოებისგან.

„შე საზიზღარო გოგო! ჰარი პოტერი უკეთესს იმსახურებს. იქ წაეთრიე, საიდანაც მოხვედი, მაგლო.“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყველა წერილი ასეთია! – სასოწარკვეთით ამბობდა ჰერმიონი ყოველი წერილის გახსნისას, – „ჰარი პოტერი შენზე ათი თავით მაღლა დგას...“ „ღირსი ხარ, ბაყაყის ქვირითში მოგხარშონ...“ ვაიმე!

ბოლო წერილი რომ გახსნა, თითებზე მოყვითალო-მომწვანო სითხე გადაესხა, რომელსაც ბენზინის მძაფრი სუნი ასდიოდა, და ხელებზე დიდი ყვითელი ბებერები დაასხდა.

– ბუბოტუბერის გაუზავებელი ჩირქი! – დაასკვნა რონმა, კონვერტი ფრთხილად აიღო და დასუნა.

– ვაი, ვაი! – აკვნესდა ჰერმიონი, თვალები სიმწრის ცრემლებით აევსო და შეეცადა, ხელები ხელსახოცით გაეწმინდა, მაგრამ გასივებული ხელები უკვე ისე დაეფარა უზარმაზარ ბებერებს, გეგონებოდა, სქელი, ხორკლიანი ხელთათმანები აცვიაო.

– საავადმყოფო ფლიგელში გაიქეცი, – ურჩია ჰარიმ. ამასობაში, ბუები მაგიდიდან აიშალნენ, – პროფესორ სპრაუტს ჩვენ ავუხსნით, სადა ხარ...

– ხომ გავაფრთხილე! – თქვა რონმა, როცა ჰერმიონი მკერდზე ხელებმიკრული გავარდა დიდი დარბაზიდან, – ხომ ვუთხარი, რიტა სკიტერი არ გადაიმტერო-მეთქი! ერთი ამას შეხედე... – რონმა ხმამაღლა წაიკითხა დანარჩენი წერილები, რომელთა წაკითხვაც ჰერმიონმა ვერ მოასწრო: „კვირის ალქაჯში“ წავიკითხე, როგორ თამაშობ ჰარი პოტერის გრძნობებზე. მაგ ბიჭმა ისედაც ბევრი გაჭირვება გადაიტანა. შემდეგი ფოსტით წყევლას გამოგიგზავნი, როგორც კი უფრო დიდ კონვერტს ვიშოვი.“ ჯანდაბა, ჰერმიონს უჯობს, ფრთხილად იყოს.

ჰერმიონი ჰერბოლოგიაზე არ გამოჩენილა. ჰარი და რონი სათბურიდან რომ გამოვიდნენ ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილზე წასასვლელად, ციხე-კოშკის ქვის საფეხურებზე ჩამომავალი მალფოი, კრაბი და გოილი დაინახეს. მათ უკან პენსი პარკინსონი თავის სლიზერინელ დაქალებს ეჩურჩულებოდა და ხითხითებდა. როგორც კი პენსიმ ჰარის თვალი მოჰკრა, გამოსძახა:

– პოტერ, შენს შეყვარებულს ხომ არ დაშორდი? რატომ იყო საუზმეზე ასეთი გაბრაზებული?

ჰარიმ წაუყრუა. კარგად იცოდა, რომ პენსი დიდად გაიხარებდა, რომ გაეგო, რა უბედურება დაატრიალა „კვირის ალქაჯის“ სტატიამ.

წინა გაკვეთილზე ჰაგრიდმა კლასს გამოუცხადა, რომ ცალრქიანი ცხენები ბოლომდე შეისწავლეს. ახლა ქოხის გარეთ იცდიდა. მის ფეხებთან ისევ თავახდილი ხის ყუთები ეწყო. ჰარის ყუთების დანახვაზე გული გაუსკდა, ნუთუ ცეცხლაკუდების ახალი თაობა გამოი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩეკაო. მაგრამ როცა ახლოს მივიდა და ყუთებში ჩაიხედა, იქიდან უამრავი ფუმფულა, შავი, გრძელდინგა არსება ამოსცქეროდა. წინა თათები ნიჩბებივით ბრტყელი ჰქონდათ. ასეთი ყურადღებით სასიამოვნოდ გაოცებულები თვალების ფახურით ასცქეროდნენ მოსწავლეებს.

– ესენი ნიფლერები არიან, – გააცნო ჰაგრიდმა მის ირგვლივ მოგროვილ ბავშვებს, – ძირითადად, მიწისქვეშა მაღაროებში ცხოვრობენ. ბრჭყვიალა ნივთები უყვართ... აი, ხომ ხედავთ!

ერთი ნიფლერი მოულოდნელად ახტა და პენსი პარკინსონის მაჯის საათს პირით წაეტანა. პენსიმ მთელი ხმით დაიკივლა და უკან დაიხია.

– ნამდვილი განძის მაძიებლები არიან, – მხიარულად თქვა ჰაგრიდმა, – მოდით, დღეს ცოტა გავერთოთ. ხედავთ იმას? – და ხელი იმ მიწისკენ გაიშვირა, რომელსაც გუშინ ბარავდა, – იქ ოქროს მონეტები ჩავფალი. ვისი არჩეული ნიფლერიც ყველაზე მეტ ოქროს იპოვის, ის ჯილდოს მიიღებს. ოღონდ, ჯერ ყველაფერი ძვირფასი მოიხსენით და შეინახეთ, მერე ნიფლერი აირჩიეთ და გასაშვებად მოემზადეთ.

ჰარიმ თავისი გაჩერებული მაჯის საათი მოიხსნა, რომელსაც მხოლოდ ჩვეულების გამო ატარებდა, და ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ნიფლერი აირჩია. ნიფლერმა დრუნჩი ჰარის ყურში ჩარგო და ცნობისმოყვარედ დაყნოსა. ისეთი საყვარელი იყო, ჩახუტება მოგინდებოდა.

– მოიცა, – ჰაგრიდმა ყუთში ჩაიხედა, – ერთი ზედმეტი ნიფლერი დარჩა... ვინ გვაკლია? ჰერმიონი სად არის?

– საავადმყოფო ფლიგელში, – მიუგო რონმა.

– მერე აგიხსნით, – ჩუმად დასძინა ჰარიმ, რადგან პენსი პარკინსონი ყურებდაცქვეტილი უსმენდა.

ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილი ჯერ ასე მხიარულად არ ჩასტარებიათ. ნიფლერები მიწაში ისე ყვინთავდნენ, როგორც წყალში, ფაცხაფუცხით მორბოდნენ თავიანთ სტუდენტთან და ხელში ოქროს უფურთხებდნენ. რონის ნიფლერი ყველაზე ყოჩაღი გამოდგა, კალთა წამში ოქროთი გაუვსო.

– ჰაგრიდ, ამათი ყიდვა და მოშინაურება არ შეიძლება? – იკითხა აღტაცებულმა რონმა, როცა მისი ნიფლერი მიწაში თავით გადაეშვა და მანტიაზე მიწა შეაყარა.

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ დედაშენს ნამდვილად არ გაუხარდება, რონ, ნიფლერები მთელ სახლს გადათხრიან, – ჩაილიმა ჰაგრიდმა, – უკვე სუ მოაგროვეს ოქრო, – დასძინა მან და მიწის ნაკვეთზე აიარ-ჩამოიარა, ნიფლერები კი არ ცხრებოდნენ, ისევ დაძვრებოდნენ შიგნით, – მე სულ ასი მონეტა ჩავმარხე. ოო, აი, ჰერმიონიც მოვიდა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათკენ, მართლაც, ჰერმიონი მოდიოდა. ხელები სქლად ჰქონდა შებინტული და საცოდავად გამოიყურებოდა. პენსი პარკინსონი თვალს არ აშორებდა.

– აბა, ვნახოთ, ვინ რამდენი მოაგროვა! – გამოაცხადა ჰაგრიდმა, – დაითვალეთ მონეტები! ტყუილად იპარავ, გოილ, – ჰაგრიდს შავი თვალები დაუვიწროვდა, – ეს ლეპრეკონის ოქროა. რამდენიმე საათში ქრება.

დაბოლმილმა გოილმა ჯიბეები დაიცარიელა. რონის ნიფლერი ყველაზე ყოჩაღი აღმოჩნდა, ამიტომ რონს ჰაგრიდმა ჯილდოდ „თაფლუჭში“ ნაყიდი შოკოლადის ფილა გადასცა. ჰოგვორტსში ლანჩის ზარი აწკრიალდა. მთელი კლასი ციხე-კოშკისკენ გაემართა, ჰარი, რონი და ჰერმიონი კი დარჩნენ, რომ ჰაგრიდს ნიფლერების დაბინავებაში დახმარებოდნენ. ჰარიმ შეამჩნია, რომ ეტლის ფანჯრიდან მათ მადამ მაქსიმი ადევნებდა თვალს.

– ხელებზე რა მოგივიდა, ჰერმიონ? – შეწუხდა ჰაგრიდი.

ჰერმიონმა უამბო, რაც იმ დილით თავს გადახდა.

– ააა ჰ, მაგაზე არ იდარდო, – ჰაგრიდმა ალერსით დახედა გოგონას, – მეც მივიღე ეგეთი წერილები იმის მერე, რაც რიტა სკიტერმა დედაჩემზე დაწერა. „შე ურჩხულო, ჩაქოლვის ღირსი ხარ,“ „დედაშენი უდანაშაულო ხალხს ხოცავდა, სინდისი რომ გქონოდა, ტბაში თავს დაიხრჩობდი“.

– რას ამბობ! – თავზარი დაეცა ჰერმიონს.

– მააშ, – ჰაგრიდმა ნიფლერებიანი ყუთები ქოხის კედელთან მიიტანა და ერთმანეთზე შემოაწყო, – მაგ რეგვენებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჰერმიონ. კიდე თუ მიიღე წერილები, არ გახსნა, პირდაპირ ცეცხლში გადაუძახე.

– რომ იცოდე, რა კარგი გაკვეთილი გამოტოვე! – უთხრა ჰარიმ ჰერმიონს, ციხე-კოშკისაკენ რომ გაემართნენ, – რა კარგები არიან ეს ნიფლერები, არა, რონ?

მაგრამ რონი შუბლშეკრული დასცქეროდა ჰაგრიდის ნაჩუქარ შოკოლადს. ეტყობოდა, რაღაცა აწუხებდა.

– რა გჭირს? – ჰკითხა ჰარიმ, – უგემურია?

– არა, – მოუჭრა რონმა, – რატომ არ მითხარი ოქროს ამბავი?

– რა ოქროს ამბავი? – გაუკვირდა ჰარის.

– იმ ოქროსი, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მოგეცი, – დააზუსტა რონმა, – ლეპრეკონების ოქროს შესახებ, ლოჟაში ჩემი ომნიოკლის სანაცვლოდ რომ მოგეცი. რატომ არ მითხარი, რომ მერე გაქრა?

ჰარი ჯერ ვერ მიხვდა, რაზე ლაპარაკობდა რონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ااا... – გაახსენდა ბოლოს, – რა ვიცი, აბა... არც კი შემიმჩნევია, რომ გაქრა. მე უფრო ჯადოსნური ჯოხის დაკარგვა მაღელვებდა.

საფეხურები აიარეს, ჰოლი გადაჭრეს და ლანჩისთვის დიდ დარბაზში შევიდნენ.

– ალბათ, კარგია, – მოულოდნელად თქვა რონმა, როცა მაგიდას მიუსხდნენ და შემწვარი ძროხის ხორცი და იორკშირის პუდინგი გადმოიღეს თეფშებზე, – ალბათ კარგია, როცა იმდენი ფული გაქვს, რომ მთელი მუჭა გალეონის გაუჩინარებას ვერ ამჩნევ.

– რით ვერ გაიგე, იმ ღამეს მე სხვა სადარდებელი მქონდა! – მოუთმენლად აუხსნა ჰარიმ, – არ გახსოვს, რომ მაგისთვის არავის გვეცალა?

– არ ვიცოდი, ლეპრეკონების ოქრო თუ ქრება, – წაილუღლუღა რონმა, – მე მეგონა, ვალი დაგიბრუნე. საშობაოდ „ჩადლი ქენონზის“ ქუდი აღარ უნდა გეჩუქებინა.

– ეგ თავიდან ამოიგდე, კარგი?

რონმა ჩანგალზე შემწვარი კარტოფილი წამოაცვა და გაბრაზებული მიაჩერდა. შემდეგ თქვა:

– რა საშინელებაა, რომ ღარიბი ვარ.

ჰარიმ და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს. არც ერთმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

– საზიზღრობაა, – განაგრძო რონმა, რომელიც ისევ კარტოფილს დასცქეროდა გაბრაზებული, – არ ვადანაშაულებ ფრედსა და ჯორჯს, ფულის შოვნა რომ უნდათ. ნეტავ, მეც შემეძლოს. ნეტავ, ნიფლერი მყავდეს.

– ახლა უკვე ვიცით, რა უნდა გაჩუქოთ შემდეგ შობაზე, – მხიარულად უთხრა ჰერმიონმა. რადგან რონი ისევ ცხვირჩამოშვებული იჯდა, დაამატა: – კარგი ერთი, რონ, უარესიც ხდება. ყოველ შემთხვევაში, თითები ჩემსავით დაჩირქებული მაინც არა გაქვს.

ჰერმიონს თითები ისე გაჰქვავებოდა და გასივებოდა, რომ ძლივს ეჭირა ხელში დანა-ჩანგალი.

– ვერ ვიტანს სკიტერს! – იფეთქა უცებ, – რადაც უნდა დამიჯდეს, სამაგიეროს მაინც გადავუხდი.

* * *

ჰერმიონი მთელი კვირის განმავლობაში იღებდა წერილებს „კვირის ალქაჯის“ აღშფოთებული მკითხველებისგან. მართალია, ჰაგრიდის რჩევა გაითვალისწინა და არც ერთი არ გაუხსნია, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამდენიმე ავისმსურველმა „ღრიალა“ გამოუგზავნა. „ღრიალები“ გრიფინდორის მაგიდაზე ფეთქდებოდნენ და მთელი დარბაზის გასაგონად გაჰკიოდნენ სალანძღავ სიტყვებს. მალე მათაც კი, ვინც „კვირის ალქაჯს“ არ კითხულობდა, ყველაფერი იცოდნენ ჰარი-კრამი-ჰერმიონის სასიყვარულო სამკუთხედზე. ჰარის ყელში ამოუვიდა, ყველასთვის სათითაოდ აეხსნა, რომ ის და ჰერმიონი მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები იყვნენ.

– არა უშავს, ეს ყველაფერი ჩაივლის, – აიმედებდა ჰერმიონს, – მოდი, ყურადღებას ნუ მივაქცევთ... გახსოვს, ამას წინათ ჩემზე რა დაწერა? ისიც ხომ ბოლოს ყველას მობეზრდა და მიავიწყდა...

– მე ის მაინტერესებს, როგორ ახერხებს პირადი საუბრების მოსმენას, თუ სკოლის შემოგარენში შემოსვლა ეკრძალება! – გაჯავრებით იმეორებდა ჰერმიონი.

ბნელი ძალებისგან თავდაცვის მომდევნო გაკვეთილზე ჰერმიონი პროფესორ მუდისთვის რაღაცის საკითხავად სხვებს ჩამორჩა. დანარჩენები სიხარულით გარბოდნენ საკლასო ოთახიდან. მუდიმ ბავშვებს ისეთი მკაცრი საკონტროლო მოუწყო ჯადოს მოგერიებაში, რომ ბევრი მათგანი დალილავებულ-დალურჯებული დარჩა. ჰარის „ყურების შეკუმშვის“ ისეთი მძიმე ფორმა დაემართა, რომ ოთახიდან ყურებზე ხელებაფარებული გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰერმიონი ქოშინით დაეწია ბიჭებს და ჰარის ყურებიდან ხელები ჩამოაღებინა:

– ესე იგი, რიტა უჩინმაჩინის მოსასხამს ნამდვილად არ იყენებს! მუდიმ თქვა, მეორე ტურზე რიტასთვის არც ჟიურის მაგიდასთან და არც ტბის სიახლოვეს არ მომიკრავს თვალიო.

– ჰერმიონ, დამიჯერე, თავი დაანებე ამ საქმეს, – ურჩია რონმა.

– არავითარ შემთხვევაში, – თავი გააქნია ჰერმიონმა, – უნდა გავარკვიო, როგორ გაიგო ჩემი და ვიქტორის საუბარი და საიდან შეიტყო ჰაგრიდის დედის ამბავი!

– იქნებ მოსასმენი აპარატი მოგამაგრა, – ივარაუდა ჰარიმ.

– ეგ რა არის? – გაოცდა რონი.

ჰარი კარგა ხანს უხსნიდა, რომ არსებობს ხოჭოსავით პატარა ფარული მიკროფონები და ხმის ჩამწერი მოწყობილობები.

რონის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ჰერმიონი მაშინვე ჩაერია:

– არც ერთი არ აპირებთ ოდესმე „ჰოგვორტსის ისტორიის“ წაკითხვას?

– რაში გვჭირდება? – მხრები აიჩეჩა რონმა, – შენ ხომ ზეპირად იცი, თუ რამეა, ავდგებით და გკითხავთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯადოქრობის შემცვლელი საშუალებები, რასაც მაგლები იყენებენ: ელექტრობა, კომპიუტერი და რადარი, მოკლედ, ეს ყველაფერი ჰოგვორტსის შემოგარენში მწყობრიდან გამოდის. ჰაერში ძალიან დიდი ჯადოსნური ძალა ტრიალებს. არა, რიტა ჯადოქრობას იყენებს სხვებისთვის ყურის საგდებად, ნამდვილად ასეა... ოჰ, ერთი გამაგებინა, ეს რა არის და... უუუჰ, თუ ეს უკანონოა, ნახოს, რა დღეს დავაყრი!

– ჩვენ რა, მეტი საქმე არა გვაქვს? – უთხრა რონმა, – ახლა რა, შურისძიების კამპანიის წამოწყებასაც ვაპირებთ რიტა სკიტერის წინააღმდეგ?

– შენ დახმარებას არცა გთხოვ, – მოკლედ მოუჭრა ჰერმიონმა, – ამას მარტოც მოვახერხებ.

ჰერმიონი შეტრიალდა და უკანმოუხედავად აუყვა მარმარილოს კიბეს. ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბიბლიოთეკაში მიდიოდა.

– რაზეც გინდა, დავნაძლევდეთ, რომ იქიდან „მძულს რიტა სკიტერის“ ემბლემებით სავსე ყუთით დაბრუნდება, – უთხრა ჰარის რონმა.

მაგრამ ჰერმიონს რიტა სკიტერის წინააღმდეგ შურისძიების კამპანიის ჩატარებაში ბიჭებისთვის დახმარება არ უთხოვია, რის გამოც ისინი ძალიან მადლიერნი იყვნენ, რადგან რაც უფრო ახლოვდებოდა სააღდგომო არდადეგები, მით უფრო იზრდებოდა მათი საშინაო დავალების მოცულობა. ჰარის გულწრფელად უკვირდა, ამ ყველაფერთან ერთად, ჰერმიონი როგორ ახერხებს მალულად ყურისგდების ჯადოსნური მეთოდების ძიებასო. თვითონ ქანცის გაწყვეტამდე მეცადინეობდა და საშინაო დავალებას მაინც ძლივს ასწრებდა, თუმცა მთის გამოქვაბულში სირიუსთან სანოვაგით სავსე ფუთის ხშირ-ხშირად გაგზავნაც არ ავიწყდებოდა. გასული ზაფხულიდან კარგად ახსოვდა, რას ნიშნავს მუდმივი შიმშილი. ჰარი ფუთას ბარათსაც ურთავდა ხოლმე და ატყობინებდა, რომ უჩვეულო არაფერი ხდებოდა და რომ ისევ ელოდნენ პერსისგან პასუხს.

ჰედვიგი მხოლოდ აღდგომის არდადეგების მიწურულს დაბრუნდა. პერსის წერილი ქალბატონ უისლის გამოგზავნილ ფუთაში აღდგომის კვერცხებთან იდო. ჰარისა და რონის კვერცხები დრაკონის კვერცხისოდენა იყო და შინ დამზადებული ნუგით იყო სავსე, აი, ჰერმიონისა კი ქათმის კვერცხზე პატარა იყო. მის დანახვაზე ჰერმიონმა ცხვირი ჩამოუშვა.

– რონ, შემთხვევით, დედაშენი „კვირის ალქაჯს“ ხომ არ კითხულობს? – იკითხა წყნარად.

– ჰო, – უპასუხა ნუგით პირგამოტენილმა რონმა, – რეცეპტებისთვის აქვს გამოწერილი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონმა ნაღვლიანად შეხედა თავის ციცქნა კვერცხს.

– არ გაინტერესებს, პერსიმ რა მოგვწერა? – სასწრაფოდ იკითხა ჰარიმ.

პერსის წერილი მოკლე და გაღიზიანებული ტონით დაწერილი აღმოჩნდა:

„როგორც უკვე ათასჯერ მაინც განვუცხადე. „დილის მისანს", ბატონ კრაუჩს დიდი ხნის დამსახურებული შვებულება აქვს აღებული. ივი რეგულარულად მოგზავნის ბუს ფოსტით მითითებებს. პირადად არ მინახავს, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემი უფროსის ხელწერას მშვენივრად ვცნობ. ამჟამად ისედაც ყელამდე ვარ საქმეში ჩაფლული და ნამდვილად არ მცალია ამ სასაცილო ჭორების გასათვანტად. გეთაყვა, ასეთ უმნიშვნელო საქმეზე მეტად ნულარ შემანუხებთ. გილოცავთ აღდგომას."

* * *

სააღდგომო არდადეგების შემდეგ, როგორც წესი, ჰარი სეზონის ბოლო ქვიდიჩის მატჩისთვის ინტენსიურ ვარჯიშს იწყებდა ხოლმე. წელს კი სამი ჯადოქრის ტურნირის მესამე, უკანასკნელი ტურისთვის უნდა მომზადებულიყო, მაგრამ ჯერ არ იცოდა, რა დავალება ელოდა წინ. ბოლოს და ბოლოს, მაისის ბოლო კვირას პროფესორმა მაკგონაგელმა ტრანსფიგურაციის გაკვეთილის შემდეგ ჰარი კლასში დატოვა.

– პოტერ, საღამოს ცხრა საათზე ქვიდიჩის მოედანზე უნდა ჩახვიდეთ, – აუწყა მან, – ბატონი ბეგმანი იქ დაგხვდებათ და ჩემპიონებს მესამე დავალების შესახებ გაგესაუბრებათ.

ასე რომ, საღამოს ცხრის ნახევარზე ჰარი დათქმული ადგილისკენ გაეშურა. რონი და ჰერმიონი გრიფინდორის კოშკში დარჩნენ. ჰოლში ჰარის ჰაფლეპაფის საერთო ოთახიდან ამოსული სედრიკი დაეწია. ქვის კიბეები ჩაიარეს და ეზოში ჩავიდნენ.

– როგორ ფიქრობ, რა იქნება? – ჰკითხა სედრიკმა ჰარის, – ფლერი ამტკიცებს, მიწისქვეშა გვირაბებში განძი უნდა ვიპოვოთო.

– ეგ ურიგო არ იქნებოდა, – თქვა ჰარიმ და გაიფიქრა, ჰაგრიდს ნიფლერს ვთხოვდი და ჩემს საქმეს ის გააკეთებდაო.

მოღრუბლული საღამო იდგა. დაბნელებულ ფერდობს ერთად ჩაუყვნენ, ქვიდიჩის სტადიონის თაღქვეშ გაიარეს და მოედნისკენ გაემართნენ.

– ეს რა უქნიათ? – აღშფოთებული სედრიკი ადგილზე გაშეშდა.

ქვიდიჩის მოედანს მოსწორებულსა და გლუვს ვეღარ უწოდებდით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელ მოედანზე გრძელი, დაბალი კედლები გაეყვანათ. კედლები ყველა მიმართულებით უხვევდა და ერთმანეთს კვეთდა.

– ცოცხალი ღობეა! – გამოიცნო ჰარიმ, დაიხარა და დაბალი კედელივით აღმართულ ბუჩქებს დააკვირდა.

– ჰეი, აქეთ, აქეთ! – გაისმა მხიარული ჭყივილი.

მოედნის შუაგულში, კრამთან და ფლერთან ერთად, ლუდო ბეგმანი იდგა. ჰარიმ და სედრიკმა ცოცხალ ღობეებს გადააბიჯეს და მათკენ გაემართნენ. ფლერმა ახლოს მისულ ჰარის ტკბილად გაუღიმა. მას შემდეგ, რაც ჰარიმ ტბიდან დაიკო ამოუყვანა, მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა.

– აბა, რას იტყვით? – ბედნიერი სახით მიმართა ახალმოსულებს ბეგმანმა, როცა ბიჭებმა ბოლო ღობესაც გადააბოტეს, – რა მშვენივრად იზრდებიან, არა? ნახეთ, ერთ თვეში ჰაგრიდი თუ ექვს მეტრამდე არ გაზრდის! ნუ გეშინიათ, – ჩაიღიმა ბეგმანმა, როცა ჰარისა და სედრიკის შეწუხებული სახეები დაინახა, – როგორც კი ტურნირი დამთავრდება, თქვენს ძველ ქვიდიჩის მოედანს დაიბრუნებთ! მაშ ასე, ალბათ, ხვდებით, ეს რა არის?

წამით ხმა არავის ამოუღია, შემდეგ...

– ლაბირინტი, – ჩაიბურტყუნა კრამმა.

– მართალია, ლაბირინთი. მესამე ტურში ძალზე მარტივი წესები მოქმედებს. სამი ჯადოქრის ტურნირის თასს ლაბირინთის შუაგულში დადგამენ. გაიმარჯვებს ის, ვინც მას პირველი შეეხება.

– ლაბიღინტი უნდა გავიაღოტ? სულ ესაა? – გაუკვირდა ფლერს.

– გზადაგზა დაბრკოლებები შეგხვდებათ, – ახარა ბეგმანმა და ქუსლებზე წინ და უკან რწევა დაიწყო, – ჰაგრიდმა რამდენიმე ჯადოსნური არსება მოგიმზადათ... გარდა ამისა, შელოცვები დაგხვდებათ, რომლებიც უნდა ახსნათ... და მსგავსი რამეებია, ხომ ხვდებით. ის ჩემპიონები, რომლებსაც ყველაზე მეტი ქულა აქვთ, პირველები შევლენ ლაბირინთში, – ბეგმანმა ჰარისა და სედრიკს გაუღიმა, – შემდეგ შევა მისტერ კრამი და ბოლოს – მის დელაკური. მაგრამ ლაბირინთში ყველას გამარჯვების თანაბარი შანსი გექნებათ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად გადალახავთ დაბრკოლებებს. მე მგონი, კარგად იმხიარულებთ, თქვენ რას იტყვით?

ჰარიმ მშვენივრად იცოდა, ჰაგრიდი ასეთი შემთხვევისთვის როგორ არსებებს მოამზადებდა, და გაიფიქრა, საეჭვოა, დიდი მხიარულება გველოდესო. მიუხედავად ამისა, სხვა ჩემპიონებივით მანაც თავაზიანად დაუქნია ბეგმანს თავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან კარგი... თუ კითხვები არა გაქვთ, მაშინ, მოდით, ციხე-კოშკში დავბრუნდეთ. ცოტა არ იყოს, აცივდა...

როგორც კი ახლად მოწყობილი ლაბირინთიდან დაიწყეს გამოსვლა, ბეგმანი ჰარის წამოეწია. ჰარიმ ის იყო, გაიფიქრა, ახლა დახმარებას შემომთავაზებსო, რომ სწორედ ამ დროს კრამმა მსუბუქად დაჰკრა მხარზე ხელი.

– შეიზლება, დაგელაპარაკო?

– რა თქმა უნდა, – ცოტა არ იყოს, გაოცდა ჰარი.

– მოდი, გავიაროთ.

– კარგი.

ბეგმანი ოდნავ შეცბა.

– ჰარი, მე დაგელოდები, კარგი?

– არა, ნუ შეწუხდებით, ბატონო ბეგმან, – ძლივს შეიკავა ღიმილი ჰარიმ, – მგონი, ციხე-კოშკს თვითონაც ვიპოვი.

ჰარი და კრამი ერთად გამოვიდნენ სტადიონიდან, მაგრამ კრამმა გეზი დურმსტრანგის გემისკენ კი არა, ტყისკენ აიღო.

– აქეთ რატომ მივდივართ? – ჰკითხა ჰარიმ, ჰაგრიდის ქოხსა და ბობატონის გაბრდღვიალებულ ეტლს რომ გასცდნენ.

– არ მინდა, ვინმემ მოგვისმინოს, – მოკლედ მიუგო კრამმა.

ბოლოს და ბოლოს, ბობატონელთა ცხენებისთვის გამოყოფილი მდელოს მახლობლად მყუდრო ადგილი იპოვეს. კრამი ხეების ჩრდილში შედგა, ჰარისკენ მობრუნდა და შუბლშეკრულმა უთხრა:

– მე მაინტერესებს, რა ჰდება შენ და ჰერმოუნინის შორის.

ჰარიმ, რომელიც კრამის ზედმეტი სიფრთხილის გამო, უფრო სერიოზულ რამეს ელოდა, გაოცებით ახედა.

– არაფერი.

მაგრამ კრამი ისევ მოქუფრული უცქეროდა. ჰარიმ მოისაზრა, რომ ბულგარელი მასზე კარგა მაღალი იყო და გადაწყვიტა, უფრო დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება მიეცა.

– ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ. ჩემი შეყვარებული არ არის და არც არასდროს ყოფილა. ამ ყველაფერს ის ქალი, სკიტერი იგონებს.

კრამმა ეჭვით შეხედა:

– ჰერმოუნინი ზალიან ბევრს ლაპარაკობს შენზე!

– ეგ იმიტომ, რომ ჩემი მეგობარია.

ჰარის არც კი სჯეროდა, რომ მსოფლიო კლასის ქვიდიჩის მოთამაშესთან, ვიქტორ კრამთან ასეთი საუბარი ჰქონდა, და რომ თვრამეტი წლის კრამი ჰარის თანასწორ, სერიოზულ მეტოქედ თვლიდა...

– თქვენ არასოდეს... თქვენ არ...

– არა, – მტკიცედ უპასუხა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრამი თითქოს ოდნავ გახალისდა. ჰარის რამდენიმე წამს უყურა და მერე თქვა:

– შენ ზალიან კარგად დაფრინავ. პირველ დავალებაზე გიკურებდი.

– გმადლობ, – გაუღიმა ჰარიმ და თითქოს მთელი თავით ამაღლდა, – მე კი ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე გნახე. შენი „ვრონსკის ფინტი" მართლა...

უეცრად კრამის ზურგს უკან ხეებში რაღაცა ამოძრავდა. ჰარიმ საკუთარი მწარე გამოცდილებით იცოდა, რა საფრთხე შეიძლებოდა ყოფილიყო ჩასაფრებული ტყეში, ინსტინქტურად სტაცა ხელი კრამს მკლავში და შემოატრიალა.

– რა ჰდება?

ჰარიმ თავი გააქნია და იმ ადგილს დააკვირდა, სადაც მოძრაობა შენიშნა. თან ჯიბეში ხელი ჩაიცურა და ჯადოსნური ჯოხი მოძებნა.

მაღალი მუხის უკნიდან ბარბაცით გამოვიდა კაცი. ჰარიმ ჯერ ვერ იცნო, შემდეგ კი მიხვდა, რომ ეს კაცი ბატონი კრაუჩი იყო.

კრაუჩი რამდენიმე დღის ნამგზავრს ჰგავდა, თანაც, ეტყობოდა, რომ ფეხით ევლო. დახეული შარვლიდან დასისხლიანებული მუხლები მოუჩანდა. გაუპარსავ, დაკაწრულ სახეზე დაღლილობისგან მიწისფერი ედო. ყოველთვის კარგად მოვლილი თმა და ულვაში ახლა დასაბანი და კარგა ხნის შესაჭრელი ჰქონდა. უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ ქცევით უფრო უცნაურად იქცეოდა: ბუტბუტებდა და ხელებს იქნევდა, თითქოს ვიღაცას ელაპარაკებოდა, ვისაც მხოლოდ თვითონ ხედავდა. ჰარის მაშინვე დერსლებთან ერთად მაღაზიასთან ნანახი ბებერი მაწანწალა გაახსენდა. იმ კაცსაც გაცხოველებული საუბარი გაემართა ჰაერთან. დეიდა პეტუნიამ დადლის ხელი ჩასჭიდა და გზის მოპირდაპირე მხარეს გადაიყვანა, რომ იმ კაცს, რაც შეიძლებოდა, შორს გასცლოდნენ. ძია ვერნონმა კი გრძელი სიტყვა წარმოთქვა იმის შესახებ, თუ რას უზამდა მათხოვრებსა და მაწანწალებს, მისი ნება რომ ყოფილიყო.

– ეს ჟიურის ცევრი არ არის? – კრამი გაოცებული დააცქერდა კრაუჩს, – თქვენს სამინისტროში არ მუშაობს?

ჰარიმ თავი დაუქნია, წამით შეყოყმანდა, შემდეგ ნელა მიუახლოვდა ბატონ კრაუჩს. კრაუჩს მისთვის ზედაც არ შეუხედავს, უახლოეს ხესთან საუბარს განაგრძობდა:

– ამის შემდეგ კი, უიზერბი, დამბლდორს ბუ გაუგზავნეთ და ტურნირზე დასასწრებად ჩამოსასვლელი დურმსტრანგის სტუდენტების რაოდენობა შეატყობინეთ. კარკაროვმა ეს-ესაა გვამცნო, რომ თორმეტი მოჰყავს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბატონო კრაუჩ, – ფრთხილად მიმართა ჰარიმ.

– და შემდეგ მადამ მაქსიმსაც გაუგზავნეთ ბუ, რადგან, შეიძლება, მანაც მოისურვოს მეტი სტუდენტის ჩამოყვანა, რადგან კარკაროვმა თორმეტამდე გაზარდა მათი რიცხვი... გააკეთეთ ეს, უიზერბი, კარგი? კარგი? კარ... – ბატონ კრაუჩს თვალები გადმოკარკლოდა. იდგა, ხეს მიშტერებოდა და რაღაცას თავისთვის ჩიფჩიფებდა. შემდეგ დაბანცალდა და მუხლებზე დაეცა.

– ბატონო კრაუჩ! – ხმამაღლა მიმართა ჰარიმ, – რა დაგემართათ?

კრაუჩმა თვალები გადაატრიალა. ჰარიმ კრამისკენ მიიხედა. კრამი მოშორებით იდგა და შეშფოთებით დასცქეროდა კრაუჩს.

– რა დაემარტა?

– აზრზე არა ვარ, – დაიჩურჩულა ჰარიმ, – მისმინე, იქნებ წახვიდე და ვინმე მოიყვანო...

– დამბლდორი! – აღმოხდა სულშეხუთულ კრაუჩს. ორივე ხელი წინ გაიწვდინა, ჰარის მანტიაზე ჩაებლაუჭა და თავისკენ მისწია, თუმცა ბიჭს თითქოს ვერც ხედავდა. მისი თვალები სადღაც ჰარის თავზემოთ, სივრცეში იმზირებოდნენ, – მე უნდა... ვნახო... დამბლდორი...

– კეთილი, – თქვა ჰარიმ, – თუ ადგებით, ბატონო კრაუჩ, ციხეკოშკში აგიყვანთ და...

– მე... სისულელე... ჩავიდინე... – დაიჩურჩულა ბატონმა კრაუჩმა. ნამდვილ შეშლილს ჰგავდა. გადმოკარკლულ თვალებს აცეცებდა და ნიკაპზე დორბლი ჩამოსდიოდა. ყოველი სიტყვა, ეტყობოდა, საშინელი ძალისხმევის ფასად უჯდებოდა, – უნდა... ვუთხრა... დამბლდორს...

– ადექით, ბატონო კრაუჩ, – ხმამაღლა, მკაფიოდ უთხრა ჰარიმ, – ადექით. მე მიგიყვანთ დამბლდორთან!

ბატონმა კრაუჩმა ახლაღა შეხედა პირდაპირ ჰარის.

– შენ... ვინ? – დაიჩურჩულა.

– მე სკოლის მოსწავლე ვარ, – ჰარიმ კრამისკენ გაიხედა, არიქა, მომეშველეო, მაგრამ გულგახეთქილი კრამი მათ ახლოს არ ეკარებოდა.

– შენ... იმისი ხომ არ ხარ? – დაიჩურჩულა კრაუჩმა და პირი მოეღრიცა.

– არა, – თქვა ჰარიმ, თუმცა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, კრაუჩი რას გულისხმობდა.

– აბა, დამბლდორისა ხარ?

– დიახ.

კრაუჩი თავისკენ ექაჩებოდა, ჰარი შეეცადა, მანტიის კალთა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრაუჩის ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ ის მთელი ძალით იყო ჩაფრენილი.

– გააფრთხილე... დამბლდორი...

– დამბლდორს მოგიყვანთ, თუ ხელს გამიშვებთ. გამიშვით, ბატონო კრაუჩ, და მოგიყვანთ...

– გმადლობთ, უიზერბი, და ამას რომ გააკეთებთ, ფინჯანი ჩაი მომართვით, თუ შეიძლება. ჩემი მეუღლე და ვაჟი სადაცაა ჩამოვლენ, ამ საღამოს ბატონ და ქალბატონ ფაჯებთან ერთად კონცერტს უნდა დავესწროთ, – კრაუჩმა ისევ ხეს გაუბა საქმიანი საუბარი, თითქოს ჰარის იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევდა. ჰარი ისე გააოცა ამან, ვერც კი შეამჩნია, რომ კრაუჩმა ხელი გაუშვა, – დიახ, ჩემმა ვაჟმა ამას წინათ თორმეტი **ბუა** მიიღო, დიახ, ძალზე დამაკმაყოფილებელი შედეგია, დიახ, გმადლობთ, ნამდვილად ძალიან ვამაყობ. ახლა, თუ შეიძლება, ანდორის მაგიის მინისტრის მემორანდუმი მომიტანეთ, ვფიქრობ, მოვასწრებ პასუხის შედგენას...

– შენ აქ დარჩი! – დაუბარა ჰარიმ კრამს, – მე უფრო მალე მოვიყვან დამბლდორს. ვიცი, მისი კაბინეტი სად არის...

– გაგიჟდა, – კრამი დაეჭვებით დაჰყურებდა კრაუჩს, რომელიც ისევ ხეს ებლუკუნებოდა რაღაცას, აშკარად დარწმუნებული, რომ ხე პერსი იყო.

– შენ მხოლოდ შორიახლოს იდექი, – ჰარი ფეხზე წამოდგა, მაგრამ მისმა მოძრაობამ, როგორც ჩანს, ბატონი კრაუჩი კვლავ გამოაფხიზლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰარის მუხლებზე შემოეხვია და მიწისკენ დაქაჩა.

– არ... დამტოვო! – შეევედრა და თვალები ლამის გადმოსცვივდა, – მე... გამოვიქეცი... უნდა გავაფრთხილო... უნდა ვუთხრა... უნდა ვნახო დამბლდორი... ჩემი ბრალია... ყველაფერი ჩემი ბრალია... ბერტა... მკვდარია... სულ ჩემი ბრალია... ჩემი ვაჟი... ჩემი ბრალია... უთხარი დამბლდორს... ჰარი პოტერი... ბნელი ბატონი... გაძლიერდა... ჰარი პოტერი...

– დამბლდორს მოვიყვან, თუ გამიშვებთ, ბატონო კრაუჩ, – ერთხელაც გაიბრძოლა ჰარიმ და სასოწარკვეთილმა კრამს მიხედა, – დამეხმარე, რა!

საშინლად დამფრთხალი კრამი წინ წამოვიდა და ბატონი კრაუჩის გვერდით მიწაზე ჩაცუცდა.

– არსად არ გაუშვა, – ჰარიმ თავი გაითავისუფლა ბატონი კრაუჩისგან, – მე დამბლდორთან ერთად დავბრუნდები.

– დაუჩქარე, რა! – მიაძახა კრამმა.

ჰარი ტყიდან გამოვარდა, ჩაბნელებული მდელო გადაჭრა და ციხე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კოშკისკენ გაქანდა. ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ბეგმანი, ფლერი და სედრიკი არსად ჩანდნენ. ჰარიმ ქვის საფეხურებზე აირბინა, მუხის მთავარ კარში შევარდა და მარმარილოს კიბით მესამე სართულზე აიჭრა.

ხუთი წუთის შემდეგ უკაცრიელ დერეფანში მიქროდა ქვის ურჩხულისკენ, რომელიც დერეფნის შუაში კედელთან იდგა.

– შერ... შერბეთ ლიმონ! – შესძახა სუნთქვაშეკრულმა.

ეს იყო დამბლდორის კაბინეტისკენ მიმავალი საიდუმლო კიბის პაროლი, ყოველ შემთხვევაში, ორი წლის წინ ნამდვილად ეს იყო. მაგრამ, როგორც ჩანდა, პაროლი შეეცვალათ, რადგან ქვის ურჩხული არც გაცოცხლებულა, არც გვერდზე გამხტარა. უმოძრაოდ იდგა და ჰარის ღვარძლიანად შესცქეროდა.

– გაინძერი! – დაუყვირა ჰარიმ, – მიდი, რაღას უცდი!

მაგრამ ჰოგვორტსში რომ დაყვირებით ვერაფერს აამოძრავებდი, ეს ჰარიმ მშვენივრად იცოდა. ჩაბნელებულ დერეფანში გაიხედ-გამოიხედა. იქნებ, დამბლდორი სამასწავლებლოში იყო? ჰარი კისრისტეხით გაიქცა კიბისკენ.

– პოტერ!

ჰარიმ დაამუხრუჭა და უკან გაიხედა. ქვის ურჩხულის უკან დამალული კიბიდან სნეიპი გადმოვიდა. მის ზურგს უკან კედელი თავისით დაიხურა. სნეიპმა ჰარი ხელით თავისკენ მიიხმო.

– აქ რას აკეთებთ, პოტერ?

– პროფესორ დამბლდორის ნახვა მინდა! – ჰარი უკან, სნეიპისკენ გაიქცა და მის წინ მოწყვეტით გაჩერდა, – ბატონი კრაუჩი... გამოჩნდა... ტყეშია... ითხოვს...

– რას როშავთ, პოტერ? – თვალები წამოენთო სნეიპს, – რაზე ლაპარაკობთ?

– ბატონ კრაუჩზე! – დაიყვირა ჰარიმ, – სამინისტროს თანამშრომელზე! ან ავადაა, ან რაღაც სჭირს... ტყეშია და დამბლდორის ნახვა უნდა! თქვენ მხოლოდ პაროლი მითხარით, რომ ავიდე...

– დირექტორს არ სცალია, პოტერ, – სნეიპს თხელი ტუჩები უსიამოვნო ღიმილმა აუპრიხა.

– დამბლდორს უნდა ვუთხრა! – დაიღრიალა ჰარიმ.

– ვერ გაიგეთ, რა გითხარით, პოტერ?

ჰარი მიხვდა, სნეიპი ნეტარებდა, რომ პანიკაში ჩავარდნილს უარს ეუბნებოდა იმაზე, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა.

– მომისმინეთ, – დაიწყო გაბრაზებულმა ჰარიმ, – კრაუჩს რაღაცა სჭირს. ის... თითქოს ჭკუიდან შეცდა... ამბობს, რომ უნდა გააფრთხილოს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სნეიპის ზურგს უკან ქვის კედელი გაიღო. იქ გრძელ მწვანე მანტიაში გამოწყობილი დამბლდორი იდგა და ოდნავ გაოცებული იყურებოდა.

– რამე მოხდა? – იკითხა და ჯერ ჰარის შეხედა, შემდეგ კი – სნეიპს.

– პროფესორო! – დაასწრო ჰარიმ სნეიპს, – ბატონი კრაუჩი აქ არის... დაბლა, ტყეშია, თქვენთან ლაპარაკი უნდა!

ჰარი მოელოდა, რომ დამბლდორი კითხვებს დააყრიდა, მაგრამ, მისდა გასახარად, დამბლდორი ასე არ მოქცეულა.

– წამიყვანე! – უთხრა მაშინვე და სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა ჰარის. ბოლმისაგან სახედაღმეჭილი სნეიპი კი ქვის ურჩხულთან დარჩა.

– ჰარი, რა თქვა ბატონმა კრაუჩმა? – ჰკითხა დამბლდორმა და მარმარილოს კიბეები მკვირცხლად ჩაიარა.

– თქვა, რომ თქვენი გაფრთხილება უნდა... რომ რაღაც საშინელება ჩაიდინა... თავისი შვილი ახსენა და ბერტა ჯორკინსი... და... და ვოლდემორი... ვოლდემორის გაძლიერებაზეც თქვა რაღაც...

– მართლა? – დამბლდორმა ნაბიჯს აუჩქარა. კუნაპეტ სიბნელეში სწრაფად მიდიოდნენ.

– არანორმალურად იქცევა, – ჰარი სირბილით მიჰყვებოდა დამბლდორს, – მგონი, არც იცის, სად არის. ისე ლაპარაკობს, თითქოს იქ პერსი უისლია და იმას ელაპარაკება. შემდეგ უეცრად ამბობს, რომ თქვენი ნახვა სჭირდება... ვიქტორ კრამთან ერთად დავტოვე.

– მართლა? – ცოცხლად ჰკითხა დამბლდორმა და ისე სწრაფად განაგრძო სიარული, ჰარი სირბილით ძლივს ეწეოდა, – ხომ არ იცი, კიდევ ვინმემ დაინახა ბატონი კრაუჩი?

– არა. მე და კრამი ვლაპარაკობდით. ბატონი ბეგმანი მესამე დავალებაზე გვესაუბრა, ჩვენ ჩამოვრჩით და შემდეგ ტყიდან გამოსული ბატონი კრაუჩი დავინახეთ...

– სად არიან? – ჰკითხა დამბლდორმა, როდესაც სიბნელიდან ბობატონელთა ეტლი გამოჩნდა.

– აი, აქეთ, – ჰარი დაწინაურდა და დირექტორი ხეებისკენ წაიყვანა. კრაუჩის ხმა აღარ ისმოდა, მაგრამ ჰარის ის ადგილი კარგად ახსოვდა. ბობატონის ეტლის შორიახლოს იყო... სადღაც იქვე...

– ვიქტორ! – დაუძახა ჰარიმ.

არავინ უპასუხა.

– აქ იყვნენ, – უთხრა დამბლდორს, – ნამდვილად სადღაც აქ იყვნენ.

– ლუმოს! – წარმოთქვა დამბლდორმა, ჯადოსნური ჯოხის წვერი აანთო და თავზემოთ ასწია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სინათლის ვიწრო სხივი ჩაშავებული ხიდან ხეზე გადავიდა, მიწა გაანათა და წყვილ ფეხს დაეცა.

ჰარი და დამბლდორი იმ ადგილს მისცვივდნენ. მიწაზე გრძნობა-დაკარგული კრამი გაშოტილიყო. ბატონი კრაუჩი უკვალოდ გამქრალიყო. დამბლდორი კრამისკენ დაიხარა და ცალი თვალის ქუთუთო ფრთხილად აუწია.

– გათიშულია, – დაასკვნა ხმადაბლა. ირგვლივ ხეები მოათვალიერა და ჯადოსნური ჯოხის შუქი მის ნახევარმთვარისებურ სათვალეზე აირეკლა.

– ვინმეს მოსაყვანად ხომ არ გავიქცე? – ჰკითხა ჰარიმ, – მადამ პომფრი ხომ არ მომეყვანა?

– არა, – საჩქაროდ თქვა დამბლდორმა, – აქ დარჩი.

ჯადოსნური ჯოხი ჰაერში აღმართა და ჰაგრიდის ქოხის მიმართულებით დაუმიზნა. ჯოხის წვერიდან რაღაც ვერცხლისფერი გამოიჭრა და ხეებს შორის ჩიტი-მოჩვენებასავით ჩაიქროლა. შემდეგ დამბლდორი ისევ კრამისკენ დაიხარა, ჯადოსნური ჯოხი მიუშვირა და დაიჩურჩულა:

– ენერვატე!

კრამმა თვალები გაახილა. დარეტიანებული ჩანდა. დამბლდორის დანახვაზე წამოჯდომა სცადა, მაგრამ დამბლდორმა მხარზე ხელი დაადო და შეაჩერა.

– თავს დამესჰა! – წაილულლუღა კრამმა და თავზე ხელი წაივლო, – ის გიჟი ბებერი თავს დამესჰა! მე იქით ვიკურებოდი, რომ მენაჰა, პოტერი სად წავიდა, და უკნიდან მეცა.

– ცოტა ხნით წყნარად იწექით! – ურჩია დამბლდორმა.

იმავე წამს მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და მალე აქოშინებული ჰაგრიდი გამოჩნდა ფენგის თანხლებით. ჰაგრიდს ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა.

– პროფესორო დამბლდორ! – შესძახა თვალებგაფართოებულმა, – ჰარი, ეს რა...

– ჰაგრიდ, გთხოვ, პროფესორი კარკაროვი მოიყვანო, – უბრძანა დამბლდორმა, – მის სტუდენტს თავს დაესხნენ. შემდეგ კი, თუ შეიძლება, პროფესორ მუდის შეატყობინე...

– საჭირო არ არის, დამბლდორ, – გაისმა ჩახრინწული ხმა, – მე უკვე აქა ვარ.

მათკენ კოჭლობით მოეშურებოდა კვერთხზე დაყრდნობილი მუდი, ჯადოსნური ჯოხი მასაც ანთებული ეჭირა ხელში.

– ეს წყეული ფეხი, – შეიკურთხა გაცოფებულმა, – უფრო მალე მოვიდოდი... რა მოხდა? სნეიპმა რაღაც თქვა კრაუჩზე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კრაუჩზე? – სულ დაიბნა ჰაგრიდი.

– ჰაგრიდ, კარკაროვი მოიყვანე, თუ შეიძლება, – მკაცრად შეახსენა დამბლდორმა.

– ა, ხო... ახლავე, პროფესორო, – ჰაგრიდი შეტრიალდა და ჩაბნელებულ ხეებს შორის გაუჩინარდა, ფენგი ძუნძულით გაჰყვა პატრონს.

– არ ვიცი, ბარტი კრაუჩი სად არის, – უთხრა დამბლდორმა მუდის, – მაგრამ სასწრაფოდ უნდა ვიპოვოთ.

– მაგას მე მივხედავ, – დაიხავლა მუდიმ, ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და კოჭლობით შევიდა ტყეში.

არც დამბლდორსა და არც ჰარის ხმა არ ამოუღიათ, სანამ ჰაგრიდისა და ფენგის დაბრუნების მანიშნებელი უტყუარი ხმები არ გაიგონეს. მათ უკან კარკაროვი მოიჩქაროდა. ვერცხლისფერი პრიალა ბეწვის ქურქი ეცვა და ფერმკრთალი, დაძაბული სახე ჰქონდა.

– ეს რა არის? – დაიყვირა მან, როდესაც მიწაზე განრთხმული კრამი და მის გვერდით მდგარი დამბლდორი და ჰარი დაინახა, – რა ხდება?

– თავს დამესჰნენ! – თქვა კრამმა, წამოჯდა და თავი დაიზილა, – ბატონი კრაუჩი, თუ რა ვიცი, რა ჰქვია...

– კრაუჩი დაგესხა თავს? კრაუჩი? ტურნირის ჟიურის წევრი?

– იგორ, – დაიწყო დამბლდორმა, მაგრამ კარკაროვი წელში გაიმართა, ქურქი მჭიდროდ შემოიხვია და გაშმაგებისგან სახე დაემანჭა.

– ღალატი! – დაიღრიალა მთელი ხმით და დამბლდორს თითი მიუშვირა, – ეს შეთქმულებაა! შენ და შენმა მაგიის სამინისტრომ მოჩვენებითი საბაბით შემომიტყუეთ აქ, დამბლდორ! ეს არის სამართლიანი შეჯიბრი?! ჯერ მცირეწლოვანი ჰარი პოტერი მალულად შეაპარე ტურნირს, ახლა შენი სამინისტროელი მეგობარი ცდილობს, ჩემი ჩემპიონი ტურნირს გამოთიშოს! მთელ ამ საქმეს ორპირობისა და კორუფციის სუნი უდის! აი, შენ კი, დამბლდორ, კიდევ ბედავ ლაპარაკს საერთაშორისო ჯადოქრული კავშირების გამყარებაზე, ურთიერთობის აღდგენასა და ძველი უთანხმოებების დავიწყებაზე?! აი, რა აზრისა ვარ შენზე!

კარკაროვმა დამბლდორის ფეხებთან მიწაზე დააფურთხა. თვალის დახამხამებაში ჰაგრიდი კარკაროვს ქურქის საყელოში სწვდა, ჰაერში აიტაცა და უახლოეს ხეს მიანარცხა.

– ბოდიში მოიხადე! – შეუღრინა ჰაგრიდმა სუნთქვაშეკრულ და ჰაერში ფეხებასავსავებულ კარკაროვს და ცხვირწინ უზარმაზარი მუშტი დაუტრიალა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰაგრიდ, დაანებე თავი! – შესძახა დამბლდორმა და თვალებში ნაპერწკალმა გაურბინა.

ჰაგრიდმა ხელი გაუშვა ხეზე მილურსმულ კარკაროვს. კარკაროვი ხეზე ჩამოცურდა და მის ძირში დაებერტყა. თავზე რამდენიმე წვრილი ტოტი და ფოთოლი დააცვივდა.

– ჰაგრიდ, ძალიან გთხოვ, ჰარი ციხე-კოშკამდე მიაცილო, – მკაცრად უბრძანა დამბლდორმა.

ჰაგრიდი მძიმედ სუნთქავდა და მრისხანედ გაჰყურებდა კარკაროვს.

– იქნებ, ჯობია, აქ დავრჩე, დირექტორო...

– არა, ჰაგრიდ, ჰარის სკოლაში წაიყვან, – მტკიცედ გაუმეორა დამბლდორმა, – გრიფინდორის კოშკამდე მიაცილე. ჰარი... იქიდან ფეხი არ მოიცვალო. რაიმეს გაკეთება თუ გინდა, მაგალითად, ბუს გაგზავნა... დილამდე მოიცდის, გასაგებია?

– ისა... დიახ, – ჰარიმ გაოცებით შეხედა. რა იცოდა დამბლდორმა, რომ სწორედ იმ წამს გაიფიქრა, სირიუსს ბუკნაჭოს გავუგზავნი და მივწერ, რაც მოხდაო.

– ფენგს მაინც დაგიტოვებთ, დირექტორო, – ჰაგრიდი ისევ მუქარით უყურებდა კარკაროვს, რომელიც ხის ძირში თავის ქურქსა და ხის ფესვებში გახლართული ეგდო, – ფენგ, აქ დარჩი. ჰარი, მომყევი.

ბობატონის ეტლს უსიტყვოდ ჩაუარეს და ციხე-კოშკისკენ წავიდნენ.

– როგორ ბედავს! – ბობოქრობდა ჰაგრიდი გზაში, – როგორ ბედავს დამბლდორის დადანაშაულებას! თითქოს დამბლდორი ეგეთი რამის გამკეთებელი იყოს. თითქოს დამბლდორს უნდოდა, შენი ტურნირში მონაწილეობა. უნდა კი არა, კაცი გიჟსა გავს! ნერვიულობს! დამბლდორი ასეთი შეწუხებული ბოლოს როდის ვნახე, აღარც მახსოვს! შენც კაი ვინმე ხარ! – მოულოდნელად გაჯავრებით შეუტია ჰარის. ჰარიმ გაოგნებულმა ახედა გოლიათს, – რას ფიქრობდი, იმ ოხერ კრამთან ერთად რომ მიეხეტებოდი? ის ხომ დურმსტრანგიდანაა, ჰარი! ხომ შეიძლებოდა, იქვე დაეწყევლე? ნუთუ მუდისგან ვერაფერი ისწავლე? იქნება შენი ტყეში შეტყუება უნდოდა, შენ კი შენი ფეხით მიჰყვებოდი...

– კრამი საშიში ვინმე არ არის! – დაამშვიდა ჰარიმ, ქვის საფეხურები აიარეს და ჰოლში შევიდნენ, – ჩემი დაწყევლა არც უფიქრია. უნდოდა, ჰერმიონზე დამლაპარაკებოდა...

– დამაცა, ჰერმიონსაც დაველაპარაკები, – დაიმუქრა მოღუშულმა ჰაგრიდმა და კიბეს მძიმედ აუყვა, – რაც უფრო ნაკლებად გაით-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვიფებით ამ უცხოელებში, მით უკეთესი. მაგათ ხო ვერ ენდობა კაცი!

– შენ ხომ დამეგობრდი მადამ მაქსიმთან, – მოაგონა გაბრაზებულმა ჰარიმ.

– ჩემთან იმისი ხსენება არ გაბედო! – ჰაგრიდი იმ წუთებში მართლა საშიში შესახედავი იყო, – უკვე ამოვიცანი, რა ჩიტიცაა! ჩემთან შერიგებას ცდილობდა, უნდოდა დაეტყუებინა, რა იქნებოდა მესამე დავალება. დიახ! ვერავის ენდობი, ვერა...

ჰაგრიდი ისეთი გაცოფებული იყო, ჰარი სიხარულით დაემშვიდობა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტთან. პორტრეტის ხვრელიდან საერთო დარბაზში გადაძვრა და მაშინვე რონისა და ჰერმიონისაკენ გაეშურა, რათა სასწრაფოდ ყველაფერი მოეყოლა, რაც მოხდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეცხრე

სიზმარი

– გამოდის, რომ ან ბატონი კრაუჩი დაესხა თავს ვიქტორს, ან ვილაცა დაესხა თავს ორივეს ზურგიდან, – შუბლი მოისრისა ჰერმიონმა.

– კრაუჩი იქნებოდა, – გამოთქვა ვარაუდი რონმა, – ამიტომაც არ დახვდა ჰარისა და დამბლდორს. ეტყობა, მანამდე მიიმალა.

– არა მგონია, – თავი გააქნია ჰარიმ, – ფეხზე ძლივს იდგა, სად ჰქონდა დისაპარაციის თავი.

– რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ჰოგვორტსის არემარეზე დისაპარაცია შეუძლებელია! – გაჯავრდა ჰერმიონი.

– კარგი. აბა, ამ ვერსიაზე რას იტყვით: კრამი თავს დაესხა კრაუჩს... არა, დაიცა... და მერე საკუთარი თავი შელოცვით გათიშა, – უცბად ჩამოფქვა თავისი მიხვედრილობით აღტაცებულმა რონმა.

– და ბატონი კრაუჩი აორთქლდა, არა? – ცივად დაასრულა ჰერმიონმა.

– აა, ჰო...

თენდებოდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი დილაუთენია გაიპარნენ საწოლი ოთახებიდან და სირიუსისთვის წერილის გასაგზავნად საბუეში გაიქცნენ. ბუ გაგზავნეს, თვითონ კი იდგნენ და ფანჯრიდან ნისლში გახვეულ მიდამოს გასცქეროდნენ. სამივე ფერმკრთალი და თვალებდასიებული იყო, რადგან წინაღამეს გვიანობამდე შეჰყვნენ ლაპარაკს და გამოძინება ვერ მოასწრეს.

– აბა, ისევ თავიდან მოგვიყევი, ჰარი, ზუსტად რა თქვა ბატონმა კრაუჩმა? – სთხოვა ჰერმიონმა.

– ხომ გითხარით, დალაგებულად ვერ ლაპარაკობდა, ამბობდა, დამბლდორი უნდა გავაფრთხილოო. გარკვევით ახსენა ბერტა ჯორკინსი და მგონი, თქვა, რომ მკვდარია... წამდაუწუმ იმეორებდა, ყველაფერი ჩემი ბრალიაო... თავისი შვილიც ახსენა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს ხომ მართლა მისი ბრალია! – გაცხარებით შესძახა ჰერმიონმა.

– თავის ჭკუაზე ვერ იყო. ზოგჯერ ცოლ-შვილს ელაპარაკებოდა, თითქოს ისევ ცოცხალი ჰყავდა; ზოგჯერ პერსის სამსახურის თაობაზე ესაუბრებოდა და ბრძანებებს აძლევდა.

– ერთი შემახსენე, რა თქვა ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე, – გაუბედავად ჰკითხა რონმა.

– ხომ გითხარი, თქვა, ძლიერდებაო, – უხალისოდ უპასუხა ჰარიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბოლოს რონმა მოჩვენებითი უდარდელობით გაამხნევა:

– ხომ თქვი, თავის ჭკუაზე ვერ იყოო, ჰოდა, ალბათ, ბოდავდა...

– არაფერიც! ჭკუაზე სწორედ მაშინ მოდიოდა, როცა ვოლდემორზე იწყებდა ლაპარაკს, – აღნიშნა ჰარიმ და ყურადღება არ მიაქცია რონს, რომელიც ამ სახელის გაგონებაზე შეიშმუშნა, – ორ სიტყვას ვერ აბამდა ერთმანეთზე, მაგრამ ვოლდემორზე ლაპარაკისას, თითქოს იცოდა, სად იყო და რა უნდოდა. დაჟინებით მოითხოვდა, დამბლდორი უნდა ვნახოო.

ჰარიმ ფანჯარას ზურგი აქცია და ჭერს ახედა. ბუების ქანდარებიდან ნახევარზე მეტი ცარიელი იყო. ყოველ მეორე წუთს რომელიმე ფანჯარაში ნადირობიდან დაბრუნებული ბუ შემოფრთხიალდებოდა და ნისკარტით თაგვი მოჰქონდა.

– სნეიპს რომ არ დავეყოვნებინე, შეიძლება, მიგვესწრო, – დანანებით თქვა ჰარიმ, – „დირექტორს არ სცალია, პოტერ... რას როშავთ, პოტერ?“ არ შეეძლო, გზიდან ჩამომცლოდა?

– იქნებ არ უნდოდა, რომ იქ მისულიყავით? – სწრაფად თქვა რონმა, – იქნებ... მოიცა... როგორ ფიქრობ, რამდენ ხანში მივიდოდა ტყეში? იქნებ შენ და დამბლდორს დაგასწროთ იქ მისვლა?

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღამურად ან მსგავს რამედ გადაიქცეოდა, – თქვა ჰარიმ.

– მაგისგან ეგეც არ გამიკვირდება, – ჩაიბუტბუტა რონმა.

– პროფესორი მუდი უნდა ვნახოთ, – გადაწყვიტა ჰერმიონმა, – უნდა გავარკვიოთ, იპოვა თუ არა ბატონი კრაუჩი.

– „ონავართა რუკა“ თუ თან ჰქონდა, ამას ადვილად მოახერხებდა, – უპასუხა ჰარიმ.

– თუ კრაუჩი ჰოგვორტსის არემარეს არ გასცდა, – შენიშნა რონმა, – რუკა ხომ მხოლოდ სკოლის შემოგარენს აჩვენებს...

– ჩშშშ! – უცებ ტუჩებზე თითი მიიდო ჰერმიონმა.

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. ვიღაცეები კამათობდნენ, მათი ხმები თანდათან ახლოვდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს უკვე შანტაჟია, გაიგე? შეიძლება, ამის გამო მაგარ შარში გავეხვიოთ...

– ხომ ვცადეთ, თავაზიანობა გამოგვეჩინა? ახლა დროა, მასავით ბინძური წესებით ვითამაშოთ. არა მგონია, უნდოდეს, რომ მაგიის სამინისტროში გაიგონ, რა ჩაიდინა...

– გეუბნები, წერილობითი ფორმა უკვე შანტაჟს ნიშნავს!

– ჰოო? ანგარიშს მთლიანად რომ გაგვისწორებს, მერე ხომ აღარ იწუწუნებ?

საბუის კარი გაიღო. ზღურბლზე ფრედი და ჯორჯი გამოჩნდნენ და ჰარის, რონისა და ჰერმიონის დანახვაზე გაშეშდნენ.

– აქ რას აკეთებთ? – ერთდროულად იკითხეს რონმა და ფრედმა.

– წერილს ვაგზავნით, – ერთხმად უპასუხეს ჰარიმ და ჯორჯმა.

– რა? ასეთ დროს? – შესძახეს ჰერმიონმა და ფრედმა.

ფრედმა ჩაიღიმა:

– კარგი. ჩვენ არ გეკითხებით, რას აკეთებთ და არც თქვენ გვეკითხებით, რას ვაკეთებთ.

ფრედს ხელში დალუქული წერილი ეჭირა. ჰარიმ თვალი შეავლო კონვერტს, მაგრამ ფრედმა, განზრახ თუ უნებლიეთ, ხელი დააფარა იმ ადგილს, სადაც მისამართი ეწერა.

– აღარ დაგაყოვნებთ, – დამცინავად დაუკრა თავი სამივეს და კარისკენ მიუთითა.

რონი ადგილიდან არ დაძრულა:

– ვის უწყობთ შანტაჟს?

ფრედს სახიდან ღიმილი გაუქრა. ჰარის არ გამოეპარა, რომ ჯორჯმა ფრედს ცერად გახედა, სანამ რონს გაუღიმებდა და უდარდელად ეტყოდა:

– ნუ სულელობ, ვხუმრობდით.

– ხუმრობას რომ არ ჰგავდა?! – არ მოეშვა რონი.

ფრედმა და ჯორჯმა ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ ფრედმა მკვირცხლად თქვა:

– მე ხომ გაგაფრთხილე, რონ, სხვის საქმეში ნუ ჩაყოფ ცხვირს, თუ გინდა, რომ მთელი შეგრჩეს. რა შენი საქმეა...

– ვინმეს თუ შანტაჟს უწყობთ, დიახაც, ეს ჩემი საქმეა, – გაბრაზდა რონი, – ჯორჯი მართალია. შეიძლება, ამის გამო სერიოზულ შარში გაეხვიოთ.

– ხომ გითხარი, ვიხუმრეთ-მეთქი, – ჯორჯი ფრედთან მივიდა, წერილი გამოართვა და იქვე მჯდომ ჭოტს ფეხზე შეაბა. – რონ, რაღაც, ამ ბოლო დროს ჩვენს ძვირფას უფროს ძმასავით დაიწყე ლაპარაკი. ასე გააგრძელე და მალე პრეფექტიც გახდები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერიც არ გავხდები! – გაცხარდა რონი.

ჯორჯმა ჭოტი ფანჯარასთან მიიყვანა და გაუშვა. შემდეგ რონს გაულიმა.

– მაშინ, სხვების ჭკუის სწავლებას თავი დაანებე. აბა, კარგად გრძანდებოდეთ!

ტყუპები საბუიდან გავიდნენ. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს.

– როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის შესახებ რამე ხომ არ იციან? – ჩურჩულით იკითხა ჰერმიონმა, – კრაუჩზე და რამე?

– არა, – დაამშვიდა ჰარიმ, – ასეთი სერიოზული რამე რომ ყოფილიყო, ვინმეს ეტყოდნენ. დამბლდორს მაინც ეტყოდნენ.

მაგრამ რონი მაინც შეშფოთებული ჩანდა.

– რა იყო, რონ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– რა ვიცი... ან ეტყოდნენ და ან არა, – დაეჭვებით თქვა რონმა. – იცით, ამ ბოლო დროს მხოლოდ ფულის შოვნაზე ფიქრობენ. ეს მაშინ შევამჩნიე, მათთან ერთად რომ დავდიოდი, როცა... ხომ იცი...

– როცა ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით, – წამოეშველა ჰარი, – კი მაგრამ, შანტაჟი...

– ეს სულ ოინების მაღაზიის გამოა. მე მეგონა, ამას დედას გასაბრაზებლად ამბობდნენ, მაგრამ მართლა სერიოზულად აქვთ გადაწყვეტილი მაღაზიის გახსნა. ჰოგვორტსში ერთი კურსიღა დარჩათ და სულ იმას გაიძახიან, დროა, მომავალზეც ვიფიქროთო. მამაც ვერაფრით ეხმარება, მაღაზიის გასახსნელად კი ფული სჭირდებათ.

ამჯერად ჰერმიონი შეშფოთდა.

– კი მაგრამ... ფულის საშოვნელად უკანონოს ხომ არაფერს ჩაიდენენ?

– აბა, რა გითხრა? – ყოყმანით უპასუხა რონმა, – რა ვიცი... არც აქამდე ყოფილან დამჯერი და წესიერი ბიჭები...

– კი მაგრამ, მე კანონზე ვლაპარაკობ, – შეშინდა ჰერმიონი, – რაღაც სულელურ სკოლის წესებზე კი არა... შანტაჟისთვის დამატებით სამუშაოზე ბევრად უფრო მკაცრი სასჯელი ელით! რონ... ხომ არ ჯობია, პერსის უთხრა?

– გაგიჟდი? – შეიცხადა რონმა, – პერსის ვუთხრა? ალბათ, მაშინვე კრაუჩივით ორივეს დააჭერინებს, – რონმა ფანჯარას შეხედა, საიდანაც ფრედისა და ჯორჯის ბუ გაემგზავრა და დაამატა: – წამოდით, სასაუზმოდ წავიდეთ.

– ალბათ, ჯერ ძალიან ადრეა პროფესორ მუდისთან წასასვლელად, არა? – იკითხა ჰერმიონმა, ხვეულ კიბეზე რომ ჩადიოდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, – დაეთანხმა ჰარი, – ძილბურანში არ ეგონოს, რომ მოსაკლავად ვეპარებით და დახურულ კარს იქიდან შელოცვები არ დაგვიშინოს. ჯობია, შესვენებამდე დავიცადოთ.

მაგიის ისტორიის გაკვეთილი ასე ჯერ არასდროს გაჭიანურებულა. ჰარი წამდაუწუმ რონის მაჯის საათს დასცქეროდა, რადგან თავისას საბოლოოდ შეელია და გადააგდო, მაგრამ რონის საათის ისრებიც ისე ნელა მიზოზინებდა, რომ ჰარი მზად იყო დაეფიცა, ისიც მოიშალაო. სამივენი ისეთი დაღლილები იყვნენ, სიამოვნებით დადებდნენ მერხზე თავს და დაიძინებდნენ. თვით ჰერმიონიც კი არ იწერდა ლექციას. იჯდა, თავი ხელზე ჩამოეყდნო და პროფესორ ბინსს დაბინდული მზერით შესცქეროდა.

როგორც იქნა, ეღირსათ და ზარი დაირეკა. მაშინვე დერეფანში გამოცვივდნენ და ბნელი ძალებისგან თავდაცვის საკლასო ოთახს მიაშურეს. მუდი სწორედ ამ დროს გამოდიოდა ოთახიდან. ისიც ძალიან დაღლილი ჩანდა. ნორმალური თვალის ქუთუთო ებლიტებოდა, რის გამოც სახე უფრო დაბრეცოდა.

ჰარიმ მოსწავლეებში გზა გაიკვლია და პროფესორს მიესალმა:

– გამარჯობა, პროფესორო მუდი!

– გამარჯობა, პოტერ! – ხრინწიანი ხმით უპასუხა მუდიმ და ჯადოსნური თვალი გვერდით ჩავლილ ორ პირველკურსელს გააყოლა, რომლებიც დაფრთხნენ და ნაბიჯს აუჩქარეს. თვალი ფოსოში კეფისკენ ამოტრიალდა და პირველკურსელები კუთხემდე მიაცილა. ამის შემდეგ მუდიმ ისევ დაილაპარაკა: – აქ შემოდით.

მუდი უკან გადგა, სამივენი ცარიელ საკლასო ოთახში შეუშვა, თვითონაც შეჰყვა კოჭლობით და კარი მიხურა.

ჰარიმ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა:

– იპოვეთ? იპოვეთ ბატონი კრაუჩი?

– არა, – მიუგო მუდიმ, მერხთან მივიდა, დაჯდა, ხის ფეხი ხვნეშით გაჭიმა და მათარა ამოიღო.

– რუკა გამოიყენეთ? – ჰკითხა ჰარიმ.

– რა თქმა უნდა, – მუდიმ მათარიდან მოსვა, – შენ მოგბაძე, პოტერ, და ჩემი კაბინეტიდან გამოძახების შელოცვით მივიხმე ტყეში. კრაუჩი რუკაზე არ გამოჩნდა.

– ნუთუ დისაპარაცია გამოიყენა? – გაოგნდა რონი.

– რონ, ჰოგვორტსის შემოგარენში დისაპარაციას ვერ გამოიყენებ! – შეუსწორა ჰერმიონმა, – მაგრამ ხომ შეიძლება, სხვა საშუალებისთვის მიემართა გასაქრობად, პროფესორო?

მუდიმ ჯადოსნური თვალი ჰერმიონზე შეაჩერა და ბუდეში ოდნავ აატოკა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არც შენ გაწყენდა აურორის პროფესიაზე ფიქრი. თავი კარგად გიმუშავებს, გრეინჯერ.

ჰერმიონს სიამოვნებისგან ვარდისფერმა გადაჰკრა.

– ესე იგი, არ გაუჩინარებულა, – დაასკვნა ჰარიმ, – რუკაზე უჩინარი ხალხიც ჩანს. გამოდის, რომ ჰოგვორტსის ახლომახლო არ იმყოფება.

– მაგრამ საქმე ისაა, თვითონ მოახერხა თუ სხვა დაეხმარა, – შენიშნა ჰერმიონმა.

– ჰო, შეიძლება, ვინმემ ცოცხზე შემოისვა და მასთან ერთად გაფრინდა, არა? – სწრაფად დასძინა რონმა და იმედით შეხედა მუდის, ეგება, მეც მითხრას, აურორის მონაცემები გაქვსო.

– გატაცებას ვერ გამოვრიცხავთ, – დაეთანხმა მუდი.

– ხომ შეიძლება, ჰოგსმიდშია? თქვენ რას ფიქრობთ? – ჰკითხა რონმა.

– ვინ იცის, სად არის, – თავი გააქნია მუდიმ, – დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ აქ არ არის.

მუდიმ გემრიელად დაამთქნარა და სახეზე ნაიარევები გაეჭიმა. დაფჩენილ, მოღრეცილ პირში რამდენიმე კბილიღა შერჩენოდა.

– როგორც დამბლდორმა მითხრა, სამივეს თქვენი თავი დიდ გამომძიებლებად მიგაჩნიათ, მაგრამ კრაუჩს ვერაფრით უშველით. დამბლდორმა უკვე შეატყობინა სამინისტროს და ამიერიდან მის ძებნას შეუდგებიან... შენ კი, პოტერ, გირჩევნია, მესამე დავალებაზე იფიქრო.

– რა? ა, ჰო...

ლაბირინთი საერთოდ აღარ გახსენებია მას შემდეგ, რაც კრამთან ერთად იქიდან წამოვიდა.

– ეს დავალება სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი, – უთხრა მუდიმ და ნაიარევებით დასერილი, გაუპარსავი ნიკაპი მოიფხანა, – როგორც დამბლდორის ნათქვამიდან გავიგე, მსგავსი რამეები თავს უწინაც ბევრჯერ გადაგხდენია. პირველ კურსზე მართლა გადალახე ფილოსოფიური ქვის დამცავი რამდენიმე დაბრკოლება?

– ჩვენ დავეხმარეთ, – სწრაფად ჩაურთო რონმა, – მე და ჰერმიონი დავეხმარეთ.

მუდიმ ჩაიღიმა.

– ჰოდა, ახლაც დაეხმარეთ. დავალებისთვის კარგად მოამზადეთ და ძალიან გამიკვირდება, თუ არ გაიმარჯვებს. მანამდე კი... მუდმივი სიფხიზლე, პოტერ, მუდმივი სიფხიზლე! – მუდიმ მათარიდან დიდი ყლუპი მოსვა და ჯადოსნური თვალი ფანჯრისკენ მიატრიალა. ფანჯარაში დურმსტრანგის გემის ზედა აფრა მოჩანდა, – თქვენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორნი კი, – მუდი ნორმალური თვალით რონსა და ჰერმიონს უყურებდა, – გვერდიდან არ მოშორდეთ პოტერს, გასაგებია? მე, რა თქმა უნდა, თვალი მიჭირავს ყველაფერზე, მაგრამ მაინც... რაც უფრო მეტი თვალია, მით უკეთესი.

* * *

სირიუსმა ბუ მეორე დილასვე გამოაგზავნა უკან. ის სწორედ იმ დროს დაფარფატდა ჰარის გვერდით, როცა ჰერმიონს ბუხრინწამ ნისკარტით „დილის მისანი" მიუტანა. ჰერმიონმა გაზეთი გამოართვა, პირველ რამდენიმე გვერდს თვალი გადაავლო და შესძახა:

– აჰა! კრაუჩის ამბავი ჯერ არ გაუგია!

შემდეგ ბიჭებთან ერთად წაიკითხა, რას იწერებოდა სირიუსი ორი დღის წინ მომხდარი საიდუმლოებით მოცული მოვლენების შესახებ.

„ჰარი,

რას ფიქრობდი, ურმს ცყეში რომ მიჰყვებოდი? მე მიბდა, ეს ბუ უკან გამომიგზავნო და წერილში შემომფიცი, რომ გვიან ღამით ალარავისთან ერთად ალარ ისეირნებ! ჰოგვორცსში ძალიან საშიში ვილაცა იმყოფება. ჩემთვის ცხადია, რომ მან ურაუჩს დამბლდორის ნახვის საშუალება არ მისცა. ალბათ, იქვე ახლოს, სიბნელეში იყო დამალული. ხომ შეიძლებოდა, მოეკალი?

შენი სახელი ცეცხლოვან თასში შემოხვევით არ მოხვედრილა. თუ ვილაცა შენზე თავდასხმას გეგმავს, მას ცოცხალ დრო დარჩა. რონსა და ჰერმიონს გვერდიდან არ მოსცილდე, უდრიო დრის გრიფინდორის კომკალდან ფეხი ალარ გაალგა და მესამე დავალებისთვის დაიწყე მზადება. გამოიშველ და განმარტებელ შელოცვებში ივარჯიშე. რამდენიმე სხვა ჯადოს შესწავლაც არ იქნებოდა უარგო. ურაუჩს ველარაფერით უშველი. მუშობას შეუდექი და შენს თავს მიხედე. მე შენგან ველი წერილს, რომელშიც სიცყვას მომცემ, რომ აქეთ-იქით ალარ იარალებ.

სირიუსი."

– რა პირით მიკრძალავს აქეთ-იქით ყიალს? – ცოტა არ იყოს, აღშფოთდა ჰარი, სირიუსის წერილი დაახვია და მანტიაში ჩამალა, – დაავიწყდა, თვითონ რეებს ჩადიოდა სკოლაში სწავლისას?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მას ხომ შენზე გული შესტკივა! – მკაცრად უთხრა ჰერმიონმა, – ისევე, როგორც მუდისა და ჰაგრიდს! ასე რომ, ჯობია, დაუჯერო!

– მთელი სასწავლო წელი მიიწურა და ჯერ არავის უცდია ჩემზე თავდასხმა. არავის არაფერი დაუშავებია ჩემთვის...

– იმას თუ არ ჩავთვლით, რომ შენი სახელი ცეცხლოვან თასში მოახვედრეს, – შეახსენა ჰერმიონმა, – და ეს გამიზნულად გააკეთეს. ბომბორა მართალია, ჰარი. რა იცი, იქნებ, შესაფერის დროს უცდიან? იქნებ სწორედ ბოლო ტურზე აპირებენ შენზე თავდასხმას?

– მომისმინე, დავუშვათ, ბომბორა მართალია, ვიღაცამ კრამი გათიშა და კრაუჩი გაიტაცა. მაშინ ხომ უეჭველად იქვე, შორიახლოს, ხეებს იქნებოდა ამოფარებული? რატომ შეიცადა, სანამ მე იქაურობას მოვშორდებოდი და მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდა? ესე იგი, მე არ ვყოფილვარ მისი სამიზნე, არა?

– ტყეში რომ მოეკალი, ეს უბედურ შემთხვევას აღარ ემგვანებოდა! – შეედავა ჰერმიონი, – მაგრამ, დავალების შესრულების დროს თუ დაიღუპე...

– კრამზე თავდასხმას ხომ არ მოერიდა? რატომ მეც ზედ არ მიმაყოლა? ხომ შეეძლო, ისე მოეწყო ყველაფერი, ვითომ მე და კრამს დუელი გვქონდა.

– ჰარი, ამას ვერც მე ვხვდები, – ფარ-ხმალი დაყარა ჰერმიონმა, – მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ირგვლივ ბევრი უცნაური რაღაცა ხდება და ეს მე სულაც არ მომწონს... მუდი მართალია... ბომბორაც მართალია... დროა, მესამე დავალებისთვის ვარჯიშს ახლავე შეუდგე. და არ დაგავიწყდეს, ბომბორას მისწერო და დაჰპირდე, რომ მარტო აღარსად გაიპარები.

* * *

ჰოგვორტსის ეზო ჰარის ასე მაცდუნებლად არასდროს მოსჩვენებია, როგორც ახლა, როცა იძულებული იყო, გარეთ ფეხი არ გაედგა. მომდევნო დღეებს სამივენი ან ბიბლიოთეკაში შელოცვების ძებნაში ატარებდნენ, ან ცარიელ საკლასო ოთახებში იპარებოდნენ სავარჯიშოდ. ჰარი განსაკუთრებულ ყურადღებას მისთვის სრულიად ახალ გამთიშველ შელოცვას უთმობდა. პრობლემა ის იყო, რომ ვარჯიში რონისა და ჰერმიონის მხრიდან გარკვეული მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა.

– არ შეიძლება, მისის ნორისი მოვიტაცოთ? – შესთავაზა მეგობრებს ორშაბათს შესვენებაზე შელოცვების კაბინეტში იატაკზე გაშო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტილმა რონმა, მას შემდეგ რაც, ჰარიმ შელოცვით ზედიზედ უკვე მეხუთედ გათიშა და გამოაფხიზლა, – მოდით, ახლა ის გავთიშოთ. ან, შეგიძლია, დობიზე ივარჯიშო, ჰარი. ნაძლევს ჩამოვალ, შენს დასახმარებლად არაფერზე დაიხევს უკან. არა, კი არ ვწუწუნებ, – რონი ფრთხილად წამოდგა ფეხზე და საჯდომი დაიზილა, – მაგრამ, ყველაფერი მტკივა...

– შენც ეცადე, ბალიშებზე დავარდე! – ურჩია ჰერმიონმა და იატაკზე გაასწორა ფლიტვიკის კარადაში დატოვებული ბალიშები, რომლებსაც გაკვეთილზე განდევნის შელოცვაში ვარჯიშის დროს იყენებდნენ, – როგორმე შეეცადე, ზურგით დაეცე!

– როცა გათიშული ხარ, კარგად ვერ უმიზნებ, სად დაეცე, ჰერმიონ! – გაბრაზდა რონი, – მოდი, ახლა შენ შემცვალე!

– რა საჭიროა. მგონი, ჰარიმ უკვე ისედაც აითვისა, – სასწრაფოდ თქვა ჰერმიონმა, – განმაიარაღებელ შელოცვას რაც შეეხება, შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ – რა ხანია, ჰარის ეგ მშვენივრად გამოსდის... ჩემი აზრით, ამ საღამოდან რამდენიმე ჯადოზე მუშაობას უნდა შევუდგეთ.

ჰერმიონმა ბიბლიოთეკაში შედგენილ სიას დახედა.

– აი, ეს ვცადოთ – დამაბრკოლებელი შელოცვა. ნებისმიერი შემოტევა უნდა შეანელოს, ჰარი. ამით დავიწყოთ.

ზარი დაირეკა, ბალიშები აჩქარებით შეტენეს ფლიტვიკის კარადაში და საკლასო ოთახიდან გაიპარნენ.

– სადილზე შევხვდებით! – დაემშვიდობა ბიჭებს ჰერმიონი და არითმანტიაზე წავიდა. ჰარისა და რონს კი მისნობის გაკვეთილი ჰქონდათ და ჩრდილოეთის კოშკისკენ გაემართნენ. მაღალი ფანჯრებიდან შემოჭრილი კაშკაშა ოქროსფერი მზის სხივები ფართო ზოლებად ეცემოდა დერეფნის იატაკს. გარეთ ცა ისეთი კამკამა ცისფერი იყო, გეგონებოდა, მინანქრითაა დაფარულიო.

– ტრელოუნის ოთახში ნამდვილი ბუღი იდგება, ბუხარს ხომ არასდროს აქრობს! – ჩაიბუზღუნა რონმა.

რონი მართალი აღმოჩნდა. ბუნდოვნად განათებულ ოთახში პაპანაქება სიცხე იდგა. ბუხრიდან სურნელოვანი კვამლი იფრქვეოდა. სანამ ფარდებჩამოშვებულ ფანჯრამდე მიაღწევდა, ჰარის თავბრუ დაესხა. როგორც კი პროფესორი ლამპარზე გამოდებული შალის მოსახსნელად შებრუნდა, ჰარიმ დრო იხელთა, ფანჯარა სულ ოდნავ გამოაღო და სავარძლის საზურგეზე გადაწვა. სახეზე საამოდ მიელამუნა სიო და შვებით ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი.

– ჩემო ძვირფასებო, – პროფესორი კლასის წინ ფრთებიან სავარძელში ჩაჯდა და უზარმაზარი თვალები ბავშვებს მოავლო, – ჩვენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქმის ამოვწურეთ ციურ სხეულებზე მკითხაობა. მაგრამ დღეს მარსის ზემოქმედების შესწავლის ბრწყინვალე შესაძლებლობა გვეძლევა, რადგან ამჟამად მას მეტად საინტერესო მდებარეობა უკავია. თუ ყველანი მომაპყრობთ ყურადღებას, მე შუქს ჩავაქრობ...

მან ჯადოსნური ჯოხი გაიქნია და ლამპრები ჩაქრა. ოთახს მხოლოდ ცეცხლის შუქი ანათებდა. პროფესორი ტრელოუნი დაიხარა და სავარძლის ქვემოდან მინის სფეროში მოთავსებული მზის სისტემის მინიატურული მოდელი გამოიღო. საოცრად ლამაზი სანახავი იყო: ცენტრში მზე კაშკაშებდა, მზის გარშემო ცხრა პლანეტა მოძრაობდა, პლანეტების ირგვლივ კი – მათი თანამგზავრები. ჰარი ზანტად ადევნებდა თვალს ტრელოუნის. პროფესორი კლასს იმ ღირშესანიშნავ კუთხეს უჩვენებდა, რომელსაც მარსი ქმნიდა ნეპტუნთან. მძაფრმა სურნელმა ჰარი ერთიანად გააბრუა. ფანჯრიდან შემოჭრილი სიო სახეზე ელამუნებოდა. სადღაც ფარდის უკან მწერი ზუზუნებდა. ჰარის ქუთუთოები დაუმძიმდა...

ზარნაშოს ზურგზე იჯდა და გორაზე მდგარი ძველისძველი, სუროთი დაფარული სახლისკენ მიჰქროდა. თანდათან დაბლა დაეშვნენ. ჰარის სახეში სასიამოვნო ქარი სცემდა. ბოლოს სახლის ზედა სართულზე ჩაბნელებულ, ჩამსხვრეულ ფანჯარას მიადგნენ, შიგნით შეფრინდნენ, პირქუშ დერეფანს გაუყვნენ, დერეფნის ბოლოში ღია კარი დახვდათ... შიგნით შეფრინდნენ და სუსტად განათებულ ოთახში აღმოჩნდნენ, რომლის ფანჯრებიც ფიცრებით იყო აჭედილი...

ჰარი ბუს ზურგიდან ჩამოხტა. ფრინველი სავარძლისკენ გაფრინდა, რომელიც ბუხრის წინ კარისკენ ზურგშექცევით იდგა. სავარძლის გვერდით, იატაკზე, ორი მუქი ფიგურა მოჩანდა... ორივე მოძრაობდა...

ერთი მათგანი გიგანტური გველი იყო... მეორე კი – ადამიანი... ჩია, მელოტი კაცი, წყალწყალათვალებიანი და წაწვეტებულცხვირიანი... ბუხრის წინ, ნოხზე, მოკრუნჩხული სლუკუნებდა და ხრიალებდა...

– ბედმა გაგიღიმა, გრძელკუდავ, – გაისმა ცივი ხმა იმ სავარძლიდან, რომელზეც ბუ დაეშვა, – მართლა ძალიან გაგიღიმა. შენმა უხეშმა შეცდომამ ყველაფერი არ დაღუპა. ის მკვდარია.

– მილორდ! – სუნთქვა შეეკრა იატაკზე განრთხმულ კაცს, – მილორდ, მე... როგორ მიხარია და რომ იცოდეთ, როგორ ვწუხვარ.

– ნაგინი, – განაგრძო ცივმა ხმამ, – დღეს კი შენ ბედი არ გწყალობს: დაპირების მიუხედავად, გრძელკუდას არ გაჭმევ. მაგრამ არა უშავს, არა უშავს... ჰარი პოტერი კი ნამდვილად შენი ლუკმა გახდება...

გველმა დაისისინა. ჰარიმ დაინახა, როგორ აასხმარტალა ენა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესეც შენ – ჭკუის სასწავლებლად, გრძელკუდავ! – წარმოთქვა ცივმა ხმამ, – და გახსოვდეს, რომ მეტ შეცდომას აღარ მოვითმენ.

– მილორდ... არა... გევედრებით...

სავარძლის სიღრმიდან გრძელკუდასკენ დამიზნებული ჯადოსნური ჯოხის წვერი გამოჩნდა.

– კრუციო.

გრძელკუდა გულისგამგმირავად აყვირდა, ისე აყვირდა, თითქოს ცეცხლი შეუნთესო. მისმა ყვირილმა ჰარის ყურთასმენა დაუხშო და შუბლზე ნაიარევი აუტანლად ასტკივდა. თვითონაც აყვირდა... ვოლდემორი გაიგებდა მის ხმას, მიხვდებოდა, რომ ჰარი იქ იყო...

– ჰარი! ჰარი!

ჰარიმ თვალები გაახილა. პროფესორ ტრელოუნის კაბინეტში იატაკზე იწვა და სახეზე ხელები აეფარებინა. ნაიარევი ისე აუტანლად ეწვოდა, რომ თვალები ცრემლებით ევსებოდა. მთელი კლასი გარს შემოხვეოდა, გვერდით დაფეთებულ რონს ჩაემუხლა:

– როგორა ხარ, ჰარი!

– რა თქმა უნდა, ცუდად! – ჰარის ნაცვლად უპასუხა უზომოდ აღტკინებულმა პროფესორმა ტრელოუნიმ და ვეება თვალები ჰარის მიანათა, – ეს რა იყო, პოტერ? წინათგრძნობა? ზმანება? რა დაინახეთ?

– არაფერი, – იცრუა ჰარიმ და წამოჯდა. მთელი ტანით კანკალებდა. თან წამდაუწუმ ზურგს უკან ჩრდილებს გახედავდა ხოლმე: ვოლდემორის ხმა ისე ახლოს ისმოდა!

– ნაიარევზე იფარებდით ხელს! – განაგრძო პროფესორმა ტრელოუნიმ, – იატაკზე გორავდით და ნაიარევზე იჭერდით ხელს! გამენდეთ, პოტერ, მე ხომ გამოცდილი ვარ ასეთ საკითხებში!

ჰარიმ პროფესორს ახედა.

– ჯობია, საავადმყოფო ფლიგელში წავიდე, თავი ძალიან მტკივა.

– ჩემო კარგო, თქვენზე უეჭველად ჩემი ოთახის ნათელმხილველურმა ვიბრაციებმა იმოქმედა! ახლა თუ აქედან გახვალთ, შეიძლება, ხელიდან გაუშვათ უფრო მეტის დანახვის შესაძლებლობა... – გააფრთხილა პროფესორმა ტრელოუნიმ.

– არაფრის დანახვა არ მინდა, თავის ტკივილის წამლის გარდა.

ჰარი წამოდგა. აფორიაქებულმა თანაკლასელებმა უკან დაიხიეს.

– მერე გნახავ, – წასჩურჩულა ჰარიმ რონს, ჩანთა აიღო და იატაკზე დატანებული კარისკენ წავიდა. ყურადღება არ მიაქცია პროფესორ ტრელოუნის, რომელსაც ისეთი განაწყენებული სახე ჰქონდა, თითქოს უდიდეს სიამოვნებაზე სტკიცეს უარიო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიბე რომ ჩაათავა, საავადმყოფო ფლიგელში არ წასულა. იქ წასვლას არც აპირებდა. გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო, როგორც სირიუსმა დაარიგა: თუ ნაიარევი ასტკივდებოდა, პირდაპირ დამბლდორისთვის მიემართა, და დირექტორის კაბინეტისკენ გასწია. დერეფნები მტკიცე ნაბიჯით გაიარა, თან გზადაგზა სიზმარში ნანახზე ფიქრობდა... ეს სიზმარიც ისეთივე ცხადი იყო, როგორიც ის, პრივიტ დრაივზე რომ ნახა... ჰარიმ გონებაში წვრილმანებს გადაავლო თვალი, რომ არ დავიწყებოდა: გაიგონა, როგორ ადანაშაულებდა ვოლდემორი გრძელკუდას უხეში შეცდომის დაშვებაში... მაგრამ ბუმ კარგი ამბავი მიუტანა, ვიღაცა მოკლეს და შეცდომაც გამოსწორდა... ამიტომ გრძელკუდა გველს გადაურჩა... მის ნაცვლად, გველის ლუკმა ჰარი გახდებოდა...

ფიქრებში გართული ჰარი დამბლდორის კაბინეტის მცველ ქვის ურჩხულს ისე გასცდა, ვერც შეამჩნია. თვალები დაახამხამა, უკან მიიხედა, ფიქრისგან გამოერკვა და ურჩხულთან დაბრუნდა. უცებ გაახსენდა, რომ პაროლი არ იცოდა.

– შერბეთ ლიმონ, – დაიძახა ყოყმანით.

ურჩხული არ განძრეულა.

– კარგი, – ჰარი დაჟინებით დააცქერდა ქვის ურჩხულს, – მსხლის შაქარყინული. ისა... ლიქიორის ჯადოსნური ჯოხი. ზუზუნა-შუშხუნა კანფეტები... დურბლზის საუკეთესო გასაბერი საღეჭი რეზინები. ბერტი ბოტის ყველანაირი გემოს კანფეტები... არა, ესენი ხომ არ უყვარს! ოოო, გაიღე, რა! – გაბრაზდა ჰარი, – აუცილებლად უნდა ვნახო. სასწრაფო საქმე მაქვს.

ქვის ურჩხული ადგილიდან არ იძვროდა.

ჰარიმ წიხლი ამოარტყა, რითაც მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ფეხის ცერა თითი მწარედ დაიჟეჟა.

– შოკოლადის ბაყაყი! – ბრაზით დაიყვირა ცალ ფეხზე მდგარმა, – შაქრის ფრთა! ტარაკანის ჩირი!

ქვის ურჩხული გაცოცხლდა და განზე გახტა. ჰარიმ თვალები აახამხამა.

– ტარაკანის ჩირი? – გაიმეორა გაოცებულმა, – მე ხომ ვიხუმრე...

პირდაფჩენილ კედელში სწრაფად შევიდა და ქვის ხვეულ კიბეზე შედგა ფეხი. ზურგს უკან კარი დაიხურა, კიბე ნელა, ტრიალით ავიდა მაღლა და მუხის პრიალა კართან გაჩერდა. კარზე დასაკაკუნებლად თითბრის ჩაქუჩი ეკიდა.

კაბინეტიდან ხმები ისმოდა. ჰარიმ მოძრავი კიბიდან გადააბიჯა, შეყოყმანდა და მიაყურადა.

– დამბლდორ, ვშიშობ, რომ ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ, ვერა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვითარს! – ეს მაგიის მინისტრის, კორნელიუს ფაჯის ხმა იყო, – ლუდო ამბობს, ბერტა რომ არ დაკარგულიყო, ის გამიკვირდებოდაო. გეთანხმები, რომ აქამდეც უნდა მოგვეძებნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამბლდორ, განზრახ მკვლელობის არავითარი სამხილი არ გვაქვს, არავითარი! მითუმეტეს ვერ ვხედავ ვერავითარ კავშირს ბერტასა და ბარტი კრაუჩის გაუჩინარებებს შორის...

– აბა, თქვენი აზრით, რა მოუვიდა ბარტი კრაუჩს, მინისტრო?– გაისმა მუდის ხრინწიანი ხმა.

– მე ორი ვარაუდი მაქვს, ალასტორ, – უპასუხა ფაჯმა, – ან კრაუჩმა საბოლოოდ გააფრინა, რაც, ალბათ, დამეთანხმებით, უფრო სავარაუდოა, მისი ოჯახური ტრაგედიიდან გამომდინარე; ჭკუიდან შეცდა და სადმე უმიზნოდ დაეხეტება...

– თუ ასეა, დაუჯერებლად სწრაფად დაეხეტება, კორნელიუს, – მშვიდად ჩაურთო დამბლდორმა.

– ანდა... – ფაჯს ხმაზე დაბნეულობა დაეტყო, – მე თავს შევიკავებ ვარაუდის გამოთქმისგან, სანამ არ ვნახავ იმ ადგილს, სადაც ის იპოვეს. მაგრამ თქვენ თქვით, ბობატონის ეტლის შორიახლოსო, არა? დამბლდორ, იმ ქალს კარგად იცნობთ?

– ჩემი აზრით, ძალზე კარგი დირექტორი და ბრწყინვალე მოცეკვავეა.

– კარგი, რა, დამბლდორ! – გაბრაზდა ფაჯი, – თქვენ ისიც ჰაგრიდისნაირი გგონიათ და ნაჩქარევ დასკვნებს აკეთებთ! სხვათა შორის, არც ეგ თქვენი ჰაგრიდია დიდი უწყინარი ვინმე, მონსტრებით მის გატაცებას თუ გავითვალისწინებთ.

– მე მადამ მაქსიმს ისევე ვენდობი, როგორც ჰაგრიდს. თქვენ კი, როგორც ჩანს, ცრურწმენა გალაპარაკებთ და მისადმი სწორედ ამიტომ ხართ უარყოფითად განწყობილი, – აუღელვებლად მიუგო დამბლდორმა.

– არ შეიძლება, ამაზე საუბარი დავამთავროთ? – დაიღმუვლა მუდიმ.

– დიახ, დიახ, ეზოში ჩავიდეთ, – მოუთმენლად თქვა კორნელიუსმა.

– არა, ეგ არ მიგულისხმია. საქმე ისაა, რომ, პოტერს შენთვის ერთი-ორი სიტყვა აქვს სათქმელი, დამბლდორ. აქვე, კართან იცდის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეათე

საფიქრელა

კაბინეტის კარი გაიღო.

– გამარჯობა, პოტერ, – მიესალმა მუდი, – შემოდი, რაღას უცდი.

ჰარი შევიდა. დამბლდორის კაბინეტში ერთხელ უკვე ნამყოფი იყო. ეს იყო ძალიან ლამაზი მრგვალი ოთახი. კედლებზე ჰოგვორტსის ყოფილი დირექტორების პორტრეტები ეკიდა, ყველა თავის ჩარჩოში ღრმა ძილს მისცემოდა და მკერდი თანაბრად აუდ-ჩაუდიოდა.

დამბლდორის საწერ მაგიდასთან კორნელიუს ფაჯი იდგა, განუყრელი ზოლებიანი მანტია ემოსა და ხელში ლიმონისფერი ცილინდრი ეჭირა.

– ჰარი, – გულთბილად შეეგება ფაჯი ოთახში შესულ ბიჭს, – როგორა ხარ?

– კარგად, – იცრუა ჰარიმ.

– სწორედ ახლა იმ საღამოზე ვსაუბრობდით, როცა ჰოგვორტსთან ბატონი კრაუჩი გამოჩნდა, – განუმარტა ფაჯმა, – ის შენ იპოვე, არა?

– დიახ, – თავი დაუქნია ჰარიმ. გრძნობდა, რომ აზრი არ ჰქონდა თავის მოკატუნებას, თითქოს მათი ლაპარაკი ვერ გაიგონა, და დასძინა: – მაგრამ მადამ მაქსიმი იქ არ დამინახავს, მისი დამალვა ხომ არც ისე იოლია!

ფაჯის ზურგს უკან მდგარმა დამბლდორმა ჰარის გაუღიმა და თვალები აუციმციმდა.

– დიახ, დიახ, – უხერხულად შეიშმუშნა ფაჯი, – ჩვენ ახლა ეზოში ჩასვლას ვაპირებდით, ჰარი, ასე რომ... იქნებ გაკვეთილზე დაბრუნდე.

– თქვენთან სალაპარაკო მაქვს, პროფესორო, – საჩქაროდ უთხრა ჰარიმ დამბლდორს. დამბლდორმა დაკვირვებით შეხედა და უთხრა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ დამელოდე, ჰარი, ეზოს დათვალიერება დიდ დროს არ წაიღებს.

მუდიმ, მინისტრმა და დამბლდორმა ჰარის გვერდით ჩაუარეს, გარეთ გავიდნენ და კარი გაიხურეს. ორიოდე წუთში მუდის ხის ფეხის კაკუნიც თანდათან მიწყდა ქვედა დერეფანში. მარტოდ დარჩენილმა ჰარიმ ოთახში მიიხედ-მოიხედა.

– გამარჯობა, ფოუკს.

პროფესორ დამბლდორის ფენიქსი, სახელად ფოუკსი, კართან ოქროს ქანდარაზე იჯდა. მეწამულ-ოქროსფერი დიდებული ბუმბულით შემოსილმა გედისოდენა ფრინველმა პასუხად გრძელი ბოლო აიქნია და ჰარის გულკეთილად შეხედა.

ჰარი დამბლდორის საწერი მაგიდის წინ მდგარ სკამზე დაჯდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში უშფოთველად მთვლემარე დირექტორების პორტრეტებს ათვალიერებდა. თან იმაზე ფიქრობდა, რაც ახლახან მოისმინა, და თითებით შუბლს ისინჯავდა. ნაიარევი აღარ სტკიოდა.

დამბლდორის კაბინეტმა რატომღაც სიმშვიდე მოჰგვარა, თანაც მალე დირექტორს სიზმარს მოუყვებოდა. ჰარიმ საწერი მაგიდის უკან კედელს შეავლო თვალი და თაროზე ალაგ-ალაგ დაკემსილი გაქუცული გამანაწილებელი ქუდი დაინახა. მის გვერდით, მინის ბუდეში, დიდებული ვერცხლის ხმალი იდო, ვადა ლალის დიდი თვლებით ჰქონდა მოჭედილი. ჰარიმ მაშინვე იცნო ეს ხმალი, მეორე კურსზე თავად ამოაძრო გამანაწილებელი ქუდიდან, ოდესღაც კი კლუბის დამაარსებელს, გოდრიკ გრიფინდორს ეკუთვნოდა. ჰარი ვიტრინას შესცქეროდა და იხსენებდა, როგორ მიუსწრო ერთხელ ამ ხმალმა სულზე, როცა უკვე ყველა იმედი გადაწურული ჰქონდა. უეცრად ვიტრინაზე არეკლილი ვერცხლისფერი ათინათი შეამჩნია. ჰარიმ სინათლის წყაროს დასადგენად უკან მიიხედა. ოდნავ გამოღებული შავი კარადიდან მოვერცხლისფრო-მოთეთრო თვალისმომჭრელი სინათლის სხივი გამოდიოდა. ჰარი შეყოყმანდა, ჯერ ფოუკსს გადახედა, შემდეგ წამოდგა, კარადასთან მივიდა და კარი გამოაღო.

კარადაში ქვის დაბალი ჯამი იდგა, გარშემო ჰარისთვის სრულიად გაუგებარი რუნები და სიმბოლოები ჰქონდა ამოტვიფრული. ვერცხლისფერ შუქს ჯამში მოთავსებული ნივთიერება ასხივებდა. ჰარის მსგავსი რამ თავის დღეში არ ენახა. ისიც ვერ გაარჩია, ეს ნივთიერება წყალი იყო თუ ჰაერი. ის მხოლოდ იმას ხედავდა, რომ ეს მოთეთრო-ვერცხლისფერი რაღაცა განუწყვეტლივ მოძრაობდა. ზედაპირი ისე იქოჩრებოდა, როგორც ქარიან ამინდში – წყალი, შემ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეგ ლრუბლებივით იგრაგნებოდა და წრეებად ტრიალებდა. ჰარი ვერაფრით ვერ მიხვდა, რა იყო ეს, თხევადი სინათლე თუ შედედებული ქარი. უნდოდა, ხელით შეეხებოდა, აინტერესებდა, რას იგრძნობდა, მაგრამ ჯადოსნურ სამყაროში ცხოვრების თითქმის ოთხწლიანმა გამოცდილებამ ასწავლა, რომ გამოუცნობი ნივთიერებით სავსე თასში ხელის ჩაყოფა მეტისმეტად უგუნური საქციელი იყო. ამიტომ მანტიის ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, მოუსვენარი მზერა მოავლო ოთახს, კვლავ ჯამში ჩაიხედა და შიგ ჯოხის წვერი ჩაყო. თასში მოთავსებული ვერცხლისფერი ნივთიერების ზედაპირი ძალიან სწრაფად, წრიულად დატრიალდა.

ჰარი უფრო დაიხარა, თავი შიგ კარადაში შერგო. ვერცხლისფერი ნივთიერება მინასავით გამჭვირვალე გამხდარიყო. ჰარიმ შიგნით ჩაიხედა, მაგრამ ქვის ფსკერის ნაცვლად, საიდუმლოებით მოცული ნივთიერების სიღრმეში უზარმაზარი ოთახი დაინახა, თითქოს ამ ოთახს ჭერში დატანებული მრგვალი სარკმლიდან დაჰყურებდა.

ოთახი ბუნდოვნად იყო განათებული. ჰარიმ ივარაუდა, ალბათ მიწისქვეშეთიაო, რადგან ფანჯრები ვერსად შენიშნა. დარბაზს მხოლოდ კედლებზე კაუჭებით დამაგრებული ისეთივე ჩირაღდნები ანათებდა, როგორიც ჰოგვორტსის კედლებზეა. ჰარი ისე ახლოს დახარა, რომ ლამის ცხვირით მინისებურ ზედაპირს შეეხო და დაინახა, რომ კედლების გასწვრივ ამფითეატრივით იარუსებად შემორიგებულ სკამებზე უამრავი ჯადოქარი იჯდა. ოთახის შუაგულში ცარიელი სკამი დაედგათ. სკამის სახელურებზე ჯაჭვები იყო მიმაგრებული, მის დანახვაზე ჰარის რატომღაც ავისმომასწავებელი წინათგრძნობა გაუჩნდა: ნუთუ ამ სკამზე დამჯდარს ჯაჭვით აბამდნენ?

სად იყო ეს დარბაზი? ჰოგვორტსში ასეთი რამ ნამდვილად არ უნახავს. მით უფრო, რომ ამ საიდუმლოებით მოცულ ოთახში მხოლოდ მოზრდილი ჯადოქრები ისხდნენ. ამდენი მასწავლებელი კი ჰოგვორტსში ნამდვილად არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰარი მხოლოდ მათი ქუდების წაწვეტებულ წვერებს ხედავდა, მიხვდა, რომ ისინი ერთი მიმართულებით იცქირებოდნენ, თითქოს რაღაცის მოლოდინში იყვნენ. ხმას არავინ იღებდა.

ჯამი მრგვალი იყო, ოთახი კი, რომელშიც ჰარი იყურებოდა – ოთხკუთხა, ამიტომ კუთხეებში რა ხდებოდა, არ ჩანდა. ჰარიმ კიდევ უფრო დახარა თავი, რომ კარგად ჩაეხედა ოთახში...

და უეცრად ცხვირის წვერით უცნაური ნივთიერების ზედაპირს შეეხო. იმავე წამს დამბლდორის კაბინეტი მძლავრად შეტორტმანდა, ჰარი წინ მიაწყდა და ჯამში თავით წაეყუდა... მაგრამ თავი ქვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფსკერისთვის არ დაურტყამს. ყინულივით ცივსა და შავ სივრცეში გადაეშვა, თითქოს ბნელი მორევი ისრუტავსო...

უცებ, სად იყო და სად არა, თავი სწორედ იმ დარბაზში ამოყო, რომელსაც წამის წინ ზემოდან დასცქეროდა. ყველაზე მაღლა მდგარ სკამზე იჯდა. ჰარიმ ზემოთ აიხედა, მაგრამ იქ არანაირი სარკმელი არ დახვედრია, მთლიანი ჭერი დაჰყურებდა.

ჰარიმ აქოშინებულმა მიმოიხედა. დარბაზში, სულ ცოტა, ორასი ჯადოქარი მაინც იჯდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არც ერთს არ მიუქცევია. როგორც ჩანდა, ვერავინ შეამჩნია, რომ სულ ახლახან ჭერიდან თოთხმეტი წლის ბიჭი ჩამოვარდა. ჰარი მეზობლად მჯდარ ჯადოქარს მიუბრუნდა და გაოცებისგან ისე შეჰყვირა, რომ მთელ დარბაზში ექოდ გახმიანდა.

მის გვერდით ალბუს დამბლდორი იჯდა.

– პროფესორო! – მოგუდული ხმით დაიჩურჩულა ჰარიმ, – მაპატიეთ... მე არ მინდოდა... მე მხოლოდ იმ ჯამში ჩავიხედე, თქვენს კარადაში რომ იდგა... მე... სადა ვართ?

მაგრამ დამბლდორი გაუნძრევლად იჯდა და დუმდა. ჰარის იოტისოდენა ყურადღებასაც კი არ აქცევდა. სხვების მსგავსად, ისიც ოთახის შორეული კუთხისკენ იმზირებოდა, სადაც კარი იყო დატანებული.

სახტად დარჩენილი ჰარი დამბლდორს მიაჩერდა, მის ირგვლივ მდუმარედ მომლოდინე ხალხს მოავლო თვალი, ისევ დამბლდორს შეხედა... და გონება გაუნათდა...

ჰარი ერთხელ უკვე მოხვდა ისეთ ადგილას, სადაც მას ვერავინ ხედავდა და არც არავის ესმოდა მისი. მაშინ მოჯადოებული დღიურის ფურცლიდან პირდაპირ ვიღაცის მოგონებაში ამოყო თავი... ეტყობა, ახლაც მსგავსი რაღაც ხდებოდა...

ჰარიმ მარჯვენა ხელი ასწია, წამით შეყოყმანდა და შემდეგ ენერგიულად გაუქნია დამბლდორს ცხვირწინ. დამბლდორს თვალი არ დაუხამხამებია, ჰარისკენ არ გაუხედავს, არც კი გატოკებულა. ჰარი სავსებით დარწმუნდა თავისი ვარაუდის სისწორეში. დამბლდორი მას ასე უყურადღებოდ არ დატოვებდა. ჰარი მოგონებაში იმყოფებოდა, დამბლდორიც არ იყო დღევანდელი. თუმცა დიდად არ შეცვლილიყო, თმა-წვერი ისეთივე შევერცხლილი ჰქონდა, როგორც ახლა, ესე იგი, ეს დღე შორეულ წარსულს არ ეკუთვნოდა. მაგრამ რა ადგილი იყო ეს? რას ელოდნენ ჯადოქრები?

ჰარიმ უფრო ყურადღებით მიმოიხედა. დარბაზი, როგორც ზემოდან ცქერისას დაასკვნა, მართლაც, მიწისქვეშა აღმოჩნდა. დარბაზიც არ ეთქმის, უფრო ჯურღმულს ჰგავსო, გაიფიქრა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ. ამ ადგილს ულიმღამო და ავბედითი იერი დაჰკრავდა. კედლებზე სურათები არ ეკიდა, ოთახს არც სხვა რაიმე მორთულობა ამშვენებდა, იყო მხოლოდ დარბაზის ირგვლივ იარუსებად ამაღლებული სკამების მჭიდრო რიგები, რათა მათზე მსხდომთ კარგად დაენახათ სახელურებზე ჯაჭვებშებმული სკამი.

სანამ ჰარი თავს იმტვრევდა, სად მოვხვდიო, ნაბიჯების ხმა გაისმა. სარდაფის კუთხეში კარი გაიღო და სამი ადამიანი შემოვიდა, უფრო სწორად, ერთი ადამიანი და ორი დემენტორი.

ჰარის მთელ სხეულში დაუარა სუსხმა. დემენტორებს, მანტიამოსხმულ მაღალ არსებებს, რომელთაც სახე მთლიანად ჩაემალათ კაპიუშონში, მიცვალებულივით გაძვალტყავებული ხელები ტუსაღისთვის მკლავებში ჩაევლოთ და ოთახის შუაგულში მოთავსებული სკამისკენ აუჩქარებლად მილივლივებდნენ. მათ შორის მომავალი კაცი ისე გამოიყურებოდა, თითქოს, სადაცაა, გული წაუვაო. ჰარისთვის რომ გეკითხათ, ეს არც იყო გასაკვირი... იცოდა, რომ დემენტორებს არ შეეძლოთ, მოგონებაში მისთვის რამე დაეშავებინათ, მაგრამ ჰარის მშვენივრად ახსოვდა მათი ამაზრზენი ძალა. სკამებზე მსხდომმა ხალხმა ზიზღით დაიხია უკან, სანამ დემენტორები კაცს ჯაჭვებშებმულ სკამზე დასვამდნენ და ოთახიდან გალივლივდებოდნენ. მათი გასვლისთანავე კარი თავისით მიჯახუნდა.

ჰარიმ დახედა სკამზე მჯდარ კაცს და კარკაროვი იცნო.

დამბლდორისგან განსხვავებით, კარკაროვი ბევრად უფრო ახალგაზრდა ჩანდა. შავ თმასა და თხასავით წვერში ჭაღარა ჯერ არ გარეოდა. ძვირფასი ქურქის ნაცვლად, თხელი და დაძონძილი მანტია ეცვა. ციებიანივით კანკალებდა. ჰარის თვალწინ სკამის სახელურებზე ჯაჭვებმა ოქროსფრად გაიბრჭყვიალა, გველებივით ააცოცდა ხელებზე ტყვეს და მაგრად მიაბა სკამზე.

– იგორ კარკაროვ, – გაისმა ჰარის მარცხნივ უკმეხი ხმა. ჰარიმ მიიხედა. მის ხელმარცხნივ მჯდომი ბატონი კრაუჩი ფეხზე ადგა. კრაუჩს შავი თმა ჰქონდა, სახე – ბევრად უფრო ნაკლებად დანაოჭებული, მხნედ და ცქვიტად გამოიყურებოდა.

– აქ აზკაბანიდან იმისთვის მოგიყვანეს, რომ მაგიის სამინისტროს ჩვენება მისცეთ. როგორც გვარწმუნებდით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია გქონიათ!

კარკაროვი, რამდენადაც ამის საშუალებას ჯაჭვები აძლევდა, წელში გასწორდა.

– დიახ, სერ, – ხმა შიშისაგან უკანკალებდა, მაგრამ ჰარიმ მაინც გაარჩია მასში ნაცნობი დათაფლული ტონი, – მე მსურს, სამინისტროს რამეში გამოვადგე. მინდა, დაგეხმაროთ. მე... მე ვიცი, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, ბნელი ბატონის უკანასკნელი თანამზრახველებიც შეიპყროს და მზად ვარ, რითაც შემიძლია, დახმარება გაგიწიოთ...

სკამებს ჩურჩულმა გადაურბინა. ზოგი ჯადოქარი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა კარკაროვს, ზოგი კი – აშკარა უნდობლობით. უეცრად ჰარის მარჯვნიდან ნაცნობი ხრინწიანი ხმა შემოესმა:

– ნაგავი.

ჰარი წინ გადაიხარა და მარჯვნივ გაიხედა. დამბლდორის გვერდით მრისხანეთვალა მუდი იჯდა. აი, ის კი საერთოდ არ ჰგავდა დღევანდელ მუდის: ჯადოსნური თვალი არ ჰქონდა, სამაგიეროდ, ორი სავსებით ნორმალური, ადამიანური თვალით უყურებდა კარკაროვს და ორივე თვალი სიძულვილით დავიწროებოდა.

– კრაუჩი მის გათავისუფლებას აპირებს, – ხმადაბლა გადაულაპარაკა მუდიმ დამბლდორს, – მასთან გარიგება დადო. ექვსი თვე ვდიე, ძლივს დავიჭირე და კრაუჩი გაშვებას უპირებს, სხვების დაბეზღების სანაცვლოდ. მე თუ მკითხავ, უნდა მოვისმინოთ მისი ინფორმაცია და ისევ დემენტორებს მივუგდოთ.

დამბლდორმა გრძელ კეხიან ცხვირში უარის ნიშნად რაღაც ჩაიბურდღუნა.

– ააა... სულ დამავიწყდა... შენ ხომ დემენტორები გულზე არ გეხატება, დამბლდორ! – ღვარძლიანად ჩაიღიმა მუდიმ.

– ნამდვილად ასეა, – წყნარად მიუგო დამბლდორმა, – გამოგიტყდები, უკვე დიდი ხანია ვფიქრობ, რომ სამინისტროს ასეთი არსებები თავის მოკავშირეებად არ უნდა ექცია.

– ჰო, მაგრამ ასეთი არამზადისთვის...

– კარკაროვ, თქვენ განაცხადეთ, რომ ჩვენთვის რამდენიმე სახელის გამხელა შეგიძლიათ, – განაგრძობდა ბატონი კრაუჩი, – აბა, გისმენთ!

კარკაროვმა აჩქარებით დაიწყო:

– არ დაგავიწყდეთ, რომ ის, ვისი სახელიც არ ითქმის, ყოველთვის უდიდესი სიფრთხილით მოქმედებდა. იგი ამჯობინებდა, რომ ჩვენ... უფრო სწორად, მის თანამოაზრეებს... – და ახლა მწარედ ვნანობ, რომ ოდესღაც მეც მათ რიგებში ვითვლებოდი...

– საქმეზე ილაპარაკე, – დაიღრინა მუდიმ.

– ჩვენთვის უცნობი იყო ყველა თანამებრძოლის სახელი. მხოლოდ ის გვიცნობდა ყველას...

– წინდახედული ნაბიჯი იყო მისი მხრიდან, რომ ვინმე შენნაირ მოღალატეს, კარკაროვ, ყველა არ დაესმინა, – არ ცხრებოდა მუდი.

– მაგრამ რამდენიმეს სახელი მაინც შეგიძლიათ, დაგვისახელოთ, არა? – ჰკითხა კრაუჩმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დ... დიახ, – კარკაროვს სუნთქვა ეკვროდა, – შეგახსენებთ, რომ ეს ხალხი მისი უახლოესი მხარდამჭერი იყო. საკუთარი თვალით მინახავს, მისი ბრძანებით როგორ სჩადიოდნენ საშინელ დანაშაულებებს. მათ სახელებს იმის ნიშნად გიმხელთ, რომ მე მთელი არსებით ვგმობ მათ და ისეთ ღრმა სინანულს შევუპყრივარ, რომ ძლივს...

– სახელები!.. – მკაცრად შეაწყვეტინა ბატონმა კრაუჩმა.

კარკაროვმა ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო:

– ანტონინ დოლოჰოვი. ჩემ თვალწინ უწამებია უთვალავი მაგლი და... და ბნელი ბატონის მოწინააღმდეგენი...

– და თვითონაც ეხმარებოდი! – დაასრულა მუდიმ.

– დოლოჰოვი უკვე შევიპყარით, – განაცხადა კრაუჩმა, – თქვენი დაკავების შემდეგ მალევე დააპატიმრეს.

– მართლა? – თვალები გაუფართოვდა კარკაროვს, – მე... მე ძალიან მიხარია ამის გაგონება.

მაგრამ მისი შემხედვარე ვერ იტყოდი, რომ უხაროდა. ჰარიმ შეატყო, რომ ეს ამბავი მეხივით დაატყდა თავს: ერთი სახელი არ გამოადგა.

– სხვა? – ცივად ჰკითხა კრაუჩმა.

– დიახ... დიახ... როზიერი, – სწრაფად თქვა კარკაროვმა, – ევან როზიერი.

– როზიერი მკვდარია, მასაც თქვენი დაკავებიდან ცოტა ხანში მიაგნეს, მაგრამ აურორებს არ დამორჩილდა და წინააღმდეგობის გაწევის დროს დაიღუპა.

– და ჩემი ცხვირის ნაწილიც შეინირა, – კვლავ გაისმა მარჯვნიდან მუდის ჩურჩული. ჰარიმ ისევ გაიხედა მისკენ და დაინახა, რომ მან დამბლდორს დასახიჩრებულ ცხვირზე ანიშნა.

– ა... ახია მასზე! როზიერმა ეს დაიმსახურა! – კარკაროვის ხმაში უკვე აშკარა პანიკა იგრძნობოდა. როგორც ჩანდა, უკვე შიშობდა, რომ მის ინფორმაციას სამინისტროსთვის ფასი არ ექნებოდა. კარკაროვს თვალი კარისკენ გაექცა, რომლის უკანაც, ცხადია, დემენტორები უცდიდნენ.

– სხვა? – ჰკითხა კრაუჩმა.

– დიახ! – შესძახა კარკაროვმა, – ტრევერსი, მაკკინონების დახოცვაში დიდი როლი შეასრულა! მულციბერი – იმპერიუსის წყევლაში დახელოვნდა და უამრავი ხალხი საშინელ ბოროტმოქმედად აქცია! რუკვუდი – ჯაშუში იყო, სამინისტროს წიაღიდან აწვდიდა სასარგებლო ინფორმაციას მას, ვისი სახელიც არ ითქმის.

ჰარი მიხვდა, რომ ამჯერად კარკაროვის ნათქვამი მიზანს მოხვდა. დარბაზში აღელვებული ჩურჩული გაისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რუკვუდი? – გაიმეორა ბატონმა კრაუჩმა და მის წინ მჯდარ ჯადოქარ ქალს თავი დაუქნია. ქალი მაშინვე ეტრატზე რაღაცის წერას შეუდგა, – ავგუსტუს რუკვუდი საიდუმლო დეპარტამენტიდან?

– დიახ, სწორედ ის, – გულმხურვალედ დაუმოწმა კარკაროვმა, – დანამდვილებით ვიცი, რომ საჭირო ინფორმაციას როგორც მაგიის სამინისტროს გარეთ, ასევე მის შიგნით არსებული ჯაშუშთა ქსელის საშუალებით აგროვებდა!

– ტრევერსი და მულციბერი ჩვენ უკვე დავაკავეთ, – შეაწყვეტინა კრაუჩმა, – ძალიან კარგი, კარკაროვ, თუ ჩვენთვის აღარაფერი გაქვთ სათქმელი, აზკაბანში დაბრუნდებით, სანამ გადავწყვეტთ...

– მოიცადეთ! – სასოწარკვეთით დაიყვირა კარკაროვმა, – მოიცადეთ, ჯერ არ დამიმთავრებია!

ჰარი ჩირაღდნების შუქზე ხედავდა, როგორ ცურავდა კარკაროვი ოფლში. მისი მიტკლისფერი სახე შავ თმასა და წვერთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა.

– სნეიპი! – შესძახა მან, – სევერუს სნეიპი!

– სნეიპი ამ საბჭომ გაამართლა! – ცივად წარმოთქვა კრაუჩმა, – მას თავდებად ალბუს დამბლდორი დაუდგა.

– არა! – დაიღრიალა კარკაროვმა, ჯაჭვების არსებობა დაავიწყდა და წამოდგომა სცადა, – გარწმუნებთ, სევერუს სნეიპი „სიკვდილის მხვრელია“!

დამბლდორი ფეხზე წამოდგა და მშვიდად განაცხადა:

– ამ საკითხთან დაკავშირებით მე უკვე მოგეცით ჩვენება, – მშვიდად განაცხადა მან, – სევერუს სნეიპი ნამდვილად იყო „სიკვდილის მხვრელი“, მაგრამ იგი ლორდ ვოლდემორის დამხობამდე გადმოვიდა ჩვენს მხარეზე და, უდიდესი რისკის საფასურად, ჩვენს აგენტად იქცა. ახლა ის ისეთივე „სიკვდილის მხვრელია“, როგორიც – მე!

ჰარის მუდისკენ გაექცა თვალი. მრისხანეთვალა დამბლდორის ზურგს უკან ეჭვით აქნევდა თავს.

– კარგი, კარკაროვ, – ცივად თქვა კრაუჩმა, – ძალიან დაგვეხმარეთ. თქვენს საქმეს გადავხედავ, დროებით კი საკანს დაუბრუნდებით...

ბატონ კრაუჩის ხმა თანდათან მიწყდა. ჰარიმ მიმოიხედა. ჯურღმული კვამლივით იფანტებოდა, ყველაფერი გაიცრიცა. ჰარი მხოლოდ თავის სხეულს ხედავდა, სხვა დანარჩენი წყვდიადის მორევს შთაენთქა.

მალე ჯურღმული ისევ გამოჩნდა. ჰარი ამჯერად სხვა ადგილას იჯდა, ისევ ყველაზე შემაღლებულ სკამზე, მაგრამ ახლა – ბატონ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრაუჩის მხარმარცხნივ. დარბაზში დაძაბულობა არ იგრძნობოდა, შეიძლება ითქვას, თითქმის მხიარული განწყობა სუფევდა. კედლების გაყოლებაზე ჩამწკრივებული ჯადოქრები ერთმანეთს ისე ემუსაიფებოდნენ, თითქოს სასამართლოს კი არა, ქვიდიჩის მატჩს ესწრებიანო. ჰარის ყურადღება მოპირდაპირე მხარეს, შუა მწკრივში მჯდარმა ჯადოქარმა ქალმა მიიპყრო. მოკლედ შეჭრილი ქერა თმა ჰქონდა, ალისფერი მანტია ეცვა და მჭახე ზურმუხტისფერი ბატის ფრთის წვერს წუწნიდა. ეს, რა თქმა უნდა, უფრო ახალგაზრდა რიტა სკიტერი ბრძანდებოდა. ჰარიმ გვერდზე გაიხედა. მის გვერდით ისევ დამბლდორი იჯდა, ოღონდ სხვა მანტია ემოსა. ბატონი კრაუჩი უფრო გადაღლილი, გამხდარი და დაღვრემილი ჩანდა. და ჰარი მიხვდა: ეს სხვა მოგონება იყო, სხვა დღე, სხვა სასამართლო პროცესი...

კარი გაიღო და დარბაზში ლუდო ბეგმანი შემოვიდა. მაგრამ ეს ბეგმანი არაფრით ჰგავდა ჰარის ნაცნობ უკვე ასაკოვან ლუდო ბეგმანს. ეს იყო მაღალი, წარმოსადეგი, დაკუნთული, საუკეთესო სპორტულ ფორმაში მყოფი. ცხვირიც ჯერ კიდევ მთელი ჰქონდა. ბეგმანს მოუსვენრობა დაეტყო, როცა სკამზე ჯდებოდა, მაგრამ, კარკაროვისგან განსხვავებით, ის ჯაჭვებს არ დაუბამს. ბეგმანი, ეტყობა, ამან გაამხნევა, დამსწრეები მოათვალიერა, ერთი-ორს ხელი დაუქნია და ოდნავ გაღიმებაც კი მოახერხა.

– ლუდო ბეგმან, ჯადოქართა სასამართლო საბჭოს წინაშე წარდექით, რათა უპასუხოთ ბრალდებას „სიკვდილის მხვრელთა“ საქმიანობასთან დაკავშირებით, – განაცხადა ბატონმა კრაუჩმა, – ჩვენ მოვისმინეთ თქვენ წინააღმდეგ მოწმეთა ჩვენება და სანამ განაჩენს გამოვიტანთ, უფლება გეძლევათ, საბოლოო სიტყვა წარმოთქვათ. გსურთ, რამე დაუმატოთ თქვენს ჩვენებას?

ჰარი ყურებს არ უჯერებდა. ლუდო ბეგმანი – „სიკვდილის მხვრელი“?

ბეგმანმა დარცხვენით გაიღიმა:

– მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ვიცი, ნამდვილი იდიოტივით მოვიქეცი...

სკამებზე მსხდომთაგან ერთი-ორმა ჯადოქარმა მოწყალედ გაიღიმა. მაგრამ, როგორც ჩანდა, ბატონი კრაუჩი მათ კეთილგანწყობას არ იზიარებდა. ლუდო ბეგმანს უკიდურესად მკაცრი და სიძულვილით აღსავსე გამომეტყველებით დასცქეროდა.

– რაც მართალია, მართალია, – დაცინვით ჩაიბურტყუნა ვილაცამ ჰარის ზურგს უკან. ჰარიმ მიიხედა და ისევ მუდი დაინახა, რომელიც დამბლდორს მიმართავდა: – დაბადებიდან გონებაჩ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუნგი რომ არ იყოს, ვიფიქრებდი, რომ ერთ-ერთმა ბლაჯერმა სამუდამოდ გამოულაყა ტვინი.

– ლუდოვიკ ბეგმან, თქვენ ფაქტზე წაგასწრეს სწორედ იმ დროს, როდესაც ლორდ ვოლდემორის მომხრეს ინფორმაციას აწვდიდით, – განაცხადა ბატონმა კრაუჩმა, – ამისათვის მე მოვითხოვ, მოგესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა, არანაკლებ...

დამსწრეებიდან უკმაყოფილო შეძახილები გაისმა. რამდენიმე ჯადოქარი ფეხზე წამოხტა, უარის ნიშნად თავს აქნევდნენ და ბატონ კრაუჩს მუშტებსაც კი უღერებდნენ.

– ხომ გითხარით, საქმის კურსში არ ვიყავი-მეთქი! – გულწრფელად შესძახა ხალხის ჟრიამულში ბეგმანმა და მრგვალი ცისფერი თვალები გაუფართოვდა, – აზრზე არ ვიყავი, რა ხდებოდა! ბებერი რუკვუდი მამაჩემის ძველი მეგობარია... რას წარმოვიდგენდი, თუ ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე მუშაობდა. მეგონა, სამინისტროსთვის ვაგროვებდი სასარგებლო ინფორმაციას! რუკვუდი სამინისტროში მოწყობას მპირდებოდა... სამომავლოდ... როცა ქვიდიჩიდან წავალ... აბა, მთელი ცხოვრება ბლაჯერებს ხომ არ შევუშვერ თავს?!

დარბაზში აქა-იქ ჩაიცინეს.

– ამ საკითხს კენჭისყრაზე ვაყენებ, – ცივად გამოაცხადა კრაუჩმა და სარდაფის მარჯვენა ფრთას მიუბრუნდა, – ნაფიც მსაჯულებს ვთხოვ, ვინც დაპატიმრების მომხრეა, ხელი ასწიოს...

ჰარიმ მარჯვნივ გაიხედა. არც ერთმა მსაჯულმა არ ასწია ხელი. ჯადოქრების უმრავლესობამ ტაში დასცხო. ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯული ქალი წამოდგა.

– გისმენთ! – შეუღრინა კრაუჩმა.

– ჩვენ გვინდა, ბატონ ბეგმანს მივულოცოთ ბრწყინვალე თამაში შაბათს თურქეთის წინააღმდეგ გამართულ მატჩზე, – სულმოუთქმელად მიაყარა ჯადოქარმა ქალმა.

ბატონ კრაუჩს მრისხანებისგან სახე მოექცა. სარდაფს კი უკვე ტაშის გრიალი აზანზარებდა. ბეგმანი წამოდგა და სახეგაბრწყინებულმა დაუკრა თავი დამსწრე საზოგადოებას.

– რა უმსგავსობაა, – გაცოფებული მიუბრუნდა ბატონი კრაუჩი დამბლდორს, როცა ბეგმანი დარბაზიდან გავიდა, – მაგასაც ვნახავთ, როგორ მოაწყობს რუკვუდი სამინისტროში... ის დღე, როცა ლუდო ბეგმანი ჩვენი თანამშრომელი გახდება, ძალზე სამწუხარო დღე იქნება სამინისტროსთვის...

ჯურღმული ისევ ნისლში ჩაიძირა. შემდეგ ისევ გამოჩნდა. ჰარიმ ირგვლივ მიმოიხედა. ის და დამბლდორი ბატონ კრაუჩის გვერდით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისხდნენ, მაგრამ ამჯერად სრულებით განსხვავებული ატმოსფერო სუფევდა. სამარისებურ სიჩუმეს დროდადრო მხოლოდ ბატონ კრაუჩის გვერდით მჯდომი ავადმყოფური შესახედაობის გამხდარ-გალეული ქალის ყრუ ქვითინი არღვევდა. ქალი აკანკალებული ხელებით პირზე ცხვირსახოცს იფარებდა. ჰარიმ კრაუჩს შეხედა. კრაუჩი კიდევ უფრო მოტეხილი და გაჭაღავებული ჩანდა. საფეთქელზე ძარღვი უფეთქავდა.

– შემოიყვანეთ, – ბრძანა მან და მისმა ხმამ გატრუნულ ჯურღმულში ექო გამოსცა.

კუთხეში კარი კვლავ გაიღო. ამჯერად დარბაზში ექვსი დემენტორი შემოვიდა და ოთხი პატიმარი შემოიყვანა. ჰარის არ გამოეპარა, რომ ბევრმა ჯადოქარმა ბატონ კრაუჩისკენ ცნობისმოყვარედ მიატრიალა თავი. ზოგმა მეზობელს რაღაცა გადაუჩურჩულა. დემენტორებმა ოთხივე პატიმარი დარბაზის შუაგულში ოთხ ჯაჭვებშებმულ სკამზე დასხეს. მათში ყველაზე მსუქანმა კაცმა უაზრო გამომეტყველებით ახედა კრაუჩს, უფრო გამხდარი და ნერვიული კაცი თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. ქალი, რომელსაც სქელი, შავი, მბზინავი თმა და მძიმე ქუთუთოები ჰქონდა, ჯაჭვებიან სკამზე ისე იჯდა, თითქოს სამეფო ტახტზეა დაბრძანებული. ოც წლამდე ასაკის ბიჭი კი შიშით ცახცახებდა, ჩალისფერი თმა სახეზე ჩამოჰყროდა, რძისფერ კანზე ჭორფლი ეყარა. კრაუჩის გვერდით მჯდარი გამხდარ-გალეული ქალი სკამზე წინ და უკან რწევას მოჰყვა, თან ცხვირსახოცში სახეჩარგული გულამოსკვნით ქვითინებდა.

კრაუჩი წამოდგა. მის წინაშე მჯდარ ოთხეულს დახედა და სახეზე უსაზღვრო სიძულვილი აღებეჭდა.

– თქვენ წარსდექით ჯადოქართა სასამართლო საბჭოს წინაშე, – კრაუჩი მკაფიოდ წარმოთქვამდა თითოეულ სიტყვას, – რათა განაჩენი გამოგიტანოთ დანაშაულისთვის, რომელიც იმდენად საზარელია...

– მამა, – შესძახა ჩალისფერთმიანმა ბიჭმა, – მამა... გეხვეწები...

– ... რომ მისი მსგავსი ამ დარბაზს ჯერ არ მოუსმენია, – ხმა აიმაღლა კრაუჩმა, რომ შვილის ყვირილი გადაეფარა, – ჩვენ მოვისმინეთ თქვენ წინააღმდეგ მოცემული ჩვენება. თქვენ ოთხს ბრალად გედებათ, თქვენი გადახვეწილი მბრძანებლის ადგილსამყოფელის შეტყობის მიზნით აურორის, ფრენკ ლონგბოტომის, შეპყრობა და მისი კრუციატუსის წყევლით წამება.

– მამა, მე არაფერ შუაში ვარ! – შეჰყვირა სკამზე მიჯაჭვულმა ბიჭმა, – მე არა, გეფიცები, მამა! დემენტორებთან არ დამაბრუნო...

– ასევე ბრალად გედებათ, – დაუღრიალა ბატონმა კრაუჩმა, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრუციატუსის წყევლის გამოყენება ქალბატონ ლონგბოტომის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც მისი მეუღლისაგან სასურველი ინფორმაცია ვერ მიიღეთ. თქვენ მიზნად დაისახეთ მისი ძალაუფლების აღდგენა, ვისი სახელიც არ ითქმის, და იმ კრიმინალური საქმიანობის გაგრძელება, რომელსაც, სავარაუდოდ, მისი თარეშის დროს ეწეოდით. მე ვთხოვ ნაფიც მსაჯულებს...

– დედა! – შეჰკივლა ბიჭმა და გამხდარ-გალეული ქალი ისევ წინ და უკან მოჰყვა ქანაობას, – დედა, შეაჩერე! დედა, ეს მე არ ჩამიდენია, მე უდანაშაულო ვარ!

– ნაფიც მსაჯულებს ვთხოვ, ხელი ასწიონ, – დაიყვირა ბატონმა კრაუჩმა, – თუ მათ ჩემსავით მიაჩნიათ, რომ ეს დანაშაული აზკაბანში სამუდამო პატიმრობას იმსახურებს.

დარბაზის მარჯვენა მხარეს ჯადოქრებმა ერთსულოვნად ასწიეს ხელი. კედლების გასწვრივ მსხდომმა საზოგადოებამ ტაში დაუკრა, როგორც მაშინ – ბეგმანს, მაგრამ ამჯერად ყველას სახეზე პირქუში კმაყოფილება ეწერა. ბიჭი აღრიალდა:

– არა, დედა, არა! ეს მე არ ჩამიდენია! ეს მე არ მიქნია! მე არაფერი არ ვიცოდი! არ გამგზავნოთ იქ! არ მისცე უფლება მამას, იქ გამიშვას!

დარბაზში დემენტორები დაბრუნდნენ. სამნი ხმის ამოუღებლად წამოდგნენ, მძიმექუთუთოებიანმა ქალმა კრაუჩს ასძახა:

– ბნელი ბატონი კვლავ აღდგება, კრაუჩ! ჩაგვყარე აზკაბანში, ჩვენ იქაც დაველოდებით! ის მოვა და გაგვათავისუფლებს! იგი ჩვენ ყველა სხვა მომხრეზე უმეტეს პატივს მოგვაგებს! მხოლოდ ჩვენ ვუერთგულეთ ბოლომდე! მხოლოდ ჩვენ ვცადეთ მისი პოვნა!

ბიჭი კი დემენტორებს უძალიანდებოდა, თუმცა, ჰარი ხედავდა, რომ მათი ცივი, გამომფიტავი ძალა უკვე იწყებდა მასზე მოქმედებას. დარბაზში დამცინავი შეძახილები გაისმა. ზოგი ჯადოქარი ფეხზე წამოდგა. ქალი სწრაფად გავიდა ოთახიდან, ბიჭი კი არაფრით ნებდებოდა.

– მე ხომ შენი შვილი ვარ! – განწირული ხმით უყვირა კრაუჩს, – შენი შვილი!

– შენ ჩემი შვილი არა ხარ! – დასჭექა ბატონმა კრაუჩმა და თვალები გადმოეკარკლა, – მე შვილი არა მყავს!

გამხდარ-გალეულ ქალს გმინვა აღმოხდა და სავარძელში გულწასული მიესვენა. ბატონმა კრაუჩმა, ეტყობა, ეს ვერ შეამჩნია.

– აქედან გაიყვანეთ! – დაუღრიალა პირზე დუჟმომდგარმა დემენტორებს, – აქედან გაიყვანეთ! დაე, დალპნენ იქ!

– მამა! მამა! მე უდანაშაულო ვარ! არა, არა, მამა, გეხვეწები!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, მგონი, დროა, ჩემს კაბინეტში დაბრუნდე, – ჩაესმა ყურში ვილაცის მშვიდი ხმა.

ჰარი შეკრთა და თავი მოატრიალა. შემდეგ მეორე მხარეს გაიხედა.

მის მარჯვნივ ალბუს დამბლდორი იჯდა და უყურებდა, როგორ მიათრევდნენ დემენტორები კრაუჩის ვაჟს. მარცხნივაც ალბუს დამბლდორი იყო და პირდაპირ ჰარის შესცქეროდა.

– წამოდი, – უთხრა მარცხენა დამბლდორმა და იდაყვში მოჰკიდა ხელი. ჰარიმ იგრძნო, რომ ჰაერში აიწია. მიწისქვეშეთი კვამლივით გაიფანტა. წამით ყველაფერი სიბნელემ მოიცვა, ჰარი აუჩქარებლად ამოტრიალდა ჰაერში და ორივე ფეხით მძიმედ დახტა დირექტორის თვალისმომჭრელი მზით განათებულ კაბინეტში. წინ, კარადაში, ქვის ჯამი ციალებდა, გვერდით კი ალბუს დამბლდორი ედგა.

– პროფესორო, ვიცი, რომ არ უნდა... არ მინდოდა... კარადის კარი ოდნავ გამოღებული იყო და... – აბუტბუტდა ჰარი.

– სავსებით მესმის შენი, – დამბლდორმა ჯამი აიღო, საწერი მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირზე დადო, თვითონ მაგიდას მიუჯდა და ხელით ანიშნა ჰარის, მის პირდაპირ დამჯდარიყო.

ჰარი დაჯდა, მაგრამ ქვის ჯამს თვალს მაინც ვერ აშორებდა. ჯამის შიგთავსი ისევ მოვერცხლისფრო-მოთეთრო გახდა, მისი მბრუნავი ზედაპირი დროდადრო ტალღებივით იქოჩრებოდა.

– ეს რა არის? – მოკრძალებით ჰკითხა ჰარიმ დირექტორს.

– ეს? ამას საფიქრელა ეწოდება, – აუხსნა დამბლდორმა, – ზოგჯერ აღმოვაჩენ ხოლმე, რომ თავი ფიქრებითა და მოგონებებით ძალიან გადამეტვირთა. ალბათ, ეს გრძნობა შენთვისაც ნაცნობია.

– ისა... – ჰარის გულახდილად რომ ეთქვა, მსგავსი რამ არასოდეს უგრძნია.

– ასეთ დროს საფიქრელას ვიყენებ, – დამბლდორმა ქვის ჯამზე ანიშნა, – შეგიძლია, ზედმეტი ფიქრები გონებიდან იოლად გამოდევნო, საფიქრელაში ჩაღვარო და თავისუფალ დროს აუჩქარებლად გადაავლო თვალი. იცი, როდესაც ფიქრები ასეთ მდგომარეობაშია, უფრო ადვილია მათი შინაარსისა და ურთიერთკავშირის დადგენა.

– იმის თქმა გინდათ, რომ... ეს რაღაცა თქვენი ფიქრებია? – ჰარი გაოცებული დააცქერდა ჯამში წრიულად მბრუნავ ნივთიერებას.

– რასაკვირველია, – მიუგო დამბლდორმა, – აი, შეხედე.

დამბლდორმა მანტიის ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოაძვრინა, ჯოხის წვერი საფეთქელთან შეევერცხლილ თმას შეახო და ნელა მოაშორა. ჰარის მოეჩვენა, რომ ჯოხის წვერს ჭაღარა თმის ღერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიეკრა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სინამდვილეში, ეს იყო მოელვარე ძაფი იმავე უცნაური მოვერცხლისფრო-მოთეთრო ნივთიერებისა, რომლითაც საფიქრელა იყო სავსე. დამბლდორმა ახალი ფიქრი ჯამს დაუმატა და გაოცებულმა ჰარიმ დაინახა, რომ ჯამის ზედაპირზე მისი სახე ამოცურდა.

დამბლდორმა გრძელი თითები საფიქრელას ორივე მხარეს ჩაავლო და მსუბუქად შეაჯანჯღარა, სწორედ ისე, როგორც ოქროს მაძიებელი აჯანჯღარებს ხოლმე საცერს ოქროს ქვიშის საპოვნელად. ჰარის სახე, ანაზდად, სნეიპის სახედ იქცა, რომელმაც პირი დააღო და სუსტი, ექოსავით შორეული ხმით ჭერს მიმართა:

– უფრო მკაფიო გახდა... კარკაროვისაც... უწინდელზე უფრო ძლიერი და მკვეთრი ხდება...

– ამ კავშირის დადგენას დახმარების გარეშეც მოვახერხებდი, – ამოიოხრა დამბლდორმა, – მაგრამ არა უშავს.

მან ნახევარმთვარისებური სათვალის ზემოდან გადმოხედა ჰარის. პირდაღებული ჰარი თვალს ვერ სწყვეტდა სნეიპის სახეს, რომელიც ისევ ჯამის ზედაპირზე ტრიალებდა.

– როდესაც ფაჯი ჩემთან შესახვედრად მობრძანდა, საფიქრელას ვიყენებდი და ნაჩქარევად შევინახე. როგორც ჩანს, კარადის კარი ღია დამრჩა. ბუნებრივია, რომ მან შენი ყურადღება მიიქცია...

– ბოდიშს გიხდით, – წაილუღლუღა ჰარიმ. დამბლდორმა თავი გაიქნია.

– ცნობისმოყვარეობა ცოდვა არ არის, მაგრამ, ამავე დროს, სიფრთხილეც არ უნდა დავივიწყოთ... დიახ... ნამდვილად...

ოდნავ შუბლშეჭმუხნილი დამბლდორი ჯამში მოქცეულ ფიქრებს ჯოხის წვერით შეეხო. ჯამიდან მყისვე თექვსმეტიოდე წლის ფუმფულა, რაღაცაზე ნაწყენი გოგონას ფიგურა წამოიმართა, რომელმაც ნელა დაიწყო ტრიალი. ფეხები საფიქრელაში ჰქონდა. ჰარისა და დამბლდორს თითქოს ვერც კი ამჩნევდა. როგორც კი დაილაპარაკა, მისი ხმაც, პროფესორ სნეიპის ხმის მსგავსად, ექოსავით ყრუდ გაისმა, თითქოს ეს ხმა ქვის ჯამის სიღრმიდან ამოდიოდა:

– მომაჯადოვა, პროფესორო დამბლდორ, მე კი არაფერი დამიშავებია, მხოლოდ ვაბრაზებდი, სერ. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ დავინახე, სამშაბათს სათბურის უკან ფლორენსს როგორ კოცნიდა...

– კი მაგრამ, რატომ, ბერტა? – ნაღვლიანად ჰკითხა დამბლდორმა ჯამში მდუმარედ მბრუნავ გოგონას, – არ მესმის, რაში დაგჭირდა მისი თვალთვალი.

– ბერტა? – დაიჩურჩულა ჰარიმ და გოგონას ახედა, – ეს არის... ეს იყო ბერტა ჯორკინსი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – დამბლდორმა ისევ მოურია ფიქრებს ჯამში. ბერტა მათში ჩაიძირა და ნივთიერებაც ისევ ვერცხლისფერი და ბლანტი გახდა, – ასეთი მახსოვს ბერტა სკოლის დროიდან.

საფიქრელადან ამოჭრილმა ვერცხლისფერმა შუქმა დამბლდორს სახე ქვემოდან გაუნათა და ჰარი უცებ გაოცდა, რა მოხუცებული ყოფილაო. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ დამბლდორი ხანდაზმული იყო, მაგრამ რატომღაც მაინც არასდროს მიაჩნდა ბერიკაცად.

– აბა, ჰარი სანამ ჩემს ფიქრებში ჩაიძირებოდი, ჩემთვის რაღაცის თქმა გინდოდა, არა? – ხმადაბლა ჰკითხა დამბლდორმა

– დიახ, პროფესორო, მე ახლახან მისნობის გაკვეთილზე ვიყავი და ისა... ჩამეძინა...

ჰარი საყვედურის მოლოდინში გაიტრუნა, მაგრამ დამბლდორმა მხოლოდ ეს თქვა:

– შენი კარგად მესმის, განაგრძე...

– სიზმარი ვნახე... სიზმარი ლორდ ვოლდემორზე... გრძელკუდას აწამებდა. ხომ იცით, გრძელკუდა ვინ...

– ვიცი, ვინ არის გრძელკუდა, – მყისვე უპასუხა დამბლდორმა, – თუ შეიძლება, გააგრძელე...

– ვოლდემორს ბუმ წერილი მიუტანა. მან, დაახლოებით, ასეთი რამე თქვა: გრძელკუდას მძიმე შეცდომა გამოსწორდაო. შემდეგ დაამატა, რომ გრძელკუდას გველს აღარ შეაჭმევდა. ჰო, მის სკამთან გველი იწვა. ვოლდემორმა თქვა... თქვა, რომ მის ნაცვლად ჩემს თავს შეაჭმევდა გველს. შემდეგ გრძელკუდას კრუციატუსის წყევლა მოუვლინა... ამ დროს ნაიარევი ამტკივდა. ისე ამტკივდა, რომ გამეღვიძა.

დამბლდორი მდუმარედ უყურებდა ჰარის.

– მმმ... სულ ეს არის, – დაასრულა ჰარიმ.

– გასაგებია, – მშვიდად თქვა დამბლდორმა, – გასაგებია. წელს ნაიარევი, ზაფხულის არდადეგებს თუ არ ჩავთვლით, სხვა დროსაც ხომ არ აგტკიებია?

– არა, მე... საიდან იცით, რომ ზაფხულში ნაიარევი ამტკივდა? – განცვიფრდა ჰარი.

– შენ ერთადერთი არა ხარ, ვისაც სირიუსთან მიწერ-მოწერა აქვს, – უპასუხა დამბლდორმა, – მეც მაქვს მასთან კავშირი, შარშანდელს აქეთ, რაც ჰოგვორტსიდან გააპარეთ. სწორედ მე ვურჩიე, თავი მთის გამოქვაბულისთვის შეეფარებინა. ეს მისთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილია.

დამბლდორი წამოდგა და საწერი მაგიდის უკან ბოლთისცემას მოჰყვა. დროდადრო ჯადოსნური ჯოხის წვერი საფეთქელთან მიჰქონდა, თავიდან ვერცხლისფრად მბრწყინავ ფიქრს იღებდა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საფიქრელაში უმატებდა. ჯამში ფიქრები ისე სწრაფად დატრიალ-დნენ, რომ ჰარი გარკვევით ველარაფერს ხედავდა. მხოლოდ ერთმა-ნეთში არეული ფერები ჩანდა.

– პროფესორო, – ორიოდე წუთის შემდეგ გაუბედავად მიმართა ჰარიმ. დამბლდორმა ბოლთისცემა შეწყვიტა და ჰარის შეხედა.

– უკაცრავად, – მოუბოდიშა წყნარად და მაგიდას მიუჯდა.

– თქვენ... თქვენ ხომ არ იცით, რატომ მტკივა ნაიარევი?

დამბლდორი დაკვირვებით მიაჩერდა.

– მე მხოლოდ ვარაუდი მაქვს, მხოლოდ ვარაუდი და მეტი არაფერი... ჩემი აზრით, ნაიარევი მაშინ გტკივა, როდესაც ლორდი ვოლ-დემორი შენთან ახლოს იმყოფება, ან მაშინ, როდესაც სიძულვილის განსაკუთრებით ძლიერ მოზღვავებას განიცდის.

– კი მაგრამ... რატომ?

– იმიტომ, რომ შენ და ის დაკავშირებულნი ხართ იმ წყევლით, რომელმაც არ გაჭრა, – აუხსნა დამბლდორმა, – ეს ჩვეულებრივი ნაიარევი არ არის.

– ესე იგი, თქვენ ფიქრობთ... ის სიზმარი... ეს მართლა მოხდა?

– შესაძლებელია. მე ვიტყოდი, სარწმუნოა. ჰარი... ვოლდემორი დაინახე?

– არა, – უპასუხა ჰარიმ, – მხოლოდ მისი სავარძლის საზურგე. მაგრამ... იქ სანახავიც ხომ არაფერი იქნებოდა. იმას ვგულისხმობ, რომ... მას სხეული ხომ არა აქვს? მაგრამ... მაშინ ჯადოსნური ჯოხი როგორ ეჭირა ხელში? – ყოყმანით თქვა ჰარიმ.

– მართლაც, როგორ? – ჩაიბუტბუტა დამბლდორმა, – მართლაც, როგორ...

მცირე ხნით ორივენი ჩუმად ისხდნენ. დამბლდორს სივრცისთვის გაეშტერებინა თვალი, ხანდახან ჯადოსნური ჯოხის წვერს საფეთ-ქელზე იდებდა და მბრწყინავ, ვერცხლისფერ ფიქრს უმატებდა საფიქრელაში მოთუხთუხე მასას.

– პროფესორო, – დუმილი დაარღვია ჰარიმ, – როგორ ფიქრობთ, ის ძალებს იკრებს?

– ვოლდემორი? – დამბლდორმა ჰარის საფიქრელას ზემოდან გადმოხედა. ეს დამბლდორისთვის დამახასიათებელი გამჭოლი მზე-რა იყო. ასე სხვა დროსაც შეუხედავს და ჰარის ყოველთვის ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს დამბლდორი მას რენტგენის სურათს ულებდა. ამას მუდის ჯადოსნური თვალიც კი ვერ ახერხებ-და, – ჰარი, მე ისევ მხოლოდ ჩემი ეჭვები შემიძლია გაგიზიარო.

დამბლდორმა ამოიოხრა და ჩვეულებრივზე უფრო მოხუცი და გადაღლილი გამოჩნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვოლდემორის აღზევების წლები ხასიათდებოდა ხშირი გაუჩინარებებით. ბერტა ჯორკინსი უგზო-უკვლოდ დაიკარგა იმ ადგილას, სადაც, სარწმუნო ცნობებით, ბოლოს ვოლდემორი ნახეს. ბატონი კრაუჩიც გაუჩინარდა... სწორედ აქ, სკოლის შემოგარენში. მოხდა კიდევ ერთი გაუჩინარების ფაქტი, რომელსაც სამინისტრო, სამწუხაროდ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან საქმე ამჯერად მაგლს ეხება. მას ფრენკ ბრაისი ერქვა. ბრაისი იმ სოფელში ცხოვრობდა, სადაც ვოლდემორის მამა გაიზარდა. გასული აგვისტოდან მოყოლებული, ის აღარავის უნახავს. იცი, მე ჩემი სამინისტროელი მეგობრებისგან განსხვავებით, მაგლურ გაზეთებსაც ვკითხულობ.

დამბლდორმა ძალიან სერიოზულად შეხედა ჰარის.

– ჩემი აზრით, ეს გაუჩინარებები ერთმანეთთან კავშირშია. სამინისტრო არ მეთანხმება, როგორც, ალბათ უკვე თავად მოისმინე, სანამ გარეთ, ჩემი კაბინეტის კართან იცდიდი.

ჰარიმ თავი დაუქნია. ისევ სიჩუმე ჩამოწვა. დამბლდორი დროგამოშვებით ფიქრებს აძევებდა გონებიდან. ჰარი გრძნობდა, რომ მისი წასვლის დრო დადგა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სკამზე მიაჯაჭვა.

– პროფესორო, – შეჰბედა ისევ.

– გისმენ, ჰარი, – გაეპასუხა დამბლდორი.

– ისა... შეიძლება, გკითხოთ... იმ სასამართლოს თუ რაღაცის შესახებ, რომელშიც მე ვიყავი... ამ საფიქრელაში?

– შეიძლება, – ამოიოხრა დამბლდორმა, – მე მას ძალიან ბევრჯერ დავსწრებივარ, მაგრამ ზოგიერთი პროცესი სხვებზე უფრო ნათლად შემახსენებს ხოლმე თავს... განსაკუთრებით, ახლა...

– იცით... ის სასამართლო პროცესი, რომელშიც თქვენ მიპოვეთ, კრაუჩის ვაჟს რომ ასამართლებდნენ... ისინი ნევილის მშობლებზე ლაპარაკობდნენ?

დამბლდორმა თვალი თვალში გაუყარა.

– ნევილს არასოდეს უთქვამს, რატომ ზრდის ბებია?

ჰარიმ უარის ნიშნად თავი გააქნია, თან გაოცებული იყო, ეს როგორ მომივიდა, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში მისთვის ერთხელაც არ მიკითხავს ამის შესახებო.

– დიახ, ნევილის მშობლებზე ლაპარაკობდნენ, – თქვა ბოლოს დამბლდორმა, – მისი მამა, ფრენკი, პროფესორ მუდის მსგავსად, აურორი იყო. როგორც თავად მოისმინე, ის და მისი მეუღლე აწამეს იმ მიზნით, რომ მათგან ძლევამოსილებადაკარგული ვოლდემორის ადგილსამყოფელი შეეტყოთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესე იგი, დაიღუპნენ? – ხმადაბლა იკითხა ჰარიმ.

– არა, – დამბლდორს ხმაში ისეთი ნაღველი გაერია, როგორიც ჰარის წინათ არასოდეს შეუმჩნევია, – სულით ავადმყოფები არიან. ორივენი მაგიური სნეულებებისა და ტრავმების წმინდა მუნგოს სახელობის საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი. რამდენადაც ვიცი, ნევილი მათ ბებიასთან ერთად არდადეგებზე ნახულობს ხოლმე. ისინი შვილს ვერ ცნობენ.

ჰარი თავზარდაცემული იჯდა. ეს როგორ მოხდა... ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოსვლია აზრად, ნევილისთვის რამე ეკითხა...

– ლონგბოტომების ოჯახი ცნობილი და ყველასათვის პატივცემული იყო, – განაგრძო დამბლდორმა, – მათზე თავდასხმა ვოლდემორის დამხობის შემდეგ მოხდა, როცა ყველას ეგონა, რომ საფრთხემ ჩაიარა. ამ თავდასხმამ არნახული მრისხანების ტალღა გამოიწვია. სამინისტრო დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა, მისგან მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ეპოვა დამნაშავეები. ლონგბოტომების ჩვენება, მათი მდგომარეობის გამო, არცთუ ისე სანდო იყო.

– ესე იგი, ბატონ კრაუჩის ვაჟი, შეიძლება სრულიად უდანაშაულო იყო! – ყოყმანით თქვა ჰარიმ.

– ამის შესახებ არაფერი არ ვიცი, – თავი გააქნია დამბლდორმა.

ჰარი ისევ ჩუმად იჯდა და საფიქრელაში ფიქრების ტრიალს ადევნებდა თვალს. კიდევ ორი კითხვა აწუხებდა, მაგრამ ისინი ცოცხალი ადამიანების ბრალეულობას შეეხებოდა...

– ისა... – გაბედა ბოლოს, – ბატონი ბეგმანი...

– მას შემდეგ არასდროს დაუდანაშაულებიათ ბნელ ძალებთან კავშირში, – მშვიდად გასცა პასუხი დამბლდორმა.

– გასაგებია, – საჩქაროდ უპასუხა ჰარიმ და ისევ საფიქრელას შიგთავსს მიაჩერდა, რომელიც უფრო დინჯად ტრიალებდა, რადგან დამბლდორმა ფიქრების ჩამატება შეწყვიტა, – და, ისა...

მაგრამ მის მაგივრად თითქოს საფიქრელამ დასვა კითხვა. ზედაპირზე კვლავ სნეიპის სახე ამოტივტივდა. დამბლდორმა ჯერ მას შეხედა, შემდეგ ჰარის მიუბრუნდა.

– არც პროფესორი სნეიპი, – თქვა წყნარად.

ჰარი დამბლდორს ღია ცისფერ თვალებში ჩააცქერდა და უცებ წამოისროლა ის კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა:

– პროფესორო, რამ გაფიქრებინათ, რომ ის ვოლდემორის მომხრე აღარ არის?

დამბლდორი რამდენიმე წამს თვალებში უყურებდა ჰარის, შემდეგ მიუგო:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, ეს ჩემი და პროფესორ სნეიპის საქმეა.

ჰარი მიხვდა, რომ საუბარი დასრულდა. დამბლდორი გაბრაზებული არ ჩანდა, მაგრამ მისმა ხმამ რაღაცნაირად უკარნახა, რომ წასვლის დრო იყო. ჰარი წამოდგა. წამოდგა დამბლდორიც.

– ჰარი, – დაუძახა მან, როცა ჰარი კართან მივიდა, – გთხოვ, ნურავის ეტყვი ნევილის მშობლების ამბავს. მას აქვს უფლება, მაშინ გაუმხილოს სხვებს, როცა ამისათვის მზად იქნება.

– კარგი, პროფესორო, – ჰარი წასასვლელად მიბრუნდა.

– და...

ჰარიმ უკან მიიხედა. დამბლდორი საფიქრელას თავს დასდგომოდა, ჯამიდან ამოჭრილი ვერცხლისფერი ათინათი სახეზე დასთამაშებდა და ძალიან მხცოვანი ჩანდა. მან წამით ჩუმად უცქირა ჰარის, შემდეგ კი უთხრა:

– წარმატებას გისურვებ მესამე ტურში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთერთმეტე

მესამე დავალება

– მაშ, დამბლდორიც ფიქრობს, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის ძალას იკრებს? – ჩურჩულით იკითხა რონმა.

ყველაფერი, რაც ჰარიმ საფიქრელაში ნახა, თითქმის ყველაფერი, რაც დამბლდორმა უჩვენა და უამბო, რონსა და ჰერმიონს გაანდო, და, რასაკვირველია, დირექტორის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე სირიუსსაც გაუგზავნა ბუ.

და აი, ჰარი, რონი და ჰერმიონი იმ საღამოს ისევ გვიანობამდე დარჩნენ საერთო ოთახში და ყველაფერზე იმდენ ხანს იმსჯელეს, სანამ ჰარის თავბრუ არ დაესხა. და მაშინღა მიხვდა, რას გულისხმობდა დამბლდორი, როცა თქვა, ზოგჯერ თავი ფიქრებით ისე მევსება, ნამდვილი შვებაა მათი გამოძევებაო.

რონი ბუხარში დანთებულ ცეცხლს მიშტერებოდა. თბილი საღამო იდგა, მაგრამ რონს მაინც აჟრჟოლებდა. ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე იკითხა:

– ესე იგი, სნეიპს მაინც ენდობა? იცის, რომ ადრე „სიკვდილის მხვრელი“ იყო და მაინც თვალდახუჭული ენდობა?

– კი, – თავი დაუქნია ჰარიმ.

ჰერმიონს ათი წუთის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს, თავზე ხელები შემოეწყო და თავის მუხლებს დასჩერებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ერთი საფიქრელა მასაც არ აწყენდა. დიდი ფიქრის შემდეგ უცებ წაიბუტბუტა:

– რიტა სკიტერი.

– რიტა სკიტერი რა შუაშია? – ყურებს არ დაუჯერა რონმა.

– შუაში კი არაა, – თავის მუხლებს მიმართა ჰერმიონმა, – უბრალოდ, მის ნათქვამზე ვფიქრობ... გახსოვთ, „სამ ცოცხში“ რომ მითხრა, მე ლუდო ბეგმანზე ისეთი რაღაცეები ვიცი, თმა ყალყზე დაგიდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გებაო. ალბათ, სწორედ ამ ამბავს გულისხმობდა. რიტამ ბეგმანის სასამართლო პროცესი გააშუქა და იცის, რომ ბეგმანი „სიკვდილის მხვრელებს“ ინფორმაციას აწვდიდა. და ვინკის სიტყვები აღარ გახსოვთ? „ბატონი ბეგმანი ცუდი ჯადოქარია.“ ბატონი კრაუჩი, ალბათ, გაცოფებული იყო, ბეგმანი სასჯელს რომ დაუძვრა და ამაზე სახლშიც ლაპარაკობდა.

– კი მაგრამ, ბეგმანი ვითომ შეგნებულად აწვდიდა ინფორმაციას? ჰერმიონმა მხრები აიჩეჩა.

– ფაჯს კი ეჭვი აქვს, რომ კრაუჩს მადამ მაქსიმი დაესხა თავს, არა? – ისევ ჰარის მიუბრუნდა რონი.

– ჰო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კრაუჩი ბობატონის ეტლის მახლობლად გაუჩინარდა.

– გახსოვთ, ეგ ქალი მაინცდამაინც არც ჩვენ გვეხატებოდა გულზე, – შეახსენა მეგობრებს რონმა, – არ დაგავიწყდეთ, რომ გოლიათის სისხლი აქვს და ამას მალავს...

– რა გასაკვირია, რომ მალავს, – მკვახედ მიახალა ჰერმიონმა, – ხომ ნახეთ, რა დაემართა ჰაგრიდს, როცა რიტამ დედამისის ამბავი შეიტყო. ხომ ხედავთ, რომ ფაჯს ნაჩქარევი დასკვნები გამოაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ მადამ მაქსიმი ნახევრად გოლიათია. ალბათ, მეც ვიტყოდი, ძვალმსხვილი ვარ-მეთქი, რომ მცოდნოდა, სიმართლის თქმით რას მოვიმკიდი.

ჰერმიონმა მაჯის საათზე დაიხედა და თავზარი დაეცა.

– ვაიმე! საერთოდ არ გვივარჯიშია, არადა, დღეს გეგმით დამაბრკოლებელ შელოცვაში ვაპირებდით მეცადინეობას! ხვალ სერიოზული მუშაობა გველის! წავიდეთ, ჰარი, შენთვის აუცილებელია კარგად გამოძინება.

ჰარი და რონი ზოზინით ავიდნენ საძინებელში. ჰარიმ პიჟამის ჩაცმის დროს ნევილის საწოლს გადახედა. დამბლდორისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა და რონსა და ჰერმიონს არაფერი უთხრა ნევილის მშობლების შესახებ. ჰარიმ სათვალე მოიხსნა, საწოლში მომყუდროვდა და შეეცადა, წარმოედგინა, როგორია, მშობლები ცოცხლები გყავდეს და ვერ გცნობდნენ. ჰარის ხშირად უცნობებიც კი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ იმის გამო, რომ ობოლი იყო, მაგრამ ნევილის ხვრინვას რომ უსმენდა, გაიფიქრა, ნევილი ჩემზე მეტ თანაგრძობას იმსახურებსო. ჰარის უცებ ბრაზი და სიძულვილი დაეუფლა მათ მიმართ, ვინც ბატონი და ქალბატონი ლონგბოტომები აწამა. გაახსენდა სასამართლო დარბაზის წევრთა დამცინავი შეძახილები, როცა კრაუჩის ვაჟსა და მის თანამზრახველებს დემენტორები მიათრევდნენ, და იმ ხალხს კარგად გაუგო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ თვალწინ აკივლებული ბიჭის გაფითრებული სახე დაუდგა და უცებ ძრწოლით გაახსენდა, რომ ის ბიჭი იმ დღიდან ერთი წლის შემდეგ დაიღუპა. „ეს სულ ვოლდემორის ბრალია, – გაიფიქრა სიბნელეში საწოლის ჩარდახს მიჩერებულმა ჰარიმ, – ყველა უბედურების სათავე ის იყო... სწორედ მან გახლიჩა ეს ოჯახები შუაზე, სწორედ მან დაუნგრია ყველას ცხოვრება“.

* * *

წესით, რონსა და ჰერმიონს საგამოცდო მასალის გამეორება უნდა დაეწყოთ, რადგან გამოცდები მესამე ტურის დღეს მთავრდებოდა, მაგრამ თითქმის მთელ დროს ჰარის უთმობდნენ.

– მაგაზე ნუ ნაღვლობ, – მოკლედ მოუჭრა ჰერმიონმა, როცა ჰარიმ მათ ეს ამბავი შეახსენა და დააიმედა, მარტოც კარგად ვივარჯიშებო, – სხვა თუ არაფერი, ბნელი ძალებისგან თავდაცვაში უმაღლესი ქულები გარანტირებული გვაქვს. ამდენ ჯადო-შელოცვას ხომ გაკვეთილებზე ვერასდროს ვისწავლიდით.

– თანაც ეს კარგი წვრთნაა სამომავლოდ, როცა სამივენი აურორები გავხდებით, – აღტაცებით აუბა მხარი ჰერმიონს რონმა და ოთახში ზუზუნით შემოფრენილ ბზიკზე დამაბრკოლებელი შელოცვა გამოსცადა. ბზიკი ჰაერში გახევდა.

დადგა ივნისი და ციხე-კოშკს ისევ დაეტყო გამოცოცხლება. ყველა მოუთმენლად ელოდა მესამე ტურს, რომელიც სემესტრის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე უნდა გამართულიყო. ჰარი მთელ თავისუფალ დროს შელოცვებში ვარჯიშს ანდომებდა. წინა ორ ტურთან შედარებით, მესამე ტურის წინ ნაკლებად ღელავდა. ეს დავალებაც უეჭველად რთული და სახიფათო იქნებოდა, მაგრამ მუდი მართალი იყო: ჰარის ადრეც მოუხერხებია საზარელ არსებებსა და მოჯადოებულ ბარიერებს შორის გზის გაკვლევა. ამჯერად კი მომავალი დავალების შესახებ გარკვეული წარმოდგენაც ჰქონდა და წინასწარ მომზადების საშუალებაც.

ჰარი, რონი და ჰერმიონი პროფესორ მაკგონაგელს ციხე-კოშკის ყველა კუთხე-კუნჭულში ფეხებში ედებოდნენ და ბოლოს ისე მოაბეზრეს თავი, ჰარის ვარჯიშისთვის ლანჩის დროს ტრანსფიგურაციის ცარიელი საკლასო ოთახი დაუთმო.

ჰარი მალე გაიწაფა დამაბრკოლებელ შელოცვაში, რომელიც ანელებდა და აფერხებდა თავდამსხმას; აფეთქების შელოცვაში, რის საშუალებითაც შეიძლებოდა, მყარი საგნების გზიდან ჩამოცილება;

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ოთხმხრივ შელოცვაში, რომელიც ჰერმიონის მეტად სასარგებლო ალმოჩენას წარმოადგენდა. ამ შელოცვის წყალობით, ჯადოსნური ჯოხი ზუსტად ჩრდილოეთს უჩვენებდა და ჰარის საშუალება ექნებოდა, შეემოწმებინა, ლაბირინთში სწორი მიმართულებით მიდიოდა თუ არა. მაგრამ ფარის ჯადო ჯერ კიდევ არ გამოსდიოდა. ამ ჯადოს ჰარის ირგვლივ დროებით უხილავი კედელი უნდა აღემართა, რომელიც წვრილმან შელოცვებს აისხლეტდა. ჰერმიონმა ჰარის მიერ აღმართული ფარის დამსხვრევა იოლად მოახერხა მარჯვე ფეხ-ფაფა ჯადოთი და ჰარი მთელი ათი წუთის განმავლობაში ბოდიალობდა ოთახში მომჩვარული ფეხებით, სანამ ჰერმიონი სქელ სახელმძღვანელოში საპირისპირო შელოცვას იპოვიდა.

– არა უშავს, მაინც კარგად გამოგდის ყველაფერი, – წაახალისა ჰერმიონმა, ბიბლიოთეკაში შედგენილ სიას დახედა და ნასწავლი შელოცვები გადახაზა, – აქედან რომელიმე აუცილებლად გამოგადგება.

– ერთი ამას შეხედეთ! – რონი ფანჯარასთან იდგა და ეზოს გადასცქეროდა, – რა დღეშია მალფოი?!

ჰარი და ჰერმიონი ფანჯარასთან მივიდნენ. მალფოი, კრაბი და გოილი ხის ჩრდილში იდგნენ. კრაბი და გოილი, როგორც ჩანდა, გარემოს ზვერავდნენ და კმაყოფილები იღიმებოდნენ, მალფოის კი ხელი პირთან მიეტანა და მუჭში ლაპარაკობდა.

– თითქოს რაცია უჭირავს, – გაოცდა ჰარი.

– შეუძლებელია, – მოუჭრა ჰერმიონმა, – ხომ გითხარით, ასეთი რამეები ჰოგვორტსის სიახლოვეს მწყობრიდან გამოდის. წამოდი, ჰარი, – ფანჯარას მოშორდა და ოთახის შუაგულს დაუბრუნდა, – მოდი, ისევ ვცადით ფარის ჯადო.

* * *

სირიუსი ჰარის უკვე ყოველდღე უგზავნიდა ბუს. როგორც ჩანდა, მასაც, ჰერმიონის მსგავსად, მხოლოდ ერთი რამე აწუხებდა: ჰარის მშვიდობიანად მიეყვანა ბოლომდე მესამე ტური. მისი აზრით, სხვა საზრუნავისთვის მერეც მოიცლიდნენ. ყოველ წერილში უმეორებდა ნათლულს, ჰოგვორტსის კედლებს გარეთ რაც ხდება, ეს შენი საქმე არ არის და არც ძალები შეგწევს საიმისოდ, რომ მათზე გავლენა მოახდინოო.

„თუ ვოლდემორი მართლაც იურებს ძალებს, – სწერდა სირიუსი, – ჩემი უპირველესი საზრუნავი შენი უსაფრთხო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ებაა. მართალია, სანამ დამბლდორის მფარველობის ქვეშ იმყოფები, თითსაც ვერავინ დაგაკარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავი მაინც შორს დაიჭირე ყოველგვარი საფრთხისგან. იფიქრე მხოლოდ ლაბირინთის მშვიდობით გავლაზე. ამის შემდეგ უკვე შევძლებთ, ყურადღება სხვა რამეებზეც გავამახვილოთ."

რაც უფრო ახლოვდებოდა ოცდაოთხი ივნისი, მით უფრო ნერვიულობდა ჰარი, თუმცა ისე აღარ, როგორც პირველი და მეორე ტურის წინ. ჯერ ერთი, დარწმუნებული იყო, რომ ამ დავალებისთვის შეძლებისდაგვარად მოემზადა, მეორეც, წინ ბოლო დაბრკოლება ელოდა: მოიგებდა თუ წააგებდა, ტურნირი, ბოლოს და ბოლოს, დასრულდებოდა, და ჰარიც შვებით ამოისუნთქავდა.

* * *

მესამე ტურის დღეს, საუზმობისას, გრიფინდორელები ყურისწამღებად ხმაურობდნენ. ფოსტის ბუმ ჰარის სირიუსისგან წარმატების მსურველი ღია ბარათი მოუტანა. ბარათი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ გადაკეცილი ეტრატის ნაგლეჯი იყო, რომელსაც ზემოდან ტალახიანი თათის ანაბეჭდი აჩნდა, მაგრამ ჰარის მაინც ესიამოვნა. ჰერმიონს კი დიდყურა ბუ მოუვიდა და, ჩვეულებისამებრ, „დილის მისნის" ახალი ნომერი მოუტანა. ჰერმიონმა გაზეთი გაშალა, პირველ გვერდს თვალი გადაავლო და მთელი ყლუპი გოგრის წვენი გამოაშხეფა.

– რა იყო? – ერთხმად ჰკითხეს ჰარიმ და რონმა.

– არაფერი, – სწრაფად იცრუა ჰერმიონმა და სცადა, გაზეთი სადმე შეეკუჭა, მაგრამ რონმა ხელიდან გამოსტაცა, სათაურს დააცქერდა და წამოიძახა:

– არა, ოღონდ დღეს არა! ეს ბებერი ძროხა!

– რაო, ისევ რიტა სკიტერი? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, – ჰერმიონივით იუარა რონმა და ისიც გაზეთის გადამალვას შეეცადა.

– ჩემზე წერს, არა? – მიხვდა ჰარი.

– არა, – ყალბი ტონით უპასუხა რონმა.

სანამ ჰარი მკაცრად მოითხოვდა გაზეთს, სლიზერინის მაგიდიდან დრაკო მალფოი უკვე მთელი ხმით ყვიროდა:

– ჰეი, პოტერ! პოტერ! თავი როგორა გაქვს? ცუდად ხომ არა ხარ? იმედია, ახლა არ წამოხტები და არ დაგვაწიოკებ ყველას?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალფოისაც „დილის მისანი“ ეჭირა ხელში. სლიზერინელები ქირქილებდნენ და ჰარისკენ იყურებოდნენ.

– მაჩვენე, – უბრძანა ჰარიმ რონს, – მომეცი აქ!

რონმა უხალისოდ გადასცა გაზეთი. ჰარიმ გადმოაბრუნა და თავისი სურათი დაინახა, მის ქვეშ კი მსხვილი შრიფტით ეწერა:

„ჰარი პოტერი – ფსიქიკაშერყეული და სახიფათო

ბიჭი, რომელმაც დაამარცხა ის, ვისი სახელიც არ ითქმის, ფსიქიკურად გაუწონასწორებელია და, გამორიცხული არაა, ძალიან სახიფათოც იყოს, – წერს სპეციალური კორესპონდენტი რიტა სკიტერი – სულ ცოტა ხნის წინ სინათლე მოეფინა ჰარი პოტერის უცნაური ქცევის დამადასტურებელ საგანგაშო ფაქტს, რაც სამართლიან ეჭვს ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისი მონაწილეობა ისეთ მკაცრ შეჯიბრში, როგორიც სამი ჯადოქრის ტურნირია, ან საერთოდ, მისი სწავლა ჰოგვორტსის სკოლაში.

„დილის მისნის“ მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციით, პოტერს რეგულარულად მისდის გული სკოლაში და ხშირად უჩივის შუბლზე ნაიარევის ტკივილს (ეს იმ წყევლის სახსოვარი გახლავთ, რომლითაც, ჩვენ-რომ-ვიცით, ის მის მოკვლას შეეცადა). გასულ ორშაბათს ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თავად გახდა იმის მოწმე, თუ როგორ გავარდა პოტერი მისნობის გაკვეთილზე საკლასო ოთახიდან იმ საბაბით, რომ ნაიარევის გაუსაძლისი ტკივილის გამო მეცადინეობას ვეღარ გააგრძელებდა.

მაგიური სნეულებებისა და ტრავმების წმ. მუნგოს სახელობის საავადმყოფოს წამყვანი სპეციალისტების აზრით, შესაძლოა, პოტერს ჩვენ-რომ-ვიცით, იმის თავდასხმის შედეგად ტვინი დაუზიანდა, და რომ მისი დაჟინება, თითქოს ნაიარევი ისევ სტკივა, არის სერიოზული ფსიქიკური აშლილობის სიმპტომი.

– არ არის გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს, – განაცხადა ერთ-ერთმა სპეციალისტმა, – შესაძლოა, ამით, უბრალოდ, ყურადღების მიქცევას ცდილობს.

თუმცა, „დილის მისანმა“ ჰარი პოტერის შესახებ რამდენიმე შემაშფოთებელი ფაქტი აღმოაჩინა, რომელთაც ჰოგვორტსის დირექტორი, ალბუს დამბლდორი საგულდაგულოდ უმალავს ჯადოქრულ საზოგადოებას.

– პოტერს პარსულად ლაპარაკი შეუძლია, – გაგვიმხილა ჰოგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვორტსის მეოთხეკურსელმა დრაკო მალფოიმ, – ორი წლის წინ სტუდენტებზე რამდენიმე თავდასხმა მოხდა. ბევრი ეჭვობდა, რომ მათ უკან პოტერი იდგა, მას შემდეგ, რაც ერთხელ მებრძოლთა კლუბში ყველას თვალწინ წონასწორობიდან გამოსულმა თანაკურსელს გველი მიუქსია. მაგრამ მაშინ ეს ამბავი მიჩქმალეს. გარდა ამისა, ის მაქციებთან და გოლიათებთან მეგობრობს. ჩვენი აზრით, ძალაუფლების მოსაპოვებლად არაფერზე დაიხევს უკან.

პარსული ენა, ანუ გველებთან ლაპარაკის უნარი, უკვე დიდი ხანია, შავ მაგიად ითვლება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დროის ყველაზე სახელგანთქმული პარსელი არც მეტი, არც ნაკლები, თვით ჩვენ-რომ-ვიცით, ის გახლავთ. ბნელი ძალებისგან თავდაცვის ლიგის წევრმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, აღნიშნა, რომ მისი აზრით, ნებისმიერი ჯადოქარი, რომელიც პარსულ ენას ფლობს, „გამოძიებას უნდა დაექვემდებაროს“.

– პირადად მე, – განაცხადა მან, – გველებთან საუბრის უნარის მქონე ნებისმიერ ჯადოქარს ეჭვის თვალით შევხედავდი, რადგან გველები ხშირად გამოიყენება შავი მაგიის ყველაზე შემზარავ დარგებში და, ტრადიციულად, ბოროტებას უკავშირდებიან. შესაბამისად, მას, ვინც მეგობრებს იძენს ისეთ სასტიკ არსებებს შორის, როგორებიც მაქციები და გოლიათები არიან, არ შეიძლება, ძალადობისადმი მიდრეკილება არ ჰქონდეს.

ალბუს დამბლდორს ურჩევნია, კარგად დაფიქრდეს, ღირს თუ არა ასეთი მონაწილის დაშვება ტურნირზე, რადგან არსებობს იმის საშიშროება, რომ გამარჯვების დაუოკებელი წყურვილის გამო პოტერი შავ მაგიას მიმართავს. ტურნირის მესამე ტური კი ამ საღამოს გაიმართება.“

– როგორც ჩანს, რიტას ჩემდამი სიყვარული გაუნელდა, არა? – უდარდელად შენიშნა ჰარიმ და გაზეთი დაახვია.

სლიზერინელთა მაგიდასთან მალფოი, კრაბი და გოილი დიდად მხიარულობდნენ: საფეთქელთან თითს იტრიალებდნენ, გიჟებივით იმანჭებოდნენ და გველებივით ასხმარტალებდნენ ენას.

– საიდან გაიგო, რომ მისნობაზე ნაიარევი აგტკივდა? – გაოცდა რონი, – იქ ნამდვილად არ იყო, ვერაფრით ვერ გაიგებდა...

– ფანჯარა ღია იყო, – თქვა ჰარიმ, – მე გავაღე, რომ სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა.

– შენ ხომ ჩრდილოეთის კოშკის თავზე იყავი, – თავი გააქნია ჰერმიონმა, – იქიდან შენი ხმა ეზომდე ვერ ჩააღწევდა.

– რა ვიცი, შენ არ იკვლევ ფარული მიკროფონის დაყენების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგიურ მეთოდებს? – შეახსენა ჰარიმ, – ჰოდა, ამიხსენი, როგორ მოახერხა მოსმენა.

– კი, ვიკვლევდი, – თავი იმართლა ჰერმიონმა, – მაგრამ... მაგრამ...

უცებ ფიქრებში წავიდა, უცნაური გამომეტყველებით ხელი ნელა ასწია და თითები თმაში შეიცურა.

– რა გჭირს? – შეშფოთდა რონი.

– არაფერი, – ამოიჩურჩულა ჰერმიონმა. თითები ისევ შეიცურა თმაში, შემდეგ მუჭი პირთან ისე მიიტანა, თითქოს უჩინარ რაღაცაში ლაპარაკობსო. ჰარიმ და რონმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

– მგონი, რაღაცას მივხვდი, – ჰერმიონს მზერა სივრცისთვის გაეშტერებინა, – მგონი, მივხვდი... იმიტომ, რომ ვერავინ დაინახავდა... მუდიც კი... მაგრამ ამის უფლება არა აქვს... ნამდვილად არა აქვს... მგონი, გამოვიჭირეთ. ორიოდე წამი მაცალეთ, ბიბლიოთეკაში გავიქცევი... საბოლოოდ უნდა დავრწმუნდე.

ამ სიტყვებზე ჰერმიონმა ჩანთას ხელი დაავლო და დიდი დარბაზიდან ტყვიასავით გავარდა.

– ეი! ათ წუთში მაგიის ისტორიაში გამოცდა გვაქვს! – მიაძახა რონმა და ჰარის მიუბრუნდა, – ჯანდაბა! ეტყობა, მართლა ვერ იტანს სკიტერს, რაკი გამოცდაზე დაგვიანებასაც არ ერიდება. ბინსის გამოცდაზე რა უნდა აკეთო, ისევ უნდა იკითხო?

ჰარი, როგორც სამი ჯადოქრის ტურნირის ჩემპიონი, გამოცდებიდან გათავისუფლებული იყო, ამიტომ ყოველ გამოცდაზე ბოლო მერხზე იჯდა და მესამე დავალებისთვის წიგნებში ახალ შელოცვებს ეძებდა.

– ჰო, ალბათ, – უთხრა ჰარიმ რონს, მაგრამ სწორედ ამ დროს მათთან პროფესორი მაკგონაგელი მივიდა და უთხრა:

– პოტერ, საუზმის შემდეგ ჩემპიონები დიდი დარბაზის მომიჯნავე ოთახში იყრიან თავს.

– მაგრამ შეჯიბრება ხომ საღამოს იწყება! – დრო ხომ არ შემეშალაო, შეეშინდა ჰარის და მანტიაზე ერბოკვერცხის ნაჭერი დაუვარდა.

– ეს მეც ვიცი, პოტერ. საქმე ისაა, რომ ბოლო ტურზე დასასწრებად ჩემპიონთა ოჯახის წევრები არიან მოწვეულნი და ახლა, შესაძლებლობა გეძლევათ, მთელი დღე მათთან გაატაროთ.

მაკგონაგელი გაეცალა. პირდაღებულმა ჰარიმ თვალი გააყოლა.

– ნუთუ ჰგონია, რომ დერსლები აქ მოვლენ? – ჰკითხა გაოგნებულმა რონს.

– რა ვიცი... ჰარი, მე უნდა ვიჩქარო, ბინსთან დავიგვიანებ. მერე გნახავ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანამ ჰარი საუზმეს მიირთმევდა, დიდი დარბაზი თანდათან დაცარიელდა. რეივენქლოს მაგიდასთან ფლერ დელაკური წამოდგა, სედრიკმაც გადაჭრა დარბაზი და მომიჯნავე ოთახში ერთად შევიდნენ. ცოტა ხანში მხრებაწურული კრამიც მათ მიჰყვა. ჰარი ადგომას არ ჩქარობდა. იმ ოთახში შესვლა არ უნდოდა. ოჯახი არ ჰყავდა. მაინც არავინ მოვიდოდა იმის სანახავად, როგორ იგდებდა სიცოცხლეს საფრთხეში. ის იყო, გაიფიქრა, ბიბლიოთეკაში ავალ, შელოცვებს თვალს ერთხელაც გადავავლებო, და წამოდგომა დააპირა, რომ მომიჯნავე ოთახის კარი გაიღო და სედრიკმა გამოყო თავი.

– ჰარი, სად დაიკარგე? გელოდებიან.

სახტად დარჩენილი ჰარი წამოდგა. ნუთუ დერსლები აქ იყვნენ? დიდი დარბაზი გაიარა და ოთახის კარი შეაღო.

სედრიკი და მისი მშობლები იქვე, კართან ახლოს იდგნენ. ოთახის კუთხეში ვიქტორ კრამი თავის შავთმიან დედ-მამას სწრაფად ესაუბრებოდა ბულგარულად. კეხიანი ცხვირი მამისგან გამოჰყოლოდა. ოთახის მეორე ბოლოში ფლერი ფრანგულად ეჟღურტულებოდა დედას. ფლერის უმცროს დას – გაბრიელს – დედისთვის ჩაეკიდა ხელი. მან ჰარის ხელი დაუქნია, პასუხად ჰარიმაც დაუქნია ხელი და ახლაღა დაინახა, რომ ბუხართან ქალბატონი უისლი და ბილი იდგნენ და უღიმოდნენ.

– სიურპრიზი! – აღტაცებით შესძახა ქალბატონმა უისლიმ, როცა სახეგაბრწყინებული ჰარი მათკენ გაეშურა, – ჰარი, გადავწყვიტეთ, შენს საყურებლად მოვსულიყავით, – ქალი დაიხარა და ორივე ლოყაზე აკოცა.

– როგორა ხარ? – გაუღიმა ბილმა და ხელი ჩამოართვა, – ჩარლისაც უნდოდა მოსვლა, მაგრამ დრო ვერ გამონახა. გვიამბო, რა ბრწყინვალედ დაამარცხე რქაკუდა.

ჰარის არ გამოეპარა, რომ ფლერ დელაკური დედის მხარზემოდან უდიდესი ცნობისმოყვარეობით აპარებდა ბილისკენ თვალს. როგორც ჰარიმ შეატყო, ფლერს არც გრძელი თმისა და არც ეშვიანი საყურის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

– ძალიან დიდი მადლობა, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ, – მე კი ლამის ვიფიქრე, რომ... დერსლები...

– ჰმმმ... – ტუჩები მოპრუწა ქალბატონმა უისლიმ. საერთოდ, ჰარის თანდასწრებით დერსლებზე აუგის თქმისგან თავს იკავებდა, მაგრამ მათ ხსენებაზე თვალებში სახიფათო ნაპერწკალი გაურბენდა ხოლმე.

– რა კარგია აქ დაბრუნება, – ბილმა ოთახი მოათვალიერა (ფუშ-ფუშა ქალბატონის დაქალმა, ვიოლეტამ, მას თავისი ჩარჩოდან თვა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი ჩაუკრა). – ხუთი წელია, აქ არ ვყოფილვარ. იმ გადარეული რაინდის სურათი კიდევ აქ არის? სერ კადოგანის?

– როგორ არა. – ჰარიმ სერ კადოგანი გასულ წელს გაიცნო.

– ფუშფუშა ქალბატონიც? – ჰკითხა ბილმა.

– ის ჩემ დროსაც აქ იყო, – ჩაურთო ქალბატონმა უისლიმ, – ერთ ღამეს ისე გამომლანძღა, როცა საძინებელში დილის ოთხ საათზე დავბრუნდი...

– რა გინდოდა გარეთ დილის ოთხ საათზე? – გაოცებით შეათვალიერა ბილმა დედა.

ქალბატონმა უისლიმ ჩაიღიმა და თვალები აუციმციმდა.

– მე და მამაშენი ვსეირნობდით. ის საწყალი კი აპოლიონ პრინგლმა დაიჭირა – მაშინდელმა სკოლის დარაჯმა. მამაშენს ახლაც ატყვია ცემის კვალი.

– ჰარი, შეგიძლია, აქაურობა დაგვათვალიერებინო? – ჰკითხა ბილმა.

– რა თქმა უნდა.

სამივენი დიდი დარბაზის კარისკენ გაემართნენ. დიგორების ოჯახს რომ მიუახლოვდნენ, სედრიკის მამამ ჰარი აათვალიერ-ჩაათვალიერა:

– აი, თურმე სად ყოფილხარ! სანაძლეოს დავდებ, ახლა, როცა სედრიკი ქულებით დაგეწია, ძველებურად ველარ ყოყლოჩინობ, არა?

– ბატონო? – გაოცდა ჰარი.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ხმადაბლა გადაულაპარაკა ჰარის სედრიკმა და მამას წარბშეკვრით გადახედა, – რიტა სკიტერის სტატიის გამოსვლის შემდეგ სულ ასეთი გაბრაზებულია. ხომ გახსოვს, მაშინ რომ დაწერა, თითქოს ჰოგვორტსის ერთადერთი ჩემპიონი შენ იყავი.

– თავი ხომ არ შეიწუხა, რომ იმ ქალის შეცდომა გაესწორებინა! – განგებ ხმამაღლა წარმოთქვა ამოს დიგორიმ, რომ ქალბატონ უისლისა და ბილთან ერთად კარში გამავალ ჰარის გაეგო, – მაგრამ... შენ მაგას უჩვენებ, სედ. ერთხელ ხომ უკვე აჯობე!

– ამოს, რიტა სკიტერი დღემუდამ იმის ცდაშია, ყველას პრობლემა შეუქმნას, – გაბრაზებული მიუტრიალდა ქალბატონი უისლი, – მგონი, როგორც სამინისტროს თანამშრომელმა, ეს კარგად უნდა იცოდე.

ბატონ დიგორის სახეზე შეეტყო, რომ მკვახე პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ ცოლმა მკლავზე მოქაჩა, ამიტომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და პირი იბრუნა.

ჰარიმ ის დილა მშვენივრად გაატარა. ქალბატონ უისლისთან და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბილთან ერთად ჰოგვორტსის მზიან მიდამოზე ისეირნა და მათ ბობატონის ეტლი და დურმსტრანგის გემი უჩვენა. ქალბატონ უისლიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მტარვალმა ტირიფმა, რომელიც მას შემდეგ დარგეს, რაც მან სკოლა დაამთავრა და გაიხსენა ჰაგრიდის წინამორბედი მეტყევე – კაცი, სახელად ოგი.

– პერსი როგორ არის? – იკითხა ჰარიმ, სათბურებს რომ შემოუარეს.

– არცთუ ისე კარგად, – უპასუხა ბილმა.

– სამსახურში უსიამოვნებები აქვს, – ქალბატონმა უისლიმ ხმას დაუწია და მიმოიხედა, – სამინიტროში ცდილობენ, რომ ბატონ კრაუჩის გაუჩინარება არ გახმაურდეს. პერსი დასაკითხად დაიბარეს იმ მითითებების თაობაზე, რომელთაც ბატონი კრაუჩი ფოსტით უგზავნიდა. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ისინი, შეიძლება, სულაც არ იყოს კრაუჩის დაწერილი. პერსი ძალიან განიცდის. დღეს საღამოს ტურნირზე კრაუჩის შეცვლის უფლება აღარ მისცეს. ჟიურის მეხუთე წევრობას კორნელიუს ფაჯი იკისრებს.

სადილად ციხე-კოშკში დაბრუნდნენ.

– დე... ბილ... – გაშრა რონი, როცა გრიფინდორის მაგიდასთან მოირბინა, – აქ რას აკეთებთ?

– ბოლო ტურზე ჰარის საყურებლად მოვედით, – მხიარულად განუმარტა ქალბატონმა უისლიმ, – უნდა ვაღიარო, რომ ძალიან სასიამოვნოა, მრავალფეროვნებისთვის, ზოგჯერ სხვისი მომზადებული კერძების მირთმევა. გამოცდამ როგორ ჩაიარა?

– მმმ... ნორმალურად. აჯანყებული გობლინების ზოგიერთი ბელადის სახელი არ მახსოვდა და გამოვიგონე, – ქალბატონ უისლის მაშინვე გაუმკაცრდა სახე, – ნუ გეშინია, – დაამშვიდა რონმა და ხორციანი ღვეზელი ჩაკბიჩა, – ყველას, დაახლოებით, ასეთი რამე ჰქვია: გრძელწვერა ბოდროდი ან უწმინდური ურგი. ასე რომ, ძნელი არ იყო.

მალე მათ ფრედი, ჯორჯი და ჯინიც მიუსხდნენ გვერდით. ჰარი ისე კარგად ატარებდა დროს, რომ თავი „ბუნაგში“ ეგონა. იმ საღამოსთვის დაგეგმილი ტურიც კი დაავიწყდა, მხოლოდ შუა სადილზე ჰერმიონის გამოჩენამ გამოაფხიზლა, და გაახსენდა, რომ ჰერმიონს რიტა სკიტერთან დაკავშირებით რაღაცა უნდა გაერკვია.

– აღარ გვეტყვი?

ჰერმიონმა თავი გააქნია და თვალით ქალბატონ უისლიზე ანიშნა.

– გამარჯობა, ჰერმიონ, – ჩვეულებრივზე ბევრად უფრო ცივად მიესალმა ქალბატონი უისლი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გამარჯობა, – მისი მკაცრი გამომეტყველების დანახვაზე ჰერმიონს ღიმილი პირზე შეაცივდა.

ჰარიმ ჯერ ერთს გადახედა, შემდეგ – მეორეს:

– ქალბატონო უისლი, თქვენ რა თქმა უნდა, არ დაიჯერეთ ის სისულელე, რაც რიტა სკიტერმა დაწერა „კვირის ალქაჯში“. თქვენ მაინც ხომ იცით, რომ ჰერმიონი ჩემი შეყვარებული არ არის.

– ო! არა! რა თქმა უნდა, არ დავიჯერე! – იუარა ქალმა, მაგრამ ამის შემდეგ ჰერმიონის მიმართ ბევრად უფრო მოლბა.

ჰარიმ, ბილმა და ქალბატონმა უისლიმ მთელი დღე ციხე-კოშკის ირგვლივ სეირნობაში გალიეს და საღამოს ნადიმისთვის დიდ დარბაზში დაბრუნდნენ. პედაგოგების მაგიდას ლუდო ბეგმანი და კორნელიუს ფაჯი მისხდომოდნენ. ბეგმანი ბრწყინვალე გუნებაზე ჩანდა, კორნელიუს ფაჯი კი – პირიქით, მადამ მაქსიმის გვერდით სერიოზული სახით იჯდა და დანა პირს არ უხსნიდა. მადამ მაქსიმს მთელი ყურადღება თავის თეფშზე გადაეტანა. ჰარის მოეჩვენა, რომ თვალები დაწითლებული ჰქონდა. მაგიდის ბოლოდან მისკენ ჰაგრიდი აპარებდა ხშირ-ხშირად მზერას.

სუფრა უჩვეულოდ მრავალფეროვანი იყო მაგრამ ჰარი უკვე ისე ღელავდა, პირი თითქმის არაფრისთვის დაუკარებია. როდესაც მოჯადოებულ ცისფერ ჭერს იისფერი ბინდი შეერია, მასწავლებლების მაგიდასთან მჯდომი დამბლდორი წამოდგა და უმალ სიჩუმე ჩამოვარდა.

– ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ, ქვიდიჩის მოედანზე ჩაბრძანდეთ, რადგან ხუთ წუთში სამი ჯადოქრის ტურნირის მესამე, დამამთავრებელი ტური გაიმართება. ჩემპიონებს კი ვთხოვ, ახლავე ჩაჰყვნენ ბატონ ბეგმანს სტადიონზე.

ჰარი ადგა. გრიფინდორელებმა მქუხარე ტაშით გააცილეს. უისლებმა და ჰერმიონმა წარმატება უსურვეს. ჰარი სედრიკთან, კრამთან და ფლერთან ერთად გასასვლელისკენ გაემართა.

– ჰარი, როგორა ხარ? – ჰკითხა ბეგმანმა, ქვის საფეხურები რომ ჩაიარეს და ეზოში გავიდნენ, – ხომ არ ღელავ?

– ყველაფერი რიგზეა, – მიუგო ჰარიმ. ეს ნაწილობრივ სიმართლე იყო. რა თქმა უნდა, ნერვიულობდა, მაგრამ გზადაგზა გონებაში იმ ჯადოებსა და შელოცვებს იმეორებდა, რომლებიც ტურნირისთვის შეისწავლა, დარწმუნდა, რომ ყველა ახსოვდა და ამან მხნეობა შემატა.

ქვიდიჩის მოედანს ძნელად თუ იცნობდით: ირგვლივ ექვსი მეტრის სიმაღლის ხშირი ბუჩქებისგან შექმნილი ცოცხალი ღობე გასდევდა. სწორედ მათ წინ შავად დაეღო პირი ლაბირინთის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შესასვლელს, რომლის მიღმაც პირქუში ბილიკი სიბნელეში იკარგებოდა. ჰარის ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

ხუთ წუთში ტრიბუნებზე მაყურებლები გამოჩნდნენ. სულ მალე იქურობა გააყრუა აღელვებული ბავშვების ჟივილ-ხივილმა და ფეხების ბრაგაბრუგმა. ხავერდოვან, მუქ ლურჯ ცაზე პირველი ვარსკვლავები აციმციმდნენ. ჰაგრიდი, პროფესორი მუდი, პროფესორი მაკგონაგელი და პროფესორი ფლიტვიკი სტადიონზე შემოვიდნენ და ბეგმანსა და ჩემპიონებთან მივიდნენ. პროფესორებს – ქუდზე, ჰაგრიდს კი – თხუნელას ბეწვის ქურქის ზურგზე დიდი წითელი ვარსკვლავი უკაშკაშებდათ.

– ჩვენ ლაბირინთის გარეთ პატრულირებას ვაპირებთ, – აუხსნა პროფესორმა მაკგონაგელმა ჩემპიონებს, – თუ საფრთხეში აღმოჩნდით და ჩვენი შველა დაგჭირდათ, ჰაერში წითელი ნაპერწკლები აუშვით. რომელიმე ჩვენგანი მოვა და ლაბირინთიდან გამოგიყვანთ, გასაგებია?

ჩემპიონებმა თავი დაუქნიეს.

– აბა, მაშინ საქმეს შეუდექით, – მხიარულად უბრძანა ოთხივე პატრულს ბეგმანმა.

– ჰარი, წარმატებას გისურვებ, – წასჩურჩულა ჰაგრიდმა. პატრულები თავ-თავიანთი პოსტის დასაკავებლად გაეშურნენ. ბეგმანმა ჯადოსნური ჯოხი ყელზე მიიშვირა, წაიბუტბუტა: „სონორუს“, და ჯადოქრობით გაძლიერებულმა მისმა ხმამ ტრიბუნები შეაზანზარა:

– ქალბატონებო და ბატონებო! იწყება სამი ჯადოქრის ტურნირის მესამე და უკანასკნელი ტური. ნება მომეცით, შეგახსენოთ, როგორაა განაწილებული ქულები ამ დროისათვის! პირველ ადგილს ოთხმოცდახუთ-ოთხმოცდახუთი ქულით იყოფენ მისტერ სედრიკ დიგორი და მისტერ ჰარი პოტერი, ორივე ჰოგვორტსის სკოლიდან!

მაყურებლების შეძახილებმა და ტაშის გრიალმა აკრძალულ ტყეში ჩიტები დააფრთხო და ჩამოღამებული ცისკენ ააფრინა.

– მეორე ადგილზე – ოთხმოცი ქულით, მისტერ ვიქტორ კრამი, დურმსტრანგის ინსტიტუტიდან.

ისევ ტაში.

– და მესამე ადგილზე – მის ფლერ დელაკური ბობატონის აკადემიიდან.

ჰარიმ შუა ტრიბუნაზე ქალბატონ უისლის, ბილს, რონსა და ჰერმიონს მოჰკრა თვალი, ფლერს თავაზიანად უკრავდნენ ტაშს. ჰარიმ ხელი დაუქნია, მათაც ხელის დაქნევით უპასუხეს და გაულიმეს.

– მაშ, ასე... ჰარი, სედრიკ, მოემზადეთ! დაიწყეთ ჩემი სასტვენის ხმაზე! – გააფრთხილა ბეგმანმა, – სამი... ორი... ერთი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასტვენში მკვეთრად ჩაჰბერა და ჰარი და სედრიკი სწრაფი ნაბიჯით შევიდნენ ლაბირინთში. მაღალი კედლებივით აღმართული ბუჩქები შავ ჩრდილებს ფენდა ბილიკზე. კედლები ან ძალიან მაღალი და სქელი იყო, ან – მოჯადოებული, რადგან როგორც კი ლაბირინთში შევიდნენ, მაყურებლების ყიჟინა იმწამსვე მიწყნარდა. ჰარის ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კვლავ წყლის ქვეშ იმყოფებოდა. ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, უბრძანა: „ლუმოს!“ და გაიგონა, რომ მის ზურგს უკან სედრიკმაც იგივე ბრძანება გასცა. დაახლოებით, ორმოცი მეტრის შემდეგ გზის გასაყარს მიადგნენ და ერთმანეთს შეხედეს.

– აბა, დროებით, – თქვა ჰარიმ და მარცხენა ბილიკს დაადგა, სედრიკი მარჯვენას გაუყვა.

ბეგმანმა სასტვენში მეორედ ჩაჰბერა. მაშასადამე, ლაბირინთში კრამი შემოვიდა. ჰარიმ ნაბიჯს აუჩქარა. მის მიერ არჩეული ბილიკი სრულიად უკაცრიელი აღმოჩნდა. მარჯვნივ შეუხვია და სწრაფად გააგრძელა გზა. ჯადოსნური ჯოხი თავზემოთ ეჭირა და გზას ინათებდა.

ბეგმანის სასტვენის ხმამ მესამედ მოატანა შორიდან. ახლა ყველა ჩემპიონი ლაბირინთში იყო. ჰარი წამდაუწუმ უკან იხედებოდა. ისევ აეკვიატა ნაცნობი გრძნობა, რომ თითქოს ვიღაცა უთვალთვალებდა... მაღლა, ცის მუქ ლურჯ თაღზე, ღამდებოდა და ლაბირინთშიც ჩრდილები ყოველ წუთს მუქდებოდა. ჰარი გზის მეორე განშტოებას მიადგა, ჯადოსნური ჯოხი ხელისგულზე დაიდო და უჩურჩულა:

– მიმართულება.

ჯოხმა ერთი ბრუნი გააკეთა და მარჯვნივ, ხშირი ბუჩქნარის მიმართულებით გაჩერდა. ესე იგი, ჩრდილოეთი იქით იყო. ჰარი მიხვდა, რომ ლაბირინთის ცენტრისკენ ჩრდილო-დასავლეთით უნდა ევლო. უმჯობესი იქნებოდა, მარცხნივ შეეხვია და პირველივე შესაძლებლობაზე მარჯვნივ წასულიყო.

ამ ბილიკზედაც არავინ დაუნახავს. ჰარიმ მარჯვნივ შეუხვია და იქაც უკაცრიელი გზა დახვდა. დაბრკოლებების არარსებობამ ჰარი, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა. ლაბირინთი თითქოს ხაფანგში იტყუებდა და მის ყურადღებას განზრახ ადუნებდა.

უეცრად ზურგს უკან ფაჩუნი მოესმა. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და თავდასაცავად მოემზადა, მაგრამ ჯოხის სინათლის ვიწრო ზოლი სედრიკს დაეცა, რომელიც მარჯვენა ბილიკიდან გამოვარდა. სედრიკი გვარიანად დამფრთხალი ჩანდა და მანტიის სახელოზე კვამლი ასდიოდა.

– ჰაგრიდის ცეცხლაკუდები! იცი, რამხელები არიან?! ძლივს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავაღწიე თავი! – ჩურჩულით ამოთქვა სედრიკმა, თავი გააქნია, სხვა ბილიკს გაუყვა და თვალს მიეფარა.

ჰარი სასწრაფოდ გაუდგა გზას, რომ ცეცხლაკუდებს კარგა შორ მანძილზე გასცლოდა. შემდეგ კუთხეში შეუხვია და დაინახა, რომ მისკენ ჰაერში დემენტორი მოსრიალებდა. სამ მეტრზე მაღალსა და კაპიუშონში სახეჩამალულს ლპობაშეპარული, დახავსებული ხელები წინ გაეწვდინა. ბიჭის იქ ყოფნას აშკარად გრძნობდა და პირდაპირ მისკენ მოიწევდა. ჰარის ესმოდა მისი ხრიალი, იგრძნო, როგორ დაასხა ცივმა ოფლმა, მაგრამ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო...

ჰარიმ თავს ძალა დაატანა, რომ ყველაზე სასიამოვნო რამეზე ეფიქრა: წარმოიდგინა, რომ ლაბირინთიდან გამოდის და რონთან და ჰერმიონთან ერთად ტურნირის დასრულებას ზეიმობს, ჯადოსნური ჯოხი დემენტორს დაუმიზნა და შესძახა:

– ექსპექტო პატრონუმ!

ჯადოსნური ჯოხის წვერიდან ვერცხლისფერი ხარირემი გამოიჭრა და დემენტორისკენ გაექანა. დემენტორი უკან მიაწყდა, მოსასხამის კალთას ფეხი გამოსდო და წაიფორხილა. ჰარის ჯერ არ ენახა, დემენტორს წაებორძიკოს.

– მოიცა! – დაიყვირა მან და თავის ვერცხლისფერ პატრონუსს უკან გაჰყვა, – ეს ხომ ბოგარტია! რიდიკულუს!

გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და ფორმაცვალებადი მოჩვენებისაგან კვამლის პატარა ბოლქვიღა დარჩა. სამწუხაროდ, ვერცხლისფერი ხარირემიც თანდათან სიბნელეს შეერია. ჰარიმ ინატრა, ნეტავ დარჩენილიყო, მარტოდმარტო მაინც არ ვიქნებოდიო... რა გაეწყობოდა, უნდა ეჩქარა. იქაურობას მიაყურადა, ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და სწრაფად და უხმაუროდ გაუყვა ბილიკს.

მარცხნივ... მარჯვნივ... ისევ მარცხნივ... ორჯერ ჩიხს გადააწყდა. ისევ ოთხმხრივ შელოცვას მიმართა. აღმოჩნდა, რომ მეტისმეტად გადაეხვია აღმოსავლეთით. ჰარი უკან დაბრუნდა, საჭირო შესახვევი იპოვა და წინ, შუა გზაზე ჰაერში მოტივტივე უცნაური ოქროსფერი ნისლი დაინახა.

ჰარი ფრთხილად მიუახლოვდა ნისლს და ჯადოსნური ჯოხი მიანათა. როგორც ჩანდა, რაღაც ჯადო იყო. ჰარიმ გადაწყვიტა, აბა, ვცდი, იქნებ, რომელიმე შელოცვით გზიდან ჩამოვიშოროო.

– რედუქტო!

შელოცვამ ნისლში გაიარა, მაგრამ მასზე არანაირად არ იმოქმედა. როგორ დაავიწყდა, რომ აფეთქების შელოცვა მხოლოდ მყარ სხეულებზე ჭრიდა! რა მოხდებოდა, პირდაპირ ნისლში რომ გაევლო? ღირდა ამის ცდა, თუ უკან უნდა დაეხია?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყოყმანი ვიღაცის კივილმა შეაწყვეტინა.

– ფლერ! – დაიყვირა ჰარიმ.

არავინ გამოეპასუხა. ჰარიმ იქაურობა მოათვალიერა. რა მოუვიდა ფლერს? მისი კივილი თითქოს სადღაც წინიდან ისმოდა! ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა და მოჯადოებულ ნისლში შევარდა.

იმავე წამს სამყარო ამოყირავდა. ჰარი მიწაზე თავდაყირა დაეკიდა, თმა ყალყზე დაუდგა, სათვალე ჩამოუკონწიალდა და სადაც იყო, უძირო ცაში ჩაუვარდებოდა. ჰარიმ ხელი სტაცა და გაიტრუნა. ეკიდა ასე, შიშისაგან გახევებული და გატოკებას ვერ ბედავდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხებით შეეწება ჭერად ქცეულ ბალახს. ქვემოთ კი უსასრულობაში ჩაძირული, ვარსკვლავებით მოოჭვილი თვალუწვდენელი ცა გადაჭიმულიყო. ჰარი გრძნობდა, საკმარისი იყო, ნაბიჯი გადაედგა, რომ დედამიწას სამუდამოდ მოსწყდებოდა.

„იფიქრე! – შეუძახა თავის თავს, გრძნობდა, როგორ მოაწვა სახეზე სისხლი, – იფიქრე!..“

მაგრამ იმ შელოცვებიდან, რომლებიც ტურნირისთვის მოამზადა, არც ერთი არ იყო გათვლილი ცისა და მიწის თავ-თავის ადგილზე დასაბრუნებლად. რა ექნა, გაებედა და გადაედგა ფეხი? ყურებში სისხლი უშხუოდა. ორი არჩევანი ჰქონდა: ან უნდა განძრეულიყო, ან წითელი ნაპერწკლები აეშვა, საშველად მოეხმო პატრულები და ტურნირს გამოთიშვოდა.

ჰარიმ თვალები დახუჭა, რომ ქვემოთ გადაჭიმული უსასრულო სივრცე აღარ დაენახა და მარჯვენა ფეხი მთელი ძალით მოსწყვიტა ბალახოვან ჭერს.

სამყარო თვალის დახამხამებაში მოწესრიგდა. ჰარი მუხლებით დაეხეთქა სანეტარო მყარ მიწაზე. გადატანილი შიშისგან ერთი წამით მთელი სხეული მოემჩვარა. გონს მოსასვლელად რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, დამშვიდდა, წამოდგა და გზა განაგრძო. უკან ჩამოტოვებულ ოქროსფერ ნისლს მხარზემოდან გახედა: ნისლი უცოდველად ციმციმებდა მთვარის შუქზე.

ჰარი ორი ბილიკის გადაკვეთაზე შედგა და მიიხედ-მოიხედა, იქნებ სადმე ფლერს მოვკრა თვალიო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სწორედ მისი კივილი შემოესმა. ნეტავ რას გადაეყარა ფლერი? ხომ არაფერი დაუშავდა? წითელი ნაპერწკლები არსად ჩანდა. როგორც ჩანს, ხიფათს თვითონვე დააღწია თავი; მაგრამ ხომ შეიძლება ისე უჭირდა, რომ ჯადოსნურ ჯოხს ვერ სწვდებოდა? ჰარი მარჯვენა ბილიკს გაუყვა. გზადაგზა სულ უფრო მეტად შეიპყრო შეშფოთებამ ფლერის გამო. მაგრამ, იმავე დროს, სადღაც, ტვინის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კუნჭულში, თავისდა უნებურად გაუელვა აზრმა: „ერთი ჩემპიონი გამოგვაკლდა."

თასი უკვე ახლოს იყო. ფლერი, როგორც ჩანდა, ტურნირს გამოეთიშა. ჰარიმ ხომ მოაღწია აქამდე? რა იქნებოდა, მართლაც რომ მოეგო? და პირველად მას შემდეგ, რაც სკოლის ჩემპიონი გახდა, ისევ წარმოიდგინა, როგორ სწევს მაღლა სამი ჯადოქრის ტურნირის თასს მთელი სკოლის თვალწინ...

ათი წუთის განმავლობაში ჩიხების გარდა აღარაფერს გადაჰყრია. ორჯერ შეცდომით ერთსა და იმავე მოსახვევში შეუხვია. ბოლოს ახალი გზა იპოვა და სირბილით გაუყვა ამ ბილიკს. მაღლა აწეული ჯადოსნური ჯოხის შუქი ირწეოდა და ცოცხალ ღობეზე ჰარის მოფარფატე წაგრძელებული ჩრდილი მიხტოდა. კიდევ ერთი შესახვევი და... პირისპირ შეეჩეხა ცეცხლაკუდას.

სედრიკი არ აზვიადებდა: ცეცხლაკუდა, მართლაც, უზარმაზარი იყო. სამი მეტრის სიგრძის ურჩხული გიგანტურ მორიელს ჩამოჰგავდა. გრძელი ნესტარი ზურგს ზემოთ აპრეხოდა, სქელი ჯავშანი კი ჰარის ჯადოსნური ჯოხის შუქზე უბზინავდა.

– გაშეშდი!

შელოცვა ცეცხლაკუდას ჯავშანზე მოხვდა და ასხლტა. ჰარიმ ძლივს მოასწრო თავის დახრა, მაგრამ დამწვარი თმის სუნზე მიხვდა, რომ შელოცვამ ქოჩორი შეუტრუსა. ცეცხლაკუდამ საპასუხოდ კუდიდან ცეცხლი გაისროლა და ჰარისკენ გამოექანა.

– იმპედიმენტა! – დასჭექა ჰარიმ. შელოცვა კვლავ ცხოველის ჯავშანს მოხვდა და კვლავ ასხლტა. ჰარიმ უკან დაიხია, წონასწორობა დაკარგა და წაიქცა, – იმპედიმენტა!

ცეცხლაკუდას ჰარისგან რამდენიმე სანტიმეტრილა აშორებდა, როცა გაქვავდა. ჰარის შელოცვა რბილ, ჯავშნით დაუცველ მუცელზე მოხვედროდა. აქოშინებული ბიჭი ცხოველს ხოხვით გაეცალა, წამოხტა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა საპირიპირო მიმართულებით. დამაბრკოლებელი შელოცვა დროებითი იყო, ცეცხლაკუდას ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა ძალა დაბრუნებოდა.

ჰარი მარცხენა ბილიკს დაადგა და ჩიხს გადააწყდა, მარჯვნივ გაუხვია, იქაც ჩიხი დახვდა. სულის მოსათქმელად შედგა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ისევ ოთხმხრივი შელოცვა გამოიყენა, უკან დაიხია და ის ბილიკი აირჩია, რომელიც ჩრდილოეთისკენ წაიყვანდა.

ახალ ბილიკზე რამდენიმე წუთის შეუსვენებელი სირბილის შემდეგ ჰარის მოესმა, რომ მის პარალელურ ბილიკზეც რაღაც მირბოდა, და ერთ ადგილზე გაშეშდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რას აკეთებ! – გაისმა სედრიკის ყვირილი, – აზრზე ხარ, რას აკეთებ?

ამას კრამის ხმა მოჰყვა:

– კრუციო!

ჰაერი უცებ სედრიკის განწირულმა ღრიალმა გააყრუა. გულგახეთქილი ჰარი სირბილით გაუყვა ბილიკს, რომ სედრიკისკენ გზა ეპოვა. გზა არა და არ გამოჩნდა, და ჰარიმ ისევ აფეთქების შელოცვის გამოყენება სცადა. შელოცვა არცთუ ისე ეფექტური აღმოჩნდა, მაგრამ ჰარიმ ცოცხალ ღობეში პატარა ხვრელის ამოწვა მაინც მოახერხა. ხვრელში ფეხი შეყო, ხშირი ეკალბარდები და ტოტები მილეწ-მოლეწა, შესასვლელი გააფართოვა და დიდი გაჭირვებით გაძვრა შიგ. მანტია სულ ერთიანად შემოეხია. მის მარჯვნივ, მიწაზე, სედრიკი ტკივილისაგან იკლაკნებოდა და იკრუნჩხებოდა, თავზე კრამი დასდგომოდა.

ჰარი წამოხტა და ჯადოსნური ჯოხი კრამს დაუმიზნა. ხმაურზე კრამმა თავი ასწია, შეტრიალდა და ადგილს მოსწყდა.

– გაშეშდი! – დაიღრიალა ჰარიმ.

შელოცვა კრამს გულში მოხვდა და ერთ ადგილზე გააშეშა. კრამი წინ გადავარდა, სახით ბალახში ჩაემხო და აღარ განძრეულა. ჰარი სედრიკს მივარდა. სედრიკი აღარ იკრუნჩხებოდა, ეგდო და სახეზე ხელებმიჭერილი მძიმედ სუნთქავდა.

– როგორა ხარ? – ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა ჰარიმ და მკლავში ხელი ჩაავლო.

– არა მიშავს, – ამოიქშინა სედრიკმა, – ვერ დამიჯერებია... ზურგიდან მომეპარა... ხმა გავიგონე, მივტრიალდი და უკვე ჯოხს მიმიზნებდა.

სედრიკი წამოდგა. ისევ კანკალებდა. ორივემ კრამს დახედა.

– ვერაფრით ვერ ვიჯერებ... მეგონა, ნორმალური ვინმე იყო, – ჰარი გაოცებული დასცქეროდა კრამს.

– მეც.

– ცოტა ხნის წინ ფლერის კივილი გაიგონე? – ჰკითხა ჰარიმ.

– კი, როგორ ფიქრობ, იმასაც კრამმა...

– რა ვიცი, – ყოყმანით თქვა ჰარიმ.

– რა ვქნათ, ასე დავტოვოთ?

– არა, ჩემი აზრით, წითელი ნაპერწკლები უნდა ავუშვათ. ვინმე მოვა და აქედან გაიყვანს, თორემ აქ, შეიძლება, ცეცხლაკუდამ შეჭამოს.

– ასეც მოუხდებოდა! – ჩაიბუტბუტა სედრიკმა, მაგრამ მაინც ასწია მაღლა ჯადოსნური ჯოხი და ნაპერწკლების შადრევანი ააფ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რქვია, რომელიც კრამის ზემოთ, ჰაერში ღრუბელივით გამოეკიდა.

ჰარი და სედრიკი წამით სიბნელეში იდგნენ და აქეთ-იქით იცქირებოდნენ, ბოლოს სიჩუმე სედრიკმა დაარღვია:

– ახლა... გზა ხომ არ გავაგრძელოთ...

– რაა? ა, ჰო... მართალი ხარ.

უცნაური წუთი იყო. ჰარი და სედრიკი კრამის წინააღმდეგ დროებით გაერთიანდნენ, ახლა კი ისევ გაახსენდათ, რომ ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ. ბნელ ბილიკზე ხმაამოუღებლივ განაგრძეს გზა, შემდეგ ჰარიმ მარცხნივ გაუხვია, სედრიკმა კი – მარჯვნივ. მალე მისი ფეხის ხმაც მიწყდა.

ჰარი მიდიოდა და გზადაგზა ოთხმხრივ შელოცვას იყენებდა, რომ მიმართულებას არ ასცდენოდა. ახლა უკვე მხოლოდ სედრიკი იყო მისი მეტოქე. და ჰარის, როგორც არასდროს, ისე მოუნდა გამარჯვების მოპოვება, მაგრამ გონებაში სულ ის უტრიალებდა, რომ კრამმა ასეთი რამე იკადრა. მუდისგან იცოდა, რომ სხვა ადამიანის წინააღმდეგ მიუტევებელი წყევლის გამოყენება აზკაბანში სამუდამო პატიმრობას იმსახურებდა. ნუთუ კრამს ასე გაგიჟებით უნდოდა სამი ჯადოქრის ტურნირის თასი? ჰარიმ ნაბიჯი ააჩქარა.

ჩიხები სულ უფრო ხშირად ხვდებოდა, მაგრამ ლაბირინთში უფრო და უფრო ბნელდებოდა, რამაც დაარწმუნა, რომ მის შუაგულს უახლოვდებოდა. როცა გრძელ, სწორ ბილიკზე მიაბიჯებდა, უეცრად რაღაცამ ისევ გაიფაჩუნა და ჯადოსნური ჯოხის შუქი დაეცა ფანტასტიკურ არსებას, რომელიც ჰარის მხოლოდ მონსტრების შესახებ სახელმძღვანელოს სურათზე თუ ენახა.

ეს იყო სფინქსი. სხეული უზარმაზარი ლომისა ჰქონდა, ვეება თათებზე ბასრი ბრჭყალები ესხა, გრძელი, მოყვითალო კუდი ყავისფერი ფუნჯით უბოლოვდებოდა, თავი კი ქალისა ჰქონდა. სფინქსმა წაგრძელებული, ნუშის ფორმის თვალები მოახლოებულ ჰარის მიაპყრო. ჰარიმ გაუბედავად შემართა ჯადოსნური ჯოხი, მაგრამ სფინქსი მსხვერპლზე დასაცხრომად არ მომზადებულა, უბრალოდ, ბილიკზე გადი-გამოდიოდა და ჰარის გზას უღობავდა.

მოულოდნელად სფინქსმა დაბალი, ხრინწიანი ხმით დაილაპარაკა:

– მიზანთან ახლოს ხარ. უმოკლესი გზა ჩემზე გადის.

– მაშინ... მაშინ, იქნებ გამატაროთ, თუ შეიძლება, – სთხოვა ჰარიმ, თუმცა წინდაწინვე იცოდა, რა პასუხს მიიღებდა.

– არა, – სფინქსს აქეთ-იქით სიარული არ შეუწყვეტია, – არა. თუ ჩემს გამოცანას გამოიცნობ, გაგატარებ. თუ არასწორად მიპასუხებ, დაგეძგერები, თუ პასუხისგან თავს შეიკავებ, უვნებლად გაგიშვებ უკან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის გული მუცელში ჩაუვარდა. გამოცანების გამოცნობა ჰერმიონს გამოსდიოდა. ჰარიმ აწონ-დაწონა თავისი შანსები. გადაწყვიტა, გამოცანა თუ რთული აღმოჩნდა, არ ვუპასუხებ, სფინქსს უვნებლად გავეცლები და ლაბირინთის ცენტრისკენ მიმავალ სხვა გზას მოვძებნიო.

– კეთილი, – მიმართა სფინქსს, – თუ შეიძლება, გამოცანა მითხარით.

სფინქსი შუა ბილიკზე უკანა თათებზე ჩაჯდა და ხმამაღლა წარმოთქვა:

ჯერ პირველის პასუხი თქვი: ამტანია და მზიდავი.
ეს მეორე: თქვი, ვინ არის ხაფანგების მოშიშარი.
მესამეა: გაოცების შეძახილი და ნიშანი.
ახლა არსება მითხარი, ამ სამივეს აღმნიშნავი,
რომლის სახელს გეტყვის ჯამი გამოცანის ზემო სამის.
მის კოცნას ვერ გაიძულებს ვერა ძალი ქვეყნისანი.

ჰარი პირდაღებული მიაშტერდა.

– შეიძლება, გამიმეოროთ, ოღონდ უფრო ნელა? – ჰკითხა მოკრძალებით.

სფინქსმა თვალები აახამხამა, გაიღიმა და ლექსი გაიმეორა.

– ყველა გამოცანის პასუხს თუ შევკრებთ, ის არსება გამოვა, რომლის კოცნასაც ვერაფერი მაიძულებს? – ჰკითხა ჰარიმ.

პასუხად სფინქსმა მხოლოდ იდუმალი ღიმილით გაუღიმა. ჰარიმ ეს თანხმობის ნიშნად ჩათვალა და ტვინის ჭყლეტას შეუდგა. უამრავი არსება იცოდა, რომელთა კოცნასაც ვერაფერი აიძულებდა. თავში პირველად ცეცხლაკუდა მოუვიდა. მაგრამ გული უგრძნობდა, რომ ეს არ იყო სწორი პასუხი. არა, ისევ მინიშნებებს უნდა ჩაუფიქრდეს.

– ამტანია და მზიდავი, – წაიბუტბუტა ჰარიმ, თან სფინქსს თვალს არ აშორებდა, – ამტანია და მზიდავი... ეს, ალბათ, აქლემია. არა, აქლემი არ იქნება! ვირი? კარგი, ამას მოგვიანებით მივუბრუნდები... შემდეგ მინიშნებას ხომ ვერ გამიმეორებთ?

სფინქსმა მომდევნო სტრიქონი გაუმეორა.

– ხაფანგების მოშიშარი? – გაიმეორა ჰარიმ, – ჰო, აზრზე არა ვარ. ხაფანგების მოშიშარი... თაგვი ხომ არ არის? და, ბოლო ნაწილს ხომ ვერ გამიმეორებთ?

სფინქსმა ბოლო ოთხი სტრიქონიც გაუმეორა.

– გაოცების შეძახილი და ნიშანი, – ხმამაღლა მსჯელობდა ჰარი, – რა უნდა იყოს? აააა... მოიცა... „ვა“ არის ეს ნიშანი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სფინქსმა გაუღიმა.

– ვირი... თაგვი... ვირი... თაგვი... ვა... – ჰარი სფინქსივით ბოლთას სცემდა, – „მის კოცნას ვერ გაიძულებს ვერა ძალი ქვეყნისანი“... ვირთაგვა...

სფინქსს სახეზე ღიმილი მოეფინა, წამოდგა, წინა ფეხები გაჭიმა და მის გასატარებლად განზე გადგა.

– გმადლობთ, – საკუთარი გამჭრიახობით გაოცებული ჰარი წინ გავარდა.

უკვე მიზანთან ახლოს იყო. ძალიან ახლოს... ჯადოსნური ჯოხი აუწყებდა, რომ სწორ გზას ადგა. თუ საშინელს აღარაფერს გადაეყრებოდა, შეიძლება, მოგების იმედი ჰქონოდა.

ორი ბილიკიდან ისევ ერთი უნდა აერჩია.

– მიმართულება! – უჩურჩულა ჯადოსნურ ჯოხს. ჯოხი ხელისგულზე დატრიალდა და მარჯვენა ბილიკისკენ მიუთითა. ჰარი ბილიკზე გაიჭრა და წინ სინათლე შეამჩნია.

ასი მეტრის დაშორებით, კვარცხლბეკზე, სამი ჯადოქრის ტურნირის თასი ბრწყინავდა. ის იყო, ჰარი სირბილზე გადავიდა, რომ წინ, მარცხენა მოსახვევიდან ვიღაც გამოვარდა და გზა გადაუჭრა.

სედრიკი! სედრიკი მიასწრებდა! თასისკენ კისრისტეხით მირბოდა და ჰარი მიხვდა, რომ მის დაწევაზე ოცნებაც არ ღირდა. სედრიკი მასზე ბევრად მაღალი იყო და უფრო გრძელი ფეხები ჰქონდა.

უცებ ჰარიმ მარცხნივ, ცოცხალი ღობის ზემოთ, უშველებელი რაღაცა შენიშნა. ეს რაღაცა გვერდითა ბილიკს მიუყვებოდა, რომელიც ჰარის ბილიკს კვეთდა. ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ სადაც იყო, სედრიკი ზედ შეასკდებოდა. ის კი თასს თვალს არ აშორებდა, სხვას ვერაფერს ხედავდა...

– სედრიკ! – დაუღრიალა ჰარიმ, – მარცხნივ გაიხედე!

სედრიკმა ზუსტად დროულად გაიხედა, წინ გადახტომა მოასწრო და იმ რაღაცასთან შეჯახება თავიდან აიცილა, მაგრამ სიჩქარეში ფეხი რაღაცას წამოჰკრა და ჯადოსნური ჯოხი ხელიდან გაუვარდა. სწორედ ამ დროს ბილიკზე გიგანტურმა ობობამ შემოაბიჯა და მისკენ დაიძრა.

– გაშეშდი! – დაიყვირა ჰარიმ. შელოცვა ობობას უზარმაზარ, ბალნიან შავ სხეულს მოხვდა, მოხვედრით კი მოხვდა, მაგრამ თითქოს კენჭი ესროლოს მისთვის. ობობა შეტოკდა, შემოტრიალდა და ახლა ჰარისკენ გამოექანა.

– გაშეშდი! იმპედიმენტა! გაშეშდი! – ღრიალებდა ჰარი, მაგრამ ამაოდ. ობობა ან მეტისმეტად დიდი იყო, ან იმდენად ჯადოსნური, რომ შელოცვები მხოლოდ აღიზიანებდა და ვერაფერს აკლებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავზარდაცემულმა ჰარიმ რვა მბზინავი შავი თვალისა და სამართებელივით ბასრი მარწუხების დანახვა ძლივს მოასწრო, რომ ობობა თავს წაადგა, წინა საცეცები ჩაავლო და ჰაერში ასწია. ჰარი გამეტებით იბრძოდა, წიხლებს იქნევდა. ფეხი მარწუხზე მოუხვდა, და საშინელი ტკივილი იგრძნო. ესმოდა სედრიკის ყვირილიც: „გაშეშდი! გაშეშდი!" მაგრამ მისი შელოცვაც, ჰარის შელოცვების მსგავსად, ვერ ჭრიდა. როცა ობობამ ისევ გაშალა მარწუხი, ჰარიმ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ჯადოსნური ჯოხი აღმართა და დასჭექა:

– ექსპელიარმუს!

ამჯერად გამოუვიდა: განმაიარაღებელმა შელოცვამ ობობას ჰარი გააგდებინა, მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰარი ოთხი მეტრის სიმაღლიდან ძირს დაებერტყა, ისედაც დაშავებულ ფეხზე დაეცა. ჰარიმ არც აცივა, არც აცხელა, ჯოხი მაღლა აიშვირა, ობობას მუცელს დაუმიზნა და დაიყვირა: „გაშეშდი!" იმავე წამს სედრიკმაც იგივე დაიძახა. ორმა გაერთიანებულმა შელოცვამ მოახერხა ის, რაც ერთმა ვერ შეძლო: ობობა გვერდზე გადაყირავდა, ცოცხალი ღობე დალეწა და ბილიკი მისმა ბალნიანმა, ერთმანეთში გადახლართულმა ფეხებმა ჩახერგა.

– ჰარი! – მოესმა სედრიკის ყვირილი, – ხომ არაფერი დაგიშავდა? ზედ ხომ არ დაგეცა?

– არა, – უპასუხა ჰარიმ. ფეხზე დაიხედა, სისხლი ღვარად გასდიოდა. ნაფლეთებად ქცეულ მანტიაზე ობობას მარწუხს რაღაცნაირი ბლანტი, წებოვანი ლორწო დაეტოვებინა. ადგომა სცადა, მაგრამ ფეხი საშინლად აუკანკალდა და სხეულის სიმძიმეს ვერ გაუძლო. ჰარი ღობეს მიეყრდნო, ძლივს ამოისუნთქა და მიმოიხედა.

სედრიკი ტურნირის თასისგან ორიოდე ნაბიჯზე იდგა. მის უკან თასი ბზინავდა.

– აიღე, რაღას უცდი, – ქოშინით უთხრა ჰარიმ სედრიკს, – მიდი, მოკიდე ხელი. უკვე თითქმის მასთან ხარ.

მაგრამ სედრიკი ადგილიდან არ იძვროდა, იდგა და თვალს არ აშორებდა ჰარის. შემდეგ მიბრუნდა და თასს გახედა. ოქროსფერ შუქზე ჰარიმ კარგად დაინახა, როგორი მოწიწებითა და ნატვრით შესცქეროდა სედრიკი თასს. შემდეგ მან ისევ ჰარისკენ მოიხედა, რომელიც ახლა ღობეს ეჭიდებოდა, რომ არ წაქცეულიყო. სედრიკმა ღრმად ჩაისუნთქა და ჰარის უთხრა:

– შენ აიღე. გამარჯვება შენ გეკუთვნის. უკვე ორჯერ გადამარჩინე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ასე არ შეიძლება, – გაბრაზდა ჰარი. ფეხი აუტანლად სტკიოდა. ობობასთან ბრძოლის შედეგად მთელი სხეული ტეხდა. ამდენი ძალისხმევის მიუხედავად, სედრიკმა ახლაც დაასწრო, ისევე როგორც მაშინ დაასწრო მეჯლისზე ჩოს დაპატიჟება, – იმარჯვებს ის, ვინც პირველი მიდის თასამდე. ეს კი შენა ხარ. დამიჯერე, ამ ფეხით სირბილში ვერ გაგეჯიბრები.

სედრიკი თასს დაშორდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გათიშული ობობასკენ და უარის ნიშნად თავი გააქნია.

– რა დროს დიდსულოვნებაა, – შეუტია ჰარიმ, – აიღე თასი, რომ აქედან მალე გავაღწიოთ.

სედრიკი უყურებდა, როგორ ცდილობდა თავის შემაგრებას ღობეზე ჩაფრენილი ჰარი.

– შენ მე დრაკონების ამბავი გამანდე, – შეედავა სედრიკი, – პირველივე დავალებაში ჩავფლავდებოდი, ჩემთვის რომ არ გეთქვა, რა გველოდა.

– მაგაში მეც დამეხმარნენ, – მოუჭრა ჰარიმ და სცადა, მანტიის კალთით გაეწმინდა დასისხლიანებული ფეხი, – შენ კი კვერცხზე დამეხმარე, ასე რომ, ბარიბარში ვართ.

– კვერცხზე მეც დამეხმარნენ.

– მაინც ბარიბარში ვართ, – ჰარი ფრთხილად დაეყრდნო ფეხს, მაგრამ ფეხი საცოდავად აუკანკალდა. როგორც ჩანდა, დაცემისას კოჭი იღრძო.

– მეორე ტურზე მეტი ქულა გეკუთვნოდა, – გაჯიუტდა სედრიკი, – შენ ტბაში იმიტომ დაყოვნდი, რომ ყველა მძევალი დაგებრუნებინა. მეც ასე უნდა მოვქცეულიყავი.

– ჩვენში მხოლოდ მე აღმოვჩნდი იმდენად შტერი, რომ სირინოზების სიმღერა სერიოზულად მივიღე! – მწარედ თქვა ჰარიმ, – აიღე, რა, თასი!

– არა.

სედრიკმა ობობას გახლართულ ფეხებზე გადმოაბიჯა ჰარისკენ. ჰარი უზომოდ გაოცებული მიაჩერდა. სედრიკი არ ხუმრობდა. კარგად იცოდა, რომ ისეთ დიდებას აქცია ზურგი, რომლის მსგავსიც მის კლუბს საუკუნეების განმავლობაში არ ღირსებია.

– შენ მიდი, – მტკიცედ უთხრა სედრიკმა. ეტყობოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზეადამიანური ძალისხმევის ფასად დაუჯდა, სახეგაქვავებული, გულხელდაკრეფილი იდგა და, როგორც ჩანდა, გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებდა.

ჰარიმ მზერა სედრიკიდან თასზე გადაიტანა. სულ რაღაც ერთი ბედნიერი წამით წარმოიდგინა, როგორ გამოდის ლაბირინთიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელში თასით. წარმოიდგინა, როგორ სწევს მაღლა ტურნირის თასს, ისევ ჩაესმა ბრბოს ღრიალი, უწინდელზე უფრო მკაფიოდ დაინახა ჩოს აღტაცებისგან გაბრწყინებული სახე...

შემდეგ ეს სურათი გაფერმკრთალდა და მისი ადგილი სედრიკის მოღუშულმა, ჯიუტმა სახემ დაიკავა.

– ორივე ერთად მივიდეთ, – თქვა ჰარიმ.

– რაა?

– ერთად ავიღებთ. ეს მაინც ჰოგვორტსის გამარჯვებაა. ჩვენ ორივემ გავიმარჯვეთ.

სედრიკი გაოცებული უყურებდა.

– შენ... შენ ასე ფიქრობ?

– ჰო, – თავი დაუქნია ჰარიმ, – ჰო... ჩვენ ხომ ერთმანეთს ვეხმარებოდით, ასე არ არის? ორივემ მოვაღწიეთ აქამდე. ჰოდა, მოდი, ერთად ავიღოთ.

წამით სედრიკს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო, შემდეგ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

– მოსულა! წამოდი.

სედრიკი ჰარის მხარში შეუდგა და დაეხმარა, კოჭლობით მისულიყო კვარცხლბეკთან, რომელზეც თასი იდგა. შემდეგ ორივემ თასის ბზინვარე სახელურებისკენ გაიწოდა ხელი.

– სამ თვლაზე, კარგი? – შესთავაზა ჰარიმ, – ერთი... ორი... სამი...

ჰარიმ და სედრიკმა ერთდროულად ჩაავლეს ხელი თასის სახელურებს. იმწამსვე ჰარიმ წელზე ნაცნობი ბიძგი იგრძნო. ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. თასმა ხელი მაგნიტივით მიიზიდა და ბიჭი თან გაიტაცა. ქარის ღმუილსა და ფერთა მორევში სედრიკიც მის გვერდით მიჰქროდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთორმეტე

ძვალი, ხორცი და სისხლი

ჰარი მიწას ფეხებით დაენარცხა. დაშავებულმა ფეხმა უმტყუნა და მოცელილივით ჩაემხო ბალახში. როგორც იქნა, თასს ხელი გაუშვა და თავი ასწია.

– სადა ვართ?

სედრიკმა პასუხად თავი გააქნია, წამოდგა და ჰარიც წამოაყენა. ორივემ მიმოიხედა.

ეს ადგილი არაფრით არ ჰგავდა ჰოგვორტსს. აშკარად, რამდენიმე მილი გაიარეს, შეიძლება, ასობით მილიც კი, რადგან ის მთებიც კი არსად ჩანდა, ციხე-კოშკს გარს რომ ერტყმოდა. ბინდში ჩაძირულ და სარეველამოდებულ სასაფლაოზე იდგნენ. მარჯვნივ, მაღალი ურთხელის მილმა, მომცრო ეკლესიის მუქი კონტურები იკვეთებოდა. მარცხნივ კი გორა აღმართულიყო, რომელზეც ძველი ლამაზი სახლი მოჩანდა.

სედრიკმა ტურნირის თასს დახედა:

– შენთვის ხომ არ უთქვამს ვინმეს, რომ ეს თასი პორტაჟია?

– არა, – ჰარიმ სასაფლაო მოათვალიერა. სამარისებური სიჩუმე იდგა და აქაურობა ცოტათი ჟრუანტელის მომგვრელი იყო, – იქნებ ესეც დავალების ნაწილია?

– რა ვიცი, – სედრიკს ხმაში ოდნავი აღელვება დაეტყო, – რას იტყვი, ჯადოსნური ჯოხები ხომ არ ამოვიღოთ?

– ჰო, – ჰარის გაუხარდა, რომ ეს პირველმა სედრიკმა თქვა და არა თვითონ.

ჯადოსნური ჯოხები მოიმარჯვეს. ჰარი ისევ აქეთ-იქით იცქირებოდა. ძველებურად დაეუფლა ის უცნაური გრძნობა, თითქოს ორივეს უთვალთვალებდნენ.

– ვილაცა მოდის, – უთხრა სედრიკს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალები მოჭუტეს და ყურადღებით მიაჩერდნენ სიბნელეს. საფლავებს შორის მათკენ მართლაც ჯიქურ მოემართებოდა ვიღაცა. სახე არ უჩანდა, მაგრამ ისე მოდიოდა და ხელებიც ისე ეჭირა, აშკარა იყო, რაღაცა მოჰქონდა. დაბალი ჩანდა, სახის დასამალად თავზე კაპიუშონი წამოეხურა. მათ შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა. ახლოს რომ მოვიდა, ჰარიმ ის, რაც ახალმოსულს ხელში ეჭირა, ჩვილ ბავშვს მიამსგავსა... ან იქნებ ძონძების გროვა იყო და მეტი არაფერი?

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი დაუშვა და სედრიკს გადახედა. სედრიკმა შეცბუნებული მზერით უპასუხა და ორივენი ისევ ჩია უცნობს მიუბრუნდნენ.

უცნობი მათგან ორიოდე მეტრის მოშორებით, მარმარილოს მაღალი საფლავის ქვასთან შედგა. წამით ჰარიმ, სედრიკმა და დაბალმა კაცმა ერთმანეთი შეათვალიერეს.

და უცებ, სად იყო და სად არა, ჰარის ნაიარევზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა. ასეთი აუტანელი ტკივილი ცხოვრებაში არ უგრძნია. ჯადოსნური ჯოხი გაუვარდა და ორივე ხელი სახეზე იტაცა. მუხლები მოეკვეთა, თვალთ დაუბნელდა, წამიც და, მიწაზე იწვა, ველარაფერს ხედავდა და ეგონა, ახლა თავი შუაზე გამისკდებაო.

სადღაც შორს, მის თავზემოთ, სუსხიანი, გამყივანი ხმა გაისმა:

– ზედმეტი მოიშორე!

ჰაერი სტვენით გააპო რაღაცამ და სიბნელეში მეორე ხმამ დაიღრჭიალა:

– ავადა კედავრა!

თვალებდახუჭულ ჰარის ქუთუთოებზე მწვანე ელვამ გადაურბინა. და მიწაზე რაღაცის მძიმედ დაცემის ხმა გაიგონა. ნაიარევის ტკივილი ისეთი გაუსაძლისი გახდა, რომ ჰარის კინაღამ გული აერია. შემდეგ კი ტკივილმა თანდათან იკლო. ჰარიმ შიშით გაახილა აცრემლებული თვალები. მის გვერდით მიწაზე უსულოდ ეგდო სედრიკი.

სულ ერთი წამით, რომელიც ჰარის მარადისობად ეჩვენა, დახედა სედრიკის სახეს, მის ღიად დარჩენილ, უკაცრიელი სახლის ფანჯრებივით ცარიელ, უსიცოცხლო ნაცრისფერ თვალებს, თითქოსდა გაოცებისგან ოდნავ დაღებულ პირს და შემდეგ, ვიდრე ელდისაგან გამოერკვეოდა, იგრძნო, რომ ძალით წამოაყენეს ფეხზე.

მოსასხამიან ჩია კაცს ფუთა მიწაზე დაედო, ჯოხის წვერი აენთო და ჰარის მარმარილოს საფლავის ქვისკენ მიათრევდა. სანამ ძალით მოატრიალებდა და საფლავის ქვას მიანარცხებდა, ჰარიმ ჯადოს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნური ჯოხის ლიცლიცა შუქით განათებულ საფლავის ქვაზე ამოტ-ვიფრული სახელის წაკითხვა მოასწრო:

„ტომ რიდლი."

უცნობის ჯადოსნური ჯოხიდან თოკები გამოსრიალდა, ჰარის შემოეხვია და საფლავის ქვას მიაბა. კაპიუშონის სიღრმიდან არა-თანაბარი, წყვეტილ-წყვეტილი სუნთქვა ისმოდა. ჰარიმ გაიბრძო-ლა და კაცმა გაარტყა, გაარტყა ხელით, რომელსაც ერთი თითი აკლდა, და ჰარი მიხვდა, ვინ იმალებოდა კაპიუშონში. ეს იყო გრძელკუდა.

– შენა ხარ? – აღმოხდა ჰარის.

გრძელკუდას პასუხისთვის არ ეცალა. აკანკალებული თითებით ყოველ კვანძს სინჯავდა, რათა შეემოწმებინა, რამდენად მაგრად იყო ჰარი გაკოჭილი. როცა დარწმუნდა, ტყვე ისეა ქვაზე მიბმული, გატოკებაც კი არ შეუძლიაო, გრძელკუდამ მოსასხამის შიგნიდან შავი ქსოვილის ნაჭერი ამოაძვრინა და ჰარის უბოდიშოდ ჩასჩარა პირში, შემდეგ უსიტყვოდ აქცია ზურგი და სწრაფად გაეცალა.

ჰარი ვერც ხმას იღებდა, ვერც იმას ხედავდა, საით წავიდა გრძე-ლკუდა. თავის მობრუნებაც არ შეეძლო, რომ საფლავის ქვის უკან გაეხედა. ხედავდა მხოლოდ იმას, რაც ზუსტად მის წინ იყო. სედრი-კის ცხედარი ექვსი მეტრის მოშორებით ეგდო. იქვე, მის უკან, ვარ-სკვლავების შუქზე ტურნირის თასი ბრწყინავდა. ჰარის ჯადოსნური ჯოხი სედრიკის ფეხებთან ეგდო. ტანსაცმლის გროვა, რომელიც ჰარიმ ჩვილ ბავშვს მიამსგავსა, ახლა საფლავის ფერხთით იდო და მასში თითქოს რაღაცა მოუსვენრად მოძრაობდა. ჰარიმ მას დახედა თუ არა, კვლავ დაუშანთა შუბლი მტანჯველმა ტკივილმა. და უცებ გარკვევით გააცნობიერა, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ენახა, რას ფარავდა ეს ტანსაცმლის გროვა... არაფრით არ სურდა, გრძელკუდას ეს შეკვრა გაეხსნა.

ფეხებთან ხმაური მოესმა და ძირს დაიხედა. ბალახში საფლა-ვის ქვის გარშემო უზარმაზარი გველი დასრიალებდა. ისევ გაის-მა გრძელკუდას ნაწყვეტ-ნაწყვეტი ქოშინი. ქოშინი თანდათან ახლოვდებოდა, ეტყობოდა, გრძელკუდა მძიმე რაღაცას მოათრევ-და. შემდეგ, როცა გრძელკუდა ჰარის თვალთახედვის არეში მოექ-ცა, ჰარიმ დაინახა, რომ ქვისგან გამოთლილ ქვაბს ექაჩებოდა. როგორც ჩანს, ქვაბი სავსე იყო, რადგან წყლის დგაფუნი ისმოდა, და ისეთი უზარმაზარი – რომ მასში ზრდასრული ადამიანი თავი-სუფლად ჩაეტეოდა.

ფუთაში გამოკრული არსება კიდევ უფრო გაშმაგებით აფუთ-ფუთდა, თითქოს იქიდან თავის დაღწევას ცდილობდა. ამასობაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრძელკუდამ ქვაბს ქვემოდან ჯადოსნური ჯოხით შეუჩხიკინა და მოულოდნელად ცეცხლის ენები ატკაცუნდა. გიგანტური გველი ბალახში გასრიალდა და სიბნელეს შეერია.

ქვაბში სითხე სწრაფად გაცხელდა. სულ მალე ისე ადუღდა, რომ იქიდან ამოსროლილ შხეფებს თითქოს ცეცხლი ეკიდა. ორთქლი თანდათან შესქელდა და კოცონთან მოფუსფუსე გრძელკუდას სილუეტი დაფარა.

მოსასხამში გახვეული არსების მოძრაობა უფრო აღგზნებული გახდა, და კვლავ გაისმა გამყივანი, ცივი ხმა:

– დაუჩქარე!

სითხის ზედაპირი უკვე მთლიანად დაეფარა ნაპერწკლებს, გეგონებოდათ, ალმასებითაა მოოჭვილიო.

– მზად გახლავთ, ბატონო!

– დაიწყე! – უბრძანა ცივმა ხმამ.

გრძელკუდამ მიწაზე დადებული ტანსაცმლის შეკვრა გახსნა და გამოჩნდა, რა იყო შიგნით. ჰარის კივილი აღმოხდებოდა, პირი ჩვრით რომ არ ჰქონოდა ამოქოლილი. გეგონებოდა, გრძელკუდამ მიწაში ღრმად ჩამჯდარი ქვა გადააბრუნა და რაღაც მახინჯი, ლორწოვანი და ბრმა არსება გამოაჩინაო. არა, უარესი, ასჯერ უფრო უარესი! იმას, რაც გრძელკუდამ მოიტანა, მოკუნტული ჩვილი ბავშვის ფორმა ჰქონდა, მაგრამ ჰარის არასოდეს ენახა ამაზე უფრო უმსგავსი რამე. ეს იყო უთმო, ქერცლიანი, მოწითალო-მოშავო უმი ხორცის ნაჭერი. ხელ-ფეხი წვრილი და უსუსური ჰქონდა, სახე კი – ბრტყელი და გველისებური, თვალები – წითელი და ანთებული. არა, შეუძლებელია ბავშვს ასეთი სახე ჰქონოდა.

არსება სრულიად უმწეო ჩანდა. გალეული მკლავები ასწია და გრძელკუდას კისერზე შემოხვია. გრძელკუდამ ხელში აიყვანა. ამ დროს კაპიუშონი გადასძვრა და ცეცხლის შუქზე ჰარიმ დაინახა, როგორ აღებეჭდა მსახურს გამხდარ, ფერმკრთალ სახეზე ენით აუწერელი ზიზღი, სანამ არსება ქვაბისკენ მიჰყავდა. ხსნარის ზედაპირზე მოცეკვავე ნაპერწკლებმა სულ ერთი წამით გაანათა ბოროტი, ბრტყელი სახე, შემდეგ გრძელკუდამ არსება ქვაბში ჩაუშვა. იგი სისინით გაუჩინარდა და ჰარიმ გაიგონა, როგორ დაეცა ქვაბის ფსკერზე მისი გალეული სხეული.

– ნეტავ, დაიხრჩოს, – ინატრა ჰარიმ. ნაიარევის მტანჯველი ტკივილი შუბლს უბურღავდა, – ნეტავ დაიხრჩოს!

უცებ გრძელკუდამ ლაპარაკი დაიწყო. აკანკალებულ ხმაზე ეტყობოდა, როგორ იყო შიშისგან დაზაფრული. ჯადოსნური ჯოხი აღემართა, თვალები დაეხუჭა და ღამეს შეჰღაღადებდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძვალო მამისავ, უნებურად მიცემულო, ააღორძინე შენი შვილი!

ჰარის ფერხთით საფლავის ზედაპირი გაიბზარა. ელდანაცემი ჰარის თვალწინ ნაპრალიდან ჰაერში მტვრის წვრილი ზოლი ამოიმართა და გრძელკუდას ჯოხის ნიშანზე დინჯად ჩაეშვა ქვაბში. წყლის ალმასივით ბრდღვიალა ზედაპირი გაიპო და აშიშინდა. შემდეგ ყველა მიმართულებით ნაპერწკლები გადმოაფრქვია და შხამიანი ცისფერი გახდა.

შიშისა და ძრწოლისგან აწკმუტუნებულმა გრძელკუდამ მანტიის შიგნიდან გრძელი, წვრილი ვერცხლისფერი პრიალა ხანჯალი ამოაძვრინა და ისტერიკული ქვითინით ამოისლუკუნა:

– ხორცო მსახურისა... ნებით მიცემულო... განაახლე შენი ბატონი!

გრძელკუდამ თითნაკლული მარჯვენა ხელი წინ გაიწოდა, მარცხენა ხელით მაგრად ჩაბღუჯა ხანჯალი და მაღლა შემართა.

ჰარი იმწამსვე მიხვდა, რას აპირებდა გრძელკუდა, და თვალების დახუჭვა მოასწრო. მაგრამ ყურებსაც ხომ ვერ დაიხშობდა, ამიტომ გაიგონა განწირული ღრიალი, რომელიც გულზე ისე დაეძგერა, თითქოს გრძელკუდამ მასაც ხანჯალი გაუყარა. გაიგონა მიწაზე რაღაცის დავარდნის ხმაც, ესმოდა გრძელკუდას განაწამები ხვნეშა, შემდეგ – გულისამრევი დგაფუნი, თითქოს ქვაბში რაღაცა ჩააგდესო... ჰარი თვალების გახელას ვერ ბედავდა. მაგრამ თვალდახუჭულიც ხედავდა, რომ ხსნარი სისხლისფრად შეიღება.

გრძელკუდა სიმწრით გმინავდა და წკმუტუნებდა. უცებ ჰარიმ სახეზე ვიღაცის სუნთქვა იგრძნო და მიხვდა, რომ გრძელკუდა მის წინ იდგა.

– ს... სისხლო მტრისავ... ძალით წართმეულო... მკვდრეთით აღადგინე შენი მოძულე...

ჰარის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ძალიან მაგრად იყო დაბმული... სასოწარკვეთით გაქაჩა თოკები და თვალებდაელმებულმა დაინახა, როგორ უკანკალებდა ერთადერთ ხელში გრძელკუდას პრიალა ვერცხლისფერი ხანჯალი. იგრძნო, რომ ხანჯლის წვერმა მოღუნულ იდაყვზე კანი გაუჭრა და დახეულ სახელოზე სისხლმა იწყო დენა.

ტკივილისაგან ახროტინებულმა გრძელკუდამ ჯიბეში ხელი მოიფათურა, წამლის შუშა ამოიღო, ჰარის ჭრილობასთან მიუტანა და სისხლით აავსო, შემდეგ ბარბაცით მიიტანა ქვაბთან და შიგ ჩაღვარა. ქვაბში სითხე იმწამსვე ქათქათა თეთრი გახდა. გრძელკუდამ თავისი საქმე შეასრულა, ქვაბის გვერდით უღონოდ დაეცა მუხლებზე და მაშინვე გვერდზე გადავარდა. გასისხლიანებული მორის ნაჭე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რივით გამოჩრილი მკლავის შერჩენილ ნაწილს მეორე ხელი მიაშველა და კვნესა-ქვითინით დაუწყო მოფერება.

ქვაბი კი თუხთუხებდა. ირგვლივ თვალისმომჭრელ ნაპერწკლებს აფრქვევდა. მათი დამაბრმავებელი სიკაშკაშის ფონზე ირგვლივ ყველაფერი ხავერდოვან სიბნელეში იძირებოდა. სხვა არაფერი ხდებოდა...

„იქნებ დაიხრჩო, – იმედი მიეცა ჰარის, – იქნებ რაღაცა შეეშალათ?“

და უცებ ნაპერწკლების შადრევანი ერთბაშად ჩაქრა. მათ ნაცვლად ქვაბიდან რძისფერი სქელი ორთქლის ნაკადი ამოიჭრა და ჰარის თვალწინ ყველაფერი დაფარა. აღარც გრძელკუდა ჩანდა, აღარც სედრიკი, აღარაფერი, ჰაერში დატრიალებული ბუღის გარდა...

„რაღაცა შეეშალათ, – გაიფიქრა ჰარიმ, – დაიხრჩო... ნეტავ... ნეტავ... ოღონდაც მკვდარი იყოს...“

და უეცრად შიშმა სუსხივით დაუარა და გულ-მუცელი გაუყინა. ნისლში ქვაბიდან დინჯად წამოიმართა მაღალი, ჩონჩხივით გაძვალტყავებული მამაკაცის ფიგურა.

– შემმოსე, – გაისმა გულის გამგმირავი ხმა.

გრძელკუდამ ქვითინ-ქვითინით მიიკრა გულზე თავისი დასახიჩრებული მკლავი, წელი ძლივს აითრია, ხოხვა-ხოხვით აკრიფა მიწაზე დაყრილი შავი სამოსი, ცერებზე შედგა და ბატონს ცალი ხელით თავსა და მხრებზე ჩამოაცვა.

გაძვალტყავებული მამაკაცი ქვაბიდან ისე გადმოვიდა, ჰარისთვის თვალი არ მოუშორებია. ჰარიმაც შეხედა მის სიკვდილივით გაფითრებულ სახეს. სამი წლის განმავლობაში ღამის კოშმარებში არ ასვენებდა ეს ბოროტი წითელი თვალები, გველისებური ბრტყელი ცხვირი და ნესტოების ნაცვლად – ორი ნახვრეტი...

ლორდი ვოლდემორი აღდგა...

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეცამეტე

„სიკვდილის მხვრელები“

ვოლდემორმა ჰარისგან პირი იბრუნა და თავისი სხეულის თვალიერებას შეუდგა. ხელები დიდ, უფერულ ობობებს მიუგავდა. გრძელი, თეთრი თითები ალერსით გადაიტარა მკერდზე, მკლავებზე, სახეზე. კატასავით ვიწროგუგიანი წითელი თვალები მკვეთრად აუელვარდა სიბნელეში. აღტაცებულმა ხელები წინ გაიწვდინა და ნეტარებით მოხარა და გაშალა თითები. იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევდა არც მიწაზე მოკრუნჩხულ, სისხლში მოთხვრილ გრძელკუდას და არც გიგანტურ გველს, რომელიც ისევ მოსრიალდა და სისინით შემოეხვია საფლავის ქვას, რომელზეც ჰარი იყო მიკრული. ვოლდემორმა არაბუნებრივად გრძელთითებიანი ხელი მანტიის ჯიბეში ღრმად ჩაიცურა და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო. მასაც ნაზად გადაუსვა თითები, შემდეგ ჯოხი აღმართა და გრძელკუდას დაუმიზნა. გრძელკუდა მიწას მოსწყდა და იმ საფლავის ქვის ძირას დაენარცხა, რომელზეც ჰარი იყო მიბმული. გრძელკუდა უფრო ხმამაღლა აკვნესდა და ატირდა. ვოლდემორმა ალისფერი თვალები ჰარის მიაპყრო და გამყივანი, ცივი ხმით გადაიხარხარა. გრძელკუდას მოკვეთილ ხელზე შემოხვეული მანტია სისხლით გაჟღენთოდა.

– მილორდ... – გმინვით შეჰღაღადა თავის ბატონს, – თქვენ დამპირდით... თქვენ ხომ დამპირდით...

– ხელი გამომიწოდე, – დაუდევრად გამოსცრა კბილებში ვოლდემორმა.

– ო, ბატონო... გმადლობთ, ბატონო...

გრძელკუდამ სისხლიანი მოკვეთილი ხელი გაუწოდა, მაგრამ ვოლდემორმა გადაიხარხარა:

– მეორე ხელი, გრძელკუდავ.

– ბატონო, გევედრებით... გემუდარებით...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვოლდემორი დაიხარა, მსახურს მარცხენა მკლავი ძალით გააშლევინა და მანტიის სახელო იდაყვს ზემოთ აუწია. ჰარიმ გრძელკუდას კანზე მუქი წითელი სვირინგის მსგავსი ნიშანი დაინახა: პირიდან გველგამოჩრილი თავის ქალა – იგივე გამოსახულება, რაც ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატის ღამეს ცაზე გამოისახა: „შავი ნიშანი“! ვოლდემორს აინუნშიც არ ჩაუგდია გრძელკუდას გულამოსკვნილი ზლუქუნი, ყურადღებით შეათვალიერა ნიშანი.

– დაბრუნდა, – წარმოთქვა ხმადაბლა, – ამიერიდან უკვე ყველა შეამჩნევს... და ახლა ვნახავთ... ახლა გავიგებთ...

გრძელკუდას მკლავზე აღბეჭდილ დამღას გრძელი, თეთრი საჩვენებელი თითი დააჭირა.

ჰარის შუბლზე ისევ აუტანელმა ტკივილმა დაუარა, გრძელკუდას გულისგამგმირავი ყვირილისგან კი ყურები დაუგუბდა. როცა ვოლდემორმა ნიშანს თითები მოაშორა, ჰარიმ დაინახა, რომ სვირინგი კუპრივით გაშავებულიყო.

ვოლდემორს სახეზე ბოროტი კმაყოფილება გადაეფინა, წელში გაიმართა და სიბნელეში ჩაძირულ სასაფლაოს თვალი მოავლო.

– რამდენს ეყოფა გამბედაობა, დამიბრუნდეს, როცა ამას იგრძნობენ? – დაიჩურჩულა მან და კაშკაშა წითელი თვალები ვარსკვლავებს გაუშტერა, – და რამდენი აღმოჩნდება იმდენად უგუნური, რომ თავი ჩემგან შორს დაიჭიროს?

ვოლდემორი ჰარისა და გრძელკუდას წინ ბოლთის ცემას მოჰყვა, დროდადრო სასაფლაოს მოავლებდა თვალს. ორიოდე წუთის შემდეგ ჰარის შეხედა და გველისებური სახე სასტიკმა ღიმილმა დაუმანჭა. მერე ხმადაბლა დაისისინა:

– ჰარი პოტერ, შენ ახლა ჩემი გარდაცვლილი მამის ნეშტზე დგახარ. ის მაგლი იყო და ბრიყვი... ისევე, როგორც შენი საყვარელი დედიკო. მაგრამ ორივე გამოგვადგა, ასე არ არის? დედაშენმა შენს გადასარჩენად თავი გაწირა... მამაჩემი კი მე მოვკალი და ხომ ხედავ, მკვდარი რარიგად გამომადგა...

ვოლდემორმა გადაიხარხარა და კვლავ წინ და უკან სიარულს მოჰყვა, თან ირგვლივ იყურებოდა. გველიც მის კვალდაკვალ დასრიალებდა.

– პოტერ, ხედავ იმ სახლს გორაზე? იქ მამაჩემი ცხოვრობდა. ჩემს ჯადოქარ დედას, რომელიც ამ სოფელში ცხოვრობდა, ის შეუყვარდა. მაგრამ მან მიატოვა, როცა დედაჩემმა გაუმხილა, ვინ იყო... ჰო, მამაჩემს ჯადოქრობა გულზე დიდად არ ეხატებოდა... მე ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, როცა დედაჩემი მიატოვა და თავის მაგლ მშობლებს დაუბრუნდა. დედაჩემი ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა და მე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგლების უდედმამო ბავშვთა თავშესაფარს მიმაბარეს... მაგრამ დავიფიცე, რომ მამაჩემს მოვძებნიდი... მე შური ვიძიე მასზე, იმ ბრიყვზე, რომელმაც საკუთარი სახელი მომცა: ტომ რიდლი...

ვოლდემორი ისევ ბოლთას სცემდა.

– ხედავ?ახლა აქ ვდგავარ და ჩემი ოჯახის ამბავს გიყვები, – მშვიდად შენიშნა მან, – მგონი, რაც დრო გადის, სენტიმენტალური ვხდები... მაგრამ, შეხედე, ჰარი! ჩემი ჭეშმარიტი ოჯახი ბრუნდება...

მართლაც, უეცრად მოსასხამების შრიალი გაისმა. საფლავებს შორის, ურთხელის ხის ქვეშ, ყველგან, სადაც ჩრდილი იყო, პირდაპირ არსაიდან ჩნდებოდნენ ჯადოქრები. ყველას კაპიუშონი ეხურა და სახეზე ნიღაბი აეფარებინა. ერთიმეორის მიყოლებით გადმოდგეს მისკენ ნაბიჯი... ნელა, გაუბედავად, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებენო. ვოლდემორი მდუმარედ იდგა საფლავებს შორის და მათ მისჩერებოდა. ერთ-ერთი „სიკვდილის მხვრელი“ მუხლებზე დაემხო, ვოლდემორისკენ გახოხდა და მანტიის კალთაზე ლუღლუღით ეამბორა:

– ბატონო... ბატონო...

დანარჩენებმაც მას მიჰბაძეს. ყოველი „სიკვდილის მხვრელი“ ვოლდემორს მუხლებზე ხოხვით უახლოვდებოდა, მანტიაზე ემთხვეოდა, შემდეგ განზე დგებოდა. ასე და ამგვარად, შეკრეს წრე ტომ რიდლის საფლავის, ჰარის, ვოლდემორისა და მოქვითინე, დაკრუნჩხული გრძელკუდას ირგვლივ. მაგრამ წრეში დატოვებული ცარიელი ადგილები იმაზე მიანიშნებდა, რომ ისინი სხვებსაც ელოდნენ. მათგან განსხვავებით, ვოლდემორი, როგორც ჩანდა, მეტს აღარავის ელოდა. მან კაპიუშონებში ჩამალულ სახეებს მზერა მოავლო და, თუმცა ქარი არ ქროდა, წრეს ისეთმა შრიალმა გადაუარა, თითქოს ყველას გააჟრჟოლაო.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, „სიკვდილის მხვრელებო“, – წყნარად წარმოთქვა ვოლდემორმა, – ცამეტი წელი... ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთს უკანასკნელად შევხვდით. და მაინც, ისე გამოეპასუხეთ ჩემს ძახილს, თითქოს მხოლოდ გუშინ დავშორდით. მაშ, უწინდებურად ვართ გაერთიანებული „შავი ნიშნის“ ქვეშ? თუ არა?

მან საზარელი სახე უკან გადასწია და ჰაერი ხმაურით შეისუნთქა, ნესტოების მაგიერი ორი ნახვრეტი გაუფართოვდა. მერე უცებ თქვა:

– დანაშაულის სუნი მცემს, ჰაერში დანაშაულის მყრალი სუნი ტრიალებს.

წრეს ხელმეორედ დაურბინა ჟრჟოლამ, თითქოს მის ყოველ წევრს ერთი სული ჰქონდა, უკან დაეხია, მაგრამ ვერ ბედავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორც ვხედავ, ყველანი საღ-სალამათნი ბრძანდებით და თქვენს ძალებს არაფერი დაჰკლებია, რაკი ასე უეცრად გამოჩნდით! და საკუთარ თავს ვეკითხები... რატომ ადრე არ მოვიდნენ ეს ჯადოქრები თავიანთი ბატონის საშველად, რომელსაც სამარადჟამო ერთგულება შეჰფიცეს?

ხმა არავის ამოუღია. არავინ იძვროდა, გრძელკუდას გარდა, რომელიც ისევ მიწაზე ეგდო და დასისხლიანებულ მკლავს დაჰქვითინებდა.

– და ამ კითხვას თავადვე ვპასუხობ, – ჩურჩულით განაგრძო ვოლდემორმა, – ალბათ, მათ ირწმუნეს, რომ დავმარცხდი; ირწმუნეს, რომ დავილუპე. ისინი ჩემს მტრებთან მივიდნენ და ეფიცებოდნენ, ვითომ არაფერი იცოდნენ, ვითომ მოჯადოებულები იყვნენ... და ჩემს თავს ვეკითხები, როგორ დაიჯერეს, რომ მე აღარ აღვდგებოდი? მათ ხომ იცოდნენ, რა ზომები მივიღე დიდი ხნის წინ, რათა ხორციელი სიკვდილისგან დამეცვა თავი? მათ ხომ საკუთარი თვალით იხილეს ჩემი ძალის უსაზღვროება მაშინ, როდესაც მე ცოცხალ ჯადოქართა შორის ყველაზე ძლევამოსილი ვიყავი? და ამ კითხვასაც თავადვე ვპასუხობ: იქნებ დაიჯერეს, რომ არსებობს უფრო დიდი ძალა, რომელსაც ძალუძს თვით ლორდ ვოლდემორის მოსპობა... იქნებ ახლა სხვას აღუთქვეს ერთგულება... ვთქვათ, უბრალო ხალხის, მუქსისხლიანთა და მაგლთა ქომაგ ალბუს დამბლდორს?

დამბლდორის სახელის ხსენებაზე წრეში ჩამდგარნი შეირხნენ, რაღაცა წაიბუტბუტეს და უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

ვოლდემორს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია.

– ამან მე გული გამიტეხა... უნდა ვაღიარო, რომ ძალზე იმედგაცრუებული ვარ...

უეცრად ერთ-ერთი ჯადოქარი წრიდან გამოვარდა და ვოლდემორის ფერხთით დაემხო თავით ფეხამდე აკანკალებული.

– ბატონო! – იკივლა გულისწამღებად, – ბატონო, მოგვიტევეთ! ყველას მოგვიტევეთ!

ვოლდემორმა გადაიხარხარა და ჯადოსნური ჯოხი აღმართა:

– კრუციო!

მიწაზე გართხმული „სიკვდილის მხვრელი“ ტკივილისგან დაიკლაკნა და ყვირილი მორთო. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ ამ ხმას სოფელშიც გაიგონებდნენ... ნეტავ პოლიცია მოვიდესო, გაიფიქრა სასოწარკვეთით... – ვინმე... რამე მოვიდესო...

ვოლდემორმა ისევ ასწია ჯადოსნური ჯოხი. ნაწამებმა „სიკვდილის მხვრელმა“ კლაკვნა შეწყვიტა, ახლა ზურგზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ადექი, ეივერი, – რბილად თქვა ვოლდემორმა, – წამოდექი. შენ პატიებას ითხოვ? მე არ გაპატიებ. და მე არაფერს არ ვივიწყებ. ცამეტი გრძელი წელიწადი... სანამ გაპატიებდე, მე ჯერ ამ ცამეტი წლის საზღაურს მოვითხოვ. გრძელკუდამ თავისი ვალის ნაწილი უკვე გადაიხადა, არა, გრძელკუდავ? – და გულამოსკვნით მტირალ გრძელკუდას დახედა, – შენ ჩემთან დაბრუნება ჩემდამი ერთგულებამ კი არა, ძველი მეგობრებისადმი შიშმა გადაგაწყვეტინა. შენ იმსახურებ ამ ტკივილს, გრძელკუდავ. ხომ ხვდები ამას?

– დიახ, ბატონო, – დაიგმინა გრძელკუდამ, – შემიბრალეთ, ბატონო, გევედრებით...

– მაგრამ შენ მე დამეხმარე, რომ ჩემს სხეულს დავბრუნებოდი, – ვოლდემორი გულგრილად დასცქეროდა მიწაზე მოკრუსუნე მსახურს, – როგორი უღირსი და მუხანათიც უნდა იყო, შენ მე მაინც დამეხმარე... ლორდი ვოლდემორი კი აჯილდოებს თავის შემწეებს...

ვოლდემორმა ჯადოსნური ჯოხი კვლავ აღმართა და წრიულად დაატრიალა. ჰაერში გამდნარი ვერცხლის მსგავსი კვალი დარჩა. წამით უფორმო იყო, შემდეგ დაიკლაკნა და ადამიანის ხელის ფორმა მიიღო. სიბნელეში მთვარესავით განათებული ხელის ასლი დაბლა ჩასრიალდა და გრძელკუდას დასისხლიანებულ მაჯას შეეზარდა.

გრძელკუდამ იმწამსვე შეწყვიტა ქვითინი. ქშენით ასწია თავი და თვალებდაჭყეტილი დააშტერდა ვერცხლისფერ ხელს, რომელიც მაჯაზე ისე უზადოდ შერწყმოდა, თითქოს თვალისმომჭრელად მბრწყინავი ხელთათმანი ჩაუცვამსო. მან მბზინავი თითები მოხარა და გაშალა, შემდეგ აკანკალებული ხელით მიწიდან წნელი აიღო, მოუჭირა და მტვრად აქცია.

– მილორდ, – ჩურჩულით ამოთქვა, – ბატონო... მშვენიერია... გმადლობთ... გმადლობთ...

მუხლებზე მდგარი მიხოხდა ვოლდემორთან და მანტიის ქობაზე ემთხვია.

– დაე, შენი ერთგულება ამიერიდან ურყევი იყოს, გრძელკუდავ, – უთხრა ვოლდემორმა.

– დიახ, მილორდ... სამუდამოდ, მილორდ...

გრძელკუდა წამოდგა და წრეში თავისი ადგილი დაიკავა, თან ახალ, ღონიერ ხელს თვალს ვერ სწყვეტდა, სახე კი ცრემლებისგან უბრწყინავდა. ვოლდემორი გრძელკუდას მარჯვნივ მდგარ კაცს მიუახლოვდა, მის წინ შეჩერდა და ჩურჩულით მიმართა:

– ლუციუს, ჩემო გაქნილო მეგობარო, როგორც გავიგე, ძველი ჩვეულებისთვის არ გიღალატია, თუმცა საზოგადოებაში პატივსაცემ კაცად მოგაქვს თავი. იმედია, მზად ხარ, ისევ ჩაუდგე სათავეში მაგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლების მწამებლებს... და მაინც, ლუციუს, შენ ერთხელაც არ გიცდია ჩემი მოძებნა... უნდა გითხრა, რომ ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე შენმა გმირულმა საქციელმა ძალიან გამართო, მაგრამ განა არ ჯობდა, მთელი ენერგია შენი ბატონის პოვნისა და მისი დახმარებისთვის გამოგეყენებინა?

– მილორდ, მე მუდმივად ფხიზლად გახლდით, – მკვირცხლად გაისმა კაპიუშონიდან ლუციუს მალფოის ხმა, – თქვენგან ერთი ნიშანი მაინც რომ მომსვლოდა, ნართაულად ნათქვამიც კი თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ, უმალ თქვენ გვერდით გავჩნდებოდი, წინ ვერაფერი დამიდგებოდა...

– მაგრამ შენ გაექეცი „შავ ნიშანს“, რომელიც შარშან ზაფხულში ჩემმა ერთგულმა „სიკვდილის მხვრელმა“ აუშვა ცაში, – ზანტად შეაწყვეტინა ვოლდემორმა და ბატონმა მალფოიმ მყისვე გაკმინდა ხმა, – დიახ, მე ყველაფერი ვიცი, ლუციუს... შენ მე იმედი გამიცრუე. მომავალში შენგან უფრო ერთგულ სამსახურს ველი...

– რა თქმა უნდა, მილორდ, რა თქმა უნდა... თქვენ მოწყალე ბრძანდებით, გმადლობთ...

ვოლდემორმა წრის შემოვლა განაგრძო და ორი კაცის სამყოფ ადგილს შეხედა, რომელიც მალფოის მომდევნო „სიკვდილის მხვრელისგან“ ჰყოფდა.

– წესით, აქ ლესტრეინჯების წყვილი უნდა იდგეს, – ხმადაბლა თქვა ვოლდემორმა, – მაგრამ ისინი აზკაბანში არიან გამომწყვდეულნი. მათ ბოლომდე მიერთგულეს. ჩემს უარყოფას აზკაბანში წასვლა არჩიეს... როდესაც ციხეს გავტეხთ, ლესტრეინჯებს ისეთი პატივი ხვდებათ წილად, რაზეც ვერც კი იოცნებებდნენ. დემენტორები ჩვენს მხარეზე გადმოვლენ. ისინი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეები არიან... განდევნილ გოლიათებსაც მოვუხმობთ... მე დავიბრუნებ ყველა თავდადებულ მსახურს და მეყოლება ჯარი არსებებისა, რომელნიც ყველას შიში ზარს სცემენ...

ვოლდემორმა წრის ჩამოვლა განაგრძო. ზოგიერთ „სიკვდილის მხვრელს“ უსიტყვოდ ჩაუვლიდა ხოლმე, ზოგთან კი ჩერდებოდა და ესაუბრებოდა.

– მაკნერ... გრძელკუდამ მითხრა, რომ მაგიის სამინისტროსთვის სახიფათო არსებებს ანადგურებ. მალე მათზე უკეთესი მსხვერპლი გეყოლება, მაკნერ... ამაზე ლორდი ვოლდემორი იზრუნებს...

– გმადლობთ, ბატონო... გმადლობთ, – ჩაილუღლუღა მაკნერმა.

– აქ კი გვყავს, – ვოლდემორი მიუახლოვდა ორ ყველაზე დიდ ფიგურას, – კრაბი... ამჯერად უფრო მეტ მონდომებას გამოიჩენ, არა კრაბ? და შენც, გოილ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათ მოუქნელად, ტლანქად დაუკრეს თავი და ჩაიბურტყუნეს:

– დიახ, ბატონო...

– რა თქმა უნდა, ბატონო...

– ეს შენც გეხება, ნოტ, – ხმადაბალა მიმართა ვოლდემორმა გოილის ჩრდილში მდგარ მხრებში მოხრილ ფიგურას.

– მილორდ, მე მუხლს ვიდრეკ თქვენ წინაშე. მე თქვენი ყველაზე ერთგული...

– საკმარისია, – მოუჭრა ვოლდემორმა.

მან წრის ყველაზე დიდ ცარიელ მონაკვეთს მიაღწია, შეჩერდა და არაფრისმთქმელი, წითელი თვალებით ისე მიაჩერდა იქაურობას, თითქოს იქ მდგარ ხალხს ხედავდა.

– აქ ჩვენ ექვსი „სიკვდილის მხვრელი" გვაკლია. სამი ჩემს სამსახურში დაიღუპა... ერთი ძალზე მხდალია საიმისოდ, რომ დაბრუნდეს... ამისთვის მიეზღვება... ერთმა, ალბათ, სამუდამოდ დამტოვა. ის, რასაკვირველია, მოკვდება... და ერთიც, რომელიც ჩემი ყველაზე ერთგული მსახურია და რომელიც კვლავ ჩადგა ჩემს სამსახურში.

„სიკვდილის მხვრელები" შეიშმუშნენ. ჰარიმ შეამჩნია, ნიღბებიდან როგორ გააპარეს ერთმანეთისკენ თვალები.

– ერთგული მსახური ჰოგვორტსშია და სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, ამ საღამოს ჩვენი პატარა მეგობრის ჩვენთან მობრძანებას... – ვოლდემორს უტუჩო პირის კუთხე დამცინავმა ღიმილმა აუპრიხა. წრემ მზერა ჰარიზე გადაიტანა, – დიახ, ჰარი პოტერმა დაგვდო პატივი და ჩემი მეორედ დაბადების დღის წვეულებაზე შემოგვიერთდა. გავბედავ და მას ჩემს საპატიო სტუმარსაც კი ვუწოდებ.

სიჩუმემ დაისადგურა. შემდეგ გრძელკუდას მარჯვნივ მდგარმა „სიკვდილის მხვრელმა" წინ გადმოდგა ნაბიჯი და ნიღბიდან ლუციუს მალფოის ხმა გაისმა:

– ბატონო, ჩვენ ცნობისმოყვარეობით ვიწვით... გთხოვთ, გვიამბოთ... როგორ მიაღწიეთ ამას... ამ სასწაულს... როგორ მოახერხეთ, რომ დაგვიბრუნდით...

– ო, ეს განსაცვიფრებელი ამბავია, ლუციუს! – თქვა ვოლდემორმა, – იგი იწყება... და მთავრდება... ჩემი პატარა მეგობრით, რომელიც ახლა აქ იმყოფება.

ის აუჩქარებლად მიუახლოვდა ჰარის და მის გვერდით დადგა. ახლა ყველანი ამ ორს მიაჩერდნენ. გველი ისევ წრეებს არტყამდა ბალახში.

– რასაკვირველია, იცით, რომ ამ ბიჭს ჩემი დამხობა მიაწერეს, – შემპარავად დაიწყო ვოლდემორმა და წითელი თვალები ჰარის მიაპყრო. ბიჭს შუბლზე ნაიარევი ისევ აეწვა, – ყველამ იცით, რომ იმ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღამეს, როდესაც ჩემი ძალა და სხეული დავკარგე, მე მისი მოკვლა ვცადე. დედამისმა მის გადასარჩენად თავი გასწირა და, თავისდა უნებურად, ბიჭს ისეთი დაცვა მიანიჭა, რომელიც, უნდა ვაღიარო, ვერ გავითვალისწინე... ბიჭს ვერ შევეხე... – ვოლდემორმა გრძელი თითი ასწია და ჰარის ლოყასთან მიუტანა, – მისმა დედამ მასში თავისი თავგანწირვის კვალი დატოვა... ეს უძველესი ჯადოა, უნდა მხსომებოდა, სულელურად მომივიდა, რომ მხედველობიდან გამომრჩა... მაგრამ არა უშავს. ახლა შემიძლია, შევეხო.

ჰარიმ იგრძნო ცივი თითის წვერის შეხება და გაიფიქრა, ახლა ტკივილისგან თავი გამისკდებაო.

ვოლდემორმა რბილად ჩასცინა ყურში, შემდეგ თითი მოაშორა და ისევ „სიკვდილის მხვრელებს“ მიუბრუნდა:

– მე ეს ვერ გავთვალე, ჩემო მეგობრებო, ამას ვაღიარებ. ჩემი წყევლა აისხლიტა ქალის სულელურმა თავგანწირვამ და იგი უკან დამიბრუნდა. ოოო... ეს ენით აუწერელი ტკივილი იყო, მეგობრებო, ამისთვის არაფრით არ ვიყავი მზად. ჩემს სხეულს მოვწყდი, უფრო პატარა ვიყავი, ვიდრე სული, ვიდრე უმნიშვნელო მოჩვენება... მაგრამ მაინც ცოცხალი დავრჩი. რა ვიყავი, თავადაც არ ვიცი... მე, რომელიც ყველაზე შორს წავედი უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე! თქვენ იცით, რა არის ჩემი მიზანი – სიკვდილის ძლევა. მაშინ კი ჩემი გამოცდის დრო დადგა და აღმოჩნდა, რომ ერთი-ორი ექსპერიმენტი გამომივიდა და არ მოვკვდი, თუმცა, წესით, წყევლას უნდა მოვეკალი. არ მოვკვდი, მაგრამ ჩემზე უძლური არსება დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა და არც საკუთარი თავის გადარჩენის საშუალება გამაჩნდა... რადგან არ მქონდა სხეული. ყველა შელოცვა კი, რომელსაც ჩემი შველა შეეძლო, ჯადოსნური ჯოხის გამოყენებას მოითხოვდა... მხოლოდ ის მახსოვს, რომ ყოველ წამს, გამუდმებით ჩემს თავს ვაიძულებდი, მეარსება... აქედან შორს, ულრან ტყეში დავიდე ბინა და ლოდინი დავიწყე... დარწმუნებული ვიყავი, რომელიმე ჩემი „სიკვდილის მხვრელი“ აუცილებლად მომძებნიდა... ერთი მაინც მოვიდოდა, შეასრულებდა იმ ჯადოქრობას, რომელიც თავად არ შემეძლო, და ჩემს სხეულს დამიბრუნებდა... მაგრამ ამაოდ ველოდი...

სმენადქცეული „სიკვდილის მხვრელების“ წრეს ისევ ჟრუანტელმა დაუარა. ვოლდემორმა განგებ შეიცადა, სანამ სიჩუმე საშინლად არ გაიწელა, და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო:

– ერთადერთი უნარი შემრჩა: სხვის სხეულში შესახლება. მაგრამ ხალხმრავალ ადგილებთან მიახლოებას ვერ ვბედავდი, რადგან ვიცოდი, რომ აურორები კვლავაც მეძებდნენ. ზოგჯერ ცხოველებს ვუსახლდებოდი, – რასაკვირველია, უპირატესობას გველებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვანიჭებდი, – მაგრამ მათ სხეულში სულ ოდნავ უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე მხოლოდ სულის სახით ყოფნისას, რადგან მათი სხეული ჯადოქრობისთვის გამოუსადეგარია... თანაც ჩემი შესახლება მათ სიცოცხლის ხანგრძლივობას უმოკლებდა, დიდხანს ვერც ერთმა ვერ გასტანა... შემდეგ... ოთხი წლის წინ... თითქოს დაბრუნების რეალური შესაძლებლობა გამიჩნდა. ერთი ახალგაზრდა, სულელი და მიამიტი ჯადოქარი სრულიად შემთხვევით გადამეყარა ტყეში, რომელშიც ვბინადრობდი. ო, ეს სწორედ ის შანსი იყო, რომელზეც ასე დიდხანს ვოცნებობდი... ის დამბლდორის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად... იგი იოლად დავუმორჩილე ჩემს ნებას... მან ჩემს ქვეყანაში ჩამომიყვანა და სულ მალე სხეულშიც ჩავუსახლდი, რათა ჩემი ბრძანებების შესრულებისას მისთვის თვალყური მედევნებინა. მაგრამ ჩემი გეგმა ჩაიშალა. ფილოსოფიური ქვის მოპარვა ვერ მოვახერხე. უკვდავების მოპოვება არ მეწერა, რადგან ხელი შემიშალა... ისევ და ისევ ჰარი პოტერმა...

კვლავ სიჩუმე გამეფდა. არაფერი იძვროდა. ურთხელზე ფოთლებმაც კი შეწყვიტეს შრიალი. „სიკვდილის მხვრელები“ გაუნძრევლად იდგნენ, ნიღბებიდან მოელვარე თვალები ვოლდემორისა და ჰარისთვის მიეპყროთ.

– მსახური დაიღუპა, როგორც კი მისი სხეული დავტოვე, მე კი უწინდებურად დავუძლურდი, – გააგრძელა ვოლდემორმა, – ჩემს მიყრუებულ სამალავს დავუბრუნდი და, რომ არ მოგატყუოთ, უკვე შემეშინდა, რომ ძალებს ველარასდროს აღვიდგენდი... დიახ, ეს ალბათ, უმძიმესი წუთები იყო ჩემთვის... იმის იმედი აღარ უნდა მქონოდა, რომ ბედი კვლავ ჩამიგდებდა ხელში ჯადოქარს... საბოლოოდ დავკარგე იმის იმედი, რომ რომელიმე „სიკვდილის მხვრელი“ ოდესმე დამეხმარებოდა...

ერთი-ორი ნიღბიანი ჯადოქარი უხერხულად შეიშმუშნა, მაგრამ ვოლდემორს ყურადღება არ მიუქცევია.

– და, აი, დაახლოებით, ერთი წლის წინ, როდესაც იმედი უკვე თითქმის მთლიანად გადამეწურა, როგორც იქნა, აღსრულდა... მსახური დამიბრუნდა: გრძელკუდა, რომელიც ახლა თქვენ შორის იმყოფება. ცამეტი წლის წინ მან საკუთარი სიკვდილი გაითამაშა, რათა მართლმსაჯულებას გაჰქცეოდა. მაგრამ იგი მისმა ყოფილმა მეგობრებმა ამხილეს და მათი შურისძიების შიშით გადაწყვიტა, თავის ბატონს დაჰბრუნებოდა. გრძელკუდამ იმ მხარეში დამიწყო ძებნა, სადაც გავრცელებული ხმების მიხედვით, ვიმალებოდი... რასაკვირველია, გზადაგზა შემხვედრი ვირთხები ეხმარებოდნენ. გრძელკუდას მეტად უცნაური კავშირი აქვს ვირთხებთან, არა გრძელკუდავ? მისმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პატარა ბინძურმა მეგობრებმა აცნობეს, რომ ალბანეთის ტყის სიღრმეში იყო ერთი ადგილი, რომელსაც ახლოს არ ეკარებოდნენ, რადგან მათსავით პატარა ცხოველებს იქ შავი აჩრდილი უსახლდებოდა და ამის გამო იხოცებოდნენ... მაგრამ გრძელკუდას მგზავრობა მთლად დაუბრკოლებელიც არ ყოფილა, არა, გრძელკუდავ? ერთ საღამოს იმ ტყის პირას, სადაც მე ვეგულებოდი, ერთ ფუნდუკში შევიდა სავახშმოდ... და მაინცდამაინც ბერტა ჯორკინსი დახვდა იქ, მაგიის სამინისტროს თანამშრომელი ჯადოქარი. ხედავთ, როგორ სწყალობს ბედი ლორდ ვოლდემორს?! ეს შეხვედრა, შეიძლებოდა, როგორც გრძელკუდას, ასევე ჩემი აღდგენის უკანასკნელი იმედის აღსასრული ყოფილიყო. მაგრამ გრძელკუდამ ისეთი ეშმაკობა გამოავლინა, რასაც მისგან არაფრით მოველოდი: დაიყოლია ბერტა ჯორკინსი, ღამით სასეირნოდ გაჰყოლოდა. მერე მოაჯადოვა და... მე მომიყვანა. ბერტა ჯორკინსი, რომელსაც შეეძლო, ყველაფერი დაეღუპა, ბედის ისეთი საჩუქარი აღმოჩნდა, რაზედაც ვერც კი ვიოცნებებდი... რადგან (ჩემი მხრიდან ცოტაოდენი წახმარებით) იგი ფასდაუდებელი ინფორმაციის ნამდვილი საბადო გამოდგა. სწორედ მისგან შევიტყვე, რომ წელს ჰოგვორტსში სამი ჯადოქრის ტურნირი ტარდებოდა. სწორედ მისგან შევიტყვე ერთგული „სიკვდილის მხვრელის“ შესახებ, რომელიც, ოღონდ მე დავკავშირებოდი და, სიხარულით დამეხმარებოდა. მისგან სხვაც ბევრი რამ შევიტყვე... მაგრამ ის საშუალებები, რომლებიც მე გამოვიყენე მასზე დადებული დავიწყების ჯადოს ასახსნელად, მისთვის მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდა. ჰოდა, როდესაც მისგან მთელი სასარგებლო ინფორმაცია გამოვწურე, მის გონებასა და სხეულს გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. მის სხეულში ჩასახლება უკვე შეუძლებელი იყო, და თავიდან მოვიშორე.

ვოლდემორმა შემზარავად გაიღიმა. წითელი თვალებით კი გულგრილობასა და შეუბრალებლობას გამოხატავდა.

– გრძელკუდას სხეული, რასაკვირველია, არ გამომადგებოდა, რადგან მას ყველა გარდაცვლილად თვლიდა და მისი გამოჩენა დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. მაგრამ იყო მსახური, რომელიც მე მჭირდებოდა. და თუმცა გრძელკუდა, როგორც ჯადოქარი, არაფრად ვარგა, მაინც შეძლო ჩემი მითითებების შესრულება და ამით უსუსურ, მაგრამ ჩემს საკუთარ სხეულში დამაბრუნა, სადაც უნდა დავლოდებოდი ჩემი სრული აღორძინებისთვის საჭირო რამეებს... ერთი-ორი ჩემ მიერ გამოგონებული შელოცვა... მცირედი დახმარება ჩემი საყვარელი ნაგინისგან, – ვოლდემორმა მის ირგვლივ მოსრიალე გველს დახედა, – ცალრქიანი ცხენის სისხლისა და გველის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შხამისგან მომზადებული ელექსირი, რომლითაც ნაგინიმ მომამარაგა... და მალე მე თითქმის ადამიანურ ფორმას დავუბრუნდი, და იმდენად მოვძლიერდი, რომ მგზავრობა შემეძლო. ფილოსოფიური ქვის ხელახლა მოპარვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან ვიცოდი, დამბლდორი უკვე იზრუნებდა ქვის განადგურებაზე. ამიტომ გადავწყვიტე, ჯერ მოკვდავი სიცოცხლე მომნიჭებოდა, სანამ უკვდავზე ნადირობას შევუდგებოდი. უფრო მოკრძალებული მიზნები დავისახე... ჯერჯერობით ჩემი უწინდელი სხეული უნდა დამებრუნებინა და ჩემი უწინდელი ძალა აღმედგინა. ელექსირი, რომელმაც ამ საღამოს სიცოცხლე შთამბერა, უძველესი მაგიური რეცეპტის მიხედვით უნდა მომემზადებინა. ვიცოდი, რომ მის მისაღებად სამი უძლიერესი ნივთიერება მჭირდებოდა. ერთი მათგანი უკვე ხელთ მქონდა, არა გრძელკუდავ? მსახურის მიერ მოცემული ხორცი...

მამაჩემის ძვალს, რასაკვირველია, ადვილად ვიპოვიდი აქ, სადაც ისაა დაკრძალული. მაგრამ მტრის სისხლი?.. გრძელკუდა ვის აღარ მთავაზობდა, არა, გრძელკუდავ? ნებისმიერ ჯადოქარს, რომელსაც ვძულდი... და ბევრს ახლაც ვძულვარ. მაგრამ მე ვიცოდი, ვისი სისხლი უნდა გამომეყენებინა, რათა აღვმდგარიყავი უფრო ძლევამოსილი, ვიდრე დაცემამდე ვიყავი. მე ჰარი პოტერის სისხლი მჭირდებოდა. სწორედ მისი სისხლი მჭირდებოდა, ვინც ცამეტი წლის წინ ძალა წამართვა, რადგან, ამ შემთხვევაში, ის მუდმივი დაცვა, რომელიც ოდესღაც დედამისმა გადასცა, ჩემს ძარღვებშიც იჩქეფებდა...

მაგრამ როგორ ჩამეგდო ხელში ჰარი პოტერი? ალბათ, თვითონ ვერც კი წარმოუდგენია, რამდენად კარგად არის დაცული. დამბლდორმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გათვალა ყველაფერი, როდესაც ბიჭის მომავალზე ზრუნვა მის ხელში გადავიდა. დამბლდორმა უხსოვარი დროის ჯადოქრობას მიმართა, რითაც ბიჭის დაცვა უზრუნველყო მანამ, სანამ ნათესავებს იყო მიბარებული.... იქ მას მეც კი ვერ შევეხებოდი... შემდეგ, რა თქმა უნდა, გაიმართა ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატი... ვიფიქრე, ნათესავებისა და დამბლდორისგან მოშორებით უფრო სუსტად იქნებოდა დაცული, მაგრამ ჯერ იმდენად არ ვიყავი მოძლიერებული, რომ სამინისტროს ჯადოქრების მთელი ხროვის ცხვირწინ მისი გატაცება მეცადა. შემდეგ კი ბიჭი ჰოგვორტსში დაბრუნდებოდა, სადაც დილიდან საღამომდე იმ მაგლების მოყვარული ბრიყვის კეხიანი ცხვირის წინ იქნებოდა. მაშ, როგორ უნდა მომეხელთებინა? როგორ და, რა თქმა უნდა, ბერტა ჯორკინსის ინფორმაციაზე დაყრდნობით; ჰოგვორტსში მყოფი ჩემი ერთგული „სიკვდილის მხვრელის“ დახმარებით, რომელიც ისე მოაწყობდა საქმეს, რომ ბიჭის სახელი ცეცხლოვან თასში უეჭველად მოხვედ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რილიყო და ტურნირი მოეგო, ანუ პირველი შეჰხებოდა სამი ჯადოქრის ტურნირის თასს, რომელსაც ჩემი „სიკვდილის მხვრელი“ წინასწარ პორტაჟად აქცევდა, და რომელიც ჰარი პოტერს აქ გადმოიყვანდა, დამბლდორის დახმარებისა და დაცვისგან შორს, და პირდაპირ გაშლილ ხელებში ჩამიგდებდა. და აგერ, ისიც... ბიჭი, რომელიც ჩემს დამამხობლად მიგაჩნდათ...

ვოლდემორი ნელა წავიდა ჰარისკენ და ჯადოსნური ჯოხი შემართა:

– კრუციო!

ჰარისთვის ეს იყო აუტანელი, გაუსაძლისი ტკივილი. ძვლებზეც კი ცეცხლი ეკიდა, შუბლი თითქოს შუაზე ეპობოდა, თვალებს გიჟივით ატრიალებდა. მხოლოდ ის უნდოდა, ეს ტანჯვა დასრულებულიყო... გრძნობა დაეკარგა... მომკვდარიყო...

უეცრად ყველაფერი დამთავრდა. ჰარი უღონოდ ეკიდა თოკებზე, რომლითაც ვოლდემორის მამის საფლავის ქვაზე იყო მიბმული და მოელვარე წითელ თვალებს თითქოს ნისლს მიღმა ხედავდა. იქაურობას „სიკვდილის მხვრელების“ ხარხარი აზანზარებდა.

– ალბათ, თავადაც ხედავთ, რა სისულელეა იმის ვარაუდი, თითქოს შეიძლებოდა, ეს ბიჭი ოდესმე ჩემზე ძლიერი ყოფილიყო, – გამოაცხადა ვოლდემორმა, – მაგრამ მინდა, რომ ეს მცდარი აზრი არც ერთმა თქვენგანმა აღარ გაივლოს გონებაში. ჰარი პოტერი ილბლიანი შემთხვევის წყალობით გადამირჩა. და ახლა დაგიმტკიცებთ ჩემს ძალას მისი მოკვლით აქვე და ახლავე, ყველას თვალწინ, სადაც არა ჰყავს დამბლდორი, რომ ის დაიცვას, და არც დედა, რომ მისთვის მოკვდეს. მე მას შანსს მივცემ. მე მას ბრძოლის საშუალებას მივცემ. რათა უკანასკნელი ეჭვიც გაგიფანტოთ იმის თაობაზე, თუ ვინ უფრო ძლიერია ჩვენ ორში. ცოტაც მოითმინე, ნაგინი, – უჩურჩულა მან გველს და ისიც ბალახზე გასრიალდა „სიკვდილის მხვრელებისკენ“, რომლებიც იდგნენ და ამ სანახაობას უხმოდ უყურებდნენ.

– გრძეკლკუდავ, შეხსენი თოკები და დაუბრუნე ჯადოსნური ჯოხი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთოთხმეტე

პრიორი ინკანტატემ

გრძელკუდა ჰარის მიუახლოვდა. ჰარიმ ფეხებით მოსინჯა მიწა, რომ არ წაქცეულიყო, როცა თოკებს შეხსნიდნენ. გრძელკუდამ თავისი ახალი ვერცხლის ხელი ასწია, ტყვეს პირიდან ჩვარი გამოაძრო და ერთი დარტყმით გადაჭრა თოკები, რომლითაც ბიჭი საფლავის ქვაზე იყო მიბმული.

სულ რაღაც ერთი წამით კიდევ შეიძლებოდა გაქცევაზე ფიქრი, მაგრამ, როგორც კი ჰარი სარეველამოდებულ საფლავზე დადგა, ნაღრძობი ფეხი ისევ აუკანკალდა. „სიკვდილის მხვრელებმაც“ ჰარისა და ვოლდემორის ირგვლივ წრე ისე შეავიწროვეს, მათ შორის ცარიელი ადგილები აღარ დარჩა და ჰარის ყველა გასაქცევი გზა მოუჭრეს. გრძელკუდა წრიდან გავიდა, იმ ადგილისკენ გაემართა, სადაც სედრიკის სხეული ეგდო, ჰარის ჯადოსნური ჯოხით დაბრუნდა და, ბიჭისთვის არც შეუხედავს, ისე ჩასჩარა ხელში. ამის შემდეგ კი მაყურებელთა წრეში თავისი ადგილი დაიკავა.

– ორთაბრძოლა უსწავლებიათ შენთვის, ჰარი პოტერ? – შემპარავად იკითხა ვოლდემორმა და სიბნელეში წითელი თვალები დააკვესა.

ამ სიტყვებზე ჰარის ბუნდოვნად, თითქოს წინა ცხოვრებიდან გაახსენდა „მებრძოლთა კლუბი“ ჰოგვორტსში, რომელშიც ორი წლის წინ სულ ცოტა ხნით გაწევრიანდა... ერთადერთი, რაც იქ ისწავლა, იყო განმაიარაღებელი შელოცვა – „ექსპელიარმუს“... მაგრამ ახლა ეს რას უშველიდა! ვოლდემორის განიარაღება რომც მოეხერხებინა, მარტო რას გააწყობდა ოცდაათი „სიკვდილის მხვრელის“ წინააღმდეგ? არა, იქ ისეთი არაფერი უსწავლია, რაც ახლა გამოადგებოდა. იცოდა, რომ წუთი წუთზე ელოდა ის, რის შესახებაც მუდი ყოველთვის აფრთხილებდა: დაუბლოკავი წყევლა – „ავადა კედავრა“... და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვოლდემორი მართალი იყო: აქ დედა არ ჰყავდა, რომ მისთვის თავი გაეწირა... აქ არავინ დაიცავდა...

– ერთმანეთს თავი უნდა დავუკრათ, ჰარი, – უთხრა ვოლდემორმა და ოდნავ მოიხარა წელში, მაგრამ გველისებური სახე მაინც ისევ ჰარისკენ ჰქონდა მიქცეული, – მიდი! ზრდილობის წესები უნდა დავიცვათ... არ შეარცხვინო დამბლდორი: ერთი გვიჩვენე შენი კარგი მანერები... თავი დაუკარი სიკვდილს, ჰარი...

„სიკვდილის მხვრელებს" კვლავ ხარხარი აუტყდათ. ვოლდემორი უტუჩო პირით იღიმებოდა. ჰარიმ თავი არ დაუკრა. უფლებას არ მისცემდა ვოლდემორს, თავის ჭკუაზე ეთამაშებინა, სანამ მოკლავდა... ამ სიამოვნებას არ მიანიჭებდა...

– გითხარი, თავი დამიკარი-მეთქი! – ვოლდემორმა ჯადოსნური ჯოხი აღმართა და ჰარიმ იგრძნო, როგორ მოედრიკა ხერხემალი, თითქოს ვეება უხილავმა ხელმა დაუნდობლად დახარა წინ. „სიკვდილის მხვრელები" უფრო გულიანად ახარხარდნენ.

– ძალიან კარგი, – ვოლდემორმა ხმალივით შემართა ჯადოსნური ჯოხი და ჰარის ზურგიდან ზეწოლა მოეხსნა, – ახლა კი შემებრძოლე, როგორც კაცს შეშვენის... წელგამართული და ამაყი, როგორც მამაშენი მოკვდა... მაშ, ასე, ორთაბრძოლა იწყება...

ვოლდემორმა ჯადოსნური ჯოხი აღმართა და ჰარიმ, თავის დაცვა კი არა, ხელის განძრევაც ვერ მოასწრო, რომ ისევ კრუციატუსის წყევლა ეკვეთა. ტკივილი ისეთი ძლიერი, ისეთი ყოვლისმომცველი იყო, რომ ვეღარ აცნობიერებდა, სად იმყოფებოდა... კანის ყოველ უჯრედს გავარვარებული დანები უსერავდა, ტკივილისაგან თავი ლამის გასკდომოდა, ასე ხმამაღლა ცხოვრებაში არ ეყვირა...

და შემდეგ ეს ყველაფერი ერთბაშად შეწყდა. ჰარი მუცელზე გადაბრუნდა და გაჭირვებით წამოდგა. ისევე აეტანა კანკალს, როგორც გრძელკუდას აკანკალებდა ხელის მოკვეთის შემდეგ. დაბარბაცდა და „სიკვდილის მხვრელების" კედელს შეეჯახა. მათ ხელი ჰკრეს და ისევ წრეში შეაგდეს.

– ხანმოკლე შესვენება, – ვოლდემორს ნესტო-ნახვრეტები აღტაცებისგან გაფართოებოდა, – ხანმოკლე პაუზა... გეტკინა, არა, ჰარი? ხომ არ გინდა, ეს გავიმეორო?

ჰარი დუმდა. ამ შეუბრალებელ წითელ თვალებში უკვე ამოიკითხა თავისი აღსასრული. თვითონაც სედრიკივით უნდა მომკვდარიყო... უნდა მომკვდარიყო, საშველი არ ჩანდა... მაგრამ ვოლდემორს თავს აბუჩად არ ააგდებინებდა. არ დაემორჩილებოდა... ხვეწნა-მუდარას არ დაუწყებდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე შენ გეკითხები, გინდა, თუ არა ეს გავიმეორო? – რბილად ჰკითხა ვოლდემორმა, – მიპასუხე! იმპერიო!

და ჰარის ცხოვრებაში მესამედ დაეუფლა ისეთი განცდა, თითქოს გონება ყველა ფიქრისაგან დაეწმინდა. აჰ, რა ნეტარება იყო მათგან გათავისუფლება! თითქოს დინებას სადღაც მიჰქონდა და ბურანში ჩაესმოდა:

„შენ ოღონდ მიპასუხე „არა“... თქვი „არა“... ოღონდ თქვი „არა“...

„არ გეტყვი, – გაისმა ტვინის კუნჭულიდან მტკიცე ხმა, – არ გიპასუხებ... “

„მიპასუხე „არა“...

„არ გიპასუხებ. არ გეტყვი...“

„მიპასუხე „არა“...

„არ გიპასუხებ!“

ეს სიტყვები ჰარის ხმამაღლა დასცდა და სასაფლაოზე ექოდ გახმიანდა. და ჰარიც ისე ერთბაშად გამოფხიზლდა ბურანიდან, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. კვლავ იგრძნო მთელ სხეულში კრუციატუსის წყევლის დანატოვარი ტკივილი, კვლავ გააცნობიერა, სად იყო და რა საფრთხის წინაშე იდგა...

– არ მიპასუხებ? – ხმადაბლა ჰკითხა ვოლდემორმა, „სიკვდილის მხვრელები“ კი აღარ იცინოდნენ, – არ მიპასუხებ „არას“? სანამ მოკვდები, მორჩილება უნდა გასწავლო, ჰარი... იქნებ ტკივილის კიდევ ერთი მცირე დოზაც ვცადოთ?

ვოლდემორმა ჯადოსნური ჯოხი აღმართა, მაგრამ ამჯერად ჰარი მზად იყო: ქვიდიჩში ვარჯიშის შედეგად გამომუშავებული რეფლექსით გვერდზე გადაქანდა, მიწაზე გაწვა, ვოლდემორის მამის საფლავის ქვის უკან გადაგორდა და მარმარილოს ტკაცანზე მიხვდა, რომ მისთვის გამიზნული წყევლა ქვას მოხვდა.

– ჰარი, ჩვენ აქ დამალობანას კი არ ვთამაშობთ, – ვოლდემორის შემპარავი, ცივი ხმა თანდათან ახლოვდებოდა, „სიკვდილის მხვრელები“ ისევ ახარხარდნენ, – შენ მე ვერ დამემალები. ხომ არ დაგღალა ორთაბრძოლამ? ხომ არ გირჩევნია, ყველაფერი დავამთავრო, ჰარი? მაშინ გამოდი, ჰარი... გამოდი და მეთამაშე... ეს სწრაფად მოხდება... შეიძლება, უმტკივნეულოც კი იყოს... მე საიდან უნდა ვიცოდე. მე ხომ არასოდეს მოვმკვდარვარ...

ჰარი საფლავის ქვის უკან მიიკუნჭა და მიხვდა, რომ აღსასრული დაუდგა. არაფრის იმედი არ ჰქონდა... არსაიდან ხსნას არ ელოდა... ვოლდემორის ნაბიჯები ახლოვდებოდა და ჰარიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ერთდროულად გაბედულიც იყო და უგუნურიც: ის არ მოკვდებოდა აქ მოკუნტული, როგორც ბავშვი – დამალობანას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თამაშის დროს; არ მოკვდებოდა ვოლდემორის ფეხებთან დაჩოქილი... ის მოკვდებოდა მამამისივით წელგამართული; მოკვდებოდა თავდაცვისას, თუნდაც თავის დაცვა ახლა შეუძლებელი ყოფილიყო...

ჰარი აღარ დაელოდა, როდის შემოჰყოფდა ვოლდემორი გველისებურ სახეს საფლავის ქვის უკან, წამოდგა... ჯოხი მთელი ძალით ჩაბღუჯა, წინ გაიშვირა და ვოლდემორს პირისპირ დაუდგა.

ვოლდემორი მზად დახვდა. რა წამსაც ჰარიმ დაიყვირა „ექსპელიარმუს," ვოლდემორმაც დასჭექა: „ავადა კედავრა".

ვოლდემორის ჯოხიდან მწვანე, ჰარის ჯოხიდან კი წითელი ელვა ერთდროულად გამოიჭრა, ერთმანეთს ჰაერში შეხვდა და, მოულოდნელად, ჰარის ჯადოსნური ჯოხი ისე აძიგძიგდა, თითქოს მასში ელექტრულმა მუხტმა გაიარაო. ჰარის ხელი ჯოხზე შეეწება და ძალიანაც რომ მოენდომებინა, ხელს ვერ გაუშვებდა. უეცრად ორივე ჯოხი სინათლის ვიწრო სხივმა შეაერთა, რომელიც არც წითელი იყო, არც მწვანე, არამედ – კაშკაშა, ბაჯაღლო ოქროსფერი. ჰარიმ სხივს გაოცებული მზერა გააყოლა და დაინახა, რომ ვოლდემორის ჯოხიც ასევე ძაგძაგებდა და ვიბრირებდა მის გრძელ უფერულ თითებში.

და შემდეგ მოხდა ის, რასაც ჰარი ყველაზე ნაკლებად მოელოდა: მიწას მოსწყდა. ის და ვოლდემორი ჰაერში ალივლივდნენ, მაგრამ მათი ჯადოსნური ჯოხები მაინც შეერთებული რჩებოდა მოელვარე ოქროსფერი შუქის ძაფით. ვოლდემორის მამის საფლავიდან ორივენი ჰაერში ასრიალდნენ და სასაფლაოსგან მოშორებით, ცარიელ მდელოზე დაეშვნენ... „სიკვდილის მხვრელები" გაჰყვიროდნენ, ვოლდემორს ეკითხებოდნენ, როგორ მოვიქცეთო, ორთაბრძოლის მონაწილეებისკენ მირბოდნენ, გველიც იქით მისრიალებდა. შემდეგ მათ ახალი წრე შეკრეს ვოლდემორისა და ჰარის ირგვლივ, ზოგიერთმა ჯადოსნური ჯოხი ამოიღო...

ჰარისა და ვოლდემორის შემაერთებელი ოქროსფერი ძაფი დანაწევრდა: ჯადოსნურ ჯოხებს შორის კავშირი არ გაწყვეტილა, მაგრამ, ამავე დროს, ორთაბრძოლის მონაწილეთა თავზე ოქროს ძაფის ათასობით განშტოება გადაირკალა. ეს პატარ-პატარა მოელვარე სხივები მათ ირგვლივ ერთმანეთს კვეთდნენ და მებრძოლები თანდათან მოაქციეს ოქროსფერ, გუმბათოვან ქსელში, სინათლის გალიაში, რომელსაც გარედან ტურებივით შემორტყმოდნენ „სიკვდილის მხვრელები". მათი ყვირილი ახლა უცნაურად მიწყნარდა...

– არ ჩაერიოთ! – დაუღრიალა „სიკვდილის მხვრელებს" ვოლდემორმა. წითელი თვალები გაოგნებისგან გაფართოებოდა. ვერც ის მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, და მთელი ძალით ცდილობდა ჰარის ჯოხთან დამაკავშირებელი სინათლის სხივის გაწყვეტას. ჰარი, რაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძალი და ღონე ჰქონდა, ორივე ხელით ჩააფრინდა თავის ჯადოსნურ ჯოხს და ოქროსფერი ძაფი მთელი დარჩა. – არ ჩაერიოთ, სანამ მე არ გიბრძანებთ! – ისევ გასძახა ვოლდემორმა „სიკვდილის მხვრელებს“.

და უეცრად ჰაერი არამიწიერი, მშვენიერი მუსიკის ხმამ აავსო... მას გამოსცემდა სინათლის ქსელის ყოველი ძაფი, რომელიც ახლა ჰარისა და ვოლდემორის ირგვლივ თრთოდა. ჰარის ეცნო ეს ხმა, თუმცა სიცოცხლეში ერთადერთხელ ჰქონდა მოსმენილი... ეს იყო ფენიქსის გალობა...

ეს თავად იმედის ხმა იყო ჰარისთვის... ყველაზე მშვენიერი და სასურველი რამ, რაც კი თავის დღეში მოესმინა... ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სიმღერა არა მხოლოდ ირგვლივ დაფრინავდა, არამედ თავად მასშიც ჟღერდა. ეს ხმა რაღაცით დამბლდორთან აკავშირებდა, და წამით მოეჩვენა, რომ ყურში მეგობარმა ჩასჩურჩულა:

– არ გაწყვიტო კავშირი.

– ვიცი, – უთხრა ჰარიმ მელოდიას, – ვიცი, რომ არ უნდა გავწყვიტო...

მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ კავშირის შენარჩუნება ბევრად უფრო გაძნელდა. მისმა ჯადოსნურმა ჯოხმა უფრო ძალუმად დაიწყო ვიბრირება და ორი ჯოხის დამაკავშირებელი სხივიც შეიცვალა... მასზე აღმა-დაღმა დასრიალებდა სინათლის მძივის მსხვილი მარცვლები. ჰარიმ იგრძნო, როგორ გააჟრჟოლა ჯოხს მის ხელში, როცა სინათლის მძივი აუჩქარებლად, მაგრამ მტკიცედ დაიძრა მისკენ... მარცვლები ახლა ვოლდემორისგან მისი მიმართულებით მოსრიალებდნენ და ჰარის ჯადოსნური ჯოხიც სიბრაზით თრთოდა...

როდესაც მძივის პირველი მარცვალი ჯადოსნური ჯოხის წვერს მიუახლოვდა, ჰარის თითებქვეშ ხე ისე გახურდა, რომ ბიჭს შეეშინდა, ჯოხი არ აალდესო. რაც უფრო ახლოვდებოდა მძივის მარცვალი, მით უფრო ძლიერად ვიბრირებდა ჰარის ჯოხი. ეჭვი არ იყო, მისი ჯოხი ვერ გაუძლებდა მძივთან შეხებას, ისედაც უკვე ლამის დამსხვრეულიყო...

ჰარიმ მთელი ნებისყოფა მოიხმო, რომ მძივი უკან, ვოლდემორის მიმართულებით გაეძევებინა. ყურებში ფენიქსის სიმღერა ედგა, შეშლილ, გაშტერებულ თვალებს მძივს არ აშორებდა... და მართლაც, მძივის მარცვლებმა ჯერ მოძრაობა შეანელეს და ცახცახით შეჩერდნენ, შემდეგ კი ასევე ნელა გაემართნენ საპირისპირო მიმართულებით... ამჯერად ვოლდემორის ჯოხი აძაგძაგდა მთელი ძალით... ვოლდემორი განცვიფრებული, თითქმის შეშინებული ჩანდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სინათლის მარცვალი ახლა უკვე ვოლდემორის ჯოხის წვერიდან რამდენიმე სანტიმეტრში თრთოდა. ჰარი ვერ ხვდებოდა, რატომ აკეთებდა ამას; არ იცოდა, ამით რას მიაღწევდა... მაგრამ მთელი ყურადღება იმ მარცვალზე გადაიტანა, რომ როგორმე ვოლდემორის ჯადოსნურ ჯოხში შეეძვრინა... მართლაც, ნელა, ძალიან ნელა, მძივმა გაიარა დარჩენილი ოქროსფერი ძაფი... წამით აცახცახდა... და ჯადოსნური ჯოხის წვერს შეეხო...

იმწამსვე ვოლდემორის ჯოხი სიმწრისაგან აკივლდა... და – ვოლდემორს წითელი თვალები შიშით გაუფართოვდა – ჯოხის წვერიდან შედედებული კვამლის ხელი ამოფრინდა და გაიფანტა... ეს იმ ხელის აჩრდილი იყო, რომელიც მან გრძელკუდას უბოძა... ისევ სიმწრის კივილი... და შემდეგ ვოლდემორის ჯოხის წვერიდან ხელზე ბევრად უფრო მოზრდილი რაღაცა გამოჩნდა... დიდი და მორუხო, თითქოს გამკვრივებული, შესქელებული კვამლისგან შედგებოდა... ჯერ – თავი... შემდეგ – მკერდი და ხელები... სედრიკ დიგორის ტანი...

ჰარიმ გაოგნებისაგან ჯოხს ხელი მხოლოდ იმიტომ არ გაუშვა, რომ ინსტინქტი კარნახობდა, მაგრად ჩაბღაუჭებოდა, რათა ოქროსფერი შუქის ძაფი არ გაწყვეტილიყო. მით უმეტეს, რომ სედრიკ დიგორის შესქელებული, რუხი მოჩვენება (ნუთუ მოჩვენება იყო? ისეთი მკვრივი ჩანდა!) თავით ფეხამდე ამოვიდა ვოლდემორის ჯოხიდან, თითქოს ძალიან ვიწრო გვირაბში გამოეტიაო... შემდეგ სედრიკ დიგორის აჩრდილი წამოდგა, სინათლის ოქროსფერ ძაფს ახედ-დახედა და დაილაპარაკა:

– მაგრად გეჭიროს, ჰარი.

მისმა ხმამ თითქოს საიდანღაც შორიდან, ექოსავით მოაღწია. ჰარიმ ვოლდემორს შეხედა... გაფართოებულ, წითელ თვალებში მას კვლავ განცვიფრება ჩასდგომოდა... ეს ყველაფერი მისთვის ისევე მოულოდნელი იყო, როგორც ჰარისთვის... და ძალიან შორიდან ჰარის მოესმა დაზაფრული „სიკვდილის მხვრელების“ დახშული ყვირილი. ისინი ოქროსფერი გუმბათის კედლებს გარეთ დაძრწოდნენ...

ჯოხიდან ისევ გაისმა განწირული კივილი... და მისი წვერიდან კვლავ გამოძვრა რაღაცა. ეს იყო მეორე თავის აჩრდილი, რომელსაც მაშინვე მოჰყვა ხელები და ტანი. ჯოხიდან სედრიკივით მოიწევდა მოხუცი კაცი, რომელიც ერთხელ ჰარიმ სიზმარში ნახა... და ეს მოჩვენება, აჩრდილი, თუ ვინ იცის – რა, სედრიკის გვერდით დაეცა, შემდეგ ყავარჯენს დაეყრდნო და ჰარი, ვოლდემორი, ოქროსფერი ქსელი და ურთიერთდაკავშირებული ჯოხები ოდნავი გაოცებით მოათვალიერა...

– მაშ, ნამდვილად ჯადოქარი ყოფილა! – ვოლდემორს შეხედა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბერიკაცმა, – აი, ამან მომკლა მე... ყოფა უტირე მაგას, ბიჭიკო...

მაგრამ ამასობაში უკვე შემდეგი თავი ამოიწვერა. ამჯერად ეს კვამლის ქანდაკებასავით რუხი თავი ქალს ეკუთვნოდა... ჰარიმ, რომელიც აკანკალებული ხელებით ცდილობდა ჯოხის დაოკებას, დაინახა, რომ ისიც მიწაზე დაეცა და დანარჩენებივით წამოდგა...

ბერტა ჯორკინსის აჩრდილმა ბრძოლის ველი თვალებგაფართოებულმა მოათვალიერა.

– არავითარ შემთხვევაში არ გაუშვა ხელი! – დაიძახა მან და მისი ხმაც, სედრიკისა არ იყოს, ექოსავით, თითქოს ძალიან შორიდან გაისმა, – ჰარი, არ მისცე შენამდე მოღწევის საშუალება, არ გაუშვა ხელი!

ბერტა და დანარჩენი ორი რუხი ფიგურა ოქროსფერი ქსელის შიგნით, კედლების გასწვრივ სიარულს მოჰყვნენ, „სიკვდილის მხვრელები“ კი გალიას გარედან უტრიალებდნენ... ვოლდემორის მსხვერპლნი ორთაბრძოლის მონაწილეების გარშემო დააბიჯებდნენ, ჰარის ჩურჩულით ამხნევებდნენ, თავიანთ მკვლელს კი რას უსისინებდნენ, ჰარის არ ესმოდა...

და, აი, კიდევ ერთი თავი გამოჩნდა ვოლდემორის ჯოხის წვერიდან... და ჰარი მაშინვე მიხვდა, ეს ვინ უნდა ყოფილიყო... მიხვდა, რადგან ამას თითქოს მას შემდეგ ელოდა, რა წამსაც ჯოხიდან სედრიკი გამოძვრა... მიხვდა, რადგან ქალი, რომელიც ახლა ჯოხიდან გამოჩნდა, იყო ის, ვისზე ფიქრიც ჰარის მთელი საღამოს განმავლობაში თავიდან არ ამოსდიოდა...

გრძელთმიანი ახალგაზრდა ქალის კვამლოვანი აჩრდილი ბერტას მსგავსად დავარდა მიწაზე, წამოდგა და ჰარის შეხედა... და ჰარიმაც, რომელსაც ხელები შლეგიანივით უკანკალებდა, ლანდისებურ სახეში ჩახედა დედას.

– მამაშენი მოდის... – წყნარად უთხრა დედამ, – შენი ნახვა უნდა... ყველაფერი კარგად იქნება... მაგრად გეჭიროს...

და ისიც გამოჩნდა... ჯერ – მისი თავი, შემდეგ – ტანი... მაღალი და ჰარივით ურჩთმიანი ჯეიმს პოტერის კვამლისფერი, აჩრდილისებური ფიგურა ამოიწვერა ვოლდემორის ჯოხის წვერიდან, მიწაზე დავარდა და, ცოლის მსგავსად, ისიც ფეხზე წამოდგა. შემდეგ ჰარის მიუახლოვდა, დახედა და სხვებივით შორეული, სუსტი ხმით დაელაპარაკა, ოღონდ ისე ჩუმად, რომ შიშისაგან სახემოქცეულ ვოლდემორს, რომელსაც მისივე მსხვერპლნი გარს უვლიდნენ, არაფერი გაეგონა:

– კავშირის გაწყვეტის შემდეგ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წამითღა გავძლებთ... მაგრამ გარკვეულ დროს მაინც მოგცემთ... როგორმე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პორტაჟამდე უნდა მიაღწიო, ის ჰოგვორტსში დაგაბრუნებს... გაიგე, ჰარი?

– კი, – ძლივს ამოთქვა ჰარიმ. უკვე ძალიან უჭირდა ჯოხის დამორჩილება, რადგან თითებშორის უსრიალებდა და ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, ხელიდან გასხლტომოდა.

– ჰარი... – დაიჩურჩულა სედრიკის გამოსახულებამ, – ჩემი ცხედარი თან წაიღე, კარგი? ჩემი ცხედარი ჩემს მშობლებს წაუღე...

– კარგი, – დაძაბულობისგან სახედამანჭული ჰარი ძლივსღა ახერხებდა ჯოხის შენარჩუნებას.

– ახლავე გააკეთე ეს, – ჩაესმა მამის ჩურჩული, – მოემზადე გასაქცევად... დროა...

– დროა! – დაიღრიალა ჰარიმ, ისედაც გრძნობდა, რომ ჯოხის დამორჩილებას ერთი წამითაც კი ვეღარ შეძლებდა. ჯადოსნური ჯოხი მთელი ძალით აატრიალა მაღლა და ოქროსფერი ძაფი გაწყდა, სინათლის გალია გაქრა, ფენიქსის სიმღერა მიწყდა, მაგრამ ვოლდემორის მსხვერპლთა აჩრდილისებური ფიგურები არ გამქრალან, მათ ვოლდემორი ალყაში მოაქციეს და ჰარის დანახვის საშუალება არ მისცეს...

ჰარი კი გაიქცა. გარბოდა ისე, როგორც არასდროს ურბენია ცხოვრებაში. ორ დაბნეულ „სიკვდილის მხვრელს“ ხელი ჰკრა და გზიდან ჩამოიშორა. ზიგზაგისებურად მირბოდა და გზადაგზა საფლავის ქვებს ეფარებოდა. ფეხდაფეხ შელოცვები მისდევდა, ესმოდა, როგორ ხვდებოდა ისინი ტკაცანით საფლავის ქვებს. სედრიკის ცხედრისკენ გიჟივით მიქროდა, საერთოდ ვეღარ გრძნობდა ნაღრძობი ფეხის ტკივილს, მთელი მისი არსება მომართული იყო მხოლოდ იმისკენ, რაც უნდა გაეკეთებინა...

– გათიშეთ! – გაისმა ვოლდემორის ღრიალი.

სედრიკისგან სამი მეტრიღა აშორებდა, როცა წითელი სინათლის კასკადის ასაცდენად ჰარი მარმარილოს ანგელოზს ამოეფარა. შელოცვა ქანდაკების ფრთის წვერს მოხვდა და მოამსხვრია. ჰარიმ ჯადოსნურ ჯოხს ხელი მაგრად მოუჭირა, ანგელოზის უკნიდან გამოხტა და მთელი ხმით დაიყვირა:

– იმპედიმენტა! – ჯოხი ზურგს უკან ალალბედზე დაუმიზნა მდევრებს.

მოგუდულ ყვირილზე მიხვდა, რომ ერთი მდევარი მაინც შეაჩერა, მაგრამ უკან მიხედვის დრო აღარ იყო. ტურნირის თასს გადაახტა და ჯადოსნური ჯოხებიდან სროლის გაგონებაზე მიწაზე გაწვა. უკნიდან მოვარდნილმა სინათლის ჯერმა თავზე გადაუქროლა, ჰარიმ ხელი გაიწვდინა და სედრიკს მაჯაში სტაცა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩამომეცალეთ! მე მოვკლავ! ის ჩემია! – დაიჩხავლა ვოლდემორ-მა.

ჰარის ცალი ხელით სედრიკის მაჯა ჩაებღუჯა. ვოლდემორისგან ერთი საფლავის ქვაღა ჰყოფდა, მაგრამ სედრიკი ძალიან მძიმე იყო, ტურნირის თასს კი ვერ მისწვდებოდა...

სიბნელეში ვოლდემორის წითელმა თვალებმა გაიელვა. ჰარიმ დაინახა, როგორ აუპრიხა მას პირი ღიმილმა და როგორ აღმართა ჯადოსნური ჯოხი.

– აკციო! – შესძახა ჰარიმ და ჯადოსნური ჯოხი თასისკენ გაიშ-ვირა.

თასი ჰაერში აფრინდა და მისკენ გამოცურდა. ჰარიმ სახელურში ჩაავლო ხელი...

იმავე წამს ვოლდემორის გამძვინვარებული ღრიალი მოესმა, წელ-ზე კი ბიძგი იგრძნო, რაც იმას ნიშნავდა, რომ პორტაჟი ამუშავდა... და უკვე ქარის ტრიალსა და ფერთა მორევში მიაქროლებდა ჰარისა და სედრიკს... ისინი შინ ბრუნდებოდნენ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთხუთმეტე

სიმართლის ელექსირი

ჰარი პირქვე დაენარცხა მიწაზე. მყისვე ბალახის სუნი იგრძნო. როცა პორტაჟმა აიტაცა, თვალები დახუჭა და ახლაც არ ახელდა. გაუნძრევლად იწვა. თავი ისე უბრუოდა, ეგონა, მიწა გემბანივით ირწევაო. ეს რწევა რომ როგორმე შეეჩერებინა, უფრო მაგრად ჩაბღუჯა ის ორი რამე, რაც ხელში ეჭირა – სამი ჯადოქრის ტურნირის თასის ცივი, გლუვი სახელური და სედრიკი. ისეთი შეგრძება ჰქონდა, თითქოს რომელიმე მათგანისთვის ხელი რომ გაეშვა, უსათუოდ ჩაიძირებოდა გონების ირგვლივ თანდათან ჩამოწოლილ წყვდიადში. შოკისა და დაღლილობისაგან ფეხზე ვერ დგებოდა და არც უცდია ადგომა. იწვა, ნედლი ბალახის სურნელს ისუნთქავდა და ელოდა... ელოდა, რომ ვიღაცა რაღაცას იზამდა, რამე მოხდებოდა... მთელი ამ ხნის განმავლობაში შუბლზე ნაიარევი ყრუდ სტკიოდა.

ხმაურის ნიაღვარმა გააყრუა და გააოგნა. ყოველი მხრიდან ესმოდა ნაბიჯების ხმა, ყვირილი... ჰარი არ განძრეულა, სახე დამანჭა, თითქოს ეს გნიასი, უბრალოდ, კოშმარული სიზმარი იყო, რომელიც მალე გაქრებოდა...

უეცრად ვიღაცამ ხელები ჩაავლო და ზურგზე გადმოაბრუნა.

– ჰარი! ჰარი!

ჰარიმ თვალები გაახილა.

მაღლა ვარსკვლავიანი ცა მოჩანდა, მისკენ ალბუს დამბლდორი დახრილიყო. მათ გარშემო ადამიანების მუქი ჩრდილები ირეოდნენ, ახლოს მოიწევდნენ. მათი ნაბიჯებისგან ჰარის თავქვეშ მიწა ზანზარებდა.

პორტაჟს ლაბირინთის პირას დაებრუნებინა. ჰარი ხედავდა ირგვლივ აღმართულ ტრიბუნებს, მათზე მოძრავი ადამიანების ფიგურებსა და მაღლა, ცაზე – ვარსკვლავებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ თასს ხელი გაუშვა, მაგრამ სედრიკი უფრო მაგრად ჩაბღუჯა. თავისუფალი ხელი ასწია და დამბლდორს მაჯაში ჩაავლო. დამბლდორის სახე ხან ამოცურდებოდა, ხანაც სადღაც ჩაიკარგებოდა.

– დაბრუნდა, – დაიჩურჩულა ჰარიმ, – ვოლდემორი დაბრუნდა...

– რა ამბავია? რა მოხდა?

ჰარის თავზემოთ კორნელიუს ფაჯის გაფითრებული, დაზაფრული სახე გამოჩნდა.

– ღმერთო ჩემო... დიგორი! – ჩურჩულით შეიცხადა ფაჯმა, – დამბლდორ... ის მკვდარია!

ეს სიტყვები მათ ირგვლივ თავმოყრილმა ბრბომ უმალ აიტაცა. ახლოს მდგომმა მუქმა ფიგურებმა ოხვრითა და ჩურჩულით გადასცეს უკან მდგომებს... შემდეგ სიბნელეში ძახილი, ხმამაღალი ყვირილი გაისმა:

– მკვდარია! მკვდარია! სედრიკ დიგორი მკვდარია!

– ჰარი, გაუშვი ხელი, – გაიგონა ჰარიმ ფაჯის ხმა და იგრძნო, რომ ვიღაცა შეეცადა, სედრიკის გაქვავებულ სხეულზე ჩაფრენილი თითები გაეშლევინებინა, მაგრამ ჰარი არაფრით არ თმობდა სედრიკს.

შემდეგ დამბლდორის ბუნდოვანი, ნისლოვანი სახე მოუახლოვდა.

– ჰარი, ველარაფრით უშველი... ყველაფერი დამთავრდა. გაუშვი.

– მთხოვა, რომ დამებრუნებინა, – წაილუღლუღა ჰარიმ. ეჩვენებოდა, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამის ახსნა, – მთხოვა, რომ მშობლებთან დამებრუნებინა...

– სწორად მოიქეცი, ჰარი... ახლა გაუშვი ხელი...

დამბლდორი დაიხარა, ასეთი მოხუცებული და გამხდარი კაცისთვის უჩვეულო ძალით ასწია ჰარი მიწიდან და ფეხზე დააყენა. ჰარი დაბარბაცდა. თავი ყრუდ უგუგუნებდა. ნაღრძობი ფეხი ისე უკანკალებდა, რომ მასზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო. ირგვლივ ბრბო ჩოჩქოლებდა, ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა, ყველა ჰარისთან მიახლოებას ცდილობდა.

– რა მოხდა? რა დაემართა? დიგორი მკვდარია!

– ახლავე საავადმყოფო ფლიგელში უნდა წავიყვანოთ, – ხმამაღლა გამოაცხადა ფაჯმა, – ცუდადაა. დაშავებულია... დამბლდორ, დიგორის მშობლები, ისინი აქ არიან, ტრიბუნაზე არიან...

– მე წავიყვან ჰარის, დამბლდორ, მე წავიყვან...

– არა, მე მირჩევნია...

– დამბლდორ, ამოს დიგორი მორბის... აქეთ მოდის... ხომ უნდა შეამზადო... სანამ ნახავს?

– ჰარი, აქ დარჩი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გოგონები კიოდნენ, ისტერიულად ქვითინებდნენ... მთელი ეს სცენა უცნაურად ციმციმებდა ჰარის თვალწინ...

– ყველაფერი რიგზეა, შვილო... მე დამეყრდენი... წამოდი... საავადმყოფო ფლიგელში...

– დამბლდორმა მითხრა, დარჩიო, – ენის ბორძიკით შეედავა ჰარი. შუბლზე ნაიარევი ისე უფეთქავდა, ეგონა, სადაცაა გული ამერევაო. გარშემო ყველაფერი კიდევ უფრო გაბუნდოვანდა.

– აუცილებლად უნდა დაწვე... წამოდი, წამოდი...

ვიღაცა, მასზე დიდი და ძლიერი, დამფრთხალ ბრბოს მიარღვევდა და ჰარის თან მიათრევდა თუ ექაჩებოდა. ყველა მხრიდან ხალხის ოხვრა, წივილ-კივილი და ყვირილი ისმოდა. ამასობაში კაცმა, რომელსაც ჰარი მიჰყავდა, მათ შორის გზა გაიკვლია და ბიჭი ციხეკოშკისკენ წაიყვანა. ფერდობი აიარეს და ტბასა და დურმსტრანგის გემს ჩაუარეს. ჰარის არაფერი ესმოდა, გარდა იმ კაცის მძიმე სუნთქვისა, რომელიც მას მხარში ამოსდგომოდა.

– რა მოხდა, ჰარი? – ჰკითხა, ბოლოს და ბოლოს, კაცმა, როცა ბიჭი ასწია და ქვის საფეხურებზე აიყვანა. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. ეს იყო მრისხანეთვალა მუდი...

– თასი პორტაჟი ყოფილა, – წაიბუტბუტა ჰარიმ. ისინი უკვე ჰოლს კვეთდნენ, – მე და სედრიკი სასაფლაოზე გადაგვიყვანა... და იქ ვოლდემორი დაგვხვდა... ლორდი ვოლდემორი...

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. მარმარილოს კიბეზე ადიოდნენ...

– ბნელი ბატონი იქ იყო? მერე რა მოხდა?

– სედრიკი მოკლა... იმათ სედრიკი მოკლეს...

– მერე?

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. დერეფანში მიდიოდნენ.

– ელექსირი მოამზადა... სხეული დაიბრუნა...

– ბნელმა ბატონმა სხეული დაიბრუნა? ის დაბრუნდა?

– და „სიკვდილის მხვრელები“ მოვიდნენ... მერე ორთაბრძოლა გავმართეთ...

– შენ ბნელ ბატონთან ორთაბრძოლა გქონდა?

– გამოვექეცი... ჩემს ჯოხს უცნაური რაღაცა დაემართა... ჩემი დედა და მამა ვნახე... მისი ჯადოსნური ჯოხიდან ამოვიდნენ...

– აქეთ, ჰარი... აქ შემოდი და დაჯექი... ახლა უკეთ იქნები... აი, ეს დალიე...

ჰარიმ საკეტში გასაღების გადატრიალების ხმა გაიგონა და იგრძნო, რომ ხელში ფინჯანი შეაჩეჩეს.

– დალიე... უკეთ გახდები... ახლა კი, ჰარი, მინდა, ზუსტად ვიცოდე, რა მოხდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუდიმ ჭიქას ხელი მიაშველა და ჰარის რაღაცა გადააყლაპა. მწარე სითხემ ყელი ჩასწვა და ხველება აუტყდა. მუდის კაბინეტი და თავად მუდიც უკეთ დაინახა... ისიც ფაჯივით ფერდაკარგული ჩანდა და ორივე თვალი დაუხამხამებლად ჰარისთვის მიეპყრო.

– ვოლდემორი დაბრუნდა, ჰარი? ნამდვილად დაბრუნდა? ეს როგორ მოახერხა?

– რაღაცა აიღო მამამისის საფლავიდან, გრძელკუდასაგან და ჩემგან, – აუხსნა ჰარიმ. გონება უფრო დაეწმინდა, ნაიარევის ტკივილიც ისე აუტანლად აღარ აწუხებდა. მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტში ბნელოდა, მუდის სახეს უკვე სრულიად გარკვევით ხედავდა. ქვიდიჩის მოედნიდან ხმაური და ყვირილი აქამდეც აღწევდა.

– ბნელმა ბატონმა შენგან რა აიღო? – ჰკითხა მუდიმ.

– სისხლი, – ჰარიმ მკლავი უჩვენა. სახელო გახეული იყო იმ ადგილზე, სადაც გრძელკუდამ ხანჯალი უჩხვლიტა.

მუდიმ ღრმად, სისინით ამოისუნთქა.

– და „სიკვდილის მხვრელები“ დაუბრუნდნენ?

– დიახ, – უპასუხა ჰარიმ, – ბევრნი...

– როგორ შეხვდა მათ? – ხმადაბლა ჰკითხა მუდიმ, – აპატია?

და უცებ ჰარის გაახსენდა, დამბლდორისთვის რაც უნდა ეთქვა, მაშინვე უნდა ეთქვა...

– ჰოგვორტსში „სიკვდილის მხვრელია“! აქ „სიკვდილის მხვრელია“... მან ჩააგდო ცეცხლოვან თასში ჩემი სახელი, მან მოაწყო ისე, რომ ფინალამდე მიმეღწია...

ჰარიმ წამოდგომა სცადა, მაგრამ მუდიმ ხელი ჰკრა და ისევ დასვა.

– ვიცი, ვინც არის „სიკვდილის მხვრელი“, – ხმადაბლა თქვა მან.

– კარკაროვი! – გაშმაგებით შესძახა ჰარიმ, – სად არის? დაიჭირეთ? გამოკეტილი გყავთ?

– კარკაროვი? – უცნაურად გაიცინა მუდიმ, – კარკაროვი ამ საღამოს გაიქცა, როდესაც მკლავზე შავი ნიშანი აეწვა. მან ბნელი ბატონის იმდენი მომხრე დაასმინა, რომ არა მგონია, მათთან შეხვედრის სურვილი ჰქონდეს... მაგრამ შორს ვერ წავა. ბნელი ბატონი თავის მტრებს ყველგან პოულობს.

– კარკაროვი გაიქცა? აქ არ არის? კი მაგრამ, მან არ ჩააგდო თასში ჩემი სახელი?

– არა, – დინჯად უპასუხა მუდიმ, – მან არა. მე ჩავაგდე.

ჰარიმ ყურებს არ დაუჯერა.

– არა, თქვენ არა. ეს თქვენ არ გიქნიათ... ამას ვერ იზამდით.

– გარწმუნებ, რომ ეს მე ვქენი, – მუდიმ ჯადოსნური თვალი მიატრიალა და კარს მიაშტერა, და ჰარი მიხვდა, ამოწმებდა, გარეთ ხომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არავინ არისო. ამავდროულად, მან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ჰარის დაუმიზნა.

– მაშ, აპატია, არა? „სიკვდილის მხვრელებს“, რომლებიც თავისუფლად დაპარპაშებდნენ? რომლებიც აზკაბანს გადაურჩნენ?

– რაა? – ჰკითხა ჰარიმ და ჯადოსნურ ჯოხს მიაჩერდა, რომელსაც მუდი უმიზნებდა. ეს ბოროტი ხუმრობა იყო, სხვანაირად არ შეიძლებოდა.

– მე შენ გეკითხები, – ჩუმად განაგრძო მუდიმ, – აპატია თუ არა იმ ნაძირლებს, რომლებსაც მისი მოძებნაც კი არ უცდიათ; იმ ლაჩრებსა და მოღალატეებს, რომელთაც მისი გულისთვის აზკაბანში წასვლაც კი ვერ გაბედეს; იმ ორგულ, უღირს ნაგვის ნარჩენებს, რომელთაც იმის გამბედაობა კი ეყოთ, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე ნიღბებით ეკუნტრუშათ, მაგრამ, როცა ცაში „შავი ნიშანი“ ავისროლე, მის დანახვაზე კურდღლებივით დაიფანტნენ.

– თქვენ აისროლეთ... რას ამბობთ...

– მე ხომ გითხარი, ჰარი... ერთხელ ხომ გითხარი, ამქვეყნად თუ რამე მეჯავრება, ესაა თავისუფლად მოპარპაშე „სიკვდილის მხვრელი“-მეთქი. მათ ზურგი აქციეს ბატონს, როცა ისინი ყველაზე მეტად სჭირდებოდა. როგორი იმედი მქონდა, რომ ის მათ დასჯიდა, ველოდი, რომ აწამებდა. მითხარი, რომ აწამებდა, ჰარი... – მუდის სახე მოულოდნელად გიჟურმა ღიმილმა გაუნათა, – მიპასუხე, ხომ უთხრა მათ, რომ მე, მხოლოდ მე დავრჩი ერთგული... მხოლოდ მე ვიყავი მზად, თავიც კი გამეწირა, რათა მისთვის ჩამებარებინა ის, რაც ყველაზე მეტად სურდა... შენი თავი!

– თქვენ არ... ეს არ შეიძლება, თქვენ იყოთ...

– ვინ ჩააგდო შენი სახელი „ცეცხლოვან თასში“ სხვა სკოლის სახელით? მე. ვინ დააშინა ყველა, ვისაც, ჩემი აზრით, შეიძლებოდა, შენთვის ზიანი მოეყენებინა ან ტურნირის მოგებაში ხელი შეეშალა? მე. ვინ ჩააწვეთა ჰაგრიდს, შენთვის დრაკონები ეჩვენებინა? მე. ვინ მიგახვედრა, რით შეგეძლო დრაკონის დამარცხება? მე.

მუდიმ ჯადოსნური თვალი კარს მოსწყვიტა და ჰარის მიაპყრო. პირის ირიბი ჭრილი ღვარძლიანმა ღიმილმა ფართოდ მოურღვია.

– განა ადვილი იყო, ჰარი, სამივე ტურში ისე გამეყვანე, რომ ეჭვი არავის აღძვროდა? მთელ ჩემს ეშმაკობას მოვუხმე, რომ შენს წარმატებაში ჩემი წვლილი შეუჩნეველი დარჩენილიყო. ყველაფრისთვის ძალიან ადვილად რომ გაგერთმია თავი, დამბლდორი უმალვე ეჭვს აიღებდა. ვიცოდი, რომ მთავარი იყო, ლაბირინთში მოხვედრილიყავი, თანაც – სხვებზე ადრე, რომ თავიდანვე გარკვეული უპირატესობა გქონოდა. მერე კი ჩემთვის ძნელი აღარ იყო დანარჩენი ჩემპი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ონების ჩამოშორება და შენთვის გზის გაწმენდა. მაგრამ შენს უტვინობასთანაც მომიწია ბრძოლა. მეორე დავალება... აი, სწორედ მაშინ შემეშინდა, რომ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებოდა. ყურადღებით გადევნებდი თვალს, პოტერ. ვიცოდი, რომ კვერცხის საიდუმლო ვერ ამოხსენი, ამიტომ კიდევ ერთხელ მომიხდა კარნახი...

– თქვენ კი არა, სედრიკმა მიკარნახა, – ჩახლეჩილი ხმით შეაწყვეტინა ჰარიმ.

– მერე, ვინ დაარიგა სედრიკი, კვერცხი წყალში გაეხსნა? მე! ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ის ამ ინფორმაციას შენ მოგაწვდიდა. წესიერი ადამიანებით მანიპულირება ისეთი ადვილია, პოტერ! დარწმუნებული ვიყავი, რომ სედრიკი აუცილებლად მოისურვებდა მადლობის ნიშნად შენთვის ამის გამხელას: შენ ხომ დრაკონების შესახებ მოუყევი, და ასეც მოიქცა... მაგრამ ამის შემდეგაც კი, პოტერ, ამის შემდეგაც კი კინაღამ ჩაფლავდი. მე გამუდმებით გითვალთვალებდი. ბიბლიოთეკაში ათენ-აღამებდი... ნუთუ ვერ ხვდებოდი, რომ საჭირო წიგნი მთელი ამ ხნის განმავლობაში შენს საძინებელში იდო? მე ადრევე დავიჭირე თადარიგი, რომ ეს წიგნი შენთან ყოფილიყო. არ გახსოვს, იმ ბიჭს, ლონგბოტომს რომ მივეცი? „ხმელთაშუა ზღვის ჯადოსნური წყალმცენარეები და მათი თვისებები“. ამ წიგნში ყველაფერს ნახავდი, რაც გჭირდებოდა „ლაყუჩა-ბალახზე“. მე მეგონა, რომ განურჩევლად ყველას სთხოვდი დახმარებას, ლონგბოტომი იმწამსვე გეტყოდა, მაგრამ შენ არავისთვის გითხოვია... არ გითხოვია... შენ სიამაყისა და დამოუკიდებლობის გრძნობა გაქვს, რასაც შეეძლო, ყველაფერი დაეღუპა. მაშ, რა უნდა მექნა? რა და, შენთვის ინფორმაცია სხვა, უცოდველი წყაროს საშუალებით უნდა მომეწოდებინა. მეჯლისზე მითხარი, რომ შინაურმა ელფმა, სახელად დობიმ, საშობაოდ რაღაცა გაჩუქა. მე ელფი სამასწავლებლოში დავიბარე გასარეცხი მანტიების წასაღებად და პროფესორ მაკგონაგელს განგებ ხმამაღალი საუბარი გავუბი მოტაცებული მძევლების შესახებ. მძევლების სახელებიც ვახსენე და ვთქვი, ნეტავ, პოტერი თუ მოიფიქრებს „ლაყუჩა-ბალახის“ გამოყენებას-მეთქი. შენი პატარა ელფი მეგობარი კი პირდაპირ სნეიპის კაბინეტისკენ გაიქცა და მაშინვე „ლაყუჩა-ბალახი“ მოგირბენინა...

მუდი ჯადოსნურ ჯოხს შიგ გულში უმიზნებდა ჰარის. მის ზურგს უკან, კედელზე დაკიდებულ „მტრის ამომცნობ სარკეში“ ბუნდოვანი გამოსახულება ამოძრავდა.

– ტბაში იმდენ ხანს დაჰყავი, რომ მეგონა, დაიხრჩვე, მაგრამ, საბედნიეროდ, დამბლდორმა იდიოტობა კეთილშობილებად ჩაგითვალა და მაღალი შეფასება მოგცა. მეც შვებით ამოვისუნთქე. ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საღამოს, ლაბირინთშიც, რა თქმა უნდა, უფრო იოლად წაგივიდა საქმე, ვიდრე – სხვებს. ეს იმიტომ, რომ მე ლაბირინთის ირგვლივ ვპატრულირებდი, ყველაფერს ვხედავდი კედლებს მიღმა და დაბრკოლებებს გზიდან გაშორებდი. მე გავთიშე ფლერ დელაკური. მე მოვუვლინე იმპერიუსის წყევლა კრამს, რათა დიგორისთვის ბოლო მოელო და თასამდე შენთვის გზა გამეწმინდა.

ჰარი გაოცებით მიშტერებოდა მუდის. ვერაფრით ვერ ხვდებოდა, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო... დამბლდორის მეგობარი, სახელგანთქმული აურორი... სწორედ ის, რომელსაც ამდენი „სიკვდილის მხვრელი“ ჰყავდა დაჭერილი... ეს უაზრობა იყო, სრული უაზრობა...

„მტრის ამომცნობ სარკეში“ კი ბუნდოვანი გამოსახულება თანდათან გამოიკვეთა და ჰარი უკვე სამი ადამიანის მოხაზულობას არჩევდა, რომლებიც სულ უფრო ახლოვდებოდნენ, მაგრამ მუდი მათ ვერ ამჩნევდა. ჯადოსნური თვალი ჰარისკენ ჰქონდა მიქცეული.

– ბნელმა ბატონმა შენი მოკვლა ვერ მოახერხა, პოტერ, არადა, როგორ უნდოდა, მოეკალი, – ჩურჩულით განაგრძო მუდიმ, – წარმოიდგინე, როგორ დამაფასებს, როდესაც შეიტყობს, რომ მისი გასაკეთებელი მე გავაკეთე. მე მას შენი თავი მივართვი – ის, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა აღორძინებისთვის, – და შემდეგ მისთვის მოგკალი. მე ყველა „სიკვდილის მხვრელზე“ უმეტესი პატივი მხვდება წილად. მე მისი ყველაზე ძვირფასი, უახლოესი თანამებრძოლი გავხდები... უფრო ახლობელი, ვიდრე ვაჟი...

მუდის ნორმალური თვალი გადმოეკარკლა, ჯადოსნური თვალი კი ჰარისკენ მიეპყრო. კარი ჩარაზული იყო და ჰარიმ იცოდა, რომ თავისი ჯადოსნური ჯოხის ამოღებას ვერ მოასწრებდა...

– ბნელ ბატონსა და მე ბევრი გვაქვს საერთო, – მუდი ახლა ნამდვილ გიჟს ჰგავდა, ჰარის თავზე დასდგომოდა და ბოროტი ღიმილით დასცქეროდა, – მაგალითად, ორივეს უვარგისი მამა გვყავდა... ყოვლად უვარგისი. ორივემ ვიწვნიეთ სირცხვილი იმისა, რომ გვეტარებინა მათი სახელი. და ორივეს გვხვდა წილად სიამოვნება... უდიდესი სიამოვნება ჩვენი მამების მოკვლისა, და ამით შავი მაგიის ორდენის აღზევება უზრუნველვყავით.

– თქვენ გიჟი ხართ, – თავი ვერ შეიკავა ჰარიმ, – გიჟი ხართ!

– გიჟი ვარ, არა? – ისტერიულად აუწია ხმას მუდიმ, – მაგასაც ვნახავთ! ბნელი ბატონი დაბრუნდა და მე კი მის მხარეზე ვარ! ის დაბრუნდა, ჰარი პოტერ, შენ მას ვერ სძლიე, და ახლა მე გძლევ შენ!

მუდიმ ჯოხი აღმართა და პირი გააღო, ჰარიმ მოასწრო ჯადოსნური ჯოხისთვის მანტიის ჯიბეში ხელის ჩაყოფა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაშეშდი!

დამაბრმავებელმა წითელმა შუქმა გაიელვა და მუდის კაბინეტის კარი ზათქითა და ლაწალუწით შემოინგრა...

მუდი იატაკზე დაეხეთქა. ჰარიმ დაინახა, რომ სარკიდან ალბუს დამბლდორი, პროფესორი სნეიპი და პროფესორი მაკგონაგელი გამოსცქეროდნენ. ჰარიმ კარისკენ გაიხედა. სამივენი ზღურბლზე იდგნენ, სხვებზე წინ – დამბლდორი, რომელსაც ჯოხი აღემართა.

იმ წუთებში ჰარისათვის, ბოლოს და ბოლოს, ცხადი გახდა, რატომ ამბობდნენ, რომ დამბლდორი ერთადერთი ჯადოქარი იყო, რომლისაც ვოლდემორს ეშინოდა. დამბლდორი ისეთი საშინელი სანახავი იყო, როდესაც მრისხანეთვალა მუდის უგრძნობ სხეულს დახედა, რომ ჰარი თვალებს არ უჯერებდა. არსად ჩანდა მისთვის ჩვეული გულკეთილი ღიმილი, აღარც თვალები უციმციმებდა. ხანდაზმულ სახეზე სასტიკი მრისხანება აღბეჭდვოდა; დამბლდორი უხილავ ძალას ასხივებდა.

მან კაბინეტში შემოაბიჯა, მუდის უგონო სხეულს ფეხი ამოსდო და ზურგზე გადააბრუნა, რომ სახე გამოსჩენოდა. სნეიპიც შემოჰყვა და „მტრის ამომცნობ სარკეში“ საკუთარ სახეს შეხედა, რომელიც რისხვით გამოსცქეროდა ოთახს. პროფესორი მაკგონაგელი პირდაპირ ჰარისკენ გაეშურა.

– წამოდით, პოტერ, წამოდით... საავადმყოფო ფლიგელში... – მაკგონაგელს ტუჩები ისე უთრთოდა, თითქოს წამიც, და ტირილი წასკდებოდა.

– არა, – მკაცრად თქვა დამბლდორმა.

– დამბლდორ, უნდა წავიყვანო, შეხედეთ, რა დღეშია, ამ საღამოს საკმარისი ტანჯვა გამოიარა...

– ის აქ დარჩება, მინერვა, რადგან ყველაფერი უნდა გაიგოს, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – გაგება პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ რაც მოხდა, ის მიიღოს, და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს გონზე მოსვლას. მან უნდა იცოდეს, ვისი წყალობით გამოიარა ეს მძიმე განსაცდელი და რატომ.

– მუდი, როგორ შეიძლებოდა, ეს მუდის ჩაედინა? – დაჯერება უჭირდა ჰარის.

– ეს არ არის ალასტორ მუდი, – წყნარად უთხრა დამბლდორმა, – შენ არც იცნობ ნამდვილ მუდის. ნამდვილი მუდი ჩემგან არ წაგიყვანდა იმის შემდეგ, რაც ამ საღამოს მოხდა. რა წამსაც მან წაგიყვანა, მაშინვე ყველაფერს მივხვდი და გამოვყევი.

დამბლდორი მუდის მოდუნებულ სხეულზე დაიხარა და მანტიის ჯიბეში ხელი ჩაუყო, იქიდან მათარა და გასაღებების აცმა ამოაძ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვრინა. შემდეგ პროფესორებს – მაკგონაგელსა და სნეიპს – მიუბრუნდა:

– სეევერუს, გთხოვთ, მომიტანოთ ყველაზე ძლიერი სიმართლის ელექსირი, შემდეგ ჩახვიდეთ სამზარეულოში და ამოიყვანოთ შინაური ელფი, სახელად ვინკი. მინერვა, თუ შეიძლება, ჰაგრიდის ქოხში ჩაბრძანდით. იქ, გოგრების ბოსტანში, დიდ შავ ძაღლს ნახავთ. ძაღლი ჩემს კაბინეტში აიყვანეთ და გადაეცით, რომ მალე მასთან ვიქნები, შემდეგ აქ დაბრუნდით.

შეიძლება, სნეიპმა ან მაკგონაგელმა ეს დავალებები უჩვეულოდ ჩათვალეს, მაგრამ არ შეიმჩნიეს. ორივე მყისვე მიტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა. დამბლდორი კი შვიდკლიტიან სკივრს მიუტრიალდა: პირველ კლიტეს გასაღები მოარგო და გახსნა. სკივრი წიგნებით აღმოჩნდა სავსე. დამბლდორმა სკივრი დახურა, მეორე გასაღები მეორე კლიტეს მოარგო და ისიც გახსნა. შელოცვის წიგნები აღარსად ჩანდა. მათი ადგილი ეკავა ათასნაირ ხარახურას: დამტვრეულ მავნოსკოპებს, ეტრატის გრაგნილებს, ფრთებსა და კიდევ – ვერცხლისფერ რაღაცას, რაც ძალიან ჰგავდა უჩინმაჩინის მოსასხამს. ჰარი განცვიფრებული ადევნებდა თვალს, როგორ არგებდა დამბლდორი რიგრიგობით მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გასაღებებს შესაბამის კლიტეებს, როგორ ხსნიდა სკივრს და ყოველ ჯერზე მასში რაღაც ახალი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ბოლოს მეშვიდე გასაღებიც მოარგო საკეტს, სკივრს სახურავი ახადა და ჰარის გაოცების შეძახილი აღმოხდა.

სკივრში ერთგვარი ორმო აღმოჩნდა, სამი მეტრის სიღრმის მიწისქვეშა ოთახი, რომლის იატაკზე ღრმა ძილს მისცემოდა გამხდარი და ნაშიმშილები ნამდვილი მრისხანეთვალა მუდი. ხის ფეხი არ ჰქონდა, ფოსო, რომელშიც ჯადოსნური თვალი უნდა ყოფილიყო, ქუთუთოს ქვეშ ცარიელი იყო. ჭაღარაშერეული თმა ალაგ-ალაგ შეკრეჭილი ჰქონდა. თავზარდაცემული ჰარი ხან სკივრში მძინარე მუდის დასცქეროდა, ხანაც – კაბინეტის იატაკზე გაშოტილ უგრძნობ მუდის.

დამბლდორი სკივრში ჩაძვრა, მსუბუქად დახტა იატაკზე მძინარე მუდის გვერდით და მისკენ დაიხარა.

– გათიშულია... იმპერიუსის წყევლის ზეგავლენის ქვეშაა... ძალიან სუსტადაა. რასაკვირველია, ცოცხალი სჭირდებოდათ, – დაასკვნა და ჰარის ამოსძახა: – ჰარი, ერთი, მაგ თვითმარქვიას მოსასხამი ჩამომიგდე! ალასტორი სულ მთლად გაყინულა. მადამ პომფრიმ უნდა გასინჯოს, მაგრამ, როგორც ჩანს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ დამბლდორს მოსასხამი ჩაუგდო. დამბლდორმა მუდის დაა-ფარა, გვერდებზე შეუკეცა, მერე სკივრიდან ამოძვრა, მაგიდიდან მათარა აიღო, სახურავი მოხსნა და ამოატრიალა. კაბინეტის იატაკ-ზე სქელი, წებოვანი სითხე დაიღვარა.

– მრავალწვნიანი სასმელი, ჰარი, – განმარტა დამბლდორმა, – ხედავ, ამის სიმარტივეს... და გენიალურობას? საქმე ისაა, რომ მუდი ყოველთვის მხოლოდ თავისი მათარიდან სვამს. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. თვითმარქვიას, რასაკვირველია, სჭირდებოდა, რომ ნამდვილი მუდი ახლოს ჰყოლოდა, რათა სასმელის მარაგი შეევ-სო. შეხედე მის თმას, – დამბლდორმა სკივრში მყოფ მუდის ჩახედა, – თვითმარქვია მთელი წლის განმავლობაში აჭრიდა, ხომ ხედავ, რა უსწორმასწოროდაა შეჭრილი? მაგრამ, ჩემი აზრით, ამ მშფოთვარე საღამოს ჩვენს ცრუ მუდის, შეიძლება, დაავიწყდა მისი დალევა: საათში ერთხელ უნდა დაელია... ყოველ საათში ერთხელ... ამას ახლა-ვე ვნახავთ...

დამბლდორმა მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია, დაჯდა და იატაკზე უგონოდ გაშოტილ მუდის დააჩერდა. ჰარიც მუდის მიაშ-ტერდა. წუთები უხმოდ მისდევდა ერთმანეთს...

და უცებ იატაკზე დაგდებული მამაკაცის სახემ ჰარის თვალწინ შეცვლა დაიწყო. ნაიარევები გაუქრა, კანი გადაეჭიმა, ჩამოთლი-ლი ცხვირი გაუმთელდა და დაუპატარავდა. ჭაღარა თმის გრძელი ფაფარი დაუმოკლდა და ჩალისფერი გაუხდა. უეცრად ხის ფეხი ხმამაღალი ჭახანით დავარდა იატაკზე და მის ადგილას ნორმა-ლური ფეხი გამოიზარდა. წამიც, და ფოსოდან ჯადოსნური თვა-ლის კაკალიც გადმოვარდა; იგი ჩვეულებრივმა თვალმა შეცვალა. ჯადოსნური თვალი იატაკზე გაგორდა, იქაც კი არ იშლიდა ყველა მიმართულებით ბზრიალს.

ჰარის წინაშე იწვა ფერმკრთალი, ოდნავ დაჭორფლილი ქერათ-მიანი კაცი. ჰარიმ მაშინვე იცნო. ეს კაცი დამბლდორის საფიქრელა-ში ჰყავდა ნანახი. თავისი თვალით უყურა, როგორ გაჰყავდათ დემენ-ტორებს სასამართლოდან; როგორ ცდილობდა ბატონ კრაუჩის დარ-წმუნებას, რომ უდანაშაულო იყო... მაგრამ ახლა უპეებში ნაოჭები გასჩენოდა და ბევრად უფროსი ჩანდა...

გარეთ, დერეფანში, აჩქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა. სნეიპი დაბრუნდა. მას ფეხდაფეხ ვინკი შემოჰყვა, ვინკის კი – პროფესორი მაკგონაგელი...

– კრაუჩი! – ზღურბლზე გახევდა სნეიპი, – ბარტი კრაუჩი!

– ღმერთო ჩემო! – პროფესორი მაკგონაგელიც ადგილს მიეყინა და იატაკზე გაშოტილ კაცს დააცქერდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭუჭყიანმა ვინკიმ სნეიპის ფეხებშორის გამოიჭყიტა. პირი ფართოდ დააღო და გულის გამგმირავად აკივლდა.

– მასტერ ბარტი! მასტერ ბარტი! თქვენ აქ რა აკეთებს? – წინ გავარდა და ახალგაზრდა კაცს მკერდზე დაემხო, – თქვენ ის მოკლა! მოკლა! თქვენ მოკლა ბატონის შვილი!

– მხოლოდ და მხოლოდ გათიშულია, ვინკი, – დაამშვიდა დამბლდორმა, – გეთაყვა, განზე გადექი. სევერუს, ელექსირი მოიტანეთ?

სნეიპმა დამბლდორს გამჭვირვალე სითხით სავსე პატარა მინის ბოთლი გადასცა – ვერიტაზერუმი, სიმართლის ელექსირი, რომლითაც გაკვეთილზე ჰარის დაემუქრა. დამბლდორი წამოდგა, იატაკზე გაშოტილი კაცისკენ დაიხარა, წამოსვა და „მტრის ამომცნობი სარკის“ ქვეშ კედელს მიაყრდნო. სარკიდან დამბლდორის, სნეიპისა და მაკგონაგელის გამოსახულებები ჯერაც მრისხანედ იყურებოდნენ. აკანკალებული ვინკი მუხლებზე დაჩოქილიყო და სახეზე ხელები აეფარებინა. დამბლდორმა კაცს ძალით გააღებინა პირი და სამი წვეთი ჩააყლაპა. შემდეგ მკერდში ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა და წარმოთქვა:

– რენერვატე.

კრაუჩის ვაჟმა თვალები გაახილა. უმეტყველო სახე ჰქონდა, თვალები – ერთ წერტილზე მიბჯენილი. დამბლდორმა მის წინ ჩაიმუხლა და ხმადაბლა ჰკითხა:

– გესმით ჩემი?

კაცს ქუთუთოები აუთრთოლდა და წაილუღლუღა:

– დიახ.

– მინდა, გვიამბოთ, – აუღელვებლად განაგრძო დამბლდორმა, – აქ როგორ აღმოჩნდით, აზკაბანს თავი როგორ დააღწიეთ.

კრაუჩმა ღრმად, ჟრჟოლით შეისუნთქა ჰაერი, შემდეგ გულგრილი, უემოციო ხმით დაიწყო ლაპარაკი:

– დედაჩემმა გადამარჩინა. იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა. მამაჩემი დაიყოლია, სიკვდილის წინ მისი უკანაკნელი სურვილი შეესრულებინა და ციხიდან დავეხსენი. მამაჩემს დედა ისე უყვარდა, როგორც მე არასდროს ვყვარებივარ. ის დათანხმდა. ორივენი ჩემ მოსანახულებლად მოვიდნენ ციხეში და მრავალწვნიანი სასმელის დოზა მომიტანეს, რომელშიც დედაჩემის თმის ღერი იყო. დედაჩემმა კი ჩემი თმის ღერის შემცველი მრავალწვნიანი სასმელი დალია. ჩვენ ერთმანეთის გარეგნობა მივიღეთ.

ვინკი თავს აქნევდა და ცახცახებდა.

– მეტი აღარა თქვათ, მასტერ ბარტი, მეტი აღარა თქვათ. თქვენ მამათქვენი შარში გახვიო!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ კრაუჩმა კვლავ ღრმად ჩაისუნთქა და ისევ ისე გულგრილად გააგრძელა:

– დემენტორები ბრმები არიან. მათ იგრძნეს, რომ აზკაბანში ერთი ჯანმრთელი და ერთიც მომაკვდავი ადამიანი შემოვიდა. და იგრძნეს, რომ ერთი ჯანმრთელი და ერთი მომაკვდავი ადამიანი გავიდა. მამაჩემმა, ყოველი შემთხვევისათვის, დედაჩემის ტანსაცმელში გადაცმული გამაპარა, რადგან, შეიძლებოდა, საკნების გისოსებიდან პატიმრებს დავენახე. დედაჩემი მას შემდეგ მალე გარდაიცვალა აზკაბანში. ის აღსასრულამდე მკაცრად იცავდა მრავალწვნიანი სასმელის დალევის წესს. ის ჩემი სახელითა და ჩემი გარეგნობით დაიმარხა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს მე ვიყავი.

მამაკაცს ქუთუთოები შეუტოკდა.

– მამათქვენი როგორ მოიქცა, როდესაც შინ მიგიყვანათ? – ჩუმად ჰკითხა დამბლდორმა.

– დედაჩემის სიკვდილი გაითამაშა. უხმაურო, მოკრძალებული დასაფლავება. ის საფლავი ცარიელია. მე კი ჩვენი შინაური ელფის ზრუნვამ მომაბრუნა. შემდეგ ჩემი დამალვა, ჩემი გაკონტროლება იყო საჭირო. ჩემს დასამორჩილებლად მამას ურიცხვი შელოცვის გამოყენება დასჭირდა. როდესაც გამოვკეთდი, მხოლოდ ჩემი ბატონის პოვნასა და მის სამსახურში დაბრუნებაზე ვფიქრობდი.

– მამა როგორ გიმორჩილებდათ? – ჰკითხა დამბლდორმა.

– იმპერიუსის წყევლით, – უპასუხა კრაუჩმა, – მამაჩემი გამუდმებით მაკონტროლებდა, მაიძულებდა, დღისით თუ ღამით უჩინმაჩინის მოსასხამი მეტარებინა. შინაური ელფი გვერდიდან არ მცილდებოდა. ის იყო ჩემი მეთვალყურე და ჩემი მომვლელი. მას ვებრალებოდი. მან დაითანხმა მამაჩემი, ზოგჯერ გართობის საშუალება მოეცა ჩემთვის. ჩემი სანიმუშო ქცევის ჯილდოდ.

– მასტერ ბარტი, მასტერ ბარტი, – ქვითინებდა ხელებაფარებული ვინკი, – თქვენ არ უნდა უთხრათ ამათ, ჩვენ ხათაბალაში გაეხვევა.

– ვინმემ ხომ არ შეიტყო, რომ ცოცხალი იყავით? – მშვიდად ჰკითხა დამბლდორმა, – ვინმემ იცოდა ეს, მამათქვენისა და შინაური ელფის გარდა?

– დიახ, – კრაუჩს ქუთუთოები ისევ აუთრთოლდა, – მამაჩემის თანამშრომელმა ჯადოქარმა ქალმა, ბერტა ჯორკინსმა. ის ჩვენთან, სახლში მოვიდა და მამაჩემს ხელმოსაწერად საბუთები მოუტანა. მამა შინ არ დახვდა. ვინკიმ შინ შემოიპატიჟა და სამზარეულოში, ჩემთან დაბრუნდა. მაგრამ ბერტა ჯორკინსმა შემთხვევით გაიგონა, როგორ მელაპარაკებოდა ვინკი და მოგვაყურადა. რაც მან მოისმინა, საკმა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რისი იყო იმისათვის, რომ მიმხვდარიყო, ვინ იმალებოდა უჩინმაჩინის მოსასხამში. ამ დროს მამაჩემიც დაბრუნდა. ბერტა დაემუქრა. მამაჩემმა ძალიან ძლიერი დავიწყების ჯადო მოუვლინა, რათა მისთვის დაევიწყებინა, რაც შეიტყო. ძალიან ძლიერი. მამამ თქვა, რომ ამით ბერტას მეხსიერებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

– რას მოდის და ჩაყოს ცხვირი ჩემი ბატონის საქმეში? – ქვითინებდა ვინკი, – რატომ არ გაანებოს თავი?

– ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებაც გვიამბეთ, – ბრძანა დამბლდორმა.

– ამაზეც ვინკიმ დაიყოლია მამა, – ისეთივე გულგრილი ხმით უპასუხა კრაუჩმა, – თვეების განმავლობაში უჩიჩინებდა. უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც სახლიდან გარეთ ფეხი არ გამედგა. ქვიდიჩი ყოველთვის მიყვარდა. დართე წასვლის ნებაო, სთხოვა ვინკიმ, უჩინმაჩინის მოსასხამში იქნება და მატჩს ისე უყურებსო. ამ ერთხელ მაინც ჩაყლაპოს სუფთა ჰაერიო. ეუბნებოდა, დედამისსაც ასე ენდომებოდაო. ბოლოს ისიც უთხრა მამას, რომ დედაჩემი ჩემი თავისუფლებისთვის მოკვდა. იმისთვის კი არ გადამარჩინა, რომ ტყვეობაში ამომხდომოდა სული. ბოლოს მამა მაინც დაითანხმა.

ყოველი ნაბიჯი კარგად იყო გათვლილი. მამაჩემმა მე და ვინკი ლოჟაში დილით ადრე აგვიყვანა. ვინკის უნდა ეთქვა, რომ მამაჩემს ადგილს უკავებდა. მე კი უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეული უნდა ვმჯდარიყავი იქ. როდესაც ლოჟა დაიცლებოდა, ჩვენც მაშინ ჩამოვიდოდით. ვინკის მარტოს დაინახავდნენ. ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა.

მაგრამ ვინკი რას წარმოიდგენდა, რომ თანდათან ვძლიერდებოდი. უკვე ვიწყებდი მამაჩემის იმპერიუსის წყევლისთვის წინააღმდეგობის გაწევას. იყო დრო, როცა თითქმის ჩემს თავს ვეკუთვნოდი. იყო ხანმოკლე პერიოდები, როცა მისი გავლენისგან ვთავისუფლდებოდი. მაშინაც ასე მოხდა, ლოჟაში თითქოს ღრმა ძილისგან გამოვფხიზლდი. და რას ვხედავ, ხალხში ვარ, შუა მატჩზე. დავინახე, რომ ჩემ წინ მჯდარ ბიჭს შარვლის უკანა ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოსჩროდა. მე ჯადოსნური ჯოხის ტარების უფლება აზკაბანში ჩაჯდომის დღიდან ჩამორთმეული მქონდა. ჯოხი მოვიპარე. ვინკიმ ვერაფერი შეამჩნია. მას სიმაღლის შიში აქვს და ამიტომ სახე ხელებში ჰქონდა ჩარგული.

– მასტერ ბარტი, შე ცუდო ბიჭო! – დაიჩურჩულა ვინკიმ და თითებს შორის ცრემლები ჩამოუგორდა.

– ესე იგი, ჯოხი აიღეთ, – შეახსენა კრაუჩს დამბლდორმა, – რა უყავით ჯოხს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარავში დავბრუნდით, – გააგრძელა კრაუჩმა, – შემდეგ გავიგონეთ მათი ხმები. იმ „სიკვდილის მხვრელების“ ხმები, რომლებიც აზკაბანში არ ყოფილან; რომელნიც არ დატანჯულან ჩემი ბატონისთვის. მათ ზურგი აქციეს მას. ისინი ჩემსავით დამონებულნი არ იყვნენ. თავისუფლად შეეძლოთ მისი მოძებნა, მაგრამ თითიც არ გაუნძრევიათ. ისინი მხოლოდ მაგლებს აბურთავებდნენ ჰაერში და ამით თავს იქცევდნენ. მათი ხმების გაგონებამ გამომაფხიზლა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთ საღ გონებაზე არ ვყოფილვარ. ბრაზი მომერია. ჯადოსნური ჯოხი მქონდა. მინდოდა, თავს დავსხმოდი მათ, ჩემი ბატონისადმი ორგულობის გამო. მამაჩემი კარავში არ იყო, მაგლების საშველად იყო წასული. ვინკი შეშინდა, ასეთი განრისხებული რომ მნახა. მან თავისებური ელფური ჯადოქრობა გამოიყენა და მე გადამება. შემდეგ კარვიდან გამათრია და „სიკვდილის მხვრელებისგან“ შორს, ტყისკენ წამათრია. მე ვუძალიანდებოდი. ბანაკში დაბრუნება მინდოდა. მინდოდა, იმ „სიკვდილის მხვრელებისთვის“ მეჩვენებინა, რას ნიშნავს ბნელი ბატონისადმი ერთგულება და დამესაჯა იმისთვის, რომ ერთგულების უნარი არ გააჩნდათ. მოპარული ჯადოსნური ჯოხით ცაში „შავი ნიშანი“ ავისროლე. მოვიდნენ სამინისტროს თანამშრომელი ჯადოქრები და ყველგან გამთიშველი შელოცვები ისროლეს. ერთ-ერთმა შელოცვამ იმ ხეებშიც გაიარა, რომლებსაც მე და ვინკი ვეფარებოდით. ჩვენ შორის დამაკავშირებელი ჯადოსნური საბელი გაწყდა. ორივენი გავითიშეთ. როდესაც ვინკი იპოვეს, მამაჩემი მიხვდა, რომ მეც სადღაც იქვე უნდა ვყოფილიყავი. იმ ადგილას, სადაც ვინკის წააწყდნენ, ახლომახლო ბუჩქები გაჩხრიკა და ხელით შემიგრძნო. შეიცადა, სანამ სამინისტროელი ჯადოქრები დაიშლებოდნენ, კვლავ იმპერიუსის წყევლით დამიმორჩილა და შინ წამიყვანა. ვინკი კი დაითხოვა. ვინკიმ იმედი გაუცრუა: მან ჯადოსნური ჯოხის მოპოვების საშუალებაც მომცა და ლამის – გაქცევის საშუალებაც.

სასოწარკვეთილმა ვინკიმ ამოიკვნეს-ამოიქვითინა.

– ასე რომ, ახლა შინ მხოლოდ მე და მამა დავრჩით. და შემდეგ... და შემდეგ... – კრაუჩმა თავი დააკანტურა და სახეზე შეშლილი ღიმილი გადაეფინა, – ჩემმა ბატონმა მომაკითხა. ის ჩვენს სახლში გვიან ღამით მოვიდა თავისი მსახურის, გრძელკუდას მკლავებში ჩასვენებული. ბატონმა შეიტყო, რომ ისევ ცოცხალი ვიყავი. მან ალბანეთში ბერტა ჯორკინსი შეიპყრო და აწამა. ქალმა ბევრი რამე უამბო. უამბო, რომ სამი ჯადოქრის ტურნირი იმართებოდა. უამბო, რომ ჰოგვორტსში ძველი აურორი, მუდი, მასწავლებლად იყო მოწვეული. ბატონმა ბერტა იმდენ ხანს აწამა, სანამ მამა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემის მიერ დადებული დავიწყების ჯადო არ ახსნა. ასე შეიტყო, რომ მე აზკაბანიდან თავი დავაღწიე; რომ მამაჩემს გამოკეტილი ვყავდი შინ, რათა ჩემი ბატონის მოძებნის საშუალება არ მოეცა. ასე და ამგვარად, ბატონისთვის ცხადი გახდა, რომ მე კვლავ მისი ერთგული მსახური ვიყავი, შეიძლება, ყველაზე ერთგულიც კი. ბატონმა ბერტას ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმა შეადგინა. მას მე ვჭირდებოდი. ჩვენთან თითქმის შუაღამისას მოვიდა. კარი მამაჩემმა გააღო.

კრაუჩს სახეზე ისეთი ღიმილი გადაეფინა, თითქოს ცხოვრების უბედნიერეს წუთებს იხსენებსო. ვინკის შეძრწუნებისგან ენა ჩავარდნოდა და თითებს შორის დამფრთხალი თვალები მოუჩანდა.

– ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ბატონმა მამაჩემს იმპერიუსის წყევლა მოუვლინა. მას მერე მამაჩემი გახდა ტუსაღი, ახლა უკვე ის მოექცა კონტროლის ქვეშ. ბატონმა მამაჩემი აიძულა, სამსახურში ჩვეულებისამებრ ევლო და ისე მოქცეულიყო, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. მე კი გავთავისუფლდი, გამოვიღვიძე. საკუთარ თავს დავუბრუნდი, ამდენი წლის შემდეგ ისევ გავცოცხლდი.

– რა დაგავალათ ლორდმა ვოლდემორმა? – ჰკითხა დამბლდორმა.

– მან მკითხა, მზად ვიყავი თუ არა, ყველაფერი გამეკეთებინა მისი გულისთვის. მე მზად ვიყავი. ჩემი ოცნება, ჩემი უმთავრესი მიზანი იყო, რომ მისთვის სამსახური გამეწია; მისთვის ჩემი ერთგულება დამემტკიცებინა. მან მითხრა, რომ ჰოგვორტსში ერთგული მსახურის მოწყობა დასჭირდებოდა; ისეთი მსახურისა, რომელიც ჰარი პოტერს ყველასათვის შეუმჩნევლად სამი ჯადოქრის ტურნირის ყველა ტურს გაატარებდა; მსახურისა, რომელსაც თვალი ეჭირებოდა ჰარი პოტერზე, უზრუნველყოფდა მის გამარჯვებას. თასს პორტაჟად გადააქცევდა და პირველივეს, ვინც მას შეეხებოდა, ჩემს ბატონთან გადაიყვანდა. მაგრამ ჯერ...

– ალასტორ მუდი გჭირდებოდათ, – ჩაურთო დამბლდორმა, ცისფერი თვალები უელავდა, მაგრამ ხმა ისევ მშვიდი ჰქონდა.

– ეს მე და გრძელკუდამ ერთად გავაკეთეთ. მრავალწვნიანი სასმელი წინასწარ მოვამზადეთ. მუდისთან გავემგზავრეთ. მუდიმ წინააღმდეგობა გაგვიწია. აურზაური ატყდა. დროულად მოვახერხეთ მისი დამორჩილება. საკუთარი ჯადოსნური სკივრის განყოფილებაში გამოვკეტეთ. რამდენიმე თმის ღერი გამოვაძვრეთ და სასმელში ჩავუმატეთ. სასმელი დავლიე და მუდის ორეულად ვიქეცი. მისი ფეხი და თვალი ავიღე. უკვე მზად ვიყავი არტურ უისლის დასახვედ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რად, როდესაც ის ხმაურით შეშფოთებული მაგლების დასაშოშმინებლად მოვარდა. მე ვაიძულე ნაგვის ურნები, მთელ ეზოში ეწრიალათ. არტურ უისლის ვუთხარი, ეზოში მძარცველების შემოსვლა გავიგონე-მეთქი, და ურნების აშვებაც მათ დავაბრალე. შემდეგ მუდის ტანსაცმელი, ბნელი ძალების დეტექტორები და მუდი ჩემოდანში ჩავალაგე და ჰოგვორტსში გავემგზავრე. მე იგი ცოცხალი დავტოვე, გამუდმებით იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ მყავდა. მინდოდა, მისი დაკითხვის საშუალება მქონოდა. მისი წარსულის შესახებ გამეგო, მისი ჩვევები ამეთვისებინა, რათა თავად დამბლდორისთვის ამეხვია თვალი. მისი თმაც მჭირდებოდა მრავალწვნიანი სასმელის დასამზადებლად. დანარჩენი ინგრედიენტები ადვილი საშოვნელი იყო. გუდაფშუტას გახეხილი კანი სარდაფიდან მოვიპარე. როდესაც შხამ-წამლების ოსტატმა თავის კაბინეტში წამასწრო, ვიცრუე, რომ მისი გაჩხრეკის ბრძანება მქონდა მიღებული.

– რა ბედი ეწია გრძელკუდას მას შემდეგ, რაც მუდის დაესხით თავს? – ჰკითხა დამბლდორმა.

– გრძელკუდა ჩემი ბატონის მოსავლელად დაბრუნდა, გარდა ამისა, მამაჩემზეც უნდა სჭეროდა თვალი.

– მაგრამ მამაშენი გაიქცა, – ჩაურთო დამბლდორმა.

– დიახ. ცოტა ხანში მანაც ჩემსავით დაიწყო ბრძოლა იმპერიუსის წყევლის წინააღმდეგ. პერიოდულად აცნობიერებდა კიდეც, რა ხდებოდა მის თავს. ჩემმა ბატონმა გადაწყვიტა, რომ მისი სახლიდან გარეთ გაშვება სახიფათო იყო. და აიძულა, სამინისტროში წერილები გაეგზავნა; აიძულა, ავადმყოფობა მოემიზეზებინა, მაგრამ გრძელკუდამ მასზე დაკისრებული მოვალეობა დაუდევრად შეასრულა. სიფხიზლე მოადუნა. მამაჩემი გაიქცა. ჩემმა ბატონმა სწორად გამოიცნო, რომ ჰოგვორტსისკენ მოემართებოდა. მამაჩემი დამბლდორს ყველაფერს შეატყობინებდა, ყველაფერს აღიარებდა. გამოუტყდებოდა, რომ აზკაბანიდან გამაპარა. ბატონმა ჩემთან ბუ აფრინა და მამაჩემის გაქცევა მაუწყა. მიბრძანა, რადაც უნდა დამჯდომოდა, შემეჩერებინა. მეც ვიცდიდი და ყურადღებით ვიყავი. იმ რუკას ვიყენებდი, რომელიც ჰარი პოტერს ჩამოვართვი. ამ რუკამ კინაღამ ყველაფერი დაღუპა.

– რუკა? – სწრაფად იკითხა დამბლდორმა, – რა რუკა?

– ჰოგვორტსის რუკა. პოტერმა დამინახა მასზე. ერთ ღამეს პოტერმა დამინახა, როცა სნეიპის კაბინეტიდან მრავალწვნიანი სასმელისთვის ინგრედიენტებს ვიპარავდი. მას მამაჩემი ვეგონე, რადგან ერთი სახელი გვქვია. იმ ღამეს პოტერს ეს რუკა გამოვართვი. ვუთხარი, რომ ბარტი კრაუჩს სძულს ბოროტი ჯადოქრები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პოტერმა დაიჯერა, რომ მამაჩემი სნეიპზე ნადირობდა. მთელი კვირა ველოდი მამაჩემის ჰოგვორტსში მოსვლას. ბოლოს, ერთ საღამოს, რუკამ მიჩვენა, რომ ის სკოლის შემოგარენში გამოჩნდა. უჩინმაჩინის მოსასხამი მოვისხი და მის დასახვედრად ჩავედი. ტყის პირს მოუყვებოდა. ამ დროს პოტერი და კრამი გამოჩნდნენ. შევიცადე. პოტერს ვერაფერს ვავნებდი, რადგან ის ჩემს ბატონს სჭირდებოდა. პოტერი დამბლდორის მოსაყვანად გაიქცა. კრამი გავთიშე. მამაჩემი კი მოვკალი.

– არაااااا! – ამოიკივლა ვინკიმ, – მასტერ ბარტი, მასტერ ბარტი, რას ამბობთ!

– თქვენ მამა მოკალით, – მშვიდი ხმით გაიმეორა დამბლდორმა, – ცხედარს რა უყავით?

– ტყეში შევიტანე. უჩინმაჩინის მოსასხამი გადავაფარე. რუკა თან მქონდა. მასზე დავინახე, როგორ შევარდა პოტერი ციხე-კოშკში. სნეიპს შეხვდა. ცოტა ხანში მათ დამბლდორი შეუერთდა. დავინახე, რომ პოტერმა სკოლიდან დამბლდორი წამოიყვანა. ტყიდან გავედი, მათ ზურგიდან დავუარე და დავეწიე. დამბლდორი მოვატყუე, სნეიპმა მითხრა, სად უნდა მოვსულიყავი-მეთქი. დამბლდორმა მამაჩემის მოძებნა დამავალა. მის ცხედართან დავბრუნდი, თან თვალს არ ვაშორებდი რუკას. როდესაც ყველა წავიდ-წამოვიდა, მამაჩემის ცხედრის ტრანსფიგურირება მოვახდინე: ძვლად გადავაქციე. უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეულმა ჰაგრიდის ქოხის წინ ახლად ამოთხრილ მიწაში ჩავმარხე.

სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ვინკის გაბმული ქვითინი ისმოდა.

ბოლოს დამბლდორმა თქვა:

– და ამ საღამოს...

– სადილის წინ ლაბირინთში ტურნირის თასის შეტანა ვითავე, პორტაჟად ვაქციე. ბატონის გეგმამ ხორცი შეისხა. ბატონმა ძალა აღიდგინა. მე კი მისგან ისეთი პატივი მელის, რაც არც ერთ ჯადოქარს სიზმრადაც არ მოელანდება, – ჩურჩულით დაასრულა ბარტი კრაუჩმა.

სახე ისევ გიჟურმა ღიმილმა გაუნათა და თავი მკერდზე ჩამოუვარდა. მის გვერდით კი ვინკი ზლუქუნებდა და ქვითინებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთექვსმეტე

გზები იყრება

დამბლდორი წამოდგა, ზიზღით დახედა ბარტი კრაუჩს და ჯადოსნური ჯოხი აღმართა. ჯოხის წვერიდან თოკები გამოსრიალდა, ბარტი კრაუჩს შემოეხვია და მაგრად გაკოჭა. დამბლდორი პროფესორ მაკგონაგელს მიუბრუნდა:

– მინერვა, ამას ხომ ვერ უდარაჯებდით, სანამ ჰარის მაღლა ავიყვან?

– რა თქმა უნდა, – მიუგო პროფესორმა მაკგონაგელმა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს, ის-ის იყო, ვიღაცის ღებინებას უყურა და ახლა თვითონაც ზიზღისაგან გულს აზიდებდა. მაგრამ ჯადოსნური ჯოხი გაბედულად ამოიღო და ბარტი კრაუჩს ისე დაუმიზნა, ხელი ოდნავადაც არ აჰკანკალებია.

– სევერუს, – ახლა სნეიპს მიუბრუნდა დამბლდორი, – გეთაყვა, მადამ პომფრის სთხოვეთ, აქ ჩამობრძანდეს. ალასტორ მუდი საავადმყოფო ფლიგელში გადაყვანას საჭიროებს. შემდეგ ეზოში გადით, კორნელიუს ფაჯი ნახეთ და სთხოვეთ, აქ მობრძანდეს. უეჭველად მოისურვებს კრაუჩის პირადად დაკითხვას. გადაეცით, რომ თუ დავჭირდი, ნახევარ საათში საავადმყოფო ფლიგელში ვიქნები.

სნეიპმა უხმოდ დაუკრა თავი და ოთახიდან მანტიის ფრიალით გავიდა.

– ჰარი, – თბილად მიმართა დამბლდორმა.

ჰარი წამოდგა და ისევ დაბარბაცდა. სანამ კრაუჩს უსმენდა, ფეხის ტკივილს საერთოდ ვერ გრძნობდა, ახლა კი ტკივილმა მთელი ძალით შეუტია. ისიც ახლაღა შეამჩნია, რომ მთელი ტანით კანკალებდა. დამბლდორმა მკლავში ხელი მოჰკიდა და ბნელ დერეფანში გაიყვანა.

– ჰარი, ჯერ ჩემს კაბინეტში ავიდეთ, იქ სირიუსი გვიცდის, – ხმადაბლა უთხრა, როცა დერეფანს გაუყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ თავი დაუქნია. გრძნობებისგან ისე იყო დაცლილი, ირგვლივ ყველაფერი არარეალური ეჩვენებოდა, მაგრამ ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. პირიქით, ეს ახარებდა კიდეც. არ უნდოდა იმაზე ფიქრი, რაც ტურნირის თასთან შეხების შემდეგ გადახდა თავს. არ უნდოდა, იძულებული გაეხადათ, ყველაფერი დაწვრილებით გაეხსენებინა, რაც ისედაც თვალწინ ედგა. მრისხანეთვალა მუდი თავის სკივრში... მიწაზე მოკრუნჩხული, ხელმოკვეთილი გრძელკუდა... ორთქლავარდნილი ქვაბიდან ამოსული ვოლდემორი... სედრიკი... მკვდარი... სედრიკი, რომელიც სთხოვს, მისი სხეული მშობლებს დაუბრუნოს...

– პროფესორო, ბატონი და ქალბატონი დიგორები სად არიან? – ჩუმად ჰკითხა ჰარიმ.

– პროფესორ სპრაუტთან, – მიუგო დამბლდორმა და პირველად აუთრთოლდა ხმა, – ის სედრიკის კლუბის თავმჯდომარეა და ჩვენზე კარგად იცნობდა მას.

ქვის ურჩხულთან მივიდნენ. დამბლდორმა პაროლი თქვა, ისიც განზე გახტა და ორივენი მოძრავი ხვეული კიბით მუხის კართან ავიდნენ. დამბლდორმა კარს ხელი ჰკრა.

კაბინეტში სირიუსი იდგა. ისეთივე გადაფითრებული და გაძვალტყავებული იყო, როგორც აზკაბანიდან გაქცევის შემდეგ. მან თვალის დახამხამებაში გადმოჭრა ოთახი.

– ჰარი, როგორა ხარ... ვიცოდი... ვიცოდი, რომ რაღაც ამდაგვარი... რა მოხდა?

სირიუსმა აკანკალებული ხელებით დასვა ჰარი საწერი მაგიდის წინ მდგარ სკამზე და უფრო დაჟინებით იკითხა:

– რა მოხდა?

დამბლდორი სირიუსს ყველაფერს მოუყვა, რაც ბარტი კრაუჩისგან შეიტყვეს. ჰარი ცალი ყურით უსმენდა. დაღლილობისგან მთელი სხეული სტკიოდა. მხოლოდ ერთი რამ სურდა, საათობით მჯდარიყო აქ და არავის შეეწუხებინა; რომ ჩასძინებოდა და აღარაფერზე ეფიქრა და აღარაფერი ეგრძნო. ფრთების ჩუმი შრიალი გაისმა. ფენიქსი ფოუკსი თავისი ქანდარიდან აფრინდა, კაბინეტი გამოიფრინა და ჰარის მუხლზე დაეშვა.

– გამარჯობა, ფოუკს, – ჩუმად მიესალმა ჰარი და ფენიქსს მშვენიერ მეწამულ-ოქროსფერ ბუმბულზე ხელი გადაუსვა. ფოუკსმა თვალები დაახამხამა და მშვიდად შეხედა. მისი თბილი სხეულის სიმძიმემ ჰარის სიმშვიდე მოჰგვარა.

დამბლდორი გაჩუმდა. მაგიდასთან იჯდა და ბიჭს სახეში მისჩერებოდა. ჰარი თვალს არიდებდა. ხვდებოდა, რომ დამბლდორი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაკითხვას უპირებდა; უნდოდა, ჰარის ყველაფერი დაწვრილებით გაეხსენებინა და ამით ხელახლა განეცადა ის, რაც იმ საღამოს გადაიტანა.

– ჰარი, უნდა ვიცოდე, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ლაბირინთში პორტაჟს მოჰკიდე ხელი, – უთხრა დამბლდორმა.

– დამბლდორ, არ შეიძლება, ხვალ დილისთვის გადავდოთ? – ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა სირიუსმა და ჰარის მხარზე ხელი დაადო, – აცალე, ცოტა წაიძინოს. ცოტა დაისვენოს.

ჰარი თავისი ნათლიის მიმართ უსაზღვრო მადლიერებით აღივსო, მაგრამ დამბლდორმა სირიუსის სიტყვებს ყური არ ათხოვა. იგი ჰარისკენ დაიხარა. ჰარიმ ძალზე უხალისოდ ასწია თავი და ცისფერ თვალებში შეხედა. დამბლდორმა ალერსით დაუყვავა:

– დარწმუნებული რომ ვიყო, გამოძინება გიშველიდა, დაგაძინებდი და ყველაფრის გახსენებასაც გადავდებდი, მაგრამ ვიცი, რომ ეს ვერ გიშველის. ტკივილს თუ დროებით გაიყუჩებ, მორიგი შემოტევის დროს ის კიდევ უფრო აუტანელი გახდება. შენ იმაზე მეტი სიმამაცე გამოიჩინე, ვიდრე შენგან მოველოდი. ახლა გთხოვ, ამ ერთხელაც დაგვიმტკიცო ვაჟკაცობა. გთხოვ, მოგვიყვე, რა მოხდა.

ფენიქსმა ნაზი, ათრთოლებული ბგერა გამოსცა. ეს ბგერა ჰაერში დაირხა და ჰარის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ყელიდან მუცელში ცხელი სითხის წვეთი ჩაუსრიალდა, გაათბო და სიმხნევე შემატა. ამიტომ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მოყოლას შეუდგა. თხრობისას ნანახი და განცდილი თვალწინ უტრიალებდა. ხედავდა იმ ელექსირის ნაპერწკლებიან ზედაპირს, რომელმაც ვოლდემორი აღადგინა; ხედავდა საფლავებს შორის აპარაციით გაჩენილ „სიკვდილის მხვრელებს“; ხედავდა სედრიკის უსულო სხეულს თასის გვერდით, მიწაზე.

ერთი-ორჯერ სირიუსმა თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დამბლდორმა ხელის აწევით გააჩუმა. ჰარის გაუხარდა, რადგან დაწყება გაუჭირდა, თორემ ამბის გაგრძელება არ იყო ისეთი ძნელი. შვებასაც კი გრძნობდა. ეჩვენებოდა, რომ შხამისაგან იცლებოდა. საუბრის გაგრძელება ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის ფასად უჯდებოდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ თხრობის დასრულებისთანავე თავს ბევრად უკეთ იგრძნობდა.

როდესაც ჰარიმ აღწერა, როგორ გაუჭრა ხანჯლით გრძელკუდამ მკლავზე კანი, სირიუსს აღშფოთებული შეძახილი აღმოხდა, დამბლდორი კი ისე სწრაფად წამოდგა, რომ ჰარი შეკრთა. დამბლდორმა მაგიდას შემოუარა და ჰარის სთხოვა, მკლავი ეჩვენებინა. ბიჭმა ჭრილობა უჩვენა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მან თქვა, რომ ჩემი სისხლი უფრო გააძლიერებდა, ვიდრე სხვისი, – უთხრა დამბლდორს, – მან თქვა, რომ დაცვა, რომელიც... რომელიც დედაჩემმა ჩემში დატოვა, მასშიც გადავიდოდა. და მართალიც იყო... ის სახეზე შემეხო, მაგრამ არაფერი არ დამართნია.

სულ რაღაც ერთი წამით ჰარის მოეჩვენა, რომ დამბლდორს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მეორე წამს დარწმუნდა, რომ შეცდა, რადგან როდესაც დირექტორი თავის ადგილზე დაჯდა, ისეთივე მხცოვანი და დაქანცული იერი ჰქონდა, როგორც ყოველთვის.

– გასაგებია, – შენიშნა მან, – ვოლდემორმა გადალახა ეს ბარიერი. ჰარი, განაგრძე, თუ შეიძლება.

ჰარიმ განაგრძო. აღწერა, როგორ ამოვიდა ქვაბიდან ვოლდემორი. გაიმეორა ყველაფერი, რაც დაამახსოვრდა „სიკვდილის მხვრელებისადმი“ ვოლდემორის მიმართვიდან. შემდეგ მოყვა, როგორ შეხსნა თოკები ვოლდემორმა; როგორ დაუბრუნა ჯადოსნური ჯოხი და როგორ მოემზადა ორთაბრძოლისთვის. მაგრამ იმ ადგილს რომ მიაღწია, როცა მისი და ვოლდემორის ჯოხები ოქროსფერი სინათლის სხივმა დააკავშირა, სიტყვა ყელში გაეჩხირა. ლაპარაკის გაგრძელება სცადა, მაგრამ მის გონებას ნიაღვარივით მოაწყდა მოგონებები იმის შესახებ, თუ რა ამოვიდა ვოლდემორის ჯადოსნური ჯოხიდან. კვლავ დაუდგა თვალწინ სედრიკი, მოხუცი კაცი, ბერტა ჯორკინსი... დედა... მამა...

მისდა გასახარად, სიჩუმე სირიუსმა დაარღვია.

– ჯოხები შეერთდა? – ჰარის თვალი მოსწყვიტა და დამბლდორს გადახედა, – კი მაგრამ, რატომ?

ჰარიმაც დამბლდორს შეხედა: ის ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. მერე ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა:

– პრიორი ინკანტატემ, – მერე ჰარის თვალი თვალში გაუყარა და მათ შორის თითქოს ურთიერთგაგების უხილავი ხიდი გაიდო.

– შელოცვის უკუქცევითი ეფექტი? – ცოცხლად იკითხა სირიუსმა.

– სწორედაც, – კვერი დაუკრა დამბლდორმა, – ჰარისა და ვოლდემორის ჯადოსნურ ჯოხებში ერთი და იგივე გულია. თითოეული მათგანი შეიცავს ერთი და იმავე ფენიქსის კუდის ბუმბულს. სახელდობრ, აი, ამ ფენიქსისა, – დასძინა მან და ჰარის მუხლზე მშვიდად ჩამოსკუპებულ მეწამულ-ოქროსფერ ფრინველზე მიუთითა.

– ჩემს ჯოხში ფოუკსის ბუმბულია? – განცვიფრდა ჰარი.

– დიახ, – დაუდასტურა დამბლდორმა, – ოთხი წლის წინ, როგორც კი მაღაზიიდან გახვედი, მისტერ ოლივანდერმა მაშინვე მომწერა, რომ მეორე ჯოხი შენ იყიდე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და რა მოხდება, თუ ჯოხი ტყუპისცალს შეხვდება? – იკითხა სირიუსმა.

– ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ხეირიანად ვერ იბრძოლებენ, – განმარტა დამბლდორმა, – მაგრამ თუ მფლობელები ჯადოსნურ ჯოხებს მაინც აიძულებენ ბრძოლას... უაღრესად იშვიათ ეფექტთან გვექნება საქმე. კერძოდ, ერთ-ერთი ჯოხი მეორეს აიძულებს, გადმოანთხიოს ადრე ჩადენილი შელოცვები, პირუკუ თანმიმდევრობით, ჯერ – ყველაზე ბოლო და შემდეგ – მისი წინამორბედნი...

დამბლდორმა კითხვით აღსავსე მზერა მიაპყრო ჰარის. ჰარიმ თავი დაუქნია.

– რაც იმას ნიშნავს, რომ, – ჰარის სახისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე წარმოთქვა დამბლდორმა, – სედრიკის გამოსახულების მსგავსი რაღაცა უნდა გამოჩენილიყო.

ჰარიმ ისევ დაუქნია თავი.

– დიგორი გაცოცხლდა? – მკვირცხლად იკითხა სირიუსმა.

– არც ერთ შელოცვას არ ძალუძს მკვდრის გაცოცხლება, – მძიმედ ამოიოხრა დამბლდორმა, – რაც უნდა მომხდარიყო, ეს მხოლოდ და მხოლოდ მომხდარის უკუსვლითი ექო იქნებოდა. ჯადოსნური ჯოხიდან ცოცხალი სედრიკის აჩრდილი ამოვიდოდა... ხომ მართალი ვარ, ჰარი?

– ის დამელაპარაკა, – თქვა ჰარიმ და უცებ ისევ აკანკალდა, – მო... მოჩვენება სედრიკი თუ, რა ვიცი, რაც იყო, დამელაპარაკა.

– ექო, – გაიმეორა დამბლდორმა, – რომელმაც სედრიკის გარეგნობა და ხასიათი შეინარჩუნა. თუ არ ვცდები, სხვა ასეთი ფიგურებიც უნდა გამოჩენილიყო – ვოლდემორის ჯადოსნური ჯოხის უწინდელი მსხვერპლნი.

– მოხუცი კაცი, – ჰარის ისევ მოაწვა ყელში ბურთი, – ბერტა ჯორკინსი და...

– შენი მშობლები? – წყნარად ჰკითხა დამბლდორმა.

– დიახ.

სირიუსმა ჰარის ისე მაგრად მოუჭირა მხარზე ხელი, რომ ბიჭს ეტკინა.

– ჯოხის მიერ ჩადენილი უკანასკნელი მკვლელობები, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – საპირისპირო თანმიმდევრობით. რასაკვირველია, უფრო მეტი გამოჩნდებოდა, კავშირი რომ შეგენარჩუნებინა. ძალიან კარგი, ჰარი. ის ექოები, ის აჩრდილები... როგორ მოიქცნენ?

ჰარიმ გაიხსენა, როგორ დაიარებოდნენ ჯადოსნური ჯოხიდან ამოსული ფიგურები ოქროსფერი ქსელის კედლების გასწვრივ;

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ დაეტყო ვოლდემორს მათდამი შიში; როგორ დაარიგა მამის ჩრდილმა, რა უნდა გაეკეთებინა; როგორ მიმართა სედრიკმა უკანასკნელი თხოვნით.

და ჰარი მიხვდა, რომ ველარ გააგრძელებდა მოყოლას. სირიუსისკენ შებრუნდა და დაინახა, რომ მას სახე ხელებში ჰქონდა ჩარგული.

ჰარიმ ახლაღა შეამჩნია, რომ ფოუკსი მუხლზე აღარ ეჯდა. ფენიქსი იატაკზე დაფრენილიყო, მშვენიერი თავი ბიჭს დაშავებულ ფეხზე შეახო. მარგალიტივით ცრემლებს ობობას მიერ მიყენებულ ჭრილობაზე აფრქვევდა. ჰარის ტკივილი გაუქრა, კანი გაუმთელდა. ფეხი მოურჩა.

– ისევ ვიმეორებ, – დაიწყო დამბლდორმა, როცა ფენიქსი ჰაერში აფრინდა და თავის ქანდარაზე შემოჯდა, – ჰარი, შენ დღეს იმაზე მეტი სიმამაცე გამოიჩინე, ვიდრე შენგან ველოდი. შენ არანაკლები სიმამაცე გამოიჩინე, ვიდრე მათ, ვინც ვოლდემორის ძლიერების დროს მასთან ბრძოლაში დაიღუპა. შენ ზრდასრული ჯადოქრის ტვირთი გერგო და შესძელი მისი ღირსეულად ტარება. და აი, ამ წუთებშიც ყველაფერი მოგვეცი, რასაც შენგან ველოდით. ახლა კი ჩემთან ერთად საავადმყოფო ფლიგელში წამოხვალ. არ მინდა, ამაღამ საძინებელში დაბრუნდე. ძილის წამალი და ცოტა სიმშვიდე გჭირდება... სირიუს, მასთან დარჩენა ხომ არ გსურთ?

სირიუსმა თავი დაუქნია, წამოდგა, ისევ ვეება შავ ძაღლად გადაიქცა და ჰარისა და დამბლდორს კაბინეტიდან გაჰყვა. სამივენი კიბეზე ჩავიდნენ და საავადმყოფო ფლიგელისკენ გაემართნენ.

დამბლდორმა კარი ხელის კვრით შეაღო თუ არა, ჰარიმ დაინახა, რომ შეწუხებული მადამ პომფრის ირგვლივ ქალბატონ უისლის, ბილს, რონსა და ჰერმიონს მოეყარათ თავი და დაჟინებით მოითხოვდნენ, მათთვის ეპასუხა, სად იყო ჰარი და რა მოუვიდა.

ჰარის, დამბლდორისა და შავი ძაღლის გამოჩენისთანავე ყველანი ელვის სისწრაფით შემოტრიალდნენ. ქალბატონმა უისლიმ ხმადაბლა შეჰკივლა:

– ჰარი! ო, ჰარი!

და ბიჭისკენ გამოექანა, მაგრამ მათ შორის დამბლდორი ჩადგა.

– მოლი, – შეაჩერა მან, – გეთაყვა, ერთი წუთით მომისმინე. ჰარიმ ამ საღამოს საშინელი სატანჯველი გამოიარა. ეს-ესაა, ჩემთან საუბარში მან ხელმეორედ განიცადა ყველაფერი. ახლა მხოლოდ ძილი, სიმშვიდე და მოსვენება სჭირდება. თუ ჰარი მოისურვებს, რომ მასთან დარჩეთ, – დასძინა მან და რონს, ჰერმიონსა და ბილს გადახედა, – შეგიძლიათ, დარჩეთ. მაგრამ გთხოვთ, კითხვებისგან თავი შეიკავოთ, სანამ მათ საპასუხოდ მზად არ იქნება, მით უმეტეს – დღეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცარცივით გაფითრებულმა ქალბატონმა უისლიმ თავი დაუქნია. რონს, ჰერმიონსა და ბილს ისე დაუტატანა, თითქოს იქაურობას ხმაურით აყრუებდნენ:

– გაიგეთ? სიმშვიდე სჭირდება!

– დირექტორო, – მადამ პომფრი უზარმაზარ შავ ძაღლს თვალს არ აშორებდა, – შეიძლება, გკითხოთ, რა...

– ეს ძაღლი დროებით ჰარისთან დარჩება, – ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადა დამბლდორმა, – გარწმუნებთ, რომ ძალიან კარგად არის გაწვრთნილი. ჰარი... დაგელოდები, სანამ ლოგინში ჩაწვები.

ჰარიმ დამბლდორის მიმართ ენით აუწერელი მადლიერება იგრძნო იმისათვის, რომ ზედმეტი კითხვები აარიდა. განა არ უნდოდა დანარჩენების იქ ყოფნა, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ ყველაფერი ისევ თავიდან უნდა მოეყოლა.

– ფაჯს დაველაპარაკები და ახლავე დავბრუნდები, ჰარი, – დაუბარა დამბლდორმა, – მინდა, ხვალაც აქ დარჩე, სანამ სკოლის წინაშე სიტყვით არ გამოვალ.

დამბლდორი გავიდა.

როდესაც მადამ პომფრიმ შორიახლოს მდებარე საწოლისკენ წაიყვანა, ჰარიმ ოთახის მეორე ბოლოში ლოგინზე გაუნძრევლად მწოლიარე ნამდვილ მუდის მოჰკრა თვალი. მისი ხის ფეხი და ჯადოსნური თვალი ტუმბოზე ეწყო.

– როგორ არის? – იკითხა ჰარიმ.

– გამოკეთდება, – დაამშვიდა მადამ პომფრიმ, პიჟამა მისცა და საწოლის ირგვლივ ფარდები ჩამოაფარა. ჰარიმ მანტია გაიხადა, პიჟამა ჩაიცვა და ლოგინში ჩაწვა. ფარდა მალევე გადაიწია და რონი, ჰერმიონი, ბილი და შავი ძაღლი გამოჩნდნენ. მეგობრები საწოლის ორივე მხარეს სკამებზე ჩამოსხდნენ. რონი და ჰერმიონი მორიდებით უცქეროდნენ, თითქოს მისი ეშინიათო.

– მე კარგად ვარ, – თქვა ჰარიმ, – უბრალოდ, დავიღალე.

ქალბატონ უისლის თვალები ცრემლებით აევსო და საბანი გაუსწორა, თუმცა ეს სულაც არ იყო საჭირო.

მადამ პომფრი, რომელიც ცოტა ხნის წინ თავის კაბინეტში გაფუსფუსდა, თასითა და მეწამული ნაყენით სავსე პატარა ბოთლით დაბრუნდა.

– ეს სულ უნდა დალიო, ჰარი, უსიზმრო ძილის წამალია.

ჰარიმ ფიალა გამოართვა და რამდენიმე ყლუპი მოსვა თუ არა, მაშინვე თვლემა მოერია. გარშემო ყველაფერი ნისლში ჩაიძირა, ფარდებს მიღმა საავადმყოფო ფლიგელის ფარნები მეგობრულად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უპაჭუნებდნენ თვალებს. მისი სხეული თითქოს უფრო ღრმად ჩაიძირა ბუმბულის ლეიბში. სანამ წამალს ბოლომდე გამოცლიდა, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ძილმა წაართვა თავი.

* * *

ჰარიმ გაიღვიძა, მაგრამ თვალის გახელა არც უცდია. უნდოდა, ისევ სძინებოდა. ოთახი კვლავ სუსტად იყო განათებული. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჯერ კიდევ შუაღამე იყო. ესე იგი, დიდხანს არ უნდა სძინებოდა. უცებ იქვე, ახლოს ჩურჩული გაისმა:

– ასე ხომ გააღვიძებენ, თუ ხმა არ ჩაიგდეს!

– რას გაჰყვირიან! ისეთი რა უნდა მომხდარიყო?

ჰარიმ თვალები გაახილა. ვიღაცას მისთვის სათვალე მოეხსნა და გარკვევით ვერაფერს ხედავდა. იქვე ქალბატონ უისლისა და ბილის ბუნდოვანი ფიგურები გაარჩია. ქალბატონი უისლი ფეხზე იდგა.

– ეს ფაჯის ხმაა, – ჩურჩულით თქვა ქალბატონმა უისლიმ, – ის კი – მინერვა მაკგონაგელისა, არა? რაზე ჩხუბობენ?

ახლა ჰარიმაც გაიგონა: ვიღაცეები ყვიროდნენ და საავადმყოფო ფლიგელისკენ მორბოდნენ.

– დასანანია, მინერვა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად... – ხმამაღლა ამბობდა ფაჯი.

– არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოგეყვანათ ციხე-კოშკში! – ყვიროდა პროფესორი მაკგონაგელი, – ამას დამბლდორი რომ გაიგებს...

საავადმყოფოს კარი ვიღაცამ შემოგლიჯა. ჰარი წამოჯდა და სათვალე მოირგო. მისი გაღვიძება იქ მყოფთაგან არავის შეუმჩნევია, რადგან ყველანი კარისკენ იყურებოდნენ.

პალატაში ფაჯი შემოვარდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვნენ პროფესორი მაკგონაგელი და პროფესორი სნეიპი.

– დამბლდორი სად არის? – ჰკითხა ფაჯმა ქალბატონ უისლის.

– აქ არ არის, – გაბრაზებით მიუგო ქალბატონმა უისლიმ, – ეს საავადმყოფო ფლიგელია, მინისტრო, და როგორ ფიქრობთ, ხომ არ ჯობია...

ამ დროს კარი კვლავ გაიღო და პალატაში ამჯერად დამბლდორი შემოვიდა.

– რა მოხდა? – იკითხა მკვახედ, ჯერ ფაჯს შეხედა, შემდეგ – პროფესორ მაკგონაგელს, – ავადმყოფებს რატომ აწუხებთ? მინერვა, თქვენი გამკვირვებია... ხომ გთხოვეთ, ბარტი კრაუჩისთვის გედარაჯათ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საჭირო აღარაა, დამბლდორ! – დაიკივლა ქალმა, – ამაზე უკვე მინისტრმა იზრუნა.

ჰარის ჯერ არ ენახა, პროფესორი მაკგონაგელი ასე გამოსულიყოს წონასწორობიდან. სახე სიბრაზისგან აფორაჯებოდა, ხელები მუშტებად შეეკრა და მრისხანებისგან კანკალებდა.

– როდესაც ბატონ ფაჯს გადავეცით, რომ დღევანდელ მოვლენებზე პასუხისმგებელი „სიკვდილის მხვრელი" დავიჭირეთ, – ხმადაბლა ჩაერია სნეიპი, – როგორც ჩანს, მან ჩათვალა, რომ ეჭვქვეშ მისი პირადი უსაფრთხოება იდგა, დაცვისთვის დემენტორის გამოძახება მოითხოვა და მასთან ერთად აბრძანდა კაბინეტში, სადაც ბარტი კრაუჩი...

– მე გავაფრთხილე, რომ თქვენ წინააღმდეგი იქნებოდით, დამბლდორ, – ჩაერია გაალმასებული მაკგონაგელი, – მე ვუთხარი, რომ თქვენ არ მისცემდით დემენტორს უფლებას, ციხე-კოშკში ფეხი შემოედგა, მაგრამ...

– ჩემო ძვირფასო! – დაიღრიალა ფაჯმა. ჰარი მასაც პირველად ხედავდა ასე განრისხებულს, – ეს ჩემი, როგორც მაგიის მინისტრის, გადასაწყვეტია, ვიახლებ თუ არა დაცვას პოტენციურად საშიში ეჭვმიტანილის დაკითხვისას...

მაგრამ პროფესორ მაკგონაგელის კივილმა ფაჯის ხმა გადაფარა:

– როგორც კი ის... ის არსება შემოვიდა ოთახში, – პროფესორი მაკგონაგელი მთელი ტანით კანკალებდა, – კრაუჩს დააცხრა და... და...

ჰარის მუცელში სიცივემ დაუარა, სანამ პროფესორი მაკგონაგელი მომხდარის აღსაწერად შესაფერის სიტყვებს ეძებდა, ჰარისთვის ყველაფერი ნათელი გახდა: ჰარი მიხვდა, რომ დემენტორმა საბედისწერო კოცნა შეასრულა. ბარტი კრაუჩს პირიდან სული გამოსწოვა და ახლა ის მკვდარზე უარესი იყო...

– ჯანდაბამდე გზა ჰქონია! – აფეთქდა ფაჯი, – როგორც ჩანს, მის სინდისზე რამდენიმე მკვლელობაა.

– მაგრამ ახლა ჩვენებას ველარ ჩამოვართმევთ, კორნელიუს, – დამბლდორი ფაჯს ისე დაკვირვებით უცქეროდა, თითქოს პირველად ხედავსო, – ახლა ჩვენებას ველარ მოგვცემს იმის თაობაზე, თუ რატომ დახოცა ეს ადამიანები.

– რატომ დახოცა? მაგას რა კითხვა უნდა? – აღშფოთდა ფაჯი, – ვიღაც გადარეული ყოფილა! იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მინერვამ და სევერუსმა მიამბეს, მას ეჩვენებოდა, რომ ამ ყველაფერს, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მითითებით სჩადიოდა.

– ლორდი ვოლდემორი მას მართლა აძლევდა მითითებებს, კორ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნელიუს, – უპასუხა დამბლდორმა, – ამ ხალხის სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ გვერდითი მოვლენაა ვოლდემორის სრული აღზევების გეგმისა. გეგმა განხორციელდა. ვოლდემორმა სხეული დაიბრუნა.

ფაჯს აშკარად შეეტყო, რომ ყურებს არ უჯერებდა. გაოგნებულმა აახამხამა თვალები და დამბლდორს ისე მიაჩერდა, თითქოს ესესაა, სახეში გაულაწუნესო. როდის-როდის ამოილულლულა:

– ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა? ეს აბსურდია. კარგი ერთი, დამბლდორ...

– ეჭვი არ მეპარება, მინერვა და სევერუსი აუცილებლად მოგახსენებდნენ, რომ ჩვენ ბარტი კრაუჩის აღსარება მოვისმინეთ, – განაგრძო დამბლდორმა, – ვერიტაზერუმის ზემოქმედებით გვიამბო, როგორ გააპარეს აზკაბანიდან; შემდეგ როგორ შეიტყო მისი გადარჩენის ამბავი ვოლდემორმა ბერტა ჯორკინსისგან; როგორ გაათავისუფლა იგი მამისაგან და ჰარის ხელში ჩასაგდებად გამოიყენა. მერწმუნეთ, გეგმამ გაჭრა. კრაუჩის დახმარებით ვოლდემორი დაბრუნდა.

– მომისმინეთ, დამბლდორ, – წამოიწყო ფაჯმა და ჰარიმ გაოცებით შეამჩნია, რომ მინისტრი იღიმებოდა, – ნუთუ თქვენ... თქვენ ეს სერიოზულად გჯერათ? ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა? კარგი რა... კარგი რა... რასაკვირველია, კრაუჩს, შეიძლება, სწამდა კიდეც, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, იმისი ბრძანებით მოქმედებდა, მაგრამ, დამბლდორ, იმ შეშლილის ნათქვამს როგორ იჯერებთ!..

– დღეს საღამოს, როდესაც ჰარიმ ტურნირის თასს ხელი შეახო, თასმა პირდაპირ ლორდ ვოლდემორთან გადაიყვანა, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – ჰარი მოწმე გახდა ლორდ ვოლდემორის აღდგომისა. ყველაფერს აგიხსნით, თუ ჩემს კაბინეტში ინებებთ ამობრძანებას.

დამბლდორმა ჰარისკენ გაიხედა და შეამჩნია, რომ ეღვიძა, მაგრამ თავი გააქნია და თქვა:

– სამწუხაროდ, დღეს ჰარის დაკითხვის უფლებას ვერ მოგცემთ.

ფაჯს სახეზე უცნაური ღიმილი შერჩა. მანაც გაიხედა ჰარისკენ და შემდეგ ისევ დამბლდორს მიუბრუნდა:

– და თქვენ... თქვენ მზად ხართ, ჰარის სიტყვაზე ენდოთ, არა, დამბლდორ?

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც სირიუსის ღრენამ დაარღვია. კისერზე ბალანი აშლოდა და კბილებდაკრეჭილი უღრენდა ფაჯს.

– რასაკვირველია, მე მჯერა ჰარისი, – დამბლდორს თვალები უელავდა, – მე მოვისმინე კრაუჩის აღსარება და მოვისმინე ჰარის ნაამბობი იმის შესახებ, თუ რა გადახდა თავს მას შემდეგ, რაც ტურ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნირის თასს შეეხო. ეს ორი ამბავი ერთმანეთს ავსებს და ხსნის ყველაფერს, რაც გასულ ზაფხულს ბერტა ჯორკინსის გაუჩინარების შემდეგ მოხდა.

ფაჯს სახეზე ისევ იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა. სანამ დამბლდორს გასცემდა პასუხს, ერთხელაც გადახედა ჰარის:

– თქვენ მზად ხართ, ირწმუნოთ, დამთხვეული მკვლელისა და პატარა ბიჭის ნათქვამი, თითქოს ვოლდემორი დაბრუნდა?! იმ ბიჭისა, რომელიც...

ფაჯმა ისევ გახედა ჰარის და ჰარი უცებ მიხვდა.

– თქვენ რიტა სკიტერის სტატიები გაქვთ წაკითხული, ბატონო ფაჯ, – თქვა მან წყნარად.

რონი, ჰერმიონი, ქალბატონი უისლი და ბილი შეხტნენ. მათ არ ეგონათ, რომ ჰარის ეღვიძა.

ფაჯი ოდნავ წამოწითლდა, მაგრამ მაინც გამომწვევად და ჯიუტად შეხედა დამბლდორს.

– დავუშვათ, ასეა! დავუშვათ, გამოვარკვიე, რომ ამ ბიჭის შესახებ გარკვეულ ფაქტებს მალავდით? პარსულად მოლაპარაკეა, არა? და ყველგან ეს საეჭვო გულის წასვლები!

– თუ სწორად მიგიხვდით, თქვენ იმ ტკივილს გულისხმობთ, რომელსაც ჰარი ბოლო დროს ნაიარევზე გრძნობდა ხოლმე, არა? – ცივად ჰკითხა დამბლდორმა.

– მაშ, აღიარებთ, რომ ტკივილი აწუხებს? – სწრაფად აიტაცა ფაჯმა, – თავის ტკივილი? კოშმარული სიზმრები? შესაძლოა, ჰალუცინაციებიც?

– ყური დამიგდეთ, კორნელიუს, – დამბლდორმა ფაჯისკენ ნაბიჯი გადადგა და თითქოს მისგან კვლავ გამოსხივდა ის უშრეტი ძალა, რომელიც ჰარიმ ახალგაზრდა კრაუჩის გათიშვის დროს იგრძნო, – ჰარის ისეთივე ჯანსაღი ფსიქიკა აქვს, როგორიც მე და თქვენ... იმ შუბლის ნაიარევს ტვინი არ გამოულაყებია. ჩემი აზრით, ნაიარევი მას მაშინ სტკივა, როცა ლორდი ვოლდემორი ახლომახლოსაა ან როცა მკვლელობის ჩადენას აპირებს.

ფაჯმა დამბლდორისგან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მაგრამ ჯიუტი გამომეტყველება არ შესცვლია.

– უკაცრავად, დამბლდორ, მაგრამ აქამდე არ გამიგია, რომ წყევლის დანატოვარი ნაიარევი განგაშის ნიშანს იძლეოდეს.

– მომისმინეთ, ჩემი თვალით დავინახე, როგორ დაბრუნდა ვოლდემორი! – დაიყვირა ჰარიმ და კვლავ სცადა ლოგინიდან ადგომა, მაგრამ ქალბატონმა უისლიმ შეაჩერა, – მე დავინახე „სიკვდილის მხვრელები“! შემიძლია, დაგისახელოთ ისინი! ლუციუს მალფოი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალფოის სახელის გაგონებაზე სნეიპი შეტოკდა, ჰარიმ მისკენ გაიხედა, მაგრამ სნეიპმა მზერა სასწრაფოდ ფაჯზე გადაიტანა.

– მალფოი გაამართლეს! – შესძახა აშკარად შეურაცხყოფილმა ფაჯმა, – ძველი, ტრადიციული ოჯახია... დიდძალ თანხებს ხარჯავენ საქველმოქმედო მიზნებისთვის...

– მაკნერი! – გააგრძელა ჰარიმ.

– ისიც გამართლებულია! ახლა სამინისტროში მუშაობს.

– ეივერი... ნოტი... კრაბი... გოილი...

– შენ მხოლოდ და მხოლოდ იმათ გვარებს იმეორებ, ვისაც ცამეტი წლის წინ „სიკვდილის მხვრელობის" ბრალდება მოუხსნეს, – გაბრაზდა ფაჯი, – ამ გვარების ამოკითხვა ძველ სასამართლო ოქმებში შეგეძლო. ღვთის გულისთვის, დამბლდორ, ეს ბიჭი გასული წლის ბოლოსაც ზღაპრებს გვიყვებოდა. მისი ზღაპრები სულ უფრო და უფრო დაუჯერებელი ხდება. თქვენ კი ძველებურად ეგებით მის ანკესზე. ბოლოს და ბოლოს, ამ ბიჭს გველებთან ლაპარაკი შეუძლია, დამბლდორ, და მიუხედავად ამისა, მაინც ენდობით მას.

– ბრიყვი ხართ! – დაუყვირა პროფესორმა მაკგონაგელმა, – სედრიკ დიგორი! ბატონი კრაუჩი! მაშ, თქვენი აზრით, ისინი ვილაც შეშლილის შემთხვევითი მსხვერპლნი არიან?

– პირადად მე ამის საწინააღმდეგო ვერავითარ სამხილს ვერ ვხედავ! – დაიბღავლა მაკგონაგელზე არანაკლებ განრისხებულმა ფაჯმა და სახე წამოუჭარხლდა, – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველას მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი პანიკის ატეხა, რაც თავდაყირა დააყენებს ყველაფერს, რასაც ცამეტი წლის განმავლობაში ვაშენებდით.

ჰარი ყურებს არ უჯერებდა. ფაჯი უწინ ყოველთვის გულკეთილ ადამიანად მიაჩნდა, ცოტათი მედიდურ, ცოტათი გაბღენძილ, მაგრამ, საერთო ჯამში, სასიამოვნო პიროვნებად. ახლა კი მის წინაშე იდგა ტანდაბალი გაანჩხლებული ჯადოქარი, რომელსაც კატეგორიულად არ სურდა დაეჯერებინა, რომ შეიძლებოდა მყუდრო და მოწესრიგებული სამყარო დარღვეულიყო; არ სურდა დაეშვა, რომ ვოლდემორი ნამდვილად აღდგა.

– ვოლდემორი დაბრუნდა, – გაუმეორა დამბლდორმა. – თუ ამ ფაქტს ახლავე გააცნობიერებთ, ფაჯ, და საჭირო ზომებს მიიღებთ, შეიძლება, ჯერ კიდევ შევძლოთ სიტუაციის გამოსწორება. უპირველეს ყოვლისა, აზკაბანს დემენტორები უნდა მოაშოროთ...

– აბსურდია! – შესძახა ფაჯმა, – დემენტორები ციხეს მოვაშორო? ამის თაობაზე კრინტიც რომ დავძრა, მაშინვე დავკარგავ თანამდებობას! ჯადოქრების ნახევარს ღამით მხოლოდ იმიტომ სძინავს მშვიდად, რომ იცის – აზკაბანს დემენტორები დარაჯობენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამაგიეროდ, ჯადოქრების მეორე ნახევარს ასე არხეინად არ სძინავს, კორნელიუს, რადგან იცის, რომ ლორდ ვოლდემორის ყველაზე საშიშ მომხრეებს ის არსებები მიუჩინე მეთვალყურედ, რომლებიც პირველივე დაძახებაზე დაუფიქრებლად გადავლენ მის მხარეზე, – შეეპასუხა დამბლდორი, – დემენტორები თქვენი ერთგულნი არ დარჩებიან, ფაჯ! ვოლდემორს შეუძლია, მათ ძალასა და სიამოვნებას უფრო მეტი გასაქანი შესთავაზოს, ვიდრე – თქვენ. თუ დემენტორები მას ზურგს გაუმაგრებენ და ძველი მხარდამჭერებიც დაუბრუნდებიან, თქვენ უკიდურესად გაგიჭირდებათ, ხელი შეუშალოთ იმავე ძალაუფლების მოპოვებაში, რაც ცამეტი წლის წინ გააჩნდა.

ფაჯი იდგა, გააღებდა პირს და მომუწავდა; გააღებდა და მომუწავდა, თითქოს აღშფოთების გამოსახატავად სიტყვებს ვერ პოულობდა.

– მეორე, რაც დაუყოვნებლივ უნდა გააკეთოთ, ის არის, რომ, – კატეგორიული ტონით განაგრძო დამბლდორმა, – გოლიათებთან ელჩები გაგზავნოთ.

– ელჩები გოლიათებთან? – როგორც იქნა, ენა დაიმორჩილა ფაჯმა, – ეს რაღა სიგიჟეა!

– და მათ მეგობრობის ხელი გაუწოდოთ, ვიდრე ძალიან გვიანი არ არის, – განაგრძო დამბლდორმა, – თორემ ვოლდემორი უწინდელივით დაარწმუნებს გოლიათებს, რომ ჯადოქართა შორის მხოლოდ ის დაუბრუნებს მათ უფლებებსა და თავისუფლებას!

– თქვენ, თქვენ ამას სერიოზულად მეუბნებით? – აღმოხდა სუნთქვაშეკრულ ფაჯს, თავი გადააქნია და დამბლდორისგან კიდევ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან, – ჯადოქრულმა საზოგადოებამ თუ იყნოსა, რომ გოლიათებთან დავიჭირე საქმე... ხალხს ისინი სძულს, დამბლდორ... ეს ჩემი კარიერის დასასრული იქნება...

– თქვენ თქვენი პოსტისადმი სიყვარულით ხართ დაბრმავებული, კორნელიუს! – ხმას აუწია დამბლდორმა და თვალები წამოენთო. მის ირგვლივ ენერგიის ტალღა უფრო საგრძნობი გახდა, – მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ და ყოველთვის ანიჭებდით, ეგრეთ წოდებულ, სისხლის სიწმინდეს! თქვენ არ გესმით, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რად იბადება ადამიანი, მთავარია, რა გამოდის მისგან. თქვენმა დემენტორმა ახლახან ბოლო მოუღო ერთ-ერთი ყველაზე ძველი, წმინდა სისხლის ოჯახის უკანასკნელ წარმომადგენელს, და ხომ ხედავთ, ცხოვრების როგორი გზა აირჩია ამ კაცმა. ამიტომ გეუბნებით, მიიღეთ ჩემ მიერ შემოთავაზებული ზომები და, მიუხედავად იმისა, დარჩებით თუ არა თანამდებობაზე, თქვენ დაგი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მახსოვრებენ, როგორც ერთ-ერთ უმამაცეს და უდიადეს მაგიის მინისტრს. არ იმოქმედებთ და, ისტორიაში შეხვალთ, როგორც კაცი, რომელიც განზე გადგა და მეორე შანსი მისცა ვოლდემორს იმ სამყაროს გასანადგურებლად, რომლის აღმშენებლობასაც ვცდილობდით!

– გაგიჟდით, – დაიჩურჩულა ფაჯმა და ნაბიჯი უკან გადადგა, – შეიშალეთ...

სიჩუმე ჩამოწვა. მადამ პომფრი ჰარის საწოლის ფერხთით გახევებული იდგა და პირზე ხელები აეფარებინა. ქალბატონ უისლის ჰარისთვის მხარზე ხელი დაედო, რომ ადგომის საშუალება არ მიეცა. ბილი, რონი და ჰერმიონი ფაჯს უხმოდ შესცქეროდნენ.

– თუ ასე მტკიცედ გაქვთ განზრახული, ყველაფერზე თვალი დახუჭოთ, კორნელიუს, მაშინ ჩვენი გზები გაიყრება. მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ, მე კი... მე ისე მოვიქცევი, როგორც თავად ჩავთვლი საჭიროდ, – ბრძანა დამბლდორმა.

მის ხმაში იოტისოდენა მუქარაც არ იგრძნობოდა. ეს, მხოლოდ და მხოლოდ, განაცხადი იყო, მაგრამ ფაჯი ისე აიფოფრა, გეგონებოდათ, დამბლდორი ჯოხმოღერებული უტევსო.

– ახლა მე მომისმინეთ, დამბლდორ, – მუქარით დაუქნია თითი, – მე თქვენ ყოველთვის გარკვეულ თავისუფლებას განიჭებდით. ყოველთვის დიდ პატივს გცემდით. შეიძლება, თქვენს ზოგიერთ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებოდი, მაგრამ დათმობაზე მივდიოდი. ბევრი არ დაგრთავდათ ნებას, მაქციები სამუშაოზე აგეყვანათ, ჰაგრიდი აქ გაგეჩერებინათ ან სამინისტროსთან შეუთანხმებლად გადაგეწყვიტათ, რა ასწავლოთ სტუდენტებს... მაგრამ ჩემ წინააღმდეგ თუ აპირებთ მოქმედებას...

– ერთადერთი, ვის წინააღმდეგ მოქმედებასაც ვაპირებ, ლორდი ვოლდემორია. თუ თქვენც მის წინააღმდეგ ხართ განწყობილი, კორნელიუს, მაშინ ჩვენ კვლავ ერთ მხარეზე ვყოფილვართ, – უთხრა დამბლდორმა.

როგორც ჩანდა, ფაჯმა ამის საპასუხოდ ვერაფერი მოიფიქრა. წამით თავის პატარა ტერფებზე წინ და უკან ქანაობდა და ხელებში ცილინდრს ატრიალებდა.

ბოლოს თითქმის მუდარით წარმოთქვა:

– ვერ დაბრუნდებოდა, დამბლდორ. ეს შეუძლებელია...

სნეიპი მტკიცე ნაბიჯით წავიდა წინ, დამბლდორს ჩაუარა, მანტიის მარცხენა სახელო აიკაპიწა, მკლავი წინ გაიშვირა და ფაჯს უჩვენა. ფაჯმა ზიზღით დაიხია უკან.

– აი, – უხეშად უთხრა სნეიპმა, – აი, „შავი ნიშანი“. ისეთი მკაფიო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღარაა, როგორიც ერთი-ორი საათის წინ იყო, როცა შავად აინთო, მაგრამ მისი გარჩევა ახლაც შეიძლება. ყველა „სიკვდილის მხვრელს“ ეს ნიშანი ჰქონდა ამომწვარი ბნელი ბატონის მიერ. ეს იყო ჩვენთვის ერთმანეთის ამოცნობისა და მისთვის კი – ჩვენი გამოძახების საშუალება. როდესაც რომელიმე „სიკვდილის მხვრელის“ „შავ ნიშანს“ ხელს შეახებდა, ჩვენ აპარაციის გამოყენებით მყისვე მის გვერდით უნდა გავჩენილიყავით. ნიშანი მთელი წლის განმავლობაში სულ უფრო მკვეთრი ხდებოდა, კარკაროვისაც. როგორ ფიქრობთ, რატომ გაიქცა დღეს საღამოს კარკაროვი? ორივემ ვიგრძენით ხელზე „შავი ნიშნის“ წვა. ორივენი მივხვდით, რომ იგი დაბრუნდა. კარკაროვს ბნელი ბატონის შურისძიებისა ეშინია. მან მისი ძალიან ბევრი თანამზრახველი გასცა და იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ მათ რიგებში სიხარულით მიიღებენ.

ფაჯმა სნეიპისგანაც უკან დაიხია. თავს უარის ნიშნად აქნევდა. როგორც ჩანდა, მისი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო. ჯერ აშკარა ზიზღით დააცქერდა მახინჯ ნიშანს სნეიპის მკლავზე, შემდეგ დამბლდორს ახედა და დაიჩურჩულა:

– არ ვიცი, თქვენ და თქვენი თანამშრომლები რას მიედ-მოედებით, დამბლდორ, მაგრამ მეყო, რაც გისმინეთ. მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი. დამბლდორ, ხვალ დაგიკავშირდებით, რათა სკოლის მართვის თაობაზე მოგელაპარაკოთ. ახლა სამინისტროში უნდა დავბრუნდე.

კართან მისული შეჩერდა, შემოტრიალდა, ოთახი სწრაფად გადმოჭრა და ჰარის საწოლთან შედგა.

– შენი მოგებული თანხა, – უთხრა მშრალად, ჯიბიდან ოქროთი სავსე ტომარა ამოიღო და ჰარის საწოლის გვერდით, მაგიდაზე დააგდო, – ათასი გალეონი. წესით, დაჯილდოების ცერემონია უნდა გამართულიყო, მაგრამ, გარემოებათა გათვალისწინებით...

ცილინდრი თავზე ჩამოიფხატა, პალატიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა. რა წამსაც მინისტრი გაუჩინარდა, დამბლდორი ჰარის საწოლთან შეჯგუფებულ ხალხს მიუბრუნდა:

– ბევრი საქმე გვაქვს, მოლი... მქონდეს შენი და არტურის იმედი?

– რა თქმა უნდა, – მიუგო ქალბატონმა უისლიმ. ტუჩები გაფითრებოდა, მაგრამ სახეზე სიმტკიცე აღბეჭდვოდა, – არტურმა კარგად იცის, რასაც წარმოადგენს ფაჯი. სწორედ მაგლებისადმი კეთილგანწყობა არ აძლევდა არტურს ამდენი წლის განმავლობაში სამინისტროში დაწინაურების საშუალებას. ფაჯს მიაჩნია, რომ მას სათანადო ჯადოქრული სიამაყე აკლია.

– მაშინ საქმის კურსში უნდა ჩავაყენო, – თქვა დამბლდორმა, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუყოვნებლივ უნდა გავაცნოთ საქმის ვითარება ყველას, ვისი სიმართლეში დარწმუნებაც შესაძლებელია. არტურს კი შეუძლია, თავისი პოსტი გამოიყენოს და სამინისტროში დაუკავშირდეს მათ, ვინც კორნელიუსივით ბეცი არ არის.

– მე წავალ მამასთან, – წამოდგა ბილი, – ახლავე წავალ.

– ძალიან კარგი, – მოუწონა დამბლდორმა, – გადაეცი, რაც მოხდა. გადაეცი, რომ მოკლე ხანში დავუკავშირდები. მაგრამ სიფრთხილე მართებს. ფაჯმა თუ იფიქრა, რომ მე სამინისტროს საქმეებში ვიჭ-რები...

– ეგ მე მომანდეთ, – დააიმედა ბილმა, ჰარის მხარზე ხელი დაჰკრა, დედას ლოყაზე აკოცა, მოსასხამი მოისხა და ფლიგელიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

– მინერვა, – პროფესორ მაკგონაგელს მიუბრუნდა დამბლდორი, – მინდა, ჩემს კაბინეტში ჰაგრიდი ვნახო, თან რაც შეიძლება, მალე. და მადამ მაქსიმიც, თუ წამოსვლაზე დაგთანხმდება.

პროფესორმა მაკგონაგელმა თავი დაუქნია და უსიტყვოდ გავიდა.

– პოპი, – მიმართა დამბლდორმა მადამ პომფრის, – თუ არ შეწუხ-დებით, იქნებ პროფესორ მუდის კაბინეტში ჩაბრძანდეთ. იქ დარ-დისაგან სასოწარკვეთილებამდე მისული შინაური ელფი, ვინკი, უნდა ნახოთ. დაეხმარეთ, როგორც შეგიძლიათ, და სამზარეულოში ჩაიყვანეთ. იქ მასზე უკვე დობი იზრუნებს.

– გა... გასაგებია, – შეცბუნებული მადამ პომფრი გავიდა.

როგორც კი კარი დაიხურა და მადამ პომფრის ნაბიჯებიც მიწ-ყდა, დამბლდორმა განაგრძო:

– ახლა კი დროა, ორმა აქ მყოფმა ერთმანეთის ნამდვილი ვინაო-ბა შეიტყოს. სირიუს... თუ შეიძლება, თქვენი სახე მიიღეთ.

დიდმა შავმა ძაღლმა დამბლდორს შეხედა და წამში ადამიანად გადაიქცა.

ქალბატონმა უისლიმ შეჰკივლა და უკან გადახტა.

– სირიუს ბლექი!

– დე, გაჩუმდი! – შესძახა რონმა, – ყველაფერი რიგზეა!

სნეიპს არც უყვირია და არც უკან გადამხტარა, მაგრამ სახეზე ერთბაშად მრისხანება და შიში გამოესახა.

– ის! – დაიღრინა და სირიუსს მიაჩერდა. სირიუსიც არანაკლები სიძულვილით უყურებდა. – აქ რა ესაქმება?

– ის აქ მე მოვიწვიე, – დამბლდორმა ორივეს შეხედა, – ისევე, როგორც თქვენ, სევერუს. ორივეს გენდობით. დადგა დრო, გვერდზე გადადოთ ძველი წყენა და თქვენც ენდოთ ერთმანეთს.

ჰარისთვის რომ გეკითხათ, დამბლდორი ნამდვილ სასწაულს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ითხოვდა. სნეიპი და სირიუსი ერთმანეთს ენით აუწერელი ზიზღით შესცქეროდნენ.

– დროებით იმითაც დავკმაყოფილდები, თუ ერთმანეთის მიმართ დაუფარავ მტრობას არ გამოავლენთ. ხელი ჩამოართვით ერთმანეთს. ახლა უკვე ერთ მხარეზე ხართ. დრო არ ითმენს და თუ ჩვენ მაინც არ გავერთიანდებით, ვინც სიმართლე ვიცით, მაშინ არაფრის იმედი აღარ უნდა გვქონდეს, – მოუთმენლად თქვა დამბლდორმა.

სირიუსი და სნეიპი ძალიან ნელა მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ხელი ისეთი გამომეტყველებით ჩამოართვეს, აშკარა იყო, ერთმანეთისთვის სიავის მეტი არაფერი ემეტებოდათ.

– დასაწყისისთვის ესეც კმარა, – თქვა დამბლდორმა და ისევ მათ შორის ჩადგა, – ახლა ორივე უნდა დაგასაქმოთ. ფაჯის პოზიცია მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მაინც ყველაფერს ცვლის. სირიუს, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროთ. ფეხზე დააყენეთ რემუს ლუპინი, არაბელა ფიგი, მანდანგუს ფლეტჩერი, მოკლედ, ძველი გუნდი. დროებით ლუპინთან დაიმალეთ. იქ დაგიკავშირდებით.

– კი, მაგრამ... – დაიწყო ჰარიმ.

მას უნდოდა, რომ სირიუსი დარჩენილიყო. არ უნდოდა მასთან კვლავ განშორება.

– მალე შევხვდებით, ჰარი, – მიუბრუნდა სირიუსი, – გპირდები, მაგრამ ახლა, ის უნდა გავაკეთო, რაც შემიძლია, ხომ გესმის?

– ჰო, – უპასუხა ჰარიმ, – ჰო... რა თქმა უნდა, მესმის.

სირიუსმა სწრაფად მოუჭირა ხელზე ხელი, დამბლდორს თავი დაუკრა, ისევ ძაღლად გადაიქცა, კართან მიირბინა და სახელური თათით ჩამოსწია. წამიც, და თვალს მიეფარა.

– სევერუს, – სნეიპს მიუბრუნდა დამბლდორი, – ხვდებით, ალბათ, რაც უნდა გთხოვოთ. თუ მზად ხართ... თუ მზად ხართ ამისთვის...

– მზად ვარ, – მიუგო სნეიპმა.

ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი ჩანდა, მაგრამ ცივ, შავ თვალებში უცნაური ცეცხლი ენთო.

– მაშინ, წარმატებას გისურვებთ, – დამბლდორმა შიშნარევი მზერა გააყოლა სირიუსის კვალდაკვალ უხმოდ გასულ სნეიპს.

დამბლდორმა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ დაარღვია სიჩუმე:

– ქვემოთ უნდა ჩავიდე, სედრიკის მშობლები უნდა ვინახულო. ჰარი, დალიე დარჩენილი წამალი. ყველას მოგვიანებით გნახავთ.

როგორც კი დამბლდორი გავიდა, ჰარი ბალიშებს ზურგით მიესვენა. ჰერმიონი, რონი და ქალბატონი უისლი მას თვალს არ აშორებდნენ. კარგა ხანს ყველა დუმდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, წამალი ბოლომდე უნდა დალიო, – დაფაცურდა ბოლოს ქალბატონი უისლი, წამლის ბოთლსა და ფიალას დასწვდა და, შემთხვევით, საწოლის გვერდით მაგიდაზე დადებულ ოქროთი სავსე ტომარას გაჰკრა ხელი, – კარგად უნდა გამოიძინო. მანამდე კი სხვა რამეზე იფიქრე. იფიქრე იმაზე, თუ რაში დახარჯავ მოგებულ ფულს...

– არ მინდა ეს ოქრო, – გულგრილად თქვა ჰარიმ, – თქვენ წაიღეთ. ვისაც უნდა, იმან წაიღოს. მე ის არ უნდა მომეგო. ის სედრიკისა უნდა ყოფილიყო.

რასაც ლაბირინთიდან გამოსვლის შემდეგ, ასე თუ ისე, უძალიანდებოდა, ახლა ერთბაშად გულზე შემოაწვა. თვალის შიდა კუთხეებში მწვავე ჩხვლეტა იგრძნო. თვალები აახამხამა და ჭერში აიხედა.

– შენი ბრალი არ იყო, ჰარი, – უჩურჩულა ქალბატონმა უისლიმ.

– მე შევთავაზე, თასი ერთად აგვეღო, – თქვა ჰარიმ.

ახლა მწველი შეგრძნება ყელშიც მოებჯინა. ნატრობდა, ნეტავ რონმა მიიხედოსო.

ქალბატონმა უისლიმ წამალი ტუმბოზე დადგა, დაიხარა და ჰარი გულში ჩაიკრა. ჰარის ჯერ არ ახსოვდა, ვინმე ასე, დედასავით მოხვეოდეს. თითქოს იმ საღამოს ნანახის სიმძიმე მთელი ძალით დაატყდა თავს, სანამ ქალბატონ უისლის გულში ჰყავდა ჩაკრული. დედის სახე, მამის სახე, მკვდარი სედრიკი მიწაზე, ყველაფერი ისე აუტანლად დაუტრიალდა თავში, რომ სახე შეჭმუხნა, რათა ჩაეხშო ის სასოწარკვეთილი ღრიალი, რომელიც მისგან გადმოხეთქვას ლამობდა.

მოულოდნელად ხმამაღალი ჯახუნი გაისმა. ქალბატონმა უისლიმ ჰარის ხელი შეუშვა. ფანჯარასთან ჰერმიონი იდგა და მუჭში რაღაცა გამოემწყვდია.

– ბოდიში, – ჩურჩულით მოიბოდიშა ჰერმიონმა.

– შენი წამალი, ჰარი, – სწრაფად თქვა ქალბატონმა უისლიმ და ხელის ზურგით თვალები შეიმშრალა.

ჰარიმ ერთბაშად გამოცალა ბოთლი. წამალმა უმალ იმოქმედა. უსიზმრო ძილის მძიმე, დაუძლეველმა ტალღებმა გადაუარა, ბალიშებზე მიესვენა და უკვე აღარაფერზე უფიქრია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეჩვიდმეტე

დასაწყისი

ჰარის ერთი თვის შემდეგაც კი უჭირდა იმის გახსენება, რა მოხდა იმ დღეებში. მის მეხსიერებას თითო-ოროლა მოგონებაღა შემორჩენოდა. იმდენი რამე გადაიტანა, რომ მომდევნო დღეებში გარემოს აღქმის უნარი საერთოდ დაკარგა. შემორჩენილი მოგონებები კი ერთიმეორეზე მტკივნეული იყო. მათგან ყველაზე მძიმე, ალბათ, მაინც მეორე დილას საავადმყოფო ფლიგელში სედრიკის მშობლებთან შეხვედრა იყო.

ისინი ჰარის არაფერში არ ადანაშაულებდნენ. პირიქით, ორივემ მადლობა გადაუხადა სედრიკის ცხედრის დაბრუნებისათვის. ბატონი დიგორი ვიზიტის დროს მეტწილად თავშეუკავებლად ქვითინებდა. ქალბატონ დიგორის კი, როგორც ჩანდა, მწუხარებისგან ცრემლი გაშრობოდა.

– ესე იგი, ძალიან არ უწვალია, – დაასკვნა ქალბატონმა დიგორიმ, როცა ჰარიმ უამბო, როგორ დაიღუპა სედრიკი, – სხვა თუ არაფერი, ამოს... სწორედ მაშინ დაიღუპა, როცა ტურნირი მოიგო. ალბათ, ბედნიერი იყო.

როდესაც წასასვლელად წამოდგნენ, სედრიკის დედამ ჰარის უთხრა:

– იცოდე, თავს გაუფრთხილდი.

ჰარიმ მაგიდაზე დადებულ ოქროთი სავსე ტომარას დაავლო ხელი.

– აიღეთ, – უთხრა ქალს ლუღლუღით, – ეს სედრიკს ეკუთვნის. ის იქ პირველი მივიდა. თქვენ აიღეთ...

ქალმა უკან დაიხია.

– არა, შენი იყოს, ჩემო კარგო, ჩვენ არ შეგვიძლია... შენ დაიტოვე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ჰარი მეორე საღამოსღა დაბრუნდა გრიფინდორის კოშკში. რონმა და ჰერმიონმა უამბეს, რომ დილით, საუზმობისას, დამბლდორი მთელი სკოლის წინაშე სიტყვით გამოვიდა. სტუდენტებს სთხოვა, რომ ჰარისათვის თავი დაენებებინათ, არაფერი ეკითხათ და არ ჩასციებოდნენ, რომ მოეყოლა, რა მოხდა ლაბირინთში. ჰარიმ შეამჩნია, რომ ბევრი სტუდენტი შორიდან უვლიდა გვერდს და თვალს არიდებდა. ზოგნიც, როცა ჰარი ჩაივლიდა, პირზე ხელაფარებულნი გადაუჩურჩულებდნენ ხოლმე რაღაცას ერთმანეთს. ჰარი მიხვდა, რომ ბევრმა მათგანმა დაიჯერა, რაც რიტა სკიტერის სტატიაში ეწერა. ესე იგი, დაიჯერეს, რომ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და საზოგადოებისათვის პოტენციურად საშიში იყო. ალბათ, სედრიკის სიკვდილის საკუთარ ვერსიებსაც თხზავდნენ. ჰარიმ აღმოაჩინა, რომ ეს მაინცდამაინც არ აღელვებდა. ყველაზე მეტად რონთან და ჰერმიონთან განმარტოება და სხვა თემებზე საუბარი მოსწონდა, ან თავისთვის ჩუმად ჯდომა და ფიქრი, სანამ ისინი ჭადრაკს თამაშობდნენ. გრძნობდა, რომ სამივენი უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს; რომ თითოეული მათგანი ელოდა რაიმე ნიშანს, რაიმე ცნობას იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა ჰოგვორტსის კედლებს გარეთ; და რომ არავითარი აზრი არ ჰქონდა, წინასწარ ემტვრიათ თავი იმაზე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, სანამ დანამდვილებით არ შეიტყობდნენ ყველაფერს. ამ თემას მხოლოდ ერთხელ შეეხნენ, როდესაც რონმა ჰარის აცნობა, რომ ქალბატონი უისლი შინ წასვლამდე დამბლდორს შეხვდა.

– დედამ სთხოვა, რომ შენთვის ნება დაერთო, ამ ზაფხულს პირდაპირ ჩვენთან წამოსულიყავი, მაგრამ დამბლდორს უნდა, რომ ჯერჯერობით მაინც დერსლებთან დაბრუნდე.

– რატომ? – გაუკვირდა ჰარის.

– დედამ თქვა, დამბლდორს თავისი მიზეზები აქვსო, – პირქუშად გადააქნია თავი რონმა, – როგორც ვატყობ, სხვა გზა არა გვაქვს, უნდა დავუჯეროთ.

რონისა და ჰერმიონის გარდა, ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც ჰარის დალაპარაკება შეეძლო, ჰაგრიდი იყო. ვინაიდან ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებელი აღარ ჰყავდათ, ეს გაკვეთილები უცდებოდათ. ხუთშაბათს, ნასადილევს, ერთ-ერთი გაცდენილი გაკვეთილით ისარგებლეს და ჰაგრიდს ქოხში ეწვივნენ. ნათელი, მზიანი დღე იდგა. როგორც კი ქოხს მიუახლოვდნენ, გიჟივით აყეფებული ფენგი კუდის ქიცინით გამოეგება სტუმრებს ღია კარში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვინ არის? – დაიძახა ჰაგრიდმა და კართან მივიდა, – ჰარი!

ჰაგრიდმა გარეთ გამოალაჯა, ჰარი ცალი ხელით გულში ჩაიკრა, თმა აუჩეჩა და უთხრა:

– მიხარია შენი ნახვა, მეგობარო... მიხარია.

ქოხში შესულებმა ბუხრის წინ, ხის მაგიდაზე, ორი ვეება ფინჯანი და ლამბაქი დაინახეს.

– მე და ოლიმპი ჩაის ვსვამდით. ახლახან წავიდა, – აღნიშნა ჰაგრიდმა.

– ვინ? – დაინტერესდა რონი.

– მადამ მაქსიმი, რა თქმა უნდა, – უპასუხა ჰაგრიდმა.

– ესე იგი, შერიგდით? – ჰკითხა რონმა.

– არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ, – დაუფიქრებლად მიუგო ჰაგრიდმა და ბუფეტიდან ფინჯნები გამოაწყო, ჩაი აადუღა და სტუმრებს ჩაცომებული ორცხობილები შესთავაზა, შემდეგ სკამის საზურგეს მიეყრდნო და ხოჭოსავით შავი თვალებით ყურადღებით შეათვალიერა ჰარი.

– როგორა ხარ? – ჰკითხა ჩახლეჩილი ხმით.

– კარგად, – უპასუხა ჰარიმ.

– არა, კარგად არა ხარ, – დაასკვნა ჰაგრიდმა, – რა თქმა უნდა, არა ხარ, მაგრამ იქნები.

ჰარის არაფერი უთქვამს.

– ვიცოდი, რო დაბრუნდებოდა, – მოულოდნელად გამოაცხადა ჰაგრიდმა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა თავზარდაცემულებმა ახედეს, – ეს ყოველთვის ვიცოდი, ჰარი. ვიცოდი, რო სადღაც იყო ჩასაფრებული და შესაფერის დროს უცდიდა. ეს უნდა მომხდარიყო, ჰოდა, მოხდა კიდეც. რას ვიზამთ... არა უშავს, ვიბრძოლებთ! იქნება შევძლოთ მისი შეჩერება, სანამ ფეხს მოიკიდებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია დამბლდორის გეგმა. დიდებული კაცია დამბლდორი. სანამ დამბლდორი გვყავს, მშვიდად ვარ.

ჰაგრიდმა შეამჩნია, რომ ბავშვები ეჭვით უყურებდნენ, და თავისი დაფანჩული წარბები აზიდა.

– რას ჩამოგიყრიათ ყურები! რაც მოსახდენია, მოხდება! დაე, მოხდეს, ჩვენც მზად დავუხვდებით. დამბლდორი ყველაფერს მომიყვა, რაც გააკეთე, ჰარი.

ჰაგრიდმა ჰარის შეხედა და მკერდი სიამაყით გამობერა.

– შენ ისე მოიქეცი, როგორც მამაშენი მოიქცეოდა. ამაზე მეტად მე ვერ შეგაქებ.

ჰარიმ გაუღიმა. ბოლო დღეების განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ გაიღიმა. მერე ჰკითხა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა გთხოვა დამბლდორმა, ჰაგრიდ? პროფესორ მაკგონაგელის პირით ხომ შემოგითვალათ შენ და მადამ მაქსიმს, რომ შეხვედროდით... იმ ღამეს.

– საზაფხულოდ პატარა საქმე დამავალა, მაგრამ საიდუმლოა. ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, თქვენთანაც კი. ოლიმპი – ანუ, თქვენთვის – მადამ მაქსიმი, შეიძლება ჩემთან ერთად წამოვიდეს. ვფიქრობ, წამოვა. მგონი, დავიყოლიე.

– ეს ვოლდემორთან არის დაკავშირებული?

ამ სახელის გაგონებაზე ჰაგრიდი შეიჭმუხნა.

– შეიძლება, – თქვა ორჭოფულად, – აბა, ვის უნდა, წამომყვეს და ბოლო ცეცხლაკუდა ნახოს? ვიხუმრე... ვიხუმრე... – საჩქაროდ დაამატა მათი სახეების დანახვაზე.

* * *

ჰარიმ გულდამძიმებით ჩაალაგა თავისი ჩემოდანი ჰოგვორტსიდან პრივიტ დრაივზე გამგზავრების წინასაღამოს. სიკვდილივით ეშინოდა გამოსამშვიდობებელი ბანკეტისა, რომელიც, ჩვეულებრივ, დიდი ზეიმისა და ლხინის მიზეზი იყო ხოლმე, რადგან სწორედ ამ დროს ხდებოდა შიდა საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული კლუბის გამოცხადება.

მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან გამოწერეს, ჰარი სტუდენტებით სავსე დიდ დარბაზში არ შედიოდა. ცდილობდა, ცნობისმოყვარეებს მორიდებოდა, ამიტომ თითქმის დაცარიელებულ დარბაზში სადილობდა.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა დიდ დარბაზში შესვლისთანავე შეამჩნიეს, რომ ჩვეული დეკორაციები არსად ჩანდა. არადა, გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე დარბაზი, ტრადიციულად, გამარჯვებული კლუბის დროშებით ირთვებოდა ხოლმე. ამ საღამოს მასწავლებლების მაგიდის უკან, კედელზე, ერთადერთი შავი ფარდა დაეკიდათ. ჰარი წამსვე მიხვდა, რომ ეს სედრიკისადმი პატივისცემის ნიშანი იყო.

მასწავლებლების მაგიდასთან ნამდვილი მრისხანეთვალა მუდი იჯდა. თავისი ხის ფეხი და ჯადოსნური თვალი დაებრუნებინა. საშინლად ნერვებაშლილი ჩანდა: ვინმე თუ დაელაპარაკებოდა, შეხტებოდა ხოლმე. ჰარის კარგად ესმოდა მისი. რა გასაკვირი იყო, თუ საკუთარ ჩემოდანში ათთვიანი პატიმრობის შემდეგ მუდის თავდასხმის შიში გაუძლიერდა. პროფესორ კარკაროვის სკამი ცარიელი იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ნეტავ კარკაროვი სად არის, – გაიფიქრა ჰარიმ, მაგიდას რომ მიუჯდა, – ვოლდემორის გრძელი ხელი ხომ არ მისწვდა უკვე?“

სამაგიეროდ, მადამ მაქსიმი ჯერ ისევ აქ იყო. ჰაგრიდის გვერდით იჯდა. ისინი ჩუმად საუბრობდნენ. მათგან მოშორებით, პროფესორ მაკგონაგელის გვერდით, სნეიპი დაბრძანებულიყო. როცა ჰარიმ შეხედა, მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ძნელი იყო სნეიპის სახეზე რაიმეს ამოკითხვა. ყოველ შემთხვევაში, ისეთივე მჟავე და უსიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც – ყოველთვის. ჰარი მას კიდევ დიდხანს აკვირდებოდა მას შემდეგაც, როცა პროფესორმა სხვა მხარეს გაიხედა.

„ნეტავ რა გააკეთა სნეიპმა დამბლდორის ბრძანებით იმ ღამეს, როცა ვოლდემორი დაბრუნდა? და რატომ... რატომ... არის დამბლდორი ასე დარწმუნებული, რომ სნეიპი მართლა მათ მხარეზეა? დამბლდორმა საფიქრელაში ახსენა, რომ სნეიპი უწინ მათი ჯაშუში ყოფილა. ის მათ ჯაშუშად იქცა „უდიდესი რისკის საფასურად“. ნეტავ ახლაც იგივე საქმე იკისრა? თავი ისე დაიჭირა, თითქოს არასოდეს გადასულა დამბლდორის მხარეს, და რომ ვითომ ისიც, ვოლდემორის მსგავსად, მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელსაყრელ დროს უცდიდა?!“

ჰარის ფიქრი მასწავლებლების მაგიდასთან მჯდარი დამბლდორის წამოდგომამ შეაწყვეტინა. დიდი დარბაზი, გამოსათხოვარი ბანკეტის კვალობაზე ისედაც უჩვეულოდ მშვიდი, ახლა ისე გაისუსა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი.

– დასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი, – თქვა დამბლდორმა და დარბაზი მოათვალიერა.

მან ჰაფლეპაფის მაგიდას შეავლო თვალი. ეს მაგიდა მთელი საღამოს განმავლობაში ყველაზე მდუმარე იყო, მის ირგვლივ შემომსხდარი სტუდენტები – ყველაზე სევდიანები და გაცრეცილები.

– დღეს საღამოს მე თქვენთვის ძალზე ბევრი რამ მაქვს სათქმელი, – განაგრძო დამბლდორმა, – მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიარო, რომ დავკარგეთ ძალიან კარგი ადამიანი, რომელიც, აი, აქ უნდა მჯდარიყო, – მან ჰაფლეპაფის მაგიდაზე მიუთითა, – და ჩვენთან ერთად უნდა მოელხინა ამ ბანკეტზე. ყველას გთხოვთ, ადგეთ, ასწიოთ ჭიქები და პატივი მივაგოთ სედრიკის ხსოვნას.

დამბლდორის თხოვნა ყველამ შეასრულა. სკამები აჭრიალდა, ყველანი ადგნენ, თასები ასწიეს და ხმამაღლა, ერთხმად დაიგუგუნეს:

– სედრიკ დიგორის ხსოვნა იყოს.

ჰარიმ ხალხში ჩო შეამჩნია. სახეზე უხმოდ ჩამოსდიოდა ცრემლე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი. ჰარიმ თვალი მოარიდა და მაგიდას დააშტერდა. ყველანი დასხდნენ.

– სედრიკს ამშვენებდა ბევრი ისეთი ღირსება, რითაც ჰაფლეპაფის კლუბი გამოირჩევა, – განაგრძო დამბლდორმა, – ის იყო კარგი და ერთგული მეგობარი, ბეჯითი სტუდენტი. აფასებდა სამართლიანობას. სედრიკის სიკვდილმა ყოველ თქვენგანზე იმოქმედა, მიუხედავად იმისა, პირადად იცნობდით თუ არა მას. ამიტომ, ჩემი აზრით, თქვენ უფლება გაქვთ, იცოდეთ, ეს როგორ მოხდა.

ჰარიმ თავი ასწია და დამბლდორს შეხედა.

– სედრიკ დიგორი ლორდმა ვოლდემორმა მოკლა.

დიდ დარბაზს აღელვებულმა ჩურჩულმა გადაურბინა. დირექტორს ერთნი ეჭვით შესცქეროდნენ, მეორენი – ძრწოლით. დამბლდორი მშვიდად დაელოდა დარბაზის დაწყნარებას. მერე განაგრძო:

– მაგიის სამინისტროს არ სურდა, რომ ეს თქვენთვის მეთქვა. შეიძლება, ზოგიერთი თქვენგანის მშობელიც აღაშფოთოს ჩემმა საქციელმა, რადგან ისინი ან არ დაიჯერებენ ლორდ ვოლდემორის დაბრუნებას, ანდა ჩათვლიან, რომ თქვენთვის მეტისმეტად ადრეა ამის გაგება. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, სიმართლე, როგორი მწარეც უნდა იყოს, უფრო მისაღებია, ვიდრე სიცრუე. და თავს თუ ისე დავიჭერთ, თითქოს სედრიკი უბედურმა შემთხვევამ ან მისმავე დაუფიქრებლობამ იმსხვერპლა, ამით მხოლოდ შეურაცხვყოფთ მის ხსოვნას.

ახლა უკვე ყველა გაოგნებული და შეშინებული მისჩერებოდა დამბლდორს. უფრო სწორედ, თითქმის ყველა. ჰარის არ გამოჰპარვია, რომ სლიზერინის მაგიდასთან დრაკო მალფოი კრაბსა და გოილს რაღაცას ეჩურჩულებოდა. ჰარის სიბრაზის ცხელმა, გულისამრევმა ტალღამ დაუარა. თავს ძალა დაატანა და კვლავ დამბლდორზე გადაიტანა მზერა.

– არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც არ შეიძლება, არ ვახსენო სედრიკის სიკვდილთან დაკავშირებით, – განაცხადა დამბლდორმა, – მე, რასაკვირველია, ჰარი პოტერს ვგულისხმობ.

დარბაზს თითქოს ტალღამ გადაუარა, როცა სტუდენტები წამით ჰარისკენ მიტრიალდნენ და შემდეგ კვლავ დამბლდორისკენ გაიხედეს.

– ჰარი პოტერმა მოახერხა ლორდ ვოლდემორისგან თავის დაღწევა, – განაცხადა დამბლდორმა, – მან სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, რათა სედრიკ დიგორის ცხედარი ჰოგვორტსში დაებრუნებინა. მან გამოიჩინა ისეთი სიმამაცე, როგორიც თითზე ჩამოსათვლელ ჯადოქარს თუ გამოუვლენია ვოლდემორის პირისპირ. და ამისათვის მე ვადღეგრძელებ მას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორი დინჯად მიბრუნდა ჰარისკენ და ერთხელაც ასწია თასი. ყველამ მას მიჰბაძა. ჰარის სახელიც სედრიკის სახელივით წარმოთქვეს და მისი სადღეგრძელო შესვეს. მაგრამ ჰარიმ დაინახა, რომ მალფოი, კრაბი, გოილი და ბევრი სხვა სლიზერინელიც გამომწვევად ისხდნენ თავიანთ ადგილებზე და თასებისთვის ხელი არ უხლიათ. დამბლდორმა ვერ შეამჩნია ისინი, ბოლოს და ბოლოს, მას ხომ ჯადოსნური თვალი არ ჰქონდა.

როდესაც ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიკავა, დამბლდორმა განაგრძო:

– სამი ჯადოქრის ტურნირის მიზანი ჯადოქართა შორის ურთიერთგაგების გაღრმავება და გამყარება იყო. იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა, ასეთი კავშირების არსებობა უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე უწინ იყო.

დამბლდორმა მადამ მაქსიმსა და ჰაგრიდს, ფლერ დელაკურსა და მის თანასკოლელ ბობატონის სტუდენტებს, სლიზერინის მაგიდასთან მსხდომ ვიქტორ კრამსა და დურმსტრანგელებს გადახედა. ჰარიმ შეამჩნია, რომ კრამი დაძაბული, თითქმის შეშინებული იყო, თითქოს ელოდა, რომ დამბლდორი რაიმე უკმეხს იტყოდა.

– აქ დამსწრე ყოველი სტუმრისათვის ჩვენი კარი მუდამ ღიაა, თუ ჩვენთან სტუმრობის სურვილი კიდევ გაუჩნდებათ, – გამოაცხადა დამბლდორმა და მზერა დურმსტრანგის სტუდენტებზე შეაჩერა, – კვლავ გიმეორებთ: ლორდ ვოლდემორის დაბრუნების შემდეგ, ჩვენი ძალა ერთობაშია, ხოლო სისუსტე – დაცალკევებაში. ლორდ ვოლდემორს უთანხმოებისა და შუღლის ჩამოგდების უდიდესი ნიჭი აქვს. ჩვენ მასთან ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ არანაკლებ დიდ მეგობრობასა და ნდობაზე დამყარებულ მტკიცე კავშირებს შევქმნით. ჩვენს ტრადიციებსა და ენებს შორის განსხვავება სრულიად არ არის არსებითი, თუ მიზნები საერთო გვექნება, გულები კი – ღია.

დარწმუნებული ვარ, – და ასე ჯერ არასდროს მინატრია, რომ ვცდებოდე, – რომ წინ მძიმე და რთული დღეები გველის. ამ დარბაზში ზოგიერთმა თქვენგანმა უკვე პირადად იწვნია ლორდ ვოლდემორის სისასტიკე. ბევრი თქვენგანის ოჯახი დაინგრა. ერთი კვირის წინ თქვენი ამხანაგი დაიღუპა.

გახსოვდეთ სედრიკი... გაიხსენეთ იგი, თუ ოდესმე არჩევანის გაკეთება მოგიწევთ სწორსა და იოლს შორის. გაიხსენეთ, რა დაემართა კეთილ, კარგ და მამაც ბიჭს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უნებურად ვოლდემორს გზაზე გადაეღობა. გახსოვდეთ სედრიკ დიგორი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ჰარის ჩემოდანი ჩაელაგებინა და ზედ ჰედვიგის გალია შემოედო. ის, რონი და ჰერმიონი ხალხით გაძეძგილ ჰოლში დანარჩენ მეოთხეკურსელებთან ერთად იდგნენ და ეტლებს ელოდნენ, რომ ჰოგსმიდის სადგურზე წასულიყვნენ. ზაფხულის მშვენიერი დღე იყო. ჰარიმ წარმოიდგინა, როგორი დახვდებოდა პრივიტ დრაივი. იქ, ალბათ, უკვე პაპანაქება იდგა, შეფოთლილი ხეები შრიალებდა, ხოლო ყვავილების კვლები ათასფრად იყო გადაპენტილი. მაგრამ ამაზე ფიქრმა ვერავითარი სიამოვნება ვერ მოჰგვარა.

– აღი პოტეღ!

ჰარიმ მიიხედა. ქვის კიბეებზე ფლერ დელაკურმა ამოირბინა და ჰოლში შემოვარდა. ღია კარში ჰარიმ დაინახა, როგორ ეხმარებოდა ჰაგრიდი მადამ მაქსიმს, რომ გიგანტური ცხენები ეტლში შეება. ბობატონის ეტლი სულ მალე გზას გაუდგებოდა.

– იმედია, ისევ შევკვდებიტ, – ფლერი ჰარისთან მივიდა და ხელი გაუწოდა, – იმედი მაკვს, აკ სამუშაოს ვიშოვი, ღომ ჩემი ინგლისული გავაუმჯობესო.

– ისედაც მშვენივრად ლაპარაკობთ ინგლისურად, – მოგუდული ხმით ჩაურთო რონმა.

ფლერმა მას გაულიმა. ჰერმიონი მოიღუშა.

– ნახვამდის, აღი, – დაემშვიდობა ფლერი და წასასვლელად მიბრუნდა, – სასიამოვნო იკო შენი გაცნობა!

არ შეიძლებოდა, ჰარის გუნება ცოტათი მაინც არ გამოჰკეთებოდა, სანამ თვალით აცილებდა მადამ მაქსიმისკენ გაქცეულ ფლერს, რომელსაც დილის მზის შუქზე მბზინავი ვერცხლისფერი თმა უფრიალებდა.

– საინტერესოა, დურმსტრანგის სტუდენტები როგორ დაბრუნდებიან შინ, – იკითხა რონმა, – როგორ ფიქრობთ, გემის მართვა კარკაროვის გარეშეც შეუძლიათ?

– კარკაროვი გემს არ მართავდა, – გაისმა კრამის ბოღმიანი ხმა, – თვითონ კაიუტაში რჩებოდა და ჩვენ გვამუშავებდა, – კრამი ჰერმიონთან დასამშვიდობებლად მოსულიყო, – შეიზლება, ცალკე დაგელაპარაკო? – ჰკითხა გოგონას.

– კი... რა თქმა უნდა... – ოდნავ შეცბუნებული ჰერმიონი კრამს გაჰყვა.

– გირჩევნია, დაუჩქარო! – მიაძახა რონმა, – ეტლები წუთი წუთზე აქ იქნებიან!

თუმცა რონმა ეტლების დარაჯობა მაინც ჰარის მიანდო, თვითონ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი მომდევნო რამდენიმე წუთს კისერწაგრძელებული იყურებოდა და ცდილობდა, დაენახა, რას აკეთებდნენ ჰერმიონი და კრამი. ისინი საკმაოდ მალე დაბრუნდნენ. რონი ჰერმიონს ყურადღებით დააკვირდა, მაგრამ მისი სახე არაფერს არ გამოხატავდა.

– მე დიგორი მომცონდა, – უთხრა კრამმა ჰარის ანაზდად, – ის კოველთვის თავაზიანი იკო ჩემ მიმართ. თუმცა მე დურმსტრანგიდან ვიკავი – კარკაროვთან ერთად, – დასძინა მოღუშულმა.

– ახალი დირექტორი ჯერ არა გყავთ? – ჰკითხა ჰარიმ.

კრამმა მხრები აიჩეჩა. ფლერის მსგავსად, ჯერ ჰარის ჩამოართვა ხელი, შემდეგ – რონს.

რონს სახეზე დაეტყო, რომ თავის თავთან სასტიკი ბრძოლა გაემართა. კრამმა უკვე წასვლა დააპირა, როცა რონმა მოულოდნელად წამოისროლა:

– ავტოგრაფს ხომ ვერ მომცემთ?

ჰერმიონი ღიმილის დასაფარად უცხენო ეტლებისკენ მიბრუნდა, რომლებიც უკვე ციხე-კოშკისკენ მოგორავდნენ. გაოცებულმა, მაგრამ ფრიად ნასიამოვნებმა კრამმა რონს პერგამენტის ნაგლეჯზე მოუწერა ხელი.

* * *

ეს მზიანი დღე არაფრით არ ჰგავდა სექტემბრის იმ წვიმიან დღეს, როცა ჰოგვორტსისკენ მიემგზავრებოდნენ. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ ჩანდა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ცარიელი კუპე მოძებნეს. რონმა ბუკნაჭოს კვლავ გადააფარა მანტია, რომ გაუთავებლად არ ეკივლა. ჰედვიგს ფრთის ქვეშ თავი შეერგო და თვლემდა. ბო ცარილ ადგილზე მოკალათებულიყო და დიდ, ფუმფულა ნარინჯისფერ ბალიშს წააგავდა. ჰარის, რონისა და ჰერმიონის საუბარიც ამ ბოლო კვირის განმავლობაში პირველად აეწყო ასე ძალდაუტანებლად. მატარებელი მათ სამხრეთისკენ მიაქანებდა. ჰარი გრძნობდა, რომ გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე დამბლდორის სიტყვის შემდეგ გულიდან ლოდი მოეხსნა. ახლა მისთვის ისეთი მტკივნეული აღარ იყო იმაზე საუბარი, რაც მოხდა. კარგა ხანს მსჯელობდნენ გაცხარებულები, რა ზომებს მიიღებდა დამბლდორი ვოლდემორის შესაჩერებლად, მაგრამ როცა მათ კუპეს ტკბილეულით მოვაჭრე ქალის ურიკა მოადგა, მაშინვე შეწყვიტეს კამათი.

ჰერმიონი კუპეში რომ შემობრუნდა, ჩანთაში ფული ჩააბრუნა და იქიდან „დილის მისნის“ ნომერი ამოაძვრინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ გაზეთს შეხედა, თვითონაც ვერ გაერკვია, აინტერესებდა თუ არა ის, რაც გაზეთში ეწერა. მაგრამ ჰერმიონმა მისი მზერა შეამჩნია და მშვიდად უთხრა:

– აქ არაფერია. თუ გინდა, თვითონ ნახე, მაგრამ მართლა არაფერი არ არის. ყოველდღე ვამოწმებდი. მხოლოდ მესამე ტურის მომდევნო დღეს გამოაქვეყნეს მოკლე სტატია, რომ ტურნირი შენ მოიგე. სედრიკი არც კი უხსენებიათ. ეს ამბავი საერთოდ არ უხსენებიათ. მე თუ მკითხავთ, ფაჯი აიძულებს მათ, რომ ამ თემაზე კრინტი არ დაძრან.

– რიტას მაინც ვერ აიძულებს გაჩუმებას, – შეედავა ჰარი, – მით უმეტეს, ამისთანა ამბავზე.

– ო, რიტას მესამე ტურის შემდეგ არაფერი დაუწერია, – უცნაურად დაძაბული ხმით თქვა ჰერმიონმა, – სიმართლე რომ გითხრათ, – ხმა ახლა ოდნავ აუკანკალდა, – რიტა სკიტერი გარკვეული დროით, საერთოდ ვეღარ დაწერს. თუ არ უნდა, რომ მისი საიდუმლო გავცე.

– რაზე ლაპარაკობ? – ჰკითხა რონმა.

– რაზე და, გავარკვიე, როგორ უსმენდა პირად საუბრებს, როცა სკოლის არემარეზე შემოსვლა აკრძალული ჰქონდა, – სხაპასხუპით მიაყარა ჰერმიონმა.

ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ჰერმიონს, დიდი ხანია, მოუთმენლობა კლავდა, ისე უნდოდა ბიჭებისთვის ამის თქმა, მაგრამ იმ ყველაფრის გამო, რაც ბოლო დროს დატრიალდა, თავს იკავებდა.

– როგორ უსმენდა? – მაშინვე ჰკითხა ჰარიმ.

– როგორ გაარკვიე? – მიაჩერდა ჰერმიონს რონიც.

– სხვათა შორის, ეს აზრი შენ მომაწოდე, ჰარი.

– მართლა? – დაიბნა ჰარი.

– როცა რონს უხსნიდი, მიკროფონები ხოჭოსავით პატარა ფარული მოწყობილობებიაო, – გაბრწყინებული სახით გაახსენა ჰერმიონმა.

– კი მაგრამ, ხომ თქვი, რომ ისინი არ...

– არა, ელექტრომიკროფონები კი არა, – განუმარტა ჰერმიონმა, – არა, იცით... რიტა სკიტერი, – ჰერმიონს ხმა საზეიმოდ აუთრთოლდა, – არარეგისტრირებული ანიმაგუსია. მას შეუძლია გადაქცევა... – ჰერმიონმა ჩანთიდან პატარა დალუქული მინის ქილა ამოიღო, – ... ხოჭოდ.

– ხუმრობ? – შეშფოთდა რონი, – შენ ხომ არ... ეს ის ხომ არ არის...

– სწორედ ის გახლავთ, – მხიარულად მიუგო ჰერმიონმა და ქილა ბიჭებს ცხვირწინ დაუტრიალა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქილაში რამდენიმე წვრილი ტოტი და ფოთოლი ეყარა და ერთი მსუქანი ხოჭო იჯდა.

– ეს შეუძლებე... შენ ხუმრობ... – დაიჩურჩულა რონმა და ქილა თვალებთან მიიტანა.

– არა, სულაც არ ვხუმრობ, – გაიბადრა ჰერმიონი, – საავადმყოფო ფლიგელის ფანჯრის რაფაზე დავიჭირე. კარგად დააკვირდით და შეამჩნევთ, რომ ულვაშების გარშემო ზუსტად იმ ფორმის ლაქები აქვს, რა ფორმისაც მისი საზიზღარი სათვალე იყო.

ჰარი ხოჭოს დააკვირდა და დარწმუნდა, რომ ჰერმიონი არ ტყუოდა. თან თვითონაც გაახსენდა რაღაცა.

– იმ საღამოს, როცა მე და რონი ჰაგრიდისა და მადამ მაქსიმის საუბარს ვისმენდით, ქანდაკებაზე ხოჭო დაძვრებოდა!

– სწორია! – დაუმოწმა ჰერმიონმა, – ვიქტორმა კი თმიდან ხოჭო გამომაძრო, ტბასთან რომ ვსაუბრობდით. და თუ არ ვცდები, იმ დღესაც, მისნობის გაკვეთილზე, როცა ნაიარევი აგტკივდა, ფანჯრის რაფაზე რიტა იყო წამოსკუპებული. მთელი წლის განმავლობაში ასე დაფრინავდა სკოლაში და ჭორებს აგროვებდა.

– მაშინაც, ხის ძირას მალფოი რომ დავინახეთ... – ყოყმანით წამოიწყო რონმა.

– მუჭში რიტა ჰყავდა მოქცეული და იმას ელაპარაკებოდა, – დაამთავრა ჰერმიონმა, – მალფოიმ, რა თქმა უნდა, იცოდა. აი, როგორ იღებდა იმ პატარა, მომხიბვლელ ინტერვიუებს სლიზერინელებისგან. იმათთვის ხომ სულ ერთი იყო, რიტა რაიმე უკანონოს სჩადიოდა თუ არა, ოღონდაც ჩვენზე და ჰაგრიდზე მისთვის სისაძაგლეები მოეყოლათ.

ჰერმიონმა რონს ქილა გამოართვა და ხოჭოს გაუღიმა. ის კი გაბრაზებული ზუზუნით აწყდებოდა მინას.

– ვუთხარი, ლონდონში რომ ჩავალთ, გაგიშვებ-მეთქი. ქილას უმსხვრევადობის ჯადო დავადე, ამიტომ, როგორც თვითონ ხედავთ, ადამიანად გადაქცევა არ შეუძლია. და ისიც ვუთხარი, რომ მთელი წლის განმავლობაში მოასვენოს ის თავისი ფრთა. აი, ნახეთ, თუ არ მოვაშლევინო ხალხზე საშინელი ტყუილების წერა.

ჰერმიონმა უშფოთველი ღიმილით ჩააბრუნა ქილა სკოლის ჩანთაში.

კუპეს კარი გაიღო.

– ძალიან ჭკვიანურია, გრეინჯერ, – გამოაცხადა დრაკო მალფოიმ.

უკან კრაბი და გოილი ედგნენ. სამივეს უწინდელთან შედარებით უფრო მეტად თვითკმაყოფილი, მედიდური და გოროზი იერი ჰქონდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაო, – მალფოიმ კუპეში ფეხი შემოდგა და სამივე შეათვალიერა. ტუჩებზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა, – შენ ერთი საცოდავი ჟურნალისტი დაიჭირე, პოტერი კი ისევ დამბლდორის ფავორიტია, არა? დიდი ამბავი!

მან დამცინავად გაიღიმა. კრაბმა და გოილმაც ღვარძლიანად ჩაიცინეს.

– ვცდილობთ, ამაზე არ ვიფიქროთ, არა? – შემპარავად თქვა მალფოიმ და სამივეს სათითაოდ შეხედა, – ვცდილობთ, თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს არაფერიც არ მომხდარა?

– გაეთრიე! – უთხრა ჰარიმ.

მალფოი მას შემდეგ აღარ ენახა, რაც დამბლდორის სიტყვით გამოსვლის დროს შეამჩნია, როგორ ეჩურჩულებოდა კრაბსა და გოილს. ჰარის ყურებმა წივილი დაუწყო. ხელმა თავისით ჩაბღუჯა მანტიის ჯიბეში ჩამალული ჯადოსნური ჯოხი.

– შენ დამარცხებული მხარე ამოირჩიე, პოტერ! მე გაგაფრთხილე! გახსოვს, რომ გითხარი, მეგობრები უფრო ფრთხილად უნდა შეარჩიო-მეთქი? როცა მატარებელში პირველად შევხვდით? ხომ გითხარი, ასეთ ვიგინდარებთან საქმე არ დაიჭირო-მეთქი! – მალფოიმ თავით რონისა და ჰერმიონისკენ ანიშნა, – ახლა კი ძალიან გვიანია, პოტერ! ბნელი ბატონი დაბრუნდა და პირველ რიგში მაგათ მოელებათ ბოლო! მუქსისხლიანები და მაგლების მოყვარულები პირველები იქნებიან! უფრო სწორად – მეორეები... პირველი დიგორი იყო...

კუპეში ისეთი ხმა გაისმა, გეგონებოდა, ვიღაცამ შუშხუნებით სავსე ყუთი ააფეთქაო. ყველა მხრიდან ნასროლი შელოცვების სიკაშკაშით დაბრმავებულმა და ბათქაბუთქით გაყრუებულმა ჰარიმ თვალები აახამხამა და იატაკს დახედა.

მალფოი, კრაბი და გოილი ზღურბლზე უგრძნობლად ეყარნენ. ჰარი, რონი და ჰერმიონი იდგნენ. სამივეს სხვადასხვა შელოცვა გამოეყენებინა. და, სხვათა შორის, არა მარტო მათ.

– გადავწვიტეთ, მოვსულიყავით და გვენახა, რა უნდოდა ამ სამს თქვენგან, – საქმიანად თქვა ფრედმა, გოილს ფეხი დააბიჯა და კუპეში შემოვიდა. ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა, ჯოხი მოემარჯვებინა ჯორჯსაც, რომელმაც გულდასმით შეაწმინდა მალფოის ფეხები, სანამ ფრედს შემოჰყვებოდა.

– საინტერესო ეფექტია, – ჯორჯმა კრაბს დახედა. – ფურუნკულუსის შელოცვა ვინ გამოიყენა?

– მე, – უპასუხა ჰარიმ.

– საოცარია, – უდარდელად აღნიშნა ჯორჯმა, – მე ფეხ-ფაფა ჯადო გამოვიყენე. ეტყობა, ამ ორი შელოცვის ერთმანეთთან შერე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვა არ შეიძლება. მგონი, მთელი სახე პატარ-პატარა საცეცებით დაეფარა. მოდით, ესენი აქედან მოვაშოროთ, აქაურობას მაინცდამაინც არ ალამაზებენ.

რონმა, ჰარიმ და ჯორჯმა ფეხის კვრით გადააგორეს მალფოი, კრაბი და გოილი დერეფანში, – სამივე საზიზღარი სანახავი იყო იმ ჯადო-შელოცვების კოქტეილის წყალობით, რომელთა მსხვერპლნიც შეიქნენ, – მერე კუპეში შემობრუნდნენ და კარი დახურეს.

– ვის უნდა ფეთქებადი კარტით თამაში? – ფრედმა კარტის დასტა დააძრო.

უკვე მეხუთე ხელს თამაშობდნენ, როცა ჰარიმ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, მათთვის ეკითხა, რაც აინტერესებდა.

– აღარ გვეტყვით, ვის უწყობდით შანტაჟს? – მიმართა ჯორჯს.

– ააა, იმაზე მეკითხები? – გუნება წაუხდა ჯორჯს.

– მაგას არა აქვს მნიშვნელობა, – მოუთმენლად გადააქნია თავი ფრედმა, – არაფერი ისეთი მნიშვნელოვანი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ახლა ნამდვილად აღარ არის.

– უკვე ხელი ჩავიქნიეთ, – მხრები აიჩეჩა ჯორჯმა.

მაგრამ ჰარი, რონი და ჰერმიონი მანამ არ მოეშვნენ, სანამ ბოლოს ფრედი მაინც არ გამოტეხეს:

– კარგი, კარგი, თუ ასე გაინტერესებთ... ლუდო ბეგმანს.

– ბეგმანს? – გაფაციცდა ჰარი, – იმის თქმა გინდათ, რომ ისიც იყო გარეული...

– არაა, – პირქუშად მიუგო ჯორჯმა, – არაფერი მაგის მსგავსი! დოყლაპიაა! სამაგისო ჭკუა ვინ მისცა.

– აბა, მაშინ რა? – ჰკითხა რონმა.

ფრედი შეყოყმანდა და შემდეგ უპასუხა:

– გახსოვთ, ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე მასთან სანაძლეო რომ დავდეთ? რომ ირლანდია მოიგებდა, მაგრამ სნიჩს კრამი დაიჭერდა?

– კი, – ერთხმად უპასუხეს ჰარიმ და რონმა.

– ჰოდა, იმ ყეყეჩმა სტადიონზე მოხვეტილი ლეპრეკონების ოქროთი გადაგვიხადა.

– მერე რა?

– მერე ის, რომ ოქრო გაქრა, – მოუთმენლად აუხსნა ფრედმა, – მეორე დილით ოქრო აღარ იყო!

– კი მაგრამ, ალბათ, რაღაცა შეეშალა, – თქვა ჰერმიონმა.

ჯორჯმა მწარედ გაიცინა.

– ჰო, თავიდან ჩვენც ასე გვეგონა. ვიფიქრეთ, რომ თუ მივწერდით და ავუხსნიდით, რაც მოხდა, ფულს მაშინვე დაყაჭავდა. მაგრამ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაგიგონიათ? ჩვენი წერილი არაფრად არ ჩააგდო. ჩვენ ჩვენსას არ ვიშლიდით და ჰოგვორტსში ბარემ ასჯერ მაინც ვცადეთ მასთან დალაპარაკება, მაგრამ ყოველთვის რაღაცას იმიზეზებდა და გაგვირბოდა.

– ბოლოს თავაზიანობას თავი დაანება, – დაამატა ფრედმა, – გვითხრა, აზარტული თამაშებისთვის ჯერ პატარები ხართ და ჩემგან ვერაფერსაც ვერ მიიღებთო.

– ჩვენც ავდექით და, ჩვენი ფულის დაბრუნება მოვთხოვეთ, – მოიღუშა ჯორჯი.

– უარი ხომ არ გითხრათ?! – სუნთქვა შეეკრა ჰერმიონს.

– როგორ გამოიცანი? – შეაქო ფრედმა.

– კი მაგრამ, ის ფული ხომ მთელი თქვენი დანაზოგი იყო! – აღშფოთდა რონი.

– რას მელაპარაკები! – ჩაიცინა ჯორჯმა, – ბოლოს, რა თქმა უნდა, გავარკვიეთ, რა ხდებოდა. ბეგმანისგან ვალის დაბრუნება ლი ჯორდანის მამამაც ძლივს მოახერხა. როგორც აღმოჩნდა, ბეგმანს გობლინებთან დიდი პრობლემები აქვს. მათგან ბლომად ოქრო ისესხა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გობლინების ჯგუფმა ტყეში გამოიჭირა და მთელი ფული წაართვა. მაგრამ მისი ყველა ვალის დასაფარავად ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. ჰოგვორტსშიც კი ჩამოჰყვნენ, რომ მასზე თვალი სჭეროდათ. ბეგმანმა მთელი ქონება გაფლანგა აზარტულ თამაშებში. გახვრეტილი კნატიც არ აბადია. და იცი, იმ იდიოტმა როგორ მოინდომა გობლინების ვალის გასტუმრება?

– როგორ? – დაინტერესდა ჰარი.

– გობლინებთან სანაძლეო დადო, – უპასუხა ფრედმა, – დიდ ფულს ჩავიდა იმაზე, რომ ტურნირში შენ გაიმარჯვებდი.

– აი, თურმე, რატომ ცდილობდა ჩემს დახმარებას! – შესძახა ჰარიმ, – მერე... ხომ მოვიგე? ესე იგი, ახლა შეუძლია, დაგიბრუნოთ თქვენი ფული.

– გეგონოს! – თავი გაიქნია ჯორჯმა, – გობლინებიც მასავით ბინძური წესებით თამაშობენ. ედავებიან, რომ შენ და დიგორიმ ერთად გაიმარჯვეთ. ბეგმანმა კი მხოლოდ შენს გამარჯვებაზე დადო ფსონი. ასე რომ, ბეგმანს სხვა რა გზა დარჩენოდა, გაქცევით უშველა თავს. მესამე ტური დამთავრდა თუ არა, მოცოცხა.

ჯორჯმა ღრმად ამოიოხრა და კარტი დაარიგა.

დარჩენილი დრო საკმაოდ სასიამოვნოდ გაატარეს. ჰარი ნატრობდა, ნეტავ ეს მგზავრობა მთელ ზაფხულს გაგრძელდეს და კინგს ქროსის სადგურამდე არასოდეს ჩავაღწიოთო... მაგრამ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც იმწლევანდელი მწარე გამოცდილებით იცოდა, დრო არასდროს ითრევს ფეხს, როცა წინ რაიმე უსიამოვნო გელის, და მართლაც, სულ მალე ჰოგვორტსის ექსპრესმა სვლა შეანელა და პლატფორმა ცხრა და სამ მეოთხედზე ჩამოდგა. სტუდენტები თავიანთი ბარგი-ბარხანით დერეფნებში გამოცვივდნენ და ატყდა ერთი ჟრიამული. ჩემოდნებით დატვირთულმა რონმა და ჰერმიონმა გაჭირვებით გადააბიჯეს მალფოის, კრაბსა და გოილს და ბაქანზე ჩავიდნენ.

ჰარი მათ ჩამორჩა.

– ფრედ, ჯორჯ, ერთ წუთს მოიცადეთ.

ტყუპები შემობრუნდნენ. ჰარიმ ჩემოდანი გახსნა და იქიდან სამი ჯადოქრის ტურნირში მოგებული ოქრო ამოაძვრინა.

– აიღეთ, – თქვა და ტომარა ჯორჯს ჩასჩარა ხელებში.

– რაა? – გაშრა ფრედი.

– აიღე, – მტკიცედ გაუმეორა ჰარიმ, – მე არ მინდა.

– გაგიჟდი? – ჯორჯმა სცადა, ტომარა ისევ ჰარისთვის შეეჩეჩებინა.

– არა, არ გავგიჟებულვარ, აიღეთ და გამოგონებას შეუდექით. ეს თქვენი ოინების მაღაზიისთვისაა.

– ნამდვილად გაგიჟდა, – თითქმის მოკრძალებით თქვა ფრედმა.

– მომისმინეთ, თუ არ აიღებთ, წყალსადენ თხრილში გადავუძახებ! – მტკიცედ გაუმეორა ჰარიმ, – ეს ფული არც მინდა და არც მჭირდება. მაგრამ ცოტა სიცილი არ მაწყენდა. ცოტა გამხიარულება არავის არ გვაწყენდა. გული მიგრძნობს, რომ მალე ეს ჩვეულებრივზე მეტად დაგვჭირდება.

– ჰარი, – მიმქრალი ხმით თქვა ჯორჯმა და ფულით სავსე ტომარა ხელით აწონა, – აქ ათას გალეონზე ნაკლები არ იქნება.

– ჰო, – ჩაიღიმა ჰარიმ, – წარმოიდგინეთ, ეს რამდენი იადონის ფუნთუშაა.

ტყუპები ჰარის მიშტერებოდნენ.

– ოღონდ, დედათქვენს არ უთხრათ, საიდან გაქვთ... თუმცა, შეიძლება, ახლა აზრი შეიცვალა და ძველებურად აღარ უნდოდეს, რომ სამინისტროში იმუშაოთ...

– ჰარი, – დაიწყო ფრედმა, მაგრამ ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო.

– ყური მიგდეთ, – თქვა კატეგორიულად, – აიღეთ, თორემ მოგაჯადოებთ. უკვე ვიცი ერთი-ორი კარგი შელოცვა. მხოლოდ ერთი სათხოვარი შემისრულეთ, კარგი? რონს ახალი საზეიმო მანტია უყიდეთ და უთხარით, რომ თქვენგანაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ტყუპებს სიტყვის თქმაც აღარ აცალა, იატაკზე გაშხლართულ და ჯადო-შელოცვებით დამშვენებულ მალფოის, კრაბსა და გოილს გადააბიჯა და კუპედან გავიდა.

ძია ვერნონი ბარიერის მიღმა უცდიდა. ქალბატონი უისლიც მის შორიახლოს იდგა. მან, როგორც კი ჰარი დაინახა, მთელი ძალით ჩაიკრა გულში და ყურში ჩასჩურჩულა:

– დამბლდორი, მგონი, დაგრთავს ნებას, ზაფხულში ჩვენთან ჩამოხვიდე. ხშირად მოგვწერე, ჰარი.

– აბა, შეხვედრამდე, ჰარი, – დაემშვიდობა რონი და ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

– კარგად, ჰარი! – თქვა ჰერმიონმა და ისეთი რამე გააკეთა, რაც უწინ არასდროს გაუკეთებია, ჰარის ლოყაზე აკოცა.

– ჰარი, გმადლობ, – წაიბუტბუტა ჯორჯმა, ძმის გვერდით მდგარმა ფრედმა კი მხურვალედ დაუქნია თავი.

ჰარიმ ტყუპებს თვალი ჩაუკრა და ძია ვერნონს უსიტყვოდ გაჰყვა სადგურის გასასვლელისკენ.

„ჯერჯერობით არ ღირს ნერვიულობა," – დაიმშვიდა თავი, როცა დერსლების მანქანაში უკანა სავარძელზე დაჯდა.

ჰაგრიდის თქმისა არ იყოს, მოსახდენი მაინც მოხდება! უბრალოდ, მზად უნდა დახვდეს იმას, რაც გარდაუვალია.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/